

აჩნაღღ გეგეჭქათი

არაქიანთს ვართუთია.

გაქრინაჩეგური

ღა ტრინგარუჩი

სთვირიჭასთვიჩი



წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი – ცნობილი ზოოლოგი და ბიოგეოგრაფი – დიდი ხანია დაინტერესებულია ძუძუმწოვრების გლობალურად განსახლების უნარის მქონე ერთადერთი სახეობით – პრეისტორიული ადამიანით. ნაშრომში მოცემულია უახლესი ინფორმაცია ადამიანის წარმოშობასა და წარმოშობის ცენტრიდან მის გლობალურ განსახლებაზე, ჰომოს გეარის ევოლუციურ, ეკოლოგიურსა და ბიოგეოგრაფიულ წინამძღვრებზე და ა.შ. გარდა ლიტერატურული წყაროებისა, ავტორი საველე პირობებსა და მუზეუმებში უშუალოდ გაეცნო სათანადო მასალებს, მონახულა მსოფლიო ცივილიზაციის უმნიშვნელოვანეს კერათა დიდი ნაწილი, ქვის ხანის კულტურის მატარებელი ხალხი ავსტრალიაში, ოკეანეთში, აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში.

წიგნი განკუთვნილია უნივერსიტეტის სტუდენტებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

Автор предлагаемого учебного пособия – "Происхождение человека, исчезнувшие и триабальные цивилизации" – известный зоолог и биогеограф. Он в течение долгих лет интересуется жизнью доисторического человека, единственного млекопитающего, расселившегося в глобальном масштабе.

В монографии дается новейшая информация о происхождении человека, – его глобальном расселении из центра происхождения, экологических и биогеографических предпосылках эволюции рода Homo. Кроме литературных источников, автор лично ознакомился с соответствующими материалами в полевых условиях, в музейных фондах, навестил большинство центров мировой цивилизации, познакомился с аборигенами Австралии, Океании, Африки и Южной Америки, сохранившими культуру каменного века.

Книга предназначена для студентов университета разных факультетов, а также для широкого круга читателей.

The author of the present auxiliary textbook – "The Making of Mankind and an Extincted and Tribal Civilization" – is a famous zoologist and biogeographer. He is interested in prehistorical human – a single mammalian who successfully dispersed on the globe. In the monographical work is given modern information about the origin of mankind, about its global distribution from the centre of origination, about ecological and biogeographical background of evolution of genus of Homo, etc. Along with modern literary sources, the author was acquainted with the relevant materials in the field condition and museums, familiarized with the majority of world's important cradle of civilization, with the relic, tribal population which managed to preserve the most ancient – stone way of life till our century. They are aborigens of Australia, Oceania, Africa, South America.

The book is intended for the students of different departments of Tbilisi State University and public at large.

რედაქტორი აკად. თ. იოსელიანი

რეცენზენტები: აკად. პ. ნასყიდაშვილი,
პროფ. გ. ლორთქიფანიძე,
პროფ. დ. ლორთქიფანიძე,
პროფ. ა. შათირიშვილი



ავტორი ოლდუეის ხეობის (ტანზანია) წინ.

ლუის და მერი ლიკების მიერ 1959 წელს სწორედ ამ ხეობის სურათზე აღბეჭდილი ბორცვის ქვეშ განხორციელებულმა აღმოჩენამ მისცა გადამწყვეტი ბიძგი თანამედროვე პალეოანთროპოლოგიის განვითარებას.

*„დედამიწაზე მომხდარი ყველა აქტი (მოქმედება)
ეკოლოგიური აქტის (მოქმედების) შედეგია“.*

ჯორჯ შალერი

**<every act
is an ecological act>**

George Schaller



*კალიფორნიის მეცნიერებათა აკადემიის (სან-ფრანცისკო)
ბუნების ისტორიის მუზეუმის შესასვლელში გაკეთებული
წარწერა.*

წინასიტყვაობა

ადამიანის ევოლუციის, პროტოცივილიზაციის, უძველესი ცივილიზაციისა და დღემდე შემორჩენილი, პირველყოფილი კულტურის მატარებელი ხალხებისადმი ინტერესი ძალიან დიდია. ეს გასაგებებაცაა – კაცობრიობა *Homo sapiens* მოდგმას ეკუთვნის. ეს ინტერესი განსაკუთრებით გამაფრდა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ფართო მასშტაბით გაიშალა არქეოლოგიური სამუშაოები, ერთდროულად აღმოჩენილ იქნა ტრაიბალური ცხოვრების წესით, ინიციალური კულტურის მატარებელი აბორიგენები, დაბოლოს, როდესაც აღმოსავლეთ აფრიკის რეჟეესი (რიფტულ) ზონაში, საუკუნის უმნიშვნელოვანესი პალეოანთროპოლოგიური აღმოჩენები განხორციელდა.

პროფ. არნოლდ გეგეჰკორი ცნობილი ზოოლოგი და ბიოგეოგრაფია. 2000-2003 წლებში, თსუ-ში მოღვაწეობის პარალელურად, საქმიანობდა უცხოეთში. მიწვეული პროფესორის სტატუსით ლექცია-სემინარებისა და სამეცნიერო-კლდეითი საქმიანობის ჩასატარებლად იმყოფებოდა ავსტრალიაში (მელბურნი – მონაშის უნივერსიტეტი, სიდნეი – ახალი უელსის უნივერსიტეტი), ახალ ზელანდიაში (ოკლენდის უნივერსიტეტი), აფრიკაში (დარ-ეს-სალამისა და ნაირობის უნივერსიტეტები), აშშ-ში (ატლანტის უნივერსიტეტი), ეკვატორში (კიტოს უნივერსიტეტი). მიწვეული მკვლევარის სტატუსით სათანადო მუშაობა ჩაატარა სან-ფრანცისკოში (კალიფორნიის მეცნიერებათა აკადემია), მექსიკაში (მეხიკოს აგარარული უნივერსიტეტი) და ა.შ.

პროფ. არნ. გეგეჰკორი არჩეულია: „საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის“, „ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების“ (აშშ), საქართველოს სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პრეზიდენტის, რესპუბლიკის ოთხი საზოგადოებრივი აკადემიის წევრად (აკადემიკოსად). არის „კავკასიის გარემოს (ეკოლოგია) საერთაშორისო საზოგადოების“ პრეზიდენტი; მიენიჭა სოროსის პრემია, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის პრემია, გაიმარჯვა ISAR-ის საერთაშორისო ეკოლოგიურ კონკურსში; დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“, თსუ-ის იე. ჯავახიშვილის სახელობის მედლით, არის სახელმწიფო, პ. მელიქიშვილისა და ი. გოგებაშვილის (I ხარისხის) პრემიების ლაურეატი; კემბრიჯის (ინგლისი) საერთაშორისო ბიოგეოგრაფიული ცენტრის მიერ დასახელებულია 2000-2001 წლის საერთაშორისო პიროვნებად, არჩეულია ამავე ცენტრის კონსულტანტად და ა.შ.



კუნძული ტასმანია,
მაუნი ფილდის ეროვნულ პარკში.

პროფ. არნ. გეგეჰკორის მომავალ სახელმძღვანელოში – „ბიოგეოგრაფია“, – რომელიც დამთავრების ფასაშია, გათვალისწინებულია თავი – „წინასიტყვიერი ადამიანის გლობალური განსახლების გზები, მიწეუბები და შედეგები“, შესაბამისად, არნ. გეგეჰკორი დიდი ხანია დაინტერესებულია პომინიდების ისტორიითა და კაცობრიობის ცივილიზაციის ადრეული პერიოდით. აღნიშნულზე მეტყველებს შემდეგი ფაქტები: მან უშუალოდ, საველე პირობებში (ტანზანიაში, კენიაში) მოინახულა აღმოსავლეთ აფრიკის მნიშვნელოვანი პალეოანთროპოლოგიური აღმოჩენების კერები, გაეცნო პალეოანთროპოლოგიურ მასალათა ფონდებს ნაირობში (კენიაში), თბილისში (საქართველო); მოინახულა ადამიანის წარმოშობისა და განსახლების ამსახველი ისეთი უმნიშვნელოვანესი მუსეუმების ექსპოზიციები, როგორებიცაა: კენიის ეროვნული მუსეუმი (ნაირობი), კალიფორნიის (სან-ფრანცისკო) მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ბუნების ისტორიის მუსეუმი, ავსტრალიის ბუნების ისტორიის მუსეუმი (ქ. სიდნეი), ლონდონის ბუნების ისტორიის მუსეუმი, პარიზის ანთროპოლოგიური მუსეუმი, ქ. ვენევის (შევიცარია) ბუნების ისტორიის მუსეუმი, ახალი ზელანდიის აბორიგენ ხალხთა (მაორი) მუსეუმი (ქ. ოკლენდი),

ქ. მეხიკოს (მექსიკა) აცტეკების, მაიასა და ინდიელთა სხვა ტომების კულტურის ამსახველი ანთროპოლოგიის მუზეუმი, ქ. ლიმას (პერუ) ინკების კულტურის ამსახველი ეროვნული მუზეუმი, ქ. კაიროს (ეგვიპტე) ეროვნული მუზეუმის პალეო-ანთროპოლოგიური განყოფილება...

მოინახულა და ფოტოფირებზე აღებუდა კაცობრიობის საწილის კულტურის ისეთი ცენტრები, როგორებიცაა: ეგვიპტურის პირამიდები და ფარაონთა სამარხები, მდინარეების – ეფრატისა და ტიგროსის სელაწელი; წინაკოლუმბიური ამერიკის შემდეგი უმნიშვნელოვანესი საკულტო დანიშნულების ცენტრები: აცტეკების – ტოტეპუაკანი, მაიას – ჩიჩენ იცა, იუკატანის ნახევარკუნძული (მექსიკა), ინკების – მაკიუ-პიკუ (პერუ); ანტიკური ხმელეთა-შუა ზღვის კულტურის კერები ათენსა და რომში; გაეცნო ამჟამად მცხოვრები პალეოლითურ-ნეოლითური კულტურის მატარებელი ხალხის ყოფა-ქცევებსა და სწავლებებს: უგანდა-რუანდის ტროპიკულ ტენიან ტყეებში მცხოვრებ ნეგრილებს – პიგმეებს, ტანზანია-კენიაში მოზინადრე მასაის ხალხს, ცენტრალური აფრიკის – ულურუ (აიურ-როკი) და ჩრდილოეთი აფრიკის (არნემ ლენდის ზეგანი) – აესტრალიიდებს, აგრეთვე თანამედროვე ცივილიზაციასთან ნაზიარე, მაგრამ ძველი ტრადიციების შემნარჩუნებელ კენუას ტომელებს პერუსა და ეკუადორში, ნილოტელებს – ტროპიკულ აღმოსავლეთ აფრიკაში, ცენტრალურ-აზიური კულტურის მატარებელ ხალხს ცენტრალური ტიან-შანისა და პამირის ზეგანზე, ტროპიკული სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ნეგრიტოსებს, ოკეანეთის (წყნარი ოკეანის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილი) აბორიგენებს: მელანესიელებს (კუნძული ფიჯი), პოლინეზიელებს – მაორის ხალხს (ახალი ზელანდია) და ა.შ.

აღნიშნულ სფეროში არნოლდ გეგეკორის პირადი დაკვირვებებისა და შთაბეჭდილებების გარკვეული ნაწილი უკვე აისახა მის მიერ გამოცემულ კაპიტალურ ნაშრომში: „ჩემი აფრიკული საფარი“ (ოსუ, 2002). მდიდარ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, ცხოველთა და, უწინარეს ყოვლისა, უმადლესი პრიმატების ქცევებზე დაისტამბა მისივე წიგნი – „აზროვნების სათავეებთან“ („ნაკადული“, 1982).

არნ. გეგეკორის ახალი წიგნი – „ადამიანის ევოლუცია, გაუწინარებული და ტრაიბალური ცივილიზაციები“ – ვერდნობა, როგორც ითქვა, მის მიერ მოპოვებულ მასალებსა და უახლეს ლიტერატურულ მონაცემებს. მონოგრაფიაში მოცემულია ორფეხა, ანუ ბიპედური ლოკომოციის მქონე არსებთა (აესტრალიპითეკები, პარანთროპები, პომოები და ა.შ.) უახლესი სისტემატიკა, ანუ ტაქსონომიური სტრუქტურა; ნაშრომში ასახულია პრეისტორიული ადამიანისა და მისი უშუალო წინამორბედების – ორ კიდურზე მოსიარულე ფორმათა ევო-

ლუციის, ეკოლოგიური და ბიოგეოგრაფიული ასპექტები; ბიოეთიკის პრინციპებიდან გამომდინარე, საუბარია თანამედროვე ადამიანის მისიაზე, მოკვლეობაზე პლანეტა დედამიწის სიცოცხლის, საკუთარი სახეობის შენარჩუნების თაობაზე; თუ როგორ განამტკიცა ცხოვრების მომთაბარე წესიდან მიწათმოქმედებაზე გადასვლამ კაცობრიობის დამკვიდრება დედამიწაზე (ამ თემაზე ბოლო კონცეფცია); აღნიშნულის საფუძველზე სად, როდის და როგორ აღმოცენდა უძველესი ცივილიზაციები; დაბოლოს, მოთხრობილია ტექნიკური ცივილიზაციის დღევანდელ პირობებში დედამიწის რიგ ბუნებრივ თავშესაფარში (ავსტრალიისა და აფრიკის ექსტრემული უდაბნოები, ამასონის ჯუნგლები ...) შემორჩენილ, ქვის ხანის კულტურის მატარებელ ხალხზე.

წიგნის ღირსებას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ იგი უხვად არის ილუსტრირებული, რომელთა უდიდესი ნაწილი ეკუთვნის თვით ავტორს. ავტორისეული სურათები გადაღებულია როგორც ბუნებრივ პირობებში, ისე მუსეუმთა გამოფენებსა და საცაგებში.

არნ. გეგეკორის ახალი ნაშრომი სტრუქტურულად (თავეების მიხედვით) ორიგინალურად არის გააზრებული.

წიგნი, როგორც ითქვა, ჩამოთვლილ საკითხებზე უამრავ უახლეს ინფორმაციას შეიცავს, ხოლო თვით დარსტრუქტურა – ფრიად აქტუალურია. აღნიშნულის პასტორს ამ თემაზე ბოლო ათწლეულში გადაღებული, მთელ ცივილიზებულ სამყაროში ესოდენ პოპულარული ტელევიზიები. აქ იგულისხმება, ძირითადად, ცოცხალი ბუნების გამოჩენილი პოპულარიზატორის, ინგლისელი დევიდ ეტენბოროს წიგნების მიხედვით გადაღებული ტელევიზიები – „სიცოცხლე დედამიწაზე“, ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების ვეგით გადაღებული ტელევიზიები: „დედამიწის წარმოშობა“ (რომელშიც ასახულია, ზოგადად, სიცოცხლისა და, კერძოდ, ადამიანის წარმოშობა), „კაცობრიობის წარმოშობა“ (რომელიც, ძირითადად, გადაღებულია გამოჩენილი პალეოანთროპოლოგის, ლუის ლიკის ცხოვრებასა და მიღვაწეობაზე); „დისკავერის“ მიერ ნაჩვენები ტელევიზიები უძველესი ცივილიზაციებსა და დედამიწის რელიქტურ, აბორიგენ მოსახლეობაზე.

დარწმუნებული ვარ, რომ პროფესორ არნოლდ გეგეკორის დამხმარე სახელმძღვანელოს – ადამიანის ევოლუცია, გაუწინარებული და ტრაიბალური ცივილიზაციები – დიდი ინტერესით გაეცნობიან არა მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტები, არამედ მკითხველთა ფართო წრე, რომელსაც აინტერესებს საკუთარი მოდგმის განვითარების ისტორია, კულტურულ არსებად ჩამოყალიბება.

აკადემიკოსი თეიმურაზ იოსელიანი

ნაწილი პირველი

ალამიანის წარმოშობა-განსახლების თანამედროვე მონაცემები

თავი 1. როგორ აღმოცენდა ალამიანის წარმოშობის შესახებ პირველი მემკვიდრული თეორია და როგორ დადასტურდა იგი?

სიბილური თეორია – ალამიანის წარმოშობაზე შესხვედვების ძვაკუთხედი

„მსოფლიოს მეცნიერები მუხლჩაუხრელი შრომით შლიან ადამიანის ევოლუციის საინტერესო ფურცლებს და ამ ეპიკურ თხრობაში მკაცრი მეცნიერული თვალთახედვა შერწყმულია დეტექტიური მოთხრობის რომანტიკულ ეანთან“ – ასე იწყებს „ბრიტანეთის ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოების“ ეგიდით გადაღებულ უნიკალურ სამეცნიერო-პოპულარულ ფილმს „კაცობრიობის საიდუმლოებანი“ მისი სცენარის ავტორი და პროდუსერი ბარბარა ჯამპელი.



სურ. 1. „შეიცან თავი შენი“ – როდენის „მოაზროვნე“.

ფილმი ეძღვნება სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ფენომენს – ადამიანის წარმოშობასა და მის ევოლუციას. იგი წარმოადგენს ამ თემაზე ძირითადად, უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში მსოფლიოს ყველაზე ცნობილ პალეოანთროპოლოგთა, ანთროპოლოგთა, ზოოლოგთა, ეთოლოგთა, გენეტიკოსთა გამოკვლევებს. ამავე საკითხზე დაწერილია ათობით განმარტებელი ხასიათის სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის წიგნი, მონოგრაფია.

ბარბარა ჯამპელს მოჰყავს უილიამ შექსპირის გამოჩენილი: „მოელი ქეჟანა თეატრია და აღამიანები მხოლოდ მსახიობები არიან“. იმ დროისათვის ეერაინ წარმოდგენდა, თუ რა აურაცხელი „მსახიობი თამაშობდა“ ჩვენს სახეობამდე ქვენიერების ეეებერთელა სცენაზე, ცხოველთა ათეულ მილიონობით სახეობას შორის იყენ ბოლო დრომდე უცნობი ნახევრად ადამიანები და წინააღამიანები.

სწავლულთა ცოდნისმოყვარეობიდან გამომდინარე, დიდია იმის გაგების სურვილი, თუ გაადაამიანების რთულ გზაზე ვინ იყენ არსებობისათვის ამ უკომპრომისო ბრძოლის მონაწილენი? ვინ იყენ, როდის გამოვიდნენ ქვენიერების სცენაზე



სურ. 2. „მოაზროვნე“ გორილა.


კაცობრიობის საწყისი, ინიციალური ფორმები? როდის და რატომ გაქრნენ პრეისტორიულ ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა იქიდან? როგორ მოახერხა პომინილთა ერთადერთმა სახეობამ – პომო საპიენსმა – გარემოს ცოცხალ და არაცოცხალ ძალებთან შეუება? ხშირად, ერთი შეხედვით, გაცილებით ძლიერ არსებებთან პირდაპირი აგრესიის თავიდან აცილება?

ვინ იცის, ბუნების მიერ დაწერილი ამ ისტორიული სპექტაკლის პიესიდან ბევრი რამ დარჩეს კაცობრიობისათვის ბოლომდე შეუცნობი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მეცნიერების სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით კი პალეოანთროპოლოგიაში, ეთოლოგისა და გენეტიკაში მიღწეული წარმა-

ტებებით ჩვენ სულ უფრო რეალურად აღვიქვამთ პრესტორიულ ადამიანთა და ადამიანისმავგარ არსებათა მზერას, ჩვენამდე აღწევს გარდასულ ეპოქებში მცხოვრებ ამ პირველ-ორფებსა მიერ არსებობის შენარჩუნებისათვის, პლანეტაზე, მზის ქვეშ დამკვიდრებისათვის გაწეული თავგანწირული რუდუნების ექო.

მეცნიერები ნელ-ნელა, ჭეშმარიტი გმირობის ტოლფასი ძალისხმევით წევენ ხანგრძლივი დროის სიმბოლურ ფარდას. ჩვენ თვალწინ იშლება ევოლუციის დიდი თეატრის ფართო სცენა. იწყება რეტროსკოპული ჩვენება ისტორიული სპექტაკლისა, სადაც მთავარ გმირს უნიკალური ანატომიის – ორ კიდურზე მოსიარულე, სტერეოსკოპული მხედველობით აღჭურვილი, მოასრონე ტვინით დაჯილდოებული პომინიდი – ადამიანი წარმოადგენს.

პომინიდიზაციისადმი მიძღვნილი სპექტაკლის პირველივე მოქმედება დრამატიზმითაა აღსავსე, მით უმეტეს სულმოუთქმელად ევოლუციით უკანასკნელ მოქმედებას, რამეთუ მან პასუხი უნდა გაგვცეს კითხვაზე – ვინ ვართ და საიდან მოვდივართ?



სურ. 3-4. შიმპანზე, შემდეგ კი ვორილა, ადამიანის ყველაზე ახლო მონათესავე პრიმატებია.

– ვინ ვარ მე? – ეს კითხვა დედამიწაზე სულ რამდენიმე ათასი წლის წინათ დაუსვა თავის თავს შემეცნების უნარის მქონე ერთადერთმა არსებამ – ადამიანმა (სიცოცხლე კი, როგორც ცნობილია, თავისი ისტორიის ოთხ მილიარდამდე წელს ითვლის). დამწერლობა გაცილებით გვიან შეიქმნა. და აგერ, დელფოსში, აპოლონის ტაძარზე, ანტიკური ეპოქის მოაზროვნეს გაუკეთებია საკრალური წარწერა: „შეიცან თავი შენი“. დრამა მედიტაციებისადმი მიდრეკილმა, აღნიშნული ეპოქის ნატურფილოსოფოსებმა, – ამ ბრძენმა ადამიანებმა, იმთავითვე იცოდნენ, რომ დედამიწის, მით უმეტეს, სამყაროს შეცნობა საკუთარი თავის შეცნობის გზაზე გადის.

მას შემდეგ, რაც ცივილიზებულმა ადამიანმა აღმოაჩინა დედამიწის ყველა კონტინენტი, გაეცნო მის ცოცხალ ბუნებას, სისტემაში მოიყვანა იგი,

დაადგინა მისი განვითარების მაგისტრალური გზები, ასე თუ ისე შეიცნო მზის სისტემა, გალაქტიკა, ზოგადად სამყარო... მისთვის გასაგები გახდა, თუ რამდენად უნიკალური ადამიანისეული ცნობიერება და რომ სწორედ ამ ნიშნით არის იგი პრიმატთა შორის პრიმა, უპირველესი, ერთადერთი, განუმეორებელი... ისიც ცხადი გახდა, რომ ასროვნებისა და ბევრი სხვა ნიშან-თვისების თვალსაზრისით, მასთან ყველაზე ახლოს დგანან ადამიანისმავგარი მაიმუნები, უწინარესად, შიმპანზე მაღალგანვითარებული ნერეული სისტემით ხასიათდება დელფინი, ძაღლი, მგელი... სულ თითებზე ჩამოსათელელი სახეობები, მაგრამ სულ სხვაა „ახლოს დგომა“ და სულ სხვა – „ერთ სიბრტყეში დგომა“...

ცნობიერების დადგენის ერთი მარტივი წესი არსებობს – ვერცერთი ძუძუმწოვარი წყლის ზედაპირის ანარეკლში, ხელოვნურ გარემოში, თვით სარკეშიაც კი, თავის თავს ვერ ცნობს. ადამიანი გონიერი არსებაა, მაგრამ ჩვენს მოდგმაში ინტელექტის სპექტრი ძალიან ფართოა – ეხედებით

დაბალი, საშუალო, ჭარბი ნიჭის ადამიანებს, დაბოლოს, გენიალურ პიროვნებებსაც. ცხოველთა სამყაროში ასე როდია. ყველაზე მაღალგანვითარებულ პრიმატში – შიმპანზეში – „ნიჭიერების“ დიაპაზონი ძალიან ვიწრო მასშტაბებში ცვალებადობს. და აი, ამერიკელმა ექსპერიმენტატორებმა ასეთი, ყველაზე „ნიჭიერი“ შიმპანზე, სახელად უოშოუ სარკის წინ დააყენეს და ჰკითხეს (რა თქმა უნდა, ჟესტების ენით): „ვინ არის ეს?“ მაიმუნმაც, იმავე ენით მიახვედრა: „მე, უოშოუ“. მაშასადამე, ასეენიან პრიმატოლოგები, დედამიწაზე არსებული დაახლოებით 44 ათასი სახეობის ხერხემლიანი ცხოველიდან პრიმატიული თვითშემეცნება მხოლოდ შიმპანზეში ილევძებს, მაგრამ მრავალი სხვა ადამიანური თვისების მსგავსად, იგი მხოლოდ ჩანასახოვან მღვრონარეობაში იმყოფება, ე.ი. სწორედ რომ ილევძებს!

ვინ არის ადამიანი? — ეს კითხვა უდიდეს ინტერესს იწვევს არა მხოლოდ ანთროპოლოგში (რომელიც იკვლევს თანამედროვე ადამიანს — ჰომო საპიენს საპიენსს), პალეოანთროპოლოგში (სწავლობს პრეისტორიულ ადამიანს — ჰომოს სხვა სახეობებსა და წინამორბედ, ორფეხა ფორმებს), ზოოლოგში (ცხოველთა სხვა ჯგუფებთან ერთად, შეისწავლის ზოგადად პრიმატებს, ანუ მაიმუნებს), მეცნიერული თვალთახედვით, მას ასეთივე ინტერესით ეკიდება ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და ზოგიერთი სხვა სპეციალისტის წარმომადგენელი.

„ჩვენ ყოველთვის უფრო მეტად გეინტერესებს საკუთარი წარმოშობა, — წერს ცნობილი ანთროპოლოგი დონალდ ჯოჰანსონი და ამ დარგში ღრმად ჩახედული უურნალისტი — მეიტლენდ იდი, — ეიდრე სხვა არსებობა საგვარტომეულო ისტორია. ამისთვის, ძირისძირამდე ჩაედევთ ხოლმე ჩვენი გეარის გენეალოგიას, ვამაყოფთ მისი სიძველით. ვიკვლევთ იმ ერის წარმოშობის საწყის ეტაპებს, რომელსაც ვეკუთვით. მეცნიერების მრავალი დარგის მონაცემით ვცდილობთ ჩაიხედოთ პრეისტორიულ სამყაროში, რათა ნათელი მოეფინოთ ცივილიზაციის და, საბოლოო ჯამში, თვით კაცობრიობის პირველ ნაბიჯებს.

ამ ინტერესის დელაარსს წარმოადგენს კითხვა — ვისგან წარმოიშობა? ბუნებრივია, ამ მიზნით, ადამიანის ნამარხი ნარჩენები გაცილებით მეტ ემოციებს იწვევს, ვიდრე გადაშენებულ მოლუსკთა ნაშთები“.


ევოლუციის თეორიის ჭეშმარიტებაში დღეს ურწმუნო თომების გარდა ეჭვი არავის ეპარება. მან დროსაც გაუძლია და არაერთი ოპონენტის მძინვარე თავდასხმასაც. უფრო მეტიც, რაც უფრო ძირისძირამდე ესწავლობთ ამჟამად არსებულ, თუ წარსულში გადაშენებულ ცოცხალ ორგანიზმებს, რაც უფრო მეტ ფაქტს ეფინება ნათელი, მით უფრო ლოგიკურსა და მწყობრ ხასიათს იძენს იგი. ამიტომ ბიოლოგთა შორის კამათი გრძელდება ევოლუციის გარკვეულ დეტალებზე და არა მის ძირითად არსზე.

ისიც ბუნებრივია, რომ ადამიანის — ბუნების ერთ-ერთი შეილის — წარმოშობის პრობლემაც ევოლუციური თეორიის შუქზე განიხილება.

ბოლო დროს, განსაკუთრებით უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, ადამიანის ცხოველთა სამყაროს წიაღიდან წარმოშობის დამადასტურებელი არაერთი უტყუარი ფაქტია მიკვლეული. სწავლულები იმედოვნებენ, რომ ახლო მომავალში მიაგნებენ ჩვენი მოდემის ხანგრძლივი განვითარების შესახებ ახალ, კიდევ უფრო საინტერესო ნივთმტკიცებებს, განვითარებისა, რომლის საწყისი ეტაპებიც რამდენიმე მილიონი წლის წინათ ტროპიკული აფრიკის გაუდაბურებულ ნაწილში დაწყებულა.


ადამიანის თანამედროვე მაიმუნებთან საერთო წინაპრისაგან წარმოშობა ცნობილია სიმიალური თეორიის სახელწოდებით (Simia — უმაღლესი პრი-

მატების ერთ-ერთი სახელწოდება). ამ თეორიას საფუძველი ჩაუყარა ჩარლზ დარვინმა 1859 წელს გამოცემულ „სახეობათა წარმოშობაში“. აღნიშნული პრობლემისათვის მას ნაშრომში ცალკე თავი არ მიუძღვნია, მაგრამ ევოლუციის თეორია რომ ადამიანსაც ეხება, ამაზე მეტყველებს წიგნის ბოლოს მოცემული პატარა ფრაზა — „ჩემს თეორიას შეუძლია ნათელი მოჰყინოს ადამიანის წარმოშობას და მის ისტორიას“. ეს მინიშნებაც საკმარისი იყო, რათა დარვინის წინააღმდეგ ჯოჯოხეთური კამპანია გაჩაღებულიყო.



სურ. 5. ნ. დარვინი ცოცხალი ბუნების ევოლუციური განვითარების თაობაზე „მსაჯულის“ როლში.

ნ. დარვინი — გენიალურად მოაზროვნე პიროვნება — არ გამოირჩეოდა მეტრძოლი ხასიათით. მისი მთავარი იარაღი იშვიათი ლოგიკით არგუმენტირებული თეორიები იყო, მაგრამ „მკრეხელური“ იდეებით აღსავსე ნოეაციათა კასკადს, რომელიც ბრძენკაცმა მსოფლიო სასოგადოებას ლონდონიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ მყუდრო დასახლებულ ადგილიდან, დაუნიდან შესთავაზა, დაცვა ესაჭიროებოდა. დარვინს კი არც სიტყვიერად და არც წერილობითი ფორმით არასოდეს არცერთ პოლემიკაში არ მიუღია მონაწილეობა. ამას აკეთებდა მისი იდეების მხურვალე გამზიარებელი და პროპაგანდისტი — თომას ჰენრი ჰაქსლი. მან „ნოეაუტი“ მოუგო ორთაბრძოლა ცნობილ ინგლისელ ეპისკოპოსს — სამუელ უიბელფორსს და „ბეჭვებზე გააკრა“ თვით ინგლისელი პრემიერ-მინისტრი ბენჯამენ ფიზრაელი. „მე არ მრცხვენია ჩემს შორეულ წინაპრებს შორის მაიმუნის არსებობა, მაგრამ სამარცხვინოდ მიმანია ნათესაური კავშირი მქონდეს ადამიანთან, რომელიც თავის დიდ ნიჭს იყენებს მხოლოდ ჭეშმარიტების ბურუსში გასახვევად“ — ეპისკოპოსთან საჯარო კამათის დროს ჰაქსლის ეს სიტყვები ფრთიან გამოთქმად იქცა.



სურ. 6. 1862 წელს ინგლისში დასტამბული კარიკატურა, რომლის ავტორი ცილიოზს დასტინოს დარვინის „სახეობათა წარმოშობის“ მთავარ იდეას, კარიკატურაში ადამიანის წარმოშობა გამოხატულია ღორიდან ხარის საფეხურების გავლით.

1863 წელს პაქსლიმ ამ თემაზე თვითონ გამოაქვეყნა წიგნი სათაურით „ადამიანის ადგილი ბუნებაში“. ეს იყო პირველი მონოგრაფიული ნაშრომი, სადაც მეცნიერულად იქნა დასაბუთებული ადამიანის მსგავსება სხვა პრიმატებთან, უწინარეესად, შიმპანზესთან და გორილასთან. მანვე გააღრმავა კ. ლინნეს შეხედულება ცხოველთა სამყაროში ამ არსებების ადამიანთან ყველაზე ახლო ნათესაობის თაობაზე. მისივე შეხედულებით, სამივე ანთროპოიდს არც ისე შორეულ გეოლოგიურ წარსულში საერთო წინაპარი უნდა ჰყოლოდა. „ვიწინადან შიმპანზე და გორილა აფრიკის მკვიდრნი არიან, - ვარაუდობდა პაქსლი, - ამ საერთო წინაპრის ნამარხი ნაშთების მოძიებასაც სწორედ იქ აქვს აზრი“.

1871 წელს დარვინი აქვეყნებს მორიგ კაპიტულურ ნაშრომს „ადამიანის წარმოშობა და სქესობრივი გადარჩევა“, სადაც თავისი პირეანდელი და პაქსლის მოსაზრებები განმტკიცებულია მეცნიერების იმ დროისათვის არსებული მონაცემებით, თუმცა მსგავსი თეორიისათვის ყველაზე მთავარი არგუმენტი - გადაშენებულ უშუალო წინაპრებზე პალეონტოლოგიური (განათხარის) მასალები - ძალიან ცოტა იყო.

მიუხედავად ამისა, დარვინი დარწმუნებული იყო, რომ პალეონტოლოგიური გამოკვლევები ბოლოსდაბოლოს ნათელს მოჰყენდა ადამიანის საგვარტომო ხეზე უშუალოდურ, „უკმარი რგოლუ-

ბის“ არსებობას. ეს უკანასკნელი აზრი დააკონკრეტა და სრულყო დარვინის თანამებრძოლმა, უაღრესად ფართო ერუდიციის მქონე გერმანელმა ზოოლოგმა - ერნსტ ჰეკელმა. მეცნიერმა გამოთქვა იმ დროისათვის ფრიად გაბედული აზრი, თითქოსდა უძველეს ადამიანსა და ნამარხ მაიმუნებს შორის აუცილებლად უნდა ყოფილიყო კიდევ ერთი გარდამავალი ფორმა, დარვინის გამოთქმით - „უკმარი რგოლი“. ასეთ უშუალოდურ რგოლს ანთროპოლოგიაში ჰეკელმა „პითეკანთროპი“ (მაიმუნ-ადამიანი) უწოდა. იმდროინდელ მეცნიერთა უმრავლესობამ ბუნებისმეტყველის ეს შეხედულება აბსურდად მიიჩნია, ვინაიდან არ სჯეროდათ ადამიანის ცხოველური წარმოშობისა. მაგრამ დარვინის, პაქსლისა და განსაკუთრებით ჰეკელის ბრძნული წინასწარმეტყველება სულ მალე ახდა.

**კომინიკაციის საშუალო -
პალეონტოლოგიური გამოკვლევების
ისტორია**

ჯერ კიდევ ზემოთ ნახსენებ მეცნიერთა შეხედულებების პიპოთეზის სახით გამოხატვამდე, ცხადი გახდა ადამიანის ცხოველური წინაპრის რეალობა.

1856 წელს გერმანიაში, მდინარე რეინის შენაკადის - ნეანდერტალის ხეობის ერთ-ერთ გამოქვაბულში, ადგილობრივი გიმნაზიის საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელმა ი. ფულროტმა მიაკვლია ადამიანისმაგვარი არსების ქალასა და კიდურების ძელებს. ბევრს ეგონა, რომ ამ ძელების პატრონი მღვიმის დათვი იყო, მაგრამ დიუსელდორფელმა მასწავლებელმა უყოყმანოდ მიაკუთვნა იგი ნამარხ, ადამიანისმაგვარი არსებას (მოგვიანებით, მას „ნეანდერტალელი ადამიანი“ უწოდეს). საყურადღებოა, რომ მაშინდელმა ევროპელმა ანთროპოლოგებმა, მათ შორის ისეთმა ავტორიტეტმაც, როგორც გერმანელი ი. ეირხოვი იყო, არ ცნეს მასში წინაადადამიანის ნაშთები, ხოლო თანამედროვე ადამიანის ძელოვანი მასალისაგან მისი განმასხვავებელი ნიშნები პათოლოგიის შედეგად (და არავითარ შემთხვევაში „სიძველით“) გამოწვეული ცვლილებებით იქნა შეფასებული.

მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულისათვის, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მიგნებული ნეანდერტალელის სხვა მასალებმა ცხადი გახადეს წარსულში ადამიანისმაგვარი სახეობის არსებობის რეალობა...

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ „ადამიანური სნობიზმით“ შეპყრობილმა დარვინის თანამედროვე საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, მათ შორის ბევრმა მეცნიერმაც, დაიწყო დარვინისა და პაქსლის შეხედულებათა ეულგარიზაცია, თითქოსდა, ისინი ამტკიცებდნენ ადამიანის თანამედროვე მაიმუნებისაგან წარმოშობას. ზოგიერთი პირდაპირ აცხადებდა - თუ დარვინის ევოლუციურ თეორიას ვაღიარებთ, მაშინ იმ აზრსაც უნდა შევე-

გუთონ, რომ შიმპანზე ან გორილა, ჩვენი უშუალო წინაპრები იყვნენო. ამაზე დიდი შეურაცხყოფა „ბუნების გვირგვინისათვის“ სხვა რა იქნებოდა! საქმე ის არის, რომ შუა საუკუნეების სოლო-გიურ ცნობარში – „ფიზიოლოგიური“ – მაიმუნი აღნიშნულია როგორც „Figura Diaboli“. ამ „ცოცხალი ემპიის“ ხსენებაც კი დიდ ცოდვად ითვლებოდა, ხოლო ეინმესგან მისი ადამიანის მსგავსების თვალსაზრისით შესწავლა თავის განწირვის ტოლფასი იყო. პრიმატებსე გამოქვეყნებულ შრომებს, სოფჯერ მათ აეტორებთან ერთად, კოცონზე წვედნენ. და აკერ გამოჩნდნენ აეტორიტეტული სწავლელები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ დე-დამიწის მასშტაბით ყველაფის და ყველაფერზე მაღლა მდგომი არსება – ადამიანი – მაიმუნისაგან არის წარმოშობილი. ინგლისში გულის სიდრემქდე შეფოთებული მანდილოსნები ერთმანეთს უსიარებდნენ გულისწყრომას: „იმედია, ძვირფასო, ყველაფერი ეს სისულელეა, მაგრამ თუ მაინც... მაშინ უნდა ვილოცოთ, რათა ეს გარემოება ცნობილი არ გახდეს ფართო საზოგადოებისათვის. კიდევ კარგი, რომ ეს განსხვავებული ემპაქები შორეულ „ველურ ქვეყნებში“ – აფრიკისა და აზიის მიუვალ ჯუნგლებში ცხოვრობენ“. მაგრამ, როგორც იტყვიან, შუბი ხალთაში არ იმალება.

ჩ. დარვინის ევოლუციური თეორიიდან გამომდინარე, ორგანიზმთა თანამედროვე ფორმებსა და მათ შორის, გეოლოგიურ წარსულში უნდა შენებულ წინაპრებს შორის აუცილებლად უნდა ყოფილიყო შუალედური ფორმები. როგორც ითქვა, ასეთებს სწავლულმა „უკმარი რგოლი“ (Missing link) უწოდა და აქვე დასძინა: „თუ შეგნებულად არ დაეხუჭათ თვალს, ცოდნის თანამედროვე დონის პირობებში შეგვეძლება დაახლოებით მაინც დაეადგინოთ, ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები და არ უნდა შეგვრცხვეს მათი“. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან პალეონტოლოგები, ანთროპოლოგები და არქეოლოგები დიდი ინტერესით შეხედნენ მსგავსი ფორმების ნაპარხი მასალების მოპოვებას.

ვინ იდგა შუა გზაზე მაიმუნებსა და ადამიანს შორის ამ უკანასკნელის გაადამიანების გზაზე? როგორც აღვნიშნეთ, ვირხოვმა აეტორიტეტულად განაცხადა, რომ ნეანდერტალის ხეობაში მოპოვებული ნაპარხი ძელოვანი ნაშთების თანამედროვე ადამიანის ჩონჩხისაგან განსხვავების მიზეზი ახსნილი უნდა ყოფილიყო პათოლოგიით – მისი პატრონის სიფილისით ან რაქიტით დაავადებით, ალკოჰოლის სმითა და არასწორი ცხოვრების სხვა მიზეზებითო. მაგრამ, თუ არ არსებობდა ნეანდერტალელი, მაშ ვინ ამსადავებდა ესოდენ პრიმიტიულ ქვის ნაჯახებსა და ქვისავე სხვა იარაღებს, რომლებსაც წამდაუწმ აქოვლებდნენ ევროპის მდინარეთა ხეობებსა და გამოქვაბულებში.

ამასობაში მოხდა გასაკვირი რამ. 1891 წელს პოლანდიელმა ეეენ დიუბუამ (Dubois Eugene, 1858-1940 წწ.) შორეულ იაეაზე, ტროპიკულ აზიაში მიაკვლია 750 ათასი წლით შეფასებული მაიმუნ-

ადამიანის ძელების ნაშთებს (შემდეგში მას „პითეკანთროპუს ერექტუსი“ უწოდეს). დიუბუა, – ანატომიის ახალგაზრდა მასწავლებელი, – პალეონტოლოგიაში სრულიად ჩაუხედავი, მაგრამ „უკმარი რგოლის“ დონკიხოტური ენთუსიაზმით მაძიებელი კაცი იყო. დიუბუას ფანატიზმი შეიცავდა რაციონალურ მარცვალს – ბავშვობიდანვე ყველაფერი ჰქონდა წაკითხული ნეანდერტალელი ადამიანის ძელებზე და დარვინის ევოლუციის თეორიითაც იყო გატაცებული. დიუბუა ასე მსჯელობდა: ადამიანის მაგვარი არსება ახლო დგას თანამედროვესთან, მაშასადამე, უნდა არსებობდეს კიდევ უფრო პრიმიტიული, მაიმუნთან ახლოს მდგომი ფორმაცო. მაიმუნები თბილი კლიმატის მოყვარული ცხოველებია, ასეთიეები უნდა ყოფილიყვნენ მათგან განშტოებული მაიმუნ-ადამიანები. შესაბამისად, მათი ნაშთების ძებნასაც იქ აქეს აზრი, სადაც შორეული წარსულიდან დღემდე შენარჩუნდა ტროპიკული კლიმატით.

ადამიანისმაგვარი მაიმუნები დედამიწაზე შემოჩნენ მხოლოდ აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ვინაიდან ამჟამად ინდონეზიის კუთვნილი კუნძული იაეა დიუბუას სიცოცხლეში პოლანდიის ოსტინდოეთის საზღვრებში მდებარეობდა, სანუკერი მიწის განსახორციელებლად თავი დაანება პედაგოგიურ საქმიანობას და ახლოებულთა პროტესტის მიუხედავად, აზიის ამ შორეულ რეგიონში გაემგზავრა.

ნათქვამია: „მოლამ უღელი ისროლა და კურდღელი მოკლა“-ო. დიუბუას თავის ცხოვრებაში პოლანდიიდან ცხვირიც რომ არ ჰქონდა გაყოფილი, ბუნებრივ პირობებში არასოდეს არცერთი ნაპარხი ძეალი არ ჰქონდა მოპოვებული, ფინანსური გაკვირვებისა და შრავლის სხვა წინააღმდეგობის დაძლევის ფასად, მაღაროთი დაავადებულმა მაინც მიაღწია საწადელს. ფული რომ ეშოვნა, ორი წელიწადი სუმატრაზე, პოლანდიის არმიაში მუშაობდა სამხედრო ექიმად. თავისუფალ დროს გამოქვაბულებს იკვლევდა, თუმცა წარუმატებლად. მაღაროთი დაავადების შემდეგ თადარიგში გადაიყვანეს და იაეაზე გააგზავნეს. იქ, ნაპარხების დამოსაკვლევად, გაცილებით მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა. ამასობაში დამოუკიდებლად დაეუფლა ნაპარხი ძელების მოპოვების ტექნიკასა და მათ მიახლოებით გარკვევას. მის მიერ პოლანდიაში გაგზავნილი მასალებიდან ზოგიერთი მათგანი გადაშენებული ძუძუმწოვრის, მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი სახეობა აღმოჩნდა. იმ კონკრეტულ ნაპარხს, რაც მას ასე, მთელი არსებით აინტერესებდა, მხოლოდ ერთი წლის ძიების შემდეგ მიაკვლია. ჯერ ეს იყო საძირე კბილი, შემდეგ თავის ქალას ფრაგმენტი, დაბოლოს, ბარძაყის ძეალი. ქალა არც მაიმუნისას ჰგავდა და არც ადამიანისას, ხოლო ბარძაყის ძეალი აგებულებით ორ ფეხზე გამართულად მოსიარულე არსებას ეკუთვნოდა!

დიუბუას სიხარულს ზღვარი არ ჰქონდა – ბოლოსდაბოლოს მიაგნო ადამიანსა და მაიმუნს

შორის დამაკავშირებელი პრიმატის „უკმარ რგოლს“! ის გარეობდა, რომ მის მიერ მოპოვებული, ორ ფეხზე აღმართული არსება მაიმუნსაც ჰგავდა და ადამიანსაც, საფუძველი გახდა ამ არსებისათვის „Pithecanthropus erectus“ ეწოდებინა (ბერძნული სიტყვების – pithecos – მაიმუნი, anthropos – ადამიანი და erectus – გამართული, ანუ გამართულად მოსიარულე ადამიან-მაიმუნი (სიტყვათა უფრო ზუსტი წყობით – მაიმუნ-ადამიანი).

ამჟამად იაეაზე, მდინარე სოლოს სანაპიროსთან, სოფელ ტრინილის ცენტრში დგას ქვის მონუმენტი წარწერით: „P.E.175 m. ONO. 1891-1893“. ამ წარწერის შინაარსს ნებისმიერი ადგილობრივი მაცხოვრებელი გაგიმთხრავთ: „პითეკანთროპუს ერექტუსი ნაპოვნია აქედან აღმოსავლეთ-ჩრდილო-აღმოსავლეთით, 175 მეტრზე, 1891-1893 წლებში“.

1894 წელს დიუბუაშამ გამოაქვეყნა სტატია: „პითეკანთროპუს ერექტუსი, ადამიანის ტიპის იაეური გარდამავალი ფორმა“.

ჰოლანდიელი ანთროპოლოგის ამ აღმოჩენამ დიდი როლი ითამაშა ევოლუციის თეორიის განმტკიცებაში (მოკვანებით ჰომინიდის ეს ნაშთი – იაეანთროპი – Homo erectus-ის მიაკუთვნეს).

დიუბუას საქმიანობის პარალელურად, ცოტა მოგვიანებით, „უკმარი რგოლის“ ძიებითი სამუშაოები ნელ-ნელა, მაგრამ მაინც წინ მიიწედა. 1917 წელს ქალაქ ჰაიდელბერგიდან 17 კილომეტრზე, სოფელ მაუერთან გათხრილ ქვა-ქვიშის კარიერში აღმოაჩინეს ქვედა, ფრიალ მასიური უნიკალო ყბა, უშეღებელი, თუმცა ადამიანისმსგავსი კბილებით. ცხადი გახდა, რომ მის პატრონს ყბა მაიმუნის ჰქონდა, ხოლო კბილები – ადამიანის, მაშასადამე, ეს არსებაც „კომბინირებული“ პრიმატი – პითეკანთროპი იყო (დღეს ეს ნამარხი ფორმა ცნობილია Homo heidelbergensis-ის სახელწოდებით).

1918-1923 წლებში შედგმა გეოლოგმა გ. ანდერსონმა წამოიწყო გათხრები ბუკინიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 4 კილომეტრზე მდებარე სოფელ ჩოუკოუტიანთან. ცხოველთა ძეგლებთან ერთად აღმოჩნდა ადამიანის კბილები. შემდეგ ამ გამოკვლევებში ჩაერთო ნამარხი თავის ქალების სპეციალისტი, კანადელი დ. ბლეი. 1927-1929 წლებში ამოიღეს, რკინის საცერში გაატარეს და გამოიკვლიეს 4 ათასი კუბური მეტრი მიწა. ბოლოსდაბოლოს, ბლეის ასისტენტმა პენ ენ ჩუენმა იპოვა ქალა. „პითეკანთროპუს პეკინენსის (სინანთროპი)“ – პეკინური მაიმუნ-ადამიანი (ჩინელი ადამიანი) – ასე უწოდეს ამ ანთროპოლოგიურ სიახლეს (ამჟამად შეტანილია ჰომო ერექტუსის სახეობაში).

1930 წელს იქვე მიაკვლიეს ერთ ქალას და მასთან ერთად, როგორც ჩანს, ქვის იარაღად დამზადებულ კაჟის ნატეხს, კოცონისაგან დატოვებულ ნაცრის ვეებერთელა შრეს, ფენას. აზარტშეპრობილი ბლეი დღე და დამეს ასწორებდა. 1934 წლის ერთ დილას, სამსახურში მისულმა მდივანმა თავისი შუვი მკვდარი ნახა. საწერ მაგიდასთან მჯდომ ბლეკს ხელში სინანთროპის ქალა ეკავა...

მუშაობა გრძელდებოდა. 1938 წელს პეკინის იმავე მიდამოების ერთ-ერთი მღვიმიდან ამოიღეს უძველესი ადამიანის ათობით ნაშთი. ჩინეთში შეგროვებული ყველა ეს მასალა დათარიღდა 350-400 ათასი წლით.

ამ გამოკვლევებით სრულიად ცხადი გახდა, რომ კაცობრიობის ისტორია იწყება სულ ცოტა 100-400 ათასი წლის წინათ ჩვენ წელთაღრიცხვამდე და არა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4004 წელს (არქიეპისკოპოს ჯემს აშერის მიხედვით), ანდა ქრისტეს შობამდე 5199 წელს (პაპა გრიგორი VII მიერ გაკეთებული შესწორებების მიხედვით).

1937 წელს გერმანელმა პალეონტოლოგმა რ. კონიგსვალდმა იაეაზე პითეკანთროპის მეორე ქალა აღმოაჩინა. 1939 წელს იაეური და ჩინური ნამარხი ძეგლების შედარებით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ორივე მათგანი პითეკანთროპს ეკუთვნოდა.

ამ აღმოჩენებით ადამიანის წარმოშობის ასაკი შეუდარებლად გაიზარდა, მაგრამ ანთროპოგენეზის ცენტრალური პრობლემა – ვისგან წარმოიშვა ზოგადად ეს გამართულად მოსიარულე არსება? – გადაუწყვეტი რჩებოდა. ამ კითხვას პასუხი სრულიად გაუთვალისწინებელ, შორეულ კუთხეში გაეცა.

სამხრეთი აზიკა – ანთროპოლოგიური გამოკვლევების ახალი ცენტრი

აღმოჩენები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ევრო-პასა და აზიაში, ერთბაშად დაჩრდილა აფრიკაში ჩატარებულმა კვლევებმა. აფრიკული აესტრალითიეების შესწავლა დაიწყო 1924 წელს. არავინ მოელოდა, რომ ამ კონტინენტის გაუდაბურებული ლანდშაფტები ანთროპოლოგიისათვის ესოდენ საინტერესო აღმოჩნდებოდა. როგორც ითქვა, ამ თვალსაზრისით, სპეციალისტთა ყურადღება მიჰყრობილი იყო ევროპისა და აზიაზე. არავის აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ამ სფეროში გარჯა გაცილებით ნაყოფიერი აფრიკაში აღმოჩნდებოდა, თუმცა კონტინენტის სამხრეთში სააშკარაოზე გამოქონდათ უძველესი ძუძუმწოვრებისა და რეპტილების ფრიალ საყურადღებო ნაშთები.

იოჰანესბურგში დასახლებული ექიმი და ანთროპოლოგი, წარმოშობით შოტლანდიელი რობერტ ბრუმი (Broome, Robert, 1866-1951 წწ.) სპეციალისტებისათვის ცნობილი გახდა სწორედ კარუს ნახევრად უდაბნოებში მოპოვებული ამ ნამარხების აღწერით. რაც მთავარია, ბრუმმა შეკლო დაესაბუთებინა პირველი ძუძუმწოვრების ადრეული ქვეწარმელებისაგან გამოყოფა და შემდგომი ევოლუცია. ბრუმს არასოდეს შეხვედრია ჰომინიდების ნამარხი ძეგლები და, ამდენად, არც მას, არც მის კოლეგებს აზრადაც არ დაუშეიათ პრიმატთა ნამარხების ადგილობრივი, ღია, გაუდაბურებულ ლანდშაფტებში შეხვედრის შესაძლებლობა. მსგავს სექატიციზმს თავისი ლოკოკური საფუძველიც ჰქონდა: ჰომინიდები წარმოიშვნენ ადამიანისმსგავარი მაიმუ-

ნებისაგან, მაიმუნები - ტროიკული ჯუნგლების ღვიძლი შეიღები არიან, ხოლო აფრიკის სამხრეთში ასეთი ტყეები მილიონი წლების წინათ გაქრა...

სულ მალე მოვლენები სხვანაირად განითარდა. პირველი სამხრეთაფრიკული პომინიდის ძეგლიანი ნაშთი - ქალა - 1924 წელს იქნა მოპოვებული. იგი გადასცეს იოჰანესბურგის უნივერსიტეტის ანატომიის პროფესორს, რაიმონდ დარტს (Dart, Raymond). ქალას მიაკვლიეს პატარა დასახლება ტაუნგის კირქვის კარიერში. დარტს ორი თვე დასჭირდა ძეგლიანი მასალის დასამუშაებლად. თუმცა ეს მასალა ბევრს ეკუთვნოდა, იგი ფრიად საინტერესო აღმოჩნდა (მას ასეც - „ბავშვი (baby) ტაუნგიდან“ - უწოდეს). ქალას პატრონის ტეინის მოცულობა საკმაოდ დიდი - 520სმ³ უნდა ჰქონოდა (სრდასრული შიმპანსეს ტეინი კი 320-480სმ³-ია), განსხვავება მაიმუნის ქალასაგან გამოიხატებოდა ფორმაში და ადამიანის მსგავს კბილებშიაც. გარდა ამისა, ქალას ფუძის სარქველის მდებარეობა, რომლითაც ზურგის ტეინი უკავშირდება თავისას, ამ არსების უკანა კიდურებზე გამართულ სიარულზე მიუთითებდა.



სურ. 7. „ბავშვი ტაუნგიდან“

ნუთუ ადამიანია? არა, შეუძლებელია! ადამიანის პირობაზე ტეინის მოცულობა ძალიან პატარაა. მაგრამ თუ მედალს მეორე მხრიდან შევხედავთ, ეს ნამარხი მასალა გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებდა, ვიდრე, ვთქვათ, ნეანდერტალელისა, ვინაიდან სწორედ ასეთი არსება უნდა ყოფილიყო დამაკავშირებელი რგოლი ნამდვილ ადამიანსა და მაიმუნის მსგავს წინაპრებს შორის.

როგორც იქნა დარტმა ემოციები დაიცხრო, გონება მოიკრიბა და მსოფლიოს აუწყა ადამიანის წინაპარი პომინიდის აღმოჩენის თაბაზე, რომელიც ჯერ კიდევ ატარებდა მაიმუნის რიგ ნიშნებს. მეცნიერმა მანამდე უცნობ ამ უჩვეულ არსებას Australopithecus africanus - „სამხრეთაფრიკული მაიმუნი (უფრო ზუსტად, „აფრიკული, სამხრეთის მაიმუნი“) უწოდა.

12 წლის განმავლობაში, „ბები ტაუნგიდან“ „არც მაიმუნის“ და „არც ადამიანის“ ერთადერთ ნიმუშად რჩებოდა, მაგრამ 1936-1938 წლებში, მოუს-


ენარმა და დაუღლემა რობერტ ბრუმმა და მისმა მოწაფემ, მოგვიანებით სახელგანთქმულმა ანთროპოლოგმა ფილიპ ტობაიუსმა გაცილებით დიდ წარმატებას მიაღწიეს. იოჰანესბურგის მახლობლად, 3-4 პუნქტში 200 კბილს, 13 ქალასა და რამდენიმე კიდურისგან შემდგარ აესტრალიპითეის მოელ „კოლექციას“ მიაგნეს. დარტის ხელთ არსებული ძეგლიანი მასალის ჩათვლით, ყველა ეს ნამარხი აესტრალიპითეის 3 გეარის 5 სახეობას მიაკუთვნეს. მაგრამ ყოველად წარმოუდგენელი იყო, რომ ერთმანეთისაგან სულ რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ იოჰანესბურგის მახლობელ 4 პუნქტში, ესოდენ მცირე ტერიტორიაზე, დღემდე მისი სხვა რაიონებისათვის უცნობ ადამიან-მაიმუნის 3 გეარის 5 სახეობას ვარსება.

როდესაც ფრიად ხანდაშემული (85 წლის) ბრუმი გარდაიცვალა, ხოლო დარტი მოხუცებულობის გამო პენსიაზე გავიდა, მხცოვანი ანთროპოლოგები მათმა მოწაფეებმა შეცვალეს. სამხრეთ აფრიკის ყველა კირქული წარმოშობის მღვიმიდან გამოკვლეული მასალების უფრო დაწვრილებით შესწავლისა და მათი შეჯერების საფუძველზე, ტობაიუსი და მისი კოლეგები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სამხრეთ აფრიკაში ბინადრობდა არა 5, არამედ ადრეულ პომინიდთა ორი ფორმა. საჭირო გახდა სამეცნიერო შრომებში მეცნიერულად აღწერილ პომინიდთა რეეზიის ჩატარება და მათი ხელახალი აღწერა. თავდაპირველად ხუთივე სახეობა მიაკუთვნეს მხოლოდ ერთ გეარს - Australopithecus, მოგვიანებით მასიური, ტლანქი აგებულების ფორმებისათვის მრავალმა სპეციალისტმა აღადგინა ბრუმისეული გეარი - Paranthropus-სი. ამგვარად, გაირკვა სამხრეთ აფრიკაში მოზინადრე უძველეს პომინიდთა რიცხვი - ერთი გეარის (მოგვიანებით - ორი) ორი სახეობა.

ანთროპოლოგები თვლიან, რომ ყრიად მიზანშეწონილი იქნებოდა პირველისთვისაც დაეტოვებინათ გეარის აღმნიშვნელი ბრუმისეული ვარიანტი - Plesianthropus („თითქმის ადამიანი“), ვინაიდან ეს ნამარხები სწორედ ასეთები, ადამიანთან მართლაც ახლოს მდგომები იყვნენ და პირიქით, დარტისეული სახელწოდება - Australopithecus („სამხრეთის მაიმუნი“) - არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, ვინაიდან ეს არსებები აღარ იყვნენ მაიმუნები. მაგრამ როგორც ზოოლოგიაში, ისე ანთროპოლოგიაში არსებობს ნომენკლატურის წესდება, ანუ სამეცნიერო სახელწოდების მინიჭების წესი - ვინც აღწერა და ამა თუ იმ ტაქსონს (სახეობა, გეარი და ა.შ.) პირველად უწოდა ესა თუ ის სახელწოდება, პრიორიტეტიც მას ეკუთვნის. შესაბამისად, ყველა სამხრეთაფრიკული გრაციოზული აგებულების პომინიდი აესტრალიპითეის სახელით დატოვეს.

ამგვარად, აფრიკის ადრეულ პომინიდებში გამოყვეს სახეობათა ორი ჯგუფი - უფრო თხელი და მოხდენილი აგებულების „გრაციოზული“ და უფრო ზორბა, უხეშებიანი და პრიმიტიული - „მა-

სური“ ფორმები. გრაციოზულ აესტრალიოთიექსი გააერთიანეს ორ რაიონში მიკელეული ბავშვის („ბები ტაუნგიდან“), ქალისა („მისის პლესი“) და მათი მსგავსი სხვა ნამარხები. მათ დაუტოვეს პირვანდელი სახელწოდება – Australopithecus africanus, დანარჩენ ორ რაიონში მოპოვებული დიდი და მასიური ფორმებისათვის მოძებნეს ახალი სახელწოდება – Paranthropus (Australopithecus) robustus („მასიური“). სახეობის აღმნიშვნელი ორივე სახელწოდება დღემდე უცვლელად რჩება.



სურ. 8. „მისის პლესი“.
(კენის ეროვნული მუზეუმი, ნაირობი).

დარტის მსგავსად, ბრუმს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გააღამიანების გზაზე მდგომი ყველა ეს ფორმა ორ ფეხზე გამართულად მოსიარულე პომინიდი იყო.

1938 წლის აგვისტოში ბრუმი ყველაზე ავტორიტეტულ ანთროპოლოგსა და ანატომ არტურ კიზს ლონდონში უგზავნის შემდეგი შინაარსის წერილს: „ორი კვირის წინათ მქონდა სიამოვნება მომეპოვებინა ადამიანისმაგვარი მაიმუნის ბარძაყის ძელის დისტალური ნაწილი, რომელსაც ეწოდებოდა Paranthropus („თითქმის ადამიანი“ – ავ.). ეს ნამარხი ძვალი პრაქტიკულად ადამიანს ეკუთვნის. დღეს ისევე გამომართლა. მიუაგენი მეორე არსების – Paranthropus-ის მხრის ძელის დისტალურ ნაწილს... როგორც თქვენ დარწმუნდებით, ჩვენს ხელთ არსებული მასალები ფაქტობრივად წარმოადგენენ ადამიანის ძელებს. იმედი მაქვს კიდევ ეპოევი ჩონჩხის სხვა ნაშთებს, თუმცა იმის გამო, რომ ეს არსებები, შესაძლოა, მსხვილი მტაცებლების ღუქმა ხდებოდნენ, მათი ძელების მხოლოდ ფრაგმენტებს თუ წაეაწვდებოთ“.

მეცნიერები ძალიან ფრთხილად, რიგ შემთხვევაში სექტიკურადც კი მსჯელობდნენ აესტრალიოთიექსის პირველი აღმოჩენის მნიშვნელობაზე და, რაც მთავარია, მათ როლზე პრიმატთა გააღამიანებაში. ეჭვს ბადებდა ამ არსებათა არეალის აფრიკის უკიდურესი სამხრეთით შემოფარგელა, გაერცვლების ამ ცენტრის ესოდენ მკვეთრი იზოლაცია ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისაგან, სადაც მიკელეული იყო ძველი ადამიანების პირველი ძელოვანი ნაშთი და ა.შ. ბეერი თვლიდა აესტრალიოთიექსებს ევოლუციის გვერდით შტოდ, ჩიხად, რომელთა მიჩნევა ადამიანის უახლოეს წინაპრად არ იყო მართებული.

აღმოსავლეთი აზიკა, როგორც ჩანს, კაცობრიობის პირველი საფორმლო, მისი წარმოშობის პაიქმენტო

როგორც ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ჩანს, XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებსა და განსაკუთრებით XX საუკუნის 20-იან წლებში მეცნიერებისათვის ცხადი გახდა ჩ. დარვინისა და თ. ჰაქსლის პიოთეზის ჭეშმარიტება, რომლის თანახმადაც, ადამიანსა და თანამედროვე უმაღლეს მაიმუნებს საერთო წინაპარი ჰყავდათ, უფრო მეტიც, დადგინდა მათ შორის შუალედური, გარდამავალი („თითქმის ადამიანის“) რგოლებიც. ეს უკანასკნელები თავის ტენის მოცულობით გაცილებით მაღლა იდგნენ შიმპანზეზე, ხოლო კიდურების აგებულება და, შესაბამისად, სიარულის მანერა (ბიქედია – ორ ფეხზე გამართული სიარული) სრულიად ადამიანური ჰქონდათ. მაგრამ მაიმუნ-ადამიანებზე მოპოვებული ნამარხები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იმდენად იყო გაფანტული და ერთმანეთისაგან იზოლირებული, რომ ძალაუნებურად იბადებოდა კითხვა – ბოლოს დაბოლოს, სად შეიძლება დარწმუნდეთ კაცობრიობის პირველი აკვანი? ჩვენს მლანეტის რომელი მატერიკი, რომელი კუთხე შეიძლება იყოს მიჩნეული ადამიანის პირველ სამშობლოდ – აზია თუ აფრიკა?

ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხის გაცემის შესაძლებლობა ანთროპოლოგებს მხოლოდ XX საუკუნის 50-იან წლებში მიეცათ. აღმოსავლეთ აფრიკაში ჩატარებულმა ბრწყინვალე გათხრებმა ნათელი მოჰყინეს ზემოთ დასმულ, ნებისმიერი ცოდნისმოყვარე ადამიანისათვის, საინტერესო კითხვებს. დღეისათვის, სხვადასხვა ევრსიებს შორის აღმოსავლეთ აფრიკის, როგორც კაცობრიობის წინასამშობლოს თეორია, ყველაზე დასაბუთებულად არის მიჩნეული.

ჩ. დარვინის თაიხსმა გენიალურმა წინასწარმეტყველებამ არც აქ უმტყუნა. აი, რას წერს გასული საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩენილი ბუნებისმეტყველი ადამიანის წარმოშობის შესაძლებელი პირვანდელი ცენტრისა და მისი წარმოშობის ხანდასმულობის შესახებ: „დღეადამიანის ნებისმიერ დიდ

რეგიონში მცხოვრები ძუძუმწოვრები ხშირად ძალიან პგვანან ამავე რეგიონში მოპოვებული წინაპარი ფორმების ნამარხ ნაშთებს. ამიტომ, არ არის საფუძველმოკლებული, რომ აფრიკა თავის დროზე დასახლებული ყოფილიყო შიმპანზესა და გორილასთან ძალიან ახლოს მდგომი, აწ ამოწვეტილი მაიმუნებით, ხოლო ვინაიდან ეს ორი სახეობა ადამიანის ყველაზე ახლო მონათესავე ფორმებია, სრული შესაძლებელია, ჩვენი გეარის საფუძვლის ჩამყრელი არსებები აფრიკის კონტინენტზე ყოფილიყვნენ გაერცელებულები“.

როდესაც დარეინი აფრიკაზე, როგორც კაცობრიობის მოდგმის აკვანზე ლაპარაკობდა, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ დროთა განმავლობაში ამ კონტინენტზე განხორციელდებოდა მისი ვარაუდის მამტიცებელი პალეოანთროპოლოგიური აღმოჩენები.

მართლაც, აფრიკის ვეებერთელა კონტინენტი თავისი უჩვეულოდ მრავალფეროვანი ბუნებრიულანდშაფტური გარემოთი (უდაბნოები, სავანები, ტროპიკული წვიმიანი (ნოტიო) ტყეები, მთები, სუბტროპიკული, შშრალ პავასთან შეგუებული ტყეები – მაკეისი და ა.შ.), უაღრესად დინამიკურ, რელიეფწარმოქმნელ პროცესებთან ერთად, თამამად შეიძლებოდა ყოფილიყო პირველადამიანად ჩამოყალიბების იდეალური ადგილი ასეთი თანმიმდევრობით: ადამიანისმაგეარი მაიმუნები – მაიმუნ-ადამიანები – ადამიანი.

მაგრამ განხორციელდა კი რეალურად „უდიდესი ჩამოყალიბების“ ეს პროცესი აფრიკაში? ანთროპოლოგთა თავგანწირული შრომის შედეგად ამ მატერიკზე მართლაც იქნა აღმოჩენილი პრიმატთა ევოლუციური რიგის ყველა საფეხური თვით ადამიანის ჩათვლით.

ბოლო დრომდე ძალაში იყო აგრეთვე გაადამიანების ცენტრალურაზიური და, მით უმეტეს, სამხრეთაზიური ცენტრებიც. ადამიანის ცენტრალურაზიური წინასამშობლოს თეორია შეიმუშავა ცნობილმა ამერიკელმა პალეოანთროპოლოგმა დ. მეთიუმ. იგი განავითარა მისმა თანამემამულემ გ. ოსბორნმა. ეს უკანასკნელი ჩვენი წინაპრის ნიმუშს ეძებდა გობის უდაბნოებში, ტიბეტსა და მონღოლეთში. ოსბორნის შეხედულებით, ამ რაიონებში ცოტაა მცენარეული საკვები, სამაგიეროდ, საკმარისი სანადიროდ ვარგისი ცხოველები და ქვიანი ლანდშაფტები (ნადირობისათვის ქვის იარაღად გამოყენების კეთილმყოფელი გარემო), გამოქაბული და მღვიმეები. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური აზია უძველეს ხერხემლიანთა ნამარხი ნაშთებით დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო რაიონია, ადამიანისმაგეარი მაიმუნების ნამარხები აქ არ აღმოჩნდა.

მრავალი მომხრე ჰყავდა კაცობრიობის წარმოშობის სამხრეთაზიურ თეორიასაც, რომლის პირველი ავტორი ჯერ კიდევ ე. ჰეკელი იყო. ეს შეხედულება ეყრდნობა ისეთ სოლიდურ მასალას, როგორიცაა ინდოეთსა და პაკისტანში, ცნობილ

სივალის გორაკებზე მოპოვებულ მოცვენ-პლიოცენური (დაახლოებით 25-5 მლნ წ.), შუალედის ასაკის ანთროპოიდთა (დრიოპითეკები, რამაპითეკები) უმდიდრეს ნამარხებს. გარდა ამისა, სამხრეთ აზიაში დღესაც ბინადრობენ თანამედროვე პრიმატთა პრიმიტიული და პროგრესული ჯგუფები: ნახეურად მაიმუნები (ტუპაია, ლემურები, გრძელტერფიანები) და უმაღლესი, ადამიანისმაგეარი ფორმები (ორანგუტანი).

მეცნიერთა კიდევ ერთი ჯგუფი თავისებურს კომპრომისის მომხრეა და ადამიანის პირველსამშობლოდ მთელს აფრიკურაზიას მიიჩნევს...

ვინ არის მართალი?

პალეოანთროპოლოგიაში შემობრუნების წყარტილად ითვლება 1959 წელი. იგი დაკავშირებულია გამოჩენილი ინგლისელი ანთროპოლოგის ლუის ლიკის სახელთან (Leakey, Louis, 1903-1972 წწ.). ლიკი დაიბადა კენიაში, მისონერის ოჯახში. ბავშვობიდანვე იმდენად კარგად იცოდა აბორიგენების – კიკუიუს ტომის ენა და ადათ-წესები, რომ 13 წლის ასაკში, რიტუალების ყველა წესის დაცვით, მიიღეს ტომის წევრად და მონათესავე ქორის ძედ. სხვა ჩვევებთან ერთად თანატოლებმა აზიარეს მშვილდისრიო ნადირობის ხელოვნებას, ასწავლეს ნადირ-ფრინველთა ქცევები...



სურ. 9. ლუის ლიკის ძეგლი კენიის (ნაირობი) ეროვნული მუზეუმის წინ.

კემბრიჯის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ლიკი აფრიკაში დაბრუნდა და გადაწყვიტა თავისი კარიერა პირველყოფილ ადამიანთა არქეოლოგიური კვლევისათვის მიეძღვნა. დროთა განმავლობაში ეს ინტერესი ანთროპოლოგიურ კვლევა-ძიებაში გადაიზარდა.

თვითონ მუშაობდა ნაირობში (კენია), მაგრამ საკვლევ ობიექტად აირჩია ოლდუვანის გაუდაბურებული, ვიწრო ხეობა (ტანზანია). ეს ადგილი

დიდი ხანია იყო ცნობილი ნამარხი ცხოველებით, მაგრამ ლიკი დააინტერესა ეროზიით გამოფიტულ ქანებში გაშიშვლებულმა ქვის პრიმიტიულმა იარაღებმა.

იმის წარმოსადგენად, თუ როგორ წარიმართა იქ სათანადო გამოკვლევებთან დაკავშირებული მოვლენები, მიზანშეწონილია მოვიყვანოთ ტროპიკულ აღმოსავლეთ აფრიკაში განვითარებული ბუნებრივი, ტექტონიკური პროცესების შესწავლის შედეგები.

ახლო აღმოსავლეთიდან სამხრეთ აფრიკამდე 6000 კილომეტრზე გადაჭიმული კონტინენტის ეს რაიონი უკანასკნელი 20 მილიონი წლის განმავლობაში განსაკუთრებული გეოლოგიური აქტიურობით ხასიათდებოდა. დედამიწის ქერქში განხილული გიგანტური რღვევის ზონაში მთებიდან დაშვებულ მდინარეთა წყლები ოკეანეში კი არ ჩაედინებოდნენ, არამედ თავს იყრიდნენ იქ წარმოქმნილ ღრმულებში. ამგვარად დამდგარ ტბათა მთელი ჯაჭვი, რომლის ფართობი დღევანდელთან შედარებით გაცილებით მეტი იყო, ძალიან მოგუვაგონებდა ჩრდილოეთ ამერიკის ტბათა სისტემას (დიდ აუზს).



სურ. 10-11 აღმოსავლეთი აფრიკა. გიგანტური რღვევის ზონის ფრაგმენტები ტანზანიასა და ეთიოპიაში.

კონტინენტის შიგნით წყლის შენარჩუნებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანის ევოლუციისა და პალეოანთროპოლოგიური კვლევებისათვის. როგორც ქვემოთ მოცემული ტექსტით დავრწმუნდებით, ადამიანის – ორ ფეხზე ვერტიკალურად მოსიარულე არსების – თერმორეგულაციის პროცესებისათვის აუცილებელი იყო მტკნარი წყლის გარემოს სიახლოვეს არსებობა-განვითარება. მშრალ გეოლოგიურ ეპოქებში ტბების ერთი ნაწილი ჭაობდებოდა და შრებოდა. სანაპირო ზოლში დაღუპულ ჰომინიდთა ნაშთები, ძირითადად ძელები, იქვე რჩებოდა და თანდათანობით ღამით იფარებოდა. ეულკანებიდან ამოყრქვეული გაცივებული ლაეა იდეალურ პირობებს ქმნიდა ჰომინიდთა ნამარხების დასაკონსერვებლად; დაგროვილ ნალექთა შემდგომი ეროზიითა და ტექტონიკური პროცესებით უძველესი დანალექი ქანები შიშვლდებოდნენ, სხვებთან ერთად ჰომინიდთა ნაშთები ნიადაგის ზედაპირზე აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. ასე, ამგვარად, შესანიშნავი პირობები იქმნებოდა სათანადო კვლევა-ძიების ჩასატარებლად.



სურ. 12. ოლდუეის ხეობის პანორამა.

ოლდუეის ხეობა ტბა ვიქტორიას სამხრეთ-აღმოსავლეთით, 650 კილომეტრზე მდებარეობს. აქაურობა ერთ დროს წარმოადგენდა ტბის ფსკერს. შემდეგ აქ მდინარეს გაუკეთებია 100-130 მეტრი სიღრმის კალაპოტი. ხელი არც ეროზიის წარმოქმნულ ბუნების ძალებს – ღვარცოფა წვიმებს, ქარებს დაუკლიათ. ხეობის კალთების დაშლილი მასა თანდათანობით აესებდა მას, რამაც აქაურობის გარკვეული ნაწილი ხელახლა ვაკე ადგილად გადააქცია. გრუნტის დაგროვილი ნალექები, ეულკანური ფერფლისა და ტუფისაგან შემდგარ ქანებთან ერთად, ფენოვანი ღვესელის შრეებით მონაცვლეობენ. ეულკანური წარმოშობის ქანები სპეციალისტებს, იზოტოპების მეთოდის გამოყენებით, ამ ქანთა გეოლოგიური ასაკის განსაზღვრის დიდ შესაძლებლობებს უქმნის.

მოსახლეობა აქ იშვიათია, მეტწილად მომთაბარე მწყემსები კიკუიუს ტომიდან.

ლუის ლიკი, თავის მეუღლესთან, არანაკლებ ცნობილ სპეციალისტ – მერი ლიკისთან (Leakey,



სურ. 13. მერი ლიკი აკვირდება ავსტრალიოპითეკის თავის ქალას.

Mery) ერთად, ხეობაში 28 წელი მუშაობდა. დამბარე პერსონალით რომ ექსპედიცია ჩატარებინათ, ამის მატერიალური შესაძლებლობა არ გააჩნდათ, მხოლოდ შევებულების დროს თუ ესტუმრებოდნენ აქაურობას. კენიიდან ტანზანიაში, რთულსა და გრძელ გზაზე მგზავრობას რამდენიმე დღეს უნდებოდნენ. დღისით, გათხრებისას, ხეობა გაეარვა რებულ ღუმელს ემსგავსებოდა. მიუხედავად ყველაფრისა, უდიდესი გატაცებით მუშაობდნენ.


ხეობის ორივე კალთაზე, 10 კილომეტრ მონაკვეთში მკვლევარებმა არა მხოლოდ 1,75 მილიონი წლის წინათ მცხოვრები მარჯვე ადამიანისა და სხვა პომინიდების ნამარხები, არამედ მათ მიერ დამზადებული იარაღები და სხვა ნამარხ ცხოველთა ნაშთებიც მოიპოვეს.

მრავალი ხელშემწყობი ფაქტორისა და მეცნიერთა თავდადებად შეიძლება შრომის გამო, ოლდუვაის ხეობას „ეეოლუციის დიდი კანიონი“ შეარქვეს.

ოლდუვაიში ცოლ-ქმარი პირველად 1931 წელს ჩაიდა. დაიწყო ანთროპოლოგიის ისტორიაში ყველაზე თანმიმდევრული კვლევა. ობიექტზე გასვლის პირველივე საათებში, ცხოველთა ნამარხ ძელებთან ერთად, ქვის პრიმიტიულ შრომის იარაღებსაც წააწყდნენ. მეცნიერები ოცნებობდნენ ეპოქანათ ქვის ამ ინდუსტრიის შემქმნელ არსებობა

ნამარხი ნაშთები. მათმა შეუქოვარმა შრომამ მხოლოდ 28 წლის (!) შემდეგ, 1959 წელს გამოიღო შედეგი.

იმ ღირსშესანიშნავ დღეს – 17 იელისს – ლუის ლიკი შეუძლოდ გახდა. გათხრების საწარმოებლად მისი მეუღლე გაეშურა. მას ბედმა გაუღიმა და ხეობის კვლევის ისტორიაში პირველად მიაგნო ნამარხი ანთროპოიდის ნაშთს. ეს იყო კბილი. 19 დღის შემდეგ ცოლ-ქმარმა მიაკვლიეს 400 ნაწილად დაქუცმაცებულ ქალას. იგი გორილასა და თანამედროვე ადამიანის ქალასე პატარა აღმოჩნდა. მაგრამ სახის ნაკეთები ადამიანისმსგავსი უქონდა. ლიკიმ განათხარს Zinjanthropus-ი უწოდა („ზინჯ“ – არაბულად „აღმოსავლეთ აფრიკას“ ნიშნავს).



სურ. 15. ზინჯანთროპის აღმოჩენის ადგილას გაკეთებული მემორიალური დაფა.



სურ. 14. ზინჯანთროპის (ბოისის პარანთროპის) ქალა.

მოგვიანებით აღმოსავლეთ აფრიკაში მოიპოვებულ მსგავს მასალებს ამავე გეარს აკუთვნებდნენ, მაგრამ თანამედროვე შეხედულებით (სისტემატიკით) კი ზინჯანთროპი Paranthropus (Australopithecus) boisei სახელით არის ცნობილი (ბოისი მეცენატი იყო, რომელმაც ოლდუვაის ექსპედიცია დააფინანსა). როდესაც ნამარხის ასაკი განსაზღვრეს, იგი ძალიან ძველი – ერთი მილიონი და 750 ათასი წლისა აღმოჩნდა. იმ დროისათვის მიაჩნდათ, რომ ადამიანის მოდგმის ეეოლუცია 1 მილიონ წელს ითვლიდა, მაგრამ ახალი ნამარხის მიხედვით ორფეხა არსების განვითარების ისტორიამ თითქმის ორჯერ გადააჭარბა ამ თარიღს. სამეცნიერო სამყარო განცვიფრებული იყო.

გაიხარეს სამხრეთაფრიკელმა სწავლულებმაც

– მათი კუთხე არ აღმოჩნდა აფრიკაში ჰომინიდთა ნამარხების სხვებისაგან მოწვევტილი, კუნძულის მსგავსი რაიონი. რაც მთავარია, აფრიკით ახლა მთელი ანთროპოლოგიური სამყარო დაინტერესდა. აესტრალიოპითეი კი ის არსება აღმოჩნდა, რომელმაც გაფანტა მანამდე ანთროპოლოგიაში მიმდევ ჩამოწოლილი ნისლი და კაცობრიობა წარსულის იმ წიაღში ჩაახვედა, სადაც არქაული მაიმუნი გაადაამიანების გზას დაადგა.

ამ აღმოჩენამ სხვა მხრივაც ჩააგდო სპეცი-ლისტები საგონებელში. ნუთუ მიაკვლიეს გვარ Homo-ს ერთ-ერთ უძველეს წარმომადგენელს? ლი-კისა და მის უცხოელ კოლეგებს აფიქრებდათ ქა-ლას რამდენადმე პრიმიტიული აგებულება და ტენიის მცირე (550 სმ) მოცულობა. სათანადო და-სკვნების გაკეთება მართლაც ნაადრევი აღმოჩნდა.

1960 წელს მერი და მისი ვაჟი – ჯონათანი მანამდე უცნობი ანთროპოიდის ქალასა და ჩონჩხის სხვა ფრაგმენტებს წააწყდნენ. ყბის მიხედვით იგი ეკუთვნოდა 11-12 წლის ბავშვს. ჰომინიდის ნაშთები ამოღებულ იქნა ქანის უფრო ქვედა ფენიდან, ე.ი. მისი წარმოშობის ასაკი უფრო მეტი იყო. ლიკის ახალ მასალას *Prezianthropus*, ე.ი. ზინჯანთროპის წინაპარი ფორმა უწოდა. მორფოლოგიური აგე-ბულებით ჰომინიდის ამ ნაშთების პატრონი უფრო პროგრესული უნდა ყოფილიყო, ვიდრე ადრინდელი ფორმა. საინტერესო იყო ამ არსებათა ხელის მტეუ-ნის ანატომია. იგი იმაზე მიუთითებდა, რომ „მის პატრონს თამამად შეეძლო იარაღის გამოყენება“, ტერფის აგებულების მიხედვით კი გამართული დადიოდა, ქალას მოცულობაც (680 სმ³) აფრიკაში მოპოვებულ ნებისმიერ სხვა ანთროპოიდზე, მათ შორის ზინჯანთროპზე, მეტი იყო.

ცხადი გახდა, რომ ამ აღმოჩენის სახით საქმე ჰქონდათ არა აესტრალიოპითეტთან, არამედ ნამდ-ვილ ადამიანთან. 1964 წელს მერი ლიკიმ შეკრიბა სწავლულთა ჯგუფი, რომელშიც მის გარდა შუ-დილინენ და ნეიპერი და ფ. ტობიასი. მრავალ-რიცხოვანი მასალის შესწავლა-შეფარების შემდეგ მკვლევრებმა დაადასტურეს ახალი ნამარხის ადგი-ლი გვარ Homo-ში. რაიმონდ დარტის წინადადებით, ნამარხი არსების ახალ ფორმას იარაღის დამ-ზადების უნარის გამო *Homo habilis*-ი („უნარიანი ადამიანი“, ინგლისურად “hand man”) დაერქვა. ეს ოლდუვაელი არსება იარაღის დასამზადებლად ქვაში სპეციალურად გამოთლილ, ურის მსგავს საგანს იყენებდა.

ახლად აღმოჩენილ ორფეხა ჰომოს სიმაღლე 120-140 სანტიმეტრს აღწევდა, ყბები თითქმის არ განსხვავდებოდა თანამედროვე ადამიანისაგან, ხე-ლის მტევენი კი მისი აგებულებიდან გამომდინარე, საგნის ჩაჭიდვის დიდი ძალით ხასიათდებოდა. ჰომო პაბილისის გადარჩენილ ძეგლოვან ნაშთებთან ერთად მოპოვებული სხვადასხვა ტიპის, დიდი რა-ოდენობის უხეში იარაღი მეტყველებდა, რომ მისი დამამზადებელი არსება ადამიანის ბუერი ნიშნით იყო დაჯილდოვებული, თუმცა, ჯერ კიდევ მაი-

მუნის მსგავს პრიმატს – წარმოადგენდა. სხვა სიტყვებით, მან უკვე შეძლო გადაებიჯებინა ორ-ფეხა პრიმატის – მაიმუნადამიანის სლური სათვის და დამდგარიყო უძველესი, არქიარქაული, მაგრამ ნამდვილი ადამიანის გზაზე.

სენსაციური გათხრები ოლდუვაიში ლუის ლი-კის სიკვდილის შემდეგაც (1972 წ.) გრძელდებოდა. მერი ლიკი ამ საქმეს მარტოხელა შეეჭიდა. შემდ-გომი 15 წლის განმავლობაში მან მოიპოვა აესტრა-ლოპითეისა და უძველესი ადამიანების თავის ახალი ქაღები, სხვა ძეგლოვანი მასალა და პრიმი-ტიული იარაღები. ოლდუეისის გათხრებმა საერთა-შორისო ხასიათი მიიღო. იქ მუშაობდნენ მრავალი ქვეყნის ანთროპოლოგები, არქეოლოგები და გეოლოგები. საერთო ძალისხმევით, ლუის ლი-კის აღმოჩენებისადმი არსებული სექპტიციზმი მი-სუელი დასკვნების სრული აღიარებით შეიცვალა. ახლა ადამიანის აზიური წარმოშობის ყველაზე თავებამოდებულ მომხრეებსაც აღარ შეეძლოთ თვა-ლის დახუჭვა აფრიკაში მიკვლულ მასალებსა და, აქედან გამომდინარე, ახალ შეხედულებებზე.

დადგა ორფეხა პრიმატთა სულ ცოტა, 2 მი-ლიონი წლის წინანდელი საცხოვრებელი გარემოს სურათის რეკონსტრუქციის დრო. იმაყამდ, ოლდუ-ეისის მიდამოებში, უფრო ტენიანი კლიმატი ყოფი-ლა. ხე-ბუჩქოვანი საეანებით დაფარული იქაური ადგილები ცხოველთა ნამდვილ სამოთხეს წარ-მოადგენდა. თვითონ ხეობის ძირი ჯერ კიდევ ტბას ეკავა. ტბის სანაპირო უამრავ ცხოველსა და მათ-თან ერთად ადამიანსაც იზიდავდა. პირველი ჰომო – მარჯვე ადამიანი, რომლის უნარი ქვის იარაღის დამზადებაში გამოიხატებოდა – ყველაფრისმჭა-მელი იყო, მაგრამ, ძირითადად, უკვე ცხოველებზე ნადირობით ირჩენდა თავს. ამაზე მეტყველებს ყო-ფილი ტბის სანაპიროს მრავალ ადგილას შემორ-ჩენილი, მონადირეთა სადგომების ნარჩენები. კა-ცობრიობის ისტორიაში ამ პირველ საცხოვრებ-ლებში მიმოფანტული იყო პირველმონადირეთა მერი ქვის იარაღით დამტკრებული ნადირის ძეგლები (იქიდან გამოღებული ძეგლის ტენი ფრიად ნოყიერი საკვები იყო), ქვის იარაღები და მათი დამზადების ადგილზე მიმოფანტული ქვისავე გამოყენებული მრავალრიცხოვანი ნამტკრევები.


დელამიწაზე ყველაზე პრიმიტიული ადამიანის მერი დამზადებული ამ პირველი იარაღის ასაკი იმ დროისათვის 1,75-1,85 მილიონი წლით იქნა დათარიღებული.

მილიონი წლის განმავლობაში ფერფლის, ლა-ვის, თიხისა და ტბის წყლების ნალექებით და-მარხული ადამიანის ამ უძველესი საცხოვრებლ-ების გამოშუქება ოლდუეისის ტბის დაშრობამ და დელამიწის ქერქის მოძრაობამ გამოიწვია. ეულ-კანური აქტიუბის შედეგად ქერქის ეს ქანები დასკდა, დაგროვილი ნალექები გაშიშვლდა და უხსოვარი დროიდან მიწაში გაუჩინარებულ ცოც-ხალ ორგანიზმთა ნაშთების თავისებურ ბუნებრივ გამოფენად გადაიქცა.

ქვემოდან ზემოთ მდებარე ქანთა მიხედვით კარგად ჩანს ორფეხა პრიმატების თანდათანობით განვითარება – ჯერ იყენენ ავსტრალოპითეკები, შემდეგ უნარიანი ადამიანი, ბოლოს კიდევ უფრო განვითარებული ფორმა – Homo erectus-ი, ანუ გამართულად მოსიარულე ადამიანი.

ვინაა ეს უკანასკნელი, პომო ერექტუსი? 1964 წელს, ლე გრო კლარკმა ანთროპოლოგებს შესთავაზა ყველა პითეკანთროპისა და სინანთროპისათვის ეწოდებინათ ერთი ტერმინი – გამართული ადამიანი – Homo erectus-ი. მკვლევართა უმრავლესობა დაეთანხმა ამ წინადადებას, თუმცა დღეისათვის პომინილთა ამ ჯგუფის მიმართ არსებობს პარალელური ტერმინიც – „არქანთროპი“ (იგივე უქველესი ადამიანი).

გვარი პომოს სახეობებისა და სხვა ორფეხა არსებების კვლევის ასპარეზზე ოლდუვაის ხეობიდან გაცილებით შორს, ტურკანას (იგივე რუდოლფის) ტბის სანაპიროებთან და მდინარე ომოს ხეობაში გადაინაცვლა.



სურ. 16. მდინარე ომო ეთიოპიაში დღემდე ინარჩუნებს ჭალის მდიდარ ტყეებს.

1967 წელს მდინარე ომოს ასევე გაუდაბურებული ხეობის პალეოანთროპოლოგიური კვლევის ეპოქა დაკავშირებულია საერთაშორისო (ფრანგები, ამერიკელები, აფრიკაში მცხოვრები თეთრკანიანები) ექსპედიციასთან. ომოს ხეობაში სათანადო კვლევის ტრადიციას საფუძველი ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა. იქ ბევრი საინტერესო ნამარხი ცხოველი აღმოჩნდა. გარდა ამისა, ხეობის ძველი ქანების მდებარეობა ძალიან პრავს ოლდუვაისას, გეოლოგიურადაც მისი მსგავსია – დედამიწის ქერქში წარმოქმნილი გიგანტური ნაპრალის ფრაგმენტია, რომელიც დაფარულია ვეებურთელა ფლატეებითა და ტბების მთელი ჯაჭვით. მილიონი წლების წინათ ამ ადგილებში გაცილებით მეტი ტბა და მდინარე იყო, რომელთაგან მეტი წილი დავრა. მდინარეებიდან შემორჩა მხოლოდ ომო. იგი იწყება სამხრეთ ეთიოპიის მაღალ მთიანეთში და ჩაედინება ტურკანას ტბაში, ჩრდილოეთი კენიის საზღვართან. წარსულში ომოს მთელი ტერიტორიაც ამ ტბის ფსკერი იყო. ომოს მღვრიე ფერი თავისთავად მეტყველებს იმ ფაქტზე,

თუ ახლაც რამდენი ლამი და თიხა ჩააქვს მას ტბაში. მდინარის ნაპირები დაფარულია ჭალის მდიდარი ტყეებით, რომლებსაც თანდათანობით ენაცვლებიან ძალუმიად ეროზირებული საენანები. ომოს სანაპიროები ფრიად ხელსაყრელი საცხოვრებელი გარემო იყო ავსტრალოპითეკისათვის.

დედამიწის ევლკანიზმის თვალსაზრისით ეს მოუსვენარი ადგილები დაფარულია ეულკანური ფერფლის სქელი შრეებით, მაგრამ თუ ოლდუვაიში მისი სისქე არ აღემატება 30-35 ათეულ მეტრს, ხოლო ასაკი 2 მილიონი წლითაა შეფასებული, ომოს იმავე შემადგენლობის და ნალექთა ქანების სისქე 600 მეტრია. ყველაზე ძველი ქანის ასაკი 4 მილიონ წელს აღწევს. გარდა ამისა, ომოს ხეობის ტერიტორია ოლდუვაისე გაცილებით დიდია. მშრალმა და ყოცმა პაემამ გამოაშრო, ხოლო იშვიათმა, მაგრამ ლვარცოფა წვიმებმა დედაქანებამდე გააშიშვლა იქაურობა. ხეობის კალთები ეროზიისაგან ხშირად აქაც ჩამოშლილია.

მდინარე ომოს ხეობაში დღემდე შენარჩუნდა გეოლოგიურ და პალეონტოლოგიურ მოვლენათა ამსახველი არა ფრაგმენტული, არამედ პროცესთა სრული ჯაჭვი. მიწის აქაური ზედაპირი თავისებური გეოლოგიური სკალაა, რომელსედაც შესატყვისი დროის ინტერვალი გამოიხატულია თიხის, ქვიშის, ეულკანთა განსაკუთრებული აქტივობის შედეგად ამოსროლილ პროდუქტთა პირისონტებით და, რაც ყველაზე მთავარია, ომოს ქრონიკა გრძელდება იქ, სადაც შეწყდა ოლდუვაისა – 2 მილიონი წლის წინათ. 3 მილიონი წლის განმავლობაში აკუმულირებულ ამ ქანთა უმეტესობა შეიცავს ნამარხებს, მათ შორის პომინიდებსაც. ამ ინფორმაციის ყველაზე ძველ წყარომდე, ე.ი. დაგროვილ ქანთა სულ ქვედა შრეებამდე მისაღწევად, საუკუნეებულო არ არის ქერქის 800 მეტრიანი ფენის გათხრა. ხეობის ეროზიული და დედამიწის ქერქის მოძრაობისაგან დამსჯდარ-დანაპრალელებული მასის შიგთავის სამსულოზა გამოტანული, რაც თვით უქველესი ქანების გამოკვლევის ჩინებულ შესაძლებლობას იძლევა. მ. იდის მოხერხებული შედარებით, „ხეობის სულ უფრო ძველ ქანებზე სიარული ისეთ შეგრძნებას იწვევს, თითქოს მიწაში ჩამარხული გიგანტური ჩონჩხის ნეკნებზე დადიხარ“.

დაბოლოს, ეულკანთა აქტივობის პროდუქტები შეიცავენ ისეთ რადიოქტიურ ნივთიერებებს, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია ქანების ცალკეულ შრეთა, შესაბამისად, იქ მოქცეულ ნამარხ მასალათა დიდი ქრონოლოგიური სიზუსტით განსაზღვრა. ქერქის ქანების ზუსტი დათარიღების თვალსაზრისით, ომოს ხეობას პალეოანთროპოლოგიის ისტორიაში ანალოგი არ მოეძებნება. ამგვარად, მდინარე ომოს ხეობა გეოლოგებისა და პალეონტოლოგებისათვის ბუნების მიერ ნაბოძები დიდებული ძღვენია! გასაგებია, რომ ყველაფერმა ამან მდინარის ხეობა თავისებურ პალეოანთროპოლოგიურ ელდორადოდ გადააქცია.

შემდგომში, ძუძუმწოვრების აქ მოპოვებულმა გაქვეყნებულმა ნამარხებმა მეცნიერებს შესაძლებლობა მისცა აღედგინათ ცხოველთა ამ კლასის მთელი რიგი ჯგუფების ევოლუციის სურათი. შესაშური სიზუსტით იქნა რეკონსტრუირებული ანტილოპების, ვირაფების, გარეული ღორების, სპილოების საგვარტომო ხეები. თითოეული მათგანი წარმოდგენას გვაძლევს, თუ ძველი, პრიმიტიული ფორმებისაგან როგორ ეითარდებოდნენ ახალი სახეობები, დროის გარკვეულ მონაკვეთში ეს ახლებიც უჩინარდებოდნენ და ახლა, ქერქის უფრო ახალგაზრდა ქანებში, სულ სხვა, უახლესი სახეობები წარმოინდებოდნენ.


დაბოლოს, ადამიანის წინაპარ ფორმათა ევოლუციური განვითარების ცალკეულ საფეხურთა სკალასთან შეთანაწყობის ჯერი დადგა. სწორედ ეს საპატიო მისია ერგო საერთაშორისო ექსპედიციას. ამჟამად ექსპედიციაში მონაწილეობდა რიჩარდ ლიკი (Richard Leaky) – ლუის ლიკის უმცროსი ვაჟი. ხეობის უბანი, რომელიც მას ერგო გამოსაკვლევად, ნამარხი ჰომინიდების თვალსაზრისით არ აღმოჩნდა საინტერესო, ამიტომ გადაწყვიტა მიეტოვებინა ომი და მშობლიურ კენიაში, ტურკანას ტბის უფრო სამხრეთი რაიონის სანაპიროსთან გაუჩინარებული მასალების შესასწავლად წასულიყო.



სურ. 17. ტბა რუდოლფისკენ (ტურკანა) უდაბნოში მიმავალი, აქლემზე ამხედრებული რიჩარდ ლიკი.

მდინარე ომოს ხეობაში, გათხრების დასაწყისშივე აღმოჩნდა ჰომინიდების უამრავი ნამარხი ნაშთები – კბილები, ქალა, სხვა ძელები. მათ შორის იყო მასიური აღნაგობის ზინჯანთროპის (ახლანდელი გაგებით პარანთროპის) ძელოვანი ნაშთები. იგი დათარიღდა 3,7 მილიონი წლით,

ე.ი. ორჯერ მეტი დროით, ვიდრე ლ. ლიკის აღმოჩენილი მასალები იყო. მისი ნაშთები მიაკვლიეს 1,8 მილიონი წლის წინანდელ ქანებშიაც. მაშასადამე, ადამიანის ამ მონათესავე არსებას აღმოსავლეთ აფრიკის გარკვეულ რაიონებში თითქმის 2 მილიონი წლის განმავლობაში უცხოვრია! 3 მილიონი წლის წინანდელ შრეში მიაგნეს აესტრალიოპითეის სხვა, უფრო გრაციოზულ ფორმას, რომელიც ახლოს დგას სამხრეთაფრიკულ „ტაუნგის ბავშვთან“ და ჰომო ჰაბილისთან.



სურ. 18. აბორიგენი ტივუ, რუდოლფის (ტურკანა) ტბა.

კიდევ უფრო საინტერესო გამოდგა რ. ლიკის დამოუკიდებელი გამოკვლევები ტურკანას ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე. რიჩარდმა სანაპიროს პირველადი დასვერვა თვითმფრინავით ჩაატარა. მ. იდი აღნიშნავს, რომ სათაგადასაელო რომანის გმირის მსგავსად, რომელმაც მხოლოდ ინტუიციასე დაყრდნობით უთვალავე ძვირფასეულობით სავსე საგანძურს მიაგნო, რიჩარდმაც მოძებნა მოხერხებული ადგილი და ვერტმფრენი ჰომინიდთა უმდიდრეს ნამარხებზე დასვა. ამ ადგილს კოობი-ფორას უწოდებენ.

ადგილობრივი ძელების მეტი წილი ასევე „ზინჯეს“ ეკუთვნოდა. საყურადღებო იყო ოლდუვანის მსგავსი „მარჯვე ადამიანის“ ნამარხი მასალა, რომელიც უფრო არქაული ფორმა აღმოჩნდა. ტუფის შრე, სადაც 1971 წელს შეაგროვეს კაჟისა და ეულკანური ქანებისაგან დამზადებული იარაღი, 2 მილიონ 600 წლით დათარიღდა!

აღმოჩენათა ამ წარმატებითი სერიალის გეირგინს წარმოადგენდა 1972 წლის ზაფხულში ისევ კოობი-ფორასთან მიკვლეული ქალა (იგი მოძიებულ მასალათა ნუსხაში შევიდა №1470-ის სახით და დღემდე ასეა ცნობილი სათანადო დოკუმენტურაში). ეს ქალა გაცილებით ახლოს დგას თანამედროვე ადამიანთან, ვიდრე იაგური ტიპის პითეკანთროპთან, (ე.ი. ჰომო ერექტუსთან) და, მით უმეტეს, უფრო პრიმიტიულ აესტრალიოპითეკთან. მისი ყბა აღარ არის ისე მასიური, სუსტადაა გამოხატული წარბსედა რკალები. ტენის მოცულობა

800 სმ ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ახლო-მახლო აღმოჩენილი ბარძაყისა და წვივის ძელების მიხედვით ცხადი გახდა, რომ ჰომინიდის ეს ფორმა აღარ ხასიათდებოდა სუსტი აგებულებით და მყარად იდგა მიწაზე თავისი ორი ფეხით. მრავალი ნატეხისაგან შემდგარი პომოს ამ უიშვიათესი ქალას რეკონსტრუქციას მიხეზულად გაართვა თავი რიჩარდის მეუღლემ – მიივ ლიკიმ (Meave Leakey).



სურ. 19. *Homo rudolfensis* ქალა (№1470).

ამ აღმოჩენას რ. ლიკიმ შემდეგი განმარტება მისცა: „ამჟამად სრული საფუძველი გაგვანინა განეაცხადოთ, რომ აღმოსავლეთ აფრიკაში 1,8 მილიონი წლის წინათ (მოგვიანებით დათარიღება 2,4-1,4 მლნ წლით შეიცვალა – ა.გ.) ავსტრალოპითეკების მხარდამხარ არსებობდა პომოს ორფეხა, გამართულად მოსიარულე ფორმა. მართალია, მიკელეული ქალა განსხვავდება პომო საპიენსის



სურ. 20. აქლემით ტურკანას ტბისკენ მიმავალი ექსპედიცია მიივ ლიკის, რიჩარდ ლიკისა და კამოია კიემუს შედგენილობით.

ქალასაგან, მაგრამ მას ასეთივე განმასხვავებელი ნიშნები ახასიათებს დღემდე ცნობილი სხვა ადამიანისმგავსი ფორმებისგანაც“. ამჟამად ჰომინიდის ეს ფორმა ცნობილია *Homo rudolfensis*-ის სახელწოდებით და აღიარებულია როგორც ევოლუციურად უფრო პროგრესული სახეობა, ვიდრე *H. habilis*-ია.

ბიზა აფარის სამკუთხედში, ჰადარისა და აშრომერაზის სხვა რაიონთა განხმორაგებელი სიურპირიზები

1973-1975 წლებში ომოსე არანაკლები აღმოჩენები გაკეთდა ეთიოპიის ჩრდილოეთში, აფარის სამკუთხედში, ადენის ყურის სანაპიროსთან, ადგილ ჰადარში. ეს რაიონი ამჟამად ტიპური უდაბნოა, სადაც ბინადრობენ მომთაბარე მწყემსები – ჰადარელები, პრიმიტიული ხალხი, რომლებსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვთ არამცოუ დედამიწის შორეულ წარსულსა და იმ დროს მობინადრე სულ სხვა არსებებზე, არამედ ჩვენი პლანეტის მიახლოებით ზომებსა და ფორმასეც კი. ამიტომ, იქ მისული ნებისმიერი უცხოელი, მით უმეტეს, ცხოველთა ნამარხ ძელებზე მონადირენი, მათში ეჭვსა და უნდობლობას იწყებს.



სურ. 21. ეთიოპია, ჰადარის სამკუთხედი, მდინარე ავაშის ხეობა.

აფრიკის სხვა რაიონებისა და ლანდშაფტების მსგავსად, მილიონი წლების წინათაც აქაც მეტი ტენი, ბუნებრივი წყალსატევები ყოფილა და შესაბამისად, სიცოცხლეც მთელი ძალით ჩქეფდა.

70-იან წლებში 15 წევრისაგან შემდგარი აფარის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო დონალდ ჯოჰანსონი (Johanson, Donald), იმ დროისათვის ახალგაზრდა კაცი (დაიბადა 1943 წელს), აშშ-ის კლიფენდის საბუნებისმეტყველო მუზეუმის ანთროპოლოგიის განყოფილების კურატორი (ამჟამად ბერკლის უნივერსიტეტთან (აშშ, კალიფორნია) არსებული ადამიანის წარმოშობის ინსტიტუტის პრეზიდენტი).

ჰადარის აღმოჩენებით ჯოჰანსონი მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი პალეოანთროპოლოგი გახდა.



სურ. 22. დონალდ ჯოჰანსონი და ტიმ უაიტი (სათელეებში) პომინიდთა ნამარხი ნაშთებით.

მისი სამეცნიერო-პოპულარული წიგნი „ლუსი“ დაწერილი მ. იდისთან ერთად, მოგვითხრობს აფარის მიდამოებში ჩატარებულ გამოკვლევებზე და ერთ-ერთი საუკეთესო მეცნიერების ამ დარგისადმი მიძღვნილ ნარკვევებს შორის.

პადარში ჩატარებული გათხრებისას, პირველად პალეონთროპოლოგიის ისტორიაში, აქვე იქნა მოპოვებული გამართულად მოსიარულე მდედრობითი სქესის არსების თითქმის მთლიანი ჩონჩხი. მოწიფული ქალის სიმაღლე უნდა ყოფილიყო 110-120 სანტიმეტრი, წონა 25 კილოგრამი, ხოლო ქალას აგებულებით ძალიან ახლოს იდგა მარჯვე ადამიანის თავის ქალასთან. სწორედ მის ცოცხალ პროტოტიპს შეარქვეს მკვლევარებმა ლუსი. ლუსის თავის ტვინი ადამიანის ტვინის 1/4 იყო, ე.ი. შიმპანზეს ტვინის მოცულობას არ აღემატებოდა. მეორე მხრივ, ჩონჩხის აგებულებით ადამიანთან გაცილებით ახლოს იდგა, კბილების მიხედვით კი გარდამავალ ფორმას წარმოადგენდა მაიმუნსა და ადამიანს შორის. ეს იყო განვითა-



სურ. 23. აფარის ავსტრალიპითეკის (ლუსი) თითქმის მთლიანი ჩონჩხი პადარიდან (ეთიოპია).

რების სხვადასხვა დონეზე მდგომი პრიმატების უჩვეულო შერწყმა. Australopithecus afarensis – ასეთი მეცნიერული სახელწოდებით გახდა ცნობილი ლუსი სპეციალისტებისათვის.



სურ. 24. დ. ჯოჰანსონი ლუსის ნამარხ ჩონჩხთან (ბერკლის უნივერსიტეტი).

1979 წლისათვის აფარის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს 35 პომინიდის 316 ნამარხი ძელოვანი მასალა, მათ შორის, როგორც ჩანს, სტიქიისაგან ერთად ამოწყვეტილი ოჯახის წევრთა ნაშთები (ხუმრობით მათ ადამიანის „პირველი ოჯახი“ უწოდეს). ამ ნაშთების მეტი წილი მიაკუთვნეს ავსტრალიპითეკის ახალ სახეობას – Australopithecus aethiopicus-ს. გასაკვირი იყო, რომ ომოს ხეობასა და ტბა რუდოლფის სანაპიროებისაგან განსხვავებით, აფარის სამკუთხედში ორფეხა არსების მიერ დამზადებული იარაღი არაფერს უნახავს.

1977-1979 წლებში მერი ლიკის ექსპედიციამ მიაკვლია ანთროპოლოგიურ მონაპოვრებს შორის სრულიად განსაკუთრებულ ნაშთს – უძველესი ადამიანის ნაკვალევის მთელ მწკრივს. მსოფლიო მეცნიერებაში ამ ფაქტს ერთადერთი ანალოგი გააჩნია (ტერა – ამატის უძველესი ადამიანის ადგილსამყოფელი ნიკაში, საფრანგეთი: ადამიანის ფეხის ერთი ანაბეჭდი). ეს ის მასალაა, რომელმაც იქნოლოგიური თვალსაზრისით ნათელი მოაფინა პომინიდთა გამართული სიარულის საწყის ეტაპს.

თავდაპირველად, სრულიად შემთხვევით, ეროზიისაგან გაშიშვლებული გრუნტის ზედაპირზე შენიშნეს ორიოდე ნატერფალი. დანარჩენ ნაფეხურებზე მიწის ფენის აღებას და თითოეული მათგანის ქიმიური ხსნარებით გამაგრებას თითქმის სამი წელი მოაწოდებდა.

სხვადასხვა დროს ამ სამუშაოში მონაწილეობდნენ ფეხის ანაბეჭდთა პირველადმოაჩენები:



სურ. 25. მერი ლიკი ავსტრალიათეკის ნატერფალის გაზოშისას.

მერი ლიკის მესამე ვაჟი – ფილიპი, პიტერ ჯოუნსი, ნატერფალთა ყველაზე თავგამოდებული მკვლევარი – ტიმ უაიტი, რა თქმა უნდა, თვითონ მერი ლიკი და სხვები. საბოლოოდ, სამზეოზე გამოაშკარავეს 23 მეტრი სიგრძის გრუნტზე ორფეხა არსებების მიერ დატოვებული ტერფების 50-მდე ანაბეჭდი.

ჩატარებულმა საქმიანობამ პალეოანთროპოლოგებს შესაძლებლობა მისცა აღედგინათ წარსულის უაღრესად დინამიკური სურათი.

მოქმედების ადგილს წარმოადგენდა დღევანდელი ტანზანიის ტერიტორია, სერენგეტის დაბლობი, კერძოდ, ლეტოლის მიდამოები, საიდანაც ასე ლამაზად მოჩანს კილიმანჯაროს მარადთოვლიანი მთა. ლეტოლის მახლობლად ამჟამად აღმართულია ჩამქრალი ეულკანი – სადიმანი. დაახლოებით 4 მილიონი წლის წინათ იგი მოქმედი ყოფილა. ერთ-ერთი ამოფრქვევისას, ეულკანის კრატერიდან ამოტყორცნილა ფერფლის ვეებერთელა



სურ. 26. ავსტრალიათეკთა ნატერფლები ლეტოლიდან (ტანზანია).

დრუბელი. როდესაც ფერფლი მიწაზე დაშვებულა, ახლო-მახლო მიდამოები მდინარის ქვიშასავით წერილი, ერთი სანტიმეტრი სისქის თანაბარი მასით დაუფარავს. ეულკანის აქტიურობა, როგორც ჩანს, ერთ დღე-ღამეზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა, ამის შემდეგ კოკისპირული წვიმა წამოსულა. ეულკანური ფერფლი ტენით გაჯირჯეებულა, მასზე, როგორც ახლახან დაგებულ ასფალტზე, თავიანთი ნაფეხურები დაუტოვებიათ საფანაში მცხოვრებ სხედასხეა ცხოველებს: სპილოს, ჟრაფს, ანტილოპებს, მარტორქებს, მოსიარულე ფრინველებს... და მათ შორის ორფეხა არსებებსაც – ჰომინიდს.

ისინი ორნი ყოფილან. ნატერფალები ერთმანეთისაგან იმდენად თანაბრად არიან დაშორებულები, საფეხებელთა, ბუნების ჩამცხრალი ჭირ-ვეულობის შემდეგ გამართულად მოსიარულე ჰომინიდები მშვიდად მიემართებოდნენ. ეს არსებები ლუსის მსგავსი, ერთი მეტრი და ოც სანტიმეტრამდე სიმაღლის ავსტრალიათეკები უნდა ყოფილიყვნენ.

ტროპიკულ მსეს ნაკეალევი სწრაფად გაუშრია. შემდეგ სადიმანი კიდევ ამოფრქვეულა და ყალიბად გადაქცეული ტერფის ანაბეჭდებიც ფერფლის ახალი შრით დაუკონსერეებია. ორფეხა არსებათა კვალი – უნიკალური პალეოანთროპოლოგიური მასალა – სწორედ ამ ფენას გადაურჩენია.



სურ. 27. ლეტოლის 3,5 მილიონი წლის წინანდელი ავსტრალიათეკები (რეკონსტრუქცია).

როდესაც წინაისტორიული მატიანის „ფურცლებზე“ ორფეხა არსებათა მიერ დატოვებული ეს უნიკალური ნაკეალევი გააანალიზეს, ცხადი შეიქნა შემდეგი გარემოება: ეულკანის აქტიურობა დაემთხვა საფანაში წვიმის სეზონს. სადიმანი რომ წლის მშრალ სეზონში გაღვიძებულიყო, ნიადაგზე დაფენილი ეულკანური მასის კონსისტენცია არ გამოდგებოდა მკაფიო ნაკეალევეთა შესანარჩუნებლად. სპეციალისტთა შეხედულებით, იგი ისეთივე ზედაპირული, არაკომპაქტური და დროთა განმავლობაში წაშლადი იქნებოდა, როგორც ზღვისპირა პლაჟის მშრალ ქვიშაზე ადამიანის მიერ დატოვებული ნაფეხურები.

„ყველაფერი აღნიშნულის გათვალისწინებით,

– წერს მ. იდი, – ცხადი ხდება, რომ ლეტოლიში 3,5 მილიონი წლის წინანდელი პრეისტორიული ადამიანის ნაკვალევის შენახვა და მით უმეტეს მისი აღმოჩენა, სასწაულის ტოლფასია“.


თუ დაახლოებით 3 მილიონი წლის წინათ პომინიდის გამართული სიარული ჰადარის გამოკვლევებმა ძელოვანი ნაშთების მიხედვით დაადასტურეს, იგივე მოხდა ლეტოლიში ტერფის ანაბეჭდებით.

როდესაც გააღამიანების გზაზე მდგომ პრიმატთა ერთი ჯგუფის აგებულებაში ევოლუციურ ცვლილებებზე ვმსჯელობთ, თავის ქალას ზრდას-

ღებულ კიდურად, რომელსაც უნდა უსრუნველყო ნაბიჯის გადადგმისას სხეულისათვის ბიძგის მიცემა და, ამდენად, საგანსე (ხის ტოტებსე) ჩაჭიდების ფუნქციის თანდათანობით დაკარგვა.

ამ პრობლემის გადაწყვეტა ცხოველს შეუძლო უკანა კიდურის ტერფის დიდი თითის წაგრძელებითა და მისი სხვა თითებთან მიმართებაში ერთ მწყობრში ჩაყენებით. ეს უკანასკნელი კი იმისთვის იყო საჭირო, რომ ხელისაგან განსხვავებით, იგი განსე არ ყოფილიყო გაშეერილი.

ეს პრობლემა უკვე დადებითად გადაწყვეტეს ავსტრალიაში მდებარე, მაგრამ მეცნიერებისათვის



სურ. 28. პრიმატთა (გიბონი, ორანგუტანი – მალაიური orang-utan, ტყის კაცი – შიმპანზე, გორილა, ადამიანი) უკანა ტერფზე ცერა თითის მდებარეობა.

თან ერთად უმნიშვნელოვანესი საკითხია ტერფზე მომხდარი მორფოლოგიური ცვლილებები, ვინაიდან სწორედ ორ კიდურზე სიარულის უნარმა გადაწყვიტა ცოცხალი ბუნების ერთ-ერთი უდიდესი მეტამორფოზი – ცხოველური წინაპრისაგან ადამიანის ფორმირება.

როგორი იყო ცხოველიდან ადამიანში გარდამავალი ფორმის ტერფი? ნამარხი მასალების მიხედვით, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ ხერხდება – შესატყვისი წინაპრის ტერფის ძელოვანი ნაშთები არ არის ნაპოვნი. ამიტომ მიმართავენ განსოვალდების, ექსტრაოლაციის ორიბ გზებს. პრიმატებში გამოყოფენ ადამიანის უახლოეს ნათესაურ ფორმას, მის პროტოტიპს. ასეთად მიანჩიათ შიმპანსე. იგი ადამიანის მსგავს მანიშნებში გარემოსთან ყველაზე ნაკლებად სპეციალიზებული ფორმაა – არც ორანგუტანგვით მხოლოდ ხეზე ცხოვრობს და არც გორილასავით – მხოლოდ ნიადაგზე. ამიტომ, სათანადო თვალსაზრისით ამ „უნივერსალურ“ მაიმუნში სპეციალისტები ეძებენ იმ ანატომიურ ნიშნებს, რომელიც მას შეეძლო დაემეპკვიდრებინა ყველა ანთროპოიდის საერთო პიოთეუსური წინაპრისაგან.

ასეა თუ ისე, მეცნიერებმა შიმპანსეს ტერფი ჩათვალეს იმ საწყის ფორმად, რომლისგანაც განვითარდა გამართულ პომინიდთა ფეხის თავისებური საყრდენი. მეორე მხრივ, სპეციალისტებმა მისნად დაისახეს გამოკვლიათ, თუ ნაწილობრივ ხის ტოტებსე ჩაჭიდების გზით მოძრაობის (ბრახიაცია) უნარის მქონე პრიმატის კიდური როგორ შეიძლება გადაქცეულიყო მხოლოდ სიარულისთვის და სხეულის საყრდენის ფუნქციის შემსრუ-

ღებულ უცნობია ევოლუციის ტემპები, რომლითაც პომინიდებში განხორციელდა უკანა კიდურის მსგავსი ტრანსფორმაცია.

ყველა ამ საკითხით დაინტერესებული იყო ჯოჰანსონის ასპირანტი ბრიუს ლეტიმერი და მერი ლიკისა და ჯოჰანსონის კოლეგა, ზემოთ ხსენებული ტიმ უაიტი.

პრობლემაში სიცხადის შესატანად ჩატარდა მარტივი ცდა – შიმეღფეხიანმა ექსპერიმენტატორმა შიმპანსესთან ერთად გაიარა ქეიშის სველ გრუნტზე. ადამიანის ტერფისაგან დარჩენილ ნაკვეთსე, ცხადია, ცერა თითი დანარჩენი თითების პარალელურად იყო განლაგებული, შიმპანსეს ცერა თითი კი განსე იყო გასული. გარდა ამისა, თუ ადამიანის ტერფის თალი გრუნტზე მკაფიოდ იყო გამოხატული, შიმპანსეს ნატერფაღს იგი არ ეტყობოდა.

...და როდესაც ლეტოლის გაცივებული ღაგის ზედაპირზე 3,5 მილიონი წლის წინათ დატოვებული ტერფის ნაკვალევსეც ფეხის პირველი თითი დანარჩენის პარალელურადაა განლაგებული, ხოლო ტერფს კარგად ემჩნევა ქუსლისკენ უფრო გაღრმავებული სიგრძივი თალი, ყველაფერი ნათელი ხდება: ღუსი და მისი მსგავსები უკვე სრულიად გამართულები დადიოდნენ და მათი ტერფებიც თანამედროვე ადამიანის მსგავსად ფუნქციონირებდნენ.

1984 წელი. კენია. ისევე რუდოლფის (ტურკანას) ტბის აშუამად დასაყლეთი სანაპიროები. მერი ლიკის კოლეგამ, ადგილობრივი წარმოშობის, ნამარხ ძელებზე „მონადირე“ კამოია კიმეუ (Kamoya Kimeu), რომელიც ბოლო დრომდე, თითქმის 40 წელიწადი

მუქაობდა პალეოანთროპოლოგიაში, წააწყდა ნამარხ მასალას. ამ უკანასკნელმა ძეგლების სრული შენახულობით ლუსისაც აჯობა! პალეოანთროპოლოგიურ ლიტერატურაში მას ადამიანის ევოლუციის ისტორიის გრძელ გზაზე ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვარს უწოდებენ.

ჩონჩხი 12 წლის ბიჭს ეკუთვნოდა, მაგრამ სიმაღლით იგი უკვე 160 სანტიმეტრს აღწევდა. მაშასადამე, მამაკაცობაში შესულს შეეძლო 180 სანტიმეტრი სიმაღლისა გასრდილიყო. ეს მონაცემები კი აღემატებოდა თანამედროვე კაცობრიობის საშუალო მაჩვენებელს. ჩონჩხის ასაკი განისაზღვრა 1,6 მილიონი წლით. ბიჭის აგებულება ამჟამინდელი ადამიანისაგან სხეულის მხოლოდ სოგიერთი დეტალით თუ განსხვავდება, ესენია: უფრო პატარა ქალა, სახის უხეზო ნაკეთები, წინ წამოწეული წარბსედა რკალები. მეცნიერებმა ეს მონაპოვარი ერთხმად მიაკუთვნეს ჰომოს გეარის უფრო პროგრესულ სახეობას – Homo erectus-ს, ანუ გამართულ ადამიანს, თუმცა, მოგვიანებით, ახლად გამოყოფილ, ერექტუსთან ახლოს მდგომ სახეობაში – H. ergaster-ში გააერთიანეს.

სათანადო მონაცემებზე დაყრდნობით, რიზარდ ლიკი ცდილობს რა აღადგინოს ჰომოს ამ წარმომადგენლის გარემო, წერს:



სურ. 29. Homo ergaster-ის მოლიანი ჩონჩხი ტურკანას ტბის დასავლეთი სანაპიროდან.

როდესაც ასეთ ადამიანებს მილიონნახევარი წლის ნამარხი ჰომოს მოლიან ჩონჩხს წარუდგენ, რომელიც თითქმის არ განსხვავდება თანამედროვე ადამიანისაგან, ეს უკვე დამაჯერებელი საბუთია. და მე დარწმუნებული ვარ, ბევრი მათგანი, ეინც თვალს შეგნებულად ხევაეს ნამარხ ნაშთებზე და იცავს ვერსიას ადამიანის ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ. მსგავსი აღმოჩენების შემდეგ იძულებულები ხდებიან უარყოფნ თავიანთი 'შეხელწლებები'.



სურ. 30. კენია, ადგილი კანაიო (რუდოლფის ტბასთან). ლუიზ, მიივ და რიზარდ ლიკები Australopithecus anamensis მოპოვების ადგილას.

XX საუკუნის 90-იან წლებში იმავე ტროპიკულ აღმოსავლეთ აფრიკაში, აგრეთვე აზიის სხვადასხვა რეგიონში (ისრაელი, ჩინეთი, კუნძული იავა). სამხრეთ, ხმელთაშუა ზღვისპირა ევროპასა და ევრაზიის გზაშესაყარზე (საქართველო) განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პალეოანთროპოლოგიური აღმოჩენა. გამოვეყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მათგანი.

ცალკე გვარად და ახალ სახეობად იქნა მიჩნეული ტიმ უაიტისა და მისი ეთიოპელი კოლეგების მიერ 1994 წელს ეთიოპიაში (ადგილი არამისი) მოკლეული Ardipithecus ramidus-ი. თუმცა, ბოლო დრომდე, მისი პოზიციისადმი კუთვნილება, საბოლოოდ არ არის დადასტურებული. გრუნტის ნაღვეები, საიდანაც მისი ნაშთები ამოიღეს, შეფასებულია 4,4 მილიონი წლით. თავისი სიძველით ეს თარიღი, აქამდე მოპოვებულ ჰომონიდთა შორის, რეკორდულია.

არქაულობის თვალსაზრისით მას რამდენადმე ჩამოუვარდება მიივ ლიკის ხელმძღვანელობით ტბა ტურკანას სამხრეთში, ადგილ კანაიოში 1994 წელს მოპოვებული ახალი სახეობა – Australopithecus anamensis. ამ ახალი პოზიციისთვის დად-

გენილი ასაკი შეადგენს 4,1 მილიონ წელს.

მას შემდეგ, რაც ავიაკატასტროფაში მოხვედრილმა რიჩარდ ლიკმ დაკარგა ორივე ფეხი და შეუძლებელი გახდა მისი საველე საქმიანობაში მონაწილეობა, ლიკების პალეოანთროპოლოგიური საქმიანობის ტრადიციას სათავეში ჩაუდგა მისი მეუღლე – მიიე ლიკი. ბოლო დრომდე იგი (პენსიაში გასვლამდე) ხელმძღვანელობდა კენიის (ნაირობი) ეროვნული მუზეუმის პალეონტოლოგიურ განყოფილებას. ამჟამად ლიკების „დინასტიის“ პალეოანთროპოლოგიური კვლევის ტრადიციას აგრძელებს რიჩარდ და მიიე ლიკების ქალიშვილი – ლუიზ ლიკი.

1995 წელს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა ჩადიში, 3,5 მილიონი წლის წინანდელ ნალექებში, აღმოჩენილ იქნა ავსტრალიპითეუსის მორიგი სახეობა – *A. bachelghazali* (Brunet et al.). მოკვლევის ადგილი აღმოსავლეთ აფრიკის რღვევის (რიფტული) ზონიდან 2500 კილომეტრითაა დაშორებული, შესაბამისად, იგი კონტინენტის ახალ, ცენტრალურ რეგიონში „სამხრეთის მიიმუნთა“ ნამარხი მასალების რეგისტრაციის პირველი შემთხვევაა.

1996 წელს ესპანელი ავტორების მიერ (Bermudez de Castro et al.) გონიერი ადამიანის გეარიდან ცალკე სახეობად – *Homo antecessor* – იქნა გამოყოფილი დაახლოებით 800 ათასი წლის ნამარხი ადამიანი. მოპოვების ადგილია გრან-დოლინა (ესპანეთი).

1999 წელს ავსტრალიპითეუსების მანამდე ცნობილ სახეობებს დაემატა *Australopithecus garhi* (Asfaw et al.). ჰომინიდის ნაშთები მოიპოვეს ეთიოპიაში (ადგილი ჰატა), 2,5 მილიონი წლის წინანდელ დანალექ ქანებში.

2001 წელს კენიაში ნაპოვნია საეარაუდო ჰომინიდის ახალი გეარისა და სახეობის – *Orrorin tugenensis* – ნაშთები. კენიის აღმოსავლეთში, ადგილ ტუგენ ჰილსში დაფიქსირებულ ამ ნამარხს, ქრონოლოგიის თვალსაზრისით, სულ ბოლო დრომდე ბადალი არ გააჩნდა – იგი დათარიღებულია 6 მილიონი წლით!

დაბოლოს, 2002 წელს, ცენტრალური აფრიკის ჩადის უდაბნოში, საფრანგეთის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი Michel Brunet) მოიპოვა მორიგი სენსაციური პალეოანთროპოლოგიური მასალა. მოგვიანებით უდაბნოს კეიშაში ნახევრად გავიშვებული ძელოვანი ნაშთი (თაყის ქალა, ქვედა ყბის ორი ფრაგმენტი რამდენიმე კბილით) აღწერილ იქნა ახალ გეარად და სახეობად – *Sahelanthropus tchadensis*. მეცნიერები შეთანხმდნენ ამ უახლესი მონაპოვრის ასაკზე – 7 მილიონი წელი!! ეს ის გეოლოგიური ეპოქაა (პლიოცენის დასაწყისი), როდესაც ანატომიური თუ მოლეკულური ბიოლოგიის მონაცემებით, შიმპანსესა და ჰომინიდების (ადამიანთა მოდგმა) ფილოგენეტიკური (ნათესაური) ხაზები გაყოფას (დივერგენცია) იწყებენ.

საქვლანთროპის ტვინის კოლოფის მოცულობა არ აღემატება თანამედროვე შიმპანსისას – 320-380 სმ³, მაგრამ სახის ანატომია უფრო „ადამიანურია“, კიდრე ადრეული ჰომინიდებისა, მაგალითად ცნობილი ლუსისა – *Australopithecus afarensis*.

ვინაიდან ცენტრალურ აფრიკაში (ჩადი) ყველაზე ძველი ჰომინიდების მოპოვების ეს უკვე მეორე შემთხვევაა, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ადამიანის უძველესი წინაპრები – მოხეტიალე მონადირეები – ნადირობის გზით განსახლდებოდნენ ხოლმე ჰომინიდთა წარმოშობის საეარაუდო ცენტრიდან – აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკიდან. თუ ეს ასეა, პალეოანთროპოლოგებს მომავალში არაერთი სიურპრიზი ელით ქრონოლოგიურად ძირძველი ჰომინიდების აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში მოპოვების თვალსაზრისით.



სურ. 31. ქართველი პალეოანთროპოლოგები: ლ. გაბუნია (ცენტრში), მარჯვ. ა. ევკუა და მარცხ. დ. ლორთქიფანიძე.

სიახლეთა ამ კონტექსტში, სრულიად სამართლიანად, გლობალური მნიშვნელობის რეზონანსი გამოიწვია საქართველოში, სახელდობრ, დმანისში მიკვლეულმა ჰომინიდის განათხარმა ფორმამ. დღეისათვის დმანისში ბიპედური, ორფეხა არსების 5 ნაშთია ნაპოვნი. პალეოანთროპოლოგები მათ ორ-სამ ინდივიდს აკუთვნებენ. მათ შორის ქვედა ყბას მიაგნეს 1991 წელს (გერმანელ არქეოლოგ ა. გუსტუსთან ერთად), ტერფის ძეგლს – 1997 წელს და, რაც მთავარია, 2 ქალას – 1999 წელს, ხოლო მესამეს – 2000 წელს. სხებთან ერთად ამ ნამარხი მასალების მოპოვებასა და შესწავლაში გადამწყვეტი როლი მიუძღვით ცნობილ ქართველ სპეციალისტებს: ლ. გაბუნიას, ა. ევკუას, მათ ახალგაზრდა კოლეგას – დ. ლორთქიფანიძესა და ა.შ.

დმანისური ჰომინიდის სახეობრივი კუთვნილება დღემდე არ არის განსაზღვრული. მორფოლოგიურად უმრავლესობა ახლოს დგას *Homo ergaster*-თან (ბევრი საერთო აქვს ტურკანას ტბის სანაპირო ადგილ – კოობი-ფორაში მოპოვებულ, ახალგაზრდა ყმაწვილისაგან დარჩენილ ნაშთებთან), ხოლო 2000 წელს მოპოვებული ქალა გარდამავალია *H. ergaster*-სა და *H. habilis*-ს შორის. ამგვარად, ეს

* ნაწილობრივ მასალები *A. bachelghazali* და *A. garhi*-ზე, ხოლო მთლიანად *Orrorin tugenensis*-ზე და *Sahelanthropus tchadensis*-ზე მოგვაწოდა დ. ლორთქიფანიძემ.



სურ. 32. პომოს ნამარხი ძელოვანი მასალები დმანისიდან.

პირველი ნამარხებია ევრაზიაში, რომლებიც ამჟამად აღმოჩენილი ნიშნებს.

დმანისური „ერგასტერის“ ტენის 3 კოლოფის მოცულობა შეადგენს 775, 650 და 600 სმ³, ხოლო განამარხების თარიღი, მსგავსად ტურკანული ფორმისა, ბერკლის (აშშ) გეოქრონოლოგიურ ცენტრში მიღებული თარიღით 1,75 მილიონი წლითაა განსაზღვრული.

პლეისტოცენის დასაწყისში, დმანისის შუა საუკუნეების ძეგლის მიდამოებში (სადაც ამ ნამარხებს მიაკვლიეს) ტბა ყოფილა. მის სიახლოვეს დალეკილ ქანებში ქვის იარაღებთან (ისინი იდენტურები არიან აღმოსავლეთ აფრიკაში ნაპოვნი „ოლდუვანური“ ტიპის 2,5-2 მილიონი წლის წინანდელ არქაული იარაღებისა) ერთად მოპოვებულია მსხვილი ძუძუმწოვრების მდიდარი, აწ გადაშენებული ფაუნა. მათ შორის: ხმალკბილა ვეფხეი, ჟირაფი, მარტორქა, სპილო, სირაქლემა. ჩვენში, სავანისათვის დამახასიათებელი ეს ცხოველები, დაახლოებით 1,5-2 მილიონი წლის წინათ ამოწყდნენ.

ადამიანის ადგილი ცოცხალ ორგანიზმთა სამეფოში

როგორია ზემოთ მოყვანილი და სხვა მასალების მიხედვით ადამიანის გენეალოგიური სტრუქტურა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით მიზანშეწონილია მოკლედ მიმოვიხილოთ საკითხი, თუ რა ადგილი უკავია ადამიანს ცოცხალ ორგანიზმთა სამეფოში.

შედარებით გამარტივებული სქემით, ცოცხალ ორგანიზმთა 5-6 სამეფოდან ადამიანი მიეკუთვნება ცხოველთა სამეფოს – Zoa (Animalia), ქორდიანთა ტიპს – Chordata, ძუძუმწოვრების კლასს – Mammalia, პრიმატისნაირთა რიგს – Primates. ამ უკანასკნელს ხშირად ყოფენ 2 ქვეჯგუფად: ნახევრად მაიმუნები – Prosimii („მაიმუნებისწინა“) და მაიმუნებად Anthropoidea („ადამიანისმაგვარი“). უმდაბლეს პრიმატებში – პროსიმიებში გავრთიანებული არიან მცირე ან შედარებით მცირე ზომის, მესხური ფორმები – ლემურები, ლორი და ა.შ.

ანთროპოიდები მოიცავენ მაიმუნებს, ადამიანისმაგვარ მაიმუნებსა და ადამიანებს.

ანთროპოიდების 3 ზეოჯახიდან ჩვენთვის საინტერესოა ადამიანისმაგვართა ზეოჯახი Hominoidea. მისი 4 ოჯახიდან, ადამიანის ეოლოჯიის თვალთახედვით, ტრადიციულად განიხილავენ Pongidae-სა



სურ. 33. ადამიანი გავრთიანებულია ცხოველთა სამეფოს ძუძუმწოვრების კლასში (ლეონარდო და ვინსი – მადონა ლიჩა; ს.პეტერბურგი, ერმიტაჟი).



სურ. 34. ძუძუმწოვრების კლასში ადამიანი პლაცენტალების ინფრაკლასის (Placenta) წარმომადგენელია.

და Hominidae-ს. პირველში გაერთიანებულია შიმპანზე, გორილა და ორანგუტანი, მეორეში, ადამიანისებრთა ოჯახში, ადამიანი და ყველა მისი უშუალო წინაპარი ფორმა, ესენია: გვარი Homo-ს გადაშენებული სახეობები, აგრეთვე ამოწმადარი გვარი – Australopithecus-ი და ზოგიერთი სხვა. ამგვარად, ტერმინი „ჰომინიდი“ გამოიყენება ორ კიდურზე გამართულად მოსიარულე სახეობების მიმართ. ყველა მათგანს აკავშირებს უმადლესი პრიმატების ადრეული (მიოცენური) ფორმისაგან (დრიოპითეკები) წარმოშობის საერთო ევოლუციური ისტორია.

არსებობს აღნიშნული ორი ოჯახის განსხვავებული კლასიფიკაციაც. იგი ეყრდნობა ამ პრიმატთა ანატომიისა და ქცევების უფრო დაწვრილებით შესწავლასა და მოდელეულური ბიოლოგიის მონაცემებს. შესაბამისად, სპეციალისტთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ ადამიანისმაგვარი მიიმუხები და ადამიანი მიეკუთვნებიან ერთ ოჯახს – Hominidae. მასში აერთიანებენ ორ ქვეოჯახს: Ponginae-ში შეჰყავთ ორანგუტანი, ხოლო Homininae-ს აკუთვნებენ გორილას, შიმპანზესა და ადამიანს. ამ კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ოჯახ Hominidae-ში, გარდა გამართულად მოსიარულე პრიმატებისა, ცნობენ აფრიკულ, ადამიანისმაგვარ მიიმუხებსაც; მეორე მხრივ, მხოლოდ ბიქედური ლოკომოციის უნარის მქონე პრიმატებისთვის შემოღებულია სპეციალური სისტემატიკური ერთეული – ტრიბა – Hominiini-ს სახით.

გვარი Homo-ს აღმნიშნელი ტერმინი გამომდინარეობს ლათინური humanus-იდან, რაც „ადამიანურის“, „ადამიანთა მოდგმის“ აღმნიშნელია. დღეს ტერმინი „ადამიანი“, ანდა მისი გვარის გამოხატვლი – „ჰომო“ – გამოიყენება მხოლოდ ჰომინიდების ერთადერთი გადარჩენილი ქვესახეობის – ანატომიურად თანამედროვე ადამიანის – H. sapiens sapiens-ის მიმართ.

თავის მხრივ, აფრიკიდან სხვა მატერიკებზე განსახლების უნარის მქონე გვარ ჰომოს წარმომადგენლებს ჰყოფენ სამ ჯგუფად: არქანთროპებად, პალეოანთროპებად და ნეოანთროპებად. არქანთროპებში აერთიანებენ ადამიანის გვარის გადაშენებულ, უძველეს წარმომადგენლებს, რომლებიც გამოხატავენ ჩვენი სახეობის ევოლუციის პირველ საფეხურს (სტადიას). წინაპართა ამ ჯგუფს მიეკუთვნება პითეკანთროპი, სინანთროპი, ჰაიდელბერგის ადამიანი (გამოყოფენ ცადკე სახეობად) და ატლანთროპი. მათი აბსოლუტური ასაკი განსაზღვრულია 1,9 მილიონი წლიდან 250-200 ათას წლამდე. ნამართა ძელოვანი ნაშთები შემორჩა აფრიკაში, ძირითადად კი აზიასა და ევროპაში. თავს ირჩენდნენ ნადირობითა და საკვებად ეარგის მცენარეთა შეგროვებით. ამზადებდნენ ქვის უხეშ იარაღებს (შელისა და აშელის კულტურები). მეტყველებითი ურთიერთობა ჯერ კიდევ ძალზე პრიმიტიული იყო. ყველა მათგანი გაერთიანებულია ერთ სახეობაში – გამართული (ხეამართულად მოსიარულე) ადამიანში – Homo erectus-ში. არქანთროპებისაგან წარმოიშენენ პალეოანთროპები. ესენიც

ადამიანის განამარჩებელი ფორმებია, განიხილეთ ბიან როგორც ადამიანის განვითარების მომდევნო საფეხური (სტადია). მათი წარმომადგენლები ნეოანთროპების უშუალო წინაპრები არიან. მორფოლოგიურად არაერთგვაროვანი ჯგუფია – იყენენ პრიმიტიული, არქანთროპებთან ახლოს მდგომი ფორმებიც და პროგრესული, ნეოანთროპების მსგავსებიც (რიგი სპეციალისტებისა პალეოანთროპებში აერთიანებენ მხოლოდ ევროპასა და დასავლეთ აზიაში მცხოვრებ ნეანდერტალეებს). იარაღი გაცილებით გაუმჯობესებული ჰქონდათ (ძირითადად მუსტერული კულტურა). თავს ირჩენდნენ უმთავრესად მსხვილ ნადირსე ნადირობით. მათი არსებობის აბსოლუტური ასაკი განსაზღვრულია 200-300 ათასი წლით. არეალი მოიცავდა დასავლეთ აზიასა და ევროპას. მიუხედავად იმისა, რომ ძველ ადამიანთა ამ ჯგუფისაგან განვითარდნენ თანამედროვე ფორმები, ყველა პალეოანთროპმა როდი მისცა დასაბამი დღევანდელ ადამიანს. ზოგიერთი პოპულაცია ისე ამოწყდა, რომ ვერ გადაიქცა ანატომიურად თანამედროვე ადამიანად (მაგალითად, ევროპის ნეანდერტალელები), ზოგი (სახელდობრ, წინააზიური ფორმები) დაადგა პროგრესული ევოლუციის გზას და, ამდენად, ჩამოყალიბდნენ ჩვენი სახეობის უშუალო, საწყის ფორმებად.

ნეოანთროპები ადამიანის თანამედროვე სახეობის განმაზოგადებელი სახელწოდებაა, რომელიც აერთიანებს როგორც ნამარხ, ისე ამჟამად მცხოვრებ ფორმებს. მათი ნამარხი, ძელოვანი ნაშთები მიკვლეულია აფრიკაში, აზიაში, ევროპაში, ორივე ამერიკასა და ავსტრალიაში. პალეონტოლოგიური მასალებით ყველაზე არქაული ფორმების აბსოლუტური ასაკია 100000 წელი. ნეოანთროპებში ხშირად შეჰყავთ კრომანიონელები. ეს უკანასკნელები, როგორც ჩანს, წარმოიშენენ პალეოანთროპების პოპულაციებისაგან, რომლებიც გავრცელებულები იყენენ 35000-10000 წლის წინანდელ ევროპაში. წინამორბედი ფორმებისაგან განსხვავდება ტენის დიდი მოცულობით, კარგად განვითარებული და სწორი შუბლით, მკაფიოდ გამოხატული ნიკაპითა და წარბზედა რკალის (თვალბუდის) უქონლობით. ამ ადამიანებმა შექმნეს გვიანი პალეოლითის კულტურა, რაც გამოიხატება სხვადასხვა სირთულის ქვის, ძვლის იარაღებისა და სამკაულების დამზადებაში, სამკაულების, კლდისა და მღვიმურ მხატვრობაში.

ადამიანის რაობის სიღრმისეულად გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ, თუ ვინ არიან საერთოდ პრიმატები, ამისთვის კი უნდა „გადავსახლდეთ“ 75 მილიონი წლის წინანდელ წარსულში.

პრიმატების ისტორია

როგორც ითქვა, სიტყვა პრიმატი ლათინურ ენაზე „პირველს“ ნიშნავს. მისი ავტორია კარლ ლინე (1758). ცხადია, ჯერ კიდევ ლინეს დროს მიმუხები ყველაზე განვითარებულ ძუძუმწოვრებად

მიანდათ. ეს ცხოველები პლაცენტიანი ძუძუ-მწოვრების ერთ-ერთი ყველაზე ძველი ჯგუფია. როგორც ჩანს, წარმოიშენენ ამ ინფრაკლასის პრიმიტიული წარმომადგენლების – მწერიკამიებისაგან (ამჟამად, ამ რიგიდან შემორჩენილ ფორმებს მიეკუთვნება ზღარბი, თხუნელა და ა.შ.). უკანასკნელებს გამოუყენენ 100-70 მილიონი წლის წინათ (შუა და გვიანი ცარცული პერიოდი). დღემდე ცნობილი ნამარხი მასალების მიხედვით უნდა წარმოშობილიყვნენ აზიაში (ყველაზე პრიმიტიული ფორმები მონღოლეთშია მიკვლეული). არსებობს სხვა მონაწილეებიც, რომლის თანახმადაც უძველესი ნამარხი პრიმატის – *Purgatorius ceratops* – ნაშთი 70 მლნ წლისაა. იგი აღმოჩენილია ჩრდილო ამერიკაში (მონტანა, ზედა ცარცულ ნალექებში). აქედან ცარცულ პერიოდშივე განსახლდნენ ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და, ალბათ, ამ პერიოდის მიწურულისათვის აფრიკაშიც. პალეოცენში (65-54 მლნ წ.) დასაბამი მისცეს თანამედროვე ნახევრად მაიმუნებს. ეოცენში (54-38 მლნ წ.) პრიმიტიული გრძელტერფიანებისაგან, როგორც ჩანს, განვითარდნენ ადამიანისმაგვარი პრიმატები. ამჟამად მათი რიცხვი 200-მდე სახეობას აღწევს.



სურ. 35. გრძელტერფა – ნახევრად პრიმატი, რომლის მსგავსებიდან განვითარდნენ პრიმატები.

ნახევრად მაიმუნების თანამედროვე ფორმები ცხოვრობენ აფრიკის, მადაგასკარისა და აზიის ძირითადად ნოტიო ტროპიკულ ტყეებში. ესენია: ლემურები, ლორი, გალაგო, გრძელტერფა და ტუპაია. მათ ევოლუციურ აყვავებას ადგილი ჰქონდა პალეოცენ-ეოცენში. ამ დროს ხლებოდა ამ ცხოველთა ახალი სახეობების წარმოშობა და ამოწყვე

ტაც. საწყისი ფორმები, სავარაუდოა, ნიდაგური ფორმები იყვნენ, მაგრამ დაახლოებით 60 მილიონი წლის წინათ წარმოშობილმა სერიოსულმა კონკურენტებმა – მღრღნელებმა – აიძულეს გადასულიყვნენ ცხოვრების მეჩუერ წესზე. ახალმა საცხოვრებელმა გარემომ მნიშვნელოვნად შეცვალა ნახევრად პრიმატთა აგებულება: მწერების დასაქუცმაცებლად ვარგისი წერილი და მსხვილი კბილები შეიცვალა ნაყოფისა და ფოთლების დამუშავების უნარის მქონე ფართო უკანა კბილებით, კიდურები – ხის ტოტებსე ხტუნვისა და ცოცვის შეგუების შესაბამისად, თვალები გადაადგილდა თავის წინა ნაწილში და შეიძინა ერთი და იმავე საგნისადმი ფოკუსირების უნარი, ამ სიახლემ კი გააადვილა ხიდან ხეზე გადახტომის სისუსტე და მწერებსე ან წერილ ქეწარმაელებზე ნადირობა.

დაახლოებით 30 მილიონი წლის წინათ (შუა ოლიგოცენში) ნახევრად მაიმუნებმა იწყეს პოხიცის დათმობა (დღეს სულ 22 სახეობა შემორჩა). მათი შევიწროება მოხდა ორი მიზეზით – ჩრდილოეთ ნახევარსფეროში დაწყებული აციეებისა და მათგან გაყოფილი – ნამდვილი მაიმუნების მხრივ შექმნილი კონკურენციის გამო.

ნამდვილი მაიმუნების პრიმატების მრავალრიცხოვანი ჯგუფია (დღეისათვის მასში გაერთიანებულია 180-მდე სახეობა). წარმოიშენენ გვიან ცარცულ პერიოდში (70 მლნ წ. წინათ). უძველესი პრიმატების პირველი ნამარხები აღმოჩენილია ჩრდილოეთ ამერიკაში. 70-40 მილიონი წლის ინტერვალში გრენლანდიის გზით, რომელიც მაშინ ტყეებით იყო დაფარული და ორ კონტინენტს აკავშირებდა, განსახლდნენ ევროპაში. ზომები მერყეობდა თავიდან კატის სიგრძის ჩათვლით.

თანამედროვე მაიმუნებისათვის დამახასიათებელია წინა ტენის დიდი ჰემისფეროები, ხშირად იქ განთავსებული ნახევეებითა და ღარებით. თითებზე ბრკეალებს ცვლიან ფრჩხილები. გამოყოფენ ფართოცხვირა (ცხვირზე ნესტოები განივადაა მონართული) და ეიწროცხვირა (ნესტოები ადამიანივით ერთმანეთთან ახლოს მდებარეობენ) მაიმუნებს. პირველები სამხრეთ ამერიკაში ბინადრობენ და მხოლოდ მეჩუერი ფორმები არიან. მეორე ჯგუფი ამჟამად აფროეერაზიაში მცხოვრები ფორმებია. ეიწროცხვირიანების ზეოჯახი *Hominioidea*-ს ერთ-ერთი ევოლუციური შტო განვითარდა და დასრულდა თანამედროვე ადამიანით.

უმალღეს მაიმუნთა ევოლუცია იწყება ჩრდილოეთ ამერიკაში, ანდა ეერაზიაში დაახლოებით 40 მილიონი წლის წინათ. მოძრაობაც განსხვავებული ახასიათებთ – ზოგიერთი ოთხ ფეხზე დადის, სხვები კი ტოტებს ეჭიდებიან ხელებით, ყუხებით, კუდით. მხოლოდ უკანა კიდურებსე გადაადგილება შეუძლია ადამიანს. უმრავლესობას კედი აქვს, რომელიც სხეულზე გრძელია, მხოლოდ ადამიანისმაგვარი ფორმები და თვითონ ადამიანი უკუდო პრიმატები არიან.

უკუდო ფორმებში კიდურთა თითები უფრო გრძელი და განვითარებულია, რის გამოც უკეთესი ეჭიდებიან საგნებს. უმაღლეს მაიმუნებში არსებული ამ განსხვავებების პარალელურად საერთო ნიშნებსაც ეხედავთ. უმეტესობას გამართული ჯდომის უნარი შესწევს. სხეულის ასეთი პოზა უთავისუფლებს ხელებს საგნების დასაკაეებლად. საგნის დაჭერას კი უსრუნველყოფენ ფეხისა და ხელის დიდი (კურა) თითები. თავსე სახის ნაწილი, როგორც წესი, შემცირებულია, სამაგიეროდ, თვალეზა გაზრდილი და წინ მიმართული, ამასთან, თვალეზი მოთავსებულია თვალის დამცავ ბუდეში. მომრგვალო ქალა იცავს ტვინს, ეს უკანასკნელი ნახევრად მაიმუნებთან შედარებით უფრო განვითარებულია. ტვინის ის ნაწილი, რომელიც ემსახურება ყნოსვას, შემცირებულია, მაგრამ სხევი – პასუხისმგებელი მხედველობასა და სიტუაციების გარკვევაში – პირიქით, გაზრდილია. კბილები ყველაფრისმჭამელობასთან არის შეგუებული – საძირე, გაფართოებული კბილები დაბალი ბორცვებით (მოლიარები) უსრუნველყოფენ საკვების სრულ დაჭუცმაცვებას, მსხვილი ეშვებით შეუძლიათ საზრდოს დაგლეჯვა. ანთროპოიდებს მხოლოდ ერთი წყვილი სარძევე ჯირკვალი აქვთ და აუცილებლად მკერდზე. დამახასიათებელია ხანგრძლივი ფეხმძიმობა და ასეთივე სიცოცხლე.


ყველაზე ადრეულ ეიწროცხვირიანთა სამშობლო სამხრეთი აზიაა, შემდეგ აზიის ამ რეგიონიდან ფართოდ გაეცვლებიან კვალდაკვალ, მათ გამოეყენენ ახალ-ახალი ფორმები წარმოშობის მეორეული ცენტრებით აფრიკასა და მთელს აზიაში. რაც შეეხება ადამიანისმაგვარ მაიმუნებსა და პომინიდებს, მათი პირველადი სამშობლო, როგორც ჩანს, აფრიკაა. ადამიანისმსგავსები ამ მატერიკზე პირველად გამოეყენენ სხვა ეიწროცხვირიანებს ოლიგოცენის მიწურულს (26 მილიონი წლისათვის). ნამარხი მასალების მიხედვით წინაპარი ფორმა კატაზე დიდი არ უნდა ყოფილიყო. ბევრი მათგანი ამოწყდა.

პრიმატთა მრთი ჯგუფი ბაადამიანებს გზაზე

მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, თანამედროვე აფრიკული ადამიანისმაგვარი მაიმუნებისა და პომინიდების, მათ შორის ადამიანის საწყისი, წინაპარ ფორმას წარმოადგენს აწ გადაშენებული დრიოპითეკები („ხის მაიმუნები“). სპეციალისტები მათ აერთიანებენ ადამიანისმაგვარ მაიმუნთა ცალკე ქვეოჯახში – Dryopithecinae, ერთი გვართა და რამდენიმე სახეობით. ცხოვრობდნენ 26-7 მილიონი წლის წინათ (მიოცენი-პლიოცენის დასაწყისი). არეული მოიცავდა აღმოსავლეთ აფრიკას, სამხრეთ აზიასა და დასავლეთ ევროპას. როგორც ჩანს, წარმოიშენენ აფრიკაში, ხოლო ევრაზიაში გაეცვლდნენ პალეოოკეანე ტეთისის დაშრობის შემდეგ წარმოქმნილი სახმელეთო გზით.

ევროპაში დრიოპითეკთა პირველი ნამარხი ნაშთები ცნობილია 12 მილიონი წლის წინათ. ამ კონტინენტზე ყველაზე გვიანდელ (9,6 მლნ წ.) ნამარხ ფორმად მიაჩნდათ D. laietanus ესპანეთიდან, მაგრამ ბოლო დროს გაკეთებული რევიზიით, აღმოსავლეთ საქართველოში (დავითგარეჯი) 50-იან წლებში ბურჩაქ-ბრამოიჩისა და ე. გაბაშვილის მიერ მოპოვებული ანთროპოიდის განათხარი ფორმა მიეკუთვნა არა გეარ უდაბნოპითეკს (როგორც ეს ადრე იყო ცნობილი), არამედ დრიოპითეკს. ვინაიდან მისი ასაკი შეფასებულია 8-8,5 მილიონი წლით, ამასთან, ყველაზე პატარა ზომისაა, ქართველ სპეციალისტთა აზრით, მისი პოპულაციაც მიეკუთვნებოდა ევროპის ტერიტორიაზე შემოჩენილ რელიქტურ დრიოპითეკებს, ხოლო დავითგარეჯის იმდროინდელი საეანის, ანდა თანამედროვე, ჩრდილო ინდოეთის მუსონური ტყე – ტყესტეპის ტიპის ლანდშაფტები, დასახლებული პიკერმულ-პიპარიონული ფაუნით (გარეული ცხენები, მარტორქები, ჟირაფები, ანტილოპები, ჰიენები...), დრიოპითეკის უკანასკნელი თავშესაფარი (რეფუგიუმი) უნდა ყოფილიყო.

დრიოპითეკთა სოვიერთ სახეობას უკვე გააჩნდა შიმპანზესა და გორილასათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. დრიოპითეკების შტოს გორილა გამოეყო დაახლოებით 10 მილიონი წლის, ხოლო შიმპანზე – 6 მილიონი წლის წინათ. ადამიანისებრთა ოჯახთან ყველაზე ახლოს დგას დარვინის დრიოპითეკი (*Dryopithecus darvini*).



სურ. 36. რამაპითეკი.

„ხის მაიმუნები“ გარემოს მიმართ ნაკლებად სპეციალიზებულიები – ნახევრად ნიადაგის, ნახევრად მეხეური ფორმები იყვნენ. კბილების აგებუ-

ლებით ნაყოფსამები უნდა ყოფილიყვნენ. შორეული წინაპარი ფორმებიდან გადადამიანების გზაზე ყველაზე საინტერესო გვარია რამაპითეკი – Ramapithecus. ვინაიდან მისი ნამარხი ძვლების ნარჩენები პირველად (1934) ჩრდილო ინდოეთში, სივალის გორაკებზე იქნა აღმოჩენილი, მას ინდოელთა ღვთაების – რამას სახელი უწოდეს. რამაპითეკის ნამარხის 2 სახეობა მიეკუთვნება აზიაში (პაკისტანი, ინდოეთი, თურქეთი), ევროპაში (საბერძნეთი, უნგრეთი) და აღმოსავლეთ აფრიკაში (კენია). აბსოლუტური ასაკი განსაზღვრულია 14-7 მილიონი წლით. სიმადლე არ აღემატებოდა 120 სანტიმეტრს, სახე ბრტყელი ჰქონდა. ჩონჩხის აგებულება მეტყველებს მათ უკანა კიდურებზე გამართულ სიარულის უნარზე. გავრცელებულები იყვნენ ნათელი ტყით დაფარულ დაბლობებში, საკვებს მოიპოვებდნენ ჯოჯობისა და ქვების დახმარებით. ყველა ამ ნიშან-თვისების გამო, რამაპითეკი აღიარებულია იმ ევოლუციური ხაზის წინამორბედად, რომლისგანაც წარმოიშვა ადამიანი.

მსგავსი ფართო არეალი ადასტურებს რამაპითეკის ბიოლოგიურ აღმავლობასა და კიდევ ერთხელ ბადებს კითხვას – ხომ არ შეიძლებოდა ადამიანის შორეული წინაპარი წარმოშობილიყო არა აფრიკაში, არამედ, ვთქვათ, ისევე ტროპიკულ აზიაში? როგორც ჩანს, მაინც არა. საქმე ის არის, რომ კენიაში (ფორტ-ტურნანე) 1962 წელს ლუის ლიკის მირ მოპოვებული რამაპითეკის ნამარხი მასალები 14 მილიონი წლით არის შეფასებული. თვითონ ლიკიმ პალეოანთროპოლოგი უმარაგესობა ამ პრიმატს რამაპითეკის პრიმიტიულ ფორმად მიიჩნევს. ინდოეთის მასალა დათარიღებულია არაუმეტეს 12 მილიონი, ხოლო მცირე აზიური და ევროპული – 7-9 მილიონი წლით. გარდა იმისა, რომ აფრიკული რამაპითეკი ყველაზე „ხანდასმულია“, იგი აღმოჩენილია ყველაზე ძველი ავსტრალიპითეკების გავრცელების რაიონში. შესაბამისად, ორფეხა არსებობა საწყისი ფორმების ევოლუციის ყველაზე რეალურ ადგილად მაინც აფრიკა რჩება. მილიონი წლების განმავლობაში, რამაპითეკს თავისუფლად შეეძლო გავრცელებულიყო აფრიკიდან ევროპაში, ინდოეთსა და სხვა ადგილებში. სანამ ევრაზიის სხვა რეგიონებში არ იქნება მოპოვებული ავსტრალიპითეკის მსგავსი არსებები, პომინიდთა წარმოშობის ცენტრად აფრიკა იქნება აღიარებული, ე.ი. ის კონტინენტი, სადაც ამჟამად აღმოჩენილია ნამარხ პომინიდთა ყველა გარდამავალი ფორმა და სადაც ამჟამად ბინადრობენ პრიმატებს შორის ადამიანის ყველაზე ახლო მონათესავე სახეობები – შიმპანზე და გორილა.

ამგვარად, ზემოთ წარმოდგენილი საკმაოდ ერიცხული პალეოანთროპოლოგიური მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ რამაპითეკების სახით, პროტოავსტრალიპითეკები ადამიანისმაგვარ მაიმუნებს გამოეყვნენ მინიმუმ შუა მიოცენში, 15-14 მილიონი წლის წინათ (რამაპითეკების ავსტრა-

ლიპითეკებთან ასეთი მსგავსების გამო, სოციოგორ ანთროპოლოგს იგი პომინიდების ოჯახში შეჰყავს).

ორფეხა არსებობა ევოლუციის ძროწიკა.

„ადამიანმაიმუნებო“ – კომპლუტა ნამდვილი ადამიანების წარმოშობის წინ

დღევანდელი მონაცემებით, დაახლოებით 5-7 მილიონი წლის წინათ ადამიანისმაგვარი მაიმუნების ერთი ჯგუფიდან (როგორც ითქვა, ალბათ, ეს იყო რამაპითეკი), აფრიკაში გამოიყო და განეთარდა ორ ფეხზე მოსიარულე პომინიდები. გადაადგილების ბიპედურმა წესმა, მოძრაობის ფუნქციისაგან ხელეობი სრულიად გაათავისუფლა და შესძინა იარაღის გაცილებით ინტენსიურად გამოყენების უნარი, კიდევ უფრო განუვითარა თავის ტვინი. ასე ჩამოყალიბდნენ ორფეხა პომინიდები, რომლებსაც, როგორც ითქვა, ანთროპოლოგები აერთიანებენ ცალკე ტაქსონომიურ ერთეულში – ტრიბა Hominini-ში.

უახლესი ლიტერატურის მიხედვით (I. Tattersall, 1993 (წინასიტყვაობა D. Johanson-ისა), J.I. Lunine, 1999; I.S. Monroe, R. Wicander, 1999; G. Berillon et al, 1999 და ა.შ.) გარკვეული ცვლილებებია შეტანილი როგორც პომინიდთა სისტემატიკაში, ისე მათი ცალკეული წარმომადგენლის წარმოშობის ქრონოლოგიაში (იხ. ცხრ. №1).

ბოლო დროს, რამაპითეკის საფეხურის – ორფეხა პომინიდების ევოლუციური შტოს დამფუძნებელი ფორმის გაგებით, ე.ი. ტრიბა Hominini-ის პირველ სახეობად მიიჩნევენ Ardipithecus ramidus-ს („შიმპანზეს მსგავს“ არსებას). როგორც ითქვა, ამ პირველი პომინიდის არსებობა თარიღდება 4,4-5,8 მილიონი წლით. მისი ყბისა და ქალას ფრაგმენტები ატარებენ ადამიანისმაგვარი მაიმუნების ნიშნებს, მაგრამ დეტალებში განსხვავებულია შიმპანზესა და გორილასაგან.

როგორც ჩანს, 6-4 მილიონი წლის წინანდელ და, შესაძლებელია, უფრო ადრე ინტერვალში, კლიმატურმა ცვლილებებმა (გამშრალება) აიძულა პომინიდების პიონერული ფორმა აფრიკის ტყისპირა გარემოდან საცხოვრებლად გასულიყო საეპინის ლია ლანდშაფტში. ამ ხნის განმავლობაში, ცენტრალური, სამხრეთი და, მით უმეტეს, ტროპიკული აღმოსავლეთი აფრიკის დიდი რიფტული რეჟევის რაიონის ფრიად დანაწევრებულ ლანდშაფტებში მოხდა პომინიდთა ანცესტრალური (წინაპარი) ფორმიდან გამოყოფილ ავსტრალიპითეკთა და პარანთროპთა ფრიად წარმატებული ადაპტური ევოლუცია. აღნიშნულზე მეტყველებს ჯგუფში, გეოლოგიური დროის მოკლე პერიოდში, 8 სახეობისა და 2 გვირის ფორმირება.

Australopithecus anamensis-ი ყველაზე ახლოს დგას A. afarensis-თან, ხასიათდება ამ უკანასკნელთან შედარებით უფრო პრიმიტიული ნიშნებით. როგორც ითქვა, არსებობდა 4,2-4 მილიონი წლის წინანდელ ინტერვალში.

№	წინაისტორიული ალამიანები (გვარი, სახეობა, ქვესახეობა)	არსებობა მდნ წლის წინათ	ტვინის კოლოფის მოცულობა სმ ³	პირველი აღმოჩენის თარიღი და ადგილი, საერთო არეალი, ავტორი	მოკლე დახასიათება
1.	Sahelanthropus tchadensis	7,0	320-380	2002, ჩადი, ცენგრ. აფრიკა. Brunet M. და სხვ.	ახასიათებს მოზაიკური ევოლუ- ცია – მიომუნის (მიმპანზის) ანატ. ნიშნებიცა და ყველაზე განვითარებული ავსტრალიოპითეკების ნიშნებიც.
2.	Orrorin tugenensis	6,0	?	2001, კენია, ტუგენ ჰილსი, აღმ. აფრიკა. Senut B. და სხვ.	ვერტიკალურად მოსიარულე.
3.	Ardipithecus ramidus	4,4-5,8	?	1994, ეთიოპია, არამისი, აღმ. აფრიკა, White T. და სხვ.	თანმხვედრი ფუნით დგინდება მისი ტყის ლანდშაფტში არსებობა, მამასადამე, ჰომინიდებმა ბიპედლიზმი შეიძინეს საეანაში გაერყელებამდე.
4.	Australopithecus anamensis	4,2-4		1994, კენია, ადგილი კანაპოი, ალია ბეი, ტურკანას ტბასთან, აღმ. აფრიკა, Leakey M. და სხვ.	კბილვითა და ყბით წააგავდა თანამ. მიმპანზეს, ღილი წვივის ძვალი და მზრის ძვლებით თანამ. ალამიანებს, ახლოს დგას A. afaren- sis-თან, თუმცა ხასიათდება უფრო პრიმიტიული ანატ. ნიშნებით.
5.	A. afarensis	4,1-3,0	400-500	1974, აფარის სამკუთხედი, აღენის ყურესთან, ადგილი ჰადარი, ეთიოპია. აღმ. აფრიკის ვრცელ ტერიტორიაზე. Johanson D.	ლუსი. მისგან იყოფა ჰომინიდთა ორი დედაგოგო: 1. გრაიოომული, საიდანაც განვითარდა Homo და 2. მასიური, ანუ პარანთროპთა ჩიხური შტო.
6.	A. (Paranthropus) aethiopicus	2,6-2,5	420	1985, ეთიოპია, ომო, ტურკანას ტბა, აღმ. აფრიკა. Walker A. და სხვ.	ამ სახეობისგან უნდა განშტოებულიყვნენ პარანთროპები.
7.	A. africanus „მისის პლეისი“	3,5 ან 2,5	430-550	1925, ტაუნგი, სამხრ. აფრიკა. Dart R.	ლუსის შთამომავალი, ზომა-წონით, თაყის ტვინით აღემატებოდა ლუ- სის. მისგან უნდა განშტოებულიყო Homo-ს გვარი.
8.	A. bahrelghazeli	3,5-3	?	1995, ჩადი, ადგილი კორტორო, ცენგრ. აფრიკა. Brunet M. და სხვ.	ეს სახეობა ადასტურებს ავსტრა- ლოპითეკთა უფრო ვრცელ ტერი- ტორიაზე გავრცელებას, ვიდრე ამას აღრე ფიქრობდნენ.
9.	A. garhi	2,5-?	?	1999, ჰატა, ეთიოპია. Asfaw B. და სხვ.	ითვლება ადრეული Homo-ს წინაპრობის ერთ-ერთ კანდიდატად.
10.	Paranthropus robustus	2,2-1,5	500-550	1938, იოჰანესბურგთან (კრომდრააი) სამხრ. აფრიკა. Broom R.	ყველა ავსტრალიოპითეკი და პარანთროპი ფაქტობრივად ვეგეტარიანელები იყვნენ, ახასიათებლათ მღერსა და მამრებს შორის ზომებში მკვეთრი განსხვავება.
11.	P. boisei	2,2 ან 1,4- 1,2	475-530	1959, ოლდუვაის ხეობა, განზანია, აღმ. აფრიკა. Leaky M., Leaky L.	ყველაზე გიგანტური ფორმა (165 სმ; 90კგ) ორ მონათესავე გვარში.

12.	Homo habilis („მარჯვე ადამიანი“)	2,4-1,4	520-700	1960, ოლდუვაის ხეობა, ტანზანია, აღმ. აფრიკა. აღმ-ის ამჟამინდელი არეალი: აღმ. და სამხრ. აფრიკა. Leaky M., Leaky L. და სხვ.	გააჩნდა ავსტრალოპითეკზე დიდი ტვინი და უფრო პატარა კბილები. პომინიდებიდან პირველმა დაამზადა იარაღი.
13.	H. rudolfensis	2,4-1,6	750-875	1972, კენია, კობოი ფორა, ოლდუვაი, მალაი, აღმ. აფრიკა. Leaky R.	H. habilis-თან შედარებით გააჩნდა უფრო მრეკალი და დიდი ზომის ტვინის კოლოფი, თანაარსებობდა ავსტრალოპითეკთან.
14.	H. ergaster („მშრომელი ადამიანი“)	1,8-1,5	750-850	1994, კენია, ტურკანას ტბის დას. სანაპირო, აფროფერაზია. ალბათ, პირველი განსახლდა აფრიკიდან. Kamaya Kimciu	ამ ტაქსონს აკუთვნებენ უძველეს აფრიკულ H. erectus-ებს, უფრო გვიანდელ აფრიკულ ნამარხებს კი კლასიკურ ერექტუსებში გოებენ.
14.1	H. ? georgicus (ერვასტერის დმანისური ფორმა)	1,8-?	600-775	დმანისი, აღმ. საქართველო. L. Gabunia et al, 1991-2002 წწ.	ასლოს დგას აფრიკულ H. ergaster-თან; ამ მონაპოვითი დასტურდება, რომ წინაადამიანი აფრიკიდან ევრაზიაში უნდა განსახლებულიყო ?2-1,8 მლნ წ. წინათ.
15.	H. erectus („გამართული ადამიანი“)	1,8(?1,9)-0,3	850-900; 900-1050	ბოლო ხანს ანსხეაებენ აფრიკულ და აზიურ ერექტუსებს. პირველი მონაპოვარი ცნობილია 1891 წ., ნამარხი იაეადან. Dubois E.	არსებობს მოსაზრება, რომ ტაქსონი H. erectus უნდა გაეკმდეს და გაერთიანდეს H. sapiens-თან. Homo-ებიდან პირველმა ისწავლა ცეცხლის მოპოვება (14 მლნ წ. წინათ), გადავიდა ქვის იარაღის დამზადების უარყო ინდუსტრიაზე.
16.	H. heidelbergensis	0,6-?	800-1000	პომინიდებიდან პირველი მონაპოვარი ევროპაში, ქ. ჰაიდელბერგთან, 1927 წ.	ნეანდერტალეზე უფრო პრიმიტიული ფორმაა.
17.	H. neanderthalensis	0,23-0,03	აღწევადა 1740 სმ ³ -აუ	1856, ნეანდერტალის ხეობა, ევროპა, სამხრ.-დასავლეთი აზია, მისი კვალი შემორჩენილია საქართველოშიც. დროსა და სიერცეში სიმპაგრიტებდნენ თანამ. ადამიანთან. Fulrott I.	შესაძლოა ვანეითარდნენ ჰაიდელბერგელი ადამიანისაგან; ფიზიკურად ახლანდელ ესკიმოსებს ჰგავდნენ; ახასითებდათ უხეში, მკვარამ დანაწევრებული მეტყეველება. თანამედროვე ადამიანისაგან განსხეაედებოდნენ გენოში.
18.	H. sapiens („გონიერი ადამიანი“)	?0,3-0,1	1200-1600 (სამუალოდ 1400)	აფროფერაზია	იყოფიან არქაულ და უფრო გვიანდელ საპენსებად. სახეზე შეეცირდა კუნთები, გამოეკეთა ნიკაბი, წაეშალა წარბებდა რკალები.
19.	Homo antecessor	0,8-?	?	1996, გრან-დოლინა (ესპანეთი). Bermudez de Castro	ესპანელი ავტორების მოსაზრებით ეს სახეობა ნეანდერტალეთა და თანამ. ადამიანის საერთო წინაპარს წარმოადგენს. ჯერჯერობით ეს ამრი სდადოლ რჩება.
20.	Homo sapiens sapiens („ანატომიურად თანამედროვე ადამიანი“)	?0,15-0,1	1200-1600	გეოგრაფიულ სიერცეში ამ ქვესახეობის წარმოშობის 2 თეორია არსებობს (იბ. ტექსტი), მოპოვების პირველ კუნტებად შეიძლება ჩაითეალოს კრო-მანიონი (საფრანგეთი), 1868 წ.	ორმაგი ბუნების-ბიოლოგიური და კულტურული-მქონე არსება; შემეცნების უნარის გამო შეუძლია გაანალიზოს წარსული და მომავალი.



სურ. 37. *A. afarensis* („ლეუი“),
ნატურალური ზომის სკულპტურა
(ვენევის ბუნების ისტორიის მუზეუმი).



სურ. 38. *A. africanus*-ი და მისი საბინადრო გარემო;
რეკონსტრუქცია (ვენევის ბუნების ისტორიის მუზეუმი).

გრაციოზული აგებულების ფორმებიდან, ბოლოდროინდელი დათარიღებით, აფარის ავსტრალოპითეკის (*A. afarensis*) ნამარხი ნაშთების აბსოლუტური ასაკი გადაფასებულია 4,1 მილიონი წლიდან 3,0 მილიონ წლამდე. ხასიათდებოდა მომცრო ტანით (სიმაღლეში საშუალოდ აღწევდნენ 1,06-1,30 სანტიმეტრს), მცირე მოცულობის ტვინით (400-500 სმ³). როგორც ჩანს, არ ფლობდნენ მეტყველების უნარს. ახასიათებდათ გამართული სიარული. შეიცავდა შიმპანსეს ბევრ ნიშანს: მსხვილ წარბზედარკალებს, წინწამოწეულ ყბას, კბილების აგებულებით ეკავათ საშუალო მდგომარეობა შიმპანსესა და ადამიანს შორის. დიდ ოჯახებად შეკრებილები აგროვებდნენ მცენარეულ საკვებს – ძირითადად ნაყოფებსა და მათ თესლებს. არ მისდევდენ იარაღით ხელში აქტიურ ნადირობას და მცენარეულ

საკვებს ახმარდნენ შვერუების გზით შედარებით იოლად მოსაპოვებელ ცხოველურსაც.


მეორე გრაციოზული ფორმა – აფრიკული ავსტრალოპითეკი (*A. africanus*) – ტანით აფრიკელი ბუშმენის ტოლი იყო (სიმაღლეში მერყეობდა 12-14 მეტრის, წონაში – 35-40 კილოგრამის ფარგლებში), ხელები ჯერ კიდევ შედარებით გრძელი ჰქონდა. ტვინის კოლოფის მოცულობით (430-550 სმ³) აღემატებოდა აფარულ ფორმას. იარაღს არც ეს სახეობა ამზადებდა. ახალი მონაცემებით, აფრიკანუსის ქალას სხვადასხვა ნამარხი ფრაგმენტები დათარიღებულია 3,5 ან 2,5 მილიონი წლებით.

სამხრეთ აფრიკის მასიური ავსტრალოპითეკი (პარანთროპი) (*P. robustus*) გრაციოზულთან შედარებით გამოირჩეოდა უფრო დიდი ზომით, ძლიერი აღნაგობით, სიმაღლით აღწევდა 1,5 მეტრს, წონით – 70 კილოგრამს, ტვინის მოცულობა შეადგენდა 500-550 სმ³. მასიური ყბები და მსხვილი კბილები მოწმობს, რომ იგი იკვებებოდა მაგარი, უხეში საკვებით, მეტწილად მარცვლოვან მცენარეთა თესლით. არსებობდნენ 2,2-1,5 მილიონი წლების ინტერვალში. აღმოსავლეთ აფრიკიდან ცნობილია ყველაზე გიგანტური ფორმა – ბოისის სემასიური ავსტრალოპითეკი (*P. boisei*). მისი სიმაღლე უნდა ყოფილიყო 1,65 სანტიმეტრი, წონა – 90 კილოგრამი, წარმოიშენენ 2,2, ხოლო ამოწყდნენ დაახლოებით 1,2 მილიონი წლის წინათ.

ყველა ავსტრალოპითეკის მდებარი ინდივიდი ზომებში მამრებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა, ახასიათებდათ სქესობრივი დიმორფიზმის



სურ. 39. *A. africanus* – რეკონსტრუქცია.



სურ. 40. *P.(A.) robustus*-ი და მისი საბინადრო გარემო; რეკონსტრუქცია (ვენევის ბუნების ისტორიის მუზეუმი).

სხვა გამოსატყულებანიც.

ამგვარად, აღმოსავლეთსა და სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები ავსტრალოპითეკიდან ორი-სამი სახეობა ქრონოლოგიურად და შესაძლებელია ტერიტორიულადაც გვერდი-გვერდ ცხოვრობდნენ. ე. ი. დროსა და სივრცეში სიმპატრიზმდნენ.

ამჟამად ავსტრალოპითეკის საცხოვრებელ არეალსა და წარმოშობა-განვითარების ქრონოლოგიაზე საკმაოდ მდიდარი მასალა დაგროვდა, ამიტომ ჩვენსა და ამ პრიმატებს შორის არსებული თითქმის ხუთმილიონწლიანი უფსკრულის მიუხედავად, სპეცილისტები საკმაოდ დამაჯერებლად აღადგენენ მათ საცხოვრებელ გარემოს, არსებობისათვის ბრძოლის მათებურ წესსა და რუდუნებას. პალეოსურათის ამ რეკონსტრუქციაში ყველაზე არსებითია ის ფაქტი, რომ ავსტრალოპითეკი უკვე აღარ არის მაიმუნი, თუნდაც ადამიანის მსგავსი. „გარდამავალი რგოლი“ – აი, სტატუსი, რომელიც ყველაზე უკეთ მიესადაგება ამ ორფეხა პომინიდას!

წარსულის სურათის განახლებაში ხელს გვიწყობს აფრიკის საუბანების მდინარეებითა და ტბებით წარმოდგენილი რიგი რაიონები, რომლებიც დღემდე ნაკლებად, მაგრამ მაინც შეიცვალნენ. ხანმოკლე, ტროპიკული დაისისა და აისის ჯამს იქ შექმნილ პეიზაჟებს ისეთივე სახით გაჟურებდა 2-5 მილიონი წლის წინათ მცხოვრები „სამხრეთის მაიმუნი“, როგორც თანამედროვე აბორიგენი. როგორც ჩანს, ლუსი, თუ მასზე განვითარებული ფორმები ცხოვრობდნენ ჯერ ტროპიკული ტყეების განაპირა, ევლოპების მსგავს ადგილებში, შემდეგ – სტეპის, უფრო ტყე-პარკის ტიპის საფანის გაშლილ ბუნებრივ საფარგულებში, მაგრამ, ახლო-მასლო, თუნდაც ერთი

დღის საეალ გზაზე აუცილებლად უნდა პქონოდათ სასმელი წყალი. ცხოვრობდნენ ჯგუფებად, 10-50 ინდივიდის სახით. კანი, ალბათ, მუქი ფერისა პქონდათ, ხოლო სხეული არახშირი ბეწვით უნდა პქონოდათ დაფარული. სახე კი, წინგამოწეული, დიდად არ განსხვავდებოდა მაიმუნისაგან. ჯგუფში იყვნენ მამაკაცები, ქალები, მოზარდები; ძუძუთა ბავშვებს დედები ხელით ატარებდნენ. დადიოდნენ სხარტად. ასეული თავისაგან შემდგარი ანტილოპების, ზებრების, ეირაფებისა და სხვათა საზოგადოებაში აუქარებლად დაეძებდნენ საკვებად ვარგის მცენარეთა ნაწილებს, ხელიდან არ უშვებდნენ შემოხევეას, პირი ჩაეგემრიელდინათ სირაქლემას ან სხვა ფრინველთა დადებული კვერცხებით, ბარტყებით, კუს, ხელიკის ხორციით. შემგროვებლობა მათეული ნადირობის მთავარ საქმეს წარმოადგენდა.



სურ. 41. *P.(A.) boisei*-ს თავის ქალა (კენის ეროვნული მუზეუმი, ნაირობი).



სურ. 42. ავსტრალიელები კველასზე
სწირად ლეოპარდის მსგავსი მტაცებლების
მსხვერპლნი ხდებოდნენ (რეკონსტრუქცია).

რეულ, ეშვებით ქალაგახერტილ თანამომქსაც
თანაუგრძნობდნენ, მაგრამ თავის დაცვაც სანა-
ქებოდ შეეძლოთ – ხის კომბლებით, ნადირის მსხ-
ვილი ძელებით, ქვებით შეიარაღებულები, ხელების
ქნევით, მძვინვარე შეძახილებითა და კვირილით
ლომსაც აიძულებდნენ უკან დაეხია. ცალკეულ ბგერ-
ებს კი გამოსცემდნენ, მაგრამ ტვინის მცირე
მოცულობა და ქალას აგებულება ანთროპოლო-
გებს არწმუნებს, რომ მეტყველების უნარი არ ჰქონ-
დათ. თანამომქვებს სათანადო განსრახვას სხე-
დასხვა ტონალობის ბგერებით აგებინებდნენ.
ურთიერთკონტაქტისას არანაკლები მნიშვნელობა
ჰქონდა ეესტებსა და სახის გამოჩეყვებებს, მი-
მიკას.

ავსტრალიელები ფიზიოლოგია თანდათანო-
ბით იცვლებოდა – ფერტილური ასაკის მდედ-
რებს დაფეხმძიმება შეეძლოთ ყოველთვიურად და
არა პრიმატებისებრად წელიწადში ან რამდენიმე წე-
ლიწადში ერთხელ. ვერც ძელოვანი მასალითა
და ვერც საცხოვრებელი გარემოთი ვერ ხერხდება
ჯგუფში მდედრებისა და მამრების ურთიერთობის
გარკვევა – ჰქმნიდნენ კი ავსტრალიელები მუდ-
მიე წყვილებს, თუ ყველაზე ძლიერი მამრი თავის
გარშემო იკრებდა ჰარემს? მაგრამ, დროთა განმე-
ლობაში, ადამიანთა საზოგადოებისათვის ესოდენ
დამახასიათებელი ოჯახური ურთიერთობის ტენ-
დენცია სულ უფრო მკაფიოდ იხატებოდა. იგივე




სურ. 43. ავსტრალიელების საბინადრო გარემო აფრიკაში; კენის
ეროვნული მუზეუმი, ნაირობი (რეკონსტრუქცია).

აწ გადაშენებულ სპილოს – დენიოთერისა, მარტორ-
ქასა და გარეულ კამეჩს მორიდებით უთმობდნენ
გზას. პრობლემას უქმნიდნენ მტაცებლები – ლომი,
ლეოპარდი, აფთარი, ხმალებილა ვეფხვი. არცთუ
იშვიათად, საეანის ამ აგრესორთა მსხვერპლი ხდე-
ბოდნენ და ლეოპარდის მიერ აკაციის ტოტზე ათ-

ითქმის შრომის განაწილების ტრადიციების წა-
სახეაუდაც. მამრები პასუხს აგებდნენ ჯგუფის
უსაფრთხოებაზე, მდედრები – ნაშიერთა მოვლა-
პატრონობაზე.

დამეს, ალბათ, საეანაში, აკაციების ფართოდ
დატოტვილ ხეებზე ატარებდნენ. ასე ყველაზე უკეთ



სურ. 44. *H. habilis*-ი და მისი საბინადრო გარემო; რეკონსტრუქცია (ვენევის ბუნების ისტორიის მუზეუმი).

იქნებოდნენ მტაცებლებისაგან დაცულები. მოგვიანებით, შეიძლება ეკლიანი ტოტებისაგან თავშესაფრის აგებაც ისწავლეს. ამგვარი არსებობა გაცილებით მოხერხებული იყო.

იარაღს, როგორც ჩანს, მასიური აესტრალოპითეკები (პარანთროპები) იყენებდნენ, მაგრამ მას სხვა (ქვა, ძვალი, რქა) იარაღით („ინსტრუმენტი“) არ ამზადებდნენ. ვინაიდან ძირითადად ვეგეტარიანელები იყვნენ, ამიტომ, შიმშილს მსგავსად, იარაღის სანადიროდ მუდმივად გამოყენებას არ საჭიროებდნენ.

დაახლოებით 2-2,5 მილიონი წლის წინათ, იარაღით შეიარაღებული ორფეხა არსება მტაცებლის როლში გამოვიდა. ის იყო აესტრალოპითეკის, როგორც იტყვიან, ხორცისა და სისხლისგან გაყოფილი პირველი ჰომო – მარჯვე ადამიანი. მასიური აესტრალოპითეკის ორივე სახეობა მთელი ერთი მილიონი წლის განმავლობაში უყურებდა, მისი გაცილებით უფრო სუსტი აგებულების, სამაგიეროდ, უფრო გონიერი და მოხერხებული ნათესავი როგორ ეწეოდა თავისებურ, მათგან განსხვავებულ ცხოვრებას. არ აქცევდა ყურადღებას, მის ხელში თუ როგორ უმჯობესდებოდა უცხო საგანი – ქვა და ჯოხი, აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მის თვალწინ ყალიბდებოდა დედამიწის ყველაზე მრისხანე მტაცებელი, თვითონ მისთვისაც იმჯერად ჩვეულებრივი კონკურენტი, შემდეგ – მიწის პირისაგან აღმგველი!

ადამიანის – ჰომოს – გვარი მუზა აუსტრალოპითეკებს

„უეჭველია, ჩვენ ვიპოვეთ ის, რასაც ეძებდით. ეს იყო ადამიანი, ანდა ადამიანის მსგავსი არსება, ყველაზე ადრინდელი, რომელიც კი ცნობილია მსოფლიოში“.

ლუის ლიკი

როგორც არაერთხელ ითქვა, *Australopithecus africanus*-ისაგან განსტოებული ჰომინიდების მეორე ხაზის – გვარი *Homo*-ს პირველი სახეობაა მარჯვე

ადამიანი – *H. habilis*. ჰომოს პირობაზე იგი იმდენად პრიმიტიულია, რომ ბევრი სპეციალისტი აესტრალოპითეკად მიიჩნევს. სიმადლით 1,5 მეტრამდე იზრდებოდა, სახე ჯერ კიდევ გამოირჩეოდა არქაული ნიშნებით – კქონდა წარბსედა რქალები, წინ წაწეული ყბები, მაგრამ თავი მომრგვალო კქონდა, ხოლო ტენის მოცულობა 700 სმ³-ს აღწევდა. არსებითი ანატომიური ნიშნებით ახლოს იდგა *A. africanus*-თან. არსებობდა 2,4-1,4 მილიონი წლის წინათ.

გარდა ქვის უადრესად პრიმიტიული, აგრეთვე ქვისა და ძვლის დანის მსგავსი მჭრელი იარაღებისა, „მარჯვე ადამიანმა“ დაიწყო სხვადასხვა საგნების დამამზადებელი პრიმიტიული „ინსტრუმენტების“ გამოყენება. სწორედ ეს იყო ის თვისებრივი სიახლე, რომლის მსგავსი დედამიწაზე სხვა არცერთმა არსებამ არ იცოდა და რამაც მისი გამოყენებული ორფეხა არსება ყველაზე ანგარიშგასაწევ მტაცებლად აქცია.

მარჯვე ადამიანის ფარგლებში ცალკე სახეობად გამოიყოფენ *Homo rudolfensis*-ს. როგორც აღინიშნა, მას მიეკუთვნება ტურკანას ტბასთან, აგრეთვე ოლდუვაის ხეობიდან და მალაიიდან მოპოვებული ნამარხები.

ადრე პლეისტოცენში მოხდა ორი მნიშვნელოვანი შემთხვევა – დროის შედარებით მოკლე ინტერვალში – 1,8-1,6 მილიონი წელი – განხორციელდა მარჯვე ადამიანის ევოლუციური ტრანსფორმაცია გამართულ ადამიანად – *Homo erectus*-ად. ამავე პერიოდისათვის ამოწყდნენ ნაკლებად კონკურენტუნარიანი აესტრალოპითეკები.

ზომით ჰომო ერექტუსი წინამორბედ ჰომინიდზე დიდია, თავის ტენის მოცულობა მერყეობს 850-1050 სმ³ ფარგლებში, მაგრამ თანამედროვე ადამიანისაგან განსხვავდება სახის მსხვილი ნაკეთებით, დიდი კბილებით, მკვეთრად გამოხატული წარბსედა რქალებით, ვიწრო შუბლით, უფრო სქელი ქალით. ჩონჩხის აგებულებაში ბევრია საერთო ამჟამინდელ ადამიანთან, თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავება შეიმჩნევა ბარძაყისა და მენჯის ძელებში.



სურ. 45. *H. erectus*-ი და მისი საბინადრო გარემო; რეკონსტრუქცია (ქენევის ბუნების ისტორიის მუზეუმი).

გამართულმა ადამიანმა გაცილებით გააუმჯობესა სანადირო ტექნიკა (ე.წ. აშელური ტექნიკა), ამ კულტურის უძველესი ნიმუშები აფრიკიდან დათარიღებულია 1,4-1,2 მილიონი წლით. საკვების დასამზადებლად გამოიყენა ცეცხლი და შესაძლებელია პრიმიტიულ ენაზედაც ლაპარაკობდა.

გარემოსთან შესანიშნავად შეგუებული, გამართული ადამიანი პირველი ჰომინიდი იყო, რომელიც გაერცვლა ჯერ თანამედროვე საპარის (როცა საპარის დიდი ნაწილი სავანას წარმოადგენდა) ჩრდილოეთით, შემდეგ კი აფრიკის მიღმაც.

ახალი მონაცემებით (განზოგადებული აქეთ დ. ლორთქიფანიძესა და ა. დე ლუმლეის, 2000), ბოლო დროს ასხეავენ აფრიკულ და აზიურ ერექტუსებს. ევროპაში ადრე მოპოვებულ ერექტუსთა ნამარხი მასალები ახალ ტაქსონად არის გამოყოფილი, მხოლოდ იტალიაში (ნეპრანო) მოძიებულ ქალას თვლიან კლასიკურ ერექტუსად.

გადასინჯულია აზიური ერექტუსების ფორმირების თარიღებიც: იავას პითეკანთროპის ადრე მიღებული ასაკი – 800000 წელი – გადათარიღებულია 1,8 მილიონ წლამდე. ჩინეთის (ჩოუკოუტინი) სინანთროპის ასაკიც, გადასინჯვის შემდეგ, 300000 წელს არ აღემატება. მეორე მხრივ, ლონგოპუს მღვიმეში მიკლეული ჰომინიდის ნაშთი და ქვის იარაღი განსაზღვრულია 1,9 მილიონი წლით.

ჰომინიდთა თანამედროვე ტაქსონომიის თანახმად, დღეს *Homo erectus*-ებიდან ცალკე გამოყოფენ *H. ergaster* („მშრომელი ადამიანი“)–ის ჯგუფს. აქ აერთიანებენ ტურკანას ტბასთან ნაპოენ ახალგაზრდა კაცის თითქმის მთლიან ჩონჩხს. სხეულის პროპორციებით (შეეძლო განზომილიყო 180 სმ-დე) ძალიან ახლოს დგას თანამედროვე ადამიანთან. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ერგასტერის ჯგუფში

აერთიანებენ დმანისში მოპოვებულ ჰომინიდის ნაშთებსაც. ნამარხი მასალების მიხედვით არსებობდნენ 1,8-1,5 მილიონი წლის ფარგლებში.

როგორც ვხედავთ, ავსტრალიოპითეკებისა და მათთან გენეტიკურად ახლოს მდგომმა პარანთროპებმა იარსებეს დაახლოებით 5 მილიონი წლიდან 2, მაქსიმუმ 1,5 (?1,2) მილიონი წლების ინტერვალში. მათგან გამოყოფილმა შტომ, პირველი *Homo*-ს სახით, ევოლუცია დაიწყო დაახლოებით 2,5 მილიონი წლის წინათ. მაშასადამე, ჰომინიდების – ორფეხა არსებების – ორ-სამ გეარს, აეად თუ კარგად, თანაარსებობა უწყვედა. ეს დრო, სულ ცოტა, ერთ მილიონ წელს მაინც გაგრძელდა, ხოლო სიერცეში მათ მხარდამხარ განვითარებას, დღევანდელი მონაცემებით, მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის ტერიტორიაზე ჰქონდა ადგილი.

ჰომო ერექტუსი განსაკუთრებით იქცევეს ყურადღებას ევოლუციური სტაბილურობით: იარსება რა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (1,8 მილიონიდან 0,3 მილიონ წლამდე) და ვეებერთელა ტერიტორიაზე (აფროევრაზია), იგი ანატომურად თითქმის არ შეცვლილა და დროის თითქმის მთელს ამ მონაკვეთში გეარის ერთადერთი წარმომადგენელი იყო დედამიწაზე. ამ ძველი (არქანთროპები) ადამიანების უკანასკნელი პოპულაციები ამოწმდნენ დაახლოებით 250000 (შესაძლებელია 200000) წლის წინათ.

მრავალი ნიშნის მსგავსების გამო არსებობს მოსაზრება, რომ ტაქსონი *Homo erectus* უნდა გაუქმდეს და გაერთიანდეს *H. sapiens*-თან.

დაახლოებით 300000 წლის წინათ, გამართული ადამიანის ესოდენ კონსერვატორულ სახეობას ცვლის კიდევ ერთი ახალი სახეობა – გონიერი ადამიანი – *Homo sapiens*-ი. იგი არცთუ მთლად ჰომო-

გენური ჯგუფია. სპეციალისტები განიხილავენ ადრეულ და გვიანდელ არქაულ საპინებს. მისი ყველაზე არქაული ფორმები ცნობილია ისევ აღმოსავლეთ აფრიკის სამხრეთიდან (ქალაქ კაბვეს მიდამოები) და ჩრდილოეთიდან (ადგილი ბოდი), აგრეთვე სამხრეთ ევროპიდან (ბალკანეთის ნახევარკუნძული, ადგილი პეტრალონა). ადრეული არქაული საპინებისა და ადრე გამოყოფდნენ ე.წ. ანტედერტალელებს, ამჟამად კი მას ცალკე ტაქსონად — *H. heidelbergensis*-ად ცნობენ. გონიერი ადამიანის ამ ყველაზე არქაული ფორმებისათვის უკვე დამახასიათებელია სხეულის დიდი სომები, ქალას ზრდა, პირიქით, სახის ნაკეთებისა და სახისავე კუნთების შემცირება. სულ მალე ადამიანის ეს ფორმა ფართოდ გაერთიანდა მთელს ევროპაში, რაც მისი განსახლების მაღალ უნარზე მეტყველებს.



სურ. 46. ნეანდერტალელის ქალა ერაიიდან. იგი ახლოს დგას თანამედროვე ადამიანთან (ნაკლებად ეტეობა წარბზედა რკალები)

დღეს გონიერი ადამიანის არქაულ ფორმაში გამოყოფენ ახალ ტაქსონებს. მაგალითად, გრანდოლინაში (ესპანეთი) *Homo antecessor*-ს. პალეოანთროპოთა ეტალონურ ფორმას წარმოადგენდა ნეანდერტალელი ადამიანი. თანამედროვე სისტემატიკით იგი მიეკუთვნება ადამიანის ცალკე სახეობას — *Homo neanderthalensis*. 200000-300000 წლის წინათ ფართოდ დამკვიდრდა ევროპასა და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. ჰომოს მანამდე არსებულ სახეობებს შორის ყველაზე დიდტანიანი ჰომინიდი იყო მასიური ჩონჩხით, ფართო, თუმცა დაქანებული შუბლით, ჯერ კიდევ გამოხატული წარბზედა რკალებით, თითქმის განუვითარებელი ნიკაპით, ძალზე ფართო ცხვირით, რაც აიხსნება ცივ გარემოსთან შეგუებულობით. რაც ყველაზე მთავარია, გამოირჩეოდა ტეინის დიდი მოცულობით (1300-1740 სმ³), მაგრამ მენჯის აგებულებით ჯერ კიდევ საკმაოდ განსხვავდებოდა ადამიანის თანამედროვე ფორმისაგან. ნეანდერტალელის ბიოლოგიური აუვაება ნაწილობრივ ემთხვევა უკანასკნელი დიდი გამყინვარების ეპოქას. ამ დროს ნადირობდა მსხეულ

ნადირზე, ამისათვის ამზადებდა როგორც საბრძოლო და თავდასაცავ იარაღებს (საჭურველს), ისე მათ დასამზადებლად საჭირო წარმოების იარაღებსაც. სიცოცხლის ხანგრძლივობა 25-30 წელიწადს აღწევდა. სწამდათ იმქვეყნიური ცხოველების, თავიანთ მიცვალებულებს ცერემონიის თანხლებით მარხავდნენ, ხოლო საყლაგეს ყვაეილებით ამკობდნენ. როგორც ჩანს, ნეანდერტალელები მოუქცენს განვითარების ევოლუციურ ჩიხში. ამოწყლოების ძირითადი მიზეზი შეიძლება გამხდარიყო ანატომიურად თანამედროვე ადამიანთან კონკურენცია.

დაახლოებით 150000-100000 წლის წინათ ჰომინიდების ევოლუციას ამთავრებს ანატომიურად თანამედროვე ადამიანი — *Homo sapiens sapiens*-ი. ძელოვანი ნაშთების მიხედვით, როგორც ჩანს, თანამედროვე კაცობრიობის აკენიცი აფრიკაში დაიწყო. ნეოანთროპი მასობრივად ცვლის პალეოანთროპებს, ხოლო 30000 წლის წინათ აფროეფრაზიის ბევრ რაიონში თანამედროვე ადამიანი ჰომინიდთა ერთადერთი წარმომადგენელია, დანარჩენები პირვინდად ამოწყდნენ. შესაძლებელია, რომ პალეოანთროპის უკანასკნელი რელიქტური ფორმა, თანამედროვესთან ერთად, შემორჩა მხოლოდ აესტრალიაში. აქ კოუსემოში მიკელეული და 10000 წლით შეფასებული ნამარხი მასალა, ძალიან ახლოს დგას *H. sapiens*-ის არქაულ ფორმებთან.

ანატომიურად თანამედროვე ადამიანი ევოლუციას იწყებს კრომანონელით. მას ახასიათებს ჩონჩხის დახვეწილი, გრაციოზული აგებულება, ქალას ძელები გათხელებულია, მაღალი და მომრგვალო სახის ძელოვანი სტრუქტურა გაცილებით შემცირებული, ხოლო ნიკაპი კარგად არის გამოხა-



სურ. 47. ნეანდერტალელები მარხავენ მიცვალებულს; რეკონსტრუქცია (სიდნეის ბუნების ისტორიის მუზეუმი, აესტრალია).



სურ. 48. კრომანიონელი ადამიანი ფაქტობრივად არ განსხვავდება თანამედროვე ადამიანისაგან (რეკონსტრუქცია).


ტული. ამზადებდნენ საკმაოდ რთულსა და სრულყოფილ იარაღებს, ანუკურთმებდნენ ხესა და ძეგლებს, ჯერ კიდევ 20000 წლის წინათ ხატავდნენ ესპანეთისა და საფრანგეთის სამხრეთი ნაწილის გამოქვაბულებსა და მღვიმეებში. დღემდე შემორჩენილი მათი ნახატები და კულტურის ძეგლების

სხვა ნიმუშები მაღალმხატვრულობით გამოირჩევიან.

დღეისათვის, ნებისმიერ პალეოანთროპოლოგიური ხასიათის ქრესტომათიაში ანატომიურად თანამედროვე ადამიანის წარმოშობის ორი ძირითადი შეხედულება ფიგურირებს. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს მულტირეგიონალური, ანუ პოლიცენტრისტული თეორია. ამის მიხედვით უკანასკნელი ჰომოს წარმოშობა მოხდა შედარებით ვრცელ ტერიტორიაზე და წამოადგენს Homo sapiens-ის ადგილობრივ, რეგიონალურ ვარიაციას. ამ უკანასკნელთა ბაზაზე განვითარდნენ ანატომიურად თანამედროვე ადამიანის პოპულაციათა რეგიონალური ვარიანტები, ანუ რასები.

მეორე თეორია გულისხმობს ე.წ. „ეეას“, ანუ ჩანაცვლების მოდელს. გლობალური მასშტაბით ქალთა სქესის მიტოქონდრიული დნმ-ას შესწავლით (ადამიანის თაობებში მისი დამემკვიდრება ხდება მხოლოდ მდედრობითი სქესის ხაზით) დგინდება, რომ კაცობრიობის ყველა რასა წარმოიშვა და განვითარდა ერთი, ტროპიკულ აფრიკაში მცხოვრები ჯგუფისაგან. დამფუძნებელი ფორმისაგან მსგავსი დივერგენცია უნდა მომხდარიყო 150–120 ათასი წლის წინათ.

ზემოთ მოყვანილი მასალებით, სპეციალისტებს შესაძლებლობა ეძლევათ აღადგინონ წარსულში ჰომინიდების ეეოლუციური განვითარება და მის საფუძველზე აავონ პრიმატთა ამ ჯგუფის საგვარტომო ხე (თუმცა, ადამიანის ფილოგენეზის ბევრი დეტალი ჯერ კიდევ დაუსუსტებელია). ჰომინიდთა საგვარტომო ხის აგების რამდენიმე ალტერნატიული მოდელი არსებობს, მაგრამ გაადამიანების გზა-



სურ. 49. კრომანიონელის მიერ მღვიმის კედელზე შესრულებული მხატვრობა; რეკონსტრუქცია (ვენევის ბუნების ისტორიის მუზეუმი).

სე, სიმბოლური ხის ნებისმიერ მოდელს წინ უსწრებენ აწ ამოწვევები, ადამიანისმაგვარი მაიმუნები (დრიოპითეკა, რამაპითეკი).

დღეს არსებული მასალებით, ქრონოლოგიურად, პომინიდების განვითარება ხდებოდა ბოლო 4.4 მილიონი წლის განმავლობაში (პლიოცენი და მყოფი პერიოდი).¹ ოთხ კიდურსე გადაადგილებად, ე.წ. ქუადრიპედურ პრიმატთა ერთი ჯგუფის ბიპედურ ლოკომოციასე გადასვლის უმოაერესი ეკოლოგიური მიხედვის – ტროპიკული აფრიკის დიდი ტერიტორიების მასობრივად გასაქანების საწყისი პერიოდთან გამომდინარე (გეიანი მიოცენი – 10-8 მლნ წ. წინათ), ჩვენი აზრით, პირველ ორფეხა პომინიდთა ევოლუცია თამამად შეიძლება დაწყებული იყო პლიოცენის დასაწყისშივე (7 მლნ წ. წინათ). თუ ეინ იყვნენ გაადამიანების გზასე დამდგარი ეს პირველი, ინიციალური გეარები, ამას ახლო მომავალში ესოდენ ფართოდ გაშლილი პალეოანთროპოლოგიური გამოკვლევები გეიხევენებს. ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელ 7 წელიწადში (1994–2001) გამოჩნებულა აესტრალიოთეკებსე ადრე მცხოვრებ პომინიდთა ორი და შესაძლებელია სამი ახალი გეარიც (!).

ცხადია, ჯერჯერობით, პომინიდთა საგეარტომო ხის ძირში სათანადო ადგილს ამჟამად ცნობილი ტრიბა Hominini-ის ყველასე არქაული გეარები დაიკავენენ.

ჯერ კიდევ ღარიბი ნამარხი მასალების ფონსე ძნელია ადვანსეებით ითქვას, თუ რომელი იყო ის უკანასკნელი, რეცენტული ტაქსონი, რომლისგანაც მოხდა შემდგომში ესოდენ წარმატებულ აესტრალიოთეკთა გამოყოფა. ამჟამად ხელთ არსებული მასალების მიხედვით, მისგან დამფუნებულ გეარად, საგეარად, 4.4-5.8 მილიონი წლით დათარიღებული Ardipithecus-ი – „შიმანსეს მსგავსი“ – პომინიდი უნდა დასახელდეს. ინფორმაციის თანამედროვე დონესე, პალეოანთროპოლოგებისათვის ესოდენ ნაყოფიერ ოთხმოცდაათიან წლებში მიკვლეული Australopithecus anamensis-ი გეველინება იმ პიონერულ ფორმად, რომელსაც სათავე უნდა დაედო „სამხრეთის მაიმუნთა“ წარმატებული ევოლუციისათვის. თითქმის შუა პლიოცენი (4.1 მლნ წ.) – ასეთიან დღესათვის ცნობილი ნამარხი მასალების მიხედვით „სამხრეთის მაიმუნთა“ განვითარების საწყისი დრო, გეოლოგიური ეპოქა.

300-400 ათასი წელი ამორებს ანამენსისის ქრონოლოგიურად მომდევნო აესტრალიოთეკის – A. afarensis-ისაგან. ამ უკანასკნელს, ესოდენ პოპულარულ ლუსის ეთიოპიის უდაბნოებიდან, უდოდესი პატივი ერგო გამოსულიყო პომინიდთა ფილოგენეტიკური ჯაჭვის იმ ბრგალის როლში, რომელსედაც „იკინებთა“ ყველა დანარჩენი ორფეხა არსება თვით ადამიანის ჩათვლით. სათანადო საგეარტომო ხესე სწორედ მისგან შტოვდება აესტრა-

ლოპითეკთა ორი დედატოტი – ერთი A. aethiopicus-ია, მეორე – A. africanus-ი. 2.2-1.2 მილიონი წლების ინტერვალში ვითარებოდნენ მასიური აგებულების აესტრალიოთეკები – პარანთროპები (2 სახეობა). ფიზიკური აგებულებით ესოდენ დიდი და ძლიერი ეს ჯგუფი პომინიდების ევოლუციის პროცესში უპერსპექტივო აღმოჩნდა და ამოწვედა. პირიქით, აფრიკის საეანებსე გაცილებით უკეთ შეგეჟენ ფიზიკურად უფრო სუსტი, გრაციოზული აგებულების A. africanus-ის წარმომადგენლები. ეს სახეობა ევოლუციას იწყებს 3.0 მილიონი წლის წინათ. დროის თვალსაზრისით აფრიკანუსის თითქმის მხარდამხარ, მაგრამ კონტინენტის მესობედ, ცენტრალური აფრიკის (ჩადი) რეგიონში სიციცხლის ასისაესესე გამოდის A. bachelghazali. მართალია, ეს უკანასკნელი ნამარხი ფორმა საეელანთროპუსთან ერთად აბათილებს პალეოანთროპოლოგიაში დღემდე გაბატონებულ მოსაზრებას იმის თაობასე, რომ აესტრალიოთეკები მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკაში იყვნენ გეარტებულები, მაგრამ ოროგრაფიულად და ეკოლოგისურად არქაულ ორფეხა წინააღმამანებს კონტინენტის სამივე რეგიონში თითქმის მსგავს პიონებში – საეანებში და გაუდაბურებულ, ნახეკრად საეანებში – უხდებოდათ ზრდა-განვითარება. ქრონოლოგიურად (2.5 მლნ წ.) გრაციოზულ აესტრალიოთეკთა ამ ჯგუფს აგეირგეივნებს მეცნიერებისათვის ახლახან გამოშესეული A. garhi.

პარანთროპებთან შედარებით ფიზიკურად უფრო სუსტმა, გრაციოზულმა აესტრალიოთეკებმა ინტელექტით, მოხერხებულობით დაჯანეს მასიური ფორმები. მათ შორის რომ პირდაპირ კონკურენციას პქონდა ადგილი, ამას დადსტურებს ნამარხი მასალები: პლიოცენსა და პლიოპლეისტოცენის სასღვარსე, 4.2-1.5 მილიონი წლის ინტერვალში, სამხრეთი და ძირითადად აღმოსავლეთი აფრიკის ტერიტორიასე ეს ორი გეარი თანაარსებობდნენ.

მაგრამ, რაც ყველასე არსებითია, გრაციოზულმა აესტრალიოთეკებმა შესარულეს „ისტორიული მისია“: მათი წილიდან განვითარდა ძუძუწვეურებისა და, საერთოდ, ცხოველთა სამეაროს ყველა დროის ყველასე წარმატებული გეარი – Homo.

ორ გეარს შორის გარდამავალი რგოლის როლს თამაშობს Homo habilis-ი – ფილოგენეტიკურად არქეოპტერიქსის ანალოგი, ანუ არც მთლად პომო, მაგრამ უკვე აღარც აესტრალიოთეკი. ამ სახეობით ტრიბა პომინისი ახალი გეარის – პომოს – ევოლუცია იწყება დაახლოებით 2.5 მილიონი წლის წინათ აღმოსავლეთ აფრიკაში. მისმა წყვილმა სახეობამ H. rudolfensis-მა თითქმის ერთი მილიონი წელი იარსება (2.4-1.6 მლნ წ.), შემდეგ კი მისი ხახი განვითარების ევოლუციურ ჩიხში მოექცა და პარანთროპებით ამოწვედა.

¹ ჯერჯერობით, მრავალი დასასუსტებელი საკითხის გამო, ინფორმაცია Orronin tugenensis-თან და Sahelanthropus tchadensis-თან დაკავშირებით პომინიდებსე მოცემულ გასანალიზებულ მასალაში არ შეგეჟეს.


ჰაბილისი მარჯვე (ინგლისურად – hand man) ჰომინიდა, მან პირველმა „შუაფასა“ ტერაპოდურ ხერხემლიანთა წიაღში წარმოქმნილი უნიკალური ნოვაცია – წინა კიდურების გათავისუფლებული შესაძლებლობანი და მათი დახმარებით იწყო იარაღის დამზადება. დიახ, თავისი გონის კარნახით დედამიწაზე ბიპედურ ჰომინიდა არსებობისათვის ესოდენ საჭირო, იარაღის დამამზადებელ (ინგლისურად – tool making), უფრო მეტიც, იარაღის ინდუსტრიის საფუძველნამყრელ პირველ არსებას ჰაბილისი წარმოადგენს. ქვის იარაღის ინდუსტრია – ეს ერთ-ერთი ყველაზე ადამიანური ნიშანთვისება – განავითარეს ჰომო ჰაბილისის გენეტიკური ხაზის გამგრძელებლებმა. ამ ნიშნით, როგორც ჩანს, H. ergaster-ი წარმატებული აღმოჩნდა. პალეოანთროპოლოგებმა H. erectus-ისაგან ცალკე სახეობად გამოკვეეს და სახელწოდებაც შესატყვისი – „ერგასტერი“, ანუ მშრომელი (ინგლისურად – working) უწოდეს. ერგასტერთა სადგომებში უხეშად დამუშავებული ქვები – ჩოპერები და ჩოპინგები (ე.წ. ოლდუვანური კულტურა) სულ უფრო დახვეწილ ფორმას ღებულობს.

არტეფაქტების კთების ხელოვნებამ ჰომო წინამორბედი გეარის – ავსტრალოპითეკისაგან განსხვავებით – ფაკულტატური, არასავალდებულო ხორცისმჭამელობიდან (მწერები, ხელიკები, ნადირფრინველთა კვერცხები...) ობლიგატურ, ანუ სავალდებულო კარნივორად (ცხოველური საკვების მიმხმარებლად) ჩამოყალიბდა, თუმცა კვების შერეული, ანუ ომნივორული წესისათვის დღემდე არ უღალატია. კვებითი სპეციალიზაციის ამ ნოვაციამ, როგორც ქვემოთ მოცემული მასალებით დაერწმუნდებით, თამამად შეიძლება ითქვას, გარდაუვალი ამოწვევებისაგან იხსნა ჰომოს გვარი. ამერიიდან მის შინიმუმ ერთ სახეობას მაინც (ანატომიურად თანამედროვე ადამიანი) ნამარხ ფორმად გადაქცევის საფრთხე აღარ ემუქრებოდა!

Homo ergaster-ის მეწყვილე სახეობას წარმოადგენს, ალბათ, მისგან გაყოფილი, უფრო პროგრესული ფორმა – H. erectus-ი. ამ ჰომინიდის აღმნიშვნელი ტერმინის – „ერექტუს“ – ეტიმოლოგია, როგორც არაერთხელ ითქვა, გამოიმდინარეობს „გამართულიდან“. ცხადია, ჰომოს ამ ფორმაში ჯერ კიდევ რამაპითეკიდან დაწყებული ბიპედალიზმი სრულყოფას აღწევს. შესაბამისად, ევოლუციის ასპარეზზე 1,8-1,6 მილიონი წლის წინათ გამოსული ეს პრეისტორიული ჰომინიდი, საერთო აგებულებით, გარეგნობით საკმაოდ უახლოვდება თანამედროვე ადამიანს.

ტენის კოლოფგასრდილები, ე.ი. საკმაოდ ენცეფალიზებული, სუსტად, მაგრამ მაინც მეტყველნი, სიმძლავრით 1,5, ზოგჯერ 1,8 მეტრსაც მიღწეულნი, მსხვილ, მგაფაუნასე ნადირობაში დახელოვნე-

ბულები, ნებისმიერ მტაცებელთან მიმართებაში კონსერენტუნარიანი, სოციალურად (ჯოგურად) მცხოვრებნი ჰომოს ორი, ახლო მონათესავე სახეობა – ერგასტერი და ერექტუსი ადვილად ეგუებიან გარემო პირობებს.



სურ. 50. ადამიანის უშუალო წინაპრთა თავის ქალები (ნაირობი, კენიის ეროვნული მუზეუმი).

პლიოცენის მიწურული და პლეისტოცენის პირველი ნახევარი (3-1 მლნ წ. წინათ) ხასიათდება დედამიწის კლიმატის ფლუქტუაციური ცვლილებებით: ტროპიკულ აფრიკაში გრძელდებოდა ნოტიო მარადმწვანე ტყეების გასაენება, ტეპარკის ტიპის სავანის ბალახოვან სავანად გადაქცევა, სტეპების გაუდაბნოება, ე.ი. საძოვარი სავარგულეების გამწირება. გარემოს მსგავსი, ძირეული ხასიათის ცვლილებები აიძულებდა გაშლილ ლანდშაფტთა დიდი ზომის ბალახისმჭამელებს მიეტოვებინათ ხელყოფილი საძოვრები და უკეთესი საარსებო გარემოს ძებნაში ათასობით კილომეტრები დაეფარათ. ჩლიქოსნების ესოდენ მასშტაბური ხასიათის მიგრაციები იწვევდა მტაცებლების, მათ შორის ორფეხა ხორცისმჭამელების სინქრონულ, შორეულ გადაადგილებებს. უკანა კიდურებზე გამართულ ჰომოთა ორივე სახეობა ჰომინიდათ ისტორიაში პირველები აღწევენ თავს ბიოტოპურ კონსერვატორიზმს – სავანისა და, რაც მთავარია, აფრიკის მეგაკონტინენტის ჩარჩოებს და იჭრებიან კაინოსოური ერისათვის დამახასიათებელი დედამიწის სინამდვილეში – სუპერკონტინენტის – ეერაზიის სასრდებში.


რამდენადმე პარადოქსია, მაგრამ თანამედროვე პალეოანთროპოლოგიური შეხედულებით მტკიცდება შემდეგი გარემოება: აქამდე დახასიათებულ ჰომინიდებს შორის, როგორც ჩანს, ყველაზე წარმატებული, ყველაზე დიდი, დროთა განმავლობაში აფროევრაზიული არეალის მქონე ჰომო ერექტუსი წარმოშობიდან თითქმის ერთი მილიონი წლის თავზე „უშთამომავლოდ“ წყვეტს არსებობას. შესა-

* დმანისში აღმოჩენილი ერგასტერთა ყველაზე პრიმიტიული ფორმები, როგორც ჩანს, გარდამავალი რგოლია Homo habilis-სა და H. ergaster-ს შორის, შესაბამისად, ეს ფაქტი სპეციალისტებს აფიქრებინებს, რომ ჰომოს გეარის ინტერკონტინენტალური მიგრაცია შეიძლება დაწყებულიყო erectus-ergaster-ის ფილოგენეტიკურ ტოტამდე, თუმცა ამ პიპოთეზის დამტკიცებას ჯერ კიდევ ბევრი კვლევა სჭირდება.

ბამისად, დღევანდელი წარმოდგენით, პომინიდთა გენეალოგიის პირდაპირი ხაზი გომინერი ადამიანის, ე.ი. *Homo sapiens*-ის ჩათვლით გადის არა ერექტუსზე, არამედ ერგასტერზე. ეს ის აფრიკელი „მშრომელი“ პომოა, რომლის ერთ-ერთმა პოპულაციამ 2,0-1,7 მილიონი წლის წინათ დიდი წარმატებით მოახდინა ახლო აღმოსავლეთში ე.წ. ლეჟანტის კორიდორის, ე.ი. ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მიმდებარე ქვეყნებიდან (სირია, ლიბანი, ისრაელი, იორდანია და სხვ.) ვეებერთელა სივრცის ფორსირება და, სავარაუდოა, ანატოლიის ზეგნის (მცირე აზია) გაეღოთ სამხრეთ კავკასიის, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის კოლონიზება.


ვრცელ გეოგრაფიულ არეალში (აღმოსავლეთი აფრია, დასავლეთი აზია, უემდეგ ევროპა), უმთავრესად ოროგრაფიული ხასიათის ფლუქტუაციების მიზეზით ერექტუს-ერგასტერის ერთმანეთისაგან დათიშულ პოპულაციებში დაიწყო ფორმათწარმოშობის პროცესები. აღნიშნულის შედეგად, ნამარხი მასალების მიხედვით, არქანთროპებისა (სინანთროპები, პითეკანთროპები, ატლანთროპები და სხვა

ერექტუსები) და პალეოანთროპების (ნეანდერტალელები) სახით იმდენ გეოგრაფიულ რასებთან, რიგ შემთხვევაში სახეობის ტაქსონომიურ რანგამდე ასულ ფორმებთან გვაქვს საქმე, რომ შეგვიძლია ლაპარაკი აფრიკის მიდმა ტერიტორიაზე, სხვადასხვა კლიმატურ ზონებში გაერცვლებული პომოს ადაპტურ ევოლუციაზედაც: უკანასკნელი ნახევარი მილიონი წლის განმავლობაში ევროპელ ჰაიდელბერგის ადამიანს ცვლიან არქაული საპიენსები, მათ რიგ პოპულაციებს კი – ევროპა-დასავლეთ-აზიური ნეანდერტალელები. მიუხედავად განვითარებული ტენისა, დაახლოებით 100000 წლის წინათ ამ უკანასკნელებს ევოლუციური ასპარეზიდან ავიწროებენ ასევე აფრიკელი ძირის, კრომაიონიკლები, ან მათი მსგავსი, გაცილებით სრულყოფილი არსებები, სრულყოფილი გარეგანულად, ინტელექტითა და უკვე ესთეტიზმის თეალსაზრისითაც! იწყება ვრა ანატომიურად თანამედროვე ადამიანისა, რომელიც, მინიმუმში, ხუთმილიონიანი ისტორიის მქონე ტრიბა პომინინის ერთადერთ ცოცხალ წარმომადგენლად რჩება დღემდეწასუ.



სურ. 51. დენდროგრამა (საგვარტომო ხე) ტრიბა Hominini-ის ცალკეული მთავარი გვარებითა და სახეობებით (J. Lunine-ს მიხედვით, 1999 წ.).

მზღვ ვიწლი



სურ. 52. იგივე დენდროგრამა
(დ. ლორთქიფანიძის მიხედვით, 2001-2002 წწ.).

**თავი 2. ადამიანის ევოლუციის ეპოლოგიური და
ბიოგეოგრაფიული წანამოღობები.
როგორ და რატომ გახდა შესაძლებელი გაადამიანების პროცენი?**

„ადამიანის განვითარებისადმი ევოლუციურ მიდგომას დღემდე დიდი წინააღმდეგობა ხდებდა... ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ვერაფრით ვერ ვეღვევით კონსერვატორულ შეხედულებას საკუთარი უნიკალურობის თაობაზე. ჩვენ გესურს თვით ჩვენს შორეულ წინაპრებშიაც მხოლოდ ადამიანურ არსებებს ვხედავდეთ“.

ვინსენტ სარიჩი

მას შემდეგ, რაც გავეცანით უმნიშვნელოვანესი პალეოანთროპოლოგიური აღმოჩენების ისტორიას, წარმოადგენა შეგვექმნა პრიმატთა ერთი ჯგუფის გაადამიანების ქრონოლოგიურ მხარეზე, საინტერესოა იმ საიდუმლოებებში ჩაწვდომა, რამაც განაპირობა ოთხფეხა არსების ორფეხა, მოაზროვნე პომინიდად ფორმირება, როგორ და რატომ წარმოიშვა ზღუერი ადამიანსა და მის მსგავს მაიმუნებს შორის?

**ბროკიუელი აზობის ჯუნგლები –
გაადამიანების პროცენტის კომპლექსი
სამხედრო**

პალეოანთროპოლოგიამ დაადგინა უმნიშვნელოვანესი ფაქტი: ადამიანსა და ადამიანისმაგვარ მაიმუნებს შორის გარდამავალი რგოლის – ავსტრალოპითეკის – არსებობა რეალობაა. მისი ერთი შტოს გაადამიანება არავითარ ეჭვს არ იწვევს. განისაზღვრა ამ პროცენტის მიხედვებით ქრონოლოგიაც, მაგრამ თუ როგორ და რატომ გახდა შესაძლებელი ერთ-ერთი უმაღლესი პრიმატიდან გაადამიანების პროცენი? – ეს ყველაზე თავსატეხი კითხვაა სიცოცხლის ისტორიასთან დაკავშირებით.

ცნობილი ამერიკელი ანთროპოლოგი რობერტ ფოული თავის შესანიშნავ ნიშრომში – „კიდევ ერთი განუმეორებელი სახეობა“ (1987 წ.) წერს: „ადამიანის ევოლუციის არსი ყველაზე მოკლედ შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით: „ადამიანი ხიდან მიწაზე ჩამოვიდა“. ადამიანი იმიტომ გახდა ის ვინც ახლა არის, რომ ერთ დროს ამ მეხეურმა ცხოველმა მიიღო ცხოვრების ნიადაგური წესის გამოწვევა, მაგრამ მიწაზე არსებობის შენარჩუნება ხომ გაცილებით რთულია, ეიდრე ხეზე?

სამაგიეროდ, ევოლუციამ სწორედ მიწაზე განავითარა თავისი ძველამოსილი წინსვლა, ხოლო ის ცხოველები, რომლებიც კმაყოფილდებიან შეუწუხებელი გზით ბუნების ძღვნის დაპატრონებას, ხეებზევე დარჩნენ. ცხოვრების ნიადაგური წესის

მქონე პომინიდების ევოლუციური წარმატება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არ შეუშინდნენ ტყის ხეთა მაღალი ტრიბუნიდან მიწიერი არენის დაუფლებას და ადგილობრივ ევოლუციურ კონფლიქტში ჩათრეყას, არ შეუდრკნენ არსებობისათვის მიწაზე გამართულ ბრძოლას...“

ქვემოთ მოტანილი მასალების მიხედვით დაეინახეთ, რომ გაადამიანების პროცენტში დიდი როლი ითამაშა ეპოლოგიურმა ფაქტორმა – პრიმატების ნოტიო ტროპიკული ტყეებიდან გამოსვლამ და საუანის მშრალ და გაშლილ ლანდშაფტთან მათმა შეგუებამ. მაგრამ მაინც ძნელი წარმოსადგენია, რომ ერთ-ერთმა პრიმატმა ცხოვრების წესის ძირეული რეორგანიზაციის გარეშე შეძლო ტროპიკული ნოტიო, წვიმიანი ტყეების ხის იარუსის გარემოდან საუანაში პირდაპირ ორ ფეხზე გამართულ მოძრაობაზე და შესაბამისად, ცხოვრების ბიპედურ ეპოკომოციასთან დაკავშირებულ წესზე გადასვლა.

ისინი წარმოსადგენად, თუ როგორ შეძლო ერთ-ერთმა პრიმატმა ოთხ ფეხზე სიარულიდან უკანა ორ კიდურზე გამართული გაგლა, მიზანშეწონილია გავეცნოთ პრიმატების ხეზე ცხოვრების სპეციალისაციასა და ადამიანისმაგვარი მაიმუნების სიურცეში გადაადგილების თავისებურებებს.

**ბრახიაცია – პრიმატთა ერთი ჯგუფის ხეზე
ცხოვრების ახტილებელი პროცესი**

„ბრახიონ“ – ბერანულად ხელს ნიშნავს, ბრახიაცია კი ცხოველის ტყის ხეთა იარუსში ტოტებზე ჩამოკიდებულ მდგომარეობაში გადაადგილების ისეთი უნარია, რომლის დროსაც მოძრაობისათვის მხოლოდ ხელების მტევენება გამოყენებულია. იმისათვის, რომ ხეზე ცხოვრების შეგუების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში პრიმატის კიდურებს ხის ტოტებზე ჩაჭიდების გზით გადაადგილების ფუნქცია შეესრულებინათ, აუცილებელი იყო კიდურთა მტევენებზე სათანადოდ შეცვლილიყო თითების განლაგება. ამისათვის, ასეთ მაიმუნებში, ცერა თითმა მოძრაობის გაცილებით მეტი უნარი შეიძინა და, რაც მთავარია, დანარჩენ ოთხ თითს დაუპირისპირდა.

ხელის მტევენის თავისებური აგებულების გამო, ანთროპოიდთა ერთი ნაწილი იმდენად კარგად შეეგუა ბრახიაციას (ჩაჭიდებას), რომ სხვა მეხეური ცხოველებისგან განსხვავებით, ხის ტოტებზე კი არ დადიან, არამედ ეკიდებიან და ხშირად ასე დაჭკრიან, ჭამენ და ისვენებენ მჯდომარე ან მდგო-

მარე პოსაში. ამგვარად, ბრახიატორთა ოთხივე კიდური ასრულებს როგორც ფეხების, ისე ხელების როლს.

ხელის ასეთმა მტევანმა ბევრ მათგანს სხვადასხვა საგნებით მანიპულირების უნარიც შეაძინა. განსაკუთრებით ეს ითქმის შიმპანზესე და, რა თქმა უნდა, ყველა პომინიდსე – ავსტრალიოპითეკებიდან მოყოლებული თანამედროვე ადამიანის ჩათვლით.



სურ. 52. ბრახიატია – კიდურთა მტევნებით ხეზე ჩამოკიდებულ მდგომარეობაში გადაადგილება – ადამიანისმაგვარ მაიმუნთა ფრიალ დამახასიათებელი თვისებაა (ორანგუტანი).

რა ევოლუციური მიზეზები დაედო საფუძვლად ბრახიაციის განვითარებას? როგორც თავის ადგილზე ითქვა, 70 მილიონი წლის წინანდელი ნახევრად პრიმატი ცხოვრების ნიადაგურ წესს ეწეოდა. სხვა ძუძუმწოვრების მხრივ კონკურენციამ და მათთვის ადვილად ხელმისაწვდომი საკვების (მწერები, მცირე ზომის ამფიბიები, ქვეწარმელები) ხემცენარეებზე უხვად არსებობამ, აიძულა ისინი ნიადაგიდან ხეებზე განსახლებულიყვნენ. ბუნებრივია, ხის იარუსზე გადასაცვლებული, რა მაცდუნებელი ნაყოფებიც არ უნდა დახვედროდათ იქ, ერთბაშად ვეგეტარიანელები ეერ გახდებოდნენ. მილიონი წლის განმავლობაში ისინი ჯერ კიდევ მტაცებლებად რჩებოდნენ.

ცხოველური საკვებით არსებობის წესი დღემდე შემორჩათ პირველ პრიმატებს – ნახევრად მაიმუნებს. მაგალითად, ყველაზე არქაული ფორმები – პალეოცენ-ეოცენური წარმოშობის „ცოცხალი ნამარხები“ – გრძელტერფას 3 სახეობა ტროპიკული აზიიდან – თავს ირჩენენ მწერებით, ობობებითა და ხელიკებით; გალაგოს 6 სახეობა ეკვატორული აფრიკიდან მწერიჭამიებია, ხოლო ტროპიკულ-ზიური ტუპაია და ლორი, მადაგასკარული ლემპუ-

რები – შერეული საკვებით (მცენარეებით, მწერებით) იკვებებიან. ბევრი მათგანი ნახტომით იჭერს მსხვერპლს.

როგორ შეინარჩუნეს ადრეულმა პრიმატებმა მტაცებლობის უნარი ხეზე? ნიადაგზე მსხვერპლის დადევნება იოლია, ხეზე, განსაკუთრებით მარდი ხელიკებისა – ძნელი, მტაცებელი ადვილად შეიძლება ჩამოვარდეს ხიდან და მიწაზე მოადინოს ბრახიანი. ამიტომ თავდამსხმელი ვალდებულია გარკვეული მანძილიდან ნახტომით მიიტანოს მსხვერპლზე იერიში და წონასწორობაც შეინარჩუნოს. დროთა განმავლობაში ხეზე საცხოვრებლად ასული მონადირეები ჯამბაზის დონეზე დაეფუძლნენ ხტუნვასა და ტოტებზე კიდურებით ჩაჭიდებას.

ხის ბაყაყებსა და ხელიკებზე მონადირე პრიმატებს თანდათანობით განუვითარდათ უფრო გრძელი და მოქნილი თითები. ეინაიდან ხეზე ცოცვა ხტუნვამ შეცვალა, თითების ბრჭყალებიც თანდათანობით ფრჩხილებად გადაიქცნენ. ასე მოხდა პრიმატებისათვის დამახასიათებელი „ხელის“ ფორმირება. ფრჩხილებიანმა ხელმა დაკარგა ბრჭყალებიანი პირველი პრიმატის ხის ზროსა და ტოტებზე სწრაფად ცოცვის უნარი.

გარდა ხელის განვითარებისა (რომელიც, გაეისხენოთ, ერთდროულად ფეხის როლსაც ასრულებს), ბრახიაციამ პრიმატებს ორგანიზმში სხვა შეგუებულობაც გამოუმუშავა. იმისათვის, რომ ნახტომში ზუსტად დააცხრეს თავს მსხვერპლს, საჭიროა მანძილის სწორად განსაზღვრა. ამისათვის ძუძუმწოვრების ამ ჯგუფს ბინოკულარული (სტერეოსკოპული) მხედველობაც განუვითარდათ. მსგავსი მხედველობისათვის თვალები თავის ქალას გვერდითი ნაწილებიდან წინ გადაადგილდნენ და საგნის ფოკუსში მოქცევის უნარი შეიძინეს, ამასთან, მხედველობაც გაცილებით რელიეფური გახდა. ბინოკულარული მხედველობის შექმნას, ეი. თვალებისათვის ახალი მდგომარეობის მიცემას კორელაციურად თავის ქალას დამრგვალება მოჰყვა. შემდეგ, ავტომატურად, ჯაჭური რეაქციისა არ იყოს, სხვა პროცესებიც განვითარდა. თავის მრგვალ ქალაში თავის ტვინის ზრდის შესაძლებლობა შეიქნა, დიდმა ტვინმა კი ინტელექტი გაზარდა. მეორე მხრივ, ხელის მტევნის ახალმა ფუნქციამ – ტოტზე ჩაჭიდებისა და ერთდროულად მსხვერპლის ხელში მოხელთებამ ეშვებს ნადირობისა და ნანადირეის მაშინვე განადგურების უმთავრესი ფუნქცია დაუკარგეს. ეშვებიც დამოკლდნენ. არც წინანდებურად ბევრი კბილის ქონება გახდა აუცილებელი. ყველა მაიმუნსა და ადამიანს ყბებზე 16-16 კბილი აქვთ, მათ წინააგრებში კი ეს რიცხვი 22 აღწევდა.

გაეიდა მილიონი წელი. ნიადაგის მტაცებლებისაგან საიძვლოდ დაცული პრიმატები საუცხოოდ მოურგნენ ხეზე ცხოვრების წესს. დაიწყო ღრმა კვებითი სპეციალიზაციის პროცესიც: სოვი ნაყოფჭამიებად განვითარდნენ, სხვები – ფოთოლჭამიე-

ბად, უფრო კონსერვატორული, რელიქტური ფორმები შერეულად მკეპბავები გახდნენ. გამრავალფეროვნდა მოძრაობის წესები. მაიმუნთა უმრავლესობა ხის ჭკუშმარტ აკრობატებად და ტანმოვარჯიშებად ჩამოყალიბდა. დიდი სომისანი ნელა მოძრაობდნენ, განსაკუთრებით დიდები კი, მყორეულად, ისეუ ნიადაგზე დაემუნენ.


ამჟამად არსებულ პრიმატთა 200-მდე სახეობიდან თითქმის მეოთხედი ეწევა ნიადაგურ, ანდა ნახევრად ნიადაგურ ცხოვრებას. მათ შორის არიან ნახევრად მაიმუნების (ლემურები) 2 და აფროერაზიის ვიწროცხვირიანი მაიმუნების 42 სახეობა. ამერიკის პრიმატები (ყართოცხვირიანები) ამ უნარს მოკლებულნი არიან. აღნიშნულ გარემოებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სწორედ აღმოსავლეთ ნახევარსფეროს მაიმუნებში ეხედებით ინტელექტუალურად ყველაზე განვითარებულ ფორმებს. მაშასადამე, პრიმატთა ერთი ნაწილის ცხოვრების ნიადაგურ წესზე მუდმივად გადასვლა სრულებითაც არ ყოფილა მოულოდნელი ნაბიჯი, იგი სავსებით მიესადაგება პრიმატთა ევოლუციის ზოგად ტენდენციებს.

მაგრამ, ამ შემთხვევაში, რატომ არ გადაიქცა მსგავსი მიდრეკილების ყველა პრიმატი ადამიანად? ეს არც ისე მარტივი კითხვაა. სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად არის საჭირო „ძველი სამყაროს“ ტროპიკულ ნოტიო ტყეებში მცხოვრები ადამიანისმაგვარი პრიმატების მოძრაობის (ლოკომოცია) თავისებურებებში ჩაწვდომა.

განუკითხარდა კიდურებით ხის ტოტებზე ხტომისა და ნაჭიდების თითოეულისათვის დამახასიათებელი, უნიკალური უნარი.



სურ. 54. მთის გორილა ბუნებრივ გარემოში (აღმ. აფრიკა, რუანდა).



სურ. 53. გიბონი - ყველაზე ვირტუოზი ბრაზილიკორია.

აზიის ტროპიკებში მცხოვრები გიბონი და ორანგუტანი ტიპური, ღრმად სპეციალიზებული, მეხეური ფორმებია. მსგავსი შეგუება მილიონობით წლების განმავლობაში ხეზე ცოცვის, ტოტიდან ტოტზე ხტომისა და მხოლოდ ტყის მიერ მოცემული საკვებით დაკმაყოფილების შედეგია. ნიადაგზე შემთხვევით მოხვედრილები თავს უმწყოდ გრძობენ, ხეოა სამჯარო, პირიქით, მშობლიურ სტიქიას წარმოადგენს. ორივეს


გიბონი მცირე სომისაა, მისი წონა 5-7 კილოგრამს არ აღემატება. განსაკუთრებით განვითარებული აქვს კიდურები, ხოლო მათზე - კაუჭის-ბაგვარი მტევნები. ასეთი აღნაგობის გამო, მას პრიმატებს შორის საპაერო ტანეარჯიშში ბადალი არა შეეხება. თავებრუდამხვევი ვირაჟით ერთი ტოტიდან მოწყვეტილი მეორეზე იმიტომ ეშეება, რომ ახალი კამარა შეკრას და მესამე ტოტისკენ შურდულივით გაქანდეს. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ჯუნგლების ხშირ ტყეში სულ რაღაც წამების განმავლობაში ფარავს 15-20 მეტრ მანძილს, რისთვისაც ტოტებს ორ-სამჯერ თუ შეეხება. ნიადაგზე პრაქტიკულად არ ეშეება. ჯოგში ფართო ურთიერთობის უნარს მოკლებულია, ამიტომ ადამიანის-მაგვარ მაიმუნებს შორის ყველაზე ნაკლებად განვითარებული ტყინი აქვს.

ორანგუტანს ხეზე „ხელეებით“ გადაადგილების - ბრაზილიის - სრულიად განსხვავებული მანერა ახასიათებს. ბუნებრივია, 180-250-კილოგრამი წონის ზრდასრული მამრი ხის ტოტებზე გიბონისთვის ვერ ინაგარდებს. სამაგიეროდ, შეუძლია ოთხივე კიდურის მტკეხებით ხეს მარწუხებით ჩაჭიდოს. ერთდროულად კიდურები დაჯილდოვებულია ნებისმიერი მიმართულებით მოძრაობის უნართაც, ამდენად ორანგი ფაქტობრივად ოთხხელა პრიმატია. ხეზე ნელა მოძრავ ცხოველს ხელეწიფება ნებისმიერი პოზის მიღება, რაც მას შესაძლებლობას აძლევს დაუბრკოლებლად იმოძრაოს სხვა

დასხვა აგებულებისა და ზომის ხემცენარეზე, მიწვედეს სასურველ ნაყოფს.

ტიეს ზედა იარუსში მსგავსი უნივერსალური სპეციალიზაცია გიბონსა და ორანგუტანს გამართული სიარულის დაუფლების არავითარ შანსს არ უტოვებს.

ამ თვალსაზრისით გორილა „ექსპრაზიატორია“. მისი ევოლუცია წარიმართა სხეულის ზომებში სულ უფრო ზრდისაკენ, რამაც მისი წინაპარი თაობები აიძულეს ხიდან ნიადაგზე დაშვებულიყენენ. აქ მან საგრძნობლად გააფართოვა ევგეტარიანული საკვების ასორტიმენტი. გიბონისა და ორანგუტანისაგან განსხვავებით იკვებება არა მხოლოდ ფოთლებითა და ნაყოფებით, არამედ მცენარეთა ფესვებით, ახალგაზრდა ხის ნედლი ქერქით, ბამბუკის ყლორტებითა და ათობით ბალახეული მცენარით. ყოფილ ბრაზიატორს ტიპური მეხეური პრიმატის კიდურები შეუნარჩუნდა – გრძელი ხელები (სამაგიეროდ მოკლე ფეხები), მოქნილი თითები (მაგრამ მხოლოდ ხელების ხარჯზე). უზარმაზარი სხეულის ტოტებზე გადატანა პრაქტიკულად არ შეუძლია (განსხვავებით მოზარდებისაგან, რომლებიც სიცვლქით ხეზედაც გამოირჩევიან). ამგვარ




სურ. 55. გორილას გადაადგილების ტიპური წესი – „მეკარის პოზა“.

რად, გორილა კი დასახლდა მიწაზე, მაგრამ ჯუნგლებში ცხოვრების იმდენად კონკრეტული გზა აირჩია, ორ კიდურზე გამართულად სიარულის ყოველგვარი შანსი დაკარგა. პრიმატებს შორის ამ ევოლიათს მტრის მოსაგერიებლად, ანდა მსხვერპლზე სანადიროდ ხელში იარაღის დაჭერა არ ჭირდება – მისი ევებერთელა კუნთები და ეშვები ანგარიშგასაწევი ნებისმიერი მტაცებლისათვის, ხოლო სტომაქისათვის ზრუნვა ულვეი საკვებით წარმოდგენილი ნოტიო ტყეების სულ რამდენიმე ათეული კვადრატული მეტრით შემოიფარგლება. ამ ამოცანის შესრულება თავისუფლად შეუძლია როგორც მჯდომარეს, ისე სიარულის მისთვის დამახასიათებელი მანერით. საქმე შემდეგშია: ვინაიდან გორილას ძალიან გრძელი ხელები და მოკლე ფეხები აქვს, ამიტომ მიწაზე დგომისას ან სია-

რულისას წინ წახრილები არიან. ასეთ პოზაში, წონასწორობის შესანარჩუნებლად, სუბსტრატს თითების მოღუნული ფალანგებით ოდნავ მაინც ეყრდნობიან. ანთროპოლოგ შ. უოშპერნის მიხედვით, ეს ის პოზაა, რომელსაც მეკარე ბურთის აღების წინ იკაეებს ხოლმე.

სულ სხვაა შიმპანზე. სხვა მსხვილ პრიმატებს შორის იგი ყველაზე ნაკლებად სპეციალიზებული მაიმუნია: ერთნაირად კარგად გრძნობს თავს ხეზედაც და ნიადაგზედაც. იგი არც გორილასავეით ზორბაა, ხეზე რომ ვერ ავიდეს და იქ თავისუფლად არ იმოძროს და არც ისეთი პატარაა მიწაზე



სურ. 56. გორილას „მეკარის პოზიდან“ პომინილთა ორ ფეხზე გამართულ სიარულზე გადასვლამ რევოლუციური გარდაქმნა გამოიწვია ადამიანის ჩონჩხის აგებულებაში. იგი ეხება ტერფს, მენჯის ძელებს, მხრის სარტყელსა და ა.შ.

თავი ვინმეს დაჩაგერინოს, მით უმეტეს, სწრაფია, ჯოგური ცხოვრება ახასიათებს და ეშვებიც უჭრის. ამ თვალსაზრისით, უნივერსალურობას ხელს უწყობს ფართო კვებითი სპეციალიზაცია – შიმპანზე ძირითადად ნაყოფჯამიად კი დარჩა, მაგრამ მენიუში ცხოველური საკვების დიდი სია აქვს ჩართული: მწერები, ფრინველთა კვერცხები, ბარტყები, მცირე ზომის ქვეწარმავლები, დაბოლოს, სხვადასხვა მაიმუნთა და გარეული ღორის მოზარდები. შიმპანზე, როგორც არაერთხელ ითქვა, ბუნებრივი საგნების იარაღად გამოყენების, უფრო მეტიც, ამ საგნების საჭიროებისდა მიხედვით გადაკეთების ნამდვილი ოსტატია. პრიმატებს შორის

გამორჩევა ყველაზე მეტი ცნობისმოყვარეობით, გულსიარობით და, რაც მთავარია, ჯოჯის წვერებთან კომუნიკაციის დამყარების მრავალი ხერხით. აქ შედის: ბგერითი სიგნალები, სხეულის პოზა, სახის მიმიკა, რომლითაც, ადამიანის მსგავსად, სიხარულსა და მწუხარებას მკაფიოდ გამოხატავს... ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მას პრიმატებსა და საერთოდ, ცხოველთა სამყაროში, ტენის განვითარებით ბადალი არ მოეპოვება. პირიქით, ბუნებასა თუ ლაბორატორიულ პირობებში მისი ინტელექტის შესწავლის შემდეგ ბევრი სპეციალისტის გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ რამდენიმე მილიონი წლის განმავლობაში შიმპანზე აზროვნებას ვერ დაუფლდა. მაგრამ საქმეში ღრმად ჩახედული პროფესიონალისათვის ამ მხრივ ყველაფერი ნათელია. მიუხედავად ნაირკამიობისა, შიმპანზე პრინციპში ბოლომდე გრძელხელეა ნაყოფჭამია პრიმატად დარჩა. თუ მას საკმარისად ეგულება ხეზე ნაყოფი და ქორფა ფოთლები, მაიმუნი ხის ერთგული, მაინც მეხეური ცხოველია და როგორც არ უნდა იყოს ნიადაგზე ცხოვრებას დაუფლებული, გორილასავით წინ წახრილი დადის და მასსავით ხელების მოღუნული ფალანგებით მიწას ეყრდნობა. ამიტომ, რა გასაკვირია თუ სულ ერთიანად ხისკენ უჭირავს თვალი!

როდესაც სპეციალისტები პრიმატების ალტერნატიული საცხოვრებელი გარემოს – „ხე-ნიადაგი“ – განიხილავენ, მეტად საყურადღებო დასკვნას აკეთებენ. იმისათვის, რომ პრიმატთა ერთი შტო გადაამიანგებულებოდეს, პრინციპული მნიშვნელობა

ქონდა მათი ხიდან ნიადაგზე საჭირო მომენტში დაშვებას. საკმარისია პრიმატს მოუღწევისათვის დაესწრო, ნაყოფის შესაწვდომად ხესვეყე არ დაუფლებოდა უკანა კიდურებზე ამართავს (ე.ი. სხეულის სიმაღლეში გასწორებისა და ხელებით მანიპულირების უნარს) და ასე ჩამოსულიყო ნიადაგზე. პავიანივით მაინც ოთხფეხა არსებად დარჩებოდა. გარდა ამისა, ხესვეყე უნდა გამოემუშაებინა ცერათითი ტოტზე ნაჭიდების უნარი (მოგვიანებით იგი მიწას იარაღის ხელში დასაკაეებლად გამოადგა). მეორე მხრივ, მეხეური არსებობის თვალსაზრისით, არც გადაამეტებული სპეციალიზაცია შეიძლებოდა, ასეთ შემთხვევაში, გიბონისა და ორანგუტანისა არ იყოს, სამუდამო ბრახიატორად, ხის ღვიძლ შეიღდა დარჩებოდა. მაგრამ უმადლესი პრიმატის ერთ-ერთ ფორმას ჭეშმარიტ ორფეხა არსებად ჩამოყალიბებისათვის, ხიდან მიწაზე ჩამოსვლისას უნდა სრულყოფილი გაეხადა ჯერ კიდევ ხელზე შექმნილი, სხეულის სიმაღლეში გასწორების წვევა. ამ შემთხვევაში უკანა კიდურების რჩება მოძრაობის, გადაადგილების ძველებური წესი, მაგრამ განსხვავებით შიმპანზესა და გორილასაგან, საჭირო იყო წინა კიდურებისთვის გაუმჯობესება ხელების ფუნქცია – საგნებით მანიპულირების უნარი. სწორედ ეს მისცემდა პრიმატის ერთ რომელიმე განსაკუთრებულ სახეობას წელში მთლიანად გასწორების, თავის ზემოთ აწევისა და ასე, სულ სხვა თვალთა და გონებით ქვეყნიერების შესხედვის შესაძლებლობას.

წინაშეშეშევა, ანუ კრეპატატივა ორ კიდურზე გამართული სიარულისათვის

რ. ფოულის მიხედვით, ვინაიდან პრიმატთა წინაპრები მეხეური ცხოვრების წესს ეწეოდნენ, მათთვის მთავარ პრობლემას, ცხადია, მიწაზე სიარული წარმოადგენდა. ტროპიკული ჯუნგლების გასაგანების გამო, როდესაც წარმოიქმნა ხიდან მიწაზე დაშვების აუცილებლობა, უნდა წარმოქმნილიყო გადაადგილების (ლოკომოციის) სამი ხერხი: პირველი – ყველაზე ტრადიციულია და ივუნლისხმება ოთხივე კიდურით სიარული. ასე დადიან ხის ტოტებზე უმდაბლესი მაიმუნები. გადაადგილების ეს წესი მიწაზედაც შეინარჩუნეს პავიანებმა. ნიადაგზე დაშვებული მაიმუნების გადაადგილების მეორე ხერხს წარმოადგენს წინა კიდურების თითების მოღუნულ ფალანგებზე დაყრდნობით სიარული (გორილას „მეკარის პოზა“), მესამე – ბიპედიია – უკანა კიდურებზე მთლიანად ზეამართული ტანით მოძრაობა. ლოკომოციის ამ ხერხებიდან ყველაზე სპეციალიზებულ, უნიკალურ გზას გადაადგილების მესამე საშუალება წარმოადგენს.

ორ კიდურზე გამართული მოძრაობა მოითხოვს სხეულის ანატომიური აგებულების რიგ შემთხვევაში არსებითი ხასიათის რეორგანიზაციას: ხელებთან შედარებით ფეხები გრძელდება, ტერფის ცერა თითს ეკარგება საგანზე (ტოტზე) ნაჭიდების



სურ. 57. შიმპანზეს ჯოჯი გომბე – სტრიმის ეროვნულ პარკში (ტანზანია).

უნარი, რის გამოც დაპირისპირებული მდებარეობიდან სხვა თითების პარალელურ მდებარეობას ლებულობს, თვითონ ტერფი კი იქნეს სხეულის გაცილებით გაზრდილი წონის საყრდენის ფუნქციას, რის გამოც მის ზედაპირზე ვითარდება თალი. ბიპედიასთან დაკავშირებით კორელაციურ ცვლილებებს განიცდიან სხეულის ძვლოვანი სისტემის სხვა ნაწილებიც – მენჯი, ხერხემალი, ქალა და ა.შ. გარდა ამისა, ორ ფეხზე სიარული ცხოველისაგან მოითხოვს გაცილებით მეტი ენერჯის და ხარჯვას და ერთდროულად, ოთხფეხზე მოსიარულებებთან შედარებით საგრძობლად ჰკარგავს სისწრაფესაც. შესაბამისად, ვერ გაუძლებდა რა ნიადაგზე მცხოვრებ სხვა ხერხემლიანთა მხრივ

ნების გზაზე დადგა, პირიქით, ყველა სხვა ცოცხალ ორგანიზმზე აბსოლუტური უპირატესობა მოიპოვა. ჩონჩხის აგებულებიდან გამომდინარე, ბიპედიის პირველი სრული ნიშნები, როგორც ითქვას, ჰომინიდების უძველეს წარმომადგენელს – აფარის ავსტრალიპითეკს (ლუსი) აღმოაჩნდა. ყოველ შემთხვევაში, გამართული სიარულის თვალსაზრისით, ლუსისა და მის მსგავსებს თანამედროვე ნიადაგური ცხოვერების წესის მქონე ადამიანისმაგვარ მაიმუნებში ანალოგი არ გააჩნიათ. ასეა თუ ისე, ნამარხი ძელების სათანადო აგებულების მიხედვით პირველი ავსტრალიპითეკები ორ ფეხზე სიარულს გაცილებით მეტ უპირატესობას ანიჭებდნენ, ვიდრე ლოკომოციის ნებისმიერ სხვა ფორმას.



სურ. 58. უძველესი ადამიანის ტერფის გაქვეავებული ანაბეჭდები. ლეტოლი, ტანზანია (ვენევის ბუნების ისტორიის მუზეუმი).

კონკურენციას, მსგავსად ხერხემლიანთა უამრავი სხვა ჯგუფისა, ჰომინიდებზე ბუნების მიერ ჩატარებული ეს მორიგი ექსპერიმენტი კრახით შეიძლება დამთავრებულიყო, ყველაზე მოუხერხებელი, ბიპედური მოძრაობის უნარის მქონე პრიმატი დროის მოკლე პერიოდში ამოსაწყვეტად იყო განწირული. მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ეს ასე არ მოხდა ორი მთავარი მიზეზის გამო – ჯერ ერთი, სიარულის ფუნქციისაგან გათავისუფლებული ხელები იარაღის მანიპულირებას დაეუფლნენ, ეს იარაღი კი, დროთა განმავლობაში, ეშვებზე და კლანჭებზე გაცილებით მრისხანე შეიქნა, მეორეც, ქალას გაზრდამ, ანუ ცეფალიზაციის განვითარებამ გამოიწვია მისი ტვინის კორელაციური ზრდა ანუ ენცეფალიზაციის კოეფიციენტის მატება, ეს კი პირდაპირპროპორციულ კავშირში აღმოჩნდა აბსტრაქტული აზროვნებისა და ერთდროულად შემეცნების ფორმირებასთან...

ამ მიზეზების გამო, ორ ფეხზე ზემართული არსება, ხერხემლიანებში ბუნების მიერ შექმნილი ეს ერთ-ერთი ყველაზე უხეირო კონსტრუქციის მქონე პრიმატთა ერთი ჯგუფი არამცთუ გადაშე-
50

პრეისტორიული ადამიანის ორ ფეხზე გადაადგილების მეორე, უნიკალურ დასტურს წარმოადგენს ტანზანიის (ლეტოლი) ეულკანურ ფერფლში მიკელეული ტერფის გაქვეავებული ანაბეჭდები. ვინაიდან ავსტრალიპითეკთა ეოლუცია, როგორც ჩანს, დაახლოებით 5 მილიონი წლის წინათ იწყება, შესაბამისად, იმ დროისათვის პრიმატთა ერთ ჯგუფს ორ ფეხზე აუცილებლად უნდა გაეყოლო თუმცა, რამაპითეკის ჩონჩხის აგებულებიდან გამომდინარე, თუნდაც მცირე მანძილზე გამართული სიარული ამ პრიმატისთვისაც იყო დამახასიათებელი და ამდენად, პრიმიტიული, პროტობიპედია მაიმუნებში შეიძლება 15-10 მილიონი წლის ინტერვალშიაც განვითარებულიყო.

მიუხედავად ნათქვამისა, პალეოანთროპოლოგები ერთხმად აღიარებენ, რომ თვით ავსტრალიპითეკთა ორ ფეხზე გამართული დგომა ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილი და მან თანამედროვე დონეს მხოლოდ ჰომო ერექტუსში მიაღწია.

როგორც ითქვა, ორ ფეხზე მთელი სხეულის ამართვა და ასეთ მდგომარეობაში დიდხანს გადაადგილება ორგანიზმის პრინციპული ხასიათის

ანატომიურ შეცვლას მოითხოვდა. პრიმატთა ერთ-ერთ ჯგუფში აგებულების მსგავსი ძირეული რეორგანიზაცია შეიძლება თამამად შევადაროთ ხერხემლიანებში განხორციელებულ ისეთ კარდინალურ გარდაქმნებს, როგორებიც იყო მტვეანფარფლიანი თევზების ხმელეთის პირველ ოთხფეხა (ტეტრაპოდა) არსებებზე ჩამოყალიბება, ანდა მიწაზე მოსიარულე ქვეწარმავალთა ერთი ჯგუფის მფრინავ ფორმებად გარდაქცევა.

ეოლუციურ ლიტერატურაში ასეთი ძირეული, ფლუქტუაციური ხასიათის გარდაქმნები ცნობილია ანაგენეზის (არომორფოზის) სახელწოდებით და ცხოველთა სამყაროში მთელ თვისებრივ რევოლუციას მოასწავებს. ამიტომ, ბუნებრივია, ისმება კითხვა, რამდენად აუცილებელი იყო ერთ-ერთი პრიმატისათვის მსგავსი „პრობლემების შექმნა“,

გადაადგილების მსგავსი, სრულიად უჩვეულო წესი მოითხოვს, პრიმატში ვერაერთარ შემთხვევაში ვერ განხორციელდებოდა, გამართულ სიარულს რომ თავისი წინაპირობა არ აქონოდა, სხვა სიტყვებით, პრიმატში სათანადო წინაშემგუებლობითი მექანიზმი არ გამოუმუშავებულყო.

ამ მოვლენას სპეციალურ ლიტერატურაში პრეადაპტაცია ეწოდება. როგორც სემონ აღინიშნა, პრიმატებში მსგავსი წინაშემგუება ჯერ კიდევ ხესე ცხოვერებისას, უკანა კიდურებსე ამართვის უნარის დაუფლებაში გამოიხატა.

იმის წარმოსადგენად, თუ ცხოველთა ახალი ჯგუფების განვითარებისათვის რა დიდი მნიშვნელობა აქვს წინაშემგუების მექანიზმების გამოუმუშავებას, მოვიყვანოთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითი.



სურ. 59. მტვეანფარფლიანი თევზი – ლატიმერია, რომლის ფარფლების სათანადო აგებულებამ საშუალება მისცა თევზთა ამ ჯგუფს 400 მილიონი წლის წინათ გასულიყო ხმელეთზე.



სურ. 60. ნეოცერატოიდი – ფრიად თავისებური ფარფლებით.


როდესაც მას თავისუფლად შეეძლო დარჩენილიყო ან უმდაბლესი მაიმუნებივით ოთხ ფეხზე მოსიარულედ, ან გიბონივით – ბრახიატორად, ანდა ნახევრად ბრახიატორად, დაბოლოს, გორილასავით წინა, მოღუნულ ფალანგებზე დაყრდნობით მოხეტიალედ. მსგავსი შეგუებულობის განხორციელებასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე ჰიპოთეზა: პრიმატის ნოტიო ტროპიკული ტყეებიდან საენაში საცხოვრებლად გადასვლა (დარვინი, 1871), ხელებით საგნების მანიპულირება და იარაღის დამზადების მოთხოვნილება (უოშბორნი, 1967), კვების თავისებური სპეციალიზაცია (ჯოლი, 1970) და ა.შ.

ასეა თუ ისე, ხმელეთის ხერხემლიანებში გადაადგილების ამ „მახინჯი“ წესის – ბიპედისის – განვითარებამ ერთ-ერთი პრიმატი ორგანული სამყაროს განვითარების კენწეროში მოაქცია, მაგრამ ის ძირეული ანატომიური ცვლილებები, რასაც

წარმოუდგენელია, ათობით მილიონი წლის განმავლობაში ჰიდროსფეროში – წყლის სტიქიაში – მცხოვრები რომელიმე ორგანიზმი ხმელეთზე გასულიყო, ამისათვის მას მინიმალური შეშხადების შესაძლებლობანი რომ არ აქონოდა. მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის მანგროს წყლისპირა ტყეებში დღესაც ცხოვრობს თევზი, რომელიც მტწილ დროს ხის ტოტებზე, ატმოსფეროს გარემოში ატარებს. მსგავსი წინაშემგუებულობის ფორმირება ხდებოდა ისტორიულად, მილიონობით წლების განმავლობაში. ვთქვათ, გარემოს ძირეულად შეცვლილმა პირობებმა აიძულა ორავული, ანდა სხვა სხივფარფლიანი თევზები დაეტოვებინათ წყლის სტიქია, ან კიდევ, მატერიკზე განსასახლებლად, იმავე გარემო პირობებმა გამოუვალი მდგომარეობა შეუქმნა და ცაში თავის საშეველად აჭრა აიძულა ხმელეთის ნებისმიერ ოთხფეხს. არცერთ მათგანს არაფერი არ გამოუვიდოდა, ვინაიდან პირველ შე-

მიხევეაში, ფარფლები კიდურებად უნდა გადაქცევილიყვნენ, ხოლო მეორე შემთხვევაში წინა კიდურები – ფრთებად. საქმე ის არის, რომ ახალი ორგანიზმების წარმოშობასა და შესაბამისად, ახალი ფუნქციების გამოჩენაზედაც ხელს უშლის ორგანიზმის გენეტიკურად განსაზღვრული (დეტერმინებული) მორფოლოგიური აგებულება, მაგრამ ექსტრემალურ სიტუაციებში სრულიად რეალური ხდება რომელიმე უკვე არსებული (და არა ახალი) ორგანოსა და მისი ფუნქციის რამდენადმე შეცვლა და მისი სულ სხვა როლში გამოყენება. სწორედ ამაში მდგომარეობს პრედაპტაციის პრინციპი. უხსოვარი დროიდან დამკვიდრებული, ცხოვრების გარკვეული წესისათვის გამოყენებული ესა თუ ის ორგანო, ზოგჯერ, ახალ პირობებში მოსახმარად შეიძლება წარმატებით იქნეს სახეშეცვლილი. სხვა სიტუაციებით, არსებითად შეცვლილ გარემოში ათასობით სახეობიდან თითო-ოროლაში ადგილი აქვს უკვე არსებული ორგანოს სახეცვლილებას, მაგრამ არა ახლის წარმოქმნას!

როდესაც დევონურ პერიოდში (395-345 მლნ წ. წინათ) მსოფლიო ოკეანის მასობრივად გახმელეთების გამაზოგიერთი თევზი იძულებული გახდა




სურ. 61. მტევანფარფლიანი თევზებისაგან პირველ ამფიბიებად – იქთიოსტეგებებად ფორმირებული ცხოველები იქცებენ ხმელეთის კოლონიზაციას (რეკონსტრუქცია).

ავთვისებინა ხმელეთი, ამისათვის მათ დასჭირდათ მინიმუმ ორი ახალი ორგანო: კიდურები – მიწაზე გადასადგმლებლად და ფილტვები – ატმოსფერული ჟანგბადით სუნთქვის დასაუფლებლად. მაგრამ არც ერთი შესატყვისი ფუნქციის რეალიზაციისათვის მათ საჭირო ახალი ორგანოები არ წარმოქმნიათ. მტევანფარფლიანი თევზების ღლუწი, ხორცოვანი და მსხვილწონისიანი ფარფლი, რაც ოდითგანვე საცურაოდ იყო გამოყენებული, პრეადაპტირებული აღმოჩნდა ხმელეთზე გადასადგმლებლად. აესტრალიაში ადგილობრივი ორგანოვანი მსუნთქივი თევზი – ნეოცერატორი მსგავსი ფარფლებით მდინარის ფსკერზე ახლაც დახობავს. ამიტომ, დაახლოებით 350 მილიონი წლის წინათ, თანამედროვე უძველესი წარმოშობის თევ-

ზის – ლატიმერიას მსგავს მტევანფარფლიანებს კიდურები, როცა ეს თავის გადასარჩენად დასჭირდათ, თანდათან გადაექცა მათივე წიალიდან წარმოშობილი და სახეშეცვლილი პირველი ამფიბიების ორ წყვილ ფეხად. მეორე მხრივ, ამავე თევზების საცურავე ბუშტმა, რომელსაც პაერთ ნაწილობრივ სუნთქვის უნარი გააჩნდა, სახე იცვალა და პაერთ მსუნთქვე, ნამდვილ ფილტვად ჩამოყალიბდა.

მტევანფარფლიანი, ორგანოვანმსუნთქივი თევზებით, დევონში მცხოვრებ ყველა თევზს როდი გაუღიმა ბედმა. ამიტომ მძლავრი ტექტონიკური პროცესებით ჭარბად გახმელეთებულ დედამიწაზე, იქთიოფაუნის უამრავი წარმომადგენელი აღმოჩნდა მერყეულზე ან წყალბინის გარემოში. დღეს მათი ნამარხი ძეგლების მთელი გარემოში საშუალოდაა დაკონსერვებული პლანეტის ქერქში.



სურ. 62. პრიმატთა კეების ორი წესი – ტოტზე მჯდომარე და ტოტის ქვეშ მდგომი (ზეაწეული). პრიმატთა მხრივ ჯერ კიდევ ხეზე უკანასკნელი პოზის დაუფლებამ შესაძლებელი გახდა პოინინდთა ბიპედული დოკოპოციის განვითარება (გ. ფოულის მიხედვით).

...ხიდან მიწაზე დასაშვებად და ორ კიდურზე ვერტიკალურ პოზაში გასაფლავლად რა წინაშემგუებლობითი ნიშან-თვისებები აღმოაჩნდათ აფრიკის პრიმატებს? ამ შემთხვევაში ზოგიერთი მაიმუნისათვის არსებითი გახდა ხეზე ცხოვრებისას დაუფლებული კეების მანერა. მეხეურ პრიმატთა ერთი ჯგუფი ფოთლებითა და ნაყოფებით იკვებება ხის ტოტებზე მჯდომარე ან ოთხ ფეხზე მდგომ პოზაში, მეორენი, იმავე მიზნით, ტოტებზე უკანა კიდურებზე ამართულები დგანან. წონასწორობა რომ არ დაკარგონ, ცალი ხელით სედა ტოტს ეჭიდებიან, მეორეთი კი ტყის ნობათს შეეჭკევიან.

ირკვევა, რომ კეების ეს ორი წესი – ხის ტოტზე მჯდომარე, ან ოთხ ფეხზე მდგომ პოზაში ჭამა და ხის ქვედა ტოტზე უკანა კიდურებზე სეაწეული და ასე სედა ტოტზე მსხმომარე ნაყოფით ძირის ჩაგეირიელება დამახასიათებელია როგორც თანამედროვე, ისე მიოცენში (26-7 მლნ წ. წინათ) მცხოვრები პრიმატებისთვის. როგორც ჩანს, არ-

* გაეიხსენოთ, რომ ხეხილის ბადში ხეზე ასული ადამიანიც ხშირად ასე იქცევა.

ხეობს გარკვეული კავშირი დასახელებულ კეობით ქცევებს, გადაადგილების მანერასა და სხეულის ზომებს შორის, ამასთან, ტოტზე შეამართული კეობა, როგორც წესი, ტანმსხვილი პრიმატებისთვისაა დამახასიათებელი (თანამედროვე პრიმატებს შორის იგი შეინიშნება გიბონსა და ორანგუტანში). პირიქით, უმდაბლეს მაიმუნთა აბსოლუტური უმრავლესობა უკანა კიდურებზე ამართულ კეობას ვერ ახერხებს. მიოცენურ დიდი ტანის პრიმატები (სოგიერთი დრიოპითეკი) აგებულეებითა და, ცხადია, კეების მანერითაც ძალიან ახლოს იდგნენ ტოტზე დგომით მკეობავ თანამედროვე პრიმატებთან. სემოთ მოყვანილი ფაქტებიდან ნათელია, რომ ოთხ კიდურზე მოსიარულე და ტოტზე ჯდომით მკეობავი პრიმატებისათვის მიწაზე ნებსით თუ უნებლიეთ ჩამოსვლის შემთხვევაში, ორ ფეხზე გამართული სიარულის განვითარების არავითარი პერსპექტივა არ არსებობდა. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ისეთი ნახევრად ნიადაგური მაიმუნები, როგორებიც პავიანებია. როდესაც ამ პრიმატთა ბუნებრივი გადარჩევა ისე წარიმართა, რომ იძულებულიები შეიქმნენ დროის უმეტესი ნაწილი მიწაზე გაეტარებინათ, არ იყენებდა დაუფლებულეები ხეზე გამართული ტანით კეების ჩვევებს, ნიადაგზედაც ოთხფეხა არსებებად დარჩნენ და პირუკუ, აფრიკულ მსხვილ პრიმატთა ერთ ჯგუფში, რომლებიც იძულებულიები გახდნენ მხოლოდ ნიადაგზე ეცხოვრათ და ერთდროულად ზეამართული სიარულის წინადაპტური ნიშანთიესებებითაც იყენებდნენ აღჭურვილები, წარმოიქმნა ბიპედური ლოკომოცია. გადაადგილების ამ წესზე გადასვლამ კი სიარულის ფუნქციისაგან გაათავისუფლა წინა კიდურები. ბრახიაციის უნარის მქონე



სურ. 64. მიწაზე ბიპედური და ქუადრიპედური (ტეტრაპოდური) ლოკომოციის კლასიკური მაგალითები (პავიანი და ადამიანი). უგანდა, დელოფალ ელისაბედის ეროვნული პარკი.

ხელის მტევენებს აღარ გასჭირვებით ჯერ საგნების მანიპულირება, ხოლო შემდეგ იარაღის დამზადებაც... ტყიდან გაშლილ სავანაში საცხოვრებლად გადასვლამ მიწაზე მცხოვრებ პრიმატთა ეს ორი ნიშანი – გამართული სიარული და ხელების სათანადო გამოყენება – გაცილებით გააუმჯობესა.

ამგვარად, ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში სულ ახლო წარსულში (60-70-იანი წლების ჩათვლით) დანერგილი შეხედულება, თითქოს წინა-ადამიანი სავანაში განსახლების გამო დადგა ორ ფეხზე, რათა ბალახის მაღალი საყარის ზემოდან დაეწყო გარემოს დასვერება, არ შეეფერება სინამდვილეს. მათ ეს არსებითი ნიშანი ჯერ კიდევ ნოტიო ტროპიკულ ტყეებში, ხეზე დაიმკვიდრეს და იქიდან სავანაში განსახლებულებმა ახალ გარემოში გააუმჯობესეს. ნამარხი ძვლების მიხედვით სოგიერთ პრიმატს, რამაპითეკის მსგავსად, გამართულ პოზაში საკმარის დროით გადაადგილება აფრიკის ნოტიო ტროპიკული ტყეების გასაყვანებამდეც, ე.ი. მინიმუმ 10 მილიონი წლის წინათაც უნდა შეძლებოდა. ამდენად, მთვან განშტოებული აესტრალითეკებისათვის გაშლილ სტეპებში საჭირო ნიადაგური ცხოვრების წესით ცხოვრება, უწინარესად, გამართული გადაადგილება, უცხო ხილი არ იყო.


გვიან მიოცენში (10-7 მლნ წ. წინათ) მეხეური მაიმუნებისაგან გამოყოფილი და ნიადაგზე ორ ფეხზე სიარულისკენ მიდრეკილი პრიმატები პატარა ზომისა (110-120 სმ-მდე სიმაღლის) და წონის (25-30 კგ-მდე) არსებები იყვნენ. ნიადაგურ მტაცებლებთან შედარებით ისინი ფრიად უმწყო, გაცილებით ნელა მოძრაე და დაუცველ არსებებად გამოიყურებოდნენ. ასეთ ვითარებაში, მათი ერთ-ერთი დიდი უპირატესობა მოახლოებული მტრის თავის დროზე აღმოჩენა იყო. ამიტომაც ორ ფეხზე გა-



სურ. 63. ნახევრად მაიმუნები (სურათზე ლემური – კატა) და მრავალი სხვა მაიმუნი ტიპური ტეტრაპოდები (ოთხ ფეხზე მოსიარულე) არსებები არიან.



სურ. 65. სხედასხვა ტიპის ლოკომოციის უნარის მქონე პრიმატები: ოთხფეხა (მაიმუნი მოთამაშე), წინა კიდურების თითების ფალანგებზე დაყრდნობით (გორილა), უკანა ორ კიდურზე გამართული (ადამიანი).



სურ. 66. ბიჰედიზმი აესტრალოპითეკისა და ჰომოს გვარებში.

მართვის უნარმა და ამით მიდამოს დასასუვერად თვალსაწიერის გაზრდამ მიწაზე გადაადგილებად პრიმატებს ყოფნა-არყოფნის პრობლემა არსებითად გადაუწყვიტა (მსგავს ტაქტიკას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად (კონეერგენტულად) ზოგიერთი სხვა ძუძუმწოვარიც მიმართავენ, ასეთებია: ზოგიერთი ვირზაზუნა – ცენტრალურ აზიაში, სტეპის

მღრღნელები, „ველის ძაღლი“ – ჩრდილოეთ ამერიკაში და სხვ.). ძირს, მიწაზე წამოსულ, ტანგამართულ პრიმატთა იმ შთამომავლებს, რომლებიც მოგვიანებით მცენარისმჭამელობიდან მტაცებლური ცხოვრების ნირზე გადავიდნენ, მახვილი მსურა არა მხოლოდ თავდაცვის, არამედ ნადირობის პროცესშიაც დიდად გამოადგათ.

**ცხოველური წინაპრის ბადაზიანების
პეოლოგიური მიზნებში**

**სამანა - ბადაზიანები კოლინონი
ბადაზიანი სიარულის მანვითარებისათვის**

10-15 მილიონი წლის წინათ, არქაული პრი-
მატის ერთ-ერთი ფორმა - რამაპითეკი, როგორც
ჩანს, ტყისპირა, ნახევრად გაშლილ ლანდშაფტებში
უკვე იყო დაუფლებული (თუნდაც დროის ხან-
მოკლე პერიოდში) ორ ფეხზე გადაადგილების



სურ. 67. ტროპიკული საენის ტიპური ხედი
სერენგეტის ვრონულ პარკში (ტანზანია).

უნარს, მაგრამ პრიმატთა შორის ბიპედური ლო-
კომოციის საფუძვლიანად დასამკვიდრებლად,
აუცილებელი იყო ორფეხა არსების ტყის გარემოზე
პრინციპული უარის თქმა და სტეპის მსგავს,
გაშლილ ლანდშაფტში ხანგრძლივი ხეტიალი.
გამოხდა ეამი და კლიმატის გლობალური ცვლი-
ლებების გამო, აფრიკაშიც შეიქმნა ნოტიო ტრო-
პიკულ ტყეთა მასობრივი გასაყენების სათანადო
ეკოლოგიური პირობები.

**პალეოგეოლოგიური ცვლილებები და
ბადაზიანი სიარულის დახმობისათვის
კომინიკაცია**


დედამიწაზე ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს,
ორგანიზმთა ჯგუფს (თანასახოგადობას) თავიან-
თი საცხოვრებელი გარემო, თავშესაფარი, ანუ
„ოიკოსი“ გააჩნია (ერთხელ კიდევ გაეჩხენოთ,
რომ ამ ბერძნული სიტყვიდან წარმოდგება ცნება
„ეკოლოგია“). თეთრი დათვის „ოიკოსი“ ჩრდილოე-
თის პოლარული რაიონებია, პინგვინის - ანტარქ-
ტიდა, ქურციკის - გაშლილი ტრამალეები, ჯიხვის
- მაღალმთიანეთი და ა.შ. პრიმატთა აბსოლუტური
უმრავლესობის „სახლი“ თბილი და ნოტიო კლიმა-
ტის მქონე ტროპიკები და სუბტროპიკებია, ე.ი.
განედური მიმართულებით ვრცელდებიან ეკოტო-
რის ხაზიდან 40°-40°-ის ჩათვლით როგორც ჩრდი-
ლოეთ, ისე სამხრეთ ნახევარსფეროებში. იგივე
დასტურდება პალეოგეოგრაფიულ-პალეონტოლო-

გიური მონაცემებითაც. ამდენად, ეკოლოგთა ენაზე
პრიმატების რიგის წარმომადგენლები თერმო-
ფილები (სითბოს მოყვარულები) და უდიდესი
უმრავლესობა პიგროფილებია (ჭარბი ტენის მოყ-
ვარულები), რომლებიც წარმოშობისთანავე შეე-
გუენ ტროპიკულ-სუბტროპიკულ განედებს, ეს უკა-
ნასკნელები კი კაინოზოური ერის დასაწყისიდან
(65 მლნ წ. წინათ) და შემდეგაც, ათეული მილიონ-
ობით წლების განმავლობაში, გაცილებით ფართო
ტერიტორიას მოიცავდნენ, ვიდრე ეს ამჟამად არის.

მაგრამ პრიმატების მხოლოდ თერმოფილებად
და პიგროფილებად მიხნევა არ იქნებოდა სწორი.
ტროპიკულ-სუბტროპიკულ განედებში (ამერიკა,
აფრიკა, აზია) ამ ძუძუმწოვრებს ათვისებული აქეთ
რა ძირითადად ნოტიო მარადმწვანე ტყეები, შე-
გუებულები არიან აგრეთვე სხვა ადგილსამყო-
ფელებსაც, განსაკუთრებით სავანებს (ნახევრად
ან მშრალი კლიმატით), ტროპიკულ-სუბტროპიკულ
განედებში წარმოდგენილ ნახევრად უდაბნოებსა
და უდაბნოებს, ამავე განედებში აღმართულ მა-
ღალმთიანეთს, სადაც გაბატონებულია ზომიერი
განედებისათვის დამახასიათებელი კლიმატური
რეჟიმი.

თუ პრიმატებს ხელეწიფებთ ესოდენ ფართო
მასშტაბის ტენისა და ტემპერატურული რეჟიმის
პირობებში არსებობა, ბუნებრივია, დისიმბა კითხ-
ვა - იშვიათი გამონაკლისის გარდა (იაპონია),
რატომ არ ბინადრობენ ისინი თუნდაც ზომიერი
კლიმატის მქონე განედებში (40°-60°)? მაგრამ აქ
არსებითი აღმოჩნდა ტროპიკულ-სუბტროპიკული
განედების სწორედ ეკოლოგიური პირობები. სპე-
ციალისტთა აზრით, გარდა ორი არსებითი კლიმა-
ტური ფაქტორისა, - წელიწადის თორმეტივე თვის
განმავლობაში ჰაერის მუდმივად მაღალი ტემპერა-
ტურა და უხვი ნალექი - ჭარბი ვეგეტაციის (ე.ი.
პრიმატთა საკვების) ეს აუცილებელი წყარო, აქ
არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტრო-
პიკებისათვის დამახასიათებელი სხვა ეკოლოგი-
ური ფაქტორებიც: სპეციფიკური ფოტოპერიოდის-
მი, კერძოდ, მთელი წლის განმავლობაში დღის
მუდმივი ხანგრძლივობა, რომელიც ღამის ხანგრძ-
ლივობის ტოლი, ანდა თითქმის ტოლია. ეს გარე-
მოება ორგანიზმებს საშუალებას აძლევს იარსებონ
სრულიად თავისებური დღეღამური რეჟიმის პი-
რობებში: ტროპიკებსა და სუბტროპიკებში ტემ-
პერატურის დღეღამური რყევადობა უფრო საგრძ-
ნობია (10-15°), ვიდრე წლის სეზონების მიხედვით,
ტროპიკული ტყეების მერქნიან მცენარეთა უაღრ-
ესად დიდი სახეობრივი მრავალფეროვნება (ზომიერ
განედებში გაბატონებული რამდენიმე სახეობის
ხემცენარისაგან განსხვავებით) ქმნის მცენარეული
საფარის ფრიად ჭრელ, მოზაიკურ გარემოს, ერთ-
დროულად სტაბილურ საკვებ წყაროს.

ათეული მილიონი წლის განმავლობაში ასეთ
- თბილსა და საკვებით მდიდარ გარემოში - ეეო-
ლუციონირებდნენ ნახევრად მიმუნები, მიმუნები,



სურ. 68. ზეკონტინენტ გონდვანას დაშლა ცალკეულ კონტინენტებად მცენარეთა და ცხოველთა საერთო არეალის დაწვევით (რეკონსტრუქცია).

მათ შორის ადამიანისმაგვარი პრიმატებიც, მაგრამ შუა მიოცენიდან, დაახლოებით 15-10 მილიონი წლის წინათ, გლობალური აცივების პარალელურად, აფრიკაში იწყება ატმოსფეროს გამშრალების პროცესი. საერთოპლანეტური და მათ შორის აფრიკის კონტინენტის ეკოლოგიური ფაქტორების ძირეული ხასიათის შეცვლამ გადაამწყვეტი როლი შეასრულა პრიმატთა ერთი ჯგუფის გაადამიანების პროცესში.

უკანასკნელი 3,2 მილიონი წლის განმავლობაში, ჩრდილოეთ ნახევარსფეროს პოლარული რაიონი საბოლოოდ დაიფარა ყინულის ჯაგუნით (ანტარქტიდის რაიონში ეს პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო). მსოფლიო ოკეანის მნიშვნელოვანი ნაწილის ყინულად გადაქცევა, რაც ხელს უშლის ოკეანის ზედაპირიდან წყლის აორთქლებას, მიზეზი გახდა ატმოსფეროში ტენის შემცირებისა და, შესაბამისად, კონტინენტთა სიღრმეების გამშრალების. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად გააღარბა ტროპიკული ნოტიო ტყეები.

გლობალურად პროგრესირებადი აცივების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ედამიწაზე განვითარებული ძირეული პალეოგეოგრაფიული ხასიათის ცვლილებები. ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ერთიანი ხმელეთის - ლავრაზიისა და სამხრეთ ნახევარსფეროს ასეთივე ხმელეთის - გონდვანის ცალკეულ, შემადგენელ ნაწილებად დაყოფამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მსოფლიო ოკეანესა და ატმოსფეროსზე. მაგალითად, გონდვანის დაშლას მოჰყვა ავსტრალია-ანტარქტიკის ერთიანი ბლოკის სამხრეთი პოლუსისაკენ დრეიფი და პირიქით, ამ ზემატერიკის აფრიკის სეგმენტის ზემოთ, ეკვატორისაკენ გადაადგილება. ევრაზიასთან შეერთებულმა აფრიკამ დაარღვია პალეოოკეანის - ტეთისის ერთიანობა და დაანაწევრა იგი. აღნიშნულმა დიდი გავლენა მოახდინა გლობალური ოკეანური დინებების ცირკულაციაზე, შესაბამისად, კლიმატზე. არსებობს მეოთხეულ პერიოდში კლიმატის საერთოპლანეტური ცვლილებების სხვა, კოსმოსური მიზეზებიც (დედამიწის ღერძის მდებარეობის შეცვლა მზის მიმართ, აგრეთვე კლიმატის რეორგანიზაციის სხვა ასტრონომიული თეორიები).

როგორ აისახა ზემოთ განხილული კლიმატური და პალეოგეოგრაფიული ცვლილებები აფრიკის მსხვილი ზომის ადამიანისმაგვარ პრიმატთა საცხოვრებელ გარემოზე - ტროპიკებზე? ამ კითხვას, სხვადასხვა ავტორებზე დაყრდნობით, შემაჯამებელ პასუხს სცემს რ. ფოული. ადრე ეგონათ, რომ მთელი მიოცენის განმავლობაში (26-7 მლნ წ.) ამ კონტინენტის ტროპიკულ-სუბტროპიკული განედების ტერიტორია დაფარული იყო მარადმწვანე ტყეებით. ამჟამად გაირკვა, რომ მსგავს ვითარებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ მიოცენის პირველ ნახევარში, მაგრამ მეორე ნახევრიდან (16-7 მლნ წ.) მდგომარეობა საგრძობლად შეიცვალა. პალეობოტანიკური მონაცემებით ტროპიკული ნოტიო, წვიმიანი ტყეების უწყვეტობა დაირღვა, მის ფონზე, ადგილ-ადგილ, გამშრალების გამო განვითარდნენ საეანები. ევრაუდობენ, რომ გასავანების ეს პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ მეზოზოური და კაინოზოური ერების თავშესაყარზე (70 მლნ წ. წინათ), მიოცენიდან (26-7 მლნ წ.) კი იმდენად იმპლავრა, რომ ტროპიკების ფონზე საეანები მკაფიოდ გამოხატულ მოზაიკურ ხასიათს ღებულობს, შუა პლიოცენიდან (5-4 მლნ წ.) აფრიკის ბევრ რაიონში საეანები უკვე ჭარბობენ ან მთლიანად ცვლიან ნოტიო ტყეებს.

ამრიგად, საბუნებისმეტყველო მეცნიერების სხვადასხვა დარგის მონაცემებით ცხადი გახდა, რომ ხანგრძლივი გეოლოგიური დროის განმავლობაში ტროპიკული გარემო პულსაციას განიცდიდა, მნიშვნელოვნად იცვლებდა სახეს, რაც სათანადო გავლენას ახდენდა ადგილობრივი ორგანიზმების ევოლუციურ პროცესებზე.

ორ ფეხზე მოსიაკრული კომინიონის საყმის შორის სახეობრივი გამარჯვებულთა ბიოგეოგრაფიული წინაპროგნოზი

ის ფაქტი, რომ გადაადგილების ახალ წესს დაუფლებული პროტოპლანქტონი არ ამოწვდა და, პირიქით, გაადამიანების გზას დაადგა, გადამწვეტი როლი მისმა ცალკე სახეობებმა დაყოფამაც ითამაშა. ერთი საწყისი, პიონერული ფორმიდან რამდენიმე შეიღვეული სახეობის წარმოშობამ ბუნება-სელექციონერს ყველაზე უკეთესის – მარჯვესი და მოხერხებულის გადარჩევის შესაძლებლობა მისცა. ამ საუკეთესომ თანდათანობით ისწავლა ბუნებრივი საგნების გამოყენება, უფრო მეტიც, წარმოების იარაღის დამზადება, ცხოველებზე წარმატებული ნადირობა, განუეთარდა აზროვნება, მეტყველება და ა.შ.

რა ფაქტორებმა შეუწყვეს ხელი პირველი კომინიონის ინტენსიურ ადაპტურ რადიაციას, ანუ გეოლოგიური დროის შედარებით მოკლე ინტერვალში არა მხოლოდ მრავალ სახეობად, არამედ გვარებადაც (ორონინი, არდიპითეკუსი, აესტრალიპითეკი, პარანთროპი, ჰომო) დაყოფას?

აღმოჩნდა, რომ გარდა კლიმატური ფაქტორებისა (რამაც გამოიწვია ნოტიო ტროპიკული ტყეების გასაყვანება), ანთროპოიდთა გაადამიანების პროცესში დიდი როლი შეასრულა აღმოსავლეთ აფრიკის სხვა ეკოლოგიურმა ფაქტორებმაც: მოჭარბებულმა რადიაციამ და რელიეფმა.

კლიმატურ-ლანდშაფტური ცვლილებები – გასაყვანება, დანაწევრებული რელიეფი და ჭარბი რადიაცია – აი, სამეული არწი ტრიადა ფაქტორებისა, რამაც გადამწვეტი როლი ითამაშა აფრიკის კომინიონთა გაადამიანებაში.

ნამარხი მასალების მიხედვით ცხადი ხდება, რომ უკანასკნელი 10 მილიონი წლის განმავლობაში აფრიკის მთელი კონტინენტი პრიმატებით მეტ-ნაკლები ინტენსიურობით იყო ათვისებული. დასავლეთ და ნაწილობრივ ცენტრალურ ტროპიკულ აფრიკაში დღემდე შემორჩა ადამიანისმაგვარი მიმიუნების საკმაოდ ფართო მასშტაბის თავშესაფარი – რეფუგიუმი. სამაგიეროდ ამ ადგილებში, გარდა ერთი გამონაკლისისა, არ არის მიკელეული ნამარხი ჰომინიდები – ორ ფეხზე მოსიარულე პრიმატები. ამ თვალსაზრისით საპირისპირო სურათს ვხვდებით ძირითადად აღმოსავლეთ, ასევე სამხრეთ აფრიკაში. კონტინენტის ამ რეგიონებში შიმპანზეს უახლოესი ნათესავები ჩამოყალიბდნენ გამართულად მოსიარულე ადამიანის უშუალო წინაპრებად, თვით ადამიანად.

ამ სურათის მიხედვით ცხადი ხდება, რომ გასაყვანების ფაქტორებად პრიმატის 15 მილიონი წლის წინანდელი, დროებითეკული ფორმა გაადამიანების გზაზე დააყენა სწორედ კონტინენტის აღნიშნულ რეგიონებში, მაგრამ იმავე ფაქტორებმა „ვერ იმუშავეს“ დასავლეთსა და ნოტიო კლიმატის მქონე ცენტრალურ, ეკვატორულ აფრიკაში.

როგორც – ითქვას, შუა მიოცენის ჩათვლით (დაახლოებით 15-10 მლნ წ. წინათ) აფრიკის ტროპიკული განედები დაკავებული ქვირდა ნოტიო ტროპიკული ტყეების ერთიან მასივებს. ევრაზიის რიგი რეგიონების მსგავსად, აღმოსავლეთ აფრიკაში, სხვებთან ერთად ცხოვრობდნენ მეხეური, დიდი სომის ადამიანისმაგვარი მიმიუნები – დროპითეკები. გვიანი მიოცენიდან (დაახლოებით 10-7 მლნ წ. წინათ) სოვიერთი კონტინენტის ძირითადად ცენტრალური ნაწილების გამშრალებას მოჰყვა რა საყვანის ტიპის ლანდშაფტთა განუწყვეტიელი გაყვართობა, დაიწყო გარემოს „ადოსაიკება“, ანუ ჯერ ტროპიკული ნოტიო ტყეების ფონზე წარმოიქმნებოდნენ საყვანის ტიპის გაშლილ ლანდშაფტთა ცალკეული ლექები, მოგვიანებით, პირიქით, გაბატონებული საყვანის ფონზე შემორსებოდნენ ხოლმე შევიწროებულ ტროპიკულ ტყეთა ცალკეული „კუნძულები“ (რეფუგიუმები). შეცვლილი ეკოლოგიური გარემო ადგილობრივი ცხოველების წინაშე წარმოქმნიდა არსებობისათვის ბრძოლის, გადარჩენის მწვავე პრობლემებს, რაც ახალ – მშრალ და ძირითადად ბალახით დაფარულ გარემოსთან შეგუებაში გამოიხატებოდა.


გარემოს მსგავსი დანაწევრება – ჯერ ნოტიო ტროპიკული ტყეების „სღვაში“ სტეპის ტიპის საყვანათა „კუნძულების“ წარმოქმნა, ხოლო მოგვიანებით, პირიქით, საყვანის „სღვაში“ ჯუნგლების მცირე „კუნძულთა“ აქა-იქ, მეტწილად მთიან თავშესაფარში შემორჩენებად იდგენილი პირობები შექმნა ცხოველთა, მათ შორის პრიმატთა პატარ-პატარა, ერთმანეთისაგან იზოლირებული პოპულაციების ფორმირებისათვის.

კლიმატის ზეგავლენით, აღმოსავლეთ აფრიკაში ლანდშაფტთა დაწყვეტა „ადოსაიკებას“ თან დართო რელიეფის დანაწევრების უაღრესად ინტენსიური პროცესიც, როგორც თავის ადგილზე ითქვას, ტექტონიკური ძალებით დაიწყო აფრიკის კონტინენტის ზეაწვეა, რამაც განსაკუთრებული ძალით იზინა თავი კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილში. შედეგად ამ რაიონში განვითარდა დედამიწის ქერქის გლობალური მასშტაბით უდიდესი რღვევის სოლი – რიფტი (ინგლისური rift – პირდაპირი გაგებით ბზარს, ნახეთქს ნიშნავს).

გეოლოგები თვლიან, რომ დედამიწაზე წარმოდგენილი რიფტული სისტემები (აღმოსავლეთ აფრიკაში, კალიფორნიასა და ა.შ.), პლანეტის ზედაპირზე დარჩენილი გიგანტური ნაჭდეუებია, სადაც ერთ დროს მატერიკთა ერთმანეთზე „შეღვლება“, ან მსგავსი პროცესები ხდებოდა. დადგენილია, რომ დედამიწის ლითოსფერული ფილაქნების გადაადგილებას, რის გამოც წარმოიქმნა რღვევები (და წითელი სღვაც), ადგილი აქონდა 25-15 და 3,5 მილიონი წლის წინათ. უდიდესი რღვევის ეს სოლი ორადაა დატოტვილი: ერთი მათგანი მიემართება წითელი სღვიდან ეთიოპიაში, მეორე – გაიფლის აღმოსავლეთ აფრიკის დიდი ტბებისა (ვიქტორია, რუდოლფი, ტურკანა, ნიასი) და მწვერვალების

(კენია, კილიმანჯარო) რაიონში. დედამიწის ქერქის ტექტონიკური მოძრაობის შედეგია ეულკანების წარმოქმნაც, რომელთა ნაწილი დღესაც მოქმედია. რიფტის უფსკრულისებურ რღვევებში (გრაბენები; Graben - გერმანულიდან - თხრილი) დგებოდა წყალი, რის გამოც, როგორც ითქვა, შეიქმნა ტბების მთელი ჯაჭვი და მეწამული ზღვა.

დედამიწის ქერქში განვითარებულმა პროცესებმა (ნაპრალები, დრამულები, მათში ჩამდგარი ტბები) რელიეფის მნიშვნელოვანი დანაწევრება გამოიწვია და ამით კიდევ უფრო „მოზაიკური“ გახადა აღმოსავლეთი აფრიკა.



სურ. 69. აღმოსავლეთი აფრიკის უდიდესი რღვევის ზონის სქემა მისი დასავლეთი და აღმოსავლეთი განშტოებებით.

ამგვარად, თუ ჯერ კიდევ შუა მიოცენში (16-15 მლნ წ. წინათ) აფრიკის მაღალგანვითარებულ მაიმუნებს არსებობა უხდებოდათ ტროპიკული ნოტიო ტყეების მეტნაკლებად ერთნაირ გარემოში, მიოცენის მიწურულიდან (10-7 მლნ წ. წინათ) ლანდშაფტთა დიდი ტერიტორიის გასაეანებისა და მძლავრი ტექტონიკური პროცესებით საცხოვრებელი გარემოს დანაწევრების გამო, მდგომარეობა შეეცვალა. ამ ორმა ფაქტორმა მოამზადა ის ბიოგეოგრაფიული ხასიათის წინაპირობები, რამაც ხელი შეუწყო ორ ფეხზე მოსიარულე ჰომინიდთა ძირეულ ევოლუციურ ცვლილებებს.

ცოცხალ ორგანიზმთა სახეობათწარმოშობის

გეოგრაფიული თეორიის მიხედვით, გეოგრაფიული იზოლაცია აუცილებელი პრელუდიაა საერთო წინაპრიდან ახალ-ახალი ტაქსონების ფორმირებისათვის.

საქმე ის არის, რომ როდესაც ორგანიზმთა ყოფილი ერთიანი არეალი წყდება, ცალკეულ ეკოლოგიურ „კუნძულთა“ პოპულაციების ინდივიდები ერთმანეთთან ვეღარ წყვილდებიან (ე.ი. ვეღარ ცვლიან გენეტიკურ მასალას). ამ მოვლენას ბიოგეოგრაფიულ ენაზე ალოპატრირებას უწოდებენ (ბერძნულიდან „ალო“ შორს ყოფნას, ხოლო „პატრის“ - სამშობლოს ნიშნავს).

ამის შემდეგ იზოლაციაში მოქცეულ ცხოველთა ცალკეულ მოსახლეობაში, მუტაციის შედეგად, შეიძლება მოხდეს სწრაფი და გაუთვალისწინებელი გენეტიკური ცვლილებები, რაც შეიძლება ორგანიზმის ევოლუციური გარდაქმნის მძლავრი კატალიზატორი აღმოჩნდეს. ტროპიკულ აღმოსავლეთ აფრიკაში კი მუტაციებისათვის ფრიად დადებითი ფონი იყო შექმნილი. მზის ჭარბი რადიაციის გარდა, იქ აღმოჩნდა რადიოაქტიურ ნიეითერებათა მთელი რეზერვუარი.

ვინაიდან აღმოსავლეთი აფრიკა დღემდე ხასიათდება აქტიური ეულკანიზმით, იქ წარმოდგენილი მაგმური წარმოშობის თითქმის ყველა ქანი შეიცავს საკმარის ჭარბი დოზის რადიოაქტიურ ნიეითერებებს. გარდა ამისა, სამხრეთი აფრიკა - ჰომინიდთა ჭარბად დასახლების მეორე რეგიონი - გამოირჩევა ურანის მადნის სიუხვით (ურანის მარაგის თვალსაზრისით აქედან მსოფლიოში პირველ ადგილზე დგას), აქვე მოიპოვება რადიოაქტიური თორიუმის დიდი მარაგიც. ამგვარად, აღმოსავლეთი აფრიკის უდიდესი რღვევის რაიონში რადიოაქტიური მაგმისა და სამხრეთ აფრიკაში ურანის მდიდარი მადნეული, ადგილობრივი ბუნების ფრიად სპეციფიკურ ეკოლოგიურ თავისებურებებს წარმოქმნის.

მძლავრი ტექტონიკური და ეულკანური პროცესების გამო, რიფტის ზონაში რადიოაქტიური მაგმისა და ურანის მადნის შემცველი ქანები შიშვლად ბოდნენ და ეროსიის პროცესების გაელენის ქვეშ ექცეოდნენ. წარმოიქმნებოდა თვითონ ბუნების მიერ დამზადებული „ბირთვული რეაქტორი“ იქ არსებულ ყველაზე მძიმე და ყველაზე რადიოაქტიური ელემენტით - ურანიით. ამგვარად, აფრიკის კონტინენტის მოჭარბებული რადიოაქტიუობის ზონა ემთხვევა ადამიანის წარმოშობის მთელ ტერიტორიას.

დაახლოებით 75 წლის განმავლობაში აღმოსავლეთ, ნაწილობრივ სამხრეთსა და ცენტრალურ აფრიკაში გამოვლენილია ორ კიდურზე გამართულად მოსიარულე პრიმატთა 6 გვარი, 18 სახეობა, ერთი ქვესახეობა და ერთი ფორმა; (იხ. ცხრ. 1.) ტროპიკული აფრიკის ინდოეთის ოკეანისპირა რეგიონთა პალეოანთროპოლოგიურად შესწავლის თანამედროვე ტემპების მიხედვით, უახლოეს ორსამ ათეულ წელიწადში ეს მონაცემი კიდევ უფრო გაიზრდება.

ნამარხი ბუქმწოერების შესწავლის პრაქტი-

ეკოლოგია, მაგრამ ჩვენი აზრით გაცილებით უფრო მკაფიოდ გამოხატული, ვიდრე ეს ცხენების ოჯახისთვის არის ცნობილი. ტაქიტელიური ფილოგენეზის მსგავსი სურათი უნდა აიხსნას იმ ფაქტით, რომ პრიმატთა ერთ ჯგუფს განვითარება მოუხდა ზემოთ დახასიათებულ უაღრესად დინამიურ, ფლუქტუაციურად ცვალებად გარემო პირობებში: ლანდშაფტების გასაანება, წინისტორიულ ადამიანთა სახეობების პოპულაციათა ფრაგმენტაციისათვის ხელშემწყობი, იდეალური გარემო პირობებით, ხოლო იზოლირებულ პოპულაციებში ჭარბი მუტაციის წარმოქმნის განსაკუთრებული ფონით. ნათქვამის სასარგებლოდ მეტყველებს, ერთი მხრივ, ძირითადად აფრიკის დიდი რღვევის ზონაში განხორციელებული ჰომინიდთა ტაქსონოფარმოზოზის იშვიათად პროდუქტიული პროცესი. ახალ ტაქსონთა ფორმირების ნაყოფიერების თვალსაზრისით ჰომინიდები შეიძლება შევადაროთ წყნარი ოკეანის ორ რაიონში ადაპტური რადიაციის შედეგად განხორციელებულ ანალოგიურ სურათს. აღმოსავლეთ ნახევარსფეროში, თანამედროვე ფრინველ-მეფეავილეთა (ოჯახი *Drepaninidae*) სინამდვილეში ამ პროცესს ადგილი ჰქონდა შავის კუნძულებზე. როგორც ჩანს, ჩრდილო ამერიკიდან ჯარიშხლის მიერ გატყორცნილ ამ ფრინველთა ერთი საერთო (დამფუძნებელი) წინაპრიდან, დაახლოებით ერთი მილიონი წლის განმავლობაში წარმოიშვა დასახელებული კუნძულებისთვის ენდემური 22 სახეობა, 9 გვარი და 2 ქვეოჯახი. დასავლეთ ნახევარსფეროში, გალაპაგოსის კუნძულებზე, იგივე მოხდა დარეინის მთიულებთან (ქვეოჯახი *Geospizinae*) დაკავშირებით. აქაც კონტინენტურ (სამხრეთი ამერიკა) წარმოშობის მთიულას ერთმა ინიციალურმა ფორმამ დროის დახლოებით იმავე მონაკვეთში განიცადა დიფერენცია 14 ენდემურ სახეობად და 6 ასეთივე გვარად. უკანასკნელი გამოკვლევებით (2002), მთიულების დიფერენციის პროცესი დღესაც გრძელდება.

როგორც ითქვა, ამ მხრივ არანაკლებ ეკოლოგიურ წარმატებას მიაღწიეს ჰომინიდებმა. ეს ეხება არა მხოლოდ ტაქსონომიურ დიფერენციაციას, არამედ ანატომიურ-ფიზიოლოგიურ ცვლილებებსაც. ორი მილიონი წლის განმავლობაში მოხდა აესტრალიპითეთა არცთუ მთლად სრულყოფილი ბიპედური ლოკომოციის სრულ ვერტიკალურ პოზაში მოსიარულე არსებად ჩამოყალიბება, ხოლო კიდევ ორი მილიონი წლის განმავლობაში ენცეფალიზაციის (თავის ტვინის) პროგრესი 400-500 სმ-დან, ვიდრე 1200-1700 სმ-მდე, ამასთან დაკავშირებით კი შემეცნებისა და მასთან განუყრელად დაკავშირებული დანაწევრებული (დისკრეტული) მეტყველების განვითარებით.

ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილი ბიოლოგები (მაგალითად, ი. მენიკოვი, 1961) გამოთქამენ აზრს იმის შესახებ, რომ ადამიანი, სოლოლოგიური თვალსაზრისით, პრიმატების განვითარების მაგისტრალურ ხაზზე წარმოადგენს ანომალიას, რომ ამ ხაზიდან გადახრამი დიდი როლი ითამაშა სწორედ მუტაციურმა პროცესებმა, რაც


შექმნილ ეკოლოგიურ ვითარებაში გააღამიანების გზაზე ფრიად სასარგებლო აღმოჩნდა.

მოლეკულური ტაქსონომია – ადამიანის პრიმატული წარმოშობის დამამტკიცებელი კვლევის ულტრათანამედროვე მარბი

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ანთროპოლოგიაში დაიწვეს მოლეკულური ტაქსონომიის მეთოდის გამოყენება. რადიონუკლიდური მეთოდის მსგავსად, რომლის დახმარებითაც ხდება დეამიწის ქერქის, ანდა განათხარი ძელოვანი მასალის 'უსტუი დათარიღება, კარგად დამუშავებული მოლეკულური მეთოდიც დიდი სისუსტითა და ობიექტურობით გამოირჩევა.

პალეოანთროპოლოგთა კვლევაში, ზემოთ განხილული მასალების მიხედვით, გამოიყო ორი ძირითადი თემა: პრიმატთა რომელმა ჯგუფმა მისცა დასაწყისი ადამიანის გვარის განვითარებას? როდის გამოიყო ადამიანის გვარი ყველაზე ახლო მონათესავე პრიმატებს?

რა გვჩვენა ამ თვალსაზრისით მოლეკულურმა ტაქსონომიამ?



სურ. 71. ადამიანის ქრომოსომათა დიპლოიდური კომპლექტი (2n = 46).

XX საუკუნის 70-იან წლებში ამერიკელებმა ვინსენტ სარიმა და ალან უილსონმა გამოიკვლიეს ადამიანის არა მხოლოდ დნმ-ა, არამედ სისხლის ცილები (ჰემოგლობინი და ალბუმინი). მოლეკულურ ბიოლოგიაში მიღებული შედეგების მიხედვით, შეიძლება გაკეთდეს ზოგიერთი განზოგადება: აფროვერაზიის ადამიანისმაგვარ მაიმუნებსა და ადამიანს შორის მსგავსების კოეფიციენტი შეადგენს ნახევარ ერთეულზე მეტს (0,53-0,61), იგივე მაჩვენებელი, უფრო კონკრეტულად აზიის ადამიანისმაგვარ მაიმუნსა (ორანგუტანი) და ადამიანს შორის უდრის ერთეულის მეოთხედს (0,25-0,33), ხოლო ადამიანსა და შიმპანზეს შორის – დაახლოებით ერთ მეტრედს (0,12-0,15); საინტერესოა, რომ მსგავსების იგივე ერთეული ცხენებსა და ზებრებს შორის ემთხვევა ადამიანისა და აფრიკის ადამიანისმაგვარ მაიმუნებში მიღებულ მონაცე-

მებს, ხოლო ძაღლები და მეღიები ანალოგიური კოეფიციენტით კიდევ უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან.

ალბუმინის მიხედვით, ადამიანსა და გორილას შორის განსხვავებამ შეადგინა 8 ერთეული, გიბონთან შედარებით – 14, ხოლო უმდაბლეს მაიმუნებთან შედარებით – 32 ერთეული.

მოლეკულური ბიოლოგიის მონაცემების შედარებამ პალეონტოლოგთა მონაცემებთან დიდი დავა გამოიწვია. სარიჩისა და უილსონის მიხედვით, დასავლეთ ნახევარსფეროსა (ამერიკა) და აღმოსავლეთ ნახევარსფეროს (აფროეერაზია) პრიმატების გაყოფა მოხდა დაახლოებით 36 მილიონი წლის წინათ, ხოლო ადამიანისებრთა გამოყოფა პომინიდების სეოჯახის ძირითადი შტოსაგან რამპიოტიკის დონეზე – სულ 4 მილიონზე ნაკლები წლის წინათ. ნამარხ მასალებზე დაყრდნობით, როგორც ეს შემთხვევით იყო მოცემული, ანთროპოლოგები დივერგენციის ორივე შემთხვევას გაცობენ ძველი თარიღებით აფასებენ.

ვინ არის მართალი? როგორც ჩანს, მინც კვლევითი მონაცემები, ამიტომ მოლეკულური „საათის“ მონაცემები ეჭვის ქვეშ დგას და შესაბამისად მოითხოვს ბიოქიმიური მეთოდების გადახედვას. ორივე დარგში – მოლეკულურ ბიოლოგიასა და პალეონტოლოგიაში მიღებული შედეგებით, ერთმანეთს დასტურდება ანთროპოგენეზის შემდეგი ძირითადი მომენტები: ადამიანისა და ადამიანისმაგვარი მაიმუნების ახლო ნათესაობა. ასე, მაგალითად, შიმპანსესა და ადამიანის გენეტიკური მასალა პრაქტიკულად ერთნაირია – 99,5%. შესაბამისად, ხატოვნად რომ ეთქვას, ჩვენი გენომის ძალზე ცოტა (1,5%) როდენობდა გეპეცია ჩვენ ადამიანად. ამ გარემოებამ ფიზიოლოგ ჯ. დანიმონდს ათქმევინა: „ადამიანი შიმპანსეს შესამდგ სახეობა.“ (იგულისხმება ჩვეულებრივი შიმპანსე – *Pan troglodytes* და ჯუჯა (ბონობო) შიმპანსე – *P. paniscus* – ა.გ.) ფილოგენეტიკურად (ნათესაურად) ერთმანეთისაგან შორს მდგომ ცხოველთა ჯგუფები მკაფიოდ განსხვავდებიან როგორც შემორჩენილი ძელოვანი ნაშთების, ისე მოლეკულური ბიოლოგიის მანქანებლებითაც.

საკოველთაოდ არის ცნობილი, თუ რა როლი ითამაშა ცნობილი ეთოლოგების – ჯეინ გუდოლის, ჯორჯ შალერის, დაიან ფოსის დაკვირვებებმა აფრიკის ნოტიო ტროპიკულ ტყეებსა თუ სავანაში შიმპანსესა და გორილას ქცევებზე. ამ გამოკვლევების გარეშე ჩვენი წარმოდგენა ადამიანისმაგვარი მაიმუნებიდან პომინიდების გამოყოფის თაობაზე არასაკმარისი იქნებოდა.

ანთროპოლოგიასა და პალეონტოლოგიაში განხორციელებულმა უმაღლესი მაიმუნებისა და პომინიდების მრავალგვარმა (ანატომიური, ეთოლოგიური, მოლეკულური) შესწავლამ საკმაოდ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა პრიმატთა



სურ. 72. ჯეინ გუდოლი გომპე-სტრეიდის ჯუნგლებში შიმპანსესთან.

ამ ჯგუფის კლასიფიკაციაშიც, რაზედაც ადრე იყო საუბარი.

დიდი ხანია სპეციალისტთა ყურადღებას იმეორებს შიმპანსეს ნაშევისა და ზრდასრული ადამიანის განსაკუთრებული მსგავსება, რომელიც ცხოველს სქესობრივ სიმჭიდროვეში შესვლის შემდეგ უჩვენებს. მაგალითად, მოზარდ შიმპანსესაც ადამიანით სახის ზედაპირზე ბალნის იშვიათი საფარი აქვს, ყბები მომცროსა, თავის ტვინი დიდი და სფეროსებური ქალათი დაფარულია წარბსუდა (თუღბუდისუდა) რკალი ნაკლებადაა გამოხატული, განუვითარებელი სახე ჯერ კიდევ არ არის წინ წაწეული, ნიკაპი ემჩნევა, სიარულისას ქალა ხერხემლის მაღალსთან ისეთივე შესაბამისობაშია, როგორც ეს ადამიანს ახასიათებს, მოზარდ მდებარე შიმპანსეს სასქესო ორგანო ადამიანივით წინ აქვს განთავსებული და არა უკან; ანატომიური მსგავსების გარდა, ადამიანისა და შიმპანსეს ნაწიერები გამოირჩევიან ხანგრძლივი ბავშვობით, რაც ასე აუცილებელია მათი რთული ცენტრალური ნერვული სისტემის განვითარებისათვის (უფროსების მიბაძვისა და მათგან სწავლის გზით სათანადო ცოდნის მიღება, რთული ქცევების დაუფლება).


ორგანიზმის იმ თვისებას, რომლის მიხედვითაც იგი მოწიფულობაშიც ინარჩუნებს ბავშვობის (იუვენური ფაზა) ნიშან-თვისებებს, ხოლო ზოგჯერ სქესობრივ სიმჭიდროვესაც აღწევს, ნეოტენიის მოყვანა ეწოდება (ბერძნულიდან *neos* – ახალი და *teino* – გაწელება).

ამგვარად, – თელის ზოგიერთი ანთროპოლოგი, – დიდი მოცულობის ტვინი, პატარა ყბები, ბრტყელი სახე, ნიკაპი, გამართული სიარული და ა.შ. – ადამიანისათვის ესოდენ დამახასიათებელი ნიშნები – ნაწილობრივ მაინც ნეოტენიის შედეგია.

* A. Gibbons, 1998. "Which of our genes make us human?" Science, N9.

... გასრულდა ჩვენი მოგზაურობა რეტროსპექტივაში – ადამიანის წარმოშობის შორეულ წარსულში. მანამდე სიცოცხლემ განვითარების თითქმის ოთხმილიარდიანი ისტორია განვლო. ადამიანის წარმოშობის გზაზე ამ უსაშველოდ გრძელ ისტორიაში ფრიად საინტერესოა რამდენიმე მომენტი. დაახლოებით 600 მილიონი წლის წინათ (კემბრიული პერიოდი), გრანდიოზული ეკოლოგიური „აფეთქების“ შედეგად წარმოიშენენ თანამედროვე ცხოველთა უმეტესი ტიპები, მათ შორის ქორდის მქონე ორგანიზმები. თითქმის 100 მილიონი წელი დასჭირდა, რათა ორდოეუკულ პერიოდში (500-430 მლნ წ. წინათ) პრიმიტიული თავქორდიანებისაგან (ლანცეტას მსგავსნი) განვითარებულიყო სულ ერთიანად ჯაფანში გახვეული და წყლის ფსკერზე თავკომბალებივით ბიძგივით მოძრაე თევზის მსგავსი ცხოველები – ოსტრაკოდერმები (ფაროსნები, ანუ ჯაფანოსნები). მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ყბები და მრგვალი პირით ხარბად ხერხეპნენ გრუნტს, ლამსა და მათში გახრწნილ ორგანულ ნივთიერებებს. დაახლოებით 430-400 მილიონი წლის წინათ (სილურული პერიოდი) ევოლუციის ასპარეზზე გამოდიან პირველი ნამდვილი ხერხეპლის (და არა ქორდის) მქონე და ერთდროულად პირყბიანი ცხოველები – თევზები. ეს არსებები – პლაკოდერმები, იგივე ჯაფანოსნები – ფორმით, აგებულებით უფრო თევზების კარიკატურას მოგვაგონებდნენ, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობის ფაქტის იყო, რომ ბუნებაში უკვე არსებობდა ცხოველთა ეს ახალი, დიდად პერსპექტიული ჯგუფი (ზეკლასი). 396-345 (დევეონური პერიოდი) და 345-280 მილიონი წლის წინადელი (ქვანახშირი) მონაკვეთში, თვალში მოგხედებოდათ თევზებისაგან წარმოშობილი ამფიბიების, შემდეგ კი ამფიბიებისაგან გამოყოფილი ქვეწარმავალთა კლასების წარმომადგელები. ამ უკანასკნელებს შორის, დაახლოებით 200 მილიონი წლის წინათ (ტრიასისა და იურულის ზღვარზე) ვითარდებიან დინოზაურები – ათეული მილიონი წლების განმავლობაში ჩვენი პლანეტის ჭეშმარიტი უზურპატორები. ჯერ კიდევ არ ჩასვენებულიყო „საშინელ ხელიკთა“ – დინოზაურთა მზე (65 მილიონი წლისათვის), რომ განვითარებაც და გადაშენების პირას მისვლაც მოასწრეს ყველაზე პრიმიტიულმა ძუძუმწოვრებმა – კვერცხისმდებლებმა, უფრო მედგრები აღმოჩნდნენ ჩანთოსნები, თუმცა ასეთები პირველივე პლაცენტანიებთან კონკურენციაში სწორად ხელმოცარულები რჩებოდნენ. პლაცენტიანი ძუძუმწოვრების – ხერხეპლიანთა ამ ყველაზე სრულყოფილი ჯგუფის ერთ-ერთ პიონერულ ფორმას წარმოადგენდა მწერიჭამია ძუძუმწოვრებისაგან ფორმირებული ნახევრად პრიმატების ჯგუფი. მათი 70 მილიონი წლის განვითარების გზა ნახევრად ადამიანივით დაგვირგვინდა.


ასე, ზოგზაგ-სპირალისებურად განხორციელდა ადამიანის განვითარება: ქორდიანიდან – ხერხეპლიანისკენ, თევზებიდან – ამფიბიებისკენ, ამფიბიებიდან – ქვეწარმავლებისკენ, ქვეწარმავლებიდან – ძუძუმწოვრებისკენ, მწერიჭამია ძუძუმწოვრებიდან – ნახევრად პრიმატებისკენ, უმდაბლესი პრიმატებიდან – უმაღლესი პრიმატებისკენ, ადამიანისმაგვარი მაიმუნებიდან – ადამიანისკენ! მაშ, ვინ ყოფილა ადამიანის წინაპარი? თუ შორიდან დაეიწყებთ – პრიმიტიული ქორდის მქონე, ლანცეტასმაგვარი არსება, რომლის უფრო პროგრესული ფორმები დიდი ხანია გადაშენდნენ. შემდეგ, ადამიანისკენ განვითარების გზა განაგრძეს ხერხეპლიანებმა სემოთ ჩამოთვლილი რიგითობით, რომელთა შორის ჩვენთან ყველაზე ახლოს დგანან პრიმატები და განსაკუთრებით ადამიანისმაგვარი მაიმუნები.



სურ. 73. ბიოგენეზის (რეკაპიტულაციის) კეკელის მიერ შემუშავებული სქემა (გამარტივებული სახით).

მაშ, წარმოიშვა ადამიანი მაიმუნისაგან? იგი ისევე წარმოიშვა მაიმუნისაგან, როგორც მანამდე არსებული მწერიჭამია პლაცენტიანი ძუძუმწოვრებისაგან (დღეს ამ ჯგუფიდან ყველა კარგად ვიცნობთ ზღარბსა და თხუნელას), უფრო ადრე კი, თანმიმდევრობით: ქვეწარმავლების, თევზების, დაბოლოს, ქორდიანებისაგან. ეს არის ჰომო საპიენსის განვითარების 600 მილიონწლიანი გზა. მისი ნაწილი, სულ ცოტა 400 მილიონი წელი – თევზებიდან ადამიანისმაგვარი მაიმუნების ჩათვ-

ლით - ასახულია ნებისმიერ ჩვენთაგანში, როდესაც პირველი ორი თვის განმავლობაში, დედის შიგთავსში გაეიარეთ ხერხემლიანთა ევოლუციის ყველა საფეხური! ამ საკითხთან დაკავშირებით ევოლუციური, ხასიათის ლიტერატურაში არსებობს რეკაპიტულაციის (იმავე ბიოგენეზის) კანონის თეორია. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: ადამიანი თავისი ინდივიდუური განვითარების (ონტოგენეზი) ჩანასახოვან სტადიაში გაივლის ყველა



სურ. 74. ადამიანის ჩანასახი. ადამიანის ჩანასახის ორგანოები სხვა ხერხემლიანთა ჩანასახების ორგანოთა ანალოგია, მაგალითად, სალაყურე ჯიბუკები (ა), კული (ბ) და ა.შ.

ხერხემლიანი ორგანიზმის ისტორიული განვითარების (ფილოგენეზი) მთელ გზას, უფრო კონკრეტულად, ადამიანის ჩანასახი განვითარების ადრეულ სტადიებზე ჰგავს თევზის, ამფიბიის, ქვეწარმავლის ჩანასახებს, მხოლოდ განვითარების გვიან სტადიაზე ემსგავსება ძუძუმწოვრის ნაყოფს.

... მაშ, ასე, ბუნების დიდი თეატრის სცენაზე გამონდნა მისი მორიგი, ჯერ კიდევ „ჩეულებრივი“ გმირი - ნახევრად პრიმატები.

თითქოს ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ დროის გეოქრონოლოგიური სკალის გათვალისწინებით ბუნების მეისტორიუს უკვე ესმის ადამის ძის სუნთქვა, მისი გულის ფეთქვა: ... 40 მილიონი წელი - უმაღლესი მაიმუნების ჯგუფი, 20 მილიონი წელი - დროიპითეკები, 15 მილიონი წელი - რამაპითეკები, რომლებიც ადამიანის გენეალოგიური ხის ძირში დგომის ყველაზე მეტ პრეტენზიას „აცხადებენ“, 5-4 მილიონი წელი - პირველი ორფეხა პომინიდები, 4-1,6 მილიონი წელი - მასიური (პარანთროპები) და გრაციული აესტრალოპითეკები. ახლა დრო უსაშველოდ სწრაფად გარბის. პრიმატთა მომდევნო ფორმები სულ უფრო ადამიანურ სახეს ღებულობენ.

აგერ, პომო საპენსიც! მისი პოპულაციის ერთი

ნაწილი რაღაც საცხოვრებლის მსგავს იკეთებს, სხვებს, კანტი-კუნტად, ცეცხლით ააღებულ მუგუსლები უკავიათ ხელში. თვალისდახამხამება და, დედამიწის დიდ ნაწილზე განსახლებულმა პომოს ახალი სახეობის ხელით დანთებულმა კოკონებმა გააჩირადნეს ჩვენი პლანეტა. ირგვლივ უსხედან - იავანთროპები, სინანთროპები, ატლანთროპები და პომო ერექტუსის სხვა, არქაული წარმომადგენლები.



სურ. 75. პლაცენტაზე მიმაგრებული, ამნიონის სითხეში მოთავსებული ადამიანის ნაყოფი დაახლოებით შეიდი თვიდან ემსგავსება თავის თავს - პომო საპენსის სახეობას.

ეუცქერით და ერწმუნდებით, რომ ცეცხლი გამხდარა გამართული ადამიანის მუდმივი თანამგზავრი შრომასა და ბრძოლაში, დღისით თუ ღამით...

უკანასკნელი 100000 წელი. დედამიწის აღმოსავლეთ ნახევარსფეროს დიდი ნაწილი ადამიანებითაა დასახლებული - ნეანდერტალელითა და თანამედროვეთი. თუ არა დაკვირვებული თეალი, ნეანდერტალელი ცხოველის ასოციაციას ნამდვილად არ გამოიწვევდა: ჩეულებრივი, ადამიანური აღნაგობა, მისი მიხერა-მოხერა, სიმაღლე, ქალას სომა (ტენის იგივე მოცულობა), თუმცა, სახე რამდენადმე მაინც ატარებდა პითეკანთროპულ ელფერს. ნეანდერტალელი ის „კაცური კაცია“, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თავისი ტომის - კაცობრიობის - ტრადიციებსა და ჩანასახოვან რელიგიურ კულტს, როგორც ჩანს, თუნდაც ძალზე პრიმიტიული, მაგრამ მაინც ჰქონდა წარმოდგენა სამყაროზე, საწუთროზე. მან, პირველმა პომინიდთა ისტორიაში, დაიტირა თავისი მიცვალებული და საყვავში ყვაილებიც ჩაატანა, თუმცა ინვანტივით, მაგრამ უკვე საკმაოდ დანაწევრებულად, ადამიანურ ენაზე ამეტყველდა. დინოზაურების მსგავსად, მათი უცარი გაუჩინარების ბევრი დეტალი დღემდე უცნობია.

**ადამიანი – იარაღის მწარმოებელი
პროტოპრეჰისტორიის არსება**

ადამიანისმაგვარი მაიმუნისაგან განსხვავებით, ადამიანის უშუალო წინაპარი ფორმა – გრაციოზული აგებულების ავსტრალოპითეკები – კუნთების საერთო მასის სიმსუბუქის გამო, ფიზიკური ძალით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ არამცთუ ძლიერ მტაცებლებს – ლომსა და ლეოპარდს, არამედ თავის ახლო ნათესავეებს – მაიმუნებსაც (პანთი, შიმპანზე). ამას დაემატა ორ ფეხზე გადაადგილების წესი, რამაც მნიშვნელოვნად დააკარგინა სისწრაფე. თვით შიმპანზეც კი ოლიმპიური შეჯიბრებისათვის მომზადებულ სპრინტერსე ორჯერ უკეთეს შედეგს უჩვენებს. მოკლე დისტანციაზე მაიმუნი საათში 40-50 კილომეტრი სისწრაფით გარბის, ადამიანი – 25-ით (შედარებისათვის: გეპარდი – 100-120, ლომი და ზოგიერთი ანტილოპა – 80, სირაქლემა – 70, აფთარი – 50 და ა.შ.).

ორფეხა პომინილმა ბრჭყალების ფრჩხილებად გადაქცევის გამო, დაკარგა ხეზე სწრაფად აძრომის უნარი, გარდა ამისა, გაუთხელდა ყბის ძვლები, მნიშვნელოვნად დაუმოკლდა ეშვები... ბუნებრივია, ასეთი არსება გაცილებით ნაკლებად იყო შეგუებული საუნაში არსებობას, ვიდრე ნებისმიერი სხვა ცხოველი. მუტანტის ბედი გადაწყვეტილი

იყო – მას გარდაუვალი გადაშენება ეწერა. დიახ, ბუნებამ დაასუსტა და განაიარაღა წინააღმართი, მაგრამ, სანაცვლოდ, ისეთი ნიშან-თვისებებით შეაიარაღა, რითაც გეოლოგიური ქრონოლოგიით სულ მოკლე დროში ფანტასტიკურ წარმატებას მიაღწია – ეს არის მოასრონე ტყინი და ბუნებრივი იარაღის – ეშვებისა და ბრჭყალების მაგიერად ხელოვნური იარაღით – ქვით, ძვლითა და ჯოხით შეიარაღება, მოგვიანებით დანაწევრებული მეტყეველების გამოუმუშავება და ამ გზით სასოგადოებრივი ცხოვრების წესის განმტკიცება.

მიწაზე გამართულად მოსიარულე არსებისათვის, არცთუ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა მახვილ, ბინოკულარულ მხედველობას.

თუ საუნის მტაცებლები მსხვერპლზე ინფორმაციას ცხვირის მიწაზე დადებით – ყნოსვით იგებენ, ჩენს შორეულ წინაპრებში ამისათვის უპირველეს როლს თვალები – მხედველობა ასრულებდა. ორ ფეხზე მდგარნი, მაღლა თავაწეულები და სივრცეში შორს მაცქერალნი გაცილებით მეტ ინფორმაციას მოიპოვებდნენ საკბილოზე, ვიდრე საუნის მიწაში ცხვირჩარგული ნებისმიერი მტაცებელი.

მაგრამ ორფეხიანობის დადებით მხარეში იყო ერთი უგამორჩეულესი, რამაც ჯერ რიგითი პრიმატის გაადამიანებაში, ხოლო შემდეგ წინააღმართის არსებობისათვის ბრძოლაში შეუფასებელი როლი




სურ. 76-77. ზედა, გათავისუფლებული კიდურების წყალობით ორფეხა პომინილები ადვილად დაეუფლნენ ხელებით ტყისა და ჯოხის მანიპულირებას. თანამედროვე ველური პრიმატებიდან მსგავს ამოცანას წარმატებით ართმევენ თავს შიმპანზე.

ითამაშა. როგორც ითქვა, მაიმუნადამიანებმა მეხეუ-
რი წინაპრებისაგან გენეტიკურად დაიმკვიდრეს
ხის იარუსში აქტიური ცხოვრებისათვის აუცი-
ლებელი ხელის თავისებური მტევანი, ამ უკანასკ-
ნელის ტოტებზე ჩაჭიდების ძლიერი და სუსტი
უნარი. ახლა, როდესაც სავანის გაშლილ სიერ-
ცეში გამართულ სიარულს დაეუფლნენ, მტევნის
თავისებურმა აგებულებამ, შესაძლებლობა მისცათ
ხელში დაეჭირათ ჯოხი ან ქვა და ასე დაეცვათ
თავი აგრესორისაგან.

თავდაცვის მსგავს ხერხს შიმპანზეც მიმართავს.
პოლანდიელმა მეცნიერებმა ტანზანიაში სამილა-
ვიდან გაუშვეს დისტანციური აპარატით მართავდი
ლეოპარდის ფიტული. შიმპანსეთა გააყვებულმა
ჯოგმა ჯიქურ შეუტია მოსისხლე მტერს, რისთ-
ვისაც წარმატებით გამოიყენეს იქვე წინასწარ დაყ-
რილი ქვები და ხის გამზმარი ტოტები. ისიც კარ-
გადაა ცნობილი, რომ წყლის დასალევად თუ ჭო-
ანჭველების მისართმევად, შიმპანზე დროდადრო
იარაღად იყენებს და აუშჯობებს კიდევაც სხვა-
დასხვა საგნებს.

ვინაიდან ხელოვნური იარაღი თავდაცვისა და
თავდასახმის, ე.ი. სავანის ეკოსისტემაში დამკვიდ-
რების ერთადერთი შანსი იყო, წინადადმიანიც,
შიმპანზესაგან განსხვავებით, იარაღის ეპისოდურ-
ად დამზადებიდან მის სისტემატიურ დამზადებ-
გამოყენების წესზე გადავიდა.

პალეოანთროპოლოგები, განსაკუთრებით ნიკო-
ლას ტოტი ინდიანას შტატიდან (აშშ), ამ სფეროს
განსაკუთრებით ჩაუღრმავდა. ადრე, მრავალ
სპეციალისტს მიაჩნდა, რომ პირველმონადირეთა
სწრაფვა ქვის დიდი ნაწილის ჩამოტეხვა იყო, ამ
პროცესში კი იფანტებოდნენ პატარ-პატარა ნამსხფ-
რეები. ექსპერიმენტებით დადგინდა პირუკუ სურა-
თი. ტოტის მიხედვით, შორეული წინაპრები ამზა-
დებდნენ სწორედ ქვის პატარა, სამართებლისებრ
ბასრ ანატექცებს და ასე ხმარობდნენ მათ ნანა-
ღირების ხორცის დასამზადებლად.



სურ. 78. აფრიკის აპორიგენები ქვათა ბასრი
ანატექციით დღემდე წარმატებით ატყავებენ
ნანადირევს (იგივე ითქმის აესტრალიელებზე)

„როცა თანამედროვე ადამიანს ეუყურებთ, ეგვი
არ გვეპარება, რომ ნაკლებად ვგავართ მტაცებ-
ლებს – ჩვენი არც ეშვებისა და არც ბრტყალების
გამო მოკურცხლავს ვინმე შორს, არც ლომივით
ტიტანური ძალით დამყრთხალი დაიხვეს უკან,
მაგრამ თუნდაც კეტებითა და ქვებით შეიარაღ-
ბული რამდენიმე მამაკაცი უკვე ნებისმიერი ნაღ-
რისათვის, თვით მიყინვარ მტაცებლებისთვისაც
ანგარიშგასაწევი ძალაა, ქვის ბასრი ანატექციებით
კი კამეჩის გატყავებაც შეიძლება“.

ქვის უფრო უხეში იარაღით (ნოპერი, ნოპინგი)
შეიძლება დაეპატრონო ძელის ტყინს. იგი, პრაქ-
ტიკულად, მხოლოდ ცხიმების შემცველია. ტყინმა
– ამ მაღალკალორიულმა საკვებმა – პირველმო-
ნადირეს ენერგია გაუთოკცა. აფრიკის ტრამალებ-
ში მოხეტიალე პომინიდისათვის ეს სიახლე ბევრს
ნიშნავდა.

ეშვებისა და ბრტყალებისაგან განსხვავებით,
ქვის, ძელისა და ხისაგან დამუშავებული იარაღი
შეიძლება ჯერ მოიპოვო, ხოლო შემდეგ, შენი
შეხედვლების მიხედვით შეინახო, ანდა ნებისმიერ
დროს, უკეთესით შეცვალო. მტაცებელი მსგავს
უპირატესობას მოკლებულია, ამიტომ, თანდათა-
ნობით გაუმჯობესებულმა ასეთმა იარაღმა ადა-
მიანს განუზომელი ძალაუფლება მისცა გარემოსზე.

როდის გამოიყენა ორფეხა არსებამ ქვის პირვე-
ლი იარაღი? სამხრეთ და აღმოსავლეთ აფრიკაში
დარტის, ლიკების, ჯოჰანსონისა და სხვა პალეო-
ანთროპოლოგების მიერ მოპოვებული მასალებით
დასტურდება, რომ ამ მნიშვნელოვან სიახლეს
ადგილი ჰქონდა დაახლოებით 2 მილიონ 300 ათასი
წლის წინათ, ე.ი. დაახლოებით 2 მილიონი წლის
შემდეგ, რაც სავანაში პირველმა ორფეხა პომინი-
ლებმა გაიარეს.

არანაკლებ საინტერესოა, თუ რა მიზნით აღმარ-
თა ადამიანის უშუალო წინაპარმა ქვის იარაღი
თავის მსხვერპლზე, ანთროპოლოგიურ ლიტერა-
ტურაში დიდხანს ბატონობდა აზრი იმის თაობა-
ზე, რომ პირველმონადირეებს იარაღი დასჭირდათ
ნადირ-ფრინველზე სანადიროდ. ამჟამად ეს შეხე-
დულება ეჭვის ქვეშ დგას. ჯერ ერთი, როდესაც
შიმპანზე მაიმუნის სხვა სახეობების მოზარდებს
ნადირობს, არავითარ იარაღს არ იყენებს, მხოლოდ,
სანამ ნადირობაში დაოსტატდებოდა, პომინიდისთ-
ვის გაცილებით ადვილი იყო სავანის ნებისმიერი
სქელკანიანი ძუძუმწოვრის ახლად დაყრდნობილი
გემის ქვის ბასრი ანატექციით გატყავება და აქნა.
საქმე ის არის, რომ სანამ გაიხრწნებოდეს სპილო,
მარტორქა და სხვა სქელკანიანი ცხოველები, ნე-
ბისმიერი მტაცებლისათვის საჭმელად მიუწევდო-
მელია – ამ უკანასკნელებს გემის ქსოვილების
გახრწნამდე არ ძალუძთ მათი ტყავის გაგლეჯა
და ხორცამდე მიღწევა.

თანდათანობით, თაობიდან თაობაში, მაიმუნ-
ადამიანი სულ უფრო ეგუებოდა სავანაში ცხოვ-
რებას. სხეული სულ უფრო იმართებოდა და ვერ-
ტიკალურ მდგომარეობას იღებდა. სიმალეშიც

იზრდებოდა, 1,10–1,20 სანტიმეტრიდან 1,50 სანტიმეტრს მიაღწია, მასაც 50–60 კილოგრამზე ნაკლებს აღარ შეადგენდა. ასეთი წონის პატრონ ორგანიზმს ორ კიდურზე დგომა, მით უმეტეს გადაადგილება გაუჭირდებოდა, ამიტომ დაიწყო მთელი სხეულის ძველოანი სტრუქტურის ძირეული რეორგანიზაცია. ტერეგობმა დაკარგეს ტოტზე ჩაჭიდების ფუნქცია და მიწაზე სიარულისთვის მოხერხებული აგებულება შეიძინეს, მნიშვნელოვნად შეიცვალა ფეხის დანარჩენი ძვლების აგებულება, განსაკუთრებით ეს გამოიხატა ბარსაყის სახსრის გადაადგილებით მენჯის ცენტრში (ამით ვერტიკალურ სხეულს გაწონასწორების საშუალება მიეცა), თვითონ მენჯი გაფართოვდა და ჯამის (ფიალის) ფორმა მიეცა. მასზე ძლიერი კუნთები განვითარდა (კუნთები ბია საყრდენი ვერტიკალურად ამართული ხერხემლისათვის, იგი, ერთდროულად, წინ მოქცეული მუცლის დამჭერიცაა). ხერხემალი ლათინური S ასოსავეთ გაიკალა, ასეთმა ფორმამ სხეულის ზედა ნაწილს მოქნილობა და მეტი წონასწორობის უნარი მისცა. ჩონჩხის ანატომიის კორექციური ცვლილებების მთელ ამ ჯაჭვში უმნიშვნელოვანესი იყო ქალას, საერთოდ თავის ახლებური მდებარეობა ხერხემალზე და მისი ზემოთ აღწერილი სახეცვლილება (ყბების შემცირება, რის გამოც მკაფიოდ გამოიხატა ნიკაპი, შუბლის ამაღლება, ტენის მოცულობის ზრდა). სწორედ ასეთი აგებულების პომინიდს მისცევს მეცნიერებმა შესატყვისი ლათინური სახელწოდება – Homo erectus – გამართული ადამიანი (ორ ფეხზე სეამართულ მდგომარეობაში მოსიარულე ადამიანი).

ურეპტუსი, უკვე მის მიერვე სათანადოდ დამუშავებული ქვებით კარგად შეიარაღებული ორფეხა არსება, მრისხანე მტაცებელია. სამხრეთ-დასავლეთ კენიაში, 19 მეტრი სიგრძისა და 13 მეტრი სიგანის ნაკვეთზე მიკვლეულ იქნა გამართული ადამიანის მიერ დახოცილ პაეიანთა 63 ინდივიდი, მთელი სასაფლაო. იქვე ყრია დამუშავებული, ათობით ქვის იარაღი და დაწამბების პროცესში მათგან მომტვერეული ქვის ასობით ნატეხი. საინტერესოა, რომ იარაღად გამოყენებული ამ ქვების კარიერი სასაკლაოდან 30 კილომეტრითაა დაშორებული.

ნახევარი მილიონი წლის წინანდელი მთელი ეს არქეოლოგიური მასალა შესაძლებლობას იძლევა აღდგენილ იქნას შორეულ წარსულში დატარებული დრამატული სურათი. როგორც ჩანს, ორფეხა მონადირეების ჯგუფი მოუთმენლად ელოდებოდნენ დაღამებას. როგორც კი ჩამოხნულდებოდა, პომინიდები ჩუმად ეპარებოდნენ ხეზე მიიწარე პაეიანებს. მსხვერპლი გარშემორტყმული იყო. იწყებოდა მძინარე ცხოველებთან შორი-ახლო მიტანილი ქვების მსხვერპლისაკენ გამაღებული სროლა. პაეიანი ძლიერად, მრისხანე ნადირია. ზრდასრული მამრი ზომით არ ჩამოუვარდება ადამიანს. მაიმუნებს შეეძლოთ ელეის სისწრაფით დაშვებულებიყვნენ მიწაზე და გაშიშვლებული ეშვებით მივარდნოდნენ მტერს, მაგრამ კბილები,


როგორც იარაღი, ბევრად ჩამორჩებოდა ძველ ადამიანთა იარაღს. პაეიანებს ისლა დარჩენილად, სწრაფად გაცლოდნენ ბრძოლის ასპარეზს, მაგრამ მსხვერპლს გაქცევის საშუალებას არ აძლევდნენ – ხელკეტებითა და ქვებით უსწრაფებდნენ სიცოცხლეს. შემდეგ მონადირეები მჭრელი ქვებით ატყაუებდნენ ცხოველებს, ძვლებს ქვის ლოდებით ამტყრევდნენ. ორფეხა მტაცებლებს ერთი სული ჰქონდათ გათენებამდე. ირივრავებდა თუ არა, იწყებდნენ ღრეობას...

პაეიანების ალყაში მოქცევა ყურადღებას იქცევს თავისი წინასწარ მოფიქრებულობითა და ორგანიზებულობით. ადამიანებს, ყველა სხვა პრიმატის მსგავსად, ღამით სძინავთ, დღისით კი, აქტიურები არიან. მაგრამ მსხვერპლზე – პაეიანებზე – მოულოდნელი თავდასხმის მოწინა პრეისტორიული პომინიდები ცვლიდნენ დღელამური აქტიურობის დამახასიათებელ წესს – აცლიდნენ ცხოველებს დაძინებას, თვითონ კი შუალამემდე თვალსაც არ მილულავენ. ქვები – სხვადასხვაგვარად დამზადებული იარაღი – წინასწარ არის მიტანილი სანადირო ტერიტორიაზე. თავდასხმის ყველა დეტალიც საგულდაგულოდაა დამუშავებული. ამგვარად, ოპერაციის არტერით ნაბიჯი არ ატარებს სტიქიურ, შემთხვევით ხასიათს. ნადირობის პროცესის მგავსი გააზრების გარდა, აგრესორები სიმამაცითა და სიფხიზლითაც გამორჩეულები უნდა ყოფილიყვნენ. საქმე ის არის, რომ ღამით პოტენციურ მსხვერპლზე დადარაჯებულები, შეიძლება ნებისმიერ წუთს თვითონ გამხდარიყვნენ არაერთი მტაცებლის მსხვერპლნი.

ვინაიდან ქვის იარაღი მეტწილად ნამარხ ჩონჩხთან ერთად არის მოპოვებული, იგი სპეციალისტს ცხოველური წინაპრის გაადამიანების თაობაზე არანაკლებ ინფორმაციას აწვდის, ვიდრე თეთი ადამიანის ჩონჩხი. ირალისთვის ძირითადად გამოიყენებოდა კვარცი ანდა მისი არაკრისტალური სახესხეობა – კაუი. ამ მინერალზე ქვის გარკვეული კუთხითა და სწრაფი დარტყმით შეიძლება ჩამოტყდეს თხელი, ბასრზედაპირიანი ფირფიტები, დაახლოებით ისეთები, როგორებიც ფაიფურის ჭურჭლის გატეხვისას რჩება ხოლმე. თუ კვარცს, ჩვეულებრივ, ფოლადზე მაგარ მინერალს მახვილწვერიან ფორმას მიეცემთ, იგი დიდხანს ინარჩუნებს ასეთ ფორმას. იარაღად გამოყენებული ასეთი ქვები ფრად მედგარნი არიან ქიმიური ზემოქმედების მიმართ, ადვილად უძლებენ გამოფიქრისა და ეროზიის გამომწვევებზე ბუნებრივ ძალებს, ამიტომ, ფოსფატისა და კალციუმის კარბონატისაგან შემდგარ ძვლებთან შედარებით, გაცილებით უკეთ, ათასობით წლების განმავლობაში ინახებიან დედამივის ქერქში.

იმისდა მიხედვით, თუ რამდენად უხეშად ან, პირიქით, ფილიგრანულადაა ქვის იარაღი დამუშავებული, მსჯელობენ ადამიანის განვითარებულობაზე. იგივე იარაღები, გარკვეული თვალსაზრისით, მოგვაგონებენ დედამივის ქერქის ცალკეულ ქა-

ნებს ში ქვევიდან ზემოთ განლაგებულ განამარ-
ხებულ ცხოველთა ნაშთებს – რაც უფრო ქვედა
ნაღვექშია იარაღი აღმოჩენილი, მით უფრო პრი-
მიტიულია და პირიქით. ადრეული ადამიანის ფიზი-
კურად და ინტელექტუალურად მომწიფების პარა-
ლელურად, მის მიერ დამზადებული იარაღიც
უმჯობესდებოდა.



სურ. 79. რიყის ქვისაგან დამზადებული
მარტივი იარაღი – ჩოპერი (არტეფაქტების
დამზადების ოლდუვანური კულტურა;
ადრე პალეოლითი).

ქვის იარაღები ადამიანთა განვითარება-დაოს-
ტატების თვალსაჩინო დასტურია. ეს პროცესი ჯერ
ძალიან ნელა, მოგვიანებით – გაცილებით სწრა-
ფად მიმდინარეობდა. შექმნილი ცოდნა და გამოც-
დილება გადაეცემოდა თაობებს, შემდეგ კი – სხვა
ქვეყნის, სხვა კონტინენტის არქაული ტიპის ადამი-
ანებსაც. ამიტომ არის, რომ ქვის იარაღის ინდუს-
ტრია, პრეისტორიული ადამიანის ნამარხი ძელების
მსგავსად, შესაძლებლობას აძლევს სპეციალის-
ტებს თვალი გაადევნონ კაცობრიობის განვითარ-
ების ცალკულ საფეხურებს, მისი კულტურის
გლობალურად გაერცელებას.

სპეციალურ ლიტერატურაში ადამიანის მიერ
დამზადებულ იარაღს არტეფაქტს უწოდებენ (ლა-
თინურად arte – ხელოვნებას, factus – დამზადე-
ბულს, გაკეთებულს ნიშნავს). გეოქრონოლოგიური
სკალის მსგავსად, არქეოლოგებმა და ანთროპო-
ლოგებმა ქვის იარაღებისათვის განსაკუთრებული
სქემა შექმნეს. ეს მსგავსება იმით არის განპირო-
ბებული, რომ ორივე მათგანი ერთ პრინციპზე –
რეტროსპექტივაზეა – აგებული. წარსულში, დროის
ევებერთელა მონაკვეთში, ორივე სფერო ახალ-
ახალი ინფორმაციით ერთნაირად ივსებოდა და
იხვეწებოდა. დედამიწის ქანებში ქვის იარაღთა
დათარიღებაც მსგავსი – რადიაქტული ნიეთიერე-
ბების მოშეგებიტობით ხდება.

დედამიწის ქერქში ქვის იარაღები გეოლოგიური
ქრონოლოგიით მეოთხეული პერიოდიდან (პლეისტო-
ცენი – 2,5 მლნ წინათ) გვხვდება. ძველი ქვის

ხანას პალეოლითს (ბერძნულიდან – პალაიოს –
ძველი და ლითოს – ქვა; ძველი ქვის საუკუნე)
უწოდებენ. იგი მოიცავს დროის დაახლოებით 2
მილიონი წლიდან, ვიდრე 12–10 ათას წლამდე
მონაკვეთს (პალეოლითის ყოფენ ადრე, ანუ ქვედა
პალეოლითად და გვიან, ანუ ზედა პალეოლითად);
მესოლითი (შუა ქვის საუკუნე) – მოიცავს 10–9
ათასი წლების, ხოლო ნეოლითი (ახალი ქვის
საუკუნე) – 9–6 ათასი წლების ინტერვალს. დაახ-
ლოებით 5 ათასი წლიდან იწყება ენეოლითი –
მეტალთა საუკუნე.

ყველაზე ძველი ქვის იარაღები (არტეფაქტები)
– რიყის გლევი, მრგვალი ან ბრტყელი ქვიბია,
რომლებსაც პომინიდები აგროვებდნენ მდინარეთა
სანაპიროსთან, ხოლო შემდეგ, წამახვილების
მიზნით, მეორე ქვით ამუშავებდნენ.

რიყის ქვების სიტლანქის მიუხედავად, ისინი
და მოზრდილი ცხოველის წვივის ან ბარძაყის
ძელები მთელი ორი მილიონი წლის განმავლობაში
გამოიყენებოდა იარაღად. ასეთი იარაღით სარგებ-
ლობდა მარჯვე ადამიანი, შესაძლებელია, მისი
წინამორბედი და მომდევნო ფორმებიც – აესტრა-
ლოპითიკი და გამართული ადამიანი. პალეოლითი
დამთავრდა მინიმუმ 12000 წლის წინათ, მაშასადამე,
ადამიანი ქვის უხეში იარაღით სარგებლობდა 350-
ჯერ უფრო დიდხანს, ვიდრე მეტალის არტეფაქ-
ტით, ე.ი. იარაღის გაუმჯობესების პროცესი ძალიან
ნელა მიმდინარეობდა, თუმცა პროგრესიც აშკარად
შეიმჩნეოდა.



სურ. 80. კაყისაგან დამზადებული შუბის
წერი (არტეფაქტების დამზადების აშულოური
კულტურა; ზედა პალეოლითი).

1 მილიონიდან 40000 წლის ინტერვალში იარა-
ღის დამზადების ტექნიკა გაცილებით გაუმჯო-
ბესდა და გამრავალფეროვნდა. ქვის ხელცულებთან
ერთად იგი უკვე ამზადებდა ქვის დანებს, საფ-
ხეკებს, წვეტანებს, ნემსებს და სხვ. ზედა პალეო-

ლიონიდან (დაახლოებით 30000 წლის წინათ) კაქისა და ეულკანური მინის – ობსიდიანისაგან დამზადებული დანებით, საჭრისებით, საფხეკებით, ძელისა და რქისაგან გაკეთებული სახერვტებითა და სხვა იარაღებით თამამად შეიძლებოდა ხის, ქვის, ძელის, ტყავის წინააღმინის საჭიროების მიხედვით დამუშავება. ეს კი შესაძლებლობას იძლეოდა შეეკრა ტყავის ტანისამოსი, მოეწყო დროებითი თეთრ შესაფარი. დაბოლოს, ადამიანმა გამოიგონა ქვის-პირიანი შუბი და მასთან ერთად მშვილდ-ისარიც.

რა დასკვნის გაკეთება შეიძლება სემით მოყვანილი ფაქტებით? შორეულ წარსულში ავსტრალიოპითეკებიც წარმატებით იყენებდნენ ბუნებრივ საგნებს იარაღად, საჭიროების მიხედვით სახესაც უცვლიდნენ მათ. სულ პირველ იარაღებად გამოყენებული უნდა ყოფილიყო ძელის ნატეხები, წვერ-წამახული ფოხები, ხოლო საკეების მოსათავსებლად – ხის ქერქის სინი (ლანგარი, რასაც ამჟამად იყენებენ ავსტრალიელი აბორიგენები). მსგავსი, ნაკლებად მედგარი, ადვილად შლადი და ლპობადი იარაღები დედამიწის ქერქში არ ინახება. ამ მხრივ ქვა შეუვალაია. აღმოსავლეთი აფრიკის ოლდუვაისა და ეთიოპიის ადრინდელი პომინიდები, 2,5 მილიონი წლიდან მოყოლებული შეგნებულად ამტერევენდნენ ქვებს, რათა ერთ-ერთი მათგანის წამახვილებული პირით ხორცი აეთალათ ძელისაგან.

იარაღის დასამზადებლად საჭირო „ინსტრუმენტის“, ანუ წარმოების იარაღის დამზადება (რაც მხოლოდ ადამიანის მოდგმას ახასიათებს) გაცილებ



სურ. 81. სატეხით ქვის იარაღის დამამზადებელი ავსტრალიელი აბორიგენები.

ბით გვიან დაიწყო. იარაღის ამ „საწარმოო სპეციალიზაციას“ პირველად ხელი მიჰყო კაცობრიობის გვარის პირველმა სახეობამ – ჰომო ჰაბილისმა. მარჯვე ადამიანის მიერ 1,9 მილიონი წლის წინათ დამზადებული ტიპური ინსტრუმენტი ცნობილია „ოლდუვანური კულტურის“ სახელწოდებით (ტან-სანის ოლდუვაის ხეობის მიხედვით). მოგვიანებით ოლდუვანური ინდუსტრია და მისი გარკვეული სახეცვლილებანი ფართოდ გავრცელდა მთელს აფრიკასა და მის ფარგლებს გარეთ – ევრაზიაშიც. ზოგიერთ რაიონში იგი ყვაოდა ჯერ კიდევ 200

ათასი წლის წინათ, ე.ი. მას შემდეგ, რაც ქვის ხანის იარაღის გაცილებით სრულყოფილი ტექნოლოგიური ხერხები იქნა დამუშავებული.

თუ როგორ ხასიათს ატარებდა კაცობრიობის კულტურის განთიადისას იარაღის წარმოება, მისი წარმოდგენა შეიძლება თანამედროვე ავსტრალიელ აბორიგენთა საქმიანობით. კიმბერლის რაიონში პალეოლითური კულტურის მატარებელ ბორორას ტომის ხალხი დღემდე ამზადებს ქვის სპეციალურად დამუშავებულ ინსტრუმენტს – სატეხს. ხშირად მას აბორიგენი ისევე ხმარობს, როგორც ჭედური ხელოვნების ოსტატი ჩაქუნს. ქვის სატეხით ქვაზე ძლიერი დარტყმით აბორიგენი ჯერ გამოპირავს – უხეშ ფორმას აძლევს შუბის წვერზე დასამაგრებელ ქვის ბუნიკს, შემდეგ მასზე ძელისა და მაგარმერქნიანი ხის დაჯერითა და დამუშავებით საბოლოო სახეს ანიჭებს ნახევარფაბრიკატ საბრძოლო იარაღს. საბოლოოდ დამზადებული ბუნიკი სიგრძით 3-5 სანტიმეტრია, მახვილის ფორმის კიდევები ზოგჯერ სპეციალური აქვს და ხერხის კბილებს მოგვაგონებს. მსგავსი ფილიგრანული იარაღის დამზადება მოითხოვს მაღალ ოსტატობას და ასეთი პირები ტრადიციულად ავტორიტეტით სარგებლობენ. ქვის მსგავსი იარაღები ყველა ქანისგან როდი მზადდება. როგორც ინსტრუმენტის, ისე, მით უმეტეს, საჭურველის დასამზადებლად ვარგისი მინერალების საბადოების ადგილმდებარეობა ამა თუ იმ ტომის საიდუმლოებას წარმოადგენს, გვარი მას თვალისწინებით უფრო ხილდება და მისი ადგილმდებარეობის გამჟღავნება უკიდურესი სისასტიკით ისჯება.

ანალოგიური კულტურა ახასიათებს ავსტრალიის არნემ ლენდის პლატოს (კაკადუს ეროვნული პარკის ტერიტორია) აბორიგენებსაც.

სპეციალისტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ პალეოლითური ეპოქის მონადირეებს ქვის იარაღთა წარმოების ანალოგიური ტექნოლოგია გააჩნდათ.

ამგვარად, 2,5 მილიონი წლის წინანდელი პერიოდის, კიდევ 6000 წლის ჩათვლით წინანდელ დრომდე, ადამიანის ტექნიკურ საქმიანობაში დომინირებდა მისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი და იარაღად ფართოდ გამოსაყენებელი მასალა – ქვა.

საენის პირველი ორგანო მონადირე

როდის, რატომ და რომელი პომინიდი გამოვიდა პირველად საენის ასპარეზზე როგორც მტაცებელი? ვინ ითამაშა პირველი მონადირის როლი „მტაცებელი-მსხვერპლის“ ეკოლოგიურ მოდელში?

პრიმატთა აბსოლუტური უმრავლესობა ვეგეტარიანელია. იშვიათ გამონაკლისს მიეკუთვნებიან შიმპანზე და პაეიანი. მაგრამ, როგორც ითქვამ, ხორცისმჭამელოდ არც მათთვის არის მაინც-დამინც დამახასიათებელი და იშვიათად, დროდადრო თუ მიმართავენ მას. შესაბამისად, დაახლოებით 5 მილიონი წლის წინათ, უკვე საენად ქცეულ აღმოსავლეთ აფრიკაში ოთხფეხა პრიმა-

ტებიდან გამოყოფილი, უკანა კიდურებზე სეამართული პირველი პომინიდი – ავსტრალიოპითეკი და მისი ახლო მონათესავე გეარები – ემბეტორიანელები იყვნენ. ამას ადასტურებს ამ არსებათა კბილების აგებულება. ადრე არსებული შეხილულება მათი მტაცებლური ცხოვრების წესის თაობაზე, უარყოფილია, თუმცა, ყველაფრისმჭამელობა ახასიათებდათ, მაგრამ არა აქტიური, არამედ უხერხემლო და წერილი ხერხემლიანი ცხოველების ხელით შეგროვების ხარჯზე.

ტროპიკულ წვიმიან ტყეებს – ადამიანისმაგვარ მაიმუნთა თავშესაფარს – სეზონურობა არ ახასიათებს, ამიტომ მათ იქ საკვები მთელი წლის განმავლობაში თავზე საყრდელი აქვთ. სულ სხვაა საენა. ამ გარემოში კარგად არის გამოხატული წელიწადის ორი სეზონი – წვიმიან და გვალების, რომელთა შეფარდება დროში განედების მიხედვით ან ერთნაირია (6 თვე – 6 თვეზე), ანდა მასთან მიახლოებული. გვალების სეზონში აქ მცენარისმჭამელი ცხოველებისათვის დიდი პრობლემა იქმნება. როგორც ცნობილია, საენა მერქნიანი მცენარეებით ღარიბი ლანდშაფტია, სამაგიეროდ, უხედაა წარმოდგენილი სტეპის ტიპის ბალახოვანი საფარი, მაგრამ ეს უკანასკნელი მშრალ სეზონში ხმება და საკვებ ღირებულებას კარგადაა, მინიმუმამდე მცირდება ნაყოფთა რაოდენობა, მარცვლოვანი ბალახების თესლი, ამიტომ, ერთადერთ ხელმისაწვდომ საკვებად მხოლოდ მცენარის მიწისქვეშა ორგანოები – ფესვები, ფესურები, ძირხეხენები, გორგლები თუ რჩება. შესაბამისად, საენის ევგეტარიანელები წლის ხანგრძლივი დროის განმავლობაში წყლისა და საკვების დიდ დეფიციტს განიცდიან. როგორც თავის ადგილზე აღინიშნა, ჩლიქოსნები გამოსაყვანს სხვადასხვა გზით პოულობენ: ერთნი ეკვატორის ხაზის მიღმა მიგრირებენ (სადაც წვიმის სეზონია), მეორენი გადადიან საფხულის ძილქუშის მდგომარეობაში, მესამენი მუდმივ წყალსატევებთან იყრიან თავს (სადაც უმაჟურესი კონკურენცია იქმნება).

ასეთ ვითარებაში, არსებობის რა სტრატეგიას შეიძლება დადგომოდნენ პირველი პომინიდები? ამ კითხვასთან დაკავშირებით საყურადღებოა მაიმუნთა ქცევები; მშრალ სეზონში, ტბა ტანგანიკის მიმდებარე საენის ბინადარი შიმპანზე ადვილად გადადის არსებობის მტაცებლურ ნორზე. იგივე ითქმის პაეიანზეზეც. ექსტრემალურ პირობებში სოკიერთ პრიმატთა ომნივრობაზე, ანუ ყველაფრისმჭამელობაზე გადასვლა გეაფიქრებინებს, რომ არსებობისათვის ბრძოლაში წინააღმდეგობასაც შეეძლოთ გაეფართოებინათ თავიანთი კვებითი სპეციალიზაცია ფრინველთა კერძების, მათი ბარტყების, ანდა ძუძუმწოვრების ახალშობილ ნაშიერთა ხარჯზე.

ნადირ-ფრინველთა გამრავლების ციკლი საენაში მჭიდროდაა დაკავშირებული წვიმის სეზონთან და, ამდენად, გვალების პერიოდში ნადირ-ფრინველთა მოზარდი თაობა იშვიათობას წარმოადგენს.

თავის გადარჩენის რა გზა უნდა გამოენახათ ავსტრალიოპითეკებს, რომლებსთვისაც უცხო იყო ძილქუშის მდგომარეობაში გადასვლა, ორ ყეხზე სიარულსაც ახლახან იყვნენ დაუფლებულები, ამიტომ მიგრანტი ჩლიქოსნებით ყოველწლიურად ასეულ კილიმეტრზე ასე იოლად ეკრ განსახლდებოდნენ. რჩებოდა მესამე ალტერნატიული გზა – მუდმივ წყალსატევებთან თავის მიყრა. აქ, საკვებად ხელმისაწვდომ მცირე სიღრმის ცხოველებს შორის ნებისმიერ საკვებზე უმაჟურესი კონკურენცია წარმოიქმნებოდა. ამიტომ, ავსტრალიოპითეკთა ერთი ჯგუფი, უფრო სასრიანი და იარაღის მანიპულირებას დაუფლებულები (ასეთები კი გრაციოსული ფორმები იყვნენ) შეიძლება გადასულიყვნენ კვების მტაცებლურ წესსადაც: სხვა მტაცებლების მიერ მონადირებულ მსხვერპლის ნარჩენებით, ანდა გამოფიტული ან აუადგილოების გამო დაეარდნენ ცხოველთა გემებით კვებაზე.

პლიოცენის ბოლოსა და პლეისტოცენში, გვალების გაძლიერებით გამოწვეული მცენარეული საფარის დაკნინების გამო, ხორცის კვებით თავის გადარჩენა პომინიდებისთვის სულ უფრო აქტიულოდ უნდა გამხდარიყო.

დღეს აღარაღის ეპარება ექვი იმ ფაქტში, რომ 3-1 მილიონი წლის მონაკვეთში აღმოსავლეთისა და სამხრეთი აფრიკის ცალკეულ რაიონებში თანაარსებობდნენ ავსტრალიოპითეკების მინიმუმ ორი სახეობა. კბილების მორფოლოგიის მიკროსკოპული შესწავლით დადგინდა, რომ ავსტრალიოპითეკების (განსაკუთრებით მასიური პარანთროპების) ძირითად საკვებს შეადგენდა მცენარეული, მათ შორის უხეში და მაგარი ნაწილები (მეტწილად თესლი).

პირუკუ სურათი დადგინდა პომინიდთა მეორე გვარში – პომოში. მისი პირველი წარმომადგენლის კბილები უფრო მსხვილია, ვიდრე გვიანდელი ფორმების, მაგრამ უხეშ საკვებზე სპეციალიზაციის კვალი მათ უკვე აღარ ეტყობათ. ერთი სიტყვით, პირის ღრუს საღებუ სისტემის აგებულება მათ ნაირჭამიობის უნარზე მეტყველებს. როგორც ჩანს, პომო შაბილისი საკმაოდ ხშირად იყენებდა ცხოველურ საკვებს. ახალ კვებით სტრატეგიაზე გადასვლამ ბევრად განაპირობა პომოს, როგორც აფრიკის ძუძუმწოვრების ახალი წარმომადგენლის გამარჯვება არსებობისათვის ბრძოლაში. გარდა ამისა, რომ ხორცის ცილა მცენარეულთან შედარებით გაცილებით ყუათიანია, პომინიდს საენაში მცენარეული საკვების დეფიციტისას შიმშილით ამოწვევდა აღარ ეშუქებოდა. ამასთან, მტაცებლობაზე გადასვლა დიდად შეასუსტებდა მის კონკურენციას საენის ესოდენ რიცხვმრავალ ევგეტარიანელ ცხოველებთან.

ამ მოსაზრებას ადასტურებს მარჯვე ადამიანის მიერ მონადირებულ ნადირთა ნამარხ ძელებთან ერთად აღმოჩენილი, სულ ცოტა 2 მილიონი წლით დათარიღებული ქვის იარაღები. გარდა ამისა, სრულიად განსხვავებული სომის ცხოველთა ძელებზე

დარჩენილი, მგრული ინსტრუმენტის დარტყმისაგან დატოვებული ნაკვალევიც.

სინამდვილესთან ახლოს დგას მოსაზრება იმის შესახებ, რომ პომინიდი პირველად გამოიყენებდა ახალდაღუპული სქელკანიანი ჩლიქოსნის ხორცს, რომლის ტყავსაც გახრწნამდე ვერ გაგლეჯდა საეანის თვით ყველაზე ძლიერი მტაცებელი — ლომი და ლეოპარდი. წინააღმინი ამას მოახერხებდა წინასწარ დამუშავებული, ბასრპირიანი ქვით. ამგვარად შეიარაღებული, იგი თავიდანვე კონკურენტუნარიანი ხდება საეანის ცხოველთა სამყაროში. მაგრამ ხორცისმჭამელობისკენ პომოს ეს პირველი ნაბიჯები, ალბათ, შიმპანზეს მსგავსად, „შემთხვევიდან შემთხვევამდე“ ხასიათს ატარებდა, თუმცა, როგორც ჩანს, ნებისმიერ სხვა ნაირჭამია პრიმატზე უფრო ხალისით ეტანებოდა მას.

ცხოველური საკვების მიმართ ამ ამაღლებულმა ინტერესმა განაპირობა ორფეხა პრიმატთა კვებითი სტრატეგიის ძირეული შეცვლა. კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ სწორედ მტაცებლობის ამ მკვეთრად გამოხატულმა ტენდენციამ გადააწყვეტინა პომოს პირველ წარმომადგენლებს არსებითი ეკოლოგიური პრობლემა — წლის გვაღვიან პერიოდში თავის გამოკვება. აქედან მოყოლებული მარჯვე ადამიანი სულ უფრო ნაკლებად ხდება გარემოზე დამოკიდებული პრიმატი!

ხორცისმჭამელობის გზაზე შემდეგი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო პასიური მტაცებლობიდან (გვამის დაპატრონება) აქტიურ მტაცებლობაზე გადასვლა — ცოცხალი ნადირის დამორჩილება-მოპოვება.

დაახლოებით 2 მილიონი წლის წინათ საეანის ასპარეზზე თვისებრივად სრულიად განსხვავებული

მტაცებლის გამოჩენამ კიდევ ერთი ძირეული ხასიათის რეორგანიზაცია მოახდინა ჯერ თვით ადრეულ პომოს ანატომიასა და სოციალურ სტრუქტურაში, შემდეგ კი აფრიკის გაშლილი ლანდშაფტების ხერხემლიან ცხოველთა სამყაროშიაც.

რაში მდგომარეობს წინააღმინის ახალი კორელაციური ცვლილებები? აქტიურ მტაცებლობაზე გადასვლა მარჯვე ადამიანისაგან მითხოვდა იარაღის სრულყოფას, ჯგუფური ნადირობის სტრატეგიის დახვეწასა და გაუმჯობესებას, შექმნილ კონკრეტულ სიტუაციებში სწრაფად გარკვევას და ა.შ. ახალი ქცევების მთელი ეს კომპლექსი პირდაპირ იყო დაკავშირებული ინტელექტის ზრდასთან. და, მართლაც, ნამარხი მასალების მიხედვით, პომოს გვარის პირველივე წარმომადგენლებში თავის ტვინის მოცულობა ავსტრალიპითეკებთან შედარებით მატულობს (იხ. ცხრილი 1).

მარჯვე ადამიანის ხორცისმჭამელობაზე გადასვლასთან დაკავშირებით რ. ფოული, მრავალი ავტორის მონაცემზე დაყრდნობით, ხაზს უსვამს კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. დიდი ზომის ცხოველის მოპოვება პირველ მონადირეებს დიდად უზოგავდა დროსა და ენერჯიას. საქმე ის არის, რომ თუნდაც ერთი მონადირეული ანტილოპის ხორცი იმდენ საკვებს შეიცავს, რომლის შესატყვისი მცენარის მიწისქვეშა ორგანოების შესაგროვებლად ორფეხა არსებებს გვაღვისაგან გადატრუსულ საეანაში კვირები დასჭირდებოდა. მეორე მხრივ, ნებისმიერ ანტილოპას ან სხვა ჩლიქოსანს იმდენი ხორცი აქვს, ერთი ადამიანი მას ევრასოდეს მოერევა. შესაბამისად შეიქმნა ხორცის უშურველად განაწილების შესაძლებლობა პირველყოფილ ადამიანთა ოჯახის სხვა წევრებზე. ერთი, უფრო



სურ. 82. პალეოლითის კულტურით მცხოვრები ბუშმენი (სამხრეთი აფრიკა) ნადირობისას.



სურ. 83. ცენტრალურაფრიკული პიგმეის მიერ შხამიანი ისრით მონადირეობის ტყის ანტილოპა.

ქლიერი ან წარმატებული მონადირე საკვებს უნაწილებს მეორეს, უფრო სუსტსა და წარუმატებელს. ამგვარად, პირველყოფილ ადამიანთა სასოვადლოებაში ჩნდება ურთიერთდახმარების, მხარეში ამოღების, ფართო გაგებით – ალტრუიზმის ელემენტები.

ხორცმა – კვებითი ღირებულებით გამორჩეულმა კალორიულმა საკვებმა, პირველყოფილი ადამიანი დასოვა საკვებისათვის მუდმივი ხეტიალის პრობლემისაგან. ეს ხაზგასმული კეთილდღეობა მისი ზომებში მატების გარანტი ხდება. პომო ჰაბილის გრაციოზულ ავსტრალითეკსე (ლუსი) საგრძნობლად დიდია, პომო ერექტუსი – მარჯვე ადამიანსე და ა.შ. დიდი ზომის მონადირეს დიდი სანადირო სიერცე სჭირდება, ვრცელ ტერიტორიაზე გადაადგილება კი განუწყვეტლივ სრულყოფდა ორ ფეხზე სიარულის უნარს...

„ხორცი – ხორცია, განმარტავს ალან უოლკერი, პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტის პროფესორი, პალეონთროპოლოგი, – საქმარისია, ერთხელ გასინჯო იგი, მაშინვე იგრძნობ ვეგეტარიანულ ცხოველებთან შედარებით უპირატესობას, შეგიძლია დიდხანს იარო, ვეებერთელა ტერიტორიაც დაფარო, საკვებზე კი აღარ იფიქრო“.

აფრიკის საეანის მსხვილი ზომის ცხოველთა სამყაროში მარჯვე ადამიანი სულ უფრო ანგარიშგასაწევი ძალა ხდება. მსხვილ, ე.წ. მეგაფაუნის წარმომადგენლებთან ერთად (სპილო, მარტორქა, ბქემოთი, ჟირაფი), ძლიერი მტაცებლებიც ერობებიან პომინდთა ქვებითა და ეკტებით შეიარაღებულ ჯგუფებთან დაპირისპირებას. ეს კი იმას მოასწავებს, რომ ჯერ მარჯვემ (2,4 მილიონი წლიდან მოყოლებული), ხოლო შემდეგში გამართულმა ადამიანმა (დაწვებული 1,8 მილიონი წლიდან) აფრიკის საეანში საბოლოოდ დაიმკვიდრა საკუთარი, სპეციოიკური ეოლოგიური ნიში.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ აღმოსავლეთ აფრიკის ერთსა და იმავე ბიოგეოგრაფიულ რაიონში ათასობით წლების განმავლობაში თანაარსებობდნენ არა მხოლოდ გრაციოზული და მასიური ავსტრალითეკები, არამედ ავსტრალითეკები და პომოს გეარის სულ მცირე ორი სახეობა – მარჯვე და გამართული ადამიანები, ბუნებრივია, წარმომობით ერთ ძირის მქონე არსებებს შორის, რომლებიც საარსებო გარემოზე მსგავსი მოთხოვნილებით ხასიათდებოდნენ, აუცილებლად შეიქმნებოდა მწვავე კონკურენცია. მსგავს სიტუაციაში, ნამარხი მასალების მიხედვით, დამარცხდნენ და გადაშენდნენ ავსტრალითეკები, ისინი ვერ აღმონდნენ კონკურენტუნარიანები მათზე მოხერხებულ, მარჯვე და გონიერ გეარ პომოს წარმომადგენლებზე. მაგრამ საეანის გარემოში მათი გაქრობის მიზეზს მხოლოდ ახლომონათესავე პომოს ფორმები როდი წარმოადგენდნენ. დადგენილია, რომ პომოსა და მასიური აგებულების ავსტრალითეკების არეალები რიგ შემთხვევაში ნაკლებად კეთადენენ ერთმანეთს. ამდენად, ეთქვამთ, ბოისის ავსტრალითეკების (პარანთროპი) გა-

დაშენების პირდაპირი მიზეზი მარჯვე ან გამართული ადამიანები ვერ იქნებოდნენ. მაგრამ, როგორც პალეობიოლოგიური ლიტერატურიდან არის ცნობილი, პლიოცენში საეანის მცენარისმკამელმა წლიქოსანმა ცხოველებმა დიდი ეოლუციური აღმავლობა განიცადეს, სახეობრივად და რიცხობრივად ფრიად გამრავლდნენ და ავსტრალითეკებს – ძირითადად ვეგეტარიანელებს – საგრძნობლად შეურყიეს საკვები ბაზა. ამგვარად, აღმოსავლეთი და სამხრეთი აფრიკის ტერიტორიაზე პირველი ბიპედური არსებები – ავსტრალითეკები ორგეარი პრესის ქვეშ მოექცნენ – ერთი მხრივ, ღრმად სპეციალიზებული ბალახისმკამელები წლიქოსანებისაგან, მეორე მხრივ, – უფრო განვითარებული, ყველაფრისმკამელი პომოს სახეობებისაგან. ეინაიდან ამ უკანასკნელის ერთ-ერთი სახეობა – გამართული ადამიანი – ქვის იარაღით იყო შეიარაღებული და 1,5 მილიონი წლის წინათ მთელს აფრიკაში გაეცვლდა, მას თამამად შეეძლო ისევე ენადირა თავის მსგავს, უფრო პრიმიტიულ ორფეხებზე, როგორც ამა საეანის სხვა პრიმატებისადმიოდა.

ამგვარად, ავსტრალითეკთა ეოლუციური არჩევანი ფრიად შესლულული აღმონდა და სხვა, არაერთი სახეობის მსგავსად, არსებობისათვის ბრძოლაში დამარცხდნენ და გადაშენდნენ.

პომინდთა პირველი თანშესაზარო

თავის დროსე მეხუერი ფორმები, – პირველი ორფეხა არსებები, – როგორც კი ცხოველების ნიდაგურ ფორმაზე გადავიდნენ, სხეებთან ერთად თავშესაფრის ორგანიზების პრობლემის წინაშეც დადგნენ. განსაკუთრებით მწვავედ ეს პრობლემა ღამით, მოსვენების ვაშს დგებოდა. როგორც ცნობილია, გარდა გორილასი, მიწაზე თუ ნახეერად მიწაზე მცხოვერები ნებისმიერი სხვა მაიზუნი დაღამებისას, ღამის გასათენებულ თავშესაფარს ხეზე აწყობს. ასეთებია შიმპანზეს ორივე სახეობა, პავიანებისა და მაკაკების რამდენიმე სახეობა და სხეები. ეს პრიმატები დღეც, სიცოცხლის ხელყოფის საშიშროების შექმნისას, მაშინვე ხეს მიაშურებენ ხოლმე. საინტერესოა, რა სტრატეგიას მიმართავენ პრიმატები მტაცებლისაგან თავდასაცავად საეანის გაშლილ სიერცეში, სადაც ასე ცოტაა ხემცენარეები? ეთიოპიის ჰამადრილები და კენიის პავიანები ეწყობიან აფრიკის რიფტული რღვევისაგან შექმნილ ხეობათა ციცაბო კალთების ფართო ნაპირებებში, სამხრეთაფრიკულ მათი თანამოხმეები კი თავშესაფრად გამოქვაბულებს იყენებენ. აქედან ცხადი გახდა, რომ პრიმატები მიწაზე იმ შემთხვევაში აწყობენ „საძინებელს“, როდესაც ამა თუ იმ ლანდშაფტში ხეების დეფიციტი შეინჩნევა.

როგორ შეეძლოთ გადაეწვიტათ თავშესაფრის პრობლემა ორფეხა პრიმატებს – პომინდებს? სპეციალისტებმა ავსტრალითეკთა ყოფა-ცხოვერების



სურ. 84. ავსტრალიაში მდებარე მიერ წრიული თავშესაფრის აგება (რეკონსტრუქცია).

არაერთი დეტალი აღადგინეს, მაგრამ ეს საკითხი დღემდე ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოცანად რჩება. მიწაზე მცხოვრებ სწრაფსა და ძლიერ მტაცებლებს, რომელთაგან ბევრი ღამით არის აქტიური, პირველი ბიპედური არსებები მხოლოდ ხეზე ასვლითა და მათი განტოტების ადგილებში მოკალათებით თუ აარიდებდნენ თავს. ასეთი ხეები უნდა მოენახათ როგორც გაშლილ სავანაში, ისე უფრო ხშირად მდინარეთა და ტბათა სანაპიროებზე.



სურ. 85. პირველყოფილი მონადირის წესით მცხოვრები ავსტრალიელის მიერ ქვით ამოყვანილი, დროებითი თავშესაფარი (ტბა ვირის მიდამოებში).

პალეოანთროპოლოგები მიიჩნევენ, რომ მიწაზე პირველი თავშესაფრის აგების მოთხოვნილება გამომდინარეობდა არა საძინებლის მოწყობაში, არამედ მონადირეული მსხვერპლის თავისიანებს შორის მშვიდად განაწილებაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით, პირველი ნივთიერი მტკიცებები ცნობილია აღმოსავლეთ აფრიკიდან. მერი ლიკიმ ოლდუვაის ხეობაში, ხოლო რინარდ ლიკიმ კოობი-ფორაში ჩატარებული გამოკვლევებით დაასაბუთეს, რომ უკვე მარჯვე ადამიანის - *Homo habilis*-ის დონეზე ხდებოდა ნანადირეისა და ქვის საბრძოლო იარაღების ერთსა და იმავე ადგილზე შენახვა-განთავსება. ნიადავის ორი მილიონი წლის წინანდელ ჰორიზონტში პირველი პომოს მიერ დატოვებული კულტურის პრიმიტიული ნარჩენები ძალიან თავისებურადაა გაწყობილი. 5 მეტრი სიგანისა და 20 მეტრი სიგრძის სწორკუთხედი გარშემორტყმულია ერთი მეტრი სიგანის მიწაყრით. ამ უკანასკნელზე კულტურული საქმიანობის არაერთი ნაშთი არ ჩანს მაშინ, როდეს

საც სწორკუთხედის შიგნით ქვის დამუშავებისას დარჩენილი ნატეხებია მიმოხეული, მათ შორის შერეული სხვადასხვა ცხოველის დამტერული ძელების მრავალი ფრაგმენტით. ასეთივე ფრაგმენტები, კიდევ უფრო რიცხვმრავალი, მიწაყრის მიღმა მიმოფანტული. ამ ფაქტს ლიკი და მისი კოლეგები შემდგენიერად ხსნიან: სწორკუთხედის დანაგვიანებული შინაგანი არე წარმოადგენდა თავშესაყრელ ადგილს. როგორც ჩანს, იგი დაცული უნდა ყოფილიყო ხის ეკლიანი ტოტებისაგან და მზადებული მესერი-ზღუდით. ეს უკანასკნელი, ადვილად დლობადი მასალა ჩვენამდე, რა თქმა უნდა, არ შემორჩა. მსგავს თავშესაფარში პომინიდს შეეძლო უფრო მშვიდად დაემზადებინა იარაღი, დანაყრებულად, ხოლო ძელები და სხვა ნაგავი ან იქვე დაეყარა, ანდა ზღუდის მიღმა მოესროლა.

სხვა ადგილზე მერი ლიკიმ აღმოაჩინა ქვაყრისაგან გაკეთებული წრიული „საცხოვრებელი“. მისი ფართობია შვიდი კვადრატული მეტრი. რამ-




სურ. 86-87. ავსტრალიასა და ტროპიკულ აფრიკაში (კალაჰარი) უდაბნოს აპორიგენტთა მიერ თავშესაფრის აგების დღევანდელი წესი არ გამოირჩევა ორი მილიონი წლის წინათ პომინიდთა მსგავსი ნაგებობებისაგან.

დენივე ასეველი ქვა დიდი გულმოღვივებითა ერთ-მანეთს დალაგებული, ხოლო წრის ყოველ ერთ-ერთსახეყარ მეტრზე ქვის გროვა რამდენადმე ამაღლებულია.

ორი მილიონი წლის წინათ ორფეხა არსებების მიერ აგებული ეს თავშესაფარი ტყუპისცალივით კვაეს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში მცხოვრები ოკომბამბის ტომის მიერ ამჟამად აგებულ თავ-შესაფარს. ამ ფაქტმა ერთობ დაინტერესა სპეციალისტები. აღმოჩნდა, რომ აფრიკის ამ ტრაიბის მოსახლეობაც აგებს ქვის წრიულ ყორეს, ხოლო გარკვეულ ინტერვალში ამაღლებულ ქვის გროვებში არჭობს ტყეის ან ბალახის კონების დასამაგრებელ ჭოკებს. აგებული კარკასი გადაწულია ბუნქების ტოტებით, სადაც დამატებულია გამხმარი ფოთლები, ბალახი და ხავსი. მსგავსი საბინადრო ნაგებობა ჯერ კიდევ არ არის საცხოვრებელი, უფრო უპრიანი იქნებოდა მისთვის სადგომი გვეწოდებინა.

წინაისტორიული ადამიანის თავშესაფრის ნაშთებისა და თანამედროვე, ქვის ხანის წესით მცხოვრებ აბორიგენტთა სათავსოების მიხედვით სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ პროტოჰომინიდის სადგომსაც კქონდა წრიული, რკალის ფორმის, ანდა სწორი კედლის სახე და, როგორც წესი, გადახრილი იყო ქარის საპირისპირო მხარეს. მსგავსი ნაგებობა ადამიანის გვარის პირველ მოდემას საკმაოდ საიმედოდ იცავდა ქარის, წვიმისა და შუის მწველი სხივებისაგან.

ქარისაგან თავდასაცავად კედელ-ზღუდეს ახლაც აგებენ განვითარების პრიმიტიულ დონეზე მცხოვრები ტომები: ავსტრალიის აბორიგენები, აფრიკის ბუშმენები, შედარებით ახლო წარსულში მათ აწყობდნენ აწ ამოწყვეტილი ტასმანიელები და ინდიელთა ზოგიერთი ტომი.



სურ. 88. ახალი გვინეა. პაპუასი წრიული ქოხის მშენებლობისას.

ოლდუეიში მიგნებული კაცობრიობის ეს უძველესი წრიული საბინადრო იმით განირჩევა ზემოთ აღწერილი სწორკუთხედისაგან, რომ ნამუსრევი, ძელების სახით, სადგომის გარეთაა გადაყრილი. მცირე ფართობის ბინაში, სადაც მობინადრეები ბევრდს ვერ უქცევდნენ ერთმანეთს, უფრო იარაღის დამზადებით, ანდა ხორცის განაწილებით იყვნენ

დაკავებულები, ხოლო ღრუობას იქვე, ახლო-მახლო მართავდნენ.

საკეები თავზე საყრელად კქონდათ - სხედა-სხეა ანტილოპები, ზებრები, კამეხები და სხვა. ნადირობდნენ, ალბათ, ჭაობებში მათი შერეკით, დასუსტებულების ბოლოს მოღებით, ანდა გვაშს მისეული მტაცებლების განდევნით.



სურ. 89. უგანდა. აბორიგენი პიგმეები წნელისაგან აგებენ ქოხის კარკასს, შემდეგ მას ხურავენ ხეთა ფოთლებით.

რიჩარდ ლიკის მიერ რუდოლფის ტბის აღმო-საუღლეთით (კოზიბი-ფორა) მიკელეული ნიადაგის დასახლებული პორიზონტი ოლდუეიასაზე რამდე-ნადმე ძველი აღმოჩნდა.

ადამიანის საბინადროს კიდევ უფრო გაუმჯობესებულ ნაგებობას წარმოადგენდა ქოხი. მიწაში წრიულად, ანდა ოთხკუთხედად ჩარჭობილ ბოძებზე გარდი-გარდმო იდებოდა ჯოხები. ნაგებობის თავზე შეყრილი ჩალა-ქალაში ან თივა წარმოადგენდა ადამიანის მიერ გაკეთებულ პირველ სახურავს. ნახევრად წრიული ქარსაცაყის გაუმჯობესებით კეთდებოდა მრგვალი ქოხები, სწორი კედლებისაგან - სწორკუთხა „ბინები“. მსგავსი საცხოვრებლის თანამედროვე, მარტივ ანალოგებს წარმოადგენენ აფრიკის სავანებში მცხოვრებ არაერთ აბორიგენტთა ქოხები, რთულ პროტოტისს - ახალი გვინეის პაპუასთა „კომუნალური ბინები“. მსგავს გრანდიოზულ, ას მეტრამდე სიგრძის ნაგებობაში ასამდე ადამიანს შეუძლო ცხოვრება.

ცხადია, თანამედროვე გაგებით, საცხოვრებლის აგება ხელეწიფებოდა განვითარების მხოლოდ კომო ერექტუსის დონის პრიმატს, რომელმაც ასე მაღალ დონეზე აიყვანა ქვისაგან იარაღის წარმოების ინდუსტრია.

როგორ და რატომ წარმოიშვა ეპიპლეისტო უპოთიმატობა - სიმეოპული - პომინიღთა ერთ ჯგუფში?

დადგენილია, რომ იმ ძუძუმწოვრებს, რომლებმაც საკეების მოპოვების რთული და მრავალფეროვანი სტრატეგია გამოიმუშავეს, სხეულთან შედარებით თავის ტვინის შეფარდებითი ზომები უფრო დიდი აქვთ, ვიდრე ადვილად ხელმისაწე

დომი საკვებით დაკმაყოფილებად ფორმებს.

როგორც თავის ადგილზე ითქვა, ავსტრალიაში თეკებიდან გამოყოფილმა ჰომოს წარმომადგენლებმა შეცვალეს და გააფართოვეს კვებითი სპეციალიზაცია – მცენარეული საკვებით დაკმაყოფილებასთან ერთად, ისინი გადავიდნენ აქტიურ მტაცებლობაზე. შემოთ ხაზგასმული კანონზომიერებიდან გამომდინარე, მათშიაც უნდა გამოხატულიყო სხეულთან შედარებით თავის ტვინის ზრდის ტენდენცია. განათხარი მასალების მიხედვით ეს პროცესი – ენცეფალიზაცია – უკვე საკმაოდ კარგად გამოიკვეთა სავანაში მრავალმხრივი საკვების მოპოვებით (მცენარეულთან ერთად, ადვილად მოსახელთებელი ცხოველები: მწერები, მღრღნელები, მოლუსკები...) დაკავებულ ავსტრალიაში.

მსგავსი ტენდენცია ასე გამოვლენილია ჰომინიდთა განვითარების ორი მილიონი წლის განმავლობაში (პლეისტოცენი) და განსაკუთრებით აისახა ჰომოს სახეობებზე.

თავის ტვინისა და, ამასთან, ქალას ზრდასთან ერთად, წარმოიქმნა ერთობ დიდთავიანი ნაშიერის შობის პრობლემა. მისი დადებითად გადაწყვეტილსათვის აუცილებელი გახდა მორიგი ანატომიური ადაპტაცია – დიდთავიანი ნაშიერების დაბადებისათვის საგრძნობლად უნდა გაფართოებულიყო მენჯის სარტყელი. ჰომინიდის მენჯი კი, ორ ფეხზე გამართულ სიარულთან დაკავშირებით, ანატომიურად ფრიად თავისებურად ჩამოყალიბდა – მენჯის სარტყელმა სხეულის მისცა როგორც ვერტიკალური პოზის შენარჩუნების, ისე გამართული სიარულისას სათანადო კუნთების მასზე მიმაგრების შესაძლებლობა. რადგან არ გააჩნიათ მენჯთან დაკავშირებული სხეულის მსგავსი კონსტრუქცია, შიმპანზესა და გორილას ეხერხებათ მხოლოდ ნახევრად გამართული და ფეხებდაბრეცილი სიარული.

წინააღმინის მენჯის ძელის როგორც აგებულების, ისე მდებარეობის შეცვლამ – გამართული სიარულისათვის ესოდენ მნიშვნელოვანმა ანატომიურმა სიახლემ – პრობლემა შეუქმნა ჰომინიდს. საქმე ის არის, რომ მენჯის ძელის აგებულების შეცვლით დაეიწროვდა ნაყოფისთვის განკუთვნილი საშობი გზა, არხი. აღნიშნულმა მდგომარეობამ პრობლემა შეუქმნა დიდთავიანი ნაყოფის შობის თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მენჯის ძელში ნაყოფის სავალი გზის გაფართოვებით დაირღვეოდა გამართული სიარულისათვის ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბებული მენჯის ძელის კომპაქტურობა. სრულ ბიპედიანზე გადასვლის გამო, ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ამით აიხსნება თანამედროვე ქალის მშობიარობასთან დაკავშირებული სიძნელებები. მსგავსი ამოცანის – მცირე ზომის მენჯის ძელის მქონე მდედრის მიერ დიდთავიანი ნაშიერის შობის პრობლემის გადაწყვეტა შეიძლებოდა მხოლოდ ერთი გზით – განსხვავებით სხვა ძუძუმწოვრებისაგან, ნაყოფი დღის სინათლეს იხილავდა განვითარების მხო-

ლოდ იმ სტადიაზე, როდესაც მის თავს ჯერ კიდევ არ მიეღწია დედის სხეულიდან მშობიარობისათვის ექსტრემალურ სიმბამდე.

ევოლუციის პროცესში გამოიძენა კომპრომისული ვარიანტი – ჰომინიდის მდედრი დარჩა ორ ფეხზე მოსიარულე და თავისი მენჯის სარტყლის აგებულების პირობაზე დიდთავიანი ნაშიერის გამჩინი არსება. მაგრამ მენჯის სავალი არხი რამდენადმე მაინც გაფართოვდა, სხეანიარად ქალი – წინააღმინი – ნაშიერს ვერ გააჩენდა. სამაგიეროდ მსგავსი „კომპრომისი“ სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ჰომინიდის მდედრის მოძრაობის შესაზღვრად, რაც, უწინარესად, სირბილისას, მისი სისწრაფის დაკარგვაში გამოიხატა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ავსტრალიაშითეი თავანის ათობით მტაცებელ გარემოში არსება იყო, მისთვის სისწრაფის შემცირება ევოლუციურად ფრიად არამომგებიანი აღმოჩნდა. შეზღუდული სირბილი, ხოლო სირბილის დროს სხეულის „არაბუნებრივი“, უხერხული მოძრაობა ქალს დღემდე შემორჩა. მამაკაცსა და ქალს შორის მსგავსი სქესობრივი დიმორფიზმი – განსხვავება – არცერთ ძუძუმწოვარს არ ახასიათებს. გავისხნეთ ცხენი, ძაღლი, ორემი და ნებისმიერი სხვა ოთხფეხა, ყველა მათგანის მდედრი და მამრი ერთნაირი სისწრაფითა და გადაადგილების მსგავსი მანერით მოძრაობს, გარბის. გამოწკლისია მხოლოდ ადამიანი. ამგვარად, ჰომინიდების ევოლუციის თანამდევე ტენდენცია – თავის ზრდა (ენცეფალიზაცია) ძვირად მხოლოდ მდედრობით სქესს დაუჯდა.

მსგავსი ანატომიური ნაკლი ორფეხა არსებებისათვის შეიძლება ფატალური აღმოჩენილიყო – ორფეხა, ბიპედური არსება ევოლუციურ ჩიხში მოხვედრილიყო და ამომწყვდარიყო. აქედან გამომდინარე, ჰომინიდებში ენცეფალიზაციის შემდგომე პროცესი მხოლოდ იმ შემთხვევაში შენარჩუნდებოდა, თუ იგი ევოლუციურად სხვა მხრივ გახდებოდა მომგებიანი – მის პატრონ ორგანიზმს მოუტანდა სათანადო დივიდენდებს. ამ მეორე მხარემ – დიდმა ტვინმა და მისმა უნიკალურმა თვისებამ – გონიერებამ – ჰომინიდთა განვითარების გზაზე საკმაოდ ადრე იჩინა თავი, მისმა რეალიზაციამ კი ჰომინიდ ერთობაზე გადაბრუნდა სავანის რთულ თანასაზოგადოებაში. ბუნებრივი გადარჩევის პროცესში, მსგავსი ხელსაყრელი სელექციური უპირატესობის გამო, ჰომინიდთა თავის ტვინის გადიდების ტენდენციამ ავსტრალიაშითეიდან ანატომიურად თანამედროვე ადამიანამდე, უწყვეტი ხასიათი მიიღო.

მაგრამ რთი ანაზღაურდა წინააღმინის მდედრში კონკრეტული ფიზიკური ნაკლის – სისწრაფის უნარის დაკარგვა? მსგავსი ანატომიური ხარვეზის კომპენსაცია მოხდა ჰომინიდთა ოჯახში მდედრისა და მამრის სასიცოცხლო ფუნქციების განაწილებით – მდედრი პასუხისმგებელი გახდა სრულყოფილი ნაშიერის შობაზე, მამრი – მათ დაცვაზე. ეს უკანასკნელი – შთამომავლობის დაცვა და

მასთან ერთად კომინიდეებში ესოდენ მაღალ დონეზე გამოხატული მშობლიური სრუნვა, წინააღმინის გადარჩენის გადამწყვეტი ფაქტორი გახდა.

გარდა მშობიარობისა, პრეისტორიულ მდებარეობაში განსაკუთრებული ფენომენის სახე მიიღო დედაშეილობამ. ეს უკანასკნელი შემდეგში მდგომარეობდა: ჯერ კიდევ ბოლომდე არაფორმირებული თავის მქონე ნაყოფი დაბადების შემდეგ ცენტრალური ნერვული სისტემის ფორმირებისათვის გაცილებით მეტ ხანს მოითხოვდა განვითარებას, ვიდრე ნებისმიერი ძუძუმწოვარი. შესაბამისად, პროტოადამიანის განვითარების ჩეილობის ასაკი გაცილებით დიდხანს იყო გაგრძელებული, ამიტომ, სხვა პრიმატებთან შედარებით ადგილობრივი მტაცებლები-საგან განადგურების გაცილებით მეტი შანსი ჰქონდა. მსგავსი ნაშეივის უწინარესი პატრონი ისევე მდებრი იყო.

ამ მხრივ, სხვა პრიმატებს, მაგალითად, შიმპანზეს გაიოლებული აქვს საქმე – მისი ნაშეივი კიდურებით საიმედოდ ეჭიდება დედას, თუმცა დროდადრო მშობლებს მაინც უწევს მისთვის ხელის წახმარება. უკეთ არიან შევუბნელები დედის სხეულზე მიჭიდვას უმდაბლეს მაიმუნთა ნაშეივები – ისინი ოთხივე კიდურით წურბელასავით ეყვრიან უფროსის სხეულის საფარს. სხვა გზა არც აქვთ – მათი მშობელი ეერცერთ კიდურს ეერ იყენებს ხელად, ეი. ნაშეივის დასაჭერად. სამაგიეროდ, აქ გაუმართლათ და სულ სხვა პერსპექტივა შეექმნათ პირველივე კომინიდეებს – აესტრალომომთეებს. ისინი უკვე მკვიდრად დადიოდნენ ორ ფეხზე, ამდენად, გაუთავისუფლდათ წინა ორი კიდური – ხელები. მათ შორის ერთით შეეძლოთ ეტარებინათ ჯოხი ან საკეები, მეორეთი – მკერდზე მიკრული ნაშეივი.

ამგვარად, განსხვავებით, ეთქვათ, ანტილოპასა და ზებრასაგან, კომინიდი ახალშობილს აღარ ტოვებდა ტრიალ მინდორში ალალებდეს, მტაცებლისათვის იოლად მოსახელთებლად.

ნაშეივის მიმართ გამოჩენილი მსგავსი პასუხისმგებლობა კიდევ ერთ თავგანწირვას ნიშნავდა – მდებრი ჯერ მშობიარობის სპეციფიკით სირბილში შეიზღუდა, ახალ, მკერდზე მიხუჭებული ნაშეივი აღმოჩნდა მიჯაჭვული მასზე, ამ შემთხვევაში, ამ გამოთქმის პირდაპირი, არამეტაფორული გაგებით. სამაგიეროდ, მდებრის ამ ბიოლოგიურმა ნაკლმა მამრის, როგორც „ოჯახის თავის“ როლი კომინიდეებში კიდევ უფრო გაზარდა. ამიერიდან, პრეისტორიული ადამიანის „ოჯახში“ მკაფიოდ იმიჯნება მდებრისა და მამრის დემოგრაფიული როლი – დედა უშუალოდ მეურვეობს შთამომავლობას, მტეწილად სწორედ ის წვრთნის მას ცხოვრების აპარატზე გამოსასყელად, უქმნის წარმოდგენას „ეკრასზე“, ერთდროულად, იოლად ხელმისაწვდომ, საყოფაცხოვრებო საქმიანობასაც ართმევს თავს... სამაგიეროდ მამრი ქვის იარაღით, ხისა და ძელის კეტებით შეიარაღებული იცავს ოჯახის უსაფრთხოებას, კომოს სტადიაზე კი აქტიურად – იარაღით

ხელში, შორ მანძილზე დღეების განმავლობაში ნადირობს გარეულ ნადირ-ფრინველზე და ხორცის საკეებით უსრუნველყოფს ოჯახს. არსებობის ფუნქციების მსგავს განაწილებას, ბუნებრივია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოაქვდა ორივე სქესის ანატომიური სახეცვლილება – ჩამოყალიბდა სქესობრივი დიმორფიზმი: მამრი კომინიდი – ერცველ ტერიტორიაზე აქტიური მონადირე, ნაშეივით შესუდული და ერთ ადგილზე დასაქმებულ მდებრთან შედარებით უფრო ძლიერი და ტანმოსული გახდა. აგებულებაში მსგავსი ტენდენცია – ანატომიური სტატუს-კეო – გრძელდებოდა მუილიონი წლის განმავლობაში და დღემდე ასე შემორჩა. მდებრის მხრივ შთამომავლობისადმი განსაკუთრებული მზრუნველობის წესი მკაფიოდაა გამოხატული არამცხოვრებულა კომინიდეებში, არამედ ორ ფეხზე სიარულისადმი ესოდენ მიდრეკილ ადამიანისმაგვარ მაიმუნებშიც, რის გამოც მათი ნაშეივები გაცილებით ხშირად აღწევენ სრდასრულ ასაკს, ვიდრე შთამომავლობისადმი ნაკლებად მზრუნველი სხვა პრიმატები.

ნაშეივისადმი ესოდენ მრავალმხრივი სრუნეაც უწევდა ხელს კომინიდის ტენის განვითარებას. დიდი ტენის მქონე შთამომავლობა დედის სხეულშივე საჭიროებს ჭარბ ჟანგბადსა და საკეებს. ეინაიდან საკეებთან დაკავშირებული ენერჯის რესურსებით მშობლები ასე თუ ისე მაინც განსასყერულიები არიან, ამიტომ ყველასე მაღალგანკითარებულ პრიმატთა მშობიარობის მანქეულეფორიად შესუდულია: შიმპანზე, გორილა და ორანგუტანი ხუთ წელიწადში მხოლოდ ერთ შთამომავლობას იძლევიან, რაც ცხოველთა სამყაროში რეპროდუქციის დაბალუნარიანობის რეკორდული მანქენებელია. გარდა ამისა, როგორც ითქვა, დიდტენიანი ნაშეივის ცენტრალური ნერვული სისტემის განვითარებას გაცილებით დიდი დრო ჭირდება, რის გამოც ადამიანისმაგვარ მაიმუნებშიაც, ადამიანის მსგავსად, ჩეილობა-მოსარდობის ხანა გაჭიანურებულია. შესაბამისად, გამრავლების მსგავსი სტრატეჯიის მქონე პრიმატები განწირულიები არიან ბუნებრივი გზით ამოსაწყეკვად და ეს არ არის მხოლოდ თეორიული მსჯელობა – სემოს ჩამოთვლილი სამი უმაღლესი პრიმატის არეალი და კოპულაცია ამკამად იმდენად შემცირებულია, რომ დღეს თუ ხვალ ისინი გადაშენების კანდიდატები არიან. აქედან გამომდინარე, ირკევა, რომ კომინოიდების სეოჯახიდან, სადაც გაერთიანებული პონგიდები უმაღლეს მაიმუნთა ჩამოთვლილი სამი სახეობითა და კომინიდები დღეს შემორჩენილი ერთადერთი სახეობით – ადამიანით, ევილუციური აღმავლობის გზაზე მხოლოდ ადამიანი დგას, დანარჩენები – ადამიანისმაგვარები – ევილუციურ ჩიხში მოექცნენ, ან თანდათანობით ექცვიან. ამგვარად, კომინიდეების სეოჯახიდან აღმავლობის გზას დააჯგ მხოლოდ ადამიანი, მსგავს წარმატებას მან გამართული სიარულის გამო მიადწია.

რა კავშირშია გამართული სიარული სახეობის

ვეროლუკიურ აყვავებასთან? როგორც ითქვა, შიმპანზე მშობიარობს ხუთ წელიწადში ერთხელ და შობს მხოლოდ ერთ ნაშიერს. ამ ხნის მანძილზე, სანამ მისი ნაშიერი შეძლებდეს დამოუკიდებელ ცხოვრებას, დედისგან ძალიან დიდ ზრუნვას მოითხოვს. შესაბამისად, ხელახალი შეწყვილები-სათვის დედალი შიმპანზე მზად არის მხოლოდ მესხუთე წელს. ადვილი წარმოსადგენია, თუ მსგავსი დაბალი რეპროდუქციის პირობებში, ისეთი მაღალგანვითარებული პრიმატი, როგორც შიმპანზეა, რა სიფრთხილით ექცევა თავის პირმშოს. ამიტომ, რისკ-ფაქტორის შემცირების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ხიდან მიწაზე დაშვებაც იყო, ვინაიდან სხეულზე არცთუ მთლად საიმედოდ მიკრული შვილი მდებარე შეიძლება ყოველ წუთს ჩამოეყარდეს მიწაზე და დაეღუპოს. მაგრამ მიწაზე დაშვებულ დედას სხვა საარსებო პრობლემები უჩნდება – საკვებით დაკმაყოფილება, მტრისგან თავის დაცვა და ა.შ. ამიტომ შიმპანზეთა ჯოგში იზრდება შეიღიანი დედის დაცვის თვალსაზრისით მამრის პასუხისმგებლობა (მსგავსი რამ პაეიანებ-საც ახასიათებთ). რაც მთავარია და პრიმატთა სამყაროსთვის (გარდა ადამიანისა) უნიკალური, ჩნდება ერთის მიერ მოპოვებული სუკების სხეუ-ბისთვის განაწილების, ე.ი. ალტრუიზმის ტენდენ-ცია. ამრიგად, შიმპანზეთა ჯოგში მამრი ერთეუბა მოზარდთა გაზრდის პროცესში და რაც უფრო ყურადღებიანია მამალი ინდივიდი დედობის პა-სუხისმგებლობით დამიმუხვებული მდებარის მიმართ, მით გარანტირებულია შთამომავლობის წარმატე-ბული ზრდა-განვითარება.

ჯოგში, ოჯახში, სქესებს შორის ფუნქციების მსგავს განაწილებას ხელს უშლის მდებარის მძუ-ენობის პერიოდის დადგომა. ამ დროს, მისი დაგრი-ლების მიზნით, ჯოგში მამრებს შორის იმართება ბრძოლა. მსგავსი კონფლიქტური სიტუაციის გან-მუხტვის საუკეთესო საშუალება იქნებოდა შიმპან-ზეთა თანასაზოგადოებაში მუდმივი წყვილების შექმნა, როდესაც თითოეულ მამრს თავის მდებ-რი ეყოლებოდა. პრიმატებში მსგავსი დემოგრა-ფიული ქმედებისაკენ ნაბიჯის გადადგმა შესაძლე-ბელი გახდებოდა დედალ შიმპანზეში გამრავლე-ბასთან დაკავშირებული ფიზიოლოგიის არსებითი რეორგანიზაციის შემთხვევაში. იგულისხმება იმ გარეგან ნიშნებზე უარის თქმა, რაც თან ერთვის მძუენაე ცხოველს – სასქესო ორგანოთა კანის გასივება, სათანადო სუნის გამოყოფა და ა.შ. მსგავ-სი ანატომიურ-ფიზიოლოგიური ძვრებით ძუ აფი-შირებას უკეთებს შეწყვილებისთვის თავის მზად-ყოფნას. სწორედ ასეთ გარეგან სიგნალებს მიჰყავს მამრი წრეგადასულ ემოციებაშდე.

„რა იქნებოდა, – მსჯელობს ლაეჯოი, – რომ თითოეული მდებარის შესაწყვილებლად გამოცე-მული სიგნალები ან სხვა ნიშნები მკვეთრად ინ-დივიდუალური გამხდარიყო, ამ შემთხვევაში ხომ მდებარის სპეციფიკური საქორწინო „ზიზილ-პიპი-ლები“ მხოლოდ ერთისთვის იქნებოდა მისასვედრი,

დანარჩენები კი მის მიმართ გულგრილები დარ-ჩებოდნენ“.

ცხოველურ ორგანიზმებში მსგავს ინდივიდუა-ლურ ურთიერთობებს ეპიგამია უწოდებენ. ჩვეუ-ლებრივ, ეპიგამია, შეწყვილებაზე უფრო მაღლა მდგომი, უფრო ფსიქოლოგიური ხასიათის ფენო-მენია. იგი გულისხმობს მოპირდაპირე სქესებს შორის მოწონებას, სიმპათიას, დაბოლოვს, სიყვარულს. ამგვარი კავშირებით შეერთებული წყვილის ფორმირება ასუსტებს აგრესიას ჯოგში, თანასა-ზოგადოებაში. ნათქვამის დასტურს წარმოადგენს ჯენ გუდოლის დაკვირვებები შიმპანზეზე ბუ-ნებრივ პირობებში.

ჩვეულებრივ, ეს პრიმატები ერთმანეთთან უწეს-რეოდ წყვილდებიან, მაგრამ მათ შორის მაინც ეხედებით ცალკეულ წყვილებს, რომლებიც საქორ-წინო პერიოდში რამდენიმე დღეს ერთად დახეტილ-ლობენ. ლაეჯოის აზრით, ეს უკვე ნიშნავს სათა-ნადო ემოციებზე დაყრდნობილ ეპიგამიურ (სიმპა-თიებზე აგებულ) და არა მხოლოდ მდებარის მძუენო-ბით გამოწვეულ სექსუალურ აქტივობას. „წარ-მოიდგინეთ, ამბობს იგი, – რომ მდებრი ახერხებს დარჩეს კონკრეტული მამრისთვის მიმსიდეველი უფრო დიდხანს და რომ თავის სექსუალურ მზად-ყოფნას გამოხატავს სულ სხვა ფორმით, ვიდრე მძუენობაა, რომ მამრის ინტერესების შესანარ-ჩუნებლად სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სხეულის მუდმივი ნიშნები, მაგალითად, კანზე ბეწვის წყობა, გადატევილი კანი, სხეულის კოხტა მოყვანილობა და პირიქით, იმ დროებით სიგნალთა მნიშვნელობა, რომელიც ესტრალურ (ლათ. oestrus – მძუენობა) ციკლთანაა დაკავშირებული – სუნი, სასქესო ორგანოთა კანის შესივება – ექვმა. მსგავსი ნიშან-თვისების განვითარებით, შიმპანზეს დიდი შანსი ჰქონდა დამსგავსებოდა ადამიანს, ე.ი. სახეობას, სადაც მამაკაცები და ქალები თავიანთ სექსუალურ მიმზიდ-ველობას მუდმივად ინარჩუნებენ.

ბუნებრივია, ბევრს დაებადა კითხვები, თუ რა-ტომ და როდის განსხვავდნენ ამ მხრივ ადამიანები ცხოველებისაგან? ეპიგამიური, ე.ი. ერთ წყვილში ურთიერთსიმპატიებზე აგებული ურთიერთობა უნ-და დაწყებულიყო ორფეხა არსებებში – პომინი-ლებში, შეიძლება პრეკომინილებშიაც. ხიდან მი-წაზე დაშვებული პრიმატის ორფეხა მდებარს ნა-შიერის საპატრონოდ პერსონალური მამრის ყუ-რადლება ესაჭიროებოდა. შეიღილ შეზღუდული-სათვის, მისთვის კონკრეტულ მამრს უნდა გამოე-ჩინა მუდმივი ყურადღება – დაეცვა მისი უსაფრთ-ხოება, გაენაწილებინა მოპოვებული საკვები. მსგავ-სი სტრატეგიის განხორციელება პომინილში შესაძ-ლებელი გახდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნებოდა მონოგამიური წყვილი, რომლებიც სექსუალური თვალსაზრისით, ერთმანეთისათვის საინტერესონი იქნებოდნენ გამუდმებით და არა ეკიზოდურად – მხოლოდ მდებარის ოუულდაციის ციკლთან დაკავშირებით. ამგვარად, მუდმივად დაწყვილებულ პომინილთა პოპულაციებში ისაღ-


გურებს გაცილებით მეტი სიმშვიდე, ვიდრე ამას პოლიგამიურ ცხოველთა სასოგადოებაში აქვს ადგილი, სადაც მძუნაფი ერთი მდედრის დასაპატრონებლად მამრებს შორის უკომპრომისო ბრძოლები იმართება და თუ წყვილებს შორის, გარდა გამუდმებული სქესობრივი ინტერესებისა, მამრი-საგან მდედრის საკვებით უზრუნველყოფაც ემატება, ოჯახურ კავშირსაც მტკიცე ბალაყარი უყრება. მაშასადამე, უთავბოლო კოპულაციის შემთხვევაში, წამდაუწუმ ატეხილი აყალ-მაცალისას, ჯოგის წვერებს შორის არ შეიძლება დამყარდეს მუდმივი კავშირი, განაწილდეს საკვები და ა.შ.

როდის შეიძლება პომინიდებში დამყარებულიყო ჩვეულებრივ შეწყვილებასე უფრო ამაღლებული, სიმპათით, მით უმეტეს სიყვარულით განმტკიცებული კავშირი? პომინიდთა ცალკეული ინდივიდი ეპიგამიურ ურთიერთობას დაამყარებდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მდედრი სექსუალურ მიზნიდევლობას შეინარჩუნებდა ესტრალური ციკლის დამთავრების შემდეგ, თუნდაც რამდენიმე დღის განმავლობაში. პომინიდთა ევოლუციის პროცესში, სელექციური თვალსაზრისით, ეს ნიშანტეხება სულ უფრო გადამწყვეტ ხასიათს იღებდა, შესაბამისად, მდედრისა და მამრის ურთიერთმიზიდვის პერიოდი მძუნობის შემდეგაც გაიზარდა. დაბოლოს, საქმე იქამდე მიედა, რომ მდედრის ფიზიოლოგიურ პროცესთან დაკავშირებულმა ნიშნებმა დაკარგეს თავიანთი პირყანდელი მნიშვნელობა – ათასობით წლების განმავლობაში პომინიდის მდედრმა შეძლო გამოემუშაებინა გარეგან ნიშანთა მთელი არსენალი, რომელიც მამრის ყურადღების ცენტრში იქნებოდა მოქცეული. პირველად ცხოველთა სამყაროში, სქესობრივი დიმორფიზმისას, მდედრი იწყებს უფრო მეტი მიმზიდველი გარეგნული ნიშნებით აღჭურვას, ვიდრე ეს მამრ ინდივიდს გააჩნია!

მაგრამ რა აზრი აქვს ერთმანეთისადმი გამუდმებულ ინტერესს, თუ იგი მდედრის განაყოფიერებით არ იქნება უზრუნველყოფილი. ადამიანის-მაგვარ პრიმატებში ურთიერთშეწყვილების და, შესაბამისად, ნაყოფის ჩასახვის დრო სამი დღით არის შემოფარგლული. ეპიგამიური ურთიერთობისას, ურთიერთმუდმივი დაინტერესების პირობებში, მდედრი სულ უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხდება მამრის სპერმისადმი რეცეპტული (მიმღები). ახლა იგი ფეხმძიმდება მაშინაც, როდესაც ძუძუთა ბაეში ჰყავს და არა შიმშანსეხავით ხუთ წელიწადში ერთხელ. პომინიდთა რეპროდუქციის მსგავსი, კონვეინერული წესი გამართლებული და გამაგრებული აღმოჩნდა მათ შორის დაწყებული ახალი სოციალური ურთიერთობებით – მამრის მიერ წერილშვილით დახუნბლული მდედრის საკუბითა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით.

ასე განხორციელდა ცოცხალი ბუნების თვითწარმოქმნის ოთხმილიონიან ისტორიაში უნიკალური რამ – დაწყობილება და გამრავლება მუდმივი ფიზიკური ნიშნების მიხედვით – ერთმანეთისადმი

გამუდმებული ლტოლვისა და სიყვარულის ნიშნად. შესაბამისად, პომინიდთა ის შტო, რომელმაც შეძლო განეეთარებინა მძუნობისაგან და მოუკიდებელი, მუდმივი სექსუალური ურთიერთობა – გაადამიანების გ'სას დაადგა. როგორც ეხედაყთ, ისეთი ცნებები, როგორცაა ფიზიკური ნიშნების მიხედვით მოწონება, მით უმეტეს, სიმპათია და სიყვარული, ხოლო, აქედან გამომდინარე, მდედრის ოველაციური ციკლის მიუხედავად ერთმანეთისადმი მუდმივი სექსუალური ლტოლვა, წმინდა ადამიანური თვისებაა.



სურ. 90. ნაშიერის ტარების თავისებური წესი შიმშანსეში.

ყველა ეს ნიშანი ჩანსახა და ვითარდებოდა ორი მილიონი წლის, ე.ი. გეარი Homo-ს ევოლუციის პერიოდში. ერთდროულად, ნებისმიერი ამ ნიშანთაგანი ერთმანეთთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული: ხიდან მიწაზე ჩამოსყლამ, ტყიდან საყანაში გასვლამ განამტკიცა პომინიდის ორ ფეხზე გადაადგილების ჩვევები; მოძრაობის ფუნქციისაგან გათავისუფლებულმა ხელებმა შეიძინეს იარაღის დამზადების და გამოყენების უნარი. რაც უფრო რთულდებოდა იარაღი და მისი გამოყენების სფერო, ვითარდებოდა ტყინი; დიდი ტყინის მქონე, დიდთავიანი ნაშიერების დაბადებამ პომინიდში გამოიწვია მენჯის ძვლის ანატომიური ცვლილებები – მდედრი შეიზღუდა მოძრაობაში; მაღალგანვითარებული ნერული სისტემის მქონე არსების პოსტემბრიონული (დაბადების შემდეგ) განვითარების ბაეშობის ხანას ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდა; ასეთი ნაშიერის ტარებამ მდედრი კიდევ უფრო შეზღუდა მოძრაობაში. პომინიდთა განვითარების ხაზი ევოლუციურ ჩიხში მოექცა – გადაშენების საფრთხის წინაშე დადგა. კრიტიკული სი-

ტუაციიდან გამოსავალი იყო მამრის, როგორც მღვდლისა და მისი ნაშვილის, ე. ი. შთამომავლობის დამცველისა და პატრონის როლის მნიშვნელოვანი გაძლიერება.



სურ. 91 ნაშვილის ტარების წესი აფრიკის თანამედროვე აბორიგენებში.

ამის შემდეგ ევოლუციის ასპარეზზე ახლახან გამოსულ პომინიდთა ჯოგის არსებობა საეანაში მით უფრო გარანტირებული იყო, რაც უფრო მეტი მშვიდობიანი თანაარსებობა დამყარდებოდა თანასაზოგადოების ცალკეულ, განსაკუთრებით მამრ ინდივიდებს შორის. კონფლიქტის მთავარი მიზეზი ხდებოდა შეწყვილებისთვის მზად მყოფი, მძუენავი მღვდრი. მამრებს შორის მოსალოდნელი კონფლიქტის განსამუხტავად პომინიდების თანასაზოგადობაში დამკვიდრება იწყო მუდმივი წველის წარმოქმნის საფუძველზე აგებულმა მონოგამიურმა ურთიერთობებმა. მსგავსი რამ პომინიდებში შესაძლებელი გახდა მღვდრის მიერ მამრის არა მძუენობის გზით მიზიდვით, არამედ სხეულის საერთო, მუდმივი ნიშნების მოწონებით. დროთა განმავლობაში, მსგავსი ურთიერთობის განმტკიცებას დაერთო ერთმანეთის დამაკავშირებელი, თვისებრივად სრულიად განსხვავებული ძალა – სიყვარული. ეს უკანასკნელი, – ეპიგამიური ურთიერთობა, – არსებითად განსხვავდება ადამიანსა და დანარჩენ პრიმატებში არსებული, დაპროგრამებული ინსტინქტებისაგან, ეთქვათ, დედური სიყვარულის ინსტინქტისაგან. იგი ინტელექტუალურად მაღალგანვითარებული პომინიდის სუფიერი, ფსიქოლოგიური გამოხატულების თავისებური, განსაკუთრებული ფორმა ხდება. ამიერიდან სექ

სუალური მიზიდვის რეალიზაცია ხდება არა მღვდრის ესტრუსთან დაკავშირებული ნიშნებით, არამედ იგი ატარებს გამუდმებულ ხასიათს. ამ უკანასკნელის შედეგად მღვდრს ეძლევა ერთმანეთზე მიყოლებულ ნაშვიერთა ყოლის შესაძლებლობა.

მაშასადამე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ადრე თუ გვიან, ბიკედამ ანუ ორ ფეხზე გადაადგილების უნარმა, თავისი გამოხატულება პოვა პრეისტორიული და შემდეგ ისტორიული ადამიანის მოპირდაპირე სქესთა წარმომადგენლების მუდმივ სექსუალურ ინტერესში. „უხეშად რომ ეთქვათ, – ამბობს ლაეჯოი, – პომინიდი უკანა ორ ფეხზე დადგა ბავშვების ხშირად გასაჩენად...“.

სინამდვილეში, თუ ამ პრობლემას პრაგმატულად შევხედავთ, მაღალგანვითარებულ პრიმატთა დაბალი შობადობის უნარით გამოწვეული სახეობის გადაშენების საფრხის თავიდან აცილების ერთადერთ საშუალებას მუდმივ წვეილთა შექმნის გზით, სრულიად განსხვავებული, პერმანენტული სქესობრივი კავშირის დამყარება წარმოადგენდა. მსგავსი კავშირი არ იქნებოდა დამოკიდებული წლის რომელიმე სეზონზე და პრიმატთა მღვდრის ხუთ წელიწადში ერთხელ განაყოფიერებისათვის სამოთხდლიან მზადყოფნაზე. და აი, გამოჩნდნენ პომინიდი-ნიუატორები, რომლებმაც გამოიმუშავეს სოციალური და სექსუალური ქცევების ახალი ფორმები, რის შედეგადაც სხვა პრიმატებთან შედარებით საგრძნობლად გააუმჯობესეს თავიანთი მოდგმის გამრავლების სტრატეგია. ასე გაუმართლა პომოს, რომლის ერთ-ერთი სახეობა ამჟამად ექვს მილიარდ ინდივიდს ითვლის, მაშინ, როდესაც არაბოლომდე გამართული, არაბოლომდე მოაზროვნე, იარაღის არასრულყოფილად გამოყენებელი, უმეტვეელო, და რაც კიდევ არსებითია, – დაბალი რეპროდუქციის მქონე სხვა ანთროპოიდები არსებობისათვის ბრძოლაში ნაკლებად ადაპტირებულები აღმოჩნდნენ და ევოლუციურად დაღმავალი გზით მავალ მილიონობით სახეობათა ბედი გაიზიარეს, ანდა თანდათანობით იზიარებენ.

რატომ არის ადამიანის სხეული ბალნის საფარს მოკლებული?

ქუქმწოერები თბილსისხლიან ორგანიზმთა ჯგუფს მიეკუთვნება, მაშასადამე, ხელეწიფებთ გარემოს კლიმატური ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად სხეულის შინაგანი ტემპერატურის ერთ, მაღალ დონეზე შენარჩუნება. გარემოს ტემპერატურისაგან ქუქმწოერების სხეულის ტემპერატურის დამოუკიდებლობა, გარდა შინაგანი, ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური პროცესებისა, მათი სხეულის შედაპირზე განვითარებული ბალნის, თმის საფარითაც მიიღწევა. ეს უკანასკნელი ასრულებს თბოიზოლატიორის ფუნქციას.

აღნიშნული, ბუნებრივია, ეხება პრიმატების რიგის აბსოლუტურ უმრავლესობას. გამონაკლისია მხოლოდ ადამიანი, რომლის სხეულის შედაპირი

მოკლებულია ბალნის რამდენადმე მნიშვნელოვან საყარს, რის გამოც მისი სხეულის ტემპერატურის რეგულირება დიდადაა დამოკიდებული ოფლის გამოყოფაზე.

სავანის გარემოსთან ადამიანის უშუალო წინაპრის ევრტიკალურად გამართული სხეულის შეგუების სტრატეგია იმ მხრივაც წარიმართა, რომ მისი ორგანიზმი ნებისმიერ სხვა ძუძუმწოვარზე მეტ ოფლს გამოყოფს. ამ მოკლებას მით უმეტეს უნდა გაეყვას ხაზი, რამეთუ ადამიანის საოფლე ჯირკვლების რიცხვი (სიხშირე) და ზომები არ განსხვავდება დანარჩენი პრიმატებისაგან. ადამიანი, ოფლის გამოყოფის გზით, პაერის ტემპერატურის თვით ჩვეულებრივი მატების შემთხვევაშიაც, დროის მცირე მონაკეთში პაერგავს ორ და მეტ ლიტრ წყალს (მაგალითად, საფხულის თევებში მეტროში მგზავრობისას, ე.ი. არაექსტრემალურ პირობებში ყოფნისას).

როგორ ჩამოყალიბდა ადამიანში თერმორეგულაციის მსგავსი, სხვა ძუძუმწოვრებისაგან ესოდენ განსხვავებული (მაგრამ არა ახალი ტიპის) სისტემა? არსებითი მიზეზი აქ აღმოჩნდა წინააღმართის ოთხ ფეხზე მოძრაობის წესიდან გადაადგილების ორ ფეხზე გადასვლა, რაც, თავის მხრივ, სხეულის დიდ ნაწილზე ბალნის საფარის დაკარგვის მიზეზი გახდა.

რა კავშირშია ჰომინიდის ანატომიური ცვლილებები (ბალნის რედუქცია) მსგავს ფიზიოლოგიურ ცვლილებებთან (ოფლის ინტენსიურ გამოყოფასთან)?

მთავარი აქ ადრეულ ჰომინიდთა ტროპიკების გაშლილ სავანაში ცხოვრებასთან შეგუება აღმოჩნდა. პირველი ორფეხა ჰომინიდების ევოლუცია დაიწყო ტყე-პარკის, სოფჯერ ბალახოვანი სტეპის ტიპის სავანაში. ეს ის გარემოა, სადაც მზის რადიაცია საკმაოდ მაღალია (თუმცა, უდაბნოზე ორჯერ ნაკლები), ხოლო დღის ტემპერატურა ახლოდგას 30°-თან ცელსიუსით. ასეთ პირობებში საკვების მოსაპოვებლად მთელი დღის განმავლობაში მოხეტიალე პრეისტორიულ ადამიანს მუდმივად ემუქრებოდა ორგანიზმის მზის საკმაოდ მაღალი რადიაციით გამოწვეული გადახურება – თერმული სტრესი. ეს პრობლემა კიდევ უფრო აქტიური გახდა მას შემდეგ, რაც ჰომინიდი განვითარების ავსტრალიოპითეის სტადიიდან ჰომოს სტადიაში გადავიდა, ე.ი. სხვა ნიშან-თვისებებთან ერთად ცხოველების ნამდვილი, მტაცებლური წესი გამოიმუშავა, რაც სავანის გაცილებით მეტი ტერიტორიის ათვისებასა და უფრო აქტიურ მოძრაობას მოითხოვდა. თავის გამოკვების ასეთ წესს უნდა გამოეწვია ორგანიზმის გაგრილების ახალი მექანიზმის წარმოქმნა.

როგორ აიცილა ჰომინიდმა თავიდან თერმული სტრესის მსგავსი საშიშროება? გამოსავალი მოიხაზა წინააღმართის ბალნის საფარის მნიშვნელოვან რედუქციასა და ოფლის გამოყოფის გაძლიერებაში, ე.ი. იმ პროცესებში, რაც ასე იშვიათია სხვა ცხოველებში.

საინტერესოა, როგორ განვითარდა ეს პროცესები?

როგორც ცნობილია, განვითარების ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ძუძუმწოვრებს გადახურებისაგან თავის დაღწევის რამდენიმე ხერხი გამოუმუშავდათ: 1. სხეულის შედაპირის ფართობის ზრდა მოცულობასთან შედარებით, რაც საბოლოო ჯამში ამცირებს სხეულის ზომებს, ე.ი. უჯრედთა რაოდენობას და, მაშასადამე, სხეულში ჰარბი ენერჯისა და სითბოს გამოიმუშავებას. მსგავსი სურათი შეინიშნება უდაბნოს ფორმებში (ბერგმანის კანონი); 2. სისხლძარღვთა პერიფერიული ტურბლენის ქსელის გაფართოება (მაგ., ყურებში), რაც ხელს უწყობს სისხლის სწრაფად გაგრილებას; 3. აქტიური ცხოვერების დაწყება შეზინდებისას, ანდა ღამის საათებში; 4. სუნთქვის ინტენსივობის გაძლიერება; 5. სხეულიდან ჰარბი სითბოს გამოყოფა პირიდან ენის პერიოდულად გადმოგდების გზით.

ოთხ ფეხზე მავალ ძუძუმწოვრებს, რომელთა სხეულის დიდი შედაპირი ხედება მზის მწველი სხივების უარყოფითი შემოქმედების ქვეშ, თერმული სტრესის აცილებაში დიდად უწყობს ხელს ბალნის საფარი.



სურ. 92. ოთხ ფეხზე, ანდა ნახევრად გამართულად მოსიარულე მაიმუნების სხეული ბალნის ხშირი საფარით არის დაფარული.

ენიდან პრეისტორიულ ადამიანს სავანის ათვისების პროცესში განუვითარდა სხეულის ევრტიკალურ მდგომარეობაში დაჭერის უნარი, შესაბამისად, ოთხფეხა ცხოველებთან შედარებით, მისი სხეულის შედაპირი იღებს მზის ენერჯის მხოლოდ 2/3-ს. ამგვარად, ბიპედიამ შეამცირა მზის სითბო გავლენის ქვეშ მოქცეული სხეულის ფართობი, ე.ი. იკლო ორგანიზმის მიერ თბური შოკის მიღების საშიშროებაზე. მსგავსი საშიშროების განმუხტვამ ჰომინიდის სხეულის ბალნის საფარს ფუნქცია

დაუკარგა, ამიტომ, გარდა თავისა და მხრებისა, მის სხეულზე ბალნის რელექციის ინტენსიური პროცესი განვითარდა.

მართალია, ვერტიკალურ პოზაში მოსიარულე ჰომინიდებმა თავი დააღწიეს მისი რადიაციის მასშტაბურ ზემოქმედებას, მაგრამ წარმოიქმნა ორგანიზმში დაგროვილი ჭარბი სითბოს გამოთავისუფლების მეორე პრობლემა. როგორც ზემოთ ითქვა, ძუძუმწოვრები მას სხვადასხვა გზით წვეუტენ. ჰომინიდს სხეულის „ვენტილაციის“, ანუ თერმორეგულაციის უმთავრეს მექანიზმად სხეულიდან ოფლის ჭარბად გამოყოფის უნარი განუვითარდა. მაგრამ ორგანიზმის თერმორეგულაციის პრობლემის მსგავსმა გადაწყვეტამ ორფეხა არსება დეპიდრირების პრობლემების წინაშე დააყენა.



სურ. 93. გადაადგილების ორ ფეხზე გადასვლამ ჰომინიდში (ადამიანი) გამოიწვია სხეულზე ბალნის საფარის დაკარგვა (კაუჩუკით შეღებილი მასის ტომელები კენიიდან).

დადგენილია, რომ თანამედროვე ადამიანს შეუძლია აიტანოს სითხის მხოლოდ შედარებით მცირე რაოდენობით (სხეულის მასის 10%) დაკარგვა. გარდა ამისა, არც მისი ანაზღაურება ძალუმს ერთბაშად ბევრი წყლის დალევის გზით. მაგალითად, თუ აქლემს ხელეწიფება 10 წუთში 100 ლიტრი წყლის შესმა, ადამიანი იმავე დროში მხოლოდ ერთ ლიტრს თუ ერევა. თერმორეგულაციის ახალი მექანიზმის წარმოქმნამ დიდი გავლენა იქონია ორფეხა ძუძუმწოვრების ცხოვრების წესზე, კერძოდ, ტერიტორიულ ქცევებზე. ამიერიდან მისი არსებობა დიდად არის დამოკიდებული სასმელი წყლის სიახლოვეზე, რითაც ჰომინიდს ტროპიკული სავანა მაინცდამაინც არ ანებებოდა. შესაბამის

სად, უნდა ვიფიქროთ, რომ ნადირობით დაკავებულ წინააღმამის ერთი დღის განმავლობაში დიდი ტერიტორიის დაფარვა უხდებოდა, რის შემდეგ აუცილებლად უნდა დაბრუნებოდა მდინარეთა გვალვის სეზონშიაც წყალსავე კალაპოტებს.

„პირველად იყო სიტყვა“, ანუ მითხველების განვითარება ჰომინიდებში

ენას – თავისებურ კოდს – ადამიანთა საზოგადოებაში უდიდესი საურთიერთობო (საკომუნიკაციო) ფუნქცია გააჩნია, მეტყველება კი ამ კოდის რეალიზაციის საშუალებაა. მეტყველების საშუალებით ადამიანს ხელეწიფება უსასღერო ინფორმაციის გადაცემა.

ბევრი სხვა ნიშან-თვისების მსგავსად, ადამიანის ენას თავისი ბიოლოგიური წინაპირობა აქვს და იგი სათავეს მაღალგანვითარებულ ცხოველებში, უწინარესად ადამიანისმაგვარ მაიმუნებში იღებს. როგორც ცნობილია, უმაღლესი პრიმატებისათვის დამახასიათებელია ბგერითი სიგნალიზაციის საკმაოდ მდიდარი ფორმები, რომლებიც გამოხატავენ ემოციებს – შიშს, მძინეარებას, კმაყოფილებას და ა.შ. ბგერითი სიგნალები დიდად ეხმარება მათ სოციალური ურთიერთობების დარეგულირებაში.

გაადამიანების გზაზე, როდესაც ჰომინიდებმა დაიწყეს შრომის იარაღების დამზადება, მათი სოციალური ურთიერთობანი თვისებრივად გაცილებით მაღალ დონეზე ავიდა. როგორც იტყვიან, დადგა დრო, როდესაც ორფეხა არსებებს ხმა უნდა ამოეღოთ, ერთმანეთისთვის რაღაცა ეთქვათ. შესაბამისად, ბგერითმა სიგნალიზაციამ თანდათანობით იწყო ახალი, დანაწევრებული მეტყველების ფუნქციის შექმნა.

ასროვნებასთან ერთად, ადამიანი მაღალგანვითარებული ძუძუმწოვრებისაგან განსხვავდება სწორედ თავისი აზრის დანაწევრებული, ანუ დისკრეტული მეტყველების გზით გამოთქმის უნარით. კომუნიკაციის სხვა, გაცილებით მარტივი საშუალებები – ემოციის გამოხატველი ყვსტები და ბგერითი სიგნალები, – მაიმუნთა არაერთ სახეობასაც გააჩნია.

ძნელია შეაფასო მეტყველების როლი ჰომინიდთა გაადამიანების საქმეში. მან უდიდესი მასტიმულირებელი ზეგავლენა მოახდინა ტვინის განვითარებაზე. გარდა ამისა, სწორედ დანაწევრებულ მეტყველებას შეუძლია გადმოხატოს ტვინში დაბადებული აზრი მისი ნებისმიერი სახით.

მართალია, ენა, უპირველეს ყოვლისა, აზრის გამოხატვისა და გადაცემის საშუალებაა, იგი პირდაპირ კავშირში იმყოფება ადამიანის შემეცნებასთან. ამიტომ, ორი კიდურზე გადაადგილების მსგავსად, კაცობრიობის მეტყველება დიდხანს და თანდათანობით ყალიბდებოდა. მისი პროგრესი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში იყო პირველყოფილ ადამიანში საზოგადოებრივი ურთიერთობის, იარაღის წარმოებისა და შეგნების

გადრმავება-გართულებასთან.

შეძლება კი იმ ზღვარის დადგენა, რომლის შემდეგ ორფეხა კომინიში სასიგნალო ბგერებმა ნამდვილი მეტყველება შეცვალა? უფრო მარტივად – როდის დაიწყო ადამიანმა ლაპარაკი? როგორ აუღერდნენ პირველი სიტყვები?

აღნიშნული საკითხი ადამიანის ანატომიის იმდენად რთული მხარეა, რომ მეცნიერებს არ ძალუძს მისი ზუსტი გაშიფრა. ამ სფეროში სპეციალისტებს მიახლოებითი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას აძლევს სათანადო კვლევები და, აქედან გამომდინარე, სოციურთი ირიბი ხასიათის განსოგადოებები.

ანტიკური ეპოქის ბერძენი ისტორიკოსის – ჰეროდოტეს ცნობით, ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში ფარაონმა ფსამეტიხმა ბრძანა, იმე აღესრდათ ადამიანის ორი პირმწო, რომ არ მოესმინათ ადამიანის ლაპარაკი, წარმოდგენა არ ჰქონოდათ ეგვიპტელთა მეტყველებას. მას იმედი ჰქონდა, რომ ბავშვები აუცილებლად აღაპარაკებოდნენ თავიანთ უძველეს წინაპართა ენაზე. ეს უკანასკნელი, ფარაონის ღრმა რწმენით, აღბეჭდილი უნდა ყოფილიყო კაცობრიობის მეხსიერებაში. მართლაც, დროთა განმავლობაში, ბავშვებმა წარმოთქმეს და დროდადრო იმიერებდნენ „ბეკოსი“-ს მსგავს სიტყვას. ასეთი რამ, მცირე ასიის ძირძველი მოსახლეობის – ფრიგიელების ენაზე – „პურს“ ნიშნავდა. ამგვარად, საქვეყნოდ განაცხადა ფსამეტიხმა, ყველა ხალხის პირველ ენას უუჭველად ფრიგიული წარმოადგენსო.

სეპირი მეტყველების წარმოშობაზე არაერთი შეხედულება არსებობს. XVIII საუკუნის დიდი ფრანგი განმანათლებლის ჟან-ჟაკ რუსოს აზრით, ადამიანებმა ამ პრობლემის გადაწყვეტა შეძლეს მას შემდეგ, რაც „ერთ მშვენიერ დღეს“ გადაწყვიტეს ენის ამოღება. თუ რამ აიძულა მანამდე მაიმუნებოვით ცალკეული ბგერების გზით დაკავშირებული ადამისა და ევას მოდგმის არსებობის თითქმის ერთი დღის განმავლობაში გადასულიყო ნენ ურთიერთობის სრულყოფილ ახალ ფორმაზე, დიდი ფილოსოფოსი ამას არ აზუსტებს. ენის წარმოშობის მსგავსი გულუბრყვილო ახსნა, ბუნებრივია, რუსოს ბევრ თანამედროვეს არ აკმაყოფილებდა. საინტერესო იდეა გამოთქვა გერმანელმა რომანისტმა იოჰან გოტფრიდ გიორდერმა. მწერლის ღრმა რწმენით, მეტყველება, როგორც ლაპარაკის მოთხოვნილება, ადამიანის ბუნებაში დასაბამიდანვე იყო წადებული. ეს მოთხოვნილება რეალურად მაშინ გადაიქცა, როდესაც ადამიანი დაეუფლა გარე სამყაროს ბგერების მიბაძვას: ადამიანის პირველი სიტყვებიც, გიორდერის აზრით, ბუნების წარმომადგენელთა მიერ გამოცემული ბგერების განმეორებას წარმოადგენდა. „აფაჟ“ – ძაღლის ნიშნავდა, „ბეეეე...“ – თხას და ა.შ. პარალელურად, მათ ემატებოდა ემოციების – ტკივილის, სიხარულის, შიშის, განცვიფრების გამომხატველი სიგნალებიც.

მართალია, მეცნიერებისათვის დღემდე უცნობია, თუ რა იყო ენის წარმოშობის კონკრეტული მასტიმულირებელი ძალა, მაგრამ დარეისის ევოლუციურმა თეორიამ და, სახელდობრ, ადამიანის წარმოშობაზე მის მიერ შემუშავებულმა შეხედულებამ, სპეციალისტებს შესაძლებლობა მისცა სხვა კუთხით შეხედოთ ამ ფენომენისათვის. დღეს ეგვიპტე ალარაის ეპარება, რომ დედამიწაზე პირველი მოლაპარაკე არსება როცა კიდურზე გამართულად მოსიარულე ადამიანი იყო. ამ თვალსაზრისით, სხვადასხვა ცხოველების, უწინარესად კი უმაღლესი მაიმუნების შესწავლამ ცხადი გახადა, რომ ყბულ ადამიანსა და დანარსენ ხმაურიან ანთროპოიდებს შორის გაცილებით მეტია საერთო, კიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა.

ანიმალისტურ სამყაროში ურთიერთობის ყველაზე განვითარებული წესი სასოგადოებრივ, ჯგუფურად მცხოვრებ ფორმებს ახასიათებთ. თუმცა მწერები ადამიანთან შედარებით გაცილებით დაბალ საფეხურზე დგანან, მათ სოციალურ სახეობებში ბგერითი კომუნიკაციის უნიკალური ფორმება ცნობილი. ფუტურები იყენებენ „ცეკეების ენას“, სოციურთი ტერმითი, ჰინაჰკულა და პეპულა – სხეულიდან გამომყოფი „ქიმოური ნივთიერებების ენას“; გაცილებით მაღალგანვითარებული ცხოველები – ძაღლი და მგელი – ურთიერთობისათვის იყენებენ არა მარტო ბგერით სიგნალებს – კმუილსა და ყეფას, არამედ გამოყოფენ სუნოვან ნივთიერებებს, ფლობენ მხედველობისათვის აღსაქმელ ნიშან-თვისებათა მთელ სისტემას – მიმიკას, სხეულის, განსაკუთრებით კუდის ნაირგვარი მოძრაობის უნარს...

კიდევ უფრო რთულდება ურთიერთკავშირის ფორმები ცხოველების ისეთი მრავალმხრივი სოციალური წესით მცხოვრებ ძუძუმწოვრებში, როგორებიც მაიმუნებია. მაგრამ სპეციალისტთა აზრით ადამიანისმაგვარი მაიმუნების მიერ გამოყენებული ბგერითი სიგნალები მათ სოციალურ ურთიერთობებთან შედარებით გაცილებით ღარიბია. სათანადო კონტაქტების დასამყარებლად ბგერებზე წარმატებით ისინი მაინც ვესტებს, მიმიკებსა და სხეულის პოზებს იყენებენ. ბგერები ავსებენ ჩამოთვლილ სიგნალებს, თუმცა, იშვიათად, ურთიერთობა ჯოჯის წვერებს შორის მხოლოდ ბგერითი კომუნიკაციის გზითაც მყარდება. ეს უკანასკნელები დაკავშირებულია საქორწინო ქცევებთან, დეაშეილის ურთიერთობასთან, ნუგბარ საკვებთან და განსაკუთრებით მტრის მოახლოებასთან. მტერთან შეხვედრისას, სოციურთი მაიმუნის მიერ გამოცემული სიგნალები სპეციალიზებულია. მაგალითად, გველის დანახვაზე წივიან, მიწაზე მცხოვრები მტაცებლის გამოჩენასე – მოადლეინავენ, ხოლო მტაცებელი ფრინველის მოახლოებისას ერთმანეთს აფრთხილებენ „როოპ“-ის მგავსი ბგერებით.

როგორი მრავალმხრივიც არ უნდა იყოს მაიმუნთა ურთიერთობის სისტემა, იგი ძალიან შორს დგას ადამიანის მეტყველებისაგან – მათ არ ძა-

ლუქოთ სახელი უწოდონ კონკრეტულ საგნებს, მათ მიერ გამოყენებული ბეკრითი სიგნალები კი მოკლებულია რთულ ფონეტიკურ კოდებს და, რაც მთავარია, ამ სიგნალებში არ ისახება წარსულის შთაბეჭდილებები, სამომავლო ქმედებები.

ადამიანს, დანარჩენ პრიმატებთან შედარებით, ემოციების გამოხატველი თვით უსიტყუო სიგნალთა შეუდარებლად მდიდარი არსენალი აქვს. მისი სახე გაცილებით მეტი კუნთისაგან შედგება, ვიდრე ნებისმიერი დანარჩენი სხვა ცხოველის. ისინი უზრუნველყოფენ ტუნების, ლოყების, შუბლის, წარბების სრულიად განსხვავებულ მოძრაობას, რასაც დიდი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. ამიტომ, პრეისტორიული ადამიანის ცხოვრებაში სწორედ სახე ასრულებდა ურთიერთობის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას.

ადამიანის სახე – უჩვეულოდ ინდივიდუალური და არაჩვეულებრივად მოძრავი – დღემდე წარმოადგენს ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს, ამა თუ იმ ინდივიდის გუნება-განწყობილებისა და ჩანაფიქრის გამოხატველს. მრავალი მათგანი, ეჭვს გარეშე, აცობრიობაში გენეტიკურადაა კოდირებული და, ამდენად, საყოველთაო, უნივერსალური ხასიათის მატარებელია. თანხმობის ნიშნად თავის დაკერა, უარის ნიშნად მისი გვერდით გაწევა, გაკვირვების შესატყვისად წარბების სემოთ აწევა და ბევრი სხვა, ერთნაირად ესმის ნებისმიერი ცივილიზაციის ხალხებს, მათ შორის ახალ გენიეაში, ამაზონის აუსსა და კალაპარის უდაბნოში შემორჩენილ ადამიანის რელიქტურ პოპულაციებსაც. მთელ მსოფლიოში რისხვისა და იმედგაცრუების სიმბოლოდ გაიკება მუშტად შეკრული ხელი, მოხრჭილად კბილები, შეჭმუნხული წარბები, თუ მოკუმული ტუნები. პირიქით, კოცნა, თუმცა მან რთული სოციალური და ეროტიკული შინაარსიც შეიძინა, უწინარესად, კეთილი დამოკიდებულების გამოხატულებად ასოცირდება.

ადამიანს ბაგოუმუშავად სხვა პრიმატისათვის სრულიად უცხო, კიდევ ერთი არამეტყველებითი სიგნალი – იგი წითლდება და, რაც მთავარია, მის შენიღბვას ვერ ახერხებს, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ელფერი აშკარად გასცემს ადამიანის რეალურ ფსიქიკურ მდგომარეობას.

ინფორმაციულობის თვალსაზრისით, სიგნალების მთელი ეს არსენალი ჩვენს მოდემისათვის მაინც აშკარად მეორეხარისხოვანი როლს ასრულებს. სოციალური ურთიერთობისათვის საჭირო ინფორმაციის უდიდესი ნაწილი ადამიანებში გადაიცემა ზეპირი მეტყველების გზით. უფრო მეტიც, გაადამინების გზაზე ადამიანი ადამიანად გადაიქცა უმთავრესად სწორედ სიტყვიერების განვითარების შედეგად. ენის, მეტყველების გარეშე ადამიანი ვერ შექმნიდა მისთვის დამახასიათებელ კულტურას, ე.ი. ცხოველად დარჩებოდა.

ამიტომ ორფევა ჰომინიდი, განვითარების გარკვეულ საფეხურზე აზრის გასაზიარებლად, უნდა ამეტყველებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში,

თანასაზოგადოების წევრს ვერ გაუზიარებდა იარაღის გაუმჯობესების გამოცდილებას, ვერ დააგვირგვინებდა წინასწარ მოფიქრებულსა და დეტალებში დამუშავებულ ნადირობის გეგმას. რაც უფრო რთულდებოდა წინააღმართის ოჯახის, თანასაზოგადოების სტრუქტურა, მით უფრო იზრდებოდა ერთმანეთთან მეტყველებაზე აგებული ურთიერთობის მოთხოვნილება. ე. უაიტნი და დ. ბრაუნი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ სწორედ ენა გახდა ადამიანთა საზოგადოებაში ის ფაქტორი, რომლის დახმარებითაც თაობიდან თაობებს გადაეცემოდა არა მხოლოდ ინსტინქტებისა და ქცევების თანდაყოლილი სტერეოტიპები, არამედ შექმნილი ცოდნა, მიღებული გამოცდილება. სწორედ ინფორმაციის ერთმანეთში და თაობაში გადაცემის ამ განუმეორებელმა ფორმამ აქცია ადამიანი ცხოველთა სამყაროში ყველაზე კონკურენტუნარიანად, ცვალებად გარემოსთან იოლად შეგუებად სახეობად. მეტყველების დახმარებით მიღწეული მსგავსი პროგრესი ჰომინიდში მოასწავებდა კულტურის უდიდეს აღმავლობას. აქედან მოყოლებული, ადამიანის განვითარების გზაზე ენა და კულტურა კოევილუციონირებენ, ე.ი. ენის აღმავლობა ხდება პირანტი ადამიანის კულტურის აღმავლობისა და პირიქით – კულტურის დონის განუხრელი სრდა ამდიდრებს ენას.

სპეციალისტთა ვარაუდით, ავსტრალოპითეკი დანაწევრებულ მეტყველებას ვერ შეძლებდა მცირე მოცულობის ტეინის გამო. ემოციების გამოსახატავად იგი, შიმპანზეს მსგავსად, ალბათ, მხოლოდ ცალკულ ბეკრით სიგნალს თუ იყენებდა. ფაქტორივად, უძველეს ჰომინიდებს ლაპარაკი არ სჭირდებოდათ. მართალია, თავის ტეინის მოცულობითა და განვითარების საერთო დონით შიმპანზეზე მალღა იდგნენ, მაგრამ ისტორიულ ადამიანთან შედარებით, წინარესაპინისის მარტივი არსებობისათვის სრულიად საკამარისი იქნებოდა მხოლოდ მიმიკა, ჟესტიკულაცია და ცალკეული ბეკრები.

უნარიანი ადამიანი – ჰომო ჰაბილისი – გარდა მავალი რგოლი ავსტრალოპითეკებსა და ჰომოს პროგრესულ ფორმას – ერექტუსს შორის უკვე გამოცდილი, საზრიანი, კოლექტიურად მონადირე, საკამოდ რთული იარაღი, ინსტრუმენტის“ დამამზადებელი არსებაა. მაგრამ, ამ მხრივ, სულ სხვა იყო გამართული ადამიანი. ჰომო ერექტუსის ქალასა და ხერხემლის კისრის განყოფილების აგებულების შესწავლიდან გამომდინარე, მეველერებმა შეძლეს მისი ხორხის რეკონსტრუქცია. დადასტურდა ამ არსების ლაპარაკის უნარი, თუმცა ისიც დადგინდა, რომ მეტყველების შესაძლებლობა არ უნდა გასცდენოდა ორი-სამი წლის ბაშვის დონეს. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, როგორც ჩანს, მამიუნებისათვის დამახასიათებელ ბეკრით სიგნალებსაც იყენებდა.

ვარაუდობენ, რომ ნეანდერტალელის ინდივიდები ლაპარაკობდნენ, მაგრამ ნახევრად მაინც სხვა ნადირით უხდებოდათ ერთმანეთში ბეკრების გაცემა.


არქეოლოგიური მონაცემებით, დანაწევრებული მეტეყველების მეტ-ნაკლებად სრულყოფილად ფორმირება კრომანიონელის დონესე, გვიან პალეოლითში, ე.ი. 40-30, მინიმუმ 10 ათასი წლის წინანდელ მონაკვეთში მოხდა. მისი ჩონჩხისა და მატერიალური კულტურის ნაშთი შემორჩა ევროპის მრავალ რაიონში.

ბევრი ანთროპოლოგი კრომანიონელებს თანამედროვე ევროპეოიდული, ანუ კავკასიური რასის უშუალო წინაპრად მიიჩნევს. ვინაიდან არეალის საქმოდ დიდ ნაწილში ნეანდერტალელებთან უხედებოდათ ცხოვრება, ვინ იცის, კრომანიონელები – ტანმოსული და ბევრი თვალსაზრისით დახვეწილი წინააღმამიანები მათ ანადირებს უწოდებდნენ.

რახეა დამოკიდებული ანატომიურად თანამედროვე ადამიანის ტვინში წარმოქმნილი ასრის სიტყვის საშუალებით გამოხატვისა და გადაცემის უნარი? ბოლო დრომდე გაუგებარი რჩებოდა, თუ რატომ დაუფულა მეტეყველების ხელოვნებას მაინც-დამინც ადამიანი და რატომ ეერ შეუღეს ეს მისაახლო მონათესავე პრიმატებმა? ადამინისმაგვარი მაიმუნების ხმის აპარატი ხომ ძალიან ჰგავს ადამიანისას – მათაც გაანინათ ტუნები, ენა და ხორხი, ამ უკანასკნელში კი, ბევრით იოგები. მრავალრიცხოვანი ცდების შედეგად ცხადი გახდა, რომ შეუძლებელია მაიმუნმა დაისწავლოს ადამიანური მეტეყველება. ცოლ-ქმარი პეისების ექესი წლის თავგამოდებული რუდუნების შემდეგ, შიმპანზე ვიკიმ სათანადო ბრძანებისას ძლიეს მოახერხაოთხი ინგლისური სიტყვის მიახლოებით გამოთქმა, ესენია: „პაპა“, „მამა“, „აპ“ („ზემოთ“) და „ქაპ“ („ფილაა“). სამაგიეროდ შიმპანზე ხუთი წლის ასაკში ფლობდა ყრუ-მუნჯების ენის 350 ფესტნიშანს, რომელთაგან 150-ს ზუსტი მისამართით იყენებდა. „მაიმუნის მხრივ, მისთვის სასურველი საგნების მინიშნება, – წერენ უატი და ბრაუნი, – ნიშნავს გარკვეული ცნებების აბსტრაქირებას, შესაბამისად, უოშოუმ შესლო ადამიანური ურთი-

ერთობის ერთ-ერთი ფორმის დაუფლება, მაგრამ ნიშნების, სიმბოლოების ენა – ეს არ არის მეტეყველება. უოშოუს წარმატებამ და ვიკის ხელმოცარულობამ ნათელი გახადა, თუ რა არის საჭირო ადამიანური მეტეყველებისათვის. ზეპირი მეტეყველება მოითხოვს გარკვეულ გონებრივ და ფიზიკურ მონაცემებს, რომლებსაც მაიმუნები, უბრალოდ, მოკლებულები არიან“.

განსხვავებას ეხედათ ენის, ყელისა და განსაკუთრებით ხორხისა და ხახის აგებულებაში. ხახის ებჯინება ენის ძირი და, რაც მთავარია, სწორედ აქ ხდება ბგერითი იოგებიდან გამოცემულ ზგერათა მოდულირება. მეტეყველების დროს ადამიანის ხახისა და ენის ძირის კუნთები გამუდმებულ მოძრაობაში იმყოფებიან, ერთდროულად აღეგები აქვს ხახის მოცულობის ცვალებადობას. ბგერების ფორმირების თვალსაზრისით, მისი შემცირება-გაფართოება ისეთივე ეფექტს იძლევა, როგორც ორღანის სიგრძე-სიგანით განსხვავებული ათობით მილი, რის წყალობითაც, თითოეული მათგანი საკუთარ ტონალობას გამოსცემს. მაიმუნები, რომლებიც მოკლებულნი არიან ადამიანისათვის დამახასიათებელ გონებრივსა და ბგერითი იოგებით გამოცემულ ბგერით თავისებურებებს, სათანადო ბგერების გამოცემისას ცელიან მხოლოდ პირის ღრუს მოცულობას მაშინ, როდესაც ხახს პრაქტიკულად არაეითარი დატეირთვა არ ადგება. შესაბამისად, მათ უნარი შესწევთ მკაფიოდ გამოხატული სასიგნალო ბგერის მხოლოდ შესლუდული რაოდენობით (10-15) არტიკულირებისა. ყველაზე მეტ ბგერას – 25 – ითელიან იაპონური მკაკას რეპერტუარში. რაც შეეხება ამ სიგნალოთა სიტყვებად კომბინირებას, ამასე ლაპარაკიც ზედმეტია. საინტერესოა, რომ ახალშობილი ადამიანის ნაშიერებს იმავე მიზეზით არ ძალუთ თანხმოვანი ბგერების არტიკულირება. მტირალი ჩეილი ბაშვის ენა პირველი თვენახვერის განმავლობაში უმოდრაოა.



სურ. 94. ადამიანის თავის ტვინი ბროკას, ვერნიკეს ცენტრებითა და ტვინის კუთხის ნაოჯით.

ის გარემოება, რომ ადამიანი მეტყველებს, ხოლო მიიმუნი არა, არანაკლებადა დამოკიდებული ტენინის აგებულებაზე. ადამიანი ბგერების გამოყენებისას არა მარტო გამოსცემს მათ, არამედ მათში აზრის კოდირებასაც ახდენს. კოდირება კი თავის ტენინის დიდი ნახევარსფეროების ქერქის შრეებში ხდება.

1861 წელს ფრანგმა ანთროპოლოგმა და ქირურგმა პ. ბროკამ ადამიანის თავის ტენინის მარცხენა ნახევარსფეროში, წინა (შუბლის) მხარეს მიაკვლია ადგილს, რომლის დაზიანების შემთხვევაში იგი ჰქარავს მეტყველების უნარს. 1874 წელს კ. ვერნიკემ ტენინის იმავე ნახევარსფეროში, საფეთქლისკენ, აღწერა ნეირონთა დაჯგუფება, რომელთა ხელყოფისას მას ეკარგება სხვა ადამიანის დაზარაების მოსმენის უნარი (თუმცა, თვითონ ინარჩუნებს მეტყველების უნარს). პირველს ეწოდა ბროკას, ხოლო მეორეს – ვერნიკეს ცენტრი. მესამე უბანი – ე.წ. ტენინის კუთხის ნაოჭი – ესაზღვრება ვერნიკეს ცენტრს. იგი ასრულებს ერთგვარი კომპლექტორის როლს, რომელიც იღებს მხედველობის, სმენისა და შეხების ორგანოთა სიგნალებს და უსრუნველყოფს მეტყველებით რეაქციას მათზე. აღნიშნული ნაოჭი მოქმედებს ვერნიკეს ცენტრთან ერთად. არასტიკიერი – ტიკიელით ან სიხარულით გამოწვეული ბგერითი სიგნალების მართვა ხდება თავის ტენინის ლიმბური სისტემით. ეს უკანასკნელი მოთავსებულია თავის ტენინის სიდრემში. წინანსტორიული ადამიანი, ჰომო ერექტუსის ჩათვლით, რომლის მეტყველებითი უნარი ჯერ კიდევ ფრიალ შეზღუდული იყო, მაიმუნების მსგავსად, გაცილებით ფართოდ იყენებდა ლიმბურ სისტემას, ვიდრე თანამედროვე ადამიანი. მაიმუნის ტენინში კი, რომელიც მთლიანობაში ჰგავს ადამიანისას, მეტყველებისათვის საჭირო ცენტრები არ არის გამოხატული.

ამგვარად, ადამიანთა შორის მეტყველებითი კომუნიკაცია ხორციელდება ამ სამი ცენტრის ურთიერთობით, ე.ი. ისინი არეგულირებენ პირის ღრუში ფონემათა დინამიკას, რის გაერთიანებით იქმნება სიტყვები, ხოლო ამ უკანასკნელთა ერთობლიობით – წინადადებები.

ამდენად, თავის ტენინის მეტყველების ცენტრის ფორმირება, საიდანაც სათანადო ნერვული იმპულსები გადაეცემა ზურგის ტენის, ერთდროულად ხორხის სპეციფიკური ანატომიური აგებულების ჩამოყალიბებამ, ენისა და ტუჩების სათანადო არტიკულაციის გამოშუშაებამ ხელი შეუწყო ადამიანის კიდევ ერთი უნიკალური ნიშან-თვისების – მეტყველების განვითარებას.

თუ სხეულის ვერტიკალურმა მდგომარეობამ და იარაღის დამზადებამ უდიდესი როლი ითამაშა ადამიანის ევოლუციის ადრეულ სტადიაზე, მეტყველების ანატომიურ-ფიზიოლოგიური უნარის გამოიმუშაებამ – ინფორმაციის გაცვლის ამ არაწვეულებრივმა საშუალებამ – ბიძგი მისცა ადამიანის შემოქმედებაში ტექნიკურ პროგრესს, რომელიც

ენის გარეშე ერთობ ნელი და შეზღუდული იქნებოდა: უფრო მეტიც, ადამიანის კულტურის, ცივილიზაციის გამოვლინება, რომელიც დაკავშირებულია ხელოვნებასთან, ლიტერატურასთან, მეცნიერებასთან, პოლიტიკასთან და ეკონომიკასთან მთლიანად არის დამოკიდებული ენაზე. ენა, როგორც ბგერის განმარტავადობელი სიმბოლო, ფართოდ გამოიყენება ადამიანის შემოქმედების სხვა სფეროებშიც და ამგვარად ადამიანის ყოფის ფუნდამენტური დასაყრდენია.

ადამიანი – ცეცხლის პირველმოთმინიერებელი

ადამიანის ურთიერთობას ცეცხლთან – ბუნების ამ თავისებურ სტიქიასთან – დიდი ხნის ისტორია აქვს. კენიაში, რუდოლფის (ტურკანა) ტბის სანაპიროსთან, რ. ლიკიმ აღმოაჩინა ნიადაგის ამომწვარი ფრაგმენტი. მისი ასაკი 2,5 მილიონი წლით განისაზღვრა. როგორც ჩანს, ჰომინიდი უკვე მარჯვე ადამიანის – ჰომო პაბილისის დონეზე ახერხებდა დროდარო ცეცხლის შემთხვევით შენარჩუნებას, მაგრამ პალეოანთროპოლოგიური გამოკვლევებით, ცეცხლის სისტემატიკური გამოყენება მხოლოდ გამართულმა ადამიანმა – ჰომო ერექტუსმა დაიწყო. ამ უკანასკნელს, დედამიწის ქერქის ტექტონიზმის თვალსაზრისით მოუსვენარ აღმოსავლეთ აფრიკაში ხშირად ეძლეოდა შესაძლებლობა ეცქირა ამოფრქვეული ვულკანისათვის. გარდა ამისა, საენაში წელიწადი ისე არ ჩაივლიდა, მუხის გაეარდნის შედეგად ცეცხლი რომ არ წაეკოდოს იქაურობას. ანალოგიურ სტიქიურ მოვლენებს ევრაზიაშიც ჰქონდა ადგილი. ცხადია, პრეისტორიულ ადამიანებში მსგავსი სანახაობა პანიკურ შიშს იწვევდა. ალბათ, ერთხელ მაინც გაბედა და აალებულ კოცონთან ახლოს მივიდა. წინადადამიანი დარწმუნდა ცეცხლის საკუთარი მიზნით გამოყენების პერსპექტივაში. ეს შეიძლება მტაცებლებისკენ შემთხვევით ნასროლი, აღმოვლული მუგუზალი იყო, რამაც ასე დააფრთხო ნადირი, ანდა ხანძარში დამწვარი ჩლიქოსანი, რომლის ხორციც გაცილებით გემრიელი და ადვილად მოსანელებელი აღმოჩნდა...

ცხადია, ცეცხლის გამოყენება დიდ უპირატესობას ანიჭებდა წინადადამიანს, მაგრამ როგორ შეენარჩუნებინა იგი? არაუადრე ეპარება ეჭვი, რომ ცეცხლის საბოლოოდ მოთვინიერებამდე, პირველყოფილ ადამიანს არაერთხელ ჩაუქრია მისი ალი, მაგრამ ბუნების ამ სტიქიის მოთვინიერების ეამიც დადგა. ამაზე მეტყველებს პეკინის მახლობლად, გამოქვაბულში აღმოჩენილი 300000 წლის წინანდელი სადგომი. იქ მიკვლეული ექვსნახევარი მეტრი სიმაღლის ნაცრის შრე მიუთითებს, რომ ცეცხლს ათეული თაობის წარმომადგენლები ანთებდნენ.

ცეცხლი პროტოადამიანის ხელში მაგიურ ძალად იქცა. მისი დახმარებით გამოქვაბულიდან

აქვევდნენ ყველაზე მძიმეაერე მხეცს – მღეიმის დათეს და თეითონ სახლდებოდნენ. ტყეში დანთებული ხანძრით პანიკაში ჩავარდნილ წლიქოსნებს კეტებითა და შუბებით უსწორდებოდნენ.



სურ. 95. ინდიელი აპორიგენი საგანთა ხახუნით ცეცხლის გაჩენისას (პერუ, ტიტიაკას ტბის მიდამოები).

ხანძარში დაღუპული მსხვერპლის ხორცის გასინჯვამ პრისტორიულ ადამიანს უკარნახა თეითონ დაედო გაეარეარებულ მუგუზლებზე გატყეუებული ხორცის ნაჭერი და როდესაც მსგავსი ჩევეა დაკანონდა, მისი ცხოვრების წესიც ძირეულად შეიცვალა. საკეები გაცილებით ყუაითიანი გახდა, მისი დაღეჭვა მოხუცებსა და ავადმყოფებსაც შეეძლოთ. ამ გარემოებამ ადამიანს სიცოცხლე გაუხანგრძლივა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მეორე ფაქტსაც – შემწვარი ხორცის მოხმარებამ ფიზიკური ელფერი შეუცვალა მის მომხმარებელს. რადგანაც ღეჭვა გაადვილდა, კბილებიც დაპატარადა ზომაში, ქვედა ყბამაც დაკარგა მასიური იერი. ადრე, საღეჭად ძნელ, ნელ ხორცს მასიური ყბები და მათზე დამაგრებული კუნთების მძლავრი სისტემა ესაჭიროებოდა, ახლა პირის მსგავსმა აპარატმა დაკარგა ფუნქცია და ადამიანის სახემაც თანდათანობით თანამედროვე მოხაზულობა მიიღო.

ცეცხლი ადამიანის არსებობის აუცილებელი პირობა გახდა. ზედა პალეოლითში, დაახლოებით 30000 წლის წინათ, შესაძლებელია უფრო ადრეც, ადამიანი უკვე თეითონ მოიპოვებდა ცეცხლს – ხის ხახუნით (ნახერეტიან ხის კუნძში ჩარჭობილი ჯოხის ხელისგულებით ბზრიალით), ქვით (კაყის) გაკეესებითა და ა.შ. ცეცხლის მიღების მსგავს წესს დღემდე მისდევს დედამიწის სხედასხეა კუთხეში შემორჩენილი, ტრაიბალური ტრადიციებით მსცოვრებ ადამიანთა მოსახლეობა.

უკანასკნელი გამყინვარების ეპოქაში, ცეცხლის დახმარებით, ტყავის თბილი სამოსის, მეტნაკლებად მუდმივი საცხოვრებლისა და ცილით მდიდარი საკვების გამოყენებით, ადამიანმა შეძლო ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ყველაზე ცივი რაიონების ათვისება.

ცეცხლთან ერთად ჩამოთვლილი და სხვა კომპონენტების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებამ თვისებრივად შეცვალა ადამიანის ცხოვრება – ამიერიდან მისი კულტურული განვითარება ჰაზრობს ბიოლოგიურ ევოლუციას. სპეციალისტებს შედგენილი აქვთ რეკა, რომელზედაც აღნიშნულია 1-1.5 მილიონი – 100000 წლის ინტერვალში ადამიანის მიერ კოცონის მუდმივად გასაღების 11 ეპრა. ეს კერები წარმოდგენილია აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში. ღია ცის ქვეშ, ქვით შემოდობილი წრიული ზღურბლი ემბარებოდა მომთაბარე მონადირეებს კოცონთა დაგიზგიზებული ცეცხლის რეგულირებაში.

წარმოდგენილია კაცობრიობის არსებობა ცეცხლის – მზის ამ არანაკლებ სახელოანი ძმის გარეშე. მისი მნიშვნელობა იმდენად ყოელისმომცეელია, რომ დედამიწაზე არ არსებობს ხალხი, რომელსაც თაიიანთ თქმულებებსა და გადმოცემებში არ ეცადა ბუნების ამ სტიქიის წარმოშობის ახსნა. ცეცხლი იმდენად ფასეულია, რომ ბევრი ხალხის მითოლოგიაში მას ღმერთებს სტაციებდნენ. ზენაზე ძალები გულმოდგინედ იცავდნენ ცეცხლს და სრულებითაც არ ცდილობდნენ გაეყოს იგი მიწიერ მოკვდავთათვის.

ადამიანისათვის მოტანილი მრავალი სიკეთის გარდა, ცეცხლმა პირველყოფილ მონადირეს დღეც გაუხანგრძლივა. როგორც კი პირველმა ჩირაღდებმა და კოცონებმა გაანათეს გამოქვაბულის უკუენეთ, წინასტორიული ადამიანი არაერთი ნათელი საათით დასასუქრდა. დამატებითმა დრომ მეტი მადლი დასდო მის შრომას, გონებასა და ფიქრს,



სურ. 96. ინდიელი აპორიგენი მის მიერ პრიმიტიული გზით – ჯოხის ხელი წყობის ხეული ხის ხერვლში ხახუნით დანთებულ ცეცხლთან.

მეტი გასაქანი მისცა მოზარდთა განსწავლას, ტომის ტრადიციებისა და ზეპირსიტყვიერების თაობიდან თაობებში გადაცემას, მღვიმური მხატვრობის სრულყოფას... ერთი სიტყვით, საცხოვრებლის რამდენიმე საათით ზედმეტად განათებით ადამიანმა დააჩქარა თავისი გონების განვითარება და, შესაბამისად, ფართო გაქანება მისცა გამომგონებლობას, ხელოვნობას, ხელოვნებასა და, საერთოდ, შემოქმედებას, ე.ი. ყველაფერ იმას, რასაც ზღუდავდა მასში წყველიანი, სიბნელე...


ცეცხლმა რომ უდიდესი როლი შეასრულა კაცობრიობის კეთილდღეობასა და პროგრესში იქიდანაც ჩანს, რომ ბუნების ეს სტიქია, თავისებური ძალა ადამიანში არა მხოლოდ საკვების დამზადებასთან, გათბობასა და განათებასთან ასოცირდება.

ცეცხლი - მაგია - მასში იწვევდა ირეალურ, არამატერიალურ, ზებუნებრივ შთაგონებასაც. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ცეცხლი მისი არაერთი რიტუალის განუყოფელ აქსესუარად გადაიქცა. ფოლკლორში გაჩნდა დიდებული ეპითეტები და მეტაფორები: „სიყვარულის ხანძრის დანთება“, „ცეცხლის მოკიდება“ (აღფრთოვანება, აღგზნება), „ცეცხლის კიდება“ (სიძვირე)...

ცეცხლი გაიგივებულია ცოდნასთან, სიბრძნესთან, რის გამოც ხშირად იხმარება გამოთქმა „ცოდნის ჩირაღდანი“, დაბოლოს, ცეცხლი სისუფთავის საწყისიცაა. ინგლისური სიტყვის - pure (სუფთა) ძირი ბერძნული „პურ“ - ცეცხლისაგან წარმოდგება.

სთეპიზმი, რომელიც ბენეტიკურად პრომანიონელი ადამიანისაგან დახმამავით

... ანთროპოგენეზის უკანასკნელი 40000 წელი. კრომანიონელი - ადამიანის თანამედროვე ქვესახეობასთან ყველაზე ახლოს მდგომი ჰომინიდი. ქვის ძეული ერის მიწურულს მან ნეანდერტალელს ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროში აჯობა.



სურ. 97. კრომანიონელის მიერ მღვიმის კედელზე დახატული ბიზონი.

კრომანიონელმა - უკანასკნელმა პრეისტორიულმა ადამიანმა - შეძლო სამყაროს „სხვა განზომილებით“ გააზრება. ერთ-ერთ მათგანს მის მიერ შექმნილი პალეოლითური მხატვრობა წარმოადგენს.

ვინაიდან ნადირობა ესოდენ დიდ როლს ასრულებდა არქაული ადამიანის ცხოვრებაში, საფიქრებელია, სწორედ მისი გაელენით განვითარდა



სურ. 98. ავსტრალიელ აბორიგენთა მიერ კედელზე დახატული სიმბოლური ხასიათის ნახატები. როგორც ჩანს, ამ ნახატებში სამყაროს აბსტრაქტიზების მათეული ცდაა გამოხატული.

პრეისტორიული ადამიანის ხელოვნების ეს უანრი. დიდი ზომის გამოქვაბულების კედლებსა და ტერზე შესრულებულია მხოლოდ იმ ნადირთა პორტრეტები, რომლებიც საკვებად იყო გამოყენებული. ვინაიდან მსგავს „დარბაზებში“ კრომანიონელთა ყოფა-ცხოვრების სხვა არავითარი ნიშნები არ არის დატოვებული, ცხადია, ანიმალისტური უანრის მხატვრობის ნიმუშებით დამუშავებული ფართო გამოქვაბულები მხოლოდ რიტუალური დანიშნულების ადგილებს წარმოადგენდა. ცხოველს - მსხვერპლს - ხატავდნენ კედლებზე. ერთდროულად, ტომის, ალბათ, მამაკაცთა სქესის წარმომადგენლები ასრულებდნენ ნადირობის სცენის ამსახველ საიდუმლო რიტუალს. ზოგიერთი ნახატი, ანდა ძეაღში ნაკეთები სკულპტურა, ხელოვნების ისეთ მაღალ დონეზეა შესრულებული, რომ მსგავსი რამ, როგორც ჩანს, ხელეწიფებოდა მხოლოდ ტომის ცალკეულ, მხატვრობის სკოლაგამოვლილ წევრს.

პროფესიონალთა აზრით, მხატვრობაში ესოდენ ღრმა სპეციალიზაციის მიუხედავად, თავდაპირველად ხელოვნებისაკენ ადამიანს უბიძგა არა შე-

მოქმედებითა იმაყულსმა, არამედ მისმა გამოყენებითა მხარემ, ე.ი. მას გააჩნია უაღრესად კონკრეტული მიზანი – წინასწარ შელოცვებისა და ჯადოქრობის გზით გაესარდა ხელთ ჩასაგდები სანადირო ობიექტის რაოდენობა. მიუხედავად ამისა, კრომანიონელის ნახატები უდიდესი დინამიზმით, ექსპრესიითაა შესრულებული, თითოეულ მამონტში, ბიზონსა თუ ირემში იმდენი ძალა და ენერჯია იგრძნობა, რომ თანამედროვე ადამიანს უემოქმედებს როგორც ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუში. ის ფაქტი, რომ წინაისტორიული მხატვარი ბრწყინვალედ იცნობდა პოტენციური მსხვერპლის – ნადირის ანატომიას, მაგრამ შეგნებულად არ იყენებდა კომპოზიციას, არ შექმნდა თავის შემოქმედებაში დანარსენი ბუნების არცერთი ელემენტი, აქსესუარი თავისი თავისი წათვლით, კიდევ ერთხელ მიუთითებს კრომანიონელთა შემოქმედების რიტუალურ ხასიათზე – ნადირის დახატვა ის აუცილებელი ცერემონია, სპირიტუალიზმის განუყოფელი ნაწილი იყო, რომლის შემწეობითაც მასზე ნადირობა წარმატებით უნდა დამთავრებულიყო.

ცხოველთა შესანიშნავი პორტრეტების გარდა, კრომანიონელები ქმნიდნენ ადამიანთა სამკაულებს. ესენი იყო ნადირის, ნადირთა კბილების, ბრტყალეებისა და სპილოს დამუშავებული ძვლისაგან დამზადებული მძივები. თავდაპირველად, ალბათ, მათ ატარებდნენ მხოლოდ ტომის ბელადები, ისიც, ვინ იცის, მხოლოდ რიტუალური ცერემონიალების დროს, მაგრამ გაცილებით მოგვიანებით, სამკაულებით მორთვა ქალებმაც დაიწყეს. თუ, სავარაუდოდ, ანატომიურად თანამედროვე ადამიანის რასები კრომანიონელთა სოგვიერთი პოპულაციის პირდაპირი შთამომაველია, პალეოლითის მიწურულს, მშვენიერების კრომანიონისეული შეგრძნება გენეტიკურად ისტორიულმა ადამიანებმაც – ძველმა ეგვიპტელებმა, ელინებმა, რომაელებმა და დღევანდელდმა კაცობრიობამაც დაიმკვიდრეს.

სად და როდის წარმოიშვა ფიზიკურად და სულიერად გამორჩეული, თვითონაც უმშვენიერესი ეს ხალხი? ამ კითხვაზე პასუხი ისევე გაუცემელი რჩება, როგორც ნეანდერტალელთა გადაშენებაზე.

ადამიანის ბგარის უპრეცედენტო, გლობალური განსახლება

განათხარი მასალებიდან ჩანს, რომ განვითარების ადრეულ ეტაპებზე ჰომინიდები მჭიდროდ იყენებდნენ მიჯაჭვულები აღმოსავლეთი აფრიკის საფრთხიდან, მაგრამ გავიდა დრო და უკანასკნელი 1,8 შესაძლებელია, 2 მილიონი წლის წინათაც მსგავს ლანდშაფტურ-კლიმატურ კონსერვატორულობას მიიხდნენ და აღაღწია თავი.

ისმება კითხვა, თუ რას შეიძლება გამოეწვია პრეისტორიული ადამიანის წარმოშობის ცენტრიდან ესოდენ უპრეცედენტო, გლობალური განსახლება? რა ეკოლოგიურმა და ბიოგეოგრაფიულმა წინაპირობებმა შეუწვეეს ხელი მსგავს დისპერ-

სიას? ჰომინიდთა ტრანსაფრიკული და აფრიკის მიღმა მიგრაციის დადგენის ყველაზე რეალურ საშუალებას წარმოადგენს ნამარხი ძეგლების ნაშთები და არტეფაქტები – ქვის იარაღები, რომლებიც წინაადამიანმა თავის ნაკვალევზე დატოვა. დედამიწასე ამჟამად მიკვლეული სათანადო განათხარი მასალები ფრთხილად ღარბობა, მაგრამ საჭირო განსოვგადოებისათვის მაინც საკმარისი.

მთელ ამ წინაისტორიულ ეპოქებში ჰომინიდის მიერ დედამიწის ესოდენ გრანდიოზული ხასიათის ათვისება წარმოადგენდა სოოლოგიური სახეობის წარმატებულ განსახლებას, მაგრამ როგორი ტრიუმფულიც არ უნდა მოგვეჩვენოს წინაადამიანის ეს მიგრაცია, მისი მთავარი მამოძრავებელი ძალები იგივე იყო, რაც სხვა მსხვილი ზომის ძუძუმწოვრებისათვის იყო დამახასიათებელი – ისიც მუცაყაუნის განსახლებაზე მოქმედ საერთო ბიოგეოგრაფიულ კანონსომიერებებს ემორჩილებოდა.

ბიოგეოგრაფიული თვალსაზრისით, ნებისმიერი ორგანიზმი, მათ შორის მოძრაობის უნარის არმქონე მცენარეებიც, განსახლებადი არიან (ეს უკანასკნელები სიერცეში ცხოველებზე უკეთესად ერთგვლდებიან, ოღონდ პასიური გზით – ქარით, წყლით, სხვა ცხოველებით – თესვებისა და სპორების საშუალებით).

სიერცეში ხმელეთის ორგანიზმთა განსახლება უსასრულო იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არ ხდება. გარკვეულ ეტაპზე მათ მსგავს ტენდენციას წინ ელთება სხვადასხვა ფაქტორები, რომელთაგან უმთავრესია გეოგრაფიული და ეკოლოგიური ბარიერები.

სრულიად გასაგებია, რომ პრეისტორიული ჰომინიდებისათვის სომიური კლიმატის პირობებში ცხოვრება გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე ტროპიკებში. საქმე ის არის, რომ პირველ გარემოში მკაფიოდ არის გამოხატული წელიწადის ოთხი დრო, მათ შორის ცივი, არამოსავლიანი სეზონი. ასეთ პირობებში თავის რჩენის პირითად საშუალებად რჩებოდა ნადირობა, რასაც სტირდებოდა იარაღის გაუმჯობესება, ამ უკანასკნელს კი გონების განვითარება. წინაადამიანმაც დაძლია განსახლებისას მის წინ წამოჭრილი მსგავსი პრობლემები. განსხვავებით სხვა ნადირ-ფრინველებისაგან, ყველაფერი ეს მოხერხდა არა რომელიმე ახალი ფიზიკური ნიშან-თვისების განვითარებით, არამედ მხოლოდ ინტელექტის დახვეწით, ამაღლებით.

ცხადია, ისეთი გეოგრაფიული ბარიერები, როგორებიც მთები, მყინვარები და განსაკუთრებით ზღვები და ოკეანეებია, ჰომინიდებს ათასობით წლების განმავლობაში უშლიდა ხელს ახალ-ახალი მიწების ათვისებაში.

სპეციალისტები სრულიად მართებულად მიუთითებენ, რომ წინაისტორიული ადამიანის მიერ აფრიკული სავანის მიღმა ტერიტორიების კოლონიზაცია ხდებოდა სავანასთან სხვა ლანდშაფტების მსგავსების რიგითობით: ჰომინიდი ჯერ სახლდებოდა სტეპებში, ხმელთაშუაზღვიური, მშრალი სუბ-

ტროპიკული კლიმატის რეგიონებში, ნახევრად ტრადნობებში, რამდენადმე მოგვიანებით – ზომიერი სარტყლის ფართოფოთლოვან ტყეებში. თუმცა ყველა მათგანი განსხვავდებოდა საეანისათვის დამახასიათებელი ტენის რიტმიკითა და ტემპერატურული მანევრებლებით, ამ უკანასკნელის არსებობისათვის ჩამოთვლილი ღანდშაფტები მინც გაცილებით მისაღები და ადვილად შესაგუბებელი იყო, ვიდრე ჩრდილოეთის ცივი განედები, მკაცრი მაღალმთიანეთი, ანდა უხეტენიანი ტროპიკული ჯუნგლები.

რაში გამოიხატება წარმოშობის ცენტრიდან პომინიდების ფართო მასშტაბის განსახლების მასტიმულირებელი ძალები? პირველ რიგში სანადირო საეარგულეების ათვისებაში. როგორც თავის ადგილზე ითქვა, 3-1 მილიონი წლის წინათ, აფრიკაში გაპლიერებულმა ჰაეის გამშრალებამ მკვეთრად გააუარესა საეარგულთა საკეები ბაზა, უკეთესი საძოვრების ძებნის პროცესში მსხვილი ჩლიქოსნები ტოვებდნენ აფრიკის ტერიტორიის სასაღერებს, მათთან ერთად, ქვის გაუმჯობესებული იარაღით შეიარაღებული წინააღმამიანიც, სხვა მტაცებლებივით, სულ უფრო იფართოვებდა არეალს.

ვ. ტერნერზე დაყრდნობით რ. ფოული აღნიშნავს, რომ გამართული ადამიანი ევრაზიის ზომიერ განედებში საარსებოდ მისაღებ, სპეციფიკურ ბიოტოპებში მოხედა ლომთან, ლეოპარდთან, აფთართან და სხვა მტაცებლებთან ერთად. ადრე პლეისტოცენში ამ მტერიკის ბევრ რეგიონში აღმოსაველთ აფრიკის მსგავსი, საეანური ანდა საეანოდური პირობები იყო, ამიტომ, სპეციალისტთა შეხედულებით, პომინიდების გლობალური დისპერსია წარმოადგენდა იმ საერთო ბიოგეოგრაფიული პროცესის მხოლოდ ნაწილს, რომელშიც მონაწილეობდა ცხოველთა, განსაკუთრებით, მსხვილი ფორმების თანასაზოგადოებათა ასობით სახეობა და რომლის დაქარება-შენელებას ხელს უწყობდა ან უშლიდა ცვალებადი გარემო ფაქტორები. აფრიკაში, როგორც ითქვა, ეს იყო გამშრალება, ხოლო არატროპიკულ ევრაზიაში – აცივება.

ერთი – ეკოლოგიურად უფრო პლასტიკური (პომინიდის მსგავსნი) – უკეთ გეგუბდნენ საეანისაგან განსხვავებულ გარემოს, მეორენი – ნაკლებად. ადაპტაციის მეტი უნარით გამოირჩეოდნენ დიდი ზომის, ჯგუფურად მცხოვრები, მტაცებლური ბუნების ორგანიზმები. საქმე ის არის, რომ მტაცებლებს გაცილებით უადვილდებათ მეტ-ნაკლებად განსხვავებულ გარემოსთან შეგუება (ეერიტოპურებია), ვიდრე ბალახის-მგამალებს. ამ უკანასკნელებისაგან განსხვავებით, ხორციტე კეების უნარი მათ არ აჯაჭვავს რომელიმე ერთ ღანდშაფტთან.

პალეონათროპოლოგთა საერთო შეხედულებით, პომინიდებიდან „აფრიკული ბარიერის“ დაძაღვლა პირველად გამართულმა ადამიანმა – Homo erectus-მა და გენეტიკურად მასთან ყველაზე ახლოს მდგომმა H. ergaster-მა მოახერხეს. გონიერი ადამიანის წარმოშობამდე გამართული ადამიანი იყო პირველი პომინიდი, რომელსაც განეითარების დაახლოებით ერთი მილიონი წლის განმავლობაში გამოუმუშავდა ის ნიშან-თვისებები, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს თანამედროვე კაცობრიობის არსებობა დედამიწაზე. თუ არა ერექტუსი, ბუნების მიერ ცხოველთა სამეაროში განხორციელებული ერთ-ერთი ფრიად ორიგინალური ექსპერიმენტი – ორ ფეხზე ვერტიკალურად გადაადგილების უნარი სრული კრახით დამთავრდებოდა 2-3 მილიონი წლის შემდეგ. მიზეზი გახდებოდა ახალ „ანატომიურ“ კონსტრუქციამ რამდენიმე არსებითი ხასიათის „ხარვეზი“, რასევედაც უემით იყო საუბარი (უმთავრესად, მდედრის ლოკომოციის შეზღუდვა მშობიარობასთან და ნაშიერის ტარებასთან დაკავშირებით). პომინიდები გადაშენდებოდნენ აესტრალოპითეკებისა და პარანთროპების, მაქსიმუმ მათთან ძალიან ახლოს მდგომი – უნარიანი ადამიანის დონეზე და ძალიან საეეკოა, მათ ისევე სახელოვანი ფურცელი ჩაეწერათ დედამიწის ორგანული სამეარო განეითარების ისტორიაში, როგორც ეს ტრილობიტებმა, ამონიტებმა, მით უმეტეს დინოსავერებმა და პალეონტოლოგიურ სახელმძღვანელო ჯგუფებზე გამოეყენებულმა სხვა ცხოველებმა შეძლეს. მიზეზი აქ ერთია – განსხვავებით ცხოველთა ჩამოთვლილი ჯგუფებისაგან, გამართულ ადამიანზედ ორფეხა პომინიდები არც სახეობრივი სიმრავლისა და რიცხობრიობის, არც ფართო გეოგრაფიული არეალის თვალსაზრისითა და კონკურენტუნარიანობით არ წარმოადგენდნენ ცხოველთა გლობალურად მნიშვნელოვან ჯგუფს, თუმცა ცოცხალ ორგანიზმთა განეითარების ისტორიის თვალსაზრისით, არც ეს არის არსებითი. მრავალუჯრედიან ცხოველთა (Metazoa) ეკოლოგიის ერთი მილიარდი წლის განმავლობაში, აესტრალოპითეკების მსგავსად, დედამიწაზე წარმოშობილი მილიონობით წარმატებული თუ წარუმატებული სახეობები, მათი თანასაზოგადოებები გადაშენებულან. წარუმატებლბმა მარცხი განიცადეს იმიტომ, რომ „დეფექტური კონსტრუქციის“ მტაცებლები აღმოჩნდნენ, არაერთ წარმატებულს კი ხელი მოეცარათ, პირითადად, ბუნების არაცოცხალი ძალების კატასტროფული ხასიათის ცვლილებების – ფლუქტუაციების გამო.

ერთი სახეობის, ანდა სახეობათა ჯგუფის ყოფნა-არყოფნა სიცოცხლის ისტორიისათვის ძალზე

* ეს შეხედულება ყველაზე ნათლად დადასტურა დმინისში 1991-2002 წლებში განხორციელებულმა პალეონათროპოლოგიურმა აღმოჩენებმა.

სვეულური, ტრივიალური მოვლენაა, მაგრამ ადამიანის გენეალოგიური შტოს განუითარებლობით, ევოლუციურად მისი Cul-de-sac (ნიხურ) სიტუაციაში მოქცევით, დედამიწა და საერთოდ სამყარო დაკარგავდა ნებისმიერი სხვა არსებისაგან თვისებრივად განსხვავებულ სახეობას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დაახლოებით 1,6 მილიონი წლის წინათ აფრიკული ავსტრალოპითეკიდან მარჯვენ ადამიანის (ჰომო ჰაბილისის) საფეხურის გავლით განხორციელდა უდიდესი ევოლუციური მნიშვნელობის სიახლე – ჰომინიდთა სავარაუდო ხეს გამოიყო გამართული ადამიანი, რომელმაც ამ გენეალოგიური ხის გადარჩენის ისტორიულ მისიაში გადაწყვეტილი როლი ითამაშა. ჰომო ერექტუსი აღმოჩნდა იშვიათად გამძლე, მედგარი ფორმა – როგორც ითქვა, ტრიბა Hominini-ის გეარებიდან და სახეობებიდან ესოდენ ვრცელ ტერიტორიაზე ასე ხანგრძლივად (თითქმის ერთი მილიონი წელი) არც ერთს არ უარსებია. რაც მთავარია, სულ უფრო პროგრესირებადი ცეფალისაციის (თავის განვითარების) წყალობით, იგი აღიჭურვა ცხოველური არსებებისათვის არანაყოფიერებელი ცხოველური არსებების ნიჭით – პირველმა შექმნა ქვის იარაღის ნამდვილი ინდუსტრია, პრაქტიკულად პირველმა მოათინიერა ცეცხლი – ისწავლა მისი გაანადგურება და გამოყენება, პირველმა ააგო პრიმიტიული ჭერით გადახურული ნამდვილი თავშესაფარი, როდესაც მსგავსი ცოდნითა და გააზრდებით შეიარაღებულ ერექტუსს ბუნებამ საცხოვრებელი გარემოს ხან გაუდაბნოებით, ხანაც აცივებითა, თუ კონკურენტუნარიან მტაცებელთა სახით დიდი განსაცდელი მოუვლინა, ავსტრალოპითეკებით არ გადაშენებულან, პირიქით, აფრიკის ცხოველთა, მათ შორის ავსტრალოპითეკთა ფრიად მრავალრიცხოვან თანასაზოგადოებაში თავისი მკაფიოდ გამოხატული ადგილი პოვა, გამრავლდა და შესანიშნავად მოერგო რა ახალ-ახალ ბუნებრივ სონათა ჭირვეულობას, ჯერ აფრიკაში, ხოლო შემდეგ მის გარეთაც წარმატებით იწყო განსახლება. ინგლისელი დ. ლამბერტის მიერ (1987) სუსტად არის აღნუსხული, დათარიღებული და რუკაზე გადატანილი სპეციალისტთა მიერ ჰომო ერექტუსის ძელოვან მასალათა მოპოვების 9 პუნქტი აფრიკაში, 10 – ევროპაში და 11 – სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (ამჟამად ერექტუსის აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში გაერცელება რამდენადმე გადამოწმებულია).

როგორც ჩანს, ტროპიკული აღმოსავლეთი აფრიკის გაშლილ ტრამალებში წარმოშობილი და მომრავლებული ერექტუსი და მასთან ერთად ერგასტერი, ანდა, ეინ იცის, ერგასტერსა და Homo habilis-ს შორის გარდამავალი ფორმა, თავდაპირველად აფრიკის ჩრდილოეთ რეგიონებში განსახლდა, ხოლო აქედან, არაბეთის ნახევარკუნძულით (ლევენანტის კორიდორით), ინტენსიურად იწყო ევროპის ვეებერთელა ტერიტორიის კოლონიზაცია.

რ. ფოული (1987 წ.) იმ დროისათვის არსებული სრული ლიტერატურული წყაროების მიხედვით,

ეარაულობს გამართული ადამიანის მიერ აფრიკის მიღმა ტერიტორიათა ათვისების შემდეგ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას: 1,5–1,0 მილიონი წლის ფარგლებში იგი იჭრება ახლო (მახლობელ) აღმოსავლეთში (სამხრეთ-დასავლეთი აზია), 1,0–0,7 მილიონი წლის მონაკვეთში ეპატრონება ევროპის ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ტერიტორიის მშრალ სუბტროპიკებს, 700-300 ათასი წლების განმავლობაში მასობრივად ეგუება არასუბტროპიკული ვანედების – სომიური კლიმატის, ე.ი. მკაფიოდ გამოხატული სუბონების მქონე რაიონებს, 400-300 ათასი წლების მონაკვეთში, არქტიკული კლიმატის გაუღუნის ქვეშ ჩრდიო ადგილების გარდა, ახერხებს დასახლდეს ჩრდილოეთის ცივ განედებში.

რამდენიმე წელი გავიდა ფოულის ამ ნაშრომის გამოქვეყნებიდან და დანისში მოპოვებული (1991, 1997, 1999, 2000, 2002) Homo ergaster-ის ტიპის ნამარხებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს ჰომოს აფრიკის მიღმა დისპერსიის ქრონოლოგია. აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილმა ნამარხმა ჰომინიდმა სპეციალისტებს აღიარებია, რომ მიქელურ არსებობა სამხრეთ-დასავლეთ აზიაში პირველადი შეჭრა უნდა მომხდარიყო მაქსიმუმ 2,1 მილიონი, მინიმუმ 1,8 მილიონი წლის წინათ. იგი ცხადყოფს, რომ აფრიკის დიდი რღვევის რაიონებიდან წამოსული ადამიანი, ახლო აღმოსავლეთის, კერძოდ ლევანტის დერეფნის გავლით, ჯერ კიდევ 1,75 მილიონი წლის წინათ მიაღწა ტროპიკული აფრიკის საენებისაგან კლიმატურად საკმაოდ განსხვავებულ ევროპის კარიბჭეს – კაეკასიას. მანამდე, გამართული ადამიანის ჯგუფი – erectus-ergaster-ი – სწრაფად იპყრობდა ხმელთაშუაზღუერი ევროპის სხვადასხვა რაიონებს. ჰომოს ეერასიაში განსახლების საწყის ეტაპებს კიდევ უფრო ნათელს მოაფრეს ახლო მომავალში ნატრეული პალეონტოლოგიური გამოკვლევები. ამ მხრივ დიდი ხარვესი შეიმჩნევა მცირე აზიის რეგიონში.

ასეა თუ ისე, დანისის პალეონტოლოგიურმა მასალებმა მოხსნეს ეჭვი მანამდე აზიაში გამოკვლეული მასალების მსგავსი სიძველის თაობაზე. ასე, მაგალითად, თუ უნდა ითვას თავის დროსე მოპოვებული პითეკანტროპის (ერექტუსი) ნაშთი 1981 წელს 1,9 მილიონი წლით გადაათარილეს, რასაც ბევრი სპეციალისტი არ დაეთანხმა, 1994 წელს ამერიკელების კ. სეისშერისა და გ. კურტისის მიერ იმავე იაგაზე აღმოჩენილი მოსარდის ერექტუსის ქალა 1,8 მილიონი წლით განისაზღვრა, ნინეთის სინუანის პროვინციის იგივე ჰომო – 1,9 მილიონი წლით. ამას უნდა დაეუმატოს ისრაელში: (უბეიდა) 1982 წელს ნანახი ქვის იარაღები, რომლებიც ნიადაგის იმავე ფენებში ნამარხი ცხოველების მიხედვით 1,4-დან 2 მილიონამდე წლით არის განსაზღვრული. ყველა ამ მონაცემს შეუძლია საკმაოდ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანოს გამართული ადამიანის წარმოშობისა და განსახლების ქრონოლოგიაზე.

ბუნებრივია, ახალ მატერიკზე, სხვადასხვა კლი-

მატურ-გეოგრაფიულ ზონებში მოხვედრილი ერექტუსის პოპულაციათა გარკვეული ნაწილი ერთმანეთისაგან იზოლირებულ გარემოში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. ასეთ პირობებში მათ შორის აღარ ხდებოდა ინტერბრინდინგის – შეწყველების შედეგად გენების გაცვლის პროცესი. ამ სიტუაციამ სულ ცოტა 1,8 მილიონიდან, ვიდრე 300000 წლის შუალედში გამოიწვია ახალი, გამართული ადამიანის პოსტერექტული გეოგრაფიული ფორმების წარმოშობა. მსგავს დიფერენცირებას ხელს უწყობდა პლეისტოცენური კლიმატის ფლუქტუაციური ხასიათის ცვლილებები, გამოსატყული გამყინვარება-დათბობის ციკლებით (ფაზებით). მიუხედავად ნათქვამისა, უსარმაზარ არეალსა და დროის თითქმის ერთი მილიონი წლის განმავლობაში, ჰომო ერექტუსმა ტერიტორიის დიდ ნაწილზე მაინც მოახერხა ანატომიური ერთიანობის შენარჩუნება და არ დაიყო ცალკე სახეობებად.


აფრიკის კონტინენტიდან მიგრაციის მმორე მტაპი

გამართული ადამიანის მსგავსად, აფრიკის კონტინენტიდან მინიმუმ 100000 წლის წინათ განსახლდა თანამედროვე ადამიანი. ევრაზიიდან იგი იწყებს თავის კიდევ უფრო ტრიუმფულ მიგრაციას დედამიწასზე, რომელიც აღარ შემოიფარგლა მხოლოდ სამი მატერიკით. თავის მიერ გაყვანილ ბილიკებზე სტოვებს რა საკუთარი სხეულისა და მატერიალური კულტურის ნაშთებს, მეცნიერები მოიპოვებენ მათ, ათარიღებენ და დებულობენ უკვე საკმაო კულტურით აღჭურვილ ამ ცხოველური ორგანიზმის მიერ მთელი დედამიწის უმაგალითო კოლონიზაციის მიახლოებით სურათს. ამ სურათის მიხედვით, ჩვენი ქვესახეობა დასავლეთ აზიაში პირველად დგამს ფეხს 90000 წლის წინათ, აღმოსავლეთ აზიას მიაღწია, როგორც ჩანს, 70000 წლის

წინათ, ავსტრალიას – 50000–40000 წლების მონაკევთში, დროის ამავე ინტერვალში დასახლდა ხმელთაშუაზღვურ ევროპაში, ევროპის ზომიერ განედებში კი მისი ინვასია მოხდა 40000 წლის წინათ. ჩრდილოეთი აზია არ ენახა 35000 წლამდე, ჩრდილოეთი ამერიკა – სავარაუდოა, 25000, ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით კი – 12000 წლამდე, 11000 წლის წინათ უკვე იმყოფებოდა სამხრეთ ამერიკაში, ყველაზე გვიან კი (4000–1000 წწ.) მიაღწია აღმოსავლეთ წყნარი ოკეანის კუნძულებს, ანტარქტიკის სანაპიროები მოინახულა XX საუკუნის დასაწყისში. ეს მიგრაციები ამჟამადაც გრძელდება, თანაც გასცდა ჩვენი პლანეტის საზღვრებს – 1969 წელს ამერიკელი ასტრონავტები პირველად დასხდნენ და გაიარეს მთვარეზე, უფრო მეტიც, მოგვიანებით, სამი ასტრონავტიდან ერთ-ერთი მათგანი, 1999 წელს დაასაფლავეს კიდევაც დედამიწის ამ ციურ თანამგზავრზე.

ჰომინიდის სხვადასხვა გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებთან შეგუება და ანთროპოლოგიური ცვლილებები

მას შემდეგ, რაც 40–10 ათასი წლის ინტერვალში არქაულმა ადამიანმა წარმატებით შეძლო დედამიწის სიცოცხლით დასახლებული ყველა მატერიკის კოლონიზაცია, დღის წესრიგში დადგა პლანეტის ესოდენ განსხვავებულ კლიმატურ-გეოგრაფიულ ზონებთან მისი ანატომიურ-ფიზიოლოგიური შეგუება. ამასთან, ბუნებრივია, რაც უფრო განსხვავებული იყო ესა თუ ის ბუნებრივი ლანდშაფტი საეანისაგან, მით უფრო დიდი პრობლემის წინაშე დგებოდა. ეს განსაკუთრებით ჩრდილოეთის მაღალ, ცივ განედებზე ითქმის, სადაც მის განსახლებას დაემთხვა გლობალური გამყინვარებები; ზომიერსა და ცივ განედებში მოხვედრილი ჰომო საპიენსის ფორმებს უკვე გააჩნდათ საკმარისი



სურ. 99. აღმოსავლეთ აფრიკიდან გამართული ადამიანის გლობალური განსახლების გზები და ქრონოლოგია (J. Lumine-ს მიხედვით, 1999 წ.).

ინტელექტი, რათა გადაეწყვიტათ სიცივის პრობლემა. ამისათვის მას არ დასჭირვებია ევოლუციის „დახმარება“ – ორგანიზმის „შეცვლა“. დამატებით სითბო მოიპოვა ცეცხლის მოთქინიერებითა და სხვა ცხოველთა ქურქის სხეულის სამოსად გამოყენებით. მაგრამ ბოლომდე პრობლემად დარჩა მზის სუსტ სხივებთან შეგუება. ამ პრობლემის ფიზიოლოგიური არის შემდეგში მდგომარეობის: ორგანიზმის ნორმალური სრდა დიდად არის დამოკიდებული ვიტამინი D-ს რაოდენობაზე. ამ ვიტამინის სინთეზი ხდება კანში და დამოკიდებულია მზის სხივთა სათანადო დოზაზე. ცივ, მაღალ განედებში, განსაკუთრებით სამთარში, მზის სხივთა დეფიციტი განაპირობებს აღნიშნული ვიტამინის ნაკლებობას და, შესაბამისად, ძვლების დეფორმაციას – რაქიტს იწვევს, პირიქით, მზის უხესხივიან, ტროპიკულ განედებში ვიტამინი D-ს ჭარბი სინთეზი ძვლების დაავადების სხვა ფორმის მიზეზი ხდება.

ტროპიკულ განედებში მცხოვრები ადამიანის კანი შეფერილია შავად, რაც განპირობებულია იქ პიგმენტ მელანინის არსებობით. ეს უკანასკნელი იცავს მას მზის სხივების მავნე შემოქმედებისაგან. მელანინით დაცულ კანში ადგილი აქვს ვიტამინი D-ს ნორმის ფარგლებში სინთეზს. ამიტომ ტროპიკულ განედებში – აფრიკიდან მოყოლებული, ვიდრე ტროპიკული აზიისა და ავსტრალიის ჩათვლით მცხოვრები აბორიგენები მუქი ფერის, შავ-კანიანები არიან. მსგავსი პიგმენტაცია უნდა ჩამოყალიბებულიყო არაერთდროულად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ამიტომ კანის შავი ფერი არ წარმოადგენს ადამიანის სხეულისაგან ნეგროიდულ პოპულაციათა ახლო ნათესაობის მანიფესტაციას. იგი მხოლოდ გარემოს მავნე შემოქმედებისაგან ორგანიზმის დაცვის საშუალება და შესატყვისი შეგუების გამოხატულებაა. მაგრამ, როდესაც პრეისტორიულმა ადამიანმა იწყო ისეთ რაიონებში განსახლება, სადაც მზის სხივები გაცილებით დეფიციტურია, მაშინვე იგრძნო სათანადო ვიტამინების ნაკლებობა, მით უმეტეს რომ კანი დაფარული ჰქონდა ბეწვით და შეესაბამისად, შავ პიგმენტებსაც ზიანის მეტი არაფერი მოჰქონდა. ასეთ პირობებში ისეთ კანს, რომელსაც შეეძლო ჭარბად უზრუნველყო ორგანიზმი D ვიტამინით, აშკარა სელექციური უპირატესობა ჰქონდა და მანაც დაიწყო გათეთრება. ამიტომ არის, რომ ტროპიკულ განედებში მოხვედრილი თეთრკანიანი ადამიანი ვერ უძლებს მზის ინტენსიურ შემოქმედებას, მისი კანი მალე იფარება წყლულებით, უფრო მეტიც, მზის ჭარბმა ულტრაიისფერმა გამოსხივებამ შეიძლება კანის კბობი კი გამოიწვიოს და, პირიქით, შავკანიანი რასის წარმომადგენლებს ჩრდილოეთ ევროპის ბუნებრივ პირობებში რომ ეცხოვრათ, რაქიტით დაავადება არ ასცდებოდათ.

მსგავსი შეხედულებებიდან გამომდინარე, ადამიანის თეთრი კანი შეათან შედარებით, მეორეული


მოვლენაა. როგორც ჩანს, როგორც ავსტრალიოპითეკი, ისე ტროპიკული განედების პომოს ფორმები, მუქკანიანები იყვნენ. ეკვატორულ აფრიკაში კანის შავი ფერი სარგებლობის მომტანია, ვინაიდან დიდი დოზით ტროპიკული მზის ულტრაიისფერი სხივები კანისთვის სასიანია. ამიტომ, ბევრი სპეციალისტი მიიხსენებს, რომ პრეისტორიული ადამიანის კანზე ბალნის საფარის დაკარგვასთან ერთად, მელანოციტები, ანუ შავი პიგმენტის გამომამუშავებული უჯრედები აქტიურდებოდნენ. ასეთი გზით ხდებოდა სახიფათო სხივებისაგან კანის დამცველი ბალნის საფარის რეესპიციის კომპენსაცია.

კლიმატურ პირობებთან კანის ფერის დამოკიდებულების სემოთ დასახელებული კანონსომიერება არ არის უნივერსალური. იგი არ იძლევა პასუხს კითხვებზე: რატომ არა აქვს ტროპიკებში მცხოვრებ ყველა ხალხს შავკანიანი მოსახლეობისთვის დამახასიათებელი კანი? პირიქით, რატომ არის აფრიკის გაუქვლი ჯუნგლების მუდმივად ჩრდილში მცხოვრები ზოგაერთი ტომი შავკანიანი, ხოლო უდაბნოს ბუშმენები მოყვითალო – მოკლადისფერი და არა შავკანიანები?..

კანის ფერი – ადამიანის ანატომიური ნიშანთეისებების (ფენოტიპი) ერთ-ერთი გამოვლინებაა. იგი ეაღიბდებოდა დედამიწის სხეულისაგან ბუნებრივ ზონებთან ადამიანის ხანგრძლივი შეგუების – ბუნებრივი გადარჩენის – პირობებში. ადამიანის საწყის ფორმასთან შედარებით შექენილი ეს სასარგებლო მორფოლოგიური ცვლილებები ასობით თაობაში მკეიდრდებოდა, გენებში აღიბეჭდებოდა და ასე იხენდა თავს ახალ თაობებში. ამჟერადან, ამა თუ იმ ფერის მქონე ადამიანი, დედამიწის რომელ განედშიაც არ უნდა მოხედეს საცხოვრებლად, მაინც გენეტიკურად მისთვის დამახასიათებელ ფერს ატარებს. მისი ძირეული ხასიათის შეცვლა შეიძლება მოხდეს დედამიწაზე მომხდარი უმნიშვნელოვანესი კლიმატურ-რელიეფური ცვლილებებით და, რაც მთავარია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია მოსალოდნელი ძირეული კორექტივების შეტანა და არა მხოლოდ დასახელებულ ნიშანში (შეფეროლობა), არამედ ბევრ სხვაშიც.


ადამიანის სხეული განსხვავებულ გარემო პირობებზე რეაგირებს აგებულების (ფორმა და სიმაღლე) თვალსაზრისითაც. ეს უკანასკნელი ნიშანთეისებაც ისევე აღიბეჭდება მის გენოტიპში, როგორც კანის ფერი. აფრიკის, ინდოეთისა და ავსტრალიის ბევრი ხალხისათვის დამახასიათებელია წერტილი და წარბეჭდული სხეული გრძელი კიდურებით. მსგავსი აგებულება ცხელი და მშრალი კლიმატის შემოქმედების შედეგია. ასეთი ტანი უზრუნველყოფს სხეულის მასასთან შედარებით კანის გაცილებით დიდ ფართობს, რის გამოც მცირეოდენი ნიავე, ანდა გამოყოფილი ოფლი ხელს შეუწყობს სხეულის ეფექტურ გაგრილებას.

პირუეე ვითარებაა ცივი კლიმატის რაიონებში.



სურ. 100. სხეულის შედარებითი აგებულება:
 1. ზანგი - ნილოტი ეკვატორული აფრიკიდან,
 2. ესკიმოსი ჩრდილოეთ ნახევარსფეროს
 მაღალი განედებიდან.

პოლარული წრის მიღმა მცხოვრები ესკიმოსები საშუალო ტანის, შეკრული აგებულებისანი არიან, ამიტომ სხეულის ზედაპირის ფართობი საგრძნობლად არ აღემატება მის მასას. სხეულის მსგავსი აგებულება, რასაც ემატება ცხიმის კანქვეშა თბომაიზოლირებელი შრე, ამცირებს ორგანიზმიდან სითბოს გამოყოფას.




სურ. 101. შირი საკეებისა და გაუვალ ნოტიო ტყეებში ცხოვრებამ ბუნებრივი გადარჩევა წარმოადგინა სხეულის სულ უფრო დაპატარავების გზით (აფრიკული პიგმეი) მაშინ, როდესაც იმავე რეგიონში შედარებით ღია ან ღია ლანდშაფტში მცხოვრები შვეკანიანები გამოირჩევიან ზორბა აგებულებით.

ჩრდილოეთის ხალხის მამაკაცის სახე გამოირჩევა მეჩხერი წვერ-ულვაშით, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახის ბეწვის საფარის გაყინვას შეიძლება ფრიად უარყოფითი შედეგები მოჰყოლოდა. აქედან, ცხადია, სპეციალური, ხელოვნური გარემოს შექმნის გარეშე, ესკიმოსი-ინუიტისათვის დამლუპველი იქნებოდა ტროპიკულ აფრიკაში ცხოვრება,



სურ. 102-103. სურათები ნატურიდან: კაცობრიობის ყველაზე დაბალი რასა (პიგმეები უგანდიდან) და ყველაზე მაღალი პოპულაცია (ტუტისის ტომი მეზობელი რუანდიდან).



სურ. 104. თანამედროვე ადამიანის ოთხი ძირითადი რასა: კავკასიოიდური (ვეროპოლიდული), შონგოლოიდური, ავსტრალიდური, ნეგროიდული (რეკონსტრუქცია; ეენევის ბუნების ისტორიის მუსეუმი)

ხოლო ზანგი ნილოტისათვის – პოლარული წრის მიღმა არსებობა.

ადამიანის სწორედ მსგავსება ბიოლოგიურმა შეგუებულობამ განაპირობა პლეისტოცენის მიწურულსა და პოლოცენში, ანუ უკანასკნელი 40–30 ათასი წლის დიაპაზონში აეთვისებინა საცხოვრებლად ვარგისი დედამიწის ყველა კონტინენტი.

ასე, ათასობით წლების განმავლობაში, ადამიანის ორგანიზმი რეაგირებდა გარემო პირობებზე,

ეგუებოდა მას, ხოლო ადაპტაციისას, ორგანიზმში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები აღიბეჭდებოდა მის გენებში და ასეთივე სახის გადაეცემოდა მომავალ თაობებს.

სემოთ აღწერილი სურათიდან, ანატომიურად თანამედროვე ადამიანის ახლანდელი, ანთროპოლოგიურად განსხვავებული რასებისა და ქვერასების დიდი უმრავლესობის ისტორია არ აღემატება 30–40 ათას წელს.

ნაწილი მერამ

როგორ ჩამოყალიბდა ადამიანი ორგანი (დუალისტური) ბუნების არსებამდე

თავი 1. როგორ განამტკიცა მიწათმოქმედებაზე გადასვლა კაცობრიობის დემამიწაზე დამკვიდრება და აღმავლობა?

ძვ.წ. აღ-ით 10000 წლისთვის მთავრდება ადამიანის განვითარების მიწათმოქმედებამდე პერიოდი. პალეოლითის მიწურულს მომწიფდა ნიადაგი „სასოფლო-სამეურნეო რევოლუციისათვის“. იგი განხორციელდა ნეოლითში, რის გამოც გეიანი ქეის ხანას „ნეოლითურ რევოლუციასაც“ უწოდებენ. აგროკულტურული რევოლუცია კაცობრიობის ცივილიზაციის საწინდარი გახდა.



სურ. 105. მიწის დალოცვა – „თავ ნაყოფიერი!“
ჩინეთი.

ბუჯინგის პროვინციის მთიელი ხალხის
ტრადიციული რიტუალი.

კულტურულ მცენარეთა მნიშვნელობა კაცობრიობის ცივილიზაციის აღმავლობის საქმეში

ხშირად, როდესაც ამ თუ იმ მოვლენის განსაკუთრებულობას გესურს გაეუსუეთ ხაზი, ვამბობთ – „პერიოდიტ მჭირდება“. ამ დროს, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ჟანგბადს ვგულისხმობთ. მეორე გამოთქმა – „პური არსობისა“ – უხსოვარი დროიდან გადაიქცა ადამიანის არა თუ კეთილდღეობის, არამედ არსებობის სიმბოლოდ, მის სინონიმად. უაღრესად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ჟანგბადიც და პურიც მწვანე მცენარის პროდუქტია.

მცენარეები დედამიწის ხმელეთს, სულ ცოტა, დევონური პერიოდიდან (400 მლნ წ.) ამშვენებენ. ბუნებრივია, წარმოშობის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სახეობა, ადამიანი, იმთავითვე მცენარეების გარემოცვაში ბინადრობდა. არსებობისათვის ბრძოლაში, წინაისტორიულმა ადამიანმა, პრაქტიკული გამოცდილებით ისწავლა საკვები მცენარეების გარჩევა არასაკვებისაგან, შხამიანის – სამკურნალოსაგან, მცენარის სხვადასხვა ორგანო დიდი ხანია გახდა მისთვის შესაძრის თუ თავშესაფარი საშუალება... პირველყოფილმა ადამიანმა თანდათანობით დაიწყო მცენარეთა „მოშინაურება“ – კულტურაში მოყვანა. ასე ჩაეყარა საფუძველი აგრობიოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს – მემცენარეობას.

მემცენარეობა – ერთდროულად ბიოლოგიური (ბოტანიკა) და აგრონომიული მეცნიერების პირმშო – შეისწავლის კულტურულ მცენარეებს. ათასობით წლების განმავლობაში კულტურული მცენარეები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ თავიანთი შორეული წინაპრებისაგან: ადამიანის გარეშე არ შეუძლიათ დიდხანს არსებობა – ვერ უძლებენ ელური მცენარეების მხრივ კონკურენციას, ხშირად გარეკნულადაც ფრიად განსხვავდებიან ამ უკანასკნელისაგან. ადამიანმა მნიშვნელოვნად უცვალა სახე მათ ცალკეულ ნაწილს, ორგანოს, მაგრამ სანამ ადამიანი აგროკულტურას განავითარებდა, მან გაიარა მომთაბარე-შემგროვებლის დიდი და რთული გზა.

ადამიანი კულტურულ მცენარეთა შემოქმედია. მცენარეთა ერთი ჯგუფის გაკულტურება მოხდა უხსოვარი დროიდან, სხვების - სულ ახლახან... იმის ცოდნა, თუ რომელი მცენარეები მოქაყდათ და მოქაყეთ დედამიწაზე, ჩვენს ქვეყანაში, კულტურულ მცენარეთა გეოგრაფიისა და ისტორიის გაცნობა აუცილებელია არა მარტო სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, არამედ სასარგებლოა ყველა კულტურული, ერუდირებული ადამიანისთვისაც.

როგორც ცნობილია, პრიმატისებრთა რიგის მაიმუნების ქვერგში შემავალი სახეობების აბსოლუტური უმრავლესობა მცენარისმჭამელები არიან. ბაბუნებისა და შიმპანსეს შერეულ კებაში ცხოველურ საკვებს უმნიშვნელო პროცენტი უკავია, მაგრამ ორ ფეხზე მისიარულე პრიმატებიდან ჩვენი, ადამიანის (ზომო საპინისი) კეებითი სპეციალიზაცია, სხვა ორფეხებისაგან (ავსტრალოპითეკები, გეარი პომოს საწყისი სახეობები) განსხვავებით, იმთავითვე ხორცისმჭამელობის დომინირებით წარმართა. თუ რა გადამწყვეტი უპირატესობა მისცა არსებობისათვის ბრძოლისას თავის დამკვიდრებაში პომოს გეარს მტაცებელურ (კარნივორულ) კეებაზე გადასვლაზე, ამაზე უკვე გვეჩვენა თავის ადგილზე საუბარი. მაგრამ, ადამიანი, უნივერსალური, შერეული კეების უნარით დაჯილდოებული არსება, ხორცთან ერთად მცენარულ საკვებსაც ეტანებოდა და გარემო პირობების მიხედვით ეს უკანასკნელი ხშირად საკვებ რაციონში წამყვან ადგილსაც იკავებდა. სადაც სანადირო იარაღს სრულყოფდა, 15-20 კაცისაგან შემდგარი, შემგროვებლობითა და ნადირობით დაკავებულ პირველყოფილ ადამიანთა ჯგუფების ხელში უფრო მცენარეები ხედებოდნენ, ყიდრე ცხოველები. მეცნიერები ეარაუდობენ, რომ პალეოლითში, 600-500 ათასი წლის წინათ, პირველყოფილ ადამიანთა საკვების 80% მცენარეები და სოკოები შეადგენდნენ.

აფროეკრაზიის ზოგიერთ რაიონში, სადაც საკვებად ვარგისი მცენარეთა სიუხვე შეინიშნებოდა, პირველყოფილმა ადამიანებმა იწყეს გარკვეულ, მათთვის ჩვეულ ადგილებში ველურ მცენარეთა მოსავლის სისტემატური შეგროვება. ადამიანი იღებდა საკმარის დიდ მოსავალს, მაგრამ ფიქრადაც არ მოსდიოდა ეზრუნა მისთვის საჭირო მცენარეულზე. ევრაზიის ზომიერ სარტყელში ისრდებოდა კაკალი, წაბლი, თხილი, წიწიბო, სხვადასხვა ველურ მარცვლოვანთა ნაყოფები... ტროპიკებში ადამიანს დიდ სარგებლობას აძლევდა სხვადასხვა პალმისა და ფიკუსისაგან მიღებული მოსავალი. შუა პალეოლითის გარკვეულ მონაკვეთში, 100000-60000 წლის წინათ, ადამიანი ბუნებრივად გაჩენილი ცეცხლის „შეგროვებიდან“ გადავიდა მის ხელოვნურ მოპოვებაზე. ცეცხლი, ადამიანის ხელში, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, თანდათანობით გადაიქცა მწარმოებელურ ძალად, მისი დახმარებით ადამიანმა ხელი მოჰკიდა გაცილებით სრულყოფილი იარაღის დამზადებას. „ცეცხლითა და მახეილით“ შეიარაღებულ ადამიანს გაუადვილდა გარეულ ცხოველებ-

ზე ნადირობა, მტაცებლისაგან თავის დაცვა. შეიცვალა საკვები რაციონის პროცენტული შედგენილობა, ახლა მცენარეული საკვები საარსებო წყაროს მხოლოდ 20% შეადგენდა. გვიან პალეოლითში, 15000-10000 წლის წინათ, დედამიწის მოსახლეობამ 3 მილიონ ადამიანს მიაღწია.

პირველყოფილი ადამიანისათვის კალორიული საკვებით თავის დაკმაყოფილება არსებობისათვის აუცილებელი ფაქტორი გახდა. საჭმე ის არის, რომ აფრიკასა და ევრაზიაში ადამიანის ინტენსიურ განსახლებას თან დაერთო სრდილოეთ ნახევარსფეროს გამყინვარებები. 600000 წლის წინათ სრდილოეთ ევროპაში, აზიასა და ამერიკაში დაიწყო პირველი გამყინვარება, ცნობილი გიუნციის სახელწოდებით. ინტერგლაციალური (დათბობის) ფაზების მონაცვლეობით, ერთ გამყინვარებას შორე ცვლიდა (მინდელი), მეორეს - მესამე (რისი), მესამეს კი - მეოთხე (ვიურმი). ასეთ ეითარებაში, არსებობის შესანარჩუნებლად, სულ უფრო გარდუვალნი ხდებოდა საკვების მომარაგების აუცილებლობა. ჩვენი შორეული წინაპარი ასეთ მარაგს გამოიყენებდა წელიწადის მოსავლის აღებისა და ნადირობისთვის არახელსაყრელ დროს...

ჯერ კიდევ ცივილიზაციის გარიჟრაჟზე, წინაისტორიული ადამიანი გადავიდა ველური მცენარეული საკვების შემთხვევითი შეგროვებლობიდან, მოსავლის ერთ ადგილზე და რეგულარულ აღებაზე, ანუ ნახევრად ბინადარ ცხოვრებაზე.


საკვებად ვარგისი მცენარეთა უფრო უწყვეტურად გამოყენების მორიგ ეტაპს წარმოადგენდა საჭირო მცენარეთა ნაყოფის თესლის ნიადაგში დათესვა და მისი ამ გზით მოყვანა. არქეოლოგიური მონაცემებით, ველურად მოზარდი მარცვლოვნების დათესვა და მოგვიანებით მათგან მოსავლის აღება, დაიწყო ჩვენს წინათდარცხვამდე დაახლოებით 10000 წლის წინათ.

აძლევდა კი ველური მარცვლოვნები წამახვილებული, კაჟპირიანი ნამგლით შეიარაღებულ პრე-



სურ. 106. 8000 წლის წინანდელი, ძვლისაგან დამზადებული ნამგლით ველური მარცვლოვნების მკის მცდელობა.

ისტორიულ ადამიანს საარსებო წყაროს? შეეძლო კი მარცვლოვნებით აბიბინებული ველების შემყურე ადამიანს ცხოვრების ახალ წესზე გადასვლა? ამ იდეის გამო 1966 წელს ამერიკელი მკვლევარი ჯექ პარლანი ეწვია აღმოსავლეთ თურქეთის ვულ-



სურ. 107. პრეისტორიული ადამიანის მიერ ველური მარცვლოვნების შვერვება (რეკონსტრუქცია).

კანური მთის - ყარაკადაგის კალთებს. პარლანი შეიარაღდა მუსეუმის ექსპონიციიდან ნათხოვი, 9000 წლის წინანდელი ნამგლით. პრეისტორიულ იარაღით გამაღებით იწყო ხშირი მარცვლოვანი ბალახის - ველური ხორბლის ერთ-ერთი სახეობის მკა. სწავლულმა ერთ საათში 3 კილოგრამი მარცვლოვანი შეაგროვა. იგივე ცდა ჩაატარა უნამგლოვან. მართალია, ხელისგულები დაეშაშრა, მაგრამ ერთ საათში მაინც შეაგროვა ორი კილოგრამი მარცვლი. პარლანი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ როგორც კი ველური ხორბალი თავთავს ჩამოჰკიდებდა, პრეისტორიული ადამიანის რამდენიმე სულისგან შემდგარი ოჯახი, დიდი ძალისხმევის გარეშე, ორ-სამ კვირაში ველური პურის საკმარის მოსავალს მოიწვედა. ეს ჭირნახული ოჯახისთვის წლიურ სარჩოზე მეტიც კი იქნებოდა. ამ მარტივი ცდით დადასტურდა, რომ პოსტგამეინეარების პერიოდში გაერცვლებულ ველურ მარცვალს თავისუფლად შეეძლო წინაისტორიული ადამიანი მომთაბარე (ნომადური) ცხოვრების წესიდან ადგილზე დასაქმებულ, ცხოვრების სტანტარტულ წესზე გადაქცევა.

მარადიულ ყინულიდან გათავისუფლებულ მიწებზე აბიბინებულ დაბლობებსა თუ მთის კალთებს შესეულ ადამიანთა წინაისტორიულ ტომებს


ხელეწიფებოდათ მოსავლის ისეთი რაოდენობით ადგება, რომელიც მარაგად ზამთარშიაც საკმარისი იყო. მომთაბარეობის შემთხვევაში კი, წელიწადის ცივ თვეებში, ნებისმიერი საკვების მოპოვების შესაძლებლობა ფრიად იზღუდებოდა. ასე უნდა დაწეებულიყო ცხოვრების სოფლურ წესზე გადასვლა, თუმცა სოფლის მეურნეობასე - ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით - ლაპარაკი ჯერ კიდევ ნაადრევია.

თანამედროვე კვლევის შედეგად, მკვლევრები წინააგროკულტურის ცენტრად თელიან აბუ პურიას. ამ დასახლებულ ადგილს ეკავა ეფურატის ეკლი, თანამედროვე სირიის ჩრდილოეთში. 1970-იანი წლების დასაწყისში ოქსფორდელი ენდრიუ მური სათავეში ჩაუდგა არქეოლოგიურ სამუშაოებს. აღმოჩნდა, რომ წინაისტორიულ ადამიანს აბუ პურეია ორჯერ აუთეისებია: პირველად 11500-დან 10500 წლების, მეორედ კი - 9500-7500 წლების მონაკვეთში. აბუ პურეია პატარა სოფელი ყოფილა. მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით იქ მცხოვრები ადამიანები იყენებდნენ საფეხე ქვებს, ქვისგანვე დამზადებულ საჭრისებსა და ნამგლებს, აგრეთვე ძელისგან დამზადებულ, ხელსაქმისათვის საჭირო საგნებს, მათ შორის ნემსებს. ნიადაგის კულტურულ ფენებში აღმოჩენილი, ერთად თავმოყრილი ნამარხი ძელების მიხედვით, პურიელები ნადირობდნენ ბოცკერებზე, ჯეირნებზე, გარეულ ცხვრებზე, თხებზე და გარეულ ვირებზე. იქვე მოპოვებული ორსაგდულიანი ნიჟურებისა და თევზების ნამარხი ძელებით ნათელი გახდა, რომ ადგილობრივები ეტანებოდნენ მდინარე ეფურატში მოზინადრე ცხოველებსაც. მაგრამ ამ განათხრებში ყველაზე საინტერესო მაინც მცენარეული საკვების ნაშთები აღმოჩნდა. ნამარხ ნაყოფთა მიკროსკოპული გამოკვლევებით ცხადი გახდა, რომ პირველყოფილი მეურნეები საკმლის (საღსადაჯი) ხისა და სხვადასხვა კენკრებთან ერთად იკვებებოდნენ რამდენიმე სახეობის, ველურად მოზარდი ხორბლით, შერიითა და ჭეავეთ. ეს მცენარეები იზრდებოდნენ მდინარე ეფურატის სანაპიროსზე, რომელიც, დროდადრო, მდინარის აღიდებისას, ბუნებრივად ირწყვებოდა. აბორიგენი ადამიანები აგროვებდნენ იმდენ მარცვალს, რამდენიც მათ ერთ ადგილზე საცხოვრებლად დაამკვიდრებდა. მაგრამ იყო კი ეს ასე?

ზემოთ ნახსენები ოქსფორდელი ენდრიუ მური კიდევ უფრო ჩაუკვირდა აღნიშნულ პრობლემას. პრეისტორიული სოფლის ადგილზე, სხვა მცენარეებთან ერთად მან ყურადღება მიაქცია სარეველა მცენარეთა ნაშთებსაც. მურის აზრით სარეველები უხეად იზრდებიან იქ, სადაც ნიადაგს ვინმე ზემეტად „აწუხებს“. მიწის ეს „შემწუხებლები“ კი, რა თქმა უნდა, ადგილობრივი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო. აქედან, ცხადია, აბუპურიელები ადრეულ მიწათმოქმედთა დონეზე მაინც უნდა მდგარიყვნენ. ამისათვის კი მათ უნდა გაეტეხათ ყამირი მიწა, ჩაეთესათ შიგ ველურ მარცვლოვანთა თესლი

და ეზრუნათ ჯეჯილის სრდა-განიუთარებისათვის. ადგილზე დაკავებულ, მაგრამ ველურ მარცვლოვანთა „მოყვარულ“ მოთხველეებსა და ნიადაგის პროფესიონალ კულტივატორებს შორის განსხვავება დიდია. ჰემიპარტი მიწათმოქმედების (მიწის დაშუშაება, ხენა-თესვა) დამკვიდრება და მსგავსი ტრადიციის დანერგვა რამდენადმე გვიან მოხდა. არქეოლოგიური კვლევის მონაცემებით, დაახლოებით 10000 წლის წინათ, ახლო აღმოსავლეთში მცხოვრებმა ხალხმა ისწავლა უხემოსავლიან ევლურ მარცვლოვანთა შერჩევა, სისტემატურად იწყეს მათგან მოსავლის მოყვანა და ნაწილის მარაგად შენახვა. ასე იქმნებოდა აბუ პურეიაზე გაცილებით დიდი დასახლებები.

ნათ, ძირეულად შეიცვალა კაცობრიობის ცხოვრების წესი. მსგავს რეოლოგიკურ გარდაქმნას საფუძველად დაედო არსებობის ნომადური (მომთაბარე) წესიდან თავის რჩენის სედენტალურ (ერთ ადგილზე დასაქმებულ) წესზე გადასვლა. პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ახლო აღმოსავლეთში, შესაძლებელი გახდა მიმოთისებლური მემურნეობა (ნადირობა, თევზჭერა, შემგროვებლობა) შეცვლილიყო მწარმოებლური მემურნეობით (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა). ნაყოფიერი მიწის შედარებით მცირე ფართობს, სათანადო კულტურებით ათვისების შემთხვევაში, შეეძლო გამოიყვება გაცილებით მეტი ადამიანი, ვიდრე მონადირეებითა და შემგროვებლებით შესეულ, შეუდარებლად



სურ. 108. „ნაყოფიერ ნახევარმთვარეში“ შემაველი რაიონები.

მიწათმოქმედების წარმოშობა ქრონოლოგიურად ემთხვევა მეზოლითისა და განსაკუთრებით, ნეოლითის ეპოქებს. „სასოფლო-სამეურნეო რეოლოგიის“ პირველად ცენტრს, 10000 წლის წინათ წარმოადგენდა ე.წ. „ნაყოფიერი ნახევარმთვარე“ (ტერმინი – Fertile Crescent – შემოღებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურიდან): ეგვიპტე, სამხრეთ-დასავლეთ აზია და სპარსეთის ყურის სანაპირო რაიონები. გორაკებითა და მთებით დაცულ ამ რაიონებში მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ბარდა და სხვა კულტურები. მართალია ახლო აღმოსავლეთს არ შეეხო გამყინვარების სუსხი, მაგრამ 10000 წლის წინათ ეს რეგიონი დღევანდელთან შედარებით უფრო გრილი, მშრალი და, შესაბამისად, უფრო მეჩხერი მცენარეულობით ხასიათდებოდა. 8000-6000 წლის წინათ უფრო დათბა, პაერი განოტივდა, მომრავლდნენ ხეები და ბუჩქები, აგრეთვე თანამედროვე მარცვლოვანთა ველური წინაპრები.

ზემთ აღნიშნული მიზეზის გამო, მეზოლითიდან მოყოლებული, დაახლოებით 10000 წლის წინ

დიდი ფართობის ბუნებრივ სავარგულებს.

მოსავლის აღება ადამიანის საცხოვრებლის მახლობლად ხდებოდა, ამ ფაქტორმა მნიშვნელოვნად შეცვალა წინასტორიული ადამიანის ცხოვრების წესი, კვების რაციონი. მოსავლის რეგულარულმა აღებამ ერთხელ კიდევ აამაღლა მცენარეული საკვების ხვედრითი წილი. საკვებით მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილმა ადამიანმა შეცვალა გარეულ ნადირთან თავისი დამოკიდებულება – ნადირობისას ტყვედ ჩავარდნილი ცხოველის ყველა ნაშიერს აღარ კლავდა. მათ საცხოვრებლის მახლობლად ზრდიდა და ისიც თავისდაუნებურად ტყვეობას ეჩვეოდა. მცენარის ხელოვნურად მოწველმა მოსავალმა და ხორცის ცოცხალმა მარაგმა ადამიანის საკვების რაციონი, თავისი შეხედულების მიხედვით, შეერეული ტიპის გახადა.

ადამიანებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში დოვლათის დაგროვებამ განაპირობა მყარად ბინადარი ცხოვრების საფუძველი, ერთდროულად დაიწყო მოსახლეობას შორის შრომის სპეციალიზაცია. უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობა დაიყო



სურ. 109. უძველესი ქალაქის - ჯერიხოს - ნაშთები. ქალაქის ირგვლივ აგებული თავდასაცავი კედელი.


მიწათმოქმედებად და მესაქონლეებად. მისდევდნენ ხელსაქმიანობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა: მეთუნეობა და სამოსის დამზადება, სხვადასხვა ტიპის იარაღის კეთება, მოსავლის გადასატანი, ანდა შესანახი კალათების დაწვნა... სოფლების მოსახლეობას ერთი ნაბიჯიდა აკლდა ქალაქის ტიპის დასახლებაზე გადასვლას.

მსხვილ დასახლებათა შორის დაიწყო საქონლის გაცვლა. ასე აღმოცენდა სავაჭრო ცენტრები. ადამიანთა საქმიანობის მსგავს ცენტრებს წარმოადგენდა ჯერიხო (მკედარი ზღვის ჩრდილოეთით) და ჩატალ ჰუიუკი სამხრეთ თურქეთში. სწაველებს მიაჩნიათ, რომ 10500 წლის წინათ დაარსებული ჯერიხო მსოფლიოს პირველი ქალაქია, ხოლო ჩატალ ჰუიუკის ისტორია 8000 წელს მაინც ითვლის. ორივე მათგანს გააჩნდა ქალაქური ტიპის დასახლებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ჯერიხო კი, ქალაქური ყაიდის სხვა ელემენტებთან ერთად, მაღალი კულდითაც იყო გარშემორტყმული. მძლავრი დასახლებების გაჩენას პირველი დემოგრაფიული აფეთქებაც მოჰყვა.

„ნაყოფიერი ნახევარმთიარის“ ტერიტორიაზე, სხვა მსხვილ დასახლებებს შორის აღსანიშნავია იერიქონი, ური, ჯარმო, ალი-კოხი. უკვე ამ პირველ ქალაქთა მოსახლეობაში იხევეწებოდა და ვითარდებოდა იერარქიული ურთიერთობა. კაცობრიობის მსგავს პროგრესს, რაც უწინარესად, საკვების ადგილზე დამზადებისა და მარაგად შენახვის სფეროში გამოიხატა, ამ გამოცდილების ევროპაში ექსპანია მოჰყვა. სათანადო არტიფაქტების შესწავლით დადგინდა, რომ აგროკულტურის გავრცელება აზიიდან ევროპაში წელიწადში ერთი კილომეტრი სისწრაფით ხდებოდა.

დედამიწა დიდია. კონტინენტები ერთმანეთისაგან ათასობით კილომეტრებით არიან დაშორებული, შესაბამისად, მიწათმოქმედების ცენტრების ჩამოყალიბება ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხეში დამოუკიდებლად ხდებოდა.

საინტერესოა, თუ როგორ მოხდა მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა (აგროკულტურის ჩასახვა) დასავლეთ ნახევარსფეროში, ამერიკაში? ჩვენი პლანეტის ამ მხარეს მიწათმოქმედების აკენად მიჩნეულია მესოამერიკა, განსაკუთრებით მექსიკის ველები და მთისწინები. სამხრეთ ამერიკაში სასოფლო-სამეურნეო მიწინით ვარგისი გარეული მცენარეების დომესტიკაციას, ანუ კულტურაში დანერგვას პირველად ხელი მიჰყვეს პერუში, ეკვადორსა და ბოლივიაში. ამერიკელი სპეციალისტის კენტ ფლანერის მიხედვით ინდიელებს ბოთლისმაგვარი გოგრა (*Lagenaria siceraria*) მოჰყავდათ, სულ ცოტა, 10000 წლის წინათ. გოგრის ეს სახეობა, დამწიფებისას, ხასიათდება ფრიად ყუათიანი რბილობით, დანაყრებას ხელს უწყობდა შემწვარი თესლიც. ნომადური (მოხეტიალე) ცხოვრების წე-




სურ. 110. მესოამერიკა. უძველეს ინდიელთა მთავარი საცხოვრებელი ადგილები ოაქსაკასა და ტეპუაკანის ველებში.

სით მცხოვრები აბორიგენები შეგნებულად თესავდნენ გოგრის თესვს სანადირო ტერიტორიის სტრატეგიულ ადგილებში. ნადირობაში ხელმოცარვისას ამ მცენარით გაქონდათ თავი.

ტეპუაკანის (ცენტრალური ამერიკა) ფართოდ გაშლილ ველებზე, სადაც დღემდე მისდევენ ინტენსიურ მიწათმოქმედებას, სათანადო არქეოლოგიური გამოკვლევები ჩაატარეს. როგორც ჩანს, ადამიანის ხელით დათესილმა გოგრის სხედასხვა სახეობამ პირველად აქ 12000 წლის წინათ იხარა. ა. მაკნეისის გამოკვლევებით დასტურდება, რომ ტეპუაკანელები სხედასხვა მცენარეთა თესვების ნაყოფების გარდა ოპუნციისა და აგავის ფოთლებითაც იკვებებოდნენ. 8000 წლის წინათ მათი საკვები რაციონის 50%-ს მცენარეული წარმოშობის საკვები შეადგენდა. კულტურულ ფენებში თანდათანობით ჩნდება ამირანთი (Amiranth) და წიწკა.

უკანასკნელი გამყინვარების მიწურულს (12000-10000 წ. წინათ) მექსიკაში გაცილებით მშრალი

კელთა სოფლის მეურნეობაში ამ მარცვლოვანი მცენარის გაბატონებამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მაკნეისმა მას „სიმინდის აგროკულტურა“ უწოდა. მექსიკის მთელი რიგი რაიონები, მათ შორის ტეპუაკანის მოსახლეობა რამდენჯერმე გაიზარდა. შეიქმნა მუდმივი დასახლებები – სოფლები. სოგიერთი მათგანი ჭარბმოსახლეობის პრობლემის წინაშე დადგა. მოსახლეობაში ჩაისახა იერარქიის, პიროვნების კულტის ნიშნები. ურბანიზაციის თვალსაზრისით, ოაქსაკას ზეგნის მოსახლეობაში მეტი პროგრესული ძვრები მომხდარა, ვიდრე ტეპუაკანში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათასი წლის წინათ ზეგნის ველზე მიმოფანტულ სოფლებს შორის აღმოცენდა პირველი ქალაქი – მონტე ალბანი. ამ ურბანისტულ ცენტრს 70 კექტარი ფართობი ეკავა. ქალაქის მმართველებმა თავიანთი პოლიტიკური ძალაუფლება ძალიან დიდ ტერიტორიაზე განავრცეს და დომინანტობის შესანარჩუნებლად ხშირად მიმართავდნენ ძალის გამოყენების ტაქტიკას.



სურ. 111. განთიადის მზის სხივებით განათებული მონტე ალბანი. ქალაქში, თავისი დიდების მწვერვალზე ყოფნისას, 30000-მდე ადამიანი ცხოვრობდა.

ჰავა იყო. გლობალურმა დათბობამ, ატმოსფეროში დაგროვილმა უფრო ჭარბმა ტენმა ხელი შეუწყო გაშლილ ლანდშაფტებში მცენარეული საფარის სახეობათა უხეად ზრდას. ხელოვნურად დათესილი თესლი გაცილებით მეტ მოსავალს იძლეოდა. ზემოთ ხსენებული ავტორის მიხედვით, 6000 წლის წინათ, მესოამერიკაში, ასე ჩაეყარა საფუძველი მეხილეობას. მაგრამ აგროკულტურას, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ინდიელებმა ხელი მხოლოდ 5000 წლის წინათ მოჰკიდეს.

ტეპუაკანიდან სამხრეთით, 200 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ოაქსაკას ველი. ეს უკანასკნელი ზეგანზე გაშლილი ვაკე ადგილია და უფრო მეტი სინოტივით გამოირჩევა. მაკნეისის იქ ჩატარებული გამოკვლევებით დადასტურდა, რომ 5000-3000 წლის ინტერვალში ინდიელები ნახევრად ადგილზე დასაქმებული ცხოვრებიდან ერთ ადგილზე მიჯაჭვული ცხოვრებიდან წესზე გადადიან. აბორიგენთა არსებობის ახალი წესი სიმინდის კულტურის დანერგვამ განაპირობა. მესოამერი-

„ინდიელთა ესოდენ სწრაფი პროგრესი განკვიფრებას იწვევს, – წერს კანტ ფლანერი, – და, ეჭვგარეშეა, იგი ეყრდნობოდა სწორედ სიმინდის აგროკულტურას“.

დღეს უკვე საბოლოოდ დადგინდა, რომ 5200-3400 წლების შუალედში, თანამედროვე მექსიკის ტერიტორიაზე მოჰყავდათ პატარა ტაროიანი სიმინდის სრულად კულტურული ფორმები. ამ ფაქტიდან გამომდინარე, სიმინდის ველური ფორმის მიწათმოქმედებაში დანერგვას გაცილებით დიდი ხნის ისტორია უნდა ჰქონდეს.

სიმინდის კულტურაში დანერგვის მეორე ცენტრია პერუ. მექსიკასთან შედარებით, აქ ამ კულტურის მოყვანას გაცილებით გვიან მოჰკიდეს ხელი. კოლუმბამდელ ამერიკაში ინდიელები ამ მარცვლოვან მცენარეს ახარებდნენ ვეებურთელა ტერიტორიაზე სამხრეთი ჩილედან, ვიდრე სამხრეთი კანადის ჩათვლით.

...მიწათმოქმედებამდე ადამიანი უცბად არ მისულა. ათასობით წლების განმავლობაში მისთვის

საარსებოდ აუცილებელ მცენარეებს იგი მხოლოდ აგროვებდა და მაშინვე გამოიყენებდა, უკეთეს შემთხვევაში, შავი ღლისთვის, ალბათ, გვიანფუჭებადი ნაყოფის ნაწილს მარაგად ინახავდა, შავი ღლეები კი მას ცოტა რაღი ჰქონდა.

ადამიანი დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე განსახლებადი ველური, ხერხეპლიანი არსება იყო. თუ განვითარების საწყის ეტაპებზე მას მხოლოდ მუდმივად თბილ გარემოში უხდებოდა ცხოვრება, მოგვიანებით გაერცელა და დასახლდა დედამიწის განსხვავებულ ბუნებრივ-კლიმატურ ზონებში. ახალ საარსებო ტერიტორიაზე მკაფიოდ, ანდა მეტნაკლებად მკაფიოდ იყო გამოსახული წელიწადის დროები. ასეთი იყო ჩრდილოეთ ნახევარსფეროს შედარებით მაღალი განედების ტერიტორიები. აქ ზამთარში მოდის თოვლი და მცენარეები კარგავენ არა მხოლოდ ნაყოფს, არამედ ფოთოლსაც. ასეთ ვითარებაში, საკვების საიმედო მარაგის გარეშე თავის გადარჩენაზე ლაპარაკი ზედმეტია. მას უნდა ებრძოლა არსებობისათვის. ამისათვის უნდა გამოენახა სათანადო გზები. გონიერი ტენით დაჯილდოებულმა, ადამიანმა ეს შეძლო.

...მიწის პირველი დამუშავება სათოხე მიწათმოქმედების სახელით არის ცნობილი. მაგრამ თანამედ-

რომოდან გროვად ამოსული მცენარეები ერთმანეთს ეცილებოდნენ საარსებო ნივთიერებათა მოპოვებაში, ამიტომ მცენარეებიც სუსტები, დანაგრელები იზრდებოდნენ. მათგან მიღებული მოსავალი საკმაოდ მდარე იყო.

დროთა განმავლობაში პრიმიტიული ადამიანი დარწმუნდა, რომ საჭირო იყო თესლის გაფხვიერებულ ნიადაგში მიმოფანტვა. ნაიდაგის ასეთ დამუშავებას კი ნამდვილი თოხი, ანდა ნიშის მაგვარი იარაღი სჭირდებოდა.

არქეოლოგიური მონაცემებით, პირველი, თოხის მსგავსი იარაღი დასაწყისში პორიზონტალურად განშტოებული მსხვილი ჯოხი იყო. ამ უკანასკნელზე პირველ მიწათმოქმედს შეეძლო ფეხის დაბიჯება და წვეტიანი ჯოხით ნიადაგის ღრმა ფენაში შეღწევა, მისი გარკვეული ნაწილის გადაბრუნება. ამგვარად დამუშავებული მიწის გარკვეულ ფართობზე შეიძლებოდა თესლის მიმოხვევა. თანდათანობით თოხი გაუმჯობესდა. მასზე ლათინური ასოს - T-ს - მსგავსად, ზედა ნაწილში ხელის დასაყრდენი და, ერთდროულად, ნიადაგზე დასაჭერი სხვა ჯოხი დაამაგრეს. ხელისა და ფეხის კუნთური ძალით, ნიადაგის დამორჩილება გაცილებით იოლი შეიქნა.



სურ. 112. პრიმიტიული ნიშით კარტოფილის დასათესად ნიადაგის დამუშავება პერუში. ჩიკაგოს ბუნების ისტორიის მუზეუმი (აშშ).

როვე თოხთან შედარებით, ამ იარაღად გამოყენებული პირველი იარაღი შეუდარებლად პრიმიტიული იყო. მას პირობითად შეიძლება ეწოდოს თოხი, ვინაიდან იგი, უბრალოდ, წაწვეტებულ ჯოხს წარმოადგენდა. მსგავსი იარაღით წინააღმდეგობას შეეძლო როგორც სათანადო მცენარეთა მიწისქვეშა, საკვებად ვარგისი ორგანოების ამოღება, ისე ნიადაგში ორმოების ამოჩინება. ამგვარად დამუშავებულ ნიადაგში - ორმოებში - ყრიდა საჭირო მცენარეთა თესლებს. იმხანად პრეისტორიულ ადამიანს სოფლის მეურნეობის გაძლიერების არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა. ცხადია, ერთი

თითქმის პრეისტორიულის მსგავსი, პრიმიტიული თოხით, ბარით ნიადაგის დამუშავება ახლაც ხდება. ასეთი ადგილები აფრიკაში, აზიაში, ოკეანიაში (პოლინეზია), სამხრეთ ამერიკაში ცოტა რაღია.

ნიადაგის დამუშავების გარკვეულ მომენტში, მსგავსმა თოხ-ნიშებმა ადამიანს უკარნახა ხის კაეის დამზადება. ხის გაცილებით მსხვილი, ბოლოში მოხრილი წვერები ადამიანმა წაამახვილა. მსგავსი იარაღის გამოყენებას გაცილებით მაშინ დაედო ფასი, როდესაც მოაშინაურეს ჩლიქოსანი ცხოველები: ხარ-ძროხა (ზროხა), ვირი, მოგვი-



სურ. 113. წაწვეტებული ჯოხით გარეულ მცენარეთა მიწისქვეშა ნაწილების მოპოვება (ეთიოპია, კენის მოსახლეურ რაიონებში).

ნებით – ცხენი, საქონელს, ადამიანის დახმარებით, ნიადაგში გააქყავდა ხნული, ფოცხის მსგავსი იარაღით კი აფხვიერებდა მას. მეცნიერები თვლიან, რომ ხის პირველი კაეი გამოიყენეს მესოპოტამიაში. ეს მოხდა ძვ.წ. აღ-ით 8 ათასი წლის წინათ.

მიწის პრიმიტიული დამუშავებისას, თესვის პარალელურად, პირველყოფილი ადამიანი სარეველა მცენარეებს ანადგურებდა. პირველ მიწათმოქმედებს პრობლემა ექმნებოდათ ნიადაგის საჭირო ქიმიური ელემენტებით (სასუქით) გამდიდრების მხრივ. ამიტომ, მცენარეებიდან რამდენიმე მოსავლის აღების შემდეგ, ისინი ტოვებდნენ გამოფიტულ მიწას და სხვაგან გადადიოდნენ. ნიადაგის გასანაყოფიერებლად იყენებდნენ ცეცხლს. გადამწვარი მცენარეებისაგან დარჩენილი ნაცარი შეიცავს მცენარის საკვებ, მრავალ სასარგებლო მინერალურ ნივთიერებას. ამგვარად განვითარდა მცენარეული საფარის გაქაფვისა და ხანძრით მართვადი მიწათმოქმედება.

სოფლის მეურნეობის გაძღოლის მსგავსი არქაული, რელიქტური წესი უცვლელი სახით შეინარჩუნეს ავსტრალიელმა და სხვა აბორიგენებმა. ნიადაგის ფენებში დარჩენილი ხის ნახშირის სათანადო ანალიზით დასტურდება, რომ ავსტრალიის აბორიგენები მსგავს მეურნეობას მინიმუმ 5000 წლის განმავლობაში ეწევიან.

7-6 ათასი წლის წინანდელ, ნეოლითის ეპოქით დათარიღებული ნიადაგის კულტურულ ფენაში მოკვლეულია ხელსაფქვაეი, ძაფის სართავი იარაღი. ამგვარად, მიწათმოქმედებამ და მეცხოველეობამ მძლავრად გაიძვრა ფესვები ადამიანის ყოფაში. ხორბლის, ქერის, წიწიბურას, სელის ნაშთები

აღმოჩენილია არამტოე ნაყოფიერ ნახევარმთიარის რაიონებში, არამედ დასავლეთ ევროპის – შვეიცარიის – ნიადაგის ნეოლითურ ფენებში. ამ უკანასკნელისაგან ამზადებდნენ უხეშ ქსოვილს.

ძველად ეგვიპტეში უკვე იყენებდნენ ხორბლის 2-3 სახეობას, ქერის 2 სახეობას, წიწიბურას, ბარდას, სხვა პარკოსან მცენარეებს, ყაყაოსს, ვაზს, ვაშლს, ზეთისხილს, ლუვებს, ფინიკის პალმას. ეგიპტელებს მცენარეთა ნაყოფები და კენკრები დაპყრობილ ქვეყნებშიც გააქონდათ.

ძვ.წ. აღ-ით 3000 წელს ჩინეთში შეადგინეს ხელნაწერები. მათში აღწერილია საკვებად ვარგისი, სხვადასხვა მცენარეთა 100-ზე მეტი სახეობა, მათ შორის პურეული, ბრინჯი, პარკოსნები, ბამბა და ა.შ. მიწათმოქმედება და მიწათმოქმედი ყრიად დაფასებული იყო ამ ქვეყანაში. ხენა-თესვისადმი მიძღვნილ დღესასწაულებზე მიხედვით გადისოდა ხალხი, თვით იმპერატორიც კი.

ძვ.წ. აღ-ით 4-3 ათასი წლის წინათ ინდოეთის უმდიდრეს მიწა-წყალზე მოაქყავდათ შაქრის ლერწამი, სელი, ბამბა და სხვა მრავალი კულტურა. ადგილობრივები განსაკუთრებით დაინტერესებული იყვნენ სამკურნალო მცენარეებით. ექიმი-ინდიელები დიდად მიღებული პირები იყვნენ ელინურ საბერძნეთსა და არაბეთის ქვეყნებში. ინდოელები განსაკუთრებით აფასებდნენ ყვავილებს, გამოჩნეულად კი – „წმინდა ლოტოსს“. ეს ყვავილი მათი ტაძრებისა და იქ დადგმული ღვთაებების განუყრელი აქსესუარი იყო.

ძვ.წ. აღ-ით 2000-1500 წლის წინათ, თავიანთი დიდებული ბაღებით, საქვეყნოდ გაითქვეს სახელი ასურეთმა და ბაბილონმა. ძველი ბერძენი მწერლები იტყობინებდნენ ბაბილონში არსებულ „დაკი-



სურ. 114. პრიმიტიული კაეით მიწის დამუშავება ანატოლიის ზეგანზე.

დებულ ბაღებსზე“, ანუ სემირამიდას ბაღებსზე. მათ „ქვეყნიერების შვიდ საოცრებას“ აკუთვნებდნენ. არა აქვს მნიშვნელობა, ეკუთვნოდა თუ არა ეს ბაღები უშუალოდ დედოფალ სემირამიდას, მაგრამ მსგავსი ბაღების არსებობა ისტორიული ფაქტებით დასტურდება.

ძე.წ.აღ-ით 600 წელს ბაბილონელმა მეფემ ნაბუქოდონოსორ II-ემ ბაბილონი უბრწყინვალესი ტაძრებითა და სასახლეებით დაამშვენა, შექმნა განუმეორებელი, ტერასული ბაღები. ხელოვნური გორაკის ოთხივე მხარეს გაყვანილ ტერასებსზე ყელყელაობდნენ პალმები, ფიკუსები, ყვავილენ ეარდები, მწიფობდა ნაირგვარი ხეხილი. ტერასების ნაყოფიერი ნიადაგს აკავებდა აგურებისა და ქვის ფილებისაგან გაკეთებული, დეკორატიული ამალღებები. ბაღ-ვალკოტი ორწყვეობდა ზემოთ ატუმბული წყლით. ტერასების ცალკეული უბნები იზოლირებული იყო მარმარილოს კოლონადებით...

დიდებული ბაღ-პარკებით ამაყოფდნენ ძველი ირანელები (სპარსელები), მდიდრელები.

ძველი საბრძნეთი არ იყო განებივრებული პურის ყანების დიდი ფართობებით. უძველესი კულტურის მატარებელი ხალხი იძულებული იყო პრაქტიკულად გამოეყენებინა მიწა – მარცვლული ძირითადად უცხოეთიდან შემოაქიანდა, თვითონ კი მისდევდა მეზღეობას, მეზოსტენობას, მევენახეობას.

მიწათმოქმედების დიდი და მდიდარი ისტორია აქვს ძველ ხალხს. ადგილობრივი ისტორიკოსი პლინიუს დიდი მიუთითებს, რომ მაღალგვაროვანთა – ნობელიანტთა – წრიდან გამოდის, სახელოვან ადამიანთა გვარები ხშირად მცენარეთა სახელწოდებებისაგან წარმოდგებოდა. ამ მცენარეთა კულტივირებას დიდი ძალისხმევა მოანდომეს მათმა წინაპრებმა. პიზონის (იულიუს კეისრის სიმამრი) გვარი წარმოდგება ბარდისაგან (ლათინურად – Pisum), ფაბიუსისა (რომის დიქტატორი) – პარკოსნებიდან (Faba, აქედან ოჯახი Fabaceae), ლენტულის (რომის კონსული) – ბარდისაგან (Lens), ციცირონი (რომის პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, ორატორი) – მუხედოსაგან (Cicer).

ძველი ცივილიზაციების მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება არ შეესაბამებოდა მცენარის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის თეორიულ (მეცნიერულ) ცოდნას. სწორი დაკვირვებები ხშირად გაიგივებული იყო ფანტაზიასთან, რელიგიურ მისტიციზმთან.

მცენარეთა და ცხოველთა სამყაროებზე მეცნიერულ ცოდნას საფუძველი ჩაეყარა ანტიკური საბერძნეთისა და რომის სწავლულთა შრომებით. არისტოტელე (ძე.წ.აღ-ით 384–322) – ზოოლოგიის მამა, მკაფიოდ არჩევდა (და ასაბუთებდა) არაცოცხალ ბუნებას ცოცხალისაგან, მცენარეებს – ცხოველებისაგან, უხერხემლო ცხოველებს – ხერხემლიანებისაგან. მცენარეებს მან მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი – „მცენარეთა თეორია“. სამწუხაროდ, ამ თხზულების სრული ტექსტი არ შემორჩა.

უფრო დაწვრილებითი ცნობები მცენარეთა სამეფოზე მოცემული აქვს არისტოტელეს მოწაყვის – თეოფრასტეს (ძე.წ.აღ-ით 372–287). მან დაწერა 10 ტომისაგან შემდგარი შრომა – „მცენარეთა ბუნებრივი ისტორია“ და 8 ტომისაგან შემდგარი თხზულება – „მცენარეები“. მათში მრავალმხრივ არის დახასიათებული მცენარეთა 450 სახეობა. ამ შრომისათვის თეოფრასტეს სამართლიანად უწოდებენ „ბოტანიკის მამას“. ეს სწავლული არა მხოლოდ ველურ მცენარეებს აკვირდებოდა, მან დაწვრილებით შეისწავლა იმდროინდელ მიწათმოქმედთა, მეზღეთა, მეზოსტენთა, მევენახეთა მდიდარი გამოცდილება და საფუძველი ჩაეყარა აღნიშნულ მეცნიერებას. ძველი რომის ექიმმა დიასკორიდმა ახ.წ.აღ-ით I საუკუნეში, ნაშრომ „ფარმაკოლოგიაში“ აღწერა 500 სახეობის მცენარე, რომელთაგან ბევრს სამკურნალო მნიშვნელობა აქვს. პლინიუს დიდი (ახ.წ. 23–79) ცნობილ ნაშრომში – „ბუნების ისტორია“ – ასახელებს ადამიანისათვის სასარგებლო 1000-მდე მცენარეს.

ამით მთავრდება ანტიკური სამყაროს მეცნიერული აზრის განვითარება. ბატონდება შუა საუკუნეების ფეოდალური და თეოლოგიური დღემები. იგი, თავისი იდეოლოგიის, ტერტულიანეს პირით დაღაღებდა: „ვენაგელიის (სახარების) შემდეგ არავითარი გამოკვლევა არ არის საჭირო“.

აღორძინების პერიოდში სურათი მკვეთრად შეიცვალა. ცოდნის მიმდევარი ადამიანები დაუბრუნდნენ ძველი საბერძნეთის უდიდესი მოაზროვნების – არისტოტელესა და თეოფრასტეს მოძღვრებებს. მოგვიანებით, ზღვაოსნობის განვითარებამ, ახალი ხმელეთების აღმოჩენამ, სამსოეზე გამოიტანა ორივე ამერიკის, აფრიკის, ინდოეთის დიდი ნაწილის, ავსტრალიის ფლორათა მრავალფეროვნება, რომელსაც ოცნებაშიც ვერ დაუშვებდნენ წარსულის გამოჩენილი სწავლულები.

ორგანული სამყაროს მთელი ეს საგანძური მითხზოდა შესწავლას, სისტემატიზებას. პირველი ასეთი ცდა – წესრიგში მოყვანა ქაოსად ქცეული ფაქტები, – ეკუთვნის იტალიელ ექიმს, ბოტანიკოსსა და ფილოსოფოსს ანდრეი ცეზალპინის (1519–1603). კაპიტალურ ნაშრომში – „მცენარეების შესახებ“ (16 ტომი) – მან დეტალურად აღწერა იმდროისათვის ცნობილ მცენარეთა აგებულება, არსებობის თავისებურებები, შემოგვთავაზა მათი კლასიფიკაციის შემდგომი სისტემის ხეები, ბუჩქები, ნახევარბუჩქები, ბალახოვნები, გვიმრები, ხავსები, წყალმცენარეები – სულ 15 კლასი.

ცეზალპინის სისტემა ხელოვნური, არასრულყოფილი აღმოჩნდა, მაგრამ მან გზა გაუკვლია სხვებს – ტურნეფორდისა და ლინეის სისტემებს.

XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის სოფლის მეურნეობაში თავი მოიყარა კოლოსალურმა გამოცდილებამ, რომელიც ეხება ხელოვნური გადარჩევის გზით კულტურულ მცენარეთა და შინაურ ცხოველთა ახალი ჯიშების გამოყვანას. პრაქტიკოსთა ამ მდიდარმა გამოცდილებამაც უდიდესი

როლი ითამაშა ჩ. დარვინის უბადლო შრომის – „სახეობათა წარმოშობის“ (1859) – დასაწერად. მანამდე (1848) გამოქვეყნდა სწორედ აღნიშნული თემისადმი მიძღვნილი დარვინის ორტომეული – „მოწინაურებული ცხოველები და გაკულტურებული მცენარეები“. სელექციონერთა ხელში, მცენარეთა და ცხოველთა ახალ-ახალი ჯიშების გამო-საყვანად, ამ ორმა წიგნმა სახელმძღვანელო როლი შეასრულა. აღნიშნული მიმართულებით დარვინისმ არაერთი ღირსეული გამგრძელებელი გამო-უჩნდა. მათ შორის იყვნენ: ნ. ვაილიუი, ე. უულფი, პ. უუკოსკი და სხვა, გლობალური მასშტაბის სპეციალისტები.

მცენარეთა გაკულტურების პროცესში ელინდებოდა ყველა ის ნიშანი, რომლებიც ასე დამახასიათებელია ველური ბუნების ცალკეულ სახეობათა ბუნებრივი ევოლუციისათვის. ესენია: მუტაცია, სასარგებლო ნიშნების გადარჩევა, ჰიბრიდიზაცია, სათანადო ნიშან-თვისებების მქონე მცენარეების სხეებისაგან იზოლაცია.

მცენარეული პროდუქტი ადამიანს აძლევდა ნახშირწყლებს, მცენარეულ ცილებს, ეიტამინებსა და მინერალურ მარილებს. არქეოლოგიური მონაცემებითა და სხვა ისტორიული წყაროებით დადგენილია მიწათმოქმედების განვითარების პირველი სამი ცენტრი. ჯექ პარლანის მიხედვით (ილინოისის უნივერსიტეტი, აშშ), ესენია: ზემოთ ხსენებული თაღის ფორმის ტერიტორია ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით – „ნაყოფიერი ნახევარმთვარე“, ჩრდილო-აღმოსავლეთი ჩინეთი და ცენტრალური, ანუ მესოამერიკა.

როგორც ითქვა სულ ცოტა 1000 წლის წინათ „ნაყოფიერი ნახევარმთვარის“ ტერიტორიაზე ჩაი-სახა უძველესი და ყველაზე ფართო მასშტაბის მწარმოებლური მეურნეობა – მიწათმოქმედება. დაახლოებით, 7000 წლის წინათ, მას მოჰყვა ჩინეთი, ხოლო მესამე ცენტრის – ცენტრალური ამერიკის მოსახლეობის აგროკულტურაზე მასობრივად გადასვლა არა ნაკლებ 5000 წელიწადს ითვლის.

სახამებლის შემცველი მცენარეები

პირველი მცენარეები (ოჯახი – Graminaceae) – კაცობრიობის მთავარი მარჩენალი

ხორბალი (გვარი Triticum) – ამ მარცვლოვანი ბალახოვანი მცენარის გვარში გაერთიანებულია 23 კულტურული ჯიში და 4 ველური სახეობა. გვარის საერთო არეალი მოიცავს ყველა კონტინენტს, მაგრამ საკეზად ვარგისია იმ სახეობათა მარცვლები, რომლებიც სათანადო ლიტერატურაში ცნობილია „მაგარისა“ (T. aestivum) და „რბილის“ (T. durum) სახელწოდებით. ხორბალი ველების (სტეპების) ტიპური ბალახოვანი მცენარეა. ე.ი. ეკოლოგიურად წარსულში მისი ევოლუცია მოხდა ღია, გაშლილ ლანდშაფტებში, სადაც ნახევრად მშრალი კლიმატია (ნალექების წლიური საშუალო მერ-



სურ. 115. ველური მარცვლოვნები ანატოლიის ზეგანზე.

ყეობს 400–800 მმ-ის ფარგლებში და მოდის მეტ-ნაკლებად წელიწადის ოთხივე დროს).

ხორბლის სახეობებით ყველაზე მდიდარია ამი-ერკაქასია. პ. უუკოსკის მიხედვით (1971), ამ მცენარის სახეობათწარმოშობის უძველესი ცენტრი მდებარეობს სწორედ სამხრეთ კავკასიაში, უწინა-რესად კი საქართველოს ტერიტორიაზე. პ. ნასი-დაშივილისა და სხვა ავტორთა თანახმად (2002), ხორბლის 23 ფორმიდან საქართველოში ხარობს 14. ხორბლის ენდემიზმით (მათ შორის რელიქტური ფორმებით) ჩვენს ქვეყანა პირველ ადგილზე დგას



სურ. 116. საქართველოში კულტივირებული ხორბლის ჯიშის – „მარაგი“ - ნიმუში.

მსოფლიოში. გვარში შემავალი სახეობებისა და ჯიშების 65% საქართველოზე მოდის. კნდემური ფორმებია: *Triticum pelaeo-colchicum*, *T. georgicum*, *T. carthlicum*, *T. macha*, *T. timopheevi* (ზანდური) და ა.შ. ამავე დროს საქართველო ცნობილია იმუნური ჯიშების სამშობლოდაც.

სამხრეთ კავკასიის გარდა, ევლური ხორბლის არეალი მოიცავს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს: მცირე აზიას, ირანს, ერაყს, პალესტინასა და სირიას.

ახლო აღმოსავლეთში, „ნაყოფიერი ნახევარ-მთვარის“ ქვეყნებში, ხორბლის კულტურა ცნობილია 9-8 ათასი წლის წინათ, საბერძნეთსა და ბულგარეთში - 8-7 ათასი წლის წინათ, ეგვიპტეში, ამიერკავკასიაში - 7-6 ათასი წლის წინათ, ჩინეთში - 5 ათასი წლის წინათ, აღმოსავლეთ ევროპაში - 5-4 ათასი წლის წინათ; სამხრეთ ამერიკაში შეიტანეს 1528 წელს, ჩრდილოეთ ამერიკაში (აშშ ტერიტორიაზე) - 1602 წელს, ავსტრალიაში - 1788 წელს. მსოფლიო მიწათმოქმედებაში, მარცვლოვან კულტურებს ყველაზე დიდი ფართობი უკავია.

ბოლნისის განათხარი მასალების მიხედვით, ძვ.წ. აღ-ის VI-V ათასწლეულებში, გამოვლენილია ხორბლის ხუთი სახეობა. საქართველოში ხორბლის არსებობას ადასტურებენ პეროდოტე და ქსენოფონტე. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით („საქართველოს ეკონომიკური ისტორია“), ტერმინები - იფქლი, დიკა და ასლი - გვხვდება ახ.წ. აღ-ის V საუკუნის წერილობით დოკუმენტებში, ხოლო დოლის პური - VII-IX საუკუნეების ასეთივე წყაროებში.

წინა აზიაში ახლაც ხარობს ევლური ხორბალი პატარა თავთავითა და წერილი მარცვლებით (*T. boeoticum*). ეს მცენარე მიჩნეულია კულტურული

ხორბლის ერთ-ერთ ევლურ წინაპრად. 9000 წლის წინათ მისი კულტურაში დანერგვით მიღებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო ფორმა (*T. monococcum*). ეს უკანასკნელი ახლო დგას მცირე აზიაში კულტივირებულ, ხორბლის საწყის ჯიშებთან (ქრომოსომების დიპლოიდური კომპლექტი - $2n = 14$).

7000 წლის წინათ ხორბლის ფეკილისგან იწყეს პურის გამოცხობა. მანამდე ადამიანმა ისწავლა ფეკილის დაფქვა, მისი შერევა წყალთან და, ამგვარად, ფაფის დამზადება. რამდენადმე მოგვიანებით ფაფას დებდნენ თიხის ჭურჭელში, ანდა ათავსებდნენ გაეარებულ ქვაზე და აკეთებდნენ კეკრს. კეერისაგან ნამდვილი პურის გამოცხობის პირველობას მიაწერენ ეგვიპტელებს. ნილოსის შლამიდან დამზადებული აგურებისაგან კეთდებოდა ღუმელები, მათში კი აცხობდნენ ძალიან გემრიელ პურს.

ქველ რომში ფეკილისა და მისგან პურის გამოცხობის ხელოვნებას მაღალ დონეზე ფლობდნენ.

ხორბალი ერთ-ერთი ძირითადი სასურსათო კულტურაა. იგი კვებავს დედამიწის მოსახლეობის თითქმის ნახევარს. ხორბლის ნათესებს დედამიწის სათესი ფართობის 1/5 (137 მლნ ჰა ფართობი) უკავია, დიდი რაოდენობით შეიცავს ცილას (10-25%), ნახშირწყლებს (60-64%), ცხიმს (2%), ვიტამინებს, ფერმენტებს, მინერალურ ნივთიერებებს და სხვ. ხორბალი, მისი გადამამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტი - ფეკილი და ბურღული, მოხერხებულია შესანახად და გადასაზიდად.

ერაყში, 9000 წლის წინანდელ კულტურულ ფენებში, ხორბალთან ერთად ნაპოვნია ქერი, უფრო მეტიც, 9000-8000 წლების წინათ იყო ქერის რამდენიმე ჯიში. ევლური სახეობა - *Hordeum spontaneum* - ცნობილია წინა აზიიდან და სამხრეთი ევროპიდან. ვარაუდობენ, რომ იგი წინაპარი ფორმაა უძველესი კულტურული მცენარის - სათესლე ქერის - *H. vulgare*-სი. გარდა წინა აზიისა, ქერის დასათესად ვარგისი ფორმა აღმოჩენილია აღმოსავლეთ აზიაში (ტიბეტი, ჰიმალაები, თვით იაპონიამდე). ეს რეგიონი, აბისინიის ზეგანთან (ეთიოპია) ერთად, ითვლება ქერის კულტურაში დანერგვის მეორეულ ცენტრად. ამჟამად დანერგილია ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, სამხრეთ ამერიკასა და აღმოსავლეთ ტროპიკულ აფრიკაში. ქერის 75-80% გამოიყენება საქონლის გამოსაკვებად. დღეს მიმდინარეობს ინტენსიური სელექციური სამუშაოები ქერის საკვებად არასრულფასოვანი ცილის გასაუმჯობესებლად, ამინომჟავების შედგენილობის შესაცვლელად; ამისათვის გამოყენებულია ლიზინით მდიდარი ქერის ევროპული ფორმები.

ძალიან დიდია ქერის მნიშვნელობა ღუდის წარმოებაში. მარცვლისგან ამზადებენ ფქვილსა და ღერძილს. ქერის ფეკილისაგან გამომცხვარი პური ამჟამად თითქმის არსად არ გამოიყენება. იგი ადამიანისათვის ძნელად მოსანელებელი პროდუქტია. საკვები ღირებულების ქერის ფეკილს უმატებენ პურის ფეკილს. იგი ძვირფასი კონცენტრირე-



სურ. 117. ხორბლის თავთავი ჩამავალი მზის ფონზე.

ბული საკვებია მეღორეობასა და მეფრინველეობაში.

ჭვავი (Secale cereale) – ხორბლისა და ქერის ნათესებში ოდითგან იზრდებოდა როგორც სარეველა მცენარე. ამიტომ მას მეორეულად გაკულტურებულ მცენარედ თვლიან, წინაისტორიულ ეპოქებში, არახელსაყრელი კლიმატური პირობების დროს, როდესაც ნადგურდებოდა კულტურული მარცვლოვნები, ჭვავს პურეულ მცენარედ იყენებდნენ. ჭვავის ენდემური წინაპრების წარმოშობის ცენტრად მიიჩნევენ ამიერკავკასიასა და ტერიტორიას აღმოსავლეთ ანატოლიიდან, ვიდრე ირანამდე. 11 ენდემური სახეობიდან 1 ცნობილია სამხრეთ აფრიკიდან. ჭვავი – სარეველა მცენარე – ამ რაიონებში სხვა მარცვლოვნებმა შეაღწიროვნეს, როგორც არახელსაყრელი კლიმატური პირობებისადმი (გვალეა, სიცილე, მანეე ორგანიზმები) გამძლე მარცვლოვანი. დაახლოებით 2000 წლის წინათ, ჭვავმა ფეხი მოიკიდა ჩრდილოეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკის შედარებით მაღალ განედებში. ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთ ევროპაში ჭვავის ფეკილისაგან დღემდე აცხობენ პურს. შავი, უხეში შედგენილობის ჭვავის პური დიდი ხნის განმავლობაში არ ხმება, ამიტომ, როგორც შესანახ პროდუქტს, სხვა პურეულთან შედარებით, მას აძლევენ უპირატესობას.

საქართველოში, როგორც კულტურული მარცვლოვანი, მცირე რაოდენობით მოჰყავთ მთებში.



სურ. 118. ფილიპინები. ბრინჯის აღმონაცენის ჩარგვა წყლით დაფარულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულში.

ბრინჯი (Oriza sativa) – მარცვლოვანი კულტურა – კვებას დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტს. თითქმის ექვსი ათასი წელია წარმოადგენს შეუცვლელ პურეულს აზიის მრავალ ქვეყანაში (ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია). აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში დღემდე აწეობენ ბრინჯის დღესასწაულს. ბრინჯის გარკვეული სახეობა (*O. fatua*, *O. minuta*) იზრდება აზიისა და აფრიკის ტროპიკული ქვეყნების მეჩხერი წყლებით დაფარულ გრუნტზე (უკავია 130 მლნ ჰა ფართობი). პირველად კულტურაში დაინერგა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

მის უშუალო ენდემურ წინაპრად მიიჩნით *O. fatua*. დედამიწის სხვადასხვა რეგიონში ბრინჯის განსახლება მოხდა ჩინეთიდან. ერთი მხრივ, დანერგეს კორეასა და იაპონიაში, მეორე მხრივ, ინდონეზიიდან დასავლეთ ევროპაში, ინდონეზიისა და ფილიპინებში. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბრინჯი გაიტანეს სპარსეთში, შემდეგ – შუამდინარეთში. XVI საუკუნეში, ევროპის ქვეყნებიდან პირველად, ბრინჯი კულტურულ მცენარედ მოჰყავდათ იტალიაში, ამერიკაში მოხდა XVIII საუკუნეში. ბრინჯი ერთადერთი კულტურაა, რომელიც მოსავლეთ წყლით დაფარულ ნიადაგზე, მოსავალს იღებენ მინდვრიდან წყლის გაშეებისა და ნიადაგის გაშრობის შემდეგ. ცნობილია 20-მდე სახეობა. საქართველოში შემოიტანეს ირანიდან. XX საუკუნის დასაწყისიდან მისი ფართობი თანდათანობით შემცირდა და ამჟამად ჩვენში აღარ მოჰყავთ. დღეს გავრცელებულია გლობალურად. არჩევენ კულტურული ბრინჯის ორ გეოგრაფიულ ფორმას – მთისა და ბარის. მთის ბრინჯი არ ირწყეება, ბარისა – ჭარბი ტენი, წყალი სჭირდება.

აზიის ბევრ ქვეყანაში ბრინჯი შეუცვლელი საკვებია. მისგან ამზადებენ ყუათიან ბურღულს. ბრინჯის მოსავლის აღების შემდეგ, სასაქონლო სახის მისაღებად, მის მარცვლებს აცლიან კანს, აპრილებენ. ამ დროს მარცვლი კარგავს ბევრ სასარგებლო ნივთიერებას, რჩება მხოლოდ სახამებლით მდიდარი საკვები პროდუქტი. ამიტომ, აკლია რა ვიტამინი B, მხოლოდ ბრინჯით კვებისას ადამიანის ორგანიზმში ხდება მთელი რიგი პათოლოგიური ცვლილებები – ზიანდება პერიფერიული ნერვული სისტემა და კუნთები. მოძრაობისას ადამიანი კარგავს წონასწორობას, ირწყევა სისხლის მიმოქცევა. მსგავსი ავადმყოფობა ცნობილია ბერიბერის სახელწოდებით. ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად, ბრინჯისაგან დამზადებულ შეჭმანდს უმატებენ ხორცს, ბოსტნეულს, ხილსა და სუნელებს. ფლავი მსგავსი კომბინირებული საკვების ტიპური ნიმუშია. ბრინჯის ნამჯისაგან ამზადებენ ქუდებს, კალათებს, ჭილოფს, ქაღალდას და სხვ.

თუ ძველი ეგვიპტელებისათვის მთავარ საკვებ მარცვალეულს პური წარმოადგენდა, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის აბორიგენებისათვის (მაია, ინკები) ასეთივე მიღებულ მარცვალეულად დღემდე რჩება **სიმინდი**. მართალია, სიმინდი (*Zea mays*) მარცვლოვანთა ოჯახს მიეკუთვნება, მაგრამ მათგან მნიშვნელოვნად განსხვავდება გარეგნულადაც (და ნიადაგში საკვები ნივთიერებებისადმი მოთხოვნების თვალსაზრისითაც. სიმინდი იზრდება ექვს მეტრამდე და ამ მხრივ, ბალახოვან მცენარეებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მცენარეა. ერთადერთი მარცვლოვანი კულტურაა, რომელიც ტაროს იკეთებს. ჯიშების მიხედვით, ტაროს სიგრძე მერყეობს 3-45 სანტიმეტრის ფარგლებში. თითოეულ ტაროზე შეიძლება 1000-მდე მარცვალი განეფთარდეს.

სიმინდი მიეკუთვნება მცენარეთა ერთ-ერთ ყველაზე გაკულტურებულ ჯიშებს. მისი შემდგომი გამრავლება მოლიანად ადამიანზე დამოკიდებული. მაგალითად, ხორბლის მარცვალი თვითონ ცვივა თავთავიდან ნაიადაგში და შეუძლია აღმოცენება, სიმინდი კი ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია. მისი მარცვლები მოთავსებულია ტაროს გამსხვილებულ ღერძზე. გარდა ამისა, შეფუთულია ტაროს ფურცლებით. თუ ადამიანმა არ დაფშენა ტარო და არ დათესა მარცვლები, მცენარე არ აღმოცენდება. დროთა განმავლობაში კი აღმოცენების უნარს კარგავს.



სურ. 119. სიმინდის ტარო (სამეგრელო).

არქეოლოგიური გათხრებისას, სამხრეთ ამერიკაში ნაპოვნი სიმინდის ნაშთები დათარიღებულია 7000 წელზე მეტი ხნით. პატარა ტაროებიანი ეს მცენარე დიდად არ განსხვავდება თანამედროვე ამერიკელი აბორიგენების მიერ კულტივირებული იმავე მცენარისაგან. შესაბამისად, სიმინდი კულტურაში უფრო დიდი ხნის წინათ უნდა დაენერგათ. ვარაუდობენ, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე ძველი კულტურული მცენარეა დელამიწაზე. ხორბლისა და ბრინჯის ნათესების შემდეგ სიმინდს მესამე ადგილი უკავია დელამიწაზე (110 მლნ ჰა-ზე მეტი).

სიმინდის ველური წინაპარი გადაშენებულია. ცენტრალურსა და სამხრეთ ამერიკაში ამჟამად იზრდება მარცვლოვანთა ორი გეარო: ტრიპსაკუმი (*Tripsacum*) და თეოსინტე (*Euchlanea*). ორივე ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფება სიმინდთან. სპეციოლისტები თვლიან, რომ გეარო *Zea* ან მათგან უნდა განშტოვებულიყო, ან შორეულ წარსულში სამივეს ერთი წინაპარი გააჩნდათ. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაზე რეალურია შემდეგი მოსაზრება: სიმინდი თვითონ, ბუნებრივად წარმოიშვა ჰიბრიდიზაციის გზით. ეს უნდა მომხდარიყო სიმინდის გადაშენებული წინაპარი გეარების - ტრიპსაკუმი-თეოსინტე სახეობებიდან შეჯვარების გზით. წარმოქმნილი ჰიბრიდი ახალ მცენარედ იქცა.

დაბოლოს, სიმინდის კულტურულ ფორმად ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ადამიანს მიუძღვის. მცენარის მსგავსი ფორმირება ჯერ მოხდა მექსიკაში, მოკვიანებით - პერუში. ამ ქვეყანაში სიმინდი ზღვის დონიდან 3000 მეტრზე მაღლა

მოიყავთ. სიმინდი კოლუმბამდელ ამერიკაში გავრცელებული იყო სამხრეთ ამერიკიდან, ვიდრე სამხრეთ კანადამდე, ევროპაში შეიტანეს XV საუკუნეში, XVI საუკუნიდან გავრცელდა ყველა კონტინენტზე, სადაც ზომიერი და სუბტროპიკული კლიმატია (სიმინდი სითბოს მოყვარული კულტურაა). საქართველოში პირველად XVII საუკუნეში შემოიტანეს. აშშ-ში იდევალური პირობებია ამ მცენარის გასახარებლად, ამიტომ სიმინდის მსოფლიო მოსაყვლის ნახევარი ამ ქვეყანაზე მოდის.

ადამიანი სიმინდის ნაყოფს საკვებად იყენებს. სიმინდის ფქვილი ძალიან მდიდარია ნახშირწყლებით (65-70%), ცილებითა (9-12%) და ცხიმებით (4-6%), ხოლო მარცვალი მოკლებულია შეწებების უნარის მქონე ნივთიერებებს, შეუძლებელი ხდება სიმინდის ფქვილისაგან რბილი მასის მქონე პურპროდუქტების გამოცხობა. ზოგიერთ ქვეყნებში მას წმინდა მჭადის (კვერის) სახით აცხობენ, ან ამზადებენ ფაფას, სხვაგან სიმინდის ფქვილს პურულთა სხვა მარცვლებისაგან დაფქულ ფქვილს უმატებენ. საინტერესოა, რომ ინკების სახელმწიფოში სიმინდის ფქვილისა და ლამას სისხლისაგან ამზადებდნენ რიტუალურ შეჭამანდს - სისხლიან პუდინგს. ცნობილია სიმინდის ჯიშები, რომელთა მარცვლისაგან მზადდება ბატიბუტი. სიმინდის ნაყოფისაგან, ჯერ კიდევ მაიასა და ინკების დროიდან, აყენებდნენ ალკოჰოლურ სასმელებს. ამჟამად მარცვლისგან ხდიან ლულს, ხოლო მარცვლის სახამებელი გამოიყენება ვისკის დასამზადებლად. მაღალი ხარისხით გამოირჩევა სიმინდის ზეთი.

სიმინდის მარცვალი მცირე რაოდენობით შეიცავს ვიტამინ B-ს, ამიტომ სიმინდით მკვებავ ქვეყნებში ადამიანები ავადდებიან განსაკუთრებული დაავადებით - პელაგრიით.

სიმინდი როგორც ნედლი მასის, ისე სილოსის სახით ძვირფასი პროდუქტია საქონლის გამოსაკვებად. ყველაზე მეტი დამფასებელი სიმინდის მექსიკაში ჰყავს. სიტყვა „მაის“ იქ ჯედლოსური ელვადობის შემცველია. მექსიკაში სიმინდის ათობით ჯიშია ცნობილია. ბოტანიკოსმა ანდერსონმა ქალაქ გუადალახარას მახლობლად, ორ სოფელში დაითვადა სიმინდის იმდენი ჯიშო, რამდენიც არ ხარობს აშშ-ის სიმინდით ყველაზე მეტად ცნობილ შტატებში. საინტერესოა სიმინდის მექსიკური ჯიშების ფერი. ყვითელი და თეთრი ფერის მარცვლების გარდა, ადგილობრივებს მოჰყავთ შავი და განსაკუთრებით ლურჯმარცვლიანი ჯიშები. სიმინდი ტენის მოყვარული კულტურაა, მაგრამ მექსიკაში არის რაიონები, სადაც წელიწადის განმავლობაში წვიმის წეთიც არ ჩამოვარდება, სიმინდი კი ხარობს. როდესაც აშშ-ში სიმინდის ამ ჯიშის გახარება სცადეს, აგრონომებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. სელექციონერები განცვიფრებულები დარჩნენ იმითაც, რომ მექსიკის რიგი რაიონების თითოეულ სოფელში სიმინდის ადგილობრივი ჯიშები მოჰყავთ. მსოფლიოში სიმინდის ნათეს ფართობს, ხორბლის შემდეგ, მეორე ადგილი უკავია.

კარტოფილი (*Solanum tuberosum*). მეცნიერული სახელწოდების ავტორია შვეიცარიელი ბოტანიკოსი კასპარ ბოქენი (1596 წ.). კარტოფილი მარცვლურად კულტურებთან ერთად, სახამებლით მდიდარ მცენარეებს მიეკუთვნება. მცენარეთა სამეფოდან, პურეულის შემდეგ, კარტოფილს ადამიანის კვების რაციონში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია.

განსხვავებით ზემოთ დახასიათებული მცენარებისაგან, კარტოფილი მიეკუთვნება ძალღერძოვნებს (Solanaceae) ოჯახს. იგი მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა. კარტოფილის ნაყოფი – კენკრა – საკვებად უყარვისია. ადამიანი კარტოფილს ამრავლებს ამ მცენარის გორგლების მისაღებად. თვითონ გორგლი ყლორტების მიწისქვეშა სახეცვლილებია. ამგვარად სახეცვლილ ყლორტს სტოლონი ეწოდება. გორგლი წარმოიქმნება სტოლონის წვერო ნაწილის გასქელებით.

გვარ *Solanum*-ში ცნობილია 1000-ზე მეტი სახეობა, მათ შორის გორგლს იეთარებს მხოლოდ 150.

კარტოფილის სამშობლოა სამხრეთი ამერიკა. ვარაუდობენ, რომ ანდების მაღალ პლატოზე, ვეებერთელა ტბა ტიტიაკას ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე (პერუსა და ბოლივიის საზღვარზე) მოხდა კარტოფილის პირველი კულტურული ფორმების გამოყვანა. მაგრამ ძალღერძოვნებს ველური ფორმები, რომლებიც გორგლებს იეთარებენ, გაერცვლებულია ვეებერთელა ტერიტორიაზე – ცენტრალური მექსიკიდან, ეიდრე ჩილეს ჩათვლით.



სურ. 120. კარტოფილის მოსავალი მთიან პერუსში.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, პერუსა და ჩილეში, კარტოფილის გორგლებს საკვებად იყენებდნენ ჯერ კიდევ 14000 წლის წინათ, მათ შორის გამომშრალ კარტოფილსაც. მსგავსი წესით მას დღემდე ამზადებენ ანდების მაღალმთიანეთში მცხოვრები ინდიელები. ეს ასე ხდება: კარტოფილის გორგლებს მიწიდან იღებენ ყინვიან ამინდში,

შემდეგ შიშველი ფეხებით ზეღენ მანამდე, სანამ გორგლისგან მეტი წილი წყალი არ გამოიღებება. ასეთ კარტოფილს რამდენიმე დღის განმავლობაში დებენ მსუხუ, მის სრულ გამოშრობამდე. მიუღ ამ პროცედურას 4-5 დღე უნდება. მიღებულ საკვებ პროდუქტს – ჩუნიოს (თერთ, სახამებლით აღსავსე, მშრალი პროდუქტი) – ინახავენ ზამთრის მარაგად. ჩუნიოს მაღალი ანდების მოსახლეობა არაერთხელ გადაურჩენია ზამთარსა თუ მოესხველიან წლებში.

ბუნებაში არსებული კარტოფილის რამდენიმე ათეული სახეობიდან იყენებენ მხოლოდ ორ ახლო მონათესავე სახეობას: ანდების კარტოფილი (*S. andigenum*). ამ სახეობას კულტურაში ოდითგან იყენებენ კოლუმბიაში, ეკვადორში, პერუსში, ბოლივიასა და არგენტინაში. მეორე სახეობაა – ჩილეური, ანუ ტუბერმატარებელი (*S. tuberosum*) კარტოფილი. მისი სამშობლოა ცენტრალური ჩილეს მთიანეთი, აგრეთვე ქუეჩის მახლობელი კუნძულები. სწორედ ეს სახეობა გაერცვლდა დედამიწის ლამიური კლიმატის ქვეყნებში. სამხრეთ ამერიკის მთის მოსახლეობა, კვების მისწივით, თავის კარმოდამოში აშენებს აგრეთვე ველური კარტოფილის რამდენიმე სახეობას.

ევროპაში კარტოფილი შეიტანეს XVI საუკუნეში (1565 წელს). აქედან ძალიან სწრაფი ტემპით გაერცვლდა კონტინენტის სხვა ქვეყნებში. სახელწოდებაც – Kartoffel – გერმანული ენის მიხედვით ეწოდა.

კარტოფილი ირლანდიაში მოხვდა 1580 წელს. აქედან კი (საინტერესო ფაქტია!) უკანეც, ახალ სამყაროში მოუწია „მოკაზურობა“ – წაიტანეს ჩრდილოეთ ამერიკაში. აქ მას „ირლანდიური კარტოფილი“ (?) უწოდეს.

რუსეთში მისი დანერგვა დაკავშირებულია პეტრე I-ის სახელთან. ხელისუფალმა თავის ქვეყანაში ერთი ტომარა კარტოფილის გორგალი ძოლანდიიდან გააგზავნა. საქართველოში კარტოფილის ნათესები პირველად 1820-იან წლებში გაჩნდა. 1840 წლიდან გაერცვლდა მთელ მსოფლიოში. წელიწადში მოიყავთ 300 მილიონი კილოგრამი გორგალი. ფრთიანი გამოთქმა – „კარტოფილი – მეორე პური“ – გადაიტყა ანბანურ ჯემშირიტებად. ამჟამად მსოფლიო მეკარტოფილეობის ცენტრი ევროპა გახდა. დედამიწაზე გამოყვანილია კარტოფილის ათასობით ჯიში. XVIII საუკუნიდან ამ კულტურას იყენებდნენ არა მხოლოდ როგორც ბოსტნეულ მცენარეს, მისგან პურსაც კი აცხობდნენ. მსგავსი იაფფასიანი პური ღარიბთა და მოუსაფართო ერთადერთი საკვები იყო. კარტოფილით მოუსაველიან წლებში ევროპის სოფიერთი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ნადგურდებოდა.


კარტოფილის გორგალი საშუალოდ 77%-მდე წყალს შეიცავს. მშრალი მასის 17,5% სახამებელია, 0,5% – ნახშირწყლები, 1-2% – ცილები და 1%-მდე – მინერალური ნივთიერებები.

XV საუკუნეში ქრისტეფორე კოლუმბი როდესაც

ამერიკის ნაპირზე გადავიდა, ადგილობრივმა მოსახლეობამ სტუმარს ტკბილი გორგლები მიაართვა. გამორჩენილმა მესლეურმა სიამონებით გასინჯა ამ გორგლებისგან – ბატატისაგან (*Ipomoea batatas*) დამზადებული სხვადასხვა შეჭამანდი. ეს მცენარე უწინარესად, სამხრეთ ამერიკაში, განსაკუთრებით პერუში მოჰყავთ. ამავე კონტინენტზე ოდითგან სარგებლობენ კიდევ ერთი გორგლიანი მცენარით – მანიოკით (*Manihot esculenta*). ინდიელების მიერ მისი კულტივირების ისტორია დაახლოებით 5000 წელს მოიცავს. მანიოკისგან დამზადებული პური, სხვა პროდუქტებთან ერთად, გაასინჯეს კოლუმბს ცენტრალურ ამერიკაში მის საპატივცემულოდ გამართულ ნადიმზე. ამაჟამად მანიოკი ტროპიკულ ქვეყნებში მცხოვრები ხალხის მთავარი პროდუქტია.

ცილისა და ცხივის შემცველი მცენარეები

ადამიანის კვებით რაციონში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პარკოსან კულტურებს – მცენარეული ცილების ამ მნიშვნელოვან წყაროს. ლობიოს, ბარდასა და ოსპის ნაშთები მოკვლეულია 6000 წლით დათარიღებული ბაბილონის კულტურულ ფენებში, რამდენადმე მოგვიანებით ეგვიპტის ფარაონთა სამარხებში. ძველ საბერძნეთში, 5000-4000 წლის წინათ, ოსპისგან დამზადებული შეჭამანდით შიმშილის გრძნობას იკლავდნენ მოსახლეობის ღარიბი ფენები. პარკოსანი მცენარეები გაჭირვების ტალკევის იყო რომის იმპერიის ყველაზე დაბალი კლასის მოსახლეობისათვის.



სურ. 121 სხვადასხვა ჯიშისა და ფერის ლობიო, ასეთივე სიმინდთან ერთად (პერუ).

ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასი წლის წინათ ლობიოს რამდენიმე სახეობა, როგორც საკვები პროდუქტი, ცნობილი იყო სამხრეთ ამერიკიდან (ბრაზილია, მექსიკა). პარკოსანი კულტურები ძირითადი საკვები ყოფილა მექსიკაში 8000-5000 წლის წინათ. ჩვეულებრივი ლობიოს (*Phaseolus vulgaris*) ჯიშების მრავალფეროვნების (20-მდე) ცენტრი მექსიკაა. ცნობილია როგორც ბუჩქისებრი, ისე ხეიარა ფორმები.

XVI საუკუნიდან ბარდა (*Pisum spp.*) და ჩვეულებრივი ლობიო ფართოდ დაინერგა ევროპის

ქვეყნებში, საქართველოში ცნობილია XVI საუკუნიდან.

ლობიო განსაკუთრებით მდიდარია ცილებით (31%), ნახშირწყლებით (58%), ღარიბია ცხიმებით (3,5%). გააჩნია განსაკუთრებული ამინომჟავები, რაც არა აქვს პურეულს.

კულტურული სოია (*Glycine max*) – გაერთიანებულია პარკოსანი მცენარეების (*Fabaceae*) ოჯახში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოია, როგორც უნივერსალური საკვები კულტურა, მეორედ იქნა აღმოჩენილი XX საუკუნეში. ამ მცენარის ნაყოფის მნიშვნელობა ადამიანის მცენარეულ ცილებსა და ცხიმებზე მოთხოვნილების თვალსაზრისით უკანასკნელ დროს დაფასდა. სოიის მარცვალში 35-50% ცილაა, ხოლო 13-37% – ცხიმები; ამგვარად, ცილების სიმდიდრის მხრივ, ამ მცენარეს თითქმის არ ჰყავს ბადალი. შეიცავს D, B, E და სხვა ვიტამინებს.

სოიის გვარი ახლონათესაურ კავშირშია ლობიოსთან (*Phaseolus*). მისი მეტწილი სახეობები მრავალწლოვანი ხეიარა მცენარეებია, გავრცელებულია აფრიკის, სამხრეთ აზიის, ავსტრალიისა და ოკეანის ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. მაგრამ კულტურული სოია ერთწლოვანი, ბუჩქის მსგავსი, დაბალი მცენარეა. დედამიწის სხვადასხვა კულტურული სოია აგებულია, ყვავილებისა და ნაყოფის შეფერილობით, ფორმით ფრიალ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ამჟამად სოიას კულტურა მთელ დედამიწაზე მოჰყავთ, განსაკუთრებით აღმოსავლეთ აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, მაგრამ ძალიან დიდა მისი სამეურნეო მნიშვნელობა სამხრეთ აზიის, ბალკანეთის, კავკასიისა და სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები მოსახლეობისათვის.

სოიის კულტურის გარემოსადმი ეკოლოგიური მოთხოვნილება ემთხვევა სიმინდის კულტურის ანალოგიურ მოთხოვნილებებს. გარდა ამისა, სოიის ფესვებზე სახლდება აზოტმაფიქსირებელი ბაქტერიები, ამიტომ, ხშირად ამ ორ კულტურას ერთად თესვენ.

სოიის ჯიშთმრავალფეროვნების ცენტრი ჩინეთში მდებარეობს. აქ ხარობს სოიის ყველა მორფოლოგიური ფორმა, ინდოეთში კი იზრდება მხოლოდ ხეიარა ფორმები. ზემოთ ჩამოთვლილ, დანარჩენ ქვეყნებში, მოჰყავთ ამ მცენარის მხოლოდ ბუჩქის მსგავსი ჯიშები.

სოიის ეელური ფორმები უცნობია, მაგრამ ჩინეთის ზოგ ტაივანში, შორეულ აღმოსავლეთში, იაპონიასა და ტაივანში ხარობს ახლომონათესავე ფორმა – *Glycina soja*. იგი ხეიარა მცენარეა. მორფოლოგიური ნიშნების გარდა, კულტურულთან იდენტურია ქრომოსომათა დიპლოიდური კომპლექტი – $2n=40$. გარეული და შინაური ფორმები ჯვარდებიან და იძლევიან ფერტილურ შთამომავლობას. ეს ფაქტები მტყვევლებს იმაზე, რომ სოიოს კულტურა ეელური სახეობისაგან წარმოიშვა, თუმცა სპეციალისტები თვლიან, რომ კულტურული სოიის

ფორმირებაში მონაწილეობდა გვარი Glycine-ს სხვა ევლური სახეობები. სულექციონერთა მეტი წილი ვარაუდობს, რომ სოიის კულტურაში დანერგვა უნდა მომხდარიყო ჩინეთის ცენტრალურ და ჩრდილოეთ რაიონებში. სწორედ აქ მოჰყავთ ამ მცენარის ყველაზე პრიმიტიული ჯიშები.

ძველი ჩინური იეროგლიფების მიხედვით ფიქრობენ, რომ ჩინეთში სოიის კულტურის მოშენებას მისდევნენ სულ ცოტა 2500 წლის განმავლობაში. პირველი ცნობები სოიის შესახებ ევროპაში მოხვდა XVI საუკუნეში, მაგრამ მისი სამეურნეო მნიშვნელობა გაიგეს მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში. ამ მხრივ, 20-იან წლებში, მცენარის ტექნიკური შეფასება აშშ-ში მოხდა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკელები სოიის ცხიმებით ამარაგებდნენ არა მხოლოდ ამ ქვეყანას, არამედ მის მოკავშირეებსაც. მალე სოიის პროდუქტთა წარმოებით აშშ-მა გაუსწრო ჩინეთს (ამჟამად დღემდე იწიწი ამ კულტურით ათეისებული ფართობის 3/4 აშშ-სე მოიღეს).

აზიის მეტწილ ქვეყნებში მცენარეული წარმოშობის ცილებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ სოია ასეთ მცენარეებს შორის განსაკუთრებულ როლს თამაშობს. დამწიფებული ნაყოფისაგან ფქვეან სოიის ფქვილს, ფქვილისაგან ამზადებენ სხვადასხვა პროდუქტს, მათ შორის სოიის რძესა და მისგან დამზადებულ ყველს. სოიის თესლი გამოიყენება სხვადასხვა შეჭამანდში. პასტების სახითაც, სოიის ზეთისგან მარგარინს ამზადებენ.

სოიისგან მიღებული ცილა ეკონომიურად ყველაზე იაფია, ამიტომ ცილების უკმარისობის სალიკვიდაციოდ მასზე დიდ იმედებს ამყარებენ განვითარებად ქვეყნებში.

მიწისხილი (*Arachis hypogaea*) მიეკუთვნება პარკოსანთა ოჯახს (*Fabaceae*). ამ გვარში გაერთიანებულია 30-მდე სახეობა, რომლებიც იზრდებიან სამხრეთ ამერიკაში, მდინარე ამაზონის ხეობასა და ლა-პლატას ყურეს (ატლანტის ოკეანე) შორის, ატლანტის ოკეანიდან, ვიდრე ანდებამდე. მრავალწლოვანი და ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ნაყოფი მწიფდება ნიადაგში (ე.წ. გეოკარპიის ტიპური მოვლენა); პარკი 1-6 სმ სიგრძისაა, 1-5 თესლით. მცენარეული ზეთების შემცველობითა და მნიშვნელობით ჩამორჩება მხოლოდ სოიას, თესლი შეიცავს 40-60% ცხიმს, 25-35% - ცილას, 5-12% - ნახშირწყლებს, ვხვდებით ასევე B, E ჯგუფის ვიტამინებს.

ამჟამად მიწისხილის ნარგავებს ყველაზე მეტი ფართობი უკავია ჩინეთში, დასავლეთ აფრიკაში, ინდოეთსა და აშშ-ში. მსოფლიოში მიწისხილისა (პარკები) და მისი პროდუქტების (არაქისის კარაქი) მთავარი ექსპორტიორია აფრიკის ქვეყნები (ნიგერია, სენეგალი, სუდანი). არაქისის კარაქი შესანიშნავი პროდუქტია, მისგან ამზადებენ ასევე მარგარინსა და შოკოლადს. დელიკატესია მისი შემწვარი თესლი, რომელსაც უმატებენ მარილს, ანდა შაქარს.


A. hypogaea-ს ევლური სახეობები უცნობია. მი-

წისხილის ახლო მონათესავე სახეობები, იზრდება სამხრეთ ამერიკაში. კულტურული ფორმის წარმოშობის ცენტრად მიჩნეულია ბოლივიის ანდები. მიწისხილის ნაშთები მიეკუთვნება წინაისტორიულ პერიოდს (მიკელეულია პერუში), იგი ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში მექსიკაშიც შესულა. ამერიკის აღმოსავლეთ შემდეგ მიწისხილი გავრცელდა აღმოსავლეთ ნახევარსფეროში - აზიასა და აფრიკაში (XVI-XVII საუკუნეები). ევროპაში სამხრეთ ასიიდან შემოიტანეს.

მომრეპროდუცირებადი კულტურები

ეთერზეთოვანი კულტურებიდან, კერძოდ, სელის (*Linum usitatissimum*) ბოტკოვან ტანსაფარს ამზადებდნენ როგორც დასავლეთ ევროპაში, ასევე ძველ ეგვიპტესა და მეზოპოტამიაში. ნაბუქოდონოსორის სასახლის ნარჩენებში მოკლეულია ნუშის ნაყოფისაგან ზეთის დამზადების რეცეპტები.

ზეთისხილი (*Olea europaea*) ადამიანი იყენებდა ჩვენი წელთაღრიცხვამდე 4000 წლის წინათ. მისგან დამზადებული ზეთი გამოიყენებოდა სირიაში, პალესტინასა და საბერძნეთში. ზეთისხილით ხავსე კასრები სიმდიდრის სიმბოლო იყო. მცენარის ნაყოფისგან ღარიბები საჭმელსაც ამზადებდნენ.



სურ. 122. ოკეანის ნაპირზე გავრეული ქოქოსის პალმის ნაყოფი (მალაიზია; ოკეანეთა დინებებით ასე ხდება ამ მცენარის განთესვა დელამიწის ტროპიკულ განედებში).

ქოქოსის პალმა (*Cocos nucifera*) - ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტროპიკული ხემცენარეა. იზრდება 20 მეტრამდე (ვხვდებით ჯუჯა ფორმებსაც). მისი ტანწერწეა ტანის (ზრო) სიმსხო არ აღემატება 35 სანტიმეტრს. გვირგვინად გადაშლილი ფრთისებრი ფოთლების რიცხვი 40-მდე



სურ. 123. ქოქოსის ნაყოფის გამყიდველები. ფილიპინები.

აღწევს, სიგრძით – 5 მეტრია, ხოლო სიგანეში 1,7 მეტრამდე იზრდება. შესაბამისად, ფრიად დეკორატიული მცენარეცაა. ქოქოსის პალმა იეთარებს ვეებერთელა ნაყოფს – ქოქოსის კაკალს (იწონის 1,5-2,5 კგ-ს). გარედან დაფარულია გლუვი, წყალგამტარი მწვანე ან მოყავისფრო გარსით. მის შიგნით მოთავსებულია ძალიან სქელი ბოჭკოვანი შრე. ამ უკანასკნელს მოჰყვება კიდევ ერთი, ძალიან მაგარი, გაქვავებული გარსი, რომლის შიგნით კაკლის გული – ენდოსპერმაა მოთავსებული (რითაც იკვებება ახლად აღმოცენებული მცენარე).

ქოქოსის პალმას დიდი და მრავალმხრივი გამოყენება აქვს ადგილობრივ მოსახლეობაში. თითქმის არ არსებობს ამ ხის ორგანო, ნაწილი, რომელსაც სამეურნეო მნიშვნელობა არ აქონდეს. ძალიან მაგარი ტანისგან აკეთებენ ბოძებს, საყრდენებს, აეფებს, ფოთლებისგან – საცხოვრებლის სახურავს და საწინაე კალათებს. ყველაზე მეტად ფასობს პალმის ნაყოფი. ბოჭკოვანი შრისაგან, წყალში მაგრად გაჯირჯეების შემდეგ, იღებენ ბოჭკოს კონას, მისგან მზადდება ბაგირები, თოკები. ქვისებრი გარსისგან ამზადებენ ჭურჭელს; ახალგაზრდა ნაყოფისაგან, ხანჯლისებური დანით მისი გადაჭრის შემდეგ სემენ ქოქოსის „რძეს“, იგი შეიცავს ბევრ ნახშირწყლებს, ამიტომ ტროპიკულ სიტყვაში შესანიშნავი გამაგრილებელი საშუალებაა; ქოქოსის პალმის უმთავრესი პროდუქტია ცხიმებით მდიდარი (30%-მდე) კოპრა-ქოქოსის კაკლის გული. კურკისა და ნაყოფის თესლის ენდოსპერმისგან საუკეთესო სუთს ხდიან. მზეზე გამომშრალ ნაყოფს აცლიან გულს, მისგან ამზადებენ მარგარინს, საკულინარო ცხიმს, იყენებენ ნედლეულად საპნის წარმოებაში; პალმაზე მოჭრილ ახალგაზრდა ყვაილედიდან აგროევენ ტკბილ წვეს. იგი სასიამოვნო დასალევია. დუღილის შემდეგ მიიღება პალმის ღვინო. დისტილირების შემდეგ დამზადებული, შედარებით მცირე ალკოჰოლის შემცველი ეს სასმელი ფართოდ არის გავრცელებული ტროპიკებში.

ქოქოსის პალმის სამშობლოდ მიჩნეულია აზიის ტროპიკული რაიონები. პალმის ნაყოფის ენდოსპერმა გარედან საიმედოდ არის დაცული გარსითა და ბოჭკოვანი შრით, ამიტომ ქოქოსის ნაყოფს შეუძლია კვირების განმავლობაში იტიეტივოს ოკეანის მლაშე წყალში და არ დაკარგოს აღმოცენების უნარი. ნაყოფის ამ იშვიათი უნარის გამო იგი ფართოდაა გავრცელებული დედამიწის ტროპიკულ ზონაში, თვით ამერიკის ჩათვლით.

მზესუმზირა (*Helianthus annuus*) – მიეკუთვნება რთულყვავილოვანი ოჯახის მცენარეებს. გვარი *Helianthus* ფართოდ არის გავრცელებული ამერიკაში. 50-მდე ბალახოვანი სახეობა ცნობილია ჩრდილოეთ ამერიკიდან, 28 სახეობა (მეტწილად ნახევრად ბუჩქები) – მექსიკიდან და პერუდან. მას მიე-



სურ. 124. მზესუმზირას ყვავილი.

კუთვნიება *H. lenticularis*, სახეობა, რომლის ნაყოფსაც ინდიელები უმაღ ჰამენ. ამ მცენარის თესვლები ნაპოვნია თიხის ჭურჭლებში. მათი ასაკი შეფასებულია 3000-2000 წლით. ესპანელების ამერიკაში მოხვედრამდე, მცენარის ამ ყვალური სახეობისაგან წარმოიშვა ჩვენთვის კარგად ცნობილი მსუსუმშირა (*H. annuus*). მსუსუმშირის სამშობლო ძველი მექსიკაა. იგი აქ მოჰყავდათ მრავალი ათასი წლის წინათ. ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელები ამ მცენარეს ახარებდნენ როგორც მინდერის კულტურას, იყენებდნენ სხვადასხვა რიტუალის დროსაც. „მისი ყვავილისადმი“ აბორიგენტთა გარკვეული თავჯანსი-ცვმა გამომდინარეობდა მსუსუმშირას ცნობილი „თესიებიდან“ – გაშლილი, კაშკაშა ყვითელი ყვავილები (ყვავილეთი) ყოველთვის მიმართულია მისიკენ და მნათობის გადაადგილების პარალელურად, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მოძრაობს.

მსუსუმშირა ერთწლოვანი მცენარეა. აქვს ერთ მეტრზე მაღალი ღერო. ღეროს კენწეროსე განვითარებულია დიდი კალათა – ყვავილეთი. მისი დიამეტრი ნახევარ მეტრამდე აღწევს. ყვავილეთი შედგება უამრავი (1000-მდე) წვირილი ყვავილისაგან. კალათას შუაგულში მიღისებრი ყვავილებია განლაგებული. ასეთ ყვავილებში ვითარდება ნაყოფი – თესვლები. ყვავილეთის კიდებზე ყვითელი ფერის, ენისებრი ყვავილებია განლაგებული. მათში არც მტკრიანებია და არც ბუტკოები. შესაბამისად, მათგან ნაყოფი არ წარმოიქმნება. ბრდღვიალა, ენისებრი ყვავილეთის დანიშნულება მწერების მიზიდვა, რათა კალათის შუაგულში განლაგებული მიღისებრი ყვავილები დაამტკრიანოს. თესვლებს მკერიე, სხვადასხვა ფერის (მეტწილად პრიალა შავი) გარსი და ზეთოვანი თესლი უვითარდება. გამშრალი თესლისგან არომატულ ზეთს ხდიან (ზეთის რაოდენობა თესლში ცვალებადობს 29-57% შორის). ზეთი გამოიყენება საკვებად, მარგარინის, ჰაღვის, სანის დასამზადებლად. თესლებიდან ზეთის გამოწურვის შემდეგ დარჩენილ კომპონს ცხოველების საკვებად იყენებენ.

ველურად მოზარდი მსუსუმშირა ევროპაში 1510 წელს ესპანელებმა შეიტანეს. ევროპელები მას დეკორატიულ მცენარედ იყენებდნენ. მრავალწლიანი, ხელოვნური გადარჩევის შედეგად გამოიყენეს საკვები (საკნატუნებელი), შემდეგ კი ზეთის მომცემი და შუაღვლეური მსუსუმშირის ჯიშები. მცენარე XVIII საუკუნეში ნიდერლანდებიდან რუსეთში მოხვდა. XIX საუკუნეში აქ მოხდა მისი ჯიშობრივი გაუმჯობესება. ზეთისმომცემი ამ მცენარის კულტურული ფორმა დაინერგა ჩრდილოეთ ამერიკაში. ამჟამად გაერცვლებულია ევროპაში, განსაკუთრებით რუსეთში, კავკასიაში, მცირე აზიაში, არგენტინასა და ავსტრალიაში.

შაქრის შემცველი მცენარეები

შაქრის (გლუკოზა, ფრუქტოზა) შემცველი მცენარეული პროდუქტების გარეშე წარმოუდგენელია

ადამიანის არსებობა. იგი შეუცვლელი პროდუქტია ცენტრალური ნერვული სისტემის გამოსაყვებად. შაქრებს (მარტივი, რთული) შეიცავს **შაქრის ლერწამი** (*Saccharum officinarum*). იგი მიეკუთვნება მარცვლოვან მცენარეთა ბოტანიკურ ოჯახს. შაქრის ლერწამი გიგანტური (6 მეტრამდე) ბალახოვანი მცენარეა. შაქარს ამზადებენ მისი ლერწამისგან. წარმოიშვა, როგორც ჩანს, ახალ გვირგვინში. აქედან, ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასი წლის წინათ, მაღაის არქიპელაგის გზით მოხვდა ინდოეთსა და ჩინეთში, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში ცნობილია 600 წლიდან, XVI საუკუნიდან კი გაერცვლდა ცენტრალურსა და სამხრეთ ამერიკაში.

შაქრის ჭარხალი (*Beta vulgaris*). ნაცარქათამა-სებრთა ოჯახში შემავალ გეარში (*Beta*), შაქრის შემცველი ძირხეენების გარდა, ცნობილია სხვა ფორმებიც. ესენია: სუფრისა და საკვები (წითელი ძირხეენის მქონე), მხალად გამოსაყვებელი ყოთ-ლებიანი ჭარხალი, აგრეთვე საქონლის საკვები ჭარხლები. ძირხეენა წარმოიქმნება მცენარის მთავარი ფესვისა და ღეროს ქვედა ნაწილისაგან. ძირხეენის მქონე მცენარეებში – ჭარხალში, სტაფი-ლოსა და თაღგამში – საკვები ორგანული ნივთიერებები სწორედ ძირხეენებში გროვდება.

შაქრის ჭარხალი სელექციონერთა დაუღალავი შრომის ნაყოფია. 1747 წელს დადგინდა, რომ შაქარს, რომელიც მანამდე ცნობილი იყო მხოლოდ შაქრის ლერწამში, ჭარხალიც შეიცავდა. სელექციონერებმა საკვები ჭარხლიდან, რომელიც შეიცავს 13% შაქარს, XIX საუკუნეში გამოიყვანეს ჯიშები, სადაც შაქრის შემცველობა 23%-ით გაზარდეს.

ამჟამად შაქრის ჭარხალი მოჰყავთ ძირითადად ევროპაში, ასევე სომხეთი კლიმატის მქონე სხვა კონტინენტებზედაც: აზიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ნაწილობრივ ცენტრალურ ამერიკაშიც. სულ ბოლო დროს ამ მცენარის არეალი გაზარდეს სუბტროპიკებშიაც (ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ აფრიკა, პაკისტანი).

ბობოქრანი მცენარეები

ბამბა (*Gossypium* spp.) გაერთიანებულია ბალბი-სებრთა (*Malvaceae*) ოჯახში. მრავალწლოვანი მცენარეა, ეხდებით ხეების, ბუჩქებისა და ბალახების სახით. გეარი აერთიანებს 35 სახეობას. გაერცვლ-ებულია აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ავსტრალიის ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. კულტურული ბამბის ბუჩქს 4 სახეობა გაერცვლებული: აფრიკულ-აზიური, ბალახოვანი (*G. herbaceum*), ინდოჩინური ხემაგვარი (*G. arboreum*), მექსიკური (ჩვეულებრივი, ბუჩქოვანი ფორმა – *G. hirsutum*) – მოჰყავთ მეზამბეობის მთავარ რაიონებში, მათ შორის ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე; პერუული ბამბა (*G. barbadense*) კონკურენტობას უწევს მექსიკურს მეზამბეობის მთავარ რაიონებში. ბამბის ველური სახეობები ცნობილია აფრიკის სავანებიდან, არაბეთის



სურ. 125. ბამბის პლანტაცია კენიაში (აფრიკა).

ნახევარკენძულიდან, ჩრდილოეთ ამერიკისა და ავსტრალიის მშრალი კლიმატის რაიონებიდან. ნაყოფი 3-5-ბუდინანი კოლოფია, რომელშიც ბოჭკოთი დაფარული 20-40 თესლია მოთავსებული. მოსავლის აღებისას ბოჭკოსა და თესლს ერთად იღებენ (ხამი ბამბა). ჯიშთა უმრავლესობას თესლი დაფარული აქვს მოკლე ბეწვით - ღინღლით. ბამბის ბოჭკო ცელულოზისაგან შედგება. მას სართავ მასალად იყენებენ ძაფის სახით.

სართავად გამოყენებული ბოჭკოვანი კულტურებიდან მსოფლიო ბაზარზე ბამბას 50% უკავია. ბამბის სეოი (თესლი შეიცავს 22-29% ზეთს) გამოიყენება საკვებად, მისგან ამზადებენ მარგარინს, საპონს, საპოხ მასალებს.

ბამბის ძაფს ადამიანი ოდითგან იყენებს. პერუსა და მექსიკაში ეს კულტურა დანერგილი იყო ძვ.წ. აღმდე. ამ ქვეყნებთან ერთად მეზამბეობის სამშობლოდ ითვლება ინდოეთი და პაკისტანი. აქ, მდინარე ინდის ხეობაში, ამ კულტურას აშენებდნენ და მისგან ძაფს ამზადებდნენ ძვ.წ.-ის 3000 წლის წინათ. პეროდოტე წერს, რომ ინდოეთში იზრდება უცნაური ხეები, რომლებზედაც ნაყოფის მაგივრად წარმოიქმნება მატყლი. ინდოეთიდან სპარსეთის გავლით ბამბა ძვ.წ. აღმ-ით 1000-500 წლის წინათ შეიტანეს ეგვიპტეში, სადაც ამ მცენარემ თავისი განვითარებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები პოვა. ჩინეთში ველურად მოხარდ ბამბას იყენებდნენ ძვ.წ. აღმ-ის 2000 წლის წინათ, ხოლო კულტურაში დანერგეს - ახ.წ. აღმ-ის VII-IX საუკუნეებში. X საუკუნეში აფრიკიდან შეიტანეს ესპანეთში, აშშ-ში - XVII საუკუნეში, თუმცა ამერიკელი აბორიგენი მოსახლეობა ბამბის კულტურას

იყენებდა ძვ.წ. აღმ-ის 3000-2000 წლის წინათ; შუა აზიაში მეზამბეობა განვითარებული იყო ძვ.წ. აღმ-ის VI-V საუკუნეებში, ამიერკავკასიაში - ძვ.წ. აღმ-ის VII-IV საუკუნეებში.

ბამბის თესვა-მოყვანას მისდევდნენ აღმოსავლეთ საქართველოშიც. 1939 წლიდან საქართველოში ბამბის თესვა შეწყდა.

ბამბის ბუნქთან შედარებით ნაკლები ღირებულების სართავი მცენარეა კანაფი (*Hibiscus cannabinus*). ამ მცენარის სამშობლოდ ინდოეთი და ირანი ითვლება.

სელი (*Linum usitatissimum*). ერთწლოვანი მცენარეა. კულტურული ფორმა ფართოდ გავრცელებული ევროპაში, განსაკუთრებით ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებსა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ბოლო დროს, სინთეტიკური ბოჭკოს წარმოების გამო, ნარგავების ფართობმა მნიშვნელოვნად იკლო. მისი ველური სახეობები ხარობს სხვადასხვა კლიმატურ ზონებში - სუბტროპიკებიდან ზომიერი სარტყლის საკმაოდ მაღალი განედების (ჩრდ.გ. 55-60°-ის) ჩათვლით ვხვდებით საქართველოშიც. სელი უძველესი სართავი კულტურაა. ამ თვალსაზრისით, ბოჭკოვანი კულტურებს შორის მეორე ადგილი უკავია. ბოჭკოვანი ნივთიერებებს ღებულობენ მცენარის ღეროსგან. ძველად სართავი სელი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში (კოლხეთი), ამჟამად აღარ მოჰყავთ. ზეთოვანი სელის თესლი დიდი რაოდენობით შეიცავს ზეთს (35-52%). ამზადებენ ლაქს, ოლიფას, საღებავს, ლინოლეუმსა და სხვ. სელს ასევე იყენებენ მედიცინაში.

ხეხილოვანი კულტურები

ხეხილის ბაღების გეგმაზომიერი გაშენება და იწყო ახლო აღმოსავლეთში 6000 წლის წინათ. მოჰყავდათ ვაშლი, მსხალი, ქლიაეი, ალუბალი და გარგარი.

ვაშლი ეუთენის ვარდისებრთა (*Rosaceae*) ოჯახს. სულ დედამიწაზე გარეული ვაშლის 33 ველური სახეობაა ცნობილი. მათ შორის გამორჩეულია მაქალო (*Malus orientalis*). ველურად გავრცელებულია კავკასიაში, მცირე აზიასა და ირანში. მაქალოს გაკულტურება მოხდა ანატოლიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 8000 წლის წინათ, 5000 წლის წინათ კი ეს კულტურა შეიტანეს ევროპაში - ამჟამინდელ შუეიცარიასა და ინგლისში (სხვა მონაცემებით პირველად დაინერგა საბერძნეთში). თეოფრასტეს დროს (ძვ.წ. IV-III სს.) ცნობილი იყო ვაშლის ორი ჯიში, პლინიუს I-ს კი (ახ.წ. I ს.) აღწერილი აქვს ვაშლის 36 სახეობა.

მსოფლიოში გავრცელებული ვაშლის 10000-მდე ჯიშის საერთო წინაპარს წარმოადგენს ამ მცენარის 5 ველური სახეობა. საქართველოში ცნობილია 200-ზე მეტი ჯიში, რომელთა საწყისი ფორმაა ტყის ვაშლი - *M. silvestris*. აქედან ფართოდ არის გავრცელებული 47 ჯიში. ჩვენში ხარობს ყველა რაიონში, ზღვის დონიდან 2000 მეტრამდე.

ხეხილის ნარგავთა შორის, ფართობისა (3 მლნ ჰა) და პროდუქციის მხრივ (11 მლნ ტ), ვაშლს პირველი ადგილი უჭირავს დედამიწის სომიური სარტყლის ქვეყნებში. ნაყოფი გამოირჩევა მაღალი საგემოვნო თვისებებით, შენახვის კარგი უნარით. ჩვენში, მავალოსთან ხალხური სელექციით მიღებულია ცნობილი ჯიშები – თურაშაული, ეხებრა, ძუძუეშლა და სხვ. ვაშლს იყენებენ ნედლად, ჩირისა და კონსერვის სახით. ნაყოფი შეიცავს შაქარს, მჟავებს, ვიტამინებს.

მსხალი ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. მის გვარში (*Pyrus*) გაერთიანებულია 60-მდე გარეული სახეობა, აქედან საქართველოში გაერცვლებულია 11 (პანტა, ბერყენები), მუბაღეობაში გამოიყენებულია ხუთი (საქართველოში ძირითადად პანტა – *P. communis*). დღეს დედამიწაზე მსხლის 5000-მდე კულტურულ ჯიშს ითვლიან. ჯიშობრივი სიუხვის მხრივ მსხალს სხვა ხეხილთა შორის თითქმის პირველი ადგილი უკავია. როგორც სუფრის ხილი და საკონსერვო მრეწველობის პროდუქტი მსხლის კულტურა ყველა ქვეყანაში სასურველ ხილულად ითვლება.

მსხლის კულტურის წარმოშობის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა. სოგს ამ მცენარის პირველსამშობლოდ მიაჩნიათ საბერძნეთი, სადაც მოჰყავდათ ძვ.წ. აღ-ით 1000 წლის წინათ. პ. უუკოსკის დამაჯერებელი გამოკვლევებით, კულტურული მსხლის სამშობლო კავკასიაა. საქართველოში გაერცვლებულია 150-მდე ადგილობრივი და შემოტანილი ჯიშები, აქედან ფართოდ არის დანერგილი 30 ჯიშის მცენარე. აქ გაერცვლებულ ჯიშებს ყოფენ გულაბად, პანტად, კალოს მსხლად და ხეჭვჭურად.

კომში (*Cydonia oblonga*). დასავლეთ საქართველოში ბიას ეძახიან. ვარდისებრთა ოჯახიდანაა. იზრდება ხედ ან ბუჩქად. ნაყოფი მსხვილია, ყვითელ ფერის, აქვს საამური სურნელი და მწკლარტი გემო. ფართოდ გამოიყენება საკონსერვო მრეწველობაში. მისგან არომატული მურაბა, კომპოტები და წვენიები მზადდება, იხმარება მედიცინაშიც (ფოთლები, თესლი). განსხვავებით ვაშლისა და მსხლისაგან, სითბოს მოყვარულია. კომშის სამშობლოა კავკასია, ირანი და შუა აზია. საქართველო კომშის წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი ცენტრია. აქ გამოიყვანილია 75 ჯიშები. გავეღურდა მეზობელ ქვეყნებშიც (ხმელთაშუა ზღვა, სამხრეთი ევროპა).

კომშის ნაყოფი ცნობილი იყო ძველ საბერძნეთსა და რომში. კომშისგან დამზადებულ საჭმელს, რომელსაც თავის მოასხამდნენ, ძველი ბერძნები melimelon-ს უწოდებდნენ. აქედან წარმოიშვა კომშის პორტუგალიური სახელწოდება – marmelo, მისგან კი – „მარმელადი“.

ძალი ალუბლის გვარის ხეხილოვანი მცენარეა ვარდისებრთა ოჯახიდან (*Cerasus avium*), მისგან წარმოიშვა ბლემის კულტურული ჯიშები. ამრავლებენ მყნობით. საძირებდად იყენებენ ბალლოჯს, ბალამწარასა და სხვ. ნაყოფი კურკიანია, სხვადასხვა ფერის. ძირითადად იხმარება სუფრის ხი-

ლად, ამზადებენ მურაბასა და კომპოტს. კულტურული ფორმა, ალბათ, ამიერკავკასიაში წარმოიშვა, აქედან ძვ.წ. აღ-ის 74 წელს შეიტანეს იტალიაში. მოგვიანებით ევროპიდან გაერცვლდა ჩრდილოეთ ამერიკაში.

საქართველოში ბალს კურკოვანი კულტურების ნარგავთა შორის 72% უკავია.

ალუბალი (*Cerasus vulgaris*). ცნობილია მისი 127 გარეული სახეობა. მეხილოებაში დაინერგა მხოლოდ რამდენიმე – ჩვეულებრივი ალუბალი, ბალლოჯი და სხვ. ნაყოფი – წვნიანია, მოშაო ან მუქი წითელი ფერის. ალუბლის სამშობლოდ მცირე აზია ითვლება. აქედან გააერცვლეს ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. ეარაყდობენ, რომ ალუბალი წარმოიშვა ბლისა და ქინდარა ბალამწარას ბუნებრივი შეჯვარებით. მისგან მტვწილად ამზადებენ მურაბასა და წვეს.

გარეული ქლიავის სახეობები (*Prunus spp.*) გაერთიანებულია არიან, ვარდისებრთა ოჯახში. გვარში აღწერილია 30 სახეობა. ნაყოფი ხორციანი, ერთთესლიანი კურკიანია. ცნობილია კავკასიიდან, ანატოლიიდან და ჩრდილოეთ ირანიდან. კულტურული ქლიავის სამშობლოდ კავკასიის მიიჩნევენ. როგორც ჩანს, მისი წარმოშობა მოხდა ბუნებრივი პიბრიდიზაციის გზით – ალუწასა და კერინჩის შეჯვარებით. ამგვარად, ეკლურ პირობებში ქლიავს არასოდეს უარსებია.

მესოპოტამიასა და ასურეთში, მოგვიანებით ძველ რომში, კოფდნენ ამ მცენარის გაკულტურებულ (*Prunus domestica*) ნაყოფებს. გაერცვლებულია ევროპის, აზიისა და ამერიკის სომიურ სარტყელში. მრავალდება უმთავრესად მყნობით. ძირითადი საძირეა კულტურული ჯიშების ნათესარები, აგრეთვე ტყემალი და კერინჩი. ქლიავს იყენებენ ნედლად და გადამამუშავებულად (ჩირი, ხილყაფა, კომპოტი, მურაბა, წვენი) სახით.

ჭერმის (*Armeniaca vulgaris*) სამშობლო ჩინეთიდან თურქმენეთამდეა. ჭერმიდან გამოიყვანეს გარგარი. 4200 წლის წინათ აქ ტყეობოდნენ მისი არომატული ნაყოფით. ჩინეთიდან გარგარი გაერცვლდა წინა აზიასა (ირანი) და შუამდინარეთში. ძველ რომში იგი შეიტანეს გვიან, I საუკუნეში. გარგარი აქ იშვიათი და ძვირადღირებული ხილი იყო. გარგარის უფრო ფართოდ გაერცვლებას ხელი შეუწყო ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა. ამჟამად ხარობს ყველა კონტინენტზე.

ჭერამი გამოიყენება გარგარის ძირითად საძირედ. გარგარის სამშობლოა ჩინეთიდან თურქმენეთამდე. პირველად გააკულტურეს ძველმა ტაჯიკებმა ტიანშანის მთის ოაზისებში. ჩ.წ. აღ-მდე 4200 წლის წინათ აქ ტყეობოდნენ მისი არომატული ნაყოფით. ჩინეთიდან გარგარი გაერცვლდა წინა აზიასა (ირანი) და შუამდინარეთში. ძველ რომში შეიტანეს გვიან. I საუკუნეში გარგარი აქ იშვიათი და ძვირადღირებული ხილი იყო. გარგარის ფართოდ გაერცვლებას ხელი შეუწყო ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა. ამჟამად ყველა კონტინენტზე ხარობს.

ატამი (*Persica vulgaris*) – ეკუთვნის ვარდისებრთა ოჯახს. პატარა ხეა. ნაყოფი ხორციანია, აქვს კურკა. ძალზე გემრიელი და არომატულია. ატამი წარმოშობით ჩინეთიდანაა. აქ მას აშენებდნენ 3000 წლის წინათ. ჩინეთიდან გაავრცელეს სპარსეთსა და მცირე აზიაში, ხოლო თურქეთიდან – ევროპაში. გორული ატამის ჯიშები საქვეყნოდაა ცნობილი. გამოიყენება ნედლ ხილად, ამზადებენ მურაბას, ჯემს.

ვაზი (*Vitis vitifera*) – მიეკუთვნება ვაზისებრთა ოჯახს (*Vitaceae*). უმრავლესობა გახევებულდე-



სურ. 126. დიონისე (ბახუსი) – ღვინისა და მევენახეობის ღვთაება. მიქელანჯელო (1496-1497 წწ.).

როიანი ხეიარა, ღლიანა მცენარეა, ისრდება 20 მეტრამდე (იშვიათად სწორმდგომი ბუჩქი და ტანმორჩილი ხეა). აერთიანებს 600-მდე სახეობას, ისრდება ტროპიკულსა და სუბტროპიკულ ზონებში. ვაზისებრთა ოჯახიდან ფართოდაა გავრცელებული ტიპური გვარი – ვაზი – *Vitis*. გვარში ითვლიან 70-მდე სახეობას. ხარობს დედამიწის თბილსა და ზომიერი ჰავის ქვეყნებში. ვაზი ხეიარა მცენარეა (ღლიანა). სიგრძეში ისრდება 40 მეტრამდე. ველური ვაზის (*Vitis vinifera* spp. *silvestris*) სამშობლოდ თვლიან აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ნაწილს, აგრეთვე ევროპის თბილ ქვეყნებს (მდინარეების – დუნაისა და რეინის აუზები). ამ ტერიტორიის აღმოსავლეთით ისრდება ველური ვაზის მეორე ფორმა – *V. vinifera* spp. *caucasica*. მცენარის ეს ქვესახეობა აღწევს ცენტრალურ აზიამდე. დღეს გამოყვანილი ვაზის 5000 ჯიშის საერთო წინაპარს წარმოადგენს ქვესახეობა – ღვინის მომცემი ვაზი – *V. vinifera* ssp. *vinifera*. საქართველოში გვხვდება ველური ვაზი (კრიკინა, უსურვაზი – *V. silvestris*).

ისრდება სხეუდასხვა ტიპის ტყეებში (დაბლობის, ჭალის, მთის).

სრდილოეთ ამერიკაში გვარი *Vitis*-ის მრავალი სახეობაა წარმოდგენილი. სოგიერთი მათგანი საკმელად ვარგის ყურძენსაც იძლევა, მაგრამ ადგილობრივი სახეობები და ჯიშები ღვინის დაბალი პროდუქციით ხასიათდება. ამიტომ კულტურული მევენახეობა აქ ევროპიდან შეტანილი ვაზის ჯიშებით იწყება (XVII ს.-ის დასაწყისი).

არც ერთი კულტურისადმი არ არის მიძღვნილი იმდენი კვლევა და ნაშრომი, რამდენიც ვაზზე. სოფლის მეურნეობასა და გამოყენებით ბოტანიკაში შექმნილია ვაზის შემსწავლელი ცალკე მეცნიერება – ამპელოგრაფია.

სათანადო გათხრებით დასტურდება, რომ შეეცადარიაში ვაზის ნაყოფს ჭამდნენ ჯერ კიდევ გვიანდელ ქვის ხანაში (9-7 ათასი წლის წინათ). ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ტერიტორიაზე მევენახეობის საწყისი ეტაპი ბრინჯაოს ხანას ემთხვევა.

შემორჩენილია 5500 წლის წინანდელი, ძველქვეპტური ბარელიეფები ვაზის გამოსახულებით. აქ ფარაონებს წითელ ღვინოს საფლავშიაც კი ატანდნენ. ფარაონთა ტაძრებისა და აკლდამების მხატვრობანი ძირითადად შესრულებულია ვაზის სურათებით: ამ მცენარის ღამაზად გამართული ხეივნებით, სხეუდასხვა ჯიშის ვაზის მტევნებით, ასევე რთველის პროცესი, ყურძნის დაწურვა, ღვინის მოვლის წესები და სხე. წერილობითი მასალების მიხედვით, ამ ქვეყანაში მიცვალებულის დასაფლავებისას იყენებდნენ ექვსნაირ ღვინოს.

ეგვიპტესთან ერთად, თითქმის ერთდროულად, მევენახეობა განვითარებული იყო შუამდინარეთში, სირიასა და ბაბილონში.



სურ. 127. ვაზის პლანტაცია ავსტრალიაში (ვიქტორიის შტატი).



სურ. 128. ღვინამეღი გლეხიკაცი ვაზის მტკენით.

ძე.წაღ-ის დაახლოებით 2000 წელს მიეკუთვნება მევენახეობის ფართოდ განვითარება ძველ საბერძნეთში. ჰომეროსი ხოტბით იხსენიებს იმდროინდელ ბერძნულ ღვინოებს, თეოფრასტე (ძე.წ-ის III ს.) დაწერილებით იხილავს ვაზის კულტურის აგროტექნიკის საკითხებს. შუა აზიაში (ქ. სამარყანდი) არქეოლოგიური ძიებით (ვაზის წიპწებით) დადგინდა ამ რეგიონში მევენახეობის არსებობა ძე.წაღ-ით დაახლოებით 1000-1100 წლებში.

როგორც ირკვევა, ვაზის კულტურა რომის იმპერიაში მოხვდა საბერძნეთიდან. ამას ადასტურებს მდიდარი წერილობითი მემკვიდრეობა, რომელთა ავტორები არიან: სოფოკლე, კატონი, ვირგილიუსი, პლინიუს უმცროსი და სხვ. რომაელებმა მევენახეობა გააერთიანეს იმპერიის ჩრდილო საზღვრებისკენ: ესპანეთში, პორტუგალიაში, საფრანგეთში.

ამჟამად კულტივირებულია მთელს მსოფლიოში. ავსტრალიაში ევროპული ჯიშების სელექციით მიიღეს ადგილობრივი ჯიშები. მათი ყურძნისგან სათანადო ტექნოლოგიით დაწურული სასმელი მეტოქეობას უწევს თვით სამხრეთ ევროპის ღვინოებსაც.

ქართველი ერის ისტორია, მისი სულიერი კულტურა ვაზთან არის დაკავშირებული. უწინარეს ყოვლისა, აღნიშნულს, ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის მიწაზე იზრდებოდა ველური ვაზის სახეობები. პალეობოტანიკური მონაცემებით ირკვევა, რომ ეოცენის (54-38 მლნ წ. წინათ) კოლხეთის ფლორაში წარმოდგენილი იყო ვაზიც (*Vitis betulifolia*). მიოცენის გარკვეული მონაკვეთით (15-12 მლნ წ. წინათ) არის დათარიღებული სამხრეთ საქართველოში დაფიქსირებული ვაზის ფოთლის ანაბეჭდი.

საქართველოში ვაზის გაკულტურება, ბევრი სხვა კულტურული მცენარის მსგავსად, შორეულ წარსულში დაიწყო. არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით (ყურძნის წიპწების მიხედვით) ჩვენში ვაზი უნდა დანერგულიყო ნეოლითში (7-6 ათასი წ. წინათ - შულავერი, ქვემო ქართლი; მასალა დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში) და, შესაძლებელია, ახალი ქვის ეპოქის (ნეოლითი) მიწურულშიაც (8-7 ათასი წ. წინათ). სათანადო ნაშთები, ხორბლის, ფეტვის, სელის მარცვლებთან ერთად, მოკვლეულია ანაკლიის (სამეგრელო) ტერიტორიაზე.

სპეციალისტთა აზრით, ვაზის გაკულტურების პროცესს საფუძველი ჩაეყარა კულტურულ მცენარეთა წარმოშობის წინააღიწერულ ცენტრში. ამ არეალში მოიარება ამიერკავკასია, უწინარესად, საქართველო და მცირე აზია.

ის გარემოება, რომ საქართველო ვაზის კულტურაში დანერგვის ერთ-ერთ უძველეს და უპირველეს ცენტრს წარმოადგენს, დასტურდება არაერთი სხვა მონაცემითაც: ლინგვისტურით, საყოფაცხოვრებოთი, სპირიტუალისმითა და ა.შ.

ტერმინი „ღვინო“ ინდოევროპულ ენებში, როგორც ჩანს, საქართველოდან შევიდა. ამ ტერმინს იყენებდნენ ძველი მესხები (მუშქები, ძვ.წ.-ის VIII ს.) (გ. მელიქიშვილი).

ერი, რომელიც ამ მცენარის მისამართით იტყოდა საკრალურ სიტყვებს – „ვაზო, შვილივით ნაზარდო“? ამიტომ სრულიად არ არის გასაკვირი, რომ ვაზის – ქართველი კაცის ამ სულიერი სიმხნევის სიმბოლოს – მტერი ისევე ებრძოდა, როგორც თვით ქართველ კაცს. საეჭვოა, რომ თემურლენგები და შაჰაბასები ქართულ მიწაზე ვენახს მხოლოდ საქართველოს ეკონომიკური დაუძლეულების მიზნით ებრძოდნენ. ვაზის ამოძირკვით, მტერი ჩვენი წინაპრების სულიერ გატეხვას ცდილობდა. უვენახოდ, ვაზის ზერების გარეშე, ქართველი იგივეა, რაც თვეში უწყლოდ, ტყე – ხეების გარეშე!

ვაზი, ვენახი, ღვინო – ქართველთა მატერიალური თუ სულიერი კულტურის განუყოფელი აქსე-



სურ. 129. ოჯალეშის ვაზის ზეარი სამეგრელოში (მარტვილის რაიონი).

საქართველოს სახელმწიფო მუსეუმის საცავებში დაუნჯებულია არქეოლოგიურ განათხართა შედეგად მოპოვებული სხვადასხვა სახეობის საღვინე ჭურჭლები (ფიალა, კულა, ჭინჭილა), მევენახეობაში გამოყენებული იარაღები (სასხლაეი, ნამგლის მაგვარი დანები), ღვინის დასაყენებელი და შესანახი მოწყობილობანი (მარანი, ქვეერი). მათგან ყველაზე ძველი ნივთები დათარიღებულია ძვ.წ. აღ. ს. 4-3 ათასწლეულით.

ვაზის ღერო-ფოთლებითა და ნაყოფით, როგორც წესი, მოხუჭურთმებულია ქართული ხუროთმოძღვრული – არქიტექტურულ-ისტორიული ძეგლები.

ვაზმა უპირველესი ადგილი დაიკავა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. განა აღნიშნულზე არ მეტყველებს საქართველოს ისტორიის ოქროს ეპოქაში – XII საუკუნეში – შექმნილი საგალობელი „შენ ხარ ვენახი“? ალბათ, ძნელია მოძებნო მსოფლიო ფოლკლორის ისტორიაში ვაზისადმი მიძღვნილი მსგავსი ჰიმნი. ზოგადად ქართველი, გამორჩეულად კი კახელი კაცისთვის ვაზზე მზრუნველობა შვილზე რყუდუნების ტოლფასი იყო. არის კი დედამიწაზე

სუარია, რასაც ადასტურებს არაერთი ისტორიული დოკუმენტი.

საქართველოში მოჰყავთ სასუფრე, საღვინე, საკონიაე, საშამანო და ა.შ. ჯიშები. საღვინე ჯიშებიდან ყველაზე გაერცელებულია: საფერაეი, რქაწითელი, მწვანე, ხიხვი, ჩინური, გორული მწვანე, ცოლიკოური, ციცკა, კრახუნა, ალექსანდროული, ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური და სხვ. მათ შორის ბეერი, ვაზის უნიკალური ჯიშია; სუფრის ჯიშებიდან ცნობილია: ივერია, თბილისური, ეარძია, კოლხური და ა.შ.

ჰომეროსის მიხედვით, ძველ კოლხეთში ცირცვა გაუმასპინძლდა ოდისეეს სურნელოვანი, შუშხუნა ღვინით. ამოღონ როდოსელის მიხედვით (ძვ.წ.-ის III ს.), არგონავტებმა კოლხეთის სატახტო ქალაქ აიაში (ახლანდელი ქუთაისი), მეფე აიეტის სასახლის წინ, მრავალ მდიდრულ სანახაობასთან ერთად ნახეს დიდებულად მოწყობილი ვაზის ხეივნები, ღვინით სავსე ჭურჭლები. სტრაბონი (ძვ.წ.-ის II ს.) აღწერს, თუ როგორ ყვავდა მევენახეობა საქართველოში, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მზადდებოდა ღვინო გორის (გორსენ) და

კახეთის (აღბანეთი) მხარეებში. აფხაზეთში კი ვაზი მაღლარად იყო წარმოდგენილი. მრავალმხრივი წყაროებით, მევენახეობა-მეღვინეობამ განსაკუთრებით მაღალ დონეს ახ.წ.ალ-ით III-XII საუკუნეებში მიაღწია.

შარდენის გადმოცემით, ადგილობრივ არისტოკრატთა სასამუქად, უძველეს საქართველოდან ღვინო უხედავ გააქონდათ სომხეთში, მიდიასა და სპარსეთში.

საქართველოს პირველობას მევენახეობის დარგში ადასტურებენ გაცილებით გვიან მოღვაწე სწავლულები: ივ. ჯავახიშვილი, ს. ჩოლოყაშვილი, ნ. კეცხოველი, ვ. ვაეილოვი, მ. რამიშვილი და სხვ. ვაზის ნაყოფი კენკრაა. მას ყურძენს უწოდებენ. ერთად შეკრებილი ნაყოფი მტევნის სახელწოდებით არის ცნობილი.

ძირითადი პროდუქტი, რომელიც ვაზის ნაყოფიდან მიიღება, ღვინოა. სუფრის ჯიშების ნაყოფს საჭმელად იყენებენ. ხდიან არაყს, ამზადებენ კონიაკს, შამპანურს, ძმარს, ყურძნის წვენს, სიროფს. ყურძნის წვენი გამოიყენება ფელამუშის, ტკბილი კეკრის, ჩურჩხელებისა და სხვა პროდუქტების დასამზადებლად. თესლისგან ხდიან ზეთს, რომელიც იხმარება საჭმელად და საპნის წარმოებაში. ვაზის ნაყოფის მსოფლიო მოსავლის 5%-ს ახმობენ. ასეთი გზით მიიღება ქიშიში. ვაზი შესანიშნავი დეკორატიული მცენარეცაა.

ჩრდილოეთ ამერიკაში ხარობს ვაზის სხვა სახეობები (ზაფხულის ვაზი - *V. aestivalis*), იზაბელა (*V. labrusca*), კლდის (*V. rupestris*), სანაპირო (*V. riparia*) და სხვ. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, კლდის ვაზი, ევროპაში გამოიყენება როგორც საძირე. მასზე დამყნობილი ვაზი გამძლეა ამერიკიდან შემოტანილი ვაზის ფესვის მავნე მწერის - ფილოქსერას წინააღმდეგ.

დედამიწის თბილ, ტროპიკულსა და სუბტროპიკულ ქვეყნებში ხარობს ციტრუსოვანი კულტურები.

ციტრუსები მიეკუთვნებიან ტეგანისებრთა ოჯახს (*Rutaceae*). ამ ოჯახის გვარში (*Citrus*) მრავალი ხეხილოვანი კულტურაა, რომელთა ნაყოფები ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში. მარადმწვანე მცენარეებია. სიმაღლით 5 მეტრამდე. ციტრუსების სამშობლო აღმოსავლეთ აზიაა (ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი), ველურად იზრდებიან ასევე ავსტრალიაში, ოკეანის კუნძულებსა და სამხრეთ აფრიკაში. ეთერზეთების შემცველობის გამო, ციტრუსოვანთა ფოთლები სურნელოვანია, კიდევ უფრო საამო სუნით ხასიათდება მათი ყვავილები. ნაყოფი კენკრაა და ნარინჯულას უწოდებენ. კანი ტყაისებურია, მდიდარი ეთერზეთებით, რბილობი წვინანია, გემრიელი და სასარგებლო.

დასავლეთ საქართველოში მოჰყავთ აღმოსავლეთ აზიიდან შემოტანილი ლიმონი, ფოთოხალი, მანდარინი და გრეიფრუტი. მათი ნაყოფები მოხსენიებულია უძველეს ქართულ ხელნაწერებში.

ფოთოხალი (*Citrus sinensis*). ყველაზე ცნობილი და გავრცელებული ციტრუსოვანი კულტურაა. მისი

ხეები 75-100 წელიწადს ცოცხლობენ. ველური ფორმა არ არის აღმოჩენილი. მისი სამშობლოა სამხრეთი ჩინეთი და ინდონეზი, სადაც კულტურაში დანერგეს ძვ.წ.აღ. 2000 წლის წინათ. კულტივირებულია მსოფლიოს მრავალ ტროპიკულსა და სუბტროპიკულ ქვეყანაში. პირველ ადგილზე დგას აშშ-ის სამხრეთ შტატები, ცენტრალური ამერიკა, შემდეგ - აზია და ხმელთაშუაზღვიური ევროპა, გახარებულია საქართველოს შავსაღმოსავლო რაიონებში; ნაყოფი მდიდარია შაქრებით (12%), ლიმონის მჟავით (0,6-2%), ასკორბინის მჟავით, ვიტამინებითა და მარილებით. საქართველოში მისი ფართობი 2 ათას ჰექტარს შეადგენს.

მანდარინი (*Citrus reticulata*). სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის კულტურაა. აქედან XIX საუკუნეში შეიტანეს ევროპაში, ფართოდ დასრავდა იაპონიაში, ჩინეთში, სამხრეთ ამერიკაში, კარგად ხარობს დასავლეთ საქართველოს სულისპირა რაიონებში. მანდარინის ნაყოფი საჭმელად გამოიყენება ნედლი სახით, მისგან ამზადებენ ასევე წვეს, ჯემს, მურაბას, კომპოტს და ა.შ. კანი გამოიყენება საკონდიტრო წარმოებაში, პარფიუმერიაში და კეკრის მრეწველობაში. წვენი შეიცავს 3-10% შაქარს, 1%-მდე მჟავას, ვიტამინს C-ს და სხვ.

საქართველოში პირველად შემოიტანეს 1885 წელს იტალიიდან. სამრეწველო მნიშვნელობა ვერ მიიღო (არ აღმოჩნდა ყინვაგამძლე). 1896 წელს იაპონიიდან შემოიტანეს უნშიუ (*Citrus unshiu*), რომელიც სწრაფად გავრცედა. ამჟამად 19 ათასი ჰექტარი ფართობი უკავია.

ლიმონი (*Citrus limon*). ევლური ფორმა არ არის ცნობილი. პირველსამშობლოა ინდოეთი, ჩინეთი და იაპონია. იქ ეს კულტურა მოჰყავდათ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. დაახლოებით 3000 წლის წინათ შეიტანეს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, აქედან სხვა, სუბტროპიკული კლიმატის ქვეყნებშიაც. დღეს განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული კალიფორნიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ნაყოფი შეიცავს 8%-მდე ლიმონის მჟავას, 3%-მდე შაქარს, ვიტამინ C-ს. მისი ნაყოფი გამოიყენება უმთავრეს ნედლეულად ლიმონათის წარმოებისას, ასევე საკეების საკასმად და სამედიცინო მიზნებისთვის. სხვა ჯიშებს შორის ცნობილია ქართული ლიმონი. საქართველოში ლიმონის ნარგავს დაახლოებით 1000 ჰექტარი უკავია.

ბანანი - მიეკუთვნება ბანანისებრთა ოჯახს (*Musaceae*). ერთლებნიანი, გიგანტური ბალახოვანი მცენარეა, ცრუ ღეროთი და ევებერთელა ფოთლებით. მიაჩნიათ, რომ კულტურული ბანანი წარმოიშვა ორი ტროპიკული სახეობის მცენარეთა შეჯვარებით. ერთი მათგანი *Musa acuminata* სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდანაა, მეორე - *Musa balbisiana* - ინდოეთიდან და შრი-ლანკიდან. ამჟამად არსებობს 200-მდე ჯიშს, რომლებიც გავრცელებულნი არიან კოსმოპოლიტურად, ყველა კონტინენტის ტროპიკებში. ძველი კულტურაა. ამერიკაში საკეებად იყენებდნენ კოლუმბამდე. აღექსანდრე



სურ. 130. ნავაჭრი ბანანით დატვირთული მანქანის მძღველი და რე-სალამში (ტანზანია).

მაკედონელმა მისი არსებობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 300 წლით ადრე გაიგო. ამჟამად ყველაზე დიდი რაოდენობით მოჰყავთ ლათინურ ამერიკაში (მსოფლიო მოსავლის 2/3). ამრავლებენ ევგეტატიურად – ფესურების გადანაჭერით. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მცენარის ამონაყარი (ცრუ ღეროთი) იეთარებს 200-მდე ნაყოფის კუნწულას, თითოეული აცმა („თათი“) შედგება 6-9 ნაყოფისაგან; ოთხი წლის მცენარე დახუნძლულია 1500-მდე კუნწულით. ერთ კუნწულაში შემავალი ნაყოფები 50-60 კილოგრამს იწონის.

ბანანის კულტივირების მთავარი პრობლემა მისი ტრანსპორტირებაა. კრეფენ უმწიფარ ნაყოფს, გადააქვთ სპეციალური ხომალდებით, რომელთა ტრიუმებში ტემპერატურა ცვალებადობს 12-14°C ფარგლებში, ხოლო ჰაერის ფარდობითი ტემპერატურა – 80-95%-მდეა. ტრანსპორტირების რაოდენობრიობის მხრივ ბანანი ჩამორჩება მხოლოდ ხორბალს, სიმინდსა და შაქარს. ბანანის ნაყოფის მასის 40% მოდის მის კანზე, 60% – ფქვილისებრი რბილობზე, კულტურული ბანანის ნაყოფს თესლი არ უვითარდება (როგორც ითქვა, ამრავლებენ ევგეტატიურად). რბილობის 14-22% შეიცავს შაქარს, 5-8% – სახამებელს, 1-5% – ცილას, ნაყოფი გამოიყენება ნედლი და მშრალი სახით. ამ უკანასკნელისაგან ამზადებენ ფქვილს, კონსერვს, მარმელადებს, სიროფსა და ღვინოს. მრავალფეროვანი და მდიდარი ორგანული ნივთიერებების შემცველობის გამო, ტროპიკულ ქვეყნებში ადგილობრივი მოსახლეობა ბანანის ნაყოფისაგან სხვადასხვანაირ სადილებს ამზადებენ.

ყირიმსა და მთელ ზღვისპირა რაიონებში დეკორატიულ მცენარედ მოჰყავთ იაპონური, ანუ დეკორატიული ბანანი (*Musa basjoo*).

გლობალური მნიშვნელობა აქვს ანანასს (*Ananas comosus*). მიეკუთვნება ერთლებნიან მცენარეთა კლასს და ბრომელიასებრთა (*Bromeliaceae*) ოჯახს. ფოთლები როზეტისებურად იზრდება. დაახლოებით ერთი წერტილიდან გადაშლილი თითოეული ხორცოვანი, კიდევლიანი ფოთლის სიგრძე აღწევს 90 სანტიმეტრს, სიგანე – 6 სანტიმეტრს. როზეტის

ცენტრიდან ვითარდება გირჩისებრი, მოზრდილი (იწონის 2-15 კგ-მდე) თანანაყოფი (ნაყოფედი), რომლის თავზედაც ისევე ფოთლებია განვითარებული. სიგრძით 30 სანტიმეტრს აღწევს. თანანაყოფი მცენარის გენერაციული და ევგეტატიური ორგანოების (3 კომპონენტი) შერწყმით ფორმირდება. უთესლოა.

ანანასის სამშობლო სამხრეთ ამერიკაა (ბრაზილია). მისი ნაყოფი კოლუმბმა პირველად 1493 წელს იხილა, 1514 წელს ესპანელებმა ჩაიტანეს თავიანთ სამშობლოში. XX საუკუნის მიწურულს გააერცვლეს ინდოეთში, იაფასა და სხვა ტროპიკულ ქვეყნებში. მსოფლიო მოსავლის 33% მოდის ჰავაის კუნძულებზე. ამრავლებენ ევგეტატიურად (თანანაყოფის თავზე მოზარდი ფოთლებით). ცნობილია 40-მდე ჯიშე.

ნაყოფს მიირთმევენ ნედლი, ანდა დაკონსერვებული სახით. მისი შიდა, წვნიანი ნაწილი მომჟავო-ტკბილია და მეტად გემრიელი. ამზადებენ მარმელადს, წვეინსა და ღვინოს. თანანაყოფის რბილობი არმატული და გემრიელია, შეიცავს ცილების შემცველ ფერმენტს – ბრომელინს, ამიტომ ხელს უწყობს საკვების მონელებას. ფოთლები-საგან ღებულობენ ბოჭკოს, რომლითაც მზადდება კარგი ხარისხის ქსოვილი.



სურ. 131. ანანასის ნაყოფი ხეზე (ბელაიზია).

პურის ხე (*Artocarpus* spp.). გაერთიანებულია თუთისებრთა ოჯახში (*Moraceae*). მისი 50-მდე სახეობა გაერცვლებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ოკეანიაში, სამხრეთ ამერიკასა და ზოგიერთ სხვა ტროპიკულ რაიონში. ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს უმთავრესად ორ სახეობას – ჩვეულებრივ პურის ხეს (*A. communis*) და ინდურ პურის ხეს (*A. integer*). ორივე ფორმა დიდი ხანია კულტივირებულია წყნარი ოკეანის კუნძულებზე.

მარადმწვანე, ევებრთელა ხეები სიმაღლეში 35 მეტრს აღწევენ. 90-მდე სანტიმეტრის სიგრძის, 50 სანტიმეტრამდე სიგანისა და 30 კილოგრამიანი ნაყოფს პირდაპირ ღეროსე იხსამს. პურის ხის ნაყოფი შეიცავს სახამებელს (60-80%), შაქრებსა (14%) და ცხიმებს (0,8%-მდე). იჭმევა მოხარშული და გამომცხვარი. კულტივირებულია ორივე ნახევარსფეროს ტროპიკებში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი საკვებია. მერქანს იყენებენ ავეჯის დასამზადებლად, სამშენებლო მასალად, ფოთლებსა და ყვავილებს – სამკურნალოდ.



სურ. 132. პურის ხე (პოლინეზია; სოლომონის კუნძულები).

პურის ხის თაობაზე გამოჩენილი მეზღვაური ჯემის კუკი წერდა: „ადამიანს, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში დაურგავს თუნდაც ათი პურის ხე, მოხდელი აქვს მოეალოება ოჯახისა და მომავალი თაობების წინაშე ისევე, როგორც ევროპელს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მუხლჩაუხრელად თესავდა და იმკიდა პურს“. პურის სამ ხეს შეუძლია მთელი სიცოცხლე არჩინოს კუნძულის ერთი ადამიანი, გარდა ამისა, გამოიყენება თავშესაფარად, ამზადებენ ჩასაცემელს, წამალსა და საჩრდილობელს.

უმი ნაყოფი არ იჭმევა. აბორიგენები მის გადასამუშაველად თხრიან დიდი ორმოს, ფსკერსა და კედლებზე აწყობენ და ამაგრებენ ქვებს. ხიდან მოწყვეტილ ნაყოფს ხერტენ წაწვეტებული ჯოხით. მთელი ღამით ტოვებენ მიწაზე. ნაყოფში იწყება დუღილის პროცესი. მეორე დღეს აცლიან კანს, დებენ ორმოში, პრესავენ, აფარებენ ფოთლებს, ხეშიდან აწყობენ ქვებს. მიკრობების სემოქმედებით გრძელდება დუღილის პროცესი. ნაყოფის სახამებლით მდიდარი შიგთავსი ცომად გადაიქცევა. ცომს ზელენ, ახვევენ ფოთლებში და პურს აცხობენ. ასეთი პური გემოთი მოგვაგონებს ჭვავის ფქვილისაგან გამოცხობილ პურს, რომელშიც მოხარშული კარტოფილი შეურევიათ.

პურის ხისგან დამზადებული პური მდიდარია ვიტამინებით (B, E). მას ადვილად ებუება ევროპელი ადამიანი.

სავარაუდოა, რომ პურის ხე ოკეანის კუნძულების (მარკიზის, სამოას, პავაის) დასახლებ

ბისთანავე გააკულტურეს აბორიგენებმა, აქედან ეს კულტურა გავრცელდა ტროპიკული ოკეანის სხვა რაიონთა კუნძულებზედაც. ნაყოფი მწიფდება მორიგეობით, ნოემბრიდან თითქმის აგვისტომდე.

ფინიკის ნაყოფი (*Phoenix dactylifera*) – ფართოდ გავრცელებული პალმა პალმისებრთა ოჯახიდან (*Phoenicoidae*). სიმაღლით ისრდება 10-30 მეტრამდე, წვერო მთავრდება 40-80 ფოთლისაგან შემდგარი ვარჯით. ფოთისებრად განლაგებული ფოთოლაკებიანი ფოთლის სიგრძე 4 მეტრს აღწევს. თანაყვავილებისაგან ვითარდება ფინიკი – ერთეს-ლიანი ნაყოფი. მისი სიგრძე 4-5 სანტიმეტრია. თესლს ნაყოფის 15% უკავია. სოციერთი ჯიში მდიდარია შაქრებით, სახამებლით.

ფინიკის პალმის სამშობლო დადგენილი არ არის. ვარაუდობენ, რომ ველური წინაპარი ფორმა უნდა იყოს აფრიკაში მოხარდი *Ph. reclinata*.

ფინიკი ძალიან ძველი კულტურული მცენარეა. ჩრდილოეთ აფრიკისა და დასაყლეო აზიის უდაბნოთა ოაზისებში 8000 წლის წინათ მოსაყვდათ. ფინიკის პალმა ამშვენებს ძველი ბაბილონისა და ეგვიპტის ბარელიეფებს. ამ პალმის ფოთოლი ძველი სამყაროს რელიგიებში მშვიდობის სიმბოლოს წარმოადგენდა.

XIX საუკუნიდან ფინიკი შეიტანეს მექსიკაში, კალიფორნიაში, ფლორიდაში. დიდ ხესე იღებენ 80-100 კილოგრამ მოსავალს.



სურ. 133. ფინიკის პალმა (სუდან).

ფინიკის ნაყოფს უმატებენ შაქარს და აკეთებენ ხილფაფას, ღეროს წვენიდან ამზადებენ ასევე ღვინოსა და არაყს. ძალიან ახალგაზრდა ფოთლებს იყენებენ ბოსტნეულად (პალმის კომბოსტო), ღერო გამოიყენება სამშენებლო მასალად, ხილო ფოთლები საცხოვრებლის გადასახურად.

თუთა, თუთის ხე, ბეოლა – ეკუთვნის თუთისებრთა ოჯახს (*Moraceae*). გვარში 24 სახეობაა გაერთიანებული. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სამხრეთ ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ ნაწილში, სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ნაწილობრივ აფრიკაში.

თეთრი თუთა – *Morus alba* – 15-18 მ. სიმაღლის

ისრდება. ნაყოფი განსხვავებული ფერის, ცრუ რთული კურკიანია, ტკბილი, წვნიანი და გემრიელი. იყენებენ ნედლ ხილად, ხდიან არაყს, ამზადებენ ბექმესს. თუთის ფოთოლი აბრეშუმის ჭიის საკეობად გამოიყენება. მერქანი საუკეთესოა სადურგლო და სახარატო საქმეში.

თუთრი თუთის სამშობლოდ მიიჩნევენ ჩინეთს, ინდონიეთს, ცენტრალურ აზიასა და ჩრდილოეთ ინდოეთს.

ხართუთას (*Morus nigra*) ნაყოფი მუქი წითელი, თითქმის შავი ფერისა, მომჟავო-ტკბილი, ძლიერ წვნიანი და მსხვილია. ხართუთას, როგორც ხეხოლოვან მცენარეს, უფრო იყენებენ. მის სამშობლოდ მცირე აზიას თელიან, ამჟამად ყველაზე ფართოდ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებშია გავრცელებული, მოითხოვს უფრო მშრალ ჰავასა და სითბოს, ვიდრე თუთრი თუთა.

ძველი ბერძნები და რომაელები ხართუთას წვეს იყენებდნენ ღვინისთვის ფერის მისაცემად.

საქართველოში ისრდება ორივე სახეობა. ჩვენში თუთრი თუთა გავლენებულია, განსაკუთრებით ჭაღლის ტყეებში.

ლეღვი (*Ficus carica*) მიეკუთვნება თუთისებრთა ოჯახს (*Moraceae*). 10 მეტრამდე სიმაღლის ხემცენარეა, ზოგჯერ ისრდება ნიადაგზე გართხმულ ბუჩქადაც. ნაყოფი – ლეღვი სხედასხვა შეფერილობისა და ზომისაა. ლეღვსაც არა აქვს ერთეული ნაყოფი, ანანასივით მასაც რთული თანანაყოფი გააჩნია.

ლეღვის სამშობლო სუბტროპიკები – ხმელთაშუაზღვისა და მცირე აზიის ქვეყნებია. აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში მოჰყავდათ 5000 წლის წინათ, ლეღვის ღიათინური სახელწოდება – „კარიკა“ – მიუთითებს, რომ მას ფართო გამოყენება ჰქონდა ძველ კარიკაში – მცირე აზიის ძველ ქვეყანაში (ახლანდელი თურქეთი). ძველ ეგვიპტესა და ძველ საბერძნეთში ერთ-ერთი უმთავრესი კულტურა იყო. ხარობს ირანსა და ჩრდილოდასავლეთ ინდოეთში. ევლურად ისრდება კავკასიაში, ყირიმსა და შუა აზიაში. აღნიშნული რეგიონებიდან ლეღვი კულტივირებულია დედა მიწის ტროპიკულსა და სხვა სუბტროპიკულ ქვეყნებში, 1520 წელს შეიტანეს ცენტრალურ ამერიკაში, რამდენადმე გვიან – ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ რაიონებში. ამჟამად ყველაზე მეტად გავრცელებულია მცირე აზიაში, სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიასა და კალიფორნიაში. ტროპიკებში წელიწადში სამ მოსავალს იღებენ. იჭმევა ნედლი და ჩირის სახით, ნაყოფისგან (ნაყოფიდი, ცრუ ნაყოფი) ამზადებენ მურაბას, ჯემს, მარმელადებს, სპირტიან სასმელს. ლეღვის კულტურა ძველთაგანვე ცნობილია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ხარობს ზღვის დონიდან 300 მ. სიმაღლემდე.

ბროწეული (*Punica granatum*) ეკუთვნის ბროწეულისებრთა ოჯახს (*Punicaceae*). ბუჩქი ან ტანდაბალი ხეა. ნაყოფი დაფარულია სქელი, წითელი ნა-

ყოფსაფარით, რომელიც მდიდარია ტანინებით, იგი რკინის მარილთან შეერთებით შავ მელანს იძლევა. ნაყოფი კენკრასებრია, მრავალი, წვნიანი, წითელი თესლით. ნაყოფის წვენი მომჟავო-ტკბილია.

ბროწეულის ნაყოფს როგორც ნედლად, ისე წველის, სიროფის სახით ძველთაგანვე დიდი მოხმარება ჰქონდა საოჯახო მუერნობაში. ჩვენში ამზადებენ ნარშარაბს, როგორც მთელი რიგი საჭმელების სანელებელ საშუალებას. ბროწეულის წვენი დიდი რაოდენობით შეიცავს ლიმონის მჟავასა და ეიტამინ C-ს, რის გამოც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მედიცინაში სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ. მედიცინაში ასევე გამოყენებულია მცენარის ღეროს, ტოტებისა და ფესვების ალკალოიდებით მდიდარი ნახარში და ექსტრაქტი. ფოთოლი, ფესვისა და ღეროს ქერქი, ნაყოფის კანი დიდი რაოდენობით მთრიმლავე ნივთიერებებს შეიცავს. იხმარება ტყავის წარმოებაში და საღებავების დასამზადებლად. ლამაზი ყვავილების გამო გამოყენებულია დეკორაციულ მებაღეობაში.

ბროწეულის ბევრი ჯიშია გამოყვანილი. მცენარის პირველი კულტურული ფორმები გამოიყვანეს სპარსეთსა და ავღანეთში. საწყის ევლურ ფორმას, ალბათ, *P. protopunica* წარმოადგენდა.

ევლურად ისრდება მცირე აზიაში, ჩრდილოდასავლეთ ინდოეთში, ირანში, ამიერკავკასიაში. ჩვენში ხარობს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

ბროწეულის ყველაზე ძველი გამოსახულება მოცემულია ძველ ეგვიპტეში, ფარაონ ამენხოტეპ IV-ის (ძვ.წ-ის 1375-1358 წწ.) აკლდამაზე. ძველ იუდეველებს ბროწეული 5000 წლის წინათ მოჰყავდათ. რომაელებში იგი ფინიკიდან გავრცელდა, აქედან გამომდინარეობს ბროწეულის მეორე სახელწოდება – „პუნიკიელთა ვაშლი“.

ამჟამად ბატონობს მთელი მსოფლიოში, სადაც მისი ზრდისთვის ხელსაყრელი კლიმატური პირობებია. ბროწეული სითბოსმოყვარული მცენარეა.

საქართველოში ბროწეულის კულტურას დიდი ხნის ისტორია აქვს. გავრცელებულია როგორც ბუნებრივ პირობებში, ისე საკარმიდამო ნაკვეთებზე. კარგად ხარობს ზღვის დონიდან 750-800 მეტრ სიმაღლემდე.

წაბლი ეკუთვნის წიფლისებრთა ოჯახს. ისრდება 50 მეტრამდე სიმაღლის ვეებერთელა ხე. ზოგიერთი ხე ცოცხლობს 500-1000 წელს. შეიცავს რამდენიმე სახეობას, რომელთაგან მეხილეობაში მნიშვნელოვანია ბუნებრივად და კულტურაში მოზარდი ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa*). ნაყოფის ბუდე გარკვეულ დაფარულია ეკლებით. ნაყოფის მომწიფებისას ბუდე ოთხად იყოფა და თესლი თავისუფლდება. თაფლოვანი მცენარეა, ფუტკარი მისი ყვავილებიდან უხე დალას იღებს. მსხმოიარე ხე 20-50 კგ ნაყოფს იძლევა.

წაბლი გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს სუბტროპიკულსა და ზომიერ სარტყ-

ლბეში. ეარაუდობენ, რომ წაბლის სამშობლო მცირე აზიაა. მესამეულ პერიოდში აღწედა ევროპის ჩრდილოეთ განედებს. თანამედროვე არქაულში წარმოდგენილია როგორც მესამეული პერიოდის რელიქტი. ამჟამად ამრავლებენ ევროპის ბევრ ქვეყანაში. წაბლის გავრცელებაში დიდი როლი შეასრულეს ძველმა რომაელებმა, მათ კი ამ მცენარის არსებობის შესახებ ძველი ბერძენებისაგან შეიტყვეს. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში წაბლი თურქმა დამპყრობლებმა შეიტანეს. წაბლის ნედლი ნაყოფი გამოიყენება სუფრის ხილად, უფრო ხშირად კი ხარშავენ ან ხაღავენ. იგი თაყვლითადაც მცენარეა.

წაბლის მერქანი მაგარი და გამძლეა. იყენებენ აუჯისა და სახარატო წარმოებაში, მშენებლობაში.

გვარში გაერთიანებულია 20-მდე სახეობა, რომლებიც გავრცელებულია ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთი ამერიკის ფოთლოვანი ტყეების ზონაში.

აშშ-ში, იაპონიასა და ჩინეთში მძიყაეთ წაბლის გვარის სხვა სახეობები.

ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana) ეკუთვნის თხილისებრთა ოჯახს (Corylaceae). გვარი თხილი (Corylus) ხეები ან ბუჩქებია. თხილის ნაყოფი ერთ-თესლიანი კაკალია. მის მოსავალს იღებენ როგორც ტყეში მოზარდი, ის კულტურაში გახარებული ბუჩქებიდან. მისი ყველაზე მასობრივი ნარგავები ცნობილია თურქეთიდან, იტალიიდან, მოჰყავთ ჩრდილოეთ აფრიკაშიც.

თხილის ადამიანი იყენებს ნეოლითიდან - 6000 წლიდან. ნაყოფი შეიცავს ზეთს და სასიამოვნო საჭმელია (ნედლი, მოხალული), ხმარობენ საკმაზადაც. თხილის მერქანი ლამაზია, თეთრი-მოვარდისფრო, იხმარება წნულებად, კასრების საღებავად. ქართული თხილის (C. iberica) მერქანი მაგარი, მეკრივი, იყენებენ სააუჯისა და სახალად. საქართველოში იზრდება რამდენიმე სახეობის თხილი (ქართული, ჩვეულებრივი, პონტოური, იმერული, კოლხური).

ჩვეულებრივი კაკალი, ნიგეზის ხე (Juglans regia) ეკუთვნის კაკლისებრთა ოჯახს - Juglandaceae. 15-30 მეტრი სიმაღლის ხეა. ნაყოფი ცრუ კაკლისმაგვარი, ერთთესლიანი კურკიანია. თესლი გარედან დაცულია სქელი ან თხელი ნაჭუჭით. თესლი შედგება წყვილი დანაოჭებული ლეზნებისაგან, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ზეთსა და ცილოვან ნივთიერებებს. იჭმევა ნედლი, მოხალული, ამზადებენ გოზინაყს, ჩურჩხელას. კაკლის მერქანი მაგარი და მეკრივია, ლამაზად კრიალდება. დიდი მოხმარება აქვს აუჯის წარმოებაში, დეკორატიული, კარგი საჩრდილოებელი მცენარეა.

კაკალს ძალიან აფასებდნენ ძველი რომაელები. მათ ეს კულტურა შეიტანეს იმპერიის ბევრ რაიონში. ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, მცირე, დასავლეთსა და შუა აზიაში, ირანსა და ჩინეთში. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, როგორც ჩანს, შეორეულად არის გაველურებული, ამიტომ კაკლის წარმოშობის

ბევრი რაიონი სადავოა. კაკალი მასობრივად მძიყაეთ ევროპის ქვეყნებში (საფრანგეთი, იტალია) და კალიფორნიაში (აშშ). ცნობილია ათობით ჯიში.

საქართველოში საკუთრივ მუხილეობა (თესლოვანი, კურკიანი, კაკლოვანი კულტურები), აგრეთვე მუხილეობა, სუბტროპიკული მუხილეობა და მეციტრუსეობა მემცენარეობის ფრიად განვითარებული დარგია. სოვადად ამიერკავკასიისაგან, წინა და შუა აზიასთან და ჩემლთაშუა ზღვის ქვეყნებთან, საქართველო მუხილეობის ერთ-ერთ უძველეს ბუნებრივ ცენტრად, პირველსამშობლოდაა აღიარებული. ამაზე მეტყველებს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, რომელიც პალეოლითის ხანას მიეკუთვნება. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის განათხარ ძველებში ნაპოვნი ბაღის დანები, სასხლაფი, საჩეხები და სხვა ხელსაწყოები, ხეხილის ნაშთები.

ცნობილი ფრანგი მეცნიერი და მოგზაური დეკანდოლი თავის ნაშრომში (1885 წ.) ხეხილის ერთ-ერთ სამშობლოდ კავკასიის ასახელებს (ნ. ხომი-სოფრაშვილი, ელ. ერისთვი - „საქართველოს ხილი“, 1941 წ.). ჩვენს ქვეყანაში მარტო ვაშლისა და მსხლის 200-ზე მეტი ადგილობრივი ჯიშია გავრცელებული. ბევრი მათგანი თავისი სასაქონლო თვისებებით უკეთესია დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ადგილობრივ ჯიშებსე. ვაშლებიდან ასეთებია: კეხურა, თურაშაული, რქინა ვაშლი, რაჭულა, აჭარული წითელი და სხვ. მსხლებიდან - ქართლის გულაბი, კახური გულაბი, ხეჭკური, გვერდწითელა გოხა და ა.შ.; ატმის ჯიშებიდან: ხიდისთაური თეთრი, ხიდისთაური ვარდისფერი, ხიდისთაური ყვითელი საგვიანო, გაეაშური, ხირსული და სოვი-ერთი სხვ. ამასთან, ვაშლისა და მსხლის ჯიშები გაშენებულია ზღვის დონიდან 1800-2000 მ სიმაღლეზე (ნ. კეცხოველი, „კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში“, 1957).

აღნიშნულის თაობაზე, ქართლში მოგზაურობის შემდეგ (1672 წ.), ჟან შარდენი წერდა: „ხილიც ძალიან კარგი იცის, ყოველგვარი ხილეულაბა მოდის, ევროპის არც ერთ ადგილას არ მოდის ასეთი საუკეთესო ვაშლი და მსხალი“.

ორი ათასი წლის წინათ საქართველოდან გაქონდათ მუხილეობის პროდუქტები (გ. ნათაძე - „საქართველოს ისტორია“, 1929 წ.). XIV საუკუნეში, თურქების ბატონობის დროს, გადასახადის სახით მესხეთიდან თურქეთში სულთანის კარზე ხილსაც აგზავნიდნენ.

აი, რას წერს საქართველოს ხეხილის მრავალფეროვნებაზე ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო ხილნი წალკოტთა მრავალნი, ნარინჯი, თურინჯი, ღიმონი, ზეთისხილი, ბროწეული, ყურკენი, ატამი, ვაშლატამი, ... ჭერამი, ალუნა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა, ხარ-თუთა, ... ქლიაყი მრავალგვარი ლეღვი, ბალი, ალუბალი, მსხალი და ვაშლი მრავალგვარი, კომში, ნიგოზი, თხილი, ტყემალი, ზღმარტლი, ფშატი, ხურმა, წაბლი, კრიკინა, ალუბალი, ბალაშწარა, ბალალოჯი, მაყეალი, პანტა,

კუნელი, ჯახელი, ჭნავი, წიფელი, დათვის სხალა, დათვის-ბაბა, დათვის-თხილა, კოწახური, მაყვალი მრავალგეგარი, ნიგოზი და სხვანიცა... ხოლო მთისანი არიან: მოცხარი, კლდის მერსენი, ვოლო, უელი, მოცვი და სხვანიცა მრავალი“ (ვახუშტი ბატონიშვილი, „რანი ნაყოფიერებენ საქართველოში“).

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ვახუშტი ბატონიშვილს დახასიათებული აქვს აგრეთვე საქართველოს მრავალი კუთხის სოფლის მეურნეობის დარგები და მათ შორის მეხილეობის გაერცვლების და განვითარების კერები. ხეხილოვან და კენკროვან მცენარეთა ჯიშებს, მათი გაუმჯობესების საკითხებს შეისწავლის პომოლოგია (ლათ. pomum - ნაყოფი).

ხეხილის სხვადასხვა კულტურები, მრავალი საუკუნის მანძილზე, ველურად არსებული სახეობების თანდათანობით გაუმჯობესებული ფორმებია (ა. ბუჩუკური, „მეხილეობა“, 1951).

ზოგიერთი ბოსტნეული კულტურა

პამიდორი (*Lycopersicon esculentum*), ეკუთვნის ძალყურძენასებრთა ოჯახს. მიუხედავად იმისა, რომ მეტწილ ქვეყანაში იგი სულ 100 წლის წინათ შეიტანეს, ბოსტნეულ კულტურებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურაა. მრავალწლოვანი ბალახი და ბუჩქბალახოვანი მცენარეა, მაგრამ სოფლის მეურნეობაში დანერგულია მისი ერთწლოვანი ფორმა. ნაყოფი სხვადასხვა ფორმისა და ფერისაა (ძირითადად წითელი). მწიფე ნაყოფში ბევრია ვიტამინები C, B, P, დიდი რაოდენობითაა ორგანული მჟავები, ხოლო შაქრის რაოდენობა 2-7%-ს აღწევს.

პამიდორი მოჰყავთ დედამიწის ყველა ბუნებრივ ზონაში (ჩრდილოეთის განედებში ახარებენ სათბურის პირობებში). ყველაზე მეტს აწარმოებს აშშ-ში. ამ ქვეყანაზე მსოფლიო მოსავლის ერთი მეოთხედი მოდის. ნედლი, ცოცხალი ნაყოფის ექსპორტის მხრივ პირველ ადგილზეა ბულგარეთი, ხოლო დაკონსერვებული ტომატი სხვა ქვეყნებს ყველაზე ინტენსიურად იტალია ამარაგებს.

პამიდორის გვარის ველურად მოზარდი სახეობები (ხუთი ან ექვსია) სამხრეთ ამერიკიდან არის ცნობილი. ეს არის წყნარი ოკეანისპირა ვიწრო სანაპირო ზოლი ეკადორსა და ჩრდილოეთ ჩილეს შორის, აგრეთვე გალაპაგოსის კუნძულები. ჩვენს წელთაღრიცხვამდე აქვე მოხდა მისი გაკულტურება.

ესპანელების მიერ ცენტრალური ამერიკის დაპყრობის დროს აქ უკვე მოჰყავდათ ტომატის ჯიშები (სიტყვა „ტომატი“ ატექპური წარმოშობისაა). ესპანელებმა პამიდორი ევროპაში შეიტანეს XVI საუკუნეში. სამხრეთ ევროპაში სიამოვნებით აკეთებდნენ მისგან სალათას, მაგრამ ევროპის სხვა რაიონებში დიდი სიფრთხილით შეხედნენ უცხო მცენარეს, მას უფრო დეკორატიული მცენარის

სახით, ანდა სამკურნალოდ იყენებდნენ. მხოლოდ XVIII-XIX საუკუნეებში გამოიყენეს ბოსტნეულ კულტურად, XX საუკუნეში კი საყოველთაო აღიარება მოიპოვა, საქართველოში დაინერგა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ამჟამად ცნობილია პამიდორის 2000-მდე ჯიში და ფორმა.

პამიდორი, უწინარეს ყოვლისა, გამოიყენება სასალათოდ, მისგან ამზადებენ საწებელას, წვენს, პასტას და კეტჩუპს.

ბადრიჯანი (*Solanum melongena*) ეკუთვნის ძალყურძენასებრთა ოჯახს. მრავალწლოვანი მცენარეა. ზომიერი ჰაის ქვეყნებში მოჰყავთ როგორც ერთწლოვანი კულტურა. ბოსტნეული კულტურის სახით გაერცვლებულია ბევრ ქვეყანაში, ტროპიკებიდან ზომიერი კლიმატის რეგიონების ჩათვლით.

ბადრიჯანის სამშობლო აღმოსავლეთი ინდოეთია. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იზრდება მისი ახლომონათესავე სახეობები. ბადრიჯანი ირდოეთიდან სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში არაბებმა გაიტანეს, ხოლო აფრიკაში - სპარსელმა ვაჭრებმა. საქართველოში ცნობილი ყოფილა XII საუკუნემდე (ივ. ჯავახიშვილი). საკვებად გამოიყენება მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც მოჰყავთ. ნაყოფის რბილობს ხარშავენ ან წვავენ. მდარე გემოვნების ღირსებების გამო, სადღის მომზადებისას ამ ბოსტნეულს ხშირად სხვა ბოსტნეულს, ანდა ხორცსაც ურევენ.

წიწკა ეკუთვნის გვარ *Capsicum*-ს, ძალყურძენასებრთა ოჯახიდან. მრავალწლოვანი ბუჩქბალახია. კულტურაში ერთწლოვანი მცენარეა. სოფლის მეურნეობაში წიწკას მრავალი სახეობა და ჯიშია გაერცვლებული. პარკოსან კულტურებსა და გოგარასთან ერთად, ინდიელები დიდი ხანია საკვებად იყენებენ.

ყველაზე მიღებულია სასალათო წიწკა (*C. annuum*). ნაყოფები (გრუ კენკრა) ფორმით ფრიად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ფერი იცვლება ყვითლიდან წითელის ჩათვლით, სიგრძით 1-30 სანტიმეტრამდე.

წიწკაის სახეობებსა და ჯიშებში, რომელთა ნაყოფის შემადგენლობაში შედის ნიეთიერება კაპსაიცინი (ფენოლური შედგენილობის ორგანული ნიეთიერება), გამოირჩევა მაღალი სიმწარით. მსჯავსი წიწკა გამოიყენება მხოლოდ საკმახის სახით. უკაპსაიცილო, ბოსტნეული წიწკა, პირიქით, სხვადასხვა სახის სადილის დამზადებისას დიდი პოპულარობით სარგებლობს კულინარიაში.

სამხრეთ ამერიკაში მწარე წიწკას საკმახად დიდი ხანია იყენებენ (თარიღდება დაახლოებით 4000 წლით). კოლუმბმა ერთ-ერთი ასეთი ფორმა კუნძულ ჰაიტიდან ესპანეთში 1493 წელს გაიტანა. XVI საუკუნეში გააერცვლეს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, აფრიკასა და ინდოეთში.

მწარე საკმახებისადმი აზიელთა ლტოლვამ განაპირობა წიწკაის სწრაფი დანერგვა ამ კონტინენტზე, ამჟამად მსოფლიოში მწარე წიწკაის ყვე

ლაზე მასშტაბური ექსპორტიორია ინდოეთი. ევროპაში უპირატესობას ტკბილ წიწაკას ანიჭებენ (განსაკუთრებით დანერგილია უნგრეთში), ამ ბოსტნეულის მოყვანის მეორე ცენტრი მდებარეობს აშშ-ის სამხრეთ შტატებში. თუ მწარე წიწაკას მხოლოდ საკმაზად იყენებენ, არამწარე ფორმები გამოიყენება სასაღებო, მათ აკონსერვებენ, აკეთებენ პასტას და კეტჩუპს.

კიტრი (*Cucumis sativus*) მიეკუთვნება გოგრისებრთა ოჯახს (*Cucumbracaea*). ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მცოცავი ან ხვიარაა. გეხედება ნახევარბუჩქისებრი ფორმებიც. მცენარის ნაყოფი ძალიან განსხვავდება ფორმით, სომით, შეფერილობით (მწიფე ფორმა). კიტრის, როგორც საკვები პროდუქტის მნიშვნელობა ძალიან დაბალია: შეიცავს 95% წყალს, ძალიან ცოტა მასში მინერალები და მარილები, სამაგიეროდ ხასიათდება მაღალი გემოვნებითი ღირებულებით.

ამჟამად, კიტრი მოჰყავთ ყველა კონტინენტზე, მაგრამ მცენარის სამშობლოდ მიჩნეულია ინდოეთის ჩრდილოეთი რაიონები. ველური ფორმა არ არის ნაპოვნი. ინდოეთიდან კიტრი გაიტანეს სუბკონტინენტის დასავლეთით და აღმოსავლეთით. ეგვიპტიდან ცნობილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4000 წლის წინათ. მოჰყავდათ ძველ ბერძნებსა და ძველ რომაელებს, ჩინეთში კი ჩვენი ერის პირველ ათასწლეულში გაახარეს. ამჟამად ყველაზე ბევრი ჯიში გაერცელებულია ევროპასა და აშშ-ში (როგორც ბოსტანსა და მინდორში, ისე სათიურებში). იყენებენ ნედლად და მწილის სახით.

ნესე – გვარი *Cucumis*-ის მეორე სახეობაა (*C. melo*). ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ნაყოფები ფერით, ფორმით, სომით, კანის სტრუქტურით ფრიად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ნესეის ჯიშებით განსაკუთრებით მდიდარია მცირე და შუა ახია (ჩარჯოუს ნესეები), აგრეთვე ჩინეთი. ნესეში შაქრის რაოდენობა 16-18%-ს აღწევს. ნესეის წარმოშობის ცენტრად ითვლება მცირე, წინა და შუა ახია. აქედან გაერცელდა დედამიწის მრავალ ქვეანაში, ტროპიკებიდან დაწყებული ზომიერი კლიმატის რაიონებში. იყენებენ ნედლად, შემქნარსა და გამხმარს. ამზადებენ ხილფაფას, მურაბას, მარმელადსა და სხვ.

ველურად მოზარდი ნესეი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და აფრიკაში ხშირად სარეველა მცენარეების სახით იზრდება. არის მოსარება, რომ ნესეის პირველი კულტურული ჯიში გამოიყვანეს აფრიკაში, მაგრამ ეს ფაქტი მეცნიერულად ჯერ არ დადასტურებულა, ძველ ეგვიპტეში მისი ნაშთები არ არის მოკვლეული, დასავლეთ ევროპაში კი გაიტანეს რომის იმპერიის ბატონობისას. დღეს ყველაზე გემრიელი ნესეის ჯიშები გამოიყვანა შუა (ცენტრალური) აზიის რესპუბლიკებსა და აშშ-ში. საქართველოში გაერცელებულია ადგილობრივი ჯიშები (მეგრული, მუხიანური და სხვ.).

საზამთრო მიეკუთვნება გოგრისებრთა ოჯახის სხვა გვარს – *Citrillus*. ცნობილია საზამთროს სამი

სახეობა: ველური, სასუფრე და საკვები. ფართოდაა გაერცელებული სასუფრე (*C. vulgaris*; სხვა ცნობით – *C. lanatus*, იხ. გუნთარ ფრანკე და სხვ. „დედამიწის ნაყოფები“, 1979), ერთი ან მრავალწლოვანი მცენარეა. ღერო მხოხავია. ნაყოფი გოგრულაა. ფორმით, სომით, შეფერილობით, ნაყოფის რბილობით საზამთროც ბევრნაირია, შაქრის რაოდენობა ცვალებადობს 5-10% ფარგლებში.

საზამთროს ველური სახეობები იზრდება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში, მაგალითად, კალაჰარის ნახევარდ უდაბნოსა და ნამიბის უდაბნოში. ველური საზამთროს ნაყოფი მწარეა, მცირე სომის და ძალზე შებუსუსი. როგორც ჩანს, საზამთროს კულტურაში მოყვანა მოხდა, სწორედ აფრიკაში. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ძველ ეგვიპტეში ძალიან პოპულარული იყო მისი დესერტული ფორმები. წინასწორიულ პერიოდში ხდებოდა საზამთროს მოშენება ინდოეთშიც. დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთ აზიაში საზამთრო შეიტანეს გაცილებით მოგვიანებით – X-XI საუკუნეებში.

საზამთრო იჭმევა ნედლი სახით, ხასიათდება გამაგრილებელი თვისებებით, ამიტომ მას სამართლიანად უწოდებენ „უდაბნოს სასმელს“. ინდოეთში გამოიყავთ სქელრბილობიანი ჯიშები, რომლებსაც ხარშავენ და სადილად იყენებენ. საზამთროს საუკეთესო ჯიშები ცნობილია ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიიდან, შუა აზიიდან და აშშ-დან.

საქართველოში გაერცელებულია ადგილობრივი ჯიშები: კახური, მუხიანის, შავი, სოხუმისა და სხვ.

გოგრის გვარი ცნობილია *Cucurbita*-ს სახელწოდებით. ერთწლოვანი და მრავალწლოვანი მხოხავი მცენარეა. აქვს მიწაზე გართხმული ან საყრდენზე ასული ღერო. მისი 13 სახეობიდან ფართოდაა კულტივირებული ერთწლოვან ფორმათა 3 სახეობა: მსხვილნაყოფა (მისგან გამოიყვანია სუფრის, საკვები და დეკორატიული ჯიშები), მაგარკანიანი, ანუ ჩვეულებრივი (მაგალითად, საქართველოში ყველაგანა ცნობილი ხოკერა), სუფრისა და დეკორატიული ჯიშები. ამ სახეობას ეკუთვნის ყაბაყი, დაბოლოს, ბუსკატური, ანუ ჯაქის გოგრა (ზოგიერთი ჯიში გაერცელებულია ქვემო ქართლის დაბლობ ზონაში).

ნაყოფი ხშირად ძალიან დიდი სომისა და წონისა – 100 კილოგრამამდე იწონის. ამ მანევრებით მცენარეთა სამეფოში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გვარია. რბილობი ტკბილია, მდიდარი შაქრებით (15%-მდე) და სახამებლით, ყვითელია, ყინიდან შეიცავს კაროტინს. თესლი მდიდარია ზეთით. ნაყოფი ძლებს თევითი.

გოგრის გვარში შემავალი სახეობების მრავალფეროვნების ცენტრი მექსიკაშია. აქვე იზრდება ამ მცენარის ველური ფორმები, რომლებიც თავისუფლად ჯვარდება კულტურულ ფორმებთან. შესაბამისად, ვარაუდობენ, რომ კულტურული გოგრის ჯიშებიც მექსიკაში იქნა გამოყვანილი. არქეოლოგიური მონაცემებით, ცენტრალურსა და სამხ-

რეთ ამერიკაში (პერუ) გოგრის კულტურა სიმინდ-ზე უფრო ადრე მოჰყავდათ, ე.ი. სულ ცოტა 7000 წლის წინათ. ესპანელების ამერიკაში შეჭრისას, ინდიელები გოგრას თესავდნენ ვეებერთელა ტერიტორიაზე – სამხრეთ ამერიკის სამხრეთ რაიონებიდან, ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკის კანადის ტერიტორიის ჩათვლით. მას წყავდნენ, ხარშავდნენ, იყენებდნენ სხვადასხვა შეჭამანდში.

დღეს საკვებად გამოიყენება გოგრის როგორც რბილობი, ისე თესლი. კვებითი თვისებებით განსაკუთრებით გამოირჩევა ჩვეულებრივი გოგრა – *C. pepo* (პოპულარული ევროპაში) და მრავალნაყოფა გოგრა (*C. maxima*). გოგრით საკონვლსაც კვებავდნენ.

გოგრის ჯიშიდან აღსანიშნავია ბოთლა გოგრა (*Lagenaria siceraria*). ამ მცენარის უმწიფარი ნაყოფი საკვებად გამოიყენება, ხოლო მწიფე, რბილობ-მოცლილი ნაყოფი, რომელსაც ცილინდრის, ელიფსის, ან მსხლის ფორმა აქვს – ჭურჭლად ან სხვა საოჯახო ნივთად.



სურ. 134. საჭურჭლედ გამოყენებული გოგრა ტანზანიაში (მასაის ტომი).

საჭურჭლე გოგრის წარმოშობის ცენტრია ტროპიკული აფრიკა. მას აქ იყენებენ 5000 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. არქეოლოგიური კვლევით ნაპოვნია სამხრეთსა და ცენტრალურ ამერიკაში. იმ დროს ამერიკაში ჯერ კიდევ არ მისდევდნენ სოფლის მეურნეობას. ვარაუდობენ, რომ გოგრის ნაყოფი აფრიკიდან ამერიკაში ოკეანის დინებებით მოხვდა. ეს მოსაზრება რომ ახლოს დგას სინამდვილესთან, დასტურდება შემდეგი ფაქტით: ზღვის მლაშე წყალში მოხვედრილი საჭურჭლე გოგრის თესლი, ნაყოფის მაგარი გარსის გამო, წლების განმავლობაში აღმოცენების უნარს არ კარგავს.

სტაფილო (*Daucus spp.*). ზედის ქოლგოსანთა (*Umbelliferae*) ოჯახში. ორწლოვანი, იშვიათად ერთიან მრავალწლოვანი მცენარეა. ცნობილია სტაფილოს 60-მდე სახეობა. კულტურული სტაფილო (*D. sativus*, *D. carota*) ორწლოვანია. იყოფა სასუფრე და საკვებ სტაფილოდ. საკვებად გამოიყენება ძირბენა. მდიდარია შაქრებით, ცილებით, განსაკუთრებით კაროტინით. ადამიანის ორგანიზმში იგი გადაიქცევა ვიტამინ A-დ, რომელიც აუცილებელია ნორმალური მხედველობისათვის. სტაფილო ცხოველთა საუკეთესო საკვებია.

სტაფილო ადამიანმა კულტურაში დანერგა 4 ათასი წლის წინათ. ველური სტაფილოს ძირხვენა ძალიან პატარაა. სამშობლოა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები, სადაც როგორც სარეველა მცენარე, ქვემდე ხარობს.

ხახვი თავიანი (*Allium cepa*), ორი, სამი ან ოთხწლოვანი მცენარეა შროშანისებრთა (*Liliaceae*) ოჯახიდან. მისი სამშობლოა შუა აზია და ავღანეთი. ბოლქვი სხვადასხვა ფორმისა და შეფერილობისაა. საჭმელად გამოიყენება ხახვის ბოლქვი და მწვანე ფოთლები. ბოლქვი შეიცავს შაქრებს (2-14%), აზოტოვან ნივთიერებებს (2-2,5%), მინერალურ ნივთიერებებსა და ვიტამინებს. ხახვის გარჩევისას ცრემლის დენას იწვევს ეთეროვანი (მფრინავი) ზეთები (0,03-0,5%).

ხახვის ბევრი ჯიში სამკურნალო თვისებებით ხასიათდება – გამოყოფილი მფრინავი ნივთიერებები ხოცავენ მიკრობებს. ბოლქვის ღებვისას ხდება პირის ღრუს დეზინფიცირება.

ხახვი კულტურაში პირველად 6000 წლის წინათ შუა აზიაში დანერგეს, აქედან გაიტანეს ეგვიპტესა და ევროპაში (ახ.წ.აღ-ის დაწყებისთანავე). ამჟამად გავრცელებულია მთელ მსოფლიოში.

საქართველოში გაბატონებულია ადგილობრივი ჯიშები: ვანის, კახური, ქართლის. საჭმელად იყენებენ ნედლს, მოხარშულს, მოშუშულს, დაკონსერვებულს და გამომშრალს, ხმარობენ სამკურნალო მიზნითაც.

ნიორი (*Allium sativum*) – ერთწლოვანი ბოლქვიანი მცენარეა შროშანისებრთა ოჯახიდან. ველურად გვხვდება შუა აზიის მთებში, სამხრეთ ყაზახეთში, კავკასიაში. ნიორი თესლს არ იძლევა, მრავლდება კბილითა და ბოლქვით. ბოლქვსა და მწვანე მასას იყენებენ საჭმელად, კულინარიასა და საკონსერვო მრეწველობაში. ნიორის კბილი შეიცავს ცილას (7%-მდე), ცხიმს (0,6%), შაქარს (26%) და ა.შ. ნიორს სპეციფიკურ სუნს და გემოს აძლევს ეთერზეთი (0,74%-მდე). იგი შეიცავს ანტიბიოტიკებს (ფიტონაღის, ბაქტერიციდს, პროტისტოციდს), რისთვისაც იყენებენ ფარმაკოლოგიაში. მდიდარია ვიტამინებით (C, B, D). მუცელისაში დიდი ხანია გამოყენებულია როგორც პროფილაქტიკური საშუალება ათეროსკლეროზის, სასუნთქი გზების კატარის, ასთმის, ტუბერკულოზის, საჭმლის მომწველებელი სისტემის მოშლისა და სხვათა სამკურნალოდ.

ნიორი შუა აზიიდან გაავრცელეს აზიის სხვა

ქვეყნებში, აფრიკასა და ევროპაში. ეს მოხდა 6000 წლის წინათ. მისახეობამ გამოიყენა არა როგორც მხოლოდ ბოსტნეული, არამედ სამკურნალო მცენარე. ასე იყო ეს მცენარე მიღებული ძვ.წ.ად.ით 4500 წელს ძველ ეგვიპტეში. პირამიდების, სარკოფაგების მშენებლობისას ნიორს იყენებდნენ შრომის უნარის გასაძლიერებლად, როგორც პროფილაქტიკის საშუალებას მაღარისა და სხვა დაავადებების საწინააღმდეგოდ. ასეთივე მიზნით იხმარებოდა ძველ საბერძნეთში, ძველ რომსა და ევროპის სხვა ქვეყნებში (ძვ.წ. 400 წლიდან).

საქართველოში ცნობილია ნიორის შემდეგი ჯიშები: გორული, იმერული.

მატონიზირებადი ნივთიერებების შემცველი კულტურები

შოკოლადის ხე (*Theobrona cacao*) ეკუთვნის ოჯახ *Sterculiaceae*-ს; ხე ან ბუჩქია. მარადმწვანე მცენარეა. ახასიათებს ხის ტანზე კონა-კონად მსხლომი ყუავილების განვითარება – კაულიფორია, ასეთივე ყუავილები იზრდება დელატოტებზედაც (რამიფიკორია). თესლი შეიცავს 60% ცხიმს, 16% ცილას, ხოლო ალკალოიდების (ტეობრომინი, კოფეინი) რაოდენობა 0,9-2,5%-ს აღწევს. ამიტომ შოკოლადის ხეს, განსხვავებით ყავისგან, პირობითად მატონიზირებელ მცენარეთა ჯგუფს აკუთვნებენ.

ამ მცენარის სამშობლოა მდინარეების – ამასონისა და ორინოკოს (სამხრეთ ამერიკა) აუზები. აქ მას უკავია ტენიანი ტროპიკული ტყეების ქვედა იარუსი. ჭარბი სითბოსა და ტენის მოყვარულია.



სურ. 135. შოკოლადის ხის დამწიფებულ ნაყოფები მცენარეზე (მდინარე ორინოკოს აუზი, კოლუმბია).

ამიტომ ვრცელდება მხოლოდ ტროპიკულ განედებში (ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებში უკავია 20-20° განედების ფარგლები). კულტივირების უმთავრესი ცენტრები მდებარეობს ცენტრალურსა და სამხრეთ ამერიკაში, აგრეთვე დასავლეთ აფრიკაში. თავის დროსე ამერიკიდან გატანილი ამ მცენარის ყველაზე დიდი მოსავალი, როგორც ეს ხშირად ხდება, მოკავთ არა მცენარის სამშობლოში, არამედ მის გარეთ, აფრიკაში (განაში, ნიგერიაში, კამერუნში და ა.შ.). აფრიკაში ამ სადებენ შოკოლადის ხის ნაყოფის მსოფლიო მოსავლის 75%-ს.

კულტურაში მცენარეს რვავეს პლანტაციების სახით (აქ ხე 8 მ-მდე იზრდება), პლანტაციაში ნაყოფმსხმოირობა და ყუავილობა მთელი წელი გრძელდება. ნაყოფიდან, დანის დახმარებით, გამოაქვთ თესლი, მას ახარისხებენ. 40-50° C ტემპურატურაზე ხდება ფერმენტაცია, რასაც მოსყვება დუღილის პროცესი. 4-6 დღის შემდეგ ფერმენტაცია მთავრდება, თესლს აშრობენ. ასეთ თესლში წარმოიქმნება კაკაოსათვის დამახასიათებელი არომატი. შემდეგ თესლს ღერღვევს და ხეხავენ. გახეხილი კაკაოსაგან (თხევადი მასაა) გამოწნევენ კაკოს სუთს. შოკალადის მასას ღებულობენ გახეხილი კაკოს, კაკოს სუთის, შაქრის პუდრისა და საჭირო არომატული ნივთიერების შერევით. მიღებულ მასას ერთხელ კიდევ აურევენ სუთს და 30-31° C-მდე გაცივების შემდეგ გაიტანენ აპარატზე შოკოლადის ჩამოსახმელად (ყილების, მელღების, ფოტრების სახით).

პრიმიტიული წესით შოკოლადის ხის ნაყოფის ფერმენტაცია რთული საქმეა, ამიტომ მისი გამოყენება შეუძლოთ მხოლოდ ინდიელთა პრივილეგირებულ წყნებს.

ყავის ხე გაერთიანებულია მარადმწვანე ხეებისა და ბუჩქების გვარში – *Coffea* (ოჯახი ენდროსებრნი – *Rubiaceae*). გვარში შედის მრავალი სახეობა, მათგან სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ოთხს. ნაყოფი მომრგვალოა, 1-1,5 სმ სომის. მწიფე ნაყოფი წითლდება. წითელი გარსის შიგნით მოტკბო-მომკვეო რბილობია.

ყავის ხის 50-მდე სახეობა გავრცელებულია აფრიკისა და აზიის ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. 4-5 სახეობა კულტივირებულია ორივე ნახევარსფეროს თბილ ქვეყნებში. კულტურაში უფრო გამოყენებულია არაბული ყავა (*C. arabica*). წარმოშობით ეთიოპიის მთიანი რაიონებიდანაა. ხარობს ტროპიკული ტენიანი ტყეების ქვედა იარუსებში. ბუჩქი 5 მეტრი სიმაღლისაა, კულტურული ფორმები – უფრო დაბალი (3 მ).

პირველად (XIV-XV სს.) ყავისგან სათანადო ნედლეული მიიღეს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთით (ეთიოპიის მოპირდაპირე მხარეზე). XVII საუკუნის დასაწყისში პოლანდიელებმა ყავის ხე შეიტანეს კუნძულ იაუაზე. აქედან მოხდა ინდონეზიასა და შრი-ლანკაში. ბრაზილიაში მცენარის ინტროდუცირება მოხდა 1730 წელს, სადაც ახლა

გაშენებულია ყავის პლანტაციების 50%. ამის შემდეგ ყავა გავრცელდა სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის სხვა ქვეყნებშიაც, ხოლო XIX–XX საუკუნეებში საკმაოდ პოპულარული გახდა თავის სამშობლოში – აფრიკაში.

კონგოური ყავა წარმოშობით ცენტრალური აფრიკიდანაა. ამ კონტინენტზე იზრდება ასევე ყავის 4 სხვა, ენდემური სახეობა – ლიბერიული და მაღალი (20 მეტრამდე).

ყავის ნაყოფი შეიცავს ნახშირწყლებს, ცხიმებს, ცილებს, ამინომჟავებს, მინერალურ ნივთიერებებს და, რაც მთავარია, ალკალოიდს – კოფეინს (2%-მდე). ნორმალური დოზით მიღებული კოფეინი ასტიმულირებს ჩონჩხისა და გულის კუნთებს, მაღლა სწევს სისხლის წნევას და სხეულის ტემპერატურას, აუმჯობესებს თირკმელების მუშაობას. კოფეინის ჭარბი მიღება უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე: ალაგზნებს, იწვევს უძილობას, კუნთების კანკალს, ყურებში ხმაურს, პულსის არითმიას...



სურ. 136. ყავის ხის დამწიფებული ნაყოფები მცენარეზე (მაღალიზა).

ტროპიკულ-სუბტროპიკული მცენარეების ნაყოფებს შორის, მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნილების თვალსაზრისით, ყავის მარცვალს პირველი ადგილი უკავია – წელიწადში ხდება 4 მილიონი ტონა მარცვლის (ნედლი, მოხალული), ფხენილისა და ხსნადი ყავის ექსპორტი.

ჩაის ბუჩქი (*Camellia sinensis*). ადრე ცნობილი იყო როგორც *Thea sinensis*. მიეკუთვნება ჩაისებრთა ოჯახს (*Theaceae*). კულტურაში ცნობილია ჩაის ქართული ჯიშები („ქართული-1“ და „ქართული-2“ და სხვ.). მარადმწვანე მცენარეა, თუ არ გაიკრიჭა, იზრდება 15 მეტრამდე სიმაღლის ხის სახით.



სურ. 137. ჩაის კრეფა ფილიპინებში.

ჩაის ბუჩქიდან კრეფენ ახალგაზრდა, სრულიად ნორჩ ფოთლებს – დუყებს. ფოთოლი შეიცავს კოფეინს, ვიტამინებს, ეთეროვან ზეთებს, ტანიინებსა და ა.შ. ეთეროვანი ზეთები ჩაის აძლევს არომატს, ტანიინები კი – გემოს.

პირველი ცნობა ჩაის შესახებ, როგორც სამკურნალო მცენარეზე, მომდინარეობს ჩინეთიდან (ძე.წ.ად-ით 2700 წ.). სახელწოდება „ჩაი“ წარმოდგება კანტონური „ჩა“-სგან. „ჩაი სწევს განწყობილებას, ხსნის დალილობას, აყენებს გულს საგულეში, ადვილებს აზრს, დენის სიზარმაცეს...“ – წერია ერთ-ერთ ჩინურ ხელნაწერში. ევლურად იზრდება ასევე ინდოჩინეთსა და ინდოეთში. გავრცელებულია 27 ქვეყანაში.

მსოფლიო ბაზარი ჩაის პროდუქციით მარაგდება ტროპიკული აზიიდან, ამ კულტურის გამოყვანის მეორე ცენტრია აღმოსავლეთ აფრიკა და სამხრეთ ამერიკა (არგენტინა). საქართველო, 41°-43° განედების ფარგლებში, ფაქტობრივად ჩაის კულტურის გაშენების უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვარია. პირველად ჩვენში (გურია) შემოიტანეს 1847 წელს, პირველი სამრეწველო პლანტაცია გააშენეს 1885 წელს აჭარაში (ჩაქვი). მოგვიანებით მიიღეს ადგილობრივი სელექციური ჯიშები.

ჩაისაგან დამზადებული სასმელი ერთ-ერთი პოპულარულია დედამიწაზე. მიუხედავად იმისა, რომ მომწაროა, იმედროულად ფრიად სასიამოვნო არომატის მქონე სასმელია, და, ამასთან ამღვზნებით (ფოთლებში კოფეინის რაოდენობა მერყეობს 2,5-5%-მდე).

შავი ჩაისაგან განსხვავებით, მწვანე ჩაის ფოთლების ფერმენტაცია არ ხდება.

თამბაქო. გვარი Nicotiana-ს ველური სახეობები (60-ზე მეტი) გავრცელებულია ამერიკასა და ავსტრალიაში. მიეკუთვნება ძაღლყურძენასებრთა ოჯახს. წარმოშობით ეს მცენარე სამხრეთ ამერიკიდანაა. აცტეკები და მაიას ხალხი თავგამოდებული მწველები იყვნენ. კულტურული ფორმა – მოსაწვეი თამბაქო – (Nicotiana tabacum) – დღეს დანერგულია მთელს დედამიწაზე, მათ შორის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, 60° განედამდე. მეთამბაქოვობა განსაკუთრებით განვითარებულია აშშ-ში, ინდოეთში, ბრაზილიაში, თურქეთში, ჩინეთში, ინდონეზიაში, საბერძნეთსა და ბულგარეთში. ამერიკიდან ევროპის ქვეყნებში შეიტანეს XV–XVI საუკუნეებში. პირველად მოაშენეს დეკორატიული და სამკურნალო მცენარედ. საქართველოში თამბაქოს კულტურა პირველად დაინერგა XVII საუკუნის მიწურულს. ეს იყო დაბალი ხარისხის წიკო (N. rustica), მაღალხარისხოვანი საპაპიროსე თამბაქოს კულტურა კი ჩვენში XIX საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელდა. პირველად იგი აფხაზეთში გააშენეს, შემდეგ – აჭარაში, ბოლოს კი, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში.

ღრთთა განმავლობაში თამბაქოს გამოყენების ტრადიცია ევროპაში იცვლებოდა. XVII საუკუნეში ეწოდნენ მეტწილად ჩიბუხებით, XVIII საუკუნეში პოპულარული გახდა საყნოსი თამბაქო (ბურნუთი), XIX საუკუნიდან ეწეიან სიგარეტის სახით (საღებ თამბაქოს ყოველთვის ჰქონდა მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა). კულტურული თამბაქო მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მაგრამ მოჰყავთ როგორც ერთწლოვანი. სიმაღლით იზრდება 3 მეტრამდე, ფოთლები დიდაა. მეთამბაქოვობაში გამოიყენება სწორედ მცენარის ფოთლები. მათ აშრობენ (ხელოვნურად, ბუნებრივად), ახარისხებენ, კრევენ დასტებად და აგზავნიან ფაბრიკებში. აქ ხდება მისი ფერმენტაცია და ტექნოლოგიური დამუშავება.

ფოთოლი შეიცავს ალკოლოიდს – უფერულ, წყალში ადვილად ხსნად ზეთიან ნივთიერებას. ეს უკანასკნელი ძლიერმოქმედი შხამია. მისი 50 მილიგრამის შეყვანა ენაში ადამიანისათვის სასიკედილოა. თამბაქოს მწვეელ ადამიანებზე დადგინდა, რომ იგი დიდ ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას, ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას (უწინარესად იწყებს ფილტვების კბოს).

მასტიმულირებელი და ნიკოტინით შეზავებული მცენარეების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ზემოთ დასახელებული სახეობები. ერთი ჯგუფი მთელს დედამიწაზე გავრცელებს, სხვებს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ (გეოგრაფიულად იზოლირებული ფორმები). მასტიმულირებელი ნივთიერებები (მეტწილად ალკოლოიდები) გარკვეული საშუალებათა ორგანიზმის ტონუსის ასაწვეად (მოქმედებს ნერვულ ცენტრებზე, სისხლის მიმოქცევაზე). ჩაი, ყავა, კაკაო სწორედ ამას ემსახურება.

რეგიონული მნიშვნელობა აქვს კოლას (Coca acuminata). აფრიკაში ამ მცენარის თესლიდან მიღებულ სასმელს სუამს 40 მილიონი ადამიანი;

სამხრეთ ამერიკაში 30 მილიონი ადამიანი სიამოვნებით მიირთმევს მათეს ფოთლების ნაყენს. ეს არის ჭყორის (Ilex paraguariensis) ადგილობრივი სახეობა; იმავე მიზნით, ტროპიკულ მცენარეთა რამდენიმე სახეობა საღებვად არის გამოყენებული.

კულტურულ მცენარეთა წარმოშობის ცენტრები დედამიწაზე

ამჟამად მცენარეთა სელექციონერები დედამიწაზე არჩევენ კულტურული მცენარეების წარმოშობის ათ ცენტრს (სხვა მონაცემებით თორმეტსაც). აღმოსავლეთ აზიის ცენტრი აერთიანებს ჩინეთის მნიშვნელოვან ნაწილს, კორეასა და ნეპალს. მოჰყავთ ქერი, შვრია, ფეტვი, წიწიბურა, სოია, ფორთოხალი, მანდარინი, ჩინური კომბოსტო, ბოლოკი და ჩაი.

ინდომაღლის ცენტრში იზრდება: ბრინჯი, სორგო, ტარო, საკვებად გამოყენებული ნაყოფის მქონე პალმები, შაქრის ლერწამი, ლობიო, ბამბა, ლიმონი, მანგო, ბანანი, ბადრიჯანი და სხვ.



სურ. 138. ინდონეზია. კუნძული საბურუტი. მეტაკეიანის ნეოლითური ეპოქის წესით მცხოვრები ხალხი (მოსახლეობა – 25000 ადამიანი). საგოს პალმის ლერწმან დაშლადებული ეკვილის ცომი.

ცენტრალური აზიის ცენტრი. აქ შედის ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთი, ავღანეთი, შუა (ცენტრალური) აზია (ტაჯიკეთი, უზბეკეთი, დასავლეთი ტიან-შანი). მოჰყავთ: ხორბალი, ჭვავი, ბარდა, სუია, კანაფი, ვაშლი, მსხალი, გარგარი, ყურძენი, ნუში, ნესვი, სტაფილო, ბოლოკი, ხახვი.

წინა აზიის ცენტრი: ირანი, ავღანეთი, პაკისტანი, ამიერკავკასიის ჩათვლით. აქედან ცნობილია: ხორბალი, ქერი, შვრია, ჭვავი, ბარდა, ოსპი, სელი, ვაშლი, მსხალი, ლეღვი, კომში, ბალი, ალუბალი, გარგარი, ყურძენი, თხილი, კაკალი, ნესვი, კიტრი, გოგრა, ჭარხალი, სტაფილო, ხახვი და სხვ.

ხმელთაშუა ზღვის ოლქი. ამ ზღვის ირგვლივ არსებულ ქვეყნებში მრავლადაა შემდეგი კულტურები: ხორბალი, ქერი, შვრია, ბარდა, ოსპი, პარკოსნები, ზეთისხილი, მღოვფი, თაღვამი, ბაღის კომბოსტო, ხახვი, ნიორი, სასალათო ბოსტნეული და ა.შ.

მთიანი ეთიოპიის ცენტრი. ფართობით მცირეა. მიუხედავად ამისა, მდიდარია კულტურული მცენარეებით, ესენია: ხორბლის ჯიშები, ქერი, ფეტვი, ბარდა, ოსპი, პარკოსნები, სელი, ყაეის ხე და სხვ.

ცენტრალური ამერიკა მდიდარია სიმინდის, ბატატის, პარკოსნების, აუკადოს, ზამბის, წიწაკის, პამიდურის, შოკოლადის ხის, თამბაქოსა და სხვა ჯიშებით.

პერუ-ეკვატორ-ბოლივიის ცენტრი: ხარობს სიმინდი, კარტოფილი, კენოა, პარკოსნები, გუიავა, წიწაკა, პამიდორი, გოგრა, კოკინის ხე, თამბაქო.

კუნძულ ჩილოეს ცენტრი ცნობილია როგორც ყველაზე მცირე ფართობის მქონე, მაგრამ გამორჩეული კარტოფილისა და მარწყვის ბეერი, ენდეშური სახეობით.

ბრაზილია-პარაგვაის საზღვრის ტერიტორია ითვლება მანიოკის, მიწისთხილის, შოკოლადის ხისა და პარაგვაული ჩაის სამშობლოდ.

დედამიწის კულტურულ მცენარეთა ცენტრების დედგენაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის გამოჩენილ რუს მეცნიერს, აკადემიკოს ნიკოლოზ ვაიილოვს.

ათასობით წლები დასჭირდა ევლურ მცენარეთა სახეობებს, სანამ ისინი ჩვენთვის ესოდნ ცნობილ, კულტურულ მცენარეთა ჯიშებად გადაიქცეოდნენ.

პური – კაცობრიობის არსებობის წყარო, ვაზი და სხვა კულტურული მცენარეები ათასობით ადამიანის – ხელდაკოყრილი მეურნისა თუ მკვლევარ-მეცნიერის დაუღალავი შრომის, აზროვნების, იმედისა და ოცნების ნაყოფია.

როგორც დავინახეთ, დედამიწის სხვადასხვა ცენტრებში ჩასახული მიწათმოქმედება, როგორც კაცობრიობის უდიდესი მიღწევა, სწრაფად ვრცელდებოდა და ინერგებოდა ჩვენი პლანეტის ერთი რაიონიდან მეორეში. სწორედ მიწათმოქმედებაში განსწავლულობის მსგავსმა „ექსპორტმა“ გამოიწვია გლობალური მასშტაბის აგროკულტურული რევოლუცია, ამ უკანასკნელმა კი, მესაქონლეობის განვითარებასთან ერთად, კაცობრიობის თანამედროვე ცივილიზაციის ფორმირებაში თავისებური ნიშანსეტიის, ბალაერის როლი შეასრულა.

ცხოველთა მოშინაურობა და მისი მნიშვნელობა კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების საქმეში

ადამიანი და ზოგადად homo-ს გვარი იმთავითვე მტაცებელი, ხორცისმჭამელი იყო. შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების პარალელურად, განსაკუთრებით ზომიერი ან ცივი კლიმატის მქონე ქვეყნებში, საარსებოდ აუცილებლობას წარმოადგენდა ცხოველური წარმოშობის ცილის მიღება. ეს ფაქტორი მით უმეტეს გასათვალისწინებელია, იმდენად, რამდენადაც ადამიანის გლობალური ექსპანსია უკანასკნელი გამყინვარების ეპოქას დაემთხვა. მსხვილ ცხოველებზე ნადირობისას წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული ტექნოლოგიურ პროგრესზე – ქეისა და ძელისაგან ნაქე

თები არტეფაქტების სრულყოფასზე.

ანთროპოლოგებისა და არქეოლოგების მიერ მოპოვებული უამრავი ნივთიერი მასალა ცხადყოფს, რომ ზედა პალეოლითში, 30000 წლიდან მოყოლებული, იარაღის კეთების ხელოვნებამ ძალიან მაღალ დონეს მიაღწია.

მაგრამ იმავე კვლევა-ძიებით მოპოვებული მრავალი ნივთმტკიცებანი მუითითებენ, რომ გამყინვარების ეპოქის ადამიანები ცხოველური საკვებით დაკმაყოფილების მიზნით, მხოლოდ მომთაბარე მონადირეობას როდი მისდევდნ. წინასიტორიული ადამიანის მესაქონლეობაზე, ე.წ. პასტორალურ (მწყემსურ) ცხოვრებაზე გადასულას წინ პრეპასტორალური პერიოდი უძლოდა. ნათქვამის დასტურია XIX–XX საუკუნის მკვლევართა დაკვირვებები. ექსტრაპოლაციის გზით დადგინდა, რომ გამყინვარების ეპოქის ადამიანები ცხოველებზე არა სტაქიურად, არამედ კონტროლირებად ნადირობდნენ. საფრანგეთში, მდინარე ვიკდესორის ხეობაში მდებარეობს არიჯის სახელწოდებით ცნობილი ველი. აქ და ვახეს გამოქვაბულში ნაპოვნია პირენეის მთიანეთისათვის დამახასიათებელი გარეული თხის – იბექსის ნამარხი ძვლები. ეს მასალა დათარიღებულია 13000 წლით. თხას ახასიათებს სესონური მიგრაცია – ზამთარში, თავის გამოსაკეებად მთიდან დაბლობში, არიჯის ველზე ეშეება. აი, სწორედ ბარში დაშვებულ გარეულ ცხოველზე იყენენ დედარაჯებული იმდროინდელი ადამიანები. თხაზე, მაშინდელი იარაღით ნადირობა ძნელი საქმე იყო. გამოქვაბულში მცხოვრები ადამიანები მიმართავენ ნადირობის შემუშავებულ ტაქტიკას. თხის ჯოგს მოწყვეტდნენ გარკვეულ ნაწილს და აიძულებდნენ, ვიწრო ხეობაში შესულიყვნენ, იქ კი ჩასაფრებულნი მონადირეები მსხვერპლს ხოცავდნენ.

ცენტრალურ საფრანგეთში პატარა სოფელ სოლუტრესთან, მკვლევრებმა მიაკვლიეს გარეული ცხოველების ძვლების მთელ გროვას. ეს მასალა დათარიღებულია 1700 წლით. ცხოველების ძვლებით მსგავსი, უჩვეულო გროვის ახსნის მხოლოდ ერთ გზას ასახელებენ: პირველმონადირეთა მიერ ცხენთა რემის კლდის ქარაფზე მორეკვასა და კლდეზე გადაჩეხვას.

როგორც აღვნიშნეთ, ევლურ ჩლიქოსნებზე მსგავს თავდასხმას კონტროლირებად ნადირობას უწოდებენ. იგი, რა თქმა უნდა, ძალიან შორს დგას მოშინაურობულ ცხოველთა საჭირო მიწნებისათვის გამოყენებისაგან, მაგრამ გარკვეულ ცხოველებზე წინასწარ მოფიქრებული გეგმით ნადირობა წინასიტორიული ადამიანისაგან მოითხოვდა ნადირის ქცევების (მიგრაციის გზები, სეზონური გადაადგილებები) კარგ ცოდნას, ცხოველთა გარკვეული ჯგუფის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ყოლას. სწორედ ამგვარად გააზრებული ნადირობა წარმოადგენდა ადამიანის საკვების საიმედო წყაროს.

მაგრამ თვისებრივი თვალსაზრისით, კონტროლირებადი ნადირობა, როგორი ორგანიზებულიც

არ უნდა ყოფილიყო იგი, ცხოველთა კლასიკური მოშინაურების პროცესისაგან, ე. ი. მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლისაგან ცა და დედამიწასავეთ განსხვავებოდა. და მაინც, პრეისტორიულ ადამიანს ცხოველთა დომესტიკაციისაკენ პირველი ნაბიჯი, შეიძლება ითქვას, მოჰდა თავისი ინსტიტუტით არ გადაუდგამს, გარდა ამისა, მსგავსი ურთიერთობა ისეთი ორიგინალური გზით წარმოიქმნა, რომელსაც მოგვიანებით ანალოგი აღარ პქონია (იხ. თავი „იქნებ ძაღლმა გვაქცია დღევანდელ ადამიანად?“).

სოფლის მეურნეობის „ნეოლითურმა რევოლუციამ“, მემცენარეობასთან ერთად, მეცხოველეობაც მოიცვა. აგროკულტურის ამ უკანასკნელმა დარგმა უსრულველყო ადამიანი კეების პროდუქტებით, მსუბუქი მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო ნედლეულით (მატყლი, ტყაყი, ბეწვი და სხვ.), მისცა მას გამწვევი ძალა, რომლის გარეშეც, ეინ იცის, არ აივებოდა ეგვიპტის პირამიდები, რომის კოლიზეუმი, ათენის პართენონი.

თუ მეცხოველეობის ისტორიას (ცხოველთა პირველ მოშინაურებას) საბოლოოდ 1000 წლით შევაფასებთ, საეარაუდოა, რომ პირველყოფილმა ადამიანმა თავისი კონკრეტული მიზნების დასაკმაყოფილებლად ხალასჯიშიანი, მაღალაპროდუქციული ცხოველების გამოყვანა 7-6 ათასი წლის წინათ მაინც დაიწყო. აღნიშნულზე მეტყველებს შემდეგი ფაქტები: ეგვიპტეში ძვ.წ. აღ-ით V ათასწლეულის დასასრულსა და IV ათასწლეულის დასაწყისში ასოური წარმოშობის მსხვილრქოსან პირუტყვთან ერთად გავრცელებული ყოფილა ცხვარი, ღორი, ვირი და ცალკუზიანი აქლემი. ძვ.წ. აღ-ით III ათასწლეულის დასაწყისისათვის შუამდინარეთის მეცხოველეობაში პირველი ადგილი ეუთუნოდა ტანად ცხენს, ზებუს, ცხიმყუდიან ცხვარს, თხას, ორივე ფორმის აქლემს, ღორს. ნაპოენია ფირფიტა პიქტოგრაფიული დამწერლობით. სხვა ნაწერებთან ერთად განიხატულია ცხენის თავი, რაც, ალბათ, ჯიშინანი ცხენის გამრავლებაზე უნდა მიანიშნებდეს. ძვ.წ. აღ-ის I ათასწლეულში, საბერძნეთში (თესალია) განვითარდა აზიიდან შეტანილი მეცხენეობა...

ძვ.წ. აღ-ით 3000 წელს ინდოეთში ადგილი პქონდა შინაური ცხოველების ჯიშობრივ დიფერენცირებას. საქონელს უკვე ინახავენენ ბაკური წესით, ცნობილი იყო ზოოტექნიკური მუშაობის სათანადო ხერხები, შეიქმნა სათანადო ლიტერატურა. ხდებოდა ცხოველების გადარჩევა ექსტერიერის წარმოშობისა და შთამომავლობის ხარისხის მიხედვით.

ძვ.წ. აღ-ის IX-VI საუკუნეში ურარტუში განსაკუთრებულ განვითარებას მიაღწია მეცხოველეობამ და მეცხენეობამ. ჩვენს ერამდე 1000 წლით ადრე, არგონავტების ლეგენდის თანახმად, ძველი კოლხეთი (თანამედროვე აფხაზეთსა და სამეგრელოს ტერიტორიასზე), განთქმული იყო ნაზსაწმისიანი ცხვრით, ნაზი ქსოვილებით. აქედან ხდებოდა მისი ექსპორტი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში.

ცხოველთა ჯიშის ცნება, ამ სიტყვის მეცნიერული გაგებით, ჩამოყალიბდა გაცილებით გვიან, XIV-XV საუკუნეში. ამ დროს ევროპაში ესპანეთი პირველობდა. უმდიდრეს ქვეყანაში მაღალ დონეზე იდგა ცხოველთა, განსაკუთრებით, ცხენებისა და ცხვრების სელექცია. XVI საუკუნეში ინგლისი ამარცხებს ესპანეთს. შინაურ ცხოველთა მომწიჭებლობის უპირატესობაც მის ხელში გადადის. XVIII-XIX საუკუნეში პირუტყვის ხალასი ჯიშების მოშენების მხრივ ინგლისს დედამიწასე ბადალი არა პყავს. პირველი სანაშენო ლიტერატურა 1793 წელს სწორედ აქ გამოქვეყნდა. როგორც ცნობილია, ჩ. დარვინი დიდად იყო დაინტერესებული არა მხოლოდ ცოცხალ ორგანიზმთა ევლუციის სახეობების ბუნებრივი გადარჩევით, არამედ შინაურ ცხოველთა ჯიშობრივი გაუმჯობესების საკითხითაც. სწორედ მან განახილავდა ევროპულ სელექციონერთა უსარმაზარი პრაქტიკული გამოცდილება, რაც აისახა ამ მეცნიერის შემოთმხსენებულ ორ ნაშრომში.

ხორხემლიანი ცხოველები

კლასი - მშაშფორობები - MAMMALIA
რიბი - მხაცვებლსნარიანი - CARNIVORA

ინამუ ძაღლმა გვაქცია დღევანდელ კლასიანად

ამჟამად სწავლულები ადამიანის მიერ ძაღლის მოშინაურების ფაქტს უყურებენ როგორც სიმბიოზს, უფრო მეტიც, კოევილუციის ერთ-ერთ სამაგალითო გამოვლინებას, როცა ერთი სახეობის (ანდა ორგანიზმთა მთელი ჯგუფის) ბიოლოგიური პროგრესი მთლიანად არის დამოკიდებული მეორეზე და პირიქით. ამ თვალსაზრისით კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ყვავილოვანი მცენარეების ევოლუციური აფეთქება ცარცულ პერიოდში, რის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ყვავილის ნექტარზე მონადირე მწერები და, პირუტყუ ანტოფილურ (ყვავილის მოყარულ) მწერთა ევოლუციური ბუმი, გამოწვეული ფარულთესლოვან მცენარეთა სრული გაბატონებით.

როდის შეიძლება ჩამოყალიბებულიყო მსგავსი ურთიერთობა ორ არსებას - ადამიანსა (გეარი Homo) და ძაღლს (გეარი Canis) შორის? სხვადასხვა ქრისტომათიულ ლიტერატურაში („შინაური ძაღლის ატლასი“) თუ ენციკლოპედიებში მითითებულია, რომ ძაღლის მოშინაურებას ადამიანის მიერ ადგილი პქონდა მეზოლითში (შუა ქვის ხანა, ძვ.წ. აღ-ის 14-7 ათასი წლის წინათ). არქეოლოგიური მონაცემებით, გენეტიკურად და ანატომიურად მგლისაგან საბოლოოდ განსხვავებული, მოშინაურებული ძაღლის (Canis lupus forma familiaris) ყველაზე ძველი განათხარი მასალა მოპოვებულია ისრაელში. შეხედულება, თითქოს მგელთან ერთად ძაღლის სხვა წინაპარ სახეობებს ტურა და მელა წარმოადგენდნენ, უარყოფილია. ისრაელის მასალა დათარიღებულია 13500 წლით. კულტურულ ფენაში მოხუ-

ცი ქალის ნამარხ ძელებთან ერთად აღმოჩნდა ძაღლის ნამარხი ჩონჩხიც. ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ჩრდილოეთის ქვეყნებში (ინგლისის ჩრდილოეთი, ჩრდილო ამერიკა) ძაღლის ანალოგიური ძელოვანი მასალა შეფასებულია 100000 წლით.*

ძაღლის მოშინაურების დროსთან დაკავშირებით მსგავსი ტრადიციული შეხედულება ძირეულად შეიცვალა უკანასკნელ წლებში. დავიწყოთ იმით, რომ XX საუკუნის მიწურულს, დნმ-ს ანალიზის თანახმად, ძაღლის გენეტიკური ხაზი მგლისგან გაიყო 100000-ზე მეტი წლის წინათ. იმ დროის მტაცებლის ეს ორი ფორმა, გარეგნულად თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ გენეტიკური გაყოფა სახესე გვაქვს (C. Vila და სხვ., 1999; კალიფორნიის უნივერსიტეტი, ლოს ანჯელესი).



სურ. 139. მგლისა და ძაღლის (ზედა ფოტო) ქვედა ყბების ნამარხი მასალა ინგლისიდან.

მსგავსი შეხედულება დაადასტურა ნამარხმა ძელოვანმა მასალამაც. ინგლისში მოპოვებულ მტაცებელთა 4 ქვედა ყბიდან სამი, დიდი ზომის, მიეკუთვნება მგელს, ერთი, უფრო პატარა, ძაღლისნაირი ცხოველისა უნდა იყოს, ეიძრე მგლის. ეს მასალა დათარიღებულია 190000-170000 წლით (P. Tacon, C. Pardoe, 1999; ავსტრალია, სიდნეის ბუნების ისტორიის მუზეუმი). უახლესი მონაცემებით, მგლისგან ახლახან გამოყოფილი ძაღლის მოშინაურება წინააღმინის მიერ უნდა მომხდარიყო ძაღლის მგლისაგან გენეტიკური გაყოფა-სეპარაციისთანავე.

მსგავსი შეხედულება რომ რეალობასთან ახლო დგას, ამას ისევე არქეოლოგიური კვლევა ადასტურებს. ინგლისში მოძიებული მგლის მსგავსი მტაცებლის ნამარხ ძელებთან ერთად, იქვე ადამიანის ხელით ნაკეთები იარაღებიც არის წარმოდგენილი. ნიჟაღის ეს ფენა, რადიოკარბონული მეთოდით, 190-130 ათასი წლითაა დათარიღებული. ამგვარად, – ასკენის ც. ეილა და თანავეტორები, – მგლისგან განსტოვებული ძაღლისა და პირველყოფილი ადამიანის მუტუალისტური, ანუ ორმხრივი ურთიერთ-დამოკიდებულება უნდა ჩამოყალიბებულიყო არა უკვიანეს 100000 წლის წინათ.**

ამჟამად სპეციალისტები ძაღლის მოშინაურების ორ მთავარ ცენტრს ასახელებენ: ინდოეთსა და მცირე აზიას. მაგრამ, რამდენადმე მოგვიანებით, როგორც ჩანს, ქვის ხანის ადამიანებმა ძაღლი მგლისაგან ამ უკანასკნელის ვებერთელა არეალის სხვა, მრავალ რაიონშიც მოაშინაურეს.



სურ. 140. ინდოეთის გარეული წითელი ძაღლი მონადირეობული მსხვერპლით.

ინდოეთის მგლისაგან წარმოიშვა ძაღლის მრავალი ჯიში: მეძებარი, მწვეარი, სხვადასხვა ტერიერები, ფინიები, პუდლები, ალბათ, ავსტრალიური დინგო და ა.შ. ინდოეთში ახლაც ბინადრობს გარეული წითელი ძაღლი (Canis alpinus). ადრე, აზიაში, თვით აღმოსავლეთ ციმბირის ჩათვლით, მას გაცილებით დიდი არეალი ეკავა.

ევროპაში ფართოდ გავრცელებული რუხი მგლის (Canis lupus) ჩრდილოური გეოგრაფიული რაისისაგან მოაშინაურეს ციმბირული ლაიკა, ნაგაზი („ოქჩარკა“), საეარაუდოა, რომ ქართული ცხვრის ძაღლი ტიბეტური დოგის პირდაპირი მემკვიდრეა.

ძველ ეგვიპტეში, 4-3 ათასი წლის წინათ, უკვე ჰყავდათ თითქმის თანამედროვე ტიპის მწვერები, მცირე აზიაში ხეთებსა და ასირიაში ადგილობრივებს – ტანსრული, დოგის მსგავსი საბრძოლო ძაღლები.

* Tacon P., Pardoe C., 2002. Dogs make us human. Nature Australia. Autumn.

** Vila C., Maldonado I.E., Wayne R.K., 1999. Phylogenetic relationships, evolution and genetic diversity of the domestic dog. J. Heredity 90:71-77.



სურ. 141. ქართული ნაგავი უკანა ფშვიდან.

ცენტრალურ ამერიკაში ესპანელი კონკისტადორები ასობით კუროსს წააწყდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო რუხი ფერის, ტიტველკანიანი, უბეწვო ძაღლები. ამ ცხოველთა მნახველ ევროპელებს შორის იყენენ გამოჩენილი პიროვნებები – ქრისტეფორე კოლუმბი და ერნანდო კორტესი. ტიტველკანიანებიდან მხოლოდ ერთი ჯიში – ინტიკუინტისი – გამოიყენებოდა სანადიროდ, თუმცა ამ მხრივ ადგილობრივები მისგან მაინცდამაინც დიდ სარგებლობას ვერ პოულობდნენ. ნადირს დადევნებული ძაღლის მოტყეპილი კანი ადვილად სისხლიანდებოდა კაქტუსის ეკლებისა და გამხმარი ბუჩქების ტოტებისაგან. უბეწვო ძაღლების მოშინაურების მთავარი მიზანი წმინდა გასტრონომიული იყო. აცტეკები კარგად კვებავდნენ, შემდეგ კი წვაებდნენ და ჭამდნენ მათ. როდესაც ევროპელმა კოლონიზატორებმა ამერიკაში ძაღზე გამრეილი ხორცის მქონე ასობით შინაური ცხოველი წაიყვანეს, „მახინჯი“ ძაღლები ყველამ მიიღო წყა – ჩასულეებამაც და ადგილობრივებმაც. ტიტველკანიანი ძაღლები ამოწვევების გზას დაადგნენ. მოგვიანებით, პოლიციამ ეს ოთხფეხა არსებები „კანონგარეშე ცხოველებად“ გამოაცხადა, ტიტველკანზე გაჩენილი იარები უამრავი მიკრობის მატარებელი

იყო. ამჟამად მექსიკაში ძაღლის ეს ჯიში ძალიან ცოტაა შემორჩენილი. მეხიკოსიტის სოლოლოგიური პარკის ფართო ვოლიერში მეყვარი ჩიპუაქუას ჯიშის უბეწვო ძაღლები მნახველზე არანაკლებ შთაბეჭდილებას ახდენენ, ვიდრე ჭიანჭველაჭამია, კონდორი და ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის სხვა იშვიათი ბინადრები.

ამჟამად გამოყენილია ძაღლის დაახლოებით ექვსასი ჯიში (Nature Australia, III-V, 2002).

პრეისტორიული ადამიანისა და გარეული ცხოველის – ძაღლის – ახლო ურთიერთობას ლამის არის სიმბიოზის დონეზე ჩაეყარა საფუძველი. მსგავსმა ურთიერთსახარბიელო დამოკიდებულებამ (კოოპერაცია) ორივე სახეობაში – ადამიანისა და ძაღლში – გამოიწვია დრმა ბიოლოგიური და ქცევითი ხასიათის ცვლილებები. ადამიანმა აითვისა ცხოველთან ურთიერთობის სრულიად ახალი ხერხი, როდესაც მტაცებელს კი არ კლავს მისი შიშის, ანდა მისგან თავდაცვის მიზნით, არამედ შეგობრობს კიდევაც მასთან და, შესაბამისად, უკლის. მუტუალიზმის – ორ სახეობას შორის ურთიერთსასარგებლო დამოკიდებულების აღნიშნულმა ფორმამ – წინაისტორიული ადამიანის, როგორც სახეობის გადარჩენაში უდიდესი როლი შეასრულა.*

ადამიანის მიერ ძაღლის მოშინაურების მრავალი სასარგებლო ფაქტიდან უნდა გამოიყოს ამ მტაცებლის ნადირობის პროცესში გამოყენება, სახელდობრ, ძაღლის უნარი, ყნოსვის საშუალებით კვალში ჩაუდგეს მომავალ მსხვერპლს, დაიმორჩილოს დაჭრილი ნადირი და ა.შ. დღესაც, ქვის ხანის კულტურის წესით მცხოვრები აბორიგენები აფრიკაში, ავსტრალიაში, სამხრეთ ამერიკაში,



სურ. 142. ჩიპუაქუას ჯიშის ძაღლი (მეხიკოს კინოლოგიური კლუბი).

* Sarpell I.A., 1995. The domestic dog: it's evolution, behaviour and interactions with people. Cambridge University Press, Cambridge.

ახალ გეინეაში და ა.შ. გარეულ ცხოველებზე ნადირობისას ისევე იყენებენ ძაღლს, როგორც ეს პალეოლითის მიწურულს ხდებოდა.

პირველყოფილი ადამიანისა და მგლისგან გამოყოფილი ძაღლის ორმხრივი სასარგებლო აღიანისი არ არის გასაკვირი. ორივე ცხოველი სოციალურ (ჯგუფურ) ცხოვრებას ეწევა, ჯგუფის წევრები ურთიერთკავშირის დასამყარებლად იყენებდნენ კომუნიკაციის ერთსა და იმავე ხერხს – ბგერითი სიგნალიზაციის მთელ კომპლექსს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გარეულმა ძაღლმა თვითონ მოძებნა ადამიანი. ჩვენი შორეული წინაპრის სადგომის მიმდებარე ტერიტორია მოყვნილი იყო საკვებად გამოყენებული ცხოველების ნარჩენებით. ეს უკანასკნელი იზიდავდა აქ ნადირს, რომელიც, აფთრის მსგავსად, საჭიროების შემთხვევაში, მტაცებელიცაა (predator) და ლეშიჭამიაც (scavenger). შემდეგ, მოშინაურების პროცესი, ბუნებრივად განითარდა. ადამიანი თავიდანვე ჩაწედა მტაცებლის სასარგებლო ნიშან-თვისებებს. ძაღლი, – ჯერ კიდევ გარეული ნადირი, – აღდევნებოდა ხოლმე სანადიროდ წასულ ადამიანს. არსებობს აღნიშნული ფაქტის კიდევ ერთი ანალოგი. ეს არის აფრიკის სავანებში მცხოვრები ფრინველოთაფლისმჩვენებელი, რომელიც გზას უკვალავს აბორიგენს გარეული ფუტკრის სკისაკენ. ძაღლიც, შესაძლებელია, ასე ახვედრებდა მომავალ პატრონს ნადირ-ფრინველის სამყოფელს...

ამ ბოლო დროს სპეციალისტები უყოყმანოდ გამოთქვამენ აზრს იმის თაობაზე, რომ მგლის ერთ-ერთი ფორმა – გარეული ძაღლი – ყველა სხვა შინაური ცხოველებისაგან განსხვავებით, თვითონვე მოშინაურდა. ნათქვამის დასტურს წარმოადგენს შემდეგი ფაქტი: პირველყოფილ ადამიანთან, თუმის გარეშე სანადიროდ წასული ძაღლის გარეული წინაპარი, ხშირად უბრუნდებოდა ნადირობისას დამეგობრებულ ორფეხა არსებას. ერთ გარემოში მსგავსმა თანაცხოვრებამ, ანუ კოაბიტაციამ ადამიანის ველურ ფორმას ერთბაშად გაუადვილა არსებობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ავსტრალიელი კინოლოგი კელინ გროესი გამოთქვამს შემდეგ გაბედულ აზრს. მისი შეხედულებით ნეანდერტალელის ამოწვევების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ ის გარემოება იყო, რომ მან ვერ შეძლო დაემყარებინა მგლის მოდგმის რომელიმე ფორმასთან ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის, მუტუალიზმის ზემოთ აღწერილი ხერხი. ადამიანმა კი, თავისი ქცევების სპექტრიდან გამოიხარა მტაცებლის თავისთან მიზიდვის უნიკალური გზა. ამ ხერხით მან შეძლო დაემეგობრებინა მხეცი, რომელიც პრაქტიკულად განითარების ჯერ კიდევ მგლის სტადიაზე იმყოფებოდა. შესაბამისად, ადამიანმა მიაგნო თავის გადარჩენის უბედურ წყაროს.

ამგვარად, ადამიანსა და ძაღლს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებულმა სიმბიოზმა ქცევის (ბიოქეოროზმის) აუცილებელი სახე მიიღო. შინაურ ცხოველებს შორის ადამიანმა ყველაზე მეტი ჯიშით

– 600 – სწორედ ძაღლის მოდგმიდან გამოიყენა. მათთან მეგობრული ურთიერთობა აქვს ადამიანის თანამედროვე პოპულაციის (ექვსი მილიარდი) ასეულობით მილიონ პიროვნებას. სხვა სიტყვებით რომ ეთქვას, პალეოლითის ხანაში ადამიანი და გარეული ძაღლი, პრაქტიკულად მგელი, ის ორი სახეობა იყო, რომლებმაც სტრატეგიული კავშირის შექმნის მიზნით, ერთმანეთი მოაშინაურეს. ასეთმა ერთიანობამ, დროთა განმავლობაში, მნიშვნელოვნად შეცვალა ორივე სახეობის ცხოვრების წესი. ადამიან-ძაღლის თანაცხოვრება იმდენად მყარი და ფუნქტური აღმოჩნდა, რომ გარეულ ხერხემლიან ცხოველებში (45000-მდე სახეობა), მსგავსი სიმბიოზის მაგალითის მოძებნა ძნელია. ზემოთ განხილულმა თანაურთიერთობამ ძირეულად შეცვალა ორივე სახეობის ფსიქოლოგია, ნადირობის ტაქტიკა, ტერიტორიულობა და სოციალური ქცევები, ძაღლის საცხოვრებელი გარემო... ძაღლთან ურთიერთობის მრავალათასიანმა წლებმა საბუნდამოდ უცვალა სახე ადამიან-ცხოველის წინაღობისტიკაურ პერიოდისთვის დამახასიათებელ დამოკიდებულებას (ადამიანს მიეცა რწმენა, რომ შეიძლებოდა სხვა ცხოველების მოშინაურება) და, ასე განსაჯეთ, თვით ადამიან – ადამიანის ურთიერთობასაც (ჯიშობის ძაღლების მეკატრონენი ძაღლიან ადვილად პოულობენ ერთმანეთთან საერთო ენას).



სურ. 143. ავსტრალიაზის აბორიგენი ძაღლთან.

ძაღლი ადამიანს დაეხმარება არა მხოლოდ საკვების მოპოებაში, საკუთარი სადგომის დაცვაში, არამედ დედამიწის ექსტრემალური და სუბექსტრემალური ტერიტორიების ათვისებაში. ნათქვამი, უწინარესად, ჩრდილოეთ ნახევარსფეროს მაღალ განედებში არსებულ მიწებს – ციმბირს, გრენლანდიას, არქტიკულ კანადასა და ამერიკას ეხება.

ამგვარად მიიღო 100000 წლის წინათ მგლისაგან გამოყოფილმა, შემდეგ კი მოშინაურებულმა ძაღლმა თავისი ლათინური სახელწოდება – *Canis lupus forma familiaris*, რაც ქართულად „მგლის მოშინაურებულ (მეტისმეტად გაშინაურებულ) ფორმად“ ითარგმნება (ადრე ხმარებულ *Canis familiaris*-ზე მეცნიერები დღეს უარს ამბობენ). ამ ერთ სიტყვაში – *familiaris* – ჩადებულია მგლის (*Canis lupus*) ერთი ფორმის დომესტიკაციის მთელი ევოლუციური გზა.

ძაღლი ადამიანის ცხოველთა სხვა სახეობასთან პირველი წარმატებული კავშირის განსახიერებაა. მან კაცობრიობის მოდგმას სხვა ცხოველების მოშინაურების საქმეში უდიდესი იმპულსი მისცა.

ნადირ-ფრინველებისა და მწერების ოცდაათამდე სახეობის მოშინაურებამ საკმაოდ უცვალა სახე თუით დედამიწის ლანდშაფტებსაც.

დინგო (*Canis familiaris dingo*). დინგო შედარებით პატარა ზომის (სიგრძით ნახევარ მეტრამდე) გავრელებული ძაღლია, ქვეყნებში ბევრი საერთო შე-



სურ. 144. თეთრი ფერის ძაღლი დინგო საკმაო იშვიათობაა (ცენტრალური ავსტრალია).

იმჩნევა მგელთან, თითქმის არ ყფვს, უფრო ყმუის. ცხოვრობს ხროვებად. ხროვაში ზოგჯერ ასამდე სულია გაერთიანებული. მეტწილად ნადირობს ბოცვერებსა და პატარა კენგურუვალებზე. კენგურუს დიდი ზომის სახეობები – რუხი და უდაბნოს წითური, – უკანა, ძლიერი ფეხებით წარმატებით იცავენ თავს მტაცებლისაგან.

ავსტრალიაში ცხერის ფარების შეყვანის შემდეგ, დინგოს ძირითადი საკბილო ეს შინაური ცხოველი გახდა. არსებობს სათანადო სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმადაც მხოლოდ XIX საუკუნეში ამ ველურმა ძაღლმა ნახევარი მილიონი ცხვარი დაგლიჯა.

თეთრკანიანმა მოსახლეობამ კონტინენტზე ყველაზე დიდი ბრძოლა დინგოს გამოუცხადა. თოფი, ხაფანგი, შხამიანი მისატყუარა საკვები საკმარისი არ აღმოჩნდა. XX საუკუნეში ფერმერებმა გადაწყვიტეს საძოვრები რკინის მავთულიანი ბადით შემოეღობათ. დღეს ავსტრალიაში 7000 კოლომეტრზე გადაჭიმული ასეთი ღობეა დედამიწაზე მსგავს რამეს ვერსად შეხედებით.

ამჟამად დინგო შევიწროებულია ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთსა და ცენტრალურ რაიონებში, ე.ი. ფერმერებით დაუსახლებელ რაიონებში.

დინგოს სარგებლობაც მოაქვს. იგი ანადგურებს ბოცვერებს, მეცხვარეობის არაპირდაპირ მტრებს. როცა ეკოლოგებმა აწონდაწონეს, გაირკვა, რომ დინგოს სრული განადგურებით მღრღნელები უფრო მეტ ზიანს მოუტანდნენ მეცხვარეობას. ამჟამად გაველურებული ძაღლი ავსტრალიის სოფიერო შტატში დაცულ ცხოველთა სიაში შეიტანეს, სხვაგან კი აკონტროლებენ მტაცებლის რიცხოვნობას.

აბორიგენები დინგოს აშინაურებენ, ზრდიან მათ ლეკვებს. ადამიანთან სიახლოვისას ჩვეულებრივი ძაღლის ქცევებით ხასიათდება, მაგრამ მისი გავერთნა იოლი არ არის. ამ თვალსაზრისით დინგო უფრო მგელს ენათესავება. მგელს პგაეს სხვა ძაღლებთან ურთიერთობაშიც, უნდობლობის, ეჭვის თვალთ უყურებს მათ. ერთი სიტყვით, საქმეში ჩახედული ადამიანების (კინოლოგების) აზრით, დინგო არც მგელია და არც ძაღლი, მაგრამ, ეჭვგარეშეა, უფრო ახლო დგას ძაღლის შორეულ წინაპართან – მგელთან.

დინგო წითელი ფერისაა. ვინც ავსტრალიის უდაბნოებში ყოფილა, შეუძლებელია არ ენახა წითელი გრუნტიდან უნდო თვალებით მაცქვრალი ტრამალის ეს ბინადარი, მაგრამ, ვისაც ქვეყნის არაერთი ზოოპარკის სტუმრობისას სათანადო სურვილი დაებადება, უეჭვლად ნახავს თეთრ (არა ალბინოს), იშვიათად კი კუპრივით შავად შეფერილ, ანდა ჭრულ დინგოსაც.

დღეს საყოველთაოდაა ცნობილი, რომ დინგო ავსტრალიაში დაახლოებით 4000 წლის წინათ შეიყვანეს სამხრეთაზიელმა აბორიგენებმა. ამის შემდეგ, გაგარეულებული ძაღლი კონტინენტს ყველაზე საშიშ მტაცებლად მოეწივნა. მან პირდაპირი და არაპირდაპირი კონკურენცია გაუწია ავსტრა-



სურ. 145. როგორც ავსტრალიელი (არნემ ლენდი) აბორიგენთა კლდეზე შესრულებული ამ ნახატიდან ჩანს, კონტინენტის ძირძველ მოსახლეობას ავსტრალიაში დინგოს შეყვანამდე მოშინაურებული უნდა ჰყოლოდა ჩანთოსანი მგელი (*Thylacinus cynocephalus*).

ლიის ყველაზე დიდი ზომის ადგილობრივ მტაცებელს – ჩანთოსან მგელს (ინგლისურენოვანი მოსახლეობა მას, ტანზე სოლების გამო, „ჩანთოსან ვეფხვს“ უწოდებს). ჩანთოსანმა მგელმა ვერ გაუძლო პლაცენტრიანი მტაცებლის კონკურენციას და XX საუკუნის პირველი ნახევრისათვის, მატერიკულ აესტრალიაში, პირწმინდად ამოწყდა.

გარეული კატა. ამ ცხოველის მოშინაურების დამადასტურებელი ნამარხი ძველეთა მასალები ბოლომდე არ არის კარგად შესწავლილი. შინაური



სურ. 146. კატა, ძალთან ერთად, ადამიანის მუდმივი თანამგზავრი გახდა

კატის უმეტესობა, როგორც ჩანს, წარმოიშვა ლიბიური, ანუ ხალხებიანი კატისაგან (*Felis libyca*). ადრე თელიდნენ, რომ კატა პირველად მოაშინაურეს ძველ ეგვიპტეში. აქ იგი მიჩნეული იყო წმინდა ცხოველად და სიკედილის შემდეგ ბალსამირებას უკეთებდნენ. მაგრამ, განათხარი მასალების მიხედვით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა ხალხის მიერ კატის (ტყის ფორმა – *Felis silvestris*) მოშინაურება ხდებოდა კავკასიასა და წინა აზიაში. ამ ქვეყნებში შინაური კატის განათხარი მასალები დათარიღებულია ბრინჯაოს ეპოქითა და ნეოლითითაც კი (6000-4000 წლის წინათ). სპეციალისტები თვლიან, რომ არც ერთი სხვა ცხოველის მოშინაურება არ გაგრძელებულა ისე დიდახანს (ათასობით წლები), როგორც ეს კატის შემთხვევაში მოხდა. ჰემპარიტ შინაურ ცხოველად კატა ჩამოყალიბდა მხოლოდ დაახლოებით 4 ათასი წლის წინათ, მანამდე კი დასახლებული ადგილების მახლობლად ნახევრად შინაური და ნახევრად გარეული ნადირის სახით ცხოვრობდა – იჭერდა თავებს, ვირთხებს, ამიტომ ადამიანები არ დევნიდნენ მას, პირიქით, კვებავდნენ და თავიანთი ყურადღებით ანებიერებდნენ.

IV საუკუნის მიწურულს, რომელმაც მწერალმა პალადიუსმა, ნაცვლად ადრე მიღებული კატის ლათინური სახელწოდებისა – „ფელის“ – ევროპაში პირველად შემოიღო ტერმინი „კატუს“. მოგვიანებით, ამ ტერმინმა ბევრ სხვა ენაშიც დაიმკვიდრა ადგილი. მანვე მღრღნელების განადგურებით, რომ-

ლებმაც ლამის არის გადაჭამეს ევროპა, კატამ ამ კონტინენტის ბევრ ქვეყანაში უდიდესი როლი შეასრულა.

საქართველოს ფაუნაში ცნობილია კატის სამი სახეობა: კავკასიური კატა (*F. s. caucasicus*), გრძელკუდა ველის კატა (*F. ocreata caudata*) და ლელიანის კატა (*Chaus chaus*).

რიბი პენტაქლიძიანისნაირი – PERRISODACTILA

ძუძუმწოვრების ამ რიგმა კაცობრიობას მისცა მხოლოდ ორი სახეობა – ცხენი და სახედარი. ორივე მათგანი გაერთიანებულია ცხენისებრთა ოჯახში (*Equidae*).

ცხენი. შინაური ცხენის (*Equus caballus*) მოშინაურების ისტორია ჯერჯერობით ნათელი არ არის. არსებობს მონაცემები (*Richard Leaky, 1981. The making of mankind*), რომელთა ანგარიშის გაუწევლობა შეუძლებელია. მსგავსი მონაცემები პრეისტორიულმა ადამიანმა შემოგეინახა. ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს საფრანგეთის სოგიერთი რაიონის გამოქვაბულთა კედლებზე შესრულებული ნახატები. მაგალითად, ლა პასეიგონის მღვიმის კედელზე დახატულია ცხენი. სახეების არეში ცხოველს კარგად ამჩნევია ალეირი. ნახატი დათარიღებულია 1500-1400 წლებით. ასევეა დათარიღებული ქვასე ამოჭრილი ცხენის თავი სენ მიშელ დარუდის მღვიმიდან. ებასე, ამ ცხენსაც ალეირი აქვს გამოხატული. ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ედუარდ პიეტე მიიჩნევდა, რომ ცხენი როგორც სატრანსპორტო საშუალება, ანდა გამწვევი ძალა, ადამიანის მიერ გამოყენებული ყოფილა ჯერ კიდევ გამყინვარების სემოთ დასახელებულ წლებში.



სურ. 147. წინაისტორიული ადამიანის მიერ დახატული ცხენის გამოსახულება ალეირით.

არქეოლოგიური კვლევა-ძიებით, ბრინჯაოს ხანაში, ძე.წ.ად-ით III-II ათასწლეულებში, ცხენი უკვე მოშინაურებული ცხოველი იყო მესოპოტამიასა და მცირე აზიაში. სპეციალისტთა უმრავლესობა ემხრობა იმ აზრს, რომ მომთაბარე ტომების მიერ ცხენის მოშინაურება უნდა მომხდარიყო მდინარეების – დნეპრისა და დონის მიმდებარე ე-

დღეზე, მონღოლეთის, ყაზახეთისა და სამხრეთ ციმბირის გაშლილ ტრამალებში 6000-5000 წლის წინათ. მოგვიანებით, ევრაზიის ტერიტორიაზე, სხვადასხვა მიზნისა თუ დანიშნულების მიხედვით გამოიყენებოდა ცხენის სრულიად განსხვავებული ჯიშები: ტვირთშიდი, მსუბუქი და მძიმე შესაბამელი, საჯდომ-შესაბამელი, საჯდომი. ამჟამად ცნობილია ამ შემეწინიერესი ცხოველის 200-მდე ჯიშო.



სურ. 148. წინაისტორიული ადამიანის მიერ ჯვარზე გამოყენებული ცხენის თავის გამოსახულება ალფირით.

გარკეული მოსაზრებით, თავდაპირველად ცხენს მისი ხორციით ევების მიზნით აშინაურებდნენ. მოგვიანებით წარმატებით იყენებდნენ ნადირობისა და ომების დროს, სულ ბოლო დროს კი როგორც მუშა პირუტყვს. ცენტრალურ აზიაში, სადაც განვითარებულია ჯოჯოხური მეცხენეობა, ცხენის რძისაგან ამსადებენ სასმელს – კუმისს, იყენებენ ხორცს.

ევროპის სტეპებში, შინაური ცხენების მხარდამხარ, ცხოვრობდა გარეულიც – ტარპანი. ამ იშვიათი ცხოველის უკანასკნელი ინდივიდი დაიღუპა 1889 წელს. გენეტიკური გამოკვლევებით დასტურდება, რომ პირველად ცხენი მოაშინაურეს სწორედ ტარპანისაგან და არა პრეკალსკის ცხენისაგან (ამ უკანასკნელის ქრომოსომათა დიპლოიდური კომპლექსი შეადგენს 66, ხოლო შინაური ცხენისა და ტარპანისა – 64-ია).

საყურადღებოა ისიც, რომ ასირიელების მიერ, დაახლოებით სამი ათასი წლის წინათ, ომებში ჯერ ეტლში შემბულ ცხენებს იყენებდნენ, გაცილებით გვიან, პირველი ათასწლეულის დასაწყისში, იგივე ასირიელები უკვე ცხენზე ამხედრებულები იბრძოდნენ და ბრძოლის ამ ხერხმა მთლიანად განდევნა პირველი. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა პერიოდში ყველაზე განვითარებული მეცხენეობა იყო ირანში, მეზობელ ქვეყნებსა და ინდოეთში. თითქმის პარალელურად ცხენის საუკეთესო ჯიშები გამოიყენებოდა არაბეთისა და თურქმენეთში. მაგრამ არც ერთ დროს, არც ერთი ხალხისათვის, მშვიდობიანობისა და ომიანობისას, ცხენს არავისთვის იმდენი სამსახური არ გაუწევია, რამდენიც მონღოლებისთვის.

მოგვიანებით, „ხიმედო“, ღერწმანტანის აზიური ცხენებისაგან განსხვავებით, ევროპაში დაიწიეს გაცილებით მასიური და მძიმე ტანის მქონე ცხენთა ჯიშების გამოყენება. შუა საუკუნეების აბჯრით შემოსილი რაინდების ტარება მხოლოდ მასიურ ცხენებს შეეძლოთ. კიდევ უფრო გვიან, ევროპაში, ხელი მიიქცეს ცხენის მასიური ჯიშების გამოყენებას. ასეთ პირუტყვს ან მძიმე ტვირთის აზიდვინებდნენ, ანდა მინდორში გააყავდათ მიწის სახნაუად.

ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში, ხალხური სელექციის გზით, ქალიბდებოდა ცხენის ადგილობრივი ჯიშები. მათ შორის აღსანიშნავია მთიან რეგიონებში გამოყენებული ცხენები. ასეთები, ტანად პატარები არიან, ხასიათდებიან მცირე ტვირთწოდლობით. მათს გარემოსთან შეგუებულ ცხენთა ჯიშებიდან აღსანიშნავია თუშური და მეგრული ცხენები. გამოიყოფენ კენტილების ჯუჯა ცხენებს – პონებს (პოლანდიური, შოტლანდიური).

გარეული ცხენის ბუნებრივი არეალი მთიანეთს ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის გაშლილ ტრამალებს, ველებსა და უდაბნოებს. დღეს გარეული ცხენიდან შემორჩა მხოლოდ პრეკალსკის ცხენი (მონღოლეთის უდაბნოებში) და ნახევრად ცხენი და ნახევრად სახედარი – ყულანი (ცენტრალური აზიის ტრამალებში).


როგორც ცნობილია, ცხენის წარმოშობის პირველად ცენტრს წარმოადგენდა ჩრდილოეთ ამერიკა (ეოცენი, 50 მლნ წ. წინათ, გვიან პლიოცენამდე, 3 მლნ წ. წინათ). დაახლოებით დროის ზომის, ოსხითთა პირაკოთური ბინადრობდა ჭაობიან ტყეებში. მოგვიანებით კლიმატის გლობალური შეცვლის (აცივება) პარალელურად, ნამდვილი ცხენის (Equus) წინაპარი ფორმები შეეგუვნენ სტეპებს.



სურ. 149. პრეკალსკის ცხენი (ასკანია-ნოვას ნაკრძალი, უკრაინა).


მოცენ-პლიოცენში (26-3 მლნ წ. წინათ), ეტაპობრივად, ბერინგის „ხიდიო“ გაერცელდნენ აფრო-ევრაზიაში და ადაპტური ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდნენ თანამედროვე ცხენებად, ვირებად და ზებრებად (ამჟამად ცხენის გვარიდან შემორჩენენ ცხენის, ვირის, ყულანისა და ზებრას 8 სახეობა, ათეულობით სახეობა კი გადაშენდა).

ცხენების ევოლუციური ისტორიის განმავლო-



სურ. 150. ულანი ცენტალური აზიის ტრამლეში.


ბაში, პრიმიტიული Hyracotherium-დან განვითარებულ Equus-ის ჩათვლით, 50 მილიონი წლის განმავლობაში წარმოიშვა ამ ცხოველთა 12 გეარი და რამდენიმე ასეული სახეობა. დღეის ჩათვლით გადარჩა მხოლოდ დასახელებული ერთი გეარი და ცხენის, ზებრისა და ვირის რამდენიმე სახეობა.



სურ. 151. გაველურებული ცხენები ავსტრალიაში.

ჩრდილოეთ ამერიკას – პირველსამშობლოს – შინაური ცხენი მეორეულად დაუბრუნდა. იგი დაკავშირებულია ესპანელთა კონკისტასთან – ამერიკის დაპყრობასთან, როდესაც 1519 წელს ერნანდო კორტესი 508 მეომრით, რამდენიმე ზარბაზნითა და 16 ცხენით შეიარაღებული მიადგა მექსიკას (იმდროინდელი ტენოჩტიტლანს). დაუბრუნდა და... კიდევ ერთხელ გაველურდა. 1539 წელს კონკისტადორი ერნანდო და სოტო გადასხდა ფლორიდის ნახევარკუნძულზე. მისი ჯარი შედგებოდა 900 ჯარისკაცისაგან, მათგან 350 მხედარი იყო. ინდიელებთან ბრძოლა მაინცდამაინც წარმატებული არ იყო. უკან, კუბაში, სამასი ჯარისკაცი დაბრუნდა. 70 ცხენი უგზო-უკელოდ დაიკარგა. სწორედ უმხედროდ დარჩენილი ამ ცხენებისგან წარმოიშვნენ თავისუფლების მოყვარული ამერიკული მუსტანგები. დღეს ნეადის, მონტანასა და ვაიომინგის გაუდაბნოებული პეიზაჟები წარმოუდ-

გენელია გაველურებულ ცხენთა რემების გარეშე. 1788 წელს ინგლისელებმა დაიწყეს ავსტრალიის კოლონიზაცია – პორტ-ჯექსონში (ახლანდელი სიდნეი) ახალმოსახლეებს თან ჰყავდათ ყველანაირი შინაური ცხოველი, მათ შორის ოთხი ცხენი – სამი ჭაკი და ერთი ულაყი. ერთ მშვენიერ დღეს ცხენები გაქრნენ... გავიდა 7-8 ათეული წელი და ავსტრალია შეძრა ევროპიდან შორეულ კონტინენტზე შეყვანილი კიდევ ერთი ცხოველის გაველუ-



სურ. 152. არაბული ჯიშის ცხენი (ალეირი).

რების ცნობამ. თითქოს ზეციდან მოველინენო, ავსტრალიის შიდა, უდაბურ ტრამპლებში აღმოჩინეს გაველურებულ ცხენთა რემები. ავსტრალიელებმა იკელიეს, იკელიეს და დაასკენეს – ადგილობრივი ბრამბები (ასე უწოდებენ აქაურ მუსტანგებს) არტურ ფილიპის კოლონიიდან გამკრალი ოთხი ცხენის ნამრავლი იყო. ავსტრალიელი კოვბოები ყოველწლიურად იჭერენ და აშინაურებენ 50 ათას ბრამბის. დღეისათვის კუნძულ-კონტინენტის გარეულ ცხენთა რემები საგრძობლად შეთხელდა. აღნიშნულის მიხეტი გახდა სხვა გაველურებული ცხოველის – ბოცვერების მხრიდან საკეპზე კონკურენცია.


გარდა თუშურისა, საქართველოში გამოყვანილია მეგრული ცხენი, საჯდომი-სასაპალნე ჯიში. შავი ზღვის სანაპირო რაიონებში იგი უხსოვარი დროიდან არის ცნობილი.

გარეული ვირი, ანუ სახედარი (Equus asinus). ეგვიპტესა და ეთიოპიაში დაახლოებით 6000 წლის წინ მოაშინაურეს. წინაპარ ფორმას წარმოადგენდა აფრიკული გარეული ვირი. ეს უკანასკნელი, ორი ქვესახეობის (E. a. somalicus, E. a. africanus) სახით, დღემდე შემორჩა სომალის, ერთრიის, ეთიოპიისა და მახლობელი რაიონების უდაბნოებში. შინაური ვირის ორი ჯგუფი არსებობს: 1. აფრიკისა და აზიის ადგილობრივი ტანმორჩილი (გაერცვლებულია კაეკასიაშიც) და ტანადი (ჩინური); 2. ჯიშები, რომლებსაც ძირითადად ჯორის გამოსაყვანად იყენებენ (ესპანეთი, საფრანგეთი და აშშ).

ევროპაში ვირი გაერცვლდა ჩვენს ერამდე ორი ათასი წლის წინათ, ხოლო ახლო აღმო-



სურ. 154. ჯორზე ამხედრებული დედა-შვილი სოფელ ბაკურხევიდან (გუდამაყარი).



სურ. 153. ვირი ეაკესოფელში (უკანა ფშავი).

საელეთში – კიდევ უფრო ადრე. სახედარი, ვინაიდან ცხენზე ადრე ჩადგა ადამიანის სამსახურში, ცხენის ყველა ფუნქციას ასრულებდა – მასზე ჯდებოდნენ, გადაქონდათ ბარგი (სასაპალნე), იყენებდნენ გამწვე ძალად (შესაბამელ პირუტყვად) მიწის მოხენის დროს და თვით ომებშიაც. ვირს შეუძლია ზურგით 70-80 კგ, სასიდრით კი – 2,5 ტონამდე ტვირთის გადატანა.

ვირს წარმატებით იყენებდნენ ეგვიპტის პირამიდების მშენებლობაში. სპარსეთის მეფე დარიოსმა ვირების დახმარებით უკუაქცია სკეითების ჯარი. ამ უკანასკნელებს არასოდეს ენახათ ეს ცხოველი. ძველ საბერძნეთში ვირი მოიხსენება თვით პომპროსის შემოქმედებაში. პიპოკრატე და მისი ექიმები ვირის რძით მრავალ დაავადებას არჩენდნენ. ვირმა – ჰკვიანმა, გამძლე და ღონიერმა ცხოველმა – დიდი სამსახური გაუწია კაციობრიობას ცივილიზაციის განვითარებაში.

პომპროსის დროიდანვე იყო ცნობილი ვირის შეჯვარება ცხენთან, რის შედეგად მიიღება უნაყოფო პიბრიდული ფორმა – ჯორი. ვირისგან, განსხვავებით ჯორი, მოკლებულია სიჯიუტეს, ძალით კი არ ჩამორჩება ცხენს.

ბუძუმწოვრების ამ კლასმა ადამიანს მისცა ყველაზე მეტი – თორმეტი შინაური ცხოველი.

ცხვარი (Ovis) – გაერთიანებულია ძროხისებრთა ოჯახში (Bovidae).



სურ. 155. მუფლონი (გარეული ცხვარი).

ახალი მონაცემებით ცხვარი მოაშინაურეს დაახლოებით 11 ათასი წლის წინათ (ძველი მონაცემებით – 8 ათასი წლის წინ). მისი მოშინაურების ადგილად მიიჩნევენ კასპიისა და არალის ზღვებს შორის არსებულ სტეპებს (თურქმენეთის სამხრეთით), წინა აზიის მთაგორაკიან რაიონებს. აქ მისი გარეული წინაპარი იყო გარეული (მთის) ცხვრის – მუფლონის (Ovis ammon) ქვესახეობები. ამ ცენტრიდან შინაური ცხვარი გაავრცელეს ჯერ სპარ-



სურ. 156. აქემენიელთა სპარსეთის არისტოკრატები მუფლონზე ნადირობისას (ძვ.წ.ად-ით VI-V სს.).

სეთის ყველა კუთხეში, შემდეგ მესოპოტამიის ტერიტორიაზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2000 წლის წინათ შუამდინარეთში უკვე ჰყავდათ თხილბეწვიანი და სპირალურად დახეულურქებიანი (მზგავსად თანამედროვე ცხვრებისა) ცხვარი. ერაყის ტერიტორიიდან იგი ეგვიპტეში შეიყვანეს.

ევროპაში ცხვრის (მთის ცხვრის იმავე სახეობის ადგილობრივი ქვესახეობა) მოშინაურება დაახლოებით 4 ათასი წლის წინათ დამოუკიდებლად მოხდა. ესპანეთში გამოიყვანეს ძვირფასბეწვიანი (თივთიკი) ცხვარი – მერინოსი. დღეისათვის ცნობილია ცხვრის 500-მდე ჯიში.

ზომით, წონით შინაური ცხვარი არ ჩამოუვარდება გარეულ წინაპარს: ნერბის ცოცხალი მასაა 28-100 კგ, ერკემლისა – 35-180 კგ. იწყეელის მაღალცხიმოან რძეს (ჯიშების მიხედვით: 50-200 კგ-დან, 600-1500 კგ-მდე). გარდა მატყლისა (ბეწვი თივთიკი) და რძისა, ადამიანი ოდითგან იყენებს ცხვრის ხორცსა და ტყავს.

გარკვეული მოსაზრების თანახმად, ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე, დამოუკიდებლად მოხდა ალთაური მთის ცხვრის, ანუ არგალის (Ovis ammon ammon) მოშინაურება.


სამხრეთ კასპიაში, მდინარე არაქსის ხეობაში (სომხეთი, აზერბაიჯანი) ბინადრობს მთის გარეული ცხვრის ადგილობრივი ქვესახეობა O.a. gmelini. იგი ყველაზე ტანმორჩილია მთის ცხვრებს შორის.

ხალხური სელექციის შედეგად გამოყვანილია თუშური ცხვარი (XIII-XIV სს.), ხოლო იმერული ცხვარი უძველესი ქართული ცხვრის შთამომავალია.



სურ. 157. ნიაშორი (გარეული თხა).

როგორც ცნობილია, **თხაც** ერთ-ერთი პირველად მოშინაურებული ცხოველია. წინა და ცენტრალურ აზიაში ადამიანმა ეს წყვილჩლიქოსანი ცხოველი თავის სამსახურში ჩააყენა არა უგვიანეს 11000-10000 წლის წინათ. ნეოლითში (7000-6000 წლის წინათ) შინაური თხის ნამარხები ნაპოვნია ევროპაშიაც. დადგენილია თხის გარეული წინაპრები: ნიაშორი (Capra aegagrus), რქახრახნილი თხა ანუ მარხური (C.falconeri) – გაერცვლებულია ინდოეთში, პაკისტანსა და აელანეთში და აწ გადაშენებული სახეობა – Capra prisca. ადამიანი იმთა-



სურ. 158. ნიაშორი (ძველი ირანის მხატვრობა) (VI-V სს.).

ვითვე იყენებდა თხის ხორცს, რძეს, ტყავსა და მატყლს (ბეწვს), თიეთიკს. განასხვავებენ სარძეო, სამატყლე, სათიეთიკე და უხეშმატყელიანი შერეული პროდუქტის ჯიშის თხებს. ბეწვის საუკეთესო ხარისხით განთქმულია ანგორული თხა. სარძეო ჯიშის თხა წელიწადში 450-500 კგ. იწველის (მაქ-



სურ. 159. ბიჭი თხის ციკნით კუნძულ სულავესიდან (ფილიპინები).


სიმუმი - 1000 კგ-მდე). მამალი თხის (ბოტის) ცოცხალი მასაა 60-65 კგ., მაქსიმუმი - 100 კგ-მდე, დედალი თხისა (ნეწვის) - 40-60 კგ-მდე.

თხა სხედასხვა გარემოსთან ფრიად ადაპტირებული ცხოველია, ამიტომ, სარგებლობასთან ერთად ბუნებისთვის, ადამიანის მეურნეობისათვის ზიანიც დიდი მოაქვს. თხები მანვე ცხოველებად გადაიქცენ მსოფლიო ოკეანის ბევრ კუნძულზე და დედამიწის ისეთ შორეულ ადგილებში, როგორც ავსტრალია და ახალი ზელანდია (აქ ეს ჩლიქოსანი ცხოველი ევროპელმა პირველმოსახლეებმა შეიყვანეს).

საქართველოში გამოყვანილია მეგრული თხა. იგი ხასიათდება უხერძიანობითა და ნაყოფიერებით. არჩევენ დაბლობისა და მთის ტიპებს. პირველი მერძეულია, მეორე - მეხორცეული.

მსხვილშენა რძოსანი საქონელი

პალეოლითის ადამიანი, გარკვეულ მომენტში, მსხვილ ჩლიქოსან ნადირზე უწესრიგო, მოხეტიალე ნადირობიდან გადავიდა თავისი საკვების გაასრებულ მოპოვებაზე (მსხვერპლის ნიხში მომწვედევა, კლდეზე გადასხევა და ა.შ.). მაგრამ ნადირზე კონტროლირებადი ნადირობა, როგორც გაასრებულიც არ უნდა ყოფილიყო, კლასიკურ მესაქონეობასთან შედარებით, ცა და დედამიწასავით განსხვავდებოდა.



სურ. 160. გარეული ხარი - ტური (რეკონსტრუქცია).

როდის შეიძლებოდა გადასულიყო პრეისტორიული ადამიანი მწყემსური ტიპის მესაქონეობაზე, რამაც კაცობრიობის ცივილიზაციის საქმეში მიწათმოქმედებასთან ერთად, ესოდენ გადამწყვეტი როლი შეასრულა? ამჟამად ადამიანის ნამდვილ პასტორალიზმზე (მწყემსური მესაქონეობა) გადასვლის რამდენადმე უნიფიცირებული შეხედულება არსებობს. მსგავსი შეხედულების თანახმად, ჩვენს შორეულ წინაპარს ასეთი ნაბიჯი უნდა გადაეღვა გვიანი პალეოლითისა და ნეოლითის თავშესაყარზე (10000-6000 წლის წინათ), მაგრამ არსებობს სხვა, ანგარიშგასაწვეი მონაცემებიც. სპეციალისტთა ერთი ჯგუფი ასე ეარაუდობს: შინაური ხარძროხის (ზროხის) წინაპარი იყო XVII საუკუნეში ამოწვეტილი გარეული ძროხა - ტური (Bos primi-

genius^{*)}. ამ გიგანტი ჩლიქოსნის არეალი მოიცავდა ევროპას, კავკასიას, მცირე აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკას. გარეული ხარი, ამ არეალის დიდ ნაწილში, პრეისტორიული მხატვრის მუზის ყველაზე პრესტიჟული ობიექტი იყო. ამიტომ სპეციალისტები დარწმუნებულები არიან, რომ ნადირის მოშინაურებაც ზემოთ ჩამოთვლილ, რომელიმე რეგიონში უნდა მომხდარიყო.^{**}



სურ. 161. ძროხა ხბოთი. შუამდინარეთი. სპილოს ძელის ნაკეთობა (ძე.წ.აღ-ით 2000 წ.).


... ტროპიკულ აფრიკაში გარეული ძროხის ნამარხი ნაშთები არ არის მიკვლეული. ეს ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ საპარის უდაბნოს სამხრეთით მდებარე აფრიკაში მსხვილფეხა საქონელი მოშინაურებული სახით შეიყვანეს. 1980-იან წლებში, აღმოსავლეთ აფრიკაში (კენიის მახლობლად), ჩარლზ ნელსონმა და მისმა თანამშრომლებმა გათხარეს ლუკენია პილის მიდამოები. მეცნიერებმა მიაკვლიეს საქონლის ნამარხს ქვლებს. რადიოკარბონული ტესტით დადგინდა მათი ასაკი – 13000 წელი! საქონლის ნაშთი საკვებად მოხმარებული და მისგან დარჩენილი, გარეულ ცხოველთა ნამარხი ძელოვანი მასალის მხოლოდ 20%-ს შეადგენდა. სულ სხვა სურათს წააწყდნენ 3300 წლით დათარიღებულ ნიადაგის კულტურულ ფენაში. იმ დროისათვის აბორიგენთა არსებობა, ძირითადად, თანამედროვე მასაის ტომების მსგავსად, პასტორალურ (მწყემსურ) ეკონომიკაზე იყო გათვლილი...

თუ შედარების მიზნით ნაარობის მახლობლად მოპოვებულ ნამარხ მასალას გამოვიყენებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ტროპიკული აფრიკის მიღმა გარეული ძროხის დომესტიკაცია 13000 წელზე უფრო ადრე უნდა მომხდარიყო. შესაბამისად,

მსხვილფეხა საქონელი ადამიანის სამსახურში უფრო ადრე ჩამდგარა, ვიდრე ეს ქრესტომათიულ ლიტერატურაშია მითითებული. მსგავსი მაგალითები მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ არქეოლოგებსა და ანთროპოლოგებს კიდევ მრავალი კვლევა დასჭირდებათ წინასტორიული ადამიანის მიერ ცხოველთა მოშინაურების დროისა და წარმოშობის ცენტრის დასადგენად.

შინაური საქონლის გარეული წინაპარი – ტური – ეს შესანიშნავი გარეგნობის მქონე ცხოველი ჩრდილოეთ აფრიკაში ამოწვევით ძე.წ.აღ-ით 2400 წლის წინათ, მესოპოტამიაში – 600 წლის წინათ (ძე.წ.აღ-ით), ევროპაში (პოლონეთი) – უკანასკნელი ეგზემპლარი მოკლეს 1627 წელს. გარეულმა ძროხამ დასაბამი მისცა რა მსხვილფეხა რქოსან საქონელს, ამით დიდად შეუწყო ხელი ადამიანის ხორციით, რძითა და მისი პროდუქტებით, ტყავით უზრუნველყოფას. ხარი, ძირითადად, გამწვევი ძალა იყო მიწის დამუშავებისას (ზოგიერთ ქვეყანაში ეს ცხოველი დღემდე ინტენსიურადაა გამოყენებული სამუშაო ძალად).


გარეგნულად, საქონლის ამჟამად არსებულ ჯიშებს შორის ზოგიერთი ძალიან ახლო დაბას წინაპარ ფორმასთან. მაგალითად, ესპანური სავარძლო ხარი, ყაბარდოული ხარი და ა.შ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე ოთხი ათასი წლის წინათ, ტურის მოშინაურებული ფორმები ჰყავდათ აზიისა და აფრიკის ყველა ცივილიზაციის მქონე ხალხებს. ნიშანდობლივია, რომ ხარსა და ძროხას ყველა ხალხი ეთაყვანებოდა, წმინდა ცხოველად მიიჩნედათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს საქონელი ადგილობრივ ღვთისმსახურთა ზოოლოგიური



სურ. 162. უკუზო ხარები. ეგვიპტური კედლის მხატვრობა (ძე.წ.აღ-ით 2500 წ.).

* დასავლეთევროპულ ლიტერატურაში მოიხსენება როგორც *Bos taurus*.

** არქეოლოგიური და გენეტიკური (სისხლისა და ბაღნის უჯრედთა მიტოქონდრიული დნმ-ა) გამოკვლევებით უკუზო ხარ-ძროხის მოშინაურება უნდა მომხდარიყო, უწინარესად, ახლო აღმოსავლეთში – „ნაყოფიერი ნახევარმთვარის“ (კონკრეტულად შუამდინარეთის) ტერიტორიაზე არაუგვიანეს 10000 წლის წინათ (Natural History, 2003, N2).



სურ. 163. ყაბარდოული ჯიშის ხარი ზემო სვანეთის იალაღებზე.

პანთონის განუყოფელი წარმომადგენელია. მოშინაურებული ხარის კულტმა თავის მწვერვალს ძველ ეგვიპტეში მიაღწია. ეგვიპტელთა (უფრო კონკრეტულად ეგვიპტის ქალაქ მემფისის) წმინდა ხარი აპისის მათი მთავარი ღმერთის პტას (მოგვიანებით პტა-ოსირისის) ვაჟად, მის ცოცხალ განსახიერებად აღიარეს. აპისს ჰყავდა ქურუმები, მოსამსახურეები, უგებდნენ ტაძრებსა და სასახლეებს, ხოლო სიკვდილის შემდეგ, ფარაონთა მსგავსად, უკეთებდნენ ბალზამირებას და სარკოფაგებში ასვენებდნენ (არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნია ათასობით ასეთი სარკოფაგი).

ქურუმები ხარ-აპისის დიდი რუღუნებით არჩეუდნენ. წონით თითქმის ტონამდე უნდა ყოფილიყო, ფერით – კუპრივით შავი, შუბლზე თეთრი, სამკუთხა ნიშანი (ჩაბნელებულ სამყაროს ფონზე, ბრდღვივალა მზის სიმბოლო) უნდა ჰქონოდა. მსგავს ნიკორა ხარს მოეთხოვებოდა კიდევ ოცდაათამდე სხვადასხვა ნიშნის დაკმაყოფილება. ქურუმები, მსგავსი „ანკეტი“ ხელში, დადიოდნენ ასობით სულისაგან შემდგარ ნახირში და არჩეუდნენ თითო-ოროდა ასეთ კანდიდატურას.


აპისად აღიარებული ხარი, ფარაონისა და მისი ოჯახის წევრების შემდეგ, ყველაზე პრივილეგიური არსება იყო ქვეყანაში (მას არ აკლებდნენ თვით აბაზნის თბილ წყალს, აფრქვევდნენ არომატულ ხსნარებს). ხართაყვანისმცემლობა, როგორც ჩანს, მაინც მიწათმოქმედებასთან იყო დაკავშირებული. როგორც კი ახალი ფარაონი ტახტს იკავებდა, ასე მოვლილ-ნაპატივებ აპისს შეაბამდნენ ხოლმე ჩვეულებრივ, უხეშ უღელში. მინდორში, მასთან ერთად, გადიოდა ფარაონი. იქ, მეუფეს, სიმბოლურად გააკავდა რამდენიმე ხნული, რის შემდეგ ხარი კვლავ უბრუნდებოდა სამოთხის

მსგავს განცხრომაში ცხოვრებას.

ხარი ქართულ მითოლოგიაშიც ერთ-ერთი ყველაზე სათაყვანებელი კერპია, იგი დიდი პატივისცემით მოიხსენიება ქართულ ფოლკლორში, სლაპრებსა და გამოჩენილ ხელოვანთა, განსაკუთრებით პოეტთა შემოქმედებაში.

მსხვილფეხა საქონლის საქართველოში გამოყვანილ ჯიშებს მიეკუთვნება ხევსურული და მეგრული ძროხები. ხევსურული ძროხა შეკუებულია მაღალი მთის პირობებს, გამოირჩევა მცირეტანიანობითა და მაღალკალორიული, ცხიმოვანი რძით. მეგრული წითელი ჯიშის გამოყვანილია XIX საუკუნეში, ხასიათდება მრავალი დადებითი ნიშნით.

ძროხამ უდიდესი როლი შეასრულა კაცობრიობის განვითარების საქმეში. ამჟამად დედამიწაზე ამ სქონლის 3 მილიარდამდე ინდივიდს ითვლიან.



სურ. 164. ხევსურული ძროხა.



სურ. 165. კამენზე ამხედრებული გლეხი; თაილანდის ბრინჯის ყანები.

მსხვილფეხა ჩლიქოსანი ცხოველებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში ყველაზე პოპულარულია *ინდური კამეჩი* (*Bubalus arnee*). ეს ვეებერთელა ჩლიქოსანი ცხოველი იწონის ერთ ტონამდე. გაბრტყელებული, უკან მიმართული რქები ერთ-ერთი ყველაზე დიდია რქოსან ცხოველთა სამყაროში, სიგრძეში იგი 194 სანტიმეტრს აღწევს! სხეული დაფარულია უხეში, მენხერი მორუხო-შავი ბეწვით. კამეჩის ბუნებრივი არეალი მოიცავს ინდოეთს, ნეპალს, ბირმას, კამბოჯას, თაილანდსა და სამხრეთ ჩინეთს. ჯერ კიდევ ისტორიულ წარსულში ბინადრობდა ჩრდილოეთ აფრიკაში, მესოპოტამიასა და ჩინეთის შიდა რაიონებში. სახლდება ჯუნგლების ძალზე დაჭაობებულ ადგილებში, მდინარეთა ჭალებში. წყლიანი გარემოს გარეშე არსებობა არ შეუძლია. იკვებება ძირითადად წყლისა და წყლისპირა მცენარეებით. იმდენად ძლიერია, რომ პატარა ჯოგს, არაერთხელ, დაუმარცხებია ეეფხები.

აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ტროპიკულ ქვეყნებში, ინდოეთსა და ინდოჩინეთის ტერიტორიაზე, კამეჩი მოაშინაურეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე სამი ათასი წლის წინათ. მოგვიანებით, ხელოვნურად შეიყვანეს იაპონიაში, ჰავაის კუნძულებზე, ცენტრალურსა და სამხრეთ ამერიკაში, კავკასიაში, სულბოლო დროს, 1825 წელს, ავსტრალიის ჩრდილოეთში. ბეერგან, მათ შორის ავსტრალიაში, ინდური კამეჩი მეორეულად გაველურდა.

ხარკამეჩი შესანიშნავი გამწვევი ძალაა მიწის დამუშავებისას, ტვირთის გადასატანად (ზურგზე ან ურმით). იყენებენ მის ხორცს, ფურკამეჩის რქეს (ცხიმო მასში ორჯერ აღემატება ძროხისას), ხოლო კამეჩის ტყავი უცვეთელია. ინდოეთის კამეჩი ძალზე თინიერი და დამჯერი ცხოველია. ბუნებრივია, მისი ეს თვისებები უწყურადღებოდ არ დარჩა ადამიანს და ფართოდ განასახლა იგი მთელ დედამიწაზე, სადაც ჭარბი ტენი და დაჭაობებული ადგი-

ლებია. სამხრეთ კავკასიაში კამეჩს სარძეო-სახორცე დანიშნულება აქვს.

ინდოეთის კამეჩისაგან განსხვავებით, აფრიკული გარეული კამეჩი (*Sincerus caffer*), უფრო მასიურია (საეანის ქვესახეობის ხარი იწონის 1200 კილოგრამამდე), გამოირჩევა მძინეარე ხასიათით. მისი მოშინაურება ადამიანს არ უცდია. კუნძულ სულავესიზე (ინდონეზია) გაერცელებულია კამეჩების ყველაზე ქონდარა ფორმა – ანოა, ანუ ჯუჯა კამეჩი (*Bubalus depressicornis*). მისი წონა მერყეობს 150-300 კგ-ის ფარგლებში. ველური სახეობაა.



სურ. 166. აფრიკული კამეჩი სერენგეტის ეროვნულ პარკში (ტანზანია).

სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ფართოდაა გაერცელებული და მოშინაურებული კუშიანი საქონელი – ზებუ (*Bos indicus*). კისრისა და მინდოს წინა ნაწილში აქვს კუში, რომლის მასაა 5-8 კილოგრამი. ზებუს საშუალო წონაა 300-500 კილოგრამი. ვარაუდობენ, რომ ინდოეთში მოაშინაურეს ძვ.წ. აღ-ით 3-2 ათასი წლის წინათ. სამხრეთ აზიიდან, არაბეთის ნახევარკუნძულით ეს ცხოველი შეიყვანეს აფრიკასა (მადაგასკარის ჩათვლით, სადაც ზებუს საწყისი, ყველაზე წმინდა



სურ. 167. ურემში შებმული ზებუ:
კუნძული მადაგასკარი.

ჯიში შემორჩა) და სამხრეთ ამერიკაში, ამიერკავკასიაში მხოლოდ ღენქორანში ვხვდებით. ზებუ, ლაქტაციის თვალსაზრისით, გაცილებით დაბალპროდუქტიულია, ვიდრე ევროპული საქონელი, მაგრამ უფრო სწრაფია, გარემო პირობებისადმი უფრო შეგუებადი, ამიტომ მას იყენებენ გამწვევ ძალადაც და იშვიათად, სატრანსპორტო საშუალებად. აღმოსავლეთ აფრიკაში, მასაისა და სამბურუს ტომები ზებუსაგან, რძის გარდა, სისხლსაც იყენებენ. გარეული კეახისაგან დამზადებულ ჭურჭელში, ზებუს რძეს ურევენ მისსავე სისხლს და ღებულობენ გათხის სახელწოდებით ცნობილ სასმელს. აბორიგენები ისრის წვერით ჭრილობას აყენებენ საქონელს კისრის ვენაში. საქონლისათვის ამ უნებელი ოპერაციის შემდეგ, ხარისგან თევში იღებენ 4-5 ლიტრ სისხლს, ხოლო ძროხისგან – ნახევარ ლიტრს.




სურ. 168. შივას (ინდოეთი) წმინდა ხარის
(ზებუ) სკულპტურა. (ძვ.წ. აღ-ით 500 წ.).

ინდოეთში ზებუ წმინდა ცხოველად ითვლება. მისი დაკვლა აკრძალულია. მსგავსი რწმენის შედეგია ფრიად უცნაური ფაქტი – 600 მილიონ მოსახლეობასე მოდის 160 მილიონი საქონელი, რომლის არც ხორცი გამოიყენება და არც რძე. წარმოშობით ზებუ შინაურ ძროხას უახლოვდება.

იაკი (Bos mutus). ამ ჩლიქოსნის გარეული ფორმა ამჟამად მხოლოდ ჩრდილოეთი ტიბეტის მაღალმთიან სტეპებში შემორჩა. იაკი ვეებურთელა ცხოველია, რომელიც სიმაღლეში (მინდაოში) აღწევს ორ მეტრს, ხოლო იწონის ერთ ტონამდე.

იაკი მხოლოდ ტიბეტში ცხოვრობს, ზღვის დონიდან 4000 მეტრზე და უფრო მაღლა. ტიბეტელებმა იაკი მოიშინაურეს ჩვენს ურამდე ათასი წლის წინათ. შინაური ფორმა გაცილებით პატარაა გარეულ თანამომესთან შედარებით. გარდა შაკი ფერის ბეწვისა, რომელიც გარეული წინაპრისაგან მიიღეს, შეფერვლიობით ეს შინაური ცხოველები ერთმანეთისაგან სავარძობლად განსხვავდება, ეჭვდებით თეთრი, რუხი, წაბლა და ჭრელი შეფერილობის ინდივიდებს.



სურ. 169. საექსპედიციო ინვენტარით
დატვირთული იაკის ქარავანი ტიბეტის მთებში.

იაკი ტიბური ოროფილი, ანუ მაღალი მთის ბინადარია. ზაფხულობით შინაური ფორმაც აღპურ სარტყელში აყავთ. აქ იხინი ძოვენ თოვლის ხალებით დაფარულ მდელოებზე. იაკი მოამრავლეს ცენტრალური აზიის სხვა რაიონებშიც: მონღოლეთში, ტუვაში, ალთაიში, პამირსა და ტიან-შანზე. იაკი მკაცრი ჰაერის მქონე აზიის ჩამოთვლილ ქვეყნებში, შეუცვლელი საძალნე ცხოველია (ატარებს 150 კილოგრამამდე ტვირთს), ახენეინებენ მიწას, მასზე ჯდებიან – იყენებენ ტრანსპორტად. გარდა



სურ. 170. იაკები ცენტრალური ტიან-შანის
იალალებზე.

ამისა, იაკს წველიან, ფრიად კალორიული რძე აქვს (იგი ორჯერ ნოყიერია, ვიდრე ძროხის რძე), იყენებენ მის ხორცსა და მატყლს. იაკის სხეული დაფარულია სქელი, ქურქისმაგვარი თივითის ბეწვით. ბეწვის საფარი განსაკუთრებით სქელია და ფოჩივით ჩამოგრძელებული მუცლის (მიწაძღე სცემს), გვერდების, ფეხებისა და კუდის არეში. ამ ცხოველის გამხმარი ნაკელი ტიბეტში საწვავის თითქმის ერთადერთი საშუალებაა.

მთაში იაკები მწყემსის გარეშე ცხოვრობენ. საფხულის განმავლობაში თავის ნებაზე მიშვებულ საქონელს ნირი რამდენადმე გარეული წინაპრისა უხდება. ჯგუფურად, წარმატებით იცავენ თავს მგლისაგან, აგრესიულები ხდებიან ადამიანის მიმართაც. ვინც ტიბეტის, პამირის ან ცენტრალური ტიან-შანის ალაქებში მოხვედრილა, პირუტყვის ზნის საკუთარ თავზე გამოცდიდა.

ლორი. ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყანაში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5000-3000 წლის წინათ, ხელი მიჰყევს ამ ცხოველის მოშინაურობას. გარეულ წინაპარს წარმოადგენს ევროპული და აზიური ფორმები (გეარი Sus). ამგვარად, დღეს არსებული ღორის 100-მდე ჯიშიდან, ნაწილი ევროპაში მობინადრე გარეული ღორის შთამომავალია, ნაწილი – აზიურის. ეგვიპტეში არსებობს კედლის ნახატი, სადაც გამოხატულია ღორების მწყემსი ბიჭი მათრახით ხელში. სურათი დათარიღებულია სამნახევარი ათასი წლით. ათასობით წლების განმავლობაში, შინაური ღორი მნიშვნელოვნად განსხვავდა გარეულისაგან, თუმცა ზოგიერთმა შეინარჩუნა წინაპრის მრავალი ნიშანი, საერთო გარეგნობა. ასეთებს შორის უნდა დავასახელოთ სვანური ღორი.

სხვა შინაურ ცხოველებთან შედარებით, ღორი ხასიათდება ყველაზე მაღალი ნაყოფიერებით – ნაშიერთა სიმრავლით (ხშირად გოჭების როცხვი 10-11-ზე მეტია) და, ერთდროულად, სწრაფად ზრდის უნართაც – 13-15 თვისა პირველად იძლევა შთამომავლობას, 1 წლისა იწონის 100-120 კილოგრამს.

გარეული ღორის (Sus scrofa) თანამედროვე არეალი ძალიან დიდია – იგი მოიცავს მთელ ევროპას,




სურ. 171. სვანური ღორები გოჭებით.

აზიას – უკიდურესი ჩრდილოეთი რაიონების გარდა, სამაგიეროდ, კარგად არის შეგუებული მატერიკულ ტროპიკულ აზიას და სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტუნძოლებს (სულავესი, ახალი გვინეა და ა.შ.). ბინადრობდა ჩრდილო აფრიკაში, მაგრამ მეტწილ ქვეყნებში ამოწყვეტეს.

ობი კოშრუმისნაირი – TYLOPODA

არცთუ დიდი ხნის წინათ აქლემისნაირთა ოჯახს (Camelidae) აერთიანებდნენ წყვილწლიქიანისნაირთა რიგში. ამჟამად გამოყოფილია დამოუკიდებელ რიგად.

დღეამიწასზე, თანამედროვე გეოლოგიურ ეპოქაში, არიდულ, ანუ ნალექებით ღარიბ ტერიტორიებს ხმელეთის 33,6% უკავია. აქედან უდაბნოებს (ნახევარუდაბნოების გამოკლებით) – 19%, რაც შეადგენს 28 მილიონ კვადრატულ კილომეტრს. ეს ის ადგილებია, სადაც ნალექების წლიური



სურ. 172. ორკუშიანი აქლემი ჩინეთის უდაბნოებში.

საშუალო რაოდენობა 100-200 მილიმეტრს შეადგენს, ნალექების აორთქლება კი 10-20-ჯერ აღემატება მათ მოსელას. გამყინვარების ეპოქის მიწურულს, რომელიც ემთხვევა გვიანდელ პალეოლითს, ატმოსფერო, გლობალურად, კიდევ უფრო მშრალი იყო, ამიტომ არიდულ ტერიტორიებსაც (მათ შორის უდაბნოებსაც) უფრო დიდი ფართობი ეკავათ. ასე, მაგალითად, ლიტერატურული მონაცემებით პლეისტოცენის მიწურულს (12000-10000 წლის წინათ) სპარის უდაბნოს საგრძნობლად მეტი ფართობი ეკავა, ვიდრე ამჟამად.

გარდა ევროპისა, სადაც არიდულ ტერიტორიებს მხოლოდ 1% უკავია, მშრალი კლიმატის მქონე ტერიტორიები სხვა კონტინენტთა მნიშვნელოვან ტერიტორიებს მოიცავენ, ამ მხრივ პირველ ადგილზე დგას ავსტრალია (83%), შემდეგ აფრიკა (59%), აზია (38%), ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკა (10%), სამხრეთი ამერიკა (8%).

მითითებული მაგალითიდან ცხადი ხდება, რომ დღეამიწასზე კაცობრიობის განსახლებასა და ცივილიზაციების კერების შექმნას მნიშვნელოვან ბარიერებს უქმნიდნენ უდაბნოები. თუ არა აქლემი, უდაბნოს ეს „ხომალდი“, თეთრკანიანი მოსახლეუ-

ბისათვის დიდი ხნის განმავლობაში უცნობი დარჩებოდა აფრიკის მნიშვნელოვანი ტერიტორია, ცენტრალური და დასავლეთი ავსტრალია, ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის მრავალი რეგიონი. აქლემმა უდიდესი როლი შეასრულა აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ძირძველი, ინიციალური კულტურების ფორმირებაში.

გარეული ცხენის მსგავსად, აქლემთა მოდგმა წარმოიშვა ეოცენში (დაახლოებით 50 მლნ წ. წინათ) და ისიც ჩრდილო ამერიკაში. აქედან პლიოცენ-პლეისტოცენის საზღვარზე (3-1 მილ წ. წინათ) ერთი შტო განსახლდა აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ევროპაში, მეორე – სამხრეთ ამერიკაში. ამჟამად ერთი გარეული სახეობა – ორკუსიანი აქლემი (*Camelus bactrianus*), ანუ ბაქტრიანი შემორჩა აზიის უდაბნოებში (ჩინეთში – სინცზიანი და სამხრეთ-დასავლეთ მონღოლეთში), ორი სამხრეთამერიკული სახეობა – გუანაკო და ეკუნი ანდეების, ძირითადად მაღალმთიანეთის ბინადრებია. გარდა ამისა, აქლემთა მოდგმა აერთიანებს ცალკუსიან აქლემს – დრომედარს (*Camelus dromedarius*) და გუანაკოსგან მოშინაურებულ ლამასა და ალპაკას. ცალკუსიანი აქლემის წინაპარი ფორმა უცნობია. სპეციალისტები ეარაუდობენ, რომ მისი ევლური სახეობა ცხოვრობდა არაბეთის ნახევარკუნძულზე, სადაც დიდი ხნის წინათ ამოწყდა.



სურ. 173. ცალკუსიანი აქლემზე ამხედრებული ტუვარელი ქალები აფრიკაში (საპარა).


ცალკუსიანი აქლემი გავრცელებულია აფრიკაში, არაბეთში, მცირე აზიაში, ინდოეთში, ცენტრალური აზიიდან – ძირითადად თურქმენეთში. თეთრკანიანი კოლონიზატორების მიერ შეყვანილია მექსიკასა და ავსტრალიაში. ცალკუსიანთა ერთი ფორმა – სწრაფად მოსიარულე – გამოყვა-

ნილია როგორც გადაადგილების საშუალება (იყენებენ საჯირითოთაც – თოხარკით გადის დღეში 100 კმ-მდე, საათში – 10-12 კმ-ს), მეორე – საპალნე და შესაბამელი – ცხოველია. ეგვიპტეში ნაპოვნი სტატუეტის – ტეირთაკედებული ცალკუსიანი აქლემის ასაკი 5000 წლით არის შეფასებული. ეარაუდობენ, რომ იმავე ასაკისაა ასუანისა და სინაის კლდეებზე გამოსახული დრომედარი.

ორკუსიანი აქლემის მოშინაურების დრო და ადგილი უცნობია. ეარაუდობენ, რომ ეს მოხდა თურქმენეთის აღმოსავლეთით, ჩეჩენს ერაღე ორი ათასი წლის წინათ. ცხოვრების წესითა და ქცევებით ორივე აქლემი ერთმანეთს ჰგავს. განსხვავება გამოიხატება ტემპერატურისადმი დამოკიდებულებაში – ცალკუსიანი უფრო გამძლეა მაღალი ტემპერატურისადმი, სამაგიეროდ ცუდად იტანს ზამთრის ყინვებს. შეუძლია ათი დღე გაძლოს უწყლოდ, მხედართან ერთად, ერთ დღეში გაიაროს 80 კილომეტრი (საათში გადაადგილდება 10-23 კილომეტრი სიჩქარით). საპალნე აქლემებს უნარი შესწევთ გადაიტანონ საკუთარი წონის 50%-მდე, 400 კილოგრამი ტვირთი. მომთაბარე ყირგიზები ბარიდან ცხეარს, ცხენებს, მსხვილფეხა რქოსან საქონელსა და იაკებს ცენტრალური ტიან-შანის ალპებში მიურტეებიან. იქ დგამენ დროებით სახლებს – იურტებს. საპალნე დრომედარს ხელეწიფება ზურგით იურტის დასადგმელი, მთელი მოწყობილობის გადატანა.

ორკუსიანი აქლემი კარგად იტანს ზამთრის ყინვებს, ამიტომ აქლემის ეს სახეობა დიდ სამსახურს უწევს ადამიანს ცენტრალურ აზიაში.

ყველაზე მშრალი უდაბნოსადმი აქლემის შეგუების მთავარი თვისებებურება გამოიხატება შემდეგში: ეს ცხოველი სხეულის სითხის დაკარგვის ხარჯზე კარგავს წონის 25%-ს. ორგანიზმში მსგავსი ცვლილება უდაბნოს ცხოველის სიცოცხლისუნარიანობაზე არ აისახება. სამაგიეროდ ოაზისში მოხვედრილი აქლემი სწრაფად ინახლავს წყლის დანაკლისს – 10 წუთში სვამს 130-135 ლიტრ წყალს (შეუძლია მლაშე წყლის დაღვაც). აქლემის სხეულის ნაწილები, რომელიც ცხოველის დაწოლისას უდაბნოს გაეარვარებულ გრუნტს ეხება, აღჭურვილია მაშოლისებური გამონახარდებით. კანის ქსოვილის მსგავსი სახეცვლილებები გააჩნია გვერდზე და კიდურებზე (აქედან წარმოდგება რიგის სახელწოდება – კოურფეხიანები). ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ აქლემი მშვიდად წებდა მიწაზე, რომლის ზედაპირის ტემპერატურა +70°C აღწევს. ფეხისგულზე აქლემს გააჩნია კოურიანი ბალიში, ამიტომ აქლემისთვის პრობლემას არ წარმოადგენს გაეარვარებულ ქვიშაზე სიარული. მას გარემოს ექსტრემალურ პირობებთან შეგუების სხვა, ათობით ანატომიური და ფიზიოლოგიური თვისება გააჩნია. ასე, მაგალითად, იკვებება უდაბნოს იმ მცენარეებით, რომლებსაც სხვა მცოხნელები არ ჭამენ, სვამს ცოტა წყალს. აქლემის კუსში გროვდება სამარაგო ცხიმი (100 კგ-მდე და



სურ. 174. ლამები პერუს ანდებში.

მეტიც), რასაც ცხოველი საკვებისა და განსაკუთრებით წყლის ნაკლებობისას იყენებს და ა.შ.

აღამიანი იყენებს აქლემის რქებს (ამზადებენ კუმისს, კარაკს, ყველს), ხორცს (ყვებითი ღირებულებით ახალგაზრდა ცხოველის ხორცი არ ჩამოუყარდება საქონლისას), ბეწვს (ხარისხით უკეთესია ცხერის უხეშ მატყლზე). აქლემის ნიშან-თვისებათა ამ განსაკუთრებულმა სპექტრმა, ხელი შეუწყო აღამიანს ჯერ კიდევ შორეულ წარსულში აეთვისებინა დედამიწის ხმელეთის ყველაზე მშრალი რაიონები.

ზემოთ აღინიშნა, რომ აქლემების უახლესი ნათესაეები ბინადრობენ სამხრეთ ამერიკაში. ბოლივიელმა და პერუელმა ინდიელებმა შეძლეს ლამას დიდი ხნის წინათ მოშინაურება. ეს მოხდა ჩვენს ერამდე 2550-1250 წლების ფარგლებში. კოლუმბამდელ ამერიკაში ერთადერთ სატრანსპორტო საშუალებად ლამას იყენებდნენ. ლამა ლამაზი, მაღალკისერა, უკუთო, თხელფეხება, დიდთვალეა ცხოველია. სხეული შემოსილია სქელი მატყლით. ეს უკანასკნელი თეთრი ან მუქი-რუხი ფერისაა, ხშირად თეთრი ლაქებით. ლამას ქარავენებს დღესაც წარმატებით იყენებენ ინდიელები. 100 კილოგრამამდე მამრი ატარებს 50 კილოგრამამდე ტვირთს. უფრო მძიმე საპალნეზე უარს ამბობს – მიწაზე წეება, იკბინება და იფურთხება. ინდიელები დედალი ლამას მხოლოდ მატყლს (ისიც სათოკედ) და ხორცს იყენებენ.

ალპაკა ტანით ლამაზე პატარაა. მისგან განსხვავებით, სხეულის საფარი შემოსილია რუხი-მოციხურით, ანდა შავი ფერით. ალპაკას მატყლი იმდენად ძვირფასია, რომ ხარისხით მას თითქმის ვერც ერთი ჩლიქოსანი ცხოველი ვერ შეედრება. ბინადრობს მხოლოდ ალპურ ზონაში, სადაც ზოგჯერ შეერევა ხოლმე მის ევლურ თანამოძებებს – გუნაკოსა და ვიკუნიას. შეჯვარების შემთხვევაში ნაყოფიერ შთამომავლობას იძლევა ლამასთან შედარებით ალპაკას მოშინაურება რამდენადმე გვიან მოხდა.

ინკების ვეებერთელა იმპერიაში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჯერ კიდევ 1000 წლის წინათ, ლამა და ალპაკა გავრცელებული იყვნენ ჩრდილოეთ ეკვატორიდან ცენტრალურ ჩილეამდე. ზღვის დონიდან 2700 მეტრამდე და უფრო მაღლა, იმ დროიდან გაყვანილ ბილიკებზე ლამას ახლაც იყენებენ.

განსაკუთრებით პოპულარულია ეს ცხოველი მაღალმთის ვეებერთელა ტბის – ტიტიკაკას სანაპირო რაიონებში.

რაც შეეხება ალპაკას, აზიური იაკის მსგავსად მის გამრავლებას მისდევენ დედამიწის ერთ-ერთ ყველაზე მაღალმთიან დასახლებაში, ტიტიკაკას მიმდებარე ალპებში, ზღვის დონიდან 4200 მეტრზე და უფრო მაღლა. ჩვენს წელთაღრიცხვიდან მოყოლებული, ვიდრე დღემდე, ლამა და ალპაკა ინდიელებს არც მოუწველიათ, არც მიწის სახნავად და არც ურემში, გამწვევ ძალად არ გამოუყენებიათ. საუკუნეთა მანძილზე, ასე, რძის პროდუქტების, ურმის (სიმბოლურად – ბორბლის) გარეშე ვითარდებოდა ატლანტის ოკეანის დასავლეთით მდებარე, ევრაზიელთა ცივილიზაციებისათვის უცნობი ინკების ერთ დროს სახელგანთქმული იმპერია.

კონკისტადორთა ექსპანსიის შემდეგ, ლამას, როგორც საპალნე ცხოველს, წინანდებურად მაღალ მთაში იყენებენ, უფრო დაბლა, მთებში, იმავე მიზნით, სამხრეთ ამერიკის ენდემურ ცხოველს სახეღარი და ჯორი ცელის.



სურ. 175. ალპაკა ბოლივიის ანდებში.



სურ. 176. ვიკუნიას ჯოგი ჩილეს მთიანეთში.



სურ. 177. ჩრდილოეთის ირმის წველა ტაიმირის ტუნდრაში.

შინაურ ცხოველთა გამონჩენილი სპეციალისტი, ლონდონისა და ოქსფორდის უნივერსიტეტების პროფესორი ფრედერიკ ცოინერი თელის, რომ წინასიტორიულმა ადამიანმა თხასა და ცხეართან ერთად, ჩრდილოეთის ირემი (*Rangifer tarandus*, ირმისებრთა ოჯახიდან – *Cervidae*) მიწათმოქმედებაზე გადასვლამდე მოაშინაურა. პოლარულ განედებში მცხოვრებნი იყენებენ ირმის ხორცს, რძეს, ტყავს, იგი შეუცვლელი სატრანსპორტო საშუალებაა (აბამენ ნარტში – თავისებურ მარხილში, ანდა მასზე სხდებიან). დღეს ითელიან დაახლოებით 5 მილიონამდე ჩრდილოეთის ირემს. გარეულ ფორმას ახასიათებს მიგრაცია – ზაფხულში ტუნდრაში, ზამთარში – ტყეტუნდრაში. როგორც დასავლეთ, ისე განსაკუთრებით აღმოსავლეთ ნახევარსფეროს მაღალ განედებში მისდევენ ინტენსიურ მეირმეობას (მხოლოდ ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 2,4 მილიონ ირემს ითელიდნენ). ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს ირმის ხორცს, ტყავს.

ძუძუმწოვრების კლასიდან ადამიანმა მოიშინაურა კიდევ ორი რიგის წარმომადგენელი: კურდღლისნაირები და მღრღნელები. კურდღლისნაირებიდან მოშინაურებულია *ბოცვერი* (*Oryctolagus cuniculus*). ძველი რომაელები ნახევრად მოშინაურებულ ბოცვერებს სპეციალურად შემოლობილ ცხოველის სამყოფელში ამრავლებდნენ. მისანი წმინდა გასტრონომიული იყო.



სურ. 178. ბოცვერები ავსტრალიაში.

გარეული ბოცვერის პირველადი ბუნებრივი არეალი შემოიფარგლებოდა ესპანეთითა და მაროკოთი, მოგვიანებით ცხოველმა გაიფართოვა არეალი დასავლეთსა და ცენტრალურ ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში. ხელოვნურად შეიყვანეს ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ოკეანეთა მრავალ კუნძულზე... კურდღლისაგან (*Lepus europaeus*) განსხვავებით, მესრორე ცხოველია. მრავლდება ძალიან სწრაფად. ევროპის, ახალი ზელანდიისა და განსაკუთრებით ავსტრალიის ბევრ რაიონში დიდი ზიანი მოაქვთ როგორც აგროცენოზებში, ისე ბუნებრივ ცენოზებში. დადგენილია, რომ სხვადასხვა საძოვრებში 4-5 ბოცვერი მოიხმარს იმდენივე საკვებს, რამდენსაც ერთი ცხვარი.

კლასი – შრინველები – AVES

ადამიანის ცივილიზაციის აღმავლობას ხელი შეუწყო ცხოველთა ამ კლასის ცხრა სახეობამ: ქათამმა, იხემა, მუშკიანმა იხემა, ბატმა, ინდაურმა, ციცარმა; მოშინაურებულ ფრინველებს შორის უნდა დაეახსებოდნენ მტრედი, კანარის ჩიტი და იაპონური მწყერი.



სურ. 179. ბანკიური გარეული ქათამი (მაღალიზია)

შინაური ქათმის ველური წინაპარია ბანკიური ქათამი (*Gallus gallus*). ეს ლამაზი ფრინველი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბინადარია. ოთხი ათასი წლის წინათ შინაური ქათამი დადიოდა ინდოელების სამოსახლოში, 500 წლის მოგვიანებით კი – ეგვიპტეშიაც. ამჟამად ითელიან შინაური ქათმის 150-მდე ჯიშს. სასოფლო-სამეურნეო ფრინველთა შორის შინაური ქათამი ყველაზე გავრცელებულია. ცნობილია მათი მეკვერცხული, სახორცე და შერეული ჯიშები, გარდა ამისა, იყენებენ ფრინველის ბუმბულსა და გერმას (ლინლს). ცნობილია დეკორატიული ფორმა ხუთმეტრიანი კუდით.

განსაკუთრებულ ჯიშებს ქმნიან მებრძოლი ქათმები, რომლებიც დღემდე იშვიათი პოპულარობით სარგებლობენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. არ არსებობს ცხოველთა სამყაროში ჩხუბის ისეთი

მოყვარული არსებები, როგორებიც მებრძოლი მამლები არიან. არც შიმშილი, არც დაღლილობა, არც სასიკვდილო ჭრილობა არ ანელებს მათში ორთაბრძოლის ჟინს. მსგავსი შემართება ამ ფრინველში გრძელდება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე და მხოლოდ სიკვდილის დადგომისას ქრება. იბრძვიან ნისკარტებითაც და დეზებითაც. დეზიანი ფეხით მებრძოლი მამლის მიერ მიყენებული დარტყმა, ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი მოძრაობაა ბუნებაში. დიდია ამ დარტყმის ძალაც – მამალი, ფოლადის სათითურით შეიარაღებულ დეზს, მუხის ხმელ ფიცარში 13 მილიმეტრ სიღრმეში არჭობს!



სურ. 180. მებრძოლ მამალთა ორთაბრძოლა (მანილა, ფილიპინები).

ძველი ბერძნები – უმამაცესი ხალხი – ბრძოლისას შეუპოვრობის, საბრძოლო ჟინის გაკვეთილებს ამ მამლებიდან იღებდნენ, ბერძნებს სიმამაცეში არც გალები, ფრანგების წინაპრები ჩამორჩებოდნენ. თვით რომაელთა რისხვად მოელენილ გალებს, ეს სახელი მამლის მიხედვით დაერქვათ



სურ. 181. გარეული იხვი (სარისუს ტბა, აზერბაიჯანი).

(Gallus – ლათინურად ხომ საკუთრივ ქათმისებრთა გვარის აღმნიშვნელი ტერმინია).

დაახლოებით 4 ათასი წლის წინათ მოაშინაურეს იხვიც. მისი დომესტიკაცია მოხდა ჩვეულებრივ, მდინარის იხვისაგან (Anas platyrhynchos) მესოპოტამიასა და ჩინეთში.

მუშკიანი იხვის სამშობლო სამხრეთ ამერიკაა. იგი ამ კონტინენტზე, ინკების სამოსახლოში, ესპანელების ექსპანსიამდე დაბაჯბაჯებდა. მექსიკის ტერიტორიაზე, აცტეკებთან, შინაურ ცხოველად ითვლებოდა **ინდაურიც** (Meleagris gallopavo; ამჟამად, გარდა მექსიკისა, გარეული ფორმა, ბინადრობს აშშ-ის ტერიტორიაზე, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით). კოლუმბამდე, ცენტრალურ ამერიკაში აცტეკებს მოშინაურებული ქაედათ მხოლოდ ძალი და ინდაური, ხოლო სამხრეთამერიკელ ინკებს – ლამა. ევროპაში ინდაური შეიყვანეს მხოლოდ 1524 წელს. 1585 წელს შემწეარი ინდაური პირველად გახდა მთავარი სააღდგომო საჭმელი ინგლისში. ეს რიტუალი აქ დღემდე გრძელდება. შინაურ ფრინველებს შორის ინდაური ყველაზე დიდია – დედალი იწონის 9 კილოგრამამდე, მამალი კი – 20 კილოგრამამდე და მას ხორცისთვის ამრავლებენ. მებრძოლი ინდაური ყველაზე კარგად არის განვითარებული ინგლისში, აშშ-სა და კანადაში, სადაც ხორცის წარმოება, ძირითადად სამრეწველო საფუძველზე ხდება.



სურ. 182. ინდაურების ფერმა (აშშ).

საქართველოში რუსეთიდან შემოიყვანეს XVIII საუკუნეში და ფართოდ გაერცვლდა. ინდაურის მრავალი ჯიშია გამოყვანილი, მათ შორის ჩვენში ცნობილია თიანეთური ინდაური.

ბატი პირველი შინაური ფრინველია. ნეოლითის მიწურულში, 7000 წლის წინათ, რუხი გარეული ბატი (*Anser anser*) ადამიანის მუდმივი თანამგზავრი გახდა. ფრინველის მოშინაურება ევროპის სხვადასხვა ადგილას მოხდა. გარეულსა და შინაურ ბატებს შორის დიდი გარეგნული მსგავსებაა.

ბატს მაღალხარისხოვანი ხორცი და ქონი, აგრეთვე თითოიკი და ბუმბული აქვს. საქართველოში ბატის მოშენება ძველთაგანვე მისდევდნენ.

ნაცარა მტრედი (*Columba livia*) – შინაური მტრედების გარეული წინაპარია. მოიშინაურეს 7000 წლის წინათ. ადამიანი ზოგიერთ სახეობას თავისებურ, საფოსტო საშუალებად იყენებს.

ჩვეულებრივი ციცარი (*Numida meleagris*) – მოშინაურებული ჰყავდათ ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთსა და რომში. წინაპარი ფორმა გაერცვლებულია ტროპიკულ აფრიკაში. ციცრის რამდენიმე გარეული სახეობიდან მოაშინაურეს ჩვეულებრივი, მუსარად-თავიანი სკობა. თუ როდის, ზუსტი ცნობები არ არსებობს.

კანარელი, როგორც დეკორატიული და მგალობელი ფრინველი, ევროპაში ესპანელებმა XV საუკუნეში შეიყვანეს. მისი წინაპარი ფორმა ბინადრობს ატლანტის ოკეანის ზოგიერთ კუნძულზე.

ზეპლასი – თევზები – PISCES

თევზებიდან, წმინდა სამეურნეო თვალსაზრისით, ადამიანმა კობრი მოამრავლა (ეს მოხდა ჩინეთში ან ევროპაში, ანდა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ორივე ადგილას. დრო უცნობია). ჩვენი წელალრიცხვით X საუკუნეში ჩინელებმა გამოიყვანეს აქვარიუმის (ინახავენ აუზებშია) ოქროს თევზი.

შხარხმლო ცხრემლები

კლასი – მწერები – INSECTA

დომესტიკაციის პროცესი მწერებში ორ სახეობას შეეხო – აბრეშუმის ჭიასა და ფუტკარს.

შინაური ფუტკარი გარეული, მეთაფლია ფუტკარის (*Apis mellifera*) შთამომავალია (ლათინურიდან



სურ. 183. როგო – ხის მორებისაგან დამზადებული სკა ზემო აჭარაში.

„mellifera“ – თაფლის მომტანს ნიშნავს). სამი ათასი წლის წინათ ძველ ეგვიპტეში მისდევდნენ განეოთარებულ მეფუტკრეობას. მასზე „ჯიშის“ თქმა არ იქნებოდა მართებული, ვინაიდან ადამიანის საცხოვრებელში მოფუსფუსე ეს მწერი გარეული სახეობის მხოლოდ სახესხვაობა, გარეული რასაა.



სურ. 184. ხის მორებისაგან დამზადებული, ხეზე (აკაცია) ჩამოკიდებული სკა აფრიკაში (ტანზანია).

ევროპაში ფუტკრის გამოსახულება ნაპოვინია ესპანეთში (არანის გამოქვაბული). ნახატი შეფასებულია 1500 წლით. სამი ათასი წლის წინათ ეგვიპტეში მისდევდნენ – მომთაბარე მეფუტკრეობას. ფუტკრის სკები მოთავსებული ჰქონდათ ტიებზე. მცენარეთა ყვავილობის მიხედვით, ტიებით სკები ძალიან ნელა გადაქონდათ ნილოსის ჩრდილოეთი რაიონებიდან მისი დელტისკენ. ეგვიპტელთა წმინდა ცხოველებში, საპატიო ადგილი ეკავა ფუტკარსაც. შენობათა კედლებზე, კოლონებზე, სარკოფაგებზე, ფარაონის სახელის წინ გამოხატული იყო ფუტკარი.

სირიაში, ათასი წლის მოგვიანებით, დიდგვაროვანთა სხეულს ახეუდნენ ცვილში და თაფლში დებდნენ. აღექსანდრე მაკედონელის გეგმიც თაფლით სავსე სარკოფაგში ჩაასვენეს. ასეთი სახით გადაასვენეს იგი ბაბილონიდან ეგვიპტეში (აღექსანდრია), სადაც დიდი მხედართმთავარი სათანადო პატივით დამარხეს.

ამჟამად მეფუტკრეობას მთელ მსოფლიოში მისდევენ. აღრიცხულია ფუტკრის 40 მილიონამდე ოჯახი. ფუტკრის სხვადასხვა რასებს შორის სახელგანთქმულია გრძელხორთუმიანი ქართული ფუტკარი (მთის რუხი). მან პოპულარობა მოიპოვა თვინიერებით, პროდუქტიულობითა და ხორთუმის სიგრძით (6,8-7,2 მმ), რაც საშუალებას აძლევს მას ამოწოვოს ნექტარი სხვა ფუტკრებისათვის მიუწვდომელი ყვავილებიდან.

ფუტკრის სახეობები სასარგებლოა როგორც მცენარეთა დამამტკვრიანებლები. თაფლის მომცემი ფუტკარი ადამიანმა უძველესი დროიდან მოიშინაურა თაფლის, ცვილის, დინდგელის, ფუტკრის რძის მიღების მიზნით. ფუტკრის შხამს იყენებენ მედიცინაში.

სხვა ცხოველებთან ერთად, ადამიანის (ვივილინოციის) განვითარებაში საპატიო როლი შეასრულა აბრეშუმის ჭიაბ (აბრეშუმის პეპელამ). ჩინეთის ძველ ხელნაწერებში აბრეშუმის ჭია მობხენიებულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2600 წელს. იგივე დასტურდება არქეოლოგიური გათხრებითაც. სხვა საგნებთან ერთად ნაპოვნია თუთის აბრეშუმხევეთას (იგივე აბრეშუმის ჭია) 14 ნამარხი ტუპარის ნაშთი. მისი გარეული წინაპარი ფორმაა გარეგნულად შეუხედავი პეპელა – Bombyx mori. სპეციალისტთა ერთი ნაწილი თელის, რომ ბუნებაში ეს მწერი ამოწედა, სხვა წყაროებით გაერცელებულია სამხრეთ მანჯურიაში, კორეაში, ჩრდილოეთ ჩინეთში, იაპონიასა და ტაივანში. ველური ფორმის ლარვის (მატლის) მიერ გამოყოფილი აბრეშუმი ისეთივე ხარისხისაა, როგორც შინაურის. თუთის ფოთლიდან იკვებება მხოლოდ ლარვა. აბრეშუმის ძაფი წარმოიქმნება ლარვის სანაფე (აბრეშუმის გამომყოფ) ჯირკვლებში.


ოცი საუკუნე ინახავდნენ ჩინელები აბრეშუმის წარმოების საიდუმლოებას, ეაჭრობით კი ლამის არის იმ დროისათვის ცნობილ მთელ მსოფლიოსთან ეაჭრობდნენ. ექსპორტის გზა გადაიოდა ცენტრალურ აზიაზე, ამიერკავკასიაზე, ინდოეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაზე, აქედან კი ხმელთაშუაზღვრისა და მოსაზღვრე ქვეყნებში.

გადმოცემის თანახმად, 552 წელს, იმპერატორ იუსტინიანეს მეფობისას, ორმა სირიელმა ბერმა, სიცოცხლის რისკის ფასად, მოახერხა კვერთხის შიგთავსში მოთავსებული პეპლის კვერცხების საზღვარზე გაპარება. შეუფასებელი კონტრაბანდა შეიტანეს რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში. XIV საუკუნეში მუაბრეშუმეობას სერიოზულად მოჰკიდეს ხელი საფრანგეთში, მოგვიანებით – ევროპის სხვა ქვეყნებშიაც.

ამგვარად, აბრეშუმის დიდი გზა, ისტორიული, ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარაუბრო გზაა, რომელიც ჩინეთს მრავალ ქვეყანასთან, მათ შორის საქართველოსთან აკავშირებდა (გზის მონაკვეთი კასპიის ზღვით შემოდიოდა ამიერკავკასიაში, გადაკვეთდა საქართველოს და ფაზისიდან შაი ზღვით ბიზანტიონსა და რომს აღწევდა). ამ გზით ეაჭრობას დასაბამი მიეცა ძვ.წ. აღ-ით II საუკუნეში.

აბრეშუმის დიდი გზის იმ მონაკვეთისთვის, რომელიც ახლო აღმოსავლეთში გადიოდა, საუკუნოვანი ომები ჰქონდათ რომაელებსა და ბიზანტიელებს, პართიელებსა და ირანელებს, არაბებსა და მონღოლებს... ამ გზამ მნიშვნელობა დაკარგა XVII საუკუნის მიწურულს, როდესაც ევროპელებმა საბოლოოდ აითვისეს საოკეანო გზა აფრიკის შემოვლით. აღნიშნულმა გზამ ხელი შეუწყო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის.

რა აზოცანებს უზენაესა ადამიანი ცხოველის მოშინაურობას?



სურ. 185. მოშინაურებული ანტილოპა კანა ძველ ეგვიპტეში (კაიროს მუზეუმი).

ზოგიერთი ცხოველი დღესაც დგას მოშინაურების გზაზე. მათ შორის, როგორც ჩანს, ყველაზე პერსპექტიულია აფრიკული ანტილოპა კანა. სხვათა შორის, ძველ ეგვიპტეში, ეს ცხოველი უკვე ჰყავდათ მოშინაურებული. იქ მას წველიდნენ და სახნისით მიწასაც ახენეინებდნენ. რამდენადმე მოგვიანებით, კანა ადამიანის ცხოველებიდან უფრო პროდუქტიულმა ჩლიქოსნებმა განდევნეს. წარსულ საუკუნეებში ცდილობდნენ სხვა ცხოველების, კერძოდ, მტაცებლების მოშინაურებას. უწინარეს ყოვლისა, ეს გეპარდზე (აეაზა) ითქმის. ადრე შუა საუკუნეებში ძნელია დაასახელო ჩრდილოეთ აფრიკისა და ევრაზიის დიდგვაროვნები, რომელთა სიახლოვეს არ ყოფილიყვნენ ანტილოპებსა და სხვა ნადირზე მონადირე გეპარდები. ჩვენს წინაპრებს სწყუროდათ მოშინაურებულთა რიგებში ენახათ სტეპის ფოცხვერი – კარაკალი, ლერწმის კატა – ხაური და თვით ლომიც კი... მაგრამ არც ერთი მათგანი არ მოშინაურდა... და, აი, რამდენიმე ათასი წლის შემდეგ ანტილოპა კანას მოშინაურების საკითხი ხელახლა დადგა დღის წესრიგში.



სურ. 186. ანტილოპა კანას ჯოგი უკარაინის სტეპებში (ასკანია-ნოვა).



სურ. 187. ცხენ-ირემზე ამხედრებული მანდილოსანი (ნოვოსიბირსკი).

საქმე ის არის, რომ კანა და მისი მსგავსი სხვა ანტილოპები, აფრიკის საეანებში გაცილებით რაციონალურად იყენებენ საკვებ პროდუქტებს, ვიდრე შინაური ცხოველები. ამის გამო, თუ სავანის ერთ კვადრატულ კილომეტრზე გარეული ჩლიქოსნები 25000-მდე კილოგრამ ხორცს (ბიომასას) იძლევიან, იმავე ფართობზე შინაური ცხოველებისაგან ღებულობენ მხოლოდ 5500 კილოგრამს. შესაბამისად, სავანაში, საკვები მცენარეულობის გაცილებით ეკონომიურად მომხმარებელი ანტილოპების მოშინაურება, ანდა ნახევრად მოშინაურება, მათგან ძვირფასი კვებითი ღირებულების მქონე ხორცის მიღების მიზნით, გაცილებით მომგებიანია, ვიდრე კლასიკური მეცხოველეობის განვითარება. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ აფრიკაში ფერმერთა სულ უფრო მეტი მეურნეობები გადადიან გარეულ, ანდა ნახევრად გარეულ მეცხოველეობაზე.

ცხოველებს მოშინაურებისას ადამიანი, უხსოვარი დროიდან, მისთვის საჭირო სახეობას ფრიად პრაქტიკულ ამოცანას უყენებდა: საკუთარი თავის დაცვას, გამოკვებასა და არსებობისათვის აუცილებელ სხვა პირობებს. ბუნებრივია, დომესტიკაციის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ადამიანის გარემოცვაში, მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ცხოველი თანდათანობით იცვლებოდა ანატომიურად, ფიზიოლოგიურად, ქცევით. ნათქვამი განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მას შემდეგ, რაც ადამიანმა, ისევე და ისევე თავისი ცხოველები-სეული, კონკრეტული მიზნების დასაკმაყოფილებლად, მოშინაურებულ ცხოველთა (და მცენარეთა) სელექციას მიჰყო ხელი. ჯერ სტიქიური, შემდეგ

გენეტიკის საფუძველზე აგებული ხელოვნური გადარჩევის პროცესში, ადამიანი გარეული წინაპრისაგან მოშინაურებულ ათობით, ასობით ჯიშებში არსედა და ცხოველის მომავალ თაობებში ამეკიდრებდა მისთვის საჭირო, გამიზნულ ნიშანთვისებებს. დღეს ძაღლის, ღორის, მსხვილფეხა საქონლის, ცხენისა და ბევრი სხვა ნადირ-ფრინველის შინაური ჯიშები ბევრად განსხვავდება გარეული წინაპრისაგან. აეილოთ თუნდაც ისეთი ფენოტიპური, გარეგნული ნიშანი, როგორც ცხოველის ფერია. გარეული ცხოველი ერთფეროვნებით ხასიათდება (ნორმისაგან გადახრა, როგორც წესი, ძალიან მცირეა). სამაგიეროდ, შინაურ ცხოველთა ფერთა ვარიაცია ხშირად უსასრულოდ იცვლება. ჩლიქოსნებში შეიცვალა რქების სიგრძეც. ჩვეულებრივ, მსგავსი ცვლილება წარიმართა დაპატარავების მხრივაც, თუმცა გამონაკლისის სახით, ისევე ადამიანის ახირებულობით, ვხედებით პირეკუსურათსაც. აფრიკაში, შვეკანიანი ვატუსისა და ტუტის ტომის საქონლის რქებს ზომით გარეულ ჩლიქოსნებშიც არა ჰყავს ბადალი. ანკოლური ჯიშის საქონლის რქების სიგრძე ორ მეტრზე მეტია! პირიქით, ჩრდილოეთ ბრაზილიაში მიღებულია



სურ. 188. ვატუსის ტომის ანკოლური ჯიშის დიდრქებიანი საქონელი (უგანდა).

ურქო, სახედარივით ყურდიდა საქონელი. ამავე მიზეზით გამოჰყავთ თავდაპირველად გენეტიკური ანომალიის მქონე, შემდეგ კი ნიშანდამემკიდრებული, ოთხრქიანი თხა და ცხვარი. ანგორიზმი (მატყლის დახუჭუჭება) ცხვარში, „გამელოტება“ – ბეწვების სრული გაცვენა მექსიკის ძაღლებში, კუდის უსაშველო დანგრელება იაპონურ მამლებში, ყველაფერი ეს ადამიანის მიერ შინაურ ცხოველ



სურ. 189. ურქო საქონელი ბრაზილიაში.

ლებზე განხორციელებული „ოინბაზობა“, აღარაფერს ეამბობთ გარეულ წინაპრებთან შედარებით მოწინაურებულთა მაღალპროდუქტიულობაზე – კვერცხისმდებლობაზე, მატყლისა და ბუმბულის ნამატზე, ხორცის მასის მატებაზე, სისწრაფის გაზრდაზე (ცხენებსა და მწვეარ ძაღლებში).

შინაურ ცხოველებში ამ კანონზომიერებიდან გამონაკლისია ინდოეთის სპილო. ტროპიკული აზიის ჯუნგლებში, ბოლო დრომდე, სატრანსპორტო და მძიმე საგნების (მორები, ფიცრები) გადასატანად

ეს გიგანტი ცხოველი ხშირად შეუცვლელია. აფრიკული თანამოძმისაგან (*Loxodonta africana*) ინდოეთის სპილო (*Elephas maximus*) განსხვავდება იშვიათი თვისებებით, სიძინჯით, ჭკუამახვილობით. მაგრამ, ათასობით წლების განმავლობაში, მოწინაურებული სპილო (მის დომესტიკაციას ჩე.წ.ადმდე ჰქონდა ადგილი) გარეგნულად არაფრით არ განსხვავდება გარეულისაგან, ადამიანს მისგან არ გამოუყვანია ბუნებრივისაგან რაიმე ნიშნით შეცვლილი შინაური ფორმა.

შინაურ ფორმებში, გარეულთან შედარებით, ფიზიოლოგიური ნიშნებიდან შეინიშნება გრძნობის ორგანოთა სიმახვილის დაქვეითება; ეინიდან შინაური ცხოველები ადამიანისგან ღებულბენ კვებითი ღირებულებით უფრო მდიდარ, ადვილად შესათვისებელ საკვებს, შესაბამისად, ბალახის-მჭამელ ჩლიქოსნებს გარეულბებთან შედარებით ნაწლავები უფრო დაუპატარავდათ. მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან გარეულ და შინაურ ცხოველთა ქცევები.

ზემთ ჩამოთელილი, შინაური ცხოველების აღნიშნული და მსგავსი სიახლეები ზოგადი, კანონზომიერი პროცესია. იგი პირდაპირკაეშირშია საარსებო გარემოს არსებითად შეცვლასთან, რაც ცხოველთა ველურ გარემოში ცხოვრების პირობებიდან ადამიანის სამოსახლოში გადაყვანასთანაა დაკაეშირებული.

როგორც ზემთ მოცემული მასალებიდან ირკვევა, შინაური ცხოველებიდან მხოლოდ ორი სახეობა მიეკუთვნება უხერხემლო ცხოველებს, დანარჩენი – ხერხემლიანებია. გალიაში გამრავლებად ცხოველებს – მელას, ნუტრიას, ყარყუმსა და სხვებს – გარეულიდან შინაურ ცხოველებისკენ გარდამავალ ფორმად თელიან.



სურ. 190. მოწინაურებული ინდოეთის სპილო (ფილიპინები).



სურ. 191. ინდოეთის გარეული სპილო
(მალაიზია).


... მცენარეთა გაკულტურებამ და ცხოველთა მოშინაურებამ ადამიანის (ჰომო საპიენსის) არსებობის შენარჩუნებისა და განვითარების რთულსა და დრამატიზმით აღსაქმე გზაზე, ეეოლუციის ენაზე რომ ეთქვათ, ანაგენეზის როლი შეასრულა. ადამიანმა სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში, სხვა ორგანიზმთა მხრივ მძაფრ კონკურენციას, გარემოს ხშირად მტრულ (უწინარესად კლიმატურ) პირობებს თავი მხოლოდ გონიერების წყალობით დააღწია. მაგრამ ის გარემოება, რომ ადამიანი ცხო-

ველთა სამყაროში მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ცივილურ, კულტურულ არსებად ჩამოყალიბდა, ამის მიზეზი, როგორც ჩანს, პალეოლითისა და ენეოლითის სასდვარსე, მისი მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაზე გადასვლა იყო.

მხოლოდ ინსტიტუტების მკაცრი არტახებით შებოჭილი, საკვების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დიდიდან საღამომდე შეუსვენებელი წაწალი, ჰომო საპიენსს, აუცილებლად, ჰომო ქაბილისის დონეზე დატოვებდა. ამ შემთხვევაში რჩებოდა იმის დიდი შანსი, რომ ანატომიურად თანამედროვე ადამიანს გაეზიარებინა ტრიბა hominini-ს ყველა სხვა ორფეხა, აწ გადაშენებული და განამარხებული გეარისა და სახეობის ბედი - გადაშენებულიყო. მოხდა კი პირიქით. ცხოველთა დომესტიკაციაში, ძალისა და, რაც მთავარია, დროის დიდი დაზოგვით, მისცა მას სრულყოფილი საკვები ცილა. ერთდროულად, დამუშავებული საკვების მიღებამ, შესაძლებელი გახდა სწრაფად გაზრდილიყო ადამიანის თავის ტვინი. აშენდა ქალაქის ტიპის დასახლებები. გამოთავისუფლებულმა დრომ ადამიანს შეუქმნა მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ხელოვნობაში ინტენსიური დასაქმების შესაძლებლობა. შეიცვალა ადამიანის გარეგნული მხარეც, დამუშავებული ცხოველის ტყავის ქურქში გამოწყობილი ნეანდერტალელი და კრომანიონელი შეცვალა იმავე ცხოველთა მატყლისაგან დამზადებული ქსოვილის ტანსაცმელში, მათივე ტყავისგან შეკერილ ფეხსაცმელებში გამოწყობილმა, თანამედროვე ადამიანმა. საკვების მოსაპოვებლად კი, გარდა დღემდე შემორჩენილი, იშვიათი, ტრაიბალური ცხოველების წესით მცხოვრები ტომებისა, აღარ სჭირდება შუბი, მშვილდისარი, ბუმერანგი და შორეული წინაპრისათვის საჭირო სხვა იარაღი...

თავი 2. მსოფლიოს პირველი მიწათმოქმედი და მიწათმოქმედების საფუძველზე აღმოცენებული ცივილიზაციები. კმედი აღმოსავლეთი

შუამდინარული კულტურა (მესოპოტამია)



სურ. 192. ძველი შუამდინარეთის ცივილიზაციის კერები.

ნიფური, ლაგაში, ურუქი, სიფარი და სხვ. (იხ. „ნაყოფიერი ნახევარმთიარის“ ამსახველი რუკაც, გვ. 97). მეორე ათასწლეულის დასაწყისში (ძვ.წ. აღ-ით) მესოპოტამიის სამხრეთ ნაწილში შეიქმნა ბაბილონის სახელმწიფო. მოგვიანებით შუამდინარეთი შედიოდა ასურეთის შემადგენლობაში (ძვ.წ. აღ-ით IX-VII), ახალი ბაბილონის სამეფოში (ძვ.წ. აღ-ით VII-VI), სპარსეთის მეფე კიროსის სახელმწიფოში (ძვ.წ. VI ს.), ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში (ძვ.წ. IV ს.).

შუამდინარეთმა, ჩვენი წელთაღრიცხვის შემდეგ განიცადა არაბების, სელჯუკების, მონღოლების, თურქების (ოსმალების იმპერია) ექსპანსია. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შუამდინარეთის დიდი ნაწილი შედის ერაყის შემადგენლობაში, დანარჩენი ტერიტორია ირანის, სირიისა და თურქეთის სახელმწიფო საზღვრებშია მოქცეული.

სხვადასხვა დროს შუამდინარეთის ძირითად მოსახლეობას შეადგენდა: სამხრეთით – შუმერები, აქადელები, ბაბილონელები და ქალდეელები, ჩრდილოეთით – ასურელები, ხურიტები და არამეული ტომები. მათ შორის ყველაზე დიდ განვითარებას შუმერულმა და ასურულმა კულტურებმა მიაღწიეს.




სურ. 193. ასე, დღემდე იწყება მდინარე ტიგროსის სათავეები ცენტრალურ თურქეთში.

მესოპოტამია (ბერძნულად mesos – შუა, potamos – მდინარე) დასავლეთ ასიის ბუნებრივი რეგიონია, მდინარეების – ტიგროსისა და ეფრატის აუზებს შორის. რეგიონი მოიცავს მესოპოტამიის დაბლობსა და ჯეზირეს ზეგანს. შუამდინარეთის ცივილიზაცია ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. იგი აღმოცენდა ზემოთ დასახელებული ორი წყალუხვი მდინარის ნაპირებზე. ეს კულტურა არ იყო ერთგვაროვანი, იგი იქმნებოდა სხვადასხვა ეთნოსის შერწყმის საფუძველზე.

მესოპოტამიის ტერიტორიაზე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4-3 ათასი წლის წინათ, შეიქმნა ადრეკლასობრივი სახელმწიფო. მესამე ათასწლეულის მიწურულს (ძვ.წ. აღ-ით) აქ უკვე არსებობდა უძველესი ქალაქ-სახელმწიფოები: ური, ერიდუ, ლარსა,

* ლათინურენოვანი ძირის მქონე ენებში იწერება Uruk.



სურ. 194. მდინარე ეფერატის სათავეები ცენტრალურ თურქეთში.

„მესოპოტამიაში იცვლებოდნენ მბრძანებლები, ხალხები, კულტურები. შუმერების, აქადიელების, ასურელების და ქალდეელების შემდეგ მოვიდნენ სპარსელები, შემდეგ ბერძნები, ბერძნები პართიულემა შეცვალეს, მაგრამ მიწათმოქმედები თავისი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, აწესრიგებდნენ არხებს, თესავდნენ და იწვევდნენ მოსავალს... მათი კულტურული შრომით შენდებოდა მრავალრიცხოვანი მდიდარი ქალაქები, ტაძრები და სასახლეები, შეიქმნა ფუფუნება... შუა საუკუნეებში მესოპოტამია კვლავ აყვავდა. როცა ქვეყანა მუსლიმებმა დაიპყრეს, ისლამის მთავარი ცენტრი დამასკოდან აქ გადმოიტანეს. ხალიფებმა სატახტო ქალაქად ბაღდადი გაიხადეს, მისი ფუფუნება, არქიტექტურის სიღამაზე და ზღაპრული მშენიერება ლეგენდად იქცა... სელჯუკებმა ქვეყანაში ბევრი რამ შეცვალეს, მაგრამ არხებისა და შლუზების ქსელი უცვლელი დარჩა, მისი წყალობით მიწა კვლავ უხვ მოსავალს იძლეოდა. მხოლოდ მონღოლების – ჰულაგუსა და თემურ-ლენგის ამოხრებელმა შემოსევებმა აქცია ქვეყანა ნაცარტუტად. სარწყავი არხები დაანგრეს. წყალს მოკლებული მიწა დასკდა, გამოიფიტა, დაბოლოს, მტერის ზღვად იქცა. შუამდინარეთი ტრამპლების მომთაბარე ტომების ქვეყანა გახდა“ (ზ. კოსილოვსკი, „როცა მზე იყო ღმერთი“, 1982).

XX საუკუნის დასაწყისში შუამდინარეთი პოპულარული გახდა არაბული ზღაპრების – „ათას ერთი ღამის“ – წყალობით.

როგორც ეგვიპტური, ისე შუმერული ცივილიზაციები მდინარეულ ცივილიზაციათა რიცხეს მიეკუთვნება. შუმერები არ წარმოადგენდნენ მესოპოტამიის ადგილობრივ მოსახლეობას. როგორც ჩანს, ისინი სპარსეთის ყურის კუნძულებიდან მიგრირებული ხალხია (შუმერთა წარმომავლობა დღემდე გაურკვეველია).

ურუქსა და სხვა ცენტრებში განხორციელებული არქეოლოგიური ძიებებით, 5-4 ათასი წლის წინათ (ძვ.წ.აღ-ით), თანამედროვე ერაყის სამხრეთ ნაწილი ეკავა შუმერების სახელწოდებით ცნობილ მოსახლეობას. 3000 წლისთვის შუმერთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე საფუძველი ჩაეყარა კლა-

სობრივ საზოგადოებასა და სახელმწიფოს. სახელმწიფოს მართვის სფეროში შუმერებისათვის დამახასიათებელი იყო დესპოტიზმი, იმპერიის სათავეში მდგომი მეფის ძალაუფლება უსუნავი და შეუსლულადი ხდება, უფრო მეტიც, უმაღლეს მმართველს პატივს სცემდნენ როგორც ღვთაებას. განსაკუთრებულ პატივისცემაში იყვნენ ქურუმებიც, რომლებსაც რელიგიური რიტუალების შესრულება ევალებოდათ. დედამიწის არც ერთ პირველყოფილ, ინიციალურ ცივილიზაციაში ბიუროკრატიზმს ისეთი განვითარებისათვის არ მიუღწევია, როგორც ეს მესოპოტამიაში იყო.

შუმერული სახელმწიფოს საზოგადოების მოთავარ ფენას მიწათმოქმედები – თავისუფალი მოქალაქეები – წარმოადგენდნენ, არსებობდნენ ვაჭრები, ხელოსნები და ჯარისკაცები, იყვნენ აგრეთვე სახელმწიფო აპარატში მომუშავენი, ნახევრად თავისუფალი ადამიანები და მონები.


შუმერი მიწათმოქმედები შრომისმოყვარე ხალხი იყო, მათი უდიდესი ძალისხმევით შეიქმნა მრავ-



სურ. 195. შუმერი მანდილოსნის პორტრეტი. წერილობითი წყაროების მიხედვით, შუმერები შეეგვრებანი, დიდხცვირია და დიდთვალემა ხალხი იყო.

ვალრიცხოვანი სარწყავი არხი – ბრწყინვალე საირიგაციო სისტემა, ამასთან ერთად, მიწის დამუშავების მაღალმა კულტურამ მესოპოტამიის ვრცელი ტერიტორია აყვავებულ ბაღნარად აქცია. უხვმა დოვლათმა მოსახლეობის ნაწილი მძიმე შრომისგან გაათავისუფლა და ცხოვრების კულტურულ და სხვა სფეროებში დასაქმების შესაძლებლობა მისცა.

შუმერთა კულტურულ საქმიანობაში წამყვან დარგს არქიტექტურა წარმოადგენდა. შენობებს აგებდნენ გამოუწვავი აგურით. მშენებლობაში პირ-



სურ. 196. ურის ზიკურათის (საფეხურებიანი, წაკეთილი ტაძარი-პირამიდის ნანგრევები ურში (ძვ.წ. აღ-ით 2100 წ.). იგი აღმოაჩინეს და გათხარეს 1920 წელს.


ველად გამოიყენეს თაღები და კამარები. სამაგალითოა ქალაქ ურში აღმოჩენილი ღვთაებებისადმი მიძღვნილი თეთრი და წითელი ტაძრები. ქალაქებში შენდებოდა მრავალსართულიანი სახლები და ზიკურათები - წმინდა სალოცავები. ზიკურათი საფეხურებიანი პირამიდა იყო, რომელიც გვირგვინდებოდა პატარა ტაძრით - „ღმერთების საცხოვრებელითა“ და საკურთხეველით. ყველაზე ცნობილი ზიკურათია ურში აგებული (ძვ.წ. XXII-XXI)

ტაძარი, აგრეთვე ეთემენანჯის ზიგურატი ბაბილონში (ე.წ. ბაბილონის გოდოლი, ძვ.წ. VII ს., არქიტექტორი ქარადახეშუ), შუმერთა მსგავსი ქალაქები გამაგრებული იყო გალავნის კედლებით. ტაძრები მეფეთა, ქურუმთა, მხედართმთავართა ქანდაკებებით იმკობოდა. ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენდა შუმერი ხელოსნების მიერ დამზადებული ძვირფასი ლითონების - ოქროს, ვერცხლის, ასევე ბრინჯაოს ნივთები, სამკაულები, დიადემები, მუსარადები, ცხოველთა ფიგურები, რომლებიც ხშირად იყო მოპირკეთებული ძვირფასი ქვებით.

მესოპოტამიამ ბევრი რამ მისცა მსოფლიო კულტურას - ბორბალი, ფერადი მინა, აქ შეიქმნა პირველი საკანონმდებლო ძეგლები, მითოლოგიური



სურ. 197. ხარის თავი არფასთან ერთად. ური, ძვ.წ.-ით III ათასწლეული (ოქროს ნაკეთობა, მოპოვებული სამეფო სასაფლაოს გათხრისას).



სურ. 198. შუმერული და სხვა ცივილიზაციების მიერ გამოგონებული ბორბლის ტიპები.

* ლათინურენოვანი ძირის მქონე ლიტერატურაში იწერება ziggurat (იხ. ზიკურათი, ქსე, ტ.2).



სურ. 199. შუმერული ღურსმული დამწერლობა. გამომწერ თიხაზე გაკეთებული მსგავსი წარწერების ფირფიტა აღმოაჩინეს ურუქში. დათარიღებულია 5000 წლით.

ეპოსები („გილგამეშის ეპოსი“, ძვ.წ.აღ-ით 2300 წ.), შუმერულ-ბაბილონური არითმეტიკა, განსაკუთრებით განაეითარეს ასტრონომია (უფრო ზუსტად ასტროლოგია), კერძოდ, დაადგინეს წელიწადის დღეები (365 დღე). ბერძნებმა მათგან გადაიღეს ასტრონომიული და მათემატიკური ცოდნა (დღე, საათი, წრე, გრადუსები), შექმნეს მზისა და მთვარის კალენდრები; შუმერებმა პირველებმა (ძვ.წ.აღ-ით IV ათასწლეული) გამოიგონეს დამწერლობის სისტემა (ღურსმული დამწერლობა). მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, ბიბლიური თქმულებების ამოსავალ წერტილს შუმერული მითები წარმოადგენს (შეხედულება სამოთხეზე, ადამსა და ევაზე, მაცდურ გველზე, რომელმაც ევა ეაშლის სახით აკრძალულ ხილს ასიარა და უკედაეებს ჩამოაცოლა; მსგავსი სიუჟეტები მოცემულია „გილგამეშში“). ბაბილონური მითის თანახმად, ადამიანი ღმერთმა სწორედ „ხატად თვისად“ შექმნა, შუმერებსავე ეკუთვნის მითი ნოეს კიდობნის თაობაზე.

გამოჩენილი არქეოლოგი ჩარლზ ლეონარდ ეული ცამეტი სეზონის (ზამთარი) განმავლობაში (1922-1934) ხელმძღვანელობდა გათხრებს ურის მიდამოებში. როგორც ცნობილია, აქ მან აღმოაჩინა უნიკალური მასალა შუმერთა ცხოვრებაზე, სახელდობრ, მოზაიკური წესით ინკრუსტირებული ფირფიტა ამ უძველესი ხალხის ყოფა-ცხოვრების ამსახველი სცენებით. ამ უკანასკნელით ირკვევა, თუ როგორ ხდებოდა ხუთი ათასი წლის წინათ ადამიანთა დასაფლავება, ეიგებთ რომელი ცხოველები იყენენ უკვე მოზინაურებულები, რომ სწორედ შუმერებმა შემოიღეს მეოთხე ათასწლეულის დასასრულისათვის საბრძოლო ეტლები და ა.შ.

ამ უძველესი ცივილიზაციის შესწავლის გზაზე, ეულის, ოცი მეტრის სიღრმეში, სამეფო აკლდა-

მების შემცველი ფენის ქვეშ, სულ სხვა სიურპრიზი ელოდა. საკმე ის არის, რომ ორნახევარი მეტრის სისქის ფენა საესებით სუფთა იყო, მას ადამიანის საქმიანობის არავითარი კვალი არ ეტეობოდა. ეს იყო დანალექი, ალუვიური ფენა, რომლის წარმოშობის გარკვევა გეოლოგთა კომპეტენციას უფრო შეეფერებოდა, ვიდრე არქეოლოგებისას.

ცხადია, ოდესღაც შუმერთა ქვეყანაში მომდარა ნამდვილი წარღვნა, ეინაიდან ასეთი სისქის თიხის დანალექი ფენა შეიძლებოდა დაგროვილიყო მხოლოდ კატასტროფული ნიაღერის მოვარდნის შემთხვევაში. ეს არც მდინარე ეფრატისთვის დამახასიათებელ ადიდებას პგაედა, ეინაიდან თიხის დანალექი შრე საგარძობლად არის ამაღლებული მდინარის დონესთან შედარებით. როგორც ჩანს, ბუნების სტიქიამ თავი იჩინა სპარსეთის ეურის ჩრდილო-დასაყელთში, იხუეულა და, ეულის მიხედვით, დაფარა 150-500 კილომეტრი ფართობის ტერიტორია.

მოელი ეს სურათი იშეიათი სიზუსტით ემოხეეოდა ბიბლიურ თქმულებას წარღვნაზე, რომლის სრულიად იდენტური ისტორია აღწერილია „ბიბლიაზე“ გაცილებით ძველ, „გილგამეშის ეპოსში“. ეულიმ გაიხსენა შუმერულ მეფეთა ნათქვამი: „შემდეგ იყო წარღვნა, წარღვნის შემდეგ კი მეფეები ისეე ჩამოეინენ ციდან“. შუმერებისეე მითოლოგიის თანახმად, ღმერთებმა გადაწყვიტეს კაცობრიობის განადგურება შეიღლიანი წარღვნის გზით,



სურ. 200. გილგამეში. შუმერული ეპოსის მიხედვით გილგამეში ორი მესამედით ღმერთთა, ერთი მესამედით - კაცი.

მაგრამ ღმერთმა ე-მ საიდუმლოდ შეატყობინა ამის შესახებ მოციქულ უთანაფიშოს. მოციქულმა ააგო კიდობანი და ოჯახის წევრებითა და სხვადასხვა ცხოველებით თავი დააღწია თავს დამტყდარ უბედურებას. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ შუმერთა მოციქული რეალურად არსებული ადამიანი იყო, შესაძლებელია, ახალმოსახლე, ადრე აქადის ქვეყანაში მაცხოვრებელი კაცი, რომელსაც წყალდიდობის თაობაზე ადგილობრივებთან შედარებით, უფრო მეტი გამოცდილება ჰქონდა და დროულად მიიღო სათანადო ზომები.

მოგვიანებით, ქალაქ ურში აღმოჩენილი „ბიბლიური წარღვის“ მსგავს კვალს (თიხის დანალექ შრეს) მიაგნო მეორე ინგლისელმა არქეოლოგმა ს. ლენგდონმა. მან ანალოგიური გათხრები ჩაატარა ქალაქ კიშაში, რომელიც ურის ჩრდილო-დასავლეთით, 250 კმ მანძილზე მდებარეობს. თანდათანობით მსგავს სურათს – ქალაქების ქვეშ მდებარე, ადამიანის საქმიანობის რაიმე კვალის არმქონე თიხის დანალექ შრეებს – ურისა და კიშას გარდა, წააწყდნენ ურუქსა და შურუპაკში. ვინაიდან წყლის სტიქიისაგან დარჩენილი ეს შრეები სხვადასხვა დროითაა დათარიღებული, ცხადია, ადგილი უნდა ჰქონოდა სხვადასხვა დროს მომხდარ არა ერთ, არამედ რამდენიმე „წარღვენას“.

მესოპოტამიაში, 4000 წლის წინათ მცხოვრებ ხალხს, სრული შესაძლებელია, წყალდიდობები მიაჩნდათ მსოფლიო მასშტაბის წარღვენად, ვინაიდან მათთვის ცნობილი დედამიწა, სინამდვილეში, მოიცავდა უმნიშვნელო ტერიტორიას, ამიტომ წყალდიდობისას ამოწყდებოდა არა მთელი კაცობრიობა, არამედ შუმერთა (ნოეს პროტოტიპის – უთანაფიშოს) თანამედროვენი და ისიც, სრული, შესაძლებელია, არა ყველანი.

შუმერთა ლეგენდამ, როგორც ჩანს, რთული ისტორიული გზებით იმომთაბარა სხვადასხვა ხალხში, დაბოლოს, აისახა იუდეველთა და ქრისტიანთა წმინდა წიგნში – „ბიბლია“.

... როდესაც აქადურმა მოსახლეობამ შეავიწროვა შუმერული და შეარყია მისი ძალაუფლება, ძვ.წ. აღ-ით II ათასწლეულში შუმერული ენა მკვდარ ენად გადაიქცა, თუმცა საუკუნეების მანძილზე სახელმწიფო კანცელარიის ოფიციალურ ენად რჩებოდა.

მესოპოტამიური ცივილიზაციის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს სემიტური მოდგმის ტომებმაც – აქადელებმა. ბაბილონის დაწინაურების შემდეგ ამ კულტურამ ბაბილონის კულტურის სახელი მიიღო (აქადური – Babilu, ებრაული – Babel, ბერძნული – Babylon – ღმერთის (ღვთის) კარიბჭეს ნიშნავს).

ჯერ შუმერთა ენას იყენებდნენ ყველგან, სხვა სემიტური ენების თანაბრად, შემდეგ იგი ქურუმებისა და პოეტების ენად იქცა. წარწერები ქვის ფილებსა და სხვა საგნებზე საუკუნეთა განმავლობაში კეთდებოდა შუმერულ, ანდა შუმერულ და ბაბილონურ ენებზე პარალელურად.



სურ. 201. შუმერ სკულპტორთა მიერ შექმნილ ჯანდაკებათა ჯგუფი. იგი გამოხატავს ტაძარში მლოცველებს. თითოეული მათგანის სახე გამოირჩევა იშვიათი ინდივიდუალურობით.

... დღეს აღარავის ეპარება ეჭვი, რომ აქადელების, ბაბილონელების, ასურელების, ქალდეელების და, გარკვეულწილად, სპარსელებისა და ბერძენების სახელმწიფოები შუმერთა კულტურის უშუალო მემკვიდრეები იყვნენ. შუმერების როლი ამ იმპერიებში ნათლად მოგვაგონებს რომაელებისა და რომის კულტურის როლს ევროპული სახელმწიფოების ისტორიაში. სამი ათასი წლის განმავლობაში შუმერული ენა, ლათინური ენის მსგავსად, კი არ დაიღუპა, არამედ ვითარდებოდა, თუმცა შუმერები დიდი ხანია აღარ არსებობდნენ.

ურის და სხვა ქალაქების აღმოჩენებმა ძირეულად შეცვალა შეხედულება ჩვენი კულტურის წარმოშობაზე. XIX საუკუნის დასაწყისში მეცნიერებს მიაჩნდათ, რომ კულტურით, განსაკუთრებით ხელოვნებით, დაკლებულნი ვართ ბერძენებისაგან. მხოლოდ შუმერთა ქვეყანაში წარმოებულმა გათხრებმა გახადა ცხადი, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის პირველი წყარო დამალულია არა მხოლოდ ეგვიპტეში, არამედ შუმერთა კულტურაში. სწორედ აქ, ძვ.წ. აღ-ით 5000 წლის წინათ, საფუძველი ჩაეყარა ადამიანთა მოდგმის ერთ-ერთ საბაზისო პროკულტურას, ხოლო ძვ.წ. აღ-ის 3000 წლის წინათ ცივილიზაციამ გასაოცარ განვითარებას მიაღწია ხელოვნებაში, მეცნიერებაში, ლიტერატურაში, მედიცინასა და იურისპრუდენციაში. ადამიანის საქმიანობის ბევრ დარგში თანამედროვე საზოგადოება შუმერთა მემკვიდრეა.

ვინაიდან კაცობრიობის ცივილური აღმავლობა მიწათმოქმედებასთანაა დაკავშირებული, შედარების მიზნით, უნდა ითქვას შემდეგი ჭეშმარიტება: ამ მხრივ, შუმერებმა, ალბათ, გაუსწრეს კიდევ ეგვიპტელებს. უწინარესად, აქ იგულისხმება მიწის მორწყვის საქმეში საირიგაციო სისტემის სრულყოფა. მათ აღმოაჩინეს მცენარეთა გაკულტურების გზები მათი ხელოვნური შეჯვარების გზით. ფინიკის პალმას – ღვთიურ მცენარეს – შუმერები ხელოვნური გზით ამტკერიანებდნენ. ასე იღებდნენ უხვ მოსავალს.



სურ. 202. შუმერთა მიღწევების ერთ-ერთ ბრწყინვალე გამოვლინებას წარმოადგენდა მათ მიერ შექმნილი კანონების კრებული. სურათზე გამოსახულია ურის მეფე ურნამუ (ძვ.წ. აღ-ით 2600 წ.), რომელიც ეთაყუანება მზის ღმერთს შამაშს. ურნამუ ურის პირველი კანონშემოქმედი იყო.

ძველი ელამის ქალაქ სუსაში 1901 წელს ფრანგმა არქეოლოგებმა იპოვეს ბასალტის დიდი სტელა. მასზე გამოსახულია მეფე ჰამურაბი* (მართავდა ბაბილონს ძვ.წ. აღ-ით 1792-1750) და მის მიერ შექმნილი, სტელაზე ლურსმულით ამოკეუთილი კოდექსი. ჰამურაბის კანონები (ბაბილონის კანონთა კრებული) შედგება შესავლის, 282 მუხლისა და ბოლოთქმისაგან. ეს უკანასკნელი ძველი შუამდინარეთის უმნიშვნელოვანესი იურიდიული ძეგლია, მსოფლიო ხალხების ისტორიაში პირველი სამოქალაქო კოდექსია. იგი ითვალისწინებდა მკაცრ ფიზიკურ სასჯელს მცირეოდენი დანაშაულებით. მაშასადამე, მართლმსაჯულების განსახორციელებლად იხმობდნენ არა ქურუმთა ღმერთებს, არამედ სახელმწიფოს კანონებს.

შუმერთა ზიგურატის მწვერვალთან ჩატარებული მეცნიერული დაკვირვებებით ადგილობრივმა ხალხმა შექმნა მთეარის ზუსტი კალენდარი, მისი დედამიწის ირგვლივ ბრუნვის დრო დაითვალეს სიზუსტით, სადაც ცდომილება მხოლოდ ოთხ წამს შეადგენდა, მერკურის ორბიტა კი უფრო ზუსტად განსაზღვრეს, ვიდრე გაცილებით გვიანდელმა ალექსანდრიელმა სწავლულებმა – ჰიპარქემ და პტოლემემ. მათემატიკაში სარგებლობდნენ იმ დროისთვის წარმოდგენილად დიდი რიცხვებით.



სურ. 203. შუმერთა მეფე ჰამურაბის პორტრეტი (ძვ.წ. აღ-ით II ათასწლეული).

თუ ბერძნები 10000 „დასათვლელად ძალიან დიდ რიცხვად“ მიიხევედნენ, ევროპაში ცნება „მილიონი“ ფართოდ მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში გაავრცელდა, შუმერულ ლურსმულით ნაწერ დაფაზე ნაპოვნია მათემატიკური გაანგარიშება, რომლის შედეგად გამოიხატება 15-ნიშნა ციფრით!

... შეიფი საუკუნის განმავლობაში შუმერებმა ვერ შეძლეს შეექმნათ ერთიანი სახელმწიფო. ქვეყ



სურ. 204. ჰამურაბის სტელა სუსიდან, (ძვ.წ. აღ-ით XVIII ს.), ინახება ლუვრში.

* (Hammurabi).

ნის ცალკეული რეგიონი ერთმანეთისაგან იზოლირებული იყო ევფრატის შენაკადებითა და ჭაობებით. თითოეული რეგიონის ცენტრს წარმოადგენდა დიდი და ძლიერი ქალაქი, რომელიც გაშენებული იყო ადგილობრივი ღმერთისადმი მიძღვნილი ტაძრის გარშემო. ქალაქს მართავდა ტაძრის მთავარი ქურუმი. მხედართმთავართა ძალისხმევა, დაემორჩილებინათ მეზობელი ქალაქები, თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ ქურუმები და თავი მეფედ გამოეცხადებინათ, ხშირად მარცხით მთავრდებოდა. ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ სახნავ-სათესი მიწები ტაძრების სამფლობელოში შედიოდა და მიწათმოქმედნიც ქურუმთა ძალაუფლებას ემორჩილებოდნენ. ამიტომ, მხედართმთავრები ვერ ქმნიდნენ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებ საჭირო ჯარს. მათ ეპიზოდურ წარმატებას სასურველი შედეგი არ მოჰქონდა, პირიქით კი ხდებოდა – მეომრების მიერ გამოწვეული უწესრიგობით შუმერთა ქალაქები ხშირად დაცემის პირას მიდიოდა.



სურ. 205. შეყვარებულთა წყვილი საწოლში. გამომწვარი თიხა. ძველი ბაბილონი (ძვ.წ.-ით 1750 წელი).

ისტორიული წყაროების მიხედვით, შუმერები უფრო მშენებლები იყვნენ, ვიდრე მეომრები. ომებში გამოუცდელმა ხალხმა, შეიძინა ასეული წლის არსებობის შემდეგ, ქვეყნის სამეფოდ გაერთიანების ინიციატივის შანსი სხვა ხალხის წარმომადგენლებს მისცა. როგორც ითქვა, ესენი იყვნენ სემიტური მოდგმის ტომები – აქადელები, შუმერების ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხი. შუმერთა ქალაქებს შორის ჩამოგარდნილი შუღლით ისარგებლა მათმა მეფემ სარგონმა, დაიპყრო მეზობელი ქვეყანა, თავი შუმერთა და აქადელთა მეფედ გამოაცხადა და ააგო ახალი დედაქალაქი – აქადი. ამ ძლიერმა სახელმწიფომ 100 წელი იარსება (ძვ.წ.-ით 2300-2200). დაიწყო შუმერების ასიმილაცია სტაქების სხვადასხვა ხალხთან...

ბაბილონის დაწინაურების შემდეგ, შუმერულ-აქადურმა კულტურამ ერთიანი, ბაბილონის კულტურის სახელწოდება მიიღო.

ბაბილონის თვით სახელწოდება მიანიშნებს მის „ღვთიურობას“, ე.ი. ბაბილონელთა გაგებით, ქალაქი-სახელმწიფო ღმერთების მხრივ განსაკუთრებული

რებული მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. დაარსების თვალსაზრისით, ბაბილონი შუმერულ ქალაქებს (ური, ურუქი) ათასი წლით ჩამორსებოდა, მაგრამ „ღმერთის კარიბჭე“ ორჯერ გახდა უძლიერესი ქვეყნის დედაქალაქი.


ბაბილონმა ეს სტატუსი ურის III დინასტიის დაცემის შემდეგ მიიღო. ამ დროს ძველი შუამდინარეთის ისტორიაში იწყება ახალი ეპოქა, რომელიც ძველბაბილონურ ხანად იწოდება. ქრონოლოგიურად იგი მოიცავს დროს ძვ.წ.-ით 2000 წლიდან ძვ.წ.-ით 1600 წლამდე, ანუ ე.წ. ბაბილონის პირველი დინასტიის დაცემამდე. ამ დროს შუმერულ-აქადური სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენდა მრავალი მცირე პოლიტიკური ერთეული (ლარსა, ენუნა, მარი და სხვ.); მეორედ დედაქალაქად აღდგა ასირიელთა სახელმწიფოს დაცემის შემდეგ (ძვ.წ.-ით 626-539). ამ ეპოქას ისტორიკოსები „ახალბაბილონურს“ უწოდებენ.

ჯერ კიდევ შუმერების დროს ბაბილონის ადგილზე პატარა დასახლება იყო. მის შემდეგ, რაც ძვ.წ.-ით 2000 წელს მომთაბარე ამორეელებმა დაამარცხეს შუმერ-აქადების სამეფო, ბაბილონი ქალაქად გადაიქცა.

ტომოგრაფიულად ქალაქს ძალზე მომგებიანი მდებარეობა ეკავა – იგი გაშენებული იყო ტიგროსისა და ევფრატის ურთიერთდაახლოების ადგილას. მომთაბარე ამორეელებმა ვერ შეაფასეს ადგილობრივთა აგროკულტურა, საირიგაციო ქსელმა წაშლა დაიწყო, წყალს მოკლებულ, გამომშრალ ეელებზე ცხვრის ფარებმა იწყეს ბალახის წიწვნა, სამაგიეროდ, საქონლისა და ცხვრის ნაკელით თანდათანობით განაყოფიერდა მიწა, სოფლის მცხოვრებლები მიწას ხელით აღარ ჩიქნიდნენ, მათ მიწის დამუშავება ხარის დახმარებით დაიწყეს. მომთაბარე მომხდურები ჩაწვდნენ მიწის დამუშავების ფასს, აღდგა სარწყავი მიწები, გაჩაღდა ვაჭრობა მეზობელ ტომებთან, აღმავლობის გზას დაადგა ხელოსნობა. ახალი სახელმწიფოს მოხელეები ყოველმხრივ ახალისებდნენ გლეხების, ვაჭრების, ხელოსნების ინიციატივას, ზედმეტად არ ბეგრადენენ მათ. მომწიფდა პროდუქციისა და ხელნაწარმის ჭარბი რაოდენობით შექმნის შესაძლებლობა. მდიდარ ვაჭრებს ქვეყნის გარეთ გატანილი პროდუქციის სანაცვლოდ ხშირად შემოჰყავდათ მონები. ბაბილონში აღარ იგრძნობოდა მუშახელის ნაკლებობა.

ძვ.წ.-ით 1800 წელს შუამდინარეთი, აყვავებულ ბაღს დაემსგავსა. ბაბილონის მმართველებმა მეზობელ ქვეყნებთან ფრთხილი პოლიტიკა აირჩიეს – კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარეს.

ბაბილონმა განსაკუთრებულ სიძლიერესა და განვითარებას მისი მეექვსე მეფის, ჰამურაბის დროს მიაღწია. მისი მმართველობის დროს პატარა სახელმწიფო, მაშინდელი მასშტაბებით, ევებერთელა სამეფოდ გადაიქცა, რომელსაც შუამდინარეთის მეტი წილი ეკავა. ეს მოხდა მეზობელი სახელმწიფოების დაპყრობის ხარჯზე. როგორც ითქვა



სურ. 206. იშთარის კარიბჭე ბაბილონში ფანტასტიკური ცხოველებით (ძვ.წ. აღით 570 წ.).

მეფემ სახელი გაითქვა, აგრეთვე, როგორც კანონშემოქმედმა. ბაზალტის შავ ბოძზე ლურსმულით შესრულებული ამ კანონების მიხედვით გასაგები გახდა ცნობები ბაბილონისა და შამურაბის მეფობის შესახებ (სტელაზე გამოსახულია თვით მეფე შამურაბი. იგი დგას მზის ღმერთის – შამაშის – კანონმდებლობის მფარველის წინაშე).


შამურაბის მემკვიდრეების ხელში ბაბილონი დასუსტდა. ძვ.წ. აღით 1595 წელს, ხეთებისა და კასიტების შემოსევების შემდეგ ძველბაბილონური სახელმწიფო დაეცა. ხეთების ბატონობა შეამდინარეთში 400 წელს გაგრძელდა.

შამურაბიდან მოყოლებული, ბაბილონი მთელი 1200 წლის განმავლობაში წარმოადგენდა წინა აზიის კულტურულსა და სამეცნიერო ცენტრს. ბაბილონელ გადამწერთა მეცადინეობით დღევანდელიობას შემორჩა შემერთა თქმულებები.

ძვ.წ. აღით 689 წელს ბაბილონელთა გამუდმებული აჯანყებებით გაბეზრებულმა ასურელთა მეფემ, სინაქერიბმა, ბაბილონი მიწასთან გაასწორა. მაგრამ, ზღაპრული ფენიქსის მსგავსად, ქალაქი-სახელმწიფო ფერფლისგან კელაე აღდგა! განსაკუთრებულ აყვავებას მან მეფე ნაბუქოდონოსორ II-ის (ძვ.წ. აღით 605-562) მმართველობის პერიოდში მიღწია. აიგო ახალი სასახლეები და ტაძრები, მათ შორის, პირამიდის ფორმის, შეიღსაფეხურიანი, 91 მეტრი სიმაღლის სალოცავი ტაძარი – ზიკურათი. უცხოელთა აღფრთოვანებას იწვევდა ბაბილონის ორკედლიანი გალავანი. თითოეულის სისქე

6-7 მეტრი იყო. ცხოველთა (ხარები, გველები...) ფიგურებით ბრწყინვალედ მოსუქურთმებული ქალაქში შესასვლელი კარიბჭე მიძღვნილი იყო ქალღმერთ იშთარისადმი. ბაბილონის დაკიდული ბალები, სადაც ხეები თითქოს ცაშივე იზრდებოდნენ, ქვეყნიერების შეიდი საოცრების სიაში იქნა შეტანილი. ტერასები, რომლებზეც „უღების ბაღი“ იყო გაშენებული, მეფის სასახლეს ეკუთვნოდა. ამ სასახლეში გარდაიცვალა ალექსანდრე მაკედონელი.

საინტერესოა, რომ ძვ.წ. აღით 600 წელს ბაბილონში ცხოვრობდა 200000 ადამიანი. იმ დროისათვის მსგავსი დემოგრაფიული მონაცემების მქონე სხვა დასახლება დღემდე არ არსებობდა. მაგრამ ძვ.წ. აღით 539 წელს, ბაბილონის მოქალაქეებმა, თავიანთი მმართველების ტირანიით განაწყენებულმა, წინააღმდეგობის გარეშე ჩააბარეს ქალაქი-ბაღი სპარსეთის მეფე კიროს II-ს. ბაბილონი სპარსეთის სახელმწიფოს პროვინციად (სატრაპეით) გადაიქცა. ამის შემდეგ ლეგენდარული ქალაქი-სახელმწიფოს დამოუკიდებლობა სამუდამოდ დარჩა ისტორიის საკუთრებად.




სურ. 207. ბაბილონის დაკიდული ბალები (რეკონსტრუქცია).

ძველი ეგვიპტე


ძველი ეგვიპტის სახლერები თანხედება თანამედროვე ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის სახლერებს. ძველი ეგვიპტელებით დასახლებული იყო მდინარე ნილოსის დინების ორივე მხარის ვიწრო ზოლის მიწები, ასევე მდინარის დელტა, რომელიც ნილოსის ხმელთაშუა ზღვასთან შეერთების ადგილზე წარმოიქმნება. ისტორიის მამის, პერიოდტეს აღწერით, ნილოსი ზღვასთან შეერთებისას შეიდ ტოტად იზღებოდა (დღეს მხოლოდ ორი ტოტია დარჩენილი).

ნილოსის სანაპიროს ნოყიერი შავი ნიადაგი მკვეთრად განსხვავდება სპარსის უდაბნოს უნაყოფო ქვიშისა და ქვის გრუნტისაგან. ეგვიპტე – ჩრდილო აფრიკის ქვეყანა – მცირეწლიანი, სუბტრო-



სურ. 208. ძველი ეგვიპტის რუკა.

პიკების მხარეა, ამიტომ ადამიანის საარსებო ერთადერთ საშუალებას მდინარე წარმოადგენს. პეროდოტემ ეგვიპტეს „ნილოსის ნობათი“ უწოდა. ადგილობრივი ნოყიერი ნიადაგი ძველეგვიპტელებს ორი მოსავლის აღების საშუალებას აძლევდა, მაგრამ სარჩოს მოსაპოვებლად აბორიგენებს უნდა სცოდნოდათ მდინარე-მარჩენალის ყველა „ახირებულება“, ჰქონოდათ განვითარებული საირიგაციო სისტემა. ეგვიპტელები, დროთა განმავლობაში, ყველა ამ ხელოვნებას ზედმიწევნით დაეუფლნენ. უფრო მეტიც, დედამიწის ყველაზე გრძე-



სურ. 209. მდინარე ნილოსი ქალაქ კაიროსთან.

ლი (6671 მ) მდინარე ღვთაებად აღიარეს. ეგვიპტის სიმდიდრე მხოლოდ ნილოსის მიერ დატოვებული შლამი არ იყო. აქ უხვად მოიპოვებოდა სამშენლო ქვები – მარმარილო, გრანიტი, ალიბასტრი და ა.შ., უდაბნო მდიდარი იყო ოქროს საბადოებით, მალაქიტით, სარდიონით, ლაზურიტითა და სხვა. ნუბიიდან (თანამედროვე ეთიოპია) – ეგვიპტის კოლონიიდან – შემოჰქონდათ ძვირფასი ხის მასალა, სპილოს ძეაღი, ლეოპარდის ტყაუები, პუნტიდან (ახლანდელი სომალი) – უცხო სანელებლები.

... 10000-6000 ათასი წლის წინათ ჩრდილოეთ აფრიკაში რამდენადმე განსხვავებული (უფრო ტენიანი) კლიმატი იყო. იქ, სადაც ამჟამად საჰარის გაყვარვარებული ქვიშის უდაბნოებია, მისი დიდი ნაწილი სავანებს ეკავათ. იქ ცხოვრობდნენ მოხეტიალე ტომები, რომლებიც თავს საკვებად ვარგისი მცენარეების შეგროვებითა და ნადირობით ირჩენდნენ. მოგვიანებით კლიმატი კონტინენტის შიგნით გამშრალებისაკენ შეიცვალა. საენამ გაუდაბნოება იწყო. იკლო ნადირთა რიცხვმა. გახშირდა ტომებს შორის სისხლიანი შეტაკებები. ბევრი მათგანი იძულებული გახდა ნილოსის სათავეებთან ეპოვა თავშესაფარი. იმ დროს მდინარის ჭაღები ხემცუ-




სურ. 210. გიზის პირამიდებისკენ.

ნარეებით, ბუნქებითა და ლერწმიანი ჭაობებით იყო დაფარული. გამეჩხერებულ ადგილებზე ისევე ნებდნენ ბუქმთოები და ნიანგები. მოსულებს შორის იყვნენ მუქკანიანი და შედარებით ღია ფერის კანის მქონე ადამიანები – იგივე პროტოსემიტები, ბერბერები და კუშიტები. მათი ასიმილაციის შედეგად, ჩვენს ერამდე 4000 წლის წინათ ჩამოყალიბდა ეგვიპტელი ხალხი.

მოსახლეობა სულ უფრო იზრდებოდა. მისი გამოკვება ნადირობითა და მეთევზეობით შეუძლებელი იყო. ამ პრობლემამ დააჩქარა მათი გა-

დასვლა მეცხოველეობასა და მიწათმოქმედებაზე. ადგილობრივებმა აღლო აუღეს მდინარე-მარჩინლის რიგმს – წყლის გარკვეულ პერიოდში აღიდუბას და, პირიქით, მდინარის კალაპოტში წყლის დონის კლებას. ისწავლეს სარწყავი არხების ქსელის შექმნა, გაიღრმავეს ცოდნა საკვებად ვარგის მცენარეთა გამოცნობასა და შემდეგ მათ კულტურულ მცენარეებად გამოყენებაში. ათოვისეს მონადირეობიდან, ძირითადად, მესაქონლეობაზე გადასვლა. აქედან მოყოლებული 2000 წლის განმავლობაში, აგროკულტურის განვითარებით, სოციალური სტრუქტურის დახვეწით, ყოფა-ცხოვრებაში მეტალის დანერგვით, ბორბლიანი ტრანსპორტის შემოღებით, ხელოსნობის განვითარებითა და ა.შ., დიდ წარმატებას მიაღწიეს.



სურ. 211. ეგვიპტელთა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა (უშბტი. საკარა. აკლდარის მოხატულობის ფრაგმენტი). ძვ.წ. აღ-ის XXV ს.

ძველი ეგვიპტის ცივილიზაციის მაღალი დონე განვითარებულმა სოფლის მეურნეობამ განაპირობა. მიწის დამუშავება – ხენა-თესვა, მკა, მოსავლის აღება, გადატანა, დაბინავება, მარცვლეულის დაფქვა, მეცხოველეობის გაძღოლა, პირუტყვის ჯიშების შერჩევა – დეტალურადაა ასახული აკლდამების, ბარელიეფების ნახატებზე. ნილოსის დაბლობზე იყენებდნენ წყალსაქან მანქანას – საიეს – კასრებიან ხის ბორბალს, რომელსაც ხარები ატრიალებდნენ.

ძველეგვიპტელთა ესოდენ სრულყოფილი საირიგაციო სისტემის შექმნა მოითხოვდა მათემატიკის, ასტრონომიის, პიდრავლიკისა და სამშენებლო ინჟინერიის ღრმა ცოდნას. სასოფლო-სამეურნეო იარაღებიდან იყენებდნენ: თოხს, კაეს. მიწას კავით ახენეინებდნენ ხარს, ძროხას, მოგვიანებით – ჯორს და აზიიდან შემოყვანილ ზებუს.


ცხენი ეგვიპტეში შეიყვანა, ალბათ, „მთიდან მოსულმა ხალხმა“ პიქსოსებმა (ძვ.წ. აღ-ით 1720-1600), რომლებმაც დროებით დაიპყრეს ეგვიპტე. ცხენის პირველი გამოსახულება შემორჩენილია ფარაონ თუტმოს I-ის (თოტის – სიბრძნის და მთვარის ღვთაების შობილი) აკლდამაზე. ეგვიპტეში ცხენს საომარ და ჩვეულებრივ ეტლებში

აბამდნენ. მათ წარჩინებულები იყენებდნენ სასაქონლოდ, ანდა მტერთან ბრძოლების დროს.

ძველ ეგვიპტეში განსაკუთრებულად მაღალ დონეზე იდგა მევენახეობა-მეღვინეობა. პურის, ქერის მკასთან ერთად ღვინის დაწურვა ასახულია ბარელიეფებზე. უფრო მეტიც, სარზე აკრული ვაზი აისახა იეროგლიფის ნიშნებშიც. ძირითადი ხეხილი იყო ლეკვი, კაკალი, ბროწეული, ფინიკის კალმა და სხვ. მისდევდნენ მეფუტკრეობას. მას საეუფუკელი ჩაეყარა ჯერ კიდევ V ათასწლეულის შუა ხანებში.

ძვ.წ. აღ-ით 4000 წლის წინათ ნილოსის სანაპიროებზე იქმნება მსხვილი დასახლებული ქალაქები. ქალაქთა მმართველები უსდებოდნენ ეკონომიკას. ერთმანეთს ხშირად ვომებოდნენ. დამპყრობლები დაპყრობილებს – იმავე ეგვიპტელებს – მონებად აქცევდნენ ხოლმე ფაქტობრივად. ძვ.წ. აღ-ით 3000 წლისათვის ეგვიპტე ერთიან სამეფოდ გაერთიანდა. ეს მოხდა ჯერ 40-მდე მსხვილი დასახლება-ქალაქის (ადმინისტრაციული ოლქი – ნომები) კონსოლიდაციით, შემდეგ კი ორი ეგვიპტური სამეფოს ერთი მმართველის მბრძანებლობის ქვეშ მოქცევით.

... XVIII საუკუნის დასასრულს ეგვიპტე ევროპელებისათვის საიდუმლოებით მოცული, მომხიბლავი ქვეყანა იყო. მისი ისტორია ცნობილი გახდა ძველი ისტორიკოსებისა და მწერლების: ჰეკატეოს მილეტელის, პეროდოტეს, სტრაბონის, დიოდორეს, პლუტარქეს ნაწარმოებებითა და აღორძინების მწერლების ბუნდოვანი ცნობებით. იქ ნამყოფი მოგზაურები საოცრებებს ჰყვებოდნენ ნახევრად ქვიშაში ჩაფლულ, საიდუმლო ნიშნებით დაფარულ ძველ ნაწერებზე, ტაძრებზე, პირამიდებზე, სფინქსებსა და ობელისკებზე.



სურ. 212. ბრინჯაოს ქირურგიული (საოპერაციო) იარაღები (ძვ.წ. აღ-ით 4300 წ.). მოპოვებულია ძველეგვიპტელი ექიმის (სახელად ქარ-ი) საფლავიდან. როგორ ჩანს, მსგავსი იარაღებით იმდროინდელი ქირურგები წარმატებით აკეთებდნენ სხვადასხვა ოპერაციებს.


ეგვიპტოლოგები ქვეყნის ისტორიას განსხვავებულ ეტაპად ყოფენ, მათ შორის:

1. არქაული ეგვიპტე (ძვ.წ. აღ-ით 3100-2780 წწ., I-II დინასტიები);

2. ძველი სამეფო (ძვ.წ.აღ-ით 2780-2280 წწ., III-VI დინასტიები);

3. შუა სამეფო (ძვ.წ.აღ-ით 2079-1594 წწ., XI-XIV დინასტიები);

4. ახალი სამეფო (ძვ.წ.აღ-ით 1570-1080 წწ., XVIII-XX დინასტიები);



სურ. 213. ეგვიპტის ერთ-ერთი გამაერთიანებლის – ფარაონ ნარმერის ფიროფტა. იგი ეძღვნება სამხრეთ ეგვიპტის ჩრდილოეთზე გამარჯვებას. გრძელკისრიანი ნადირები თავებით ერწყმიან ერთმანეთს (გაერთიანების სიმბოლო; ფიროფტის უკანა მხარე).

5. გვიანდელი პერიოდი (ძვ.წ.აღ-ით 1069-525 წწ., XXI-XXVI დინასტიები) და მათ შორის გარდამავალი პერიოდები). ძვ.წ.აღ-ით 525-332 წლებში ეგვიპტე სპარსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო ძვ.წ.აღ-ით 332 წელს იგი ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო.

ძველეგვიპტური ტექსტების თანახმად, ზემოთ ხსენებული ორი ეგვიპტური (ზედა და ქვედა) სამეფოს გაერთიანება შეძლო სამხრეთელმა ფარაონმა მენესმა (ძვ.წ.აღ-ით XXX ს., ცენტრალიზებული სახელმწიფოს დედაქალაქად გამოცხადდა ქ. მემფისი). მისი სახელით იწყება ისტორიული ეგვიპტის ფარაონებისა და მათი დინასტიების გრძელი რიგი.

ცენტრალიზებული ეგვიპტის სათავეში იდგა ფარაონი. ეგვიპტური იდეოლოგიის თანახმად, ეგვიპტის ფარაონი არა მოკვდავი ხელისუფალი, არამედ ადამიანის სახით განხორციელებული ღვთაება – ღმერთკაცი იყო. არაეის ჰქონდა უფლება წარმოეთქვა ფარაონის წმინდა სახელი, ამიტომ მას „პერ-ო“-ს, ანუ „ღმრთე სახელს“ უწოდებდნენ. აქედან წარმოდგა ტერმინი ფარაონი. უმაღლეს მმართველთან ურთიერთობის უფლება ჰქონდა მხოლოდ დიდგვაროვანთა ვიწრო წრეს, რომელიც,


ძირითადად, სამეფო ოჯახის წარმომადგენლებისგან შედგებოდა ხელისუფლების მსგავსი სტრუქტურა სამეფო რეზიდენციის გარშემო ჩამოყალიბებული ბიუროკრატიული აპარატის ბირთვის ტიპური ნიმუშია.

ეგვიპტე, არსებითად, თეოკრატიული სახელმწიფო იყო, სადაც რელიგია სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. შესაბამისად, ღვთისმსახურები, ქურუმები, საკმაოდ ძლიერი კასტა იყო. მოსახლეობის დიდ ნაწილს, დასაქმებულს სოფლის მეურნეობაში ხელოსნობასა და მშენებლობაში, შეადგენდა თავისუფალი მოსახლეობა, რომელიც სამეფო ხელისუფლების ძლიერი ბიუროკრატიული აპარატის საშუალებით იმართებოდა. განსხვავებით ძველი რომისაგან, ეგვიპტეში მონათა შრომა ფრიად შეზღუდულად გამოიყენებოდა.

ქვეყანა დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ ოლქებად (ნომებად), რომელთა სათავეებში იდგნენ მეფის რეზიდენციას დაქვემდებარებული დიდგვაროვნები. ასე სახელმწიფოს მართვა გაცილებით მოხერხებული იყო.

არქაულ პერიოდში ყალიბდება ეგვიპტური დამწერლობა, მყარდება კონტაქტები უცხო ქვეყნებთან, იფურჩქნება ადგილობრივი კულტურა, საფუძველი ეყრება ეგვიპტური სახელმწიფოს იმ ძირითად ნიშნებს, რომლებიც თითქმის უცვლელი რჩება მთელი მისი ისტორიის მანძილზე.

ძველი სამეფო, ანუ პირამიდების ეპოქა, ეგვიპტის ისტორიის ყველაზე ბრწყინვალე პერიოდად ითვლება. „თუმცა ძველი სამეფოდან მისი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ ჩვენამდე მოღწეული ტექსტების რაოდენობა ძალზე მცირეა, გიგანტური



სურ. 214. ეგვიპტელი მეომრები. XI დინასტიის ეპოქაში შესრულებული ნახატი.

პირამიდები, რომლებიც დღეს ერთადერთ სრულყოფილ არქიტექტურულ ფორმად არის მიჩნეული, ამ დროს ფარაონთა განუსაზღვრელი ძალაუფლების ყველაზე რეალურ გამოხატულებას წარმოადგენს („სქელი აღმოსავლეთის ხაღხთა ისტორია“, თბ., 1988).

ეგვიპტელები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ საიქიო ცხოვრებას, ამისათვის უდიდესი რუდუნებით ემზადებოდნენ. დღევანდელი მასშტაბებითაც დედამიწის უდიდესი ნაგებობა – ხეოფსის პირამიდა – ფარაონის აკლდამა-საძეაღეა. მაგრამ, სანამ ეგვიპტური მავზოლეუმები ხეოფსის მსგავს, კლასიკურ ფორმას მიადევნებდნენ, მათ განვითარების გარკვეული გზა გაიარეს.

პირველი დინასტიების ფარაონთა სამარხი, ე.წ. მასტაბა, მარტივი ფორმისა იყო: ალისისაგან ნაგები ტრაპეციის ფორმის შენობა-ნაგებობა შედგებოდა მიწისქვეშა და მიწისზედა ნაწილებისაგან. მიწის ზემოთ განლაგებული იყო სამლოცველო, მიწის ქვემოთ კი – სამარხი კამერა სარკოფაგითა და მემით.



სურ. 215. ჯოსერის პირამიდა.

პირველი ეგვიპტური პირამიდის მფლობელი ფარაონი ჯოსერია (ხუროთმოძღვარი იმხოტეპი – არქიტექტორი, მეცნიერი, ასტრონომი და ექიმი), რომელიც ეგვიპტელებმა თავიანთი პანთეონის ერთ-ერთ ღვთაებად შერაცხეს. საკარის ზეგანზე ჯოსერის სახელზე აგებული პირამიდა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, საფეხუროვანი ფორმისაა, მაგრამ უნიკალურია იმ მხრივ, რომ იგი შექმნა ადამიანის გენიამ, რომელიც დღემდე გაოცებას იწვევს. ჯოსერის პირამიდა დედამიწაზე აშენებული ქვის პირველი ნაგებობაა, რომელსაც თავისი გრანდიოზულობით (სიმაღლით 60 მეტრს აღწევდა, სწორკუთხა საფუძველი – 140 X 118) მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება. სპეციალისტთა აზრით, მხოლოდ ეგვიპტის მსგავს ცენტრალიზებულ და მაქსიმალურად ორგანიზებულ თეოკრატიულ სახელმწიფოში, რომელიც აბსოლუტურად ემორჩი-



სურ. 216. ჯოსერის პირამიდისთან. ფრაგმენტი.

ლება ერთპიროვნულ მმართველსა და უსიქანესი ღვთაების – ფარაონის ნებას, შეიძლებოდა არსებებოდა ის სულიერი საწყისები, რომელიც წარმოშობს ერთი ადამიანისათვის ასეთი გრანდიოზული ნაგებობის აშენების იდეას. ამ იდეის ავტორი კი, როგორც ითქვა, იმხოტეპი იყო.

ჯოსერის პირამიდა ეგვიპტის უძველესი ნეკროპოლია. არქიტექტორის ზუსტი გაანგარიშებით აკლდამის სიმაღლე ისეა გამოთვლილი, რომ მისი ზომები სიმაღლესთან ერთად მცირდება, ფორმით კი მოგვაგონებს ექვს, ერთმანეთზე შედგებულ უსარმაზარ საფეხურებს (მასტაბებს) და, საბოლოო ჯამში, პირამიდის საფეხუროვან ფორმას ქმნის.

ეგვიპტეში, ჭეშმარიტი „პირამიდომანია“ იწყება ძველი სამეფოს IV დინასტიის ეპოქაში. ამ ქვეყნის პირამიდებიდან ყველაზე ცნობილია გიზას (დღევანდელი კაიროს მახლობლად) ანსამბლი სამი კოლოსალური ნაგებობის სახით. ისინი ატარებენ აღნიშნული დინასტიის ფარაონთა – ხეოფსის (ხუფუ), ხეფრენის (ხაფრ) და მიკერინის (მენკაურა) სახელებს. ფარაონთა სამეფო განსასვენებელი საკარას უდაბნოში, ლიბიის ზეგანზეა აშენებული, რომელსაც ეგვიპტელებმა „სიკელილის ქვეყანა“ უწოდეს.

გიზას პირამიდების ერთმანეთთან რიტმულად მიწყობილი, იდეალური გეომეტრიული ფორმის ნაგებობანი, თვითმხილველთა თვალში დღემდე გაოცების, აღტაცების, განუმეორებლობისა და ირვალურობის გრძნობას ბადებს.


* ტექსტში პირამიდების ევროპული სახელწოდებაა მითითებული, ფრჩხილებში კი – საკუთრივ ეგვიპტური.



სურ. 217. ხეოფისის, ხეფრენისა და მიკერინის პირამიდები საკარას უდაბნოში.

გიზა, მეფისი, პელიოპოლისი ეგვიპტის დელტასთან გაშენებული, ძველეგვიპტელთა ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო.

ხეოფისი (ხუფუ) პირამიდა 147 მეტრს აღწევდა (ამჟამად წვერითი ნაწილის ჩამოქცევის გამო ნაგებობის სიმაღლე 137 მეტრს არ აღემატება). გეერდის სიგრძე 23 მეტრია, აგებულია 2,5-30 ტონის ადგილობრივი კირქვის გიგანტური ბლოკებით. თითოეული მათგანი საკუთარ სიმძიმეს ეყრდნობა. მის აგებას 230000000 ქვის ბლოკი დასჭირდა, მშენებლობა კი გზინად 30 წელს გაგრძელდა. პირამიდის მოცულობაზე წარმოდგენას გვიქმნის შემდეგი შედარება: მასში ერთდროულად მოთავსდებოდა რომის წმინდა პეტრესა და ლონდონის წმინდა პაულეს ტაძრები. თვით პირამიდას ოც წელიწადს აშენებდნენ. ბლოკების გადმოზიდვას ასი ათასი მამაკაცი ემსახურებოდა. პირამიდის ხუროთმოძღვარია ხუმენი (ძვ.წ. აღმდე XXVII ს.), ხეოფისის ძმისშვილი (მისი ქანდაკება-ავტოპორტ-




სურ. 218. გიზას კომპლექსი (ძვ.წ. აღმდე XXVIII ს., რეკონსტრუქცია).

რტი ნაპოვნია გიზაში და იმდროინდელი კულტურის შედეგადაა აღიარებული). დადგენილია ხეფრენის პირამიდის ავტორიც – მერიბი, მიკერინის პირამიდის შემოქმედი კი დებრენია.

დღემდე შემორჩენილი ყველაზე მაღალი პირამიდა – ხეოფისი – 200 რიგს ითვლის. მათგან პირველი რიგის ქვის ბლოკები სიმაღლით 1,5 მეტრია,

ყველაზე მცირე ქვის სიმაღლე – 55 სანტიმეტრი. ხეფრენის პირამიდის სიმაღლე 143,5 მეტრია, მიკერინისა – 65,5 მეტრი.

პირამიდა, პრაქტიკულად, ორი მარტივი გეომეტრიული ფორმისაგან – კეადრატისა და სამკუთხედისაგან შედგება. მის საფუძველს კეადრატი წარმოადგენს. კეადრატი კი მატერიალური სამყაროს ნიშანია, რომელიც თავის ოთხი კუთხით სიმბოლურად განასახიერებს სამყაროს შემადგენელ ოთხ სტიქიას (ოთხ ელემენტს): წყალს, ცეცხლს, ჰაერსა და მიწას. ამავე დროს, ეს ფორმა ქვეყნიერების ოთხი მხარის გამომხატველიცაა. ამგვარად, კეადრატი ამქვეყნიური სამყაროს, მატერიალურის გამომხატველობაა. სამკუთხედი ზემოთ მიმართული წვეროთი კი ღმერთის შემოქმედებითი ძალისა და ენერჯიის სიმბოლოს წარმოადგენს, ხოლო პირამიდაში შერწყმული ეს ორი გეომეტრიული ფორმა – კეადრატი (მატერიის სიმბოლო) და სამკუთხედი (ღვთაებრივი სიმბოლო) – მთელი კოსმოსის შესახებ ეგვიპტელთა მსოფლმხედველობის აკუმულირებაა, სადაც მიწიერი და ზეციური ორგანულად ერწყმის ერთმანეთს. ამგვარად, პირამიდის ფორმაში განსხვავებულია აბსოლუტური ცოდნა სამყაროს შესახებ, რომელსაც ეუფლება გარდაცვლილი, აქ დაკრძალული ფარაონი, ხოლო პირამიდებისაკენ მიმავალი ნაგებობის კომპლექსი უვერტიურაა, ცხოვრების გზაა, თვით ცხოვ-



სურ. 219. ხეოფისის პირამიდასთან, მარტენიდან პირველი: არაბი მეფე ზური, რომელიც მონაწილეობდა პოეარდ კარტერის მიერ განხორციელებულ ფარაონ ტუტანხამონის აკლდამის აღმოჩენა-გათხრებში (ფოტოსურათი გადაღებულია 1976 წ.).



სურ. 220. სვინქსი. გიზა (ძვ.წ. აღ-ით XXVIII ს.).

რებასავეით რთული და მრავალფეროვანი (ამიტომ შედგება იგი ნაირგვარი, რთული ნაგებობებისაგან), რომელსაც მოსდევს ხანმოკლე აქტი სიკვდილისა და ხანგრძლივი პროცესი ჭეშმარიტების წყდომისა (ა. კლდიაშვილის მიხედვით, 2000 წ.).

ეგვიპტურ ხელოვნებაში ფარაონის ზეადამიანური არსება განსაკუთრებით ნათლად გადმოიკვმოდა სვინქსეში – ფანტასტიკურ არსებებში, რომლებსაც ლომის ტანი და ფარაონის სახე ჰქონდათ. სვინქსებს ტაძრების გარეთ დგამდნენ.

გიზას პირამიდების ანსამბლის კიდევ ერთი, განსაკუთრებული ღირსშესანიშნაობა სვინქსია. მისი სიგრძე 57 მეტრია, სიმაღლე – 20 მეტრი. იგი ფარაონ ხეფრენის გამოსახულებაა, ფარაონთა ტრადიციული თავსაბურთი – კლაფციოთ. ლომისტანიანი სვინქსი ადამიანის სახით, გიზას პირამიდათა მთელი ანსამბლის მკვევლად მოიაზრება.


როგორც აღინიშნა, პირამიდებში ფარაონთა მუმიები იკრძალებოდა. როგორც ჩანს, მიცვალებულთა მუმიფიკაციების საიდუმლოებას პირველად ძველი ეგვიპტელები დაეუფლნენ (სიტყვა „mumiyā“ არაბულად ფისს, ასფალტს ნიშნავს).

ეგვიპტელთა ოფიციალური თეოლოგიის თანახმად, ადამიანის დედამიწაზე ცხოვრების დრო მხოლოდ მისი არსებობის მოკლე ეპიზოდს წარმოადგენდა, რომელიც გრძელდებოდა სიკვდილის შემდეგ „დასაუღეთის ქვეყანაში“ (მიცვალებულთა ადგილსამყოფელში). სიკვდილის პროცესში ადამიანის სხეულს მისი სულიერი საწყისი (ბა) სცილდებოდა და შემდეგ ისევ უერთდებოდა მას „დასაუღეთში“ გადანაცვლების შემდეგ. მხოლოდ სულისა და სხეულის ხელმეორედ შეერთების შედეგად იყო შესაძლებელი საიქიოში მარადიული ცხოვრების გაგრძელება, ხოლო თუ მიცვალებულის სხეულისა და მისი ბას შეერთება რაიმე მიზეზის გამო არ მოხერხდებოდა, მას უკედავების ხელყოფა ემუქრებოდა და სული დაიჩაგრებოდა. ამგვარად, მიცვალებულის სხეულის შენახვას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სწორედ ამგვარმა შეხედულებებმა წარმოშვა ეგვიპტეში სხეულის მუმიფიკაციების ტრადიცია.

მოგვიანებით, ჩნდება სკეპტიკური შეხედულებები სამუდამო საიქიო ცხოვრების შესახებ, რაც შემდეგში მდგომარეობს: „არავინ დაბრუნებულა დასაუღეთის ბნელი ქვეყნიდან, ცხოვრება კი ძალ-



სურ. 221. სვინქსი და ხოფსის პირამიდა. ფრაგმენტო.



სურ. 222. ლუქსორის ერთ კუთხეში.


ზე სწრაფად გადის. ამიტომ არ შეიძლება საიქიოს ცხოვრების იმედით ყოველდღიურ სიამოვნებაზე უარის თქმა“.

... ეგვიპტის პირამიდებმა ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე III ათასწლეულით ადრე, საფუძველი დაუდო შვიდ საოცრებას. ამ შეიდეულში, სრულიად სამართლიანად, ეგვიპტის ხელთუქმნელ, მონუმენტურ, სამარადეაშო პირამიდებს, ყოველთვის პირველი ადგილი უკავიათ. სწორედ, საკარას გათარანებულ უდაბნოში აღმართულმა ამ ხელოვნურმა მთებმა ათქმევინა XIII საუკუნეში მცხოვრებ არაბ მოგზაურს: „დედამიწაზე ყოველივეს ეშინია დროის, მაგრამ დროს ეშინია პირამიდების“.

ფარაონთა, დიდებულთა და, ზოგადად, უბრალო მოკვდაეთა ზრუნვა საკუთარ უკვდავებაზე, ეგვიპტელთა ინდივიდუალიზმის გამოხატულება იყო. უკვდავების იმქვეყნიურ გარანტს პირამიდები წარმოადგენდნენ. მაგრამ პირამიდების მშენებლობას-

თან ერთად, იხვეწებოდა სარკოფაგებში მუმიებს თანჩაყოლილი, ენით აღუწერელი სიმდიდრის ძარცვა. გათხრებისას არქეოლოგები აწყდებოდნენ არა მარტო ფარაონთა დამსხვრეულ სარკოფაგებს, არამედ პატიეაყრილ, გაძარცვულ მუმიებს.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, პირამიდების მშენებლობამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა. მეთერამეტე დინასტიის ფარაონი თუტმოსი პირველია (ძე.წ. აღით 1526-1508), რომელმაც ხელი აიღო ძველ ტრადიციებზე. მან ხუროთმოძღვარ ინენს უბრძანა თებეს ციცაბო კლდეში მისთვის აკლდამის გამოკვეთა. ძეალთ შესაღაგებლის მშენებლობა სრული საიდუმლოებით იყო მოცული. მას შემდეგ, რაც ფარაონებმა დედაქალაქი და რეზიდენცია თებეში (ცნობილია კარნაკისა და ლუქსორის უდიდესი სატაძრო კომპლექსებით) გადაიტანეს, კლდეში გამოკვეთილი აკლდამები წარჩინებულთა სასაფლაოდ იქცა. ნილოსის დასავლეთ სანაპიროზე




სურ. 223. დედოფალ პატ შეკსუტის სულისმოსახსენებელი ტაძარი. კლდეში ნაკვეთი, საში იარუსისაგან შემდგარი ნაგებობა (ძე.წ. აღით XV ს.).

(„დასავლეთის ქვეყანაში“), მსგავს მღვიმეებშია განთავსებული XVIII-XIX-XX დინასტიების ფარაონთა საძეგლები.



სურ. 224. ამენოტემ III-ის ქანდაკებები (მემნოსის კოლოსები; თებე. ძე.წ.ად-ით XV ს.).

ძე.წ.ად-ით 1580 წელს ქვეყნის ყველაზე წამყვან ქალაქს თებე წარმოადგენდა. თებეს კარნაკისა და ლუქსორის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები გიზადან ჩრდილოეთით მნიშვნელოვნად არის დაშორებული. აქ, ფარაონ იაჰმეს I-ის მეფობისას გამოცხადდა ღმერთ ამონის რელიგიური კულტი. რამდენადმე მოგვიანებით, ამონ-რას ღვთაებას უკავშირდება ეგვიპტეში სასახლეებისა და ტაძრების გრანდიოზული მშენებლობა. თებეს ბრწყინვალეა პომპროსის „ილიადაში“ აისახა.



სურ. 225. ასუანი. რამზეს II-ის ტაძარი.

ტაძრებს შორის, ფართო გზების ორივე მხარე დამშენებული იყო ვერძისთავიანი სფინქსების სტატუეტებით. ეს უჩვეულო ხეივანი გამოყენებული იყო ფარაონთა სასაქონლო პროცესისათვის. ტაძართა წინ იდგებოდა ფარაონთა გიგანტური ქანდაკებები და მოოქროვილი ობელისკები. სასახლეთა კარიბჭეებთან აგებული იყო კოლონადები. ტაძართა შემადგენელი კომპონენტები იყო სამლოცველოები, ბიბლიოთეკები... თებეში გამორჩეულ ტაძართა რიცხვს მიეკუთვნება კარნაკისა და ლუქსორის ტაძრები ფარაონთა უსარმაზარი ქანდაკებებითა და ობელისკებით. კარნაკის ნაგებობათა კედლებზე, პილონებზე შემორჩენილია ღმერთებისადმი ათი


საუკუნის განმავლობაში მიძღვნილი პიძნები, ისტორიული ამბები.

თუ საკარის უდაბნოში ზეადმართულ გიზას პირამიდებს ქვის მოებს ადარებდნენ, თებეს, კარნაკისა და ლუქსორის ტაძართა დღემდე შემონახულ კოლონადებში ქვის ტეყების ორეულს ხედავენ. კარნაკის კოლონადებითა და სფინქსებით დამშენებული სასაქონლო გზები სხვადასხვა დროს სა-



სურ. 226. ლუქსორი. ვერძისთავიანი სფინქსების ხეივანი (ძე.წ.ად-ით XV ს.).

ხელოვან თუ ნაკლებად სახელოვან ფარაონთა ტრიუმფალური სვლების მომსწრენი არიან, ესენია: თოტმეს I, საკმოდ სკანდალური თოტმეს III, ამენოტემ III (მის დროს მოხდა სფინქსების ხეივანი კარნაკის არა მხოლოდ ნილოსთან, არამედ ლუქსორთან დაკავშირება), რამზეს I, რამზეს II (კარნაკის საბოლოო სახის მიმცემნი), სეთი I (სეთი



სურ. 227. კარნაკი. ამონის ტაძრის სეთი I-ისა და რამზეს II-ის პიქოსტალური დარბაზი (ძე.წ.ად-ით XIV ს.).

1-მა და რამზეს II-მ ძვ.წ.ად-ით XII საუკუნის დასაწყისში ააგეს დიდი ფართობის (5000 კვ. მ.) პიპოსტალური დარბაზი. მისი გადახურვა 16 რიგად განლაგებულ სვეტებს ეყრდნობა. სვეტების სიმაღლე მერყეობს 12-20 მეტრებს შორის, დიამეტრი 3,5 მეტრია. უსარმაზარ, მასიურ სვეტებს წმინდა მცენარეებად შერაცხული ლოტოსის, პაპირუსის ან პალმის ფორმა ქონდა. ჭერზე, ლურჯ ფონზე გამოსახული, ოქროსფრად მოკიაფე ვარსკვლავები კი ხილულ ცას განასახიერებდა. სვეტები დაფარულია ფერადი რელიეფებითა და წარწერებით.

ეგვიპტურ მონუმენტურ ქანდაკებებზე, სხვადასხვა ნაგებობებზე მეცნიერთა გამოკვლევების შედეგად დაწერილი, ასობით ტომია მიძღვნილი. საყოველთაოაა ცნობილი ქვაში გამოკვეთილი ეხნატონის (ამენოტემ IV) მეუღლის, დედოფალ ნეფერტიტის, პორტრეტი. შემორჩენილია მისი ორი გამოსახულება - უქუდიოდ და ქუდიით. ეს უკანასკნელი ისე კარგად არის დაცული, რომ პირვანდელი ფერებიც კი შემონახულა. „ეს არის მშვე-



სურ. 229. ტუტანხამონის ოქროს ნიღაბი. თებე (ძვ.წ.ად-ით XIV ს.).



სურ. 228. დედოფალ ნეფერტიტის პორტრეტი. ახეტატონი (ძვ.წ.ად-ით XIV ს.)

ნიერი ქალის პორტრეტი, მაღალი, მოღერებული კელითა და თხელი, დახეწილი სახის ნაკეთებით; ულამაზესი ნუშის ფორმის თეალები და მშვილდივით წარბები, ოდნავ მოგრძო, სწორი ცხვირი, სქელი, ლამაზი მოყვანილობის ტუჩები... ერთი მხრივ, მედიდურობა, მეფური ღირსება და სიამაყე, მეორე მხრივ, ქალური სირბილე და სინაზე..." (ა. კლდიაშვილი, „ძველი ეგვიპტე“, 2000).

პორტრეტის ავტორია მოქანდაკე თუტმოსი (ძვ.წ. XIV ს.).


ასევე საქვეყნოდ ცნობილი ფარაონ ტუტანხამონის ოქროს ნიღაბიც 18 წლის ასაკში დაღუპული მეფის პორტრეტი. ეგვიპტის XVIII დინასტიის მრავ-

ვალრიცხოვან ფარაონთა სხვა აკლდამებისაგან განსხვავებით, ტუტანხამონის საძეაღე ერთადერთი იყო, რომელმაც XX საუკუნემდე გაუძარცვავად მოაღწია. 1922 წლის 5 ნოემბერს ინგლისელმა პოვარდ კარტერმა და მასთან ერთად ლორდმა კარნარვონმა „მეფეთა ველზე“ მიაკვლიეს ახალგაზრ-



სურ. 230. ტუტანხამონი და დედოფალი ანხესენპამონი. ზარდახშის თავსახურის რელიეფი ტუტანხამონის აკლდამიდან. თებე. (ძვ.წ.ად-ით XIV ს.).

და ფარაონის აკლდამის შესასვლელს. ერთმანეთში ჩაწყობილ, რამდენიმე სარკოფაგის ბოლოს, მოლიონად ოქროსგან გაკეთებულ სარკოფაგში ესეენა მუშია ოქროს ულამაზესი სკულპტურული პორტრეტით. სახე ხალასი ოქროსგან იყო გაკეთებული, თვალები – არაქონიტისა და ობსიდიანისაგან, წარბები და ქუთუთოები – ლილისფერი შუშისაგან. კარტერსა და მის კოლეგებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ათობით ნივთებს შორის, სარკოფაგში მოთავსებულმა, სულ უბრალო ყვავილეებისგან დაწულმა გვირგვინმა. როგორც ჩანს, გვირგვინი ქერიის მიერ მეუღლისათვის სამუდამო სასუფეველში ჩატანებული უკანასკნელი ძვენი იყო. „მთელი სიმდიდრე, ოქროს ბრწყინვალება და აკლდამის ფუფუნება ყოველგვარ ფასს კარგავდა ამ დამპყნარი ყვავილების გვერდით, რომელთაც ჯერ კიდევ მთლად არ დაეკარგათ ბუნებრივი ფერი“, – იგონებდა კარტერი.



სურ. 232. როსეტის ქვა – ბახალტის ფილა ძველევგიპტური (იეროგლიფებითა და დემოტიკური დამწერლობით) და ძველბერძნული იდენტური წარწერებით.



სურ. 231. ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობის ნიმუში (ძვ.წაღ-ით 2300 წ.).

სრულიად ორიგინალური იყო ეგვიპტური დამწერლობა... 1798 წელს სამასზე მეტი გემისაგან შემდგარი ფლოტი, ნაპოლეონ ბონაპარტე ეგვიპტის ნაპირებს მიაღწა. გემებზე ჯარისკაცებთან ერთად მეცნიერებიც იყვნენ, მათ შორის, დომენიკო ვიან დენონი. ფრანგების ხმელეთზე ლაშქრობისას დენონი იკლევდა ნებისმიერ ეგვიპტურ ღირსშესანიშნაობებს. ამ ზუსტი, რეალისტური ნახატების საფუძველზე, საფრანგეთში დაიწერა 24-ტომიანი ნაშრომი – „ეგვიპტის აღწერა“. ამ თხზულებებით საფუძველი ჩაეყარა ახალ მეცნიერებას – ეგვიპტოლოგიას.

ამავე ლაშქრობაში საფრანგეთის ჯარების ოფიცერმა ბუშარმა 1799 წ. ფორტ სენ-ჟიულენის აგობის დროს, როსეტის მახლობლად, ნილოსის დელტის დასავლეთ ტოტთან აღმოაჩინა როსეტის ქვა (ინახება ბრიტანეთის მუზეუმში, ლონდონი). მისი საშუალებით ამოიხსნა იეროგლიფების საიდუმლოება. ქვაზე აღმოჩნდა ბილინგუური (ორენოვანი) – ბერძნული და ეგვიპტური – წარწერა.

როსეტის ქვის წარწერები შესრულებულია ძვ.წაღ. 196 წელს და წარმოადგენს ეგვიპტელი ქურუმის პტოლემე V ეპიფანესადმი სამადლობელს.

ეგვიპტური დამწერლობის გამოკვლევას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ეგვიპტელები წერდნენ ყველაფერს: ტაძრებზე, სასახლეებზე, პირამიდებზე, ქანდაკებებზე, სვეტებზე, კოლონებზე, ნივთებზე, პაპირუსებზე... დამპყრობელთა მიერ დატაცებული ეგვიპტური წარწერებით აჭრელეობული კოლონიები და ქანდაკებები ამშვენებდა რომსა და კონსტანტინოპოლს. მაგრამ ქრისტეს შობიდან მოყოლებული, მისი წამკითხველი აღარავინ დარჩა. ყველა, ვინც ცდილობდა იეროგლიფების გაშიფვრას, წარუმატებლად ამთავრებდა თავის შრომას. აღმოჩნდა, რომ მათი მცდელობა მეთოდურად არ იყო გამართლებული – სწავლულები მიაჩნდათ, რომ იეროგლიფები ხატოვანი დამწერლობის ნიმუშები იყო და თითოეული ხატოვანი გამოსახულება რაღაც ცნებას აღნიშნავდა.

პირველი, ვინც უძველესი დამწერლობის გაშიფვრის სხვა გზას დაადგა, ფრანგი ეგვიპტოლოგი ვან ფრანსუა შამპოლიონი იყო. მისი აზრით, იეროგლიფური დამწერლობის თითოეული ნიშანი

ასოს შეესატყვისებოდა და არა რაიმე ცნებას. ამ აღმოჩენამ (1822 წ.) და, შესაბამისად, ეგვიპტური დამწერლობის წაკითხვამ, უდიდესი როლი შეასრულა ეგვიპტოლოგიის განვითარებაში. მოგვიანებით დადასტურდა მეცნიერთა მიერ ეგვიპტური დამწერლობის სამი სახე: იეროგლიფული (გამდიდრებული სურათოვანი ნახატებით), ჰერატული (პაპირუსებზე შესრულებული ქურუმთა დამწერლობა; აქ ძველი, სურათოვანი დამწერლობა იშვიათად გამოიყენებოდა) და დემოტური (დამწერლობის მეტად გამარტივებული ნიშნებით). იგი, გვიან ხანაში, პიერატული დამწერლობიდან წარმოიშვა.

ეგვიპტელები უპირატესობას ანიჭებდნენ მარჯვნიდან მარცხნივ, ჰორიზონტალური მიმართულებით, ანდა ზევიდან ქვევით, ვერტიკალური მიმართულებით წერას.

აღექსანდრე მაკედონელის მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ ბერძნულმა ენამ და დამწერლობამ განდევნა ძველ ეგვიპტური ენა და ადგილობრივი დამწერლობის ყველა ფორმა. ეგვიპტელმა ქრისტიანებმა კი II-III საუკუნეთა მიჯნაზე შემოიღეს ახალი ანბანი, რომელსაც კოპტური უწოდეს. ამ დამწერლობაში 22 ასო ბერძნული იყო, 7 - დემოტური.



სურ. 233. ატონის თაყვანისცემა. ატონის ტაძრის რელიეფი. ახეტატონი (ძვ.წ.აღ-ით XIV ს.).

ეგვიპტური პანთეონის უსენაესი ღვთაებაა. პელიოპოლისური ეგრისის თანახმად, მზის ღვთაება ატონი თავადვე ინაყოფიერებს თავს. ამის შემდეგ პირიდან ამოანთხევს ღვთაებათა წყვილს - პაერის ღვთაებას შუს და ტენის ქალღმერთ ტეფნუტს. თავის მხრივ, შუ და ტეფნუტი ღვთაებათა კიდევ ერთ წყვილს ქმნიან - მიწის ღვთაებას - გაასა და მის მეუღლეს - ნუტს. ისინი კი შობენ მიცვალებულთა ღვთაებას - ოსირისსა და მის მეუღლეს - ისისს (ისიდას), ბოროტების ღვთაებას - სეთსა და მის მეუღლეს - ნეფტისს.

ძველი სამეფოს ხანაში თაყვანს სცემდნენ მზის ღვთაებას - რას, ან ატუმ-რას, ახალი სამეფოს ხანაში კი იგი ამონ-რად იქცა. მზის სიმბოლიკა ძალზე მრავალფეროვანია. მას გამოსახავენ ფრთოსანი დისკოს, ხბოს, აღამინის ან ნავში მჯდომ შავარდნის სახით. რას უძღვნიან მრავალ ჰიმნს. მზეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამყაროს შექმნაში. მზე მოგზაურობს დღისა და ღამის განმავლობაში: როცა დღის ნაგიდან ღამის ნაესე გადმონაცვლებს, მოგზაურობს მიწისქვეშეთში („მიწისქვეშა ნილოსს“ მიუყვება), მას გზად მიცვალებულთა სულელები ეგებებიან. გარიყრაჟისას მიადგება აღმოსავლეთს, პირს იბანს იარიუს ტბაში, ირთვება მეწამული სამოსელით, დღის ნაესე გადაინაცვლებს და ახლად დაბადებული ამოცურდება ცაზე, გაანათებს ქვეყანას... (ა. კლდიაშვილის მიხედვით).

ფარაონები ზეცის მბრძანებლებსაც შეეცილნენ ტახტის დაპატრონებაში. თავიანთ მფარველ ღვთაებად მზისა და ცის ღმერთი - ხორი გამოაცხადეს. V დინასტიიდან კი ფარაონები მზის ღმერთის - რას შეიღებად იქცნენ. მეფისში, განსაკუთრებით კი პელიოპოლისში (ქ. ონომი), ღრმად გაიდგა ფესვი მზესთან დაკავშირებულმა კოსმოგონიურმა შეხედულებებმა. მაგალითად, IV დინასტიიდან აღზევება დაიწყო მზის ღმერთის - რას კულტმა, V



სურ. 234. ძველ ეგვიპტელთა წმინდა ცხოველების პანთეონში საპატიო ადგილი ეკავა ხოჭო-ფუნაგორიას. მსგავსი კულტი დაკავშირებული იყო ამ მწერის ინდივიდთა უნარზე საქონლის ნეხვისაგან გაკეთებინათ ბურთულა და ეგორებიანთ იგი დანიშნულების ადგილისაკენ. ნეხვის ბურთულის მოძრაობა ძველ ეგვიპტელებში მზის დისკოს მოძრაობის ასოციაციას იწვევდა.

დინასტიიდან მზის რელიგია სახელმწიფო რელიგია ხდება (რა, იგივე ატუმი, რა-ატუმი, ამონი, ამონ-რა სხვადასხვა დინასტიაში მზის კულტთან დაკავშირებული ფარაონ-ღვთაებათა სახელებია).

ეგვიპტური მითოლოგიისათვის არანაკლებ დამახასიათებელია ცხოველის კულტი - ტოტემიზმი. ძველ ეგვიპტეში ცხოველები წმინდა არსებებად ითვლებოდნენ, უფრო მეტიც, ნადირ-ფრინველები, ქვეწარმავლები და მწერები ღმერთების თანამგზავრებად და თანაშემწეებად მიაჩნდათ. ისინი ტაძრებში ცხოვრობდნენ, მათ დიდი გულსიყუროთ უვლიდნენ, სიკვდილის შემდეგ ამ არსებათა მუმიფიცირებას ახდენდნენ და დიდი პატივით კრძალავდნენ. ისტორიული განვითარების პროცესში ცხოველების კულტი ხალხთა უმრავლესობაში გაქრა, ეგვიპტეში კი ცხოველების კულტი ფრიად სიცოცხლისუნარიანი გამოდგა. იგი რომის იმპერიის არსებობას ბოლომდე შემორჩა. უთვალავი ღოკალური თუ საერთო-სახელმწიფოებრივი ღვთაება წმინდა წყლის ზომორფულ სახეს ატარებდა.



სურ. 235. ტუტანჰამონის მზის გვირგვინისანი შავარდენი ფარაონის აკლდამიდან, თებე (ძვ.წ. აღ-ით XIV ს.).

გაღმერთებული ცხოველების, უწინარესად, წმინდა ხარის - აპისის - სამარხები, როგორც ითქვა, ნაპოვნია ჯერ კიდევ წინადინასტიურ პერიოდში, მემფისში კი, გათხრებისას, აპისის მთელ სასაფლაოს მიაგნეს. თითქმის ყველა ეგვიპტური ღვთაების მიწიერი განსახიერება იყო რომელიმე ცხოველი: ძაღლი, ტურა, კატა, ლომი, ძროხა. გაღმერთებული იყო შავარდენი, ნიანგი, ბეჟემოთი (ჰიმოპოტამი), ხოჭო ფუნაგორია... მოგვიანებით მოხდა ანთროპომორფიზაცია - ღვთაებებმა ადამიანის სახე შეიძინეს (ადამიანის სხეული, ცხოველის სახით, მაგალითად, ნაყოფიერების ქალღმერთი რენენუტი გველისთავიანი ქალის სახეა...).

ძველ ეგვიპტელთა ფეტიშიზმი ვრცელდებოდა მცენარეებსაც - წმინდა მცენარეებად მიაჩნდათ ლოტოსი და პაპირუსი. დიდ სასწაულად აღიქვამდნენ მცენარეულობის ყოველწლიურ ზეცნობას ან სიკვდილს, შემდეგ კი მათ აღმოცენებას.

ეგვიპტურმა კულტურამ უდიდესი გავლენა მოახდინა მეზობელ ქვეყნებზე, მან საფუძველი მოუ-

ზადა ანტიკურ, უწინარესად, ბერძნულ ცივილიზაციას, და, შესაბამისად, ევროპულ კულტურასა და მეცნიერებას. ბერძნებს ეგვიპტელები თავიანთ მასწავლებლებად მიაჩნდათ.

ძველი ინდოეთი

ინდოეთი უზარმაზარი ქვეყანაა (საერთო ფართობი 4 მლნ კვ. კმ), ხასიათდება რელიეფისა და კლიმატის განსაკუთრებული მრავალფეროვნებით. ინდოეთის ისტორიასა და კულტურაში მდინარეების ინდისა და განგის დაბლობებმა, განსაკუთრებით პირეელმა, ისეთივე როლი ითამაშა, როგორც მდინარე ნილოსმა ეგვიპტისათვის, ხოლო ტიგროსმა და ეუფრატმა - მესოპოტამიისათვის. ნახევარკუნძულზე მცხოვრები ხალხები ენობრივად და ანთროპოლოგიურად დღესაც ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ინდოევროპული და დრავიდული. ეს უკანასკნელები, როგორც ჩანს, ინდოეთში უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ. ზოგიერთი სპეციალისტი დრავიდებში შუმერების მონათესავე ეთნიკურ ელემენტს ხედავს.

ძველი ინდოეთი კულტურა დაახლოებით ძვ.წ. აღ-ით III ათასწლეულიდან ახ.წ. აღ-ით VI საუკუნემდე არსებობდა. ძველი ინდოეთის ისტორია ორ დიდ პერიოდად იყოფა: 1. პარაპის ცივილიზაციის ხანა (ძვ.წ. აღ-ით 2500-1800), მისი ფორმირება მოხდა მდინარე ინდის აუზში. 2. არიული პერიოდი. იგი მოიცავს ინდოეთის ისტორიის შემდგომ ხანას და ნახევარკუნძულზე არიელთა განსახლებას უკავშირდება. პარაპის ცივილიზაცია, ხშირ შემთხვევაში, წინ უსწრებდა ეგვიპტის, მესოპოტამიისა და კრეტის ცივილიზაციებს. ამ ცივილიზაციის ცენტრი იყო ქალაქები პარაპა (პენჯაბი - დღევანდელი პაკისტანის ტერიტორიაზე) და მოქენჯო-დარო (სინდში).




სურ. 236. გათხრები მოქენჯო-დაროში, საერთო ხედი (1920-1926).

მოქენჯო-დაროს (სინდიელთა ენაზე - მიცვალებულთა ბორცვს), პარაპის ცივილიზაციის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი იყო. აღმოაჩინა ინდოელმა არქეოლოგმა რ. ბანერჯიმ ('შვისწავლეს ინგლისელმა არქეოლოგებმა). მოქენჯო-დაროს გამოკვლევის საფუძველზე დადგინდა პარაპის ცივილი-

ზაციის ძირითადი ეტაპები და დამახასიათებელი ნიშნები.

პარაპი უძველესი ქალაქი იყო მდინარე ინდის ველზე. იგი მოჰენჯო-დაროსთან ერთად ინდოეთის ცივილიზაციის მთავარი ცენტრია. ორივენი თანაბარი უფლებების მქონე დელაქალაქებად ითვლებიან. პარაპის აყვავების ხანაა ძვ.წ.აღ-ით 2500-2300 წლები (არსებობდა ძვ.წ.აღ-ის 1600-1500 წლებამდე). ამ კულტურის მქონე ქალაქები ინდოეთში მოგვიანებით სხვაგანაც, მათ შორის მდინარე განგის ველზედაც აღმოცენდნენ. ქალაქების კეთილმოწყობით აღემატებოდნენ მესოპოტამიასა და ეგვიპტის ცივილიზაციებს, თუმცა არ არის აღმოჩენილი მონუმენტური სკულპტურისა და ფერწერის ნიმუშები.

პარაპის ცივილიზაცია ხასიათდება ავტოქტონურობით. ჩამოყალიბდა ადგილობრივი სამიწათმოქმედო კულტურის საფუძველზე. საეაგრო და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებთან, კავკასიასთან და ევროპასთანაც კი. წინ უსწრებდა არიელების მოსვლას ინდოეთში. ჰქონდათ ხატოვანი დამწერლობა. ენას აკუთვნებენ დრავიდულ ენათა ჯგუფს. ცნობილი ინდოელი არქეოლოგის დ. კოსამბის აზრით, პარაპის ტიპის ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი იყო ქურუმთა მმართველობა.




სურ. 237. ცხოველის (სამილო) გამოსახულება პიქტოგრაფიული წარწერით (სამეფო საბეჭდავიდან); პარაპი.

მდინარე ინდის ხეობაში არსებული ქალაქური ცივილიზაციის საფუძველს საკმაოდ კარგად განვითარებული მიწათმოქმედება და მეცხოველეობა წარმოადგენდა. მიწას ამუშავებდნენ კავიანი სახნისით, ხის კავითა და თოხით. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ალბათ, ბრინჯიც, ფინიკი, ნესეი, ბამბა, განვითარებული იყო მებაღეობა და მებოსტნეობა. ხელოვნური ირიგაციის კვალი არ არის აღმოჩენილი. ამ ცივილიზაციის დასრულების შემდეგ ინდისა და განგის დაბლობებს არიელთა ტომები დაეპატრონნენ. წარჩინებული სოციალური ფენა თავს „არიელებს“ – კეთილშობილებს უწოდებდნენ. ინდოეთში შეიჭრნენ ავღანეთისა და შუა აზიის ტერი-

ტორიიდან. მათ შეიტანეს ინდოეთში რკინის იარაღი, ბრინჯისა და შაქრის ჭარხლის კულტურები.

არიული ენა – ვედური სანსკრიტი – ინდოევროპულ ენათა ჯგუფს განეკუთვნება (ახლო დგას ძველსპარსულთან). ინდოეთში არიელების გამო-



სურ. 238. ბუდისტური ტაძრის ჩრდილოეთი პორტალი ჩანჩაში (ახ.წ.აღ-ის I საუკუნის დასაწყისი).

ჩენას უკავშირებენ რიგედას ჰიმნების (ვედები) შედგენის პერიოდს (ძვ.წ.აღ-ით 2500-2000). ვედები შესრულებული იყო ვედურ ენაზე, რომელიც სანსკრიტის უძველეს ფორმას წარმოადგენს. ამ ლიტერატურამ საფუძველი მოუზადა ინდოეთის თეოლოგიას, ფილოსოფიასა და მეცნიერებას. ვედიზმი ხასიათდება მრავალღმერთიანობითა და ანთროპომორფიზმით. ძვ.წ.აღ-ის I ათასწლეულში ვედების რელიგიამ განიცადა ტრანსფორმაცია ჯერ ბრამანისმად, შემდეგ ინდუიზმად. განსხვავებით ქრისტიანობის, მაჰმადიანობისა და ბუდიზმისაგან, ინდუიზმს საფუძვლად არ უდევს რომელიმე წინასწარმეტყველის ქალაქება.

ინდოეთში იგი ყველაზე გავრცელებული რელიგიაა (აღიარებს მისახლეობის 83%).

ძვ.წ.აღ-ის VI საუკუნეში ინდოეთში ჩაისახა სამი მსოფლიო რელიგიიდან უძველესი – ბუდიზმი. ამ რელიგიის საფუძველი ბუდას მიერ აღმოჩენილი ოთხი ჭეშმარიტებაა. ამ შეგონების თანახმად, ცხოვრება ტანჯვაა, რისი მიზეზი თვით ადამიანის ამპარტავნობა და ამბიციური მოთხოვნილებებია. მათგან გათავისუფლება შეიძლება ქვენა გრძნობების ჩახშობით, საკუთარ თავში ჩადრმავეებითა და თვითსრულყოფით.

ძვ.წ.აღ-ის 261 წელს ბუდიზმი ინდოეთში ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა. ამ დროიდან იწყება



სურ. 239. მჯდომარე ბუდა (სარჩატი, ახ.წ.ად-ის V ს.).

ბუდას – ადამიანის პროტოტიპის, მაგრამ ღმერთის ქანდაკებებისა და ბუდისტური ტაძრების აგება.

ახ.წ.ად-ის VIII საუკუნეში, სამხრეთ ინდოეთში, XII საუკუნეში კი ჩრდილო ინდოეთშიაც ბუდიზმი შეავიწროვა და შეცვალა ინდუიზმმა, XIII საუკუნიდან ქვეყანაში ისლამაც დაიდო ბინა. პირიქით მოხდა აღმოსავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში (მონღოლეთი, ნეპალი, ტიბეტი, კორეა, იაპონია, ჩინეთი, ვიეტნამი...). ბუდიზმმა შეცვალა სხვა რელიგიები და გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა. ბუდას კლასიკურ პოსად მიღებულია ლოტოსის ყვავილზე ფეხმორთხმით მჯდარი ბუდა. რელიგიასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ფილოსოფიური აზროვნება, მან

ქვეყანაში მაღალ დონეს მიღწია. ფილოსოფიურ მიმდინარეობებს შორის აღსანიშნავია ნია, მიჩანსა, იოგა და სხვ. ერთდროულად წარმატებით განვითარდა სხეულისხევა მეცნიერება: მათემატიკა, ასტრონომია, მედიცინა, ლინგვისტიკა, ძველმა ინდუსებმა გამოიგონეს ჯადრაკი.

ძვ.წ.ად-ის V-IV საუკუნეებში ინდოეთში ძველი ევლური ლიტერატურის საფუძველზე შეიქმნა საკუთარი დამწერლობა – სანსკრიტი. ამ ენაზე დაწერილი ცნობილი ფილოსოფიურ-ეპიკური „მაჰაბჰარატა“ და „რამაიანა“. პირველს საფუძველად უდევს ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების იდეა, მეორეს – სიყვარულის თემა (უფლისწული რამას თავგადასაუღლები, რომელიც შეყვარებულის – სიტას ძებნის დროს გადაახდა თავს).


ინდოეთში ესოდენ თავისებური ციკლისა და თეატრალური ხელოვნების ტრადიციები ძველი ინდური ტომების საკულტო წესჩვეულებებიდან აღებს სათავეს. ტრაქტატ „ნატიაშასტრაში“ ნათქვამია: „მუსიკა – ბუნების ხეა, მისი ყვავილობა კი – ციკლია“.

ინდოეთის კულტურამ უდიდესი გავლენა მოახდინა, უწინარესად, აზიის ქვეყნებზე.

ძვ.წ.ად-ით VI საუკუნეში ინდოეთი დაიპყრეს სპარსელებმა (შეწყები – ქიროსი II და დარიოს I), მოგვიანებით კი (ძვ.წ-ით IV ს., 326 წ.) – ალექსანდრე მაკედონელმა. ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ მაკედონელის ელვისებურმა შეჭრამ ინდოეთში არაერთარი გავლენა არ იქონია არც ინდოელთა კულტურაზე და არც სოციალურ ინსტიტუტებზე.

ხორბალი, მდინარეთა დელტები და უძველესი ცივილიზაციები

ქრონოლოგიურად, ხორბლის კულტურის დაწერგვა უძველესი ცივილიზაციის მქონე ქვეყნებში შემდეგნაირად ხდებოდა: ნილოსის ველი – ძვ.წ.ად-ით 5000 წ., ეფრატისა და ინდის – ძვ.წ.ად-ით 4000 წ., ჩინეთი – ძვ.წ.ად-ით 2500 წელი.



სურ. 240. მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სამი მდინარისპირა, უძველესი ცივილიზაციების რუკა.

მიწათმოქმედებასთან და, უწინარესად, სწორედ გარეული ხორბლის კულტურაში დანერგვამ განაპირობა ადამიანის ცივილიზაციის ახალ ეტაპზე – ცხოვრების მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა. არქეოლოგთა მონაცემებით, ამ, ე.წ. „მდინარეული ცივილიზაციების“ აღმოცენება მოხდა მშრალი (არიდული) კლიმატის ქვეყნების მიწებზე მიმდინარე მდინარეთა ნაპირებსა და დელტებში. ესენია: ნილოსი, ტიგროსი, ეფრათი და ინდი. ყველა მათგანის ირგვლივ, სანაპირობთან გადაშლილია მზით გამომწვარი, უნაყოფო მიწები – უდაბნოები. ნილოსის დასავლეთით, ათასობით კილომეტრი უკავია საჰარას, ამავე მდინარის აღმოსავლეთით – ნილოსისა და წითელი ზღვის ვიწრო ზოლიც – უდაბნოი ვიწრო, მაგრამ გრძელი ზოლითაა დაკავებული; წითელ ზღვასა და ეფრატს შორის გადაჭიმულია არაბეთის ევებრთელა უდაბნოები; ეფრატ-ტიგროსსა და ინდს შორის, კვლავ ვრცელი ტერიტორია უკავია ირანისა და პაკისტანის ნახევარუდაბნოებსა და უდაბნოებს. მდინარე ინდს აღმოსავლეთით ისევ უდაბნოები (ინდოეთის) ეკერის. ნალექებით ამ ღარიბ რეგიონებში, მდინარეთა წყლები იკვებებიან მათ სათავეებში წამოსული წვიმების ხარჯზე, რაც მდინარეთა ქვედა წელის პერიოდულ აღიდებას იწვევს.

შეიძლება რამდენადმე მეტაფორულად არის ნათქვამი, მაგრამ ფაქტია: აღიდებულ მდინარეთა სანაპირო შლამზე დათესილმა ხორბლის მარცვალმა წარმოქმნა დედამიწის პირველი, წინასწარი დაგეგმარებით აგებული ქალაქი-სახელმწიფოები ონი (პელიოპოლისი) ნილოსის დელტაში, ური – ეფრატის სანაპიროსთან და მოქნჯო-დარო – ინდის სანაპიროსთან. ყველა მათგანი უკვე ყვაეოდა ძვ.წ.ად-ით 4000 წელს.

მიწათმოქმედების საძირკველზე აღმოცენებულ პირველ ცივილიზაციად ეგვიპტეს მიიჩნევენ, მაგრამ 1926 წელს ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო – ძვ.წ.ად-ით 4000 წლისთვის შუმერული ცივილიზაცია ეგვიპტელებზე მადლად მდგარა. დიახ, შუმერი გამოდიოდა ახლო აღმოსავლეთის „ძველი საბერძნეთის“ როლში და, შესაბამისად, სწორედ ის არის აღმოსავლეთ ნახევარსფეროსა და, შესაძლებელია, გლობალური ცივილიზაციების პირველწინაპარი.

ზედმეტია იმაზე საუბარი, განვითარების რა მწვერვალზე მიაღწია ადამიანმა უკანასკნელი 6000 წლის განმავლობაში, მაგრამ ძვ.წ.ად-ით 4000 წლის წინათ აღმოცენებულ უძველეს კულტურებს წინ უსწრებდა „მოსამზადებელი პერიოდი“, რომელიც მოიცავს დროს ძვ.წ.ად-ით 7000-4000 წლებს შორის. დიახ, სწორედ ამ სამი მილენიუმის განმავლობაში მომზადდა პირობები აგრეთვე კულტურული რევოლუციისათვის, რამაც სულ სხვა იერსახე მისცა პლანეტა დედამიწას.

პალეო- და მეზოლითური ეპოქების შემდეგ, დიდ მდინარეთა ავტოქთონურმა მოსახლეობამ ისწავლა მიწასთან ისეთი ურთიერთობა, რომელიც


მას არსებობის დიდ გარანტიას აძლევდა.

იმავე ეპოქაში, მიწათმოქმედებასთან ერთად მკვიდრდება განვითარებული მეცხოველეობა. იმის მაგიერად, რომ მის ირგვლივ არსებული ცხოველები გამუდმებით ედევნა და ეხოცა, ადამიანმა ძირფესვიანად შეცვალა მათთან დამოკიდებულება – მტრობა გადაიხარდა ურთიერთსასარგებლო თანაცხოვრებაში, ადამიანი იცავდა და უვლიდა, თავის საცხოვრებელთან ამრავლებდა მათ. მსგავს ურთიერთდამოკიდებულებაში უდიდესი როლი ითამაშა ადამიანის იმ უნიკალურმა უნარმა, რასაც აზროვნება ჰქვია. თავისი კეთილდღეობის პროგრესის დიდ გარანტს წარმოადგენდა მისთვის სასურველი, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების გამოყენება. ამიერიდან ადამიანი აღარ იყო დამოკიდებული ბუნების სტიქიურ ძალეზე. 9000 წლის წინათ, ველური მარცვლოვნებიდან კულტურული ხორბლეულის მიღებით, ადამის მოდგამმა იპოვნა გასაღები თავისი მომავალი კეთილდღეობისათვის. შეიძლება რამდენადმე სადავო იყოს, თუ ვინ, როდის, ანდა ვინ, სად მოიწია პირველად პური არსობისა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: სწორედ პურის თავთავე აღმოცენდა სამი დიდი მდინარის სანაპიროთა თუ დელტათა ცივილიზაციები.

ველური მარცვლოვნები გახდნენ ადამიანთა ჭეშმარიტი ცივილიზაციის ბალაქარის ჩამყრელი! ასეთია ისტორიის მიერ გამოტანილი „ვერდიქტი“. არქეოლოგიური კვლევით დადგინდა, რომ ხორბალი, ქერი და ფეტვი იყო ის პირველი ველური მარცვლოვნები, რომლებიც საკვებად გამოიყენა წინასტორიულმა ადამიანმა, მოგვიანებით ათეისებულ იქნა ველურად მოზარდი ჭვავი, შერია და ბრინჯი. ეგვიპტის დელტის აბორიგენმა მოსახლეობამ პირველი მარცვლოვნების სახით გამოიყენა ხორბალი და ქერი, ეფრატში კი ფეტვის ათვისება რამდენადმე უსწრებდა ხორბალსა და ქერს, ინდის ხეობაში ხორბალსა და ქერს ერთდროულად იყენებდნენ. როგორც დღეს, ისე წარსულში, გლობალური მასშტაბით, ხორბალს ღირსებით ვერცერთი მარცვლოვანი ვერ უწევს მეტოქეობას. ველური ხორბალი და ქერი დღემდე ხარობს შედარებით მცირე არეალში. ეს ტერიტორია მოიცავს გეოგრაფიულ სივრცეს პალესტინიდან (ჰერმონის მთა), ეიდრე აღმოსავლეთით ცენტრალური ირანის, მცირე აზიისა და სამხრეთ კავკასიის ჩათვლით.

პურის მარცვლის პირველობა გამოიხატება იმაში, რომ იგი შეიცავს წებოვან მცენარულ ცილას, რაც პურის გამოცხოვას უწყობს ხელს. ამდენად, კიდევ ერთხელ ეუსეამთ ხაზს იმ ჭეშმარიტებას, რომ ხორბლისგან გამომცხვარი პური ცივილიზაციის საფუძველია. ამიტომ აღიარა კაცობრიობამ იგი სიცოცხლის ერთგვარ სიმბოლოდ. კვებითი სპეციფიკისათვის თვალსაზრისით ადამიანი იმთავითვე ხორცისმჭამელი უფრო იყო, ვიდრე მცენარის, შესაბამისად, ჩვენი მოდგმის კეუბით რაციონში წამყვანი ადგილი მაინც ხორცის

შემცველ საკვებს – ზოგიერთ ფრინველთან ერთად, ძირითადად საკონელს, ცხვარს, თხასა და ღორს ეკავა. სწორედ ამ ცხოველთა ნამარხი ძეგლებია აღმოჩენილი ადამიანის უძველესი ცივილიზაციის კერებში. იგივე ითქმის ცხოველთა მოშინაურების პირველ ნაბიჯებზედაც, რაც ასე თვალსაჩინოდ არის გამოხატული დღემდე შემორჩენილ უძველეს სკულპტურებსა და ფრესკებზე, ტაძრებისა და აკლდამების კედლებზე. აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების ამ პირველ ნიმუშებში, ქრონოლოგიურად, ხარის შემდეგ დახატულია სახედარი; ცხენი ფიგურირებს 1000 წლის მოგვიანებით, ხოლო აქლემი – კიდევ უფრო გვიან.



სურ. 241. ეგვიპტე. ძროხის მწველაი. დედოფალ კავიტის სარკოფაგის რელიეფი. დეირ-ელ-ბაჰარი (ძვ.წ. აღ-ით XX ს.).

ძველი ეგვიპტის ადრეულ ფრესკებზე გამოხატულია მეწველი ძროხა, რომელსაც უკანა ფეხები თოკით აქვს შეკრული. ასე უნდა აეცილებინა თავიდან მწველაეს მოშინაურებული პირუტყვისაგან წიხლის კერის არასასიამოვნო ინციდენტი. წველის პროცესში, სიმშვიდე რომ შეინარჩუნოს, ძროხას წინ უყენებდნენ ხბოს. ამ წესს დღესაც ასე მიმართავენ საქმეში ჩახედული მესაქონლეები.

მატეატრული ნიუთმტიცივებანი ადასტურებს, რომ სამ დიდ მდინარისპირა ცივილიზაციებში, ზემოთ ჩამოთვლილ ცხოველთა მოშინაურების პროცესი მიმდინარეობდა ველურ მცენარეთა გაკულტურების პარალელურად.

კაცობრიობის განვითარებაში მორიგი რევოლუციური როლი ბორბლის გამოგონებამ შეასრულა. ადამიანმა ისწავლა ქარის, წყლის, ელექტრონის, ატომის ენერჯიათა გამოყენება, მაგრამ ბორბალი, რომლის მსგავსი ადამიანამდე არაფერს და არაეის შეუქმნია, დღემდე შეუცვლელია.

როგორც ითქვა, პირველი ბორბლიანი ტრანსპორტი ხმარებაში შეიტანეს შუმერებმა. შუმერთა მიერ დატოვებული ნახატების მიხედვით, ოთხბორბლიანი ურმის მსგავს მოწყობილობაში შემული აყვადათ სახედარი. რამდენადმე მოგვიანებით იგივე სახედარი შებმულია უკვე ორთავალა ურიკაში, შემდეგ ასეთივე ურიკას მიაგორებს ცხენი. არც ხარშებმული ურიკებია იშვიათობა უძველეს მხატვრობებსა და სკულპტურებში.

მიწათმოქმედ ადამიანის დიდ გამოგონებლობათა რიცხვს მიეკუთვნება სახნისი. ადრე ევრაუდობდნენ, რომ სახნისის დამზადებას ბიძგი მისცა თოხმა. შემდეგ ეს შეხედულება შეიცვალა. სახნისის წინამორბედი იყო მიწის საჩისქნი, წაწვეტებული ჯოხი. მსგავსი ინსტრუმენტით, პრიმიტიულად მაგრამ მაინც იყო შესაძლებელი ნიადაგის სედაპირის დამუშავება. მსგავს წესს დღემდე მისდევენ სამხრეთ ამერიკის მთაში მცხოვრები ინდიელები. შესაძლოა, ხენის პირველი პროცესი გამოიყურებოდა სწორედ ისეთი სახით, როგორც ეს ეგვიპტის კედლის მხატვრობაშია გადმოცემული. ხის სახნისს მიათრევენ ამ სასოფლო-სამეურნეო იარაღის წინ მდგომი ადამიანები, უკან მდგომნი კი, მიწიდან ამოყარდნილ სახნისს გულმოდგინედ აწევიან. ქრონოლოგიურად უფრო გვიან, ეგვიპტური ხელოვნების ვეელა ნიმუშის მიხედვით, სახნისში შებმულება ხარიცა და სახედარიც. სხვა სურათში, ხენის პროცესის პარალელურად, ეგვიპტელი მეურნე კაცი უკვე მარცვალსაც თესავს.

ქვასე ამოტიფრული ნახატის მიხედვით, ბაბილონელები ამ საქმეში გაცილებით წინ წასულან. მათ გამოიგონეს მარცვლის მექანიკურად მოესეული ხელსაწყო, რომელიც დამატრებულია საქონელსა და სახნისს შორის. ეს უკვე ხორბლის მთესველი თანამედროვე მანქანის შესანიშნავი ანალოგია.

მარცვლეულის თესვის არამცთუ შუმერული, არამედ მასზე გაცილებით მარტივი ეგვიპტური ანალოგი შემორჩა შუა საუკუნეებშიაც. დაახლოებით 1550-იან წლებში ესპანელებმა მექსიკაში შეიყვანეს ხარი. სხვა საგნებთან ერთად ოკეანის გადაზომხედა წინასტორიულის მსგავსი კავიცი. ხის მსგავს, უხეშ კავებს არიზონასა და ჩრდილოეთ მექსიკის ინდიელები იყენებდნენ 1900-ნი წლების ჩათელით. მათი ნიმუშები გამოყვნილია ამერიკის ბუნების მუზეუმში. ზოგიერთი კავი გამართული იყო ქვის პირით, რაც იმის ნათელი მაგალითია, თუ ქვის ხანისათვის დამახასიათებელი ნიშნები რა დიდხანს შემორჩა დედამიწის თვით მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში.

ნილოსის შლამიან სანაპიროზე ძველი ეგვიპტელები, თესვის მეორე მეთოდსაც მიმართავდნენ. მარცვალმიმოფანტულ ნიადაგზე გადაატარებდნენ ცხერის ან საქონლის ჯოვს. ასეთი წესით თესლი ადვილად უჩინარდებოდა ნიადაგში და ფრინველებს საკენკარ ადარ რჩებოდათ. ნიადაგი აქ ხელოვნურ განაყოფიერებას არ მოითხოვდა. მომდევნო წელს ადიდებულ ნილოსს ხელახლა მოჰქონდა შლამის ნაყოფიერი ფენა.

ადამიანის განვითარების რთულ, მაგრამ ცხოველთა სამყაროში სრულიად უნიკალურ გზაზე, სასოფლო-სამეურნეო რევოლუციას წინ უძლიადა სხვა, უფრო მარტივი, მაგრამ არსებითი ხასიათის აღმოჩენები.

ადამიანის განსაკუთრებული მიხედრილობის უნართაგან პირველი, ალბათ, ცეცხლის ხელოვნურად დაუფლება უნდა ვახსენოთ; ქვის ნაჯა-

ხისათვის ხის ტარის მორგება შემდეგ უდიდეს წარმატებათა რიცხვს უნდა მიეწეროს; შუბის ტარზე კაუის, ანდა ცულის პირის ტარზე თოკის მსგავსი საგნის დამზადება პროგრესის კიდევ ერთი დასტურია. გამოგონებათა აღმავლობის გზაზე უნდა დავასახელოთ ნემსიც.

მსგავს ტექნიკურ ნოვაციებს მოჰყვა პრეისტორიულ არსებაში ხელოვნების ფენომენის გაღვივება. ადამიანმა ისწავლა სხეულის სხვადასხვა საგნებზე სათანადო ხაზების გავლება, თიხისგან, ძელისგან, ქვისგან ცხოველთა და ადამიანის ფიგურების დამზადება, ფერადი ნახატების შესრულება, სივრცის გააზრება და, შესაბამისად, კომპოზიციების შექმნა. ნეანდერტალელებისგან განსხვავებით, მიცვალებულის სარკოფაგში, ანდა მისგანს საცავში დასაფლავება ამტკიცებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ადრეული ადამიანი რელიგიურ ფილოსოფიამდე ამაღლდა.

... ყველაფერ ამას „დიდ მდინარეთა“ ცივილიზაციამდე ჰქონდა ადგილი.

ჯერ კიდევ ქვის ხანაში ჩვენი მოდემის წარმომადგენელთა მიერ მიღწეული წარმატებები თავისთავად ღაღადებდნენ ადამიანის ინტელექტის შესაძლებლობებზე. უკვე ნეოლითურმა კულტურამ მოამზადა ნიადაგი ადამიანის ცივილიზაციის შემდგომი აღმავლობისათვის, რაც უკანასკნელი 6000 წლის განმავლობაში, მართალია, ეტაპობრივად, მაგრამ თავებრუნამხევეი სისწრაფით განვითარდა.

მსგავსი მიმოხილვის შემდეგ შეუძლებელია არ დაგვებდოს კითხვა, რატომ მაინცდამაინც გაავრცარებულ უდაბნოთა არშითთ გარშემორტყმულ მდინარეთა დელტებთან მოხდა კაცობრიობის ცივილიზაციის მსგავსი აღმავლობა? როგორც ცნობილია, ზემოთ დასახელებული მდინარეები წელიწადში ერთხელ მაინც რეგულარულად დიდდებიან. მდინარეთა კალაპოტში წყლის დონის დაწვეის შემდეგ, მათ სანაპიროებთან, მით უმეტეს დელტებში, დიდძალი შლამი გროვდება. ქეიშისა და ქვის გაავრცარებული უდაბნოს გვერდით წარმოიქმნება მცენარეთა განვითარებისათვის უაღრესად ნაყოფიერი გარემო. ერთდროულად, როგორც ითქვა, ახლო აღმოსავლეთის დასახლებული რაიონები ადამიანის საკვებად ვარგისი, უმნიშვნელოვანესი კულტურების წარმოშობის ცენტრს წარმოადგენენ, იქვე ბინადრობდნენ პოტენციურად მოსამზნაურებელ ცხოველთა უმრავლესობაც. წინასტორიულ პერიოდში, მოშინაურებამდე, ეს ცხოველები ზემოთ ჩამოთვლილ მდინარეთა ხეობებსა და დელტებში პოულობდნენ უხვ საკვებს მაშინაც, როდესაც გარშემო ტრამალები, ხვატის გამო, მცენარეულობით ღარიბდებოდა. როდესაც გვიანი ქვის ხანის მომთაბარე, მონადირე და შემგროვებელი ადამიანი, სულის გასატანად უმისამართოდ დაეხეტებოდა, იგი დარწმუნდა, რომ მდინარეთა დელტებში წლის ყველა დროს შეიძლებოდა ნადირ-ფრინველზე ნადირობა.

არსებითა ის გარემოებაც, რომ ბალნის საფარს

მოკლებული, ორ ფეხზე მოსიარულე პრიმატისათვის, რომელიც ოფლის სახით ორგანიზმიდან წყალს ასე ჭარბად კარგავს, საცხოვრებლად მდინარისპირა გარემო აუცილებელი იყო.

გარეული მცენარეები, გარეული ცხოველები, ველური ადამიანი – ეკოლოგიურად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, კეებითი ჯაჭვის ცალკეული რგოლებია.

თითოეულ მათგანს არსებობა უხდებოდა გვერდიგვერდ, საცხოვრებელი გარემო კი მდინარეთა საარსებოდ ვარგისი ვიწრო ზოლი იყო. და მაინც, ეს გარემო არ წარმოადგენდა წყლის აღივსებულ სტიქიაში მოხვედრილ ბუნებრივ ტივს, რომელიც ბედის ანაბარა სადღაც მიექანება.

უდაბნოებით შევიწროებულ მდინარეთა ჭალებს და მათ ბინადართ, როგორც საბინადრო გარემოს, პირველყოფილმა ადამიანმა ადვილად აულო ალლო. ათასობით წლების განმავლობაში, აფრიკის სავანებიდან დაწყებული, დასავლეთ აზიის ტრამალების ჩათვლით, იგი გამოიწროო მტაცებლებთან ბრძოლაში. ამიტომ, მოგვიანებით, როდესაც იგი დიდ მდინარეთა ჭალებში მწყემსურ ანუ პასტორალურ ცხოვრებაზე გადავიდა, კარგად იცოდა, თუ როგორ დაეცვა მშვიდობიანად მძოვი პირუტყვი ღომისა და სხვა ხორცისმჭამელებისგან.

იქვე, მდინარეთა დელტების ნოყიერ ნიადაგზე, ბუნება გამოდიოდა შესანიშნავი აგრონომი-მასწავლებლის როლში. იგი იძლეოდა თვალსაჩინოების ბრწყინვალე მაგალითებს, თუ გამომშრალი მიწებით გარშემორტყმულ, ბუნებრივ საირიგაციო სავანეებში, როგორ დათესილიყო და მორწყულიყო ველური მარცვლოვნები.

ამგვარად, უდაბნოებით ერთმანეთისაგან იზოლირებულ მდინარეთა სანაპირო სივრცეებზე, ერთგვარ ჩაკეტილ გარემო სისტემებში, ნებით თუ უნებლიეთ ერთმანეთთან მჭიდროდ შეხება ჰქონდათ მცენარეს, მცენარით მეკვდესა და მის მომხმარებელს. ასეთ ვითარებაში ადამიანს თავისი უფლად შეეძლო თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა როგორც ველური მცენარეები, ისე „შეამხანაგებოდა“ მცენარისმჭამელებს – მომავალ შინაურ პირუტყვს.


ათასობით წლების განმავლობაში უთავებოლო ხეტიალის შემდეგ, სამი მდინარის სანაპიროებისა და დელტების სახით, პრეისტორიული ადამიანი აღმოჩნდა ეკოლოგიურად უაღრესად ოპტიმალურ გარემოში. საარსებო ოპტიმუმის ფარგლებში კი ნებისმიერი სახეობის პოპულაცია დემოგრაფიულ ბუმს, აღმასვლას განიცდის. ცხადია, გამონაკლისი არც ადამიანი იქნებოდა. პირიქით, ადამიანი, როგორც ინტელექტუალური არსება, მაქსიმალურად, შემოქმედებითად, გამომგონებლური პრინციპებით მიუდგა და გამოიყენა მისთვის ესოდენ მოხერხებული, ლოკალური გარემო პირობები. ასეთ ვითარებაში უნდა დაეუწყათ, არამ ადამიანის რიცხოვნობა იზრდებოდა არა არითმეტიკული, არამედ გეომეტრიული პროგრესით. მსგავსი პროცესი,

ქველი ეგვიპტისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონებში უნდა დამთავრებულიყო ქალაქების აღმოცენებით, საქონლის მომრავლებითა და პირუტყვის, მარცვლოვნების ჯიშობრივი გაუმჯობესებით. როგორც ჩანს, დიდ მდინარეთა ხელის შეწყობით, კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ეს იყო გარდაუვალი პროცესი და ჩვენმა შორეულმა წინაპარმა განახორციელა კიდევაც იგი!


... და როდესაც ეგვიპტურ, შუმერულ და ცივილიზაციის სხვა ცენტრების ნაგებობათა კედლებზე, სხვადასხვა საგნებზე ეხედავთ ეტლებზე ამხედრებულ მეფეთა, სხვა დიდებულთა მიერ ღომების, ეელური ჩლიქოსნების შემშუსერელ ეპიკურ სცუნებს, მსგავსი სურათები გაგებულ უნდა იქნას არა მხოლოდ როგორც სანადირო ბატალიები. მეტწილად, მსგავსი შერკინებები, უნდა გამოხატავდნენ სიმბოლურ ორთაბრძოლებსაც, სადაც ადამიანმა ომი გამოუცხადა მტერს, რომლისგანაც იცავდა თავისი კეთილდღეობის წყაროს – საქონელსა და პურეულთა ჯეჯილს! ცხადია, მსგავს ბატალიებში უნდა ვიგულისხმობთ ცხოვერების მომთაბარე, ნომადური წესით მცხოვრები ტომებისგან თავის დაცვაც, რომლებიც არა მხოლოდ შური თვალით უყურებდნენ უკვე განსწავლულ მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა კეთილდღეობას, არამედ მზად იყვნენ დაპატრონებოდნენ ადგილობრივთა სოფლებით, ქალაქებით დამშვენებულ მიწებს. ადამიანთა მოღვმის ერთ ნაწილს სისხლის ფასად უჯდებოდა ცივილიზაციის საკუთარი მონაპოვრის დაცვა-შენარჩუნება.

... ყველაფერი ეს მოსაზრებების, პიპოთეზების დონეზე შეიძლება დარჩენილიყო, მაგრამ, საბედნიეროდ, მსგავსი შეხედულებები დასტურდება მეცნიერთა გამოკვლევებით.

ზემოთ განვიხილეთ სამი მდინარის უძველეს ხალხთა ცივილიზაციის აღმავლობის შესაძლო გზები, მიზეზები, ტენდენციები. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორ შეიძლება გავეიგოთ ტერმინ „ცივილიზაციის“ მნიშვნელობა? იქნებ ამ სიტყვის ეტიმოლოგია ყველაზე უკეთ შეესატყვისება სწორედ პომო საპინსის შემდეგ ქმედებას – ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებასთან ბრძნულ ინტეგრაციაში.



სურ. 242. ეგვიპტელის საბრძოლო ეტლი.



სურ. 243. ასურეთი. „მომაკედავი ძე ღომი“. ასურბანიფალის სასახლის რელიეფი. ნინეფია (ძვ.წ.აღ-ით 669-663 წწ.). (ორიგინალი გამოკვეთილია კირქვაში).

ციას, მის მიერვე მოშინაურებულ ცხოველთა, გაკულტურებულ მცენარეთა და საირიგაციო სისტემის სწორ გაძლოლას?...

ქველი ჩინეთი

როგორც ცნობილია, არქანთროპებისა (კერძოდ, სინანთროპები) და პომინდთა მიერ დატოვებული არტეფაქტები ჩინეთის ტერიტორიაზე მოიპოვებულია თითქმის მთელი ქვის ხანის განმავლობაში. ამიტომ პომო საპინსის განვითარებამ აქ ყველა კლასიკური ეტაპი განვლო. შესაბამისად, ძვ.წ.აღ-ით II ათასწლეულში სხვა ძირძველი, მდინარის-პირული ცივილიზაციების მსგავსად, ჩინეთში შეიქმნა ცივილიზაციის უძველესი და უმძლავრესი კერები. მათ უდიდესი როლი შეასრულეს კაცობრიობის ისტორიაში. პირველ რიგში, ეს მდინარე ხუანხეს აუზში ჩასახულ ცივილიზაციაზე ითქმის. დასავლეთ ჩინეთისაგან განსხვავებით, სადაც ჰაეა მკაცრი კონტინენტურობით გამოირჩევა (ხანგრძლივი, ცივი ზამთარი, ცხელი, მოკლე ზაფხული), აღმოსავლეთში ჰაეა გაცილებით ხელსაყრელია სოფლის მეურნეობისათვის. პლეისტოცენის პირველ ნახევარში (2-1 მლნ წ. წინათ) ამ მხარის დიდი ნაწილი ტყეებით იყო დაფარული.

ბერე ენაზე (მათ შორის ქართულში) ამ ქვეყნის სახელწოდების – „ჩინეთი“ ძირი – „ჩინ“ – გამომდინარეობს ძველი ჩინეთის ერთ-ერთი სამეფოს – ცინის – სახელიდან.

ჩინეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყველაზე ადრინდელი კულტურის ძეგლები ძვ.წ.აღ-ით V-III ათასწლეულს განეკუთვნება, მაგრამ ჩინური ცივილიზაცია, ამ ტერმინის ფართო გაგებით, უფრო გვიან (ძვ.წ.აღ-ით II ათასწლეული) ჩაისახა. გარდა ამისა, I ათასწლეულის შუა პერიოდამდე ჩინური ცივილიზაცია იზოლირებულად, სხვა ცივილიზაციებისგან მოწყვეტილად არსებობდა.

ძველი ჩინური კულტურა მოიცავს პერიოდს (ძვ.წ.აღ-ით II ათასწლეულიდან ახ.წ.აღ-ით 220



სურ. 244. ჩინეთის კედლის ფრაგმენტი.

წლამდე. ძვ.წ. აღ-ით II ათასწლეულის პირველ პერიოდში (შან-ის ტომის სახელმწიფოებრივი გაბატონება) მოსახლეობის მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა მესაქონლეობა (ცნობილია ღორის, ცხერის, ძაღლის, ძროხის, ცხენის, სპილოს შინაური ფორმები), რამდენადმე მოგვიანებით განვითარდა მიწათმოქმედებაც. ამ დროისათვის უკვე არსებობდა დამწერლობა (იეროგლიფური). ვარაუდობენ, რომ პიქტოგრაფიული დამწერლობა ჩინეთში შეიქმნა შანის დინასტიამდე (ძელებზე შემორჩენილი წარწერები). მიწათმოქმედებს გააჩნდათ ბრინჯაოს გუთანის, მაგრამ მთავარ საწარმოო იარაღს მაინც ხის კავი წარმოადგენდა. ფართოდ იყო გამოყენებული ბრინჯაოს იარაღი (საომარი, საყოფაცხოვრებო), მისდევდნენ ხელოსნობას. საზოგადოება დაყოფილი იყო თავისუფალთა კლასად და მდაბიოებად, მათი ნაწილი მონები იყვნენ. საზოგადოებრივი იერარქიის სათავეში იდგა მეფე, მისი ძალაუფლება გადადიოდა უფროს ეაჟზე. დროთა განმავლობაში მეფის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა ჭეშმარიტად დესპოტურ ძალად. იგი ერთდროულად უსუნაესი მმრძანებელი, მთავარსარდალი და ქურუმი იყო, ანუ ღმერთის მოციქული მიწაზე. ქვეყანაში ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა ქალაქი-სახელმწიფო შანი (ტომის სახელწოდების მიხედვით), სასახლეებით.

შანის ეპოქაში საფუძველი ჩაეყარა მეცნიერულ ცოდნას, ხელოვნებას, მედიცინას. შეიქმნა პირველი კალენდარი (წელიწადი იყოფოდა 12 თვედ, თვეში იყო 30 ან 29 დღე). რელიგია - პოლითეიზმი იყო. მოსახლეობა თავყანს სცემდა კეთილსა და ბოროტ ძალებს. ტოტემურ ცხოველთა შორის ადამიანის მფარველად ითვლებოდნენ ვეფხეი, ცხვარი და დრაკონი. ძლიერდება რწმენა იმქვეყნიურ ცხოვე-

რებაზე, გართულდა მიცვალებულთა დამარხვის წესები, სამარხებში ატანდნენ უამრავ ნივთს. ამგვარად, სხვა მიღწევებთან ერთად, შან-ის ეპოქაში ჩინელებმა გამოიგონეს ბრინჯაოს ჩამოსხმის ტექნიკა, იეროგლიფური დამწერლობა. ამ ხანიდან ჩვენამდე დიდი რაოდენობის მატერიალური კულტურის ძეგლმა მოაღწია.

დიდი ბრძოლების შემდეგ შან-ის ეპოქა შეცვალა ჯოუს ეპოქამ (ძვ.წ. აღ-ით 1066 წ., ან 1122 წ.). ამ ეპოქაში შეიქმნა პირველად საირიგაციო სისტემა. ფართოდება ჩინელთა ცოდნა ასტრონომიაში (სწავლობენ მნათობთა მოძრაობას; თეები დაიყო ოთხ-ოთხ კვირად. ჩნდება პრიმიტიული მატერიალისტური წარმოდგენები, რომელთა მიხედვით სამყარო შედგება პირველადი ელემენტებისაგან: მიწა, ცეცხლი, ტბა, ქარი, მთა და ჭეჟა-ქუხილი). ამ სამყაროში ყველაფერი მოძრაი და ცვალებადია, მიზეზი ორი კოსმოსური ძალის - სინათლისა და წყვიადის - ურთიერთმოქმედება, ან შეტაკებაა. წერდნენ ბრინჯაოს ან ბამბუკის ფირფიტებზე. ვითარდება ლიტერატურა (პიმების, სიმღერების ამსახველი პოემები). ასწავლიან ცეკვებს, არსებობს მუსიკალური ინსტრუმენტები (შესაძლებელია სიმებიანი ინსტრუმენტებიც).

სახელმწიფო სტრუქტურებში დაკანონდა იმპერატორის ინსტიტუტი. ქვეყნის ცენტრალიზაციის მიზნით, პირველად იქნა გამოყენებული მისი ციური წარმომობის იდეა. იმპერატორს მიეწერებოდა მაგიური ძალა, რაც შუამავლად ხდოდა ცასა და ადამიანებს შორის. ქვეყანაში იზრდება მოსახლეობის რიცხვი, ბრინჯაოს ცვლის რკინა, იჭრება ლითონის მონეტები, პირველად გამოიყენება აბრეშუმი.


ერთდროულად, ქვეყნის სხედასხვა კუთხის სამეფოებს შორის მიმდინარეობს გაუთავებელი

ომები. ძვ.წ. აღ-ით V-III საუკუნეებს „მეომარ სამეფოთა ეპოქას“ უწოდებენ. იმარჯვა ცინ-ის (აქედან „ჩინეთი“) სამეფომ. ცინ-ის დინასტიას საფუძველი ჩაუყარა იმპერატორმა ცინ შიხუანდიმ (ძვ.წ. აღ-ით 246-210). ძვ.წ. აღ-ის 221 წელს, მისი ბრძანებით, ჩრდილო-დასავლეთელი მომთაბარე ტომებისაგან (ძირითადად პუნები) თავის დასაცავად აიგო ჩინეთის დიდი კედლის უმთავრესი ნაწილი. ცინ შიხუანდის სარდალმა მენ ტიან-მა დაამარცხა პუნები (მდინარე ხუანხეს დიდ საქცევეში). სარდლის სამასათასიანი არმია და დამარცხებული, სულ ორ მილიონამდე ადამიანი, ათი წლის განმავლობაში აგებდა დიდ კედელს. კედელმა გააერთიანა მანამდე აგებული სასაზღვრო-საყოფრთხილ კაციო ნაგებობებიც. მშენებლობა გრძელდებოდა შემდეგი დინასტიის – ხან-ის ეპოქაშიც და დამთავრდა ახ.წ. აღ-ით III საუკუნეში. საბოლოოდ, კედელმა მიაღწია 4000-მდე კილომეტრს (სხვა მონაცემებით – 6000-მდე კმ-ს). კედლის სიმაღლე აღწევდა 6,6 მეტრიდან 10 მეტრს, სიგანე, დასაწყისში – 6,5 მეტრს, წვერო ნაწილში – 5,5 მეტრს, კედლის ყველა 200 მეტრში აგებული იყო ოთხკუთხა სადარაჯო კოშკები, ხოლო კედლებზე გაკეთებული იყო დასაცავი კბილანები და ფანჯარა-აშბრაზურები. კედლის ზედაპირი წარმოადგენდა თავდასაცავ გზას, რომელსაც სწრაფად გადაადგილდებოდნენ სამხედრო ნაწილები და ცხენშებმული ეტლები (ამჟამად ეს გზა, ადგილ-ადგილ, მოასფალტებულია და მასზე ავტომობილებიც დადიან). კედელი მიემართება მთიან ადგილებში და ორგანულად ერწყმის გარემო პეიზაჟს.

დღეისათვის ჩრდილოეთ ჩინეთში მოქცეულმა ჩინეთის დიდი კედლის მხოლოდ დასავლეთმა ნაწილმა შეინარჩუნა თავისი საწყისი ფორმა, აღმო-

სავლეთი ნაწილი კი მნიშვნელოვნად არის დაზიანებული და მიწაშია ჩაფარებული. ჩინეთის კედელი, ეგვიპტის პირამიდების მსგავსად, ქვიჩინის ეროვნული კულტურის სიმბოლოდ იქცა.

ცინ-ის დინასტიის პერიოდში ჩინეთის სახელმწიფომ ჰეშმარტ „მდინარეულ ცივილიზაციათა“ დონეს მიაღწია: შედგა ვარსკვლავთა კატალოგები, გამოთვლილ იქნა მთვარის დაბნელება. ეს ეპოქა ჩინური ფილოსოფიის ოქროს ხანად გადაიქცა. სწორედ ამ ხანაში ჩამოყალიბდა კონფუციონიზმი, დაოსიზმი და ლეიჯიზმი. კონფუციუსი (ძვ.წ. აღ-ით 551-479) მოძღვრების არსია ადამიანთა შორის ურთიერთობა წესრიგის, სოციალური პარმონიისა და მშვიდობის დამყარების მიზნით, ეთიკის ძირითადი პრინციპი პუმანურობაა, იგი მიიღწევდა სწავლითი სრულყოფით. კონფუციონიზმი სცდება რელიგიისა და ფილოსოფიის საზღვრებს და კაცობრიობის ცხოვრების სწორი გზის არჩევის ქადაგებას წარმოადგენს. მაგრამ ეს მოძღვრება წინააღმდეგი იყო რა ეოველგეარი სიხაღისა და რეფორმებისა, კაცობრიობის ბედნიერებას საუკუნოვანი ტრადიციებისა და დაეიწეებული ადათ-წესების აღდგენაში ხედავდა. ამრიგად, კონფუციუსი მოძღვრება, თავისი არსით, რეტროგრადულიცაა. ნებით თუ უნებლიედ, მსგავსი მოძღვრება გაბატონებული კლასების ინტერესებს იცავდა (მეფე უნდა იყოს მეფე, ღარიბი – ღარიბი, მამა – მამა, უნდა პატივი სცე ასაკითა და მდგომარეობით უფროსს და ა.შ.), თუმცა კონფუციონიზმი ცნობს სახელმწიფოს მიერ საზოგადოების პუმანური მართვის უზენაესობას (ხალხზე არა ძალისმიერი, არამედ მაღალსწიფობრივი ზემოქმედება). ამავე მიმდინარეობამ დიდი როლი შეასრულა ძველი ჩინეთის განათლების სისტემის შექმნაში, სადაც უპირატესობა პუმანი-



სურ. 245. დისნეი-ლენდის მსგავსი პარკში (ქ. შანხაი).

ტარულ მეცნიერებებს ენიჭებოდა.

დაოსიზმის ფუძემდებელია კონფუციის უფროსი თანამედროვე (მასზე 50 წლით უფროსი) ლაო ძი. მისი მოძღვრების ქვაკუთხედია დაოს იდეა, ანუ მოძღვრება „ბუნების გზაზე“. ლაო ძის მიხედვით, დაო ყველგან და ყველაფერშია: ის არის ყველაფრის საწყისი. დაოს შეცნობა და მისი კანონებით ცხოვრება უნდა იყოს სიცოცხლის მიზანი, არსი. ამგვარად, დაოსიზმი ბევრ საკითხში ინდურ იოგასა და ბუდიზმს ენათესავება და, შესაძლებელია, ეს შეხედულებები მისგან გადაიღო კიდევ (მაგალითად, ფიზიკური და სუნთქვის ვარჯიშების სისტემა). დაოსიზმი უარყოფს ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას, მისი მიზანი სხეულის ჯანმრთელობა და სულის უკუდავების მიღწევაა.

დაოსიზმმა თავისი მრავალმხრივი კონცეფციებით გადამწყვეტი როლი შეასრულა ბუნების ესთეტიზაციასა და პოეტოზაციას, რაც ბუნებასთან ადამიანის შერწყმის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად იქცა.

დაოსიზმის ბევრი მცნება ქრისტიანობის ათ მცნებას ემთხვევა („სიკეთე მიაგე მოძულესა შესასა“). კონფუციუსა და ლაო ძის ფილოსოფიური კრედი ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამიტომ ეს ორი პიროვნება, მიუხედავად ასაკობრივი განსხვავებისა, სიცოცხლეშივე დაუპირისპირდა ერთმანეთს.

ჩინური ფილოსოფიის განვითარებაში ღრმა კვალი დატოვა ლეიჯიზმმა. იგი ჯერ კონფუციონიზმის ოპონენტად გამოდიოდა, შემდეგ კი მთლიანად შეერწყა მას. ძლიერი სახელმწიფოს აპოლოგეტი,



სურ. 246. ყანის მოსავლის სიმბოლური მცველი-მეომარი პეკინის მახლობლად.

ლეიჯიზმი ქადაგებდა არა მორალისა და ტრადიციების, არამედ დაუნდობელი კანონების უსუნჯისობას. პრინციპში, ეს იყო დესპოტური სახელმწიფოს იდეოლოგია. როგორც ასეთი იგი, წარმატებით გამოიყენეს სხვადასხვა დინასტიის იმპერატორებმა და ქვეყანაში XX საუკუნის დამდეგამდე იარსება.

ჩინურ კულტურაზე, როგორც ითქვა, დიდი გავლენა მოახდინა ბუდიზმმა. ეს რელიგია განსაკუთრებით გავრცელდა ჩე.წ.ად-ით I-II საუკუნეებში. ბუდიზმმა დიდი კვალი დატოვა ჩინეთის იდეოლოგიაში, მისი კულტურის განვითარებაში.

ძველი ჩინეთის ისტორიის დამაგვირგვინებელ ეტაპს ხანის ეპოქა (ძე.წ.ად-ით 206 – ახ.წ.ად-ით 220 წწ.) წარმოადგენს. იგი იყო დედამიწის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო. ამ ეპოქაში ჩინეთის მოსახლეობა 60 მილიონამდე გაიზარდა. ქვეყანა დიდ კულტურულ აღმავლობას განიცდიდა. ამ პერიოდში ჩინეთი აბრეშუმის წარმოების სრულ მონოპოლიას ფლობდა. მესობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აბრეშუმის დიდ გზას. იგი 7000 კილომეტრზე იყო გადაჭიმული (მოგვიანებით, 12000 კმ-ს მიაღწია). ძე.წ.ად-ით II საუკუნეში გაყვანილ ამ გზაზე ძვირფასი საქონლით დატვირთული ქარავენები მიემართებოდნენ შუა აზიის, ინდოეთის, წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისაკენ.

ძველი ჩინეთი არაერთი კულტურული მცენარის საშობლოა.

ძე.წ.ად-ით II-I საუკუნეებში ჩინელებმა შეიმუშავეს ქაღალდის წარმოების ტექნოლოგია, გამოიგონეს ტუში და წერისთვის აუცილებელი თმის ფუნჯი, რამაც რეეოლუციური გადატრიალების ტოლფასი როლი შეასრულა კაცობრიობის განვითარებაში. ამ პროცესს მოჰყვა ბიბლიოთეკების ფორმირება. იქმნებოდა ტრაქტატები მეცნიერების მრავალ დარგში.

ხანის დინასტიის პერიოდში შეიქმნა შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობანი (სასახლეები, ტაძრები), ბრწყინვალე სკულპტურები.

ჩინურმა კულტურამ იგივე როლი შეასრულა აღმოსავლეთ აზიაში, რაც ელინურ-რომაულმა კულტურამ დასავლეთ ევროპაში.

ძველი ირანი

1935 წლამდე ირანი ცნობილი იყო სპარსეთის სახელწოდებით.

ძველ ირანზე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ძველი ელამის დედაქალაქი სუსა. ელამელები და ეთნიკურად მათთან ახლო მდგომი ტომები – კასიტები, გუთიები და ა.შ. – დასახლებულები იყვნენ ზაგროსის მთიანეთში. ეს უკანასკნელი განლაგებულია ირანის ზეგნის სამხრეთ-დასავლეთითა და მესოპოტამიის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

XIX საუკუნის შუა წლებში ფრანგმა მოგზაურებმა (ფლანდელი, კოსტა) აღმოაჩინეს ელამის უძველესი დედაქალაქი – სუსა (სუსა). 1897 წელს

დაიწყო დიდი არქეოლოგიური სამუშაოები სუსაში.

IV ათასწლეულის პირველი ნახევრიდან ირანის ისტორია იყოფა შემდეგ სამ საფეხურად: ელამური, მიდიური და სპარსულ-აქემენიდური.

ელამის სახელმწიფო დამაკავშირებელი რკოლი იყო ირანსა და წინა აზიის დანარჩენ კულტურულ ცენტრებს შორის. სამხრეთ მესოპოტამიასთან სიახლოვის გამო, ელამი იმთავითვე ჩაება ძველადმოსავლური სამყაროს კულტურულ ცხოვრებაში. მსგავსად შუამდინარეთისა, ელამშიც შეიქმნა მსხვილი სარწყავი სისტემები.

ელამში უკვე III ათასწლეულის დასაწყისში არსებობდა სახელმწიფო, რომელსაც სათავეში თავისი ხელმწიფე უნდა პყლოდა. ქვეყნის მმართველის სტატუსის აღსანიშნავად გამოიყენებოდა შუმერული და აქადური წარმოშობის რამდენიმე ტერმინი. II ათასწლეულიდან სახელმწიფოს მმართველობას საფუძვლად დაედო სპეციფიკური ელამური ფორმა – სამეფო ტახტის მემკვიდრეობა დედის ხაზით ხორციელდებოდა. ამავე ათასწლეულის შუახანებიდან ელამში ცნება „მმართველი“ („სუქჯალ-მაკი“) ისპობა, ამიერიდან მმართველს უწოდებენ სუქის, ანუ მეფეს. ერთდროულად იცვლება ტახტის გადაცემის მემკვიდრეობითი წესი. მეფის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე ადის მისი ვაჟი (უკიდურეს შემთხვევაში მისი ძმა).

ელამის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მიწათმოქმედება. მოსახლეობას მოჰყავდა პური, ქერი, ცერცვი და სხვ. განვითარებული იყო საირიგაციო სისტემა. ელამში მაღალ დონეზე იდგა მესაქონლეობა. მოსახლეობა წარმატებით მისდევდა ხელოსნობას (ძვ.წ.ად-ით II ათასწლეული) – მეთუნეობას, მშენებლობას... ქონდათ ინტენსიური ვაჭრობა შუამდინარეთის ქვეყნებთან (ძვ.წ.ად-ით III ათასწლეულიდან). ელამიდან მესოპოტამიაში გაჰქონდათ ძვირფასი ტყე, ვერცხლი, ლითონი; პირიქით, შუამდინარეთი ამარაგებდა ელამს ქვითა და ხვითთ.

II ათასწლეულის დასაწყისში, ქონებრივი უთანასწორობის საფუძველზე, ელამში იწყება მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია. ყველაზე დიდი სიმდიდრე კონცენტრირებული იყო ტაძრების მფლობელთა ხელში. მათი საკუთრება დამოუკიდებელი იყო სამეფო მეურნეობისაგან. ელამის მეფეები ზრუნავდნენ ტაძრებზე, იცავდნენ მათ დამოუკიდებლობას. სამეფო და სატაძრო მეურნეობაში გამოიყენებოდა მონის შრომა.

ელამში აქადური ლურსმული დამწერლობა გამოიყენებოდა. სუსაში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნაგებობათაგან აღსანიშნავია უზარმაზარი ტაძარი (50 ოთახითა და 10 ეზოთი), აგრეთვე, 1901 წელს აღმოჩენილი ბაბილონის მეფის – ჰამურაბის კანონთა სტელა (ძვ.წ.ად-ით 1792-1750), მასზე გამოსახულია მზის ქალღმერთის – შამაშის წინაშე მდგომი მეფე. მოგვიანებით (ძვ.წ.ად-ით XII ს.) აიგო სუსის დიდი ტაძარი. მის შიგნით მოთავსებული იყო ტაძრის ამგები მეფის – ინშუშინაის უზარ-

მაზარი ქანდაკება წარწერით. დიდ აღმავლობას აღწევს მეთუნეობა – ნაირგვარი ფორმის, მოხატული (აღამიანები, ნაღირ-ფრინველი) კერამიკის ჭურჭელი. მეტად საინტერესოა, აგრეთვე, სუსის მახლობლად მეფე უნტაშ-ხუზანის მიერ აგებული არქიტექტურული ანსამბლი, რომელშიც შედიოდა ზიკურათი (25 მ სიმაღლის), ცხრა ტაძარი და მსახლეთა ჯგუფი, აგრეთვე ხუთი აკლდამა. ელამელები დიდგვაროვნებს კრძალავდნენ უნიკალური წესით – ხდებოდა მიცვალებულის კრემაცია იარაღთან და სამკაულთან ერთად.

არქეოლოგიური კვლევითვე დასტურდება, რომ ელამელები თავიანთ სცემდნენ შუმერულ-აქადური წარმოშობის ღმერთებს: შამაშს, სინს, იშთარსა და სხვ.

არქეოლოგიური მასალები მეტყველებენ, რომ ელამელებმა შუამდინარეთის კულტურული მონაპოვრის შეთვისებასთან ერთად, თვითონაც შექმნეს უაღრესად თვითმყოფადი კულტურა.

ძვ.წ.ად-ით VII საუკუნეში ელამის სახელმწიფომ დაიშკვდილობა შეწყვიტა, იგი ჯერ მდიის (აროლებსაც იხსენიებოდნენ) სახელმწიფოს, შემდეგ აქემენიდთა იმპერიის შემადგენლობაში მოექცა.

მიდიელების თანადროულად ირანის ტერიტორიაზე ფარსუას ტომებიც გამოჩნდნენ. აქემენიდთა სამეფოს მართავდა მეფე კიროს II. ძვ.წ.ად-ით 550 წელს კიროსმა მიდია დაიპყრო და საფუძველი ჩაუყარა სპარსეთ-აქემენიდთა სახელმწიფოს. მან ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდე იარსება (სახელწოდება სპარსეთი, პერსია, პერსიდა უკავშირდება მიდიურ-ირანულ სიტყვას – ფარსს, ფარსის-ს, რაც განაპირა მხარეს ნიშნავდა, ვინაიდან ირანის 3 ოლქი – პერსიდა, პარსუა და პართია მდიის მიმართ განაპირა მხარეებს წარმოადგენდნენ).

კიროს II-ის იმპერიის საზღვრებში, მისი ზეობისას, გარდა აქემენიდთა სახელმწიფოს, შედიოდა აღმოსავლეთი ირანი, სირია, მესოპოტამია, ფინიკია, დასავლეთი ინდოეთი, ბოლოს, ეგვიპტეც. მდიანთან შედარებით, აქემენიდები განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ (აქ ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების ნაშთები იყო დარჩენილი). მოგვიანებით, იმპერიის ცალკეული რეგიონები, ბუნებრივია, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდნენ. ის ფაქტი, რომ უზარმაზარი იმპერიის მრავალფეროვანი კულტურის, რელიგიისა და ტრადიციების მიმართ აქემენიდები შემწყნარებელ პოლიტიკას ატარებდნენ, ცალკეულ რეგიონებს შორის მჭიდრო საეკონომიკური ურთიერთობები იყო დაწესებული, შესანიშნავ პირობებს ქმნიდა მეცნიერებისა და ხელოვნების გასავითარებლად. ისეთი დიდი სწავლული, როგორებიც იყვნენ პერაკლიტე ეფესელი, პეროდორტე დემოკრიტე და სხვები, სპარსელ მეფეთა ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ. სამყაროს შეიდ საოცრებაში შემავალ ქალღმერთ დიანას ტაძარი და პალიკარნასის მავზოლეუმი აქემენიდების ზეობის ეპოქაში იყო შექმნილი. ეთნიკური სიტრულით გა-

მორჩეულ იმპერიაში, გარდა სპარსული ენისა და ნახევრად ანბანური ლურსმული დამწერლობისა, აქადური (ბაბილონური), ელამური, ეგვიპტეში კი – ეგვიპტური ენები და სათანადო დამწერლობები გამოიყენებოდა. ამგვარად, იმპერიაში მოხვედრილი მაღალგანვითარებული ქვეყნები არ კარგავდნენ ძირძველ კულტურასა და ტრადიციებს. მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობაში წამყვანი პოზიცია თანდათანობით ერთ-ერთმა სემიტურმა ენამ – არამეულმა დაიკავა. არამეული დამწერლობა არ იყო ლურსმული, იგი წარმოადგენდა ფინიკიური წარმოშობის ანბანურ დამწერლობას.



სურ. 247. კაპიტელი ადამიანის თავით. პერსეპოლი – აქემენიდთა დინასტიის დამაარსებლის – კიროს II-ის პოლიტიკის გამგრძელებლის – დაროს I-ის (ძვ.წ. აღ-ით 522-486) სამეფო რეზიდენციიდან.

აქემენიდთა სახელმწიფოს მომდევნო მეფეები ხან წინანდებურად ტოლერანტულები იყვნენ იმპერიაში შემაჯავლი ხალხების კულტურებისა და რელიგიებისადმი (დარიოს I), ხან, პირიქით, აგრესიულობით გამოირჩეოდნენ (მეფე ქსერქსე I, ძვ.წ. აღ-ით 486-465). ძვ.წ. აღ-ით III – ახ.წ. VII სს., სასანელთა დინასტიის ბატონობის პერიოდში, ირანში გამოიკვეთა რელიგიური ცენტრალიზმი. ამ პერიოდში სპარსელთა ეროვნულ რელიგიად დაკანონდა მასდეანობა (ზოროასტრიზმი). იგი მკვეთრად დაუპირისპირდა ქრისტიანობას (კავკასიასა და ბიზანტიაში), მოგვიანებით კი (ახ.წ. აღ-ით VII საუკუნის შუახანებიდან) ეზიარა ისლამურ სარწმუნოებას.

ძვ.წ. აღ-ით VI-V საუკუნეებში გამოირჩევა არქიტექტურული ნაგებობები და აქემენიდთა მეფეების აკლდამები. მგალითად, კიროს II-ის სასახლეები და აკლდამა ფასარგადში, პერსეპოლისის სასახლეები და ნაგებობები. ამ და სხვა ძეგლების



სურ. 248. გამომწვარ აგურებზე გამოხატული აქემენიდთა დინასტიის მეომრები (ძვ.წ. აღ-ით V ს.).

მიხედვით ჩანს, რომ აქემენიდელები იღებდნენ ყველაფერ საუკეთესოს, რაც შექმნილი იყო ახლო აღმოსავლეთის კულტურულ ცენტრებში (მესოპოტამიური, ეგვიპტური, ბერძნული, და, უწინარესად, ასურული და ელამური. „ყველა სხვა ხალხთან შედარებით, სპარსელები ყველაზე უფრო ხალისიანად იღებენ უცხოტომელთა ადათ-წესებს“ – პეროდოტე). მიუხედავად ამისა, სპეციალისტთა აზრით, ირანულ კულტურაში უცხოური ელემენტები მაინც ზედაპირულ ხასიათს ატარებდა, ძირითადად კი, თვითმყოფადობას ინარჩუნებდა.

თავის მხრივ, აქემენიდთა კულტურა გავლენას ახდენდა სხვა კულტურებზე – წინა აზიის ხელოვნებაზე, თვით ანტიკურ კულტურაზე, განსაკუთრებით ამიერკავკასიის ხალხთა ყოფაზე. დაბოლოს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აქემენიდთა სპარსეთი ერთგვარი ხიდის როლს ასრულებდა წინა აზიისა და უფრო შორეული ქვეყნების კულ-



სურ. 249. ჩრდილოეთ ირანის ტიპური ლანდშაფტი.

ტურათა ანტიკურ ცივილიზაციასთან დასაკავშირებლად.

ძველი ირანი, როგორც წინა აზიის ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფო, სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის განვითარების მნიშვნელოვან კერად გვევლინება. წინასტორიულ პერიოდს მიეკუთვნება გარეული ხორბლის გაკულტურება. დღესაც, მინდვრის კულტურებს შორის ხორბლის ნათესებს პირველი ადგილი უკავია (60%).

კულტურაში იმთავითვე იყო დანერგილი ქერი, ბრინჯი. მთელ ქვეყანაში მოჰყავდათ ხეხილი (გარგარი, ატამი, ლეღვი, ფსტის (საღსაღაჯი) ნაყოფი, ხურმა, მოგვიანებით – ციტრუსები. განვითარებულ იყო მეზამბეობა.

მცირე აზიასთან ერთად, ირანის ტერიტორიაზე მოხდა თხის, ცხერის მოშინაურება. ადგილობრივები დღესაც ფართოდ მისდევენ მომთაბარე მეჯოგეობას. უდაბნოებით დაფარულ რაიონებში პოპულარულია აქლემი. დიდი ხანია დაინერგა მეაბრეშუმეობა, მიღებულია მაღლნარი ევნახის კულტივირება. ტრადიციულად განვითარებულია მეხალხიობა.

შუა (ცენტრალური) აზია

შუა აზიის ქვეყნების ისტორია ღრმა დრამატიზმითაა გამორჩეული. რეგიონი მდებარეობდა მრავალი დამპყრობლის გზაჯვარედინზე. ამ ფენომენმა, ბუნებრივია, პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა ადგილობრივი ხალხის ენისა და კულტურის ფორმირებაზე. შუა აზია ოდითგან განიცდიდა უცხო ტომებისა და ხალხების ინტენსიურ ექსპანსიას. ესენი იყვნენ: ინდოევროპული წარმოშობის ხალხი, ალექსანდრე მაკედონელი (ძვ.წ. აღ-ით IV ს.), პუნები (ორი წელთაღრიცხვის სღვარზე), არაბები, თათარ-მონღოლები (შუა საუკუნეები) და ა.შ. უხსოვარი დროიდან მომდინარეობს მისი კულტურული კავშირები ირანთან, ინდოეთთან, დასავლეთ ციმბირთან, ამიერკავკასიასთან.



სურ. 250. სტუმრად ყირგიზეთის მთიანეთში (ცენტრალური ტიან-შანი).



სურ. 251. ცენტრალური აზიის გამოჩენილი მკელეერის – პრეკელსკის ძეგლთან (ყირგიზეთი).

თანამედროვე ყირგიზეთის ტერიტორიაზე, მდინარე ონ-არჩას ხეობაში (ცენტრალური ტიან-შანი) და ხოჯაბაკირგანსაის (სირდარიას აუსი) მიკელეულია პირველყოფილი ადამიანის შრომის იარაღი. იგი მიეკუთვნება ქვედა პალეოლითს. მდინარე ისფარის ხეობაში (ყირგიზეთი) ნაპოვნია შუა პალეოლითის (მუსტერის კულტურა) იარაღი. მდინარე კაპჩიგაისა და ოხნის ხეობებში (ყირგიზეთი) ნეანდერტალელები ამუშავებდნენ შრომის იარაღებს. ნეოლითური სადგომები აღმოჩენილია მთქეჟოლის ტბის მიდამოებში. საინტერესოა, რომ მდინარე სარიდჯახის ხეობაში (ყირგიზეთი), ზღვის დონიდან 3500 მეტრზე მიკელეულ გამოქვაბულში გარდა ნეოლითური იარაღებისა და თიხის ჭურჭლისა, შემორჩა კლდეზე შესრულებული მთის გარეული თხების, ხარის, გველისა და ადამიანების გამოსახულებანი. უძველეს მონადირეთა ეს სადგომი დათარიღებულია ძვ.წ. აღ-ით IV-III ათასწლეულებით.

თურქმენეთის სამხრეთი წარმოადგენდა ახლო აღმოსავლეთის მიწათმოქმედების ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარს. აქ, მთელს შუა აზიაში, ყველაზე ადრე განვითარდა მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. აშხაბადის მახლობლად, სოფელ ჯეითუნთან არქეოლოგებმა აღმოაჩინეს შუა აზიის რეგიონისათვის ყველაზე ძველი მიწათმოქმედების ცენტრი. იგი მიეკუთვნება ძვ.წ. აღ-ით VI ათასწლეულს.

პირველი უტყუარი ისტორიული ცნობები შუა აზიის ტერიტორიის მიწათმოქმედი ხალხის მიერ



სურ. 252. ცენტრალური აზიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ღრმა ტბა - ისიქ-ქოლი.

ათვისების თაობაზე მიეკუთვნება ძვ.წ.აღ-ით I ათასწლეულის შუა პერიოდს. ამ დროს აქ ბრინჯაოს ეპოქა შეცვალა ადრე რკინის ხანამ, ხოლო პირველყოფილი ტომობრივი ყოფა - ადრეკლასობრივმა.


შუა აზიაში, კულტურის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა უზბეკეთი. აქ, აღნიშნულ ეპოქაში, მიწათმოქმედების რაიონებში განვითარებული იყო მონათმფლობელური წყობილება, ფორმირება დაიწყო პირველმა სახელმწიფოებრივმა წარმონაქმნებმა. ესენი იყო: ბაქრია (აქედან გამომდინარეობს ორკუზიანი აქლემის - ბაქტრიანის - სახელწოდება), ხორეზმი, სოგდი. არალის ზღვისპირეთის (სტეპებსა) და ყიზილყუმის უდაბნოებში ცხოვრობდნენ ნახევრად მომთაბარე, საიის ტომები.

ძვ.წ.აღ-ით VI საუკუნეში შუა აზიაში დამყარდა სპარსთა დინასტიის - აქემენიდთა - ბატონობა, ძვ.წ.აღ-ით IV საუკუნეში ეს უკანასკნელი დაიპყრო ალექსანდრე მაკედონელმა. ამის შემდეგ შუა აზიის მნიშვნელოვანი ტერიტორია ნაწილობრივ ან მთლიანად იმყოფებოდა დიდ სახელმწიფოთა გაელენის ქვეშ. ასეთები იყვნენ: ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეები - სელევკიდები (ძვ.წ.აღ-ით IV-III სს.), ბერძნულ-ბაქტრიანული სამეფო (ძვ.წ.აღ-ით III-II სს.) და კუშანები - უძლიერესი შუა აზია - ინდოეთის სახელმწიფო (ძვ.წ.აღ-ით I საუკუნის მიწურული - ახ.წ.აღ-ით IV ს.).

მონათმფლობელური ყოფის პერიოდში შუა აზიის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფოებში ისევ იყვნენდნენ რკინის იარაღებს, აგებდნენ მსხვილ საირიგაციო სისტემებს, იქმნებოდა აყვავებული ოაზისები, სულ უფრო მრავლდებოდა ქალაქის ტიპის დასახლებები განვითარებული ხელოვნებითა და ვაჭრობით. ძველ შუა აზიაში, განსაკუთრებით კუშანების ბატონობისას, ვითარდებოდა არქიტექტურა და გამოყენებითი ხელოვნება. იმდროინდელ ნაგებობებში ადგილობრივი ტრადიციები ორიგინალურადაა შერწყმული ძველი აღმო-

საეღეთის, ანტიკური ქვეყნების, სკივთების, ინდოეთის სამშენებლო კულტურებთან. წარმატებით ითვისებდა რა მეზობელი რეგიონების კულტურას, შუა აზია, თავის მხრივაც სათანადო გაელენას ახდენდა სხვა ქვეყნების კულტურულ ცხოვრებაზე.

VIII საუკუნეში შუა აზია დაიპყრეს არაბებმა და ადგილობრივებს თავს მოახვიეს ისლამური რელიგია, თუმცა ადგილობრივი ხალხი, დიდი ხნის განმავლობაში, მალულად თუ ოფიციალურად წინანდებურად მისდევდა ზაროასტრიზმს, ასევე, ნაწილობრივ სხვა რელიგიებსაც - ბუდიზმს, ნესტორიანული მიმდინარეობის ქრისტიანობას და ა.შ.



სურ. 253. უზბეკეთი, ტაშკენტი. მესეთის ფასალი.



სურ. 254. მოლა (ხოჯა) ნასრედინის ძეგლი ბუხარაში.

IX საუკუნეში იმპლაერა უზბეკეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხმა. მათ განდევნეს არაბები, რომელიც შეცვალა ადგილობრივი დინასტიების ბატონობამ. წარმოიქმნა სამანიდების ძლიერი სახელმწიფო, მის ცენტრად ბუხარა იქცა. ეს იყო ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის არნახული განვითარების ეპოქა. ამ დროს იღვწოდნენ შუა საუკუნეების აღმოსავლეთის გამოჩენილი მეცნიერ-ენციკლოპედისტთა მთელი თაობები, მათ შორის იყვნენ: მუჰამედ ხორეზმი, აჰმად ფერგანი, ბირუნე და სხვები. სამანიდების დინასტია მოიცავდა თანამედროვე ტაჯიკეთის ტერიტორიასაც, სადაც იქმნება შუა აზიისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ფოლკლორი, პოეზია, ლიტერატურა. X საუკუნეში მოღვაწეობდა ტაჯიკეთის ლიტერატურის ფუძემდებელი, პოეტი აბუ-აბდალაჰ რუდაქი, აგრეთვე დაიკი. ამ უკანასკნელმა სათავე დაუდო საგმირო ეპოსს – „შახნამეს“ („მეფეთა წიგნი“). X-XI საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის გამოჩენილი მეცნიერისა და პოეტის, ფირდოუსის (934-1020 წწ.) მოღვაწეობა. ამავე ეპოქაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა უდიდესი ფილოსოფოსი, მედიკოსი, ბუნებისმეტყველი და პოეტი, აბუ ალი იბნ-სინა (ავიცენა, 980-1037 წწ.). ფირდოუსის იდეებზე აღიზარდა აღმოსავლეთის ცნობილი პოეტი და მეცნიერი ომარ ხაიამი (1048-1122 წწ.) – სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, მათემატიკოსი, ასტრონომი, ფილოსოფოსი. ფილოსოფიაში იგი გვეყვება არისტოტელესა და იბნ-სინას იდეების გამგრძობლად და განმავითარებლად. ომარ ხაიამი აღიარებს შემოქმედ მშერთს, როგორც სიცოცხლის პირველწყაროს, რეალობად კი მიიჩნევს ობიექტურად არსებულ

სამყაროს. სპეციალისტთა აზრით, ევროპის მათემატიკა 6 საუკუნეს მოიგებდა, დროსე რომ გასცნობოდა ომარ ხაიამის აღგებრულ ტრაქტატებს. თხზულება „ნოურუ-სნამე“ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჟანრის საინტერესო ძეგლია. ავტორია პატარა ოთხსტრიქონიანი ლექსების, რომანების კრებულებისა. ეს სალექსო ფორმა მან უაღრესად დახვეწა და სრულყო. ავტორი უდიდესი ოსტატობით ახერხებს უაღრესად მკვირვ მოცულობის ლექსში მარადიული, საკაცობრიო პრობლემების წართვას. ომარ ხაიამის შემოქმედება დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელ მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაში.

XIII-XIV საუკუნეებს მიეკუთვნება ახლო და შორეულ აღმოსავლეთში, მათ შორის შუა აზიაში სახალხო სიბრძნისა და ოუმორის მატარებელი ადამიანის – მოლა (ხოჯა) ნასრედინის სახელი. როგორც ცნობილია, მისი ანეკდოტები სოციალურ-ყოფითი ხასიათისაა. სხვადასხვა სახელით, აღმოსავლეთის მრავალმა ხალხმა შექმნა მოლა ნასრედინის ხატი, მასთან დაკავშირებული ფოლკლორის თავისებური ჟანრით (სიცვილის იარაღით) – ეირსე ამხედრებული სახალხო გმირი ებრძვის სოციალურ უსამართლობას.

ძველი საბერძნეთი

ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი და ეგეოსის ზღვის კუნძულები განთქმულია თავისი კეთილმყოფელი კლიმატით (ხმელთაშუაზღვერი, სუბტროპიკული ჰავა), მდიდარი ფლორითა და ფაუნით. აქაურობა შორეულ წარსულში ტროპიკული აფრიკის საენებიდან მიგრირებული, კი. გენეტიკურად სითბოსმოყვარული ადამიანისათვის, იდეალურ საცხოვრებელ ადგილად გადაიქცა (შუა პალეოლითის ხანას – 100-40 ათ. წ. წინათ – განეკუთვნება ქალქიერტელის ნახევარკუნძულზე აღმოჩენილი ნეანდერტალელის თავის ქალა). მეორე მხრივ, იგივე რაიონი, კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე გადაიქცა ერთგვარ ხიდად, რომელიც ევროპას ახლო აღმოსავლეთთან აკავშირებდა. ნეოლითის ხანაში (ძვ.წ.აღ-ით VII-VI ათასწლეულები) ადგილობრივი მოსახლეობა მისდევდა ცხოვრების ბინადარ (სუდენტარულ) წესს – მიწათმოქმედებას.

ბრინჯაოს ხანას (ძვ.წ.აღ-ით II ათასწლეული) საბერძნეთში კრეტა-მიკენის, ანუ ეგეოსის კულტურას უწოდებენ. მაშინდელი საბერძნეთის რეგიონები ცნობილია შემდეგი სახელწოდებებით: კუნძულ კრეტას კულტურა (მინოსის კულტურა), კონტინენტური საბერძნეთის ელადური კულტურა, ეგეოსის ზღვის კუნძულების კულტურა (კიკლადური კულტურა).

შუა ბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ.აღ-ით II ათასწლ. დასაწყ.) დაწინაურდა კუნძული კრეტა. აქ აღმოცენდა ადრინდელი მიწათმფლობელური სახელმწიფოები: კნოსოსი, ფერტოსი, აგია-ტრიადა, მიდია. დამწერლობამ სწრაფი ევოლუცია განიცადა: პიქ-



სურ. 255. ხედი აკროპოლისიდან ქალაქ ათენზე.

ტოგრაფიულიდან იეროგლიფურის გავლით საფუძველი ჩაეყარა კრეტულ ანბანურ დამწერლობას (ძვ.წ.ალ-ით XXII-XVII სს.), დაახლოებით XVIII ს-ში შექმნეს დამწერლობის ახალი სისტემა – ე.წ. A-ხაზოვანი მარცველოვანი დამწერლობა.




სურ. 256. მიკენის გათხრებისას აღმოჩენილი ოქროს ნიღაბი (ძვ.წ.ალ-ის 1500 წ.)

კრეტას ქალაქსახელმწიფოებს შორის პირველობდა ენოსოსი. ძვ.წ.ალ-ით XVII საუკუნეში იგი გახდა კუნძულის დედაქალაქი. კრეტას მეფეებმა შექმნეს ძლიერი ფლოტი, ბატონობდნენ ეგეოსის ზღვაში, ფართო სავაჭრო ურთიერთობები დაამყარეს წინა აზიის სახელმწიფოებთან და ეგვიპტესთან. დაახლოებით ძვ.წ.ალ-ით 1470 წელს კუნძულ კრეტაზე მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ გაანადგურა მოსახლეობა და ფლოტი.

მატერიკული საბერძნეთი აღმავლობას (მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის განვითარება) იწყებს ძვ.წ.ალ-ით XVI-XIII საუკუნეებში. კრეტულ დამწერლობაზე დაყრდნობით, აქაველებმა შექმნეს უფრო სრულყოფილი, ე.წ. B-ხაზოვანი დამწერლობა.

ძვ.წ.ალ-ით 1200 წელს აქაველებთან ერთად, ბერძნული წარმოშობის სხვა მოკაეშირეებისაგან შემდგარმა არმიამ მიკენის ხელმწიფის, აგამემნონის თაოსნობით გაილაშქრა ტროაზე (ილიონი). ტროა იყო პატარა, მაგრამ სტრატეგიულად ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი, ლუეიელებისა და თრაკიოფრიგიელების ტომთა სახელმწიფოს დედაქალაქი. ქალაქი დარდანელის სრუტის შესასვლელთან იყო გაშენებული. ბრძოლა შეუპოვარი იყო და დიდხანს გაგრძელდა. დაბოლოს, ტროა აიღეს, გაძარცვეს და მიწასთან გაასწორეს. ქალაქის აღების ისტორია, ნაწილობრივ, აღწერილი აქვს ჰომეროსს „ილიადაში“.

ძვ.წ.ალ-ით XIII საუკუნეში იწყება ელადის კულტურის სწრაფი დაქვეითება. მისი მიზეზი იყო გა-



სურ. 257. ოქროში ნაკეთები კრეტული ხარის თავი. ენოსოსი.

მუდმებული შინაომები. ძე.წ. აღ-ით დაახლოებით 1200 წელს საბერძნეთს ჩრდილოეთიდან შემოჭრილი უცხო, განვითარების გაცილებით დაბალ დონეზე მყოფი ტომები შეესივნენ. ჩრდილო-ბერძნული ტომის – დორიელებისგან – დამოუკიდებლობის შენარჩუნება მხოლოდ ათენელებმა შეძლეს. დორიელებმა აქვეყლებისგან აითვისეს მიწათმოქმედების, ზღვაოსნობის, მეთუნეობის, არქიტექტურა-მშენებლობის კულტურა.

ძე.წ. აღ-ით XVII-VI სს-ში მიმდინარეობდა ბრძოლა გვაროვნულ არისტოკრატიასა და დემოსს (თავისუფალი მოსახლეობა) შორის. ბრძოლა ამ უკანასკნელთა წარმატებით წარიმართა. ძე.წ. აღ-ით VIII-VI საუკუნეებში აღმოცენდა ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმა – პოლისი (ქალაქი-სახელმწიფო). პოლისებს შორისაც გამუდმებული ბრძოლები მიმდინარეობდა. გარდა შინაომებისა, ადგილი ჰქონდა ფართო ტერიტორიულ ექსპანსიას უცხო ქვეყნებში. ამ პროცესმა მიიღო შესატყვისი სახელწოდებაც – „დიდი ბერძნული კოლონიზაცია“. იგი მოიცავდა მატერიკულ საბერძნეთს, მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროებსა და მეზობელ კუნძულებს. მრავალრიცხოვანი ბერძნული კოლონიები მოედნენ ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვისპირა რაიონებს დაწყებული ახლანდელი მარსელიდან, ვიდრე დიოსკურიამდე (ამჟამინდელი სოხუმი).

ძე.წ. აღ-ით VI საუკუნის მიწურულს წარმოიშვა ქალაქების პირველი გაერთიანება – პელოპონესის კავშირი სპარტის მეთაურობით. მეურნეობაში, მონობასთან ერთად, დიდ როლს ასრულებდა წერილი გლეხური მეურნეობა, ხელოსნობა.

ძე.წ. აღ-ის IX-VIII საუკუნეთა მიჯნაზე შეიქმნა ბერძნული ალფაბეტი. იგი შედგებოდა 24 ხმოვანი და თანხმოვანი ასო-ბგერისაგან. სხვა სახელმწიფოებთან ფართო საეაჭრო და სხვა ტიპის ურთიერთობამ ბიძგი მისცა მონეტების მოჭრას – გადახდის ამ უნივერსალურ საშუალებას, რომელმაც შეცვალა ძველი – საქონელ-ფულით ვაჭრობის წესი.

საბერძნეთის ჭეშმარიტი აყვავება დაიწყო ათენის გამარჯვებით ბერძენ-სპარსელთა ომებში და ათენის მეთაურობით დელოსის კავშირის შექმნით. ამ დროს ათენის სახელმწიფო ყველაზე ძლიერი პოლისი ხდება კლასიკური ეპოქის (ძე.წ. აღ-ით V-IV სს) ელადაში. ამიტომ არ იყო გასაკვირი, რომ ბერძნებმა 490 წელს, მარათონთან, გამარჯვება მოიპოვეს და გაანადგურეს აქემენიდთა სპარსელები. 480-478 წლებში ბერძენთა ფლოტი წარმატებით განაგრძობდა სპარსელთა ჯარების შევიწროებას დარდანელის რაიონსა და ანატოლიის დასავლეთ სანაპიროსთან. 449 წელს საბერძნეთ-სპარსეთის ომი დამთავრდა ხელშეკრულებით, რომლის თანახმადაც, სპარსელებმა უარი თქვეს ყველა ელინურ პოლისზე თვით მცირე აზიის – იონიის პოლისის ჩათვლით. მაგრამ ათენის დაწინაურება ხანმოკლე აღმოჩნდა. პოლისებს შორის

ურთიერთობა გამწვავდა. ახალ ომებში გამარჯვება წილად ხედა სპარტას. მოგვიანებით, თებეს ექსპანსიის გამო, სპარტამ ათენის ბედი გაიხიარა.

მეფე ფილიპე II-მ ძე.წ. აღ-ით 346 წელს საბერძნეთის დიდი ნაწილი დაიპყრო. მის წინააღმდეგ აჯანყებული რამდენიმე ბერძნული პოლისი 338 წელს ქერონეასთან ბრძოლაში დამარცხდა. ფილიპე II სრული ბატონობა მოიპოვა საბერძნეთს. ქვეყნის ერთმართველმა ფილიპე II გადაწყვიტა აღმოსავლეთში დიდი დაშქრობის მოწყობა. ჩანაფიქრი არ განხორციელდა. ძე.წ. აღ-ით 336 წელს ძღვეამოსილი მეფე შეთქმულებმა სასიკვდილოდ გაიმეტეს. ბერძენ-მაკედონელთა ექსპანსია კიდევ უფრო მეტი წარმატებით განახორციელა ფილიპე II-ის მემკვიდრემ, მისმა ვაჟმა ალექსანდრე მაკედონელმა (ძე.წ. 356-323). აღმოსავლეთში ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობების შემდეგ დაიწყო ახალი ეპოქა, რომელიც ისტორიაში ელინიზმის სახელწოდებითაა ცნობილი და რომელიც სამი საუკუნის შემდეგ დამთავრდა.



სურ. 258. მარმარილოში ნაკეთი ალექსანდრე მაკედონელის თავი.

ალექსანდრე მაკედონელი დაიბადა ძე.წ. აღ-ით 356 წელს მაკედონელი დედაქალაქ პელაში. მამამისი, ფილიპე, ბერძნული კულტურის თავყვანის-მცემელი იყო. ალექსანდრემ გარდა სამხედრო საქმისა და ცხენოსნობისა, შეისწავლა მუსიკა, მათემატიკა და ბერძნული ლიტერატურა. იგი იმდენად იყო გატაცებული ელინური კულტურით, რომ თვით სამხედრო დაშქრობაშიაც დაჰქონდა პომპროსის „ილიადა“ და დაძინებისას ხმალით ერთად იდებდა სასთუმალთან. სიმართლე უნდა ითქვას, მის ალტაცებას იწვევდა არა იმდენად ლექსები, არამედ გმირთა თავგადასავლები. მაგრამ თვით ბერძნულმა ლიტერატურამაც ეერ მოათვინიერა მისი ჯიუტი, თვითრჯულა ხასიათი. თავის თავს აქილევსს ადარებდა. ხასიათით დედას – დაუდგრომელსა და

ძალაუფლების მოყვარე ოლიმპიადას ჰგავდა. მასზე სათანადოდ ვერც ფილოსოფოსთა ქურუმმა – არისტოტელემ იმოქმედა, რომელიც მამის – ფილიპეს – არჩევანით, მოძღვრად (343-340 წწ.) მიუჩინეს 13 წლის ჰაბუსს. ეთიკისა და ფილოსოფიის გარდა, არისტოტელე შეგირდს ასწავლიდა მეცნიერებას სახელმწიფოთმწიფობაზე. მაგრამ მოსწავლე სახელგანთქმული მასწავლებლის „იდეალური პოლისისაგან“ ძალიან შორს იდგა – მას იმთავითვე იმპერიული ზრახვები ამოქმედებდა. მამის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ასულმა, ძალის ისეთი დემონსტრირება მოახდინა, რომ როგორც მაკედონელებმა, ისე ბერძნებმა ცნეს ფილიპე II-ის მიერ მახვილითა და სისხლით მოპოვებული ქვეყნის საზღვრები. სასტიკად გაუწვროდა მამის მეკვლევლებს. ალექსანდრე დიდმა (Alexandros ho Megas), მაკედონის მეფემ, 336 წლიდან შექმნა უზარმაზარი იმპერია, რომელიც გადაჭიმული იყო დუნაიდან სირდარიამდე და ინდამდე.

ალექსანდრე მაკედონელი ძველი სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე იყო. სამხედრო ხელოვნებას მამამ აზიარა. მთავარ ბრძოლებს შორის უნდა გამოიყოფ: 334 წელს სპარსეთის (აქემენიდთა სახელმწიფო) გაცილებით მრავალრიცხოვანი არმიის განადგურება. ამის შემდეგ დაეპატრონა თითქმის მთელ მცირე აზიას. 333 წლის შემოდგომაზე დარიოს III კელაე შეერქინა მაკედონელს. ალექსანდრე დიდმა დაამარცხა სპარსელთა რიცხოვნობით სამჯერ დიდი არმია. დარიოს III ბრძოლის ეელიდან გაიქცა და მტრის მთელი ბანაკი დარიოსის ოჯახის წევრებითურთ ალექსანდრე მაკედონელს ჩაუყარდა ხელში; ტყვეობა იგი ღმობიერად და პატივით მოეპყრო. ამის შემდეგ დაეპატრონა რა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ყველა ნავსადგურს, სრულ ბატონობას მიაღწია ზღვაზე. 332-331 წლებში მისმა არმიამ უბრძოლველად დაიკავა ეგვიპტე. ეგვიპტელმა ქურუმებმა ოფიციალურად აკურთხეს იგი ღმერთ ამონის ძედ, ე.ი. ეგვიპტის ფარაონად. ეგვიპტიდან ალექსანდრე მაკედონელის ჯარი გაემართა მესოპოტამიაში. 331 წლის 1 ოქტომბერს გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა გაცილებით მრავალრიცხოვან სპარსელებზე. დარიოს III ერთხელ კიდევ გაიქცა, მაგრამ 330 წელს მოკლა მისმა ერთ-ერთმა სატრაპმა. მაკედონელმა აიღო ბაბილონი, სუსა და ქვეყნის სხვა ქალაქები. დარიოსის სიკვდილის შემდეგ, ალექსანდრე დიდი საბერძნეთ-მაკედონიდან წასვლის შემდეგ ვეპერთელა იმპერიის მონარქად მოგვევლინა. მაკედონელმა დაიხლოვა დაპყრობილი, მეტწილად, ანტი-სპარსულად განწყობილი ქვეყნის დიდებულნი, მათ შორის იყენენ ალექსანდრესადმი ლოიალურად განწყობილი სპარსელებიც. 330 წელს დაიპყრო ირანის ზეგანის ცენტრალური ნაწილი, 329 წელს შეიჭრა შუა აზიაში. ეგვიპტეთელა ტერიტორიის შესანარჩუნებლად ინტენსიურად შეუდგა ციხე-ქალაქების აგებას, სადაც თავის გარნიზონებს

აყენებდა. ბატონობის განსამტკიცებლად იგი დააქრობილ ტერიტორიებზე აარსებდა გამაგრებულ ქალაქებს. ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა ისტორიული წყაროებით არ დასტურდება.

327 წლის გასაფხულზე გაილაშქრა დასავლეთ ინდოეთზე. ინდის შენაკად, მდინარე პიდასპესთან გამარჯვება მოიპოვა მთავარსარდალ პროოსზე. მოწინააღმდეგემ ბრძოლაში გამოიყენა 200 საბრძოლო სპილო, რომელთანაც შებრძოლება მაკედონელის ჯარს პირველად მოუხდა. ალექსანდრე მაკედონელმა დააპირა ბრძოლის გაგრძელება მდინარე განგის ხეობაში, მაგრამ აქ მას წინააღმდეგობა გაუწია თვით მისმა ჯარმა – გადაღლილმა და ავადმყოფობებით დასუსტებულმა. 326 წელს მხედართმთავარი უკან დაბრუნდა.

325 წლის სექტემბერში ჯარის ნაწილით გაიარა ახლანდელი ბელუჯისტანის უდაბნო, 324 წელს სუსაში დაბანაკდა და ცნობილი „საქორწინო დღე-სასწაული“ მოაწყო. რამდენიმე ათასმა მაკედონელმა იქორწინა სპარსელ ქალებზე. თვით ალექსანდრე მაკედონელი დაქორწინდა ბაქტრიელ ქალზე, როქსანაზე, პლუტარქეს ცნობით კი დარიოს III-ის ქალიშვილზე – სტატირაზე.

ლაშქრობა ბაბილონში დასრულდა. იმპერიის დედაქალაქად გამოაცხადა ბაბილონი, სადაც ახალი ლაშქრობის მსადებისას, ძვ.წ.აღ-ით 323 წლის 23 ივნისს ციხე-ციხელებით გარდაიცვალა. ალექსანდრე დიდის სიკვდილის შემდეგ, მისი ეგვიპტეთელა, მაგრამ მტკიცე კავშირებს მოკლებული იმპერია მთელ რიგ ელინისტურ სახელმწიფოებად დაიშალა.

მაკედონელის მხედართმთავრებმა დაინაწილეს იმპერია, მაგრამ ალექსანდრეს თაფლში შენახული ცხედარი კუბოთი, ეგვიპტის მმართველმა პტოლომე ლაგამ დაისაკუთრა. დაასაფლავეს ალექსანდრიაში.

ალექსანდრე მაკედონელის სახელი დაეიწყებას არ მისცემია, პირიქით, ისტორიამ იგი შემოინახა არა იმისთვის, რომ წარმოუდგენელი მასშტაბის იმპერიას ედგა სათავეში და რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ხუხულასავით დაინგრა. ვერც ახალ დინასტიას ჩაუყარა საფუძველი, მისი ორი შვილი – ალექსანდრე და ჰერაკლე, სრულიად ახალგაზრდები, სისხლიანი ანგარიშსწორებისას დაიღუპნენ. ალექსანდრე დიდი სხვათა, ძლიერთა ამა ქვეყნისათა აღტაცებას, მოწიწებასა და შურს თავისი ახალგაზრდული შემართებით, უშიშრობით, ვითარცა უხორცო და იმ სიღალთე აღწევდა, რითაც იგი იპყრობდა ნახევარ მსოფლიოს. იულიუს ცეზარი, ნაპოლეონი, სუვოროვი... შენატროდნენ და აღტაცებით იგონებდნენ მის სახელს, გულმოდგინედ სწავლობდნენ მის სამხედრო ხელოვნებას. ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში სამოცდაათამდე ქალაქი ატარებდა სწორუპოვარი მხედართმთავრის სახელს, რამდენიმე, მათ შორის ალექსანდრია, დღემდე შემორჩა მსოფლიოს.

პლუტარქეს თქმით, ალექსანდრე მაკედონელმა

„გაიარა მთელი აზია არა როგორც ყანადმა და არა იმისთვის, რომ ხელთ ეგდო და დაეგროვებინა მოულოდნელი წარმატების წყალობით მოპოვებული სიმდიდრე, არამედ სურდა ქვეყნად ყველა ადამიანი დამორჩილებოდა ერთ გონებასა და ერთ სახელმწიფო წყობას“.

აღუქსანდრე მაკედონელის სახელი აღუქვება და მომავალშიც ლეგენდად დარჩება კაცობრიობის ცხოვრებაში. მასსე შეიქმნა მრავალი ლეგენდა, მისი მოღვაწეობა აღწერეს მისმა კარის ისტორიკოსებმა, მხედართმთავრებმა (მათ შორის პტოლემემ). აღუქსანდრე მაკედონელსე დაწერილ ნაწარმოებებიდან გამოირჩევა არიანე ფლავეიუსისა და პლუტარქეს ბიოგრაფიები, პორტრეტები, ჩანაწერები; განსაკუთრებით პოპულარული იყო აღმოსავლურ ლიტერატურაში – ფირდოუსის „შაჰნამე“, ნიზამის „ისქანდერნამე“ და სხვ.

ძველ საბერძნეთში, დიდი დამპყრობლის მიერ დატოვებული მონარქიებიდან, ყველასე დიდ როლს ისევე მაკედონია ასრულებდა. ძვ.წ. აღ-ით III-II საუკუნეებში სპარსეთის მეფეები (ცილიზობდნენ დაებრუნებინათ ძველი დიდება, მაგრამ არცთუ შედეგიახლოდა. ძვ.წ. აღ-ის 197 წელს რომაელებმა დაამარცხეს მაკედონიელები, რის შემდეგ რომი სულ უფრო ერეოდა საბერძნეთის საშინაო საქმეებში. ძვ.წ. აღ-ით 146 წელს, მორიგი გამარჯვების შემდეგ, საბერძნეთი, ათენის გამოკლებით (იგი ნომინალურად თავისუფალ ქალაქად ითვლებოდა), რომის პროვინციად გამოცხადდა. ახ.წ. აღ-ით IV საუკუნეიდან საბერძნეთი რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის – ბიზანტიის ცენტრად იქცა.

ელინისტური ეპოქის დასასრულად მიიწვედნენ რომის პირველი იმპერატორის, ავგუსტოს მიერ აღუქსანდრე დიდის უკანასკნელი მსხვილი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის – ეგვიპტის დაპყრობას. ეს ქვეყანა ჩვ.წ. აღ-ით 323 წლიდან 30 წლამდე პტოლომეთა დინასტიების მიერ იმართებოდა.

როგორც ცნობილია, ბერძნული სამყაროს ურთიერთობა საქართველოსთან, კერძოდ, კოლხეთთან იწყება ჯერ კიდევ მიკენურ ხანაში და ასახულია არგონავტების მითში. ძვ.წ. აღ-ით VIII საუკუნეში ბერძნულ ლიტერატურულ ძეგლებში პირველად მოიხსენიება „კოლხეთი“. ამავე ეპოქაში, შაჰი ზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში ბერძნები აარსებენ პირველ ახალშენებს, ხოლო ძვ.წ. აღ-ით VII საუკუნის მეორე ნახევარში იწყება ბერძენთა მიერ შაჰი ზღვის სანაპიროების ინტენსიური კოლონიზაცია. შაჰი ზღვისპირა დასახლებებიდან ბერძნები ამყარებენ სავაჭრო ურთიერთობებს კოლხეთთან. ბერძნებს დასავლეთ საქართველოდან გაქონდათ ხე-ტყე, რკინა და მისი ნაწარმი, სელი და ზეთი, შესაძლოა, ადგილი ჰქონდა ექსპორტსაც. კოლხურ ხოხობს პირველად არისტოფანე (ძვ.წ. აღ-ით V ს.), ხოლო შემდეგ (ძვ.წ. აღ-ით III-II სს.) ბერძენი მწერალი აგათანგიკე კინდოსელი იხსენიებს. თავის მხრივ, ბერძენ ვაჭრებს

კოლხეთში მოხატული კერამიკის ჭურჭელი, ძვირფასი ლითონის ჭურჭელი, მაღალი ხარისხის ღვინო, სეითუნის ზეთი და ნელსაცხებელი შემოქონდათ.

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ ძველი ბერძნული კულტურა საფუძველი და უდიდესი ფენომენი გახდა კაცობრიობის შემდგომი კულტურული განვითარებისათვის.

ძველ საბერძნეთში, პირველყოფილი თემური წყობილების დროს, ჭარბობდა სამყაროსე ტოტემისტური, ფეტიშური და ანიმიზტური შეხედულებები. ძვ.წ. აღ-ით II ათასწლეულში ბერძნები თავიანთს ცემდნენ ბერძნული ოლიმპიური პანთეონის ღვთაებებს. ძველი ბერძნების წარმოდგენით, ღმერთები ოლიმპზე ცხოვრობდნენ და უსუნავის ღვთაების, „აღამიანთა და ღმერთთა მამის“, ზეუსის ნებას ემორჩილებოდნენ. დანარჩენ ღვთაებებს, როგორც ეს ფართოდაა ცნობილი, განაწილებული ჰქონდათ ფუნქციები (ათენა ომის, ხელოვნების, ხელოსნობის... მყარველი ღვთაება იყო, არტემიდა – ნადირობის, აფროდიტე – სიყვარულისა და სილამაზის და ა.შ.). ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ადგილობრივ მითოლოგიას მეკეთრად გამოხატული ანთროპომორფიზმი ახასიათებს (ღმერთებს, ჩვეულებრივ, ადამიანის სხეული და თვისებები აქვთ). ბერძნული მითოლოგიის განვითარებასთან ერთად ყალიბდება ბერძნული რელიგიაც, ე.ი. რწმენა ღმერთის ზებუნებრივი ძალის შესახებ.

ძველი ბერძნული ფილოსოფია ბერძნული კულტურის არსებითი ნაწილია. მას 3 პერიოდად ყოფენ, თითოეულ ეპოქას თავისი გამოწინილი ლიდერები ჰყავდა: თალესი, პითაგორა, ზენონი, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ეპიკურე და სხვ. დიდია ძველი ბერძნული ფილოსოფიის გაეღენა ქართველ მოაზროვნეებზე, ასეთები იყენენ: ბაკური, პეტრე იბერი, იოანე პეტრიწი და სხვ. ეს ცოდნა ფართოდ არის ასახული იმდროინდელ საერო და სასუღიერო პოეზიაში (ჩახრუხაძე, შავთელი, დავით აღმაშენებელი, შოთა რუსთაველი).

ელინისმის ხანამდე (ძვ.წ. აღ-ით IV ს. მიწურული) მეცნიერება დიფერენცირებული არ იყო; თითქმის ყველა ფილოსოფოსი ბუნებისმეტყველიც იყო. ასტრონომიული ცოდნის გაღრმავება დაკავშირებულია მილეტის სკოლასთან და მისი დამაარსებლის, თალესის სახელთან (ძვ.წ. აღ-ით VI ს.). პითაგორას (ძვ.წ. აღ-ით V-IV სს.) სახელს უკავშირდება მრავალი მათემატიკური და გეომეტრიული აღმოჩენა. კლასიკური ეპოქის მეცნიერული ცოდნის მრავალ დარგს ჩაუყარა საფუძველი და განახოგადა არისტოტელემ (ძვ.წ. აღ-ით IV ს.), ესენია: შეხედულება დედამიწის სფეროსებური აგებულების შესახებ, დააფუძნა ცოცხალი ბუნების ახალი დარგი – ზოოლოგია, გამოთქვა შეხედულება არაორგანული ბუნებიდან ორგანული სამყაროს თანდათანობით განვითარებაზე...

პითაგორამ ჯერ კიდევ ძვ.წ. აღ-ით VI საუკუნეში გამოთქვა აზრი დედამიწის მრგვალი ფორმის შე-

სახებ, არისტოტელეს დაებადა აზრი დედამიწის მერიდიანის გაზომვის თაობაზე. ძვ.წ. აღ-ით III საუკუნეში ერატოსთენემ საკმაოდ ზუსტად გამოიანგარიშა მერიდიანის სიგრძე – 39690 კმ (გაცილებით მოგვიანებით, ნამდვილი სიგრძე აღმოჩნდა 40007 კმ). ერატოსთენემ ძვ.წ. აღ-ით III-II საუკუნეების ზღვარზე შეადგინა რუკა. მასზე ნაჩვენებია იყო იმ დროისთვის ცნობილი მსოფლიო: სამხრეთ ევროპა, ჩრდილო აფრიკა და აზიის დასავლეთი ნაწილი. უფრო სრულყოფილი იყო მეორე ბერძენი მეცნიერის, პტოლომეს (პტოლომეოსი) რუკები (ჩვ.წ. აღ-ით II ს.). მათზე უკვე იყო დატანილი და ნაჩვენები გრადუსთა ბადე, აგრეთვე გეოგრაფიული პუნქტების უფრო მეტი რაოდენობა. პტოლომეს „გეოგრაფია“ ძველი დროის გეოგრაფიული ცოდნის ბრწყინვალე ნიმუშია. პიპარქემ (ძვ.წ. აღ-ით II ს.) დედამიწა 360 გრადუსად დაყო.

ისტორიული თხზულებების ავტორებიდან აღსანიშნავია ჰეროდოტე (ძვ.წ. აღ-ით 425 წ.). მან იმოგზაურა იმ დროისათვის ცნობილი დედამიწის ყველა რაიონში (მათ შორის, შავი ზღვისპირეთში). მისი შრომა „ისტორია“ ეძღვნება საბერძნეთ-სპარსეთის ომებს (ძვ.წ. აღ-ით 500-449 წწ.). ისტორიული ამბების გადმოცემისას ჰეროდოტე დაწვრილებით აღწერდა ამა თუ იმ ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას, ადგილობრივი მოსახლეობის ჩვეულებს, ტრადიციებს, რელიგიას. მსგავსი დამსახურებისათვის დიდ სწავლულს სრულიად დამსახურებულად ეწოდა „ისტორიის მამა“. ქსენოფონტეს (ძვ.წ. აღ-ით V-IV სს.) შრომები ეხება სპარსეთისა და ინდოეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერას. მსოფლიო ისტორიის უძველეს ნიმუშად თვლიან აგრეთვე უფრო მოგვიანებით შექმნილ ტიმოქსის, პოლიბიოსის, პოსიდონიოსის, დიოდორე სიცილიელის „ისტორიებს“. რომის ეპოქის ისტორიკოსებიდან აღსანიშნავია დიონისე ჰელიკარნასელი, პლუტარქე, არიანე და სხვები.

ელნიურ ხანაში, ძველი ბერძნული ენის ოთხ დიალექტზე შეიქმნა მწერლობის სამი მონუმენტური დარგი: ეოსი, ლირიკა და დრამა. ზოგიერთი შედევრი დღესაც იწვევს განცვიფრებას. ძვ.წ. აღ-ით IX-VIII სს. მიჯნაზე იონურ დიალექტზე ჩამოყალიბდა საგმირო ეოსი, რომლის უდიდესი წარმომადგენელი პომპროსია. „ილიადამ“ და „ოდისეამ“ არსებითი როლი ითამაშებს ბერძნული ლიტერატურის შემდგომ განვითარებაში. ძვ.წ. აღ-ით VIII-VII საუკუნეებში საგმირო ეოსის ჩაენაცვლა დიდაქტიკური, VII-VI საუკუნეებში განვითარდა ლირიკის სხვადასხვა ჟანრი, მათ შორის ელეგია. დასაწყისში იგი ეძღვნებოდა სამხედრო-პატრიოტულ თემებს, შემდეგ ჩამოყალიბდა სევდა-წუხილის გამომხატველ ჟანრად. ელეგიას შემდეგ დაემატა სატრფილო (მიმნერმე), ინტიმური გრძნობების გამომხატველი მოტივები – მელიკური. მელიკური პოეზიის სახელგანთქმული წარმომადგენლები იყვნენ საფო, ალკეოსი და ანაკრეონტი.

საბერძნეთის ლიტერატურამ განვითარების

უმაღლეს საფეხურს მიაღწია ელნიური ხანის ანტიკურ მონაკვეთში (ძვ.წ. V-IV). მწერლობის გაბატონებული ჟანრი გახდა დრამა, კერძოდ, მისი ორი ჟანრი – ტრაგედია და კომედია, სიუჟეტებს მითოლოგიიდან იღებდნენ. ანტიკური ტრაგედია უმაღლეს საფეხურზე ავიდა სამი დიდი მწერლის – ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს შემოქმედებაში.

ძვ.წ. აღ-ის VI საუკუნიდან განვითარდა პროზაული მწერლობის სამი დარგი – ფილოსოფიური, ისტორიული და რიტორიკული. საისტორიო პროზაში დიდი წვლილი შეიტანა ჰეროდოტესა და ქსენოფონტეს თხზულებებმა. რამდენაღმე გვიან, ჩამოყალიბდა მწერლობის სახობტო-საზეიმო, ანუ პანეგირიკული ჟანრი. ბერძნული მჭევრმეტყველების განვითარების მწვერვალს წარმოადგენს რიტორიკის უდიდესი წარმომადგენელი დემოსთენე; ფილოსოფიური პროზიდან შეიძლება ჩაითვალოს პლატონისა და არისტოტელეს ესთეტიკური მოძღვრებანი. ამ მოძღვრებათა არსი გადმოცემულია პლატონის „დიალოგებსა“ და არისტოტელეს „პოეტიკაში“.

ელნიისტური ხანის მიწურულს, როდესაც ბერძნული სამყარო რომის იმპერიაში შევიდა, იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოცენდა ლიტერატურის ახალი, სარწმუნოებრივი მიმართულება – ქრისტიანული მწერლობა.

საბერძნეთის არქიტექტორებმა და სკულპტორებმა (ფერწერა თითქმის არ არის შემონახული) შექმნეს ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვა ხალხისთვის სიღამაზის, პარმონიისა და მაღალი გემოვნების ნიმუშებს წარმოადგენდნენ. განსაკუთრებით აყვავდა ბერძნული ხელოვნება კლასიკის პერიოდ-



სურ. 259. მითონის ბადროს მტყორცნელი. მარმარილო.



სურ. 260. აფროდიტე (ვენერა) მილოსელი. მარმარილო. (ძვ.წ.ალ-ით II ს., ლუერი, პარიზი).

ში, მონათმფლობელური დემოკრატიის ხანაში. იგი ეყრდნობოდა მითოლოგიას, სამყაროს საზომი კი – ადამიანი იყო.

საბერძნეთის ხელოვნების ძეგლები შემორჩენილია არა მხოლოდ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, არამედ აზიაში, აქენინებზე, ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვისპირა ქვეყნებში.

ბერძნული ხელოვნება ჩაისახა მიკენის (ძვ.წ.ალ-ით II-I ათასწლეულების) წიაღში. საკუთრივ ბერძნული ხელოვნების განვითარებაში (ძვ.წ.ალ-ით XI-I) განარჩევენ სამ პერიოდს: ე.წ. პომეროსის, არქაიკის, კლასიკისა და ელინიზმის პერიოდებს. პომეროსის დროს ფართოდ გავრცელდა გეომეტრიული სტილით მოხატული კერამიკა; არქაიკის პერიოდში საფუძველი ეყრება პოლიისებს. ქალაქთ-


მშენებლობისას მთავარი ყურადღება ექცეოდა აკროპოლისებს, ტაძრებს. თავდაპირველად, მათ ხით ამშვენებდნენ, შემდეგ (ძვ.წ.ალ-ით VI ს.) – კირქვით, ხოლო VI საუკუნის შუა პერიოდიდან – ძირითადად, მარმარილოთი. ტაძრის ირგვლივ გალაგებული იყო საკრებულო სახლი, თეატრები, სტადიონები. ამ დროის შედევრს წარმოადგენს არტემიდას ტაძარი ეფესოში (ძვ.წ.ალ-ით VI ს-ის შუა წლები). ტაძრებს ამკობდნენ ფრიზებით, ყრონტონებზე მოთავსებული ქანდაკებებით.

არქაული ქანდაკება ჯერ ხასიათდება სტატიკურობით („არტემიდა დელოსელი“). შემდეგ დინამიზმით, ე.ი. მოძრაობის გადმოცემის ცდით („ნიკე დელოსელი“, VI ს. შუა წლები, მიაწერენ არქერმეს). არქაიკის პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ღარნაკების ძირითადი სახელები: აფორა, კილიკი და სხვა. იქმნება ღარნაკურის დიდებული ნიმუშები.

ძვ.წ.ალ-ით V-IV საუკუნეებში აყვავდნენ ბერძნული ქალაქები, ქალაქმშენებლობა რეველარული დაგეგმარებით ხდება. ეითარდება ტაძართმშენებლობა (ხევისი ტაძარი ოლიმპოში). ქანდაკებები (პოსეიდონისა და ზევსის ქანდაკება არტემისიონის კონცხზე). ძვ.წ.ალ-ით V საუკუნის I მესოხედის ოსტატთა ძიებანი დაავიორკეინა ბერძენმა სკულპტორმა მირონმა – „ათენა და მარსია“ (ჯგუფური ქანდაკება), „ბადროს მტეორცნელი“ (ინახება რომის ეროვნულ მუზეუმში).

ძვ.წ.ალ-ით V საუკუნის შუა წლები კლასიკური ხელოვნების აყვავების ხანაა. ბერძენ-სპარსელთა ომის შემდეგ აკროპოლისზე აგებენ ახალ ტაძრებს, დგამენ ქანდაკებებს, იქმნება ანსამბლები – პართენონი, ერექთეონი, რომელთა შექმნაზე მუშაობენ საუკეთესო ხუროთმოძღვრები (იქტინე და კალიკრატე), სკულპტურული მორთულობის ხელმძღვანელი – ფიდია. კლასიკის ამაღლებული იდეალები აისახა სწორედ ფიდიას პართენონისათვის შესრულებულ ამ და სხვა ნამუშევრებში.

ათენის წმინდა მაღლობზე (ბორცეებზე), აკროპოლისზე, აღმართულია ძველი ბერძნული ხელოვნ-




სურ. 261. ათენის ცენტრი ღამით. აკროპოლისის ბორცვი, ცენტრალურ ნაწილში პართენონით.

ნების ბრწყინვალე ანსამბლი, რომლის ეპიცენტრსა და გვირგვინს წარმოადგენს ქალღმერთ ათენა პართენოსის (პართენონი) ტაძარი (ძვ.წ. აღ-ით 447-438). პართენონი ბერძნულად „ქალწულის სამყოფელს“ ნიშნავს (parthenon, სიტყვიდან – parthenos – ქალწული). ტაძარი მიძღვნილია ქალღმერთ ათენასადმი. ძველი აგებულია მარმარილოს თეთრი ქვისგან. ტაძრის მისასვლელთან 17 მეტრი სიმაღლის ქრიზოელეფანტინით შესრულებული ათენას ქანდაკება იდგა (მოქანდაკე ფიდიასი). ფასადის ფრიზი შემკული იყო გიგანტების, კენტაურებისა და ამორძალების ომების ამსახველი სცენებით. ფრონტონს ამკობდა სკულპტურული კომპოზიციები. მარმარილოს სვეტების რიცხვი, რომელიც ასე დამახასიათებელია პართენონისათვის 8 X 17-ია, სიმაღლით – 10,43 მეტრი.



სურ. 263. ნიკე სამოთრაკიელი – გამარჯვების ქალღმერთი. მარმარილო (ძვ.წ. აღ-ით 220-190 წწ.; ლუერი, პარიზი). აღმოჩენილია საბერძნეთში, კუნძულ სამოთრაკიაზე.



სურ. 262. პართენონი, ფრაგმენტი. აგებულია ბერძენი არქიტექტორების – იქტინუსა და კალიკრატეს მიერ (ძვ.წ. აღ-ით 447-438).

1687 წელს პართენონი მნიშვნელოვნად დაზიანდა. ომის დროს ვენეციელებმა ალყა შემოარტყეს ტაძარს, სადაც გამაგრებული იყვნენ თურქები. ამ უკანასკნელებს ტაძარი შეჩუთდა და დენთის საწყობად აქონდათ გამოყენებული. ვენეციელთა ზარბაზნიდან გასროლილმა ყუმბარამ ააფეთქა და მნიშვნელოვნად დააზიანა ხელოვნების ეს უბადლო საგანძურო.

XIX საუკუნის დასაწყისში პართენონის ცალკეული ფრაგმენტი დასავლეთ ევროპის მუსეუმებში გაიტანეს: სკულპტურების მეტი წილი ინახება ლონდონის ბრიტანეთის მუსეუმში, ტაძრის ფრიზი – პარიზში...

მრავალი საუკუნის განმავლობაში, ანტიკური პერიოდის დასასრულიდან XIX საუკუნემდე, აკროპოლისი ყველას მიავიწყდა. წმინდა მთა თანდათანობით სოფლის მეკიდრთა ქოხმახებით დაიფარა. შემდეგ აქაურობა თურქებმა დაიპყრეს. წმინდა ტაძარში სათანადო ადგილი დაიკავა თურქული მესეთის გუმბათმა. ტაძრის გადარჩენის პირველი ცდა განხორციელდა 1833-1846 წლებში. დაიწყო მისი რეკონსტრუქცია, აიღეს ქოხმახები, გაჩაღდა არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი. 1930-1939 წლებში, გამოჩენილი ბერძენი არქიტექტორის, ნიკოლას ბალანოსის ხელმძღვანელობით გაიშალა აკროპოლისის ოთხი მთავარი ძეგლის აღდგენითი სამუშაოები. მიწაზე უწყესრიგოდ მიმოფანტულ ყველა ქვას მოუნახეს სათანადო ადგილი. ერთდროულად ჩატარდა ძვირფას ნაგებობათა ფართო სარესტავრაციო სამუშაოები. პართენონმა თანდათანობით მიიღო ასეული წლების წინათ დაკარგული სახე. ამჟამად, ყოველწლიურად, სამი მილიონი ადამიანი დააბიჯებს ათენის წმინდა მადლობზე, რათა მიუახლოედეს და ესიაროს ქვაში ნაკვეთ, სრულქმნილ მშენიერებას.

IV საუკუნის დასაწყისიდან პოლისების დემოკრატიკა კრიზისის განიცდის. წინ წამოიწია პიროვნებათა ინტერესებმა, მათი უკეადაყოფის ტენდენციამ (მალიკარნასის მავსოლეუმში, დაახლოებით ძვ.წ. აღ-ით 350 წ., არქიტექტორები პითეოსი და სატირე).

ელინისტური პერიოდი (ძვ.წ. აღ-ით IV ს. დასასრული – ძვ.წ. აღ-ით I ს.) ხასიათდება ბერძნული კულტურის ფართო ექსპანსიით. აღექვანდრე მავსოლეონის ეპოქაში შენდება რეგულარულად და-

გეგმარებელი ქალაქები: ალექსანდრია, ანტიოქია, სელეკია, უსარმასარი ნაგებობანი - ფაროსის შუქურა ალექსანდრიაში, პერგამონის აკროპოლისი. ღვთაებათა უსახლეროდ მონუმენტალისებული ქანდაკებანი - კელიოსის ქანდაკება (როდოსის კოლოსი).


ქველ საბერძნეთში ჭეშმარიტ აყვავებას მიაღწია მუსიკამ და, განსაკუთრებით, თეატრმა.

ძველი რომი

რომი მარადიული ქალაქია. იგი შეიქმნა ძვ.წ. აღ-ით VIII საუკუნეში და დღემდე ამჟამინებს მდინარე

საფუძვლად დაედო კაცობრიობის დასავლეთ ვეროპის ტიპის ცივილიზაციას.

რომის ისტორია დაიწყო აპენინის ნახევარკუნძულზე, მდინარე ტიბრის ქვედა დინების პირას. იქ, დაჭაობებულ დაბლობებზე, აღმართული იყო გორაკთა ჯგუფი. ლათინთა ერთ-ერთი ტომის სახით, რომაელთა ყველაზე ძველი დასახლება დამკვიდრდა პალატინის ბორცვზე. ჭაობებით გარშემორტყმული, ციცაბო ფერდობებიანი გორაკი მოსახერხებელი ადგილი იყო მტრის მოსაგერიებლად. თანდათანობით, ადამიანებით დასახლდა პალატინისა და კაპიტოლიუმის ირგვლივ ჭაობებზე წამოზიდული სხვა ექვსი ბორცვიც.



სურ. 264. ხელი რომზე.


ტიბრის ორივე სანაპიროს. ორი ათასზე მეტი წლის განმავლობაში მსოფლიოს მნიშვნელოვანმა ქალაქმა გაიარა გზა პატარა დასახლებული სოფლიდან დედამიწის ერთ-ერთ ყველაზე დიდი იმპერიის ცენტრამდე. ამ პერიოდში შეიქმნა კულტურა, რომელიც საბერძნეთის ძირძველ კულტურასთან ერთად,

შეელმზა რომაელებმა შექმნეს ღვეგნდა, რომლის თანახმადაც, რომის დამაარსებელი იყო მეფე რომულუსი. ზუსტად გამოიანგარიშეს მისი გამეფების დროც - ძვ.წ. აღ-ით 753 წლის 21 აპრილი. ქალაქის დამაარსებლის გენეალოგიური ძირი დაუკაჟშირეს ტროას ომის ღვეგნდარულ გმირს - ენეასს. ბერძენ-აქველებს მიერ ტროას ხელყოფის შემდეგ, ღმერთების დახმარებით ღვეგნილი ენეა იტალიაში, ლათინთა მეფესთან ჩავიდა. რომაელებს მტკიცედ სწამდათ რომის დამაარსებლის ბერძნული წარმოშობა.

ღვეგნდის თანახმად რომულუსი და მისი ტყუპის ცალი რემუსი სათანადო ინტრიგის მსხვერპლი გამხდარან და მდინარე ტიბრში გადაუყრიათ, მაგრამ წყალს გამოურიყავს ნაპირზე. ძუ მგელს ძუძუთი გამოუყვებავს, შემდეგ მეფის მწყემსს გაუზრდია. წამოზრდილ ძმებს მწყემსთა მოთავე ნუმიტორი გაუმეფებით. ამ უკანასკნელის ბრძანებით, იმ ადგილას, სადაც ძმები გადაჰყარეს ქალაქი, მომავალი რომი დაუარსებიათ. ბოლოს ძმებიც წაჰკიდებიან ერთმანეთს და რომულუსს რემუსი მოუკლავს.



სურ. 265. ხელი წმინდა პეტრეს ტაძარზე მდინარე ტიბრიდან.



სურ. 266. რომულუსი და რემუსი წოვენ ძუ მგლის ძუძუს. კონსერვატორიუმის ტაძრის მუზეუმი (რომი). კაპიტოლიუმის მგელი. ბრინჯაოში ჩამოსხმული ეტრუსკული სკულპტურა (VI ს.). მგლის სკულპტურას ტყუპები დაუმატა პოლაიუოლომ (XV ს.).

რომულუსის შემდეგ, ძველი რომაელების ისტორიკოსების წყაროებით, რომს მართავდა კიდევ ექვსი მეფე. ამიტომ ქვეყნის ისტორიის ეს პერიოდი ცნობილია როგორც „მეფეთა“ ისტორია. ამ დროს იქმნება რომის თემი (civitas). რომულმა შექმნა თემში საზოგადოების მოწყობის თავისებური ფორმა – სენატი, ასი კაცისაგან შემდგარი უხუცესთა საბჭო. მეფესთან ერთად იგი მართავდა სახელმწიფოს. ისტორიკოსთა აზრით, პირველი სამი მეფე, რომულუსის ჩათვლით, ლეგენდარული პირები იყვნენ, დანარჩენი ოთხი – რეალური მოღვაწენი. მათგან სამი ეტრუსკული დინასტიის წარმომადგენლად ითვლება. ეტრუსკების კულტურა რომაელებზე მაღლა იდგა, მან დიდი გავლენა იქონია

ძველ რომზე. რომის ბოლო მეფეები ქვეყანაში თანდათანობით გადავიდნენ მმართველობის ტირანიის ფორმაზე, ისინი ნაკლებად უთათბირდებოდნენ სენატს. ამან უკმაყოფილება გამოიწვია ძველი რომის საზოგადოებაში. მსგავსი პროტესტი დამთავრდა იმით, რომ ორი ტირანი მოკლეს (ლეციუს პრისკუს ტარკინიუსი და სერვიუს ტულიუსი), ხოლო უკანასკნელი მეფე – ტარკინიუს ამაყი, თავისი გეარის წარმომადგენლებითურთ რომიდან გააძევეს. ერთდროულად გაუქმდა მეფის ინსტიტუტიც. ეს მოხდა ძვ.წ. აღ-ით 510 წელს.

ტარკინიუს ამაყის განდევნის შემდეგ ხელისუფლება უმაღლეს მოხელეთა – მაგისტრთა ხელში გადავიდა. მეფის მაგიერად სენატი ერთი წლის ვადით ირჩევდა ორ კონსულს. კონსულები ნებისმიერ პრობლემებზე ეთათბირებოდნენ ერთმანეთს. მათ ხელში იყო ქვეყნის ტერიტორია – იმპერია. ვინაიდან სენატორი თანამდებობას სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდა, ფაქტობრივი პოლიტიკური ძალაუფლება ძველ რომში სენატორების ხელში იყო მოქცეული. განსაკუთრებული სამხედრო საშიშროებისას სენატი ნახევარი წლით ირჩევდა დიქტატორს – ერთპიროვნულ მმართველს.

ძვ.წ. აღ-ით V-III საუკუნეებში რომის საზოგადოება შედგებოდა ორი ფენისაგან – პრივილეგირებული პატრიციებისაგან, რომლებიც რომაელ ხალხად (populus romanus) იწოდებოდა და პლებეებისაგან. ამ უკანასკნელებს სახელისუფლო ორგანოებში მოხვედრის ყველა გზა ჰქონდათ მოჭრილი. ამგვარად, პლებეები – ძირითადი მოსახლეობა – მონებისაგან განსხვავებით, თავისუფლები კი იყვნენ, მაგრამ რომის არასრულყოფილებიან მოქალაქეებად ითვლებოდნენ. ძვ.წ. აღ-ით V საუკუნის დასაწყისშივე პატრიციებსა და პლებეებს შორის



სურ. 267. პაულინე ბონაპარტე (ნაპოლეონ ბონაპარტეს უმცროსი და), მოქანდაკე ანტონიო კანოვა (XIX ს.). რომი, კარდინალ ბორგუზეს სასახლე.

გამართა მწვევე ბრძოლა. პლემბები იბრძოდნენ არათანაბარუფლებიანობის, რომაელი ხალხის ქონებრივი (კენსის მიხედვით დანაწილების წინააღმდეგ და მოქალაქეობრივი თანასწორობის მოსაპოვებლად. ბრძოლა ორნახევარი საუკუნე გაგრძელდა, რამაც მოსპო პატრიციებსა და პლემბებს შორის უფლებრივი განსხვავება, ისინი ყოველმხრივ გაუთანაბრდნენ პატრიციებს.

ნახევარკუნძულზე, პატრიციებსა და პლემბებს შორის ბრძოლის პარალელურად, მიმდინარეობდა რომაელთა ძალაუფლების განმამტკიცებელი ბრძოლა. მას ადგილი ჰქონდა ჯერ თვით ლათინელ ტომებს შორის, შემდეგ კი ეტრუსკული, შუა იტალიის ტომებისა და სამხრეთ იტალიის პოლისების წინააღმდეგ. ომები ყოველთვის არ იყო წარმატებული. მაღე რომს მიადგენ წრდილოეთიდან მოსული გალები. ეს უკანასკნელები გამაგრდნენ მდინარე პოს ხეობაში. იტალიელებმა საბრძოლო პოზიციები დაიკავეს კაპიტოლიუმზე. გადმოცემის თანახმად, როდესაც გალებმა დააპირეს კაპიტოლიუმში შეღწევა, იუნონას ტაძრის წმინდა ბატემა ატეხეს ყიყინი, გააღვიძეს დაცვა და დაპყრობისაგან გადაარჩინეს რომი. შემდეგში, დიდი გამოსასყიდის ფასად, გალები უკან, იტალიის ჩრდილოეთში, გაბრუნდნენ. ძვ.წ. 350 წელს გალებმა რომი მაინც გადაწვეს.


მაგრამ ამ და სხვა დამარცხებებმა რომაელები ვერ გატეხეს. ისინი სულ უფრო ერთიანდებოდნენ, თვითონ ესხმოდნენ თავს სხვა ტომებს, ითვისებდნენ მათ მიწებს და ქონებას. ძვ.წ. აღ-ის 60-იან წლებში მთელი იტალია რომაელთა ძალაუფლების ქვეშ გაერთიანდა. წარმატებებმა რომაელებს ჩაუნერგა სხვა ხალხებთან შედარებით საკუთარი უპირატესობის რწმენა. იგი გამოიხატებოდა საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სტრუქტურების სათანადო სიმაღლეზე მოწყობაში, თავიანთი ყოფა-ცხოვრების დონის ამაღლებაში, რაც სულ უფრო განსხვავებული ხდებოდა სხვა ხალხთა სათანადო დონესთან შედარებით. რომაელებმა ირწმუნეს, რომ ღმერთებმა თავიანთი ქალაქი სპეციალურად შექმნეს სხვა ხალხებზე საბატონოდ, მსოფლიოში რომაული წესრიგის დასამყარებლად. რომაელები ადამიანის, ხალხის საუკეთესო თვისებებად თელიდნენ სიმამაცეს, ამტანობას, შრომისმოყვარეობას, სამართლიანობას... ამ თვისებების განსახიერებას წარმოადგენდა რომაელი გმირი ლუციუს ცინცინატუსი. ძვ.წ. 458 წელს ეკეების წინააღმდეგ ბრძოლის დროს იგი დიქტატორად აირჩიეს.

აღნიშნული საომარი წარმატებების ეპოქაში რომში შემუშავდა პოლიტიკა - „დაყავი და იბატონე!“ („Divide et impera“). მსგავსი პოლიტიკით დაამარცხეს რომაელების მიმართ მტრულად განწყობილი აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრები სხვა ტომები.

იტალიის დაპყრობის შემდეგ რომმა თვალი დაადაგა ბუნებრივი პირობებით მდიდარ სიცილიას.

მაგრამ მსგავსი ნადავლის ხელში ჩასაგდებად რომს სჭირდებოდა თავისი ძალ-ღონის კართაგინთან მოსინჯვა.

კართაგენი, ჩრდილოეთ აფრიკაში ჯერ კიდევ ძვ.წ. აღ-ით IX საუკუნეში ფინიკელებმა დააარსეს. ეს ხალხი განთქმული იყო ზღვაოსნობითა და ვაჭრობით. რომაელებს კი თავისი ფლოტი არ ჰქონდათ. ისინი ძლიერები იყვნენ ხმელეთზე. მაგრამ რომაელებმა სასტიკ ორთაბრძოლაში მაინც სძლიეს კართაგენელებს. ამ უკანასკნელებთან, ძვ.წ. პუნიკური ომები, ას წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. ამ პერიოდში, ასევე ხანგრძლივი ომების შემდეგ დაიპყრეს მაკედონია და საბერძნეთის დიდი ნაწილი (ძვ.წ. აღ-ით 168 წ.). ძვ.წ. აღ-ით 192-188 წლებში რომაელებმა დაამარცხეს ანტიოქე III და თავიანთი გააღლენა თავს მოახვიეს მცირე აზიასაც. ძვ.წ. აღ-ით II საუკუნის მეორე ნახევარში შეაღწიეს პირენეს ნახევარკუნძულზე. დაიწყო იბერიელ ტომთა დამორჩილება. ძვ.წ. აღ-ით 132-130 წლებში შერძიერეთეს პერგამონის სამეფო. რომი ძველი მსოფლიოს უდიდეს სამეფოდ იქცა. მისი საბრძანებელი ხმელთაშუა ზღვის მთელ აუზს მოიცავდა. რომი ნაპარცვი ნადავლითა და ქონებით აივსო. მონური შრომა წამყვანი ხდება მეურნეობის ყველა დარგში. ძვ.წ. აღ-ით II საუკუნის შუა პერიოდში რომში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ორი ანტიგონისტური კლასი.



სურ. 268. ძველი რომის ცენტრალური ნაწილი (რეკონსტრუქცია).

სი - მონები და მონათმფლობელები. მათ შორის მწვევე კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა. ხშირად ხდებოდა მონების აჯანყება. რომელიც ზოგჯერ მთელ იტალიას მოიცავდა.

სამხედრო კამპანიების დროს განსაკუთრებით პოპულარულები ხდებოდნენ წარმატებული მხედართმთაერები. არმია იძენდა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ძალის როლს, ხოლო სარდლები უკვე წარმართავენ სახელმწიფო პოლიტიკას. ძვ.წ. აღ-ით 89 წელს წარმატებით დამთაერდა ბრძოლა პონტოს მეფე მითრიდატე VI-სთან, რომელიც ცდილობდა ბალკანეთსა და რომში იტალიელთა ძალაუფლების აღმოფხვრას. რომის სახელმწიფო ძლიერებას მძლავრი დარტყმა მიაყენა სპარტაკის მეთაურობით (ძვ.წ. 73-71 წლები) ორგანიზებულმა მონათა გრანდიოზულმა აჯანყებამ.

არმიის საშუალებით ძალაუფლების ხელში ჩაგდების ცდა განახორციელა ლუციუს კორნელიუს სულამ (მისი დიქტატურა გაგრძელდა ძვ.წ. აღ-ით 82-79 წლებში). ამის შემდეგ მხედართმთაერების სახელმწიფო მმართველობის ხელში ჩაგდების სურვილს ველარავინ უდგებოდა წინ. სულას თანამზრახველი, გენუს პომპეუს დიდი, თავისი სამხედრო წარმატებების წყალობით გადაიტყა რომის უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწედ. სენატი ყოველმხრივ ცდილობდა მხედართმთაერთა ავტორიტეტის შეზღუდვას, მაგრამ ჯარი, როგორც წესი, გამოჩენილი სამხედრო მოღვაწეების მხარეზე დგებოდა. პომპეუსმა კავშირი დაამყარა ნიჭიერ პოლიტიკოსსა და მხედართმთაერთან იულიუს კეისართან (ცეზართან), მაგრამ კეისარი პომპეუსზე არანაკლებ პატივით იმსახურებდა.

ძვ.წ. აღ-ით 60 წელს შეიქმნა სამი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის - გენუს პომპეუსის, მარკუს კრასუსისა და იულიუს კეისრის სენატის საწინააღმდეგო კავშირი - ტრიუმვირატი (ლათინურად - *tresviri* - „სამი მამაკაცის კავშირი“). ხანგრძლივი მეტოქეობა სამეულებს შორის იულიუს კეისრის გამარჯვებით დამთაერდა.

გაიუს იულიუს კეისარი (ცეზარი) (ძვ.წ. აღ-ით 100(?) - 44) ძველი რომის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი პიროვნება იყო. მან დიდი და სახელოვანი გზა გაიარა ძველმოსილების მწვერვალზე ასასვლელად. ჭაბუკობიდანვე თავხედობით გამორჩეული კეისარი სულას დიქტატორობის პერიოდში, პოლიტიკური ინტრიგების გამო, იძულებული გახდა, რომიდან აზიაში გადახვეწილიყო. როდესაც ძვ.წ. აღ-ით 78 წელს სულა აღესრულა, კეისარიც, კარიერის გასაკეთებლად, რომს დაუბრუნდა. რომში კვლავ ინტრიგების ხლართვით გაითქვა სახელი. პოლიტიკური კარიერის რამდენიმე საფეხურის გაელის შემდეგ, კეისარი ინიშნება ლუსიტანიის (ესპანეთის) პროტექტორად. აჯანყობრივ ტომებზე გამარჯვების შემდეგ, სენატი კეისარს აძლევს რომში ტრიუმფული სეკსის უფლებას. როგორც ცნობილია, მსგავს პატივს მიაგებდნენ ხოლმე მთავარსარდალს, რომელსაც ომის



სურ. 269. გაიუს იულიუს ცეზარი (კეისარი).

დროს, მისი ხელმძღვანელობით, მოკლული ჰყავდა 5000 ჯარისკაცი, ანდა ბრძოლის პროცესში ტყვედ აიყვანდა მოწინააღმდეგის მეფის გვარის წარმომადგენელს. მსგავსი წარმატებების გამო, კეისარი თავისი არმიის მიერ იმპერატორად იქნა შერაცხული.

... ძვ.წ. აღ-ით 60 წელს იმპერატორი და ტრიუმფატორი, იულიუს კეისარი ბრუნდება რომში, სადაც ახლოვდებოდა კონსულის არჩევის დრო. კონსულობა კი ის ბარიერი იყო, რომლის საშუალებითაც პიროვნებას იმპერიაში პირველობის შესაძლებლობა ეძლეოდა.

რომის მისადგომებთან, სენატის კანონმდებლობით, კეისარს წაუყენეს პირობა: ან კონსულის არჩევნებში მიეღო მონაწილეობა (კენტი ვყარა) და ტრიუმფულ მსვლელობაზე უარი ეთქვა, ანდა, პირიქით. ორივე ერთად ეკრძალებოდა. კეისარმა სთხოვა სენატს გამონაკლისი დაეშვა. სენატი შეუვალე აღმოჩნდა. მაშინ კეისარმა უარი თქვა ტრიუმფის უდიდეს სიამოვნებაზე და არჩევნებში კენტი იყარა, გაიმარჯვა და ძვ.წ. აღ-ით 59 წელს კონსული გახდა.

როგორც ითქვა, კეისრის მსგავსად, რომის პირველობისათვის შეუპოვრად იბრძოდა კვლავ ორი პოლიტიკური მოღვაწე - პომპეუსი და კრასუსი. გამოკვეთილი ლიდერები ჯერჯერობით არ ხსენდნენ. ამ დროს კეისრის ინიციატივით სამ პოლიტიკოსს შორის მოლაპარაკება შედგა - არ გადაედგათ ერთმანეთის საწინააღმდეგო არც ერთი ნაბიჯი.

ტრიუმვირატში კეისარი ყველაზე აქტიური იყო. სენატის გვერდის ავლით მან ქვეყანაში მთელი რიგი რეფორმები გაატარა. გადალახა აღკვეთი და დაიპყრო გალების ქვეყანა, რომელიც ტერიტორიულად მოქცეული იყო მდინარე რაინსა და პირენეებს შორის. კეისარმა წარმატებით გადალახა მდინარე რაინი და უკუაგდო ქვეყანაში შემოჭრილი გერმანული წარმოშობის ტომები, ორჯერ გაილაშქრა ბრიტანეთზე და რომაელთა დროშის ქვეშ

გაავრთინა იქ მცხოვრები კელტური წარმოშობის ტომთა ნაწილი, აიძულა, მათ ხარკი ეხადათ რომისთვის. ჭეშმარიტმა ტრიუმფატორმა ნადავლით, მათ შორის, ოქროთი გაავსო რომი, შექმნა საკუთარი პოლიტიკური დასაყრდენი. ძვ.წ. აღ-ით 52 წელს გალეები აუჯანყდნენ რომს. რამდენიმე წარმატებული ბრძოლის შემდეგ, კეისრის თაოსნობით, რიცხოზობრივად ხუთჯერ მეტი მოწინააღმდეგე დაამარცხა. აჯანყების ორგანიზატორებს თავები მოჰკვეთა.

ძვ.წ. აღ-ით 53 წელს პართიელებთან ბრძოლაში კრასუსი დაიღუპა. პომპეუსმა, რადგან ვერ ხედავდა წინანდელ მოლაპარაკებებში სახარბიელო პოზიციას, ქვეყანაში თავისი ინტერესების გატარება დაიწყო. სენატიც ამ უკანასკნელს უჭერდა მხარს. კეისრის ყველა ცდა, შენარჩუნებულყო აღდრინდელი, ტოლერანტული დამოკიდებულება, პომპეუსისა და სენატის მიერ უარყოფილ იქნა. სენატმა პომპეუსი დანიშნა ერთადერთ კონსულად. კეისარი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი ლეგიონის ამარა დარჩენილი მომავალი დიქტატორი ძვ.წ. აღ-ით 49 წლის 10 იანვარს შეჩერდა რომის მისადგომებთან ჩამდინარე პატარა მდინარე რუბიკონთან. ისტორიკოს აპიანის გადმოცემით, ცეზარმა მიმართა თანამზრახველებს: „თუ მე არ გადავლახავე ამ მდინარეს ჩემი მეომრებით, ეს გარდუვალი უბედურება იქნება ჩემთვის, ხოლო თუ გაველ ფონს, იგი გახდება მთელი ხალხის უბედურების დასაწყისი“. თქვა ეს და თითქოსდა ზენარე ძალის ძალისხმევით ფრთაშესხმულმა, გადალახა რუბიკონი შეძახილით: „წილი ნაყარია!“ (ლათინურად – „Alea jacta est“).

ცეზარი გაეშურა რომისაკენ. სენატსა და პომპეუსს თავსარი დასცა კეისრის მსგავსმა ელვისებურმა და კადნიერმა გადაწყვეტილებამ. რომის მოქალაქეთა სიმპათია მომხდურის მხარეს იყო. პომპეუსის მხრივ ჯარის შეგროვებას აზრი არაღქმონდა და დაუმარცხებელი პომპეუს დიდი რაოდენიმე სენატორიერთ საბერძნეთში გადაიხვეწა. კეისარი წვეთი სისხლის დაუღერებლად ქალაქს ქალაქზე იღებდა. ადრე პომპეუსის განკარგულებაში მყოფი რომაელთა ყველა გარნიზონი კეისრის არმიას უერთდებოდა. ძვ.წ. აღ-ით 49 წლის 1 აპრილს კეისარი რომში შევიდა.

გამარჯვებულმა, დამოუკიდებელ მოწინააღმდეგეთა გულის მოსაგებად, აპარეთი რეფორმა ჩაატარა: გააუქმა სულასა და პომპეუსის დამსჯელი კანონები; პროვინციებში მცხოვრებთ მისცა რომის მოქალაქეობის უფლება; ნაწილობრივ გააუქმა ვალები; ჯარს პურის ულუფა გაუზარდა...

რომში საქმეების მოგვარების შემდეგ კეისარმა გაილაშქრა საბერძნეთზე. პომპეუსის ჯართან პირველი წარუმატებელი შერკინების შემდეგ ძვ.წ. აღ-ით 48 წლის 9 აგვისტოს, ფერსალთან, ორჯერ ნაკლები ჯარით შემუსრა მოწინააღმდეგეთა არმია. პომპეუსმა ეგვიპტეში ნახა თავშესაფარი. კეისარმა კი დაიმორჩილა საბერძნეთი და მცირე აზია.

კეისრის უპირატესობა იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ პომპეუსის მთელი ფლოტი კეისარს ჩაბარდა. ტრიუმფატორს მოსვენებას არ აძლევდა უღირსი, ყოფილი თანამზრახველის არსებობა. კეისარი ეგვიპტისკენ დაიძრა. ეგვიპტელები ჩასწვდნენ რა რეალურ სიტუაციას, მზაკერულ გზას და აღვნივნი და ნილოსთან მისულ გემრს სისხლიანი საჩუქარი – მტრის თავი მიუტანეს ძღვნად.

ამ გამარჯვებებმა, იმ ფაქტმა, რომ რომის მოქალაქეებმა ნამსხერვეებად აქციეს სულასა და პომპეუსის ქანდაკებები, ჯიუტი სენატი კეისრისკენ მიახედა. შეშინებულმა სენატმა კეისარი უვადო დიქტატორად გამოაცხადა და მის ძალაუფლებას დაუმორჩილა მთელი იმპერია. უფრო მეტიც (უპირველდებო ფაქტია), დიქტატორს შეუთავსეს ტრიუმფატორის სტატუსი და ავინად დაროსი ნება, ნუმიდიაში ომის მოგების შემდეგ (და არა ომის მოგების შემთხვევაში) მოეწყო დიდებული ტრიუმფი!

მაგრამ იმის მაგივრად, რომ გამგზავრებულიყო მისდამი ესოდენ კეთილგანწყობილ რომში, კეისარი ალექსანდრიაში დარჩა. აქ იგი, შეუდგა მშვენიერ კლეოპატრასა და მისი ძმის – პტოლემე XIII შორის საქმის მოგვარებას ტახტის მემკვიდრეობის სფეროში. ამან, ბუნებრივია, უკმაყოფილება გამოიწვია ეგვიპტელებს შორის, რაც რომაელების წინააღმდეგ აჯანყებაში გადაიზარდა. სწორედ ამ არეულობისას, ხანძარმა გადაწვა ალექსანდრიის ბიბლიოთეკა. კეისარი იძულებული გახდა, ზღვიით დაეტოვებინა ეგვიპტე. დაბოლოთა, ყველაფერი მოგვარდა, კლეოპატრამ რომაელთა მახვილების წყალობით ტახტი დაინსაკუთრა. ეგვიპტე მაინც რომის ქვეშევრდომად რჩებოდა. უკან მობრუნებული კეისარი, კლეოპატრათი მოხიბლული, ალექსანდრიაში ცხრა თვე დარჩა. გვერდით გადალო სამხედრო და სახელმწიფოებრივი საქმეები.

მაგრამ ტრფობის ძროშეში ჩაძირულ კეისარს მკაცრი სინამდვილე, მორის ნეტარებაში ევლანგვის საშუალებას არ აძლევდა. პომპეუსის მომხრეები ერთიანდებოდნენ აფრიკაში, მცირე აზიასა და ესპანეთში. რომში უკმაყოფილების გამოთქვამდნენ კეისრის ვეტერანებიც. პართიის მეფის შეილის, მითრიდატე ფარნაკის წინააღმდეგ, რომელიც მცირე აზიაზე აცხადებდა პრეტენზიას, თერთონ კეისარმა გაილაშქრა. ძვ.წ. აღ-ით 47 წლის 2 აგვისტოს პირდაპირ შემუსრა მისი ჯარი. ესოდენ იოლად წარმატების შესახებ რომში გაავრცელდა მოკლე შეტყობინება: „მივედი. ვნახე. გავიმარჯვე!“ („Veni. Vidi. Vici“). სხვა ქვეყნების აჯანყებულებს ადვილად გაუსწორდნენ მისი ლეგატები.

ძვ.წ. აღ-ით 47 წელს კეისარი, როგორც იქნა, რომში დაბრუნდა. მისმა ერთმა გამოჩენამ დააწყინარა რომაელები. რომში კეისარმა კიდევ ერთხელ ოცნება – ტერიულა გამოჩენილი მხედართმთავრის დასახლება – ცერეზუმფულს სულა ტრიუმფულ თადეში. მიუხედავად უამრავი ძღვეამოსილი ლაშქრობისა, ძვ.წ. აღ-ით 60 წელს ჩატარებული ტრიუმფის შემდეგ, მსგავსი ცერემონია არ განუხორციელებია.

სულ კეისარს სიხარულითა და სიამაყით ცას წუულ თანამემამულეთა წინაშე ოთხი ასეთი დღე-სასწაულის მოწყობის პატივი ხედა წილად. ტრიუმფები მიეძღვნა გალებთან, ფარნაკიელებთან, ეგვიპტელებთან და ნუმიდიელებთან გამარჯვებებს.

ტრიუმფატორის საბრძოლო ეტლის წინ მარშით მიდიოდნენ მისი ლეგიონის მხედრები, მათ უკან მიეშურებოდნენ ბორკილებით გადაბმული არის-ტიკრატოელები წარმოშობის ტყვეები: ეირცინგეტორიკის - გალთა დამარცხებული მთავარსარდალი, არსინოა - კლეოპატრას საწინააღმდეგოდ მოწყობილი ბუნტის თავი, მისი ლეიძლი და, აგრეთვე, იუბის მეფის ვაჟი. გვარდიელებს მიჰქონდათ მიწისკენ დაშვებული, განადგურებულ მოწინააღმდეგეთა აღმები, სხვადასხვა ალაფი. ხელში ჩაგდებულ დოლეათს თელა არ ჰქონდა, მათ შორის იყო 2822 ოქროს გვირგვინი, რომელთა საერთო წონა რვა ტონას იწონიდა. ეშელონებად გამწკრივებული, მთელი ამ ბრწყინვალეების შუაგულში, თანამოქალაქეთა ნასროლ ყვაილთა ფერიერევერსში, ეტლზე ამხედრებულმა კეისარმა ოთხჯერ გაინაგარდა. დაუეწყარი იყო მაღალი, ეაჟაკური იერის, ძოწველით მოსილი რაინდი. ეტლს მიაცილებდნენ ცხენებზე ამხედრებული სენატორები, საკვირმომარჯვებული ლეგიონერები. მონებმა, ოთხჯერვე, სანახაობის მთავარის გმირის თავზე აღმართეს ტრიუმფატორის ოქროს გვირგვინი - corona triumphalis.

დღესასწაულის მორევში ჩაძირულ ქალაქის მცხოვრებთათვის, პირდაპირ ქუჩებში, ღია ცის ქვეშ გაიმართა სადღესასწაულო ნადიმი: გაიშალა 22 ათასი სურფა. სანახაობებმა, თამაშებმა, რომელშიც მონაწილეობდნენ ხალხი, ჯარის ქვეითები, კავალერია და თვით სპილოებიც, შეაზანსარეს მთელი ქალაქი.

კეისარი მიწაზე მოსიარულე ღმერთად იქცა: სიცოცხლის ბოლომდე დიქტატორად აღიარებულს, მის სახელს დაემატა ტიტული - „იმპერატორი“, რომელიც გადაიქცა მისი სრული სახელის ნაწილად - Imperator Gaius Julius Caesar. მანვე მიიღო წოდება - სამშობლოს მამა - Pater Patriae და განმათავისუფლებელი - Liberator. მისი გვარი ეწოდა თვეს, როდესაც დაიბადა - ივლისი. მის სახელზევე აიგო ტაძრები, მისი სკულპტურები დაიდგა ღმერთების სკულპტურათა გვერდით. სასამართლოზე ცეზარის სახელზე დადებული ფიცი საუაღდებულს გაცხდა.

არნახული, გაუგონარი უფლებების მქონე კეისარმა, ნებით თუ უნებლიეთ, დაჩრდილა სენატის უფლებები. მან შეიმუშავა კანონთა ახალი კოდექსი; რეფორმა გაუკეთა კალენდარს; შეიმუშავა გეგმა ახალი თეატრის, მარსის ტაძრის, ბერძნული და რომაული ბიბლიოთეკების მშენებლობის თაობაზე. მაგრამ ამ და მსგავს გეგმებს აღარ ეწერათ განხორციელება. მისი ერთპიროვნული ძალაუფლების ირგვლივ მომწიფდა უმამყოფილება. ცეზარმა ამნისტია გამოაცხადა პომპეუსის ყოფილი მომხ-

რეების მიმართ. მსგავსი კეთილგანწყობა წაღმა შემოუბრუნდა. კეისარს დაუყარეს ჭორობი, თითქოსდა მას გეგმაში ჰქონდა სენატის გაუქმება. საკუთარი თავის მეფედ გამოცხადება, დედაქალაქის რომიდან მცირე ასიაში გადატანა. ბუერმა მტერმა და იმათაც, ვისაც მართლა ეწოდა გული რომის რესპუბლიკაზე, შეთქმულება მოაწყვეს. მასში 60 კაცი მონაწილეობდა. ძე.წ.აღ-ით 44 წლის 15 მარტს, სენატის შენობაში კეისარი მოკლეს. შეამბოხებეს შორის იყენენ პომპეუსის ყოფილი მომხრეები - მარკუს იუნიუს ბრუტუსი, გაიუს კასიუს ლონგინი, ასევე კეისრის მომხრე - დეციმუს იუნიუს ბრუტუსი. უძლეველ კეისარს 23 ჭრილობა მიაყენეს, მათ შორის ერთი, სასიკედილო აღმოჩნდა. რომი კიდევ ერთხელ ჩაეფლო პოლიტიკურ-საზოგადოებრივი უწყისრიგობის ჭაობში. მალე თითქმის ყველა შეთქმულმა კეისრის ტრაგედია გაიხიარა.

იულიუს კეისარი ძველი რომის უგამორჩეულესი პიროვნებაა. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული რომის იმპერიის უძლეველობა, რომელმაც ასეთი სახით კიდევ ხუთი საუკუნე იარსება.

კეისრის დაღუპვის შემდეგ დაწყებულმა სამოქალაქო ომმა რვა წელიწადი გასტანა. არეულობამ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ძე.წ.აღ-ით 43 წელს შეიქმნა მეორე ტრიუმვირატი (მარკუსის, ანტონიუსისა და ავგუსტუსის შემადგენლობით). მათგან ძე.წ.აღ-ით 30 წელს, ავგუსტუსი ერთპიროვნული მმართველი გახდა.

იმპერიის ეპოქა სამ პერიოდად იყოფა: პრინციპატი (ძე.წ.აღ-ით 27 - ახ.წ.აღ-ით 193 წწ.), კრიზისის ხანა (193-284 წწ.), ლომინატი (284-476 წწ.). პრინციპატის დროს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოდ სენატი ითვლებოდა, მაგრამ არსებობდა, ეს იყო მონარქია. ამ ეპოქაში სამი დინასტია მეფობდა: იულიუს-კლავდიუსების (ძე.წ.აღ-ით 27 - ახ.წ. 68 წწ.), ფლავიუსების (69-96) და ანტონიუსების (96-192).

იულიუს კლავდიუსების ეპოქა. ცნობილი ისტორიული პიროვნებებიდან აღსანიშნავია კალიგულა. მისი ნამდვილი სახელია გაიუს კეისარი (ცეზარი). ბავშვობიდან ჯარისკაცული ჩექმების (caligulae) ტარებისთვის ზედმეტი სახელი - კალიგულა შეარქვეს. იმპერატორად 25 წლის ასაკში აკურთხეს (ახ.წ. 37 წ.). კარიერა კარგად დაიწყო (ამნისტიები, ღირსეულთა დაწინაურება, იყო განათლებული ორატორი...), მაგრამ მალე გამოქვლიანდა მისი მანკიერი თვისებები - პატივმოყვარეობა, ეჭვიანობა, ტირანია, უთავბოლო მფლანგელობა უაზრო ნადიმებისათვის. ქვეყნის ხაზინა დაცარიელდა, რასაც მოჰყვა გადასახადების გაზრდა. მალე იმპერატორმა თავი იუპიტერად გამოაცხადა: მის წინაშე უნდა დაჩოქილიყენენ, თავი მიწამდე დაეკრათ. თეატრები და საციროკო წარმოდგენები საკუთარი პიროვნების დემონსტრირებისათვის გამოიყენა, ხალხის წინაშე ხან იუპიტერის, ხან პერკულესის, ხანაც აპოლონის სახით გამოდიოდა. რომში ყველა ქანდაკებას თავები მოხსნა და სა-

კუთარი თავის გამოსახულებანი დაადგმევინა. საკუთარი ცხენის გაკონსულუბაც მოინდომა. და ასე ამხედრებული „იუპიტერი“ სენატის სხდომაზე შეჯირითდებოდა ხოლმე ერთხელ სენატში ცხენმა დაიჭიხინა. კალიგულამ არ დააყოვნა და შესასხა: „ლიოს ამ სენატში ერთი ადამიანური ხმა გაეფონე“.

„დაე, ვჰოლდე, ოლონდ ეშინოდეთ“ – აი, კალიგულას მოღვაწეობა-ცხოვრების კრედი. ბოლოს, მიზანთროპად გადაიქცა, ეგვიპტის ნიადავსე ათობით ადამიანს ახოცინებდა. კაცთმოძულეობის მსგავსი განცხადება – „ნეტავ მთელ რომაელ ხალხს ერთი თავი უდვას, მახვილის ერთი მოქნივით მოეკეთი და დავისვენებდი“ – ისტორიაში არ არის ცნობილი.

შეთქმულება მიწოდებოდა. 41 წლის იანვარში კალიგულა თეატრის დერეფანში მოკლეს, რასაც სასახლეში მთელი მისი ოჯახისა და ნათესაეების ამოწყვეტა მოჰყვა.

ნერონი (ლუციუს კლავდიუს დრუსუს გერმანიკუს ცესარი), ბავშვობიდან უაზრო, უსწეო ატმოსფეროში იზრდებოდა, ამიტომ ცხოვრებისა და ხელმწიფობის განმელობაში არ დარჩენილა ადამიანური ქვენა გრძობა, რომელიც მას არ გამოეჩინა. ისიც ეგვიპტი, პატივმოყვარე, სისხლისმოყვარული, ერთდროულად უკიდურესად გარყენილი ადამიანი იყო. თუ კალიგულას გატაცება ფსევდომსახიობობა იყო, ნერონი თავს უდიდეს პოეტად, მხატვრად, მოქანდაკედ, მომღერლად და მსახიობადაც მიიჩნევდა. ვინც მის „გენიალურ ქმნილებებს“ არ აღიარებდა, თავს კეთილად. ერთი სიტყვით, რომის იმპერიის ტახტზე კიდევ უფრო ფსიქიკაშერყეული ადამიანი ავიდა (54 წლიდან).

მის პაროქსიზმულ ლტოლევას „ღეთაებრივი“ ყოფილიყო და, შესაბამისად, მისთვის სათანადო პატივცემივით, ვერაინ აპროტესტებდა. ნერონმა ყოველგვარი ადამიანური დაკარგა. მის სადისტურ ფსიქიკას თვით ახლობლები შეეწირნენ. მოაწამუნებინა ან მოაკვლევინა: დედა აგრიპინა, ძმა ბოტანიკუსი, ცოლი ოქტავია, თვითმკვლევობამდე მიიყვანა მასწავლებელი, ცნობილი ფილოსოფოსი სენეკა, სენატორები, წარჩინებული მოქალაქეები – მწერლები, პოეტები.

64 წელს ქალაქში ხანძარი გააჩენინა, რომის ორი მესამედი დაიწვა. ჯოხი ახალი რელიგიის მიმდევრებს – ქრისტიანებს გადართვა: „ძირველი ქრისტიანები“ რომის ცირკის არენაზე მბეცებს დააგლეჯინა ან დააწვევინა. იმავე წლებში ეპიდემიამ 30000-მდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.


ნერონმა გადაწყვიტა რომი დიდი გადასახადების ხარჯზე ალაღვინა. სხვა ნაგებობებს შორის შეუდარებელი იყო იმპერატორის „ოქროს სასახლე“. ნერონის წინააღმდეგ შეთქმულება გასცეს. შეთქმულთ საშინლად გაუსწორდნენ.

ნერონი აღექანადრე მაკედონელობაზე ოცნებობდა. პირიქით კი მოხდა. იმპერიაში აჯანყდნენ ბრიტანელები, პართიელები, პალესტინელები, გალიელები, ესპანელები, რაინის ლეგიონები... სე-

ნატმა ნერონი სამშობლოს მტრად გამოაცხადა და სიკვდილი მიუსაჯა. გადაცემული ნერონი რომიდან გაიქცა და თავი რომელიღაც გაასაჩუქრული მონის სახლს შეაფარა. მდევრებმა მიაგნეს. ნერონმა თვითმკვლევობა სცადა. ეელსე მახვილი მიიღო, მაგრამ ვერ გაბედა. მაშინ მონამ მახვილის ტარზე ხელი უკრა და 31 წლის ნერონიც განგმირული დაეცა. მისი უკანასკნელი სიტყვებაც მხოლოდ ნერონის შესარჩევისი აღმოჩნდა: „ოო, როგორი არტისტი ვილუქები!“ (qualis artifex pereo!). იდგა 68 წლის ზაფხული. ნერონთან ერთად დაეცა იულიუს-კლავდიუსების დინასტია.

ყვავიულების დინასტიამ, სხეებთან ერთად, რომის იმპერიას მისცა იმპერატორი ტიტუს ფლავიუს ვესპასიანე (69 წლის დეკემბერი). დაიბადა მდებარე ოჯახში (შესაძლებელია ეტრუსკული წარმოშობის). გამორჩეული იყო პირადი ღირსებებით, თავმდაბლობით, სიმამაცით, დაკვირვებულობით. ფსიქიკაშერყეულმა იმპერატორებმა უკრძალეობა მიაქციეს. კალიგულას დროს ლეგიონის მეთაურობას მიაღწია. თავი გამოიჩინა რაინსა და ბრიტანეთში ბრძოლებისას, რისთვისაც ტრიუმფატორისა და კონსულის პატივცემივით დაჯილდოვდა. ნერონის დროს აფრიკის პროკონსული გახდა. იმპერატორის ტახტზე არასოდეს უოცნებია. ხელმწიფეთა ერთგული მხედართმთავარი იყო. მაგრამ მანიაკთა ხელმძღვანელობით მართვად რომში მომწიფდა ქვეყნის სათავეში ძლიერი და სამართლიანი პიროვნების მოსვლის აუცილებლობა. 60 წლის მოხუცი – ბრძენი, ბრძოლებში გამობრძენილი, სამართლიანი, გულკეთილი, დიველათის ყადრის მცოდნე, იუმორის გრძობით დაჯილდოებული (თვითონაც დასცინოდა თავის „გაღმერთებას“) – სენატმა იმპერატორის ტახტზე ალაღვინა. მას მიეცა ყველა პრივილეგია, რაც ყველაზე გამოჩენილ იმპერატორებს ჰქონდა.

ვესპასიანემ დაიწყო რადიკალური რეფორმები. სენატში ნიჭიერი პროვინციელები შეიყვანა, დაშალა ჯარის დემორალიზებული, უდისციპლინო ლეგიონები, შექმნა ახალი ნაწილები, დაამყარა ძველრომაული, რკინისებური დისციპლინა, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მფლანგველობას; აღადგინა უკანონოდ გაუქმებული გადასახადები, დაბეგრა ყველაფერი, რის დაბეგრაც შეიძლებოდა, ქვეყნის ხაზინის ასაველებად არ ევრდებოდა საჯარო სპეკულაციებს. სამაგიეროდ, რომის მშენებლობისათვის ფულს არ იშურებდა: აღადგინა გადამწვარი კაპიტოლიუმი, ქალაქი განუმეორებელი გახდა კოლოსალური ამფითეატრის (კოლისეუმი) აშენებით, ააშენა მშენებლობის ბრწყინვალე ტაძარი და იქვე, საჯარო ბიბლიოთეკა, გაიყვანა ახალი წყალსადენები, სამხედრო დანიშნულების გზები რომა და პროვინციებში, ააგო ციხესიმაგრეები. რომი იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე დიდ ქალაქად იქცა. თანამედროვე გამოთვლით რომის მოსახლეობა 600 ათასიდან 2 მილიონამდე აღწევდა.



სურ. 270. კოლიზეუმი.

ეგვიპტური პურით დააპურა ჯარი და მოსახლეობა, მოაწესრიგა რომაული სამართალი, მოთოკა ჭორიკნები, ცილისმწამებლები, დამსმენები. მფარველობას უწევდა მეცნიერ-პრაქტიკოსებს. სამაგიეროდ, ბევრ ფილოსოფოსს, შამან-მარჩიელსა და რელიგიურ ფანტაზიორს არაფრად აგდებდა. ეესპასიანეს ეკუთვნის სიტყვები: „საკმარისია კაცმა მოუშვას წვერი, შეიკრას წარბები, წამოისხას დაძონძილი მოსასხამი, დაიწყოს ფეხშიშველა სიარული, რომ უკვე თავის თავს ფილოსოფოსს უწოდებს“.

ეესპასიანემ დიდი ომები გადაიტანა აჯანყებულ პროვინციელების დასაშოშმინებლად (მათ შორის პონტო-კოლხეთში). 79 წელს იმპერატორი

ტიტე ფლავიუს ეესპასიანე, 70 წლის ასაკში აღესრულა. იუმორი სიკვდილის წინაც არ დაუქარგავს: „ვაიმე, ცუდად შევიქნე. მგონი ღმერთად უნდა ექცე“.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა მეგობრულ სამოკავშირეო ურთიერთობას რომსა და იბერიას შორის. ამის დასამტკიცებელი ერთ-ერთი საბუთი იყო 1867 წელს მცხეთაში აღმოჩენილი ქვა ბერძნული წარწერით, რომელიც 75 წელს არის შესრულებული. მასში ნათქვამია: „ეესპასიანემ და მისმა შეილებმა იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და იამასპოს ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს, და ხალხს ეს კედლები განუმტკიცეს“.

ცალკე საუბრის თემა კოლიზეუმი, ანუ კოლოსეუმი (ლათინური – colosseus – გიგანტური, კოლოსალური), იგივე ფლავიუსების ამფითეატრი (75-80). შენობის ფორმა ელიფსურია, სიგრძით 190 მეტრი, სიგანით – 156 მეტრი. შეიცავს ცენტრალურ არენასა და მისგან საფეხურებად აღმაველ ოთხ იარუსს. ეტეოდა 50000 მაყურებელი. აგებული იყო გლადიატორთა ორთაბრძოლების, მხეცებთან შერკინებისა და სხვა სანახაობების საყურებლად.

კოლიზეუმი აშენებულია ტუფისგან. საძირკველი გამაგრებულია ცემენტისა და გრანიტის ბლოკებისაგან, მოპირკეთებული იყო სხვადასხვა ძვირფასი ქვით, ხოლო ტრიბუნები დაფარული იყო მარმარილოთი. ფასადებს გარს უვლიდა 3 იარუსად განლაგებული ტოსკანური, იონური და კორინთული ორდერების თაღების რიგი, დამშვენე-



სურ. 271. კოლიზეუმის ინტერიერი დღეს.



სურ. 272. კოლიზეუმის ინტერიერი.
გლადიატორთა ბრძოლა (რეკონსტრუქცია).

ბული სკულპტურებით, რომლებიც ამჟამად აღარ შემორჩა. კოლიზეუმში რომის იმპერიაში ყველაზე დიდი ამფითეატრი იყო. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ნანგრევები.

კოლიზეუმის მშენებლობა დაიწყო იმპერატორმა ვესპასიანემ (ძვ.წ. აღ-ით 75 წ.) და დაამთავრა ვესპასიანეს ვაჟმა – იმპერატორმა ტიტუს ფლავიუს ვესპასიანემ (80 წ.). 70 წელს ტიტუს ფლავიუსმა დაიპყრო იერუსალიმი. რომში ჩამოიყვანა 100000 ტყვე. მათ შორის 40000 მონა. ტყვეები მასობრივად ღებულდნენ მონაწილეობას დიდებული ნაგებობის მშენებლობაში. დატყვევებულ ჯარისკაცებს, რომლებსაც მონებად არ ყიდდნენ, ხშირად იყენებდნენ გლადიატორებად. ალტკინებულ მაყურებელთა თვალწინ, თუ გლადიატორი სხვა ტყვესთან, ანდა მხეცთან (უწინარესად ღომთან) რამდენიმე გამარჯვებას მოიპოვებდა, მონად ტყველ ასეთ ტყვეს თავისუფალი მოქალაქის წოდებას ანიჭებდნენ.

გლადიატორთა ბრძოლებსათვის განკუთვნილი არენა დაფარული იყო ქვიშით (ლათინურად „არენა“ – ქვიშას ნიშნავს). როდესაც ორთაბრძოლა მხეცებთან იმართებოდა, არენას ამკობდნენ სხვადასხვა დეკორაციით – ბუჩქებით, ხეებით, ბორცვებითა და ა.შ. თავდაპირველად, არენას წყლით ავსებდნენ, რათა ნაგებობის მებრძოლთათვის თვალწერი უკუენებინათ, მაგრამ არენის წყლით შევსება ბევრ პრობლემასთან იყო დაკავშირებული, რის გამოც მალე დააშრეს და მსგავსი სანახაობაც გააუქმეს.

სიციხიანი ამინდისას მაყურებელს იცავდა ტილოთი („Velarium“) გადახურული ჭერი. მსგავსი


ჭერის ცენტრალური ნაწილი ღია იყო და მასში თავისუფლად აღწევდა მზის სხივები.

რომაელები მსგავს. სასტიკ ორთაბრძოლებს თვალყურს ადევნებდნენ ახ.წ. აღ-ის 608 წლამდე. შუა საუკუნეებში კოლიზეუმში მიუდგომელ ციხესიმაგრედ გადააქციეს. რენესანსის ეპოქაში იგი მნიშვნელოვნად ხელყვეს თვით რომაელებმა – შენობის ქეებს იყენებდნენ ტაძრებისა და ეკლესიების ასაგებად, სამშენებლო მასალად. მსგავსი პროცესი დიდხანს გაგრძელდა. მხოლოდ XIX საუკუნიდან, ეპისკოპოსების თაოსნობით, დაიწვეს კოლიზეუმის იმ დონეზე აღდგენა-შეკეთება, როგორც იგი დღეს გამოიყურება.

ამჟამინდელი გადასახედიდანაც, ძველი რომის ამფითეატრი – კოლიზეუმი – კაცობრიობის ინჟინრულ-არქიტექტურული მიღწევის ბრწყინვალე ნიმუშია, მან ხომ ორი ათასწლეულის ჯამთა სელას გაუძლო.

ანტონინუსების (ესპანელი იმპერატორების) დრო. რომის მცირერიცხოვან, სახელწოდებულ იმპერატორთა რიცხვს ეკუთვნის მარკუს ულპიუს ტრაიანე, დაიბადა ესპანეთში, დღევანდელ სევილიის მახლობლად. სიჭაბუკეიდანვე გამოირჩეოდა დადი ფიზიკური ძალითა და სულიერი სიძლიერით. 41 წლის ასაკში (98 წ.) გახდა იმპერატორი. მანამდე, 97 წელს, იმპერატორმა ნერვამ იშვილა და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. მის კარიერას ხელი შეუწყო სიმამაცემ, გამჭრიახობამ, დიპლომატიის უნარმა, განათლებულობამ და ტოლერანტობამ. ტრაიანემ კიდევ უფრო განამტკიცა ჯარში დისციპლინა, სენატს სრული თანამშრომლობა აღუთქვა, რისთვისაც დაიმსახურა რომისთვის მანამდე უცხო ტიტული – „საუკეთესო“ („Optimus“). ტრაიანემ ღრმად იყო დაინტერესებული სახელმწიფო მართვის ყველა სფეროთი, იქნებოდა ეს სამეურნეო, ადმინისტრაციული, პოლიტიკური, სამოსამართლო თუ სხვ. გარკვეული თანხა გამოეყო ობლებსა და მიუსაფრებს, ეტერანებს. მთელ იმპერიაში განაღდა საგზაო მშენებლობა, მსგავს პოლიტიკას ახორციელებდა ნებისმიერ პროვინციაშიც. იმპერატორმა გრანდიოზული მშენებლობა წამოიწყო რომში. ააგო ახალი, ბრწყინვალე ფორუმი (ტრაიანეს ფორუმი), სადაც აღმართა კოლოსალური, ტრაიანეს სეტი (111-114). არქიტექტორი იყო ბერძენი აპოდორე დამასკელი. სეტი 38 მეტრი სიმაღლის თეთრი მარმარილოსგან აიგო. შიგნით, სივარყულეში 184-საფეხურიანი ხეული კიბუა დატანებული. სეტზე, გარშემო, სპირალურადაა გამოკეთილი უწყვეტ რელიეფთა ანსამბლი. ისინი ასახვენ ღუჩაზე, დაკებთან ომში მოპოვებულ გამარჯვებათა ამსახველ ეპიზოდებს. შეიცავს 2500 ადამიანის ფიგურას.

ტრიუმფული თაღებით დამშვენდნენ ქალაქები. თხემით ტერფამდე მეომარი, ტრაიანე, ძირეულად ცელის ავგუსტუსის დროიდან შემოდებულ თაყდაცვით პოლიტიკას. მან აღადგინა რომის საბრძანებელთა გასაფართოებლად ახალ ქვეყანათა



სურ. 273. ტრაიანეს დროინდელი რომის იმპერია.


დაპყრობის წელთაღრიცხვამდელი ტრადიცია. 103 წელს დუნაიზე დაამარცხა დაკიელები (როგორც ითქვა, ამ წარმატების აღსანიშნავად აღიმართა სვეტი რომში). 106 წელს დაიკის ხელმეორედ დამარცხების შემდეგ, ეს ქვეყანა რომის პროვინციად გამოცხადდა. 106 წელს რომაელებმა კორნელიუს პაღმას თაოსნობით ნაბატეველთა სახელმწიფო დაიპყრეს და პროვინცია არაბეთის სახელით იმპერიის საზღვრებში მოაქციეს. პართიის დამარცხების შემდეგ სომხეთი, რომელსაც ეს ქვეყანა მფარველობდა, კვლავ რომის პროვინციად გამოცხადდა. სულ მალე მესოპოტამია და სირიაც რომის სამფლობელოში გააერთიანა. დაბოლოს, ტრაიანეს ტრიუმფულ სამხედრო ლაშქრობებს ყველაზე საპასუხისმგებლო – პართიის სატახტო ქალაქის დაცემაც მოჰყვა. და მაშინ, როდესაც სპარსეთის ყურიდან, ალექსანდრე მაკედონელის მსგავსად,

ინდოეთისკენ გალაშქრება გადაწყვიტა, პრობლემები შეექმნა. რომაელთა უღლიდან თავის დასაღწევად აჯანყდნენ მესოპოტამიელები, ამასობაში პართიის გაძევებულმა მეფე ხოსრომაც დაიბრუნა თავისი ტახტი. ამბოხი გაერცვლდა ეგვიპტესა და კეიპროსზე. ტრაიანეს მტკიცე ხელის სუსხი ვედარ იგრძნეს აჯანყებულებმა, 117 წელს მძლეთამძლე იმპერატორი გარდაიცვალა. მას შემდეგ ყოველ ახალ იმპერატორს სენატი ასე ლოცავდა: „იყავ უბედნიერეს ავგუსტუსისა და უკეთეს ტრაიანესი“ (“felicior Augusto, melior Traiano”).

ტრაიანე მისმა აღზრდილმა და შეილობილმა ადრიანემ შეცვალა (პუბლიუს ელიუს ადრიანე (ადრიანე). წინამორბედისაგან განსხვავებით, ახალი იმპერატორი (137-138) იმპერიის საზღვრების დაცვის პოლიტიკაზე გადავიდა. პართიას დაუბრუნა წართმეული ქვეყნები, სომხეთმა დაიბრუნა ნომი-



სურ. 274. რომის ფორუმი – რომაელთა სამოქალაქო ცხოვრების ცენტრი (სიგრძე 640 მ, სიგანე – 215 მ).



სურ. 274. პალატინის ბორცვიდან, ფორუმის გავლით, ამ დიდებულ ანსამბლს დასახელებით ამთავრებს თეთრი მარმარილოსაგან ნაგები, ვენეციის სახელწოდებით ცნობილი შესანიშნავი ნაგებობა.


ნალური დამოუკიდებლობა, მაგრამ ადრიანეს პრობლემები შეუქმნა იბერიის მტკიცე და გაბედულმა ხელმწიფე ფარსმან II-ემ, რომლის დიდი რიდი ჰქონდათ როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ისე წინა აზიაში. ადრიანემ რომში დაიბარა ფარსმანი. ცივი უარის შემდეგ იმპერატორი არწყენების პოლიტიკას დაადგა – „რომაელი ხალხის მოკაეშირესა და მეგობარს“ საჩუქრად ჯარი და სპილო გაუგზავნა.

იბერიის ტერიტორიული პრეტენზიების დაკმაყოფილებისა და დათმობების გამო, ანტონიუს პიუსის (138-161) მმართველობისას, ურთიერთობა რომსა და იბერიას შორის გაუმჯობესდა. ამის შედეგად ფარსმან II ოჯახითა და იბერთა დიდებულების თანხლებით რომს ეწვია, სადაც იბერთა


პატივსაცემად დაიდგა ცხენოსანი ფარსმანის ქანდაკება.

რომის იმპერიის შემადგენლობაში კელაე უსარმასარი ტერიტორია რჩებოდა. იგი გადაჭიმული იყო შავი ზღვიდან ბრიტანეთამდე. აიგო თავდაცვითი სიმაგრეების მთელი სისტემა – რომის სასაღერო ხაზი (Lines Romanus). მოგზაურობის ტრუფილმა ხელმწიფემ ფეხით მოიარა იმპერიის თითქმის ყველა კუთხე. თან დიდ საქველმოქმედო და სახელმწიფო საქმეებსაც აკეთებდა. აღესრულა 138 წლის იელისში. გარდაიცვალა მის მიერეე აგებულ ბრწყინვალე სასახლეში.

კრიზისის ხანა. ანტონინუსების დინასტიის მმართველობისას გამწყვედა ურთიერთობა სენატსა და იმპერატორებს შორის (235-284). ადგილი ჰქონდა



სურ. 276. წმინდა პეტრეს ტაძარი. გუმბათი აგებულია მიქელანჯელოს მიერ, ხოლო იმავე დასახელების მოედნის, ტაძართან მიმდებარე არქიტექტურული ანსამბლის (კოლონებითურთ) ავტორია ბერნინი.




სურ. 277. წმინდა პეტრეს ტაძრის ფასადი გუმბათით.

იმპერატორთა გამუდმებულ ცვლელსა და სამოქალაქო ომებს. იმპერიას გამოეყო მრავალი პროვინცია: ბრიტანეთი, ესპანეთი, გალია, სირია, ეგვიპტე, მოგვიანებით დაკია; ქვეყანას თავს ესხმიან უცხო ტომები: გუთები, ფრანკები, ალემანები. იმპერიის ხელახალი განმტკიცება მოხერხდა იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს (284-305). მაგრამ ვეებერთელა იმპერიის მართვა მაინც ჭირდა. იმპერატორმა სახელმწიფო ჯერ ორად, შემდეგ ეს ორიც ორ-ორად გაყო. ოლქებს სათავეში ჩაუყენა ორი კეისარი. კონსტანტინე I-მა (306-337) ძალაში


დატოვა სახელმწიფოს 4 პრეფექტურად დაყოფის სისტემა. იმპერატორის ძლიერ დასაყრდენ ძალად იქცა ქრისტიანობა. რომელიც ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა. იმპერიაში კრიზისი გრძელდებოდა. მისი აღმოსაყდრით ნაწილი უფრო ინარჩუნებდა წარსულ ძლიერებას. კონსტანტინემაც დედაქალაქი ბიზანტიაში გადაიტანა და მას კონსტანტინოპოლი უწოდა. უკანასკნელი, განვითარების საკუთარი გზით წავიდა და დამოუკიდებლობა XV საუკუნემდე შეინარჩუნა.

1402 წელს თემურლენგმა ანკარასიან გაანადგურა თურქების ჯარი. ამ შემთხვევამ რამდენიმე ათეული წლით შეაფერხა ბიზანტიის დაღუპვა. ამ სიტუაციაში ბიზანტიის მმართველი წრეები ამოდ ეძებდნენ შევლას დასაყდრეთ ვეროპის ქვეყნებიდან. თურქებმა განაახლეს ზეწოლა ბიზანტიაზე. ქვეყნის ეკონომიკურმა დაღმასვლამ, კლასობრივმა დაპირისპირებამ, ფეოდალურმა არეულობამ თურქ-ოსმალებს გაუადვილა ბიზანტიაზე გამარჯვება. 1453 წლის 29 მაისს, ორთვიანი აღყის შემდეგ, თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და შემუსრეს. XV საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის იმპერიამ საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა და მისი ტერიტორია ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა.

რომის დაცემის შემდეგ ბიზანტიის იმპერიამ დიდხანს შეინარჩუნა რომაული (ანტიკური) კულტურა, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მაგრამ, იმპერიის დასაყდრეთი ნაწილის დაცემის შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში, მან კულტურის საკუთარი სტილი გამოიმუშავა. ბიზანტიის დედაქალაქის – კონსტანტინოპოლის – გაშენების გენერალურ გეგმაში ჯერ კიდევ X საუკუნიდან წარმოჩინდა განსხვავება რომაულისაგან. აქ აგებდნენ თავიანთი ანტიკური წინამორბედი-



სურ. 278. წმინდა პეტრეს ტაძრის ინტერიერი.



სურ. 279. აია-სოფია. სტამბოლი.

საგან არსებითად განსხვავებულ ტაძრებს, ესენია ცენტრალური გუმბათით დამშვენებული საეკლესიო ბაზილიკები. ხუროთმოძღვრება განსაკუთრებულ აღმავლობას აღწევს VI საუკუნეში. გუმბათოვანი ბაზილიკის შედეგს წარმოადგენს კონსტანტინოპოლის (ამჟამად სტამბულის) წმინდა სოფიოს (აია-სოფია) ტაძარი (532-537 წწ., არქიტექტორები ანთემი ტრალისელი და ისიდორე მილეტელი). ტაძრის სიმაღლე 77 მეტრია, ხოლო გუმბათის დიამეტრი – 31,4 მეტრი. აფრებზე ამოყვანილ ძირითად გუმბათს უკავშირდება ნახევარგუმბათების რთული სისტემა, რითაც იქმნება პარმონიული ერთიანობა. ყველაფერი ეს – გრანდიოზულობა, ბრწყინვალეობა და პარმონიულობა – ინტერიერს

განუმეორებელ იერს ანიჭებს, აია-სოფიოს ტაძრის შიგნითა კედლები მოპირკეთებულია ფერადი მარმარილოთი და მოზაიკებით. 1453 წელს თურქებმა წმინდა სოფიოს ტაძარი მეფეთად გადააკეთეს, მობათქაშების შემდეგ კედლის მოზაიკა და მხატვრობა დაიკარგა (VI-XII სს. მოზაიკის ნაწილი გაწმინდეს და აღადგინეს). მნიშვნელოვნად შეიცვალა ტაძრის გარეგნული იერსახეც, რაც გამოიწვია XVI-XVIII საუკუნეებში ტაძარზე მინარეთების მიშენებამ. ამჟამად ტაძარი მუზეუმს წარმოადგენს.

რომის იმპერიის დასაწყლეთმა ნაწილმა გაცოლებით ადრე დაიწყო რღვევა. 410 წელს რომი აიღეს და გაპარცვეს ვესტგუთებმა, 445 წელს – ვანდალებმა, 476 წელს დაქირავებული გერმანული



სურ. 280. წმინდა პეტრეს ტაძრის ინტერიერის მარჯვენა მხარე. მიქელანჯელოს პიეტა.



სურ. 281. პიეტა. ფრაგმენტი. მადონა მხარმკერდზე გადაკიდებული ბავთით. მასზე თვით ხელოვნის მიერ გაკეთებულია წარწერა – „მიქელანჯელო“.



სურ. 282. წმინდა პეტრეს ტაძრის გაგრძელება
- ვატიკანის მუზეუმი. სკულპტურული
ანსამბლი მიქელანჯელოსა და რაფაელის
გამოსახულებით.

ტომების ბელადმა ოდოაკრმა ხელისუფლება ჩამოართვა რომის უკანასკნელ იმპერატორს - რომულუს ავგუსტულუსს. ასე დაასრულა თავის არსებობა პალატინუსის ბორცვის დასახლებით დაწყებულმა რომის იმპერიამ.

ძველი რომაელები განათლებისა და მეცნიერების დარგში ბერძნების დიდ გაელენას განიცდიდნენ. ელინისტური ტრადიციები ვითარდებოდა მედიცინაში, ასტრონომიაში, გეოგრაფიაში და სხვ.

იქმნებოდა ენციკლოპედიური თხზულებები ბუნებისმეტყველებაში, რომელიც მეცნიერების მრავალ დარგს მოიცავდა (პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“); ფართო გაქანებას პოულობს ისტორიოგრაფია (მაგ., იულიუს კეისრის ისტორიული ნაწარმოებები, პლუტარქე (I, II სს.), ამიანე მარცვლინუსი, IV ს.).

რელიგიასა და მითოლოგიაში სრულყოფილი რელიგიური სისტემა - ღმერთების პანთეონი - იქმნებოდა მონათმფლობელური სასოგადოების ფორმირებისას. რესპუბლიკის ხანაში, ელინისტური გაელენით, რომაულ პანთეონში დაიკავეს ადგილები ბერძნულმა ღმერთებმა, ხდებოდა რომაულ ღვთაებებთან (იუპიტერი - ზევსი, იუნონა - პერა, მინერვა - ათენა, მარსი - არესი და სხვ.) მათი გაიგივება. ელინისტური გაელენითვე ვითარდებოდა ღმერთთა ანთროპომორფიზმი. ბოლოს, მონოთეიზმისადმი მიდრეკილებამ ხელი შეუწყო ქრისტიანობის წარმოქმნა-გავრცელებას. რომაული მითოლოგიაც ბერძნული შაბლონით ვითარდებოდა.

ითარგმნებოდა ბერძნული ფილოსოფიური ხასიათის ლიტერატურა. ამ სფეროში დიდი იყო პლატონის, არისტოტელეს, პითაგორას გაელენა.

ძვ.წ.აღ-ით II საუკუნეში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ეროვნული რომაული ლიტერატურის უანრი - სატირა, წამყვანი გახდა პროზა, განვითარდა რიტორიკა. რომაული პოეზიის კორიფეებად ითვლებიან ვირგილიუსი და კორაციუსი. მოგვიანებით, როდესაც აბსოლუტურმა მონარქიამ ცენტრი რომიდან კონსტანტინოპოლში გადაიტანა, ლიტერა-



სურ. 283. რაფაელი. ათენის სკოლა. ცენტრშია - პლატონი და არისტოტელე. რომი. ფრესკა. ვატიკანის სასახლე (1509-1510 წწ.).

ტურის განვითარებას ბიძგი მისცა ქრისტიანულმა მწერლობამ.

ძველი რომის კულტურაში განსაკუთრებით დიდია არქიტექტურის წილი. რომაელები იმპერიის ცენტრსა და პერიფერიაში რომაულ სტილს ამკვიდრებდნენ, მაგრამ ითვისებდნენ ძველ ხელოვნათა მხატვრულ პრინციპებსაც. ადრინდელ პერიოდში – ეტრუსკებისა და ბერძნების, მოგვიანებით – ელინისტური აღმოსავლეთისა და დაპყრობილი „ბარბაროსების“ სტილს. დამახასიათებელია ფართო ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებები. ფორუმის კომპლექსების ჩამოყალიბებას მოჰყვა ძველი რომის სხვა კომპლექსების დაგეგმარებითი პრინციპების განვითარება.

ძველი რომის ხუროთმოძღვრებამ უმაღლესი დონე მიაღწია იმპერიის აყვავების პერიოდში (ძე.წ. I ს. – ახ.წ. II ს.). მშენებლობაში ფართოდ იყენებდნენ ბეტონს, მარმარილოს, ნაგებობებს ამშენებდნენ ფერწერის ნიმუშებითა და ქანდაკებებით. არქიტექტურა თანდათან გადაიქცა იმპერატორის პიროვნების განდიდებისა და იმპერიის ძლიერების პროპაგანდის საშუალებად. ფართოდ გავრცელდა ტრიუმფული თაღებისა და საფლავის უსარმაზარი ძეგლების მშენებლობა. აღსანიშნავია ავგუსტუსის ფორუმი რომში (ძე.წ. აღ-ით I ს-ის დასასრ. – ახ.წ. აღ-ის დასაწყისი), ნერონის სასახლე („ოქროს სახლი“, 64-69 წწ., არ შემორჩა); ვესპასიანეს დროს აშენდა კოლიზეუმი, ტრაიანეს დროს – ფორუმი, ადრიანეს დროს – პანთეონი. ტრაიანეს ეპოქაში ვითარდება ბატალური რელიეფი; ორიგინალურობით გამოირჩევა კარაკალასა (206-217) და დიოკლეტიანეს (306 წ.) თერმები; ქრისტიანობის თემატიკასთანაა დაკავშირებული მარმარილოს სარკოფაგები (III ს.), კატაკომბების მოხატულობა. გვიანდელი რომის ხელოვნებაში ჩასახულმა მხატვრულმა ფორმებმა დასაბამი მისცა ეუროპის შუა საუკუნეების კულტურას. რომიდან უკიდვგანო იმპერიაში იგებოდა შესანიშნავი საგზაო კომუნიკაციები. მაშინ გაჩნდა ფრთიანი ფრანკისა: „ყველა გზა რომში გადის“.

რაც შეეხება თეატრს, ცნობილი რომაული მსახიობები იყვნენ: ტრაგიკოსი ესოპე და კომიკოსი მსახიობი როსციუსი, დიდი წარმატებით სარგებლობდა საცირო წარმოდგენები და გლადიატორთა ბრძოლები. ძველი რომის თეატრმა განსაკუთრებით, დრამატურგამ დიდი უგაველენა მოახდინა მსოფლიო თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე.

რომის მუსიკა ელინისტური კულტურის გავლენით განვითარდა ყოფასთან დაკავშირებული მუსიკალური პოეტური ჟანრები: ტრიუმფული საქორწინო, მიცვალებულთა ხსოვნასთან დაკავშირებული სიმღერები. გავრცელებული იყო მუსიკალური საკრავები: სამკუთხა არფა, კექტი, ბგადისი; სამხედრო ლეგიონებთან არსებობდა სასულიერო ორკესტრები. ძველ რომში მუსიკისა და ცეკვის მასწავლებლის პროფესია განსაკუთრებით საპატიო და პოპულარული იყო.


ძველი სამართველო და მის საზოგადოება კლასიციზმული გვიანდელი კულტურის ზომადი შტრიხები

არქეოლოგთა მონაცემებით, საქართველოს მიწაზე ძველქართველო ტომების შექმნილი მატერიალური კულტურა მინიმუმ 3000 წელს ითვლება. ქართული კულტურის უძველესი ძეგლები იქმნებოდა, უმთავრესად, შავი ზღვის სანაპიროებთან, სადაც კოლხურმა ტომებმა, მოსინიკებმა (მესხებმა) ხალიბებმა, სანებმა (ჭანებმა) და სხვ. შექმნეს ლითონის მოპოვებისა და დამუშავების უძველესი სისტემა. მეორე მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, თრიალეთის კულტურა (ძე.წ. აღ-ით II ათასწლეულის I ნახევარი) თავისი ეკონომიკით (მიწათმოქმედება (მევენახეობის ჩათვლით, მეცხოველეობა), ხელოვნების განსაკვირვებელი ძეგლებით არტიკური სამეაროს სხვა დიდ კულტურათა სიმამლესე დგას.



სურ. 284. ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროს თასი. თრიალეთი (ძე.წ. აღ-ით II ათასწლეული).

ძალგონანთროპოლოგიური მონაცემებით, 1,8 მილიონი წლის წინათ საქართველოს ტერიტორიაზე ბინადრობდა პომოს გეარის აწ გადაშენებული სახეობა (Homo ergaster-ის დმანისური ფორმა). ბიოგეოგრაფიული თვალსაზრისით, H. ergaster-ი და H. sapiens-ი არ სიმპატრიზებდნენ არც დროში და არც სივრცეში, ე.ი. მათ კავასიაში მხარდამხარ არასოდეს უცხოვრიათ. თანამედროვე ადამიანის (H. sapiens sapiens) რასობრივი დიფერენცირება (ძირითადი ფენოტიპური ნიშანია – კანის ფერი) პირდაპირ კავშირშია მის გლობალურ განსახლებასთან. ეუროპიიდან აღნიშნულ პროცესს ადგილი ჰქონდა 60000-10000 წლების მონაკვეთში. დღემდე მისი გლობალური ექსპანსია განახორციელა ნეოანთროპმა, რომელიც, ცალკეულ კონტინენტზე, დღემდე მისი კლიმატურ-გეოგრაფიულ ზონებთან ადაპტაციის პროცესში ჩამოყალიბდა ეუროპეიდულ (კავასიურ), ავსტრალიდურ-ნეგროიდულ და მონღოლოიდურ რასებად. ისტორიულ წარსულში ნეო-




სურ. 285. ოქროსგან დამზადებული ლომის სკულპტურული გამოსახულება ალაზნის ველიდან (ძე.წ.აღ-ით 2300-2000).

ანთროპთა ევროპეოიდული რასის ერთ-ერთმა შტომ, დაიწყო კავკასიის ყელის ათვისება.

შესაბამისად, ისმება კითხვა – როგორ შეიძლება ბოდა არა ადამიანი – ჰომო ერგასტერი და არა ჰომო საპიენსი ყოფილიყო ევროპეოიდული რასის დამფუძნებელი ფორმა, თანაც სამხრეთ კავკასიიდან? მით უმეტეს, თუ ჰომო ერგასტერის ძელოვანი ნაშთი, გარდა აღმოსავლეთ ტროპიკული აფრიკისა და საქართველოსი, არსად არ არის მოკლეული?!...

ნეოანთროპის (პრეისტორიული ადამიანი) „ნაკვალევი“ კი, მსგავსად სხვა კონტინენტებისა, საქართველოშიაც არის დატოვებული. მას მიეკუთვნება




სურ. 286. არმაზის ბილინგვა. ორენოვანი ეპიტაფია (ბერძნული, არამეული; ეს უკანასკნელი დაწერილია არმაზული ასოებით (არმაზული დამწერლობა), რომელიც ქართულს ენათესავენ.

ნება ადრეული პალეოლითის მატერიალური კულტურის ნიშნები – აშელური და მუსტერული დროის აოთბიო მღვიმეები და სადგომები სათანადო არტეფაქტებით, აღმოჩენილი აფხაზეთში, იმერეთში, სამხრეთ ოსეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში. გვიანი პელოლითის ძეგლები აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში, მით უმეტეს იგივე ითქმის მესოლითისა და ნეოლითის ძეგლებზე.


საქართველოს ქვის ხანის ძეგლები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს, თუ რა თანმიმდევრობით განვითარდა ჩვენს მიწაზე ადამიანის ყოფა: მომთაბარე (მომხმარებელ) ცხოვრებიდან ნახევარ ბინადარ არსებობაზე გადასვლა, ხოლო ამ უკანასკნელის – ცხოვრების ადგილზე დასაქმებულის (მწარმოებელური) წესით შეცვლა. ძე.წ.აღ-ით 5-4 ათასი წლის წინათ, სხვა ქვეყნების პარალელურად, საქართველოს ტერიტორიაზე მკვიდრდება ნეოლითისათვის დამახასიათებელი კულტურა. მაღალ დონეს აღწევს მიწათმოქმედება. ძე.წ.აღ-ით 4-3 ათასი წლის წინათ ხდება ბრინჯაოს ეპოქაში გადასვლა. მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობასთან ერთად წამყვან ადგილს იკავებს მეტალურგია.

ეპიგრაფიული ძეგლები მოწმობენ საქართველოში დამწერლობის ადრე გავრცელების ფაქტებს: არამეულის, ბერძნულის (არამაზის ბილინგვა, ახ.წ.აღ-ით II ს.), დაბოლოს თვით ქართულის.

ძე.წ.აღ-ით III ათასწლეულში საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება ქართველური ეთნიკური ჯგუფი პროტოქართველური ენით. მოგვიანებით იგი დაიყო ცალკე ენებად: საკუთრივ ქართულად, სვანურად და მეგრულ-ჭანურად (ზანურად). ძე.წ.აღ-ით II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და ძე.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ბრინჯაოს მეტალურგია აღწევს განვითარების მწვერვალს, მკაფიო ხდება განსხვავება დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალურ კულტურ



უძველესი ქართული წარწერა პალესტინიდან (V საუკუნის I ნახევარი)



493/4 წ. წ. წარწერა (ბოლნისის სიონი)

სურ. 287-288. უძველესი ქართული წარწერები: ბოლნისის სიონის წარწერის ფრაგმენტი (433-494 წწ.) და ასეთივე წარწერა პალესტინიდან (V საუკუნის I ნახევარი).

რებს შორის. იწყებენ გაერთიანებას ადრე კლასობრივი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები. იწყება სკიფების. აქემენიდთა სპარსელების ექსპანსია. ძვ.წ. აღ-ით VI საუკუნეში დასაველეთ საქართველოში დაარსდა კოლხეთის სამეფო, თითქმის ერთდროულად, შავი ზღვისპირეთში ბერძნები აარსებენ თავიანთ კოლონიებს (ფაზისი, დიოსკურია).

კულტურა, XI-XII საუკუნეებში ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი კიდევ უფრო განმტკიცდა.

მეტად ვრცელია ძველი ქართული ცივილიზაციის – მიწათმოქმედების, ხელოსნობის, მითოლოგიის, ხუროთმოძღვრების, გამოყენებითი ხელოვნების მატერიალური კულტურის მონაპოვართა სამყარო...



სურ. 289. უფლისციხე. გამოქვაბული-ნაქალაქარი (ნაგებია ძვ.წ. აღ-ით I ათასწლეულიდან, ვიდრე შუა საუკუნეებამდე).

ძვ.წ. აღ-ით IV საუკუნეში აღმოსაველეთ საქართველოს ადრეკლასობრივ სახელმწიფო წარმონაქმნად გვევლინება იბერიის სამეფო (დედაქალაქი მცხეთა). ძვ.წ. აღ-ით I საუკუნეში რომმა განახორციელა საქართველოს დაპყრობის წარუმატებელი ცდა. ახ.წ. აღ-ით II საუკუნეში იბერიის, III-IV საუკუნეებში კოლხეთ-ლაზეთის (ეგრისი) გაძლიერების გამო, რომის გავლენა საქართველოზე შესუსტა.

არქეოლოგიური გამოკვლევებით აღმოჩენილი იქნა ანტიკური პერიოდის საქართველოს (მცხეთა, ვანი) მაღალგანვითარებული კულტურა: ციხესიმაგრეები, ტაძრები, სასახლეები, უნიკალური საგნებით აღსავსე სამარხები...


თავისებური ეტიმოლოგიური გენეზისი განიცადა ტერმინმა „ქართველი“. თუ ძველად იგი აღნიშნავდა ეთნიკური ქართლის მკვიდრს, საუკუნეების მანძილზე მიმდინარე ეთნოგენეტიკური პროცესების შედეგად ცნება „ქართველი“ გასცდა პოლიტიკური ქართლის საზღვარს და ეთნიკურ-პოლიტიკურის ნაცვლად კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა. „ქართველი“ ეწოდებოდა ყველას, ვინც მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, აღიარებდა დიოფიზიტურ ქრისტიანობას, ნაზიარები იყო ქართულ კულტურას, ენას, ქართულ კულტურულ თუ პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობდა. ამის გამო სახელწოდება „ქართველი“ აღარ შეესაბამებოდა რეალურ ვითარებას, განაღდა ქვეყნის აღმნიშვნელი ახალი ტერმინი – „საქართველო“ (X ს-დან). ამ დროს ქვეყანას უწოდებდნენ სპარსულად „საქართველს“ (სპარსულად „საქართველს“).

მცხეთა, ორი ათასი წლის წინათ, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, საქართველოს სატახტო ქალაქი იყო. საქართველოში ყოფილან არგონავტები, მოხვედრილა ოდისეესი. გერმანელი ექიმი და ბოტანიკოსი, კურტ შპრენგელი, ნაშიროში „მედიცინის პრაგმატული ისტორია“, მედიცინის საყოველთაო ისტორიას კოლხური მედიცინით, მედეათი იწყებს. მას ჩამოთვლილი აქვს 36 სამკურნალო მცენარე, რომელთაც მედეა იყენებდა.

ფაზისში (დღევანდელი ფოთის მიდამოები), IV



სურ. 290. მცხეთა – საქართველოს დედაქალაქი (XV ს-ის დასაწყისამდე). „დიდი მცხეთის“ ტერიტორია დასახლებული იყო ჯერ კიდევ ძვ.წ. აღ-ით III-II ათასწლეულებში.



სურ. 291. სვეტიცხოველი (1010-1129; ხუროთმოძღვარი არსუკიძე) და მცხეთის ჯვარი (VI ს-ის მიწურული და VII ს-ის დასაწყისი).

საუკუნის პირველ ნახევარში უკვე არსებობდა უმაღლესი რიტორიკული სკოლა – კოლხეთის აკადემია.

ვარაუდობენ, რომ ანტიკური პერიოდის ადგილობრივ ფილოსოფიურ აზროვნებაში დიდ როლს ასრულებდა არისტოტელეს ფილოსოფიური კონცეფციები. ანტიკური ფილოსოფიური აზროვნების გამოყენებასა და გადამუშავებაში უდიდესი როლი ითამაშა პეტრე იბერიელმა (V ს.). ადრე შუა საუკუ-

ნების მოღვაწეთა – იოანე საბანიძის, გიორგი მერჩულეს, იოანე პეტრიწის სახელები შორს გასცდა საქართველოს საზღვრებს. აღმოსავლეთში რენესანსი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“ (XII ს.) დაიწყო. X-XII საუკუნეებში როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის მიღმა შეიქმნა ქართული კულტურის მნიშვნელოვანი, საგანმანათლებლო ცენტრები – გელათისა და იყალთოს აკა-



სურ. 292. ბაგრატის ტაძარი ქუთაისში (X-XI სს. მიჯნა).



სურ. 293. სამთავისი. საგებისკოპოსო ტაძარი (XI ს., სამხრეთ-აღმოსავლეთის ხელი).

დემიები. ქართული სიბრძნისმეტყველება, მეცნიერება თავდაპირველად იქმნებოდა ძველი აღმოსავლეთის ხალხთან ურთიერთობაში, შემდეგ ბერძნულ-რომაულ კულტურასთან მჭიდრო კავშირში. აღნიშნულზე მეტყველებს ძველი საქართველოს მიღწევები მეტალურგიაში, აგრეთვე კერამიკაში, მიწათმოქმედებაში (განსაკუთრებით ირიგაციის




სურ. 294. სამთავისი. საკურთხეველის მთავარი სარკმლის თავზე შესრულებული მოწიქურთმებული ჯვარი.

სისტემა), არქიტექტურაში, ესოდენ ორიგინალურ და მწვერლობაში და ა.შ.

V საუკუნეს მიეკუთვნება ბოლნისის სიონი, VI-VII საუკუნეებს – მცხეთის ჯერის მონასტერი, VIII-IX-დან XII-XIII საუკუნეების ჩათვლით ქართული ხუროთმოძღვრება თავის მწვერვალს აღწევს რო-

გორც დასავლეთ (გელათი, ბაგრატი, ნიკორწმინდა და სხვ.), ისე აღმოსავლეთ (სეგტიცხოველი, სამთავისი, ფიტარეთი და სხვ.) და სამხრეთ საქართველოში ტაო-კლარჯეთის ჩათვლით (ოშკი, ხახული, იშხანი, საფარა და ა.შ.), თავის გრანდიოზულობით გამოირჩევიან ქალაქ-გამოქეპებული – უფლისციხე (ძე.წ.ად-ით I ათასწლეულის პირველი ნახევარი),



სურ. 295. პუჯაბი. სამონასტრო ანსამბლი. გუმბათიანი ეკლესია, XII-XIII სს. (ამჟამად სომხეთის ტერიტორია).

მღვიმის მონასტრები – დავით გარეჯი და ვარძია... საქართველოს თითოეული გოჯი მოყვნილია წარსულის ამ უტყვე მემკვიბრებებით.

გაეისხენოთ ლევეან გოთუას ფრთიანს, მამულიშვილის გულით ამღვრებული სტრიქონები:



სურ. 296. აზურბაიჯანი, კახის რაიონი, სოფელი ლეკართი, ქართული ციხის ნანგრევები (სურათზე: სოფელ კახის მასწავლებელი სიმონ ქიტიაშვილი).




სურ. 297. თურქეთი. სოფელ მამაწმინდის ქართულ ძეგლთან.

... არმაზის ციხის ძველი ბალაყარი თუ არმაზხევის ნეკროპოლი მთელი თავისი ფასდაუდებელი ავლადიდებით, უფლისციხის ქვაბ-ქალაქი ან ნოქალაქევის ციხე, ტაძარი, ქალაქი... ბოლნისის სიონი და მცხეთის ჯვარი, კვეტერას, გორის, სამშვილდისა და უჯარმის დედა-ციხეები... შიომღვიმისა და დავით გარეჯის ბურ-მოღვაწეთა, მწიგნობართა ტაძრები, სენაკები, ნეკრესის, ბოჭორმას, ბედიას დიდშენები. სიონი თბილისისა, ატენისა... სამთავრო, სამწვერისი, წრომი, კუმურდო, სხალთა, უბისა, ბიჭვინთა... თითო სახელი ხომ ქართული ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების თითო დიდ ზეიმს უდრის! გელათი – მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრობითა და მოზაიკით; ქართული ხუროთმოძღვრების ტოლი ძმები – მთავარსარდლები: სვეტიცხოველი, ალავერდი, ბაგრატის ტაძრის ნანგრევები! ქვაში ამოყვანილი ჩუქურთმიანი პატარძლები: სავანე, სამთავისი, ფიტარეთი, იკორთა, იკვი... მთლიანად ჩუქურთმის აბჯარში ჩამჯდარი ნიკორწმინდა, ხვამლის ქვაბ-ციხე – სამეფოს საგანძური... ვარძიის ქვაბ-ქალაქის მთელი სამყარო, დმანისი, ანანური, გრემის დიდი ნაერთი, სხვა ათასი, არანაკლები თავისი მნიშვნელობით, ოსტატობით, სახელოვნებით!..

... გამოაკელით ქართულ ბუნებას ქართული ძეგლები და ნახაეთ, ეს უმდიდრესი ბუნება რა საშინლად გაღარიბდება, დაკარგავს თავის სახელსა და სიცოცხლეს!"

საქართველო თავისი კლიმატურ-ოროგრაფიული პირობებით იმთავითვე უაღრესად ნაყოფიერ გარემოს ქმნიდა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. მას გააჩნდა თავისი ადგილობრივი, აბორიგენული, მდიდარი გენოფონდი. მაგრამ,

კაცობრიობის ისტორიული გამოცდილება გეიქეებს, რომ ნებისმიერი ერის კულტურულ-ეკონომიკური ზესელა ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეძლებდა იგი სხვა, მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან ინტეგრირებას. ამ თვალსაზრისითაც ზოგადად კავკასიას და, განსაკუთ-



სურ. 298. თურქეთი. ძველი ბანა (ფანაკი, პენეკი), VII ს. გადაკეთებულია X ს-ში.

რებით, საქართველოს უაღრესად მომგებიანი გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნდა. იგი წარმოადგენდა გზაშესაყარს ევროპასა და აზიას შორის, შავი ზღვა კი შესაძლებლობას აძლევდა ქართველობას უშუალო კავშირები დაემყარებინა ხმელთაშუა ზღვის აუზის სახემწიფოებთან – ევროპული ცივილიზაციის ამ პირველკვანთან, ერთდროულად გაეზიარებინა ის უმდიდრესი გამოცდილება, რაც აღმოსავლეთის ქვეყნებს გააჩნდა.

იზიარებს რა აკად. თ. გამყრელიძის მოსაზრებას, პროფ. ლ. სანიკიძე წერს – „საქართველო ის



სურ. 299. თურქეთი. ხანთა. მთავარი ტაძარი (VIII-XI სს.).

ქვეყანაა, რომლის მთელი საინტერესო თავადასაველი ორივე კონტინენტის, აზიის და ევროპის კულტურის სინთეზს წარმოადგენს.

ჯერ, აზიის ცივილიზაციის ისტორია ევროპისას ორი ათასი წლით უსწრებს და ქართველობაც იმ „წინასწრობილი“ ეპოქის ღვიძლი შვილია. ხოლო, როცა „პირველი ევროპელობა“, ანუ ბერძნულ-რომაული ანტიკურობა გამოჩნდება, საქართველოც თავისი „აზიურობის“ თანხლებით უმაღლეს ევროპულობასაც ერთვება და უერთდება.


და ასე, აზიისა და ევროპის ცივილიზაციათა შეხვედრა-შეერთებიდანვე, საქართველო იყო გზა-კეანძი, რომელსაც ერთნაირი განუყრელ-განუყვერთელი ორგანულობით უნდა განეცადა და გაეყარებინა, ანუ თავის ბუნებად ჰქონებოდა „თანდაყოლილი“ აზიურობაც და „შეძენილი“ ევროპულობაც.

მართლაც და მართლაც – აქი ქართველობის ყოველ კულტურულ ფენომენში ადვილად იძებნება ორგანულ-პარმონიული სინთეზი ორივე ნაკადისა – აზიანიზმისა და ევროპეიზმისა.

ამიტომ, ბოლოს და ბოლოს, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ:


ჩვენ, ქართველი ევრაზიელები (თუ – აზიუროპელები?) ვართ!!!“

მაგრამ წინამდებარე ნაშრომში მოყვანილი ფაქტებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ძველი საქართველო, ეს უადრესად პატარა ქვეყანა, არასოდეს გამოსულა მხოლოდ რეციპიენტის, სხვათა კულტურა-ეკონომიკის მიმდების როლში, იგი როგორც სულიერების, ისე მატერიალური კულტურის თვალ-



სურ. 301. თურქეთი. ხახული.
X ს-ის მეორე ნახევარი.

საზრისით სხვა, გაცილებით დიდი ქვეყნებისათვის დონორის როლსაც ასრულებდა. როგორც თავის ადგილზე ითქვა, აღნიშნულს ადასტურებს ძველბერძნული მითოლოგია – არგონავტების თქმულება. ეს მითი ხომ წარმოშობით წინ უსწრებს თეთი ტროასა და თებეს ციკლთა ელინურ თქმულებებს, შექმნილს დაახლოებით ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევარში. რეალურად კი საქართველო, გლობალური მასშტაბით, იყო პურის არსიზისა და ეაზის – სულის სიმხნევის – ეპიცენტრი, ანდა, სულ ცოტა, ერთ-ერთი პირველი ცენტრი. როგორც აღინიშნა, ნათქვამი დასტურდება არა მხოლოდ მითოლოგიით, არამედ არქეოლოგიური ძეგლებითაც. ასე ჩაეყარა ბალავარი, მომწიფდა, ნოყიერი ნიადაგი შოთა რუსთაველის ვრცელი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყერად. „რუსთაველის ეს უკედავი და გლობალური მნიშვნელობის ნაწარმოები არ წარმოადგენს მხოლოდ ლიტერატურულ ძეგლს. იგი ქვეყნის, ერის ეკონომიკური სიძლიერის, სულიერი აღმასვლის ერთგვარი სიმბოლოა. ამ ეპიკურ ნაწარმოებში აეტორმა მკაფიოდ გამოამჟღავნა ის სულიერი განწყობილებანი და იდეური მიდრეკილებანი, რაც, ჩვეულებრივ, ევროპული რენესანსის ძირითად დამახასიათებელ ნიშანთვისებად არის მიჩნეული. კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში რუსთაველი ადრეული რენესანსის ერთ-ერთი ბაირახტარია“ (ქსე, ტ. 8). ვეფხისტყაოსანში გამოჩნდა ქართველი ერის უდიდესი მისწრაფებანი, მისი უმაღლესი იდეალები. ილია ჭავჭავაძის თქმით, ერმა მას „შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახეია სული და გული, შიგ ჩააწნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძობანი“.




სურ. 300. თურქეთი. იშხანი.
ცენტრალური გუმბათი (XI ს.).

**დასავლეთ ნახევარსფეროს (ახალი
სამხაროს) კმედი ცივილიზაციები**


**მსოფლიოკის - „ზმა მაისის (ნიმინდის)“ -
ცივილიზაციები**

დასავლეთ ნახევარსფეროში, ევროპელთა ექს-
პანსიამდე, ჩამოყალიბდა მესოამერიკისა (სოგჯერ
მას „მესოამერიკასაც“ უწოდებენ) და სამხრეთ
ამერიკის (ანდები) ცივილიზაციები.


ტერმინი „მესოამერიკა“ პირველად 1943 წელს
შემოიღო გერმანელმა მეცნიერმა პაულ კირჰოფმა.
არქეოლოგები მესოამერიკად მიიჩნევენ გეოგრა-



სურ. 302. წინასტორიული
ადამიანის მიერ
ჯერ ჩრდილოეთის,
შემდეგ კი სამხრეთ ამერიკის
ათვისების პიპოთეზური რუკა.



სურ. 303. 18000 წლის წინათ გახმეულთებული ბერინგის
სრუტის ამსახველი რუკა. ამ გზით პრეისტორიულ ადამიანს
ციმბირის ტერიტორიიდან უნდა შეეღწია ჩრდილოეთ ამერიკაში.




სურ. 304. უძველესი კულტურის მატარებელ ინდიელთა მიერ
ცენტრალური ამერიკის ათვისების მასკენებელი რუკა.

ფიულ რაიონს, რომელიც მოიცავს
მექსიკასა და ცენტრალურ ამერიკას.
ამ ვრცელ ტერიტორიაზე, ერთმანე-
თის მონაცვლეობით, კვალი დატოვა
სულ ცოტა ხუთმა ცივილიზაციამ.
მათ შორის ყველაზე ცნობილია მაია-
სა და აცტეკების ცივილიზაციები.

მექსიკის ტერიტორია უზარმაზარ
ნახევარმთიარეს მოგეგონებს, რო-
მელიც გადაჭიმულია ჩრდილოეთ და
ცენტრალურ ამერიკებს შორის. ქვე-
ყანა იმთავითვე ძალიან არათანაბრად
იყო დასახლებული. ჩრდილოეთ ამე-
რიკის ჩიპუაჟუს სახელწოდებით ცნო-
ბილი უდაბნოები და მექსიკის ყურის
მიმდებარე დაჭაობებული ადგილები,
საცხოვრებლად უფარგისი იყო. სამა-
გიეროდ ცენტრალური და სამხრეთ
ამერიკის მთის პლატოთა ნაყოფიერი
მიწები ოდითგანვე იზიდავდა ადა-
მიანს და მჭიდროდაც იყო დასახ-

ღლებული. ამ ქვეყნის პირველმოსახლეთა ვინაობა საიდუმლოებითაა მოცული.



სურ. 305. მექსიკა. ტულა-ტოლტეკთა დედაქალაქი (VII-XII სს.) თავის დროზე, ბაზალტისაგან გამოქანდაკებული კოლოსები ამშვენებდნენ ქუეჩ ბალკოატლის ტაძარს.

თეთონ მექსიკის ტერიტორიის საბოლოო ფორმირება მოხდა კაინოზოური ერის დასაწყისში – 65 მილიონი წლის წინათ. პალეოანთროპოლოგიური მონაცემებით ადგილობრივ მიწაზე ადრე მიანმა, როგორც ჩანს, პირველად ფეხი 15-12 ათასი წლის წინათ დაადგა. შესაძლებელია ეს იყო იმ ხალხის ნაწილი, რომელიც მონაწილეობდა ჩრდილო-აღმოსავლეთი აზიიდან (ციმბირი, ბერინგის სრუტის მიდამოები) ადამიანთა ესოდენ ფართო მასშტაბის მიგრაციაში. არსებობს თურ პეირდალი-სეული თეორია, თითქოს ინდიელები წყნარი ოკეანის კუნძულებიდან მოსული ხალხია და მესამე, კომპრომისული შეხედულება, რომლის მიხედვითაც მესოამერიკის მოსახლეობა ციმბირიდან და ოკეანის კუნძულებიდან სხვადასხვა დროს მოსული ხალხის ასიმილაციის შედეგად ჩამოყალიბდა.

მექსიკის მრავალი ტომისა და ხალხის ისტორია უცნობია. მხოლოდ ესპანურ ქრონიკებში შემორჩენილი მწირი ცნობები იძლევა წარმოდგენას მათ შესახებ. წინაკოლუმბიური მექსიკის ხალხთა შესასწავლად ძირითად წყაროს წარმოადგენს არქეოლოგიური გამოკვლევები.

პრეისტორიულ ადამიანთა ნაკადი მექსიკაში ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიედინებოდა, მიგრაცია ხდებოდა უდაბნოების გვერდის ავლით, წყნარი ოკეანის სანაპირო ზოლით. ასეთი გზით ადამიანი აღწევდა მექსიკის ზეგნის შიდა, ნაყო-

ფიერ რაიონებს, აქედან კი აღმოსავლეთით, ატლანტის ოკეანის სანაპირო მიწებსაც.

ათასობით წლების განმავლობაში ეს ხალხი მომთაბარე ცხოვრების წესს მისდევდა. როგორც ყველგან, ისინიც ნადირობით, მეთევზეობითა და მცენარეთა შეგროვებით ირჩენდნენ თავს. მაგრამ, აქეოლოგიური მონაცემებით, უკვე ძვ.წ. აღ-ით 4 ათასი წლის წინათ მექსიკაში საფუძველი ეყრება მიწათმოქმედებას. პირველ მიწათმოქმედებს მსახურობდათ სიმინდი, ლობიო და კეახი. როგორც ჩანს, პირველად სიმინდის კულტურის მიყვანა დაიწყო მექსიკის სამხრეთში მცხოვრებმა აბორიგენებმა. ძვ.წ. აღ-ით II ათასწლეულში, მექსიკის ყველაზე განვითარებულ რაიონებში გადამწყვეტ როლს მიწათმოქმედება ასრულებდა.

ძვ.წ. აღ-ით I ათასწლეულიდან ახ.წ. აღ-ით I ათასწლეულში მექსიკის ცენტრალურსა და სამხრეთ რაიონებში ეხედებით ცალკეულ აუკუეხულ ცოვილიზაციებს ოლმეკების, ტოლტეკების, ტეოტიუაკანელებისა და საპოტეკების სახით. საპოტეკებმა და ოლმეკებმა საძირკველი ჩაუყარეს მესოამერიკისათვის ესოდენ დამახასიათებელ ხელოვნებას, არქიტექტურასა და რელიგიურ კულტთან დაკავშირებულ სხვა ნაგებობებს. მათ შორის ყველაზე გამოკვეთილია მექსიკური საფეხურებიანი პირამიდები.

მექსიკის სამხრეთსა და თანამედროვე გვატემალას ტერიტორიაზე ბინადრობდა ქველი მაიას ხალხი.

XVI საუკუნის დასაწყისში, როდესაც ესპანელებმა დაიპყრეს მექსიკა, ამ ქვეყანაში დაპარაკობდნენ ათობით ენასა და დიალექტზე. მეცნიერები მათ აკუთვნებენ სამ ლინგვისტურ ოჯახს: აცტეკურ-ტანოანურს, პენუტიურსა და მაკროოტომანგუურს. გარდა ერებისა, მექსიკა გამოირჩეოდა არანაკლებ რთული ეთნიკური სტრუქტურით. ინდიელებმა ტომები და ხალხები ფრიად განსხვავებულდნენ ერთმანეთისაგან სოციალურ-ეკონომიკური დონითა და კულტურით, შესაბამისად, ეთნიკური კონსოლიდაციის ხარისხით. მათ შორის ცენტრალური ამერიკა წინაკოლუმბიური ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული – აცტეკელების ცივილიზაციის აკვნად იქცა.

ახტეკების ცივილიზაცია

...XV საუკუნის ესპანეთი ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე სახელმწიფო ხდება დასავლეთ ევროპაში. ქვეყანას ხელმწიფედ მოუვლინა სამეფო გვარის ორი ადამიანი, ცოლ-ქმარი – დედოფალი იზაბელა (1451-1504), კასტილიის მეფის ხუან II-ის ქალიშვილი და მისი მეუღლე, არაგონის მეფის მემკვიდრე (და იზაბელას ნათესაი) ფერდინანდი (1452-1516). ცოლ-ქმრის მეფობის პერიოდში ესპანეთში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სამხედრო ღონისძიებანი: პატარა-პატარა სამეფოებად დაქსაქსული ქვეყნის გაერთიანება და არაბების

პირენეს ნახევარკუნძულიდან გაძევება. ესპანელები რვა საუკუნის განმავლობაში (VIII-XV) იბროდნენ პირენეს ნახევარკუნძულის არაბი დამპყრობლებისაგან განთავისუფლებისათვის. XV საუკუნის მიწურულს მავრებმა იქ შეინარჩუნეს მხოლოდ ბალნარად ქცეული გრენადა. როდესაც 1492 წელს გრენადის ახალგაზრდა ემირს თავისი თვალშეუწევლომელი სასახლის დატოვება მოუხდა, დედამისმა საყვედურით მიჰახა: „დედაკაცივით დაიტირე ის, რისი დაცვა ვერ შესძელი როგორც მამაკაცმა“. დიახ, სრულიად გასაგებია ვაჟისადმი ნათქვამი დედის საყვედური, როდესაც მისმა მემკვიდრემ ვერ დაიცვა კუთვნილი მიწა-წყალი, მაგრამ იცოდა კი ჭაბუკი ემირის დედამ, რომ სწორედ დედაკაცმა აიძულა მის შვილს აეკრა გუდა-ნაბადი ესპანეთიდან?..

სწორედ დედოფალი იზაბელა, ესოდენ წარმატებული სახელმწიფო-სამხედრო საქმიანობის გარდა, ქვეყანას კულტურის დიდ მეცენატადაც მოეწოდინა. ცოლ-ქმარი ეხმარებოდნენ ხელეულების, მეცნიერების, მწერლობის ნიჭიერ წარმომადგენლებს. მსგავსმა ქველმოქმედებამ სათანადო ნაყოფი გამოიღო: ხელეულების მოღვაწეობი, განსაკუთრებით მეცნიერები, ქმნიდნენ ეროვნული სულით გაჯღენილი ტრაქტატებს. მსგავსი ნოვატია უადრესად დროული აღმოჩნდა ქვეყნისთვის – ესპანელები არაბული გავლენისაგან გათავისუფლდნენ არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სულიერი ცხოვრების თვალსაზრისითაც.

იზაბელას სახელმწიფოებრივი სიბრძნე იმაშიც გამოიხატავდა, რომ განსხვავებით პორტუგალიის, ინგლისისა და საფრანგეთის მონარქებისაგან, იგი ჩაწედა ქრისტიანობის კოლუმბის საზღვაო პროექტის პერსპექტივას. სწორედ დასავლეთი ნახევარსფეროს აღმოჩენამ აქცია ესპანეთი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე გაავლენიან სახელმწიფოდ.


... კოლუმბი დაიბადა 1451 წლის ოქტომბერში, იტალიის ქალაქ გენუაში. ბევრი თვლის, რომ მას საუნივერსიტეტო განათლება არ მიუღია. უადრესად ბეჯითი, თეთნასწავლი ჭაბუკი იმთავითვე გატაცებული იყო გეოგრაფიით და, შესაბამისად, შორეულ ქვეყნებში მოგზაურობებით. ახალგაზრდას განსაკუთრებით ინდოეთისკენ მანამდე უცნობი გზა აინტერესებდა. ეს ინტერესი პრაგმატული იყო. XV საუკუნეში, ხმელთაშუა ზღვით ტრადიციული სავაჭრო გზები აზიაში გადაღობა ოსმალეთის უძლიერესმა იმპერიამ. ევროპა იზოლირებული აღმოჩნდა სუნელ-სანელებლების, აბრეშუმის, ბამბისაგან დამზადებული ქსოვილით, საღებავი ნივთიერებების, ხალიჩებისა და აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი, კეთილდღეობის მომტანი დოვლათისა და ფუფუნების საგნებისაგან. განსაკუთრებით შესაძინევი აღმოჩნდა სათანადო კავშირების გაწყვეტა ინდოეთთან. აქედან შედიოდა სამხრეთ ევროპაში ესოდენ დაფასებული წიწკა, მიხაკი, ზარღანჩო, მუსკატის კაკალი, დარიჩინი და ა.შ. სოფლის მეურნეობის ევროპისათვის ეს ეგზოტი-

კური პროდუქტები, განსაკუთრებით წიწკა, უმნიშვნელოვანეს პროდუქტთა რიცხვს მიეკუთვნება. მას, როგორც საგადასახადო საშუალება, ფულის ეკვივალენტის ძალა გააჩნდა. წიწკას იყენებდნენ მიწის ნაკვეთის შესასყიდად, ატანდნენ მსოფლიოში, საჩუქრად უძღვნიდნენ ყველაზე გამოჩენილ პირებს. ერთი სიტყვით, წიწკა ფულის თავისებური ეკვივალენტის ფუნქციას ასრულებდა. როგორც ცნობილია, მსგავსი ტრადიციები სხვა ქვეყნებშიაც არსებობდა, კერძოდ გაცვლა-გამოცვლის საშუალებად ითვლებოდა მონღოლეთში – ჩაი, აბისინიაში – მარილი, სუდანში – თევზი, სიამაში – მოლუსკის ნივარა, მექსიკაში – კაკაო. ამიტომ, სრულიად გასაგებია, რომ ინდოეთისკენ ახალი გზების ძიება ევროპელთა სასიცოცხლო ინტერესების სფეროში მოექცა.

ინდოეთისკენ დასავლეთი მიმართულებით საზღვაო გზების ძიების იდეა ახალი არ იყო. იგი მომწიფდა ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში. ამ აზრს იზიარებდა არაერთი გამოჩენილი მოაზროვნე, მათ შორის არისტოტელე და ერატოსთენე. კოლუმბისათვის განსაკუთრებით დამაინტრიგებელი აღმოჩნდა არისტოტელეს შემდგენი სიტყვები: „ესპანეთის უკიდურეს წერტილზე და ინდოეთს შორის საზღვაო გზის სიგრძე დიდი არ უნდა იყოს, მისი გადალახვა შესაძლებელია რამდენიმე დღეში“. კოლუმბი აკვიტებული აზრის მონა გახდა. გაეცნო იმ დროისათვის მისაწვდომ ლიტერატურულ წყაროებს. შეადგინა ევროპიდან ინდოეთის აღმოსავლენი ახალი საზღვაო გზის პროექტი. ამ პროექტი ხელში ფუჭად დაკარგა დრო პორტუგალიის მეფის ჟოანისა და ესპანეთის მალაჩინოსების კართან. გამოყოფილმა კომისიებმა პროექტს ცივი უარი უთხრეს. ბედმა მხოლოდ 1492 წელს გაუღიმა. ესპანეთში არაბების ბატონობას ბოლო მოეღო. წლის დასაწყისშივე კოლუმბს დაუნიშნეს შეხვედრა დედოფალ იზაბელასთან. პროექტი მოიწონეს. 1492 წლის 17 აპრილს სათანადო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს, ერთი მხრივ, დედოფალმა იზაბელამ და მეფე ფერდინანდმა, ხოლო, მეორე მხრივ, კოლუმბმა და სამეფო სასახლის მდივანმა – ხუან დე კოლომბამ. ხელშეკრულების თანახმად, წარმატების შემთხვევაში, კოლუმბი ინიშნებოდა მის მიერ აღმოჩენილი ახალი მიწების ვიცე-ხელმწიფედ, მიიღებდა ადმირალის წოდებას, მოპოვებული დოვლათის მესამედ ნაწილს, მისი მემკვიდრეები მიიღებდნენ სათავადაზნაურო წოდებას და ა.შ.

...1492 წლის 3 აგვისტოს 3 ხომალდმა კურსი აიღო კანარის კუნძულებისკენ. 1492 წლის 12 ოქტომბერს მიაღწენ დიდი ხნის ნანატრ მიწას. კოლუმბი გადავიდა კუნძულის ნაპირზე, მიწაზე დაემხო, ატირდა და მოთხვია მას. კუნძულზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა გუანახანს უწოდებდა, აფრიალდა ესპანეთის დროშა. ესპანელებმა კუნძული სან-სალვადორედ მონათლეს. აღმოაჩინეს კიდევ პაიტი და კუბა. კოლუმბი დარწმუნებული იყო, რომ მიაღწია ინდოეთს, ამიტომ, როგორც ცნობ-

ლია ამ გეოგრაფიული აღმოჩენის შემდეგ, ადგილობრივ მოსახლეობას ინდიელები ეწოდა.



სურ. 306. ქ. მეხიკო, კოლუმბის ძეგლთან.

ექსპედიციის ესპანეთში დაბრუნება ტრიუმფული იყო. 1493 წლის 15 მარტს კოლუმბს დიდი ზეიმით შეხედნენ პორტ პალოსში. აქედან იგი გაემგზავრა ბარსელონაში დედოფალთან და მეფესთან შესახებდრად... ზეიმმა, რომელიც ოკეანისგაღმა, უცნობი მიწების აღმოჩენას მიეძღვნა, დანართი იყო ყველა და ყველაფერი. ეკლესიაში იხატებოდა და ფერდინანდი უდიდესი მოგზაურის მოახლოებისას ტახტიდან ფეხზე წამოდგნენ, თვითონ კოლუმბს კი მუხლებზე დახოქებასა და ტრადიციულად ხელზე მოხევეაზე უარი უთხრეს, უფრო მეტიც, მონარქთა გვერდით დაჯდომის უფლება მისცეს.

ექსპედიციის ხარჯები - 2 მილიონი მორავედი (ოქროს ფული) - მოპოვებული დოვლათით 170-ჯერ იქნა ანაზღაურებული.

ამ მოგზაურობის შემდეგ შედგა კიდევ სამი ექსპედიცია: 1493 წლის სექტემბრიდან 1496 წლის ივნისამდე, 1498 წლის მაისიდან - 1500 წლის ოქტომბრამდე და 1502 წლის მაისიდან - 1504 წლის ნოემბრამდე. აღმოჩენილ იქნა ცენტრალური ამერიკა და სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთი სანაპირო. მთელი ამ ხნის განმავლობაში კოლუმბს მოუხდა მრავალი საქმის თავის თავზე აღება. იგი ერთდროულად ასრულებდა მეზღვაურის, მეცნიერის, სამხედრო დამპყრობლისა და ესპანოლის (პაიტი) მმართველის ფუნქციებს.

კოლუმბის ოთხჯერადი სვლასწრაობა აღსაყვ იყო წარმატებებითა და დაუმთავრებელი დევნა-შვიწროებით. გარდაიცვალა 1506 წლის 20 მაისს. დაასაფლავეს სევილიაში, შემდეგ მისი ანდერძის თანახმად, ესპანოლაში. 1795 წელს, როდესაც კუნძული ფრანგების ხელში გადავიდა - გადაასვენეს კუბაში, 1877 წელს კი ნეშტი ხელმოწერედ დაუბრუნეს სევილიის მიწას.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ ამერიკა ევროპელებმა კოლუმბამდე აღმოაჩინეს. იგულისხმება, უწინარესად, ვიკინგების სტუმრობა ნიუფაუნდლენში დაახლოებით 1000 წელს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ „შეუმჩნევია“ ისტორიას, ენაიდან წინაკოლუმბიურ აღმოჩენებს არ აქონდა გლობალური მნიშვნელობა. მხოლოდ კოლუმბის ოთხმა მოგზაურობამ დაამყარა აღმოსავლეთ და დასავლეთ ნახევარსფეროებს შორის მუდმივი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა. ერთი სიტყვით, 1492 წლიდან ევროპამ და ამერიკამ „ერთმანეთი აღმოაჩინეს“.

სულ მალე ამერიკის აღმოჩენას მოჰყვა კონკისტა (ესპანურად კონკისტა - „დაპყრობა“). მახვილი და ჯვარი შეიქმნა კონკისტის სიმბოლო, ხოლო წრეგადასული სიმკაცრე, სიხარბე, პირველობა და ადამიანისათვის დამახასიათებელი სხვა ქვენა გრძნობები - მეტწილ დამპყრობთა განუყრელ ქცევადად. მსგავს დამპყრობლურ პოლიტიკას შედეგად მოჰყვა ამერიკელ ინდიელთა - აცტეკთა, მაიას, ინკებისა და სხვების უნიკალურ ცივილიზაციასთან განადგურება. XV საუკუნის მიწურულიდან ათასობით ესპანელს გონებას უბნებდა ოკეანის გაღმა მცხოვრებთა თითქოსდა ენით აღუწერელი სიმდიდრე, მათ შორის, რა თქმა უნდა, ელდორადო - არა მხოლოდ ოქროთი საყვ სასახლეების, არამედ „მოოქრული“ ადამიანების მხარე. მაგრამ კოლუმბის მიერ აღმოჩენილი კარიბის ზღვის რაიონში ეერ მიავსეს საჭირო რაოდენობის ძვირფას მეტალებს. მაშინ ესპანელი კოლონიზატორები გაეშურნენ ახალი სამყაროს სხვა კუთხეთა დასაპყრობად.

კონკისტას მორიგი მსხვერპლი მექსიკა აღმოჩნდა. ამ კამპანიისას ასპარეზზე გამოჩნდა კონკისტადორის თავისებური ბელადი, ეტალონი - ერნარ კორტესი (1485-1547). შექმნილ ოჯახში დაბადებულ კორტესს მშობლებმა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულ, საღამანკას უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარებინეს. მაგრამ ქვეყანა შეპყრობილი იყო ინდოეთის ციებ-ცხელებით და ბუნებით ავანტიურისტმა, თავგადასავლების მოყვარულმა და ფუქსავეტური ცხოვრების მოყვარულმა კორტესმა უარი თქვა იურისტის კარიერაზე. 19 წლის ახალგაზრდა, 1504 წელს გაემგზავრა კუნძულ ესპანოლაზე. აქედან დაიწყო მისი თავბრუსხვევითი კარიერა. კორტესის ბიოგრაფები მისთვის არამცაუე ეპითეტებს, ქებათაქებას - პანეგირიკებსაც - არ იშურებდნენ მისთვის. ერთ-ერთმა მათგანმა მას კეთსარი (ცეზარი) უწოდა

ვირგილიუსის სულით! უკეთესი ეპითეტის შეთხზვა შეუძლებელია. თუ ჭეშმარიტებას გაეუსწორებთ თვალს, კორტესისადმი მიძღვნილი ნებისმიერი ეპითეტი შეიცავდა სიმართლის მარცვალს. კორტესი მართლაც იყო „უშიშო, ვითარცა უხორცო“. მისთვის წინაღობას არ წარმოადგენდა ოკეანე, მთა, გავარეარებული ტრამალები და არც ინდოელთა ისრები და მათი ჯარების მრავალრიცხოვნობა. ახასიათებდა დიდებული მჭევრმეტყველება, ჰქონდა წერის შესანიშნავი სტილი, ერთდროულად აღმოაჩნდა პოლიტიკოსის, დიპლომატის უნარიც. მეფე კარლოს V-დმი მიძღვნილი ხუთი წერილი, აღსავსე ზემოთ ჩამოთვლილი ნიშან-თვისებებით, მკვლევართა ხელში შესანიშნავი, მრავალგვერდანი ტრაქტატი აღმოჩნდა მექსიკის დაპყრობის ქრონიკაში ჩასაწვდომად.

1519 წლის 10 თებერვალს 34 წლის კორტესი კუბიდან მექსიკაში (იუკატანი) გაემგზავრა. ფლოტი შედგებოდა 11 საბრძოლო ხომალდისაგან. 508 სამხედრო მოსამსახურე შეიარაღებული იყო თოფებით, ზარბაზნებითა და შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სხვა იარაღებით (არკებუზი, არბალეტი). სამხედრო კამპანიაში, ესპანელთათვის მოულოდნელად, ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 16 ცხენმა. ინდიელები, რომლებსაც არასოდეს ენახათ ცხენი, გაოცებული იყვნენ ფანტასტიკური არსებების სისწრაფითა და ძალ-ღონით. ადგილობრივები შეიარაღებულები იყვნენ მშვილდისრებით, სპილენძისა და ბრინჯაოს წვერიანი გრძელი შუბებითა და კომპლებით.

დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლისას თავის ჯარს უკან დასახევი გზა ხე-ტყით ჩაუხერგა. კორტესმაც რაღაც ამდაგვიანი ოპერაცია განახორციელა, მაგრამ ეს ქმედება ძალიან ახლო იდგა ჭკუაზე გადასული ადამიანის საქციელთან. კარლოს V-ის მხარდაჭერის მისაღებად ერთი ხომალდი ესპანეთში გააგზავნა, ყველა დანარჩენი (ათი!) კი ჩააპირინა. ახლა მამაცნი, ლაჩარნი თუ მემამბოხენი (ჯარში მემამბოხეებიც აღმოჩნდნენ), რომლებიც უმკაცრესად დაისაჯნენ, უკან დასახევად გაზომჭრილნი, კორტესის განაკარგულებაში აღმოჩნდნენ.

მაგრამ კორტესი, ცხადია, გიჟი არ იყო. იგი შესანიშნავად აცნობიერებდა ვეებერთელა ქვეყანაში მტრის გრანდიოზულ ძალას (მეუღლის, ინდიელი მარინასა და ზოგიერთი, ადგილობრივი ტომის ბელადთა ინფორმაციის წყალობით). კორტესმა, ასევე წინაწარ ცნობილი ინფორმაციაზე დაყრდნობით, აირჩია უცხო ქვეყანაში მოქმედების შემდეგი გზა – ცენტრალური ხელისუფლებისადმი უკმაყოფილო ტომების თავის მხარეზე გადმობირება. იმპერატორ მონტესუმას აცტეკთა იმპერია ჯერ კიდევ არ იყო სათანადო დონეზე ფორმირებული, ბევრი ტომი შეუერთდა კორტესის ხუთი ასეული სამხედროსაგან შემდგარ ჯარს. კორტესი დაიძრა მექსიკის დედაქალაქის – ტენოჩტიტლანისკენ. ის ტომები, რომლებიც წინააღმდეგობას

წუწუნდნენ ესპანელს მათ მიწაზე გადაადგილებისას, პასუხად მსახერხალ ძალას აწყდებოდნენ. მუშკეტების ცეცხლი და განსაკუთრებით კაეალერიის მარშით ავარდნილი მტერი ლომგულებსაც სოროსკენ გაქცეულ თავგებად აქცევდნენ ხოლმე.

კორტესის წარმატებამ ნეიტრალურად განწყობილი ინდიელთა ტომებიც მის სასარგებლოდ განაწყო. დედაქალაქთან მიმდებარე კორტესს უკან ახლა მთელი არმია მიჰყვებოდა.

დედაქალაქისკენ ტრიუმფული სვლით მიმავალ კორტესს იმპერატორმა მონტესუმამ ორჯერ გაუგზავნა ძვირფასი საჩუქარი თხოვნით – დაეტოვებინა მისი სახელმწიფოს საზღვრები. მაგრამ კონკისტადორის მოსყიდეა შეუძლებელი აღმოჩნდა. 1519 წლის 8 ნოემბერს, დილით კორტესი ტენოჩტიტლანის კარიბჭესთან აღმოჩნდა. კორტესს თვით მონტესუმა მიესალმა. ქვეშევრდომებს იმპერატორი ოქროთი და ძვირფასი ქვებით მოკაზმული ტახტრევანით მიჰყავდათ. კორტესის ცხენიდან ჩამოხტომას, მონარქმა ტახტრევიდან გადმოსვლით უპასუხა. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. დაუპატიჟებელ სტუმარს რეზიდენციად სასახლე გამოუყვეს. დღის მეორე ნახევარშიაც გაიმართა შეხვედრა. სტუმარი კიდევ ერთხელ დახუნძლეს ძვირფასეულობით. მეორე დღეს, ქალაქში გასეირნებისას, კორტესს აინტერესებდა არა იმდენად დედაქალაქის ღირსშესანიშნაობა, რამდენადაც სტრატეგიული პუნქტები. კორტესს მონტესუმას დასატყვევებლად მიზეზი სჭირდებოდა. ხუთი დღის შემდეგ ასეთი მიზეზი მიეცა. აბორიგენთა აჯანყებულმა ტომელებმა მოკლეს კორტესის ოფიცერი, მეორეს კი თავი მოაჭრეს და მომხდურს გაუგზავნეს. კორტესმა ბრალი მონტესუმას დასდო. არც თავის მართლებამ და დამნაშავე ტომის ბელადთა დასჯამ შედეგი არ გამოიღო. ესპანელთა ლიდერი შეუეალი იყო. იმპერატორი დაატყვევეს. უფლებააყრილი მონარქი დაეთანხმა მოძალადეს ესპანეთის მეფის ვასალი გამხდარიყო და მისთვის დაკისრებული ხარკიც გადაეხადა. დაიწყო მექსიკის, ერთი შეხედვით, ამოუწურავი დოვითის ძარცვა. მონტესუმას არც მონურმა ხარკის გაღებამ უშველა. იგი მოკლეს. ერთი ვერსიით ეს კორტესის ჯარისკაცებმა განახორციელეს, მეორე ცნობით – იმპერატორით უკმაყოფილო, ქვებით შეიარაღებულმა თანამებრძოლებმა.

კორტესს მთელი მექსიკის ხალხთა (მათ შორის ყოფილი მოკავშირეების) დასამორჩილებლად რეკორდულად ცოტა დრო – სამი წელიწადი დასჭირდა. თუ გაითვალისწინებთ ესპანელთა იმდროინდელ ძალებსა და შეიარაღების მასშტაბებს, კორტესის ქმედება უდიდეს სამხედრო წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

წინაპართა მსგავსად, მონტესუმა ტიპური დამპყრობელი იყო. ეთნიკურად მრავალსახოვან იმპერიაში მას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ამიტომ არ გაუჭირდა კორტესს აცტეკების მრავალმილიონიანი სახელმწიფოს განადგურება. დამონე-



სურ. 307. თანამედროვე შეხედულებით აცტეკები ცენტრალური მექსიკის ზეგნის ნაყოფიერ ველებზე კალიფორნიიდან განსახლდნენ. სურათზე – დიდი კანიონი, არიზონას შტატი (აშშ)

ბული ტომები უცხოელს ესალმებოდნენ როგორც განმათავისუფლებელსა და მოკავშირეს. სხვები, მოწინააღმდეგეები, ტლასკალანელების მსგავსად, ჯერ ებრძოდნენ, შემდეგ, პოლიტიკური მოსაზრებებით, მისი მოკავშირეები ხდებოდნენ. ასე გააერთიანა კორტესმა დამონებული ინდიელი ტომები. ტენოჩტიტლანის ადგიის დროს იგი სათავეში ედგა ასიათასიან არმიას. კორტესის გამარჯვება, ფაქტობრივად, ეს იყო ინდიელების გამარჯვება ინდიელებზე.

... ვინ იყვნენ აცტეკები? ცენტრალურ ამერიკაში ახ.წ.ად-ით XII საუკუნეში ამ ხალხის გამოჩენის ისტორია ხშირ შემთხვევაში საიდუმლოებით არის მოცული. თაყიანთ ყოფილ ქვეყნად მიიჩნეოდნენ კუნძულ ასტლანს („ადგილი, სადაც წეროები ცხოვრობენ“). სიტყვა „ასტლანიდან“ წარმოიშვა სახელწოდება „აცტეკა“, მეცნიერებს დღემდე ვერ დაუდგენიათ ამ კუნძულის არსებობა.


აცტეკთა მომთაბარე ტომები ერთობ მეომარი ხალხი აღმოჩნდა. მექსიკის ჩრდილოეთიდან, კალიფორნიის ნახევარკუნძულიდან ისინი შეიჭრნენ მეხიკოს ზეგანზე, დაიპყრეს კულტურული თვალსაზრისით მათზე უფრო განვითარებული ხალხი – ტოლტეკები, საპოტეკები, მიშტეკები და მათ ქვეყნებში დამკვიდრდნენ. უსიარნენ დამპყრობელთა კულტურას. XIV საუკუნეში (1325 წელს) დააარსეს ქ. ტენოჩტიტლანი (ახლანდელი ქ. მეხიკო). XV საუკუნის დასაწყისიდან გაანადგურათ დამპყრობლური ომები. დაამარცხეს ზოგი ქალაქი-სახელმწიფო, დაიმორჩილეს ცენტრალური მექსიკის

მოსახლეობა და შექმნეს იმპერია. ამ უკანასკნელს თანამედროვე მექსიკის მეოთხედი ნაწილი ეკავა.

XII-XIV საუკუნეებში გვაროვნულ-ტომობრივი ყოფიდან XV საუკუნეში ადრეკლასობრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდნენ. ბოლომდე არაცენტრალიზებული იმპერია დაამარცხეს ესპანელებმა (1519-1521).

ნომადური, მწყემსური ცხოვრებით მოარსებე აცტეკები მიწათმოქმედების ხელოვნებას მათ მიერ დაპყრობილი ხალხების წყალობით დაეუფლნენ. აღნიშნულის საფუძველზე განავითარეს თვითმყოფადი ცივილიზაცია.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ორივე ამერიკის



სურ. 308. არიზონელი ინდიელები დიდი კანიონის მდამოებში.

ინდიელები ფრიად გამოხარული იყვნენ მიწათმოქმედნი აღმოჩნდნენ. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ეს ხალხი საიქიბად იყენებდა 20000-მდე მცენარეს, ე.ი. იმაზე მეტს, ვიდრე დედამიწის კონტინენტთა ყველა ხალხი ერთად. თუმცა აღნიშნული ციფრი შეიცავს რომელიმე ერთი კულტურის ათობით, ზოგჯერ ასობით ჯიშსაც.

სხვებს შორის საინტერესოა ბოჭკოს მომცემი ადგილობრივი მცენარეები. ბოლო დრომდე, კულტურაში, მათ მხოლოდ ცენტრალურ ამერიკაში იყენებდნენ.

ჯერ კიდევ აცტეკებისა და მაიას ბატონობის დროს სართავად გამოიყენებულ, ბოჭკოს შემცველ მცენარეებს წარმოადგენდნენ აგავას რამდენიმე სახეობა. მათ შორის ყველაზე პოპულარული იყო და რჩება ორი სახეობა. აცტეკები მათ სისალის (*Agave sisalana*) და პენეჟუენას (*A. fourcroydes*) უწოდებდნენ. ორივე მცენარე მშრალი ჰავის მოყვარულია და უკაეია დიდი ტერიტორია მექსიკის მშრალ შტატებში (მაგალითად, იუკატანი).



სურ. 309. აგავის მოსავლის აღება.

სისალის ფოთლის ბოჭკოსგან დამზადებული ძაფი უფრო უხეშია და მას იყენებენ ხალიჩის მოსაქსოვად, ავეჯის გადასაფარებელი ქსოვილის დასამზადებლად და ა.შ., პენეჟუენის ფოთლისგან კი ღებულობენ დია-მოყავისფრო ძაფს. იგი გამოირჩევა სინაისისა და აბრეშუმის ბრწყინვალეობით. ამჟამად მიღებული ნედლეულის ექსპორტი ხდება ცენტრალური ამერიკის რიგ ქვეყნებსა და ნაწილობრივ აშშ-ში. ბოლო დროს, აღმოსავლეთ აფრიკაში აშენებენ თვით აგავას პლანტაციებს.

შუამდინარეთის სემირამიდას ბაღებისა არ იყოს, აგროკულტურაში მეურნეობის გაძლიერების მწვერულად ითვლება აცტეკების ე.წ. ჩინამასი, რომელსაც ადგილობრივები, ესპანელთა დაპყრობამდე, ასე ფართოდ მიმართავდნენ. მისი არსი მდგომარეობდა ბაღ-ბოსტნების პირდაპირ ტბებში გაშენებაში.

როცა ესპანელები პირველად აღმოჩნდნენ ტენოტიტლანში, ალბათ, ყველაზე მეტად ტბაში მოცურავე, კულტურული მცენარეულობით დამშვენებელმა ხელოვნურმა კუნძულებმა გააოცეს. თეთრ სამოსში გამოწყობილი გლეხები ნაეებში ტვირ-

თავდნენ მოწვეულ ჭირნახულს, ხოლო გრძელი ჭოკებით სასურველი მიმართულებით მიაცურებდნენ მცურავ ბაღ-ბოსტნებს.

კუნძული-ჩინამასის გაკეთების აცტეკური წესი შემდეგში მდგომარეობდა: წყალმცენარეებისგან წნავდნენ ტივებს, მათსე აყრიდნენ ტბის ფსკერიდან აღებულ შლამს. ხელოვნურად გაკეთებულ კუნძულზე თესდნენ ბოსტნულ კულტურებს, რგავდნენ ხეხილის ბაღებს. ნაყოფიერების შესანარჩუნებლად ჩინამასს ყოველწლიურად უმატებდნენ შლამის ფენას. წლების განმავლობაში, სიმძიმის გამო, კუნძული თანდათანობით იძირებოდა ტბის ფსკერისკენ, ბოლოს ჯდებოდა ფსკერზე და დროთა განმავლობაში ნამდვილ კუნძულად გადაიქცეოდა. გადმოცემის თანახმად, ასეთი კუნძულები ერთმანეთს უერთდებოდნენ, დაბოლოს, წარმოიქმნა ერთი დიდი კუნძული. სწორედ მასზე აშენდა აცტეკთა დედაქალაქი.


ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ჩრდილოეთიდან მოსულმა ერთ-ერთმა ტომმა ადგილობრივები შეაწვროვებს და აიძულეს ტბის კუნძულისთვის შეეფარებინათ თავი. მარჩენალი მიწა მათთვის სიკვდილსიციოცხლის პრობლემად იქცა. მსგავს ვითარებაში, შიმშილით სიკვდილის პირას მისულმა ხალხმა მოიფიქრა და მცურავი კუნძულები გამოიყენა სარჩოს მოსაყვანად.

მექსიკის ახლანდელ სოწიმილკოსა და ჩალოს პროვინციებში, ადგილობრივი გლეხები ტრადიციულ მიწათმოქმედებასთან ერთად, ჩინამასურ მეურნეობასაც მისდევენ.

ისტორიული აცტეკების წინაშე მსოფლიოს ხალხები ვალში არიან. სწორედ ცენტრალური ამერიკის ინდიელების წყალობაა სიმინდი, ვანილი, კაკაო, ნესეი, ანანასი, მწვანე და წითელი წიწაკა, რამდენიმე ჯიშის ლობიო, თამბაქო.

როდესაც აცტეკების ცივილიზაციასე ესაუბრობთ, პირველ რიგში, ალბათ, მათ მიერ აგებულ ტაძრებსა და სასახლეებს უნდა შეეხებოდ. აცტეკთა არქიტექტურის აყვავების ხანად XV საუკუნე ითვლება. მონუმენტურ ნაგებობათა ძირითადი ტიპია ქვის ოთხწახნაგოვანი პირამიდა, რომლის წაყვეთილ წვეროზე ტაძარს ან სასახლეს აგებდნენ. დიდებულებითა და ბრწყინვალეობით გამოირჩეოდა იმპერიის სატახტო ქალაქი - ტენოტიტლანი.

ტენოტიტლანის დაარსების შესახებ არსებულმა ლეგენდამ, რამდენიმე საუკუნის წინათ, თავისი ასახვა პოვა მექსიკის თანამედროვე სახელმწიფო გერბზე. გადმოცემის თანახმად, აცტეკებმა დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეარჩიეს თავიანთი დედაქალაქისათვის საჭირო ადგილი. ბელადებმა თვალი დაადგეს მთის ფართო ხეობაში მდებარე, ვრცელი ტბის შუაგულში აღმართულ კუნძულს. როდესაც კუნძულზე გადასხდნენ, დაინახეს ევებერთელა არწივი, რომელსაც ბრჭყალებში გველი ჰყავდა მომწყვდეული. ინდიელებმა გადაწყვიტეს, რომ ამ ადგილზე სიკეთე ყოველთვის სძლევდა ბოროტებას. ამ გადმოცემის თანახმად, 1325 წელს, ტბა




სურ. 310. ტბა ტესკოკოზე გაშენებული აცტეკთა დედაქალაქი ტენოტიტლანი (ქ. მეხიკო, ეროვნული სასახლის გაღწერა, მხატვარი - დიეგო რივერა, 1945 წ.).

ტესკოკოს დასავლეთ ნაწილში საფუძველი ჩაეყარა ქალაქის მშენებლობას. ქალაქს 7,5 კეადრატული კილომეტრი ეკავა. იგი დასერილი იყო მრავალრიცხოვანი არხებით, ხოლო ნაპირს ასაწეხიდებიანი სამი დამბით უერთდებოდა. წინასწარ შემუშავებული გეგმით, ქალაქი დაყოფილი იყო ოთხ რაიონად, თითოეული მათგანი კი ხუთ კვარტლად. ტენოტიტლანის ცენტრალურ მოედანს გარს ერტყა შკაცრი გეომეტრიული დაგეგმარებით აგებული მონუმენტური ტაძრები (მათ შორის, ყველაზე მთავარის სიმაღლე 30 მეტრს აღწევდა) და წარჩინებულითა სასახლეები.

ხმელეთთან გასაშლელი ხიდებით დაკავშირებული ქალაქმა ესპანელები შეაშფოთა. მონტესუმას რეზიდენცია მახეს ჰგავდა, საიდანაც შუიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში თავის დაღწევა ძნელი იქნებოდა. და როდესაც სემოთ აღწერილი კონფლიქტის ჟამი დადგა, გამარჯვების მოპოვების შემდეგ, ესპანელებმა დაიწყეს დედაქალაქის სისტემატური დანგრევა. ტენოტიტლანის ადგილზე დღევანდელი მეხიკო ააშენეს. პირამიდასზე, სადაც ომის ღმერთის ტაძარი იდგა, ახლა

კონკისტას პერიოდში დედაქალაქი მთლიანად დაანგრეს (1521 წელი). მის ადგილას ააგეს ქალაქი მეხიკო, მეგაპოლისი, რომელსაც ამჟამად მოსახლეობის რიცხოვრობის თვალსაზრისით (26 მილიონი ადამიანი) დედამიწაზე ბადალი არ ჰყავს! აი, როგორ განვითარდა ტენოტიტლანის ტრადიცია. როცა მეხიკოს დაბლობისკენ მიმავალმა ესპანელებმა რამდენიმე უღელტეხილი გადალახეს, მათ წინაშე „აღთქმული მიწა“ გადაიშალა. მეხიკოს ზეგანმა კონკისტადორებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მინდვრების, ტყეების, ბაღების, ტბების განუმეორებელ მოსაიკაში, ძვირფასი თვლით მოზანდა ყველაზე დიდი ტბა - ტესკოკო. მის კუნძულზე კი თეთრად ელვარებდა მზის სხივებით გაცისკროვებული აცტეკების დედაქალაქი. „დასავლეთის ვენეცია“ - ასე შეარქვეს პირველივე წუთებში დამპყრობლებმა ქალაქს. ტენოტიტლანში სამასი ათასი მცხოვრები აღმოჩნდა. XVI საუკუნეში იგი მაშინდელი მსოფლიოს უდიდესი ქალაქი იყო. ლონდონი იმ დროს მხოლოდ ორასი ათას მცხოვრებს ითვლიდა. ტბათა ნაპირებზე სხვა ქალაქებიც იყო განლაგებული. ისინი მკიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. მეგაპოლისში, რომლის ცენტრი ტენოტიტლანი იყო, სამ მილიონამდე ადამიანი ცხოვრობდა.



სურ. 311. ხედი ქალაქ მეხიკოზე.

ეკლესია აგებული, ხოლო მონტესუმას სასახლის ადგილას – ესპანეთის პირველი გუბერნატორის რეზიდენციის შენობა. ხუთი წლის განმავლობაში აცტეკების დედაქალაქი, მისი არქიტექტურული და სკულპტურული საგანძური ესპანური სახლების საძირკვლების ქვეშ, საგულდაგულოდ დამარხეს.

ვინც მეხიკოში ყოფილა, ნახავდა, რომ ზოოლოგიური პარკისა და ეროვნული ანთროპოლოგიური მუზეუმის მახლობლად, მეხიკოელთა გასართობი პარკის ერთ-ერთი კუთხე პატარა, ხელოვნურ ტბას უკავია. ეს უკანასკნელი, ნაევბზე მოცურავე ადგილობრივებით, რა თქმა უნდა, აღარაფისში არ აღძრავს „დასავლეთის ენეციის“ ასოციაციას.

კონკისტადორთა დამსახურებით მესამერიკამ დაკარგა ისტორიული წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი. საქმე ეხება აბორიგენთა წერილობით წყაროებს. ისინი შესრულებული იყო პიქტოგრაფიული დამწერლობის წესით, რომელსაც იეროგლიფიკის ელემენტები ჰქონდა შერეული. ამ წესით ქურუმებმა ჩაწერეს არა მარტო აცტეკების, არამედ ინდიელთა სხვა ძველი ტომების – მაიას, ტოლტეკებისა და სხვათა ისტორიაც. არაჩვეულებრივი, ხატოვანი დამწერლობით, მსგავსი ისტორიები იწერებოდა ბამბის ქსოვილზე, რბილად გამოყვანილ ტყავზე, მეტწილად კი აგავისაგან დამზადებულ, ევეიპტური პაპირუსის მსგავს ქაღალდზე.

ინდიელთა გაუგებარება იეროგლიფებმა ესპანელებში ცრუსარწმუნოებრივი შიში აღძრა, იგი ეშმაკისეულ დამწერლობად მიიჩნევს და აუტოდაფე გამოუცხადეს. მთელ მექსიკაში გიზგიზებდა ცეცხლი, რომელზედაც იწვოდა ყველა კუთხეში მოგროვილი ჩანაწერები და ქრონიკები – შეუფასებელი პირველწყარო ქვეყნის ისტორიისა, მათ შორის ესპანელთა მიერ იქაურობის დაპყრობის თაობაზე. დღეთისმსახურნი ვერც იმ დოკუმენტებმა შეაჩერეს, რომლებზედაც ფერადი ილუსტრაციები – ხელოვნების ნამდვილი ნიმუშები იყო გამოსახული.

უკვალოდ გაქრნენ ადამიანები, რომლებსაც შეეძლოთ სასწაულებრივად გადარჩენილი იეროგლიფების წაკითხვა. სამასი წლის განმავლობაში, მიკროდნდი სოფლებში, მხოლოდ აბორიგენები გადასაცემდნენ აცტეკთა ძველი ღმერთებისა და ქურუმების ამბებს ზეპირსიტყვიერების გზით, კონკისტადორთა წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდებში.

ამ ტრაგიკულ ისტორიაში გამოჩნაკლისი უილიამ პრესკოტი აღმოჩნდა. 1843 წელს მან ნიუ-იორკში გამოსცა წიგნი – „მექსიკის დაპყრობა“, რამდენიმე წლის შემდეგ კი – „პერუს დაპყრობის ისტორია“. დღე მცენიერის ეს შრომები მსოფლიო ლიტერატურის საგანძურს ამშვენებს.

პრესკოტი ბავშვობიდან ერთი ინციდენტის გამო (ამხანაგმა თვალში პურის ყუა მოარტყა) ფაქტობრივად დაბრმავდა (მხედველობა თანდათან მეორე თვალშიც დაეკარგა). დაინვალიდებული, იძულებული გახდა, უარი ეთქვა ადვოკატის პროფესიაზე. უყვარდა ისტორია. მწერლის ნიჭიც აღმოაჩნდა.

ფინანსურად დამოუკიდებელმა კაცმა გადაწყვიტა თავი ისტორიული ეკლესიათვის მიეძღვნა. მან იშვიათი შეუპოვრობით შეაგროვა ყოველგვარი ცნობები ცენტრალური ამერიკის ხალხებზე, რომლებიც აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ბიბლიოთეკებსა და არქივებში ინახებოდა. ასლების გადაწერაში უზარმაზარი თანხა ეხარჯებოდა. ბრძებისადმი განკუთვნილ სპეციალურ აპარატს იყენებდა. დაიქირავა მდივანი ქალი, რომელიც უკითხავდა სათანადო დოკუმენტებს. მთლიანად მოპოვებულმა მასალებმა რვა ათასი ფურცელი შეადგინა. მათი ერთი ნაწილი აცტეკთა დამწერლობით იყო შესრულებული, რომელიც ასე სასწაულებრივად გადაურჩა ფართოდ ორგანიზებულ განადგურებას. მეორე ნაწილი, ესპანურად დაწერილი ინდიელთა ისტორია, ეკუთვნოდა აცტეკთა ცნობილ ქალაქ-სახელმწიფოს – ტესკოკოს მეფის ერთ-ერთ შთამომავალს. მესამე წყაროს ავტორი აღმოჩნდა ფრანცისკოს ორდენის ერთ-ერთი წევრის ისტორიული შრომა, რომელიც მექსიკაში კორტესის დროს იმყოფებოდა...


ამ წყაროების მიხედვით დადგინდა, რომ მექსიკის მეცნიერული ისტორია არ არსებობდა.

პრესკოტის შრომა სათავედასაველო რომანივით იტოხება. ჩვენ წინ წარმოდგებიან კორტესი და მონტესუმა, მათი გარემოცვა, კონკისტადორთა ჭეშმარიტი ინტერესები მექსიკაში, ამასთან ხაზი აქვს გასმული კორტესის ნიჭიერებასა და სიმამაცეს. იგივე ნაშრომი გვაცნობს კათოლიკე მისიონერთა ბოროტმოქმედებას, ინდიელთა ისტორიას, წეს-ჩვეულებებს, რელიგიას.

ამგვარად, კაბინეტში გამოკეტილმა ბრმა მეცნიერმა, ძველ დოკუმენტებზე დაყრდნობით, გავიცნობ ხალხთა ცივილიზაციები, რომელთა შესახებ სამი საუკუნის განმავლობაში, პრაქტიკულად ყველაფერი დავიწყებას იყო მიცემული.

მოგვიანებით იმავე საქმეს ხელი მოჰკიდეს არქეოლოგებმა. მეხიკოში, წერაქვის ყველა დარტყმაზე, მიწიდან უმნიშვნელოვანეს ძეგლებს აწვეებოდნენ. ასე თანდათანობით დაგროვდა პირამიდების, სასახლეების ფრაგმენტები, სკულპტურები და მათი ნატეხები... ამ საქმეს დიდი ღვაწლი დასდეს უწინარესად თვით მექსიკელმა არქეოლოგებმა. სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანადგომით, ახლა შესაძლებელია აცტეკთა გათხრილი და მოწესრიგებული ქალაქების ჩოლუღას, ტესკოკოსა და ტლასკალას დათვალიერება. ბევრი რამ კიდევ აღმოსაჩენია. ეს ეხება თვით მონტესუმას განასაც.

... ახლა მივაშუროთ მეხიკოს ეროვნულ (ანთროპოლოგიურ) მუზეუმს, მსგავსი შინაარსის მართლაც რომ უნიკალურ დაწესებულებას. შენობა კვადრატის ფორმისა და ორსართულიანია. მეორე სართულზე განთავსებულია ინდიელთა სხვადასხვა ტომების ეთნოგრაფიული ექსპოზიციები. პირველ სართულზე კი გამოფენილია არქეოლოგიური ძეგლები. ისინი ასახავენ ტოლტეკების, მაიას, აც-



სურ. 312. მეხიკოს ეროვნული მუზეუმი (I სართული, ცენტრალური დარბაზი). ქალაქ ტენოჩტიტლანის მაკეტი იატაკზე და საერთო ხედი კედელზე.

ტექებისა და მესოამერიკის მრავალი სხვა ხალხის კულტურას, ერთ-ერთ კედელზე და კედლის მისაღვომებთან გაკეთებულია პანორამა. მასზე, პირვანდელი სახით, რეკონსტრუირებულია ტბა ტესკოკოს კუნძულზე აშენებული აცტეკების დედაქალაქი – ტენოჩტიტლანი. მუზეუმში, სხვა ათასგვარ ძეგლთან ერთად, ნახათ აცტეკთა ომის ღმერთის მახინჯ ქანდაკებას, ომის ღმერთის სამსხვერპლო ქვას და, რაც მთავარია, მუზეუმის ცენტრალურ ნაწილში, აცტეკური კულტურის განყოფილებაში, გამოფენილია ლეგენდარული „მზის ქვა“.

საყოველთაოდ ცნობილი, აცტეკთა ქვის კალენდარი – კულტურის უნიკალური ძეგლი – წარმოადგენს ოთხი მეტრი დიამეტრის ქვის დისკოს, იწონის 20 ტონას, მოჭრილია პორფირის ლოდისგან, მასზე ამოკვეთილია სიმბოლური ფიგურებითა და იეროგლიფური წარწერებით გარშემორტყმული მზის ღმერთი. თავის დროს, აცტეკებმა ქვის სათანადო მასალა მოიტანეს შორიდან და დედაქალაქში მზის ღმერთის ტაძრის წინ დადგეს. კონკისტადორებმა ქვის კალენდარი პირაიდიდან ჩამოაგდეს და აცტეკთა ნაგებობების ნანგრევებში ჩამარხეს. 1560 წელს, მეხიკოს მოედნის გათხრისას, ესპანელები წააწყდნენ „მზის ქვას“. მაშინდელ ეპისკოპოსს შეეშინდა, რომ იგი პატრიოტულ გრძნობებს გააღვივებდა და ადგილზევე ჩაამარხინა. 1790 წელს მუშებმა მეორედ ამოთხარეს. ჩააშენეს კათოლიკური ეკლესიის ფასადში, შემდეგ, 1885 წელს, იქედანაც ამოიღეს და მექსიკის ეროვნულ მუზეუმში მოათავეს.

უილიამ პრესკოტის გამოკვლევებითა და სხვა წყაროებით ცნობილი გახდა აცტეკების სპირიტუალური მსოფლმხედველობა. მათ რთულ რელიგიურ წარმოდგენებში მთავარი ადგილი მიწათმოქმედების ღვთაებებს ეკავა. ასეთები იყვნენ: ადგილის

მფარველი, წვიმისა და ჭექა-ქუხილის ღვთაებები, სიმინდის ღვთაება, მიწისა და ნაყოფიერების ქალღვთაება. ასტრალური ღვთაებიდან მთავარი იყო მზის ღვთაება – ტონატიუ, გარდა ამისა, თითოეულ ტომს ჰყავდა თვისი მფარველი ღვთაებები, რომლებსაც მსხვერპლად ადამიანს სწირავდნენ.

მსოფლიო რელიგიების ისტორიაში არც ერთი რელიგია არ გამოდიოდა თავისი ხალხის ისეთი უკიდურესი დესპოტის როლში, როგორებიც აცტეკები იყვნენ. მათი ბოროტი, სისხლიანი რიტუალი ადამიანთა აუარცხელ მსხვერპლს მოითხოვდა. რელიგიას მსხვერპლად ეწირებოდა ყველა, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, თვით ძუძუთა ბავშვებიც კი.

აცტეკები, როგორც ითქვა, პოლითეისტები იყვნენ. მათი წარმოდგენით ღმერთები ბუნების ძალებსა და ადამიანებზე საბატონოდ იყვნენ მოვლინებულნი. ღმერთებს ადამიანების სახით გამოხატავდნენ, მაგრამ თითოეულ მათგანში სიმახინჯის, გროტესკულობის ელემენტი შექონდათ. ხშირად მათ ზოომორფული, მხეცის სახეც კი ჰქონდათ.

მთავარი ღვთაება, სიცოცხლის საწყისი, მზის ღმერთი იყო, მაგრამ წმინდა ადამიანური გრძნობის – შიშის გამო, ყველაზე მეტ პატივს ომის მრისხანე ღმერთს უციფლოტჩლს მიაგებდნენ. ამ საზიზღარმა ღმერთმა თავები მოჰკვეთა ძმებსა და დას. დედაც საშინელი ურჩხული ჰყავდა.

ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა აცტეკებმა XIV საუკუნის დასაწყისში შემოიღეს. ამ დროს დაიშალა თემური წყობილება, წარმოიშვა მეომართა მმართველი ფენა, მათ სათავეში მთავრები ედგნენ. ველურობის მსგავსი რიტუალი მათ ტერორის იარაღად სჭირდებოდათ. ამ გზით ადვილად შეიძლებოდა თავიანთი პრივილეგიების დაცვა,

სხვისი ქონების მითვისება. თავიანთი ზრახვების მსგავსი, მზაკერული გზით განხორციელება ხდებოდა რელიგიური რწმენის ნიშნით. მათი უთვალავეი ღმერთები, თვით კეთილი ღმერთის – კეცალკოატლის ჩათვლით, ადამიანებს თხოულობდნენ მსხვერპლად.

მსხვერპლის შეწირვა ხდებოდა არაადამიანური სისასტიკით. სამსხვერპლო ქვაზე მიბმულ განწირულ პიროვნებას მახვილით უპობდნენ მკერდს, ამოგლეჯდნენ მკერდს და ღმერთის ფეხებთან აგდებდნენ. ჰქონდათ რიტუალური კაციჭამიობის (ანთროპოფაგია) წესიც: საზეიმო ღვინისას მსხვერპლის გულს ჭამდნენ ქურუმები, სხეულის სხვა ნაწილებს – მაღალი სამოქალაქო ფენები.


თერამეტი მთავარი დღესასწაული რამდენიმე დღე გრძელდებოდა, სხვა დღეებიც ღმერთისადმი იყო მიძღვნილი. ამიტომ ტაძრებში განუწყვეტლივ დიოდა ადამიანთა სისხლის ღვარი. მიწათმოქმედების ქალღმერთს ახალგაზრდა გოგონა ეწირებოდა, გვალების დროს, წვიმის ღმერთის გულის მოსაგებად, ხოცაუდნენ პატარა გოგობიჭებს. ძუძუთა ბავშვებს საზეიმო ყვავილებით რთავდნენ, აკუნით მიჰყავდათ ტაძარში და რიტუალის დამთავრების შემდეგ კლავდნენ. ერთი სიტყვით, აცტეკებს რამდენი ღმერთიც ჰყავდათ, ადამიანის მსხვერპლად შეწირვის იმდენი, ერთმანეთისაგან განსხვავებული და ერთმანეთზე უფრო სასტიკი წესი გააჩნდათ. ესპანელებმა ყველა დაპყრობილ ქალაქში აღმოაჩინეს ათასობით თავის ქალით ავსებული პაილიონები.

მსხვერპლად შეწირვას იმდენი ადამიანების სიცოცხლე ეწირებოდა, რომ მსგავსი რიტუალით ესა თუ ის ხალხი თავის თავს მთლიანად მოსპობდა, ამიტომ, მეზობელ ტომებთან ბრძოლებში ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ტყვე, მომავალში მსხვერპლად შესაწირი მეთომარი აეყვანათ. ალბათ, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ მონტესუმასა და სხვათა ბელადების არმიათა წინააღმდეგ შერკინებისას, კონკისტადორები ასე ცოტა დანაკარგებით ამთავრებდნენ ბრძოლას.

... 1497 წელს აცტეკებს უნდა ეკურთხებინათ ქვის ფილა, რომელზედაც ამოკვეთილი იყო აცტეკთა კალენდარი (ამჟამად მეხიკოს ეროვნული მუზეუმის საკუთრება). მეფე ახანაკატლმა, ტყვეთა შეპყრობის მიზნით, ომი გამოუცხადა ტარასკანელებს – აცტეკებმა ხელთ იგდეს შვიდასი ტყვე, მათმა მოკაეშირებმა – ოთხას ოცი. რადგანაც ქვის კურთხევის დღესასწაული საერთო იყო, „შვის ქვის“ ირგვლივ ყველა ტყვეს მოუდეს ბოლო.

1486 წელს მონტესუმამ თავისი გვირგვინის კურთხევა თორმეტი ათასი კაცის მსხვერპლად შეწირვით აღნიშნა.

თვით აცტეკელი ხალხი, სრულიად განსხვავებული მრისხანე ქურუმებისაგან და მათი რელიგიური კულტისაგან, სტუმართმოყვარე, კეთილგანწყობილი, შრომისმოყვარე და სიცოცხლის ყველა სასიკეთო გამოვლინების მოყვარულნი იყვნენ.



სურ. 313. მეხიკოს ეროვნული მუზეუმში (ცენტრალური დარბაზის ცენტრალური ნაწილი). აცტეკთა ლეგენდარული ქვის კალენდარი.

უყვარდათ სპორტი – კაუჩუკის ბურთით თამაში, კოლექტიური სეირნობა, ცეკვები, ვთაყვანებოდნენ ყვავილებს. ყვავილებისადმი ნაზი სიყვარული, სამხრეთ აზიის ხალხის მსგავსად, მექსიკელებს ახლაც შემორჩათ.

აცტეკებს მეცნიერებაში არაფერი ფუძემდებლური არ შეუქმნიათ. მათემატიკა დაწყებითი ფარგლებს ვერ გაცდა. წელიწადში სამას სამოც დღეს ითვლიდნენ, ამიტომ კალენდარი შვის წელიწადთან რომ შეეთანხმებინათ, ყოველწლიურად მათ ხუთ თავისუფალ დღეს უმატებდნენ. მედიცინას ქურუმები მისდევდნენ და იგი უმთავრესად მაგიურ შელოცვებში ელინდებოდა. ზოგიერთ ავადმყოფობას არჩენდნენ ბალახებით, ატარებდნენ ქირურგიულ ოპერაციებს, კვეთდნენ საკეისროს, დახელოვნებულნი იყვნენ თავის ქალის ტრეპანაციაში. კანონმდებლობაში იყო მკაცრი კანონები: ლოთობა სიკვდილით ისჯებოდა, ყანიდან სიმინდის მოპარვისათვის ქვებით ქოლავდნენ, ნებისმიერ ქურდს მონობა არ ასცდებოდა, ცილისმწამებლებს კი ყურებს აჭრებდნენ.


... აცტეკები შესანიშნავი მშენებლები იყვნენ, ხელოვნების დონეს მიაღწიეს სკულპტურაში, თვალსაჩინო დონით გამოირჩეოდა გამოყენებითი ხელოვნება და საიუველირო საქმე (ყველაფერი ეს, როგორც ითქვა, მეტწილად მაიასა და ტოლტეკების მემკვიდრეობის პირდაპირ გავრცელებას წარმოადგენდა). შექმნეს საკუთარი დამწერლობა, ზუსტ ასტრონომიულ დაკვირვებებზე შექმნილი კალენდარი...

ამიტომ, გასაკვირია, მსგავსი გონებრივი გან-



სურ. 314. თანამედროვე ინდიელი-შემგროვებლები ველურად მოზარდი საკვების ძებნაში. ჩაიუაუას უდაბნო.

ეთარების ხალხმა რატომ ვერ მოახერხეს თუნდაც ტვირთის გადამტანი ცხოველების მოშინაურება, ვერ გამოიგონეს ამა თუ იმ საგნის გადასაგორებელი თუნდაც პრიმიტიული ბორბალი, ვერ განავითარეს მეთუნეობა, მეტალურგია კი, კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის წინ, ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო, ვერ შეიმუშავეს ბრინჯაოს დამზა-



სურ. 315. მსოფლიო უდაბნოების ყველაზე დიდი მცენარე – კაქტუსი საგუარო. გახმობის შემთხვევაში ინდიელები მას საწვავად იყენებენ.

დების წესი, სპილენძს ცივად ჭედდნენ, რკინა კი სრულიად უცხო მეტალი იყო მათთვის. ამიტომ შრომისა და საბრძოლო იარაღები პრიმიტიული ჰქონდათ. საბრძოლო მახეილებს (სტილეტებს) ეულკანური ქვისგან – ობსიდიანებისგან ამზადებდნენ, ნემსებს აგავეს ეკლებიდან აკეთებდნენ, ხოლო შუბისა და ისრის წვერებს – ძვლებისა და კაქისაგან. ძვირფასეულობასე საკუთარი წარმოდგენა ჰქონდათ: ყველაზე მეტად ფასობდა იაშმა, შემდეგ სპილენძი, ვერცხლი და სულ ბოლოს ოქრო (ესპანელები ინდიელებს ატყუებდნენ, რომ ოქრო მათ სამკურნალოდ სჭირდებოდათ). მიუხედავად ნათქვამისა, აცტეკებმა მსოფლიო ცივილიზაციას ბევრი საინტერესო შესძინეს, უწინარესად ეს ითქმის არქიტექტურული ძეგლებსა და აგროკულტურასე.

ესპანელთა ბატონობისას მილიონობით აცტეკი დაიღუპა. 1570 წელს მოწყობილ გენოციდის 12 მილიონი აბორიგენი ემსხვერპლა, რამდენიმე წელიწადში ეს რიცხვი 25 მილიონამდე გაიზარდა. მოგვიანებით, ბევრმა ვერ გაუძლო მადაროებში კატორღულ შრომას, ევროპელთა მიერ შეტანილ ავადმყოფობებს.

დღეს აცტეკური წარმოშობის ინდიელებიდან 800000 კაცი შემორჩა, ისინი გაფანტულები არიან კათოლიკობის მიმდევარ მექსიკის მოსახლეობაში, განიცდიან ინტენსიურ ასიმილაციას, თუმცა ერთმა ნაწილმა მაინც შეინარჩუნა აცტეკთა მშობლიური – ნაუატლის ენა, მან ბოლომდე გაუძლო ესპანური ენის ზეგავლენას.

ტეოტიუაკანო

ძვ.წ.ალ-ით III საუკუნეში მექსიკის ზეგანზე წარმოიქმნა ადრეკლასობრივი საზოგადოების ერთ-ერთი მსხვილი ცენტრი ტეოტიუაკანის სახით. ქალაქი იმთავითვე გადაიქცა ცენტრალური მექსიკის რელიგიურ, პოლიტიკურ და საეკონომიკურ ცენტრად. წინასწარი გეგმით აგებული ქალაქ-მეტროპოლისში ცხოვრობდა დაახლოებით 200000 ადამიანი. სახელმწიფო მართვის სწორი პოლიტიკის, მეზობლებთან მშვიდობისმოყვარე დამოკიდებულების, განვითარებული ხელოსნობის, წყნარი ოკეანიდან მექსიკის ყურეზე შექმნილი ფართო საეკონომიკური ქსელის, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ტერიტორიის სრული კონტროლის გამო, ქვეყანაში მუდმივი კეთილდღეობა სუფევდა. ანტიკურ ეპოქაში რომის შემდეგ ტეოტიუაკანი თავისი მასშტაბებით მსოფლიოში მეორე ქალაქი იყო. საუკუნეთა მანძილზე აქ შენდებოდა ტაძრები, პირამიდები, სხვა ძვირფასი ნაგებობები. არქიტექტორები და მხატვრები თავიანთი გაწაფულობით არ ჩამოუვარდებოდნენ ძველი რომის საუკეთესო ხელოვანთ. ძველი ეგვიპტის მსგავსად, ტეოტიუაკანში დღემდე ბევრი რამ არის გახევეული საიდუმლოებათა ბურუსში. მისი დიდებული პირამიდები აგებული იყო ციური სხეულების მოძრაობის გათვალისწინებით.




სურ. 316. ტეოტიჰუაკანი. ხედი მთვარის პირამიდიდან მზის პირამიდასა და „გარდაცვლილთა გზაზე“.

ძვ.წ.ალ-ით III-VI საუკუნეებში ქალაქი-სახელმწიფოს კულტურამ უდიდესი გავლენა იქონია მექსიკისა და გვატემალას ძველ ხალხთა კულტურაზე. ძვ.წ.ალ-ით 600 წელს ჩრდილოეთიდან წამოსულმა მომთაბარე ტომებმა გაანადგურეს და გადაწვეს მესოამერიკის ეს უმნიშვნელოვანესი ცენტრი. ახ.წ.ალ-ით XII საუკუნეში კალიფორნიიდან მოსულ აცტეკებს ტეოტიჰუაკანის შემოგარენში ინდიელთა ტომების რამდენიმე სოფელი დახვდათ.

ამჟამად ტეოტიჰუაკანის ეამთა მსველელობით შებღალულ ნაგებობებს 15 კვადრატული კილომეტრი ფართობი უკავია. არქიტექტურის მთავარი ძეგლები განლაგებულია პროსპექტივით სწორი, „გარდაცვლილთა გზის“ გასწვრივ. „გზას“ ჩრდილოე-

თით კეტაეს შელახული, მაგრამ მაინც გრანდიოზული „მთვარის პირამიდა“. „მიცვალებულთა გზის“ აღმოსავლეთით აღმართულია კიდევ უფრო რელიეფური „მზის პირამიდა“. აქვე შემორჩა რამდენიმე ტაძრის ნანგრევი, ესენია: „მიწათმოქმედების ტაძარი“ (ფრესკებით) „ტალოკის ტაძარი“ და ფრთოსანი გველების თვალებით დამშვენებული „ეკვალკოატლის ტაძარი“.

მთვარის პირამიდის ფუნდამენტის ზომებია: სიგანეში 131 მეტრი, სიგრძეში – 164 მეტრი. სხვადასხვა ზომის საფეხურებით დაყოფილია ოთხ სართულად. სიმაღლეში აღწევდა 52 მეტრს, საფეხურები კმნის ხუთ სართულს; პირამიდის დღევანდელი სიმაღლე შეადგენს 42 მეტრს. მზის პირამი-



სურ. 317. მზის პირამიდა.



სურ. 318. მზის პირამიდა. ხელი ტეოტიჰუაკანის შემოგარენიდან.

დის ფუნდამენტის სიგრძე 229 მეტრია, სიგანე – 181 მეტრი, სიმაღლე ამჟამად 64 მეტრი. ვარაუდობენ, რომ თავდაპირველად, როდესაც მასზე ეგვიპტეთელა ტაძარი იყო აგებული, პირამიდა 15 მეტრით მაღალი იყო. გამონგარიშებულია, რომ მშენებლობისას ამ ხელოვნურ მთაზე გაიხარჯა 3 მილიონი ტონა ქვა. ბოლო წლებში პირამიდის საძირკველთან არქეოლოგებმა აღმოაჩინეს 130 მეტრზე მეტი სიგრძის გეირაბი და ოთხ ოთახად გაყოფილი მღვიმე, გამდიდრებული ორნამენტებით. მისი საიდუმლოება ჯერჯერობით უცნობია. მზისა და მთაურის პირამიდები გარშემორტყმულია ფართო გალავანი – პლატფორმით, რომელზედაც იმართებოდა ქურუმთა რელიგიური ხასიათის სადღესასწაულო სელები.

ტოლტეკებიც ნაუატლის ენაზე მოლაპარაკე ხალხი იყო. ახ.წ.აღ-ით VIII საუკუნეში ისინი ჩრდილოეთიდან შეიჭრნენ ცენტრალურ მექსიკაში, IX საუკუნეში შექმნეს დიდი სახელმწიფო, რომელსაც ეკავა მექსიკის ცენტრალური და ჩრდილოეთი რაიონები, თანამედროვე ტულაში დააარსეს დედაქალაქი. თავის კულტურაში განავითარეს ტეოტიჰუაკანის ტრადიციები. მთავარ ღვთაებას წარმოადგენდა ცეცალკოატლი. X საუკუნეში დაიპყრეს იუკატანის ნახევარკუნძულისა და მთიან გვატემალაში მცხოვრები მაიას ხალხის ნაწილი, მსხვილი ქალაქებით: ჩიჩენ იცა, უშმალი, მაიაპანი და სხე. XII საუკუნის მეორე ნახევარში კალიფორნიიდან წამოსულმა მომარმა ტომებმა, ძირითადად,

აცტეკებმა წერტილი დაუსვეს ტოლტეკების ბატონობას მექსიკაში. ესპანელთა კონკისტის დროს (XVI ს.) ეს ხალხი უკვე ლეგენდებსა და მითებში შიხსენიებოდნენ. როგორც ითქვა, ტოლტეკების მიერ შექმნილმა ცივილიზაციამ, მაიასთან ერთად, დიდი გავლენა მოახდინა აცტეკების კულტურის ფორმირებაზე. ამჟამად ტოლტეკთა ცივილიზაციის არაერთი ძეგრფასი რელიკვია გამოფენილია მეხიკოს ეროვნულ მუზეუმში.



სურ. 319. სხვადასხვა ძეგრფასი ქვებით მოოჭვილი ქვის ნილაბი. ტოლტეკთა კულტურა. მეხიკოს ეროვნული მუზეუმი.

მაიას კულტურა

მაიას ხალხის შემკვიდრებობა მესოამერიკის ცივილიზაციის თვალმარგალიტია. თავიანთი ფილოსოფიური, ასტრონომიული და მათემატიკური ცოდნის დონით, მაიას ძველ ბერძნებს ადარებენ, მშენებლობისა და არქიტექტურის დარგში ესოდენ მაღალ განსწავლულობით – რომაელებს, პირამიდის ფორმის ნაგებობათა შენების ხელოვნებისათვის – ეგვიპტელებს. მიუხედავად ამისა, მაიას კულტურის, ცივილიზაციის საწყისები საიდუმლოების ბურუსითაა მოცული.

– 1836 წელს მექსიკელი პოლკოვნიკი გარლინდო თავისი ქვეყნის არმიისათვის რეკრუტებს აგროვებდა. ამ მიზნით იუკატანის ნახევარკუნძულის მიყრუებულ სოფლებსაც ესტუმრა. უფროსებისთვის მირთმეულ პატაკში მან ჯუნგლებში აღმოიხილი, ბარელიეფებით დამშენებული ძველი ნანგრევებიც მოიხსენია. სამი წლის შემდეგ, რაღაც გზებით ამ პატაკის შინაარსს ყური მოჰკრა ნიუ-იორკელმა ადუოკატმა ჯონ ლოიდ სტუფენსმა. სტუფენსი დაინტერესებული იყო არქეოლოგიითა და ანტიკური ისტორიით, ნამყოფი იყო ეგვიპტეში,



სურ. 320. მეთუნე. მაიას ხალხის კულტურა
(ჩიაპასი, 780 წ.).


არაბეთში, პალესტინაში, საბერძნეთსა და თურქეთში. თავისი შთაბეჭდილებები აღწერა ორ წიგნში, მაგრამ ოცნება, თვითონ აღმოეჩინა ამ სფეროში რაიმე განსაკუთრებულ, ოცნებადევ რჩებოდა. აი,

სტეფენსს მიეცა შესანიშნავი შანსი იქვე, მექსიკაში განეხორციელებინა მსგავსი რამ. 1839 წელს დაიქირავა ინდიელი მეზარეულები, ჯორები და ჰონდურასისა და გვატემალას საზღვარზე, ჯუნგლებს ეწვია. ექსპედიციაში გაერთიანებული ჰყავდა მხატვარი კახერუელი. ბევრ ავტორს აქვს აღწერილი ფაუტურაკები, რაც ადგილობრივ ჯუნგლებში – სელვაში – არქეოლოგიის ციებ-ცხელებით შექმრობილ ამ პიროვნებას გადახდა თავს. ფაქტი ის არის, რომ ბევრი წვადლების შემდეგ სტეფენსი გადააწყდა ტროპიკულ ტენიან ტყეებში ჩაკარგულ, ხეებითა და ლიანებით დაფარულ პირამიდებს, სასახლებს, ტაძრებსა და ცალკეულ ლოდებს. მსგავს რამეზე, სათანადო ლიტერატურაში, კრინტიც არავის ჰქონდა დამრული. ცხადი იყო, რომ მან განუმეორებელი კულტურის მატარებელი რომელიღაც ხალხის სახელმწიფოს ცენტრი აღმოაჩინა.


უკან დაბრუნებისას, წარმატებით თავბრუდახვეული მოგზაურები ეწვიენ გვატემალას, ჩიაპასსა და იუკატანის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილს. აქაც უამრავ ნანგრევებს – პირამიდებს, სასახლებს, ქანდაკებებს, მსგავს ძეგლებით დამშვენებულ მთელი ქალაქების ნანგრევებს გადააწყდნენ.

1842 წელს გამოიცა სტეფენსის წიგნი: „თავდასავალი ცენტრალურ ამერიკაში, ჩიაპასსა და იუკატანში მოგზაურობისას“.

სტეფენსის ნაშრომის გაყენით ისტორიკოსებმა ძველი ესპანური წყაროების ქვეყანს მიჰყვეს



სურ. 321. ჩიაპასი. მაიას ხალხის კულტურა. იუკატანის (ადგილი ლაკანდონი) ჯუნგლებში გაუჩინარებული ტაძარი.



სურ. 322. ჩიაპასი. ლაკანდონის ჯუნგლები.
მაიას ორნამენტირებულ ტაძართან (იაქსილანი).


ხელი. კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა, რომ ამ შესანიშნავი ქალაქების მშენებლები მაიას ტომის ხალხი ყოფილა. აცტეკებამდე მრავალი საუკუნით ადრე, მათ შეუქმნიათ და ჩამოუყალიბებიათ ქალაქი-სახელმწიფოები ცენტრალურ ამერიკაში.

საიდან მოვიდა ეს ხალხი ცენტრალურ ამერიკაში? ამ კითხვაზე პასუხის დროს მკვლევარები ჰიპოთეზებს ჰიპოთეზებზე აყალიბებდნენ. ყველა მათგანი ერთმანეთზე სენსაციური იყო, თვით თით-


ქოსდა ატლანტიდის ლეგენდარულ მიწაზე – გადარჩენილი მაცხოვრებლების ჩათვლით...

უტყუარად დადასტურდა მხოლოდ შემდეგი: მაიას ცივილიზაცია მესოამერიკის მიწაზე აღმოცენდა ძვ.წ.აღ-ით II, შესაძლებელია III ათასწლეულშიც კი და იარსება ახ.წ.აღ-ით X საუკუნემდე. განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია ახ.წ.აღ-ით VII-VIII საუკუნეებში. მაიას წარმოშობის ინდიკატორებს თავიანთი სახელმწიფოს გაუღების ქვეშ მოაქციეს იუკატანის ნახევარკუნძული, გვატემალა, ბელიზი, ჰონდურასისა და სალვადორის ნაწილი, თანამედროვე მექსიკის რამდენიმე შტატი. ამ დიდ არეალში (325 ათასი კვ.კმ.) დასახლებული იყო ასობით ტომი. მიუხედავად თავიანთი წესჩვეულებებისა და რელიგიური თავისებურებებისა, ყველა მათგანმა შეისისხლხორცა ერთი – მაიას კულტურა. მაიამ შექმნა საკუთარი, იეროგლიფური დამწერლობა.

ჯონ ლოიდ სტეფენსის აღმოჩენებს სხვა ავტორთა გამოკვლევებიც მოჰყვა. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დადგინდა, რომ მესოამერიკის აღნიშნულ ტერიტორიაზე მაიას კულტურის რამდენიმე ცენტრი არსებობდა. მხოლოდ იუკატანში, უკვე ცნობილი სამი მეტროპოლის – ჩიჩენ იცას, მაიაპანისა და უშმალის გარდა, არსებობდა სამოცდაათი სხვა ქალაქი. 1947 წელს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ „დიდი გველის სახელმწიფოს“ (ასე უწოდებდა მაია თავის სახელმწიფოს) მეზობელი მექსიკის შტატებში – ჩიაპასსა და ბონამპაკში – კიდევ თერთმეტი ტაძარი აღმოაჩინა. ძეგლები დათარიღეს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებით. კედლებზე, სხვადასხვა ფერებში შესრულებული სურათები ასახედნენ მეომრებს, ქურუმებსა და მეფეებს.



სურ. 323. ტაძარ იალსილანის ფასადის ფრაგმენტი („მაიას ბაროკო“).



სურ. 324. მაიას ცივილიზაციის ღვეგენდარული ქალაქი ჩიჩენ იცა. იუკატანი. კასტილოს 9-სეგმენტიანი პირამიდა კარგად შემონახული სამლოცველოთი და მასზე აშავალი საფეხურებით. თითოეული საფეხური შეესატყვისება წლის დღეთა რიცხვს.

სხვა ქვეყნების მსგავსად, ცენტრალური ამერიკის ქვეყნებმა სულ მალე განჭვრიტეს, თუ რა დიდი ბიზნესის წყაროდ შეიძლებოდა ქცეულიყო ამერიკის ჯუნგლებში ჩაკარგული, უძველესი და ესოდენ თვითმყოფადი კულტურის მატარებელი ხალხის მემკვიდრეობა. XX საუკუნის პირველ ნახევარშივე გაუვალი სელვასაგან – ადგილობრივი ჯუნგლებისაგან – გაწმინდეს უძველეს ქალაქ-სახელმწიფოთა შემორჩენილი არქიტექტურული ფასეულობანი, მოაცილეს შენობებს ლიანები და ბარდ-ეკალი, გაიყვანეს გზები. ახლა, საკმარისია მოხედო იუკატანის ქალაქ მერიდაში, რომ კომფორტული ავტობუსები უპრობლემოდ მიგიყვანენ ისტორიულ ქალაქთა მოპირკეთებულ მოედნებზე.

ვისაც მაიას კულტურა დაინტერესებს, უწინარესად, რა თქმა უნდა, ჩიჩენ იცას სამნახევარ კვადრატულ კილომეტრზე წარმოდგენილი მაიას ხალხის ნაშენებ ამ ნანგრევებს მონახულებს. უმთავრეს პოლისი-სახელმწიფოს შემორჩენილი ძეგლები ბევრად აღემატებიან სხვა ისტორიულ ქალაქთა არქიტექტურულსა და სკულპტურულ ძეგლებს.

სამკაულების სიმდიდრითა და ქვისგან გამოთლილი, იშვიათად აუტრული ატიკით გამოირჩევა „იაგუარის ტაძარი“. ყურადღებას იპყრობს „მომართა ტაძარი“. შიდა კიბით შეიძლება პირამიდის ჭერზე მოქცევა. სიდიდით ყველას აღემატება ელ კასტილოს პირამიდა. იგი რვა სართულისაგან შედგება. მის მწვერვალზე აღმართული ტაძარი მიძღვნილია ღმერთ კუკულკანისადმი. სწორედ მისი ემბლემა იყო ფრთოსანი გველი.

ქალაქის შუაგულში დგას მაღალი, მრგვალი


შენობა – მაიას ასტრონომიული ობსერვატორია. მისი ფანჯრები ისეა განლაგებული, რომ თითოეული მათგანი რომელიმე გარკვეულ თანაეარსკვლავედს უყურებს.



სურ. 325. მაიას მაღალი წრის მეომრები და მათ მიერ დატყვევებული მონები, რომელთგან ერთ-ერთს სისხლი სდის (მეხიკო, ეროვნული მუზეუმი).

იუკატანის ჩრდილოეთით მდებარეობს მაიას ორი ქალაქი – უშმალი და მაიაპანი. ძველების სიმდიდრით ისინი, რამდენადმე ჩამორჩებიან ჩიჩენ იცას.

დასავლეთით, მექსიკის შტატ ჩიაპასის, სულეას პირველქმნილ ტყეებში თორავდ მოიხანს მაიას წმინდა ქალაქი, რომელსაც ახლა, ადგილობრივთა სოფლის სახელწოდების მიხედვით, პალენკი ეწოდება. აქ შემორჩენილია 18 შესანიშნავი ტაძარი და სასახლე, 32 სხვა ნაგებობა, მათ შორის მაღალი კოშკი ასტრონომიული დაკვირვებებისათვის. ყველა ნაგებობა აღმართულია პირამიდის მსგავს საძირკველზე.



სურ. 326. მაიას ხალხის კიდევ ერთი ცნობილი ქალაქი – კაბაჰი (იუკატანში). კაიდა პუკის სასახლე (მაიას ქალაქთა ეს და სხვა არქიტექტურული შედეგები მიეკუთვნება VIII-XII საუკუნეებს).

არქეოლოგების ასრით, განსხვავებით ეგვიპტის პირამიდებისაგან, მაიას პირამიდები მეფეთა აკლდამები არ იყო, იგი მხოლოდ ხელოვნურ საძირკველს წრმოადგენდა ტაძრებისა და სასახლეებისათვის. მეცნიერებს აზრი რამდენადმე შეეცვალათ 1952 წლის და შემდგომი აღმოჩენებით. პირამიდების საძირკველში მიაკვლიეს ქვის დიდ სარკოფაგებს ინდიელთა ჩონჩხებით. სოგიერთ მათგანში წააწყდნენ დიდი რაოდენობის იაშმის სამკაულებს, რაც მათ პატრონთა დიდგვაროვნებაზე მიუთითებდა. ერთ-ერთ სარკოფაგში მოთავსებული ნეშტი მთლიანად მწვანე იაშმის სამკაულებში იყო მოთავსებული, სახესაც ამავე ქვის ფურცლებისგან დამზადებული ნიღაბი უფარავდა. ცხადია, სარკოფაგში რომელიღაც მეფე, ანდა უმაღლესი ქურუმი იყო დასაფლავებული. გაშიფრული იეროგლიფების მიხედვით, პალენკეს რომელიღაც ცნობილი მოქალაქე 603 წლის 27 იანვარს დაუმარხავთ.

პალენკე მაიას ძველი სამეფოს ქალაქია. ტერმინ „ძველს“ იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ისტორიკოსები მაიას ისტორიას ორ დიდ – ძველ და ახალ სამეფოების პერიოდებად ყოფენ.

პირველად მაიას ეკავა იუკატანის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი, ახლანდელი ჰონდურასი, გვატემალა და მექსიკის შტატები – ჩიაპასი და ტაბასკო. ეს იყო დაახლოებით ძვ.წ.დ-ით 1000 წელსა და ჩვ.წ.დ-ით VI საუკუნეს შორის. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებზე მოდის ძველი სამეფოს აყვავების პერიოდი.

ჩვენი ერის დაახლოებით 610 წელს მაიას სამეფოში მოხდა უმბაგლითორ რაი. მთელი მოსახლეობა აიყარა, ჯუნგლების ანაბარა მიატოვა თავისი მშენიერი ქალაქები და იუკატანის ჩრდილოეთ ნაწილში გადასახლდა. აქ გაშენდა ახალი ქალაქები – ჩიჩენ იცა, მაიაპანი და უშმალი. ვინაიდან მაიას ტაძრებსა და სტელებზე გაკეთებული წარწერები მხოლოდ თარიღებს შეიცავდა, ამ ხალხის ცხოვრებასა და ტრადიციებზე ინფორმაციის მიღება შეუძლებელია.

მაიას ხალხმა თავიანთი ძველი ქალაქები 650 წელს მიატოვა, ჩრდილოეთში, ახალი ქალაქებიც, იმავე რიცხვითაა დათარიღებული. ცხადია, მოსახლეობის მსგავსი მიგრაცია ნებაყოფლობით და ერთბაშად მომხდარა. რადგანაც ნანგრევებში ბრ-

ძოლის ევრაეითარ კვალს ვერ მიაგნეს, გასაგები გახდა, რომ მსგავსი განსახლება ძალმოძრეობის შედეგი არ იყო. არქეოლოგიურმა ძიებამ ვერც ბუნებრივი კატასტროფები, კლიმატის შეცვლა და მასობრივი ეპიდემია (პანდემია) ვერ დაადასტურა.

დაბოლოს, მეცნიერები შეჩერდნენ ერთადერთ ჰიპოთეზაზე, მაიას ტომის ძირითადი საკვები სიმინდი იყო. იგი მოჰყავდათ ქალაქი-სახელმწიფოს ირგვლივ დასახლებულ გლეხობას. მიწათმოქმედება პრიმიტიული იყო. მაიას ხალხმა კაციც კი არ იცოდა. საახოე მიწათმოქმედების გაძლიერება ცუცხლის გამოყენებით ხდებოდა. გადაამწვარი ტყის ნიადაგში, გლეხი წვეტიანი ჯოხით აკეთებდა პატარა ორმოს და შიგნით მარცვალს ყრიდა. გამოფიტული მიწის განაყოფიერება არ იცოდნენ, ამიტომ მას ტოვებდნენ და ახალ ნაკვეთზე გადაინაცვლებდნენ. მიწათმოქმედი მონურ სამუშაოს ასრულებდა – იძულებული იყო მოსავლის ნახევარზე მეტი დიდებულებისა და ქურუმებისათვის მიეცა. ასე შორდებოდა ქალაქს მიწის დამუშავებული ნაკვეთი. საუკუნეების განმავლობაში ქალაქები სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს იმდენად დაშორდნენ, რომ სიმინდის ყანებს, ცოცხალი ტრანსპორტის არმქონე გლეხებს ქალაქის მოსახლეობის გამოკეება პრაქტიკულად აღარ შეეძლოთ. განდა შიმშილის საფრთხე, მოსახლეობამ ადგილის დედა ჯუნგლების ამარა მიატოვა.



სურ. 327. ქვის დისკო (590 წ.). ულამათით – მაიას წმინდა ბურთით მოთამაშე მამაკაცი. ბურთი კაუჩუკისა იყო და კეთდებოდა მცენარე – *Castilloa elastica*-ს ღეროსაგან.

X საუკუნეში მაიას ქალაქების უმრავლესობას ტოლტეკები დაეპატრონენ. ამ პერიოდს მაია-ტოლტეკის ცივილიზაციის ხანას უწოდებენ.

1200 წელს, ჩრდილოეთში აშენებულ მაიას ახალ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის ომი დაიწყო. განადგურდა ჩიჩენ იცა. დაქუცმაცებული და დაუძლურებული სხვა ქალაქები აცტეკების მსხვერპლი გახდა.

როგორც ითქვა, აცტეკების მსგავსად, მაიას მთავარ საკვებს სიმინდი წარმოადგენდა. მისგან დამზადებულ ღებულებს ცხლად ჭამდნენ. სიმინდის ცომს ურევდნენ აგრეთვე დაკეპილი ხორცის ნაჭრებს, ლობიოსაც. სიმინდის წყალში დამბალი მარცვლებიდან წურავდნენ სასმელს (ქოსოლუ). სასმელს წყლის დეფიციტის შემთხვევაში სვამდნენ.

მცენარეული წარმოშობის მეორე მნიშვნელოვან საკვებს წარმოადგენდა ლობიო – შავი, წითელი და თეთრი. მისგან დამზადებულ საჭმელს ჭამდნენ სხვა პროდუქტთან შეურეველად, ანდა უმატებდნენ სხვა ბოსტნეულს, ხორცსაც. მენიუში შედიოდა კვახი, ბატატი, პამიდორი, ბოლოკი, ავოკადო და ა.შ. მაიას ხალხი მიირთმეოდა ხილს, მათ შორის ავოკადოს, პაპაიას, ქლიავის რამდენიმე სახეობას, გარეულ ყურძენსა და ბევრ სხვას.

ცხოველური წარმოშობის საკვებს კვების რაციონში გაცილებით ნაკლები ადგილი ეკავა. შეიძლება ეს შინაურ ცხოველთა სიმცირით იყო განპირობებული. მოშინაურებული ჰყავდათ მხოლოდ ძაღლი (საჭმელად) და ინდაური. ხორცს ძირითადად დღესასწაულების დროს ჭამდნენ. ნადირობდნენ: ირემზე, დათებზე, ბოცვერზე, ჯავშნოსანზე, იაგუარზე და სხვ. ნადირთა ხორცს წყავდ-

ნენ კოცონზე ან მიწაში ამოთხრილ ორმოში. ორმოში ანთებდნენ ცეცხლს, ნაკვერჩხალზე დებდნენ ჩიქოს, გაჟარჟარებულ ქვებზე აწყობდნენ ცხოველის ხორცეულის ნაჭრებს. ასეთ ღუმელში შემწვარ ხორცეულს უმატებდნენ სუნელს.

როგორც ბოსტნეულ, ისე ხორცისგან დამზადებულ საჭმელს უმატებდნენ მარილს, სხვადასხვა ჯიშის წიწაკასა და სურნელოვან ბალახებს. ზღვისპირეთში მცხოვრები მაიას ხალხი საკვებად იყენებდა აგრეთვე თევზსა და ოკეანის სხვა ცხოველურ საკვებს.

უალკოჰოლო სასმელებიდან პოპულარული იყო სიმინდისგან დამზადებული წვენი და კაკო, მხოლოდ რელიგიური ცერემონიის დროს სვამდნენ სხვადასხვა მცენარისაგან დაწურულ ალკოჰოლიან სასმელს.

განსხვავებით აცტეკებისაგან, რომლებშიაც მსხვერპლთშეწირვასთან ერთად მიღებული იყო ანთროპოფაგია, მაიას ხალხს ახასიათებდა რიტუალური ხასიათის კანიალიზმი. ზოგიერთი დღესასწაულის დროს მსხვერპლად შეწირულ ადამიანის ხორცს დიდი რიდიითა და პატივისცემით ჭამდნენ მხოლოდ ქურუმები და საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლები.

ესპანური კონკისტას მსახვერელი ხელი გადაიტანა მაიას ხალხმაც. მაიას სამფლობელოთა დაპყრობა დაიწყო კორტესის მიერ ტენოჩტიტლანისა და მესოამერიკის მეტწილი ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ. მაიას ცალკეული ტომი აცტეკებზე ეკრქტი კაკალი გამოდგა. მათ არაერთი უსიამოვნება მიაყენეს მომხდურებს, მაგრამ ცეცხლსასროლი იარაღის წინაშე მაინც უძლურნი აღმოჩნდნენ. XVII საუკუნეში ესპანელებმა საბოლოოდ გატეხეს ადგილობრივთა წინააღმდეგობა.

ამჟამად მხოლოდ მაიას ენაზე, ანდა ერთდროულად ესპანურადაც მოლაპარაკე მაიას ხალხთა რაოდენობა 4 მილიონს აღწევს. მათ დღემდე შეინარჩუნეს ძველინდური რწმენები, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ნაგუალიზმი. მისი ადგილზე მდგომარეობს შემდეგში: ინდიელები თვლიან, რომ ბავშვის დაბადებისთანავე, მასთან ერთად იბადება რომელიმე ცხოველი – კატა, ძაღლი, ქორი, ღამურა და ა.შ., რომელიც მისი ნაგუალი, ანუ წმიდა მფარველია. მათი ცხოვრება განუყოფელია.

სამხრეთ ამერიკის ძველი ცივილიზაციები

ინკები - ძვის შვილები

კოლუმბის გაკვალულ გზას არაერთი თანამეგობარე დაადგა. ატლანტის ოკეანის გაღმა თითოეულს ერთი მიზანი - ოქრო ამოძრავებდა. აზნტიურისტთა მთელ ამ საზოგადოებაში გამორჩეული ადგილი დაიკავა ორმა პიროვნებამ - ყერნანდეს კორტესმა (1485-1547) და მისმა თანამედროვემ და თანამემამულემ ფრანსისკო პისარომ (1475-1541). კორტესი ისტორიას შეიძინა როგორც მექსიკაში აცტეკების ძველი ცივილიზაციის გამანადგურებელი, ხოლო პისარო - პერუში ინკების თვითმყოფადი კულტურის მიწის პირიდან აღმგეული და მათი სახელმწიფოს - ტუანტიუსუს შემუსრავი.

1519 წელს პანამაში გამაგრებულ ესპანელუბამდე მიადღია ხმებმა სამხრეთით მდებარე კონტინენტზე არსებულ მდიდარ ქვეყანაზე. პერუსუსერიოზულად ამ ქვეყნის კოლონიზაციას ხელი მოჰქიდა ფრანსისკო პისარომ. პისაროს მოსვენებას არ აძლევდა კორტესის სახელი, სიმდიდრე და ცხოვრების განვლილი გზა. ესპანეთიდან შევეკარლო I კონკისტადორს პერუს დასაპყრობი პატრეტი უბოდა და წინასწარ ქვეყნის გუბერნატორადაც დანიშნა. პისარომ შემოიკრიბა ახლობლები, უწინარესად ძმები - ერნანდო, ხუანი და გონსალო. 1532 წლის 24 სექტემბერს ახლანდელი ეკუადორის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქ გუაიკილის ყურიდან დაიძრა 106 ფეხოსნისა და 62 მხედრისგან შემდგარი რაზმი. ატაულპა, - ინკების სახელმწიფოს ტახტის მემკრტრონე, - ინდიელთა ხუთი ათასიანი ჯარით მთიანი ანდეების ქალაქ კახამარკაში იმყოფებოდა. 15 ნოემბერს ესპანელები ქალაქს მიადგნენ. აბორიგენები მომხედრებში არ ხედავდნენ მამინეარე და მშაკეარ მტერს. თანაც მათი ჯარი რიცხობრიობით მომხედრებს ორმოცჯერ აღემატებოდა.

ესპანელი შუამავლის წინადადებაზე, რათა ატაულპა შეხედროდა პისაროს ხალხს მოსალაპარაკებლად, უმაღლესი ინკა დათანხმდა. ამასობაში პისაროს ხალხმა მოასწრო მბრძანებლის ბანაკის დახვერვა. ჩაისახა მშაკერული გეგმა, რომელიც ისტორიკოსთა აზრით, იმ დროისათვის გაუგონარი თავხედობით განხორციელდა. ესპანელთა სამი ჯგუფი სხვადასხვა საფარში დაიმაღლა. ატაულპა დათქმულ ადგილზე ესპანელებთან ოქროს ტახტრეყვანი გამოცხადდა. წარჩინებულთა გარემოცვაში მყოფ ბელადს წაუკითხეს დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ინკებს უნდა ეცნოთ ესპანეთის მეფის ძალაუფლება. თარჯიმნის დახმარებით ატაულპამ პისაროს ჰკითხა, თუ რა არგუმენტები გააჩნდათ თეთრკანიანებს ნათქვამის დასადასტურებლად. ესპანელმა დაიმოწმა სახარება და ბელადს წიგნი გაუწოდა. ინკამ სახარება ხელეებში

შეატრიალა, გადაფურცლა, ერთი კი დააყოლა - ეს წიგნი არაფერს ლაპარაკობს და მოისროლა. მაშინ მეფის ნდობით აღკერვილმა პირმა - პისარომ შესძახა: „დაცხეთ მაგათ!“. საძაღალებიდან თოფების გრიალზე ატულპასკენ მხედრები გაიჭრნენ, მათ ყეხოსნები მიჰყენენ. პისარო ტახტრეყვანისკენ გაეარდა, ატაულპას გრძელ წევრებში სტაცა ხელი, მიწაზე ჩამოაგდო და გათოკა. ავონიოში ჩაეარდნილმა, ინდიელების მრავალათასიანმა ჯარმა იქაურობა მიატოვა და ჩრდილოეთისკენ მოკურცხლა (თოფი და ცხენი მანამდე არც ინკებს ენახათ).

ესპანელები დატყევებული ბელადით კახამარკაში დაბრუნდნენ. ატაულპა დარწმუნდა თავის უმწეობაში და გასათავისუფლებლად მტერს გაუგონარი გამოსასყიდი შესთავაზა. ტუხადისათვის განკუთვნილ ოთახის კედელზე, სადამდეც ხელი აუწყდებოდა, ამ ოთახის ოქროულობით გაესება შესთავაზა. პისარომ მიიღო ნანატრი წინადადება, აურაცხელ განის დაეპატრონა, მაგრამ ატაულპამინც გააცურა - ბრალი დასდო შეთქმულებაში. კერთაყეანისცემილობაში და ა.შ. 26 ივლისის ინკების ბელადი ჩამოახრჩვეს.

ამის შემდეგ პისარო ინკების დედაქალაქ - კუსკოსკენ დაიძრა. ინდიელებთან რამდენიმე შეტაკების შემდეგ, 15 ნოემბერს იქ შევიდა და 1534 წელს კუსკო ესპანურ ქალაქად გამოაცხადა. 1535 წლის 5 იანვარს წყნარი ოკეანის სანაპიროსკენ დაშვებულმა ფრანსისკო პისარომ დააარსა ქვეყნის ახალი დედაქალაქი - ლიმა. ქვეყანაში ოქროს ძებნისას კონკისტადორებმა გაიგეს ინკების იმპერიის მეორე მთავარი ქალაქის - კიტოს (დღევანდელი ეკუადორის დედაქალაქი) არსებობა. ინდიელებს გადაწვეტილი ჰქონდათ დაკარგული კუსკოს ნაცვლად, დედაქალაქი კიტოში გადაეტანათ. ახალ სამხედრო ოპერაცია სათავეში ჩაუდგა პისაროს თანარაზმელი ბელალკასარი. 2000 კაცისაგან შემდგარი ჯარი (აქედან 62 ცხენოსანი იყო) 1534 წელს კიტოსკენ გაემართა. მათ დაამარცხეს ინკების ჯერ 15, შემდეგ 50-ათასიანი სამხედრო გაერთიანებები. 1535 წლის 22 ივნისს 600-კილომეტრიანი ლაშქრობის შემდეგ, ესპანელებმა კიტო დაიპყრეს, შემდეგ დაიმორჩილეს სამხრეთ კოლუმბია და ეკვატორულ ანდეებში. ესპანეთის დროშის ქვეშ მოქცეული ტერიტორია 1200 კილომეტრამდე განაერცეს.

ასე დაეცა კეჩუას ასამდე სხვადასხვა ტომისგან (ინკები თავად კეჩუას ერთ-ერთ ტომს წარმოადგენდნენ) შემდგარი მსხვილი მონათმფლობელური იმპერია, რომლის სახლერებიც გადატნიული იყო თანამედროვე პერუს, ეკუადორისა და კოლუმბიის ტერიტორიებზე.

ოფიციალურმა ესპანეთმა თავის მეორე ეროვნულ გმირს - ფრანსისკო პისაროს, რომელსაც თავის ქვეყანაში სრული განათლება არ ჰქონდა მიღებული და ბავშვობაში ღორებს მწეებდა, მარკიზის ტიტული უბოძეს და პერუს ეიცემეუცდაც დაამტკიცეს.


მზის კულტის გენეზისის არაერთმა ცივილიზაციაში ჩაუყარა საფუძველი. ამ თვალსაზრისით მთიან ქვეყანაში მცხოვრებ ხალხებს შორის ძველი ინდიელებს - ინკებს - ბადალი არ მოეძებნებათ. ამერიკაში, სამხრეთით, ცენტრალური ანდების გრანდიოზულ მთებში, ერთ დროს, ალბათ, აღმოსავლეთ აზიიდან წასულმა ადამიანებმა გლობალური მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე თვითმყოფადი კულტურა შექმნეს. ამ კულტურის მატარებელი ხალხის მთელი მსოფლმხედველობა და ამასთან ერთად, ფსიქოლოგიის საფუძველს წარმოადგენდა მონოთეისტური რელიგია - მზის ღმერთის - ირაკონას კულტი.

ინკები თავიანთ თავს „მზის შვილებს“ უწოდებდნენ. სახელმწიფოს სათავეში მდგომი უმაღლესი ინკა კი მზის მიწიერსა და ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენდა. მნათობის ვეებერთელა გამოსახულება - ოქროს უზარმაზარი დისკო ადამიანის სახით - ოფიციალური კულტის ფუნქციას ასრულებდა. მზის დად და მუდლედ მთვარე ითვლებოდა. რა თქმა უნდა, მასაც ჰყავდა თავისი ცოცხალი პროტოტიპი მიწაზე.

თავიანთ „მშობელს“ - მზეს - ინკები მთაში დადგმული ოთხი კოშკიდან - ობსევატორიიდან აკვირდებოდნენ. სხვა ძირძველი ცივილიზაციების მსგავსად, ინკები შესანიშნავი ასტრონომები იყვნენ, წარმოადგენა ჰქონდათ მზისა და მთვარის წლებზე. ამ კულტურის ნებისმიერ გამოვლენასთან პირისპირ შეხვედრა წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

... თავის დროზე ტბა ტიტაკაკადან აიყარა ინდიელთა ერთი ტომი და ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით - მდინარე ურუბამბას ხეობისკენ დაიძრა. პილიგრიმებს სათავეში ედგათ ინკების ლეგენდარული სახელმწიფოს დამაარსებელი, მზის შვილები - მანკო კაპაკი და ოკლო ვაკო. ეს მოხდა ქრისტეს შობიდან X საუკუნეში. თვით სახელმწიფოს - ტაუანტინსუიუ ეწოდა. კენუას ენაზე იგი „სამყაროს ოთხ შეერთებულ მხარეს“ ნიშნავს. იმპერიის საზღვრები - 1 მილიონი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია - შეესაბამებოდა მსგავს პრეტენზიულ სახელწოდებას. მომდევნო 500 წლის მანძილზე ტაუანტინსუიუ სამხრეთ ამერიკის უძლიერეს იმპერიად გადაიქცა. დღევანდელი პერუს გარდა, მის ფარგლებში მოქცეული იყო ამჟამინდელი კოლუმბიის, ჩილეს, ბრაზილიისა და პარაგვაის ტერიტორიათა დიდი ნაწილი. გაბატონებული მდგომარეობა ინკებს ეკავათ. სახელმწიფოებრივი სტრუქტურა რთული იყო. იმპერია იყოფოდა „სამეფოებად“, „პროვინციებად“ და „ქმე პროვინციებად“. საზოგადოების მართვის სტრუქტურა მკაცრად ცენტრალიზებული იყო. ესოდენ გიგანტური სტრუქტურის ერთ სახელმწიფოდ შენარჩუნებას ძლიერი და მრავალრიცხოვანი არმია სჭირდებოდა. ასეთი ძალა ინკებს გააჩნდათ. უად

რესად მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული საზოგადოებრივი შრომა. საერთო-სახელმწიფოებრივი ენას კენუა წარმოადგენდა.



სურ. 328. ინკების ყოფილ დედაქალაქ - კუსკოს - ერთ-ერთი კუთხე.

მზის თავყვანისმცემლებს დედაქალაქიც სიბოლოურად გამოჩენული უნდა ჰქონოდათ. ამიტომ დაარქვეს მას „კოსკო“, რაც კენუას ენაზე „ჭიხს“, ე.ი. ცენტრს ნიშნავს. დღევანდელი სახელწოდება - „კუსკო“ - ესპანელთა იმპროვიზაციის ნაყოფია. ქალაქი, მართლაც, ოთხი მხარის ცენტრს წარმოადგენდა. იგი დაყოფილი იყო ოთხ ნაწილად, თითოეულ მათგანში გზები ქვეყნის ოთხივე მხრიდან შედიოდა. ინკების ცივილიზაციის მაქსიმალურად გაფურჩქვნის ეპოქაში - XVI საუკუნეში - იქ უფრო მეტი ადამიანი ცხოვრობდა, ვიდრე ევროპის საშუალო ტერიტორიის მქონე სახელმწიფოებში.

დღეს კუსკო პროვინციული ქალაქის შთაბეჭდილებებს ტოვებს, თუმცა მთელი ამერიკის არქეოლოგიურ დედაქალაქად ითვლება.

ქალაქი გაშენებულია ზღვის დონიდან დაახლოებით 3400 მეტრზე. ტროპიკებში ასეთი სიმაღლე სულაც არ არის აუტანელი. დეკემბრიდან მარტამდე ზამთარია და ამ დროს ყველაზე მეტი ნალექი უმთავრესად წერილი წვიმების სახით მოდის. წლის დანარჩენი დრო - ზაფხულია. ყველაზე თბილი თვე ნოემბერია, თუმცა ეს სითბო სულ ორი გრადუსით თუ აღემატება წლიურ საშუალო ტემპერატურას.

ქალაქისთვის დამახასიათებელია ვიწრო ქუჩები, ქვისგან, ანდა ქვაფილებისგან ნაშენი სახლები, სადაც 100 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს. სამხრეთ აშერიკაში იშვიათად ხახვ მყორე ქალაქს, რომლის არქიტექტურაშიც ასე იყო შერწყმული ინკებისა და ესპანელების ბატონობისდროინდელ მშენებლობათა სტილი. ნაგებობათა მეტი წილი ესპანელებმა მათ მიერვე დანერგულ ინდიელთა საეკოპო დანიშნულების ტაძართა საძირკეებზე ააგეს. ქალაქს საფრთხეს უქმნიდა არა მარტო კონკისტადორები, არამედ სტიქიური უბედურებებიც. მაგალითად, 1650 და 1956 წლებში მომხდარმა მიწისძვრებმა საკმაო ნგრევა გამოიწვია. აქაურობას ახლაც ამჩნევია სტიქიური უბედურებისაგან დატოვებულ ნაპრაღთა და უფსკრულთა ნაკეაღევი. სტიქიას ადამიანებიც შეეწირნენ.

ქალაქში ბევრი კათოლიკური ეკლესიაა. ესპანელმა დამპყრობლებმა კუსკოში მისელისთანავე განაცხადეს: „თითოეული წარმართული ტაძრის ნანგრევებზე ჩვენი ღმერთის სალოცაეებს ავაგებთ!“ ეს ქადილი კიდევაც განახორციელეს: მთავარ მოედანზე, ინკების წმინდა ნაგებობების – კორიკანას ადგილზე – წმინდა დომინიკის მონასტერი ააგეს, ციხე ვაიპარის მაგიერად – აღმირალის სასახლე, ხოლო ღვთაება ვირაკოჩას სასახლის ნაცვლად – საკათედრო ტაძარი და ა.შ. მას შემდეგ, რაც 1950 წელს მიწისძვრის შედეგად წმინდა დომინიკის მონასტერი დაინგრა, გაჩაღდა კორიკანას ადგილისთვის საჭირო სარესტავრაციო სამუშაოები. ტურისტებს ამჟამად შესაძლებლობა ეძლევათ ინახულონ „ოქროს სასახლის“ ცალკეული ფრაგმენტები – მებისა და ცისარტყელას ტაძრები, მსხვერპლშესაწირი ნაგებობანი...

ინკებში არსებობდა მსხვერპლთშეწირვის ტრადიცია, მაგრამ მას აცტეკებისაგან განსხვავებული დანიშნულება ჰქონდა. მსხვერპლს სწირავდნენ სულიერ არსებას – უმაღლეს ინკას, რაც ქვეყნის უპირველესი პიროვნების გაღმერთების ერთ-ერთი რიტუალი იყო. მსხვერპლთშეწირვას ადგილი ჰქონდა ტახტზე მზის ამ მიწიერი განსახიერების ასეულისას მოწყობილ ბრწყინვალე დღესასწაულზე. სამსხვერპლოზე მიჰყავდათ ინკების მიერ დაპყრობილი ტომების ტყვეები – ზეარაკად შეწირული გოგონები და ბიჭები.

ინკების ტაძართა შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლების, სასახლეებისა და ციხისმაგრეების უმრავლესობა როგორც კუსკოში, ისე სხვა ქალაქებში, ივარქმნილია. მათთან ერთად წაშლილია უდიდესი ცივილიზაციის ბრწყინვალე ფურცლები. კუსკო ხომ ქვეყნის რელიგიური ცენტრიც იყო. ადამიანის წარმოდგენას აცვიფრებდა ზემოთ ხსენებული კორიკანა (კერუას ენაზე – „ოქროს სასახლე“) – მზის, მთვარისა და ინდიელთა სხვა ღვთაებებისადმი მიძღვნილ ტაძართა გრანდიოზული ანსამბლი. ყველაზე დიდებული მაინც მზის ტაძარი იყო, რომელშიაც მხოლოდ უსუქაესს – საპა ინკას (ერთადერთ ინკას) ჰქონდა შესვლის

უფლება. ტაძრის ინტერიერი ფურცლოვანი ოქროს ფირფიტებით და ძვირფასი თელებით იყო მოპირკეთებული. მზის ტაძარში ევებერთელა, ზურმუხტის თელებით ინკუსტირებული ოქროს ბადრო იყო გამოსახული, რომელიც მზის ღმერთს – ინტის განასახიერებდა. სიმდიდრითა და ბრწყინვალეობით მას მხოლოდ უმაღლესი ინკას მეუღლის სახელზე აგებული მთვარის ტაძარიც უე შეედრებოდა.

კოლუმბამდე ამერიკის ყველაზე განსაცვიფრებელ ქმნილებას კორიკანას ტაძრებს შორის მდებარე მოედანი წარმოადგენდა. ამ ადგილს ინკალიპაპა, ანუ მზის ევლი ეწოდებოდა. აქ ოქროსა და ვერცხლისგან ნაკეთები პუშას, იაგუარის, ლამას, ირმებისა და გველების სკულპტურული გამოსახულებანი იყო წარმოდგენილი, ოქროს ხის ტოტებზე ოქროსავე ფრინველები იხდნენ, ხოლო ყვეილებზე – ძვირფასი მეტალისაგან დამზადებული პეალები. ხელოვნების ესა და სხვა ქმნილებანი დამპყრობლებმა წკრიალა მონეტებად გადაადნეს, ხოლო ტაძრები და სასახლეები შექსრეს და დაანგრიეს.

ძველი შენობებით მჭიდროდ შემორკალულ ქალაქის ცენტრში მდებარეობს პლასა-დერ-არმასი – იარალის მოედანი. მსგავსი სახელები აქვთ შერქმეული თითქმის ყველა ლათინურამერიკულ ქალაქთა ცენტრალურ მოედნებს. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს, თუ რა გზით დამკვიდრდნენ აქ კონკისტადორები. ინკების სახელმწიფოს აყვავების პერიოდში კუსკოს ცენტრშიაც იყო მოედანი, მაგრამ მისი სახეობა დღეს არაფერია იცის. ამ მოედანს ფარავდა იმპერიის ყველა კუთხიდან მოტანილი მიწა, ამიტომ იგი წმინდა ადგილად ითვლებოდა.

ფრანცისკო პისარო ინკების წმინდა მიწასე კბილებამდე შეიარაღებული მეომრებით შეიჭრა, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქიდან მოსულებს მიწა არ ანტერესებდათ. მათ მხოლოდ ოქროს მოპოვების ერთადერთი სურვილი ამოქმედებდათ.

ინკების ბატონობისას კუსკო, როგორც ჩანს, უდიდეს შთაბეჭდილებას ტოვებდა. პირველი ესპანელები განცვიფრებულნი დარჩნენ ქალაქის დაგეგმარებით, არქიტექტურითა და უწინარესად, უმრავი ოქროს ბრწყინვალეობით. ოქრომ გაუთქვა სახელი ინკების დედაქალაქს, ოქრომვე დალუპა იგი.

საფრანგეთის მეფეს, ლუდოვიკო XIV უყვარდა გამოთქმა: „სახელმწიფო – ეს მე ვარ“. ინკების იმპერატორს მსგავსი რამის თქმა არ სჭირდებოდა – ყველამ კარგად იცოდა, რომ ხალხიც, ოქროცა და მიწაც მხოლოდ მას ეკუთვნოდა; ვინმეს რომ ეჭვი არ შეეტანა უმაღლესი ინკას ღვთიურ წარმომავლობაში, იგი თავისავე დაზე დაქოროწინდა. მსგავსი რამ სხვას კატეგორიულად ეკრძალებოდა. უსუნაეს ინკას მრავალი ცოლი ჰყავდა, მაგრამ ამქვეყნიური თუ იმქვეყნიური მემკვიდრეობა მხოლოდ დისგან შექმნილ ვაჟს ეკუთვნოდა, სხვა ცოლებისაგან შექმნილი ბაჟშეები მომავალში საპასუხისმგებლო სახელმწიფო პოსტებზე ინიშნებოდ-



სურ. 329. ანდების დატერასებულ მთათა კალთები.

ნენ. უზენაეს ინკას ცოლობა ერთდროულად დიდი პატივიცა და დიდი უბედურებაც იყო: იმ შემთხვევაში თუ ქმარი მოკვდებოდა, სულთა საუფლოში მასთან ერთად ყველა მისი ცოლი უნდა გამგზავრებულიყო.

ინკების იმპერიის იერარქიული სისტემის სათავეში მოხვედრილები სიბრძნეს ბუნებისაგან სწავლობდნენ. ისინი ხედავდნენ, რომ ანდების ცის მბრძანებელი – არწივი – მარტოობაში ატარებდა ცხოვრებას, სხვა ფრინველები, ყვავ-ყორანთა მსგავსნი კი – გუნდებად დაფრენდნენ. დიდგვაროვანნი არწივებს ედრებოდნენ, ამიტომ ილტვოდნენ განცალკევებულ მაღალ მთათა მწვერვალებისკენ, მათი იქ აგებული ეგებერთელა ტაძართა სიცარიელე აძლევდათ სულის საღბუნს. უზენაესი ინკა და საზოგადოების ელიტის წარმომადგენლები წმინდა ვიკუნის ბეწვისგან შეკერილ სამოსს იცვამდნენ, მაგრამ ერთი ჩაცმის შემდეგ ტანსაცმელს სპობდნენ. უბრალო მოკვდავებს კი ერთსა და იმავე სამოსში ხდებოდათ სული.

1527 წელს გარდაიცვალა უზენაესი ინკა – უაინა კაპაკი. სახელმწიფოს მეთაურს ორი ვაჟი ღარჩა, უფროსი – ტახტის კანონიერი მემკვიდრე – უასკარი და უმცროსი – ატაულპა. ძმებს შორის ტახტისათვის დაუნდობელი ბრძოლა გაიმართა. გაიმარჯვა ატაულპამ. გამარჯვებული მკაცრად გაუსწორდა მოწინააღმდეგე მხარეს.

კუსკოდან ინკების წმიდა ქალაქ, ლეგენდარულ მაჩუ-პიკუში დიზელ-მატარებლით შეიძლება გამგზავრება. რკინიგზის ხაზი ანდებში ადგილ-ადგილ ზღვის დონიდან 4 ათას მეტრზე მაღლა გადის. ეს მსოფლიოში რეკორდული მაჩვენებელია.

მდინარე ურუბამბას ხეობა, რომელშიც მიიქლაკება სარკინიგზო გზა და სადაც ჩაისახა ინკების ცივილიზაცია, ტყუპისცალივით ჰგავს მდინარე მტკერის ხეობას, განსაკუთრებით მის ზედა წელში – მესხეთში. ურუბამბაც ხშირად ისეთივე ზოქით ეჯახება ვეებერთელა ლოდებს, როგორც მტკვარი ვარძია-ახალციხის მონაკვეთში, თვით ხეობის კალთები კი ისეთივე მშრალი, არიდულია, როგორც სამხრეთ საქართველოში.

მსგავს ასოციაციებს განსაკუთრებით აძლიერებს მდინარის დატერასებული ფერდობები. „მზის შეილებს“ უმაღლეს დონეზე ჰქონდათ განვითარებული ირიგაცია – სამელიორაციო საქმე, მდინარეთა ხეობების გასწვრივ დატერასებული ფერდობები ირწყვებოდა მდინარეებიდან გაყვანილი არხებით. ცივილიზაციის ხელით არც ახლაა შელახული აქაურობა; აქა-იქ მოჩანს ინდიელთა ქოხები: ისინი თოხნიან კარტოფილსა და სიმინდს, ქოხის კედლებზე ჩამოკიდებულია ხახვის გალები. მრავალი საუკუნის წინათ ინკების შორეული წინაპრები ასევე ამუშაებდნენ ყანებს, უელიდნენ პამიდერის ნარგავეებს. „ტომატი“ ხომ ინკური წარმოშობისაა და „ტომატლ“ სიტყვიდანაა ნაწარმოები. კაქტუსისა არ იყოს, თავდაპირველად ეს მცენარეც ოკეანის გადაღმა დეკორატიულ მცენარედ გამოიყენებოდა. სახელიც შესაფერისი – „პომო დრო“ – ანუ იტალიურად „ოქროს ვაშლი“ – შეარქვეს.

ინდიელები ახლაც პრიმიტიულად – გუთანში შებმული ხარებით ამუშაებენ ერთ გოჯ მიწას. უაღრესად არქაულია სასოფლო-სამურნეო იარაღე



სურ. 330. ინდიელი ქალი (კენუას ტომი) ოთის პროცესში.



სურ. 331. კესუს ტომელებთან.

ბიც - ჩიკიტალუ - ვიწრო ნინაბი, ტაკლიუ - თოხი, მაკანუ - მიწის კოშტების დასამტვრევი კეტი და ნაბგალი. მიწათმოქმედების გარდა, ინტენსიურად მისდევენ მეცხოველეობასაც. მთაში პრიმიტიული ხერხით მოწეული სარჩო მწირია, ყანა ეკლანი მცენარეულობითაა შემოღობილი. მათ შორის მთავარი ხემაგვარი კაქტუსია.

რთვა და საერთოდ საფეიქრო საქმე ანდების ინდიელთა ხელნისობის ერთ-ერთი მთავარი დარგია. თვით ფაბრიკული წესით დამზადებულ ნაწარმშიაც ძველებური ჩაცმულობისათვის დამახასიათებელი ელემენტები შეინიშნება. უწინარესად ეს ითქმის გეომეტრიული ნახჭით შეგკულ სქელ მოსასხამ - პონჩოზე.

რაც უფრო წინ და ზემოთ მიიწევს მატარებელი, მთის მოშიშვლებული ფერდობები ტყის ტენის-მოყვარული მცენარეებით იცვლება და ჭაღის ტყეებთან ერთად ადგილ-ადგილ მცენარეთა გაუვალ საფარსაც ქმნის. ზოგჯერ ლიანებით დახუნძლული ხემცენარეები ტროპიკული ტყის - სელვას - ილუზიას ტოვებს. მაგრამ ეს მხოლოდ ზერელე შთაბეჭდილებაა, ნამდვილი სელვა, ამაზონის ჯუნგლების ფლორის გრანდიოზული დღესასწაული, ანდების მეორე მხარეს - აღმოსავლეთითაა.


მატარებლის უკანასკნელი გაჩერება. ღრმა, კანონისებური ხეობა, თვალშეუწვდენელი მთები. თანდათან იხატება მთის უაღრესად დამახასიათებელი ის რელიეფი, რომელშიც მაკსუ-პიკსუა წარმოდგენილი. მაგრამ მთავარი პანორამა შატის ციხე-საცხოვრებლისა არ იყოს, თვალსაწიერზე ერთბაშად იშლება. „პირამიდა დიდებულეების თვალსაზრისით არაფერს ჰქარავს, თუნდაც

უღრან ხეობაში იდგეს... - ჭეშმარიტად! ზღვის დონიდან 2090 მეტრზე აგებული „მზის შეილთა“ ქვის გრანდიოზული კომპლექტი მხოლოდ ეგვიპტის პირამიდებს თუ შეიძლება შეადარო.


მაკსუ-პიკსუ კესუსს ენასე „ბებერ მთას“ ნიშნავს. ტუტანამონის საფლავის მსგავსად, ამ ციხე-კომპლექსს აშკარად გაუმართლა; მიუვალ მთებში ჩაკარგული, დანარჩენ, სამეაროსთან მარტოიდენ მთის ქარაფთა ვიწრო ბილიკებით დაკავშირებული, აქაურობა კონკისტადორებისათვის ბოლომდე უცნობი დარჩა.

მაკსუ-პიკსუს მთელი გრანდიოზულობის წარმოსადგენად მთის წვეროზე უნდა მოხედვ, რომელიც სინამდვილეში, საკმაოდ დიდი ფართობის პლატოა. აქედან იშლება იშეიათი ხედი ურუბამბას საწინააღმდეგო მხრიდან ჩამომდინარე მდინარე ველკანოტას ხეობაში. მთის მიუდგომელ ქარაფზე გაშენებული ინკების წმინდა ადგილი სამი მხრიდან სწორედ ამ ბობოქარ მდინარის დინებითაა დაცული.

ციხე-ქალაქის სასახლეები და ტაძრები ნაწილობრივ კლდეებშია ამოკვეთილი, ნაწილობრივ კი ეგებერთელა თლილი ლოდებითაა აგებული. კლდეებში გამოჭრილია ოთახები, კიბეები, წყალსადენები, აბაზანები, წყალსაცავი აუზები და ა.შ. ყველაზე მაღლა მზე - ინტის - ტაძარი მდებარეობს. გადმოცემა გეიაბობს, რომ მსე პირველად აქ შეეხო დედამიწას. ფანჯრები ტაძარში ისეა გამოკვეთილი, რომ მათში ყოველთვის ხედება მზის



სურ. 332. აი, ისიც, მსოფლიო ერთ-ერთი არქიტექტურული საოცრება - მაკსუ-პიკსუ!



სურ. 333. მაკრუ-პიკრუ. ქვაში გამოჭრილი, ვეებერთელა ლოდებით ნაგები კიბე.

პირველი და უკანასკნელი სხივი...

მაკრუ-პიკრუს იდეალურად თლილი ქვაბლოკები ისეა ერთმანეთზე დაწყობილი, რომ ნემსიც არ შეეტვა. ვეებერთელა კედლები, იშვიათი სიზუსტით გამოჭრილი ასობით საფეხური – არა მარტო ქვაში განხორციელებული გაანგარიშებებია, არამედ ადამიანური ფანტაზიის, ინტელექტის გამობრწყინებაცაა. ზოგჯერ კიბის რამდენიმე საფეხური ქვის ერთ ბლოკშია გამოჭრილი.

კომპლექსის მთელი მოედანი გლუვი ქვებითაა მოპირკეთებული. ამჟამად აქაურობა დუმილის ტყვეობაშია მოქცეული. მხოლოდ ტურისტების აღტაცებული გადაღაპარაკება და ფოტოაპარატის ჩხაკუნი თუ ისმის. საუკუნეების წინ კი სიცოცხლე მთელი ძალით ჩქეფდა. დღეს მუნჯი ქვებია ამ საიდუმლოდ ქცეული ძირძველი, განუმეორებელი ცივილიზაციის მოწმე. ქვათა საიდუმლოებების ამოხსნა ყველას როდი ხელეწიფება. მაგრამ უდიდესი ეთუზიანობით, ღრმა პროფესიონალიზმით, ფართო ერულიცობით, რკინისებური ლოგიკით, გაბედული ფანტაზიითა და ყველაფერ ამასთან ერთად ჯანსაღი ექსტრაპოლაციის უნარით შემკული მკვლევარების წინაშე თვით ანდების ამ მიუვალ მთებში შესანიშნავად შემორჩენილი ნანგრევებიც უძლურია. მათ მიერ გაშიფრული ისტორიის ფურცლებმა მსოფლიოს ამცნო შემდეგი ჭეშმარიტება: ინკების წარსულის შესწავლის გარეშე კაცობრიობის, მსოფლიოს ისტორია სრული არ იქნებოდა.

თუმცა ისტორიის ის თავი, რომელიც ინკებს ეხება, ჯერ კიდევ ბევრი რამის დაზუსტებას თხოულობს. აი, თუნდაც რამდენიმე ფაქტი: ინკებმა მიატოვეს მაკრუ-პიკრუ, მაგრამ ვინ იყვნენ თვითონ ისინი – ინკები? ამ ფაქტზე კონკრეტულად ცოტა რამაა ცნობილი. რას უწოდებდა საკუთარ თავს ხალხი, რომელმაც თაობებს დაუტოვა ცივილიზაციის უდიდესი გამოცანა – მაკრუ-პიკრუ?... ინკა – ეს არც ხალხის და არც ტომის სახელწოდება არ არის, იგი კერუას ენაზე „მბრძანებელს“ ნიშნავს.

ვინ დადიოდა ამ მოედანზე? ვისი ფეხები ეხებოდა სარკესავით გაპრიალებულ ქვებს? კერუას ინდიელებში შემორჩენილი ტრადიციებისა და არქეოლოგიური კვლევის საფუძველზე აღდგენილია ძველი ინკების არაერთი რიტუალი: მზისადმი თაყვანისცემა, მსხვერპლთშეწირვა, უზენაეს ინკად კურთხევა, ქორწინება და ა.შ. აქვე ეწყობოდა აღნიშნულ რიტუალთა თეატრალიზებული წარმოდგენა, აცოცხლებდნენ მზის ღმერთ – ინტისადმი მიძღვნილ პიმნებს, ადრე მზის ქალწულები რომ მღეროდნენ.

მაკრუ-პიკრუს ნანგრევები ამერიკელმა მეცნიერმა პირამ ბინგჰემმა აღმოაჩინა 1911 წელს. იგი სიმონ ბოლივარის ცხოვრებასა და შემოქმედებას იკვლევდა. ამ ძიებაში მეცნიერი კუსკოს მიაღდა. სწორედ იმ დღეებში ქალაქის ხელმძღვანელი ექსპედიციას აწყობდა მდინარე აპურიმბაკს ხეობაში. ექსპედიციის მიზანი იყო ინკების სახელმწიფოს უკანასკნელი დედაქალაქის მიგნება. კვლევაში ბინგჰემმაც მიიღო მონაწილეობა. მოგვიანებით იგი გამოეყო მკვლევართა ჯგუფს და დამოუკიდებლად განაგრძო ძიება. მან მდინარე ურუბამბას ხეობაში მთის ფერდობზე გაშენებულ ტერასებს მიაღწია, სადაც ინდიელთა ორ ოჯახს ბოსტნეული მოჰყავდა. როდესაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა თეთრკანიანის სტუმრობის მიზანი გაიგეს, ბინგჰემს მეგზურად 13 წლის ინდიელი ბიჭი გააყოლეს. მთის წვერზე ბინგჰემი მიტოვებულ ქალაქ-საოცრებას გადააწყდა, რაც ადრე ინკებს ლეგენდად ჰქონდათ შემონახული. ლეგენდის თანახმად, ანდების თვალშეუვლებ მთებში წინაპრებს ქალაქი მაკრუ-პიკრუ აუგიათ, რომლის მსგავსი დედამიწაზე



სურ. 334. მაკრუ-პიკრუ. საკულტო ან ასტრონომიული დანიშნულების ლოდი.

ჯერაც არაფერი შექმნილა. მიუვალ ქარაფებზე, ღუთების საკადრისი ციხე-ქალაქის მშენებლობაზე ადამიანებს თურმე... ფრინველებიც ეხმარებოდნენ...

ამერიკელი მეცნიერი იქაურობას ერთი წლის შემდეგ დაუბრუნდა. ახლა იგი სათავეში ედგა ბრწყინვალედ ორგანიზებულ ექსპედიციას. მკვლევართა ჯგუფი შედგებოდა იელის უნივერსიტეტის, ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოებისა და პერუს მთავრობის მიერ დაკომპლექტებული სპეციალისტებისა და ექსპერტებისაგან.

მკედარ ქალაქში ექსპედიციამ 173 ადამიანის ჩონჩხი აღმოაჩინა, აქედან 150 - ქალისა იყო. თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ ამ ადგილას ღმერთისთვის შესაწირი ქალწულები ჰყავდათ. სხვა მოსასრებით მაკჩუ-პიკჩუ „აკლიასების“ - ინკების გამოჩნეული ქალიშვილების თავშესაფარი იყო. სწორედ ისინი ემსახურებოდნენ მზის ღმერთს. შემდგომი კვლევით გამოაელინეს მაცხოვრებელთა საერთო რაოდენობაც - რვა ათასი ადამიანი, თითო მამაკაცზე ათი ქალი მოდიოდა. რეალური აღმოჩენა და ლეგენდაში ნახსენები ფრინველიც, ანდებში მართლაც ბინადრობდა ფრთოსანი, რომელსაც ადგილობრივები „ხაკაკლოს“ უწოდებდნენ, რაც „ქვახვრტიას“ ნიშნავს, „ხაკაკლო“ ერთ-ერთი მცენარის ტოტის დახმარებით კლდეში ხერხტს ერთ მეტრამდე სიღრმის ორმოს და იბუდებს.

მცენარის წვეწვს ისეთი შედგენილობა აქვს, რომ დამშლელად მოქმედებს კლდეზე. როგორც ჩანს, ინდიელებიც ამ მცენარის წვეწვს იყენებდნენ მშენებლობაში. ლოდების იშვიათად გლუვი ზედაპირიც, ალბათ, ამ წვეწვის წყალობაა. ესპანელებმა დაიპყრეს ინკების სახელმწიფო, მაგრამ მაკჩუ-პიკჩუ უვნებელი დარჩა. ეს ადგილი ინდიელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო და მას სავანგებოდ იცავენდნენ გადამთიელებისაგან. წმინდა ადგილის კონფიდენციალურობას ხელს უწყობდა აქაური ბუნებრივი პირობები.

ბევრ საიდუმლოებას ინახავს მაკჩუ-პიკჩუს ქვაფენილი, მათ შორის მისტიკოსა, თუ რატომ მიატოვეს წმინდა ადგილი ადგილობრივებმა. ასეთი ეჭვის საფუძველს ისიც იძლევა, რომ ინკა-მშენებლებს შუა გზაზე მიუტოვებით ზოგი ნაგებობა. ყველამ უარი თქვა ამ ადგილზე, გარდა რამდენიმე ლამასი, რომლებიც ახლომახლო მიდამოებში ძოვდნენ. მას შემდეგ ეს ტრადიცია უცვლელი რჩება. ლამები - ანდების სიამაყის - მაკჩუ-პიკჩუს დღეს უკვე შესანიშნავად რესტავირებული და მოვლილი ანსამბლის განუყრელი ნაწილია. ცოცხალი ძაფი, რომელიც დღევანდელობას ისტორიასთან აკავშირებს.

მაკჩუ-პიკჩუს მისადგომებიდან მისი ყველაზე მაღალი წერტილი ისეთ სიმაღლეზეა და ტოპოგრაფიულად იმდენად მოხერხებულ ადგილზე მდებარეობს, რომ შთაბეჭდილება იქმნება - მასზე მოქცეულით ხელით სამყარო ჭერს მიწვევებით, მაგრამ აქ ასულ კაცს იმედი უცრუდება - ირგვლივ კიდე უფრო მაღალი და გორიანი მთები ფარავს თვალსაწიერს.



სურ. 335. მაკჩუ-პიკჩუს წმინდა ლამებთან.

მთელი ქალაქის ნახევას დიდი დრო მიაქვს, მით უმეტეს, როცა დაწვრილებით ეცნობი არა მარტო საცხოვრებელი დანიშნულების შენობებს, არამედ ქვისგან გამოთლილ მზის სხივებით წასაკითხ საათს და, როგორც ვარაუდობენ, ასტრალური კალენდრის ამსახველ ნაგებობას.

ამასობაში სადამოუდებია. მათა მწვერვალებს ნისლი ეფინება. ტურისტები ესოყარულებიან სამსხედასხვა ფერის ლამას და უკვე სურათებს ხელოვნურ შუქზე იღებენ. ორიოდ საათში სიწყინარ დაისადგურებს. ნანგრევთა თავზე გაბატონდებიან ციური სხეულები - ინკების ღმერთები...

ტიტიკაკას ტბა - ინდიელთა ციხილიზაციის უმშველესი კაპანი

მკაცრი გარემო პირობების მიუხედავად, მაღალი ანდების ზოგიერთი პლატო, განსაკუთრებით ტბა ტიტიაკას ქვაბული, კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს ცივილიზაციათა აკვანი გახდა. სხედასხვა დროს ანდებში წარმოქმნილ უძლიერეს სახელმწიფოთა ეპიცენტრი სწორედ ამ ტბის რაიონში მდებარეობდა. აქაურობა ამჟამადაც გამოირჩევა მოსახლეობის სიჭარბით. ამ მოვლენას რამდენიმე ახსნა აქვს. ტბის მდიდარი ფაუნა, საკეებად ვარგისი, ეელური ფლორა, ბევრი ბუნებრივი მარილი, წყლის გაუყინავი ევებერთელა სარკე... ყველაფერი ეს უადვილებდა ინდიელებს არსებობას. გარდა ამისა, უზარმაზარი ბუნებრივი კორიდორი აიოლებდა ერთი რეგიონიდან მეორეში გადაადგილებას.



სურ. 336. ინდიელი ტიტიაკას ტბაზე. იქ მოზარდი ლერწმებისაგან ნაკეთები ნავეები.

ტიტიაკასპირა რაიონები ინდიელთა უძველესი ცივილიზაციის აკენია. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1200 წლის წინათ აქ წარმოიქმნა პირველ მიწათმოქმედთა დასახლებები. ესენი იყვნენ თანამედროვე ბოლივიაში მცხოვრებ ინდიელთა ტომის – აიმარას – წინაპრები. თავისი განვითარების მწვერვალს ამ ხალხმა მიაღწია ტიაუანაკუოში – ინკებამდე ამერიკის ყველაზე მნიშვნელოვან სახელმწიფოში. ქრონოლოგიურად ინდიელთა მსგავს აყვავებას ადგილი აქონდა ჩვენი წელთაღრიცხვით III-X საუკუნეებში. X-XI საუკუნეებში აიმართა ტიაუანაკუს სახელმწიფო შეცვალა ამავე ინდიელთა მეორე სახელმწიფომ – კოალიაომ. ხანგრძლივი, სისხლისმღვრელი ომების შემდეგ, XIV საუკუნეში, იმძლავრეს ინკებმა, დაამხეს კოალიაო და მისი ტერიტორია კოლიასუიუს სახელწოდებით თავის ერთ-ერთ პროვინციად აქციეს. ინკებმა დაპყრობილ ტერიტორიაზე ეწიუს ტომის ინდიელთა ნაწილი შეასახლეს. აქედან მოყოლებული ბოლივიის ტერიტორიაზე ხდებოდა ინდიელთა ორი ძირითადი – ეწიუსა და აიმარას ხალხთა ფორმირების პროცე-

სი, რაც XX საუკუნის დასაწყისისათვის დამთავრდა.


ტბის სამხრეთ სანაპიროზე დღემდე შემორჩა ტიაუანაკუს ნანგრევები: მონუმენტური სასახლეების, ტაძრების, ციხესიმაგრეების ნაშთები. მათ შორის ყველაზე ორიგინალური სანახაობა – დიდი თალი – შხის კარიბჭე, ანდების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ძეგლია. მონოლითში გამოკეტილ ნაგებობას ზემოთ ამშვენებს რთული სუკურთმები და, როგორც ჩანს, საკულტო დანიშნულების გამოსახულებები, ცენტრალური ნაწილი უკავია შხის ღმერთის რელიეფურ გამოსახულებას. არქეოლოგიური გათხრები აქ დღესაც მიმდინარეობს.

ტიტიაკა ლეგენდების კუთხეცაა. გადმოცემით ინკებმა ესპანელებისაგან გადაამალეს მიხით ტბაში ბეერი ოქრო ჩაძირეს.

ტბის მოეაკებული ადგილები უმეტესად ლერწმითაა დაფარული. ეს მცენარე ცნობილია ტოტორასის სახელწოდებით. იგი ანდების ტბების ყველაზე ტიპური მცენარეა. ზოგჯერ ლერწმები გაუვალ რაყებს ქმნიან.

ინდიელთა ტომი – ურუ – დღესაც მოცურავე კუნძულებზე ცხოვრობს. ლერწმისგან აგებენ საცხოვრებელს, ამზადებენ ჩასაცმელსა და ნავეებს, იალქნებიც კი მცენარის ბოჭკოებისაგან მზადდება. იკვებებიან ლერწმის რაყებში მცხოვრები ნადირფრინველითა და თევზებით. დღეს ეს აბორიგენები გადაშენების გზაზე დგანან.

როგორც ცნობილია, ნეთმშენებლობაში ლერწმის მასალას კიდევ უფრო მეტი წარმატებით იყენებდნენ აღმოსავლეთი ნახევარსფეროს უძველესი ცივილიზაციის ქვეყნები. პირველ რიგში ეს ითქმის ეგვიპტის „პაპირუსის ცივილიზაციაზე“. ტროპიკული აფრიკის ქვეყნებში პაპირუსის ლერწმისგან ნავეების ქსოვის ხელოვნებას გაეცნო თურ პეირდალი. მაგრამ ავტორისავე აზრით, „პაპირუსის



სურ. 337. შხის კარიბჭე (ტიაუანაკუ). ბოლივია, ტიტიაკას ტბის მიდამოები.



სურ. 338. წყნარ ოკეანეში ლერწმის ნაეებით მოცურავე ინკების შთამომავალნი - კესუას ტომელები.


ცივილიზაციის“ ყველაზე ძველი ცენტრები მაინც აზიის კონტინენტზე, შუამდინარეთსა და ინდოეთში უნდა წარმოქმნილიყო.

ბევრისთვის ცნობილია, რომ შუამდინარეთში დამსაღებელი „ტიგრისით“ თურქირდალმა დაამტკიცა უძველესი სასაღებო-საგაჭრო გზების რეალურობა. ეს გზები ერთმანეთთან აკავშირებდა ყველაზე ძველ ცივილიზაციებს – შუმერებს, პროტონინდოელებსა და ეგვიპტელებს. უფრო მეტიც, ამავე სწავლულმა ძველი ხმელთაშუაზღვეთისა და ამერიკის ცივილიზაციებს შორის ტრანსოკეანური კონტაქტის შესაძლებლობაც დაასაბუთა. გაიხსენოთ პაპირუსის პატარა ხომალდებით – „რა I“ და „რა II“-ით მისი მოგზაურობა.


... XVI საუკუნეში ინკები დაამარცხეს ესპანელებმა. 1542 წელს ბოლივიის ახლანდელი ტერიტორია ჩარკასის სახელწოდებით (ჩარკა – ინდიელთა ერთ-ერთ ტომს ერქვა) გააერთიანეს ვიცე-სამეფო პერუს შემადგენლობაში.

თანამედროვე სახელწოდება ქვეყანამ მიიღო 1826 წელს სიმონ ბოლივარის – ესპანელ კოლონიზატორთაგან სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი განმათავისუფლებლის პატივსაცემად. ბოლივარს ეკუთვნის სიტყვები – „ჩვენ უკვე ვიხილეთ სინათლის სხივი, ამიტომ აღარ გვსურს წვედიადში ვიცხოვროთ“.

ამჟამად ბოლივია დიდი ქვეყანაა, ფართობით აღემატება საფრანგეთს, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთს ერთად აღებულს, ხოლო სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს შორის ტერიტორიით მეხუთე ადგილზე დგას. ბოლივიელები თავიანთ ქვეყანას სამართლიანად უწოდებენ დასავლეთი ნახევარსფეროს სახურავს. ამ ყველაზე „ინდური“ ქვეყნის



სურ. 339. ეკუადორის დედაქალაქის – კიტოს ძველი უბანი (ძველი კიტო) იუნესკოს მიერ ქალაქ-ნაკრძალად არის გამოცხადებული.



სურ. 340. ეკვატორში ფრანგმა მეცნიერებმა პირველად (XVIII ს.) გაზომეს გეოგრაფიული ეკვატორის სიგრძე. ამ ფაქტისადმი მიძღვნილი ობელისკი. შიგნით, ოთხ სართულზე ინდიელთა ეთნოგრაფიული მუზეუმია მოწყობილი.


(5,1 მილიონი მოსახლეობიდან 2/3 ინდიელია) დედაქალაქი - ლა-პასი - ზღვის დონიდან ყველაზე მაღლაა (3660 მეტრი) გაშენებული მთელს დედამიწაზე. იგი ტიბეტის დედაქალაქ ლხასზე მაღლა მდებარეობს. 1548 წელს ქალაქი დაუარსებია ესპანელ კონკისტადორ აკარნსო მენდოსს. ამ დროს მშვიდობა ჩამოეარდნო მტრულად განწყობილ ესპანელთა რაზმებს შორის და ქალაქისათვის ლა-პასი - მშვიდობა დაურქმევიათ.

ამჟამად ლა-პასში 800 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს. დედაქალაქის ქვედა კვარტლები მთის კალთებზე 3200 მეტრზეა შეფენილი, ზედა - 4100 მეტრზე, ხოლო აეროპორტი - 4200 მეტრზე მდებარეობს. სამოქალაქო აეროპორტი ასეთ სიმაღლეზე დედამიწაზე არსად გვხვდება. არანაკლებ სიმაღლეებზეა გაშენებული სამხრეთ ამერიკის სხვა დედაქალაქებიც. მაგალითად, ეკვატორის დედაქალაქი კიტო - 2818 მეტრზე მდებარეობს, კოლუმბიის დედაქალაქი ბოგოტა - 2600 მეტრზე და ა.შ.

ქალაქში ყველაზე ნაკლები სამუშაო მესხანდრეებს ჰქონიათ, მის ქუჩებში ათასში ერთხელ თუ გამორჩნდება ერთადერთი სახანძრო მანქანა. დედაქალაქში სახანძრო სამსახურის სიმცირე იმით აიხსნება, რომ ლა-პასში თვითონ ხანძარია ძალიან უცხო რამ, ამის მიზეზი კი მაღალ მთაში ჟანგბადის უკმარისობაა.

„სოროჩე“ - ადამიანის ჟანგბადით შიმშილი ლა-პასის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი თავისებურება. ამ მიზეზით ბოლივიის სტადიონზე ადგილობრივ ფეხბურთელებზე გაცილებით ძლიერი გუნდები აკევენ, ხოლო სასტუმროში მოხედრილი მგზავრი ხშირად სადილის ნაცვლად ჯერ ჟანგბადის ბალონს უყევთაეს...


მშვიდობა არაერთხელ დაირღვა ლა-პასშიაც და ესპანეთშიაც. 1588 წელს ესპანეთის ფლოტილია - „უძლეველი არმადა“ - ინგლისმა გაანადგურა. 160 ხომალდიდან ესპანეთში 85 დაბრუნდა. ფლოტის აღსადგენად ფული იყო საჭირო. მეფე ფილიპე II უბრძანა პერუს ვიცე-მეფეს ევროპაში ოქროთი დატვირთული ახალი ფლოტის გაგზავნა. ოქრომ ძვირფასი ლითონის შემცველი ახალ-ახალი მადნების დამუშავება მოითხოვა. ამ უკანასკნელმა - მუშახელი და შესაფერისი მოხელეები. ნებით თუ უნებლიეთ პირინეის ნახევარკუნძულიდან ამერიკაში მეფის ასობით მოსამსახურე გაემგზავრა. ადგილზე ჩასული სახელმწიფო მოხელეები ევლარ აუდიოდნენ საქმეებს. ასეთ ვითარებაში ესპანეთის მკვიდრმა მიგელ დე სერვანტეს სააეედრამ ხელისუფლებას ლა-პასში მოსამართლის პოსტზე თავისი კანდიდატურა შესთავაზა. სიდუხჭირეში მცხოვრებ ცალხელა კაცს კარგ ქაღალდზე კალიგრაფიული ხელით შედგენილი თავისი წერილის დიდი იმედი ჰქონდა. 1590 წელს თხოვნა განუხილათ და განცხადებაზე ასეთი რეზოლუცია დაუდიათ: „იქნებ ესპანეთშივე დააკმაყოფილოთ“. იმედგაცრუებული, გადასახადების ამკრეფი ჩინოფიკი იძულებული გახდა დამშვიდობებოდა ამერიკის კოლონიებში მუშაობაზე ოცნებას. სამშობლოში დარჩენილ სერვანტესს გაცილებით მეტი თავისუფალი დრო დაურჩა, ვიდრე ის ოკეანის გაღმა ექნებოდა. სერვანტესიც იძულებული გახდა შეეეესო დროის ეს ვაკუუმი, ადგა და დიდტანიანი რომანი - „დონ-კიხოტი“ დაწერა...



სურ. 341. ქ. კიტო. სამხრეთ ამერიკის გამორჩენილი მეკლეერის ა. პუმბოლდტის ძეგლთან.

ლიმა 1535 წელს დააარსა ლეგენდარულმა კონკისტადორმა ფრანსისკო პისარომ. ქალაქს უწოდა „მეფეთა ქალაქი“ (სიუდად-დე-ლოს-რეის). ქალაქის თანამედროვე სახელწოდება წარმოდგება მის მარცხენა მხარეს ჩამავალი მდინარე რიმაკის დამახინჯებული ვარიანტისაგან.

წარმოადგენს. ეს უფრო სკულპტურული ხელოვნებაა, ვიდრე მეთუნეობა. ჭურჭლები დამზადებულია ადამიანთა და ცხოველთა ფიგურების სახით. ძველ პერუელთა მიერ შესრულებული ადამიანთა გამოსახულება, თავისი ინდივიდუალურობით, პორტრეტული სკულპტურის ბრწყინვალე ნიმუშია. განსაკუთრებით ჭარბობს ეროტიკული სცენები, ნაყოფიერების სიმბოლოდ მიჩნეული „ფალოსის



სურ. 342. პერუს დედაქალაქი - ლიმას ცენტრი.

ლიმა სამი საუკუნის განმავლობაში წარმოადგენდა სამხრეთ ამერიკაში ესპანელთა კოლონისტური ტერიტორიის ცენტრს, ერთდროულად ვიცე-სამეფო პერუს დედაქალაქს, ამიტომ ქალაქის არქიტექტურა გამოირჩევა მეფური პომპეზურობით. XVI-XVIII საუკუნეებში აგებული ტაძრები, სასახლეები, ეკლესიები და მოედნები დამუშავებულია კოლონებით, თაღებით, შემკულია მდიდარი გეომეტრიული ორნამენტებით, განსაკუთრებით ეს ითქმის იარაღის მოედანზე (ქლასა-დე-არმასი). აქაა განთავსებული მუნიციპალიტეტი (კაბილდოს სასახლე), არქივისკოპოსის სასახლე, საკათედრო ტაძარი, პრეზიდენტის სასახლე.

ლიმაში უმდიდრესი კოლექციების მქონე ორმოცი მუზეუმი. მათ შორის ფრიად საინტერესოა ე.წ. „ოქროს მუზეუმი“.

მუზეუმის სიამაყეს წარმოადგენს ძირითადად ორი - კერამიკისა და ოქროს ნაკეთობათა - კოლექცია. მოჩიკას კულტურის კერამიკა საყოველთაოდაა განთქმული და მისი შექენა მსოფლიოს მუზეუმთა, თუ კერძო კოლექციონერთა ოცნებას

კულტი“ - ჰიპერტროფირებულად ხაზგასმული მამაკაცის ასო.

მუზეუმში ოქროს რვა ათასზე მეტი ჭურჭელი და სამკაულია ექსპონირებული. ბევრ მათგანს ინკებისთვის საკულტო დანიშნულება ჰქონდა. ოქროსგანაა დამზადებული გვირგვინი, კეერთხი, პერანგის გულმკერდის არე, თვით საწვივეც კი... დედამიწის დიდ ქალაქთა ვერც ერთ ტაძარსა და მუზეუმში ვერ შეხედვით იმდენ ოქროს, რამდენიც ლიმაშია. ტყუილად როდია ისტორიულ ცნობებში შემორჩენილი ერთი ასეთი ეპიზოდი: ესპანეთის ხომალდის კაპიტანს - ბარნოლემე რუისს - პერუდან სამშობლოში დაბრუნებისას კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება პერუში მოხვედრა, უპასუხია: „იცურეთ სულ ერთიანად სანაპიროს გასწვრივ და როდესაც ხეები გაქრება თვალსაწიერიდან, დაინახავთ თხემით ტერფამდე ოქროსი გამოწყობილ ხალხს. ეს იქნება პერუ“.

მსგავსი ფაქტების შემდეგ არ არის გასაკვირი, რომ თეთრკანიანებს ელდორადოს ციებ-ცხელება ანდების სწორედ ამ ქვეყნებში უნდა შეეპოროდა.



სურ. 343. ლიმა, „ოქროს მუზეუმის“ ეზო, იქ მოსიერნე სამხრეთამერიკული, ტანმოჩილი ირმები.

ადგილობრივ ეთნოსთა ლეგენდებისა და მითოლოგიის ერთ-ერთი მთავარი წყაროც ოქროსა.

მუზეუმში ექსპონირებულია ინდიელთა მუმიები. ძველ დროში პერუს მოქალაქეები მიცვალებულებს ახვევდნენ უზორებით დამშვენებულ ქსოვილში, სვამდნენ კალათებში და ასეთ მდგომარეობაში მარხავდნენ მიწაში. იშვიათად მშრალი კლიმატის გამო ბევრი გვაში დღემდე შესანიშნავადაა შენარჩუნებული. შემორჩა არა მხოლოდ მუმიები, ქსოვილები, კალათები და ძვირფასეულობა, არამედ გარდაცვლილთა ერთად ჩაყოლებული საკვებიც.

ინკები შესანიშნავი მიწათმოქმედნი იყვნენ. მათ მოჰყავდათ ათობით ჯიშის სიმინდი და კარტოფილი, რამდენიმე დასახელების ლობიო და ბარდა, წიწაკა და ბვერი სხვა.

მუზეუმის ერთ-ერთ განყოფილებაში ექსპონირებულია ადამიანის თავის ქალები. ყურადღების მისაქცევად ქალის გარკვეული ფრაგმენტი წითელი საღებავითაა შესრულებული. წარწერა ან გიდი გაუწყვებთ მსგავსი ანთროპოლოგიური რელიქვიის გამოფენის მიზანს. ინკების მეომრები იარაღდებოდნენ წამახვილებული, ქვის შუბის წვერით აღჭურვილი გრძელი ჯოხებით. ასეთი იარაღით უხერტდნენ თავს მტრებს. თავში მძიმედ დაჭრილ მებრძოლებს ქირურგები უკეთებდნენ ოპერაციას. წინაისტორიული ექიმები მალალი ოსტატობით „კემსაედნენ“ დაჭრილთა თავებს. ჩასაკერებელ მასალად იყენებდნენ დახოცილი მტრის ქალისგან ამოჭრილ ძელის ფირფიტას, ზოგ შემთხვევაში კი სადამეღლად ოქროს ფირფიტაც იყო გამოყენებული.

... მიუხედავად იმისა, რომ პერუს უდაბნოები სიცოცხლით ესოდენ ღარიბია, ისტორიულ წარსულში ეს რაიონი არაერთი ცივილიზაციის აკვანი იყო. აქ ყვოდა უძველესი სახელმწიფოები. პერუს ოკეანისპირა სანაპირო ზოლში მიწათმოქმედების საფუძველი ჩვენს ერამდე დაახლოებით მესამე ათასწლეულში ჩაეყარა. ამ უდიდესმა ფაქტმა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში, დასაბამი მისცა მთელი რიგი ცივილიზაციების ფორმირებას. ეს ცივილიზაციები ცნობილია პარაკას,

მოჩიკას, ნასკასა და სხვა კულტურების სახით. განსაკუთრებით დიდი ისტორიული როლი შეასრულა ჩიმუს სახელმწიფომ. მან იარსება დაახლოებით XV საუკუნემდე. ამ დროს ინკები დაემხნენ კორდილიერებიდან და დაიპყრეს იგი. შუა საუკუნეებში პერუს ოკეანისპირა რაიონები ადამიანთა მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვით გამოირჩეოდა.

ისტორია ცხადყოფს, რომ უდიდესი ცივილიზაციები შეიძლება ყვაოდნენ უდაბნოებშიაც. სამხრეთ ამერიკის შემთხვევაში ამას ხელი შეუწყო რამდენიმე გარემოებამ. კლიმატი აქ ჯანმრთელია, ზოგიერთ რაიონში არც წყლის დიდი დეფიციტი იგრძნობა. ეს განსაკუთრებით იმ რაიონებსზე ითქმის, სადაც წლის გარკვეულ პერიოდში მაინც აღწევენ ანდებიდან დაშეებულ მდინარეთა წყლები. რა თქმა უნდა, პერუსში არასოდეს ყოფილა ნილოსის სანაპიროს მსგავსი ნაყოფიერი ლამი, მაგრამ მთის მდინარეების რაციონალური გამოყენებით აბორიგენებმა ოაზისებად აქციეს ვეებერთელა ტერიტორიები. ადგილობრივები უმადლეს დონეზე ფლობდნენ ირიგაციის – ხელოვნური მორწყვის ხელოვნებას, ამიტომ ინდიელებს ათვისებული ჰქონდათ ყოველი გოჯი სარწყავი მიწა. სარწყავი სისტემისა და მოსარწყავი ტექნიკის ნაშთები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ წარსულში დამუშავებული მიწების ფართობს გაცილებით მეტი ადგილი ეკავათ, ვიდრე ის ამჟამადაა.

გარდა მიწისა, ინდიელთა ცივილიზაციის აღმავლობაში დიდ როლს ასრულებდა ოკეანეც. ინდიელები, წიგნიერად, ბუნების ცოდნით იყენებდნენ ზღვის ფაუნასა და კუნძულებზე დაგროვებულ, წყლის მოყვარულ ფრინველთა ექსპემენტს – გუანოს. ისტორიკოსები თვლიან, რომ გუანოს გარეშე შეუძლებელი იყო პერუს უდაბნოებში მიწათმოქმედების წარმოება.

აბროკულტურა – ინკების ცივილიზაციის პირველფაზო

აბროკულტურა დედამიწის ყველა დიდი ცივილიზაციის საფუძველთა-საფუძველია. იმ ერებმა, ეთნოსებმა თუ ხალხებმა, ვინც სათანადოდ გადაწყვიტა ადამიანისათვის ყველაზე პრაგმატული საკითხი – კუჭის მოთხოვნილება, ამით მის მოაზროვნე გონებას ფიქრისა და შემოქმედებისათვის გამოუთავისუფლა ძვირფასი დრო.

აკად. ნ. ვავილოვი კულტურულ მცენარეთა ცენტრების გეოგრაფიულ საზღვრებსა და ორივე ამერიკის უდიდეს ცივილიზაციათა (მაია, აცტეკები, ინკები და ა.შ.) არეალებს შორის პირდაპირპროპორციულ კავშირს ხედავს. ამ აზრს იზიარებს სხვა გამოჩენილი მოაზროვნეები – მეცნიერები, მწერლები თუ ხელოვნების მუშაკები. და მართლაც, სადაც არქეოლოგებმა მატერიალური კულტურის უმდიდრეს ძეგლებს მიაკვლიეს, კულტურულ მცენარეთა ნაშთების დიდ მრავალფეროვნებასაც წააწყდნენ და, პირიქით.



სურ. 344. პერუ, სიმინდის ფქვის ადგილობრივი ხერხი.

ამერიკაში მიწათმოქმედების მაღალ დონეს მეიორი საფუძველი ჩაუყარეს ჯერ კიდევ იმ ტომებმა, რომლებიც წინ უსწრებდნენ მაიას, აცტეკებსა და ინკებს. ამ ბალაეარზე გაიფურჩქნა ის თვალსაჩინო მემკვიდრეობა, რაც კოლუმბამდე მცხოვრებმა ინდიელებმა დაუტოვეს კაცობრიობას. თუ რა არის ეს ფასეულობა, ამაზე ღაღადებს დიდებული პორამიდები, ტაძრები, სკულპტურები, იშვიათი კერამიკა, ასტრონომიული ობსერვატორიები, ქვის კალენდრები და მაიას იეროგლიფური დამწერლობა! არქეოლოგებს ყოველწლიურად გამოაქვთ სამზოვო ორივე ამერიკის პირველმოსახლეთა გენიის დამადასტურებელი ახალ-ახალი ნივთიერი მასალები.

არსებითი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ კოლუმბამდე მცხოვრებმა ამერიკის ხალხებმა, განვითარების ესოდენ მაღალ მწვერვალებს ხელოვნებაში, მეცნიერებაში, ტექნიკასა და აგრარულ კულტურაში აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ცივილიზაციებისაგან სრული იზოლაციის, ე.წ. ინსულარულ — „ჩაკეტილ გარემოში“ (in situ) მიადწიეს.

სასოფლო-სამეურნეო ცენტრების შექმნაში გადაწყვეტი რილი შეასრულა გეოგრაფიულმა ფაქტორმა. ეს ეხება როგორც მთიანი მექსიკის ადამიანისთვის ადვილად მისადგომ, გაშლილ, უტყეო ან მეჩხერტყიან სანახებს, ისე პერუ-ბოლივიის მაღალი მთის პლატოზე გავრცელებულ მთის ნაყოფიერ სტეპებს — პუნას. სულ სხვა სურათს ეხედათ ანდების აღმოსავლეთ კალთებსა და კოლუმბია-ეკვადორის წყნარი ოკეანისპირა სანაპირო ზოლში. ეს ადგილები ტროპიკული ტენიანი ტყეებითა და ფარული. ადამიანი შეძლებისდაგვარად ყოველთვის

გაურბოდა აქაურობას. სელვას უღრანი ტყე დიხანს შეუვალი იყო მათთვის და ვინც მცენარეულობის ამ ფანტასტიკურ მორეეში მაინც გაბედავდა შეღწევას, დღემდე განვითარების ქვის დონეზე დარჩა. ეს არც არის გასაკვირი, სელვასათვის ერთი გოჯა მიწის მოტაცება და დამუშავება აბორიგენებისგან კოლოსალურ ძალისხმევას მოითხოვდა. მაგრამ ტყის კაცად — ვალაკეული ინდიელისათვის, ყველაზე მსაკვარი მტერი მაინც ჯუნგლებისთვის ესოდენ დამახასიათებელი, ინფექციური მიკრობებისა და პარაზიტთა მატარებელი თუ გადამტანი ორგანიზმები იყო (და რჩება), რომლებიც ჟამღაჟამ ახალმოსახლებებს ყოელისშემუსრავი ეპიდემიების სახით ატყეებოდა თავს.

რაც შეეხება ხილე-პერუს ოკეანისპირა დაბლობებსა და მთისწინებს, პუმპოლდტის ღინების გამო, იგი გამოფიტულ, უნაყოფო უდაბნოებს წარმოადგენდა. ამგვარად, სამხრეთ ამერიკის პირველ მიწათმოქმედსათვის ყველაზე ხელმისაწვდომი გახდა ალტიპლანოს არენა — მაღალი მთის სტეპი. აქაურობა გამოირჩევა ნაყოფიერი ნიადაგითა და ორიგინალური, ხშირად საკვებად ვარგისი ყელური ფლორით. მცენარეებში, სახეობრივი სიმდიდრით, ყურადღებას იქცევა ძირხეენა და უწინარესად, გორგლეული მცენარეულობა, კაცობრიობის ეს ერთ-ერთი უპირველესი „პური არსობისა“.

ბუნების ამ ძველს აქ ემატებოდა მოსაშინაურებლად ვარგის ცხოველთა, გარეულ აქლემისნაირთა — ვიკუნასა და გუანაკოს არსებობა, მაღალი მთის ვეებერთელა, გაუყინავი ტბა — ტიტიაკა — თავისი მდიდარი ფაუნითა და საცხოვრებლის ასაგებად ვარგისი სანაპირო მცენარეულობით.



სურ. 345. ანდების გარეული აქლემისნაირის — გუანაკოს წყვილი.

რა თქმა უნდა, მაღალმთიანეთის მკაცრი ბუნება წინასტორიულ ადამიანს აქაც უქმნიდა პრობლემებს. განა ადვილი იყო პირველმოსახლეებისათვის საცხოვრებლად ზღვის დონიდან 4000-4600 მეტრის სიმაღლეზე შეგუება? მაგრამ საუკუნეების განმავლობაში სელექციურმა შექანისშმა — ბუნებრივმა გადარჩევამ — მაინც თავისი გააკეთა. ტიბეტთან ერთად ანდებში ჩამოყალიბდა დედამიწის „კერზე“ ცხოვრებასთან შეგუებული ჰომო საპიენსის ერთ-

ერთი ყველაზე გამორჩეული პოპულაცია.

ალტიპლანოს მკაცრ გარემოსთან – პრაქტიკულად ექსტრემალურ პირობებთან – ორგანიზმის ადაპტაცია თავისებური ფენოშენი. ადამიანის არსებობისთვის ამ ზღვრულ გარემოს ქმნის შემდეგი ეკოლოგიური ფაქტორები: ატმოსფეროს დაბალი, ღამის საათებში მთელი წლის განმავლობაში უარყოფითი ტემპერატურა, მზის მაღალი რადიაცია, ულტრაიისფერი სხივების სიჭარბე, ჟანგბადის დეფიციტი, ჰაერის დაბალი წნევა (ორგანიზმის 1 კგ. სმ-ზე მოდის 0,53 კგ., მაშინ, როდესაც ზღვის დონეზე იგი 1 კგ-ს შეადგენს) და ა.შ. მსგავს პირობებში ზრდა-განვითარებამ, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად შეცვალა ინდიელის ანატომია. ჰიპოქსიის, ანუ ჟანგბადის დეფიციტის თავიდან ასაცილებლად, დროთა განმავლობაში, ჰემოგლობინის რაოდენობა სისხლში ნორმასთან შედარებით ორჯერ გაიზარდა, ორგანიზმში ჟანგბადის სათანადოდ განაწილებისათვის საჭირო გახდა სისხლის ინტენსიური ცირკულაციაც. აღნიშნულმა, კორელაციურად მოითხოვა ფილტვებისა და გულის კუნთის მნიშვნელოვნად გაზრდა. ამიტომ არის, რომ მაღალ ანდებში მცხოვრებ ინდიელს ურმის ბორბალივით მკერდი აქვს.



სურ. 346. ანდების მაღალმთიანეთში შიშველი ფეხებით მოსიარულე ინდიელის ტერფები.

სხეულის ტანსაცმლით დაუცველ ადგილებში, თბური ენერჯის ჭარბად მისაწოდებლად, კაპილარების ქსელი გახშირდა. გარეგნულად (ფენოტიპურად) ეს ანატომიური თავისებურება განსაკუთრებით თვალში საცემია აბორიგენის დაუღალა ღოყებზე, რაშიაც არაერთხელ დაერწმუნებულეართ საქართველოს მაღალმთიანეთშიც.

ანტიპლანოს ინდიელში დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე მისი თოვლში ფეხშიშველა სიარული და ამ გზით გამოწვეული ორგანიზმის შეგუებობი. ტერფებზე კაპილართა ქსელის საგრძნობმა გახშირებამ მოითხოვა ტერფის სიგანეში მნიშვნელოვნად გაზრდა.

მიწაზე, მით უმეტეს, თოვლსა და ყინვაში მოსიარულე ინდიელის შიშველი ფეხის გაგანიერებული ტერფები დროთა განმავლობაში გაუხეშდა, დაიშაშრა და დასკდა. კახზე წარმოქმნილ ხაპრულეებში იჭედება კენჭები, ეკლები და ნიდაგიდან მოხვედრილი სხვა საგნები. ასეთი ტერფი ნადირისას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ადამიანისას. ამიტომ რა გასაკვირია, რომ ცივილიზებულმა ადამიანმა ასეთი ადამიანის მიერ თოვლში დატოვებული ნაკვალევი „თოვლის კაცის“ ნაფხებურებად მიიჩნიოს?!

... ცნობილია, რომ უდიდესმა არქაულმა ცივილიზაციებმა – მესოპოტამიამ და ეგვიპტემ – თავიანთ აყვავებას გაუდაბურებულ რაიონებში ნიადაგის გარწყვიანების, ირიგაციის უმაღლეს დონეზე აყვანით მიაღწიეს. მიუხედავად ამისა, სპეცილისტთა საერთო აღიარებით, აგროკულტურის თავდაპირველი ჩასახვა მოხდა ურწყავ, გაშლილ ადგილებში, უწინარესად კი ზომიერი კლიმატის მქონე მთის ველებში. ყველაზე არქაული კულტურის მატარებელ ხალხთა სასოფლო-სამეურნეო საეარგულები აბისინიაში, ხმელთაშუაზღვრით, ჩინეთში, ინდოეთში, ცენტრალურსა და სამხრეთ ამერიკაში თავიანთ პირველყოფილი სახით, ურწყავი იყო. ამასთან, ნ. ვაილინის აზრით, ეგვიპტის, მესოპოტამიისა და ჩინეთის რწყავი რაიონები არ გამოირჩევიან მცენარეთა ჯიშობრივი მრავალფეროვნებით. გარდა ამისა, ყველა ეს ჯიში იქ ჩატანილი და დანერგილი უნდა იყოს მთიანი რაიონებიდან და ქვეყნებიდან.

აგრარული კულტურის ერთ-ერთ ასეთ ურწყავ რაიონს წარმოადგენდა პერუ-ბოლივიის მაღალმთის პლატო – ალტიპლანო და სამხრეთი მექსიკის უტყუო მთიანეთი. აქ, ჯერ კიდევ 6000 წლის წინათ, ამერიკელმა ინდიელებმა თავიანთ საცხოვრებელთან კულტურაში დანერგეს გორგლეული და მარცვლოვანი მცენარეები, მაშასადამე, აქვე ჩაეყარა საფუძველი ევლური ფლორის არაერთი სახეობის კულტივირების ხანგრძლივ პროცესს – პრიმიტიულ სელექციასა და პირველ კულტურულ მცენარეთა გარემოსთან შეგუებას. ნებით თუ უნებლიეთ, აბორიგენებმა ასე მისცეს ბიძგი მცენარეთა ევოლუციის პროცესს, რაც გამოიხატა განსხვავებული ევლური წინაპრისგან ადამიანის მოთხოვნილების შესატყვისი, სახეშეცვლილი, კულტურული ჯიშების გამოყვანაში.

კულტურულ მცენარეთა ამ ჯიშებიდან ბევრი მსოფლიო მასშტაბით დაინერგა, ზოგიერთმა მხოლოდ ადგილობრივთა აღიარება მოიპოვა. ასეთებს მიეკუთვნება გორგლეული მცენარეები, რომელთაც, გარდა კარტოფილისა, სხვა მცენარეებიც მიეკუთვნებიან. ყველა მათგანი გამოყენებულია ტიტიაკას შემოგარენის მსგავს, ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეებზე (4000 მ. და უფრო მაღლა). ინდიელები მოწვეულ გორგლეულს, როგორც ითქვა, წყალს აკლიან (ნაყოფის დეჰიდრირება) და ასეთი სახით გამომშრალ ნაყოფს, ხანგრძლივი ზამთრის მარა-

გად ინახავენ. მსგავსი ტექნოლოგიით დამზადებული, ნებისმიერი (და არა მხოლოდ კარტოფილის) გორგლეულისაგან დამზადებულ, თავისებურად მოჭმულ ნაყოფს ინდიელების შთამომავალნი (კეჩუას ტომი) „ჩუნუს“ (chunu) უწოდებენ. „მოჭმული საკვები ჩუნუს გარეშე იგივეა, რაც სიცოცხლე სიყვარულის გარეშე“ – ასეთია ამ საკვების კეჩუასეული დეფინაცია.



სურ. 347. ბოლიველი ინდიელები კარტოფილის მოყვანილი მოსავლის ზამთრის საკვებ პროდუქტად (ჩუნუს) მომზადებისას.

კარტოფილი ჩვენთვის კარგადაა ცნობილი. სხვა, ადგილობრივ გორგლეულს, რომლებსაც ინკას მოდგმა იყენებს, ადგილობრივთა ენაზე ცნობილია როგორც ოკა. იგი მიეკუთვნება მაღალმთის მცენარეს – *Oxalis tuberosa*. ცნობილია კიდევ ულუკუ (*Ullucus tuberosus*) და ანუ (*Tropaeolum tuberosum*). მათ შორის ყველაზე კომუნიკურია ოკა – სტაფილოსავით წაგრძელებული, მაგრამ გვერდებში შებრტყელებული გორგალი. მთაში იგი კონკურენციას უწევს თვით კარტოფილს. ტიტაკას ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი რაიონები ოკას კულტურების ყველაზე ინტენსიური ადგილებია. ულუკუ და ანუ, გარეგნულად, რამდენადმე მოგეაგონებს კარტოფილს.

გორგლეული კულტურები მოკვავთ დატერასებული ფერდობებზე. ტერასული მეურნეობა მომდინარეობს ინკებიდან და პერუ-ბოლივიაში იგი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო ფენომენია. უფრო მეტიც, 500 წლის განმავლობაში (კოლუმბის-შემდგომი სამხრეთი ამერიკა) კარტოფილით, ოკათი და სხვა კულტურებით განაშენებული ტერასები, მათი პატრონების მსგავსად, იოტისოდუნადაც არ შეცვლილან. აი, ამას ჰქვია ჭეშმარიტად აბორიგენი მოსახლეობის ავტონომური კულტურები!

ინდიელები – პირველი სელექციონერები – ხშირად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ეწეოდნენ კულტურის ფლორის მათთვის საჭირო სახეობათა გაკულტურებას. ამგვარად შეიქმნა კულტურულ მცენარეთა წარმოშობის რამდენიმე ცენტრი. მათ შორის გამოირჩევა ორი – შუა ანუ მესოამერიკული და სამხრეთამერიკული (პერუ-ბოლივია).

არქეოლოგთა გამოკვლევები, მიწათმოქმედების პერუ-ბოლივიის მაღალმთიან კერაში წინააგროკულტურისა და წინამთუნეობის შემოკლებული ნაშთები დაახლოებით 10000 წლითაა დათარიღებული. პრიმიტიული სანადირო იარაღების არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ეს ხალხი ძირითადად მთის ირმებსა და გუანაკოზე ნადირობით ირჩენდნენ თავს. მატერიალური კულტურის განვითარების პარალელურად, სპეციალისტები გამოყოფენ სამ მომდევნო კულტურულ შრეს, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 8-6, 6-3 და 3-1 ათასწლეულებით თარიღდება.


სხვა მატერიალური კულტურის ნიშნებთან ერთად, ამ უკანასკნელ ფენებში სულ უფრო ჩნდება მცენარეთა და ცხოველთა სასოფლო-სამეურნეო ჯიშების ნაშთები.

როგორც ითქვა, ამ მასალათა ერთი ნაწილის გაცნობის შესაძლებლობა შეიძლება ღიშას „ოქროს“ მუსეუმში. მუმიებთან ერთად აღმოაჩინეს გარდაცვლილს ჩაყოფილებული საკვებიც.

მეცნიერებმა დათესეს 2500 წლის წინანდელი, მუმიებთან ნაპოვნი სიმინდისა და სხვა მარცვლეულის თესვები. მათ გაიხარეს და ნაყოფიც გამოიღეს.

გარდა მარცვლეული კულტურებისა, წიწაცის ისეთი თესვებიც აღმოცენდა, რომლის მსგავსი ჯიშში ამჟამად გადაშენებულია.

ორი ამერიკის ცივილიზაციათა ურთიერთო



სურ. 348. ინკების იმპერიის სხვადასხვა რეგიონს ერთმანეთთან შესანიშნავი საგზაო ქსელი აკავშირებდა (ფრაგმენტი).

* A. Mason – The Ancient Civilization of Peru, 1978.

ბებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა ევროპელთა ექსპანსიამდე, მეტყველებს არქეოლოგიური მასალები. კულტურულ ფენებში, მცენარეთა ადგილობრივი ფიჭების თესვებთან ერთად, მიკლეუელია ისეთებიც (სიმინდი, ლობიო, ბამბა და სხე), რომლებითაც ორივე მატერიკის ინდიელები ერთნაირად სარგებლობდნენ.


სასოფლო-სამეურნეო კულტურების როგორც მესოამერიკასთან, ისე სამხრეთ ჩილესთან გაცვლამ, საირიგაციო სისტემების მშენებლობამ, მჭიდროდ დასახლებული კერების წარმოშობამ და ცივილიზაციასთან დაკავშირებულმა სხვა საქმიანობამ, დღის წესრიგში დააყენა გზათმშენებლობა. უძველესი კულტურისა და მეცნიერების მრავალი დარგის დიდოსტატებს აქაც დიდი წარმატებისათვის მიუღწევიათ. ცნობილია, რომ ინკების იმპერიაში 5000 კილომეტრზე (!) გადაჭიმული საგზაო მაგისტრალი ერთმანეთთან აკავშირებდა კიტოსა და სამხრეთ ჩილეს, ე.ი. ათობით ხალხთა ორიგინალურ კულტურებს.

დაბოლოს, ამერიკამ – შუა საუკუნეების ევროპელთათვის „ახალმა სამყარომ“ – იმავე ევროპელების ხელდასმით, მსოფლიოს გააცნო ინდიელთა არაჩვეულებრივად თვითმყოფადი ცივილიზაცია, რომლის განუყოფელ აქსესუარს, ცხაღია, აგროკულტურა წარმოადგენდა.

დღეს, ინდიელთა მიერ ათასობით წლების წინათ სოფლის მეურნეობაში დანერგილი კულტურული მცენარეების გარეშე ჩვენი არსებობა წარმოუდგენელია.

უღაბნოს გეოგლიფები ნასკაში – გიგანტური ნახატები მიწიწირბი, მათი ავტორები კი – კველი ინდიელები

სამხრეთ პერუში, ქალაქ არეკიპადან საავტომობლო გზა ოკეანის სანაპიროზე ეშვება. ქალაქიკასთან მისვლამდე აუცილებლად მიგაქცევიანებენ ყურადღებას პატარა ქალაქ ნასკაზე. იგი ღიმიდან 450 კილომეტრითაა დაშორებული. დასახლების გვერდით, გზისგან გამომწვარ პლატოზე, ქვიან უდაბნოზე წარმოდგენილია მსოფლიოში ესოდენ



სურ. 349. ნასკას „სამხატვრო გალერეა“ (გეოგლიფები) თვითმყრინავის სიმაღლიდან.

ორიგინალური, განუშეორებელი „სამხატვრო გალერეა“ – ადამიანის ხელთქმნილები ღია ცის ქვეშ. ეს ქვიანი უდაბნოც, ხელოვნების თავისი უცნაური ნიმუშებით, ნასკას სახელწოდებით არის ცნობილი. ნასკამ ცივილიზებული კაცობრიობის ყურადღება მიიპყრო ადამიანების, ნადირთა და ფრინველთა გიგანტური გამოსახულებებით. უდაბნოს უწყვეტი ხაზები, რომლებიც ქმნიან ცოცხალ არსებათა გამოსახულებებს, ათასობით კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული.



სურ. 350. ნასკა: ობობას რეკონსტრუირებული გამოსახულება.

დედამიწის სედაპირზე გამოსახულ ასეთ გიგანტურ ნახატებს გეოგლიფებს უწოდებენ. სულ აღმოჩენილია 788 სხვადასხვანაირი ფიგურა და 13000 სწორი ხაზი. ზოგიერთი მათგანის სიგრძე 40 კილომეტრს აღწევს. ობობას ანატომიურად ზუსტად გამოსახული ფიგურის სიგრძე 50 მეტრია, ხოლო კოლიბრის სტილიზებული გამოსახულების ნისკარტის სიგრძე – 36 მეტრი, გაშლილი ფრთების სიგრძე კი 120 მეტრს აღწევს. აქვეა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართული უსარმაზარი კონტურები. ამ ხაზებს ზუსტად თანხვედბა ზამთრისა და ზაფხულის მზებუდობის ფაზაში მყოფი მნათობის ჩამავალი სხივები. აქ ეხვედებით წელიწადის დროთა მიხედვით მზის, მთვარისა და ეარსკველათა მდებარეობის გამომხატველ ნიშნებს. მთელი ამ უცნაური შემოქმედების სრული კომპოზიციის ნახვა და აღქმა არწივის გაფრენის სიმაღლიდანაა შესაძლებელი.

გეოგლიფების ასაკი განსხვავებულია. ისინი სხვადასხვა დროს იქმნებოდა. მათგან ყველაზე ადრეულები ძვ.წ.აღ-ის VI საუკუნეშია შესრულებული, ყველაზე გვიანი ნახატები კი ახ.წ.აღ-ის

1 საუკუნეს განეკუთვნება. მათი შესრულების ტექნიკა მარტივია, მხოლოდ ქვიანი სედაპირის სულა მუქი შრეა გადაცლილი. უცნაური ხელოვნების ხიბუშთა დღემდე შეხარხუება შირალმა ჯაქამ (ნაღვეების სიმცირემ) განაპირობა.

მეცნიერთა ერთი ჯგუფი თვით XX საუკუნის პირველ ნახევრამდე ვარაუდობდა, რომ ყველაფერი ეს უცხოპლანეტელთა დასაჯდომ-ასაფრენი კოსმოდრომაა, ხოლო გიგანტური ფიგურები კოსმოსურ ხომალდთა სანავიგაციო ორიენტირები. მსგავსი შეხედულება (და ზოგადად, შეხედულებები) ამჟამად ფანტასტიკის სფეროს კუთვნილება გახდა. დღეს მიიჩნევენ, რომ ნასკას „სამხატვრო გალერეა“ ან ინდიელთა გრანდიოზული ასტრონომიული კალენდარია, ანდა, საკულტო, რიტუალური ცენტრი.

აღამიანების, ფრინველებისა და ქვეწარმავლების მსგავსი გამოსახულებები აღმოჩენილია აშშ-ში – ვაიომინგის, არიზონას, კალიფორნიის, ოჰაიოს, ილინოისის შტატებსა და ინგლისის სამხრეთ-დასავლეთით.

ამგვარად, ნასკას უდაბნოს ნახატები მიწიერია, მათი ავტორები კი – ძველი ინდიელები.

მიწათმოქმედების დანარჩენიდან დაშვარლოვის შემოღებაზე

10000 წლისთვის მთავრდება ადამიანის განვითარების მიწათმოქმედებამდე პერიოდი. თითქმის 2 მილიონი წლის განმავლობაში ჰომინიდი მისი არსებობისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საგანს – იარაღს – ქვისგან ამზადებდა, მაგრამ უკანასკნელი რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში ადამის მოდგმა დაეფუძლა იარაღის მეტალისგან დამზადების ხელოვნებასაც, რამაც ძირეულად შეცვალა მისი ცხოვრების წესი. მიწათმოქმედების მსგავსად, დედამიწაზე მეტალურგიის ცენტრები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოცენდა. სხვადასხვა დროს მეტალის ინდუსტრია ჩაისახა აზიაში, ევროპასა და ამერიკაში.

ნამდვილ მეტალურგიას საფუძველი ჩაეყარა მხოლოდ 6600 წლის წინათ. ეს მოხდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. ჯერ ამზადებდნენ სილენძის იარაღსა და ჭურჭელს, შემდეგ სპილენძისა და კალის ნარევით დაიწყეს ბრინჯაოს შენადნობის დამზადება. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დაახლოებით 1500 წელს ხეთებმა დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე იწყეს რკინის გამოდნობა, საპარის სამხრეთით წარმოდგენილი აფრიკა კი, ქვის კულტურიდან პირდაპირ რკინისაზე გადავიდა, ხოლო კოლუმბამდე ამერიკამ ბრინჯაოს კულტურის ზღვარს ვერ გადააბიჯა.

10000 წლიდან იწყება გარეულ ცხოველთა მოშინაურება და ეელურ მცენარეთა გაკულტურება. გადამწვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მიწის დამუ-

შავების მიზნით ხარის გამოყენებას. 6000 წლის წინათ ეგვიპტესა და დასავლეთ აზიაში ამ პირუტყვს იყენებდნენ სარწყავი არხების გასაყვანად. ხელსაყრელი კლიმატის ქვეყნების ხაყოფიერ ნიადაგზე იწყეს წელიწადში რამდენიმე მოსავლის მოყვანა. 7000 წლის წინათ მეთუნეები კერამიკისა და თიხის ჭურჭელს ამზადებდნენ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 4000 წლის წინათ, მესოპოტამიაში გამოიგონეს ბორბალი. ეს ფაქტი კაცობრიობის უდიდეს აღმოჩენათა რიცხვს მიეკუთვნება. რამდენიმე ათასი წლით ადრე, მას წინ უძლოდა ხის საგორავი მორი, რომელსაც გადასატან მძიმე ტვირთს უდებდნენ ქვემოთ. პირუტყვიმ ბმული ბორბლიანი ოთხთავლას გამოყენებამ რევოლუციური გადატრიალება მოახდინა ხმელეთის ტრანსპორტში.

54 ათასი წლის წინათ, წელის ტრანსპორტის ძირფესვიანად გაუმჯობესების საქმეში დიდი როლი შეასრულა აფრებიანმა ნაგმა. ადამიანმა თავის სამსახურში ჩააყენა წყალი და ქარიც. ამგვარად, შესაძლებელი გახდა გაცილებით მეტი ენერჯის გამოყენება, ვიდრე ამის შესაძლებელობას ადამიანის კენტური ძალა იძლეოდა.

დასავლეთ აზიაში, 5000 წლის წინათ, ჭარბი საკვები პროდუქტების წარმოებამ და მეტალურგიამ ხელი შეუწყო ადამიანთა ზოგიერთი დასახლების პირველ ქალაქებად გადაქცევას.

მათი მოქალაქეები, ძირითადად, დასაქმებულები იყვნენ ხელოსნობით, ე.ი. უშუალოდ არ მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა მოყვანაში. მეთუნეები, დურგლები, მეტალის ოსტატები, ეაჭრები, იუველიერები, გადამწვერები თავიანთ სამსახურს სთავაზობდნენ და დამზადებულ ნაწარმს უცვლიდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებში გლეხობას. როგორც თქვა, ურუქს მიაქვია ქალაქთმშენებლობა მდინარეების – ნილოსის (ეგვიპტე), ინდის (პაკისტანი), ხუანხეს ხეობებში (ჩინეთი). ეს იყო აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ოთხი დიდი მდინარის დაბლობთა კაცობრიობის ცივილიზაციის პირველი ეტრები, სადაც ჭარბად დასახლებულ ადამიანთა თანასაზოგადოება ტომობრივი (ტრაიბალური) დაჯგუფებიდან ჯერ გეაროვნულ კლანებად გადაიქცა, ხოლო შემდეგ საზოგადოებრივ კლასებად დაყოფილ ქალაქსახელმწიფოებად.

ქალაქის ტიპის დასახლებებში სულ უფრო იზრდებოდა მოსახლეობის რიცხვი. მას შემდეგ, რაც ანატომიურად თანამედროვე ადამიანი მეტყველების ხელოვნებას დაეუფლა, ადამიანთა ურთიერთობის სფეროში მოხდა კიდევ ერთი თვისებრივი გარდატეხა. იგი დაკავშირებულია დამწვრობის გამოგონებასთან. 5000 წლის წინათ შუმერები ლერწმის კალმით თიხის რბილ ფირფიტებზე ხატავდნენ პაწაწინა ნიშან-ნახატებს, ე.წ. პიქტოგრაფებს. გამოწვის შემდეგ ეს ფირფიტები მყარ

* Natural History, 1947, №5.



სურ. 351. ქართული ანბანის განვითარების ამსახველი ალფაბეტები.

საგნებად იქცეოდნენ ხოლმე. სპეციალურად გაწერთნილ წერის ოსტატებს ფირფიტებზე გამოჰყავდათ 2000-მდე პიქტოგრამა. მსგავს დაშვებულობაში ერთი ნიშანი - სიმბოლო-ნახატი - შეესატყვისებოდა ერთ საგანს - უსულოსა თუ სულიერს, მაგალითად, თევზს, ხორბლის თავთავს, მდინარეს და ა.შ.

მოგვიანებით, წერის ოსტატებმა ასეულობით პიქტოგრამა შეცვალეს გაცილებით ნაკლები რაოდენობის ფონოგრამით - ასო-ბგერითი სიმბოლოთი. ახლა ისინი შეესატყვისებოდნენ არა მთელ სიტყვას, არამედ ცალკეულ ბგერებს. ასეთი გზით, - პიქტოგრამების გამარტივებით, - ისინი საღაპარაკო ენის გამომხატველ ხელნაწერ შრიფტად იქცა.

პირველი ასეთი შრიფტი შუმერული ლურსმული დამწერლობა იყო. წაწვეტებული საგნებით, ისიც თიხის ფირფიტაზე იწერებოდა. მსგავს დამწერლობას მოხელე-მწერლები იყენებდნენ კანონების დასაწერად, კალენდრების შესადგენად და, რაც მთავარია, სხვადასხვა ისტორიული ამბების აღსაწერად.

დამწერლობის გამოგონება ნიშნავდა, რომ ახალი აღმოჩენები მეცნიერებაში - მათემატიკაში, ასტრონომიაში, მეცნარეთა და ცხოველთა სელექციაში და ა.შ. - შეიძლებოდა ზუსტად აღწერილიყო და ასე გადასცემოდა თაობებს. დროთა განმავლობაში ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში მც-

ოვრებმა ხალხებმა შექმნეს ბგერების შესატყვისი ნიშნების თანმიმდევრული სისტემა. მათი დახმარებით ქვაზე, თიხაზე, ტყავზე გამოხატავდნენ (წერდნენ) მათთვის საჭირო ინფორმაციას. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1400 წლის წინათ სირიის ტერიტორიაზე შეიქმნა კაცობრიობის ისტორიაში პირველი სრული ალფაბეტი, ჩინელებმა კი ასეთი ნიშნების ქაღალდზე გამრავლების მექანიკური წესი გამოიგონეს. გაცილებით მოგვიანებით, ევროპელმა გუტენბერგმა შეიმუშავა ასაწყობი შრიფტის დახმარებით წიგნბეჭდვის მეთოდი.

ცხადია, დამწერლობამ არაჩვეულებრივი იმპულსი მისცა კულტურის განვითარებას, მისი გამოგონებით და, შესაბამისად, ისტორიული ამბების დაფიქსირებით, კაცობრიობის ისტორია ორ არათანაბარ ნაწილად გაიყო - წინაისტორიულად (დამწერლობამდე) და ისტორიულად (დამწერლობის შემდეგ).

თანამედროვე ბიბლიოთეკები, თიხის უძველესი ფირფიტათა ეს შემკვიდრებები, შეიძლება ჩაითვალოს კოლონიალურ საზოგადოებრივ ტვინად, რომლის მეხსიერების მოცულობა შეუდარებლად აღემატება რეალური (კონკრეტული) ადამიანის ტვინის დამახსოვრების უნარს, უფრო მეტიც, იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც არასხეულისმიერი გენეტიკური ინფორმაცია (დნმ-ა), რომელიც ავსებს ჩვენს გენეტიკურ მემკვიდრეობას.

თავი 3. ანატრონიზმი – XXI საუკუნეში ძვის ხანის კულტურის მატარებელი ტომები (ტრაიბები) და დეამიწაზე მათი უპანასკნელი რეზიბიუშები

თანამედროვე დედამიწა, როგორც არასოდეს, პოლარიზებულია. ჩვენს პლანეტაზე ეხედებით სე-სახელმწიფოებსა და განვითარებად ქვეყნებს, მაკ-მადიანებისა და ქრისტეს რჯულის მიმდევართ, მილიარდლებსა და მიუსაფრებს, უფრო მეტიც – შიმშილით მომაკედავებს, მხედველობაშია მისა-ღები სექსუალური უმცირესობის პრობლემებიც...

მაგრამ ამჟამინდელი დედამიწის სასოგადოე-ბაში უაღრესად ნიშადობლივია პოლარიზაციის კიდევ ერთი, მართლაც რომ უნიკალური მხარე. თითქოსდა პარადოქსია, მაგრამ ფაქტია – ერთსა და იმავე დედამიწაზე არის ქალაქი ლას-ვეგასი (აშშ), რომელმაც ტექნიკური ცივილიზაციის თვალ-საზრისით გაუსწრო დროს და ცხოვრობს XXI საუკუნის მეორე ნახევრის შესატყვისი ცხოვრებით და, მეორე მხრივ, ქვის ხანის, ტრაიბალური წესით მცხოვრები ტომები, კულტურის საწყისი, ინიცია-ლური გამოვლინებებით. ასეთები დღემდე მისდევენ მომთაბარე, ან ნახევრად ბინადარ, მეურნეობის მიმთეისებლურ წესს (ნადირობას, თევზჭერას, შემ-გროვებლობას). ზოგიერთ მათგანს არავითარი შე-ხება არა აქვს მეტალის არც ერთ სახესთან.

პირველყოფილი ადამიანები შემორჩნენ საკმაო ფართო გეოგრაფიულ არეალში: ავსტრალიაში, ახალ გინეაში, აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში. დღეს ეს რელიქტური კულტურის მატარებელი ხალხი მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს. ეს ტო-მები, უპირველეს ყოვლისა, საინტერესონი არიან თავიანთი სულიერი ცხოვრებით – სპირიტუალიზ-მით. მსგავსი ტომების ცხოვრების ამ სფეროთი დაინტერესებულ არიან არა მხოლოდ ანთროპო-ლოგები და ეთნოგრაფები, არამედ ფილოსოფო-სები და ფსიქოლოგები.

ნებისმიერი ადამიანი, მეცნიერი იქნება იგი თუ ჩვეულებრივი მოგზაური, ერთხმად აღნიშნავს: აბო-რიგენები, კაცობრიობის განვითარების ხშირად პირველ საფეხურზე მდგომი ხალხი, გამოირჩევიან თავიანთი უშუალოდ, გულწრფელობით, გულ-უბრყვილობით. და ასეთ ხალხს, რამდენადაც ნა-კლები შეხება აქვთ თანამედროვე ცივილიზაციას-თან, მით უფრო აღმატებულ ხარისხში ახასიათებთ ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები.

შუქდლებელია, საქმეში ჩახედულ ადამიანში სათანადო შთაბეჭდილება არ მოახდინოს მსგავსმა ანატრონიზმმა.

ვინ არიან, სად ბინადრობენ მსგავსი ტომები? ტროპიკული ტენიანი ტყეების სპეციალისტსა და ერთდროულად ანთროპოლოგიით დაინტერესებულ ავტორს, არნოლდ ნიუმენს მოჰყავს შემდეგი სტა-ტისტიკური მონაცემები:

აფრიკა: ძირითადად უგანდა-კონგოს სახალხო რესპუბლიკის ჯუნგლებში მცხოვრები პიგმეები. აზია: მალაიზიისა და სამხრეთ თაილანდის ნეგრიტოსები; ფილიპინებისა და შრი-ლანკის ნეგ-რიტოსები; ფილიპინების მასადეები; ანდამანის კუ-ჩულების (ინდოეთი, ბენგალის ყურე) ჯარავეას ტომი; შრი-ლანკის ტვები; ცენტრალური და სამხ-რეთ ინდოეთის ტომები: ჩენუ, კადარი, ვარლი, კატკარი და სხვ.

სამხრეთი ამერიკა: აღმოსავლეთ პარაგვაის აბო-რიგენები – გუაიაკი და მაიროს ტომები; ბოლივიის – სირიონი, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ბრაზი-ლიის – ეე-პანო და კაიაპო, ბრაზილიისა და ვენე-სუელის – იანომამა, ვენესუელის – აჩე და კუიუა, არგენტინის ჩრდილოეთის მარტოკოს ტომი, ბრა-ზილია-ბოლივიის სასლვარზე მცხოვრები პაკას-ნივასის ტომი, მდინარე ამაზონის ჯუნგლების დღემდე გამოუკვლეველი ტომები და ა.შ.

როგორც ითქვა, ნეოლითური რევოლუცია და-კავშირებულია მწარმოებლურ მეურნეობაზე გა-დასკლასთან, რაც განხორციელდა დაახლოებით 10000 წლის წინათ. მაგრამ თუ თანამედროვე ად-ამიანის კვების რაციონს, ზოგიერთ ახლანდელ პირ-ველყოფილ ადამიანის კვების რაციონთან შეეა-დარებთ, აღმოჩნდება, რომ ეს უპანასკნელი გაცი-ლებით მდიდარია. თავის ადგილზე აღვნიშნეთ, რომ მესამერიკის ხალხები იკვებებოდნენ 20000-მდე დასახელების მხოლოდ მცენარეული საკვებით (თუმცა მათ შორის იყო ერთი რომელიმე კულ-ტურის ათობით ჯიში, ნაირსხეობა).

აბორიგენები დღემდე უშუალო კონტაქტში იმ-ყოფებიან ბუნებასთან, ამიტომ, ცხადია, ინფექ-ციური და ინვაზიური ხასიათის დაავადებების პროცენტი მათში გაცილებით მეტია, ვიდრე ცხოე-რების ცივილური წესით მცხოვრებ ადამიანებში. დროთა განმავლობაში მიკრობების მიმართ, მათ გამოუმუშავდათ იმუნიტეტი.

მაგრამ, გარდა იმუნიტეტისა, ადგილობრივები ფართოდ იყენებენ სამკურნალო მცენარეებს. ბუერი მათგანის სასარგებლო თვისებები დღემდე უცნო-ბია მედიცინისათვის.

მრავალმხივ საინტერესო ამ ხალხს ყველაზე დიდი დარტყმა ტექნიკური ცივილიზაციის მსახ-ერულმა ხელმა მიავყდა. იგი მიწვედა თვით ამაზონის ჯუნგლების თითქოსდა უკიდვანო, შეუღწეე სიერ-ცეებს. ასე, მაგალითად, 1900 წელს ამაზონეთის ბრაზილიის მონაკვეთში ცხოვრობდა 230-მდე ტომი ერთი მილიონი მოსახლეობით. ამჟამად დარჩა აბო-რიგენთა მხოლოდ 143 ერთეული, რომელიც ითუ-ღის 50 ათასამდე ადამიანს. ეს რიცხვი ყოველ-

დღიურად მცირდება. დღეს ამ ცივილიზაციას თანამდევნი ნეგატიურ მოვლენებისგან იცავს ბრაზილიის მთავრობა, მაგრამ დემოგრაფიული პროცესები, სამწუხაროდ, ხშირად შეუქცევად ხასიათს ატარებს. როდესაც პრაგმატული თვალსაზრისით ნადგურდება ტროპიკული ტყეები (სელვა) – აბორიგენის საარსებო გარემო, – ადგილობრივთა დაცვაზე ლაპარაკიც შედგება.

თერთკანინათა მსგავსი ექსპანსიის მიზეზით ბრაზილიელი ინდიელების ტომის – ასურინის – პოპულაცია ფაქტობრივად ლეტალურ დონემდე – 53 ადამიანამდე დაეცა. ერთნოვარაფი ბერტა რიბერსი გულისტკივილით წერს: „წინასწარ იციან რა, რომ განწირულები არიან, მათ აღარ სურთ იყოლიონ ბავშვები...“

ავსტრალია – ანთროპოლოგიურ-ეთნოგრაფიული ნაპრკალი

დადგენილია, რომ ავსტრალიელ აბორიგენტთა შრომის იარაღი ბოლომდე მეზოლითის, უკეთეს შემთხვევაში, ნეოლითის დონეზე დარჩა. ამხელა ტერიტორიაზე, ადამიანის ესოდენ პრიმიტიული ყოფა მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ არის ცნობილი.

ხობრიობა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში იყო საცხოვრებელ ტერიტორიაზე არსებულ სასმელ წყალთან და საკვებთან. საარსებო საშუალებათა ოპტიმუმის შემთხვევაში ტრაიბის რიცხობრიობა მაქსიმუმს აღწევდა და, პირიქით, სიმწირისას – მცირდებოდა, ანდა ცალკეულ ოჯახებადაც კი იშლებოდა. ტრაიბებში დემოგრაფიული მანევრების მსგავსი პულსაცია გარემოსთან შეგუების თავისებური გამოხატულება იყო. განსაკუთრებით ეს ითქმის ავსტრალიაში რამდენიმე ათასი წლის წინათ კლიმატის გაუარესებისა და მასთან დაკავშირებულ უდაბნოების წარმოშობაზე. მაგრამ აბორიგენტებმა გაუძლეს გარემოს მკაცრ გამოცდას და სოციალური სტრუქტურის სწორი მანიპულაციით გადარჩენა მოახერხეს. უფრო მეტიც, უპირობობასთან შეგუების ისეთ დონეს მიაღწიეს, რომ თვით უდაბნოში მცხოვრებ ავსტრალიელსაც ხელეწიფება 2-3 საათში მთელი დღის საკვების დაგროვება.

კონტინენტის ნაყოფიერ აღმოსავლეთ ნაწილში აბორიგენტთა მოსახლეობა მრავალრიცხოვანი ჯგუფებისაგან შედგებოდა და საცხოვრებლად ნაკლები ტერიტორია სჭირდებოდა. სხვა, გაუდაბურებულ რაიონებში კი მოსახლეობა დაბალი სიხშირით გამოირჩეოდა და თავის სარჩენად ასობით კილო-



სურ. 352. დასავლეთ ავსტრალიის დიდი ქვიშიანი უდაბნო. XIX საუკუნის ოციანი წლებიდან ავსტრალიის უდაბნოების ათვისება მხოლოდ აზიიდან ჩამოყვანილი აქლემებით ხერხდებოდა.

ავსტრალიის კოლონიზაციამდე და ნაწილობრივ ახლაც აბორიგენტთა მოსახლეობა შედგებოდა ტერიტორიულად და ეკონომიურად ერთმანეთისგან დამოუკიდებელი რამდენიმე ლოკალური ჯგუფის – ტრაიბისაგან. თავის მხრივ, ტრაიბში გაერთიანებული იყო უფრო მცირე სოციალური ერთეულები – გეარები, ფრაგმენტები და ოჯახები. ტრაიბი ითვლიდა 50-100-დან 400-500 ინდივიდს. ტრაიბის რიც-

მეტრზე დახეტიალობდა. ოჯახები ერთმანეთთან დედის ან მამის მხრიდან ნათესაური კავშირებით იყენებდნენ დაკავშირებულები. გეარი თავის წევრებს, გარდა სისხლით ნათესაობისა, რელიგიური, მეგობრული ნიშნებითაც აერთიანებდა. სხვა სოციალურ-დემოგრაფიულ საკითხებთან ერთად გეარი საქორწინო ურთიერთობის სფერო-



სურ. 353. ავსტრალია, ახალი სამხრეთ უელსის შტატი. სიმშრალის მოყვარული ვეკალიპტის ტყე (სკრები). ცნობილ ავსტრალიელ ეთნოგრაფ - იუჯინ სროკტომთან ერთად საეფლე მუშაობისას.

საც არეგულირებდა - იცავდა ეგ სოფლის კანონს, ე.ი. კრძალავდა გვარის შიგნით ქორწინებას. ასეთი წესით აბორიგენები ავტომატურად იცილებდნენ თავიდან ინტერბრედიციის (შიგანათესაური ქორწინება) მანე გენეტიკურ შედეგებს.

როგორც ჩანს, ავსტრალიელებს შემუშავებული ჰქონდათ მოსახლეობის რიცხოზობის თეორეტიკულირების სხვადასხვა წესი. დემოგრაფიულ სფეროში მსგავსი ავტომატური რეგულირების აუცილებლობა კონტინენტის მწირი მიწებიდან გამომ-



სურ. 354. დიდი წყალგამყოფი ქედი. ცისფერი მთების აბორიგენთან. განსხვავებით ცენტრალური და დასავლეთ ავსტრალიის აბორიგენებისაგან, მათთვის უცხოა ბუმერანგი.

დინარეობდა. ანთროპოლოგებმა დაადგინეს, რომ პრეკოლონიურ (ევროპელების მოსვლამდე) ავსტრალიაში აბორიგენები ათასობით წლების განმავლობაში ინარჩუნებდნენ 300000-კაციან პოპულაციას (არც ერთ სხვა კონტინენტზე ადამიანთა ესოდენ მცირე მოსახლეობას არ უცხოვრია). კუნძული-კონტინენტი არამიწათმოქმედი ხალხის უფრო მეტ მოსახლეობას ვერ შეინახავდა.

უაღრესად მნიშვნელოვანია ერთი ასეთი ფაქტი. თუ ადგილობრივი წილებზე შეიან დედის რძე გაუმრებოდა, არ არსებობდა რა შინაური საქონლის სახით რძის სხვა წყარო, მეძუძური ქალი ხელახლა ფეხმძიმდებოდა, ნაყოფით გაბოძრულ ღაქტაციას და მის პროდუქტს - რძეს წამოსრდილს აწოვებდა, ხოლო ახალშობილს კლავდა!

ეგ სოფლისოფი ოჯახები ქმნიდნენ ფრატრიებს. ამ დიდ ოჯახებშიც ტაბუ ედებოდა დედისა და მამის მხრიდან მეოთხე, სოფლის მეურვე ნათესაური შტოს წარმომადგენელთა შორის ქორწინებას. ფრატრიათა ორგანიზებისას მხოლოდ გათხოვებამოყვანის აკრძალვით როდი იფარგლებოდნენ, მას საზოგადოების მოწესრიგებისა და უკეთ ორგანიზების შორის გამიხსული პოლიტიკა ჰქონდა.

ავსტრალიის პირველყოფილი საზოგადოება სოციალურად და ეკონომიურად თანაბარუფლებიან ადამიანთა კოლექტივი იყო. მაგრამ მათი პირველყოფილი დემოკრატისმი პიროვნებათა უფლებებში სოფიერთ განსხვავებას მაინც არ გამოორიცხავდა. გარკვეული სოციალური განსხვავება შეინიშნებოდა სხვადასხვა ასაკის ინდივიდებს, ქალსა და მამაკაცს შორის, განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდნენ ხანდაზმულები, გამოცდილი მონადირეები, ექიმბაშები და შამანები.

ავსტრალიელთა კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი რელიგიაა. მის



სურ. 355. ცენტრალური ავსტრალიის აბორიგენი (ანანგუს ტომი) მედიტაციის პროცესში.



სურ. 356. ქუინსლენდის შტატის აბორიგენები. ეელურ მცენარეებზე შეგროვებული ნაყოფებისაგან სადილის დაშვადების პროცესი.


საფუძველს წარმოადგენს ტოტემისმისა და მაგიის სხედასხვა ფორმა, აბორიგენტთა რელიგიაში ჩართულია რთული და მრავალფეროვანი რიტუალები. ამ წეს-ჩვეულებებს უდიდესი ადგილი უკავია ქვეყნის ძირეულ მაცხოვრებლებში.

აბორიგენებს სჯერათ, რომ მთელი სამყარო და მათ შორის ადამიანები შექმნილები არიან დიდი გმირების – გარდასულ დროში მცხოვრები დემიურგებით. თქმულებები ამ გმირებზე, მათ მიერ სამყაროს შექმნაზე, თავგადასაულებზე წარმოადგენს ავსტრალიელთა მითოლოგიის საფუძველთა საფუძველს. ამ თემაზე შესრულებული წეს-ჩვეულებებით, რომლებიც აცოცხლებენ ამ გმირთა

თითოეული ადამიანი ირეალურად დაკავშირებულია ქვის ან ხის საგანთან – ჩურინგასთან. მათზე გამოხატულია ტოტემისტური შინაარსის სიმბოლოები.

ტოტემიზმი – სპირიტუალიზმის რთული გამოვლენა – დაფუძნებულია ტრაიბის, გვარის წევრთა რწმენასთან, რომლის მიხედვითაც საზოგადოების თითოეული წევრი სულიერად დაკავშირებულია რომელიმე ცხოველთან, მცენარესთან, ანდა უსიცოცხლო ბუნების საგანთან. მაგალითად, არსებობს კენგურუს, წელის დუმფარას ან სხვა არსების ნიშნით გაერთიანებული ტრაიბი. სწორედ ტოტემი აერთიანებს ამა თუ იმ გვარს, ტრაიბს ერთ მონოლითურ კოლექტივად, აკავშირებს მას მიწასთან, დანარჩენ ბუნებასთან, სამყაროსთან, ისტორიულ და ლეგენდარულ წარსულთან, განასხვავებს სხვა ტოტემისტური დაჯგუფებისაგან.

ძირძველი მოსახლეობის მიერ მითოლოგიური წარსულის ამ გრანდიოზული ამბების წარმონაწილად დრამატიზებული სახით ხდება და პირველყოფილი მისტერიის ნამდვილ სახეს ატარებს. ამ თვალსაზრისით დიდი ადგილი უკავია ინიციაციას – მოზარდთა ტრაიბის საკრალურ ცხოვრებასთან ზიარებას. ეს არის რთული, ხანგრძლივი და ზოგჯერ პიროვნების განმტანჯავი რიტუალი. მოხუცი ეალბორები სიმღერით ახდენენ ძველი მითების დეკლამირებას. სიმღერებში ახსნილია თითოეული მითის შინაარსი. დაბოლოს, ახალგაზრდა ეაუები მიჰყავთ საკულტო დანიშნულების ნახატებთან და



სურ. 357. დედამიწის ერთ-ერთ უიშვიათეს გეოლოგიურ წარმონაქმნთან – აიერს როკთან (უელურუ). ცენტრალური ავსტრალიის უდაბნოები.

მიერ ჩადენილ საკაცობრიო მნიშვნელობის საქმეებს, ადგილობრივები სიმბოლურად ხელს უწყობენ დიდებული წარსულის დაბრუნებას, სიცოცხლის განახლებას. თუ არა ეს რიტუალები, თურმე, ახალ სიცოცხლეს ვერ ეზიარებიან მცენარეები და ცხოველები, ამოწყდებიან ადამიანები. ავსტრალიის ძირეული მოსახლეობის რწმენით,

აკურთხებენ მათ მამაკაცებად. ამ დროს უხსნიან და ასწავლიან კლდეზე გამოხატულ სიმბოლოთა მნიშვნელობას, პანტომიმებით აცნობენ თქმულებებისა და ლეგენდების შინაარსს.

დიდ ინტერესს იწვევს ავსტრალიელ აბორიგენტთა მხატვრობა. ხელოვნების ამ დარგს დიდი ხნის ისტორია აქვს და თავისი ფესვებით ასევე დაკავშირებულია



სურ. 358. ულურუს გამოქვაბულის ნახატებთან.

რებულია ადგილობრივი, წინაისტორიული ადამიანის ყოფასთან. მაგალითად, სამხრეთ აესტრალიაში, კუნაღდას მღვიმის კედლებზე შესრულებული ნახატები უფრო ძველია, ვიდრე სამხრეთი ევროპიდან ცნობილი მღვიმური კულტურის ბევრი კლასიკური ნიმუში.

ავსტრალიაში, პირველყოფილი ტრადიციებით მცხოვრები აბორიგენები, დღემდე არიან გატაცებული ხატებით. ეს ეხება როგორც მატერიკის ჩრდილოეთში (კარპენტარიის ყურის სანაპირო), ისე ცენტრალურ უდაბნოში მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას.

ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში არსებული, ცნობილი გეოლოგიური წარმონაქმნი აიერს-როკი (ულურუ) აბორიგენთა მიერ წმინდა ადგილადაა შერაცხული. ბუნების ამ შესანიშნავი ძეგლის გამოქვაბულებში შემორჩენილია მღვიმური მხატვრობის იშვიათი ნიმუშები. ნახატების ძირითად თემას ადგილობრივ ცხოველთა სამყარო წარმოადგენს. დამახასიათებელია გეომეტრიული ფიგურებიც. ამ

უკანასკნელთ, როგორც ჩანს, ადგილობრივები სამყაროს აბსტრაქტიზმს ახდენდნენ. ანიმალისტური ჟანრის ეს ნახატები, ზოგიერთი თვალსაზრისით, ევროპის გამოქვაბულებში შესრულებული წინაისტორიული ხელოვნების ასეთივე ნიმუშებს მოგვაგონებენ.

ადგილობრივები ბევრ ნახატს აახლებენ, ვინაიდან თვლიან, რომ სანამ კლდეზე ცხოველთა გამოსახულება მკაფიოა, თვით ეს ცხოველებიც (კენგურუ, კუ, ხელიკი – ვარანები) – ნადირობის მთავარი ობიექტი – უხეად იქნებიან წარმოდგენილნი სანადირო ტერიტორიაზე.



სურ. 360. არნემ ლენდი. აბორიგენთა მიერ „რენტგენული სტილით“ შესრულებული ნახატი.



სურ. 359. არნემ ლენდი (ჩრდ. ავსტრალია). აბორიგენი კლდეზე აბსტრაქტული ნახატის ხატვისას.

კონტინენტის ჩრდილოეთში, არნემ ლენდში (კიმბერლის პლატო) აბორიგენებისათვის დამახასიათებელია კლდის კალთებზე შესრულებული ნახატების ე.წ. „რენტგენული სტილი“ – ცხოველებს ხატავენ შინაგანი ორგანოებითურთ.

ხშირად ასეთ ნახატებს საკულტო დანიშნულება აქვს. ერთ-ერთი ტრაიბის – ვალბირის – შეხედუ-



სურ. 361. არნემ ლენდი. აბორიგენთა რიტუალური ხასიათის ცეკვა. ცეკვის პროცესში (ინიციაცია) ხდება ახალგაზრდა ჭაბუკების მამაკაცად კურთხევა.

ლებით სამყარო შექმნილია დიდი სულის – გველი-ცისარტყელას მიერ. ელვა-ჭეჭა-ჭუხილის შემდეგ მისი მრავალფეროვანი კული გადასერავს ცის თაღს. მოხუცებს უყვართ თხრობა იმის თაობაზე, თუ როგორ ბინადრობს გველი-ცისარტყელა მკვეთრად დაქანებული ფერდობის ძირას არსებულ სოროში. ეს ადგილი მათი საცხოვრებელი ტერიტორიის ცენტრშია მოთავსებული. თვითონ გველი არავის უნახავს, მაგრამ ნაკვალევი თურმე ბევრისთვისაა ცნობილი.

მრავალი თაობის წინ ადამიანები აქ სხვადასხვა ფერის უანგმიწით ხატავდნენ გველდმერთს. ამ ევებერთელა სერპენტინის გვერდით გამოსახული იყო ნალისებრი ფიგურები. პროფესიონალთა შეხედულებით, სხვა გეომეტრიულ ფიგურებთან ერთად ისინი ასახავდნენ აბორიგენთა წინაპრებს – წინაისტორიულ ადამიანს, რომელმაც პირველმა დახატულია პარალელური ხაზები, კონცენტრირებული რგოლები, წერტილები – ეს უკვე ამჟამინდელ ცხოველთა წინაპრების, მათზე მონადირე ადამიანთა იარაღების სიმბოლური გამოსახულებებია.

რამდენადაც აესტრალიის ძირითადი მოსახლეობის საზოგადოებრივი და სულიერი სტრუქტურის დიფერენციაცია, მისი კულტურა არაჩვეულებრივად თვითმყოფადია, იმდენად მისი მატერიალური კულტურა ღარიბი და ერთფეროვანია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ აბორიგენთა ცხოვრების მომთაბარე წესს, ეს ბუნებრივიცაა. ქვეყნის ერთი რაიონიდან მეორეში ხშირად გადაადგილებად ხალხს ხელს უშლიდა მათ მიერვე დამზადებული საგნების, იარაღების სიმრავლე. ამიტომ ადგილობრივები ერთსა და იმავე საგანს ერთდროულად რამდენიმე დანიშნულებით იყუ-

ნებენ. ავიღოთ მაგალითისთვის ხის შუბი – აესტრალიელი მონადირის ეს უნივერსალური იარაღი. მამაკაცი მას იყენებს არა მხოლოდ სატყორცნად, ანდა სხვის მიერ ნასროლი შუბის მოსაგერიებლად, არამედ მრავალი მიზნითაც: სხვა საგანზე ხახუნით ცეცხლის გასახალებლად, დასარტყამ შუსიკალურ ინსტრუმენტად, დაბოლოს, საკულტო დანიშნულების საგნადაც. შუბის ზედაპირზე ამოჭრილია ტრაიბის ტოტემი. ვინაიდან, მეტწილად ეს ტოტემი მცენარე, ცხოველი ან წყალია, იარაღზე მინიშნებულია ამ სულიერ თუ უსულო საგანთა ტოპოგრაფია, არეალი, ამიტომ აბორიგენი სანადირო იარაღს გეოგრაფიულ რუკადაც იყენებს. ამ რუკის გაშიფერა ხელეწიფებათ მხოლოდ მამაკაცებს, რომლებმაც საკულტო რიტუალების მთელი სკოლა გაიარეს.

მეორე, აესტრალიელის კიდევ უფრო ცნობილი იარაღია ბუმერანგი. მას კაცობრიობის არც ერთ



სურ. 362. ცენტრალური აესტრალიის აბორიგენი ბუმერანგით.



სურ. 363. აბორიგენი ეკალიპტის ხის ტოტისაგან დამზადებული ჩასაბერი (საკრავი) ინსტრუმენტით – დიდჯერიდუთი.

სხვა კულტურაში არ გააჩნია ანალოგი. ამიტომ სათანადო ლიტერატურაში ავსტრალიელი, ჩეუ-ლებრივი, ბუმერანგითაა გამოხატული, ე.ი. ეს იარაღი წარმოდგენილია ადგილობრივი ყოფის განუყოფელ აქსესუარად. აღსანიშნავია, რომ მსგავსი შეხედულება მთლად არ შეესაბამება სინამდვილეს. კონტინენტზე ვხვდებით ადგილობრივი ტომების მჭიდროდ დასახლებულ რაიონებს, სადაც ბუმერანგს საერთოდ არ იცნობენ, ე.ი. არ არიან კულტურულ, სოციალურ კავშირში ბუმერანგის მქონე ადამიანის პოპულაციებთან.

საორტული შეჯიბრებების გარდა, როდესაც ბუმერანგი დაოსტატებულ მსროლელს უკანვე,



სურ. 364. ცენტრალური ავსტრალიის წითელნიდაგაიანი უდაბნოები. ანანგუს ტომის ახლგაზრდასთან, ეკალიპტის ხისგან ნაკეთები, ტრადიციული ინსტრუმენტით.

სუსტად ხელში უბრუნდება, ამ ორიგინალურ საგანს გართობის სხვა დანიშნულებაც აქვს – ბრტყელი ნაწილებით ორ ასეთ იარაღს ერთმანეთს სცემენ და ამგვარად გამოცემული, რიტმული ბგერების აკომპანიმენტზე ცეკავენ, ზოგიერთი ასეთივე ხერხით მათ მუსიკალურ ინსტრუმენტადაც იყენებს.

ბუმერანგს პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს – გამოიყენება ცეცხლის გასანაღებლად, ქვის საპარსის გასაღესად, ნადირთა სოროს ამოსათხრელად, იხეებზე სანადიროდ, კენგურუსა და გუმუს ხორცის ასაქნელად.

ხის იარაღების მსგავსად, ტექნიკური და მხატვრული თვალსაზრისით ასევე სრულყოფილადაა დამზადებული ქვის არაერთი იარაღიც.



სურ. 365. ცენტრალური ავსტრალიის ერთადერთ ქალაქ – ალის-სპრინგთან მცხოვრებ აბორიგენთა ბავშვებთან.

ეკალიპტისგან მზადდება ჩასაბერი ინსტრუმენტი – დიდჯერიდუ. მისი მაგიური ბგერები საუცხოოდ ეხამება აბორიგენთა ტოტემისტურ მსოფლმხედველობას, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში – ადამიანი ბუნების განუყოფელი ნაწილია!

კონტინენტის უდაბნოებში დღემდე ცხოვრობს განეთარების ძველი ქვის ხანის ხალხი. ეთნოგრაფები მათ ბინდიბუს (ან პინტუპი) უწოდებენ. ადამიანთა ამ პოპულაციას ევროპელი კაცი 1930 წლამდე არ ენახა. 1957 წელს სპეციალისტთა მიერ დაწერილებით იქნა შესწავლილი და ფოტოფირსე დაფიქსირებული ბინდიბუელთა ყოფა, კულტურის დონე. 1960 წლიდან მათი ნაწილი მთაწრობის მიერ ორგანიზებულ რეზერვატებში იქნა მოთავსებული. 50-იან წლებში გამოკვლეული მასალებით ცხადი გახდა, რომ ბინდიბუს ტრაიბები არსებობის ისეთივე წესს მისდევენ, როგორც მათი 10000 წლის წინანდელი წინაპრები.

დაბალი მატერიალური კულტურის მიუხედავად, ბინდიბუს ხალხი შესანიშნავადაა შეგუებული ცენტრალური ავსტრალიის მკაცრ უდაბნოებში ცხოვრებას. საკვების ყოველდღიური მოპოვება განაწილებულია ქალებსა და მამაკაცებს შორის; კაცი



სურ. 366. ვიქტორიის შტატი. ადგილობრივ რეზერვატში აბორიგენტთა მიერ შეჭმული ემუს ძელის ნარჩენები.

ემუსა და ვალაბიზე ნადირობს, ქალი – მცენარეთა ფესვებს თხრის, აგროვებს მათ თესლსა და ნაყოფს. ცეცხლის გასაჩაღებელი ხმელი ფიჩხის მოპოვებაც მდებარეობითი სქესის მოვალეობაა. საღამოს პირს იკრიბება ორივე სქესი, რათა გაინაწილონ მთელი დღის მონაპოუარი და დანაყრდნენ. თუ დღის ან სეზონის განმავლობაში მამაკაცს ნადირ-ფრინველზე ან დაჭერილ ხელიკებზე (ვარანებზე) ნადირო-

ბისას ხელი მოეცარება, კმაყოფილდება ქალების მიერ შეგროვილი მცენარეებით.

სანადირო და სხვა საგნებზე მოთხოვნილება მარტივია, ხოლო მათი დამზადების კულტურა – მწირი. უდაბნოს დღის ხვატსა და ღამის სიცივეს დედიშობილები ხელებიან შუის სხივების მოსაჩრდილებლად, ანდა ქარისგან თავდასაცავად იყენებენ მხოლოდ მაღალღეროიანი მარცვლოვანი ბალახის – სპინიფექსის – გროვას, ღამის სიცივეს კი აძლებინებთ დანთებული კოცონის ნალეერდალი.

მამაკაცის სანადირო იარაღი – ქეის ნაჯახი და ქეისავე მახვილპირიანი დანებია. ქეის ნაჯახის ტარზე მისი პირი კენგურუს ძარღვებით მაგრდება. მამაკაცები დაოსტატებულნი არიან აგრეთვე მცენარისაგან შხამიანი წვენის გამოწურვაში. წვენში აეღებენ შუბის წამახვილებულ წვერს. ნადირობაში ეხმარებათ ნახევრად მოშინაურებული ძაღლი – დინგო. ფართოდაა გამოყენებული ფრინველის მოსაკლავი, ბუმერანგის მსგავსი იარაღი. მულგას ბურქნარის ძნელად მისაღვომ ფესვების ამოსათხრელად ქალები წამახვილებულ ჯოხებს იყენებენ. თოკებს მცენარეთა ფოთლებისგან წნავენ, რისთვისაც იშველიებენ ფეხის ცერა თითს, თოკებს იყენებენ ფიჩხის სასიდად, ბეჭების სატარებლად. უდაბნოში ერთი კოცონის დასანთები ფიჩხის შეგროვებას ათობით კილომეტრზე წანწალი სჭირდება.



სურ. 367. ქალები თოკის დამზადების პროცესში.



სურ. 368. ქვეყნის ჩრდილოეთი ტერიტორია. არსებმ ლეჩხდის ნახევარკუნძული. მეთევზე აბორიგენ ბავშვებთან.

წვიმის მოსვლას ერთი დღე-ღამით ადრე იტყობენ. რელიეფის ჩაღრმავებებში დამდგარ წყალს წინაისტორიული წესით – ნადირივით გართხმულები სვლევენ. გუბურები აქ მთელი წლის განმავლობაში დიდი იშვიათობაა, ამიტომ წყურვილს ხორციანი, სუკულენტი მცენარეებით, ანდა მოხერხებულად შებრვილი დილის ნამით იკლავენ.

გარდა იმისა, რომ შესანიშნავად ერკვევიან გაშლილ ტრამალთა სიერცეში, ბინდბულები ჩინებული კვლამაძიებლები არიან. ამ კონტინენტის სხვა ძირეული მოსახლეობის მსგავსად, ბინდბუს ტომის ადამიანებს შეუძლიათ მიაგნონ თითქოსდა სრულიად შეუმჩნეველ ნაკვალევს. ისინი, ნებისმიერ პირობებში ადვილად იგებენ, თუ რამდენი ხნის წინათ დატოვა კვალი ადამიანმა ან ნადირმა. ამ უნარის გამო აბორიგენებს მატერიკის ტრამალებსა და ტყეებში დაკარგული ათობით თეთრკანიანი გადაურჩენიათ. მეორე მსოფლიო ომის დროს უდაბნოში ჩამოვადებულ მფრინავებს რომ თვითმფრინავებით, ჯიპებითა და ძაღლებით ვერ აგნებდნენ, ადგილობრივები ამას მათთვის ჩვეული „მეექვსე გრძნობით“ ახერხებდნენ.

ცხადია, ავსტრალიელ აბორიგენთა ცხოვრების თანამედროვე წესი ძალიან ახლო დგას ქვის ხანის ადამიანის ყოფასთან. ხშირად ხაზს უსვამენ დედამიწის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობასთან შედარებით ადგილობრივთა მნიშვნელოვან ჩამორჩენილობაზე. ეს ფაქტია, მაგრამ იგი ავსტრალიოდთა გენეტიკურად თანდაყოლილი, დაბალგანვითარებული ინტელექტის მიზეზით არ მომხდარა. დაეიწყეთ მათი ანთროპოლოგიით. მაღალი შუბლით, საერთო იერსახით თავისუფლად შეიძლება ამ ხალხის ყველაზე „ადამიანური რასების“ გვერდით დაყენება. გარდა ამისა, ენა, მითოლოგია, რიტუალები, ხატვის კულტურა და ნახატებში სამყაროს აბსტრაქტიზების უნარი, საერთო სოციალური ორგანიზაცია, გარემომცველი ბუნების უფრო მეტი ცოდნა, სიერცეში (თვით უდაბნოში) ორიენტაციის შესაშური უნარი და ა.შ., აშკარად მეტე

ველებს მათი სრულიად ნორმალური მენტალიტეტის სასარგებლოდ.

მაშ, რატომ აღმოჩნდა დღემდე ავსტრალიის ადგილობრივი მოსახლეობა განვითარების ესოდენ პრიმიტიულ დონეზე? ამ რთულ კითხვაზე უადრესად საინტერესო და დამაჯერებელი პასუხი მოიხაზა. წინაისტორიულ ადამიანს დედამიწის ამ ყველაზე განაპირებულ ხმელეთის ათვისებაში ბუნებამ შეუწყო ხელი, მაგრამ ბუნებაზე მოწყობა იგი დანარჩენ სამყაროს და ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დააყენა. საქმე ის არის, რომ 10000 წლის წინათ დამთავრდა უკანასკნელი გამყინვარება. დედამიწის კლიმატის დათბობის ფაზაში შესვლამ გააძლიერა ყინულის ექვიბრთვლა მასივები. ოკეანის დონემ ხელახლა მოიმატა, ზღვის წყლებით კელაიჩიდებურად დაიფარა მანამდე გახმელებული კონტინენტური შეღვები, კუნძულებიც წინანდებურად დაცალკევედნენ. ეს პროცესი ავსტრალიის მიმდებარე არქიპელაგებსაც შეეხო.

პალეოგეოგრაფიული მონაცემებით „ხიდი“ ავსტრალიასა და ახალ გვინეას შორის „დატბორილ“ იქნა ფლანდრიული ტრანგრესიის ეპოქაში – 5,5-8 ათასი წლის წინათ. ამ შეხედულებას იზიარებს ავსტრალიელი არქეოლოგი ა. მაღვენი. ამგვარად, ავსტრალიელი აბორიგენები მოწყვეტილები აღმოჩნდნენ თავიანთ მონასამშობლოს – აზიას. აქედან მოყოლებული ადგილობრივთა განვითარება ჩაკეტილ სამყაროში მიმდინარეობდა. ამ გარემოებებს დაემატა მატერიკზე კლიმატური პირობების გაუარესება. კალაპოტსავე მდინარეებით რწყვადი, მატერიკის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილების აყვავებული რაიონებზე უდაბნოებად გადაიქცა. პავის გამშრალების მსახურალი ხელი დაეცყო თვით ტროპიკულ ჩრდილოეთსაც. ამგვარად, უკა




სურ. 369. ავსტრალიელი მონადირე-გლეხი ვარანებით.



სურ. 370. აბორიგენი ქალი მიწის თხრის პროცესში და მცენარეთა ფესვებზე მწერთა მატლების შეგროვებისას.

ნასკენელი 8-10 ათასი წლის განმავლობაში ავსტრალიის ძირძველ მოსახლეობას ერთბაშად დაატყდა თავს ორმაგი განსაცდელი – მესობელ მატერიკულ და კუნძულებისგან შემდგარ აზიასთან კავშირის გაწყვეტა და კონტინენტის უმეტესი ნაწილის გაუდაბურება. ამიტომ იყო, რომ ევროპელთა ავსტრალიის მატერიკზე გამოჩენისას, მისი ძირითადი მოსახლეობა წარმოადგენდა ისეთ ეთნიკურ ერთობლიობას, რომელიც ანთროპოლოგიური ნიშნებითა და ენით მკვეთრად განსხვავდებოდა აზიაში, აფრიკაში, ამერიკასა და ოკეანეთში მცხოვრები ხალხებისაგან.

ავსტრალიელთა ჩამორჩენის მეორე მიზეზი ადგილობრივი ცოცხალი ბუნების თავისებურებებში მდგომარეობს. ავსტრალია ერთადერთი კონტინენტი, სადაც უაღრესად ღარიბი ნიადაგისა და მკაცრი კლიმატური პირობების გამო, შეუძლებელია მარცვლოვანი მცენარეების გაკულტურება და ნამდვილ მიწათმოქმედებაზე გადასვლა. ავსტრალიაში ღარიბია საკვებად ვარგისი ნაყოფისმომცემი მცენარეებიც. მცენარეული საკვების ამ დეფიციტს კონტინენტზე ცხოველებიც დაემატა – ევროპელთა



სურ. 371. მცენარეთა, განსაკუთრებით ექვალიბტის ფესვებზე შეკვრული მატლები, ცილების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ნაცარში შემწვარს, მათ სიამოვნებით შეეცევიან ადგილობრივები.

მიერ შემოყვანილ პირუტყვამდე მატერიკზე არასოდეს ბინადრობდნენ გარეული ჩლიქოსნები – მოსაშინაურებელ ცხოველთა უმთავრესი წყარო. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ვერ შეიქმნებოდა შუამდინარეთის, ნილოსის, ინდის ან ხუანხესპირა ცივილიზაციების მსგავსი ადამიანთა განვითარებული საზოგადოება.

გონიერი ადამიანი (ჰომო საპიენსი) ჯერ კიდევ ასი ათასი წლის წინათ მისდევდა ცხოვრების მსგავს წესს: ნადირობდა ცხოველებზე, აგროვებდა საკვებად მცენარეთა ვარგის ფესვებს, ნაყოფებს, იჭერდა თევზებს...

ისტორიულ წარსულში ავსტრალიის პირველი მოსახლეობა – მუქკანიანები – დიდი ხანია ასი-მილირდნენ კონტინენტზე უფრო გვიან მისულ ხალხთან. დანარჩენებმა, შედარებით ღია კანისა და ტანმოსუღმა აზიელებმა, თანდათან წარმოქმნეს ის ანთროპოლოგიური რასა, რომელიც ამჟამად



სურ. 372. ავსტრალიოიდური რასის ტიპური წარმომადგენელი მამაკაცი (ცენტრალური ავსტრალია).


ავსტრალიოიდურის სახელწოდებითაა ცნობილი. იგი წარმოადგენს ეკვატორული რასის ნეგროიდულ-ავსტრალიოიდურ შტოს. ავსტრალიის თანამედროვე აბორიგენები – ამ რასის წარმომადგენლები – ხასიათდებიან მუქი ყავისფერი ან მოშავო კანით, გრძელი თავით, ტალღოვანი შავი თმით, ბალნიანი სახით, ფართო ცხვირით, მსხვილი ტუჩებით, რამდენადმე წინ წაწეული ყბებით, საშუალო ან საშუალოზე მაღალი ტანით.

ამგვარად, მათ ანთროპოლოგიურ ტიპში შეხამებულია ორი რასის – ნეგროიდთა და ევროპეოიდთა ნიშნები.

XVIII საუკუნის მიწურულისათვის მატერიკის ადგილობრივი მოსახლეობა მთელ კონტინენტზე ყოფილა განსახლებული და, როგორც ითქვა, დაახლოებით 300000 კაცს ითვლიდა. ეთნიკური თვალსაზრისით აბორიგენები დიდი სიჭრელით გამოირჩეოდნენ – დანაწილებული იყვნენ 500-ზე მეტ ტომად, ლაპარაკობდნენ 600-ზე მეტ ენასა და დიალექტზე, რომელთა შორის დაახლოებით 450 აღარ, ან თითქმის აღარ არსებობს (მათ შორის



სურ. 373. ავსტრალიიდური რასის ტიპური წარმომადგენელი ქალი (ცენტრალური ავსტრალია).



სურ. 374. ჯეიმს კუკის – ავსტრალიის ფაქტობრივი აღმოჩენის ძეგლი სიდნეიში (პაიდ პარკი).


სამხრეთ-აღმოსავლეთი ავსტრალიის ყველა ენა). ამჟამად ავსტრალიოიდა უმრავლესობას დამწერლობა არა აქვს, ხოლო ვისაც იგი აქვს, ლიტერატურულად სუსტადაა განვითარებული. ადგილობრივ ენებზე მოლაპარაკე ეს ხალხი შემორჩნენ მხოლოდ საცხოვრებლად ნაკლებად ვარგის ქვეყნის ჩრდილოეთ, ცენტრალურსა და ნაწილობრივ დასავლეთ რაიონებში. სალაპარაკოდ სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ინგლისური ენა.

XVIII საუკუნიდან დაიწყო ავსტრალიის კონტინენტის ევროპელთა მიერ კოლონიზაციის ფართო

პროცესი. თეთრკანიანთა მხრივ მატერიკის ათვისებას თან სდევდა აბორიგენთა მასობრივი განადგურება. თუმცა მსგავსი კამპანია არ ჰგავდა ტანმანიელთა და ახალზელანდიელთა პირწმინდა გენოციდს, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული გახდა მატერიკის ცენტრალურ, უნაყოფო რაიონებში განსახლებულიყო. 1996 წლის მონაცემებით, ავსტრალიაში ითვლიდნენ 41000 აბო-



სურ. 375. ბოტანი ბეი (ბოტანიკის ყურე) მემორიალური მუზეუმით. 1770 წლის 26 აპრილს კაპიტან კუკის ხომალდმა – „ინდევეორმა“ – ღუზა ჩაუშვა წყნარი ოკეანის აღნიშნულ ყურეში. 1788 წლიდან დაიწყო ინგლისელების მიერ კუნძულ-კონტინენტის კოლონიზაცია.



სურ. 376. მასობრივი გენოციდის შემდეგ, XX საუკუნის II ნახევრიდან, აბორიგენებისათვის კონტინენტზე შექმნეს რეზერვატები. აბორიგენთა „სიმყუდროვის“ დამარღვევით ემუქრება ძალიან დიდი ჯარბმა, ანდა საპატიმრო 5 წლის ვადით...

რიგენს (მეტისებთან ერთად კი 150000 კაცს, ანუ ქვეყნის მოსახლეობის 1%), მათგან 1000-მდე ადამიანი ცხოვრობს პირველქმნილ უდაბნოებში და დღემდე მისდევენ წინაპართა ქვის ხანის ცხოვრების წესს. 12000-მდე ადგილობრივი დასაქმებულია ქვეყნის მადაროებსა და მესაქონლეობაში, მხოლოდ 2000-მდე აბორიგენი ეზიარა დიდი ქალაქის ცივილიზაციას. დაბოლოს, დანარჩენი 26000 სული, მათ შორის ასაკოვნები, თავმოყრილნი არიან სპეციალურ რეზერვატებში და მათ ხელისუფლება იცავს. ეს მცირერიცხოვანი ხალხი ავსტრალიური რასის უკანასკნელი მოპიკანები არიან. ქვის ხანის კულტურის მატარებელი ადგილობრივები ძირითადად დასაველეთსა და ჩრდილოეთ ავსტრალიაში შემორჩნენ. სპეციალისტთა აზრით, აბორიგენტთა ეს რელიქტური პოპულაცია ტრადიციადუ-კარგული, დემორალიზებული (დეტრაბილიზებული) ადამიანებია, რომლებმაც საკუთარ თავზე იწვინეს ევროპელთა მიერ შეტანილ სნეულებათა მძვინვარება (რომელთა მიმართ არ ჰქონდათ გამომუშავებული იმუნიტეტი), ახლობელთა ელენტა და გადასახლება, ბუნებაში ეკოლოგიური წონასწორობის მკვეთრი დარღვევა (იგულისხმება მატერიკზე ბოცკერებისა და ალოფს შეტანის ეპოქა). ვინაიდან ავსტრალიაში შეხამებული იყო მინიმუმ ორი დიდი ანთროპოლოგიური რასის – ნეგროიდისა და ევროპოიდის ნიშნები, ერთდროულად დედამიწის ყველაზე არქაული კულტურის მატარებლები იყვნენ, XVIII საუკუნიდან მოყოლებული მათ წარმოშობაზე გამოითქვა მრავალი,


ხშირად ურთიერთგამომრიცხავი პიპოთეზა. ბევრი მეცნიერი ვარაუდობდა, რომ აბორიგენები ავსტრალიის ავტოქტონებია, ე.ი. ეს რასა იქვე, ავსტრალიაში წარმოიშვა. XX საუკუნემდე ძველი იყო იმის წარმოდგენა, რომ ხის მორისგან გამოთლილი ნავით, ან ლიანებით გადაწვლილი ტივებით ვინმეს ოკეანის გადალახვა შეეძლო. ავსტრალიიდის „სინთეზურმა ანთროპოლოგიამ“ და შედარებით პრიმიტიულმა კულტურამ XIX საუკუნის არაერთ სპეციალისტს მისცა საფუძველი გამოეთქვა აზრი ავსტრალიიდისგან ყველა დანარჩენი რასის წარმოშობის თაობაზე, რომ თვითონ ეს კონტინენტი კაცობრიობის სამშობლო.

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში არაერთი მეცნიერი-ევოლუციონისტი ავსტრალიის ძირძველ მოსახლეობაში ძველი ქვის ეპოქის კულტურის ცოცხალ წარმომადგენელს ხედავდა. აქედან გამომდინარე, უმრავლესობისათვის აქსიომად იქცა შეხედულება – ავსტრალიიდან კულტურის შესწავლით შეიძლებოდა ცხადი გამხდარიყო კაცობრიობის პირველყოფილი საზოგადოების ფორმირება, რომ ავსტრალიის ეთნოგრაფია ერთგვარი ალაღინის ლამპარია ჰომო საპიენსის სოციალური და კულტურული განვითარების ადრეული ეტაპების საიდუმლოებებში ჩასახვდად.

XX საუკუნის გამოკვლევებმა მართლაც დაადასტურეს მსგავსი შეხედულება, მაგრამ ბევრ შემთხვევაში სულ სხვა კუთხით. საქმე ის არის, რომ არ გამართლდა ავსტრალიელთა ამ კონტინენტზე წარმოშობა (ავტოხტონურობა), ვინაიდან კონტინენტზე ნამარხების სახით არ იქნა მოპოვებული



სურ. 377. ველურ მცენარეთა ნაყოფის შემგროვებელი ჩრდილოეთ ავსტრალიაში.



სურ. 378. თანამედროვე სიღნეღი 3 მილიონი მოსახლეობითა და მისი სიმბოლოთი – კარბორ ბრიჯით (ნახსადგურის ხიდი) და ოპერის თეატრით, მსოფლიოს ერთ-ერთი უღამაზესი ქალაქია.

არც უმაღლესი პრიმატები და არც უძველესი და ძველი ადამიანების – არქანთროპებისა და პალეოანთროპების ნაშთები. პალეოგეოგრაფიულმა და გეოლოგიურმა მონაცემებმა ცხადი გახადეს 50-10 ათასი წლის შუალედში გახმელეთებული სამხრეთ-აღმოსავლეთი ასიის კუნძულების გზით კონტინენტზე წინაისტორიული ადამიანის ინვაზიის შესაძლებლობა.

აესტრალიაში დღეს წმინდა სისხლიან აბორიგენთა მხოლოდ მცირე ნაწილი განაგრძობს მონადირისა და შემგროვებლის ნახევრად მოხეტიალე ცხოვრებას, ასეთების რიცხვი ყოველწლიურად მცირდება. მაგრამ სწორედ ეს ნაწილი ინარჩუნებს აესტრალიაში პირველყოფილი ტრაიბების ტრადიციული კულტურისა და საზოგადოებრივი ყოფის თავისებურებებს. აღსანიშნავია, რომ არქაული კულტურის არც ეს ძირძველი ელემენტები შემორჩა უცვლელი – მათში გარკვეული მარცვალი შეიტანეს თვით აესტრალიელთა სულიერი, ინტელექტუალური განვითარების გვიანდელმა მიღწევებმა, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთი ასიიდან და ოკეანიიდან შემოჭრილმა სიახლეებმა, მაგრამ ძირეულ აესტრალიელთა ტრადიციული კულტურის უმთავრესი ბირთვი, ბალაგარი მაინც შემორჩა.

სწორედ ამ რელიქტური კულტურის გაცნობიერებას აქვს შეუფასებელი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. იგი შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული სხვა კონტინენტებზე, სხვა რასებსა და ხალხებში აწ უკვე წაშლილი, პალეოლითური ცივილიზაციების რეკონსტრუქცია-აღდგენისათვის. ისევე როგორც აესტრალიის სასწაულებრივად შემორჩენილი კვერცხისმდებელი ძუძუმწოვრები გააძლევენ გასაღებს ცხოველთა სამყაროს ყველაზე განვითარებული კლასის – მამალიას წარმოშობა-ეოლოგიის საწყის ეტაპებში ჩასაწვდომად, ამავე მატერიის პალეოლითურ-მეზოლითური კულტურის მატარებელი ტრაიბები უნივერსალური, ცოცხალი მოდელები არიან დედამიწაზე პომო საბიენსის პირველყოფილ საზოგადოებათა ფორმირება – შემდგომი პროგრესის ძირითად პროცესებში გასარკვევად.

აესტრალიის პრიმიტიული ძუძუმწოვრები გადაურჩნენ მთელი კაინოზოური ერის (ბოლო 65 მლნ წ.) გეოლოგიურ კატაკლიზმებს. ამ ერაში კი კონტინენტებმა დაიკავეს დღევანდელთან მიახლოებული მდებარეობა, ადგილი ჰქონდა ინტენსიურ მთაიწარ-



სურ. 379. გარკვეული ანაქრონიზმი – ნეოლითური კულტურის ადამიანი სიღნეღის ცენტრში (სირკულარ კეი), მიკროფონში ასრულებს აბორიგენტთა სიმღერებს.

მოქმნებს, გაუღაბნობებს, გამყინვარებებს და ა.შ. მაგრამ მეოთხეული პერიოდის (ანთროპოგენი) მიწურულს (უკანასკნელი 10000 წელი) ევოლუციის ასპარეზზე გამოვიდა ორ ფეხზე მოსიარულე, აბსტრაქტული აზროვნებით აღჭურვილი არსება – ჰომო საპიენსი. თუ ინდონეზიის კუნძულებს შორის მდებარე უოლესის ხაზი – ოკეანის წყლების გეოგრაფიული ზღუდე – ხმელეთის სხვა ხერხემლიანებისთვის დაუძლეველი ბარიერი იყო, წინაისტორიულმა ადამიანმა საკუთარი ხელით დამზადებული ტივით შედარებით იოლად გადალახა იგი. თუ როგორ შეეძლო წინაისტორიულ ადამიანს მსგავსი პრიმიტიული სანაივგაციო საშუალებებით დაეძლია ოკეანის ათასკილომეტრიანი სივრცეები და დედამიწის ერთი კიდიდან მეორეში განსახლება ულიყო, პირადი მაგალითით დაამტკიცა თურქირდალმა. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის კუნძულთა ჯაჭვის გამოყენებით ავსტრალიისაკენ გზის გაკეღევა, ისიც გამყინვარებების ეპოქათა ოკეანის გამეჩხერებული წყლებით, ადამიანისთვის გაცილებით იოლად გადასატრეული პრობლემა იყო. მოხდა ის, რაც პლეისტოცენში (უკანასკნელი 2 მლნ წ.) აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო – პლაცენტინი ძუძუმწოვრებისა და, საერთოდ, ცხოველთა სამეფოს ყველაზე მაღალგანვითარებულია სახეობამ – ადამიანმა – განსახლების პირვანდელი ცენტრიდან – ტროპიკული აღმოსავლეთი აფრიკიდან – პლანეტის ყველაზე განაპირებულ კონტინენტზეც შეაღწია. მაგრამ წინაისტორიული ადამიანი, თუმცა მრისხანე ზემტაცებული, მაინც ზოოლოგიურ სახეობას წარმოადგენდა – მას ჯერ კიდევ არ ძალუძდა ხელის ერთი მოსმით ნაცარტუტად ექცია ბუნებაში მის გვერდით არსებული კონკურენტ ფორმები. დაახლოებით 50000 წლიდან მოყოლებული, ჰომოს ავსტრალიოიდურ რასად ფორმირებულმა პოპულაციებმა, მთელი კონტინენტი აითვისეს. ქვის ნაჯახით, შუბთა და ბუმერანგით შეიარაღებული, ცხოველებზე მონადირე და ფეხების შემგროვებელი აბორიგენი თანდათან „ჩააწერა“ მატერიკის ბუნებრივ წონასწორობაში, ჩანთოსან მგელთან, მის მიერ შეყვანილ და გაეღურებულ დინგოსთან ერთად დაიკავა რგიით მტაცებლის ეკოლოგიური ნიში და შესამჩნევად არასოდეს დაურღვევია მატერიკის ბუნებრივი წონასწორობა.



სურ. 380. აბორიგენი ძაღლ დინგოსთან ერთად (დასავლეთი ავსტრალია).

მასალას ადამიანის პროტოავსტრალიოიდურ ტიპს აკუთვნებენ. ინდოჩინეთის ამ პროტოავსტრალიოიდურ მონაპოვარს ნეოლითის დასაწყისით (9000 წ. წინათ) ათარიღებენ, ხოლო იაიისა – პალეოლითის მიწურულით (20000-10000 წ. წინათ).

1960 წელს ნახევარკუნძულ არნემ ლენდში აღმოაჩინეს მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქვის ნაჯახები. ეს იარაღი დაახლოებით 23 ათასი წლის წინათაა დამზადებული. არქეოლოგთა აზრით, მსგავსი იარაღის არსებობა მიუთითებს ავსტრალიაში თანამედროვე ტიპის ადამიანის არსებობაზე, რომელიც თავისი განვითარებით არ ჩამორჩებოდა დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ ხალხს.

1968 წელს ახალი სამხრეთი უელსის დასავლეთ ნაწილში, ტბა მაგოს სანაპიროსთან მოპოვებულ იქნა ქვის იარაღთა დიდი კერა. მეცნიერებმა ეს ნაკეთობები დაახლოებით 30000 წლით დაათარიღეს. ეს არის ქვეყნის ყველაზე ძველი არქეოლოგიური მონაპოვარი. დაახლოებით ასე თარიღდება სამხრეთ ავსტრალიის მღვიმე კუნადაში დატოვებული ადამიანის საქმიანობის დამადასტურებელი ნივთებიც.

ტბა მანგოსთან მიკელეული ადამიანის ჩონჩხის ნარჩენები, რადიონახშირბადოვანი ანალიზის მიხედვით, 25000 წელს ითვლის. მორფოლოგიურად, ჰომო საპიენსის ეს ფორმა თითქმის არ განსხვავდება თანამედროვესაგან. იგივე ითქმის ქუინსლენდის ორ რაიონში – ტალგაისა და კოპუნაში მოძიებულ ფოსილიზებულ (ძირითადად თავის ქალები) მასალებზედაც.

ავსტრალიელ აბორიგენთა აზიური წარმოშობით დაინტერესდნენ სხვადასხვა სპეციალისტები.

აღმოჩნდა, რომ გენეტიკურად და ანთროპოლოგიურად ძირეული მოსახლეობა ყველაზე დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ინდოეთის, ავრეთეე შრო-ლანკას დრავიდებთან და სხვა „პრედრავიდულ“ ნახევრად ველურ ტომებთან.

ამჟამინდელ ავსტრალიიდან ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული და ლინგვისტური გამოკვლევები შესაძლებლობას აძლევენ სპეციალისტებს დაასკვნან ყველა ავსტრალიიდური ტომის საერთო წარმოშობის თაობაზე.

უახლესი ცნობების მიხედვით, ისტორიული ადამიანის მიერ ავსტრალიის კოლონიზაცია ხდებოდა ეტაპობრივად, ცალკეული ტალღების სახით. პირველ ტალღას, დაახლოებით 50000-10000 წლის წინანდელ მონაკეთში პატარა ტანის ნეგრიტოსები წარმოადგენდნენ, შემდეგ ხან უფრო ღია, ხანაც



სურ. 381. ავსტრალიიდან შრომის იარაღები (ცენტრალური ავსტრალია).

მუქი ყავისფერი შეხედულების უფრო ახოვანმა, მომავალმა ავსტრალიიდებმა იმძლავრეს. ასე მოხდა ნეგრიტოსთა ასიმილაცია ამ უკანასკნელებში. ნეგრიტოსები დღემდე ფართოდ შემორჩნენ კონტინენტის მახლობელ არქიპელაგებზე და შედარებით შორსაც – ფილიპინების ჩათვლით. ამ განსხვავებული პოპულაციების მიერ დატოვებული შრომის იარაღებისა და სხვა მასალების მიხედვით არჩევენ კულტურის ოთხ ფენას: I უძველესი (30000-10000 წ.წინათ, ე.წ. კარტანი) – დაკავშირებულია ნეგრიტოსებთან. დამახასიათებელია უადრესად პრიმიტიული იარაღები: მიწის საჩიქნი ჯოხები, ერთ მხარეზე წამახვილებული რიყის მრგვალი ქვები, ხის შუბები, ლოკოკინათა ბასრი ნივარები (თევზისა და ნადირის ხორცის დასატრედად); II – ძველი ფენა (გაგრძელდა დაახლოებით 10000-6000 წლამდე, ე.წ. ტარტანგანი) – განაეითარეს ყველა შემთხვევაში დასახლებული იარაღი, III – ახალი ფენა (6000-4000 წ. წინათ, ე.წ. მურაგინსი და კარპენტარიანი). წარმოდგენილია ტიპური პალეოლითური შეიარაღებითა და სამეურნეო დანიშნულების საგნებით, ავრეთეე ფართოდ ცნობილი ბუმერანგით. ავსტრალიის საწყისი კოლონიზაციის დროს,

წინასტორიულ ადამიანს კონტინენტზე დახვდა შემდეგი დიდი ზომით კონკურენტ-მტაცებლები: 5 მეტრი სიგრძის ანაკონდა (*Wonamba naracoortensis*, იწოხის 100 კგ-მდე), სახოთსანი „ლოში“ (*Thylacoleo carnifex* – ავსტრალიის ყველაზე დიდი, აწ ამოწვეტილი მტაცებელი (ლეოპარდის ზომისა) და ჩანთოსანი „მგელი“ („ეფუხე“) (*Thylacynus cynocephalus*).

როგორც ჩანს, სამხრეთ ან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური წარმოშობის კარპენტარიანებმა, ახორიგენტთა საკმაოდ მაღალმა, მოქნილმა და მუქყვისფერკანიანმა პოპულაციამ შეიყვანა ავსტრალიაში ნახევრად მოშინაურებული ძალი დინგო. უკანასკნელი გამოკვლევებით ეს მოხდა დაახლოებით 4000 წლის წინათ.

დაახლოებით 5000 წლის წინათ, გლობალური დათბობის მიზეზით, ოკეანის ხელახლა მომატებულმა დონემ ავსტრალიიდს გარე სამყაროსთან დაკავშირებული ყველა „ხიდი დაუწვა“. გადიოდა ათასწლეულები და მას წარმოდგენა არ ჰქონდა განეთარების რა დონეს აღწევდა დეჰამიწაზე სხვა ცივილიზაციები: ჩვენს წელთაღრიცხვამდე გაცილებით ადრე შუამდინარეთში რომ დამწვრობა იქმნებოდა, ნილოსის ნაყოფიერ დაბლობებში რომ პირამიდები იგებოდა, ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში რომ სწორუპოვარი ფილოსოფიური ტრაქტატები იწერებოდა, განუყოფელი



სურ. 382. წელის დუმფარისა და სხვა მცენარეთა თესვებისაგან დამზადებული უქვილის ცომი, რომლისგანაც ადგილობრივები პურის მსგავს საკვებს აცხობენ.

* J. Mulvaney, J. Kamminga – Prehistory of Australia, 1999, Sydney, 471 p.



სურ. 383. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ავსტრალიელები მისდევენ მონადირეული კენგურუს შეწვის უძველეს წესს – მიწაში გაკეთებულ ორმოში დანთებული კოცონისაგან გაფარებულ ქვებზე ამზადებენ სათანადო კერძს.

ტაძრებს ვერებოდა საძირკველი, ოკეანის გაღმა, აფრო-ეერაზიული ცივილიზაციებისგან სრულიად დამოუკიდებლად, ადრე შუასაუკუნეებში ინდიელთა რამდენიმე თვითმყოფად კულტურას რომ ჩაეყარა საფუძველი, შუა საუკუნეების ეპოქაში რომ რენესანსმა გაიბრწყინა...



სურ. 384. 1951 წელს ფილიპინებში, კუნძულ მინდანაოს ჯუნგლებში აღმოაჩინეს ქვის ხანის კულტურით მცხოვრები ნეგრილების ერთი მუჭა ტომი. მათი ყოფა აბსოლუტურად არ განსხვავდება წინაისტორიული ადამიანის ცხოვრების წესისაგან.

XX საუკუნისთვის კაცობრიობა მივიდა მატარებლის, ავტომობილის, რადიოსა და ელსმენის მიჯნაზე, ავსტრალიელები კი განაგრძობდნენ ქვის ხანის ეპოქით ცხოვრებას.

მსოფლიოს დანარჩენი კუთხეებისაგან მოწყვეტამ, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებისათვის სათანადო პირობების უქონლობამ ავსტრალიელი სულ ბოლო დრომდე განვითარების პალეოლითის, უკეთეს შემთხვევაში ნეოლითის

დონეზე დატოვა. მსგავს ფაქტს კი კონტინენტის მასშტაბით ჰქონდა ადგილი. ეს იყო გაუგონარი ანაქრონიზმი. გეოგრაფიული იზოლაცია, რომელიც ცხოველთა ერთი ჯგუფის – ჩანთოსნებისათვის – უდიდესი ევოლუციური აყვავების (ადაპტური რადიაციის) საფუძველი გახდა, ავსტრალიის განვითარებისათვის უმთავრეს დამამუხრუჭებელ ძალად გადაიქცა.

მხოლოდ XVIII საუკუნიდან, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ევროპელი ადამიანის კოლონიზაციის შედეგად, ავსტრალიაში განვითარდა იგივე ანთროპოგენული პროცესები, რამაც მთელი დანარჩენი მსოფლიო მოიცვა.

* * *

გამყინვარების მიზეზითაც, ისტორიული ადამიანი ფართოდ განსახლდა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის თბილ, დაბალ გეოგრაფიულ განედებში. პოპულაციათა ერთი ჯგუფი მატერიკის კონტინენტურ ნაწილს შეეხიზნა, მეორე ჯგუფმა პრიმიტიული ტივებით, მიადწიეს იაპონიის, ფილიპინების, ინდონეზიისა და წყნარი ოკეანის აღმოსავლეთი ნაწილის კუნძულებსა და არქიპელაგებს. ზღვაზე, შორეული მოგზაურობისას, მათ ისწავლეს ქარისა და ოკეანური დინებების გამოყენება, მაგრამ ნაი-

გაციის იმდროინდელი საშუალებების პირობებში განსახლების მთავარი გზა მაინც ხმელეთზე გადიოდა. გამყინვარების მაქსიმუმისას მსოფლიო ოკეანის დონის გლობალურად დაწვევამ განსაკუთრებით გაახმელეთა ზღვის წყლებით ისეთი დანაწევრებული რეგიონი, როგორიც სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიაა. ამ რეგიონის ახლანდელი სანაპირო შეღფი მაშინ terra firma-ს (მაგარი მიწა) წარმოადგენდა. დიდი ზონის კუნძულები – კალი-



სურ. 385. ფილიპინების კუნძულ სებუს მცხოვრები აბორიგენები (ნეგრილები). დუხჭირი ცხოვრების მიუხედავად, ისინი, ამა თუ იმ დონეზე მაინც არიან ნაზიარევი კაცობრიობის თანამედროვე ცივილიზაციას. ისტორიულ წარსულში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან მიგრირებული ამ ხალხის ერთმა ნაწილმა მონაწილეობა მიიღო ავსტრალიდთა რასის ფორმირებაში.

მანტანი, სუმატრა, სულავესი და იაუა – მატერიკულ აზიასთან ხმელეთის ერთ შემადგენელ ნაწილად გადაიქცა.* ავსტრალიის გახმელეთებული შელფითაც ამ კონტინენტსა და მის ფრაგმენტებს – ახალ გვინეასა და ტასმანიას შორის არსებულმა



სურ. 386. კუნძული მაკტანი. ფილიპინელთა ეროვნული გმირი – ლაპულაპუ, რომლის თაოსნობითაც აბორიგენებმა მოიგერიეს ესპანელთა თავდასხმა ზღვიდან და მოკლეს მათი თავკაცი, გამოსენილი მეზღვაური ფერნანდო მაგელანი (1521 წ.).



სურ. 387. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ხალხში შერწყმულია ნეგრილებისა და მონგოლოიდების ანთროპოლოგიური ნიშნები.

* არქეოლოგები თანამედროვე სამხრეთი ინდონეზიის იმ დროისათვის მთლიანად გახმელეთებულ, მოგვიანებით კი კელავ ზღვის წყლებში დაძირულ მასივს, „მატერიკ სახულს“ უწოდებენ.

ტორესისა და ბასის სრუტეებმა შეწყვიტეს ან თითქმის შეწყვიტეს არსებობა. სათანადო მონაცემებით, რეგიონის სხვა სრუტეებიც, რომლებიც არ დაშრნეს და ხმელეთად არ გადაიქცხეს, დღევანდელთან შედარებით ხუოჯურ დავიწროვდნენ. ამ სრუტეებში მიმოფანტული კუნძულები განსახლებულთა მიგრაციისათვის ქმნიდნენ ე.წ. „საყრდენ ქეებს“ – თავისებურ ხიდებს. ამგვარად, ნაწილობრივ გამეჩხერებულ ზღვის, ძირითადად კი კონტინენტური ხიდებით აზიელმა ემიგრანტებმა მიადწიეს ახალ გეინეას, აქედან კი ან მთლიანად გახმელეთებული, ანდა მნიშვნელოვნად შევიწროებული ტორესის სრუტით – აესტრალიასაც.

აბორიგენები, რომელთა მამაკაცებს ძალები სკულთ

მამაკაცსა და ქალს შორის ურთიერთობაზე დაწერილს, ნათქვამსა და ნაფიქრს მართლაც რომ არა აქვს თელა. ორ სქესს შორის დამოკიდებულების ეს ფორმა შეუდარებლად აჭარბებს ყველაფერს, რაც კი ადამიანზე დაწერილა. სიყვარული და სიზლი, შიში და თანაგრძნობა, განზიდვა და თანადგომის სურვილი, აი, გრძნობები, რომლებიც იწვევენ ერთი სახეობის ორ სქესს შორის არც ისე იოლ ფორმებში გამოხატული თანაარსებობის პოლარიზაციას.


ხერხემლიან ცხოველებში ადამიანი ერთადერთი სახეობაა, რომლის ევოლუციას წითელ ხაზივით დღემდე გასდევს ორ, საპირისპირო სქესს – ქალსა და მამაკაცს შორის – მუდმივი სქესობრივი ლტოლვა.

ეფხვი ერთეულად მცხოვრები მტაცებელია. ხეადი ძუს მხოლოდ სამი-ოთხი დღის განმავლობაში ხედება. ეს ის პერიოდია, როდესაც ძუს განაყოფიერებისთვის შესატყვისი ფიზიოლოგიური პროცესი – ესტრუსი – ეწყება. მაგრამ ხეადი ეფხვი ჯუნგლების მეუფეა, მას ოჯახის, წყვილის გარეშე ცხოვრებით გადაშენება არ უწერია. სულ სხვა პრობლემის წინაშე დადგა ევოლუციის ასპარეზზე გამოსული ადამიანი – ორ ფეხზე მოსიარულე არსება. მსგავსი ანატომიური აგებულების გამო, ოთხფეხა ხერხემლიანებთან შედარებით, მან დაკარგა სწრაფი სირბილის უნარი (მოკლე მანძილზე მსოფლიო ჩემპიონი საათში 25-30 კილომეტრ სიჩქარეს აეითარებს, მაშინ როდესაც ლომი – 60 კმ, თომსონის ანტილოპა – 80 კმ, გეპარდი – 100-120 კმ სიჩქარით გარბის). თუ არა გონებრივი მონაცემები, რომელთა თვისებრიობამაც Homo sapiens-ში გაცილებით გვიან იჩინა თავი, ადამიანი სხვა მტაცებლებთან, ანდა მცენარისმჭამელებთან შედარებით გაცილებით არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა. როგორც თავის ადგილზე ითქვა, მისი, როგორც სახეობის გადარჩენის მთავარი შანსი სიყვარულის ნაიდადაზე აგებული, ცოლ-ქმრული ურთიერთობა და აქედან გამომდინარე, ცალკეულ ოჯახთა მიერ შექმნილი, პირველყოფილი, ტრაიბალური საზოგადოებები იყო. ერთი სიტყვით, ადა-

მიანის ძალა მის ერთობაში იყო, ხოლო ამ ერთობის ბალეარს სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახი ქმნიდა. ასეთ საზოგადოებას ადვილად თვით ყველაზე მძიხივარე მტაცებლებიც ვერ შოერეოდა...

სოციალური ურთიერთობების იმ ფორმას, რომელსაც მეცნიერულ ენაზე ეიგამბია, ჩვეულებრივ სამეტყველო ენაზე კი – სიყვარული ჰქვია, უარი უთხრა ოკეანეთის ყველაზე დიდი კუნძულის – ახალი გეინეის – აბორიგენთა ერთმა ჯგუფმა, ენთოსმა, რომელიც დღემდე წინაისტორიული ადამიანის ცხოვრების წესით ცხოვრობს.

სასიყვარულო ურთიერთობაზე დაფუძნებული ადამიანის კულტურა დედამიწის სხვადასხვა ხალხებსა და ენოსებში ძალზე მრავალმხრივ, ხშირად უაღრესად სპეციფიკურ ხასიათს ატარებს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პოლინაზიის სხვადასხვა ეარიაციები – მრავალცოლიანობა (პოლიგინია), მეტწილად შუა, წინა და დასავლეთ აზიის ქვეყნებში, ადამიანთა საზოგადოებაში ანალოგიური ურთიერთობის კიდევ უფრო ექსტრემაგანტური ფორმა – მრავალქმრიანობა (პოლიანდრია) სამხრეთ აზიის მთის მოსახლეობაში.



სურ. 388. მამაკაცები ბანტაგუს ტომიდან. ქიხად გამოყენებული აქეთ ხმელი ბალახით და ფოთლებით გადახურული ტროპიკული ხის – ფიკუსის – საბჯენი ფესვები.

მაგრამ არსად, დედამიწის არც ერთ ადგილას არ არის დაწესებული (ინსტიტუციონიზებული) მამრის მკვეთრად გამოხატული ანტაგონიზმი მდედრის მიმართ. მსგავს ანომალიურ სურათს ეხდებით მხოლოდ ახალი გეინეის მთის მოსახლეობაში. ისინი ბანტაგუს ტომის სახელწოდებით არიან ცნობილი.

ტენდენცია, თუ რამ განაპირობა ცოლმოქმედების (მისოგინეა) თავისებური გენეზისი ამ ხალხში, ანთროპოლოგთა უდიდესი ინტერესის საგანი გახდა.

თეთრკანიანთა პირველი შეხვედრა ახალი გეინეის მთის მოსახლეობასთან (ბანტაგუელებთან) შედგა მხოლოდ 1930-ანი წლების დასაწყისში. სათანადო ეთნოგრაფიულ-ანთროპოლოგიური კვლევა გაიშალა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. კვლევის საწყის ეტაპზე დადგინდა, რომ თავიანთი კულტურით კუნძულის ეს აბორიგენები სრულიად ორიგინალურები იყვნენ. მათ არ განუცდიათ არც აღმოსავლეთისა და არც დასავლეთის კულტურათა ექსპანსია.

ახალი გეინეის ცენტრალურ ნაწილს ძლიერ შეეხო კაინოზოური ერის (უკანასკნელი 65 მლნ წელი) ალპური, მათათაწარმოქმნის პროცესი. დღემდე იწაზღვრება ტროპიკული, წვიმიანი ტყეებით (ჯუნგლები) დაფარული, ერთდროულად ესოდენ დანაწევრებული და ერთმანეთისაგან იზოლირებული მთიანი სისტემა. ამიტომ იქ მცხოვრებ აბორიგენტთა ზოგიერთი ტომის არსებობის შესახებ ცივილიზებულმა კაცობრიობამ თვით XX საუკუნის მეორე ნახევრამდე არაფერი იცოდა.

ახალი გეინეის მთის მოსახლეობა ცხოვრობს ზღვის დონიდან დაახლოებით 1500-3000 მეტრი სიმაღლის ფარგლებში. ეს ის საბინადრო გარემოა, რომელიც მდებარეობს, ერთი მხრივ, მაღარის გაერცვლების ზონის მაღლა, ხოლო, მეორე მხრივ, ალპური სარტყლის ქვემოთ, სადაც ღამით ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში ნული გრადუსის ქვემოთ ეცემა (სეზონები, ბუნებრივია, ახალ გეინეაში არ არის გამოხატული). ამ ხალხის ეკონომიკა დაფუძნებულია ნატურალურ მეურნეობაზე,

ანუ რასაც მათ ტროპიკული ბუნება ყოველგვარი სახეცვლილებების გარეშე აძლევს. სოფლის მეურნეობა – ადამიანთა ცივილიზაციის საფუძველთა საფუძველი – ბანტაგუს ტომში ფაქტობრივად არ არის განვითარებული. მიწათმოქმედებაში დანერგილია მონოკულტურა – ბატატი, ხოლო შინაური ცხოველებიდან ერთადერთი ცხოველი – ღორი.

ტრაიბალური სასოვადოების მთავარი მუშა ძალა – ქალია. ქალები ამუშავებენ მიწას, მოჰყავთ მოსავალი, ამზადებენ საჭმელს, უფლიან ბავშვებსა და ღორის კოლტს, ქსოვენ თოკებსა და სათეესაო, ანდა სხვა დანიშნულების ბადეებს, აგროვებენ ცეცხლის დასანთებ შეშას... მამაკაცი დააკურბუნლი არიან ნადირობით, მესობელ ტომებთან საკმაო ხშირი ომებით, ძირითადად კი, ათასგვარი ხასიათის რიტუალებით, ინიციაციებით (ყმაწვილ კაცთა მამაკაცად კურთხევის რიტუალებით). ზოგიერთ რიტუალს თან ახლავს ამა თუ იმ საქონლის გაცემა. გაცემის საგანია ღორი, ტროპიკული ხილი, მოლუსკთა ნივარები, ეგსოტიკურ ფრინველთა ფრთა-ბუმბული. ტამტამთა აკომპანიმენტებით შესრულებული ცერემონიები მთავრდება ღრეობით. ამ დროს იკვლება ათობით ღორი, გოჭი. მიუღ ამ აურზაურში მონაწილეობს მხოლოდ მამაკაცთა სქესი. ღრეობას უძღვება გამორჩეული ლიდერი, დომინანტი, მამაკაცი – ალფა („დიდი კაცი“).

რაც შეეხება ახალი გეინეის მთაში მცხოვრები, ბანტაგუს ტომის მამაკაცის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, დაინტერესებული პიროვნების წინაშე წარდგება შემდეგი თვისებების მქონე პიროვნება: ეგოისტური, ინდივიდუალისტი, აგრესიული, ტრაბახა, შეურაცხყოფის მანიით შეპყრობილი, ქალთმოპულე კაცი. რაც შეეხება ქალის ანალოგიურ პორტრეტს,



სურ. 389. სიმბოლური სურათი – ბანტაგუს ტომის დაცალკეებული მამაკაცები და ქალები.

იგი შეიძლება ასე დაიხატოს: თავის თავში ჩაკეტილი, უინიციატივო, მუდმივად დაჩაგრულისა და უუფლებობის სულისკვეთებით განწყობილი, დეპრესიული პიროვნება.

მამაკაცები ცხოვრობენ ერთად, თავისთვის აკუბულ ქოხებში. ეს ეხება ახალ დაქორწინებულებსაც, მისდევინ საკუთარ, საიდუმლო რიტუალებს. ქალებს მათთვის თვალის შევლელაც კი ეკრძალებათ. მოზრდილების მოვალეობაა ბიჭებსა და ახალგაზრდა მამაკაცებს ხშირ-ხშირად შეახსენონ, თუ რამდენად საშიშია ქალებთან ურთიერთობა. მსგავს კონტაქტებს, მათი გაგებით, უბედურების გარდა არაფერი მოაქვს. მოჰყავთ ამის დამადსტურებელი შემდეგი „ფაქტები“: საკმარისია ქალთან დაამყარონ სქესობრივი კავშირი, მაშინვე შეეყრებათ კანის დაავადება, შინაგანი ხნეულდებანი. ცხადია, თვით მსგავსი შეგონება ვერ ამუხრუჭებს ახალგაზრდა მამაკაცის ბუნებრივ, ინტიმურ მოთხოვნილებას. მაგრამ, საკითხავია, თუ როგორ ხდება მსგავსი სურვილის დაკმაყოფილება? ეს არის წრეგადასული, თავხედობის, ცინიზმის, ძალადობის უჩვეულო გამოხატულება. ძალადობის ფორმა შეიცავს ქალის ჯერ ჯგუფურად გაუპატიურებას, რაც შეიძლება დამთავრდეს საღისტური ქმედებით – პატივყრდელი ადამიანის სასქესო ორგანოს დასახინრებით. ყველაფერი ეს ქცევის ჩვეულებრივი ნორმებია და, შესაბამისად, ახალი გენიის მთებში მსგავსი საქციელისთვის არაფერს ისჯება.

რაც შეეხება ქორწინებას, არც მამაკაცსა და არც ქალს არჩევანის უფლება არა აქვს. საქმეს წყვეტს ტომის წევრად. ასეთ ვითარებაშიც ქალი, როგორც წესი, წამებთან მდგომარეობაში ეარდება. შიდაქორწინების (ინბრიდინგი) თავიდან ასაცილებლად ქალს ათხოვენ მუზობელი ტომის მამაკაცზე. ცხადია, ქალი სამუდამოდ ეთხოვება თავის უშუალო გარესამყაროს, თანასაზოგადოებას, ოჯახს, მეგობრებს. ცოლმოყვანილი მამაკაცი კი საპირისპირო სიტუაციაში ექცევა. გარდა იმისა, რომ ადგილზე რჩება, ტომის მამაკაცები სიძეს თავისთან იკედლებენ, ახალმოყვანულ ცოლისგან ფაქტობრივი იზოლაციით გამოყვეულ სევედას (ეს უკანასკნელი ცალკე, ქალებთან ცხოვრობს) ყოველმხრივ უქარწყლებენ. სხვაგან გათხოვილი პატარძალი კი უცხოტომელი ქალების თანაგრძნობის, ანდა, პირიქით, აგრესიის ამარა რჩება.

საქონლის მსგავსად, ახალგენიურ ქორწინება მეზობელ ტომებს, ტრიაბებს შორის პატარძლების გაცვლა-გამოცვლას. თუ „ქორწინება“ მთლად წყალწადებული აღმოჩნდა და პატარძალს ადგილობრივმა ქალებმაც არ გაუწიეს მეგობრობა, ნათესაობა, უბედური ადამიანი იძულებული ხდება დაუბრუნდეს თავის ტომს. მსგავსი პროცესი ბევრ სოციალურ და ფსიქოლოგიურ სირთულესთანაა დაკავშირებული. ყველაფერი ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ სასოწარკვეთილი ქალი თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს. მსგავსი შემთხვევები კი საკმაოდ ხშირია.

ბანტაგუელთა ცხოვრების აღნიშნული მხარის გაცნობის შემდეგ, ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლება დაებადოს ფრიად მნიშვნელოვანი კითხვა: როგორ არსებობს საზოგადოება, სადაც მამაკაცებს დაწესებული აქვთ ქალებისადმი, თავიანთი შთამომავლობის დედებისადმი, გამოსრდელებისადმი მსგავსი სიძულვილი? შიშის, ტერორის ქვეშ ამყოფებენ, ამცირებენ და ექსპლუატაციას უწევენ მათ? როგორ მოიტანა მსგავსი ფსიქოლოგიის მქონე ტომმა დღევანდლამდე თავი? როგორ შეიძლება იქ რეპროდუქციის, თაობათა ცვლის პროცესს მიეცეს ნორმალური ხასიათი? კონკრეტულ საზოგადოებაში რა ფიზიკური, მით უმეტეს სულიერი მოტივაცია უდევს საფუძვლად მსგავს ქმედებას? რა პარალელების გაკეთება შეიძლება მთიელთა მსგავს სიძულვილთან?

კითხვების მთელი ეს კასკადი სცდება ადამიანთა სოციალური, წმინდა ყოფითი ურთიერთობის ჩარჩოებს და ინაცვლებს ფილოსოფიური განსჯის სიბრტყეში. საქმე ის არის, რომ ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის არსებობის სტრატეგია თვითგამრავლებაში მდგომარეობს. ცხოველთა სამყაროში იგი, ძირითადად, ინსტინქტებსა და მეტყუარს. არსებობის შენარჩუნებისათვის არსებული, გვგავსი ინსტინქტები, თანდაყოლილი იქნება ეს თუ შექმნილი, ხშირად იმდენად ძლიერია, ნებისმიერ არსებას შეუძლებელს შეაძლებინებს.

ორაგული, ტოფობისას, ქვირითის დასაყრელად, შავი ზღვიდან მდინარე ცხენისწყლის სათავეებისაკენ მიგრირებს. ხიფათით აღსავსე, მომქანცველ, ესოდენ გრძელ გზაზე, ინსტინქტით მოქმედს, მთაერი მიზნის მისაღწევად, კეების პრობლემამაც არ უნდა შეუშალოს ხელი. ამიტომ, ნაწლავების სისტემა დროებით წყვეტს ფუნქციონირებას! ორაგული აღწევს მიზანს – სტუმრობს მდინარეთა სათავეებს – სუფთა, ცივ, ჟანგბადით მდიდარ წყლებს და იქ, ქვიშაში, ფარფლებით აკეთებს რა პატარა ორმოს, ქვირითობს. მამრი თვეში კვერცხებზე სპერმას აფრქვევს. ქანცვაცლილმა თევზმა შეასრულა სასიცოცხლო მისია – იქვირითა. ამის შემდეგ მისთვის აღარა აქვს მნიშვნელობა იცოცხლებს თუ არა. სრულიად ინერტული, ინერციით, ნახევრად ზურგზე ამობრუნებული მიჰყვება მთის ღელის ნაკადს. ასი ინდივიდიდან ოკენას შეიძლება ერთმა მიაღწიოს. ორაგული ნადავლი ხდება მტაცებელი ნადირ-ფრინველის, ადამიანის, იარებით აღსავსე, თეთონაც, მტაცებლის გარეშეც, შეიძლება დაიღუპოს.

აი, როგორი ძალა აქვს გამრავლების ინსტინქტს!

მაგრამ ახალი გენიის მთიელების მსგავსად, ცხოველებშიაც არსებობს გამონაკლისი. უფრო მეტიც, სახეობის შიგნით ანტაგონიზმი თვითგანადგურების (აუტოგაგიის), კანიბალიზმის დონეს აღწევს. მსგავსი რამ ხდება აფრიკის ნამიბის უდაბნოში. ლაპარაკია მწერზე – ჩოქელაზე (გარეგნულად იგი რამდენადმე კალიას მოგვაგონებს). ობობების მრავალი სახეობის მსგავსად, მდებრი ჩოქე

და პირდაპირ მუსრს აელებს მის გასანაყოფიერებლად მიახლოებულ მამრ ჩოქელებს. დაზუსტებულია, რომ ათი შემთხვევიდან ცხრა შემთხვევაში მამრი მსხვერპლად ეწირება მდედრის ანტიგონიზმს. მსგავსი ფაქტი, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგება სიცოცხლის მთავარ სტრატეგიას – გამრავლებას. რატომ ხდება ასე?

მეცნიერებმა შეისწავლეს ეს საკითხი. აღმოჩნდა, რომ საკვებით, ცილით ღარიბ ნამიბის უდაბნოში, ამ უკანასკნელის დეფიციტის ასანასლაურებლად, მდედრისთვის ყველაზე მოსახერხებელია მასთან „თაყისი ფეხით“ მისული მამრის შეჭმა. ასეთ შემთხვევაში რატომ არ ხდება ჩოქელას, როგორც სახეობის გადაშენება? ანდა, უფრო განზოგადოებული სახით, რატომ აქვს ადგილი სოციალურ სახეობაში სიცოცხლის არსებითი სტრატეგიიდან მსგავს აბერაციას, გადახვევას.

ჩოქელას შემთხვევაში ყველაფერი გაირკვა. მდედრი თავისივე სახეობის წარმომადგენლის ხარჯზე მიღებული, უდაბნოებში ასე ძნელად მოსაპოვებელი ცილით უსრუნველყოფს თავის არსებობას, ხოლო სახეობის შენარჩუნება მაინც თავისუფლად ხერხდება – საშუალოდ ყველა მეთაურ ჩოქელა მაინც ახერხებს და ანაყოფიერებს თავის მრისხანე წყვილს. თუმცა, მამრს კილერი-მდედრის განაყოფიერება ათასგვარი ხრიკის, ფანდის მეშვეობით უხდება. რეპროდუქციის პროცენტი – კეერცხების რაოდენობა ამ მწერში – მაღალია.

დაეუბრუნდეთ აბორიგენებს. რელექსაციის რა ფორმებს ეხედებით ახალგენიელებში აღწერილი ანტაგონიზმის ფაქტალური შედეგების თვითდან ასაცილებლად? ანთროპოლოგებმა შეიმუშავეს ათობით თეორია მთიელ გვინეელ მამაკაცებსა და ქალებს შორის დაწესებული, მტრული ურთიერთობის გასარკვევად. ეს თეორიები ეფუძნება მრავალმხრივ გამოკვლევებს: აბორიგენტთა სოციალურ სტრუქტურას, ეკონომიკას, ეკოლოგიას, პოპულაციის რიცხობრიობის რეგულირებას, ფსიქოლოგიას, რიტუალურ სფეროს – სპირიტუალისმს...

ამერიკელი ანთროპოლოგი, მერილინ გებლერი ესტუმრა ახალი გვინეის მთიანეთს, დაამუშავა ამ პრობლემისადმი მიძღვნილი სოლიდური ლიტერატურა. 1986 წელს გამოსცა წიგნი „ახალი გვინეის მაღალმთიანეთის აბორიგენტთა მოდგმა“. ბუნებრივია, ნაშრომში მოცემულია მამაკაცების ქალებთან სიძულვილის ახსნის ცდები. გებლერის მიხედვით, მთის აბორიგენტებში გამეფებულია ჯგუფურად მცხოვრებ მაიმუნებში არსებული სოციალური ურთიერთობის რიგი ელემენტი. ყველა მამაკაცი ცდილობს დაიმკიდროს ტომში ავტორიტეტი. ეს ხდება ძალის, ეოკალური უნარის დემონსტრირებით, სხვადასხვა იარაღის სიმბოლური მანიპულირებით.

ბანტაგუელებსაც ძველსა და რბილში აქვს გამჯდარი ძალაუფლების მოპოვებისა და თავიანთი პრესტიჟის დამკვიდრებისათვის გამართული მუდმივი ქიშპობა. ასე დანასისხლად ყოფნამ განა-



სურ. 390. ბანტაგუს ტომის აბორიგენი ნადირობისას, ემაწილებთან ერთად.

პირობა, ბანტაგუელთა ტომში აგრესული ფსიქოლოგიის ფორმირება. იგი, უწინარესად, ქალთა სქესზე გავრცელდა. ქალი, ფიზიკურად ისედაც უმწეო, დაუცველი, საერთოდ იარაღთან მწყურადად მყოფი არსებობდა. ბანტაგუელი მანდილოსანი ფსიქოლოგიურად, და ცხადია, ფიზიკურად დაბალი ღობე შეიქმნა თვისტომელი მამაკაცისთვის. ადგილობრივებში, მდედრის მიმართ, თანდათანობით განუითარდა შეხედულება მის არასრულფასოვნებაზე. კუნძულზე მთელი დანარჩენი სამყაროსაგან იზოლირებულ, კუნძულზე კი სხვა ტომებისგან ტენიანი ტყით დაფარული, ღრმა ხეობებით გაცალკეებულ ბანტაგუელ მამაკაცში მსგავსმა ცქცევამ დროთა განმავლობაში, თაობიდან თაობაში, ერთგვარი სტატუს ქვოს სახე მიიღო, ნორმად გადაიქცა.

მკვლევარები ერთხმად უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ აბორიგენტთა ორივე სქესის ბავშვები ხალისიანები და სიცოცხლისუნარიანები არიან, გამოირჩევიან სიკეთით, ურთიერთდახმარების სურვილით, მაგრამ, მოგვიანებით, მდედრობითი სქესისადმი სიძულვილის სინდრომის ჩამოყალიბება ხელოვნურად ხდება. ყველაფერი იწყება იმით, რომ ბიჭების სქესობრივი მომწიფების წინ მამაკაცები აშორებენ მათ დედეებს, მიჰყავთ თავიანთ ქოხებში. იწყება ახალგაზრდის „მამაკაცად მონათულის“ – ინიციაციის მთელი პროცესი. რიტუალური შედის სისხლის აღება ცხვირიდან და სასქესო ორგანოდან. ერთდროულად შთააგონებენ იმ საშინელებებზე, რაც, შეიძლება შეემთხვავთ ქალებთან სათანადო კონტაქტის დამყარების შემთხვევაში. ემაწილთა მსგავსი გამოცდა, ფიზიკურის გარდა, მათში სულიერ ტრავმასაც იწვევს. იგი გათვლილია ემაწილის ქალთან სქესობრივი კავშირის დამყარების შიშზე. შედეგად არ აყოფნებს – ახალგაზრდის მენტალიტეტი სწრაფად იწყება სათანადო გარდაქმნა. უფროსების მიბაძვით, თუ მას სურს ტომში პრივილეგირებული მდგომარეობის მიღწევა, სქესობრივ სიძულვილში ახალშესულმა, რაც შეიძლება

სწრაფად უნდა დააღწიოს თავი ქალის, თვით დედის გაელენას. ახლად წვერულვაშაღერებულ ახალგაზრდაში ყალიბდება მახისტური (რეაქციული-იდეალისტური მიმდინარეობა ფილოსოფიაში) მსოფლმხედველობა: ზევთაეკატური სტატუსის მოსაპოვებლად იგი სულ უფრო უსეამს ხაზს თავის აგრესიულობას, ლტოლვას სქესობრივი ძალადობისა და ქალთა სქესის დამაგვრა-დაკინების სხვა გამოვლინებისადმი.

აბორიგენტთა ბიპეივორიზმის, ანუ ქცევების მთელი ეს კომპარული სპექტრი, მაინც პარადოქსულად გამოიყურება რამდენიმე მიზეზის გამო. ახალი გენიის მთის მოსახლეობა განიცდის ცილით მდიდარი საკვების დეფიციტს, შესაბამისად, ჩეილობის, ინფანტობის პერიოდი როგორც გოგოს, ისე ბიჭს დიდხანს უგრძელდება, ე.ი. ბაეში დიდხანსაა მიჯაჭვული სწორედ დედის მკურდს. გარდა ამისა, აბორიგენტები კი თელიან ქალს უმნიშვნელო არსებად, მაგრამ ფაქტობრივად, მათი არსებობა მაინც მთლიანად მათზეა დამოკიდებული – ტომში ხომ ქალი აწარმოებს ძირითად საკვებს, ხატოვნად რომ ვთქვათ, სწორედ მისი ძალისხმევით არ ქრება სოფელში კერა. ყველაფერი ეს – პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზრუნვა მამაკაცზე, თვით მისი პრესტიჟულ პიროვნებად ჩამოყალიბების ნათელით, ქალის კისერზე გადადის. აბორიგენი მამაკაცი კი ქალის მსგავს სიკეთეს საეაღდებულოდ მიიჩნევს, უფრო მეტიც, სრული ნიჰილიზმით იმსჯელება მისი შესაძლებლობების მიმართ. ქალისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მთელი ეს კასკადი მთავრდება ქალთმობუღლობით.

მერილინ ჯილბერტი ეძებს ანალოგს ახალი გენიის მთის მოსახლეობის ანომალიურ ტრადიციასა და სხვა ხალხთა მეტ-ნაკლებად მსგავს კულტურებს შორის. მისი აზრით, მსგავსი სიმპტომები შეიძინევა ასიის რიგ ქვეყნებში, რეტროს-


პექტივის თვალსაზრისით კი საკუთარ, ამერიკის საზოგადოებაშიაც: იხსენებს, რომ ამ ქვეყანაში, თუნდაც ერთი საუკუნის წინათ, ქალი საზოგადოების არასრულფასოვანი წევრი იყო, მას არ ღებულობდნენ ბევრ სამსახურში, მამაკაცთან შედარებით ნაკლებ ხელფასს უხდიდნენ, ქალს არ შეეძლო კარიერის გაკეთება პოლიტიკაში.

... მიუხედავად ანთროპოლოგთა თეორიებისა, ბანტაგუს ტომის ანტიფემინიზმის უკიდურესი გამოხატულება გაურკვეველი რჩება. როგორც ითქვა, ახალი გენიის მიუვალ მთებში მცხოვრები აბორიგენტები დანარჩენი დედამიწისგან, სხვადასხვა ხალხთა კულტურისგან მოწყვეტილები ცხოვრობენ. მათი საბინადრო გარემოს ქვედა სარტყელში – დაბლობებსა და მთისწინებში – მომაკედინებული მლარია მყინვარებს, ზემოთ – აუტანელი სიცივეა.

ადგილობრივი მამაკაცებს მათივე ტომის ქალები არც მაღარის ციებ-ცხელებით ეშუქრებიან და, საჭიროების შემთხვევაში, ალპურ სიცივეს სითბოთითაც შეუცვლიდნენ. ანტიფემინისტური „ვირუსით“ დაავადებულმა, საბრალო ბანტაგუელებმა კი უარყვეს გზა, რამაც ადამიანი – ჰომო საპიენსი – დანარჩენი პრიმატების – მაიმუნებისგან განასხვავა. იგი სხვა, ბევრ თვისებასთან ერთად ქალის მუდმივ პატივისცემაში, სიყვარულში გამოიხატება. და ეს გრძნობა, თუ მეცნიერული ტერმინოლოგიით ვისარგებლებთ, – ეპიგამია, – შეცვალეს მისოგინეთ – ცოლმობუღლობით. უწერია კი მსგავს ტომს არსებობა?

პოლინეზიელები – კოსეილონის საუფლოსთან მშველახე გაშინაურებული ხალხი

პოლინეზიელები, ოკეანეთის – წყნარი ოკეანის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილის კუნძულების – ერთ-ერთი აბორიგენი მოსახლეობაა.



სურ. 391. პოლინეზიის რუკა („პოლინეზიური სამკუთხედი“).



სურ. 392. ხედი ოკლენდზე - ახალი ზელანდიის ყველაზე დიდ ქალაქზე (დაახლოებით 800 ათასი მცხოვრებით).


ხშირად წყლის ვეებერთელა სივრცით დაშორებულ კუნძულებზე, წარმოშობის თვალსაზრისით ერთი გენეტიკური ძირის მქონე ხალხია. ეს ერთობა ისახება როგორც ანთროპოლოგიურ ტიპაჟში, ისე მატერიალურსა და სულიერ კულტურაში. მაგრამ ყველაზე განსაცვიფრებელი ამ ერთმანეთისაგან ათასობით კილომეტრზე დაშორებულ ხალხებში მინც ენობრივი ნათესაობაა. დაწყებული ჰავაიელებიდან, ვიდრე ახალზელანდიელი მაორის წათეულთ, ყველანი ერთიანი, პოლინეზიური ენის სხვადასხვა დიალექტზე მეტყუელებენ.

პოლინეზიელები ტანმოსული ხალხია, მუქი-ყავისფერი კანით, სხეული ბალნით სუსტად აქეთ შებუსული. არ ახასიათებთ ხუჭუჭა თმები. ერთი მხრივ, ოკეანეთის ნეგროიდებთან, ხოლო, მეორე მხრივ, მონგოლოიდებთან აკავშირებთ მხოლოდ მეორეული ანთროპოლოგიური ნიშნები. გამოირჩევიან საკმაოდ მაღალი მატერიალური კულტურით, თუმცა ლითონის იარაღის დამზადების დონემდე მინც ვერ ამალდნენ. მიზეზი - კუნძულებზე სათანადო წიაღისეულის დიდი დეფიციტია. აქაურობა თიხითაც ძალიან ღარიბია. არქეოლოგიური გათხრებით მხოლოდ რამდენიმე კუნძულზეა მიკელეული თიხის უხეში ჭურჭლის ნამსხვრევები. სამაგიეროდ დედამიწის არც ერთ ნეოლითურ ხალხს არ ჰქონია ქვის, ნიჟარის, ძეღისა და ხის დამუშავების ისეთი ფილიგრანული ტექნიკა, როგორც პოლინეზიელებს. ყველაფერ ამას ამზადებდნენ ქვის ნაჯახებით, ხის უროებით, ზღვის ზღარბებისა და ზეიგენის კბილებისაგან ნაკეთები ნემსებითა და ა.შ. ასეთი იარაღებით პოლინეზიელები აკებდნენ უზადო ნავეებს, დგამდნენ ალდგომის კუნძულის ქვის კოლოსებსა და ტაძრებს, ზღვის ცხოველთა ნიჟარებისა და ხისგან კი მზადდებოდა იშვიათად ნატიფი ფორმის ყელსაბამები, საყურეები და დიადემები.

მთელ ოკეანეთში დამწერლობა მხოლოდ ადღგომის (რაპა-ნუი) კუნძულიდან იყო ცნობილი.

ვეროპელთა გამოჩენამდე პოლინეზიელთა სამიწათმოქმედო კულტურამ საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია. ტროპიკულ კუნძულებზე ხელოვნურადაც აშენებდნენ პურის ხეს, ქოქოსის პალმას, ბანანს, ფართოდ იყო დანერგილი ბატატი, კეახი და სხვ. მიწის დამუშავება ხის პრიმიტიული კავით ხდებოდა.

ახალი ზელანდიის სამხრეთ კუნძულზე, რომელიც გამოირჩევა შედარებით მკაცრი ჰავითა და ნაკლებად ნაყოფიერი მიწით, აბორიგენები თავს ირჩენდნენ ველურ მცენარეთა ნაყოფისა და ფესვების შეგროვებით, აგრეთვე მეთევზეობით. სხეულის სამოსი მზადდებოდა აბრეშუმის (ქალაღდის) ხისა (Broussuneta papyrifera) და ფიკუსის ერთ-ერთი სა-



სურ. 393. ახალი ზელანდია. სტუმრად მაორის ტომის კულტურის ცენტრში (ოკლენდი).

ხეობისაგან (*Ficus prolixa*). მათგან ღებულობდნენ ტაპას – მატერიას. ახალ ზელანდიაში იმავე დანიშნულებას ასრულებდა სელის ადგილობრივი სახეობა. შინაური ცხოველებიდან ამრავლებდნენ მხოლოდ ღორს, ქათამსა და ძაღლს, მაგრამ ყველგან არა. მაგალითად, ღორი უცხო იყო ახალ ზელანდიაში, ხოლო ძაღლზე წარმოდგენა არ ჰქონდათ მარკიზის კუნძულებზე. პოლინეზიელთა თევზჭერის ტექნიკა პირდაპირ შესაშური იყო. ზღვის ლაგუნებსა და უბეებში აგდებდნენ 200 მეტრიან ბადეებს, თევზს წამლადნენ მცენარეთა შხამით, კლაედნენ – შუბებითა და ისრებით. საბრძოლო იარაღად გამოყენებული იყო კეის ნაჯახები, მძიმე შერქნის მქონე ხის შუბები, ხისავე ხმლები და სხვ. მშვილდისარი ბეჭმა კუნძულელმა იცოდა, მაგრამ საბრძოლო იარაღად არსად არ იყო ხმარებაში. ნადირობდნენ მხოლოდ თევზებს, ფრინველებსა და ვირთხებს. კუნძულ ტაიტიში იგი ბავშვების ყველაზე საყვარელი გასართობი საგანი იყო.



სურ. 395. ტატუირებული ქალი სოლომონის კუნძულებიდან.



სურ. 394. მორის კულტურა. ხეში ნაკეთები მამაკაცის სკულპტურა.

რამ აიძულა წინასტორიული ადამიანი აყრილიყო მატერიკიდან და ათასობით კილომეტრზე დაშორებულ, თვით ცენტრალური ოკეანეთის კუნძულებზე დასახლებულიყო?
 ამ პრობლემის გადაწყვეტის პროცესში ანთროპოლოგიასა და ეთნოგრაფიაში შეიქმნა ახალი მეცნიერული მიმართულება – ოკეანისტიკა. პოლინეზიელთა ეთნოგენეზის თაობაზე მთავარ სამუშაო ჰიპოთეზას წარმოადგენს აქაურობის სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდან მიგრირებული ადამიანებით დასახლება. პროფესორ თურ ჰეირდალის შეხედულებამ პოლინეზიელთა ამერიკული წარმოშობის შესახებ, პოპულარობა დაკარგა. ბოლო დროს თვით ჰეირდალი – ერთ დროს თავგამოდებული

„ამერიკანისტი“ – აღიარებდა პოლინეზიელთა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიურ წარმოშობას. სრულად ნეგატიური დამოკიდებულება არსებობს ოკეანელთა ავტოქთონურ, ე.ი. ადგილობრივ წარმოშობაზე. მრავალმხრივი მეცნიერული მონაცემებით მტკიცდება, რომ ოკეანეთის კუნძულები დასახლებული იქნა ჩრდილო-დასავლეთიდან მოსული ტომებით მხოლოდ უკანასკნელი სამი-ოთხი ათასწლეულის წინათ. დაბოლოს, ფანტასტიკის სფეროს აკუთვნებენ ჰიპოთეზას თანამედროვე ოკეანეელთა წინა-სამშობლოდ მითოლოგიური ხმელეთის – პაციფიკის თაობაზე. ამ შეხედულებით წყნარი ოკეანის აღმოსავლეთში არსებობდა გიგანტური მატერიკი, რომელიც წარსულში ჩაიძირა. მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე ასეთი „ჰიპოთეზა“ ყოველად გულუბრყვილად უღერს. გეოლოგიური მონაცემებით, Homo-ს გეარის განვითარების უკანასკნელი 2 მილიონი წლის განმავლობაში ცენტრალურსა და სამხრეთ-დასავლეთ წყნარ ოკეანეში ხმელეთის დიდი ფრაგმენტი არასოდეს ყოფილა.
 ოკეანეელთა ანთროპოლოგია, ყოფა, მუდრეობა, იარაღი, სხვადასხვა ნაგებობები და ნათემშენებლობა, კულტურული მცენარეები და შინაური ცხოველები – ყველაფერი ეს აზიურ ნიადაგზე აღმოცენებული, უფრო კონკრეტულად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან მჭიდრო გენეტიკური კავშირის მაჩვენებელია.
 სხვადასხვა ავტორთა მონაცემებზე დაყრდნობით ანთროპოლოგი და ეთნოგრაფი ი. სვეტი შემდეგნაირად ასურათებს ოკეანეთის ხალხთა ეთნოგენეზის ჩვენს ერამდე განხორციელებულ პროცესს. ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულში ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი და მალაის

არქიპელაგი დასახლებული იყო ნეგრო-აესტრალიდური ტომებით. მესამე ათასწლეულში ჩრდილოეთიდან (ჩინეთი) ამ ტერიტორიაზე შეიჭრნენ მონგოლოიდური ტომები. ამ ახალმოსახლეებს ანთროპოლოგები პროტონდონეზიელებს უწოდებდნენ. ჩვენს ერამდე პირველ ათასწლეულში ამ უკანასკნელებმა დიდ ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად შეაღწიეს ნეგრო-აესტრალიდები. მათი ნაწილი იძულებული გახდა ოკეანეთში გადახვეწილიყო. მელანეზიის კუნძულებზე მათ საფუძველი ჩაუყარეს პროტომელანეზიურ ეთნოსს. მოგვიანებით ჩრდილოეთიდან მოხდა მონგოლოიდთა ახალი ტალღების ექსპანსია. ამჟამად მათ თაივანთი ძალადუფლება თავს მოახვიეს ინდონეზიის კუნძულებზე და მკვიდრულ უოფელ მონგოლოიდებს (პროტონდონეზიელებს). ნაწილმა ასიმილაცია განიცადა, სხვები ნეგრო-აესტრალიდებივით მელანეზიაში განითქმნენ. ასე მოხდა მელანეზიისა და პოლინეზიის საზღვარზე მონგოლოიდთა სხვადასხვა ფენებისა და ნეგრო-აესტრალიდთა ასიმილაცია. ეს პროცესი დამთავრდა ახალი ანთროპოლოგიური ტიპის – პროტოპოლინეზიელების ფორმირებით. ჩვენს ერამდე პირველ ათასწლეულში მათ ფართოდ მოიკიდეს ფეხი დასავლეთ პოლინეზიაში. დროთა განმავლობაში ეს რეგიონი იქცა ოკეანეთის სულ უფრო სიღრმეში წარმოდგენილი კუნძულებისა და არქიპელაგების დასახლების ერთგვარ პლატფორმად. ჩვენი წელთაღრიცხვით პირველი ათასწლეულის შუა პერიოდში პროტოპოლინეზიელებმა მიაღწიეს პოლინეზიის ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე კუნძულებსაც. ამ პროცესს ეტაპობრივი ხასიათი ჰქონდა და ასეული წლების განმავლობაში გრძელდებოდა.


ახალ გეოგრაფიულ პირობებში, საუკუნეთა მანძილზე, ოკეანეელთა მატერიალურმა კულტურამ ძირეული ცვლილებები განიცადა და მნიშვნელოვნად განსხვავდა სამხრეთ-აღმოსავლეთის აზიის, ე.ი. მატერიის მკვიდრთა ანალოგიური კულტურისაგან. შეიძლება მავანმა და მავანმა იფიქროს, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოკეანეთში მიმოფანტულმა და ფაქტობრივად ახალ ეთნოსებად ჩამოყალიბებულმა ხალხმა დაიწყო მისცეს შორეულ წინაპართა ძირძველი კულტურა, მაგრამ ეს ასე არ არის. არსებითი როლი მამა-პაპათა ტრადიციების უარყოფაში იმანაც ითამაშა, რომ ისინი აღრინდელ საცხოვრებელთან შედარებით მნიშვნელოვნად განსხვავებულ გეოგრაფიულ გარემოში მოხვდნენ.

რაში მდგომარეობს ეს განსხვავება? ოკეანეთის კუნძულებზე არ არის მეტალის შემცველი წიაღისეული. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, მეხსიერებიდან წაიშალა მეტალის წარმოების ხელოვნება. როგორც აღინიშნა, პოლინეზიის კუნძულები უკიდურესად ღარიბია თიხითაც. ამ ფაქტორმა კი გამოიწვია მეთუნეობის ჩაკედა. თიხის ჭურჭელი იქ შეცვალა ქოქოსის „ნაჭუჭმა“, კეახმა და ბამბუქმა. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისაგან განსხ-

ვავებით, ახალ გარემოში არ ხარობდა კულტურაში დასაინერგი მთელი რიგი მცენარეები. საკვების მსგავსმა დეფიციტმა გამოიწვია ოკეანეელთა მთელი სამეურნეო ყოფის ძირეული შეცვლა. ბრინჯი შეცვალა ბატატმა, ტარომ, პურის ხე, ქოქოსის პალმამ, ხოლო ქსოვილი – ტაპამ.


ანთროპოლოგიური და გენეტიკური მონაცემების საფუძველზე, დღეისათვის სპეციალისტებს ოკეანეელთა სამხრეთ-აღმოსავლეთაზიურ წარმოშობაზე აღარ ეპარებათ ეჭვიც. XX საუკუნის 30-იან წლებში ტ. პირაიამ შეიმუშავა, ე.წ. პოლინეზიური სამკუთხედის სქემა, რომელიც დახუსტდა ს. დრაივერის მიერ (1993). ამ ავტორის მიხედვით, ადამიანის მიერ აღნიშნული სამკუთხედის ფუძის, ე.ი. სამხრეთი პოლინეზიის დასავლეთი მონაკვეთის (ახალი ზელანდია) ათვისება მოხდა ჩ.წ. აღ-ით 1000-1100 წლის წინათ, ფუძის უკიდურესი აღმოსავლეთი მონაკვეთის (აღდგომის კუნძული) – 1500 წლის წინათ, სამკუთხედის წვერო ნაწილის მონაკვეთის (პაეაის კუნძულები) – 1400 წლის წინათ, ხოლო სამკუთხედის ცენტრალური მონაკვეთის (ტაიტი, მარკისის კუნძულები) – 100 წლის წინათ, აესტრალიის მახლობელი კუნძულების – ფიჯისა და ტონგას – ჩ.წ. 14000-2000 წლის წინათ.

როგორ და რა გზით განხორციელდა წინასტორიული ადამიანის მიერ ოკეანის ათვისება?



სურ. 396. პოლინეზიელთა ნავი, რომელსაც საზღვოსნოდ სცლიან ევროპელები.

ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი დღემდე არ არის გაცემული. ახალზელანდიელი ისტორიკოსის ენდრიუ შარპის აზრით, ადამიანის მიერ მსოფლიო ოკეანის ამ ვეებერთელა რეგიონში მიმოფანტული ხმელეთის კოლონიზაცია სპონტანურად, შემთხვევით, წინასწარ შედგენილი გეგმის გარეშე ხდებოდა. ამერიკელი არქეოლოგი რობერტ საგისი და მისი კოლეგები არ გამოირიცხავენ წი-



სურ. 397. ავსტრალიაში ოთხი ტიპის პრიმიტიული ნავი
გაცილებით ჩამორჩება პოლინეზიელთა ანალოგიურ ტექნიკას.

ნაისტორიული ადამიანის მიერ ოკეანის შემთხვევითი მიგრაციების (ოკეანური დინებებით, ქარით) გზით აღმოჩენას და გადამწყვეტ როლს მაინც პოლინეზიელთა ბრწყინვალე საზღვაოსნო კულტურას ანიჭებენ. ამ ხალხს ხელეწიფებოდა გარკვეული მარშრუტითა და კონკრეტული მიზნით ოკეანის წყლების ნებისმიერი სივრცის გადალახვა. საგნის მოსაზრების შესანიშნავი დასტურია კუნძულ ტაიტის აბორიგენი ტუპია, რომელმაც ჯეიმს კუკი 1500 საზღვაო მილის რადიუსში 74 კუნძულის აღმოჩენის საქმეში დააკვალანა.

არქეოლოგიური მონაცემებით ეარაუდობენ, რომ პოლინეზიის ათვისება ხდებოდა კუნძულების – ფიჯის, ტონგასა და სამოადან, შემდეგ, ტაიტის გავლით, განსახლებებს ადგილი ჰქონდა პოლინეზიის ყველაზე შორეულ კუნძულებზე – ჰავაის არქიპელაგსა და აღდგომის კუნძულებზე. ჩვენი ერის პირველ და მეორე ათასწლეულებს შორის საზოგადოების კუნძულებიდან უნდა მომხდარიყო ახალი ზელანდიის ათვისება, თვითონ პოლინეზიის კოლონიზაციას კი ადგილი უნდა ჰქონოდა მელანეზიისა და მიკრონეზიის საზღვაო ტრასებით.

წინაისტორიული ადამიანის მიერ „ნეოლითური ნაგებობით“ არამცთუ წყნარი ოკეანის ცალკეულ რეგიონთა ათვისება, არამედ ტრანსწყნაროკეანური მოგზაურობებიც რომ განხორციელებადი იყო, დაამტკიცა თ. პეირდალმა. როგორც ცნობილია, ბალსის ხისგან დამზადებული ტივი მან შეძლო პერუდან პოლინეზიაზე დედამიწის ყველაზე დიდი

ოკეანის გადაკვეთა. „კონ-ტიკის“ ბოლოსტყვეობაში ჰეირდალი წერს: „კონ-ტიკიზე“ წარმატებულმა ექსპედიციამ არ დაადასტურა მიგრაციის ჩემუელი თეორია. სამაგიეროდ, ჩვენ შევძელით სამხრეთ-ამერიკული ბალსის ტივის დიდი შესაძლებლობების დამტკიცება, რაზედაც მეცნიერებს ადრე წარმოდგენაც არ ჰქონდათ და რომ პერუდან გასულ ადამიანს წინაისტორიული სანავიგაციო საშუალებებით ხელეწიფებოდა დედამიწის მეორე კიდეში არსებულ კუნძულებზე მოხვედრა“. მართლაც, აღდგომის, მარკისისა და სხვა კუნძულებზე ჩატარებული არქეოლოგიური გამოკვლევებით ნათელი გახდა, რომ ოკეანეთის უძველესი კულტურული შრე აშკარად მალაიურ-პოლინეზიურია და არა პერუულ-პოლინეზიური.

ოკეანეთის ათვისებას სათანადო სანავიგაციო საშუალებები სჭირდებოდა. ისტორიკოსები მიუთითებენ, რომ ევროპელების მიერ წყნარი ოკეანის აღმოსავლეთი ნაწილის ათვისების დროს პოლინეზიელთა და მიკრონეზიელთა სანაოსნო ტექნიკა უმაღლეს დონეს აღწევდა. მეტალის იარაღებისა და ლურსმნების გარეშე, ქვის ნაჯახებითა და ნიჟარის ბურღებით აღჭურვილი ეს ხალხი აგებდა გაშლილ ოკეანეში შორეულ მოგზაურობასა და ხიფათით აღსაყვ სანაპირო წყლებში მანევრირებისათვის შესანიშნავად მორგებულ სანაოსნო ტრანსპორტს. მაგელანის, ტასმანისა და კუკის საზღვაო ექსპედიციების ეპოქაში, დედამიწის არც ერთ არაევროპული წარმოშობის მოსახლეობას



სურ. 398. პოლინეზიელები ხის მსხვილი ღეროსაგან ახლაც ქვის ნაჯახით ამზადებენ ნავეს.

არ პქონდა შექმნილი საზღვაო ტრანსპორტის ესოდენ სრულყოფილი საშუალებები. ეთნოგრაფთა აზრით, აბორიგენტთა კანოე როგორც ტრანსპორტირების, ისე ტევადობის თვალსაზრისით გაცილებით აღემატებოდა ანტიკური ხმელთაშუაზღვეთის ხომალდებს.

ბოლო სამი საუკუნის განმავლობაში არაერთი სპეციალისტი უსეამს ხაზს ერთ ასეთ დამახასიათებელ გარემოებას: ნავი, კანოე პოლინეზიელთათვის მხოლოდ გადაადგილების საშუალება როდი იყო. საზღვაო ტრანსპორტი მათი საიმედო და განუყრელი მეგობარია. ოკეანის მკვიდრი ნავს ისეთივე სიყვარულით ეპყრობა, როგორც ბედუინი მერანს. უსიცოცხლო საგნისადმი აბორიგენტის ესოდენ ფაქიზი დამოკიდებულება რეალიზებულია ნავის მორთვის კულტურაშიაც. ნავეზე გამოჭრილი ჩუქურთმები, ხეველი დიადემები ხელოვნების თავისებური, უმშვენეირესი გამოხატულებაა.

ოკეანის მკვიდრებს შორის მხოლოდ მელანეზიელებს არ სჭირდებოდათ ზღვის მსგავსი, სრულყოფილი სატრანსპორტო საშუალებები. საქმე ის არის, რომ მელანეზიის არქიპელაგები ერთმანეთთან ახლოს მდგომი, დიდი ზომის კუნძულთა ჯაჭვია, ამიტომ ადგილობრივები კმაყოფილდებოდნენ ერთი ხისგან გამოჭრილი გრძელი (20 მეტრამდე, საშუალოდ 4-5 მეტრი) და ძალიან ვიწრო (50-70 სმ.) კანოეთი, რომელიც წონასწორობის შესანარჩუნებლად მბაბლანსირებელი ჭოკეებით იყო აღჭურვილი. ზღვაზე გამოყენებული ეს ტრანსპორტი ძალიან მოგვაგონებს ავსტრალიელებისას.

საინტერესოა, რომ ოკეანეში შორეული მიგრაციებისას პოლინეზიელებს ფაქტობრივად არავითარი სანაეიგაციო ხელსაწყოები არ გააჩნდათ. მიუხედავად ამისა, ადგილობრივ ზღვაოსნებს ისეთი სისუსტით მიჰყავდათ ტრანსპორტი დასახული კურსით, რომ იგი კომპასით, სექსტანთითა და ქრონომეტრით აღჭურვილ ნებისმიერ ევროპელ შტურმანს შეშურდებოდა. აქ კიდევ ერთხელაა მოსაყვანი კუკის მიერ ტაიტის უბე მატაეაიში აყვანილი აბორიგენი ჭაბუკი, ტუპია. მისი ზეპირი

გადმოცემით ევროპელებმა რუკაზე გადაიტანეს არა მხოლოდ 74 კუნძული, არამედ იქვე აღნიშნეს ტაიტიდან თითოეულ კუნძულამდე არსებული მანძილი და კუთხე. ყველაზე გასაკვირი მაინც ის იყო, რომ კუკთან ერთად შორეულ ჯაკარტაში (ბატავია) მოხვედრილმა ტუპიამ ორიონის თანავარსკვლავედის მიხედვით სუსტად განსაზღვრა, თუ საით მდებარეობდა კუნძული ტაიტი.

პოლინეზიელები შესანიშნავად ფლობენ ასტრალურ, ანუ ვარსკვლავთა კითხვის ხელოვნებას. იმ ციურ სხეულებს, რომელთა დახმარებითაც ისინი ორიენტირებენ კუნძულიდან კუნძულამდე, ამ კუნძულთა შესაფერის სახელებს უწოდებდნენ. არსევენ ვარსკვლავებს პლანეტებისაგან და ამ უკანასკნელებს ისეთისავე შესაფერისი სახელები აქვთ შერჩეული. ამგვარად, შორეულ წარსულშიც ვარსკვლავებიანი ცა ადგილობრივებისთვის რუკაც იყო და კომპასიც. სანაეიგაციო ასტრონომია კიდევ უფრო მაღალ დონეზე იდგა მიკრონეზიაში.

ზღვით მოგზაურობისას ოკეანის მკვიდრს ვარსკვლავებით მოოტყვილი ცის თაღით სარგებლობაში დიდად უწყობდა ხელს თეთი ბუნება – აღმოსავლეთი ოკეანეთის ცა ყოველთვის მოწმენდილია, დრუბლებით იფარება მხოლოდ დასაუწყის ქარის დროს, რომლებიც იშვიათად ამოვარება ხოლმე.

ამ ხალხისათვის ზღვა მშობლიური სტიქია იყო. პოსეიდონის საუფლოს ყველა ახირებულობა მათ გათავისებული პქონდათ. ადგილობრივები არ უშინდებოდნენ მრისხანე ქარიშხლებს, ზღვის ეყუბერთელა ტალღებს, ოკეანის მზაკერულ დინებებს. ზღვის ამ შეილებსთვის რამდენიმე ათეულ, ანდა 60 კილომეტრზე გაცურვაც კი ჩვეულებრივი საქმე



სურ. 399. კუნძულ ფიჯის მაცხოვრებლები სტუმარ-მასპინძლობით გამოირჩევიან.



სურ. 400. დახვედრა-მასპინძლობის წესი
კუნძულ ტაიტიზე.



სურ. 401. გოგენი. ქალი, ნაყოფით
(პურის ხე - აგ.) ხელში
(ს.-პეტერბურგი, ერმიტაჟი).

იყო. ზღვაში გასულები კუნძულთან მიახლოებას ერთი დღე-ღამით ადრე გრძნობდნენ, ამას იტყობდნენ სანაპიროდან მონაბერი ბრიზით მოტანილი მიწის ოდნავ შესაძწევი სუნით. ნაეის შესაჯეს მხედველობიდან არ ეპარებოდა ფრინველები, წყალმცენარეები, წყლის ფერი და ცოცხალი თუ არა-ცოცხალი ბუნების სხვა ნიშნები და საჭიროების შემთხვევაში ცვლიდა მოგზაურობის კურსს.

ამგეარად, ოკეანეთში და, უწინარესად, პოლინეზიასა და მიკრონეზიაში, ორი ათასი წლის განმავლობაში ხდებოდა მრავალრიცხოვანი არქიპელაგებისა და კუნძულების თანდათანობით ათვისება. ამ დროს, ევროპელებზე გაცილებით ადრე, უძველესი ზღვაოსნები ზედიზედ ახდენდნენ უდიდესი მნიშვნელობის გეოგრაფიულ აღმოჩენებს. ხშირად დაგეგმილ დასაუღეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, ესოდენ შორეულ მოგზაურობას ოკეანეთის კუნძულთა მკვიდრნი, თავს ართმევდნენ მაღალგანვითარებული საზღვაო ტრანსპორტისა და სანაოსნო ასტრონომიის წყალობით.

როგორც ცნობილია, პოლინეზიის ტროპიკული ბუნება, ადგილობრივი ხალხი გახდა ცნობილი ფრანგი ფერმწერის - პოლ კუენ ანრი გოგენის შემოქმედებითი აღმაფრენის წყარო. 1891 წელს, 43 წლის ასაკში, როდესაც მას თავისი სიტყვა ჰქონდა ნათქვამი როგორც იმპრესიონისტსა და სიმბოლისტს, გაემგზავრა კუნძულ ტაიტიზე. გოგენმა ზურგი შეაქცია ევროპულ ცივილიზაციას და ოკეანეთში გადასახლდა (ჯერ ტაიტიზე, 1901 წელს კი - პიეაოაზე; გარდაიცვალა 1903 წელს დაბა ატუოგაში - მარკიზის კუნძულები). „წინარი ოკეანის სამოთხემ“ შეაქმნევინა მას ფერწერული ტილოების მთელი ციკლი. გარდა პარიზისა, ამ-

უამად გოგენის ნამუშევრები, გამოფენილია პეტერბურგისა და მოსკოვის სათანადო მუზეუმებში.

გოგენი პირველი ევროპელი მხატვარია, რომელმაც ახლოს გაიცნო, ღრმად ჩაწედა, შეიყვარა და შემოქმედებითი საქმიანობის საუკეთესო წლები უძღვნა ქვეყნიერების განაპირებულ კუთხეს - ოკეანეთს.

აზრიკული საზარი აღბილობი აპორიბუნებთან

პიგმეები იტოპის ტყიდან

თუ აღმოსავლეთი აფრიკა საეანათა ღია სივრცეა იქ გამოშუერებული, განუმოვრებელი ფაუნით, დასავლეთით, მისი მეზობელი ცენტრალური აფრიკის გვირგვინი ნაწილი გაუვალი, ნახევრად ბნელი ჯუნგლებია. აქ ბინადრობენ მეტწილად ადამიანისთვის თვალათ უხილავი, ასევე უშიშეთის ცხოველები და არა მხოლოდ ეს უკანასკნელები. ძირითადად, ჩრდილო-აღმოსავლეთ ზაირის ნოტიო ტროპიკულ ტყეებში ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსაც დედამიწის ანთროპოლოგიურ სამყაროში ბადალი არ მოეძებნებათ. ლაპარაკია პიგმეებზე - ჩენი მოდემის ჯუჯა წარმომადგენლებზე.

ჯერ კიდევ არისტოტელე თავის „ცხოველთა სამყაროს განვითარების ისტორიაში“ წერდა: „წეროები მიფრინავენ ეგვიპტის მიღმა სწორედ იმ ტბებისკენ, საიდანაც სათავეს იღებს ნილოსი; ამ ტბების მახლობლად ცხოვრობენ პიგმეები და ეს ლეგენდა როდია, წმინდა წყლის სიმართლეა; იქაური ადამიანებიცა და ცხოველებიც, თვითმხილ-



სურ. 402. მთა რუენძორის მისადგომებთან.

ველთა ნაამბობის მიხედვით, ჯუჯა აგებულების არიან და გამოქეაბულებში ცხოვრობენ“.

ათეულობით საუკუნემ გაიარა და არისტოტელეს ინფორმაცია დადასტურდა. 1870 წელს, ეროპელებიდან პირველმა, გეორგ შეეინფურტმა საკუთარი თვალთი იხილა ადამიანის მოდგმის ანომალიური, აბერაციული შტო – აფრიკის ჯუნგლებში მცხოვრები ლილიპუტი აღნაგობის ადამიანები.

ჯუჯა ადამიანები ცხოვრობენ მთა რუენძორის მისადგომებთანაც, მაგრამ მათი ყველაზე ტიპური პოპულაცია მაინც ამ მთის ჩრდილოეთით, დაახლოებით 400-500 კილომეტრზე, ალბერტის ტბის მახლობლადაა წარმოდგენილი. ტროპიკული ტყის ეს მასივი იტურის სახელწოდებითაა ცნობილი.

იტურის ეკვატორული ტენიანი ტყის ზურმუხტს ამავე სახელწოდების ცისფერი მდინარე კეთავს. თავგადასავალი მოგზაურები ჯუჯა ადამიანთა საცხოვრებელში სწორედ ამ მდინარეზე რეგულარულად მიმოსვლადი ნაგების საშუალებით ხედეზიან.

სპეციალისტებმა შეისწავლეს პიგმეების არეალი. ზაირის გარდა, იგი მოიცავს კამერუნის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის, გაბონისა და კონგოს სახალხო რესპუბლიკის ტენიანი ტყის მასივებს. ამ ტერიტორიაზე არჩევენ პიგმეების რამ-

დენიმე ტომს, ესენია: ეყე, აკა, ბასუა, ბამბული და ა.შ. დაახლოებით 7-8 დასახელების ამ ტომებს სშირად აზოგადებენ ერთი სახელწოდების – ბამბუტის ქვეშ. მათი მოსახლეობის რიცხვი 3000 არ უნდა აღემატებოდეს. ეთნოგრაფთა აზრით, ჯუჯა აფრიკელებით მდინარე ზაირის აუსი ათვისებულ ექნა სხვა, ნორმალური აღნაგობის აბორიგენებამდე გაცილებით ადრე. მოგვიანებით ტყის შეიღები დიდ ტერიტორიაზე შეავიწროეს და ამჟამად, ასე, ადამიანის რელიქტური პოპულაციების სახით არიან შემორჩენილები. მეზობელი ხალხის გავლენა, უწინარესად, ენაზე აისახა – ძირითადი სალაპარაკო ენაა ბანტუ. ეს განაპირობა გარემო სამყაროსთან ნადირობით მოპოვებული პროდუქტების მიწათმოქმედების პროდუქტებზე (ბანანი, პროსო, მანიოკი) გაცვლამ. ნათქვამის მიუხედავად, პიგმეებმა, პრაქტიკულად, სრულად შეინარჩუნეს თავიანთი არქიარქული, ორიგინალური ყოფა.

როდესაც XIX საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში შეეინფურტი პიგმეების მოსახლეობლად ზაირში გაემგზავრა, დარწმუნებული იყო, რომ საქმე ექნებოდა ნორმალური ადამიანების, ლილიპუტის მსგავს, პირწმინდა ჯუჯა რასასთან. გერმანელი ანთროპოლოგი აშკარად მოტყუედა. მას



სურ. 403. პიგმეები ზაირის ჯუნგლებში (გერმანელთა ექსპედიცია, 1934 წ.).

შემდეგ ტყის გნომებისადმი ინტერესი დღემდე არ განვლეს.

პირველი შეხედვისთანავე, რაც პიგმეებთან შეხვედრისას თვალში გეცემა, მათი უჩვეულოდ დიდი თავები, მუცლიანი ტანები და ძალიან მოკლე ფეხები. საშუალო სიმაღლე 130-135 სანტიმეტრებს შორის მერყეობს, უფრო დაბლები – 120 სანტიმეტრის, ხოლო მაღლები – 140 სანტიმეტრისანი იზრდებიან. საშუალო წონა 35 კილოგრამს არ აღემატება. ამ მარევენობებით ისინი წინააღმდეგობას, გრაციული ტიპის ავსტრალოპითეკებს ემსგავსებიან. გარდა ამისა, ნამდვილ ნეგროიდებთან შედარებით, გაცილებით თმინები არიან, ხანშიშესულები წვერებსა და ბაკენბარდებსაც ატარებენ. გამოწვეული შუბლი, შეჭყლელი ცხვირის ფუჭე, დიდი, ნუშის ჭრილში ჩამჯდარი თაფლისფერი თვალები, მართლაც აძლეოთ მათ მითოლოგიური გნომების იერსახეს. ფსიქოლოგიურად ბამბუტის ტომი ადამიანზე ბავშვების, უმწეო პატარების შთაბეჭდილებას ახდენენ. ამ შეგრძნებას თავს ვერ აღწევენ თვით ის მოგზაურები, ვისაც პიგმეების გარემოცვაში არაერთი კვირა გაუტარებიათ. მსგავსი აკვირებულნი აზრი სულაც არ გამომდინარეობს მათი ესოდენ გამორჩეული ტანმორჩილობიდან. იტურის ბინადართა გამომეტყველებიდან და, რაც მთავარია, ქვეყებიდან გამომდინარე, ბევრ თვითმხილველს დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა თავის დასარწმუნებლად, რომ საქმე მართლაც ზრდასრულ ქალებთან და კაცებთან ჰქონდათ.

ტყე პიგმეების საცხოვრებელი და სულიერი ნეთსაყუდელია. რაკილა დედამ სიცოცხლე აჩუქა, იტურელთა მთელი დანარჩენი არსებობა სწორედ რომ ტყეზეა დამოკიდებული. ტყე მათთვის „სამყაროს ყველაზე კეთილი ნაწილია“. პიგმეებს გულწრფელად სწამთ ტყის სიკეთის. მსგავსი რწმენა აბო-

რიგენებს რელიგიის დონეზე აქვათ, ამიტომაც უმღერიან ასე გატაცებით:

„რა ბედნიერია ჩემი გული,
ჩემი გული ჩიტით მღერის,
ტყის მწვანე ხეთა საცხოვრებელში;
ტყე ჩემი სულის ნაწილი, ჩემი დედაა!“

პიგმეები ცხოვრობენ 5-35 სულისაგან გაერთიანებულ ოჯახებად. ჯუჯების შესაფერის სოფლებს ტყის სიღრმეში აშენებენ. მათთვის ნომადობა, იგივე მომთაბარეობა, მსგავსად ნებისმიერი ტყის ნობათის შემგროვებლობითა და მონადირეობით თავის გამტანი სხვა, პრიმიტიული ხალხისა, ჩვეულებრივი საქმეა. თავშესაფარი ქოხია. ქოხის კარკასს, ხის დრეკადი ტოტებისაგან აგებენ. საცხოვრებელს, ძირითადად, პალმის ფოთლებს ახურავენ. ერთი შეხედვით, ქოხი ჰაიმარად არის ნაგები, სინამდვილეში, საიმედოდ იცავს მის შიგნით მცხოვრებ ტროპიკული თავსხმა წვიმებისაგან. ნაგებობის სიმაღლე ერთ მეტრს არ აღემატება, სიგრძე – სამ მეტრს.

ცხოვრობენ ოჯახებად. ახლო მონათესავე თანატომელები გვერდიგვერდ სახლდებიან. ასე იქმნება მონათესავე კლანი, ტრანდი, რომელიც შედგება 5-34 კაცისაგან. დედ-მამის აზრს ანგარიშს უწევს ახალგაზრდობა, მაგრამ კლანის წინამძღოლის სიტყვა, მათთვის ბევრს არაფერს ნიშნავს. ბამბუტის ტომში წინამძღოლის, ბელადის სტატუსი საკმაოდ ფორმალური ცნებაა. ამ სოციალური ნიშნით ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ყველა აფრიკული ტომისაგან. პიგმეებში არ არსებობს იერარქია, ქონებრივი უთანასწორობა, არ გააჩნიათ დამწერლობა, შესაბამისად დაწერილი კანონები, სამაგიეროდ, თაობიდან თაობაში გადაცემული ჩვევები, ტრადიციები, ქვემოთ მოყვანილი 18 ცნების სახით წმიდათა-წმიდაა.

კოლონიური აფრიკის ადგილობრივი მთავრობები არაერთხელ ეცადნენ შემოეღოთ ბამბუტისთვის ადმინისტრაციის ინსტიტუტი, დაენიშნათ მათთვის წინამძღოლები. ცნობილია, რომ მსგავსი პრაქტიკა ამართლებს – იოლად სამართავი ხდება მათი გაუღენის ქვეშ მოქცეული ხალხი, ადვილია ღალის შეწერა, დაქირავებული შრომით მოპოვებული დოვლათის ექსპლუატაცია. ამ ინიციატივიდან არც ნორმალური აგებულების მქონე შაეკანიანებს და არც პიგმეებით დასახლებული არც ერთი ქვეყნის მთავრობის ჩინოვნიკებს არ ღირსება პიგმეებისაგან ხარკი, არაეინ უნახავს ეს ადამიანები გზის, ქალაქების ნაგებობათა მშენებლობით დაკავებული და თუ ეინმე მაინც დააპირებდა თავისი ნების ბამბუტელებისათვის თავზე მოხვევას, პიგმეები დედაბუდიანად იყრებოდნენ თავიანთი საცხოვრებელიდან და სადღაც იკარგებოდნენ.

აბორიგენთა ამ მოსახლეობისათვის უცხოა კერძო საკუთრება. ქოხში მათი ქონება შედგება მხოლოდ მცენარეებისგან ნაკეთები, ხშირად ერთჯერადი დანიშნულების სხვადასხვა საგნებისაგან.



სურ. 404. პიგმეი ქალი ბავშვით.

უფრო მეტიც, არაყინ ცდილობს კლანში სხვაზე მეტი საგნების დაგროვებას, შესაბამისად, ამ ადამიანებისათვის მიუღებელია კერძო საკუთრება. მცენარეთა ბოჭკოებისაგან დამზადებული ქსოვილით დაფარული აქვთ სხეულის მხოლოდ სასირცხვო ორგანოები. პიგიენის მიზნით, სხეულის უკანა ტანზე მიმარტებული აქვთ ბალახის კონა, იგი იცავს სხეულს მიწაზე დაჯდომისას.

ბერპარდ გრეიმეკმა შეძლო გადაეღო მათზე ფილმი. ოპერატორი ყოველთვის ცდილობდა მოედებინა კინოკამერის ობიექტივი ოდესღაც ვეროპელთა მიერ ნაჩუქარ შორტებში ან დახეულ პიჯაკებში გამოწყობილი თითო-ორი კაცუნასათვის. ფილმში დასაქმებული კანფეტით საჩუქრდებოდა. ეს უკანასკნელები ან სწრაფად მიაშურებდნენ „დინარულებს“ და მათ უყოფდნენ თავიანთ ტკბილეულს, ანდა მაღაღდნენ სასუსნავს და სხვებისთვის ხელმეორედ დგებოდნენ რიგში.

პიგმეების ოჯახები აგებულია მკვიდრ, მონიგამიურ ურთიერთობებზე. კლანში, ახლო ნათესაებში ქორწინებას, ანუ სისხლადრევას ტაბუ ადევს და მისი დამრღვევი სასტიკად ისჯება. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ, პირიქით, აუტბრიდინგი, ანუ გარეკორწინება დედამიწაზე ტრაიბალური ცხოვრებით მოარსებე ხალხთა უმრავლესობაში ფართოდ მიღებული წესია.

ბამბუტის სხვა კლანიდან ქალის თხოვება-წამოყვანა გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. საქმე ის არის, რომ პიგმეებში ქალი დიდად ფასობს გარდა იმისა, რომ შობს და ბავშვებს ზრდის, იგი ძირითადი საშუალების შემსრულებელი ძალაა. პიგმეები, ზოგიერთი სხვა ხალხით, ქალის გამოსასყიდს არ იხდიან, მათ ასეთი ქონება არ გააჩნიათ. პრობლემის გადაწყვეტა ხდება პრინციპით „სავანი იცვლება სავანში“: მუზობელი კლანიდან სიძეს მხოლოდ მაშინ ატანენ პატარძალს, თუ ამ უკანასკნელს მომავალი სანათესაოდან წამოსაყვანი პატარძლის სანაცვლოდ თავისი ტომელი ქალიშვილი მოჰყავს. რა თქმა უნდა, ვერც ამ უკანასკნელს გაირეკავს ვინმე წინ თხასავით – „გასაცვლელმა“ სხვა ტრაიბის, კლანის რომელიმე ვაჟზე გათხოვების სურვილი თავად უნდა განაცხადოს.

თუ მსგავსი რთული ოპერაცია მშვიდობიანად დამთავრდა, ქალის გათხოვებით ოჯახისადმი და, საერთოდ, კლანისადმი მიყენებული ზარალი დამოყვრებულთა მხრიდან ნატურით (ნანადირევით) ნაზღაურდება.

გათხოვება-მოყვანის ეს უცნაური ტრადიცია თავის გაველენას ახდენს განქორწინებაზე. ეთქვათ, ქალმა გადაწყვიტა ქმართან გაყრა. აქ იგივე პრობლემა იჩენს თავს, რაც გათხოვებისას – განქორწინება მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუ მისი ქმრის მიერ ამ ტომში „გასაცვლელად“ მიყვანილი ნათესავი ქალიც განაცხადებს თავისიანებში დაბრუნების სურვილს. ვინაიდან ასეთი ორმაგი კომბინაციის შანსი ნაკლებად რეალურია, ოჯა-

ხებიც ინარჩუნებენ სიმყარეს. ბამბუტებს შორის ორცოლიანობაზე ფიქრიც კი ზედმეტია. სად არის ამდენი გასაცვლელ-გამოსაცვლელი ქალი? თანაც ერთს ორი ცოლი და სხვას არც ერთი? ასეთ უსამართლობას პიგმეები არ უშვებენ!

ნეგრილების უმთავრესი საქმიანობა საკვებად ვარგისი მცენარეების შეგროვება და ნადირობაა. შეგროვებით, ძირითადად, ქალები და ბავშვები არიან დასაქმებულნი. მცენარე ან უმაღ იჭმევა ან იხარშება. ცხოველური ცილის ნაკლებობის მასობრივი აღდგენა, ძირითადად, მწერების ხარჯზე ხდება. როდესაც ტერმიტებს ქორწინების პერიოდი დაუდგებათ, მსგავსად ჭიანჭველებისა, ამ მწერთა ოჯახის სქესმატარებელ ინდივიდებს ფრთები უვითარდებათ. ამ დროს ათასობით მწერი ტოვებს სტერმიტებს. შეწყვილებისათვის მზად მყოფი ასოათასობით პაწაწინა არსებები პაერში მოელ ღრუბლებს წარმოქმნიან. პიგმეებიც არ კარგავენ თავიანთ შანსს – მწერთა საცხოვრებლების გარშემო ფოთლებისაგან თავისებურ კედლებს აშენებენ. მათზე მიმწყდარი, ფრთამოტეხილი ტერმიტები ძირს ცვივიან. მათ სპეციალურ ორმოებში აგროვებენ, რის შემდეგ ცეცხლის ალზე კეთდება ტერმიტთა შებოლილი. ასეთ შეჭამანდს გემოს თქვით ვეროპელებიც არ უწუნებენ. ზოგჯერ ნანადირევი მცენარეთა ნაყოფთან შერეული სახითაც იხარშება.



სურ. 405. პიგმეი შხამიანი ისრით ნადირობისას.

აბორიგენტთა ხის, კუს ბაენისა თუ მოლუსკის ნივარისაგან დამზადებულ ჯამში ხედება სხვა მწერთა მატლები და მუხლუხოვებიც.

მთავარ საკვებს მაინც ნანადირევი იძლევა. მამაკაცები სანადიროდ იყენებენ მცენარეული წარ-

მოშობის, შხამში ამოვლებულ ისრებს. უფრო იშვიათად – შუბებს. მეოცე საუკუნეში შუბის კაუჭის წვერი ნატურალურ პროდუქტებზე გაცვლილმა ლითონმა შეცვალა. ეს უკანასკნელი, ჯუჯა ადამიანთა ნეოლითური კულტურის ფონზე, ერთ-ერთი იშვიათი საგანძურია.

ნადირობისას, ფათერაკის გადაყრის შემთხვევაში, სოლიდარობის გამოსატყვის არაერთი ხერხია ცნობილი. ყურად თავისებურია მფურთხავი კობრისაგან მიყენებული ზიანის დროს აღმოჩენილი პირველადი დახმარება. კობრას ერთ-ერთი პიგმეისთვის შხამი ორი-სამი მეტრიდან ცალთვალში შეუფურქვევია. თვალში მაშირეე სისხლსაქცევები წარმოიქმნა, ცრემლებმა კი დაჰა-ღუპით იწყეს ლოყაზე დენა. ორმა ამხანაგმა ზურგზე წამოაწვინეს ავადმყოფი, მესამემ კი გაჭირვებულს თვალში ჩააშარდა. დამით მსჯელობა რამ კიდევ ორჯერ გაუმეორებიათ. სამ დღეში დაზარალებული ფეხზე წამომდგარა.

ნეგრილთა ზოგიერთი პოპულაცია ისრისთვის შხამს ამზადებს მარილად წოდებულ ხისგან (*Accanthera friesiorum*). ხშირად ხეს აგნებენ მისგან დახოცილი ფუტკრებისა და ნექტარჭამია ფრინველებით. ხის მერქანს მანამდე ხარშავენ, სანამ კუპრით შავ მასად არ გადაიქცევა. შემდეგ ამ მასას ურევენ გველის შხამს და რამდენიმე სახეობის მცენარეთა ფესვების ნახარშს.

ჩია ანტილოპაზე ნადირობისას ასეთივე ჩია ადამიანები ტყის უღრანში ამ ჩლიქოსანზე ნაკლები სიფრთხილითა და სიმსუბუქით როდი გადაადგილებდნენ. საჭირო მომენტში აჩრდილებად ქცეულები გარკვეული წესით იშლებიან. ნადირის ბილიკთან რჩება ერთი, სხვები, ათიოდე მეტრში, ბუჩქებში უჩინარდებიან. სანადირო ბილიკზე დარჩენილი ცხვირის ნესტოებში იღებს თითებს, პირს ადებს და ხორხის თავისებური ვიბრაციით გამოსცემს ანტილოპას მსგავს ბგერებს, ეს ხმა გარკვეულად, თხის პეტლს – მე-ე-ს მოვლავონებს. თუ ნადირი, მისი მოდგმისათვის დამახასიათებელი ამ საჭიროწინო მიბაძვამ აცდუნა, ბუჩქებში ჩამალული კაცუნები მას შხამიან ისარს არ ააცდენენ.

პიგმეების სანადირო ოსტატობისა და სტრატეგიის უმაღლესი გამოვლინება მაინც სპილოზე თავდასხმაა. ბინდბუნდით სულ ერთიანად დარღვილი ტყეები, თავხეხელად მუქი ჯუჯები, ბამბუტი მონადირეები ყველაზე მოქნილი ნადირით მიიწევენ წინ. ყველავენი თუ არა თვალს ტყის გიგანტს, ლანდივით აეკერებიან, შემდეგ შეურნიშვნელ მოხერხებულ მომენტს, მიეპარებიან, გადაუჭრიან უკანა კიდურების სისხლძარღვებს და მსხვერპლს გადაადგილების უნარს აკარგებენ. შემდეგ, ყველაზე გაბედულები, ხორთუმსაც აჭრიან, სისხლისგან დაცლილი სპილო იღუპება.

სპილოზე ნადირობის მეორე, უფრო დაუნდობელი წესი შემდეგში მდგომარეობს: როგორც კი მონადირეები მსხვერპლის ახალ ნაკეალევეს შეაჩვენებენ, თავიანთი სხეულის სუნის გასაქრობად



სურ. 406. მონადირეული სპილოს გატყავება.

მთელ ტანს ცხოველის ჯერ კიდევ ცხელი განაეღლით შეიხევენ. სარგებლობს რა მსხვერპლის სუსტი მხედველობით, ერთ-ერთი მათგანი არაჩვეულებრივი მოხერხებულობით შეუძერება სპილოს მუცლის ქვეშ. ნადირობის ეს იღეთი ისე ტარდება, რომ მონადირე „თავს ზემოთ ნადირის გულის ცემა ესმოდეს“. შემდეგ, თავხეხელად ბუჩქები, ორივე ხელით მოიმარჯვებს რა მოკლე შუბს, მთელი ძალით აძგერებს მას სპილოს მკერდის არეში და ელვის სისწრაფით გახტება გვერდით. შუბს წვერი დაკბილული აქვს. კონველსია-შეპყრობილი ცხოველის სხეულიდან ასეთი იარაღის თავისით უკან გამოვარდნა შეუძლებელია. სანამ მთავარი მონადირე ტკივილებისაგან ჭკუადაკარგული, დაჭრილი ცხოველის თავდასხმის ზონაში იმყოფება, მისი ყურადღების მისაქცევად ბუჩქებში მიმალული თანამშრომლები ერთ ვაი-უშეულებელს ატეხენ ხოლმე დაჭრილი გოლიათიც ადვილად ეგება ანკესზე, მიუბრუნდება სიცოცხლის მომსწრაფებლებს, მაგრამ მალევე კარგავს წონასწორობას და მიწაზე მოადენს ზღართან. მიუხედავად რისკზე წაასული მეგობრის თავდაცვის წინასწარ შემუშავებული ხერხებისა, არცთუ იშვიათად, ფათერაკი გარდუეალ ხასიათს იღებს. ყველაზე გულადი და მოხერხებული მონადირეც უსასღეროდ გააყვებული სპილოს მსხვერპლი ხდება – ფეხები-„ბოძებით“ ან მიწაზე ალურსმავს თავადამსხმელს, ანდა შუანივით მუცელს უფატრავს და ნაწლავებგადმოყრის ხშირად, ხორთუმით ხის ტოტებზე ბურთივით ატყორცნის ხოლმე...

აღბათ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ რამდენიმე ათასი წლის წინათ სწორედ ასე ცხოვერობდნენ და ნადირობდნენ ჩვენი შორეული წინაპრები.

რები, იქნებოდა ეს იგივე ტროპიკული ჯუნგლები თუ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს მაღალი განედები (იგულისხმება გამყინვარების დროინდელ მამონტებზე ნადირობა).

მაგრამ „ჩიტი ბდღენად ღირს“: სპილო ხორცის ვეებერთელა მასაა, ე.ი. მთელი ტომის დამპურებული და რამდენიმე დღის განმავლობაში უდარდელი ცხოვრების გარანტი. ამიტომ, წარმატებული ნადირობის დამთავრებისთანავე, იწყება რიტუალთა მთელი კასკადი. მისი დამაგვირგენებელი აქციაა „დაჭრილი სპილოს ცეკვა“. ეს უკანასკნელი შეიცავს აბორიგენტთა ინიციაციის მთელ ცერემონიას. ბამბუტის ხალხის სპირიტუალური ცხოვრების ეს მხარე კარგა ხნის განმავლობაში გაუშიფრავი იყო ეთნოგრაფებისათვის.

რიტუალის დასაწყისში მონადირეები აგროვებენ მსხვერპლის ჭრილობებიდან დაღვნილ სისხლს, აჭრიან მას ხორცის ნაჭერს, ახევენ მცენარის ფოთლებში და შემოდებენ ტანდობით გამოირეულ ხის ვარჯზე. ეს ერთგვარი ხარკია კომბესადში – ტყის ღეთაბისადმი, ე.ი. პიგმეების, სპილოების, სხვა ნადირ-ფრინველთა და მცენარეთა მფარველისადმი. ძღვნის შეწირვას თან ახლავს ლოცვა, რომლითაც კაცი შესთხოვს უზენაესს, რომ მან ხეალაც უწყალობოს მის ხალხს მსგავსი ნანადირევი.

სოფლიდან მოსული ხალხი, მონადირეებთან ერთად, ხორცის ნაჭრებად აქცევენ მსხვერპლის ვეებერთელა სხეულს. ნანადირევი იწყება ცეცხლში ჩადგმულ, ქეებისაგან გაკეთებულ კეცის მსგავს მოწყობილობაზე. როგორც კი დამზადდება სადილი, იწყება ნამდვილი ორგია, ბაკანალია. გარდა მთავარი მონადირისა, ყველა ბოლომდე იკმაყოფილებს კუჭის მოთხოვნილებას. ბამბუტის ხალხთა რწმენით, შუბით სპილოს განმგმირავემ არ უნდა ჭამოს ნანადირევი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას რისხვად მოეველინება კომზე – მსხვერპლზე გაცილებით უარეს განსაცდელში ჩაადგებს. სამაგიეროდ, სხვა დროს, სხვის მიერ წაქცეული სპილოს ხორცის ჭამით იჯერებს გულს.

ტყის შეილთა მსგავსი ქცევა საინტერესო ეთნოგრაფიული და ფსიქოლოგიური ფენომენია. ესოდენ სპეციფიკური სოციალური და ზნეობრივი დატვირთვის მქონე მსგავსი რიტუალი შეიძლება ჩამოყალიბებულიყო ტყის წიაღში მცხოვრებ ხალხთა გარემოსთან ურთიერთობის თავისებური და ხანგრძლივი ევოლუციის პროცესში.

ამ შეხედულებას განსაკუთრებით ადასტურებს წარმატებული ნადირობის დამაგვირგენებელი ეტაპი, ერთგვარი აპოთოზი – დაჭრილი, მომაკედავი სპილოს ცეკვა. მას ასრულებს კონკრეტული ნადირობის მთავარი გმირი. ცეკვის არსი მდგომარეობს შემდეგში: პიგმე-მონადირეთა ღრმა რწმენით, მათ მიერ მოკლული სპილოს სული მათ სხეულშივე იდებს ბინას. სანამ ეს სული მონადირის შიგთავსში ტრიალებს, იგი მას აფრთხილებს მოსალოდნელი შურისძიების გარდუ-

ვალობაზე. ერთადერთი გამოსავალი მდგომარეობს მკედარი სპილოს სულის ხელახლა ტყეში – ყველა სულდგმულის საერთო სახლში – უკანვე მიბრუნებაში.

როგორ შეიძლება ეს განხორციელდეს? შენ, სპილოს სიცოცხლის წამრომეო, ისევე უნდა იტარო, როგორც შენი ხელისგან სულმოსწრაფებული ნადირი ეწამა, უნდა გაითავისო შენ მიერ განწირული იმ მსხვერპლის ტკივილი, რომელმაც შეწირვიტა რა სიცოცხლე, ამით „გადააბიჯა სასლგარს წუთისოფლიდან იმქვეყნიურში, ე.ი. მარადიულ სიბნელესა და შეუცნობელში“.

ცეკვას წინ უძღვის მონადირის ღრმა, მედიტაციური ხასიათის მსაღება – თვითშთაგონება, რაც მოქმედების მთავარ გმირს ეხმარება რეალურად იგრძნოს თავი სპილოდ და, რაც მთავარია, ორგანულად გაითავისოს სასიკეთლოდ განწირული ნადირის აუტანელი ტანჯვა-ტკივილი.

და აი, თანატომელთა თანდასწრებით იწყება მონადირის რიტუალური ცეკვა. ცეკვის რიტმები თანხედება აბორიგენტთა მიერ მსგავს ბგერებს. ამ დროს სხეები, მორიგეობით, ბამბუკის გადანაჭურისგან გაკეთებულ გრძელ ყალიონს აბოლებენ.

ცეკვა ხანგრძლივია. მის დასასრულს ცოდეის მთავარი ჩამდენი გრძობს, თუ როგორ სტოკებს შუბისაგან განგმირული სპილოს სული ცოდეიდ სხეულს, მონადირეს ემართება ნერეული კრუნჩხვა, განწირული ცხოველივით მიწას ენარცხება და ცხოველივით „კედება“. ინსტრუმენტზე დამკერელები გადადიან ტრაგედიის ყველაზე უფრო შესატყვისი მუსიკის შესრულებაზე. თვითმხილველთა აზრით, ეს სცენა არანაკლებ დრამატულად და პლასტიკურად თამაშდება, ვიდრე ცნობილი მსახიობების მიერ შესრულებული ანალოგიური რამ „გედების ტბიდან“.



სურ. 407. პიგმეები მათ მიერ აგებულ პრიმიტიულ ქოხთან.

როცა ძალამიხიდილი მოცეკვავე მიწაზე ჩე-
რებით გდია, ეს იმის ნიშანია, რომ სპილოს სულმა
მისი სხეული დატოვა. მონადირეს ეუფლება სრუ-
ლი შეების, რელექსაციის ნეტარი გრძნობა, ეხს-
ნება უმძიმესი ტერითი, რომელიც ამდენი ხნის
განმავლობაში ასე აუტანლად აწეებოდა მის სულ-
სა და ხორცს. მან დაუბრუნა კომბეს - ტყის
მეუფეს, თავისი კუთვნილი, მაგრამ მონადირესაგან
წართმეული სპილოს სული. ვალი გასტუმრებულია.

მართალია, ნეოლითის, მით უმეტეს, პალეო-
ლითის ცხოვრების წესით მცხოვრებ ხალხთა ერ-
თეული წარმომადგენლები დღემდე შემორჩა
დედამიწას, მაგრამ ანიმიზმის მსგავსი ფორმით
გამომხატველი ტრადიციები მაინც ძალზე იშვიათია.

პიგმეების თავისებური, განვითარებული მსოფ-
ლმხედველობის მანიფესტებელია მათ მიერ საუკუ-
ნების განმავლობაში შემუშავებული თავისებური
კოდექსი - „ადამიანთა 18 შეცოდებანი“. ესენია:
1. ბავშვების მიმართ სასტიკი მოპყრობა; 2. მკვლე-
ლობა; 3. ცხოველთა უაზრო განადგურება; 4. მშობ-
ლებისადმი ხელის არგაწოდება; 5. დაჭრილი ან
ტყეში დაბნეული თანამოძმისადმი ხელის არგა-
წოდება; 6. საკვების გაფუჭება; 7. სასმელი წყლის
დაბინძურება; 8. ჯადოქრობა; 9. სიმრედი; 10. ნა-
ღირობისას სიმხდალე; 11. ქმრის ხელყოფა (ცემა);
12. ცოლის ხელყოფა (ცემა); 13. დიდი ხეების მოჭრა;
14. დეთის გმობა; 15. ცხოველთა ხაფანგში შეტ-
ყუება, როგორც მზაკერობის გამოვლინება; 16. ქურ-



სურ. 408. პიგმეი ბამბუკისაგან დამზადებული
საკრავით. ქვედა წელზე წინსვარი ისეთი
ბალახებისაგან მზადდება, რომლებიც
აფრთხობენ (აქეთ რეპლენტის თვისება)
პათოგენურ ორგანიზმებს. ამ უკანასკნელებს
ადვილად შეუძლიათ საცვალს მოკლებული
აბორიგენის დააუადება.

დობა; 17. კეერცხის - „სიცოცხლის თესლის“ - ჭამა;
18. ცილისწამება. როგორც ეხედავთ, „თერამეტი
მცნებიდან“ ექვსი, გარემოს დაცვას ეხება.

აფრიკანისტთა საერთო აზრით, აფრიკის ავ-
ტოქთონური მოსახლეობის ფონზე, ნეგრილები
ყველაზე მაღალი მორალური კრიტერიუმით გამო-
ირჩევიან. ეს მატერიკი კი, როგორც ცნობილია,
ჭეშმარიტი ეთნოგრაფიული ბაბილონია. პიგმეების
პატარა ქალუკები ნამუსის ახდას სიკვდილს არჩე-
ვენ. ნათქვამის არაერთი დოკუმენტური მასალა
არსებობს, როდესაც „კოლექციონირების“ მიზნით,
თეთრი დონუანები ცდილობდნენ, ეცდუნებინათ
ტყის ქალები.

ფრანგი ჟან-პიერ ალე, ერთადერთი ევროპელი
იყო, რომელმაც პიგმეებს შორის რამდენიმე
წელიწადი იცხოვრა. იყო მომენტი, როდესაც მათ
საცხოვრებელ გარემოს - იტურის ტყეს - კატასტ-
როფული განხევის საფრთხე დაემუქრა. ამ ევრო-
პელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მიაღწია
მსოფლიო სასოგადოების პროტესტს. ამ კეთილ-
შობილი საქმით საბოლოოდ მოინადირა ბამბუ-
ტელთა გული. პიგმეების ფსიქიკაში ღრმად ჩახე-
დულმა ჟან-პიერმა, აბორიგენთა „თერამეტი მცნება“
ერთი ფორმულირების სახით ჩამოაყალიბა: „ბუნე-
ბას ისე უნდა მოექცე, როგორც შენ თხოულთ
ამას მისგან“.

საკვირველია, მსგავსი მსოფლმხედველობის
ხალხში არ არის მიღებული ანგარიში, ითვლიან
მხოლოდ ხუთამდე, ზოგჯერ სამამდეც კი. ზოგჯერ
ტომი ვერ ფლობს ცეცხლის მოპოვების სრულ-
ყოფილ ხერხსაც. პიგმეების პირველი აღმოჩენი
ევროპელები არცთუ იშვიათად ხატავენ მათ
ანთროპოფაგური ფსიქიკის მქონე „შხამიანი ისრით
მონადირე კაციჭამებელ“. მაგრამ, მოგვიანებით,
ნებისმიერი, ვინც აბორიგენებში თუნდაც ორიოდ
კვირა გაატარა, ერთხმად აღნიშნავდა სრულიად
საწინააღმდეგოს: ტყის კაცუნები სიცოცხლით აღ-
სავეს, მხიარული, სტუმართმოყვარე, კეთილმო-
სურნე, მიმნდობი, თუმცა იმავდროულად ამაყი
ხალხია. დამცირების ნებისმიერი გამოხატულების
შემთხვევაში მტკიცე პროტესტს გამოხატავენ,
მაგრამ, როცა გამოუვალ მდგომარეობაში ვარდ-
ბიან, იქაურობას ეცლებიან და უჩინარდებიან.

ერთადერთი, ვინც მაინც ახერხებს მათი გარკ-
ვეული კუთხით ექსპლუატაციას, მეზობელი, ფიზი-
კურად ჩვეულებრივად განვითარებული აფრი-
კელები არიან. როგორც ითქვა, პიგმეებს უხდებათ
ასეთებთან სხვადასხვა საგნების გაცემა. მსგავსი
ოპერაციები საკმაოდ ხშირად აყალიბებს ორ ხალ-
ხს შორის მჭიდრო კავშირებს. სოფლების ტანმო-
სული ბინადრები თითქოს თავის თავზე იღებენ
პატარების დაცვას, სინამდვილეში, მოტყუებით,
უღმერთოდ აცურებენ. მაგალითად, ბამბუტის მიერ
მონადირებულ სპილოთა შუანები, ჩალის ფასად,
მთლიანად მათი საკუთრება ხდება. თითქმის ნახე-
ვარი ტანით პიგმეებზე აღმართულები, ძლიერი,
ათლეტიკური აგებულების აფრიკელები გრძნობენ



სურ. 409. მუსიკალურ ინსტრუმენტად გამოყენებული მშვილდისრის ხეში.

თავიანთ ფიზიკურ უპირატესობას პიგმეებზე და, ისე უყურებენ მათ, როგორც ცხოველებს - შიმპანსესა და გორილას. სოჯჯერ ხელმოცარული ქონდრისკაცებისაგან ქალებსაც ყიდულობენ. ჩრდილოეთ ზაირში ყოფილა სოფლები, სადაც ასე გაყიდულ ყაფისფერკანიანებს შეხედებით, კიდევ უფრო მეტია შერეული ქორწინებებით მოელენილი პიბრიდები. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს პომო საპიენსის სახეობის ერთიანობაზე - ნებისმიერი რასის წარმომადგენლის მეორესთან შეწყვეილება ნაყოფიერ შთამომავლობას იძლევა.

დღეს პიგმეების მიწის პირიდან ალგეის მრავალი პრობლემა არსებობს: ტყეების გაჩეხვა, ნორმალურტანიანი აფრიკელების მხრივ შეეიწროება, მათთან შერეული ქორწინება და ა.შ. ეინაიდან პირუკუ შეწყვეილება - ბამბუტელი მამაკაცის ჩვეულებრივ შეაკანიან ქალთან ქორწინება, პრაქტიკულად არ ხდება, იტურის ტყეებში მცხოვრები ხალხი სულ უფრო განიცდის ცოლების ნაკლებობას.

პიგმეების გადაშენება მრავალი მიზეზით დასაწანიია. როგორც ითქვა, ისინი ქმნიან უნიკალურ ანთროპოლოგიურ გენოფონდს. არანაკლებ უჩვეულოა მათი ცხოვრების სპირიტუალური მხარე: „დაჭრილი სპილოს ცეკვა“, ავი და კეთილი სულების რწმენა და, საერთოდ, მთელი მათი არქიარქაული კულტურა, რომელიც კაცობრიობამ უხსოვარ დროში - პალეოლითში გაიარა. ეთნოგრაფები ჩქარობენ, რაც შეიძლება, სრულყოფილად შეისწავლონ პიგმეების ტომთა ადათ-ჩვეულებები, მათი საშუალებით იოლდება კაცობრიობის საწყისი, ინიციალური კულტურის აღდგენა!

სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში კალაპარის მკაცრი ტრამალები გადაიქცა ბუშმენტა უკანასკნელ თავშესაფრად. ეთნოგრაფებს დიდი ხნის განმავლობაში მიაჩნდათ, რომ ასეთ რთულ პირობებში ისინი განწირვლები იყვნენ გადასაშენებლად (თავის დროზე, ეთნიკური წმენდის ბოლო ეტაპზე, ბუშმენტა მხოლოდ 7000 ადამიანი, ანუ საწყისი პოპულაციის 1% შემორჩა), მაგრამ „ბუნქის აღამიანებმა“ ისწავლეს უდაბნოს წიაღში არსებობა და გადარჩნენ - დღეს მათი მოსახლეობა 50000 სულს ითვლის. ამჟამად რესპუბლიკა ბოტსვანის მთავრობამ ეს ხალხი ქვეყნის სრულყოფილებიან მოქალაქეებად აღიარა, მათი დიდი ნაწილი ადგილზე დასახლებულ (ფერმები და ა.შ.) ცხოვრებას ეწევა. მაგრამ მცირე ნაწილი მაინც განაგრძობს უდაბნოში, წინაპართა პირველყოფილი ცხოვრების წესით არსებობას. ამგვარად, ჩვენს დროში, დედამიწის უდაბნოებში პალეოლითის დონეზე მცხოვრები ორი ხალხი შემორჩა - აესტრალიელი ბინდიბუს ტომი და კალაპარელი ბუშმენები. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მათი ყოფა-ცხოვრებით დიდად დაინტერესდნენ სპეციალისტები. ქვის იარაღების გარდა, საყოფაცხოვრებო ნივთების სახით იყენებენ ხის ფილთაქვას, ჭურჭლად - სირაქლემას კვერცხის ნაჭუჭს. სასირცხვილო ორგანოების დასამალ წინსაფარს აკეთებენ ცხოველთა ტყავისაგან, რომელიც მორთულია იმავე კვერცხის ნაჭუჭის ნამსხვრევებით. ქალები ასეთივე ნაჭუჭებისა და პატარა კუს ბაქნებისაგან ამზადებენ ყელსაბამებს. მშვილდის ხეშს მუსიკალურ ინსტრუმენტადაც იყენებენ. სძინავე ქვიშაში ამოთხრილ და ხმელი ბალახით დაგებულ ორმოში. ერთმანეთთან შეკრული ტოტემისაგან დამზადებული ბიჯგებით სოჯჯერ აკეთებენ ქარსაფარს. დაახლოებით ასეთი იყო პირველი კარსაფარის - პომო საპიენსის მიერ 2 მილიონი წლის წინათ ამავე ტერიტორიაზე აგებული პირველი თავშესაფარი.




სურ. 410. კალაპარის ნეოლითური წესით მონადირე აბორიგენები.



სურ. 411. კალაპარელი ბუშმენი ქალი ბავშვებით უდაბნოში მოპოვებულ საზამთროსა (ველურად იგი აქაურ ტრამალუბში იზრდება) და ძირხვენების საკვებად მომზადებისას.

აესტრალიელი აბორიგენების მსგავსად, კალაპარის ბუშმენები ზედმიწევნით იცნობენ ადგილობრივ მცენარეულობას. განსაკუთრებით დაგეშილები არიან სასმელად ვარგისი სითხის შემცველი ძირხვენების მქონე მცენარეების პონაში. კილომეტრების გავლის შემდეგ უცბად შეჩერდებიან სხვებისაგან არაფრით გამორჩეულ, რომელიღაც მომღერალ მცენარესთან და ჯოხის წვერის სწრაფი და ზუსტი მოძრაობით ამოთხრიან სითხით სავსე მიწისქვეშა ორგანოს. კალაპარის უდაბნოში ძირხვენებისა და გორგლების მქონე მცენარის რამდენიმე სახეობა ხარობს. ყველა მათგანის სითხე როდია სასმელად ვარგისი – ზოგი ძალიან მწარეა, ასეთი მცენარის სითხით ბუშმენები დასიცხულსხეულს იგრილებენ.

ბუშმენებს, მსოფლიო უდაბნოებში მცხოვრებ აბორიგენებს შორის ერთადერთებს, განუვითარ-



სურ. 412. 16 წლის ბუშმენი გოგონა.

დათ ცხელ კლიმატთან სხეულის შეგუების ერთი, უწყველ ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურება. როგორც ცნობილია, ნებისმიერ ადამიანში კვების სამარაგო ნივთიერებები ცხიმების სახით გროვდება. მათი კონცენტრირება ხდება, ძირითადად, მუცელზე, აგრეთვე კიდურების გარკვეულ მონაკვეთში. უდაბნოში ამ ორგანოებზე დადებული ცხიმის შრე დამლუკველია. იგი ხელს უშლის სხეულის ზედაპირიდან ზედმეტი სითხის გამოყოფას, ამიტომ აქ მოსიარულე ადამიანს, რომლის კუნთები მოძრაობისას გამოიმუშავენ გარბ სითხოს, თბური სტრესის საშიშროება ემუქრება. ბუშმენები, უწინარესად, ქალთა სქესი, დაზღვეულები არიან მსგავსი პრობლემებისაგან. საქმე ის არის, რომ კალაპარის მკვიდრთ ცხიმი უგროვდებათ არა ზემოთ დასახელებულ ორგანოებზე, არამედ დუნდულებში, რის შედეგად სხეულის ეს ნაწილი იღებს უწყველ, გროტესკულად გამსხვილებულ იერსახეს. თუ ნებისმიერ თეთრკანიანს კალაპარელი ქალის მსგავსი აგებულება ღიმილს აგერის, ადგილობრივ მამაკაცებში – დიდად ფასობს. ახალგაზრდა გოგონები ძალზე ღამაზები არიან, 35 წლის ქალი კი გარეგნულად დაბერებულია, თუმცა ფერტილობის უნარს ინარჩუნებს.



სურ. 413. 40 წლამდე ბუშმენი ქალი, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ლაქტაციის უნარი.

სამხრეთ აფრიკის აბორიგენი მოსახლეობიდან ყველაზე რელიქტური და სანტერესო ხალხი სწორედ ბუშმენებია. პირველად ისინი აღმოაჩინეს 1652 წელს ჰოლანდიელმა მოგზაურებმა. ანთროპოლოგიურად ადგილობრივები აერთიანებენ ორი რასის ნიშნებს: ნეგრიდურს (ქონდარა ტანი) და ტიპურ, ნეგროიდულს (ხუჭუჭა თმები, ფართო ცხვირი). გარეგნობა კომბინირებულია მონგოლოიდურ ნი-

შან-თვისებებთანაც (მოყვითალო, რამდენადმე დანაოჭებული კანი). ურებზე ბიბილოები არა აქვთ განვითარებული, ლაპარაკობენ უცნაური, ტკაცანის გამოცემი ბგერებით. არასტუმართმოყვარე ეკლიან ბუჩქნარში (პოლანდიურად - ბუშეელდი) ბინადრობის გამო პოლანდიელებმა მათ „ბუშენები“ უწოდეს. ერთ დროს აფრიკის ეს ავტოქტონური მოსახლეობა, სხვა ტომებთან ერთად, გაცილებით ფართოდ იყო კონტინენტზე დასახლებული (სამხრეთ და ნაწილობრივ აღმოსავლეთ აფრიკის ჩათვლით). ამ ტერიტორიაზე ბევრგან შემორჩა მათ მიერ შესრულებული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები - კლდეზე ამოკაწრული და დახატული ველურ ცხოველთა გამოსახულება, ნადირობის, ბრძოლის, საკულტო რიტუალების ამსახველი სცენები.



სურ. 414. ბუშენი საკვებად მონადირებული მახრობელა გველით.

ბუშენებისათვის დღემდე უცხო დარჩა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. საარსებო საშუალებებს მოიპოვებენ ნადირობითა და გარეულ მცენარეთა ნაყოფებისა თუ მიწისქვეშა ორგანოების შეგროვებით. იყოფიან ტომებად (ტრაიბებად), თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი სახელწოდება, აქვს საკუთარი ენა და საცხოვრებელი ტერიტორია. მსგავსად წინაისტორიული ადამიანისა, საკვების მოსაპოვებლად დაეხეტებიან პატარ-პატარა ჯგუფებად. შეიარაღებულები არიან მშვილდისრითა და სასროლი შუბით. მცენარეთა მიწისქვეშა ორგანოების მოსაპოვებლად იყენებენ წვერწამახულ ჯოხებს. შესანიშნავად არიან მკაცრ გარემოსთან შეგუებულები: იცნობენ ცხოველთა ქცევებს, მცენარეთა ზრდა-განვითარების თავისებურებებს, შეუბ-

ლიათ მოიპოვონ წყალი იქ, სადაც სხეები წყურვილით ადვილად იღუპებიან.

თანდათანობით ბუშენები კალაპარის ცენტრალურ, ყველაზე უნაყოფო ტერიტორიაზე შეაეწროვეს. ეს მოხდა ჯერ შვედეთის ბანტუს ტომების, შემდეგ კი XVIII-XIX საუკუნეებში - თეთრკანიანი კოლონიზატორების ძალისხმევით.

დღეს სამხრეთ აფრიკის უდაბნოთა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ფრიად ჭრელია: ჭარბობს ბანტუს ხალხი (78%), ხოლო ბუშენები და პოტენტოტები სულ 0,5%-ია, დანარჩენები - ევროპიდან მოსულები და მეტისები - 19%, ანდა ასიდიან ემიგრირებული (2%) ხალხია.

პოტენტოტებმა და ბუშენებმა აქამდე შეინარ-



სურ. 415. წელის მოპოვება უდაბნოში ლერწმის ღეროთი.

ჩუნეს არქაული რელიგიური წარმოდგენები და უძველესი ადამ-ჩვეულებების კულტი. იგი გამოიხატება წვიმის მოყვანის რიტუალურ ჩვეულებასა და ცხოველი-ტოტემებისადმი (მაგალითად, მწერი ჩოქელა) თაყვანისცემაში...

უგანდისა და ზაირის სახლვარზე, მთა ვირუნგას კალთებთან დასახლებულია ბანიანგას ტომი. ანთროპოლოგიურად მისი ხალხიც ახლო დგას ნეგრილებთან. უურადლებას იქცევენ ორიგინალური ტოტემისტური მსოფლმხედველობით. თაყვანს სცემენ ცეცხლის ღვთაებას.

ტომის ბელადმა გადმოცემით იცის თავისი ხალხის ისტორია. ამ ისტორიის თანახმად, ისინი მოსულები არიან ბნელეთიდან, ეულკანური მთის შავი გულიდან. აქედან გათავისუფლებულები, ბანიანგას წინაპრები, დასახლებულან ვირუნგას მახლობლად. ასე, ერთობ ახლოს იმყოფებიან წინაპართა სულებთან.

ვირუნგა ცეცხლის მბრძანებლის (იგივე ღვთაების) სამყოფელია. დედამიწაზე რომ სიბოთ და სინათლე სუფევს, ეს მისი წყალობაა, ხოლო ეულკანთა კრატერების გარშემო ლაბადებწამოსხმულივით ნისლი, მთის ოფლია. ნისლი ნარნარად მიიწევს ცისკენ, გადაიქცევა ღრუბლებად. ღრუბლების ნაწილი დროდადრო მოიქუფრება. წარბშეკრული



სურ. 416. ბანიანგის ტომის მამაკაცები
ყალიონის რიტუალური წვეის პროცესში.

ღრუბელი შობს წვიმასა და ჭექა-ქუხილს, ცეცხლოვანი ელვა რომ ერთვის თან. ელვა – ცეცხლის ვაჟი შეილია, ცეცხლი კი საწყისთა საწყისია, მაგრამ, თუ საქრა, ყველაფრის დასასრულიცაა. ამიტომ, სანამ არსებობს ცეცხლი, იარსებებს სამყაროც. ცეცხლის ყოფნა-არყოფნა მის მბრძანებელზეა (ღუთაებაზე) დამოკიდებული. ცეცხლის შემოქმედი, როგორც ითქვა, ეულკანის წიაღშია დაპყვიდრებული. დედამიწას რომ სითბო არ მოაკლდეს, მბრძანებელი იქ არ აძლევს ცეცხლს მინაელების საშუალებას. წამოწოლილია ცეცხლის ღუთაება თავის საბრძანებელში და ერთდროულად ყალიონსაც აბოლებს. მისგან გამოსული ბოლი ამოდის ეულკანის ყელიდან, გადაიქცევა მთის ოფლად – ნისლად, ნისლი – ღრუბელად, ღრუბელი – წვიმად...

ადამიანი, მსგავსად ყველა სხვა არსებისა, ეერ იცოცხლებს ცეცხლის, სინათლისა და წვიმის – წელის გარეშე. ამიტომ მას სრული თანხმობა უნდა ჰქონდეს ეულკანში მცხოვრებ ცეცხლის მბრძანებელთან. როგორ მიაღწიოს ვირუნგას კალთებთან დასახლებულმა ბანიანგას ხალხმა მსგავს თანხმობას? ურთიერთგაგების შესანიშნავ სიმბოლოს, საშუალებას წარმოადგენს ყალიონი. სოფელი მამაკაცებიც, რიგრიგობით, მაგრამ გამუდმებით ეწვეიან ყალიონებს. სანამ ბანიანგელთა გრძელი ყალიონის ბოლოში დასკუებულ „კრატერში“ ცეცხლი ანთია და ბოლიც ამოდის, მათ ვირუნგას მთავარი ბინადრის წყალობა არ მოაკლდება...

რუეენძორსა და ვირუნგას შორის, ამ მთების მიდამოებში, რომელიც ტერიტორიულად სამი აფრიკული სახელმწიფოს – უგანდის, რუანდისა და ბურუნდის საკუთრებაა, უამრავი ნეგროიდული და ნეგრილური ტომი ცხოვრობს, თავიანთი ადათ-წესით ყველანი გამორჩეულნი. მათ შორის, სტუმრად მოხვედრილ ადამიანზე, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ტროპიკული აფრიკის ულამაზესი ტბის – კიუუს – ნაპირებთან მცხოვრები ტუტსის ტომი. ტუტსელები დედამიწის ყველაზე მაღალი ბინადრებიან. ტომის მოსახლეობის საშუალო სიმაღლე 185 სანტიმეტრს აღწევს, ორი მეტრის

სიმაღლის არამცთუ მამაკაცები, ქალებიც ხშირად არიან. თავს მესაქონლეობით ირჩენენ. გიგანტებს გიგანტრიკიანი (ორი მეტრი და მეტი სიგრძის) ანკოლური ჯიშის საქონელი ჰყავთ. ყველაზე მეტად იმ მოგზაურს გაუმართლებს, ეინც ტამტამების აკომპანიმენტზე მოცეკვავე აბორიგენტთა ეირტუოზულ საომარ ცეკვებს იხილაეს.

თითქოსდა ბუნებამ იხუმრა – ერთმანეთისგან სულ რაღაც ორასი-სამასი კილომეტრით დაშორებულ ტერიტორიაზე, გვერდირვერდ შეყარა ერთმანეთს ორი რასის წარმომადგენელი: ერთნი – ნეგრილები – ლილიპუტებია, მეორენი – ნეგროიდები – გულივერები.

მასაიელი ხალხი – ნეოლითურ მყვანთა კულტურით მცხოვრები რაინდები

„თუმცა ღომი ჩვენზე სწრაფად გარბის, ჩვენ უფრო დიდ მანძილზე შეგვიძლია რბენა“

მასაიელთა გამონათქვამიდან

არ არსებობს აღმოსავლეთ ტროპიკულ აფრიკაში მოხვედრილი მოგზაური, რომელსაც თუნდაც რამდენიმე წინადადება არ მიეძღვნას ამ ტომისათვის. ამჟამად მასაის ხალხი დასახლებულია ეენიისა და ტანზანიის ტერიტორიებზე.

გაუნაკრძალებელი ტერიტორიების გარდა, ისინი დღემდე ცხოვრობენ ნგორონგოროს ტერიტორიაზე, ნაწილობრივ – სერენგეტისა და მასაი-მარას ეროვნულ პარკებშიაც.



სურ. 417. ნგორონგოროს კრატერთან.

გრუნტისა თუ ასფალტირებული ავტოგზების ნაპირზე ერთეულად, უფრო ხშირად ჯგუფურად, მსუბუქი ნაბიჯით მიმავალი მასაი აუცილებლად მიიქცევს მგზაურის ყურადღებას. მალეები, მშეენიერი აგებულების, ჟანგმიწით ან მცენარეული საღებავით თმაშეღებილები, შავი კუბოკრული წითელი ნაჭრით ნაწილობრივ დაფარული ათლეტური ტორსი – ასეთია მასაიელი მამაკაცი.

შაეკანიანების პირობაზე სახის ნაკეთებიც თავი-



სურ. 418. ბანაი სერენგეტის საენაში.

სეზური აქეთ: პირდაპირი ცხვირი, თხელი ტუჩები, წინწაწეული ყვრიმალეები და ეაქაცური ნიკაპი. მსგავსი ანთროპოლოგიური ნიშან-თვისებები მასაის ევროპეიდულ რასასთან აახლოებს. მეორე მხრივ, ცხიმით გამაგრებული ვარცხნილობა, დეფორმირებული ყურები, ჩამოკიდებული მეტალის ვეებერთელა საყურეები, ფერადი მძივებით გაწობილი მაღალი კისერი, მათ ძველ, ეგვიპტელ ფარაონთა იერსაც აძლევთ.

მწვემსის ჯოხთან ერთად ხელში უკავიათ მოკლე შუბი, რომლის მეტალის წვერი სამი ათასი წლის წინანდელი იარაღის სტანდარტის მიხედვითაა დამზადებული.


სერენგეტიში (ტანზანია), ანდა მასაი-მარაში




სურ. 419. მასაის ტომის ქალი ბავშვით.

(კენია) მასაის პატარ-პატარა სოფლები ადგილი შესამჩნევი არ არის. დაბალი ქოხები მიმალულია მეჩხერ ხე-ბუჩქნარებში, მაგრამ ნგორინგოროს კრატერის მახლობლად ბევრი მათგანი მაღალი მთის აღაურ ზონაშია წარმოდგენილი და ხელის გულივით ჩანს.

მასაის ენაზე ადგილობრივთა მსგავს, დროებით დასახლებას ბომა ჰქვია (კენიაში მანიატასაც უწოდებენ). იგი წრიულია, გარშემორტყმული აქვს ორი მეტრის სიმაღლის ეკლიანი ღობე, ისე რომ სოფლის შესასვლელთან მიმდგარი სტუმარი, შიდა ნაგებობებს ვერ ხედავს. საცხოვრებელი სახლები



სურ. 420. მასაის საცხოვრებელი - ბომა - წნელის კარკასისა და საქონლის ნეხვისაგან აგებულ ქოხთა წრიული წყება.



სურ. 421. სტუმრად მასაიელთა სოფელში.

ჭიჭკის ორივე მხარეზე, წრიულად ქალაქის მერცხლის ბუდეებივითაა ერთმანეთზე მიჯრილი.

ადგილობრივი ბავშვები, მსგავსად, სხვათა შორის, ტიპურ ნეგროიდთა მოზარდებისა, შესანიშნავები არიან: ლამაზი თავები, მსხვილი, ალუბლისფერი თვალები, კეთილად, თეთრი კბილებით დამშვენებული, მომღიმარი ტუჩები. მაგრამ აი, ეს ცხვირ-პირი და ხშირად დიდრონ თვალთა კუთხეები, დახვეულია ბუზებითა და მხოლოდ სულ ახლო მანძილიდან დასანახი პაწაწინა, თეთრი მატლებით.

ათასობით ბუზი ირევა მათ ირგვლივ. დასვირნობენ არა მარტო ადამიანთა სხეულზე, არამედ მოსასხამზე, ხელჯოხზე, შუბზე, მასაი კი არ რეაგირებს, თითქოს არც არსებობდეს ყოველგვარი სიბინძურის გადამტანი მსგავსი რამ. ეს ბომა და იქ დაგროვებული საქონლის ნეხვი იზიდავს მწერებს.

თურქ პეირდალს აღწერილი აქვს სამხრეთ ამერიკისა და აღდგომის კუნძულის უძველესი კულტურის მქონე უცნობ, კარგა ხნის წინათ გამქრალ ხალხთა მიერ დატოვებული ადამიანთა გიგანტური სკულპტურები. მათი სახის ყველაზე ღირსშესანიშნავი დეტალი სწორედ ვეებერთელა ყურია. იმავე სურათს ეხედავ მასაის ტომის ხალხშიაც. აფრიკის ეს აბორიგენები, ბავშვობიდან, სპეციალური სიმძიმეებით უსაშველოდ იგრძელებენ ყურის ბიბილოებს, იმდენად, რომ გროტესკული შესახედაობის ბიბილო ყურის ნიჟარაზე ორჯერ, ორნახევარჯერ უფრო დიდია. შემდეგ ბიბილოზევე კეთდება ქირურგიული ოპერაცია – რბილობში ამოჭრიან ოთხი-ხუთი კვადრატული სანტიმეტრის ზომის ქსოვილს. ყურსე მსგავსი, ვეებერთელა ნახერტის დანიშნულებაა საყურეებისა და სხვადასხვა მორთულობათა გაკეთება. გასაგებია, თუ რა ზომის შეიძლება იყოს ასეთი საყურე. სათანადოდ მორთული ყურები განსაკუთრებით ეგზოტიკურს ხდის თავგადააპარსულ მასაიელ ქალებს. გარდა მძივებით

გაწყობილი ხელის მტენის ზომის საყურეებისა, რა არ ჰკიდიათ მათ...

კისერსა და შუბლს ასევე უმშვენებთ სამკაულები, ხოლო ხელებსა და ფეხებს – მძივებად დაწნული მეტალის რგოლები.

მასაიელთა სოფელი – ბომა – ტიპური კრავალია, ასე მიღებული მთელს აღმოსავლეთსა და სამხრეთ აფრიკაში. თითო კრავალი დროებითი დასახლებაა. დასახლების შიგნითა ფართობი, გვარიანი ტერიტორია, გამოყენებულია საქონლის ბაკად. უკანასკნელის ღობეც წრეხაზზეა აგებული. კედელი-ღობე შიგნიდან უფრო მაღალი ჩანს. მსგავსი წინალობა, უწინარესად, ღობებისაგან საქონლის, ან მათ სპატრონოდ გამოსული ადამიანების დასაცავადაა აგებული. ქოხის სამშენებლო მასალას საქონელი იძლევა. ეს არის კარგად გამოუმზარი ნეხვი, რომლის ნაკლებობასაც მასაიელები არ განიცდიან.

ქოხს შემდეგნაირად აგებენ: მიწასე შემოხაზულ წრეზე ქალები ასობენ დრეკად ლატანებს, გადაღუნავენ მათ ცენტრისაკენ და ტოტებით გადააბამენ ერთმანეთს. ამგვარად გაკეთებული კარაყალაჩოყს კალთებზე წნელებს უმატებენ. შემდეგ იწყება კარკასის კედლების ძროხის ნეხვით სქლად შეღესეა. ქოხი უემოდან საქონლის გამოყვანილი ტყავით იხურება. ასეთი სახურავი იკაეებს წვიმის წყალს.

ფრიად თავისებურია ქოხში შესასვლელი კარები. იგი იმდენად ვიწროა, რომ შესვლის წინ იძულებული ხარ შებრუნდე და ცალი მხრით, წელში მოღუნული შეძერე შიგთავსში, მსგავსი ლაბირინთი მტაცებლის თავდასხმაზეა გათვლილი – ვიწრო, ზიგზაგისებურ შესასვლელში საშუალო მტაცებელსაც გაუჭირდება შეძრომა.

ქოხის დიამეტრი 3-4 მეტრს არ აღემატება, სიმაღლე – მეტრნახევარს. ამიტომ მაღალსა და ბეჭებანიერ ადგილობრივებს წელში ბოლომდე მოხრილი უხდებათ საცხოვრებელში შესვლა. ქოხის ცენტრში შუაცეცხლია განადებული. ცეცხლზე



სურ. 422. მასაიელი მამაკაცი გათხის სმისას.

ქებაბა შედგმული. ქოხს ორადორი ოთხკუთხედი ფანჯარა აქვს გარეთ გაჭრილი. თითოეული საბაეშო რეეულის ფურცელზე პატარაა. მსგავს თავშესაფარს უფრო ციციხლი ანათებს. სხედასხეა ადგილას წყვილი, ტყეგადაფარებული საწოლი დგას. ერთზე ბაეშეები თავსდებიან, მეორეზე – მშობლები. ერთი ციდა ქოხის ერთ კუთხეში ცხერებისა და თხების სადგომია მოწყობილი (მსხვილფეხა საქონელი, როგორც ითქვა, სოფელი-ბომას ცენტრში მოწყობილ ბაკშია განთავსებული).

„მასაი“ ადგილობრივი ხალხის სახელწოდებაა, მაგრამ, ერთდროულად „მსხვილფეხა საქონელსაც“ ნიშნავს. ამდენად, ეს ორი ცნება განუყოფელია. მასაის განწყობილება, კეთილდღეობა, ცხოვრების, არსებობის აზრი, თავად სამხედრო ძლიერება, საქონელშია.

გათხი ადგილობრივთა „კოქტიელია“, ეროვნული სასმელი. იგი საქონლის რძისა და სისხლის ნარევია. მასაის ხალხი თელის, რომ ახალგაზრდა მომზარი – მორანი – მხოლოდ ხორციითა და მსგავსი სასმელით უნდა იკმაყოფილებდეს სასმელსაჭმელზე მოთხოვნილებას. გათხის შემდეგნაირად ამზადებენ: მოზეერს აბავენ ბოძზე, კისერს უჭერენ ჩალიჩს – დაგრეხილ თოქს. მალე პირუტყვეს ეენა თეაღნათლივ დაებერება. თითოეულ ბოძაში მოიქებნება რამდენიმე კაცი, რომლებიც ორიოდ მეტრიდან, უბუნიკო ისრით ზუსტად ახედდრებენ საქონელს ეენაში. სისხლი შადრევეანივით იფეთქებს. სითხეს კეახის ჭურჭელში აგროვებენ. ზოგიერთი, განსაკუთრებით ბაეშეები და ფეხშიძე ქალები მაშინვე სვამენ ახალ სისხლს, სხეები – რქეს ურევენ სისხლში. მიიღება ხაჭოს მსგავსი, ფრიად მსუყვე კერძი. ამის შემდეგ საქონელს კისრიდან ხსნიან თოქს. ჭრილობას გადაგლეხავენ ნერწყვისა

და მიწის ნარევით და „დონორიც“, მცირედენი შოკისგან ჯერ კიდევ გონებადაბნედილი, კულარუხილი გაქუსლავს ბაკისაკენ. სხეათაშორის, ცენტრალური აფრიკის ნილოტელები, ასევე განთქმული მესაქონლეები, რეგულარულად ადენენ სისხლს საქონელს, მაგრამ რძის ნაცველად მას სიმიჩისს ან ხორბლისაგან დაამზადებულ ფაფაში ურევენ.

სახორციელ ხარებსა და ბებერ ძროხებს კლავენ, კარგად გამოყვანილი ხბოს ტყეისაგან ჩასაცემელს იკერავენ, ხარის ტყეისაგან – ქოხის სახურავს ამზადებენ, თიხაში არეული ნეხით – სამშენებლო მასალას ამზადებენ, გამომშრალ ნეხს – სათაობად იყენებენ, ძროხის შარდით ადგილობრივები თავს იბანენ, ქებაბებსა და კეახის ნაყოფისაგან დაამზადებულ ჭურჭელს რეცხავენ...

სიტყვა „მასაის“ ორგავარი სემანტიკური დატვირთვა აქვს. როგორც ითქვა, მასში ერთდროულად ჩაქსოვილია, ერთი მხრივ, თვითონ ხალხის, მეორე მხრივ, კი მათი ჭეშმარიტი კულტის – მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სახელწოდებები.

საქონლის კულტის მრავალ გამოვლენათაგან განსაკუთრებით ყურადღასაღებია ერთი მათგანი: უამიდავამ როდესაც უსაშუალო გეაღვა დაისადგურებს, მასაის საცხოვრებელ ტერიტორიაზე, გადახმება ყველაფერი, რასაც კი მცენარის სახელი ჰქვია, ლაქტაცია შეუწყდება უკიდურესობამდე დამშეულ საქონელს, რძის პროდუქტებს მოკლებული ბაეშეები ერთიმეორის მიყოლებით იხიციბიან. ამ დროს კერპთაყენისმცემელი მასაიელები თავიანთი ღმერთებისადმი ადავლებენ ლოცვა-კურებას: „ღმერთო, წვიმა მოგვგარე ჩვენს დამსკლარ მიწას, ქორფა ბალახი უბოძე ჩვენს საქონელს.



სურ. 423. გამოფიტულ სამოყარზე.

საქონელი ხომ ჩვენი გულის ნაწილია. არსებობს ქვეყნად რაიმე საქონლის სუნზე უტკებესი?..." შამანთა რიტუალიზებულ ხეწნა-ვედრების მთელს ამ კასკადში მინიშნებაც კი არ არის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მისულ ბავშვთა, ანდა მშობელთა ჯანმრთელობაზე. მაგრამ ადგილობრივთა ფსიქოლოგიიდან გამომდინარე ყველაფერი გასაგებია: ოღონდ მასაის საქონელი ჰყავდეს კარგად, თორემ დანარჩენს მოეველება, ყველანი კარგად იქნებიან!

მასაელები მომთაბარენი არიან. მთიან სტეპებში მიგრირებენ და პირიქით. წინაპართა ტრადიციის თანახმად, თუ ბომაში კაცი მოუკედათ მთელ ნივთებს სახედრებზე ტვირთავენ და ახალ ადგილზე მკვიდრდებიან. ძველს წაევენ. გადასახლების მიზეზი შეიძლება გვაღვა, საძოვრების გამოფიტვაც გახდეს.

ადვილი წარმოსადგენია კერამიტოვებული, ადგილის დედიდან აყრილი მასაი. ქალებს ბავშვები ჰყავთ ზურგზე მოკიდებული, მამაკაცებს შუბები და მწვემსის ჯოხები მხარზე გადებული. დატვირთული სახედრები და აქლემები ბლავილით მიიწევენ წინ ზებუ – მასაის კუზიანი საქონელი. ასე მიიზღაზნება მწვემსური ცხოვრების წესით მცხოვრები ტომი გადატრუსულ ველებზე უხსოვარი დროიდან. მტერის ღრუბლებში გახვეულები, ასე მოვიდნენ ოდესლაც ჩრდილოეთიდან.

ამ ასაკის ბავშვებს უკვე ასწავლიან იარაღის ხმარების ხელოვნებას. პატარა მწვემსი უყოყმანოდ, ბრძანებასავე ასრულებს ასაკოვან მასაიელთა ნებისმიერ დაეაღებას – ეხმარება მათ საქონლის საძოვრიდან საძოვარზე გადარეკვაში, ძებნის ჩამორჩენილ საქონელსა თუ ცხეარს, ბრუნდება სახლში დავიწყებული ნივთის იაღაღებზე წასაღებად. ამ დროს მისი ჯოგი საძოვრიდან სულ ცოტა ათ-თხუთმეტ კილომეტრზე შეიძლება იყოს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, მსგავსი დაეაღებების შესრულება ღამითაც უხდება. ამ დროს მოეაღვა აჯობოს შიშსაც, დაღლილობასაც... როგორც ბედუინი ცხენს, ისე მასაი აქლემ – დრომადერს – აურეებს და ამუნათებს. საბრძოლო და მენახირის ჩვევებს ბალღობის ასაკში ეუფლებიან.

არავის ეგონოს გულგრილი იყოს მასაი შვილების მიმართ. შთამომავლობისადმი სიყვარულს ეს ხალხი სწორედ ბავშვების სპარტანულ აღზრდაში ხედავს. პატარა, მით უმეტეს ბიჭი, უნდა გაიზარდოს მამაც მეომრად, გამობრძმედილ მონადირედ და, რაც მთავარია, ცხეარ-ძროხის მოყვარულ, მრავალრიცხოვანი ჯოგის პატრონად. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მასაის ტომს თავის ლექსიკონში ძროხის აღმნიშვნელი ოცამდე სიტყვა გააჩნია. ეს სიტყვები გამოხატავენ საქონლის ასაკს, ტიპურ შეფერილობას, ზნეს, წველაღობას, რქების



სურ. 424. ნეოლითური პეიზაჟი. ასე მწვემსაედნენ საქონელს გვიანი ქვის ხანის ადამიანები.

ბავშვობა ყველაზე ბენივე ეამია მასაიელთათვის. შეიღირვა წლის ასაკში, როდესაც ეერო-ქელთა და ქალაქის ბავშვები სკოლაში იწყებენ სიარულს, ადგილობრივთა მოზარდები მწვემსები, ანუ ოლაიონები ხდებიან. დამოუკიდებლად გაჰყავთ საქონელი მტაცებლებით სავსე საძოვრებზე. დიდიდან საღამომდე სახრეს იჩნევენ, მტაცებლების გამოჩენისას შუბის გამოყენებაც უწევთ. უფროსები

ფორმას, მშობიარობის უნარს, ავადმყოფობის მიმართ გამძლეობასა და სხვ.

ცოლების რაოდენობა მსხვილფეხა საქონლის ყოლის პროპორციულია. ასამდე ძროხის ყოლა მასაიელთა კაცურკაცობის უპირველესი ნიშანია. ასეთი პრესტიჟული პიროვნებისადმი ცდუნებას ვერც ერთი ქალი ვერ უძლებს.

გამორჩეულთა შორის გამორჩეულებს ორასი-

სამასი ძროხაც ჰყავთ და ოთხი-ხუთი ცოლის პატრონები არიან.

ღარიბი მასაიელი ხუთი-ათი საქონლისა და ერთი ცოლის პატრონია, თუმცა იმ ერთ ცოლთან იმდენი შთამომავლობა შეიძლება ჰყავდეს, მის ჯიშს გადაშენება არასოდეს დაემუქრება.

სქესობრივად მომწიფებისთანავე, მასაი გაივლის დაეჯიკაცებისადმი მიძღვნილ ინიციაციის მთელ ცერემონიას, რომელიც მთავრდება წინცვეთის სახეობა, მაგრამ მტკივნეული პროცესით. ეს დღე მასაიელთა ყველა ჭაბუკის ოცნებაა. მანამდე მოზარდები მშობლებთან, სოფელში ცხოვრობენ.

მორანად კურთხევის ცერემონიის შემდეგ, ახალგაზრდები ეწყობიან შავ ტანსაცმელში, ყურებში იკეთებენ ჩაის ფინჯნისხვლა საყურეებს და რამდენიმე დღის განმავლობაში არ გამოდიან ქოხებიდან. ეს არის მედიტაციის ჟამი – მეომრის ეთიკაციური ცხოვრებისათვის ფსიქოლოგიური მომზადება.

რიტუალური განდევნილობისა და ჭრილობის შეხორცების შემდეგ ახალგაზრდები საცხოვრებლად თავისებურ ყაზარმებში – მანიატებში მიემართებიან. სოფლის საცხოვრებლის – ბომასაგან განსხვავებით – მანიატებს ეკლიან ღობეს იშვიათად უკეთებენ. ამ დღიდან მასაი-მეომარს უფლება აქვს ატაროს მამამისის სახელი, რომელიც თავის საკუთარ სახელთან არის გადაბმული კავშირით „ოლე“. მაგალითად, „ერასტუსი ოლე პაჯისა“ („ამონა და ამის შვილი“).

მორანად ახლად მონათლული, თავისებური ვარცხნილობის მქონე, საყურებრასლექტით მორთული ახალგაზრდა ყოველდღიურად, შეიდირვა საათის განმავლობაში გადის ფიზიკურ წვრთნას, ეუფლება შუბისა და ორლესულის ხმარების ხელოვნებას.

სამხედრო ლაშქრობების იმიტაციას ცვლის სპორტის ტრადიციული სახეობები: სიგრძესა და სიმაღლეში ხტომა, მოკლე და გრძელ დისტანციებზე სირბილი, სიმძიმეების აწევა, შუბის მიზანში ტყორცნა და ა.შ. წლების განმავლობაში მორანები იმდენად ეუფლებიან სამხედრო ხელოვნებას, ფიზიკურად სრულყოფილად მომზადდებიან, მშვილდისრისა და შუბის ტყორცნაში იმდენად ჩუბინნი ხდებიან, რომ მათი დიდი რიდი აქვთ სხვა აფრიკულ ტომთა წარმომადგენლებს. მრავალი სწავლული თუ მოგზაური, მათ შორის ჯოი ადამსონი, ავტორი მონოგრაფიული ნაშრომისა – „კენიის ხალხები“ – ამტკიცებენ, რომ ევროპულ-ამერიკული წესით წვრთნის შემთხვევაში არაერთ მორანს ხელეწიფება საერთაშორისო ოლიმპიური რეკორდების დამყარება.

რატომ არ ხდება ასე? საქმე ის არის, რომ მასაის ხალხი კატეგორიულად უარყოფს ნებისმიერ სხვა, მით უმეტეს თეთრკანიანთა ცივილიზაციასთან კავშირს.

მორანს კატეგორიულად ეკრძალება ყოველ-

გვარი მუშაობა, ტაბუ ვდება ალკოჰოლიან სასმელებს, სირცხელია მცენარეული საკვებით შიმშილის დაკმაყოფილება.

ღროდადრო ახალგაზრდა მეომრების შაშვებს მანიატაში მიჰყავთ მოზრეები. პირუტყვს იქვე, ბუჩქებში კლავენ. ახალგაზრდები ყველაფერს მძურად ინაწილებენ. თუ ადრე მეიდრებისა და ღარიბების შეილება შორის სოციალური განსხვავება შესამჩნევი იყო, ახლა ეს უთანასწორობა წაშლილია, ხოლო ის ახალგაზრდები, ვინც წინცვეთა ერთად ჩაიტარეს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში მმანდაფიცებად, „ფრონტელ მეგობრებად“ რჩებიან. მსგავსი დამოკიდებულება დაცოლ შეილების შემდეგაც რჩება ძალაში. სხვა ბომაში მისულ, ყოფილ „ფრონტელ“ მეგობარს უყოყმანოდ შეუძლია ისარგებლოს მასპინძელი მმანდაფიცის ნებისმიერი საკუთრებით, თეთ ცოლის ჩათვლითაც კი.

სხვათა შორის, ამ უკანასკნელი პრივილეგიით შეუძლია ისარგებლოს მასპინძლებთან ნდობაში შესულმა ნებისმიერმა ტუმარმა, თუ მას ბომაში დარჩენასაც სთავაზობენ. ამისათვის საჭიროა აიღოს ხელში სამცოლიანი მასპინძლის მიერ შეთავაზებული შუბი და ალაღებდეს ჩაარტოს, ეთქვას, სამიდან ერთი ქოხის წინ... წინცვეთა და გამორანებასთან დაკავშირებული დანარჩენი რიტუალები ნებისმიერ ბომაში სამ წელიწადში ერთხელ ხდება.

„ყაზარმა“ მანიატებში რამდენიმე სოფლიდან – ბომადან თავშეყრილი „წვევამდელები“ დელებთან და დებთან ერთად ცხოვრობენ. სქესობრივი მომწიფებისას ქალიშვილებსაც ხელოვნურად აკარგავენ ქალწულობას. დღისით დედასთან და მძასთან მცხოვრები ახალგაზრდა ქალი ღამით მის



სურ. 425. მასაიელი გოგონა მედიტაციის პროცესში.

მიერვე არჩეულ მორანთან გადაბარგდება. მორანი-სთვის მეგობარი გოგოს ყოლა ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც წითლად შეღებილი შუბის ტარება. ხელდახელ დაწყვილებული ახალგაზრდები ღამეს ცალკე ქოხში ატარებენ. გოგონები ცდილობენ არ დაორსულდნენ. ბავშვის გაჩენა არღვევს მშობლებს შორის დადებულ საქორწინო შეთანხმებას. ეს რიტუალი საქართველოს სოცი-ერთ რაიონში ადრე გაერცვლებულ „აკვანში და-ნიშნის“ ადათ-წესს ჰგავს. მაგრამ მასაის ტომში მშობლებს შორის ზემოთ აღნიშნული გარეგება არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს. თუ ყმაწვილ ქალს აღარ მოეწონება ბავშვობიდან მისთვის გან-წესებული საქმრო, ანდა, ვთქვათ, შეუყვარდა უკა-ნონოდ გაჩენილი ბავშვის მამა – მორანი, მშობ-ლების მოლაპარაკება ძალას კარგავს.

რატომ იწინავე მორანები თმებს და, პირიქით, რატომ იპარსავენ მათი გოგონები თავს? მსგავსი წესით მამაკაცი გამოახატინებს საპირისპირო სქესს თავის არასრულფასოვნებას. მიუხედავად თავის ესოდენ დამამშვენებელი ბუნებრივი საბურავის უქონლობისა, მასაელ გოგონათა უმეტესობა არ კარგავს ქალურობას, საქმაოდ სიმპათიურები არიან.

ასეთია მასაის კაცობაში შესვლის ეს სანუკვარი დრო-ჟამი სიყვარულის, ცეკვების, სპორტული შე-ჯიბრებებისა და რიტუალურ ბრძოლებში მონა-წილეობისა.

მორანები დახეტილობენ სოფლიდან სოფელში. ვერაინ შეკადრებს უარს „იოკტიელით“, ცივი რძით, თავზე ჭერით, ანდა თვალდადგმულ გოგოთი გამასპინძლებაში. მსგავს, ერთი შეხედვით, წრეგადასულ პრივილეგიას, მიზეზიც სათანადო გააჩნია: მეომარი მთელი ტომის ინტერესების დამც-ველია.

მაგრამ ამჟამად ტომთაშორის ომი, ასეთები კი ბევრია, მასაის საბინადრო ქვეყნებში – კენიასა და ტანზანიასში – კანონითაა აკრძალული. რა ქნას

მორანმა, რითი მოიკლას მეომრის გენეტიკურად თანდაყოლილი უინი? სისხლის ამ უივილის დაურ-ეების ყველაზე საუკეთესო საშუალება შუბით ხელში ლომთან შებმაა.

მორანები აუცილებლად ეუფლებიან ლომზე ნადირობის წესებსაც. შუბებითა და ფარებით შეიარაღებული ათი-თორმეტი მეომარი ალყაში აქცევს მხეცს. წრე თანდათანობით ვიწროვდება. ალყის გასარღვევად მტაცებელი იძულებული ხდებ-ბა იერიში მიიტანოს ერთ-ერთ მათგანზე. ეს უკა-ნასკენელი, კამეჩის ტყავისაგან დამზადებული ფა-რით ცდილობს რაღაც არ უნდა დაუჯდეს შეა-კავოს ლომი. ამ დროს თანამებრძოლები შუბებით უღებენ ბოლოს ნადირს. ხშირად მსგავსი შეტაკება სიცოცხლის ფასად უჯდება ერთ ან ორ მორანს, 'ხოგიერთები – მიიმედ სახიზრდებიან.

ამჟამად ტანზანიისა და კენიის მთავრობები კატეგორიულად კრძალავენ მსგავს ორთაბრძო-ლებს, თუმცა, ეჭვობენ, რომ აბორიგენები ამას მაღულად მაინც აკეთებენ. საქმე ის არის, რომ მასაიელებს ლომებთან ტრადიციული მტრობა აქვთ. ამ მტაცებლისათვის ძროხაზე ნადირობა, რა თქმა უნდა, არავითარ პრობლემას არ წარ-მოადგენს მაშინ, როდესაც ზებრაზე რამდენიმე თავდასხმიდან ერთ-ორი თუ მთავრდება წარმა-ტებით. მაგრამ საქონელს შუბით შეიარაღებული მწყემსი-პატრონი – ოლაიონი ჰყავს. ლომი ხუთ, ათ მეტრამდე უშვებს ტურისტით „დახუნძლულ“ ლენდროვერს, მაგრამ საენაში შუბებით შეიარა-ღებული მასაის სილუეტის დანახვაზეც კი გარბის, იმალება. როდესაც თვით ლომი უჩვენებს ზურგს ვინმეს, ეს უკვე ცხადია, რაღაცას ნიშნავს!

„თეთრი ადამიანისთვის, – წერს ზოოლოგი და ნატურალისტი როდრიგესი, – ლომი, თუნდაც აეტომობილიდან ბალახებში ათიოდ მეტრში იყოს წამოწოლილი, მაინც იღუმალებით მოცულ, ყო-ველთვის შორეულ, მითოლოგიურ ცხოველად



სურ. 426. დაწინაურებულ მეომართან – მორანთან – სირაქელემის ბუმბულისაგან დამზადებული ქულით.

რება. მასაიელთათვის კი ღომი მშობლიური გარემოს, ყოველდღიური ცხოვრების ერთ-ერთი ატრიბუტთაგანია, ოდითგან მისი დაუძინებელი მტერი. ღომი კონკურენციას უწევს საცხოვრებელ ტერიტორიაზე, პარავს საქონელს, უკლავს მწყემსებს, თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს – ნადირთა მეფეს მასთან შებმული მეომრისათვის დიდი სახელი და პატივი მოაქვს“.

მასის ენაზე ღომი სიმბაა. ძნელია სხვა ენებში იპოვო ამ მტაცებლის აღმნიშვნელი ესოდენ ელერადი, მაღალფარდოვანი და კეთილშობილური სიტყვა. იგი იტყვის სიძულვილსაც და აღტაცებასაც, შიშს, შურსა და სასოწარკვეთილებას. სავანის ორფეხა მკეიდრთათვის სიმბა ნადირთა მეფეცაა და ღირსეული მეტოქეც!

მაქსიმუმი ოცდაათი წლისათვის, ძველი სპარტელების მსგავსად, მთავრდება მასის მამაკაცთა მოსახლეობის საყოველთაო სამხედრო აღზრდა. ამის შემდეგ აბორიგენთა მამაკაცებს ნება ეძლევათ მოეიდნონ ოჯახს და ერთდროულად „უმცროსი უხუცესის“ სტატუსი ენიჭებათ. უმცროსი უხუცესები აქტიურად მონაწილეობენ ტომის საშინაო პრობლემების მოგვარებაში. ეს ეხება საძოვრებს, საქონლის წყლით დასაწყურებლებელ ადგილებს, ცალკეულ ოჯახებში მემკვიდრეობის განაწილებას, განქორწინებას, უღირსი მორანის დასჯას და ა.შ., მაგრამ „საგარეო საქმეები“ – მესობელ ტომებთან ურთიერთობა, მთავრობასთან მოლაპარაკება და სხვა, – „უფროს უხუცესთა“ პერეოგატივია. მათი გადაწყვეტილებები გამოზღინარეობს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტომის ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შენარჩუნებაში. ესენია: საცხოვრებელი ტერიტორია (სამშობლო), რელიგია (კერპთაყვანისმცემლობა; მიუხედავად მისიონერთა ბევრი ცდისა, მათ ქრისტიანული რელიგია არ მიიღეს, არც იმქვეყნიური ცხოვრების წამთ რაიმე), ცხოვრების მომთაბარეული წესისადმი ერთგულება. სამოცდაათიანი წლებში მთავრობებმა სცადეს ამ ხალხის გადარწმუნება – მოუწოდებდნენ ხელი მიეყთ ერთ ადგილზე ცხოვრების წესისათვის, რაც გულისხმობდა მიწათმოქმედებით დაინტერესებას, გზების მშენებლობაში მონაწილეობას და სხვ. ამ ინიციატივიდან არაფერი გამოვიდა – მასაი დარჩა ნახევრად მოზინადრე ადამიანად!

65 წლიდან მამაკაცები მოხუცებად ითვლებიან და ენიჭებათ „სამსახურიდან გადამღვარი უხუცესის“ წოდება. ამიერიდან მათი ვალდებულება სოფლის, გვარის, ტომის წინაშე წმინდა სიმბოლურ ხასიათს ატარებს. ეს არის თავისი ხალხის სახელით „ღმერთის წინაშე პასუხისმგებლობა“. „ისინი უკვე ერთი ფეხით დგანან იმ ქვეყანაში, ამიტომ ყველაზე ახლო იმყოფებიან ეულკან ლანგონეტზე ფეხმორთხმულ უმაღლეს ღეთაებასთან“ – განმარტავენ აბორიგენები.

თუ კალაპარის ბუშმენები და ცენტრალური აფრიკის პიგმეები დღემდე ინარჩუნებენ პალეოლითის ეპოქის ხელოვნებას, მორალს, ფილოსო-

ფიასა და ჩვევებს, მასაიელი და ტურკანას ტბის ნილოტელი ტრაიბები ნეოლითის ეპოქის მწყემსთა კულტურის ერთგულნი რჩებიან. როდესაც აესტრალიის ცენტრალურ უდაბნოებში გადაკარგული აესტრალიიდები ინარჩუნებენ კაცობრიობის ანალოგიურ, ინიციალურ კულტურას, ეს მაინცდამაინც არ არის გასაკვირი, მაგრამ მასის ხალხისთვის, რომლებიც მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოსულ ტურისტებს, სპეციალისტებს, მათ ტექნიკურ შესაძლებლობებს ეცნობიან, არცთუ მშობლიურად აფრიკის დიდ ქალაქებთანაც აქვთ უშუალო კავშირი, მსგავსი არქაული კულტურის შენარჩუნება, მისდამი ერთგულება, ერთი შეხედვით, გაუგებარი ანაქრონიზმია. საკმაოდ პარადოქსულია, მაგრამ მსგავს ფენომენს აქვს თავისი ახსნა. მასაიმ, თავისი რწმენის საფუძველზე, თვითონვე უარყო თანამედროვე ცივილიზაცია, ამიტომ ნუ გაუკვირდება მოზუსურს, თუ გზის პირას, საქონელს დაუწრადებული მასაი მსერის ღირსადაც არ ჩააგდებს მისი უახლესი მარკის აეტომობილს, არ მიაქცევს ყურადღებას მოზუსუნე კინოაპარატს, თოფსა და ტექნიკური ცივილიზაციის ნებისმიერ სხვა ატრიბუტს. თავის დროზე, როდესაც მასის ხალხს უამბეს, რომ ამერიკელები რაკეტით მთვარეზე აპირებენ გაფრენასო, ამ ინფორმაციამ მათში არავითარი გაკვირება არ გამოიწვია:

– რატომაც არა? – განაცხადეს აბორიგენებმა – თქვენ ისედაც სულ დაქრისხართ ცაში საკუთარი რკინის ფრინველებით, რაღა გიშლით ხელს მთვარესაც ეწვიოთ?



სურ. 427. კილიმანჯაროს კრატერი კიბო (1885 მ. ზ.დ.) – მასაიელთა ღმერთის – მუნგას – ადგილსამყოფელი.

მათთვის ადამიანი, რომელსაც მეტალთან აქვს საქმე, ეშმაკის მოციქულია, ამიტომ, ყველაზე ორთოდოქს, აბორიგენტა გაგებით, თუ ასეთთან შინცდამაინც მოუხდა ხელის წამორთმევა, განწმენდის მიზნით აუცილებელია მისი განბანა ან ცხიმით გაპოხვა.

მეტალთან მასაის ტომელთა პირადი ურთიერთობა შემოიფარგლება მხოლოდ შუბის წვერით, ქებათა და სამკაულებით; უსასყიდლოდაც რომ შესთავაზო, ეთქვათ, ეელოსიპედი, მოტოციკლეთი, თვით ყველგანმავალი ღენდროვერი, გულგრილად გეტყვიან უარს. თავის მხრივ, წამოთელილი და სხვა ტექნიკის შესასყიდი შესაძლებლობა, პირუტყვის გაყიდვის გზით ბევრ მათგანს გააჩნია.

მასაიმ დღემდე შეინარჩუნა საკუთარი ენა. ძალიან ცოტა ენათმცოდნე თუ დაიტრახაბა მათი რთული მეტყველების ცოდნით. ეს ხალხი მთელი ძალისხმევით იცავს თავიანთ სასაუბრო ენას და ეჭვის თვალთ უყურებენ უცხოელთა მიერ ამ საკითხით დაინტერესებას. ეინ იცის, მასაიელთა მიერ გარე სამყაროს ცივილიზაციის გავლენის თავიდან აცილება ენის ბარიერმაც განაპირობა. თვითონ, თავიანთი მოზარდებიდან ყოველთვის არჩევენ თითო-ორულა ყმაწვილს, რომლებსაც გზავნიან ქალაქის ტიპის დასახლებაში სუაჰილის შესასწავლად, ამ ენაზე ცოდნის მისაღებად. მასაიელთათვის დღესათვის ნათელია, რომ ამ ენის გარეშე რეგიონში ცხოვრება შეუძლებელია. აღმოსავლეთ აფრიკის მრავალტომიან მოსახლეობაში, რომელთაგან ყველას თავისი ენა აქვს, სუაჰილი ურთიერთობის უპირველესი წყაროა. ამ ენის ფესვები მომდინარეობს ერთდროულად აფრიკული, ინდური და არაბული ენებიდან. ამ ენაზე დაწერილია და იწერება ისტორიული და სახელმწიფო

ქრონიკები, ლიტერატურა, ითარგმნებიან კლასიკოსები, ლაპარაკობს აღმოსავლეთ აფრიკის 30 მილიონი მოსახლეობა.

ამჟამად მასაის ტომი აფრიკის ორივე ქვეყანაში 140-150 ათას კაცს აღწევს, მწყემსავენ ერთ მილიონზე მეტ საქონელს.

საიდან გაჩნდნენ აღმოსავლეთ აფრიკაში, ტიპური ნეგროიდული ხალხის გარემოცვაში სულ სხვა ანთროპოლოგიის მქონე ეს ხალხი - მასაი? აეტორიტეტულ ეთნოგრაფთა აზრით მასაის შორეული წინაპრები ცხოვრობდნენ ძველ ეგვიპტეში და თეთრი კანი ჰქონდათ. ხანგრძლივი მიგრაციის პროცესში მათ მიაღწიეს აღმოსავლეთ აფრიკის იმ რეგიონს, რომელიც გეომორფოლოგიურ ლიტერატურაში რიფტ-ველად (აფრიკის დიდი ეულ-კანური რღვევის ზონა) იწოდება. აქ დაფუძნების შემდეგ, როგორც ეს უმრავლეს შემთხვევაში ხდება, დაიწყო მათი ასიმილაცია ნილოსის ზედაწელის ნეგროიდულ ტომებთან. ოთხასი წლის წინათ მასაიმ შეძლო, კენიისა და ტანზანიის ზეგნის სტეპების ათვისება, XIX საუკუნე კი მათი აყვავების ასწლეულად იქცა. როდესაც დასახელებული საუკუნის მიწურულს ინგლისელებმა და გერმანელებმა გაიყვეს აღმოსავლეთი აფრიკა, რეგიონის ყველაზე ძლიერ ტომად მასაი ითვლებოდა. მათ ღირსეულად დაიცვეს თავიანთი დამოუკიდებლობა მეზობელ ტომთა შხამიანი ისრებისგანაც და არაბთა მუსკეტებისგანაც. უფრო მეტიც, თუ არა XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში იქ მძევნეარე ჯამიანობა (შავი ჭირი, კეთრი), რომელმაც რამდენადმე გატეხა მასაი, ისინი მთელი კენიისა და ტანზანიის ერთდერითი მფლობელი ტომი გახდებოდნენ. შესანიშნავი სამხედრო ორგანიზაციის წყალობით, ადგილობრივთა დიდი და შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, მასაის ხალხმა დაიპყრო ორასი ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი. ეს ტერიტორია გადაჭიმულია ტბა რუდოლფიდან, ვიდრე ტბა მანიარამდე, კილიმანჯაროს მისადგომების ჩათვლით. მთა კენიის ორი მწვერვალი - მბატანი და ნელიონი - მათი წინამძღოლების სახელებს ატარებენ, ხოლო კენიის დედაქალაქმა დღემდე შეინარჩუნა მასაიელთა შერქმეული სახელი: „ნაირობი“ („ციცოს“ ნიშნავს).

ვეებერთელა სივრცე, ძირითადად მზისგან გარუჯული ტრამალები, უკავია აფრიკულ ტომს - მასაის, რომელმაც შეძლო თავიდან აეცილებინა ცივილიზაციის მსახერელი ხელი და შეენარჩუნებინა წინაპართა მამაცი სული, ამაყი მემორის მუდმივი ლტოლვა - თავისუფლებისადმი ტრფიალი.



სურ. 428. მასაის ტომის ახალგაზრდა მამაკაცი.

ამაზონი - „მწვანე ჯოჯოხეთი“ და მისი ზოგიერთი აპოკრიფიანი მოსახლეობა

XVIII საუკუნეში ამ რეგიონის მოსახლეობა ასობით ტომსა და 2 მილიონ სულს აღწევდა. ტომების ნაწილი ამოწყდა, მოსახლეობის რიცხოვნობამ კი საგრძნობლად იკლო. ამის თაობაზე ერთმა



სურ. 429. ამაზონის აუზის ნოტიო ტყეების (სელვა) ხელი თვითმფრინავიდან.

ეთნოგრაფმა მწარედ იხუმრა: „დღეს ადგილობრივთა ზოგიერთი ტომი რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას“ სტადიონსაც ვეღარ შეაესებს“.

ტრანსამაზონის საგზაო მაგისტრალის გაყენების ძირითადი მიზეზი ტყეების ექსპლუატაციაა.

დღიდან ესპანელი კონკისტადორებისა და სხვა დამპყრობელთა მიერ ამაზონეთის კოლონიზაციისა, აქაურობა ადგილობრივთა საფლავებითაა მოფენილი. ევროპელებისგან შევიწროებულმა ინდიელებმა მასობრივად იწყეს თავის შეფარება ამაზონის ჯუნგლებში. „ღმერთმა შექმნა დედამიწა, ეშმაკმა კი – ამაზონი“ – ამბობენ მდინარის გარემოზე აბორიგენები. ბევრი მათგანი აქაურობას „მწვანე ჯოჯოხეთსაც“ უწოდებს. „ამაზონის ჯუნგლებში ნამყოფ კაცს, – ხშირად იგონებენ ცივილიზაციისთან დაახლოებული ინდიელები, ერთ-ერთი ბრაზილიელი პოლიტიკოსის გამონათქვამს – ორჯერ აქვს განცდილი ნამდილი სიხარული. პირველად მაშინ, როდესაც ტროპიკული ტყის ენით აუწერელი სიმდიდრითა და სიმშვენიერით თვალვებამბრებულს სჯერა, მიწიერ სამთხეში მოხედრისა. და მეორედ – უამრავი ფათურაკებისაგან სიციფემდე მისულს, თუ ცოცხლად დააღწია თავი ამ წყვეულ ადგილებს, წინათ რომ ასე მომხიბვლელი ეჩვენებოდა“.

ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ადამიანისაგან დევნილმა აბორიგენებმა ჯუნგლებში შეფარებით თითქოს კი უშეღეს თავს, მაგრამ უმრავლესობას მაღარიამ, სხვადასხვა შხამიანმა ცხოველებმა და ღუხჭირმა ცხოველებმა გააელო მუსრი. გადარჩენილებმა, დროთა განმავლობაში, ჯუნგლების ძირძველი მოსახლეობის მსგავსად, იმუნიტეტი გამოიმუშავეს, ისწავლეს ადგილობრივი ბუნების საიდუმლოებები, მაღარიით გამოწვეული ციებ-ცხელებისა და შხამიანი ცხოველებისაგან დაგესელისას ბუნებრივი წამლებით თავის მორჩე-

ნა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა აბსოლუტურად. XX საუკუნის 70-იანი წლების მონაცემებით, ამაზონის ერთ-ერთ რაიონში – ალედამორში ჩატარებული გამოკვლევებით გაირკვა, რომ მოსახლეობის 15% მაღარიითაა დაავადებული. ტრანსამაზონეთის მაგისტრალის გასწვრივ მცხოვრებთა 20%-ზე მეტი დასნებოვნებულია ასკარიდით, ბრაზილიელთა 20000 კაცზე მეტი იტანჯება კეთრით...

ნებისთ თუ უნებლიეთ ათეული, ზოგ შემთხვევაში კი ასეული წლების განმავლობაში, ამაზონის ტყეებში დასახლებული ინდიელები შეეგუენ არა მხოლოდ გარემოს კლიმატურ პირობებს, არამედ



სურ. 430. პარაგვაის ჯუნგლები (სელვა). გუარანელ ინდიელთა სამკურნალო ბალახების ბაზრობაზე. სურათის ქვედა ნაწილში სტაფილოს ძირის მსგავსი მცენარეებით (Aristolochia fimbriata) ადგილობრივები გველის ნაკბენს კურნავენ, მის გვერდებზე კონებად შეკრული მცენარის (Dorstenia brasiliensis) ნაყენით კი – ციებ-ცხელებას, სხეებით – ეგნერიულ დაავადებას და ა.შ.

ენდემურ ავადმყოფობებსაც, მაგრამ საგზაო მაგისტრალის გაყვანის შემდეგ იქ დამკვიდრებულმა თეთრკანიანმა მოსახლეობამ ჰილავაში შეიტანა ადგილობრივებისათვის უცხო ინფექციური და ინვაზიური დაავადებები. ვინაიდან თანამედროვე მედიცინა ადგილობრივებისათვის პრაქტიკულად ხელმიუწვდომელი იყო, ხოლო ახალ ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობის უნარი ფრიად დაბალი, სიკვდილი უმოწყალოდ ცელავდა ადამიანებს.

პირველქმნილი ტყეებით დაფარული ტერიტორიების სამეურნეო თვალსაზრისით ათვისებამ, ე.ი. ღია ლანდშაფტების ფორმირებამ გამოიწვია მდინარეთა სანაპიროების დაშლამეა. ამგვარად სახე-შეცვლილმა გარემომ გაცილებით გააფართოვა ადგილობრივი შავი ბუხის არეალი. ამ პატარა ზომის მწერს გადააქვს პარაზიტული ჭია, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე საშიში დაავადების – მდინარის სიბრმავის (ონხოცერკოზი) გამომწვევია. ცენტრალურსა და სამხრეთ ამერიკაში ამ საშიშელი ავადმყოფობით დაინვალიდდა მოსახლეობის 20%.

შეინიშნება პირუკუ პროცესიც. გზისპირა რაიონების ათვისებისას თეთრკანიანი მოსახლეობა ხშირად ხდება ადგილობრივი დაავადებების მსხვერპლი, რომელთა მიმართ არ გააჩნიათ იმუნიტეტი.



სურ. 431. კაცობრიობის კიდევ ერთი რელიქტური პოპულაცია, პალეოლითის წესით მცხოვრები კაიიაპოს ტომი მდინარე ამაზონის აუზში (სრდილოეთი ბრაზილია).

თანამედროვე ინდიელის ცხოვრება ნაკლებად განსხვავდება არსებობის იმ ფორმებისაგან, რომელიც ჯერ კიდევ XVI საუკუნეში აღწერა ესპანელმა ბერმა კარბახალმა. ჯუნგლებში მრავალი ტომი წინანდებურად მომთაბარე ცხოვრებას ეწევა, შემორჩენილია პირველყოფილი თემური წყობილება, კმაყოფილებიან ტროპიკული ტყის მზამზარეული პროდუქტებით – მცენარეთა ფესვებით, გორგლებით, ხილით, კენკრით, თავს ირჩენენ ასევე ნადირობითა და თევზაობით. სანადირო იარაღებიც არქაული და პრიმიტიულია – მშვილდისარი, შუბი, ნაჯახი, დანა; თოფი დიდი იშვიათობაა, სამაგიეროდ, პოპულარულია სასულე თოფი – სარბაკანი. შამბუკის ღეროსაგან დამზადებული 2-3 მ

სიგრძის მილში იდება ფრთიანი ისარი. მილის მეორე მხარეს ინდიელი მძლავრად ჩაბერავს. დიდი სისწრაფითა და უხმაუროდ გამოეარდნილი ისარი მსხვერპლს თვალის დახამხამებაში კლავს. ისრის წვერო ამოვლებულია კურარეს წვენი. შხამი ნადირ-ფრინველს სასუნთქი ცენტრის მომენტალურ დამბლას იწვევს და მსხვერპლიც ხიდან მიწაზე ეცემა.

ენიცი მიწათმოქმედებას მისდევს, მისი შრომა, ფაქტობრივად, არსებობისათვის ბრძოლაა, ამ სიტყვის არა მეტაფორული გაგებით. მარგილი და თოხი ხისგან კეთდება. ინდიელი ერთი გოჯა მიწის დასამუშავებლად მდინარის სანაპიროზე ტყეს კაფავს, მაგრამ, ნიადაგი მალე მწირდება და ახლა ტყე სხვა ადგილზე იჩეხება. თესავენ პარკოსან, მარკულოვან, გორგოვან, ზეთოვანსა და ტექნიკურ კულტურებს. საკვებად ყველაზე პოპულარულია მანიოკი და ბატატი.

ამაზონეთის უღრანი ჯუნგლები სპეციალისტთა დიდ ინტერესს იწვევს აქ მობინადრე პირველყოფილი ადამიანით. ეს იშვიათი ხალხია, რომელთა წინაპრები წინაისტორიული დროიდან ცხოვრობენ ევროპელისათვის ძნელად მისასვლელ, ტროპიკულ ტენიან ტყეებში. მათ უკანასკნელ დრომდე არ შეხებიანთ ნეოლითური რევოლუცია – განვითარებული მიწათმოქმედებითა და მესაქონლეობით მიღებული სიკეთე. თავის სარჩენად ეს ხალხი დღემდე მისდევს მონადირეობასა და შემგროვებლობას.

ფსიქოლოგთა და მედიკოსთა დაკვირვებებით, ტროპიკული ტყე ამ არქაული ხალხისათვის არა მხოლოდ ფიზიკური საარსებო გარემოა, არამედ სულიერი ნავსაყუდელი, წმინდა ტაძარია, სადაც აბორიგენი-ევროპთაყვანისმცემელი თავის ღმერთებს მიაგებს პატივს. საუკუნეთა განმავლობაში აქ ყალიბდებოდა მისი ფსიქოლოგია, ამიტომ სვლევას გარეშე პირველყოფილი ინდიელი, თუნდაც ჭკრით, საკვებითა და ჩასაცმელით უზრუნველყოფისას, განწირულია.

ამჟამად, ორი საუკუნის თავშესაყარზე, ამაზონი-ორინოკოს აუზთა ჯუნგლებში შემორჩა ადამიანთა ერთი მუჭა, მაგრამ პალეოლითის ნამდვილი რელიქტები. ბრაზილიის, ბოლივიის, პარაგვაის, ვენესუელისა და ეკუადორის ჯუნგლებში ანთროპოლოგებსა და ეთნოგრაფებს აღრიცხული ჰყავთ ზემოთ ჩამოთვლილი პირველყოფილი ტომები.

ცენტრალური აესტრალიის უდაბნოთა აბორიგენების მსგავსად, ამაზონ-ორინოკოს ჭენის ხანის ტომები უნიკალური ინფორმაციის მატარებლები არიან.

როდესაც სპეციალისტი სწავლობს ადამიანის, როგორც ბიოლოგიური და კულტურული სახეობის ისტორიას, იგი ვალდებულია პასუხი გასცეს ამ სახეობის ისტორიასთან დაკავშირებულ არაერთ კითხვას – როგორი იყო ჰომო საპიენსის განვითარების ზოგადი ტენდენციები? გარემოსთან ურთიერთობები? როგორ ვითარდებოდა პირველყოფილ



სურ. 432. ინდიელთა ტომმა - სუიამ -
ამჟამადაც შეინარჩუნა წინაისტორიული
ხალხის ცხოვრების დონე.

სასოგადოებაში კომუნიაციები? როგორ იხევეწ
ბოდა საკომუნიაციო საშუალებები? რა დაიმე-
კვიდრა ცხოველური წინაპრებისაგან? ცხოველ-
თა რომელი უარყოფითი ნიშან-თვისებები დაიმე-
კვიდრა გენეტიკურად? რამ განაპირობა მისი, რო-
გორც სახეობის სხეებზე ბატონობა და ეეოლუ-
ციური ტრიუმფი?... მცენიერები ბევრ ამ კითხვაზე
პასუხს ეძებენ ადამიანის ნამარხი ძელებისა თუ
შემთხვევით გადაარჩენილი კულტურის მატერია-
ლური ძეგლებისა და ნივთების (არტეფაქტების)
მიხედვით, მაგრამ ტყის პალეოლითური კულტურის
მატარებელი, დღემდე შემორჩენილი ეთნოსები,
სწორედ რომ უნიკალურ მოდელს წარმოადგენენ
ანთროპოგენეზის მრავალი, მწვავე ამოცანის
გადასაწყვეტად!

დიდ ინტერესს იწვევს ტყის პირველყოფილი
ადამიანები მედიკოსებშიაც. საქმე ის არის, რომ
ტექნიკური ცივილიზაციისაგან შორს მდგომმა ამ
ხალხმა თავიდან აიცილა ათუროსკლეროზი და
გულ-სისხლძარღვთა სხვა დაავადებები, პიპერტო-
ნია, ავთვისებიანი სიმსივნე, დიაბეტი, ე.ი. ავადმყო-
ფობები, რომლებმაც ცივილურ გარემოში ეპიდე-
მიების ხასიათი მიიღო და რომლებიც, ხშირად,
სასიკედილო შედეგით მთავრდება. რა თქმა უნდა,
ტროპიკული ნოტიო ტყე, რიგი ტრანსმისიული
დაავადებების სახით, თავის ხარკს თხოულობს
ადგილობრივებისაგან, მაგრამ, როგორც ითქვა,
მეტწილი დაავადებების მიმართ მათ სათანადო
იმუნიტეტი გამოუმუშავდათ.

ტროპიკული ტყეების მკვიდრნი ფიზიკურად
ჯანმრთელები არიან. ამის ძირითად მიზეზს, სათა-
ნადო გამოკვლევებით, დადებითი ემოციური გარე-
მო და გენეტიკურად ადამიანისათვის მისაღები,
საკეების სწორი და ფართო არჩევანი წარმოადგენს.
ადგილობრივები, გლობალური მასშტაბით, ტრო-
პიკულ ნოტიო ტყეებში, საკვებად 80000-მდე სა-
ხეობის მცენარეს იყენებენ! რაც მთავარია, მათი
მენიუ ნახშირწყლებით, ცილებითა და ვიტამინებით
სრულყოფილი და ბალანსირებულია.



სურ. 433. კბილებდაქლიბული გოგონა-პოგმი.
ტროპიკული აფრიკა (რუანდა).

ფერ განსაკუთრებულ ანთროპოლოგიურ თავისებუ-
რებასთან არ მქონია საქმე. როგორც კი სქესობრივ
სიმწიფეს მიაღწევენ, ჭაბუკები სხეულს ისერი-
ბებენ, გოგონები კი კბილებს იქლიბავენ. მოდა
ყველგან მოდაა, მათ შორის ჯუნგლებში მცხოვრე-
ბი კაცუნებისათვისაც!

მასაის ტომის უსაშველოდ დაგრძელებული
ყურის ბიბილოების შემდეგ, ტროპიკულ აფრიკაში
ეს უკვე მეორედ ვაწყვდები საკუთარი სხეულის
დამახინჯების ფაქტს.

ჩრდილოეთ ავსტრალიაში ყოფნისას, ადგილობ-
რივმა ტურისტულმა ფირმამ ახალ გეინაში გა-
სამგზავრებელი ბუკლეტი შემომთავაზა. ფოტო-
სურათებში სხეებთან ერთად, იშვიათად ექსტრავა-
განტული გარეგნობის ადგილობრივებიც იყენენ
გამოსახულნი. რაღაც ასეთი, სამხრეთ ამერიკი-
დანაც გამახსენდა. გონებაში მსგავსი პარალე-
ლების ამოტივტივებამ დამარწმუნა, რომ თვითდამა-
ხინჯების ზოგჯერ საკმაოდ შემადარწუნებელი რი-
ტუალები დღემდე მისი სწორედ ქვის ხანის კულტუ-
რით მცხოვრები ტრაიბებისთვისაა დამახასიათე-
ბელი.



სურ. 434. სამხრეთ-დასავლეთი ახალი გვინეა. კავიანანგას აბორიგენი ცხვირის ნესტოებში 3 სანტიმეტრი დიამეტრის ბამბუკის სამკაულით.

აბორიგენთა მსგავს ქმედებას აუტოტერატომორებას (ბერძნ: აუტო – თვით, ტერატომა – სიმახინჯე) ღაეარქმევედი. ამ ეგზოტიკური სფეროდან მოვიყვან რამდენიმე, მართლაც რომ განსაკუთრებული მაგალითს.



სურ. 435. ავსტრალიელი აბორიგენი (ჩრდილოეთი ავსტრალია). ცხვირის ნასალურ ხრტილში გარჭობილი 15 სანტიმეტრი სიგრძის ძელის წკირით.

ახალი გვინეის რამდენიმე ტრაიბში მამაკაცის აუცილებელ ღირსებად ითვლება ბამბუკის ან ძელის გადანაჭერით ცხვირის დეფორმირება. ამისათვის ცხვირის ნესტოების შიდა, ე.წ. ნასალურ ხრტილს იხერეტენ და მასში საჭირო საგანს გარდიგარდმო ისეამენ. ეს უკანასკნელი ჯერ წერილია, შემდეგ კი ცვლიან სულ უფრო მსხვილი ნატრებით. დროთა განმავლობაში ცხვირის ქსოვილი ეგუება 1-3 სანტიმეტრი სიგანისა და 5-10 სანტიმეტრის სიგრძის უცხო, ცილინდრულ სხეულს.

ტერატოლოგიის თვალთახედვით თავისებური, რეკორდული მაჩვენებლებით ხასიათდებიან ასევე პალეოლითური კულტურის მატარებელი სუიას ტომი მდინარე ამპზონის აუზიდან. ეთნოგრაფები მათ „დიდტუჩა ბრახილიელ ინდიელებს“ უწოდებენ. როგორც კი ჯუნგლებში მცხოვრები ამ



სურ. 436. მამაკაცი სუიას ტომიდან (ჩრდილოეთი ბრახილია). თვითდამახინჯების განსაკუთრებული წესი.

ტომის მამაკაცი დაქორწინდება, იწყებს პირსახის ორგანოთა სხედასხვა ნართაულებით უცნაურ გაწყობას. პირველ რიგში, ქედა ტუჩსა და ღრძილს შორის, პორიზონტალურად ითავსებს ხისგან გამოთლილ დისკოს. შემდეგ სამკაულს თანდათანობით ადიდება, ტუჩის ქსოვილიც მანამდე გრძელდება, სანამ იქ 7-8 სანტიმეტრი დიამეტრისა და ნახევარი სანტიმეტრი სისქის რგოლი არ ჩაიდგმება. სახეს, თვალების გასწვრივ და ხის დისკოს წითლად იღებავს. ყურის გაჭრილ ბიბილოებს ასევე თანდათანობით „აჩევეს“ მათში ჩაიდგმულ, ამ შემთხვევაში თეთრად შეღებულ ხის რგოლებს. თუ თეთრკანიან მანდილოსანს მსგავსი შესახედობის მქონე ინდიელის დანახვაზე, სრული შესაძლებელია, გული წაუვიდეს, თანატომელ ქალიშვილებს იგი ფრიად იზიდავს.



სურ. 437. ამაზონეთის ჯუნგლებში
მცხოვრები ცხვირიანი მაიმუნი. ცხადია,
ასეთად ეს პრიმატი ბუნებრივად იბადება.

მსგავსი ნართაულები ერთ უხერხულობას მაინც
ქმნის – მამაკაცს პრობლემა ექმნება წყლის სმისას,
ამიტომ წყალს ტუნის ნაპირიდან სრუტაეს, ჰამისას
კი ხორცს ან ხილს კეპავენ, ასე იადვილებენ ჯამას.

ტუნში ჩამაგრებული ხის დისკო დროთა განმავ-
ლობაში ცვდება. მამაკაცს თადარიგი დაკაეებული
აქვს: დასაბურელად, ხის სათანადო დიამეტრის ტო-
ტი, ყოველთვის აქვს შენახული, სადებავს კი ხელ-
დახელ აკეთებს ნიდაგისა და მცენარეებისგან
გამოწურული წვენიებისგან. ალერსის გამოსახა-
ტაედ სუიასტომელები, გასაგებია, ტუნებს არ
იყენებენ.

ნაწილი მესამე

„ზოფნა-არქოზნა, საპითხავი აი შხ არის“..

თავი 4. კიდევ ერთი, ამ შემთხვევაში ფატალური ნიშან-თვისება, რაც ადამიანს ცხოველთა სამეფოს აბსოლუტური უმრავლესობისაგან ბანახსხვავებს

შიდასახეობრივი ანტაგონიზმი – ადამიანში ბენედიკტურად დუტირმინებულ ნიშან-თვისება

როგორ და რატომ ჩაისახა ადამიანთა საზოგადოებაში ომი? (ხელკეტებით დაწმუხული შეტაკებულ ომებით დაბრუნებულ კონფლიქტებამდე და ბენეციდამდე)


დედამიწის ძველი და ახალი ხალხების ისტორიაში გაგვიჭირდება რომაელთა მსგავსი მამაცი, შეუპოვარი, უდრეკი და ორგანიზებული მეომარი ხალხის დასახელება. საუკუნეების განმავლობაში ძველმა რომაელებმა მიაღწიეს ძლიერებას, ცივილიზაციის აყვავების არნახულ დონეს. თავის დროზე, ცეცხლითა და მახეილით, მათ ეყურათ იმ დროისათვის ცნობილი დედამიწის უდიდესი ნაწილი, ბატონობდნენ ასობით ენაზე მოლაპარაკე ხალხებზე. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ რომაელთა – პოლითეისტთა – ღმერთების, ღვთაებების მრავალრიცხოვან პანთეონში, თავიდანვე ყველაზე საპატიო ადგილი მარსს (ლათ. Mars) – ომის

ღმერთს ეკავა (მარსი – იუპიტერისა და იუნონას ვაჟი; იგივეა, რაც ბერძენთა არესი). მარსი, რომის დამაარსებლის რომულუსისა და რემულის მამად ითვლებოდა, ამიტომ ადგილობრივ ხალხს იგი თავის მამადაც მიაჩნდა, მათთვის მარსის წყალობა, ერთდროულად, რომის მსოფლიოზე გაბატონებასაც ნიშნავდა...

როდის ჩაისახა ადამიანში ერთი ინდივიდის მეორეზე, ერთი ხალხის სხვებზე და თვით ქვეყნიერების იმ ნაწილზე ბატონობისადმი ღტოლვა, რასაც ჰომო საპიენსის თვალის და გონის წყდებოდა? არაერთი ანთროპოლოგი თელის, რომ ადამიანში მისივე სახეობის სხვა წარმომადგენლის მისამართით მიმართული აგრესია თანდაყოლილი თვისებაა, რომ ძალადობა თავიდანვე ჩაბუდებულია ჩვენს გენებში.

ასეა, კი?

სანამ ამ კითხვას ეუქასუხებდეთ, მოდით, ამ პრობლემას წმინდა ბიოლოგიური თვალთახედვით შევხედოთ. ცხოველთა სამეფოში (უხერხემლოები,



სურ. 438. თახილი ნაჯერი. საპარის პლატო (სამხრეთ-აღმოსავლეთი ალჟირი). პლატოს კლდის კედელზე შესრულებულ ნახატზე, როგორც ჩანს, რქოსანი საქონლის მეპატრონე, მოქიშე ტომების მშვილდისრქებით ბრძოლა ასახული. დათარიღებულია 6000-4500 წლების წინა ინტერგლაციით.

ხერხეპლიანები) დღეს დაახლოებით ერთნახევარ მილიონამდე სახეობას ითვლიან. მათ შორის ურთო ერთობის სამ მთავარ ფორმას გამოყოფენ: კონკურენციას, კოოპერაციას (სიმბიოზს, „თანამეგობრობას“) და ანტაგონიზმს.

კონკურენცია (საკეებზე, საარსებო ტერიტორიაზე...) ორივე სახეობისთვის წაძგებია. ამიტომ, ამა თუ იმ გზით, მათ აცილებლად უნდა აიცილონ ურთოდობა. პირისპირება იქ იგულისხმება კონკურენციის შესუსტება-რეგულაცია დროშიც და სივრცეშიც. მაგალითად, უფრო ძლიერი დღისით არიან აქტიურები, სუსტები იძულებული ხდებიან ღამით ცხოვრების წესზე გადავიდნენ. უფრო შემძენი, ოპტიმალურ საარსებო გარემოს ინარჩუნებენ, დაწარგულები კი იძულებულები ხდებიან საცხოვრებლად ნაკლებად სახარბიელო ადგილებს დასჯერდნენ.

კოოპერაცია ორი სხვადასხვა ორგანიზმისათვის მომგებიანი ურთიერთობაა. წარმოშობის თვალსაზრისით, ხშირად ისინი სრულიად განსხვავებული სახეობები არიან. კოოპერაციის კლასიკური მაგალითებია ზღვის ცხოველები – აქტინია და კობორჩხალა, სოკოვანი მწერი (პეპელა, ფუტკარი...) და ყვავილოვანი მცენარე.

ანტაგონიზმის განსხვავებული ფორმებია ცნობილი. თუ ერთი სახეობა მაშინვე სპობს მეორეს (მაგალითად, მგელი შეელს) – ეს მტაცებლობაა. იმ შემთხვევაში, თუ პატარა და სუსტი ორგანიზმი ექსპლუატაციას უწევს დიდსა და ძლიერს, საქმე გვაქვს პარაზიტისმთან. პარაზიტის კეებით სტრატეგიაში სრულყოფილად არ შედის მასპინძელი ორგანიზმის განადგურება. ეს ბუნებრივიცაა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრი მათგანი (ყოველ შემთხვევაში ენდოპარაზიტი) თვითონაც დაიღუპება. ამიტომ პარაზიტი კმაყოფილდება პატრონი ორგანიზმის ქსოვილის, სისხლის, გადამუშავებული საკვების ნაწილის მითვისებით.

ცხოველურ ორგანიზმთა ურთიერთობის ამ სახე ფორმადან, აღნიშნულ თავში წამოჭრილ პრობლემას პასუხობს მესამე – ანტაგონიზმი.

თუ გადაეხედეთ სახეობებს შორის ანტაგონისტურ დამოკიდებულებას, ზღვაში ექნება ამას ადგილი თუ ხმელეთზე, მსგავსი ურთიერთობის უამრავ მაგალითს შევხვდებით (მწერს ჭამს მწერი-ჭამია ცხოველი, ამ უკანასკნელს – მასზე ძლიერი მტაცებელი და ა.შ.). მაგრამ სახეობის შიგნით აგრესიის გამოვლინებას, თვით კანაბალიზმის ჩათვლით, ცხოველთა სამყაროში ძალიან იშვიათად აქვს ადგილი (დედალი ობობა განაყოფიერებისას ხშირად ჭამს მამალ ობობას, მამალი, მურა დათვი მტრობს საკუთარ ბელებს...).

როგორც წესი, მტაცებელი ცხოველები გამანადგურებელ იარაღს – ეშვებს, ბრჭყალებს, შხამს... საიყინო თანამომის წინააღმდეგ არ მიმართავენ („ყორანი ყორანს თვალს არ გამოთხრის“). კონფლიქტი სახეობის მოსახლეობის (პოპულაციის) შიგნით, მტრწილად გამრავლების დროს იმართება.

მაგრამ საკმარისია დომინანტმა (აღეფა) ინდივიდმა, მგელი იქნება ეს, ირემი თუ სხვა ცხოველი, თავისი ძალა აჩვენოს დაქვემდებარებულს, რიტუალური ხასიათის ორთაბრძოლაც წყდება. მართალია, მსგავსი შეტაკებებს სოჯერ თან სდევს ჭრილობები, ერთმანეთის დასისხლიანება, მაგრამ ისინი ლეტალური, სასიცოცხლო შედეგით ძალიან იშვიათად მთავრდებიან. ამ შემთხვევაშიც იგი შემთხვევით ხასიათს ატარებს.

გამონაკლისია... ადამიანი! გამოთვლილია, რომ უკანასკნელი 6000 წლის განმავლობაში (ნეოლითური რევოლუციის, მიწათმოქმედების ძალაში შესვლის შემდეგ), ომების გარეშე კაცობრიობამ სულ 360 წელი გაატარა! მსგავსი სტატისტიკიდან გამომდინარე, როგორც სიმით ითქვა, საფიქტოა, რომ ომი ადამიანის – ყველაზე მაღალგანვითარებული ძუძუმწოვრისათვის – წინაწარგანსაზღვრული (დეტერმინებული) ნიშან-თვისებაა. რას ფიქრობენ ამ საკითხთან დაკავშირებით საქმეში ჩახედილი სპეციალისტები?

სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, საჭიროა ნათელი გახდეს, თუ რას გულისხმობს თეთი ცნება – „ომი“? ანთროპოლოგები ომს უყურებენ, როგორც ადამიანთა მოსახლეობის ორ ჯგუფს შორის ძალადობის გამოვლინებას. იგი, როგორც წესი, ორივე ჯგუფის გარკვეული ნაწილისათვის ლეტალური შედეგით, ან დაინვალიდებით მთავრდება.

აგრესია პომინიდებისათვის – ორფეხა არსებებისათვის რომ გენეტიკურად თანდაყოლილი ნიშან-თვისებაა, ამაზე მეტყველებს არქეოლოგიური მონაცემები. დაახლოებით 150000-100000 წლის წინათ, ერთმანეთთან სიერცესა და დროში სიმპატრიზმდნენ („მეზობლობდნენ“) ორი ახლო მონათესავე სახეობა – ნეანდერტალელი ადამიანი (Homo sapiens neandertalensis) და პომინიდთა ის ფორმა, რომელსაც ჩვენ მიეკუთვნებით (Homo sapiens-ი). ისინი ფრთავ აგრესიულად ყოფილან ერთმანეთის მიმართ განწყობილად და ერთმანეთის განსაზღვრებლად არ იშურებდნენ ქეებსა და კეტებს. ნეანდერტალელები არაკონკურენტუნარიანები აღმოჩნდნენ (არა მარტო ადამიანებთან მიმართებაში) და, შესაბამისად, სხვა ორფეხა პომინიდების (ავსტრალოპითეკები და ა.შ.) ბედი გაიზიარეს. ანთროპოლოგთა აზრით, ნეანდერტალელების ამოწყვეტის ერთი არსებითი გარეობაა გასათვალისწინებელი: ამ უკანასკნელს გაცილებით განვითარებული პქონია თავის ტენის ის უბანი, რომელიც პასუხისმგებელია და აკონტროლებს აგრესიულობას. შესაბამისად, ადამიანთან შედარებით პომო ნეანდერტალელში გაცილებით იყო ბლოკირებული ანტაგონიზმის დამამუხრუჭებელი მექანიზმი.

ამგვარად, დაახლოებით 100000 წლიდან დღემდე მიწაზე ტრიალდ Hominini-დან (ორ ფეხზე გადაადგილებადი პრიმატები) მხოლოდ ჩვენი გეარი და სახეობა შემორჩა. რა პქონდათ ერთმანეთში გასაყოფი ადამიანის მოდგმის წარმომადგენლებს, რის

თვის დასჭირთად მათ ერომანეთის გამანადგურებელი ომები?

ამ პრობლემასთან დაკავშირებით, წარსულის აღსადგენად, პასუხს იძლევა არქეოლოგიური გამოკვლევები. იგი მოიცავს უკანასკნელ 10000 წელს, ე.ი. იმ პერიოდს, როდესაც ადამიანი გადადის ცხოვრების თანამედროვე, ერთ ადგილზე დასახლებულ წესზე.

პრობლემა საბინების შიგნით აშკარა აგრესიის მიმართნიშნებელია ადამიანთა ნამარხი, ძელოვანი მასალის ნაშთები, რომლებსაც ატყევიან ურთიერთკონფლიქტით გამოწვეული ძალადობის კვალი: შუბით, მშვილდისრით, ხანჯლით, სომარჩი კვერთხითა და სხვა იარაღით მიყენებული ნაჭრილობები. მოჭრილი მარჯვენა ხელი, ანდა თავის ქალა იმის მუტუარის დასტურია, რომ გამარჯვებულებს დამარცხებულებისაგან სათანადო „ნიეთმტკიცებანი“ აუღიათ.

ცალკეულ ტრაიბებს შორის არსებული ომების არაპირდაპირი მიმანიშნებელია საცხოვრებელთა დამცველი კედლები, თხრილებით გარშემოვლებული დასახლებები და ა.შ. მსგავსი კონფლიქტების დასტურია აგრეთვე კლდეთა, გამოქვაბულთა კედლებზე შესრულებული ნახატები, იქვე ამოკვეთილი საომარ მოქმედებათა ბატალური სცენები.

ცალკეულ ტომებს შორის შეტაკებები ხდებოდა კანიბალიზმის მიზნითაც.

მოვიყვანოთ კონკრეტული ფაქტები. პრეისტორიული ადამიანის მასობრივ შეტაკებათა ნაშთები აღმოჩენილია ნილოსის სანაპიროსთან, სუდანში. გასული საუკუნის 60-იან წლებში, გათხრებისას, მას მიაკვლია ტეხასის დალასის უნივერსიტეტის არქეოლოგთა ჯგუფმა ფრედ ვენდორფის ხელმძღვანელობით. ადამიანების ჩონჩხზე დატოვებულია აშკარა ძალადობის ნიშნები. 59 კარგად შენახული ჩონჩხიდან, 24-ს აშკარად ეტყობა ქეის იარაღით მიყენებული მძიმე ტრამეები. სათანადო ანალიზით, მსგავს შეტაკებებს ადგილი უნდა ჰქონოდა 14000-12000 წლის წინანდელ ფარგლებში.

ჩრდილოეთ ავსტრალიაში, კლდეზე შესრულებული ადამიანთა ორთაბრძოლის ამსახველი სურათი დათარიღებულია 10000 წლით. ამ კონტინენტზე ავსტრალიოიდა დაპირისპირებები დაფიქსირებულია 6000 წლის წინანდელი, ნამარხი ძელოვანი მასალებითაც.

ნამარხი ძელოვანი ნაშთები (370 ადამიანის ჩონჩხი) ადასტურებს, რომ 12800-10500 წლის წინანდელ მონაკვეთში ანალოგიურ შერკინებებს ადგილი ჰქონია ახლო აღმოსავლეთში (ისრაელი, იორდანია).


ჯერიხოს დასახლების გარემომცველი კედლები (დათარიღებულია 10500-9300 წლის წინათ) მოიაზრებოდა როგორც მტრისგან თავდაცვის საშუალება, მაგრამ კედელთა აგებულების შესწავლამ

სპეციალისტები დაარწმუნა, რომ ამ უკანასკნელებს ადიდებული წყლებისგან თავდაცვის დანიშნულება ჰქონათ.

10000 წლის წინათ ფართო მასშტაბის საომარი ღონისძიებები ტარდებოდა ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე. შუამდინარეთის აღნიშნულ რეგიონში, გვიან პალეოლითში, ადგილობრივ მოსახლეობას უკვე გააჩნდა ნაირგვარი საბრძოლო იარაღი, საფორტიფიკაციო ხასიათის ნაგებობანი. ამ ადგილებში, როგორც ჩანს, დაუზოგავი ორთაბრძოლისაგან დასახინრებული, უამრავი ჩონჩხია აღმოჩენილი.

სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, რომ ახლო აღმოსავლეთის ამ კონფლიქტს, თავისი მასშტაბებით, უკვე შეიძლება მიეცეს ომის კვალიფიკაცია. იგი წინასტორიულ დროში მომხდარი ომების მწვერვალადაა მიჩნეული.

8000 წლის წინათ მასშტაბურ ომს ჰქონია ადგილი ჩრდილოეთ თურქეთის ტერიტორიაზე. მოგვიანებით (6300 წლის წინათ), აქ თავდაცვითი კედელი აუგიათ. შემდეგ იგი არაერთხელ დაუნგრევიათ და აღუდგენიათ სხვადასხვა კულტურის ხალხს.



სურ. 439. შუმერი, ქალაქი ური (ძვ.წ.აღ-ით 2500 წ.) საბრძოლო ეტლზე (ე.წ. „შტანდარტი“) ამხედრებული, შუბებით შეიარაღებული მეთომრები. იმ დროისათვის მოქიშვე ქალაქ-სახელმწიფოებს შორის ომი ფართოდ იყო დაწვრილი პრაქტიკაში.

მესოპოტამიაში იარაღად გამოყენებული მსგავსი საგნები მოპოვებულია ეგვიპტის ტერიტორიაზეც. ეს არტეფაქტები 6300 წლითაა დათარიღებული. პროფესიონალები ითვლიან, რომ ხართუმთან ახლოს, გათხრებისას ნანახი სხვადასხვა საბრძოლო იარაღი დამზადებული უნდა იყოს 8300 წლის წინათ. შესაძლებელია, ამ რაიონში, ადგილობრივებისთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო მიწათმოქმედება.

ცენტრალურ აზიაში, კასპიის ზღვის აღმოსავლეთით, ომების უკუკეული კვალი ჩნდება 5000 წლის წინათ. პაკისტანის ტერიტორიაზე მტრისაგან თავდაცვით კედლებს აგებდნენ 6000 წლის წინათ.

* N.T. Boaz, R.L. Ciochon, 2001. The Scavenging of "Peking Man". Natural History, N3.

ჩინეთში, 8000 წლის წინათ მარცვლოვანი მცენარეების კულტივირების ეპოქაში, ადამიანთა მასობრივი შეგაკებების არაერთი კვალი არ არის დატოვებული. ძალადობის მასშტაბური ნიშნები აქ დაახლოებით 5000 წლის წინათ ჩნდება.

იაპონიაში, კონტინენტიდან მიგრირებულმა ხალხმა, ინტენსიურ მიწათმოქმედებას 2300 წლის წინათ მიჰყვეს ხელი. ურთიერთგანადგურების მასობრივი კვალი აქ მხოლოდ 1000 წლის მოგვიანებითაა დატოვებული.



სურ. 440. აღმოსავლეთი დანია. ისრით სახედაკოდილი ადამიანის ნამარხი თავის ქალის ნაშთი (ძვ.წაღ-ით 3000 წ.).

ევროპაში, ადამიანთა მოსახლეობის რამდენადმე ზრდის ტენდენციები 10500 წლის წინათ ჩნდება. ერთდროულად ეყრება საფუძველი წინააგროკულტურას. ნამარხი ნაშთების მიხედვით, პალეოლითის მიწურულს, ევროპაში ადგილი ჰქონდა მხოლოდ ინდივიდუალურ, ანდა ჯგუფურ ძალადობებს. მაგრამ 6500 წლის წინათ ევროპის მიწაზეც იწყებენ გასამაგრებელ ნაგებობათა შენებას. აღმოჩენილია დასახლებები, სადაც რომელიღაც ტომებს ნამდვილი სასაკლავო მოუწყვიათ. მოგვიანებით, ბრინჯაოს ეპოქაში (4500 წ. წინათ) ევროპაშიც ინერგება იარაღისა და ომების კულტი.

ჩრდილოეთ ამერიკაში, 9200-7500 წლების ინტერვალით დათარიღებულ, ძეგლებზე მიყენებულ ტრაქემებს შემთხვევით ინციდენტებს აკუთვნებენ. ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრებ ადგილობრივებს იარაღისგან დატოვებული, ლეტალური ხასიათის ტრაქემები მხოლოდ 4200 წლის წინათ ეტყობათ, ამერიკის სამხრეთ რაიონებში (აშშ-ის ახლანდელი იუტას შტატი) კი იგივე სურათი რამდენიმე საუკუნის მოგვიანებით მეორდება.

ამგვარად, ადამიანის მოდგმაში ანტაგონიზმის ფორმა, რომელიც შეიძლება პომოციოდ (გენოციოდ) – სახეობის შიგნით მასობრივ განადგურებად შეფასდეს – ჯერ კიდევ გვიან პალეოლითში იწყება. ეს დრო ადამიანის მომთაბარე ცხოვრებიდან დასაქმებული ცხოვრების წესზე გადასვლას ემთხვევა.

როგორ შეიძლება თანამედროვე აფრიკელი პიგმეების, ანდა ცენტრალური ავსტრალიის ბინდიუს ტომის მსგავსი, მშვიდობისმოყვარე, წინასტორიულ ადამიანთა გაერთიანებები (ტრაიბები), მოგვიანებით ომის წყურვილით შეპყრობილ საზოგადოებად გადაქცეულიყვნენ? ბრაიან ფერგუსონის მიხედვით, მისი გამოჩვეული არაერთი მიზეზი შეიძლება დასახელდეს. მათგან, მისი აზრით, წინასტორიული ადამიანის საზოგადოებებში ფართო მასშტაბის ანტაგონიზმის (ომი) გამოჩვევი ხუთი ძირითადი მიზეზია გამოსაყოფი.

ადამიანის ნომადური (მომთაბარე) ცხოვრების წესიდან არსებობის სელენტალურ (ადგილზე დასახლებულ) წესზე გადასვლა. ამ დროს ადამიანებში ჩნდება თავიანთი მიწის, საკვები მარაგის უცხო ტომებისაგან დაცვის ბუნებრივი მოთხოვნა;

დედამიწის ამა თუ იმ რეგიონში ადამიანის მოსახლეობის ჭარბი ზრდა და, აქედან გამომდინარე, საკვები რესურსებისადმი კონკურენციის წარმოშობა;

განვითარებულ საზოგადოებებში სოციალური იერარქიის წარმოქმნა, იქ ელიტარული ფენის ფორმირება. ეს უკანასკნელი, თავისი პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, მზად იყო განეხორციელებინა ექსპანსიონისტური ქმედებანი სხვა საზოგადოებებზე;

გაიზარდა გაცვლა-გამოცვლის (ეაჭრობის) არეალი. ძვირფასი საგნების, ნივთების, სხვა მატერიალური დოვლათის, მზა პროდუქტების, ნედლეულის ხელში ჩავსება, ხშირად ხდებოდა ურთიერთშეტაკებების მიზეზი;

კლიმატის ცვლილებები: აცივება, გამშრალება, ჭარბტენიანობა... უფარვის ხდიდა ოდითგან დასახლებულ ადგილებს და ხშირად აიძულებდა ადგილობრივ ხალხს ეწარმოებინათ უკეთესი მიწების მფლობელი ხალხების წინააღმდეგ ფართო მასშტაბის დამპყრობლური ომები.

გადიოდა ასობით წლები. ტომები ერთიანდებოდნენ სახელმწიფოებად. მათ შორის ის სახელმწიფო ხდებოდა უფრო ძლიერი, რომელსაც მეტი ტერიტორია გააჩნდა, მეტი დაქვემდებარებული (დამონებული) მუშა ხელი ჰყავდა, ერთი სიტყვით, რომლის თავდაცვითი და დამპყრობლური პოტენციალი სხვაზე მეტი იყო. ყველაფერი ამისათვის გარდაუვალი ხდებოდა ფართო მასშტაბის კონფლიქტი – ომი. პალეოლითის მიწურულისათვის

* Brian Ferguson, 2003. The Birth of War. Natural History, IV 7/8.

ადამიანმა სხვა ცხოველურ სახეობებზე უდავო უპირატესობა მოიპოვა. დაიწყო მისი დემოგრაფიული აყვავება. მაგრამ ამ პროცესების პარალელურად, საკუთარი კეთილდღეობის მისაღწევად, წარმოიშვა თავისი მოდგმის ერთი ნაწილის ჯერ ლოკალური, შემდეგ კი მასობრივი განადგურების მოთხოვნები. როგორც ითქვა, ადამიანამდე, მსგავსი მისწრაფება ცხოველთა სამყაროში არ არსებობდა. აღნიშნულმა თანდათანობით იმ მასშტაბს მიაღწია, რასაც დღეს ომს ეუწოდებთ.


რაც უფრო იზრდებოდა ომის მოთხოვნები, მით უფრო ვითარდებოდა მასობრივი მოსპობის იარაღიც. შუბის, მშვილდისრისა და მახვილის მსხვერპლი შეუდარებლად ნაკლები იყო, ვიდრე ცეცხლსასროლი იარაღით დაცემული ადამიანების რიცხვი. ამ უკანასკნელით გამოწვეული ლეტალური შედეგები კი უმნიშვნელოა ბირთვული იარაღის მსხვერპლთან შედარებით...

მოყვანილი მასალები მიუთითებენ, რომ 10000-6000 წლის წინათ ადამიანთა კონფლიქტები ატარებდნენ ლოკალურ, ნაკლებად მასშტაბურ ხასიათს. არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე, სოციოლოგები ასკენიან შემდეგ: პომო საპიენსის განვითარების ისტორიაში ანტაგონიზმის ის ფორმა, რასაც შეიძლება ომი ეწოდოს, დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანთა მოსახლეობის მსხვილ გაერთიანებასთან – სახელმწიფოსთან, იქ გამოხატული საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაციით. მანამდე, პირველყოფილი თემური (ტრაიბალური) ყოფის დროს, ადამიანთა მოსახლეობაში არ არსებობდა კერძო საკუთრება, საზოგადოების კლასებად დაყოფა. ამიტომ, აფრიკელი პიგმეების მოსახლეობის მსგავსად, არც ომებს (ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით) პქონდა ადგილი, თუმცა იყო ანტაგონიზმი.

სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად იქმნება შეიარაღებულ ადამიანთა სპეციალური რაზმი – არმია, რამდენადმე მოგვიანებით სამხედრო-საზღვაო ფლოტიც (რომის იმპერიაში რეგულარული არმიის შემადგენლობამ 400000 მიაღწია). ომის მიზანი აშკარად გამოხატული ექსპანსია – სხვა ხალხთა დოვლათის სისტემატიური ძარცვა-გლეჯა, მონების ტყვედ ჩაგდება და მათი იაფფასიანი, მუშა ხელად გადაქცევა გახდა. ნეოლითიდან, და მით უმეტეს რკინის ეპოქებიდან მოყოლებული (უკანასკნელი 6000 წელი), ომი ძლიერ სახელმწიფოთა მმართველი ძალების ძალაუფლების განმტკიცებისა და, შესაბამისად, პოლიტიკური მიზნების, იდეოლოგიის განხორციელების უმთავრეს წყაროდ გადაიქცა...

ომების უახლესი ისტორია შემდეგ სურათს გვიჩვენებს: XIX საუკუნეში ფართომასშტაბიანი, ტოტალური ომების მატერიალური ბაზა შედარებით სუსტი იყო, თუმცა მათში მანამდეც მონაწილეობდნენ მეომართა მრავალრიცხოვანი არმიები. სურათი მკვეთრად შეიცვალა XX საუკუნის დასაწყისში. გლობალურმა ექსპანსიონისტურმა

პოლიტიკამ ცალკეული სახელმწიფოებისაგან თანამედროვე იარაღით, მექანიზებული ტექნიკით გამაღებელი შეიარაღება მოითხოვა, საჭირო გახდა საომარი ტექნიკის სულ უფრო სრულყოფა, ამას კი სათანადო ნედლეული ესაჭიროებოდა. ომებში ჩაბმულ ადამიანთა რიცხვმა ათეულ მილიონებს მიაღწია. პირველ მსოფლიო ომში (1914-1918) 70 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა, II მსოფლიო ომში (1941-1945) – 110 მილიონი. შეუდარებლად იმატა ომის მსხვერპლთა რაოდენობამ: ევროპის ქვეყნებში, XVII საუკუნეში, სათანადო დანაკარგი 3,3 მილიონ ადამიანს შეადგენდა, XVIII საუკუნეში – 5,4 XIX და XX საუკუნეებში (I მსოფლიო ომამდე) – 5,7, I მსოფლიო ომში – 9, II მსოფლიო ომში – 50 მილიონზე მეტ ადამიანს.



სურ. 441. XX საუკუნე: შუბებით შეიარაღებული მეღანეზიელები.

ცალკეული სახელმწიფოების მხრივ ძალადობრივი ხასიათის ომების პარალელურად სამართლიანი ომებიც განვითარდა. მათ მიეკუთვნება: ძვ.წ.აღ-ით 73-71 წლების მონების აჯანყება რომში სპარტაკის ხელმძღვანელობით; VIII-X საუკუნეების ომები საქართველოს გასაერთიანებლად, XI-XII საუკუნეებში ქართველი ხალხის ომები თურქ-სელჯუკების წინააღმდეგ დაეით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით; კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა განმათავისუფლებელი ომები (XVIII-XIX საუკუნეების სახალხო აჯანყებები ინდოეთში ინგლისელთა ბატონობის წინააღმდეგ).

თავისი შინაარსით უპრეცედენტო იყო II მსოფლიო ომი. როგორც ცნობილია, ფაშისტურმა გერმანიამ შემუშავა იდეოლოგია არიული წარმოშობის რასის უპირატესობის თაობაზე. იგი გულისხმობდა გერმანელთა ბატონობას მსოფლიოზე. ერთი ქვეყნის გლობალური პეგემონიის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო, ე.ი. უნდა ამოწყვეტილიყვნენ მთელი რიგი „არასრულფასოვანი“ რასები (შაეკანიანები), ერები (ებრაელები). სამუშაო ძალად გადაქცევის მიზნით უნდა მომხდარიყო „ნაკლებად სრულფასოვანი“ ერების (მაგალითად, სლავების)



სურ. 442. პიროსიმა 1945 წლის აგვისტოში ჩამოგდებული ატომური ეუმბარის შემდეგ.

კასტრირება, გენეტიკური მანიპულაციების გზით კი რიგი სხვა ერები უნდა „გაეკეთილშობილებინათ“, საბჭოთა კავშირთან ერთად ერთ კოალიციურ ბანაკად გაერთიანდა სრულიად განსხვავებული იდეოლოგიის მქონე სახელმწიფოები.

შეიძლება ვინმეს პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია: ადამიანთა საზოგადოებაში „ცივილიზაციის კოეფიციენტის“ მატებასთან ერთად, სულ უფრო იზრდება ომების რიცხეიც და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, სულ უფრო ტოტალური ხდება ურთიერთელეტის მასშტაბები. „კულტურის ევოლუციის პარადელურად, – ასკენის სოციოლოგი მარშალ სალინი, – მატულობს ძალმომრეობის ფენომენი. მან კულმინაციას XX საუკუნეში მიაღწია“.

1953 წელს დაიბეჭდა რაიმონ დარტის სტატია: „მტაცებლობის გენეზისი უმაღლესი (ადამიანის მსგავსი) მაიმუნებიდან ადამიანის ჩათვლით“. ავტორი წერს: „ადამიანის სისხლისმღერელი ომების ისტორიის არქივი, დაწყებული ძველი ეგვიპტელებიდან და შუმერებიდან, ეიდრე II მსოფლიო ომის ჩათვლით, გეიჩვენებს ძალმომრეობის ყველა ატავისტურ გამოვლენას, რაც ადამიანის მტაცებელ ცხოველურ წინაპარს გააჩნდა თვით კანიბალიზმის ჩათვლით. მას დაემატა ამა თუ იმ ტომისთვის, ხალხისთვის დამახასიათებელი სპირიტუალისტური მსოფლმხედველობა, რომლის აუცილებელ კომპონენტს მსხვერპლშეწირვა წარმოადგენდა.“

ნობელის პრემიის ლაურეატის, კონრად ლორენცის მიხედვით, ადამიანი პატრიმოყვარე არსებაა. მას სიამოვნებას გვიტანს თავის საზოგადოებაში დომინანტის, ალფას სტატუსი. მსგავსი ფსიქოლოგიის ლოგიკური განვითარება კი ძალმომრეობაა. აღნიშნული ნიშან-თვისება მომდინარეობს ჯამოქებაბულში მცხოვრები, ჩვენი მოდგმის მონადირეობის წესით მცხოვრები, არცთუ შორეული წინაპრიდან (კ. ლორენცი, „აგრესიის თაობაზე“, 1957).

დასმულ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებული კატეგორიულობით გამოირჩევა ავსტრიელი ფსიქოლოგი ზიგმუნდ ფროიდი. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში იგი წერდა: „თავისი ბუნებით კაცობრიობის მოდგმა შორს დგას იმ

ცნებისაგან, რასაც ზოგადად „კეთილშობილება“ ეწოდება. აგრესია მისი ინსტინქტების არსენალის განუყოფელი ნაწილია. პუნებით, ჩინგიზხანისა და თემურ ლენგისდროინდელი მონღოლების ლაშქრობები ნათქვამის ყველაზე ტიპური ნიმუშია. თავისი მოდგმის წინააღმდეგ ანტაგონიზმი ადამიანის გენებშია ჩაბუდებული, ხოლო აგრესიული ზრახვების მანიფესტაციად რეალიზაციის არენად მას ბრძოლის ველი აქვს გამოყენებული“.

მრავალი ანთროპოლოგი, სოციოლოგი, ფსიქოლოგი მიდის ერთსა და იმავე აზრამდე: ადამიანი წარმოშობისთანავე არაუმანურ არსებად მოეფლინა სამყაროს. ინგლისურ ენაზე მსგავსი დეფინიცია კალამბურის ხასიათს ატარებს: Human is innately inhuman („ადამიანი იმთავითვე არაადამიანია“).

რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა მოგეჩვენოს, ომებს – ადამიანთა მასობრივი ულტრის ამ საშუალებას – თავიანთი დამცველი-თეორეტიკოსები გამოუჩნდათ. როგორც ცნობილია, ინგლისელი მღვდლისა და ეკონომისტის, ტომას მალთუსის (XVIII-XIX) თეორიის მიხედვით მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესით, ხოლო მისი არსებობის საშუალებანი – არითმეტიკული პროგრესით. მოსახლეობის რიცხოვნებასა და წარმოების საშუალებათა რაოდენობას შორის თანაფარდობის რეგულირებისათვის, მალთუსის აზრით, აუცილებელია ემიგრაციები, ომები და სხვა კატასტროფები.

„ომები საზოგადოებრივი პროგრესის მთავარი ფაქტორია, შესაბამისად, ყველა უმაღლესი კულტურა ომების შედეგად წარმოიქმნა“ – ამტკიცებს გერმანელი თეორეტიკოსი ე. ჰიხტი (XIX ს.).

ბირთვულმა იარაღმა სულ სხვა ელფერი მისცა ომების პოტენციურ შედეგებს. თერმობირთვული ომის შემთხვევაში, თავისი ტოტალურად გამანადგურებელი მასშტაბების გამო, მეომარი სახელმწიფოებიდან პრაქტიკულად არავინ არ გამოვა გამარჯვებული. აღნიშნულმა სიტუაციამ წარმოიშვა კიდევ ერთი, „აბსოლუტური ბირთვული შეკაების“ თეორია (აშშ). ამ შეხედულების თანახმად, ბირთვული იარაღის მქონე ქვეყანამ – ამ იარაღის გამოყენების ან მისი გამოყენების მუქარის გზით უნდა მოიპოვოს მსოფლიო ბატონობა.

უსახელმწიფოს სათავეში მდგომი, აღნიშნული ამბიციის საფუძველი ნამდვილად ქონდათ: როგორც ცნობილია, 1945 წლის 5 აგვისტოს ამერიკელებმა იაპონიის ქალაქ პიროსიმაში ჩამოაგდეს ატომური ბომბი. დაიღუპა და დაიჭრა 140000 ადამიანი. 9 აგვისტოს იგივე გაიმეორეს ქალაქ ნაგასაკში. ამჟამად მისი მსხვერპლი გახდა 75 ათასი ადგილობრივი მცხოვრები...

ამჟამად მსოფლიოს რამდენიმე სახელმწიფოში დაგროვილია ატომური ყუმბარის დიდი არსენალი. აქედან გამოთავისუფლებული ენერჯიის დამანგრეველი ძალა ტოლფასოვანი იქნებოდა პიროსიმაში ჩამოგდებული 1 მილიონი ატომური ბომბის. ასეთ შემთხვევაში ჩვენს ქლანეტაზე მთლიანად,

ანდა თითქმის მთლიანად ამოწყდებოდა სიცოცხლის ყველა ფორმა, თვით ბაქტერიების ჩათვლით.


გასული საუკუნის 80-იან წლებში აშშ-ს გაანრდა 16000 ერთეული ბირთვული იარაღი. მისი დამანგრეველი ძალა გაცილებით მეტია, ვიდრე ეს სჭირდება დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში არსებული ყველა დიდი ქალაქის განადგურებას. ამავე ქვეყნის ერთი წყალქვეშა ნაღვი – „პოსეიდონი“ – ატარებს იმდენ ბირთვულ იარაღს, რომელიც საკმარისია ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა დიდი ქალაქის მიწის პირიდან აღსაგველად. ასეთი ნაღვი კი იმ დროისათვის აშშ-ში 31 იყო. მხოლოდ ამ სფეროში, დედამიწაზე მილიტარიზაციას ყოველწლიურად 450 მილიარდი ამერიკული დოლარი ხმარდება.

დღეს დედამიწაზე არაერთი „ბირთვული სახელმწიფოა“. ამ გარემოებამ გასული საუკუნის 90-იან წლებში, ინგლისის ყოფილ პრემიერ-მინისტრს – მარგარეტ ტეტჩერს გამოათქმევინა სრულიად ორიგინალური აზრი – „არ არის საჭირო ბირთვული განიარაღება, ვინაიდან, რაც დაპირისპირებულ იდეოლოგიის ქვეყნებს ეს იარაღი გაუწვდამთ, გლობალური ომის სურვილიც გაქრა...“

ომი, შეიარაღება, ბირთვული იარაღი... ყველაფერმა ამან ადამიანი დედამიწაზე სიცოცხლის პოტენციურად გამანადგურებელ, ყველაზე საშიშ სახეობად გადააქცია!

ადამიანი – arma mortalia-ს – თავისი მოღმდის გამანადგურებელი იარაღის შემხმდელი


ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელმაც შექმნა arma mortalia – თავისი მოღმდის გამანადგურებელი იარაღი. ცხოველთა სამყაროს ნებისმიერი სახეობისაგან განსხვავებით, ადამიანის მიერ გამოგონებული და დამზადებული იარაღი – მასობრივი მოსპობის ეს საშუალება – არ წარმოადგენს ჩვენი სხეულის შემადგენელ ნაწილს (განსხვავებით ცხოველთა ეშვების, შხამიანი კბილებისა, თუ ბრტყელებისაგან), ამიტომ საკუთარი სახეობის სხვა წარმომადგენლის მიმართ მის გამოყენებას ტაბუ არ



სურ. 443. ეშვები – კავიანის მრისხანე იარაღი.

ადგეს. არსებითად განსხვავებულ სურათს ეხედეთ ცხოველთა სამყაროში. ცოცხალ ორგანიზმთა ამ სამეფოში, სხეულის იარაღად გამოყენებული ორგანო არასოდეს გამოიყენება თავისი სახეობის ინდივიდთა საწინააღმდეგოდ. მაგალითად, გველი არ გესლავს თავისი სახეობის სხვა გველს, მოქიშპე მგელი არასოდეს გადაუტრის ეშვებით სასიცოცხლო არტერიას მეორე მგელს, არც ქორორაშლილი მამალი ამოკორტნის მის წინ მდგომ თანამოძმეს თვალს... ერთი სიტყვით, საკეებზე, საცხოვრებელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი მდებარე გამართულ თითქოსდა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლების შემთხვევაშიაც, რაც უფრო საშიშია სიცოცხლისათვის „დუელში“ მონაწილე ცხოველთა იარაღი, მით უფრო პირობით ხასიათს ატარებს შეტაკებებშიც.

პირიქით, ადამიანის ისტორია მისი მოღმდის შიგნით გაუთავებელი ომების, ურთიერთმოსპობის ისტორიაა. ომები საარსებო რესურსებისათვის, ომები – მიწებისათვის, ომები – განსხვავებული იდეოლოგიისათვის, ომები – სხვადასხვა რელიგიური მრწამსისათვის, ე.ი. ... ღმერთისათვის (!).



სურ. 444. ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელთა შორის (სახეობის შიგნით) გამართული ორთაბრძოლების აბსოლუტური უმრავლესობა, როგორი სიმძაფრითაც არ უნდა გამოირჩეოდეს ისინი, რიტუალურ ხასიათს ატარებს.

არასოდეს, არცერთ ბიოლოგიურ სახეობას არ ჰქონია ისეთი ყოვლისმომცველი ძალაუფლება ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაზე, როგორც ადამიანს. პომო საპიენსი ტოტალურად გაბატონდა ყველა სხვა არსებაზე, ძალის თვალსაზრისით მას პლანეტაზე კონკურენტი დიდი ხანია არ ჰყავს, მაგრამ მოხდა სრულიად წარმოდგენელი რამ – მან იმთავითვე, პრეისტორიული ეპოქიდან მოყოლებული, თვითონვე შეიძინა ყველაზე უღმობელი მტერი... თავისივე მოღმდის სახით!

ადამიანის მცირე ზომის ეშვები, განსხვავებით გორილას შთამბეჭდავი ეშვებისაგან, არა მარტო თერმულად დამუშავებული საკეების გამოყენებით

ახსენება: იარაღის ხელში აღებამ ფუნქცია დაუკარგა სხეულისმიერ იარაღს, ამიტომ ევოლუციის პროცესში იგი რედუცირდა. რაც უფრო სრულყოფდა ადამიანი იარაღს – ხის კეტიდან ბირთვულ იარაღამდე – მით უფრო მასშტაბური ხდებოდა საკუთარი სახეობის ფარგლებში მსხვერპლიც. ასეთ ვითარებაში თუ ადამიანი სხვა მტაცებლებს არ დაესესხება „შინაგან დამამუხრუჭებელ მუქანისმს“, შეინარჩუნებს სამარცხვინო პირველობას თანამომქმთა განადგურების საქმეში, ჩვენს მოდემას გადაშენების რეალურ საფრთხეს თვითონვე შექუქნით!

მაგრამ ეს ტრაგედიის მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე – არანაკლებ აპოკალიფსური – სხვა არსებათა ხელყოფაა. ომებში, ჩვეულებრივი თუ ბირთვული იარაღის გამოყენებისას, განა ვინმეს აფიქრებს რა მასშტაბის ზიანს აყენებს ადამიანი ცოცხალ ბუნებას, იმ სიცოცხლეს, რომელიც მისი რუდუნების გარეშე შეიქმნა და რომელსაც თითქმის ოთხი მილიარდი წლის ისტორია აქვს?

ამჟამად საქმეში ჩახედული ყველა პიროვნება – პუმანისტიც და ანტიპუმანისტიც – სერიოზულად ფიქრობს და მსჯელობს, თუ როგორ დაიცვას საკუთარი თავი ადამიანისაგან. თერმობირთვული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური და ტოტალური განადგურების სხვა იარაღით აღჭურვილ თანამედროვე კაცობრიობას აუტოელიმინაციის, ე. ი. თვითგანადგურების სრულიად რეალური საფრთხე ემუქრება!

გარდა ამისა, XXI საუკუნე, სხვა მეცნიერულ სიახლეებთან ერთად, ხელოვნური ინტელექტის საუკუნეც იქნება. შესაძლებელია ეს ნაბიჯიც ბუმერანგით შემოუბრუნდეს ადამის მოდემას.

ანთროპოცენტრიზმით დათმული ბოროტების მარცმლის ბაღივებას ბიოეთიკის პრინციპებით შინაარსებულზე, ისევე ადამიანმა უნდა შეუშალოს ხელი!

ევოლუციამ ადამიანში გადაარჩია ისეთი უნიკალური ნიშან-თვისებები (უწინარესად, აბსტრაქტული აზროვნება, შემეცნება), რის წყალობითაც იგი სიცოცხლის ისტორიის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სახეობა აღმოჩნდა. დაეიწყოთ მისი პოპულაციის ზრდით. 2 მილიონი წლის წინათ, ძირითადად, ვეგეტარიანელი ავსტრალიანთაგან და პარანთროპის არაული შემოიფარგლებოდა აფრიკის რამდენიმე რეგიონით. პალეოანთროპოლოგების გამოანგარიშებით, ამ პრიმატთა მოსახლეობა არ აღემატებოდა 1 მილიონ ინდივიდს; როგორც ჩანს, 2-1.8 მილიონი წლის წინათ, უმთაურესად ხორცისმჭამელი, გამართული ადამიანი გაცდა აფრიკის ფარგლებს და ევრაზიის მეტწილ ტერიტორიაზე იწყო დასახლება. 500000 წლის წინათ ჰომოს ეს სახეობა არ აღემატებოდა 1.7 მილიონ ინდივიდს; 10000 წლის წინათ გონიერმა ადამიანმა დაიპყრო პრაქტიკულად მთელი დედამიწა. იმ დროს მისი მოსახლეობა შეადგენდა დაახ-


ლოებით 10 მილიონ სულს. მიწათმოქმედების განვითარებამ, ე.ი. საკვების მუდმივმა წყარომ დიდად შეუწყო ხელი მოსახლეობის ზრდას. ტექნიკურმა პროგრესმა კი საგრძობლად დააჩქარა ეს პროცესი. ჩვენს ერამდე 2500-500 წლის მონაკვეთში – ანატომიურად თანამედროვე ადამიანი – მოიჩინდა ამ ერთადერთი მოდემის წარმომადგენლის პოპულაცია უკვე აჭარბებდა 100 მილიონ კაცს, ძველი და ახალი წელთაღრიცხვის ზღვარზე კი – 300 მილიონს. შემდეგში, სასოფლო-სამეურნეო მცენარეებისა და ცხოველების გლობალურმა გაცვლამ, სამრეწველო რევოლუციამ, მედიცინის პროგრესმა არანახელად დააჩქარა მოსახლეობის ზრდა. 2000 წლისთვის პლანეტაზე თავი მოიყარა კაცობრიობის წარმოდგენლად ჭარბმა პოპულაციამ – 6 მილიარდი ადამიანი. ხერხეულიან ცხოველთა ერთი სახეობის ფარგლებში მსგავსი დემოგრაფიული ბუმი არ ახსოვს ისტორიას!

ადამიანი ყველაზე განსახლებადი სახეობაა ჩვენს პლანეტაზე. სახეობის დონეზე არ არსებობს სხვა, მეორე ორგანიზმი, რომელსაც გლობალური ტერიტორიის კოლონიზაციის ესოდენ მაღალი უნარი შესწევდეს. და აქ ლაპარაკია ტრანსპორტის არა თანამედროვე საშუალებებით აღჭურვილ ადამიანზე, არამედ ხმელეთზე მხოლოდ საკუთარი კიდურებით გადაადგილებად და წყლის სტიქიის მაქსიმუმში, პრიმიტიული ტივით ფორსირებად პრეისტორიულ (30000-10000) პომოზე.

ბიოლოგიურ ნიშან-თვისებათა ტრიადა – რეპროდუქციის (გამრავლების), სიერცეში განსახლებისა და გარემოსთან შეგუების მაღალი უნარი – არის საფუძველთა საფუძველი, რის წყალობითაც ადამიანი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სოციალური სახეობა გახდა.

ადამიანის, როგორც სახეობის კეთილდღეობაში გაცილებით დიდი როლი ითამაშა მისმა კულტურულმა ევოლუციამ – იარაღის დამზადების უნარმა, მიწათმოქმედებაზე გადასვლამ, დამწველობის შექმნამ, ტექნიკურმა ცივილიზაციამ... ე.ი. ყველაფერმა იმან, რაც მისი აბსტრაქტული აზროვნების მქონე ცენტრალური ნერვული სისტემისაგან გამოზინარეობს. ამიტომ რა გასაკვირია, თუ ადამიანს შეექმნა იღუწია თავისი უნიკალურობის შესახებ, რომ იგი წარმოადგენს ცოცხალ ორგანიზმთა ევოლუციის ტრიუმფით დამაგვირგვინებელ არსებას, რომ მთელი ამ მილიარდი წლების განმავლობაში ბუნებას თითქოსდა ერთი მიზანი – მისი წარმოშობა ჰქონდა დასახელი.

მსგავსი მსჯელობა ტელეოლოგიურ პრინციპზე – Causa finalis – აგებული წმინდა წყლის დეტერმინებული კრეაციონიზმია და მას არავითარი მეცნიერული მონაცემები არ უდევს საფუძველად. იღუწი ადამიანის მოდემის განსაკუთრებულობაზე, დედამიწის უთვალავ სიმდიდრეთა დასაკუთრების მის „კანონიერ“ უფლებებზე, ზოგადი სახით ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ ბერკენმა ფილოსოფოსმა ქსენოფონტემ (V-IV ს. წ.წ.აღმდეგ), ხოლო XIII საუ-



სურ. 445-446. ერთი და იგივე პლანეტა დედამიწა:

ერთი მხრივ ადამიანმა შექმნა სუპერცივილიზაცია – ლას-ვეგასი (სასტუმრო „ნიუ იორკ-ნიუ იორკ“); მეორე მხრივ, შემორჩა ახალი გეინების გეიანი ქვის ხანის ყაიდაზე აშენებული სოფელი.

კუნში, ფილოსოფოსმა თომა აქვინელმა გააფორმა სალუთო შრომის სახითაც.

„სახეობათა წარმოშობის“ (1859 წ.) და „ადამიანის წარმოშობის“ (1871 წ.) გამოქვეყნებით ჩარლზ დარვინმა პირველმა შეურყია საფუძველი დიდი ხნის განმელობაში ჩამოყალიბებულ სტერეოტიპს – ადამიანის სებუნებრივი ძალით წარმოშობის თაობაზე. მეორე მნიშვნელოვანი სიცხადე ამ პრობლემის გადაჭრაში შეიტანა პალეოანთროპოლოგიამ – მეცნიერებამ განათხარ ძელოვან მასალებზე. მათ საფუძველზე დადგენილი რიგითობა: ადამიანისმაგვარი მაიმუნები – პროტოაესტრალოპითეები – აესტრალოპითეები – უძველესი ადამიანები (არქანთროპები) – ძველი ადამიანები (პალეოანთროპები) – ახალი ადამიანები (ნეოანთროპები) – ერთი ჯაჭვის ერთმანეთში გარდამავალი ის რგოლებია, რომელიც არაორაზროვნად მიუთითებენ ცხოველური სამყაროდან ადამიანის განვითარების იმავე ბიოლოგიურ ტენდენციებზე, რაც დამახასიათებელი იყო პლანეტის ნებისმიერი ორგანიზმისათვის (სახეობისათვის). მითი ადამიანის განუმეორებლობაზე, არაბუნებრივ წარმოშობაზე უარყოფილ იქნა მეცნიერების ნებისმიერი დარგის მონაცემებით, რომელიც ჩვენს სახეობას ეხება: ბაქტერიისა და ადამიანის, მათ შორის წარმოდგენილი ცოცხალ ორგანიზმთა უზარმაზარი რიგის არსებობა დაფუძნებულია ნივთიერებათა ცვლისა და მემკვიდრეობითობის ერთსა და იმავე კანონზომიერებებზე, შედგება ერთი და იმავე ქიმიური და ორგანული ნივთიერებებისაგან, ხოლო ადამიანის უახლოესი ნათესაობა სხვა, უმაღლეს პრიმატებთან, გარდა პალეონტოლოგიური მასალებისა, დამტკიცდა ამ უკანასკნელთა თანამედროვე ად-

მიანის მსგავსი ქცევებით – ბუნებაში, ერთნაირი ცილებითა და ნუკლეინის მუცვებით – სინჯარაში.

არის კი განუმეორებელი ანატომიურად თანამედროვე ადამიანი – Homo sapiens sapiens-ი? ამ რთულ კითხვას შეიძლება გაეცეს დიამეტრულად განსხვავებული პასუხი: ჰოც (დიახ) და არაც!

განუმეორებელია თავისი მოაზროვნე ტვინით, ჩვეულებრივია თავისი წარმოშობის იმავე ევოლუციური, ეკოლოგიური, ბიოგეოგრაფიული კანონზომიერებებით, რომელიც დედამიწაზე ცოცხალ ორგანიზმთა თითოეულმა სახეობამ გაიარა. „განუმეორებლები“ იყვნენ დინოზაურებიც, მათ ჩვენს პლანეტაზე 130 მილიონი წელი (!) იბატონეს, მაგრამ 65 მილიონი წლის წინანდელი დროისათვის ერთიმეორის მიყოლებით გადაშენდნენ;

ადამიანი, როგორც Homo-ს გვარის თანამედროვე ქვესახეობა, წარმოშობის თვალსაზრისით, ძალიან ახალგაზრდაა (იხ. ცხრილი 1, გვ. 33). უწერია კი მას დინოზაურთა დღევრძელობა?

ნამარხი მასალების მიხედვით, ცხოველთა უმრავლესი სახეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 3 მილიონ წელს არ აღემატება. ადამიანმა – Homo-ს თანამედროვე ქვესახეობამ – ახლახან (დაახლოებით 100000 წელი) დაიწყო ევოლუცია. გონიერების მიუხედავად, მას დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რათა ცხოველთა სახეობების დიდი ნაწილისათვის დამახასიათებელი დღევრძელობის თუნდაც ნახევარს მიღწიოს. არაიენ იცის აეთეისებიანი სიმსიენის, შიდისისა და სხვა, მხოლოდ ადამიანზე სპეციალიზებული კიდევ უფრო მასშტაბურად გამანადგურებელი რომელიღაც მიკრობი რამდენად ფატალური აღმოჩნდება კაცობრიობისათვის. არსებობს პირობა, რომლის თანახმადაც

უკანასკნელი, ოთხჯერადი გამყინვარების ეპოქებში „ბაიუნული“ და ასე „დაკონსერვებულ“ მიკრობები დათბობის ეპოქებში აქტიურდებოდნენ, მასობრივად აინფიცირებდნენ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს მსხვილ მუქმწიფოვრებს და მათ მასობრივ ამოწყვეტას იწყებდნენ.

თავი რომ დაეანებოთ ათასგვარ საფრთხეს – მიწიერსა და კოსმურს, ვინ იცის, 1-2 მილიონი წლის შემდეგ გამოჩნდეს სახეობა, რომელსაც მუტაციის შედეგად გაუმართლებს და რაღაც ისეთი „მეექვსე გრძობა“ განუვითარდება, რაც ჩვენი მოასრონე ტენის ალტერნატიული ან თვისებრივად კიდევ უფრო სრულყოფილი იქნება? არაფერ უწყის, ენაიდან ვსვც ისეთივე ალბათობაა, როგორც იყო პომინილის სასიარულოდ ორ ფეხსე შედგომა, წინა კიდურების იარაღის დასაკავებელ ორგანოდ გადაქცევა და მათთან კორელაციაში – აბსტრაქციების უნარის მქონე ტენის განვითარება.

სხვადასხვა ხმელეთებთან, განსხვავებულ კლიმატურ სონებთან ათასობით წლების განმავლობაში შეგუებამ ადამიანში ღრმა ადაპტური ხასიათის ცვლილებები გამოიწვია. იგი ეხება კანის ფერს, სხეულის ფორმას, სიმაღლეს და ბევრ სხვა გარეგან (ფენოტიპურ) ნიშანს. ამგვარად, ბუნებრივი გადარჩევის გზით, ადამიანმა დაიმუქვიერა დიდი გენეტიკური მრავალფეროვნება – პოლიმორფიზმი. ამჟამად არჩევენ ანატომიურად თანამედროვე ადამიანის 3 ან 4 მსხვილ რასას, თითოეულში გამოყოფენ ათობით ქვერასებსა და ასობით პოპულაციებს. ყველა მათგანი შეჯვარებადია და ნაყოფიერ შთამომავლობას იძლევა.

კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარებამ ხელი შეუწყო სხვადასხვა რასების ფიზიკურ დაახლოებას. ამჟამად დედამიწის მოსახლეობის არცერთი მეტ-ნაკლებად მსხვილი დაჯგუფება აღარ ცხოვრობს ერთმანეთისაგან სრული იზოლაციის პირობებში. აღნიშნული იწყებს ადამიანის ცალკეულ რასებს შორის პანმიქსიას – საყოველთაო შეწყველებას. ამიტომ არკაული ჰომოს დაწყვეტილ, პლეისტოცენურ პოპულაციებში განვითარებული სახეობათწარმოშობის ინტენსიური პროცესისაგან განსხვავებით, დღეისათვის პრაქტიკულად გამორიცხებულია ჰომოს კიდევ ერთი ახალი სახეობის წარმოშობის პერსპექტივა.

დღეს ჰომოს გვარის სახეობად შემდგომი დაყოფის უპერსპექტივობა შემდგომი მდგომარეობს: ნეოლითიდან დაწყებული გამოიკვეთა თვისებრივად სრულიად განსხვავებული ტენდენცია – პომინიდეების ევოლუცია სულ უფრო ნაკლებად ხდება გარემო პირობებზე დამოკიდებული. მიზეზი – ადამიანთა სასოვადობების განვითარების ახლდებული გზაა, რის საფუძველზედაც შეიქმნა ჰომოს საპიენის ახალი, „ხელოვნური“ საარსებო გარემო. ტექნიკურმა რევოლუციამ და კულტურამ, უმრავლეს შემთხვევაში, პრაქტიკულად ნულის დონეზე დაიყვანა ადამიანის გარემოსთან ფიზიკური შეგუების აუცილებლობა. აგერ უკვე რამდენი ათასი

წელია, რაც ცივილიზაციის „ჯაქმით“ აღპურვილი ბიოსოციალური არსება – ადამიანი ვითარდებოდა ვარემოს ზემოქმედების პრესისაგან. ე.ი. იმ ძალებისაგან, რაც სიცოცხლის მთელი ისტორიის განმავლობაში ნებისმიერი ორგანიზმის სახეცვლილებების, ევოლუციის წარმართველი იყო. ამგვარად შეიქმნა სრულიად უნიკალური, მანამდე გაუგონარი, პარადოქსული სიტუაცია – ადამიანი, ცოცხალი ორგანიზმი, ბუნების ნაწილი – ფაქტობრივად აღმოჩნდა სიცოცხლის ყოველსომბედელი ევოლუციის პროცესის მიღმა.

დაახლოებით 6000 წლიდან, რაც ჩვენი მოდგმა ქვის ეპოქიდან მეტალის ეპოქაზე გადავიდა, დაწერდა არსებობის მისეული სასოვადობებიც ვესი, შეიქმნა ყოფიერების ახალი, „ხელოვნური“ გარემო და ა.შ., პომინიდეისათვის პროცესში ახალმა ტენდენციებმა იჩინეს თავი: გაიზარდა ბაქტერიის ხანა, გაჭიანურდა სქესობრივი მომწიფების დრო, იმატა სიცოცხლის ხანგრძლივობამ... რაც უფრო ვითარდება ცივილიზაცია, მით უფრო მცირდება ადამიანზე ბუნებრივი გადარჩევის ზემოქმედება, ე.ი. ფიზიკურად აღარ ევოლუციონირებს იგი, მაგრამ თავს იჩენს წმინდა „საპიენსური“, „ეპოქალური ძერები“: სიმაღლეში ზრდა, შესაძლებელი მოძრაობისაგან გამოწვეული ანატომიური და ფიზიოლოგიური ცვლილებები, მამაკაცებში ფეინიზაციის ტენდენციები და სხვა. სწავლის პერიოდის გაზრდამ და შესაბამისად, ცოდნის სხვადასხვა სფეროში ღრმა სპეციალიზაციამ აშკარა სელექციური უპირატესობის ფორმა მიიღო. ცნობილია, 22 წლის აღდექანდრე მაკედონელმა გლობალური მნიშვნელობის სამხედრო კამპანია მოიგო, გადაკვეთა აზია და იმ დროისათვის ცნობილი მსოფლიოს დიდი ნაწილი დაიპყრო. მავანი იტყვის, მაკედონელს დიდი უპირატესობა ჰქონდა – 3 წელი აონტოტელეს ზედამხედველობით ეწაფებოდა ცოდნას – დიდი ვერაფერი შენიშნა! მაგრამ ერთი მაინც ფაქტია – თანამედროვე ახალგაზრდა ამ ასაკში, ჩვეულებრივ, კოლეჯს ან უნივერსიტეტს თუ ამთავრებს...

კაცობრიობაზე ევოლუციის პროცესის აშკარა შესუსტება უმწვევეს პრობლემად გადაიქცა არა მხოლოდ ადამიანისათვის, არამედ დედამიწის მთელი დანარჩენი ბუნებისათვის – ცოცხალისა თუ არაცოცხალისათვის. საქმე ის არის, რომ გარემოსაგან მოწყვეტილი ადამიანი ცხოვრობს სულ სხვა წესითა და ფსიქოლოგიით, ხოლო დანარჩენი ბუნება – იმთავითვე დაწერილი კანონებით. სწორედ ასეთ ვითარებაში წარმოიქმნა და ღრმად გაიდგა ფესვები ზემოთ ხსენებულმა ანთროპოცენტრიზმმა.

ეგოისტური მსოფლმხედველობით აღჭურვილი ადამიანი თავისი კეთილდღეობისათვის გულგროვლად აყენებს ჭრილობებს დედაბუნებას. შედეგიც სახეზეა: გაუდაბნობელი ტყიანი მასივები, მოწამლული მდინარეები და ტბები, მცენარეთა და ცხოველთა ამოწყვეტილი სახეობები. ადამიანის მიერ დათესილმა ბოროტების მარცვალმა განსა-

კუთრებით იჩინა თავი XX საუკუნეში. ბუნებისადმი მიყენებული ზიანი ხშირად განკურნებას აღარ ემორჩილება. მაგრამ იმავე საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო საზოგადოების ჯანსაღმა ნაწილმა დაიბრუნა მიწაგათავისებულ წინაპართა სიბრძნე, განმტკიცებული მეცნიერული ცოდნით, რომ ბიოსფეროში – ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება – ერთმანეთისათვის სარგებლობის მომტანი ერთი ძაფით არის ნაგვირისტეკი, ადამიანის ძალისხმევით მისი ნებისმიერ ადგილზე გაწვევბა არღვევს ბუნების ამ დიდ მთლიანობასა და პარმონიას, ქაოსსა და უწესრიგობას ამკვიდრებს პლანეტაზე. თუ გვსურს შევიღოთ შევიღებოთ დარჩენი ნაყოფიერი და აყვავებული მთა-ბარი, ჩვენი ძალისხმევა უნდა მიემართოს არა მხოლოდ საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, არამედ მთელი დედამიწის, მისი ორგანული სამყაროს საკეთილდღეოდ, მის შესანარჩუნებლად.

მსგავსი შეხედულება სწევრივ სფეროს წარმოადგენს, ეს უკანასკნელი კი ადამიანის კულტურის უდიდესი მონაპოვარია – მხოლოდ ზნეობრიობის კანონებით ცხოვრება გადაარჩენს ადამიანსა და მისი ტოტალური ძალაუფლების ქვეშ მოქცეულ დედამიწის ბუნებასაც.

„ადამიანის ვალია ამაღლდეს ბიოლოგიურ ინსტიქტებზე, დაიცვას ნებისმიერი სულდგმული“ – XX საუკუნის დასაწყისში ეს აზრი გამოთქვა და ფილოსოფიურად განაზოგადა დიდმა გერმანელმა პუმანისტმა და ექიმმა ალბერტ შვეიცერმა. 1913 წელს, თავისი კარიერის აღმავლობის გზაზე მდგომმა, 38 წლის შვეიცერმა, უარი თქვა კლინიკაში მუშაობაზე და გერმანიიდან ეკვატორულ აფრიკაში (გაბონი) გაემგურა. იქ დაარსა სააუადყოფო

და დარჩენილი ხანგრძლივი სიცოცხლე (52 წელი) აბორიგენტთა განკურნებას მოანდომა. ასევე მთელი ძალისხმევით ქომაგობდა ნებისმიერ ხელმისაწვდომ გარეულ თუ შინაურ ცხოველსაც. შვეიცერს – უნივერსალური ეთიკის დამფუძნებელს – 1952 წელს ნობელის პრემია მიენიჭა.



სურ. 447. ჯეინ გუდოლი და შიმპანზე გომბუ-სტრიმის ეროვნულ პარკში (ტანზანია).

რა ადგილი უკავია ადამიანს დედამიწაზე? როგორია მისი მოვალეობა და უფლებები სხვა ადამიანების მიმართ? როგორ უნდა ექცეოდეს ყველა ცოცხალს? თუ კი მას სურს თავისი მოდგმის სიკეთე, თავისი საერთო სახლის – დედამიწის – კეთილდღეობა, ვალდებულია XXI საუკუნეში ჰუმანიზმით, ალტრუიზმითა და ბიოეთიკის პრინციპებით იხელმძღვანელოს!

პოლოთხა

კოსმოსურ სამყაროში პლანეტა დედამიწაზე არსებული სიცოცხლე ერთადერთი და განუყოფელია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვარსკვლავების სხვა სისტემებში სიცოცხლე არ არსებობს. პირიქით, იმ კანონზომიერებებიდან გამომდინარე, რის გამოც სიცოცხლე, აბიოგენური გზით (არაცოცხალი ბუნებიდან), დაახლოებით 4 მილიარდი წლის წინათ ჩვენს პლანეტაზე ჩაისახა (ამჟამად ყველაზე მიღებული მეცნიერული კონცეფცია), კოსმოსურ სამყაროში უამრავი სიცოცხლე უნდა არსებობდეს.

რა ფაქტორებმა განაპირობეს დედამიწაზე სიცოცხლის ჩასახვა-განვითარება?

1. პლანეტის მზისგან დაშორების მანძილმა (150 მლნ კმ), რაც ტემპერატურული თვალსაზრისით, ოპტიმალურ პირობებს ქმნის სიცოცხლის ფორმირებისათვის;

2. დედამიწის სათანადო მასამ, რის შედეგადაც მას ხელეწიფება ატმოსფეროს მიზიდვა-შენარჩუნება (განსხვავებით მერკურის ზომის პლანეტებისაგან);

3. დედამიწის ბრუნვამ საკუთარი ღერძის გარშემო, რასაც იგი 24 საათს უნდობა. დედამიწის ნახევარსფეროები, მზის გარშემო თავის ორბიტაზე ბრუნვისას, 12 საათი განათებულია, 12 საათი – დაბნელებული, პლანეტაზე მზის თბური ენერჯის მსგავსი განაწილება არ იწვევს მისი რომელიმე მხარის ზედმეტ გადახურვებს ან გადაცივებას.

4. მეოთხე ფაქტორი – დედამიწაზე წყლის თხევად მდგომარეობაში ყოფნა – გამომდინარეობს წინა სამი ფაქტორიდან, „წყალი კი სიცოცხლის ეპიფენომენია“ (ჯ. ბერნალი). მსოფლიო ჰიდროსფეროში მიმდინარე ქიმიური და ბიოქიმიური პროცესების შედეგად, 4-3.5 მილიარდი წლის წინანდელ ინტერვალში, დედამიწაზე შესაძლებელი გახდა სიცოცხლის ჩასახვა. სიცოცხლემ გაიარა განვითარების წინაუჯრედისა (კოაცენაცია, მონომერიზაცია-პოლიმერიზაციის გზით რთული მოლეკულების ფორმირება) და უჯრედის წარმოქმნის სტადიები, უჯრედის დონეზე კი – ჯერ უბირთეობიდან ბირთვიანების წარმოშობის, შემდეგ – ერთუჯრედიანებიდან მრავალუჯრედიანების წარმოშობა-ფორმირების და ა.შ. გზები.

სიცოცხლის წარმოშობის წინაუჯრედული ისტორია პალეონტოლოგიური მასალებით არ დასტურდება. აღნიშნულს თავისი ობიექტური მიზეზი აქვს: ახალგაზრდა დედამიწაზე, ინტენსიური ეულკანური პროცესების გამო, პლანეტის პირუანდელმა ქანებმა ძირეული სახეცვლილება – მეტამორფოზი („გადაადლება“) განიცადეს. ცხადია, 3.5 მილიარდი

წლის წინანდელ ქანებში სიცოცხლის არავითარი ნიშანი არ შემორჩებოდა. ამიტომ, სიცოცხლის წარმოშობის საწყის ეტაპზე მეცნიერები მსჯელობენ მხოლოდ სათანადო ცდებისა (in vitro) და მათ საფუძველზე მიღებული შედეგების ექსტრაპოლაციის მიხედვით (იხ. ოპარინისა და პოლდენის სათანადო თეორიები). ამ თეორიის საფუძველზე მიღებისა და სხვა ბიოქიმიკოსთა ცდებით მიღებულ შედეგებზე არსებული შრომები).

დედამიწის პირუანდელი ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს იმიტაციით, იმდროინდელი ენერჯის წყაროების გათვალისწინებით, ლაბორატორიულ პირობებში მიიღეს ცილებისა და ნუკლეინის მჟავების – სიცოცხლის ამ სტრატეგიული მოლეკულების მონომერები – ამინომჟავები და ნუკლეოტიდები. ამ წარმატებული ექსპერიმენტით მეცნიერებმა დაასაბუთეს დედამიწაზე სიცოცხლის ავტოქტონური (ადგილობრივი) და აბიოგენური გზით (არაცოცხალიდან) წარმოშობის შესაძლებლობა.

დედამიწის ქერქში 3.5 მილიარდი წლის წინანდელი, არამეტამორფოზირებული (სახე შეუცვლელი) რამდენიმე უბანი (ფარი) შემორჩა. მათში მოიპოვეს როგორც მიკრო, ისე მაკრონამარხი (ყუთილური) მასალები. პირველი პროკარიოტული (უბირთვი) ორგანიზმი – ბაქტერია (Eobacterium isolatum) – აღმოაჩინეს სამხრეთ აფრიკაში (ადგილი Fig Tree), პირველი ეუკარიოტული (ბირთვიანი) ერთუჯრედიანი ორგანიზმი – სამხრეთ ავსტრალიაში (ადგილი Bitter Spring), პირველი მრავალუჯრედიანი, უხერხემლო ცხოველების ანაბეჭდები – სამხრეთ ავსტრალიაში (ე.წ. ედიაკარის ფაუნა).

ამ და მსგავსი მასალების მიხედვით, დედამიწაზე სიცოცხლის ეტაპობრივი განვითარება ასე უნდა მომხდარიყო: 4-3.5 მილიარდი წლის ინტერვალში ადგილი ჰქონდა: ქიმიურსა და ბიოქიმიურ ევოლუციას; 3.5-2 მილიარდი წლის ინტერვალში – მსოფლიო ჰიდროსფეროში ერთუჯრედიან უბირთვი პეტროტროფთა (მზა ორგანული ნივთიერების მომხმარებლები) და ავტოტროფთა (არაორგანული ნივთიერებებიდან რთული ორგანული ნივთიერებების თვითდამზადებლები) განვითარებას; 2-1.5 მილიარდი წლის ინტერვალში განხორციელდა სიცოცხლის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ევოლუციური ნახტომი – ანაგენეზი – უჯრედში მემკვიდრული ინფორმაციის მატარებელი ნივთიერებების ბირთვში კონცენტრირება (ბირთვიანი უჯრედების ფორმირება); ამჟამად არსებული 4 თეორიის თანახმად, დაახლოებით 1 მილიარდი წლის წინათ მოხდა ერთუჯრედიანთა (Protobionta)

მრავალუჯრედიანებად (Metabionta) ინტეგრირება.

მეორე მხრივ, სიცოცხლის ევოლუცია დამოკიდებული აღმოჩნდა დედამიწაზე ბიოგენური გზით უანგბადის კონცენტრაციის მატებასთან. ამ აირის საწყისი რაოდენობა პირვანდელი დედამიწის ატმოსფეროში 0.001% შეადგენდა (ე.წ. იურის წერტილი). ავტოტროფული ერთუჯრედიანების წარმოშობის შემდეგ (დაახლოებით 3.5-3 მლრდ. წ. წინათ), უანგბადის რაოდენობა ჯერ 0.1%-მდე გაიზარდა (ე.წ. პასტერის წერტილი), ხოლო დაახლოებით 1 მილიარდი წლის წინათ მან 1% მიაღწია. ამ დროისათვის ჰიდროსფეროში პრიმიტიულ ცოცხალ ორგანიზმთა აბსოლუტური უმრავლესობა ოქსიფობებიდან, ანუ ანაერობებიდან („უანგბად-მოქალაქეები“), ადაპტაციის გზით, ჩამოყალიბდნენ ჯერ ფაკულტატურ (დაახლოებით ნახევარდამოკიდებულ) ოქსიფობებად (ანუ აერობებად), შემდეგ კი ობლიგატურ ოქსიფილებად („უანგბადის მოყვარულებად“).

უანგბადის კონცენტრაციის 1%-მდე ზრდამ (ამჟამად მისი რაოდენობა 21%-ია), უდიდესი რევოლუციური ძვრები გამოიწვია პლანეტის როგორც უსიცოცხლო ბუნებაში, ისე ორგანულ სამყაროში. რაც მთავარია, ატმოსფეროს ზედა ფენებში წარმოიქმნა ოზონის ფენა (ოზონოსფერო), რასაც სოფ-ჯერ „ოზონის ეკრანს“ უწოდებენ. ამ თავისებურმა „ქოლგამ“ შესწლდა მზის ჭარბი ცოცხალი ორგანიზმებისათვის მანვე ულტრაიისფერი სხივების დედამიწის ზედაპირზე შეღწევა. სიცოცხლე გათავისუფლდა ერთგვარი ბორკილებისაგან. ოზონის ფენამდე, ცოცხალი ორგანიზმები იძულებული იყვნენ თავი დაეცვათ წყალსატევების 8-10 მეტრის სიღრმის შრით (წყლის ასეთ სიღრმეში მზის მანვე სხივები ვერ აღწევდნენ). დაახლოებით 1 მილიარდი წლის წინათ შესაძლებელი გახდა მთელი რიგი ბენტოსური (ფსაკერული) და ნექტონური (წყლის სიღრმეში მოცურავე, მოტივტივე) ორგანიზმების წყლის ზედაპირზე ამოსვლა, მიგრაცია...

პალეოზოური ერის სიღრულე პერიოდში, დაახლოებით 450 მილიონი წლის წინათ, ცოცხალ ორგანიზმთა ისტორიაში დაიწყო თვისებრივად სრულიად ახლებური ეპოქა – ცოცხალ ორგანიზმთა მიერ დედამიწის გეოგრაფიული გარსის რიგით მეორე (ჰიდროსფეროს შემდეგ) – ხმელეთის (ლითოსფერო) კოლონიზაცია. რამდენადმე ადრე, ოკეანისა და შიგა წყალსატევების ლიტოლოგურსათუ სანაპირო ზონებში დასახლდნენ მიკროორგანიზმები, მაგრამ სიღრულეში, დღევანდელისაგან სრულიად განსხვავებული კონტინენტების სანაპირო ზოლში, დამკვიდრდნენ პირველი მცენარეები. წყალმცენარეების ხმელეთის მცენარეებად ფორმირება თავიანთი ფესვებით, დეროთი და ფოთლებით – უდიდესი რეპოლუციურ-ევოლუციური (მორიგი ანატიგენუზი) ეტაპი გახდა სიცოცხლის განვითარების ისტორიაში.

როდესაც ჰიდროსფეროს სანაპირო ზოლში ავტოტროფების, ამ შემთხვევაში მცენარეების სახით იქმნება საკვები ბაზა, შესაძლებელი ხდება ხმე-

ლეთის პეტეროტროფებით (კერძოდ, ცხოველებით) ათვისება. ხმელეთზე გავიდნენ პირველი ცხოველები, ჯერ უხერხემლოები (მორიელები, მრავალფეხები, ტიპები, ობები...), შემდეგ ხერხემლიანები – თევზები (დეეონური პერიოდი – დაახლოებით 400 მლნ წ. წინათ). დეეონში, ხმელეთზე გასული ორგანოდ მსუნთქავი, მტვეანფარფლიანი თევზებისაგან, ადაპტაციის გზით, მათი ერთი ჯგუფი ამფიბიებად ჩამოყალიბდა (იქთიოსტეგები, სტეგოცეფალები).

დეეონურ პერიოდში პრიმიტიული ხემცენარეები სულ უფრო ღრმად იჭრებიან ხმელეთის სიღრმეში (თავდაპირველად ეს ხდებოდა მდინარეთა ჭალებისა და ჭაობების – ინტრაზონალური ბოტოპების გზით).

ქვანახშირის (კარბონული) პერიოდი (345-280 მლნ წ. წინათ) ძალიან მნიშვნელოვანია სიცოცხლის განვითარების ისტორიაში. ხემცენარეებმა შეძლეს თითქმის მთელი ხმელეთის კოლონიზაცია. წარმოიშვა პირველი ბიომი, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ ტყე (ე.წ. კლიმაქსური, „მწიფე“ ტყეები). დედამიწაზე ამ დროისათვის იქმნება ტყის ჭეშმარიტი ეკოსისტემა თავისი პროდუცენტებით (ორგანულ ნივთიერებათა – ნახშირწყლები – დამამზადებელი მცენარეები), კონსუმენტებით (მზა საკვების მომხმარებლები – ცხოველები) და რედუცენტებით (მკედარი ორგანიზმების გვამთა, ნარჩენთა მარტივ მინერალურ ნივთიერებად დამშლელი მიკროორგანიზმები).

ქვანახშირის პერიოდში მცენარეთა სამეფოდან ცნობილი იყვნენ: სისნაირი შეიტები, გვიმრები, ლიკოპოდიუმები, ხოლო შიშველთესლოვნებიდან – ახლად ფორმირებული წიწვოვნები; ცხოველთა სამყაროდან აღსანიშნავია დეეონში წარმოშობილი უფრო მწერებიდან დედამიწის პირველი ავიატორების – ფრთიანი მწერების წარმოშობა. ტყის ფორმირებამ განაპირობა ისეთი მნიშვნელოვანი გეობიონტების ევოლუცია, როგორებიც ოლიგოქეტები – ნიადაგის ჭიკაყალებია. ხერხემლიანებიდან ამფიბიებს გამოყენენ და დაიწყო ქვეწარმელების (რეპტილიები) ფართო ადაპტური ევოლუცია.

მეზოზოურ ერაში (225-136 მლნ წწ. წინათ) დედამიწამ განიცადა უმნიშვნელოვანესი პალეოგეოგრაფიული ცვლილებები: კუნძულებრივი კონტინენტები ჯერ გაერთიანდნენ ერთიან სახმელეთო ბლოკად – პანგეად, შემდეგ იგი გაიყო ორ ზემატურიკად – ლაგრაზიად (ჩრდილოეთით) და გონდვანად (სამხრეთით), შუაში ხმელთაშუა ოკეანით – ტეთისით. მეზოზოურ ერაშივე მოხდა მცენარეებისა და ცხოველების ყველა დიდი სისტემატიკური ჯგუფების ფორმირება: ყუავილოვანი მცენარეების წარმოშობა, ქვეწარმელებიდან ჯერ ძუძუმწოვრების (კვერცხისმდებლები, მოკვიანები, დამოუკიდებლად, ჩანთოსნებისა და პლაცენტიანების ფორმირება), შემდეგ ში – ფრინველების გამოყოფა. მეზოზოური ერის დასაწყისში (დაახლოებით 200 მლნ წ. წინათ) ევოლუცია დაიწყო

დინოზავრებმა, მის დასასრულს (65 მლნ წ. წინათ) კი ეს ქვეწარმელები ამოწყნდნენ.

კაინოზოურ ერაში (65 მლნ წ. წინათ, ვიდრე დღემდე) დედამიწა როგორც გეოგრაფიულად, ისე მისი ცოცხალი სამყაროთი სულ უფრო ვმსგავსება თანამედროვე პლანეტას. სრული ბატონობა მთლიანად მოიკლავს ცხოველებში თბილისისხლიანებმა (ჰომოიოთერმულები) და, უწინარესად, პლაცენტინამა ტუქუმფორებმა, მცენარეებში – ფარულთესლოვნებმა (ყვავილოვნები). პლიოცენში (7-2.5 მლნ წ. წინათ) პავის გლობალურმა გამშრალებამ გამოიწვია სტეპის ტიპის ბიომების ფორმირება ბალახოვან მცენარეთა გაბატონებით, რასაც, კოეოლოუციურად, მოჰყვა ჩლიქოსან ბალახისმჭამელთა ფართო ადაპტური რადიაცია – ტაქსონოფარმოზობა.

როგორც ითქვა, შუა პლიოცენში, 5-4 მილიონი წლის წინათ, ევოლუციის ასპარეზზე გამოდის ორფეხა (ბიპედური) არსება. 2 მილიონი წლის წინათ, ავსტრალოპითეკებს ეყოფა ჰომოს გვარი. თანამედროვე პალეანთროპოლოგიური მონაცემებით, ამ გვარში აერთიანებენ არა 3, არამედ 7-8 სახეობას. მათ შორის ერთი, ჰომო საბინენსი, გონიერების წყალობით ყველაზე კონკრეტულად განიხილება აღმოჩნდა. ტრიბა Hominini-დან (5 მლნ წ. განმავლობაში აერთიანებდა 20-მდე სახეობას), დღეისათვის გადარჩა მხოლოდ ადამიანი. მან არ გაიზიარა წარსულში, სავარაუდოდ, 2 მილიარდი (!) ამოწყვეტილი სახეობის ბედი. აბსტრაქტული აზროვნების წყალობით, უაღბურბატონად გაბატონებული სახეობა გახდა, თანაც ერთი ხერხემლიანი ცხოველური წარმოშობის სახეობისათვის წარმოდგენელი დემოგრაფიული მანქანებით – 6 მილიარდი ინდივიდისაგან შემდგარი პოპულაციით! უფრო მეტიც, ადამიანმა შექმნა ხელოვნური „ოიკოსი“ (ეკოლოგია), ანუ გარემო – ბინა, თავშესაფარი. დაიწყო პლანეტის ურბანიზაცია, მისთვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულე ბითა და მეგაპოლისებით, ტექნიკური ცივილიზაციის მრავალგვარი გამოვლინებებით... ასეთი გზით მნიშვნელოვნად უცვალა სახე პლანეტა დედამიწას, ძირეული, ხშირად არასახარბიელო კორექტივები შეიტანა დედამიწის გეოგრაფიული გარსის სამივე სფეროში!..

შესაბამისად, საბუნებისმეტყველო ლიტერატურაში დამკვიდრდა (XX ს-ის პირველი ნახევარი) ახალი, „ნოოსფერო“-ს ცნება. ეს არის გონების სფერო – ბიოსფეროს ახალი მდგომარეობა, სადაც ადამიანის გონიერი მოქმედება ხდება მისი განუთარების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი.

... არის სიცოცხლე სხვა პლანეტაზე – არა ჩვენი მზის სისტემაში? ზემოთ მოყვანილი კანონზომიერებებით, რასაკვირველია, უნდა იყოს, მაგრამ ძალიან ძნელი სათქმელია, თუ როგორია იქაური სიცოცხლე (სიცოცხლეები). საქმე ის არის, რომ ჩვენთვის, ჯერჯერობით, ისიც კი უცნობია, თუ რა ქიმიური ნივთიერებები შეიძლება იყოს ყოფილიყო ჩართული სხვა პლანეტათა პიდროსფეროების ქი-

მიურ ევოლუციაში (ევოლუციის საწყის ეტაპებზე, დედამიწაზე მთავარი, პირველი რიგის ქიმიურ ნივთიერებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა: C, O₂, H, N). იქნებ, სხვაგან, სიცოცხლის არსებობის შემთხვევაში, პირველი რიგის ქიმიურ ნივთიერებად გამოიყენებულ იქნა არა ნახშირბადი და ა.შ., არამედ სულ სხვა ნივთიერები. ასეთ შემთხვევაში, სხვა პლანეტებზე, ბიოქიმიური ევოლუცია სულ სხვა გზით წარმართებოდა.

მაშასადამე, ჩვენთვის უცნობია სხვა პლანეტებზე სავარაუდო ცოცხალ ორგანიზმთა უჯრედის წარმოქმნილი თვით ქიმიური ნივთიერებები, მოლეკულები, გასარკვევია, დედამიწის მსგავსად, გამოყენებული იყო (არის) თუ არა ნივთიერებათა ცვლის და გამრავლებისათვის ცილები და ნუკლეინის მჟავები. იუოყიან თუ არა კოსმოსური სამყაროს სხვა პლანეტებზე ორგანიზმები ავტოტროფებად (ორგანიკის შემქმნელებად) და პეტროტროფებად (მზა ორგანიკის მომხმარებლებად)? მიაღწია თუ არა სადმე ცოცხალმა ორგანიზმმა აბსტრაქტული აზროვნების დონეს? როგორ გამოიყურება მსგავსი ორგანიზმი? დედამიწაზე ხომ სიცოცხლის ისტორიის 4 მილიარდი წლის განმავლობაში მსგავსი აქტი, გეოლოგიური ქრონოლოგიით, სულ ახლახანს (2 მლნ წ.) განხორციელდა!..

სიცოცხლე, მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და სირთულით, მისი გეირგებით – აზროვნების უნარით დაჯილდოებული ადამიანით – ჯერჯერობით (და, ალბათ, ასე იქნება ძალიან დიდი ხნის განმავლობაში) მხოლოდ დედამიწაზეა ცნობილი! ამერიკელთა მიერ 2004 წელს მარსზე გაშვებული კოსმოსური აპარატის მოკვლევებმა სიცოცხლის ვერაერთარი კვალი ვერ აღმოაჩინა.

* * *

სამყაროში განხორციელებული ნებისმიერი ევოლუცია (არაცოცხალი, ცოცხალი მატერიები), თავისი შედეგებით თვითორგანიზებულ პროცესთა შედეგია. კანტ-ლაპლასის ნებულარული თეორიის თანახმად (XVIII ს.), მრავალი მილიარდი წლის წინათ, მატერია და ენერჯია თავიანთი მოცულობის მინიმუმამდე იყვნენ „დაპრესილები“. მოხდა კოსმოსური მასშტაბის აფეთქება, რის შედეგად წარმოიქმნა ქაოსური მდგომარეობაში მყოფი „კოსმოსური მტვერი“. ეს უკანასკნელი მოექცა გრავიტაციული ბრუნვის ორბიტაში, კონდენსირდა (გადაიქცა ნებულად – „ღრუბლად“) და კონცენტრირებული სფეროს სახე მიიღო. იმისდა მიხედვით, თუ მსგავს სფეროებში რა დონის ტემპერატურა იყრის თავს, ახალი კოსმოსური სხეული აინთება და მზის (ვარსკელავის) ფორმას ღებულობს ან ჩაქრება და პლანეტის ცივ მასად ჩამოყალიბდება. და ასე უსასრულოდ... დაბოლოს, წარმოიქმნება მზე და მისი სისტემა, სხვა მზეები (ვარსკელავები) და სისტემები, მათი ერთობლიობა – გალაქტიკები, მეგაგალაქტიკები... ერთი სიტყვით, „ქაოსიდან იქმნება წესრიგი“.

მაგრამ რამ წარმოქმნა თვით პირველადი მატერია, რომელმაც დასაბამი მისცა სამყაროს, მის ცალკეულ კომპონენტებს (პლანეტა, მზე, გალაქტიკა...)? ამ კითხვას ბევრი, თვით სწავლული მიჰყავს ტრანსცენდენტის – ღმერთის – აღიარებაში. ე.ი. კრეაციონისტულ შეხედულებაში.

აღნიშნულ გასაუკულო კვლევის ექპტორი ყოველთვის ახლად წარმოქმნილი, ამა თუ იმ სისტემის გართულებების მიმართული. არაორგანულ სამყაროში ატომებისაგან წარმოიქმნება ქიმიური ნივთიერებები (ელემენტები, მინერალები), მათგან არაცოცხალი ბუნების მაკროსხეულები, თვით ციური სხეულებისა და მათი სისტემების ჩათვლით; ორგანულ სამყაროში ცოცხალ ორგანიზმთა წარმოშობის საწყისი გასაარგანული იდენტურობა: იგივე ატომები და ქიმიური ნივთიერებები; მაგრამ, მათ საფუძველზე, თხევადი წყლის გარემოში იწყება ქიმიური ევოლუცია, რომლის პროდუქტია გაცილებით რთული სხეულები – ორგანული მოლეკულები – მონომერები (ამინომჟავები, ნუკლეოტიდები...), პოლიმერები (ცილები, ნუკლეინის მჟავები...); ამ უკანასკნელთა საფუძველზე იქმნება ბიოლოგიური ევოლუციის შეუდარებლად რთული სისტემები შემდეგი წყობით: უჯრედები – მრავალუჯრედიანი ორგანიზმები – თანასაზოგადოებები – ბიოცენოზები (ეკოსისტემები). მაგალითად, ზემოთ ხსენებული ტყე ხმელეთის ერთი ყველაზე რთული ეკოსისტემა.

გარდა თვითორგანიზაციისა, ახალფორმირებულ, ამა თუ იმ სისტემის ცალკეულ კომპონენტებს შორის მყარდება წონასწორობა, წარმოიქმნება პომეოსტაზისის მექანიზმი. როგორც კი ქვანახშირის პერიოდში (დაახლოებით 400 მილ. წ. წინათ) პირველი, მრავალკომპონენტური, კლიმაქსური ტყეები წარმოიქმნა, მის შემადგენელ კომპონენტებს შორის, ავტომატურად, მაშინვე, დაიწყო გამაწონასწორებელი მექანიზმის ჩამოყალიბება. ნიადაგთან და კლიმატთან ერთად, ტყის ეკოსისტემაში ერთმანეთთან წონასწორობაში შედიოდნენ: მცენარეები – იგივე პირველადი პროდუქციის (ნახშირწყლების) შემქმნელები, მცენარისმჭამელები – მათი პირველადი მომხმარებლები, მტაცებლები – მეორადი (ე.ი. მცენარისმჭამელ ცხოველთა) მომხმარებლები, მეტწილი სოკოები და მიკროორგანიზმები – მკვდარი ორგანული ნივთიერებების (მცენარეები, ცხოველები) დაშლელელები და ასეთი სახით მომხმარებლები.

საკმარისია ნებისმიერი ეკოსისტემის ცალკეულ კომპონენტთა შორის ათასობით წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული მსგავსი წონასწორობა დაირღვეს, ტყეს, ასევე, მდელოს, ველს და ა.შ., დიდი ზიანი ადგება. ზოგჯერ მსგავსი ნეგატიური პროცესები შეუქცევად ხასიათს ატარებენ. მაშინ ტყე-მდელოს ადგილს გაუდაბურებელი ლანდშაფტი იკავებს.

როგორც ჩანს, ცოცხალი თუ არაცოცხალი ბუნების, მატერიის განვითარებას თავისი საზღ-

ვარი აქვს. ვარსკვლავები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სიდიდით, ენერჯის გამოსხივების მასშტაბებით, მაგრამ არ არსებობს სხეებისაგან ზეთისებით გამოჩნეული რომელიმე ციური სხეული.

მიუხედავად განვითარების განსხვავებული დონეებისა, მეტ-ნაკლებად ასეთივე ტენდენცია შეიმჩნევა ორგანული სამყაროს განვითარებაშიც. ცხადია, ბირთვიანი უჯრედი უბირთვიო უჯრედთან შედარებით ევოლუციის სულ სხვა დონეზე მდგომი სისტემაა, იგივე ითქმის მრავალუჯრედიანი ორგანიზმის ერთუჯრედიანთან შედარებისას; ყვაილოვანი მცენარეები ავგირგვინებენ ავტოტროფების, ხოლო პლაცენტისანი ძუძუმწოვრები – პეტროტროფების განვითარებას.

მაგრამ, ზოგადად, ცხოველთა, კერძოდ კი პრიმატთა წიაღიდან განშტოებული (დივერგენცია) ადამიანი მატერიის ჯერჯერობით ცნობილი ერთადერთი, ზეთისებებით – აზროვნებით – დაჯილდოებული ფენომენია (ორგანულ სამყაროში კვაზიანაგენეზის პროდუქტი).

როგორც ითქაა, ბუნებაში ყველა ცოცხალი ორგანიზმი ემორჩილება ბუნებრივი გადარჩევის კანონს. ყველა მათგანი, უწინარესად, გარემოს აბიოტურ (არაცოცხალ, პირველ რიგში, კლიმატურ) ფაქტორებზე დამოკიდებული. დედამიწის არაცოცხალი (კლიმატური) და ოროგრაფიული (რელიეფი) ფაქტორები მუდმივად იცვლებიან. ამ ცვლილებებს დიდი ხნის განმავლობაში თანდათანობით (გრადუალისტური) ხასიათი აქვს. მაგრამ, დრო და დრო, ათეული მილიონი წლების განმავლობაში, გარემოს ეს „სიმყუდროვე“ რადიკალურად იცვლება: იწყება გლობალური ხასიათის ტექტონიკური პროცესების (მიწისძვრები) გააქტიურება, ხშირად მთავარმოქმნებით, გამყინვარებები იცვლება დათბობებით, პავის გამშრალება – გატენიანებით, ტრანსგრესიები (სღვის წყლით ხმელეთის დაფარვა) – რეგრესიები...

ეკოლოგიურად პლასტიკური ორგანიზმები გარემოს მსგავს, რიგ ცვლილებებებს ეგუებიან და გადარჩებიან. მაგრამ გარემოს ფლუქტუაციური ხასიათის ცვლილებებთან შეგუებისას (მის გარეშე) ორგანიზმებში ადგილი აქვს მუტაციების, ფენოტიპურ (გარეგნულ) სახეცვლილებებს (უკანასკნელ გამყინვარებებამდე ბუნებაში არ შეიძლება ყოფილიყვნენ თეთრი დათვი, მამონტი...), მოქმედებაში მოდის ბუნებრივი გადარჩევის მექანიზმი. შეცვლილ ბუნებრივ გარემოსთან „მორგებული“ მუტანტები გადარჩებიან, სხვები, მათ შორის ეკოლოგიურად არაპლასტიკურები, იღუპებიან.

თავის დროზე, ადამიანის უშუალო ცხოველურ-მაწინაპარმა წარმატებით გაართვა თავი მსგავს გამოცდას (აფრიკაში ნოტიო ტროპიკული ტყეების საყვანებით მასობრივად შეცვლას). მოგვიანებით მან ასეთივე წარმატებით გამოიყენა თავისი ზეთისებრიობა – აბსტრაქტული აზროვნება: რო-

გორც ზემოთ აღინიშნა, განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ორფეხა ძუძუმწოვარმა, ერთადერთმა დაიწყო მისთვის ხელსაყრელი გარემოს ხელოვნური გზით შექმნა. მსგავსი ნოვაცია მოხერხდა სათანადო თავშესაფრის აგებით, ცეცხლის „მოთვი-ნიერებით“, ცივი კლიმატის მქონე რეგიონებში მონადირებულ ცხოველთა გარსაფარის ქურქად გამოყენებითა და ა.შ.

როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ნეოლითის მიწურულისათვის – 7000-6000 წლის წინათ, ადამიანი უკვე ნაკლებად განიცდიდა კლიმატურ ფაქტორთა უშუალო სეგაგელენას, შესაბამისად, ერთხელ კიდევ გაეუხედა ხასი, პირველად ცხოველთა სამყაროს განვითარების ისტორიაში, მასზე სათანადო მასშტაბით უკვე აღარ მოქმედებდა ბუნებრივი გადარჩევის საეკოლოგიური კანონი.

... ადამიანთა პირველყოფილ საზოგადოებაში ურთიერთობის გაათქვამებულ მოთხოვნილებას მტყვევლების განვითარება მოჰყვა. მოგვიანებით, დამწერლობის განვითარებამ (კულტურული ხასიათის კვაზიანაგენეზი), გამოიწვია კულტურის, ცხოვრების დონის შემდგომი სრულყოფა. დაგროვდა ვოლანტი, გაჩნდნენ ეკრძო საკუთრების მქონე პიროვნებები. ადამიანის მოსახლეობაში სოციალურმა დიფერენციაციამ გარდაუვალი გახადა სახელმწიფოთა ფორმირება სათანადო, ძალოვანი სტრუქტურებით, ეკონომიკით, იდეოლოგიით, რელიგიით; სულ უკანასკნელ დროს ტექნიკური რევოლუციის სფეროში კომპიუტერების დანერგვამ, მსგავსი ტექნიკის სრულყოფამ, დღის წესრიგში დააყენა ხელოვნური ინტელექტის შექმნა. გამოჩენილ მოჭადრაკეს – გარი კასპაროვს – გონების დიდი დაძაბვა უხდება ხელოვნურ მოჭადრაკესთან პაექრობისას. ხელოვნური ინტელექტი, თვისებრივად, დამწერლობის გამოგონების ტოლფასი, რევოლუციური ნახტომი იქნება.

მეცნიერების განვითარების გზაზე, XX საუკუნე არსებითად, გარდამტეხი ასწლეული აღმოჩნდა.

რა უმთავრესი მასტიმულირებული ძალები ამოძრავებს თანამედროვე ადამიანს? რით განსხვავდება ჩვენი ყოფა პირველყოფილი ცივილიზაციების, თუნდაც, ანტიკური ფილოსოფიის ოქროს ეპოქისაგან? უწინარესად, თვალსაჩინოა ტექნიკური პროგრესი, მნიშვნელოვნად შეიცვალა საზოგადოებრივი ყოფა, სოციალური სტრუქტურები, რწმენა (რელიგიები), სამყაროს მეცნიერული ხედვა. ჯერ ტელევიზიის, ამჟამად კი ინტერნეტის საშუალებით, განსაკუთრებით გაიოლდა ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის გზები, უდიდესი პროგრესი მოხდა ყველა სახის ტრანსპორტის განვითარებაში (დღეამიწა კაცობრიობის საერთო სახლად იქცა ამ სიტყვის უკვე არამეტაფორული გაგებით), თუნდაც ერთი საუკუნის წარსულიდან დანახული, შეიარაღებულ ძალთა ტექნიკამ ღამის არის ფანტასტიკის ზღვარს მიაღწია...

მაგრამ შეიცვალა კი ძირეულად ადამიანის არსებობის ფუნდამენტური ხასიათის მოთხოვნილე-

ბები, მოტივები? რა თქმა უნდა, არა! ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე კაცობრიობის სათანადო რეაქციები პირველყოფილი ადამიანის დონეზე დარჩა, განსხვავდა მხოლოდ მათი გადაწყვეტის გზები და საშუალებები, ისიც, წინამდებარე ნაშრომის სათანადო თავში მოყვანილი მასალების მიხედვით, ყველგან არა – სიღარიბის, შიმშილობის ზღვარს ბევრმა ქვეყანამ, ხალხმა თავი ვერ დააღწია, ძალაში დარჩა ყოფის არქაული წესები. უცვლელი რჩება ადამიანის ანატომიაც.

ადამიანში არავითარი ფერიცვალეა არ განუცვლია გენეტიკურად კოდირებულ, ყველაზე უარყოფით ნიშან-თვისებას – შიდასახეობრივ აგრესიას. თავის დროზე, საკუთარი გენების შექმნამ, პოლითესტიურიდან მონოთესტიურ რელიგიებზე გადასვლამ, ერთმანეთისაგან კიდევ უფრო გააუცხოვა ეთნოსები, ხალხები, სახელმწიფოები. ამ მხრივ ყოვლოვანი – ცხოველთა ქცევების შემსწავლელი მეცნიერები, – კვლავ რჩებიან პესიმისტური დასკვნების ერთგულნი – ადამიანი ეერასოდეს გადაიღობება აგრესიისამდ, უფროს-უმცროსობისადმი, საზოგადოებაში აღევა, ანუ დომინანტი ადგილის მოპოვებისადმი გტოლდება. მაგრამ შესაძლებელი ხდება ერთი არსებითი სიახლეც. ძალის, სხვა ქვეყნების, ხალხების დამორჩილების თვალსაზრისით, მსოფლიო საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მრავალპოლუსური იყო, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იგი ჯერ ბიპოლუსური (აშშ, სსრკ), საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ – მონოპოლუსური გახდა. სამხედრო ძალის მხრივ აშშ-ში საგრძობლად უსწრებს რუსეთსა და ჩინეთს ერთად აღებულს, ანდა ნატოს დანარჩენ ქვეყნებს. ასეთ ვითარებაში სახელმწიფოთა შორის აგრესიისადმი გტოლდება საგრძობლად შენეულა, გლობალიზაციის პოლიტიკა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის რიგ, ნეგატურ მხარეებს), კიდევ უფრო არბილდება, რელექსაბირებულს ხდის სათანადო საფრთხეს.

... ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემის (ცნს) სახით ბუნებამ შექმნა სათანადო უჯრედთა უბადლო ინფრასტრუქტურა! ენცეფალიზაციის („გატენინანების“) დაახლოებით 1 მილიარდი წლის (მრავალუჯრედიან ცხოველთა ისტორია) განმავლობაში, ცხოველთა სამყაროში, ცნს-მაც დიდი ევოლუცია განიცადა: ჯერ წარმოიქმნა ნერვული უჯრედი (ჰიდრა, ან მისი მსგავსი, გადაშენებული ცხოველი), შემდეგ ამ უჯრედებისაგან შემდგარი ნერვული კვანძების (განგლიოზების) მოუწყვრივებელი, თუ მოწყვრივებული გროვა, ერთობლიობა (სხედასხვა მედუზები); პირველი ნერვული სისტემა (კვანძების ერთმანეთთან დამაკავშირებელი ნერვული ჰიმები – კონექტივებითა და კომისურებით: სხედასხვა ჰიები – ბრტყელი, მრგვალი, რეოლოვანი); მწერებსა და თავფეხიან მოლუსკებში ტანისაგან კისრით გამოყოფილი თავი (ცეფალიზაცია). მსგავსი ანატომიური სიახლე უხერხემლო ცხოველთა სამყაროში ცნს-ის განვითარების გზა-

ზე ორი უმაღლესი მწვერვალის წარმოშობის გარანტი გახდა. ამიტომ არიან მწვერები ცოცხალ ორგანიზმთა სხვა ჯგუფებს შორის ჩვენი პლანეტის სახეობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი, ხოლო ბიოსფეროში, ნიუთიერებათა და ენერჯის წრებრუნვაში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის როლის შემსრულებლები; თავფეხიანი მოლუსკები (რეაფეხები, ათფეხები) კი, უხერხულმო ცხოველებში ის ერთადერთი გამოჩენილია, რომლებიც გარემოში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარების უნარით, აზროვნების ჩანასახით გამოირჩევიან.

600 მილიონი წლის წინათ წარმოიშენენ ქორდის მატარებელი ცხოველები, 400 მილიონი წლის წინათ – ხერხემლიანები, 200-100 მილიონი წლის წინათ თილისსხლიანები (ძუძუმწოვრები, ფრინველები), თავის ტვინში ფორმირებული ნახეარსფეროებით – უმაღლესი ქცევების ამ უპირველესი გარანტით, დაბოლოს (უკანასკნელი 1-2 მილიონი წელიწადი), ადამიანის (ზოგადად ნეონთროპი) თავის ტვინში მოხდა ე.წ. ახალი ქერქის ძლიერი განვითარება, აბსტრაქტული აზროვნების მქონე ცნს-ის ფორმირება (სპეციფიკური ციტოარქიტექტონული ელემენტის წარმოქმნა, რაც დამახასიათებელია მხოლოდ ჰომო საპიენსისათვის).

... ადამიანის თავის ტვინის მილიარდობით ნეირონი, თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი ათასობით კავშირით! ცოცხალი ორგანიზმის აზროვნების უნარის მქონე მსგავსმა ორგანომ შეძლო მისთვის უცხო, მაგრამ ცხოველთა სამყაროს ზოგიერთი წარმომადგენელთათვის დამახასიათებელი სხვა, უნიკალური თვისებების (ეყოლოკაცია, თბოლოკაცია და ა.შ.) თავის სამსახურში ჩაყენება (რის საფუძველზე შეიქმნა მეცნიერების ახალი დარგი – ბიონიკა). უფრო მეტიც, ჯერ კიდევ ცივილიზაციის გარეგარეშე მოახერხა ბუნებისათვის სრულიად უცნობი კონსტრუქციის, მაგალითად, ბორბლის გამოგონება, დაბოლოს, დღის წესრიგში დააყენა, სრული შესაძლებელია, „თავისი კონსტრუქტის“ (?) – ხელოვნური ინტელექტის კონსტრუირება (თუმცა, ეს საკითხი, ჯერ-ჯერობით მაინც საკმაოდ შორეული მომავლის – ფუტუროლოგიის სფეროდ რჩება).

XX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისისთვის გაიზიარა გენის ფუნქცია, დადგინდა მისი სტრუქტურა, მაგრამ თუ წარმოვიდგენთ ადამიანის გენომისათვის დამახასიათებელ 30-40 ათას გენს, მით უმეტეს მათი ურიცხვი კომბინაციით მიღებულ შედეგებს, ჭეშმარიტ გენურ ინჟინერიაზე ფიქრი ჯერ-ჯერობით ნაადრევია! მიუხედავად ამისა, პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე იდგმება.

მეცნიერები ახლოს დგანან თვით ადამიანის კლონირებასთან (რის რეალიზაციაც, ყოველად სამართლიანად, იგმობა), ჩვენი მოდგმის მრავალი ავადმყოფობის გენეტიკურ თერაპიასთან (შესაძლებელი ხდება ჩანასახის უჯრედებშივე ფიზიკური და ფსიქიკური ხასიათის პათოლოგიის გამომწვევ

ქრომოსომათა ლაკუსებში ჩარევა). მსგავსი მანიპულაციების კომბინირებამ ადამიანის ხელოვნურ განაყოფიერებასთან, სრული შესაძლებელია, ადასრულოს სწავლულთა ერთი ჯგუფის კარგა ხნის ოცნება ეგენიკაზე – კაცობრიობის „გაკეთილშობილებაზე“, რაც პრონაციტური, ყოველად დასაგმობი იდეაა!

ასეთ შემთხვევაში ადამიანის მიმართ ბუნებრივი გადაჩვევის კანონი სრულიად დაკარგავს თავის დანიშნულებას!

თანამედროვე კაცობრიობის, უწინარესად, ახალგაზრდობის უდიდეს პრობლემად გადაიქცა ნარკომანია (ფსიქოტროპული ნიუთიერებების არადანიშნულებით გამოყენება). ნარკოტიკული ნიუთიერებების გამოყენების შედეგად გახანგრძლივებული თვითმკვლელობის მსხვერპლი ხდება საზოგადოების საუკეთესო ნაწილი – მისი მომავალი. აღნიშნულის მიზეზები ხშირად სოციალურია. სამწუხაროდ, აქ მედიცინისა და ძალისმიერი სტრუქტურების როლი მეორეხარისხოვანია. ყოველ სსრკ-ის მოსახლეობა გათავისუფლდა სათანადო იდეოლოგიური წინისაგან. დასავლეთის ტიპის „ღია საზოგადოების“ მორალმა – პიროვნების უპირატესობამ საზოგადოებაზე – მოზარდების სრულადსრულების, მათ შორის, ზოგჯერ, მშობლების ავტორიტეტის არცნობამდე მიიყვანა. მორალური მუხრუჭების დაკარგვიდან ყველა სახის დანაშაულამდე კი ერთი ფეხის ნაბიჯი რჩება.

აქ დიდ როლს ასრულებს საზოგადოებაში სულიერების აღორძინების ფენომენი – რწმენა (ან შიში) დემერისადმი, ბიბლიური დოგმებისადმი. მაგრამ მხოლოდ პირჯერის გადაწერა ღვთისმოყვარეობას როდი ნიშნავს. სპეციალისტები დღემდე ეძებენ ამ უმწვევესი პრობლემის დაძლევის გზებს.

საზოგადოებას დიდ საშიშროებას უქმნის შიფსი და პოტენციურად მხოლოდ ადამიანზე სპეციალიზებული, ლეტალური ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობები. ორგანიზმის იმუნიტეტის საბიფთო დონემდე დაცემას, უჯრედთა პათოლოგიური ზრდის გამომწვევი მიკრობების გააქტიურებას, შედეგად შეიძლება მოჰყვეს ადრე და შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი პანდემიები („ჟამიანობა“) – მოსახლეობის რიცხოვნობის დიდი რაოდენობით განადგურება.

პალეონტოლოგიურ ლიტერატურაში ცოცხალ ორგანიზმთა (სახეობათა) მასობრივად გადაშენების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ პათოგენური მიკრობებია დასახელებული (ციმბირში, პლეისტოცენურ (2.5-0.01 მლნ წ.) ძუძუმწოვართა დიდი მასშტაბით განადგურების ასახსნელად, მთავარ ჰიპოთეზად ამ ცხოველთა ტოტალური ხასიათის ინფიცირებაა მიჩნეული).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის პროგნოზით, 2050 წელს ადამიანის მოსახლეობა დედამიწაზე 10 მილიარდ სულს მიაღწევს. სიღარიბე, შიმშილობა კიდევ უფრო გარდაუვალი პრობლემა გახდება. მსგავს სიტუაციაში სელექტ

ციის, გენეტიკისა და ბიოტექნოლოგიის როლი ფრიად გაიზრდება. გამოსავალი მცენარეთა და ცხოველთა ახალი, კიდევ უფრო პროდუქტიული ჯიშების გამოყენებაშია (ნათქვამია, ვინც ხორბლის თავთავს ორჯერ დაამძიმებს, იგი ნობელის ორგზის პრემიის ღირსი იქნება!). მოგვწონს თუ არა, შინაურ ცხოველთა, კულტურულ მცენარეთა კლონირების მასშტაბიკ საგრძობლად გაიზრდება. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება ხერხემლიან ცხოველთა ისტორიაში უპრეცედენტოდ გამრავლებული ერთი სახეობის – პომო საპიენსის – შიმშილობის პრობლემის დაძლევა.

XX საუკუნის მეცნიერული პროგრესიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, XXI-XXIII საუკუნეებში მეცნიერება ისეთ სამაღლეებს დაიპყრობს, არ არის გამორიცხული, ადამიანის არსებობა თვისებრივად მრავალი მიმართულებით შეიცვალოს. მსგავსი ნახტომი, სიკეთესთან ერთად, ჩვენს მოდგმას, სავარაუდოა, ჯერჯერობით ბოლომდე გაუთვალისწინებელ პრობლემებსაც შეუქმნის.

სიცოცხლის თითქმის 4 მილიარდი წლის, ორფეხა არსების 5-4 მილიონი წლის, ანატომიურად

თანამედროვე ადამიანის 100-130 ათასი წლის ევოლუციის ფონზე, 100-300 წელსწადი თვალის ერთი დახამხამებაა. მთავარია პომო საპიენს საპიენსმა თავისი ინტელექტი სწორი გზით მიმართოს და ბიოლოგიურ ინსტინქტებსე საბოლოოდ აძაღლდეს!

P.S. ბუნებისადმი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისადმი მიძღვნილი თავისი მონოგრაფიების სიმბოლოდ პროფ. არნოლდ გეგეკორმა **ZELKOVA** (ძელქვა) აირჩია. ძელქვა, კოლხურ ხოხობთან (*Phasianus colchicus*) ერთად, ბერძნულ-ქართულიდან გაალათინურა მცენარეთა და ცხოველთა კლასიფიკაციის ფუძემდებელმა, შვედმა კარლ ლინემ. წიგნების ავტორს ძელქვა – რელიქტი, დღეგრძელი, უღლობი და ხე-გოლიათი თავისი სამშობლოს უკუდაუების სიმბოლოდ ესახება!

„რუსთველს ბადალი ვერსად ეუპოვე;
პოემა მისი ძელს ჰგავს უღლოლველს!
კოდობანი რომ იყო ნოესი,
ამ ხისა იყო უსათნოესი!“.

მეხრან მაჭავარიანი



ბაზოზენიკული ლიტერატურა

1. ნ. აქალიშვილი, ადამიანის გარიერაჟე, თსუ, 1987.
2. ა. ბუჩუკური, მუხილეობა, თბ., 1951.
3. არნ. გეგეკორი, აზროვნების სათავეებთან, თბ., 1982.
4. რ. გორდესიანი, ბერძნული ცივილიზაცია, თბ., 1988.
5. კულტუროლოგია (რედ. გ. ლორთქიფანიძე, ლ. გორდესიანი), თსუ, 2003.
6. დ. ლორთქიფანიძე, ევროპის პირველი მოსახლეობის ისტორია, „მეცნ. დედამიწის შესახებ“, №1, 2001, 1-15.
7. ე. ნადირაძე, მსოფლიოს რელიგიები, თსუ, 1996.
8. ჯ. ნასყიდაშვილი და სხე, კულტურულ მცენარეთა სელექცია, მეთესლეობა და თესლმცოდნეობა, თბ., 2002.
9. ე. ქანთარია, გ. რამიშვილი, მევენახეობა, თბ., 1958.
10. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნ. 2, ტფ., 1974.
11. Антропология, (учебник для ВУЗ-ов), М., Владос, 271, 2004.
12. Вавилов Н.И., Пять континентов. М., 1962.
13. Вульф Е.В., Малеева Щ.Ф., Мировые ресурсы полезных растений, Л., 1960.
14. Джохансон Д., Иди Н., Люси (истоки рода человечества), М., 1984.
15. Жуковский П.М., Культурные растения и их сородичи, Л., 1971.
16. Кецохели Н.Н., Зоны культурных растений в Грузии, Тб., 1957.
17. Климат в эпоху крупных биосферных перестроек, М., Наука, 2004.
18. Ламберт Д., Доисторический человек, Л., 1991.
19. Фоули Г., Еще один неповторимый вид, Л., 1990.
20. Clark G., Space, Time and Man. A Prehistorian's View. New York: Cambridge University Press, 1992.
21. Collins F., Which of Our Genes Make Us Human? Science, 281:1432-1434, 1998.
22. Fagan B.M., The Journey from Eden: The Peopling of Our World. London: Thames and Hudson, 1990.
23. Ferguson B., The Birth of War. Natural History, N7-8, 28-35, 2003.
24. Gamble C., Timewalkers: The Prehistory of Global Colonization. Cambridge, MA: Harvard University Press, 1994.
25. Gabounia et al., Decouverte d'un nouvel hominide a Dmanissi (Transcaucasie, Georgie). Paleont. humaine et prehistoire, 243-253, 2002.
26. Gibbons A., The Peopling of the Americans. Science, 274: 31-39, 1996.
27. Irvin G., The Prehistoric Exploration and Colonisation of the Pacific. Cambridge: Cambridge University Press, 1992.
28. Jordan P., Early Man, Oxford, 2000.
29. Joes S., Martin R., Pilbeam I., The Cambridge Encyclopedia of Human Evolution. New York: Cambridge University Press, 1992.
30. Leaky R., The Making of Mankind. London, WC 1, 1981.
31. Mulvaney J., Kamminga J., Prehistory of Australia, Sydney, South Wind Productions, 1999.
32. Tattersell I., The Human Odyssaey. Prentice Hall. New York, 1993.
33. Tudge C., The Time Before History. Touchstone Books, New York, 1996.

შინაარსი

წინასიტყვაობა	5
ნაწილი I ადამიანის წარმოშობა-ბანსახლების თანამედროვე მონაცემები	7
თავი 1 როგორ აღმოცენდა ადამიანის წარმოშობის შესახებ პირველი მეცნიერული თეორია და როგორ დადასტურდა იგი?	7
სიმიაღური თეორია – ადამიანის წარმოშობაზე შეხედულების ქვაკუთხედი	7
ჰომინიდების საეფლე-პალეოანთროპოლოგიური გამოკვლევების ისტორია	10
სამხრეთი აფრიკა – ანთროპოლოგიური გამოკვლევების ახალი ცენტრი	12
აღმოსავლეთი აფრიკა, როგორც ჩანს, კაცობრიობის პირველი სამშობლო, მისი წარმოშობის ეპიცენტრი	14
ძიება აფარის სამკუთხედში, პადარისა და აფროვერასიის სხვა რაიონთა განუმეორებელი სიურპრიზები	21
ადამიანის ადგილი ცოცხალ ორგანიზმთა სამეფოში	27
პრიმატების ისტორია	28
პრიმატთა ერთი ჯგუფი გაადამიანების გზაზე	30
ორფეხა არსებთა ევოლუციის ქრონიკა. „ადამიანმაიმუნები“ – პრელუდია ნამდვილი ადამიანების წარმოშობის წინ	31
ადამიანის – ჰომოს – გეარი ეყოფა აესტრალოპითეკებს	37
თავი 2. ადამიანის ევოლუციის ეკოლოგიური და ბიოგეოგრაფიული წანამძღვრები. როგორ და რატომ გახდა შესაძლებელი გაადამიანების პროცესი?	45
ტროპიკული აფრიკის ჯუნგლები – გაადამიანების პროცესის პირველადი სამკედლო	45
ბრახიაცია – პრიმატთა ერთი ჯგუფის ხეზე ცხოვრების აუცილებელი პირობა	45
წინაშეგუება, ანუ პრეადაპტაცია ორ კიდურზე გამართული სიარულისათვის	49
ცხოველური წინაპრის გაადამიანების ეკოლოგიური მიზეზები.	
საენა – გადამწყვეტი პოლიგონი გამართული სიარულის განვითარებისათვის	55
პალეოეკოლოგიური ცვლილებები და გამართული სიარულის დამკვიდრება	
ადრეულ ჰომინიდებში	55
ორ ფეხზე მოსიარულე ჰომინიდის საწყისი ფორმის სახეობრივი გამრავალფეროვნების ბიოგეოგრაფიული წინაპირობები	57
მოდერულური ტაქსონომია – ადამიანის პრიმატული წარმოშობის დამამტკიცებელი კვლევის ულტრათანამედროვე დარგი	60
მაშ, წარმოიშვა ადამიანი მაიმუნისაგან?	62
თავი 3. რა ნიშან-თვისებებით განსხვავდება ადამიანი სხვა, მაღალგანვითარებული ძუძუმწოვრებისაგან?	64
ადამიანი – იარაღის მწარმოებელი ერთადერთი არსება	64
საენის პირველი ორფეხა მონადირე	68
ჰომინიდთა პირველი თავშესაფარი	71
როგორ და რატომ წარმოიშვა ეპიგამიური ურთიერთობა – სიყვარული – ჰომინიდთა ერთ ჯგუფში?	73
რატომ არის ადამიანის სხეული ბალნის საფარს მოკლებული?	78
„პირველად იყო სიტყვა“, ანუ მეტყველების განვითარება ჰომინიდებში	80
ადამიანი – ცეცხლის პირველმომთვინიერებელი	84
ესთეტიზმი, რომელიც გენეტიკურად კრომანონელი ადამიანისაგან დაემიმკვიდრეთ	86
ადამიანის გეარის უპრეცედენტო, გლობალური განსახლება	87
აფრიკის კონტინენტიდან მიგრაციის პირველი ეტაპი	88
აფრიკის კონტინენტიდან მიგრაციის მეორე ეტაპი	90

პომინიდის სხედასხვა გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებთან შეგუება და ანთროპოლოგიური ცვლილებები.....	90
ნაწილი II. როგორ ჩამოყალიბდა ადამიანი ორმაზი (ღუალისტური) ბუნების არსება?	94
თავი 1. როგორ განამტკიცა მიწათმოქმედებაზე გადასვლამ კაცობრიობის დედამიწაზე დამკვიდრება და აღმავლობა?	94
კულტურულ მცენარეთა მნიშვნელობა კაცობრიობის ცივილიზაციის აღმავლობის საქმეში.....	94
სახამებლის შემცველი მცენარეები.....	103
პურეული მცენარეები (ოჯახი Graminaceae) – კაცობრიობის მთავარი მარჩენალი.....	103
არამარცვლეული, სახამებლის შემცველი მცენარეები.....	107
ცილისა და ცხიმის შემცველი მცენარეები.....	108
ეთერზეთოვანი კულტურები.....	109
შაქრის შემცველი მცენარეები.....	111
ბოჭკოვანი მცენარეები.....	111
ხეხილოვანი კულტურები.....	112
ზოგიერთი ბოსტნეული კულტურა.....	122
მატონიზირებელი ნივთიერებების შემცველი კულტურები.....	125
კულტურულ მცენარეთა წარმოშობის ცენტრები დედამიწაზე.....	127
ცხოველთა მოშინაურება და მისი მნიშვნელობა კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების საქმეში.....	128
ხერხემლიანი ცხოველები.....	129
კლასი – ძუძუმწოვრები – Mammalia	
რიგი – მტაცებლისნაირნი – Carnivora.....	129
იქნებ ძალღმა გვაქცია დღევანდელ ადამიანად?	129
რიგი კენტრილიქიანისნაირნი – Perissodactyla.....	134
რიგი წყვილწლიქისნაირნი – Artiodactyla.....	138
მსხვილფეხა რქოსანი საქონელი.....	139
რიგი კოურფეხისნაირნი – Tylopoda.....	144
კლასი – ფრინველები – Aves.....	147
ზეკლასი – თევზები – Pisces.....	149
უხერხემლო ცხოველები.....	149
კლასი – მწერები – Insecta.....	149
რა ამოცანებს უყენებდა ადამიანი ცხოველის მოშინაურებას?.....	150
თავი 2. მსოფლიოს პირველი მიწათმოქმედნი და მიწათმოქმედების საფუძველზე აღმოცენებული ცივილიზაციები. ძველი აღმოსავლეთი	154
შუამდინარული კულტურა (მესოპოტამია).....	154
ძველი ეგვიპტე.....	161
ძველი ინდოეთი.....	173
ხორბალი, მდინარეთა დელტები და უძველესი ცივილიზაციები.....	175
ძველი ჩინეთი.....	179
ძველი ირანი.....	182
შუა (ცენტრალური) აზია.....	185
ძველი საბერძნეთი.....	187
ძველი რომი.....	195
ძველი საქართველო და მის საფუძველზე აღმოცენებული გვიანდელი კულტურის ზოგადი შტრიხები.....	209
დასავლეთ ნახევარსფეროს (ახალი სამყაროს) ძველი ცივილიზაციები.....	216
მესოამერიკის – „ზუა მაისის (სიმინდის)“ – ცივილიზაციები.....	216
ატლანტიკის ცივილიზაცია.....	217
ტოტალუტეკანი.....	227
მაიას კულტურა.....	229
სამხრეთ ამერიკის ძველი ცივილიზაციები.....	235
ინკები – მზის შვილები.....	235
მაკჩუ-პიკჩუ – ინკების წმინდა საეანე.....	236
ტიტიკაკას ტბა – ინდიელთა ცივილიზაციის უძველესი აკეანი.....	241

ლიმა – „მეფეთა ქალაქი“	245
აგროკულტურა – ინკების ცივილიზაციის პირველწეარო	246
უდაბნოს გეოგლიფები ნასკაში – გიგანტური ნახატები მიწიერია, მათი ავტორები კი – ძველი ინდიელები	250
მიწათმოქმედების დანერგვიდან დამწერლობის შემოღებამდე	251
თავი 3. ანაქრონიზმი – XXI საუკუნეში ქვის ხანის კულტურის მატარებელი ტომები (ტრაიბები) და დედამიწაზე მათი უკანასკნელი რეფუგიუმები	253
აესტრალია – ანთროპოლოგიურ-ეთნოგრაფიული ნაკრძალი	254
აბორიგენები, რომელთა მამაკაცებს ქალები სძულთ	270
პოლინეზიელები – პოსეიდონის საუფლოსთან ყველაზე გაშინაურებული ხალხი	274
აფრიკული საფარი ადგილობრივ აბორიგენებთან	280
პიგმეები იტურის ტყიდან	280
ბუშმენები – პალეოლითის ეპოქის ერთ-ერთი უკანასკნელი ტომი	287
მასაიელი ხალხი – ნეოლითურ მწყემსთა კულტურით მცხოვრები რაინდები	290
ამაზონი – „მწვანე ჯოჯოხეთი“ და მისი სოგიერთი აბორიგენი მოსახლეობა	298
მოდა ყველგან მოდაა! ანუ თეთრდამახინჯების ფორმები სხედასხვა ქვეყნის აბორიგენებში	301
ნაწილი III. „შოვნა-აჩოვნა, საპითხავი აი შს არის“	304
თავი 4. კიდევ ერთი, ამ შემთხვევაში ფატალური ნიშან-თვისება, რაც ადამიანს ცხოველთა სამეფოს აბსოლუტური უმრავლესობისაგან განასხვავებს	304
შიდასახეობრივი ანტაგონიზმი – ადამიანში გენეტიკურად დეტერმინებული ნიშან-თვისება	304
როგორ და რატომ ჩაისახა ადამიანთა სასოგადოებაში ომი? (ხელკეტებით დაწყებული შეტაკებიდან ომებით დამთავრებულ კონფლიქტებამდე და გენოციდამდე	304
ადამიანი – arma mortalia-ს – თავისი მოდგმის გამანადგურებელი იარაღის შემქმნელი	310
ანთროპოცენტრიზმით დათესილი ბოროტების მარცვლის გალიეებას ისევე ბიოეთიკის პრინციპებით შეიარაღებულმა ადამიანმა უნდა შეუშალოს ხელი!	311
ბოლოთქმა	315
გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა	322

გამომცემლობის რედაქტორი აზა კაჭარავა-კერესელიძე
მხატვრული რედაქტორი იზა ჩიქვინიძე
მხატვარი გ. ჩიქვინიძე
კორექტორები: ნინო ვაშაკიძე
მაია ქუმსიაშვილი

აკრიფა ლალი კურდღელაშვილიმა
დააკაბადონა ნინო ვაჩეიშვილიმა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.07.04

საბეჭდი ქალაქი 60X84

პირ. ნაბეჭდი თაბახი 49,61

სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 38,2

შეკვეთა № 24

ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.

ილუსტრაციები წიგნის შიგნით:

წინა – ავსტრალიპითეკები აფრიკის საუანაში (რეკონსტრუქცია, იხ. წიგნის 23-ე გვ.);
ჰომო ერგასტერის სახე (რეკონსტრუქცია ჯონ ჰოლმსისა, დიდი ბრიტანეთი).

უკანა – ავტორი ცენტრალური ავსტრალიის უდაბნოს აბორიგენტთან.

ILLUSTRATIONS ON THE BOOK'S COVERS:

Front – Australopithecians in the African savanna (reconstruction);

The face of Homo ergaster (reconstruction by John Holms, Great Britain).

Back – The author with the aborigine of central Australia.